წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

https://www.facebook.com/groups/ELLIB/

თომას მანი

„ბუდენბროკები“

ტომი I

პირველი ნაწილი

პირველი თავი

- „რომელ არს ესე... რომელ არს ესე“...

- დიახ, ეშმაკმა წაიღოს, c’est la question, ma trè s chè re demoiselle![1]

კონსულის მეუღლე, მადამ ბუდენბროკი დედამთილის გვერდით იჯდა თეთრად გალაქულ, ყვითელ ქსოვილგადაკრულ გრძელ სოფაზე, რომელსაც ლომის მოოქრული თავი ამშვენებდა. მან იქვე, სავარძელში მჯდომ მეუღლეს ესროლა მზერა და თავის პატარა ასულს მიეშველა. გოგონა ფანჯარასთან ბაბუას ესვა მუხლებზე.

- ტონი! - თქვა მან, - „მწამს, მამა ღმერთმა“...

პატარა ანტონიამ, მარმაშა, მოლივლივე აბრეშუმის კაბაში გამოწყობილმა ნაზმა რვა წლის გოგონამ კოხტა, ქერა თავი მოატრიალა, ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომელ არს ესეო და ნელა განაგრძო:

- „მწამს, მამა ღმერთმა, - უცებ სახე გაუნათდა და სწრაფად დაუმატა, - შემქმნა, ვითარცა სულიერი ყოველი“, - გაკვალულ ბილიკზე შემდგარმა, ბედნიერებით სახეგაცისკროვნებულმა ტონიმ კატეხიზმოს მთელი მუხლი სულმოუთქმელად ჩამოარაკრაკა. ეს კატეხიზმო სულ ახლახან, 1835 წელს დიდად გონიერი უმაღლესი სენატის ნებითა და სურვილით გამოვიდა. „სხაპასხუპით რომ მიაყრი, - ფიქრობდა ტონი, - ასე გგონია ზამთარია და ძმებთან ერთად „იერუსალიმის მთიდან“ ციგით მოსრიალებ, თითქოს აზრებს თავს ვეღარ უჭერ და ძალიანაც რომ მოინდომო, ვერ შეჩერდები“.

- „მასთან ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, - განაგრძობდა ტონი, - სასმელ-საჭმელი, კარ-მიდამო, ცოლ-შვილი, ყანა და საქონელი“...

ამ სიტყვების გაგონებაზე მოხუცმა მუსიო იოჰან ბუდენბროკმა ვეღარ მოითმინა და გულიანად გადაიხარხარა. მოხუცი ხმამაღლა და დამცინავად ხითხითებდა. ეს სიცილი სწორედ ამ სიტყვებისთვის ჰქონდა საგანგებოდ მომზადებული, უხაროდა, რომ კატეხიზმოს გამასხარავების შემთხვევა მიეცა.

ალბათ, ეს პატარა გამოცდაც მხოლოდ ამისთვის იყო გამიზნული. იოჰან ბუდენბროკმა ტონის გამოჰკითხა, რა ყანა-საქონლის პატრონი ბრძანდები, თითო ტომარა ხორბალში რამდენს ინებებო და გოგონას იქვე შესთავაზა, აღებმიცემობაზე მოვრიგდეთო.

fb.com/groups/elib

იოჰან ბუდენბროკის მრგვალი, ვარდისფრად აღაჟღაჟებული კეთილი სახე, რომელსაც იგი, ბევრსაც რომ ცდილიყო, ბოროტ გამომეტყველებას ვერ მისცემდა, თოვლისფრად გაპუდრული თმის ჩარჩოში იყო ჩასმული, ხოლო ნაწნავისმაგვარი კიკინა მისი თაგვისფერი სერთუკის განიერ საყელომდე ეშვებოდა. სამოცდაათ წელს მიღწეული ბერიკაცი თავისი ახალგაზრდობის დროინდელ მოდას არ ღალატობდა. სერთუკის ღილებშუა ჩასაყოლებელ სირმასა და დიდ ჯიბეებს კი შელეოდა, მაგრამ გრძელი შარვალი თავის სიცოცხლეში არ ჩაუცვამს. მოხუცის ორმაგი, ფაფუკი ღაბაბი თეთრმაქმანიან ჟაბოზე მშვიდად განისვენებდა.

ალბათ, პატივისცემის გამო, ოჯახისთავს სიცილში ყველამ აუბა მხარი... მადამ ანტუანეტა ბუდენბროკი, ქალიშვილობაში დიუშანი, მეუღლესავით ახითხითდა. იგი წარმოსადეგი ქალი იყო, ყურებზე ჩამოვარცხნილი თეთრი კულულები, უსამკაულო, შავი, ნაცრისფერზოლიანი კაბა მის სისადავესა და უბრალოებას მოწმობდა. მადამ ანტუანეტას ჯერ კიდევ მშვენიერ, თეთრ ხელებში პატარა ხავერდის ქისა -
„პომპადური“ ეჭირა. წლების განმავლობაში მოხუცი ქალბატონი სახის ნაკვთებით მეუღლეს საოცრად დამსგავსებოდა, ისე, რომ მის სანახევროდ რომანულ წარმოშობას მუქი, ცოცხალი თვალების ჭრილიღა ამხელდა. მადამ ბუდენბროკი ჰამბურგში გადასახლებული ფრანგულ-შვეიცარიული ოჯახის ნაშიერი გახლდათ.

მისი რძალი, კონსულის მეუღლე, კროგერების შთამომავალი ელიზაბეტ ბუდენბროკი, კროგერებისებურად იცინოდა, გაურკვეველ ფშვინვიერ ბგერას გამოსცემდა და სიცილის დროს ნიკაპს მკერდზე იბჯენდა. ყველა კროგერის
მსგავსად, ისიც ელეგანტურობით გამოირჩეოდა. მზეთუნახავს ვერ ეტყოდით, მაგრამ სუფთა ხმით, სიმშვიდით, სიდინჯითა და სინარნარით თითქოს ყველას ნათელს ჰფენდა და ნდობას უნერგავდა. მის სპილენძისფერ, კეფაზე დაგრაგნილ და ყურებზე ჩამოწეულ მსხვილ, ხელოვნურ კულულებს აქა-იქ გაბნეული პაწაწკინტელა ჭორფლით დაწინწკლული არაჩვეულებრივად ნაზი, რძისფერი პირისკანი მეტისმეტად შვენოდა. ელიზაბეტ ბუდენბროკის მოგრძოცხვირიან, პატარა ტუჩებით შემკულ სახეს კიდევ ერთი რამ ჰქონდა დამახასიათებელი - ნიკაპსა და ქვედა ტუჩს შორის არავითარი ღრმული არ აჩნდა.

ხასხასა ყვავილებით მოჩითული ჰაეროვანი აბრეშუმის ვიწრო ქვედაკაბაზე შემოცმული ფუშფუშასახელოებიანი მოკლე ჟაკეტი კონსულის მეუღლეს უზადოდ მშვენიერ ყელს უჩენდა... ყელზე შემოჭდობილ პრიალა ატლასის ლენტზე ბრილიანტები უციმციმებდა.

კონსული სავარძელში მოუსვენრად აცმუტდა. მას ღია ყავისფერი, ფართოგადანაკეცებიანი, იდაყვებამდე შემოსხეპილი სერთუკი ეცვა. ფეხზე შემოკვართულ თეთრ შარვალს გვერდებზე შავი ზოლები ჩაუდიოდა, მაღალ, გაშეშებულ საყელოზე შემოსკვნილი აბრეშუმის ფართო ყელსახვევი ჭრელი ჟილეტის გულისპირს მთლიანად უვსებდა. კონსულს მამის ღრმად ჩამჯდარი, ლურჯი,

ყურადღებიანი, მაგრამ უფრო მეოცნებე თვალები გამოჰყოლოდა, სახის ნაკვთები კი შედარებით მკაცრი და გამოკვეთილი ჰქონდა, კეხიანი ცხვირი წინ ჯიუტად წამოსწეოდა, ხოლო უფრო გამხდარ ლოყებს ხუჭუჭა, ქერა წვერი სანახევროდ უფარავდა.

მადამ ბუდენბროკი რძალს მიუბრუნდა, მკლავზე ხელი შეავლო, მუხლებზე დააჩერდა და ჩაიხითხითა:

- Mon vieux[2] ყოველთვის ასე იცის, არა, ბეტსი?

სიტყვა „ყოველთვის“ მადამ ანტუანეტამ უცნაურად გამოთქვა.

კონსულის მეუღლეს არაფერი უთქვამს, მხოლოდ მუქარით გააქნია ნაზი ხელი. ოქროს სამაჯურმა წყნარად გაიწკრიალა. ელიზაბეტმა თითები, ჩვეულებისამებრ, ტუჩის კიდიდან შუბლამდე აიცურა, თითქოს აბეზარი კულული უნდა გაისწოროსო.

კონსულმა ღიმილი შეიკავა და მამას უსაყვედურა:

- მამა, თქვენ ისევ დასცინით წმიდათაწმიდას...

ბუდენბროკები მენგშტრასეზე, უზარმაზარი ძველი სახლის პირველ სართულზე, „ლანდშაფტებიან ოთახში“ ისხდნენ. ეს სახლი ამ ცოტა ხნის წინ შეიძინა იოჰან ბუდენბროკის ფირმამ და ოჯახი დიდი ხანი არ იყო, რაც აქ ბინადრობდა. გამძლე, ელასტიურ შპალერებსა და ქვის კედლებს შორის ადგილი საგანგებოდ დაეტოვებინათ. შპალერებს ნაირ-ნაირი ლანდშაფტი ამშვენებდა. ისინი ისეთივე ნაზი ფერებით იყო მოხატული, როგორც იატაკზე დაგებული ოდნავ გაქექილი ხალიჩა. თვალს იტაცებდა XVIII საუკუნის გემოვნებით შესრულებული იდილიები: მხიარული მეღვინეები, მკლავმაგარი მიწის მუშები, კამკამა წყლის პირას ჩამომსხდარი, ბაფთებით კოპწიად მორთული მეცხვარე ქალები, რომლებსაც კალთაში ქათქათა ბატკნები ესვათ ან მწყაზარ მწყემს ბიჭებს კოცნიდნენ. თითქმის ყველა სურათზე ოქროსფერი დაისი მეუფეობდა, რაც თეთრად გალაქული ავეჯის ქსოვილსა და ორივე ფანჯარაზე ჩამოფარებულ ყვითელი აბრეშუმის ფარდებს მშვენივრად ეხამებოდა.

საკმაოდ დიდ ოთახში ცოტა ავეჯი იდგა. წვრილ, მსუბუქად მოვარაყებულ სწორ ფეხებზე შემდგარი მრგვალი მაგიდისთვის სოფას წინ კი არა, მეორე კედელზე, პატარა ფისჰარმონიის[3] პირდაპირ მიეჩინათ ადგილი. ფისჰარმონიის სახურავზე ფლეიტის ბუდე იდო. კედლებთან მწყობრად ჩამორიგებული მაგარი სავარძლების
გარდა ოთახში ფანჯარასთან ხელსაქმისთვის განკუთვნილი პატარა მაგიდა მოჩანდა, სოფას პირდაპირ კი სამშვენისებით გაწყობილი ნატიფი ნახელავი სეკრეტერი მოეთავსებინათ.

ფანჯრის მოპირდაპირე შუშებიანი კარიდან ბინდბუნდში სვეტებიანი სადარბაზო შემოსასვლელი ილანდებოდა. ხელმარცხნივ მაღალი, თეთრი, ორფა კარი სასადილო

დარბაზში გადიოდა. მეორე კედელზე, ნახევარწრისებურ ნიშაში, დიდი ხელოვნებით ნაჭედ ლაპლაპა რკინის კარს უკან, ღუმელი საამოდ

ბზეკდა და აცმაცუნებდა. აჰა, როგორც იქნა, მიაღწია „იერუსალიმის მთის“ ძირს, მაგრამ აზარტში შესული გოგონა თავს ვეღარ თოკავდა.

- ამინ, - დააყოლა ტონიმ, - ბაბუ, სხვაც კი ვიცი!

- Tiens![4] სხვაც სცოდნია! - ისე წამოიძახა მოხუცმა ბუდენბროკმა, თითქოს ერთი სული ჰქონდა, კიდევ ერთი მუხლი მოესმინა, - გაიგონე, დედა? კიდევ სცოდნია! აბა, ამას ვინ იფიქრებდა, არა?

- თუ დარტყმა თბილია, ელვა იქნება, თუ ცივია - მეხი! - ამბობდა ტონი და ყოველ სიტყვაზე თავს აკანტურებდა.

ტონიმ გულხელი დაიკრიფა და მოცინარ სახეებს საკუთარ წარმატებაში დარწმუნებული ადამიანივით შეავლო თვალი. მოხუცი ბატონი ბუდენბროკი ამ „სიბრძნემ“ მოთმინებიდან გამოიყვანა, ბავშვს ამგვარი მონაჩმახით თავი ვინ გამოუტენაო. როცა დამნაშავე ბავშვებისთვის ახლახან მიჩენილი მარიენვერდერელიგუზგუზებდა.

სიცივეები ადრიანად დაიჭირა. ჯერ ისევ შუა ოქტომბერი იდგა, ქუჩის იქითა მხარეს, მარიენკირხეს ეზოს ირგვლივ ჩარიგებულ ცაცხვებს კი ფოთლები უკვე გაჰყვითლებოდა, ეკლესიის გოთურ შპილებსა[5] და სამრეკლოებში ქარი დაზუზუნებდა. ცრიდა. უფროსი მადამ ბუდენბროკის ხათრით ფანჯრებში უკვე ორმაგი ჩარჩოები ჩაესვათ.

ხუთშაბათი იყო. ამ დღეს, ყოველ ორ კვირაში ერთხელ, მთელი ოჯახი თავს ერთად იყრიდა, მაგრამ დღეს, ამ ქალაქში მცხოვრები ოჯახის წევრების გარდა, შინაურულ სადილზე რამდენიმე ახლო მეგობარიც მოეწვიათ. ნაშუადღევის ოთხი საათი სრულდებოდა, ქალაქში ბინდი წვებოდა, ბუდენბროკები ისხდნენ და სტუმრებს ელოდნენ.

პატარა ანტონია ისევ ციგით მიქროდა, ბაბუას ხმის ამოღებას არ ანებებდა, ოდნავ წინ წამოწეულ ზედა ტუჩს კიდევ უფრო მამზელი იდა იუნგმანი აღმოჩნდა, კონსულს მეტი რაღა დარჩენოდა, საბრალო იდასთვის მოწყალე კალთა უნდა გადაეფარებინა.

- მეტისმეტად მკაცრი ბრძანდებით, მამა. რატომ არ შეიძლება ამ ასაკში ბავშვს საკუთარი, თუნდაც ფანტაზიით შექმნილი წარმოდგენა ჰქონდეს ასეთ ამბებზე?!

- Excusez, mon cher!.. Mais c’est une folie![6] შენ ხომ იცი, ბავშვს ამგვარი სისულელეებით თავს რომ უტენიან, გულზე ვსკდები ხოლმე! რაო, მეხი ეცემაო? მეხიც თვითონ დასცემია და ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია! არ მომაბეზრეთ თავი ამ თქვენი პრუსიელი გომბიოთი!

ცოდვა გამხელილი სჯობს და მოხუც ბატონს იდა იუნგმანი მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა. იოჰან ბუდენბროკი გონებაშეზღუდული კაცი როდი იყო, ქვეყანა მოვლილი ჰქონდა, ჯერ კიდევ 13 წელში სამხრეთი გერმანია ოთხცხენიანი კარეტით მოიარა, - როგორც სამხედრო მომმარაგებელი, პრუსიის არმიისთვის პურს ყიდულობდა. ამსტერდამი და პარიზიც მოინახულა. თავი განათლებულ კაცად მიაჩნდა და ღვთის წინაშე, სულაც არ უყვარდა ყველაფრის გაქიაქება, რაც მისი მშობლიური გოთური ქალაქის ჭიშკარგადაღმა არსებობდა, მაგრამ თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის მრავალფეროვან სავაჭრო გარიგებებს, მოხუც ბუდენბროკს „გადამთიელებისგან“ თავის ვაჟიშვილთან შედარებით გაცილებით შორს ეჭირა თავი. ერთ მშვენიერ დღეს, როცა დასავლეთ პრუსიაში მოგზაურობიდან დაბრუნებულმა შვილებმა ახალგარდაცვლილი მარიენვერდერელი მეტრაქტირის ოცი წლის გოგონა ღვთის დანატოვარივით მოჰგვარეს სახლში, მამამ კონსულს შავი დღე დააყენა. გაავებული მოხუცი შვილს მხოლოდ ფრანგულად და ქვემოგერმანულად უტევდა... ისე, კაცმა რომ თქვას, იდა იუნგმანი ურიგო ქალი როდი იყო, საოჯახო საქმეებში გვარიანი ხელმომჭირნე გამოდგა და არც ბავშვების აღმზრდელად დაიწუნებოდა. პირიქით, თავისი ლოიალობისა და უფროს-უმცროსობის გარჩევის წყალობით ბუდენბროკების ოჯახს სავსებით შეეფერებოდა. იდა იუნგმანი არისტოკრატიული ჩამომავლობისადმი უდიდესი პატივისცემით იყო გამსჭვალული, უფაქიზესად ასხვავებდა მაღალსა და დაბალ წრეებს, საშუალო და საშუალოზე დაბალ ფენას, თავი მოჰქონდა, რომ მაღალი წრის ხალხს ემსახურებოდა და ვერ იტანდა, როცა ტონი ისეთ თანაკლასელს დაუახლოვდებოდა, ვინც მისი შეფასებით დიდი-დიდი საშუალო წოდების ზედა ფენას თუ ეკუთვნოდა.

პრუსიელი მამზელი სვეტებიან სადარბაზოში სწორედ იმ წუთს გამოჩნდა, მინის კარი შემოაღო და ოთახში შემოვიდა. კარგა მოსულ, ძვალმსხვილ ქალიშვილს შავი კაბა ეცვა, თმა გადაეტკეპნა და პატიოსნებით აღსავსე გამომეტყველება ჰქონდა. იდა იუნგმანს პატარა კლოტილდე ხელიხელჩაკიდებული მოჰყავდა. მეტისმეტად გამხდარ ბავშვს ყვავილებიანი ჩითის კაბა ეცვა, ფერფლისფერი უსხივო თმა ჰქონდა და სახე შინაბერასავით ჩამოსტიროდა. კლოტილდე ღარიბი ოჯახის შვილი იყო, მისი მამა - მოხუცი ბუდენბროკის ძმისწული, როსტოკის მახლობლად ერთ პატარა მამულში მოურავობდა, ცხვარივით უწყინარი პატარა კლოტილდე კი, რახან
ანტონიას კბილა იყო, ბუდენბროკებთან იზრდებოდა.

- ყველაფერი მზად გახლავთ, - თქვა მამზელ იუნგმანმა. „რ“ ყელში უცნაურად გააჟღრიალა, რადგან ამ ბგერის გამოთქმა ბავშვობიდანვე უძნელდებოდა, - კლოტილდე სამზარეულოში ისე დატრიალდა, რომ ტრინას გასაკეთებელი თითქმის აღარაფერი დარჩა.

პრუსიელი მამზელის ჩიქორთულ გამოთქმაზე ბატონმა ბუდენბროკმა ჟაბოში დამცინავად ჩაიქირქილა, კონსულმა კი თავის პატარა ნათესავს ლოყაზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

- ყოჩაღ, ტილდა. ნათქვამია, ილოცე და იშრომეო. ჩვენს ტონისაც არ აწყენდა შენთვის მოებაძა, თორემ სულ სიზარმაცისკენ უჭირავს თვალი.

ტონიმ თავი ჩაჰკიდა და ბაბუას ქვემოდან ამოხედა. მშვენივრად იცოდა, რომ ბაბუა ჩვეულებისამებრ გამოექომაგებოდა.

- არა, არა, თავი მაღლა ასწი, ტონი, courage![7] ყველამ თავისი საქმე იცის. ტილდა ყოჩაღი გოგოა, მაგრამ არც ჩვენა ვართ ნაკლები. მართალს არ ვამბობ, ბეტსი?

მოხუცი ბატონი რძალს მიუბრუნდა. იგი ყოველთვის მამამთილს უკრავდა ხოლმე კვერს. მადამ ანტუანეტა კი უფრო გონიერების წყალობით, ვიდრე რწმენის გავლენით, მეტწილად კონსულის მხარეს იჭერდა. ასე უწვდიდა ორივე თაობა chassè croise-ში[8] ერთმანეთს ხელს.

- ძალიან კეთილი ბრძანდებით, მამა, - უთხრა მოხუცს კონსულის მეუღლემ, - ტონი ეცდება ჭკვიანი და გამრჯე ქალი დადგეს... - შემდეგ იგი იდას მიუბრუნდა, - ბიჭები დაბრუნდნენ სკოლიდან?

ტონიმ იდას პასუხი არ დააცალა. ბაბუამისის მუხლებზე შესკუპებული გოგონა ქუჩას ჩინებულად ზვერავდა:

- აგერ ტომი და ქრისტიანი მოდიან იოჰანისშტრასეზე.... ბატონი ჰოფშტედეც... ძია ექიმიც... - ტიტინებდა გოგონა.

წმინდა მარიამის ეკლესიის ზარებმა ქორალი დააგუგუნეს: ძინ, ძინ, ძინ! მათი ხმა საკმაოდ არეულ-დარეულად გაისმოდა. კაცი ვერ გაიგებდა, რას რეკავდნენ ზარები, თუმცა მათი გუგუნი მთელ ქალაქს საზეიმოდ ეფინებოდა. მალე დიდ ზარებს პატარებიც აჰყვნენ და ყველას ხალისიანად და ღირსეულად აუწყეს, ოთხი საათი შესრულდაო. ამ დროს სადარბაზო კარის ზარიც აწკარუნდა და მართლაც, ტომი და ქრისტიანი პირველ სტუმრებს - პოეტ ჟან-ჟაკ ჰოფშტედესა და შინაურ ექიმს, დოქტორ გრაბოვს შემოუძღვნენ ლანდშაფტებიან ოთახში.

მეორე თავი

ბატონი ჟან-ჟაკ ჰოფშტედე, აქაური პოეტი, რომელსაც, ალბათ, დღევანდელი დღისთვისაც ექნებოდა ორიოდე ლექსი ჯიბეში შემონახული, იოჰან ბუდენბროკზე ბევრად უმცროსი არ იყო და მასაც ძველებურად ეცვა, მხოლოდ სერთუკი მწვანე ფერისა ემჯობინებინა. გარეგნობით მოხუც ბუდენბროკზე კაფანდარა და მოძრავი გახლდათ. წვრილი, ცოცხალი, მომწვანო თვალები და გრძელი, წაწვეტებული ცხვირი ჰქონდა.

- უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, - თქვა მან, როცა მამაკაცებს ხელი ჩამოართვა და ქალბატონებთან - განსაკუთრებით კი მისთვის დიდად პატივსაცემ კონსულის მეუღლესთან - თავისი ორიოდე ყველაზე გამორჩეული კომპლიმენტით მოიწონა თავი. ასეთ სიტყვებს ახალი თაობისგან ნამდვილად ვერ გაიგონებდით. კომპლიმენტებს სასიამოვნო, წყნარი და თავაზიანი ღიმილი მოაყოლა.

- უღრმესი მადლობა მეგობრული მოპატიჟებისთვის, დიდად პატივცემულნო. ამ ყმაწვილებს, - მიუთითა მან იქვე მდგომ ტყავის ქამარშემოჭერილ ლურჯ ქურთუკებში გამოწკეპილ ბიჭებზე, - მე და ექიმი კიონიგშტრასეზე შევხვდით. ჩინებული ბიჭები არიან, არა, ქალბატონო? თომასი ნამდვილი ჭკუის კოლოფია.
ნეგოციანტი[9] რომ გახდება, ამაში ეჭვი არავის უნდა შეგეპაროთ. ქრისტიანი კი ცოტა ონავარი ჩანს, არა? ცოტაც incroyoble[10]... მაგრამ მისდამი ჩემს engouement[11]-ს არ ვმალავ, ქრისტიანი თუ ნასწავლი კაცი არ გამოვა, ნახავთ. საამისოდ ჭკუაც უჭრის და გონებაც.

ბატონმა ბუდენბროკმა თითები თავის ოქროს სათუთუნეში ჩაყო.

- დიდი მაიმუნია! ვითომ პოეტი რომ გახდეს, რა უჭირს, ჰა, ჰოფშტედე?

მამზელ იუნგმანმა ფანჯრებზე ფარდები ჩამოუშვა და ოთახი მაშინვე ბროლის ჭაღსა და სეკრეტერზე ჩამოდგმულ კანდელაბრებში ჩარიგებული სანთლების მოლიცლიცე, მაგრამ ზომიერ და სასიამოვნო სინათლეში ჩაეფლო.

- აბა, ქრისტიან, - უთხრა შვილს კონსულის მეუღლემ. მას სანთლების შუქზე თმა ოქროსფრად აუელვარდა, - ნაშუადღევს რა იმეცადინეთ?

გამოირკვა, რომ ქრისტიანს წერა, არითმეტიკა და სიმღერა ჰქონოდა.

კაცს გაეცინებოდა, ეს შვიდი წლის ბიჭუნა ახლავე ისე საოცრად ჰგავდა მამამისს. ისეთივე საკმაოდ პატარა, მრგვალი და ღრმად ჩამჯდარი თვალები ჰქონდა, მამისეულ კეხიან ცხვირსაც ახლავე იცნობდით, ღაწვებს ქვეშ მონიშნული ხაზებიც უკვე ამხელდნენ, რომ მის სახეს ახლანდელი ბავშვური სისავსე არ შერჩებოდა.

- რამდენი ვიცინეთ! - თვალების ცეცებით დაიწყო ქრისტიანმა, - რომ იცოდეთ, ბატონმა შტენგელმა ზიგმუნდ კოსტერმანს რა უთხრა?

ქრისტიანი წაიკუზა, თავი გააკანტურა, სივრცეს მიაშტერდა და დამარცვლა:

- კაცი რომ შეგხედავს, ჩემო საყვარელო შვილო, გაწკრიალებული და სუფთა ხარ, მაგრამ სული, ჩემო საყვარელო შვილო, სული შავი გაქვს, აბა!

ქრისტიანი „შ“-ს ყლაპავდა. „შავის“ მაგივრად „სავიო“ ისეთი სახით თქვა, თან სახე ისე დამანჭა, „გაწკრიალებული და სუფთა გარეგნობა“ ისეთი კომიზმით წარმოადგინა, რომ ყველას სიცილი წასკდა.

- დიდი მაიმუნია, დიდი, - ხითხითით გაიმეორა მოხუცმა ბუდენბროკმა, ბატონმა ჰოფშტედემ კი აღტაცებისგან არ იცოდა, რა ექნა.

- Charmant![12] - დაიყვირა მან, - უბადლოა! მარცელუს შტენგელს უნდა იცნობდე კაცი! ასეთი მსგავსება? არა, ნამდვილად ჩინებულია!

თომასი, რომელსაც ამგვარი ნიჭისა არაფერი ეცხო, უმცროსი ძმის გვერდით იდგა და უბოროტოდ, გულიანად იცინოდა. საკმაოდ ულამაზო, წვრილი და მოყვითალო კბილები მოუჩანდა, სამაგიეროდ, ლამაზად ჩამოქნილი ცხვირი ჰქონდა და თვალებითა და სახის მოყვანილობითაც ბაბუას ძალზე ჩამოჰგავდა.

ყველანი ისხდნენ - ზოგი სკამზე, ზოგი სოფაზე, ხან ბავშვებს გამოელაპარაკებოდნენ, ხან ნაადრევ სიცივეებსა ან ახალშეძენილ სახლზე მოაყოლებდნენ სიტყვას. ბატონი ჰოფშტედე სეკრეტერზე მდგარ იშვიათ სამელნეს განეცვიფრებინა. სევრის ფაიფურის სამელნეს შავხალებიანი მონადირე ძაღლის ფორმა ჰქონდა. ექიმი გრაბოვი, კონსულის ხნის კაცი, რომელსაც მეჩხერი ბაკენბარდები და მოგრძო, სათნო სახე ჰქონდა, ფეხზე იდგა და მაგიდაზე გამოფენილ ნამცხვრებს, ქიშმიშიან ფუნთუშებსა და ნაირ-ნაირ სამარილეებს ათვალიერებდა. ეს იყო ნათესავებისგან მუმბარაქზე მორთმეული პურმარილი. კაცი რომ მიმხვდარიყო, ძღვენი შეძლებული ოჯახებიდან არის გამოგზავნილიო, პური ტკბილი, სანელებლიანი დიდი ნამცხვრებით შეეცვალათ, მარილი კი მოზრდილ ოქროს სამარილეებში ჩაეყარათ.

- ვატყობ, ბევრი საქმე გამიჩნდება, - ექიმმა ტკბილეულზე მიუთითა და ბავშვებს თითით დაემუქრა, შემდეგ სანელებლების ბაჯაღლო ოქროს ჭურჭელი ხელში აწონ- დაწონა.

- ლებრეჰტ კროგერისგანაა, - ულვაშებში ჩაიცინა ბატონმა ბუდენბროკმა, - ჩემი ძვირფასი მძახალი მუდამ ასეთი თავაზიანია. მან რომ ქალაქგარეთ აგარაკი აიშენა, მე მსგავსი არაფერი მიმირთმევია მისთვის. მაგრამ რას იზამ, გულუხვობა სისხლში აქვს. ნამდვილი a la mode kavalier[13]-ია!

ზარმა რამდენჯერმე დაიჟღრიალა. მობრძანდა პასტორი ვუნდერლიჰი, ჩასკვნილი, ხანში შესული კაცი. პასტორს შავი სერთუკი ეცვა, თმა შეეპუდრა, თეთრ, მოცინარ სახეზე ნაცრისფერი თვალები მხიარულად უციმციმებდა. პასტორი დიდი ხნის ქვრივი იყო და მასთან ერთად მოსულ აყლაყუდა მაკლერ გრეტიენსივით თავს ძველი დროის ბერბიჭად მიიჩნევდა. გრეტიენსს ცალი ხელი ჭოგრიტივით ერთთავად თვალთან ეჭირა, თითქოს რაიმე სურათს სინჯავსო; იგი ხელოვნების საყოველთაოდ აღიარებული მცოდნე გახლდათ.

მობრძანდნენ აგრეთვე ოჯახის ძველი მეგობრები: სენატორი დოქტორი ლანგჰალსი მეუღლითურთ; ღვინის ვაჭარი კოპენი, რომელსაც ფართო, ღაჟღაჟა სახე აფუშფუშებულ სახელოებში ჩაერგო, მასავით გათქვირულ მეუღლეს უმშვენებდა მხარს.

ხუთის ნახევარი გადასული იყო, როცა კროგერებიც გამოჩნდნენ. კონსულმა კროგერმა თან ტომისა და ქრისტიანის კბილა ვაჟები - იაკობი და იურგენი მოიყვანა. მათ თითქმის ფეხდაფეხ მოჰყვა კონსულ კროგერის სიდედრ-სიმამრი - ხეტყის მსხვილი ვაჭარი ოვერდიკი მეუღლითურთ - ხნიერი, ნაზად შეყვარებული წყვილი, ყველას გასაგონად ერთმანეთს რომ საალერსო სახელს ეძახდნენ.

- წარჩინებული გვამები ყოველთვის იგვიანებენ, - შეეგება მათ კონსული ბუდენბროკი და სიდედრს ხელზე ეამბორა.

- სამაგიეროდ ყველანი სრულად გვეწვივნენ, - იოჰან ბუდენბროკმა ამ სიტყვებზე კროგერების ნათესაობას თვალი მოავლო და უფროს კროგერს ხელი ჩამოართვა.

ლებრეჰტ კროგერი, a la mode kavalier-ი, წარმოსადეგი, თვალსაჩინო გარეგნობის კაცი, თმას კი იპუდრავდა, მაგრამ უკანასკნელ მოდაზე ეცვა. ხავერდის ჟილეტზე ორრიგად ჩაყოლებულ პატიოსანი თვლების ღილებს ციმციმი გაჰქონდა. მისი ვაჟი იუსტუსი, მოკლე ბაკენბარდებიანი, ულვაშაწკეპილი ახალგაზრდა, ტანადობითა და მანერებით მამას ძალიან ჰგავდა. ხელის მოძრაობაც კი მამისეული, მოქნილი და ელეგანტური ჰქონდა.

დაჯდომას არავინ ჩქარობდა, იდგნენ და სადილის მოლოდინში დაუდევრად საუბრობდნენ. მაგრამ აი, იოჰან ბუდენბროკ-უფროსმა მადამ კოპენს მკლავი შესთავაზა და რიხიანად წარმოთქვა:

- აბა, მადა თუ გაგვეღვიძა, Mesdames et messieurs[14]... გთხოვთ...

მამზელ იუნგმანმა და მოახლე გოგომ სასადილო დარბაზის ორფა თეთრი კარი გააღეს და საზოგადოება მდორედ დაიძრა. ბუდენბროკებთან ყოველთვის შეეძლო კაცს გულუხვი სუფრის მოლოდინში ყოფილიყო.

მესამე თავი

ყველანი რომ აიშალნენ, უმცროსმა მასპინძელმა მარცხენა გულჯიბეზე იტაცა ხელი. რაღაც ქაღალდმა გაიტკაცუნა, კონსულს თავაზიანი ღიმილი პირზე შეაშრა და სახე მოეღუშა. საფეთქელზე ძარღვი ისე აუთამაშდა, გეგონებოდა, კრიჭა შეეკრაო. სასადილო დარბაზისკენ მოსაჩვენებლად კიდევ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ შემდეგ უკან დაიხია და დედას დაუწყო თვალით ძებნა. დედამისი ვუნდერლიჰთან ერთად ის იყო ზღურბლზე გადაბიჯებას აპირებდა.

- Pardon, ბატონო პასტორო... დედა, ერთი სიტყვა, თუ შეიძლება!

პასტორმა ხალისიანად დაუკრა თავი. კონსულმა ბუდენბროკმა მოხუცი ქალბატონი ლანდშაფტებიან ოთახში, ფანჯარასთან გაინაპირა.

- ერთი წუთით, დედა. წერილია გოტჰოლდისგან, - სწრაფად ჩაილაპარაკა კონსულმა, დედას კითხვით გამომზირალ მუქ თვალებში ჩახედა და ჯიბიდან ორად გაკეცილი ლუქდასმული ქაღალდი ამოიღო, - მისი ხელია... ეს უკვე მესამე წერილია, მამამ კი მხოლოდ პირველზე უპასუხა... რა ვქნა? წერილი ორზე მოვიდა. მამასთვის აქამდე უნდა მიმეცა, მაგრამ დღევანდელი დღე როგორ ჩამეშხამებინა, არა, დედა? ჯერ კიდევ შეიძლება მამას დარბაზიდან გამოწვევა.

- არა, ჟან, სწორად მოქცეულხარ, საჩქარო არაფერია! - თქვა მადამ ბუდენბროკმა და, ჩვეულებისამებრ, შვილს სწრაფად ჩაავლო მკლავში ხელი, - ნეტავ რა წერია შიგ! - ჩაურთო შეწუხებულმა, - მაინც რომ არ თმობს ეს ბიჭი, ისევ სახლის წილიდან მოითხოვს ფულს... არა, ჟან, მხოლოდ ახლა არა... საღამოს, ძილის წინ, კარგი?

- რა ვქნა? - გაიმეორა კონსულმა და უილაჯოდ გადააქნია თავი, - მე თვითონ რამდენჯერ მინდოდა მამასთვის მეთხოვა, რომ გოტჰოლდისთვის ცოტა დაეთმო. რატომ უნდა იფიქრონ, მე ღვიძლი ძმა რომ არ ვარ მისი, მშობლების ნდობით ვსარგებლობ და მათ გოტჰოლდის წინააღმდეგ ვამხედრებ. მამამაც კი არ მინდა ერთი წუთით ჩემზე ასე იფიქროს. ისე, სიმართლე თუ გნებავთ... მეც მეკუთვნის ეს სახლი, მე და ბეტსი ხომ მეორე სართულის ქირას ვიხდით. მადლობა ღმერთს, ჩემს ფრანკფურტელ დას არაფერი აქვს სათქმელი. მისი ქმარი მამას სიცოცხლეშივე იღებს სახლის ღირებულების მეოთხედს... ამ სარფიან საქმეს მამამ, საერთოდ, ჭკვიანურად მოაბა თავი, ისე, რომ ფირმისთვისაც სასარგებლო გამოდგა. გოტჰოლდს თუ ისე არ ექცევა, როგორც საჭიროა, ეს ყოველ შემთხვევაში...

- კარგი ერთი, ჟან. შენი აზრი ყველამ მშვენივრად იცის, გოტჰოლდი ჩემზე ეჭვიანობს. მისი დედინაცვალი რომ ვარ, ასე ჰგონია, მარტო ჩემს შვილებზე ვზრუნავ და არაფერს ვზოგავ, რომ თვითონ მამას ჩამოვაცილო. ესაა უბედურება...

- თვითონაა დამნაშავე! - თითქმის წამოიყვირა კონსულმა, მაგრამ სასადილო დარბაზისკენ რომ გაიხედა, ხმას დაუწია, - დიახ, მისი ბრალია! აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, მადმუაზელ შტიუვინგი რომ არ შეერთო თავის დუქნიანად, არ შეიძლებოდა? - კონსულმა ამ სიტყვებზე ნაღვლიანად და ცალყბად გაიცინა, - მამა
რომ იმ დუქანზე ცოფდება, რა თქმა უნდა, უცნაურობით მოსდის, მაგრამ გოტჰოლდს ანგარიში ხომ უნდა გაეწია მოხუცის ახირებისთვის?

- ჟან, რომ იცოდე, ყველაფერს სჯობია, მამაშენი დაუთმობდეს!

- მერე მე ხომ ვერ ვურჩევ ამას? - წაიჩურჩულა კონსულმა და შუბლი ნერვიულად მოისრისა, - ეგ საქმე პირადად მე მეხება და წესით, მამას უნდა ვეუბნებოდე, გადაუხადე-მეთქი, მაგრამ მე კომპანიონიცა ვარ, ფირმის ინტერესების დაცვაც მევალება, ჰოდა, თუ მამას არ უნდა საბრუნავ კაპიტალს უჯიათი შვილისთვის

ამოდენა თანხა მოაკლოს... ხუმრობა ხომ არაა, თერთმეტი ათასი ტალერი... არა, არაფრით არ შემიძლია... არ ვიცი, ფირმის საზარალო საქმე როგორ ვურჩიო. ამ საქმისგან ხელი დამიბანია. ესაა, რომ მამასთან მოსალოდნელი ლაპარაკიც მძიმე იქნება ჩემთვის.

- გვიან ღამისთვის გადავდოთ ეს საქმე, ჟან. წამო, გველოდებიან.

კონსულმა ქაღალდი გულჯიბეში ჩაიდო, დედას მკლავი შესთავაზა და ერთად შეაბიჯეს გაჩირაღდნებულ სასადილო დარბაზში, სადაც საზოგადოებას გრძელ მაგიდასთან ადგილები უკვე გაენაწილებინა.

სასადილო დარბაზში წერწეტა სვეტებს შორის შპალერის ცისფერ ფონზე ღმერთების თეთრი გამოსახულებები მკაფიოდ იკვეთებოდა. ფანჯრებზე მძიმე წითელი ფარდები იყო ჩამოშვებული. მაგიდაზე ჩარიგებულ ვერცხლის შანდლების გარდა, ოთახის ყოველ კუთხეში მოოქრულ კანდელაბრებში რვა-რვა სანთელი ენთო. ლანდშაფტებიანი ოთახის პირდაპირ, მასიური ბუფეტის თავზე, უზარმაზარი სურათი ეკიდა - რომელიღაც იტალიური ყურის პეიზაჟი და მქრქალი სილურჯე
სანთლების შუქზე განსაკუთრებით მდიდრული ჩანდა. კედლებთან სწორზურგიანი, წითელდამასტგადაკრული დიდი დივნები იყო მიდგმული.

მადამ ბუდენბროკს სახეზე ნაღვლის კვალიც კი აღარ ეტყობოდა, როცა ფანჯრის მხარეს დაბრძანებულ უფროს კროგერსა და პასტორ ვუნდერლიჰს შორის დაიკავა ადგილი.

- Bon appètit![15] - წარმოთქვა მადამ ბუდენბროკმა, გვერდით მსხდომთ გულითადად დაუქნია თავი და სუფრას თვალი სწრაფად მოავლო.

მეოთხე თავი

- ბუდენბროკს ჭეშმარიტად მოსალოცად აქვს საქმე! - კოპენის მგრგვინავმა ხმამ მოსაუბრეთა დუდუნი სწორედ იმ წუთში ჩაახშო, როცა მკლავებდაკაპიწებულმა, კეფაზე ჩაჩწამოკოსებულმა მოახლემ, რომელსაც ხელით ნაქსოვი ზოლიანი ქვედაკაბა ეცვა, მამზელ იუნგმანისა და კონსულის მეუღლის პირისფარეშის დახმარებით სუფრაზე ქაფქაფა ბოსტნეულის სუპი და გრენკები ჩამოდგა და ზოგმა უკვე თავშეკავებულად ხვრეპა დაიწყო.

- დიდებულია! რა სიხალვათეა, პირდაპირ ხელმწიფის საკადრისია... მე და ჩემმა ღმერთმა, აქ ღირს ცხოვრება, დიახ!..

ბატონი კოპენი ამ სახლის ძველ პატრონებთან მიღებული არ იყო, მისი სიმდიდრეც დიდ ხანს არ ითვლიდა, შთამომავლობითაც ვერ დაიკვეხნიდა და ზოგჯერ

კუთხურადაც უქცევდა. გარდა იმისა, რომ „მე და ჩემმა ღმერთმაო“ სულ პირზე ეკერა, „დიდებულიას“ მაგივრად „დიდებუიას“ ამბობდა.

- გვარიანადაც დაუჯდათ, - ცივად შენიშნა ბატონმა გრეტიენსმა. მან კი იცოდა სახლის ფასი. მერე ხელი ჭოგრიტივით მოიმარჯვა და ბუფეტის თავზე დაკიდებულ სურათს ჭვრეტა დაუწყო.

რამდენადაც შესაძლებელი იყო, სტუმრები ისე დასხეს, რომ ნათესავების ჯაჭვი ოჯახის მეგობრებით დაწყვეტილიყო, მაგრამ სუფრასთან ნათესავებისა და მეგობრების ასეთი განლაგება მკაცრად ვერ დაიცვეს - მოხუცი ოვერდიკები, ჩვეულებისამებრ, მიხუტებულები ისხდნენ და ერთმანეთს თვალებით ესიყვარულებოდნენ. მოხუცი კროგერი კი სენატორის მეუღლესა და მადამ ანტუანეტას შორის მთასავით აღმართულიყო და წინასწარ მომზადებულ ხუმრობებს ორივე მანდილოსანს უწილადებდა.

- რომელ წელსაა ეს სახლი აშენებული? - კითხვა გადააწვდინა ბატონმა ჰოფშტედემ მოხუც ბუდენბროკს.

იოჰან ბუდენბროკი კი ამ დროს ოდნავ დამცინავი, მაგრამ მხიარული ხმით მადამ კოპენს ესაუბრებოდა.

- Anno[16]... მოითმინეთ... 1680 წელს, თუ არ მეშლება, თუმცა ჩემი ვაჟი ასეთ თარიღებში უკეთ ერკვევა.

- ოთხმოცდაორში, - დააზუსტა კონსულმა. იგი სუფრის ბოლოში, სენატორ ლანგჰალსის გვერდით კენტად იჯდა, - 1682 წლის ზამთარში დასრულდა მშენებლობა. მაშინ „რატენკამპი და კომპანია“ აყვავების ხანაში იყო. სამწუხაროა, რომ უკანასკნელ ოც წელიწადში ამ ფირმას საქმე უკუღმა წაუვიდა.

სუფრაზე სიჩუმემ დაისადგურა. ერთხანს ხმა არავის ამოუღია. ყველა თავის თეფშს ჩასჩერებოდა და იმ ოდესღაც ბრწყინვალე ოჯახს იგონებდა, რომელმაც ეს სახლი ააგო და აქ ბინადრობდა, ახლა კი გაღარიბებული და დაქვეითებული იძულებული გამხდარიყო, აქედან გუდა-ნაბადი აეკრა.

- სამწუხაროა, აბა, - თქვა მაკლერმა გრეტიენსმა, - კაცს რომ მოგაგონდება, რა სისულელემ მიიყვანა საქმე დაღუპვამდე, გული მოგიკვდება... დიტრიჰ რატენკამპს
ის წყეული გეელმაკი რომ არ შეეამხანაგებინა, იქნებ არაფერი მომხდარიყო. ღმერთმა
ხომ იცის, თავში ხელი შემოვირტყი, მან რომ ფირმაში ბატონ-პატრონივით ტრიალი დაიწყო. დანამდვილებით ვიცი, ბატონებო, რატენკამპის ზურგს უკან რა სპეკულაციებს ატრიალებდა, ფირმის სახელით თამასუქებსა და აქციებს აქეთ-იქით როგორ აბნევდა... ჰოდა, წაიტეხა კისერი... ბანკები აღარ ენდობოდნენ, საკუთარიც გამოელიათ... თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ... მერე რა გგონიათ, ვინ ამოწმებდა

საწყობებს? გეელმაკი და მისიანები იქ ვირთხებივით იყვნენ მოკალათებული, რატენკამპს კი ამ დროს ტკბილად ეძინა.

- რატენკამპი დამბლადაცემულივით იყო, - თქვა კონსულმა და სახე მოეღრუბლა, წინწახრილი კოვზს სუპში ურევდა და დროდადრო პატარა, მრგვალ, ღრმად ჩამჯდარ თვალებს სუფრას სწრაფად მოავლებდა ხოლმე.

- რატენკამპი ისე დადიოდა, თითქოს ზურგზე ლოდი ეკიდა. გასაგებიცაა. აბა, რა რჯიდა, გეელმაკთან რომ დაიჭირა საქმე. მის კაპიტალს დაეხარბა თუ რეპუტაციას? ალბათ, უნდოდა ამოდენა პასუხისმგებლობა ვინმეზე ნაწილობრივ მაინც გადაეტანა, გრძნობდა, უფსკრულის პირას იდგა.

ფირმა თითქმის აღარ არსებობდა, ეს ძველი ოჯახი დანგრეული იყო, ვილჰელმ გეელმაკმა კი სულ ხელი მოუთავა.

- თქვენ იმ აზრისა ხართ, მოწყალეო ბატონო, რომ... - პასტორმა ვუნდერლიჰმა მშვიდად ჩაიღიმა, თავის მანდილოსანს ჭიქა წითელი ღვინით შეუვსო, თვითონაც დაისხა და განაგრძო, - გეელმაკის ბოროტი ხელი რომ არ მიშველებოდათ, მაინც ისევე წავიდოდა საქმე?

- მთლად არა, მაგრამ... - დარდიანად თქვა კონსულმა ისე, რომ პირადად არავისთვის მიუმართავს, - დარწმუნებული ვარ, დიტრიჰ რატენკამპს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, აუცილებლად უნდა გადაჰყროდა გეელმაკს, ბედისწერა უნდა აღსრულებულიყო... რატენკამპი, ალბათ, აუცილებლობას ვერ გაექცა... ეჰ, ეჭვიც არ მეპარება, რომ თავისი კომპანიონის ავანჩავანი მშვენივრად იცოდა. საწყობებში რა მდგომარეობა ჰქონდა, არც ის დარჩენია შეუმჩნეველი, მაგრამ კაცი გაქვავდა...

- Assez[17], ჟან, - უთხრა შვილს მოხუცმა ბუდენბროკმა და კოვზი გადადო, - ეს შენი ერთ-ერთი idìes[18] არის...

კონსულმა ჭიქა ასწია და მამას დაბნეულად გაუღიმა.

- კმარა, ახლა ხალისიან აწმყოს დავუბრუნდეთ! - წამოიძახა ლებრეჰტ კროგერმა და თეთრი ღვინით სავსე ბოთლს ფრთხილად და ელეგანტურად წაავლო ხელი. ბოთლის საცობზე პატარა ვერცხლის ირემი იყო გამოსახული. ლებრეჰტმა ბოთლი ოდნავ განზე გასწია და ეტიკეტს ყურადღებით დააკვირდა, - „ც. ფ. კოპენი“, - ამოიკითხა მან და ღვინის ვაჭარს თავი დაუკრა, - არა, უთქვენოდ ნამდვილად ვერ ვივარგებდით!

მაისენური, ოქროთი მოვარაყებული თეფშები გამოცვალეს. მადამ ანტუანეტა მოახლეს თვალს არ აშორებდა, მამზელ იუნგმანი კი სასადილო დარბაზსა და სამზარეულოს შორის გაყვანილ სალაპარაკო მილში განკარგულებებს იძლეოდა. მეინახეთ თევზი მოართვეს, პასტორმა ვუნდერლიჰმა თევზი გადმოიღო და თქვა:

- ეს ხალისიანი აწმყო ყოველთვის თავისით კი არ მოდის. ახალგაზრდებს, ახლა რომ ჩვენთან, ბებრებთან ერთად მხიარულობენ, ალბათ, აზრადაც არ მოსდით, რომ ოდესღაც შეიძლებოდა სულ სხვანაირად ყოფილიყო საქმე... შემიძლია ვთქვა, მეც არაერთხელ ვყოფილვარ დაკავშირებული ჩვენი ძვირფასი ბუდენბროკების ბედთან... ყოველთვის, როცა ამ ნივთებს ვუყურებ, - მან ვერცხლის კოვზი ხელში აიღო და
მადამ ანტუანეტას მიუბრუნდა, - ვფიქრობ, ეს ის კოვზი ხომ არ არის, რვაას ექვს
წელში ჩვენს მეგობარ ფილოსოფოს ლენუარს, მისი უდიდებულესობა იმპერატორ ნაპოლეონის სერჟანტს, ხელში რომ ეჭირა-მეთქი. ჰოდა, ალფშტრასეზე ჩვენი შეხვედრა მაგონდება, მადამ...

ოდნავ შეცბუნებული მადამ ბუდენბროკი სუფრას მოგონებით დამძიმებული ღიმილით დაჰყურებდა.

სუფრის ბოლოში მსხდომი ტომი და ტონი თევზს პირს არ აკარებდნენ და უფროსების საუბარს ყურებდაცქვეტილი ისმენდნენ. ისინი ბებიას მიუბრუნდნენ და თითქმის ერთხმად წამოიძახეს:

- მოგვიყევით რა, ბებია!

პასტორმა იცოდა, რომ მადამ ბუდენბროკს არ უყვარდა მისთვის, ცოტა არ იყოს, საჩოთირო ამბის მოყოლა და წამოწყებული საუბარი თვითონ გააგრძელა. ამ ძველ ისტორიას ბავშვები მეასეჯერაც სიამოვნებით მოისმენდნენ, თუმცა ეს ძველისძველი ამბავი შეიძლება რომელიმე სტუმრისთვის ახალი და საინტერესო გამომდგარიყო.

- მოკლედ და კონკრეტულად, წარმოიდგინეთ ნოემბრის ნაშუადღევი, სიცივე ძვალ- რბილში ატანს და თან ისე კოკისპირულად წვიმს, რომ ღმერთმა დაგიფაროთ. ეკლესიიდან ვბრუნდები, ალფშტრასეზე ამოვდივარ და უკუღმართ დროებაზე ვფიქრობ. მთავარი ბლიუჰერი გაიქცა, ქალაქში უკვე ფრანგები არიან, მაგრამ გამეფებული მღელვარება არ იგრძნობა. ქუჩებში სიწყნარეა, ხალხი სახლებში შეყუჟულა. მეტი რა გზა ჰქონდათ. ყასაბი პრალი, ჩვეულებისამებრ, ჯიბეებში ხელჩაწყობილი, თავის კარწინ გამოვიდა და მჭექარე ხმით დასძახა, ეს რა ამბავია, უფალმა უწყის, რა ხდებაო. ბევრი არ დაუხანებიათ, თავში ტყვია დაახალეს და გააგორეს... ჰოდა, ვფიქრობ: მოდი, ერთი, ბუდენბროკებთან შევივლი, იქნებ ესიამოვნოთ ჩემი სტუმრობა, ქმარი წითელი ქარითაა ავად, ქალბატონი კი, ალბათ, შემოსახლებულებს ძლივს უძღვება-მეთქი.

სწორედ იმ წუთში, როგორ გგონიათ, ვის ვხედავ? ჩვენს პატივცემულ მადამ ბუდენბროკს! მაგრამ რა დღეში? ამ წვიმაში უქუდოდ, მხრებზე შალმოსხმული, კი არ მოდის, მოქრის, coiffure[19]... აწეწილი... არა, ხომ მართალია, მადამ! coiffure არც შეიძლებოდა გეთქვა კაცს. „რა სასიამოვნო სიურპრიზია!“ - ვამბობ მე. ქალბატონი ვერ მამჩნევს, თავს ნებას ვაძლევ, სახელოში ხელი ჩავავლო და ვგრძნობ, რომ მის თავს რაღაც უბედურება ტრიალებს... „საით მიიჩქარით, ძვირფასო?“ ის მამჩნევს, მიყურებს

და მეუბნება: „ეს თქვენა ხართ... მშვიდობით! ყველაფერი დამთავრებულია! ტრავეში უნდა გადავვარდე!“

„ღმერთმა დაგიფაროთ-მეთქი, ვეუბნები, - და ვგრძნობ, როგორ ვფითრდები, - საამისო რა მოხდა, ჩემო ძვირფასო!“ - ვამშვიდებ და მოწიწებით ვუჭერ ხელს.

„რა მოხდა? - ყვირის იგი და ცახცახებს, - ვერცხლეულში ურევენ ხელს, ვუნდერლიჰ! აი, რა მოხდა! ჟანი წევს და ვერ მეშველება! თუმცა ფეხზეც რომ იყოს, რას მიშველის! ჩემს კოვზებს, ჩემს ვერცხლის კოვზებს იპარავენ! აი, რა მოხდა, ვუნდერლიჰ! ტრავეში უნდა გადავვარდე“.

მე ვაკავებ ჩვენს ძვირფას მეგობარს და თან იმ სიტყვებით ვამშვიდებ, ასეთ შემთხვევაში რომ ამბობენ ხოლმე: გამხნევდით, ძვირფასო, ყველაფერი მოგვარდება, მოველაპარაკოთ იმ ხალხს. თავი შეიკავეთ, გევედრებით, წავიდეთ-მეთქი და მიმყავს შინ. სასადილო ოთახში ფრანგი მილიციელები ვერცხლეულის სკივრში იქექებიან.
ოც კაცზე მეტი მაინც იქნება.

„ბატონებო, ვის შემიძლია მოველაპარაკო?“ - მივმართე მათ თავაზიანად, სიცილს მაყრიან და მიყვირიან, - „ყველას, მამილო“, - მაგრამ შემდეგ ერთი ჭოკივით აყუდებული, შავად შეღებილულვაშიანი ვაჟბატონი გამოდის და მეჯგიმება. მუნდირის სახელოებიდან ნიჩაბივით ფართო, წითელი ხელები მოუჩანს. „ლენუარი გახლავართ, - მეუბნება იგი და მარცხენა ხელი შუბლთან მიაქვს. აბა, რა უნდა ექნა, მარჯვენაში ხუთი თუ ექვსი ვერცხლის კოვზი ჰქონდა ჩაბღუჯული, - ლენუარი გახლავართ, სერჟანტი. რას ინებებს ბატონი?“ „ბატონო ოფიცერო! - ვეუბნები მას და მის point d’honnuer[20]-ს ვუმიზნებ, - ნუთუ ასეთი საქციელი თქვენს ბრწყინვალე წოდებას შეეფერება?.. ქალაქს იმპერატორისთვის კარი ხომ არ ჩაუკეტავს“. „აბა, როგორ გინდათ? - მპასუხობს სერჟანტი, - ომია, ომი! ჩემს ბიჭებს თუკი სჭირდებათ ასეთი ნივთები?“

„თქვენ ისიც უნდა გაითვალისწინოთ, - შევაწყვეტინე და თავში კარგი აზრი მომივიდა, - რომ ეს ქალბატონი (მაინც რას არ იტყვის კაცი ასეთ წუთებში) თქვენი თანამემამულე გახლავთ, ის ფრანგია“. „რაო, ფრანგიო?“ - იმეორებს სერჟანტი. და რა გგონიათ, რას მეუბნება ეს შტერი აყლაყუდა? - „ემიგრანტია, ხომ? მაშინ ის ფილოსოფიის მტერი ყოფილა!“

კინაღამ სიცილი წამსკდა, მაგრამ დროზე შევიკავე თავი. „თქვენ, გეტყობათ, ჭკუა გიჭრით. კიდევ გიმეორებთ, ასეთი საქციელი თქვენს ღირსებას არ შეეფერება“. სერჟანტი ერთ წამს დადუმდა, შემდეგ სახეზე ალმური მოედო, კოვზები სკივრში ჩაყარა და გაბრაზებულმა წამოიყვირა: „მერედა, ვინ გითხრათ, რომ ცუდი ზრახვები მაქვს გულში? მშვენიერი ნივთებია და ვათვალიერებ. რა მოხდა, ჩემი ბიჭები სამახსოვროდ თითო რამეს თუ წაიღებენ!“

სამახსოვროები, იცოცხლე, ბლომად წაიღეს. არც ღვთის ხსენებამ უშველა და არც მოყვასის სამართლიანობის მოგონებამ. მათ, ალბათ, იმ საშინელი, პატარა კაცის მეტი ღმერთი არც სწამდათ.

მეხუთე თავი

- ნაპოლეონი გინახავთ, ბატონო პასტორო?

თეფშები ხელახლა გამოცვალეს. შემოიტანეს მჟავე კომბოსტოს რუხ სოუსში ჩადებული მოწითალო, ბოლში გამოყვანილი ლორის უზარმაზარი მოხარშული ნაჭერი. მას იმდენი ბოსტნეული მოჰყვა თან, რომ მთელ სუფრას თავსაყრელად ეყოფოდა. ლებრეჰტ კროგერმა ლორის დაჭრა იკისრა. იდაყვებაწეული ლებრეჰტი გრძელ საჩვენებელ თითებს დანასა და ჩანგალს მაგრად აჭერდა და ლორს წვნიან ნაჭრებს კოხტად ათლიდა. სუფრას კონსულის მეუღლის ნახელავი „რუსული ქოთანიც“ მოართვეს, - შუშხუნა, დაკონსერვებული ხილის ნარევი, რომელსაც ოდნავ დაჰკრავდა სპირტის გემო.

არა, პასტორ ვუნდერლიჰს ახლაც გული სწყდება, რომ ბონაპარტე არ უხილავს. სამაგიეროდ მოხუც ბუდენბროკსა და ჟან-ჟაკ ჰოფშტედეს საკუთარი თვალით უნახავთ იგი. პირველს - პარიზში, რუსული კამპანიის დაწყებამდე, ტიულერის სასახლის ეზოში, აღლუმზე, მეორეს კი დანსინგში.

- ღმერთმანი, მაინცდამაინც კეთილ კაცს არ ჰგავდა, - თქვა ჰოფშტედემ. მერე წარბები აძგიბა და ჩანგალზე წამოგებულ ლორის, კომბოსტოსა და კარტოფილის ლუკმას პირში გადაუძახა, - ისე, დანსინგში ძალიან გულმოწყალედ იქცეოდა თურმე. ანეკდოტსაც კი ყვებოდნენ... დღისით გერმანელებს ბდღვირს ადენდა, საღამოს კი მაგიდას მიუჯდებოდა და თავის გენერლებთან კარტს თამაშობდა. „N’estce pas, Rapp, - ამბობდა და მაგიდიდან ოქროს პეშვით ხვეტდა, - les Allemands aiment beaucoup ces petits Napolèè ons?..“[21] - „Oui, Sire, plus que le Grand!“[22] - პასუხობდა რაპი.

სუფრა მხიარულად ახორხოცდა, რადგან ჰოფშტედე ანეკდოტს მოხდენილად მოჰყვა, ასე განსაჯეთ, იმპერატორსაც კი გამოაჯავრა. მოხუცმა ბუდენბროკმა თქვა:

- არა, ხუმრობის გარეშე, დიდებული პიროვნება გახლდათ, ო, რა კაცი იყო!

კონსულმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

- არა, არა, ჩვენს თაობას აღარ გვესმის, რა თაყვანისცემის ღირსია კაცი, რომელმაც ენგიენის ჰერცოგს სიცოცხლე მოუსწრაფა, ეგვიპტეში კი რვაასი ტყვე გაჟლიტა.

- ეს ამბები, ალბათ, გადაჭარბებულია და გაყალბებული, - შენიშნა პასტორმა, - ვინ იცის, ჰერცოგი რა თავქარიანი და შფოთისთავი იყო, ტყვეების დახოცვის საქმე კი, ალბათ, სამხედრო საბჭომ აწონ-დაწონა და გადაწყვიტა. ეტყობა, მეტი გამოსავალი არ ჰქონდათ... - და პასტორმა ერთი საინტერესო წიგნის მოყოლა დაიწყო. ეს წიგნი იმპერატორის მდივანს დაუწერია და მხოლოდ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებულა.

- მით უმეტეს, - თავისას არ იშლიდა კონსული. იგი მის წინ აპარპალებულ სანთელს თავს უწმენდდა და განაგრძობდა, - არა, ნამდვილად ვერ გამიგია, როგორ შეიძლება კაცი ამ ურჩხულით იყოს აღტაცებული! მე, ქრისტიან კაცს, მორწმუნეს, როგორ შემიძლია გულში ასეთი ადამიანის სიყვარული მქონდეს!

კონსულს სახეზე მეოცნებე ღიმილი გადაეფინა, თავიც კი გადაიგდო გვერდზე. მამამისმა და პასტორმა ვუნდერლიჰმა ამ დროს თითქოს უჩუმრად გაუღიმეს ერთმანეთს.

- კი ბატონო, კი, მართალი ბრძანდები, - ჩაიცინა იოჰან ბუდენბროკმა, - თუმცა პატარა ნაპოლეონებს არა უჭირდა რა, ა? მაგრამ ჩემს ვაჟს ლუი ფილიპეზე ამოსდის მზე, - დაუმატა მან.

- მზე ამოსდისო? - ცოტა არ იყოს, დაცინვით გაიმეორა ჟან-ჟაკ ჰოფშტედემ, - კარგი შედარებაა, მე და ჩემმა ღმერთმა, ფილიპე ეგალიტე და... მზე ამოსდისო.

- მე თუ მკითხავთ, ღმერთმანი, ივლისის მონარქიისგან ბევრი რამ გვაქვს ჭკუის სასწავლი, - კონსული ყოველ სიტყვას სერიოზულად და ბეჯითად გამოთქვამდა, - ფრანგული კონსტიტუციონალიზმის მეგობრული დამოკიდებულება დროების ახალ პრაქტიკულ იდეალებსა და ინტერესებთან დიახაც... ყურადსაღები გახლავთ!

- პრაქტიკული იდეალები... ჰო... - ბუდენბროკმა ყბები შეასვენა და თავისი ოქროს სათუთუნე აათამაშა, - „პრაქტიკული იდეალები“... აჰ, მაგას კი ვერ მივემხრობი! - გაცხარებულმა მოხუცმა კუთხურად მოუქცია, - სახელოსნო, ტექნიკური და კომერციული სასწავლებლები სოკოებივით მრავლდებიან და ამიტომ გიმნაზიები და კლასიკური განათლება ვითომ აღარაფერია, ხომ? მთელი დუნია ტვინს მაღაროებზე ფიქრით ილაყებს... ეს ინდუსტრიაო... ეს ფულის ჩაყაჭვაო... კაი დაგემართოთ, კაი საქმე ეს იყოს! მაგრამ სხვა მხრივ რომ შევხედოთ, ცოტა სისულელე ხომ არ არის ყველაფერი, ა? პირდაპირ არ ვიცი, ამ საქმეს რატომ ვერ ვეწყობი... ჟან, ღმერთმანი, არაფერი მითქვამს... ივლისის მონარქია, ალბათ, კაი საქმეა...

ეს იყო, რომ სენატორ ლანგჰალსს, ისევე როგორც გრეტიენსსა და კოპენს კონსულის მხარე ეჭირათ... დიახ, მართლაც, საფრანგეთს შეიძლება მიულოცო ასეთი მთავრობა და გერმანიაშიც მსგავსი მისწრაფებების გაღვივება ნამდვილად დიდებული და მისასალმებელია... ბატონმა კოპენმა კვლავ „დიდებუია“ თქვა. იგი სმა-ჭამისგან
კიდევ უფრო გაღაჟღაჟებულიყო და სულს ძლივს ითქვამდა. პასტორ ვუნდერლიჰს კი

თეთრ, დახვეწილ და შთაგონებულ სახეზე ფერი არ შესცვლია, თუმცა ჭიქას ჭიქაზე სიამოვნებით ცლიდა. სანთლები ნელ-ნელა იღვენთებოდა და დროგამოშვებით, როცა ნიავი ალს წააპარპალებდა, მთელ სუფრაზე ცვილის საამო სურნელი იღვრებოდა.

მეინახენი მაღალზურგიან, მძიმე სკამებზე ისხდნენ, ძვირფას საჭმელებს მასიური ვერცხლის ჭურჭლიდან მიირთმევდნენ, შესანიშნავ, ბადაგივით სქელ ღვინოებს აყოლებდნენ და დინჯად საუბრობდნენ. მალე საუბარი აღებმიცემობაზე გადავიდა და ყველანი თავისდაუნებურად კუთხურ კილოზე ალაპარაკდნენ. დიალექტის მძიმე ენა ვაჭრულ ლაკონიურობას თითქოს უფრო ეხამებოდა და თან უფრო დარდიმანდულადაც ჟღერდა. დროდადრო საკუთარ თავსაც გულკეთილად დასცინოდნენ. „ბირჟაზეო“ კი არ ამბობდნენ, „ბირჟზეო“ გაიძახოდნენ, „რ“-ს „ე“-სავით გამოთქვამდნენ და სახე კმაყოფილებისგან ებადრებოდათ.

ქალებს მამაკაცების კამათისთვის დიდხანს არ უგდიათ ყური. ქალების საუბარს მადამ კროგერი წარმართავდა. იგი სტუმრებს მადის აღმძვრელად უხსნიდა, წითელ ღვინოში კობრის ჩაბუღვა როგორ აჯობებდა:

- თევზი, გეთაყვა, მოზრდილ ნაჭრებად დაჭერით, ზედ ხახვი, მიხაკი და დაფშვნილი ორცხობილა მოაყარეთ, ქვაბში ჩააწყვეთ და ცოტა შაქარი მოაფრქვიეთ, ერთი კოვზი კარაქიც ჩაუმატეთ და ცეცხლზე შემოდგით... ოღონდ, თუ ღმერთი გწამთ, თევზი არ გარეცხოთ, მთელი სისხლი თან უნდა შეჰყვეს...

მოხუცი კროგერი სასიამოვნოდ ხუმრობდა. მისი ვაჟი, კონსული იუსტუსი დოქტორ გრაბოვის გვერდით, სუფრის ბოლოში იჯდა და იდა იუნგმანს ექილიკებოდა. იდა იუნგმანს მუქი თაფლისფერი თვალები მოეწკურა, დანა-ჩანგალი, ჩვეულებისამებრ, ვერტიკალურად ეჭირა და აქეთ-იქით ირწეოდა. ოვერდიკებმაც კარგად მოილხინეს. მოხუცმა ქალბატონმა თავის მეუღლეს ახალი საალერსო სიტყვა შეურჩია. „ჩემო საყვარელო კრავუნიაო“, ენას უჩლექდა ქმარს და გრძნობამორეულს თავზე ჩაჩი უთამთამებდა.

საუბარი ისევ საერთო კალაპოტში ჩადგა, როცა ჟან-ჟაკ ჰოფშტედემ თავის საყვარელ თემაზე წამოიწყო ლაპარაკი. ამ თხუთმეტი წლის წინ ერთ მდიდარ ჰამბურგელ ნათესავს ხლებოდა იტალიაში და ახლა ვენეციას, რომსა და ვეზუვს იგონებდა. არც ვილა ბორგეზე დავიწყებია, სადაც ნეტარხსენებულმა გოეთემ „ფაუსტის“ ერთი ნაწილი დაწერა. დიდი სიყვარულით იგონებდა აღორძინების ხანის შადრევნებს, ირგვლივ საამო სიგრილეს რომ აფრქვევდნენ; ფაქიზად გაკრეჭილ ხეივნებს, სადაც ერთი გავლა მომაკვდავს მოაბრუნებდა. ვიღაცამ ამ დროს ბუდენბროკების ქალაქგარეთ გაშენებული დიდი, გაველურებული ბაღი ახსენა.

- დიახ, ჩემო კარგო, - გაეპასუხა მოხუცი ბუდენბროკი, - ახლაც გული მწყდება, იმ ბაღს რომ თავის დროზე ვერ მივხედე, სულ მთლად გატიალებულა და გავერანებულა. ამას წინათაც ვიყავი იქ და გულს შემომეყარა! პირდაპირ უღრანი ტყე

გეგონებათ! ბაღი მაშინ იქნებოდა, ბალახი რომ მოვლილი იყოს და ხეებიც კოხტად გადაბელილი!

კონსული მამას არ დაეთანხმა:

- კარგი, თუ ღმერთი გწამთ, მამა! ზაფხულობით ისეთი სიამოვნებით დავდივარ იმ ბარდებში... ის ლაღი ბუნება გაკრეჭილ-გასხეპილი რომ იყოს, იქ გული არ დამიდგებოდა.

- კი ბატონო, მაგრამ, თუ ეს ლაღი ბუნება ჩემი საკუთრებაა, უფლება არა მაქვს, როგორც მომენებება, ისე მოვაწყო?

- რომ იცოდეთ, მამა, იქ მაღალ ბალახებში, გაბარდული ბუჩქების ძირას გულაღმა რომ ვწევარ, ასე მგონია, მეც ამ ბუნების ნაწილი ვარ-მეთქი, თორემ მისი გაკრეჭა- ამოძირკვის უფლება რომ მაქვს, ეს არც კი მაგონდება.

- კრიშან, ნუ ხარ ღორმუცელა! - მოულოდნელად წამოიყვირა მოხუცმა ბუდენბროკმა, - ტილდას თუ უყურებ, მაგას ოთხი თქვენდენი შეუძლია. მაინც რა ღორმუცელაა ეს გომბიო!

მართლაც, საოცარი იყო, ეს ჩუმი, გამხდარი, მობერებულსახიანი ბავშვი რამდენს ჭამდა. სუპი ხომ არ დაგიმატოთო, რომ ჰკითხეს, მორჩილად ამოღერღა: „დი-აახ, და- აამი-მატეთ!“ თევზი და ლორი ორჯერ გადმოიღო, მოზრდილ ნაჭრებს ბოსტნეული ბლომად მიაყოლა. თეფშზე ბეჯითად დახრილ ბეც თვალებს საჭმელს არ აცილებდა და ყველაფერს აუჩქარებლად ანადგურებდა, პირში დიდრონ ლუკმებს იტენიდა. მოხუცის სიტყვებზე გაბმით, უწყინრად და გაკვირვებით უპასუხა: „უი, ღმერთო, ბი- ძიაა?!“ ტილდას ნირი არ შესცვლია, ჭამას განაგრძობდა, თუმცა იცოდა, რომ ასეთ საქციელს არავინ მოუწონებდა და ყველა სასაცილოდ აიგდებდა. იგი მდიდრულ სუფრაზე მოპატიჟებული ღარიბი ნათესავის ინსტინქტურად გაღვიძებული მადით ჭამდა, უნიათოდ იღიმებოდა და ნაირ-ნაირი საჭმელი თეფშზე ხორა-ხორად გადმოჰქონდა ამ მომთმენ, კერკეტ, დამშეულ, გაფშიკულ გოგოს.

მეექვსე თავი

ბროლის ორი დიდი თასით პლეტენპუდინგი მოიტანეს: მაკარონის, ჟოლოს, ბისკვიტისა და მოხარშული კრემისგან მომზადებული ფენოვანი ნამცხვარი. სუფრის ბოლოში ალი აკიაფდა: ბავშვებს თავიანთი საყვარელი დესერტი, ალმოდებული პლუმპუდინგი ჩაუდგეს.

- თომას, შვილიკო, ნუ დაგეზარება, მეორე სარდაფში, მარჯვნივ, მეორე თაროზე, წითელი ბორდოს უკან, ორი ბოთლია... გაიგე? - უთხრა შვილიშვილს იოჰან ბუდენბროკმა და შარვლის ჯიბიდან გასაღებების დიდი აცმა ამოიღო.

თომასი ასეთ დავალებაზე არ დაგზარდებოდათ. გაიქცა და მალე უკან მობრუნდა. ხელში მთლად დამტვერიანებული, აბლაბუდებიანი ბოთლები ეჭირა. როგორც კი ამ უშნო ჭურჭლიდან ქარვისფერი, ბადაგივით ტკბილი ძველი მავლაზია პატარა სადესერტო ჭიქებში ჩამოასხეს, პასტორი ვუნდერლიჰი წამოდგა, საუბრის მიწყნარებას დაელოდა, ჭიქა ასწია და სადღეგრძელო წამოიწყო. პასტორს გვერდზე გადაწეულ თეთრ სახეზე ნატიფი, ოდნავ დამცინავი ღიმილი ეფინა, მეორე ხელს მოკლედ იქნევდა და ისევე თავისუფლად და შინაურულად ლაპარაკობდა, როგორც ქადაგებისას სჩვეოდა.

- ნება მიბოძეთ, მეგობრებო, ამ შესანიშნავი ღვინით სავსე ჭიქით თქვენთან ერთად შევსვა ჩვენი დიდად პატივცემული მასპინძლების სადღეგრძელო, ვუსურვო მათ ბედნიერება და ჯანმრთელობა. ამ ახალ, დიდებულ სახლსა შინა სიცოცხლე და დღეგრძელობა ბუდენბროკების ოჯახის ყველა წევრს - ვინც აქ არიან და ვინც არ არიან... vivant![23]

„ვინც აქ არ არიან? - ფიქრობდა კონსული და მისკენ გამოწვდილი ჭიქების წინაშე ხრიდა თავს, - ფრანკფურტელ ნათესავებსა და ჰამბურგელ დიუშანებს გულისხმობს თუ ბებერ ვუნდერლიჰს რაღაც ქვენა აზრები აქვს?“

კონსული წამოდგა, მამას თვალებში გულთბილად შეხედა და ჭიქა მიუჭახუნა.

ახლა მაკლერი გრეტიენსი წამოიმართა. სიტყვა გაუგრძელდა. ბოლოს ჭიქა ასწია და გამყივანი ხმით ფირმა „იოჰან ბუდენბროკი“ ადღეგრძელა, მთელი ქალაქის საამაყოდ გაფურჩქნა და აყვავება უსურვა.

იოჰან ბუდენბროკმა, როგორც ოჯახის თავმა და სავაჭრო სახლის უხუცესმა შეფმა, სტუმრებს გულთბილი სიტყვებისთვის ყველას მაგივრად მადლობა მოახსენა, შემდეგ თომასი მესამე ბოთლის მოსატანად გაგზავნა. ორი ბოთლი საკმარისი არ აღმოჩნდა.

ილაპარაკა ლებრეჰტ კროგერმაც. მან თავს ნება მისცა, სადღეგრძელო ფეხზე აუდგომლად წარმოეთქვა, ლაპარაკის დროს ხელებს მოხდენილად შლიდა. ეგონა, ასე უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოვახდენო. მან ორივე დიასახლისის - მადამ ანტუანეტასა და კონსულის მეუღლის სადღეგრძელო შესვა.

ლებრეჰტ კროგერმა სიტყვა დაამთავრა, პლეტენპუდინგიც თითქმის მოეთავებინათ, ღვინის უკანასკნელი ბოთლიც დაცლაზე იყო, ამ დროს ბატონმა ჟან-ჟაკ ჰოფშტედემ ჩაახველა და ფეხზე ნელა წამოდგა. ყველას აღტაცების ოხვრა აღმოხდა. ბავშვებმა სიხარულისგან ტაში შემოჰკრეს.

- დიახ, excucez![24] ამ სიამოვნებას ნამდვილად ვერ მოვიკლებდი... - დაიწყო მან, წვეტიან ცხვირზე ხელი მსუბუქად მოისვა და სერთუკის ჯიბიდან ფურცელი ამოიღო.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

ფურცელი მთლად აჭრელებული იყო. მან ჯერ გარეთა პირზე წითელი ყვავილებითა და ოქროს ხვეულებით გამოყვანილ ოვალში ჩაწერილი სიტყვები წაიკითხა:
„ბუდენბროკების ახალშეძენილ სახლში ბედნიერი მუმბარაქისა და ჩემი აქ მოპატიჟების აღსანიშნავად. ოქტომბერი. 1835 წელი“.

შემდეგ ჰოფშტედემ ფურცელი გაშალა და უკვე სიბერეშეპარული ხმით დაიწყო:

„კეთილშობილნო! თქვენთან რა მეთქმის, კრძალვით მოგმართავთ, მოგმართავთ კდემით,

ღვთისგან ბოძებულ დარბაზში, თქვენთვის

დაე, აჟღერდეს სიმღერა ჩემი.

შენ, მეგობარო ვერცხლისთმიანო,

შენც, ღირსეულო მეუღლევ მისო

და ორო პირმშოვ, თქვენთვის ხმიანებს ეს ჩანგი, თქვენი სიკეთის ღირსი. ვენერას სათნო,

ღვთიური სახე, ვულკანის გამრჯე ხელი ქებული

ერთად ვიხილეთ, დღეს ერთად ვნახეთ -

ჩვენ თვალწინ ამოდ შეერთებული.

ნუ მიეცემით ჭმუნვას და წუხილს,

სულ სიხარულში გავიდეს დღენი,

არ დაგელევათ წყალობა უხვი,

არ მოგაკლდებათ არასდროს ლხენა.

დატკბით, იხარეთ, მე ასე მჯერა -

არ ჩაგიქრებათ გულში ხალისი.

ვიცი სინათლით ამივსებს მზერას

ხილვა ბედნიერ მომავალისა.

მუდამ ვისმენდე თქვენს ხმას და სიცილს,

ამ სახლში დაღვრილს ოქროს ზარებად,

ამ სტრიქონების დამწერიც - ვიცი,

სულ გეხსომებათ და გეყვარებათ“.[25]

ჰოფშტედემ ყველას მდაბლად დაუკრა თავი. სუფრამ პოეტი ერთსულოვანი ტაშით დააჯილდოვა.

- Charmant[26], ჰოფშტედე! - წამოიძახა მოხუცმა ბუდენბროკმა, - იცოცხლე და იბედნიერე! არა, ეს მართლაც დიდებული იყო!

კონსულის მეუღლემ ჰოფშტედეს თავისი სასმისი შეაგება და ნაზი ღაწვები შეეფაკლა.
მას არ გამოჰპარვია პოეტის თავაზიანი გამოხედვა, როცა მან ლექსში მშვენიერი ვენერა ახსენა.

მეშვიდე თავი

საყოველთაო მხიარულებამ მწვერვალს მიაღწია. ბატონ კოპენს ახლა გულის გაღეღვა სიცოცხლეს ერჩია, მაგრამ ჟილეტის ღილების შეხსნას როგორ გაბედავდა - თვით ხანდაზმული ბატონებიც არ აძლევდნენ თავს ამის უფლებას. ლებრეჰტ კროგერი ისევე გაჭიმული იჯდა სკამზე, როგორც სადილის დაწყებისას, პასტორ ვუნდერლიჰსაც ნირი არ შესცვლია. მართალია, მოხუცი ბუდენბროკი კი მიყრდნობოდა სკამს, მაგრამ თავი მაინც ღირსეულად ეჭირა. მხოლოდ იუსტუს კროგერს ეტყობოდა, რომ ღვინო თავში ავარდნოდა.

ექიმი გრაბოვი სადღა იყო? კონსულის მეუღლემ შენიშნა, რომ მამზელ იუნგმანის, ექიმისა და ქრისტიანის ადგილები ცარიელი იყო. სვეტებიანი სადარბაზოდან კი თითქოს დაგუდული ქვითინის ხმა შემოესმა. ამ დროს მოახლემ სუფრას ყველი, კარაქი და ხილი შემოამატა. კონსულის მეუღლე შეუმჩნევლად წამოდგა და დარბაზიდან გასულ მოახლეს კვალდაკვალ მიჰყვა. ქალბატონი ბუდენბროკი სმენას
არ მოუტყუებია: მართლაც, იქ ნახევრად ბნელში, სვეტზე შემორკალულ რბილ მერხზე პატარა ქრისტიანი იკრუნჩხებოდა და გულსაკლავად კვნესოდა.

- ოი, ღმერთო ჩემო, ქალბატონო! - წამოიძახა იდამ, ის და ექიმი ბავშვს ადგნენ თავზე,
- ქრისტიანი ცუდადაა!

- დედა, რა ცუდად ვარ, ეს ო ხ ე რ ი, რა ცუდად ვარ! - ამოიკვნესა ქრისტიანმა. საკმაოდ მოზრდილი ცხვირის ზემოთ ჩამჯდარ, მრგვალ თვალებს მოუსვენრად ატრიალებდა. „ე ს ოხერი“ ბიჭს სიმწრით წამოსცდა, დედამ კი დატუქსა:

- ასეთ სიტყვებს რომ წამოვისვრით, უფალი ღმერთი მეტ სატანჯველს მოგვივლენს!

დოქტორმა გრაბოვმა ქრისტიანს პულსი გაუსინჯა, კეთილი სახე თითქოს უფრო დაუგრძელდა და ალერსიანი გაუხდა.

- კუჭი აქვს შეკრული, საშიში არაფერია, ქალბატონო! - ანუგეშა მან კონსულის მეუღლე. შემდეგ პედანტური ტონით განაგრძო, - ყველაფერს აჯობებდა, ლოგინში ჩაგვეწვინა და ცოტაოდენი სასაქმებელი ფხვნილი მიგვეცა. ოფლის მოსადენად ერთი ფინჯანი გვირილის ჩაიც არ იქნებოდა ურიგო და, რაც მთავარია, მკაცრი დიეტა, ქალბატონო, დიახ, როგორც უკვე მოგახსენეთ, მკაცრი დიეტა! ცოტაოდენი მტრედის ხორცი, ერთი-ორი ნაჭერი ფრანგული ფუნთუშა...

- არ მინდა მტრედი! - წამოიძახა სასოწარკვეთილმა ქრისტიანმა, - სულ არ შევჭამ ამ ოხერ საჭმელს! ვაი, რა ცუდად ვარ! ეშმაკმა დალახვროს, რა ცუდად ვარ! - ქრისტიანი ისე იწყევლებოდა, თითქოს წყევლა შვებას ჰგვრიდა.

ექიმმა გრაბოვმა მორიდებულად და ნაღვლიანად ჩაიცინა. ეჰ, შეჭამს და მერე როგორ შეჭამს პატარა ბუდენბროკი. როგორც მთელი ქვეყანა ცხოვრობს, ეს ყმაწვილიც ისე იცხოვრებს. მისი მამა-პაპის, ნათესავებისა და ნაცნობების მსგავსად დღეებს მჯდომარე გაატარებს და თან დღეში ოთხჯერ მიირთმევს საგანგებოდ მომზადებულ გემრიელ საჭმელებს... მერე კი ღვთის ნებაა! არა, ფრიდრიჰ გრაბოვი იმის კაცი არაა, რომ შეძლებული, ნაპატივები ვაჭრების ოჯახები თავის ჩვეულებებს გადააჩვიოს. მათთან მხოლოდ მაშინ მივა, როცა დაუძახებენ, მივა და ავადმყოფს ერთი-ორი დღით მკაცრ დიეტას დაუნიშნავს - ცოტაოდენ მტრედის ხორცსა და ერთ ნაჭერ ფრანგულ ფუნთუშას... დიახ, შემდეგ სინდისდამშვიდებული გაამხნევებს ავადმყოფს, ამჯერად საშიში არაფერიაო. ჯერ კიდევ ახალგაზრდას ბევრჯერ სჭერია ხელში პატიოსანი ბიურგერის ხელი, რომელსაც უკანასკნელად შეესანსლა დამარილებული ძროხის ხორცი ან ბრინჯით მუცელგამოტენილი ინდაური... შეესანსლა და თავის კანტორის სავარძელში ან სახლში, ძველებურ ფართო საწოლში ხანმოკლე ავადმყოფობის
შემდეგ უფლისთვის მოულოდნელად მიებარებინა სული. ამას ეძახდნენ გულის გახეთქას, დამბლას, მოულოდნელ სიკვდილს.... დიახ, დიახ, როცა „თავს შეუძლოდ გრძნობდნენ“, ისე, რომ ექიმის მოწვევას საჭიროდ არც თვლიდნენ, ან როცა კანტორაში დაბრუნებულ გემრიელად ნასადილევ ბატონს თავბრუ დაეხვეოდა, ფრიდრიჰ გრაბოვს მაშინაც კარგად შეეძლო ასეთი დასასრული ეწინასწარმეტყველებინა... ყველაფერი ღვთის ნებაა! არც ფრიდრიჰ გრაბოვი იტყვის უარს ინდაურზე. მჟავე კომბოსტოს წვენში ჩადებული ლორი მაინც რა გემრიელი იყო, ეშმაკმა დალახვროს, შემდეგ კი, როცა ხალხი სულს ძლივს ითქვამდა, სუფრას

კიდევ პლეტენპუდინგი - მაკარონი, ჟოლო და გათქვეფილი ცილა მოართვეს, დიახ, დიახ!

- მკაცრი დიეტა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ქალბატონო! ცოტაოდენი მტრედის ხორცი, ცოტაოდენი ფრანგული ფუნთუშა.

მერვე თავი

სასადილო დარბაზში სტუმარ-მასპინძლები ხმაურით წამოიშალნენ.

- შეგერგოთ, mesdames et messieurs, ტკბილად შეგერგოთ. აბა, ვინც მოისურვებს, მეორე ოთახში სიგარები გელოდებათ, თითო ყლუპი ყავაც მიირთვით, თუ ქალბატონი გულუხვობას გამოიჩენს, ლიქიორსაც დაგვალევინებს. ბილიარდი ვისაც მოგესურვებათ, შეგიძლიათ საბილიარდოში მიბრძანდეთ. ჟან, საბილიარდოში სტუმრების გაძღოლა შენთვის მომინდვია... მადამ კოპენ, გთხოვთ, პატივი დამდოთ...

დანაყრებული, მშვენიერ ხასიათზე დამდგარი სტუმრები სადილის შთაბეჭდილებებს ერთმანეთს უზიარებდნენ და დიდი, ორფა კარით ლანდშაფტებიან ოთახში ბრუნდებოდნენ. კონსული სტუმრებს არ გაჰყოლია, ბილიარდის მოყვარულები შემოიკრიბა და სიმამრს მიუბრუნდა:

- იქნებ თქვენც გენებებინათ ერთი პარტია, მამა?

არა, ლებრეჰტ კროგერი ქალებთან აპირებდა დარჩენას, იუსტუსს კი შეეძლო მათ გაჰყოლოდა... სენატორი ლანგჰალსი, კოპენი, გრეტიენსი და ექიმი გრაბოვი კონსულს შეუერთდნენ, ჟან-ჟაკ ჰოფშტედემ კი მოთამაშეებს უთხრა:

- მე ცოტა ხანს აქ დავრჩები, იოჰან ბუდენბროკი ფლეიტის დაკვრას დაგვპირდა, მოვუსმენ და საბილიარდოში მერე მოვალ. Aurevoir messieurs...[27]

ისინი უკვე სადარბაზო შემოსასვლელში მიაბიჯებდნენ, როცა ფლეიტის ხმა გაისმა. კონსულის მეუღლე ფისჰარმონიაზე უკრავდა. მთელ სახლში ნაზი, ნათელი, ნარნარი მელოდია იღვრებოდა. კონსული მუსიკას ყურს მანამდე უგდებდა, სანამ ხმების გარჩევა შეიძლებოდა. რა სიამოვნებით დარჩებოდა ახლა ლანდშაფტებიან ოთახში, სავარძელში ჩაეფლობოდა და ფიქრსა და ოცნებებს მიეცემოდა, მაგრამ რას იზამდა, მასპინძლის მოვალეობას ხომ ვერ გაექცეოდა.

წინ მოახლე შემოხვდათ.

- ყავა და სიგარები საბილიარდოში მოგვართვით, - უთხრა კონსულმა.

- აბა, შენ იცი, ლინე, ყავა, ხომ გაიგონე! - გაუმეორა ბატონმა კოპენმა გამაძღარი სტომაქიდან ამომავალი ხმით და გოგოს ხელი საჩქმეტად წაუპოტინა. „ყ“ ბატონმა კოპენმა სადღაც, ღრმად თქვა, თითქოს სასმელი ყელში უკვე გადასდისო.

- დარწმუნებული ვარ, მადამ კოპენი შუშის კარიდან დაგინახავდათ, - შენიშნა კონსულმა კროგერმა.

სენატორი ლანგჰალსი კონსულ ბუდენბროკს მიუბრუნდა:

- შენ ზევით ცხოვრობ, არა?

მარჯვენა მხარეს კიბე მეორე სართულზე ადიოდა. იქ კონსულისა და მისი ოჯახის საძინებელი ოთახები იყო განლაგებული; მარცხენა მხარესაც მოჩანდა ჩამწკრივებული ოთახები.

მამაკაცები ფართო, თეთრად გალაქულ, მოხარატებულრიკულებიან კიბეზე ეშვებოდნენ, თან სიგარებს აბოლებდნენ.

კონსული შეჩერდა:

- ანტრესოლში კიდევ სამი ოთახი გახლავთ, პატარა სასადილო, ჩემი მშობლების საძინებელი და ერთი თითქმის გამოუყენებელი, ბაღში გასასვლელი ოთახი. ამ ოთახებს ვიწრო დერეფანი გასდევს... თუმცა, ჯობია წამობრძანდეთ! ჰო, ხედავთ, ამ თაღში დატვირთული ფურგონები შემოდიან, ეზოს გაივლიან და ბეკერგრუბეზე გადიან.

მოგუგუნე თაღიან დერეფანში დიდი, ოთხკუთხა ფილები მოეგოთ. სადარბაზო კარის გვერდით, ისევე როგორც დერეფნის მეორე ბოლოში, კანტორის ოთახები იყო ჩარიგებული. სამზარეულო კი, საიდანაც მჟავე კომბოსტოს სუნი ისევ მოდიოდა, სარდაფში ჩასასვლელი კიბის ხელმარცხნივ მდებარეობდა. სამზარეულოს პირდაპირ, შემაღლებულზე, უხეირო, მაგრამ სუფთად შეღებილი ხის პატარა ოთახები მოჩანდა. ეს სამოახლოები გახლდათ. იქ მხოლოდ მისადგამი კიბით შეიძლებოდა ასვლა. კიბის გვერდით ორი უზარმაზარი ძველებური კარადა და მოხარატებული სკივრი იდგა.

მაღალი მინის კარი გაიარეს. დაბალსაფეხურებიანი კიბე ეზოში გადიოდა. იქვე, ხელმარცხნივ პატარა სამრეცხაო იყო. აქედან ლამაზად გაშენებული, მაგრამ შემოდგომაზე გაძარცული, მოწყენილი და სველი ბაღი მოჩანდა. ყვავილები ყინვისგან დასაცავად შეეფუთათ. ბაღი როკოკოს სტილზე გამართული პორტალით მთავრდებოდა. მამაკაცებმა მარცხნივ მოუხვიეს და ფლიგელისკენ გამავალი მეორე ეზო გადაიარეს.

ცერად დაშვებული საფეხურები თიხისიატაკიან სარდაფში ჩადიოდა. ამ სარდაფს ბეღლის მაგივრად იყენებდნენ. ჭერიდან მარცვლეულის ტომრების ასაზიდი მსხვილი ბაგირი ეშვებოდა.

კონსულმა სტუმრები კარგად მოვლილი კიბით მეორე სართულზე აიყვანა და საბილიარდოს თეთრი კარი გაუღო.

არაქათგამოცლილი ბატონი კოპენი შიშველ კედელთან მიდგმულ მაგარ სკამზე დაენარცხა.

- მაცალეთ, სული მოვითქვა! - წამოიძახა მან და სერთუკიდან წვიმის წვეთები ჩამოიბერტყა, - ეშმაკმა წამიღოს, თუ თქვენს კარ-მიდამოში გავლა მთელი მოგზაურობა არ იყოს.

როგორც ლანდშაფტებიან ოთახში, აქაც სპილენძის კარს იქით ცეცხლი გუზგუზებდა. სამ მაღალ, ვიწრო ფანჯარაში სისველისგან წითლად ალაპლაპებული სახურავები, რუხი ეზოები და ფრონტონები მოჩანდა.

- კარამბოლი ხომ, ბატონო სენატორო? - შეეკითხა კონსული და კიები გამოიღო. შემდეგ ორივე ბილიარდს შემოუარა და ლუზები ამოქოლა, - ჩვენს მხარეზე ვის უნდა? გრეტიენსს თუ ექიმს? ექიმს, არა? All right[28] მაშინ, გრეტიენს და იუსტუს, თქვენ მეორე ბილიარდზე გადადით. კოპენ, შენც უნდა ითამაშო.

ღვინის ვაჭარი წამოდგა და სიგარის კვამლით ხახაგამოვსებულმა შენობებს შორის მოზუზუნე ქარს ყური მიუგდო. ქარი წვიმის წვეთებს მინებზე ატყლაშუნებდა და ღუმლის მილში ყმუილით დათარეშობდა.

- ღმერთმა დასწყევლოს! - წამოიძახა მან და კვამლი გამოუშვა, - ვითომ „ვულენვეერი“ ნავსადგურში შემოვა, ბუდენბროკ? ისეთი ამინდია, ძაღლი არ გაიგდება კარში.

ჰო, ტრავემიუნდედან მთლად კარგი ამბები არ მოდიოდა, ეს კონსულმა კროგერმაც დაამოწმა. იგი კიის ბოლოებზე ცარცს უსვამდა.

- მთელ სანაპიროზე ქარიშხალი მძვინვარებს. ოცდაოთხში ამაზე ცუდი ამინდები კი არ იყო, სანქტ-პეტერბურგში წყალდიდობა რომ მოხდა... აი, ყავაც მოგვართვეს.

ყავა მოსვეს და თამაში დაიწყეს. მალე „საბაჟო გაერთიანებაზე“ ჩამოაგდეს სიტყვა... ოო, კონსული ბუდენბროკი ამ დაწესებულებით აღტაცებული იყო.

- რა დიდებული გამოგონებაა, ბატონებო! - კონსულმა ბურთს კიი ჰკრა და მეორე ბილიარდისკენ ცოცხლად შემობრუნდა, სადაც „საბაჟო გაერთიანება“ პირველად ახსენეს, - კარგი იქნებოდა, მაგ კავშირში პირველი შესაძლებლობისთანავე შევსულიყავით.

ბატონი კოპენი ამ აზრისა სულაც არ გახლდათ, პირიქით, გაცხარებისგან აქშინდა კიდეც.

- მერე ჩვენს დამოუკიდებლობას რას უშვრებით? - იკითხა განაწყენებულმა და კიის საომრად ამხედრებულივით დაეყრდნო, - ჰო, როგორ იქნება საქმე? ერთიც ვნახოთ და ჰამბურგმა ცხვირი აუბზუა ამ პრუსიულ გამონაგონს? რაღა ჩვენ უნდა შევძვრეთ პირველნი? ღმერთმა დაგვიფაროს. რა ეშმაკად გვინდა ეს საბაჟო გაერთიანება? საქმე ცუდად მიგვდის თუ რა?

- არა, შენი წითელი ღვინო და რუსული ნაწარმი კი შემოგვაქვს, მაგაზე არაფერს ვამბობ, მაგრამ სხვა რომ არაფერი შემოგვდის? ახლა ექსპორტს თუ იკითხავთ, ჰოლანდიასა და ინგლისში გაგვაქვს ცოტა ხორბალი, ეს არის და ეს. არც ისე გვილხინს, შენ რომ გგონია. ღმერთმა ხომ იცის, რომ უწინ უკეთესად მიდიოდა საქმე... საბაჟო გაერთიანების წყალობით კი მეკლენბურგი და შლეზვიგ-ჰოლშტაინის გზა გაგვეხსნებოდა. ვაჭრობა როგორ გაცხოველდებოდა, წინასწარ ვერ იანგარიშებ კაცი...

- მეც მათქმევინე, ბუდენბროკ, - წამოიწყო გრეტიენსმა და ბილიარდს გადმოაწვა, კიის გამხდარ თითებშუა ამოძრავებდა და ბურთს ნელა უმიზნებდა, - ამ გაერთიანებისა არაფერი მესმის. ჩვენი სისტემა ხომ ისეთი მარტივი და პრაქტიკულია, ბაჟის ბიურგერების ფიცით გადახდა...

- მშვენიერი, ძველებური ინსტიტუტია, - ამას კონსულიც აღიარებდა.

- როგორ გეკადრებათ, ბატონო კონსულო! რით არის მშვენიერი, არ მესმის! - სენატორ ლანგჰალსს გულიც კი მოუვიდა, - ვაჭარი არა ვარ, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა, მაგ ფიცისა არაფერი მწამს. ეს ისეთი ფორმალობა გახდა, გვერდს როგორც გინდა, ისე აუვლი. სახელმწიფო კი თვალს ხუჭავს. ამ საქმეებზე ისეთ რამეებს ჰყვებიან,
ღმერთმა დაგიფაროთ. დარწმუნებული ვარ, „საბაჟო გაერთიანებაში“ შესვლას სენატი უჭერს მხარს.

- მაშინ კონფლიკი არ აგვცდება! - გაგულისდა ბატონი კოპენი და კიი იატაკს დაჰკრა. უცხო სიტყვის სწორ გამოთქმაზე თავი აღარ შეუწუხებია, - კონფლიკი არ აგვცდება, დიახ! არა, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, ბატონო სენატორო, მაგრამ ამ საქმეს თქვენ ხომ არ შეუწყობთ ხელს? ღმერთმა დაგვიფაროს!

კოპენი გაცხარებით ლაპარაკობდა საარბიტრაჟო კომისიებზე, სახელმწიფო კეთილდღეობაზე, ბიურგერების ფიცსა და თავისუფალ ქალაქებზე.

კიდევ კარგი, რომ საბილიარდოში ჟან-ჟაკ ჰოფშტედე და პასტორი ვუნდერლიჰი გამოჩნდნენ. ძველი, უზრუნველი დროების შვილები, გულღია, მხიარული ბერიკაცები ხელიხელგადახვეულნი მოდიოდნენ.

- აბა, ჩემო ყოჩაღო მეგობრებო, - წამოიწყო ბატონმა ჰოფშტედემ, - თქვენთვის რაღაც მაქვს შემონახული, ფრანგული ყაიდის კარგი ხუმრობა. აბა, სმენა იყოს და გაგონება!

პოეტმა სკამზე მოიკალათა, მოთამაშენი ბილიარდს მიეყრდნენ და სმენად იქცნენ. ჰოფშტედემ ჯიბიდან ფურცელი ამოაძვრინა, გრძელი, ბეჭდიანი თითი წვეტიან ცხვირზე დაიდო და ხალისიანი, მიამიტი ხმით წაიკითხა:

„ოდეს მარშალი საქსონიის და პომპადური მისეირნობდნენ - ოქროს ეტლი საამოდ ჟღერდა, მათ

თვალი მოჰკრა ფრელონმა და წამოიძახა;

„მეფის მახვილი და ქარქაში ვიხილე ერთად“.

ბატონი კოპენი ერთხანს ვერ გაერკვა, მერე „კონფლიკი“ და სახელმწიფო კეთილდღეობა გულიდან გადაიყარა და სხვებთან ერთად ისე ახორხოცდა, რომ დარბაზმა ექო გამოსცა, პასტორი ვუნდერლიჰი ფანჯარასთან მივიდა. მხრების თახთახზე ეტყობოდა, თავისთვის ჩუმად იცინოდა.

საბილიარდოში კარგა ხანს დარჩნენ. ჰოფშტედეს კიდევ რამდენიმე ამგვარი ხუმრობა აღმოაჩნდა შემონახული. ბატონმა კოპენმა ჟილეტი ბოლომდე ჩაიხსნა. იგი საუცხოო ხასიათზე ბრძანდებოდა. აქ თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა, ვიდრე სუფრასთან, კიის ყოველ დარტყმას ქვემოგერმანულ კილოკავზე ხუმრობას აყოლებდა და ატაცებული ხანგამოშვებით ჰოფშტედეს შაირს იმეორებდა:

„ოდეს მარშალი საქსონიის“...

კოპენის როხროხა ხმით წარმოთქმული სტროფი კიდევ უფრო სასაცილოდ გაისმოდა.

მეცხრე თავი

კარგა გვიანი იყო. ასე თერთმეტ საათზე საზოგადოებამ ლანდშაფტებიან ოთახში ერთხელ კიდევ მოიყარა თავი. აქ დიდხანს აღარ დარჩენილან. კონსულის მეუღლეს სტუმრები ხელზე ეამბორნენ. როგორც კი უკანასკნელი სტუმარი გამოეთხოვა, მადამ ბუდენბროკს აღარ დაუყოვნებია, თავის ოთახებს მიაშურა - უნდოდა საბრალო ქრისტიანისთვის მიეხედა. სუფრის ალაგებაზე თვალყურის დევნება მამზელ იუნგმანს მიანდო. მადამ ანტუანეტამაც ანტრესოლს მიაშურა, კონსულმა კი სტუმრები ქუჩამდე გააცილა.

სუსხიანი ქარი წვიმის წვეთებს ატრიალებდა. სქელ ქურქებში გახვეული მოხუცი კროგერები იმწამსვე შეიყუჟნენ თავიანთ დიდებულ ეკიპაჟში. ეკიპაჟი მათ კარგა ხანია უცდიდა. სახლის წინ რკინის ძელებზე დამაგრებულ და ქუჩაზე გაჭიმულ მსხვილ ჯაჭვებზე დაკიდებული ზეთის ფარნები ყვითელ, ლიცლიცა შუქს გამოსცემდა. ტრავესკენ დამრეცად მიმავალ ქუჩაზე ერთმანეთზე ახოხოლავებული სართულებიანი სახლები სიბნელეში ხან აქ ამოყოფდნენ თავს და ხან იქ. ზოგ სახლს რაღაც ნაგებობა ჰქონდა მიშენებული ან მერხი ედგა წინ. მეჩხრად დაგებულ ქვაფენილზე ზოგან სველ ბალახს ამოეყო თავი. მარიენკირხე სიბნელესა და წვიმაში გახვეულიყო.

- Merci! - თქვა ლებრეჰტ კროგერმა და კარეტასთან მდგომ კონსულს ხელი ჩამოართვა,
- merci, ჟან, დიდებული დრო გავატარეთ! - კარი მიაჯახუნეს და ეკიპაჟიც დაიძრა.

პასტორმა ვუნდერლიჰმა და მაკლერმა გრეტიენსმაც მასპინძელს მადლობა გადაუხადეს და თავიანთ გზას გაუდგნენ. ხუთმაგ პელერინიან პალტოში გამოხვეულმა, თავზე რუხ ცილინდრწამოკოსებულმა ბატონმა კოპენმა თავის ფაშფაშა მეუღლეს მკლავი გამოსდო და დაიბუბუნა:

- ღამე მშვიდობისა, ბუდენბროკ! შედი, არ გაცივდე, დიდი მადლობა, დიდი. დიდი ხანია ასე არ მისადილია... მაშ, ჩემი ოთხმარკიანი წითელი ღვინო მოგწონს, ხომ? კიდევ ერთხელ ღამე ნებისა!

კოპენები კროგერების კვალდაკვალ მდინარეს დაღმა ჩაუყვნენ, სენატორმა ლანგჰალსმა, ექიმმა გრაბოვმა და ჟან-ჟაკ ჰოფშტედემ საწინააღმდეგო მიმართულებით აიღეს გეზი.

ჯიბეებში ხელებჩაწყობილი კონსული ბუდენბროკი ისევ ქუჩაში იდგა, მაუდის სერთუკის ამარას, ცოტა არ იყოს, სციოდა კიდეც, მაგრამ უკაცრიელ, სველ, მკრთალად განათებულ ქუჩაზე მიმავალთა ნაბიჯების ხმას ყურს უგდებდა. შემდეგ შემოტრიალდა და სახლის ფრონტონს ახედა. თვალი ქვაზე ამოკვეთილ ძველებურ წარწერაზე შეაჩერა: Dominus providebit[29]. კონსულმა თავი დახარა, სახლში შევიდა და ჭრიალა კარი მაგრად ჩაკეტა. შემდეგ შიდა კარიც ჩარაზა, მოგუგუნე თაღი გაიარა და ოთახებისკენ გაემართა. მზარეულ ქალს ჭიქებით სავსე ლანგარი კიბეზე ჩამოჰქონდა. კონსულმა ჰკითხა:

- ბატონი სად არის, ტრინა?

- სასადილოში, ბატონო კონსულო.

მზარეულს სახე აელეწა. სოფლიდან ახალჩამოყვანილი ქალი ყოველ სიტყვაზე იბნეოდა.

კონსული ზევით გაემართა. ბნელ, სვეტებიან სადარბაზოში შეაბიჯა თუ არა, გულჯიბეზე ხელი წაივლო, ჯიბეში ქაღალდმა გაიტკაცუნა. კონსული დარბაზში

შევიდა. ერთ კუთხეში კანდელაბრზე ჩამწვარი სანთლები კიდევ ბჟუტავდა და ალაგებულ მაგიდას ანათებდა. მჟავე კომბოსტოს სუნი ჰაერში ტრიალებდა. იოჰან ბუდენბროკს ხელები ზურგს უკან შემოეწყო და ფანჯრების გასწვრივ ბოლთას სცემდა.

მეათე თავი

- შენა ხარ, შვილო იოჰან! აქ რამ მოგიყვანა?

მოხუცი შეჩერდა და შვილს ბუდენბროკების ჯიშის თეთრი, ოდნავ მოკლე, მაგრამ ნატიფი ხელი გაუწოდა. მკრთალად განათებული ჭარმაგი ფიგურა მუქწითელი ფარდების ფონს გამოეყო. ბინდბუნდში მხოლოდ შეპუდრული პარიკი და მაქმანიანი ჟაბო კიაფობდა.

- არ დაიღალე? მე აქ დავდივარ და ქარს ვუგდებ ყურს. მაინც რა წყეული ამინდია! კაპიტანი კლოოტი კი რიგიდან გამოვიდა... ახლა, ალბათ, შუა გზაში იქნება.

- ღვთის შეწევნით, ყველაფერი კეთილად ჩაივლის, მამა.

- ვითომ მქონდეს ღვთის იმედი? თუმცა, ვიცი, შენ და ღმერთი დიდი ძმაკაცები ხართ.

კონსულს გულზე მოეშვა, მამა რომ ასეთ ხალისიან გუნებაზე დაინახა.

- დიახ, მართალი გითხრათ, მამა, - წამოიწყო მან, - მხოლოდ ღამე მშვიდობის სათქმელად არ მოვსულვარ თქვენთან, მაგრამ წინასწარ შემპირდით, რომ არ გაბრაზდებით, კარგი? აქამდე არ მინდოდა ამ წერილით თქვენთვის გუნება გამეფუჭებინა. წერილი ნაშუადღევს მოვიდა. მოგერიდეთ და მხიარული საღამო არ ჩაგიშხამეთ...

- მუსიო გოტჰოლდი - Voila[30], - მოხუცი ვითომ არაფრად აგდებდა მოცისფრო ლუქით დაბეჭდილ კონვერტს.

- „ბატონ იოჰან ბუდენბროკ-უფროსს პირადად“... კარგად აღზრდილი კაცია შენი ნახევარძმა, ჟან! მგონი, მეორე წერილზეც არ მიპასუხია, ის კი უკვე მესამეს მწერს.

მოხუცს ღაჟღაჟა სახე მოეღრუბლა, კონვერტს ლუქი ააგლიჯა, თხელი ქაღალდი სწრაფად გაშალა, ნაწერი ისე შეატრიალა, რომ სანთლის შუქი დასცემოდა და ფურცელი ხელით ენერგიულად გაასწორა. ნაწერს ეტყობოდა, წერილი ღალატითა და ამბოხით იყო გაჟღენთილი. ბუდენბროკები, ჩვეულებრივ, გაკრულად, ლამაზად წერდნენ, აქ კი მაღალი ასოები ყელყელაობდნენ, ზოგს კალმის მაგარი დაწოლის კვალიც ემჩნეოდა; ბევრგან სიტყვები ნაჩქარევად და უსწორმასწოროდ იყო გახაზული.

კონსულმა კედლებთან ჩამწკრივებული სკამებისკენ დაიხია, მაგრამ არ დამჯდარა, რადგან მამამისი ფეხზე იდგა. უმცროსი ბუდენბროკი სკამის მაღალ საზურგეს ნერვიულად ჩასჭიდებოდა და მამას აკვირდებოდა. მოხუცს თავი ოდნავ გვერდზე გადაეგდო და წარბშეკრული ტუჩებს სწრაფად აცმაცუნებდა:

მამაჩემო!

ალბათ, ამაოდ ვიმედოვნებ, რომ გეყოფათ სამართლიანობის გრძნობა და ჩემი ა ღ შ ფ ო თ ე ბ ი ს მიზეზს გაიგებთ, როცა ჩემი მეორე, კარგად მოგეხსენებათ, რის გამოც დაწერილი წერილი, უპასუხოდ დატოვეთ და მხოლოდ პირველზე მიპასუხეთ (არაფერს ვამბობ იმაზე, თუ როგორ მიპასუხეთ). უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი საქციელით და სიჯიუტით ჩვენ შორის ღვთის ნებით გაჩენილ უფსკრულს კიდევ უფრო აღრმავებთ. ამით ისეთ ც ო დ ვ ა ს სჩადიხართ, რაზედაც ღვთის სამსჯავროს წინაშე მწარედ მოგიხდებათ მონანიება. ძლიერ სამწუხაროა, რომ იმ დღიდან, რაც თქვენ უნებურად, ჩემი გულის კარნახით ცოლი შევირთე და დახლში ჩავდექი, რითაც თქვენი უ ზ ო მ ო თავმოყვარეობა შევლახე, უწყალოდ ზურგი შემაქციეთ, მაგრამ თქვენს ჩემდამი ახლანდელ მოპყრობაზე ცა აღაღადდება. მ წ ა რ ე დ ცდებით, თუ გგონიათ, რომ თქვენი სიჩუმით მეც დამადუმებთ.

მენგშტრასეზე ახალშენებული სახლის ღირებულება 100000 მარკამდე ადის. არც ის დამრჩენია გაუგებელი, რომ თქვენი მეორე ქორწინებიდან შეძენილი ვაჟი და კომპანიონი ი ო ჰ ა ნ ი თქვენთან ქირით ცხოვრობს და თქვენი სიკვდილის შემდეგ ფირმისა და სახლის სრული ბატონ-პატრონი გახდება. ჩემს ფრანკფურტელ დასა და მის ქმართან რაღაც შეთანხმებები გაქვთ, იმაში არ ვერევი. რაც შემეხება მე, თქვენს უფროს ვაჟიშვილს, ქრისტიანისთვის შ ე უ ფ ე რე ბ ე ლ ი სიბრაზის გამო, უარს მეუბნებით სახლის ღირებულებიდან რაიმე კომპენსაციის მიღებაზე. კრინტიც არ დამიძრავს, როცა ჩემი ქორწინებისა და თქვენგან გამოყოფის გამო 100000 მარკა ნაღდად გადამიხადეთ და ამდენივე მიანდერძეთ. მაშინ მე თქვენს ქონებაზე წარმოდგენა არ მქონდა. ახლა კი თვალი ამეხილა და მემკვიდრეობაჩამორთმეულად სულაც არ ვთვლი თავს. ამგვარად, მ ო ვ ი თ ხ ო ვ ამ სახლის ღირებულების მესამედს
- 33335 მარკას. არ მსურს ვიმარჩიელო, ვის მავნე გავლენას უნდა ვუმადლოდე ჩემს ა ს ე თ აგდებას, აქამდე რომ ვითმენდი. ქრისტიანისა და კომერსანტის სრული სიმართლით პ რ ო ტ ე ს ტ ს ვ ა ც ხ ა-

დ ე ბ ამ საქმის წინააღმდეგ და უკანასკნელად გარწმუნებთ, თუ ჩემს სამართლიან მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებთ, პატივს ვეღარ გცემთ, ვერც როგორც ქ რ ი ს ტ ი ა ნ ს, ვერც როგორც მ ა მ ა ს ა და ვერც როგორც ს ო ვ დ ა გ ა რ ს.

გ ო ტ ჰ ო ლ დ ბ უ დ ე ნ ბ რ ო კ ი“.

- მაპატიე, მაგრამ იძულებული ვარ, ეს საცოდავი ნაჯღაბნი უკან დაგიბრუნო. Voila! - გაბრაზებულმა იოჰან ბუდენბროკმა წვრილი თავისი ვაჟისკენ ისროლა.

კონსულმა აფარფატებული ქაღალდი ზედ თავის მუხლებთან დაიჭირა და მამას ნაღვლიანი მზერა გაადევნა. მოხუცმა ბატონმა ფანჯარასთან აყუდებულ სანთლის საქრობელას ხელი წაავლო და გაავებული მოპირდაპირე კუთხეში, კანდელაბრისკენ წაკუნკულდა.

- Assez! მე შენ გეუბნები N’en parons plus![31] მორჩა! ძილის დროა! En avant![32]

პატარა საქრობელა სანთლებს ზედიზედ აქრობდა. ორად ორი სანთელიღა ბჟუტავდა, როცა მოხუცი ბუდენბროკი შვილს მოუბრუნდა. კონსული სიბნელეში ძლივსღა ილანდებოდა.

- Eh bien[33], რაღას უდგახარ? ხომ უნდა თქვა რამე?

- რა უნდა ვთქვა, მამა? ვერ გადამიწყვეტია.

- შენ სულ ასე იცი! - შეუყვირა გაავებულმა იოჰან ბუდენბროკმა, თუმცა თვითონვე იცოდა, რომ ეს შენიშვნა არ იყო სამართლიანი, მის ვაჟიშვილსა და კომპანიონს ბევრჯერ მიუღია სწრაფი გადაწყვეტილება და საქმე სარფიანად წაუყვანია.

- მავნე გავლენაო, - განაგრძო კონსულმა, - ვიცი, ამ სიტყვებში ვისაც გულისხმობს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მტანჯავს ეს ამბავი, მამა, მერედა უღმერთობასაც რომ გვწამებს!

- ამ საცოდავმა მონაჩმახმა წაგახდინა, ხომ? - იოჰან ბუდენბროკი შვილისკენ ჯიქურ გაემართა, თან სანთლის საქრობელას მოაჩოჩიალებდა, - ქრისტიანს არ ეკადრებაო, ხომ? ერთი ამ წმინდანს დამიხედეთ! როგორი მადა ჰქონია! ახალგაზრდებისა ვერაფერი გამიგია, რა ხალხი ხართ, არ ვიცი, თავი ქრისტიანული და ფანტასტიკური ნაბოდვარით... და... იდეალიზმით გაქვთ გამოტენილი. ჩვენ, მოხუცები, კი უგულო ქილიკები ვართ, არა? აქ კიდევ ივლისის მონარქია და პრაქტიკული იდეალები წამომიწყეთ. აბა, რა, ის არ ჯობია, მამას უხეში მონაჩმახები უგზავნო, ვიდრე ორიოდე ათას ტალერზე უარი თქვა? თურმე როგორც სოვდაგარსაც აღარ მცემს პატივს! არა, ჩემო ბატონო! როგორც სოვდაგარმა მე კი ვიცი, რა არის faux-frais, დიახ, faux-frais![34] - პარიზულად მოუქცია მოხუცმა, - თქვენ გგონიათ, რომ დავუთმო, ეს ჩემი თავგასული შვილი მეტი პატივისცემით მომექცევა?

- მამა, რა შემიძლია გითხრათ! „გავლენაო“! - სულ არ მინდა, მისი სიტყვები გამართლდეს, თუმცა, როგორც საქმის თანამონაწილეს, უფლება არ მქონდა თქვენთვის მერჩია, თვალსაზრისს ნუ შეიცვლით-მეთქი, მეც ისეთივე ქრისტიანი ვარ, როგორიც გოტჰოლდია, მაგრამ...

- მაგრამ რა? ნამდვილად გაქვს უფლება, შენი სათქმელი თქვა! სინამდვილეში როგორ იყო საქმე? მაშინ, როცა თავისი მამზელ შტიუვინგისთვის ირეოდა, სცენებს მიწყობდა და ბოლოს, ჩემი აკრძალვის მიუხედავად, მეზალიანსი[35] მაინც შედგა, მე მივწერე: mon très cher fils[36], ქორწინდები ხომ საწვრილმანოზე, კეთილი და პატიოსანი,

მემკვიდრეობის უფლებას არ გართმევ, არც აყალმაყალს ავტეხ, მაგრამ ჩვენმა მეგობრობამ კი ჭირი მოგჭამა. აი, შენ 100000 მზითვად, 100.000-ს კიდევ ანდერძში გამოგიყოფ და ბასტა, ამით გასტუმრებული მყავხარ-მეთქი, მაშინ ხმაც არ ამოუღია. ახლა ხედავ, რა ამბავშია? მაგას რა ხელი აქვს, თუ ჩვენი საქმე კარგად წავიყვანეთ? შენ და შენს დას თუ მეტი გერგებათ? მით უმეტეს, რომ სახლი თქვენი მემკვიდრეობის ანგარიშზეა ნაყიდი.

- რომ იცოდეთ, მამა, რა დილემის წინაშე ვდგავარ! ოჯახის საკეთილდღეოდ კი უნდა მერჩია, რომ დაგეთმოთ, მაგრამ...

კონსულმა წყნარად ამოიოხრა და სკამს მიეყრდნო. იოჰან ბუდენბროკი საქრობელას დაყრდნობოდა და სიბნელეს დაჟინებით ჩასჩერებოდა. ერთი სანთელი ჩაიღვენთა და ჩაქრა. მხოლოდ ერთიღა ლიცლიცებდა. სადღაც, კუთხეში, შპალერებიდან მშვიდად მოღიმარი თეთრი ხატება ხან გამოიკვეთებოდა, ხან სიბნელეში ქრებოდა.

- მამა, გოტჰოლდთან ურთიერთობა სიცოცხლეს მიწამლავს, - წყნარად თქვა კონსულმა.

- სისულელეა, ჟან, იმედი რატომ დაგიკარგავს? რა გიწამლავს სიცოცხლეს?

- მამა, დღეს ვიმხიარულეთ, ბედნიერი დღე აღვნიშნეთ, სიხარულითა და სიამაყით აღვივსეთ, რომ რაღაცას თავი მოვაბით, რაღაცას მივაღწიეთ, ჩვენი ფირმა, ჩვენი ოჯახი ავამაღლეთ, საყოველთაო პატივისცემა მოვიპოვეთ... მაგრამ ამ წყეულ მტრობას ჩემს ძმასთან, შენს უფროს ვაჟთან რა ვუყოთ? ღვთის შეწევნით შექმნილ ოჯახში ბზარი არ უნდა გაჩენილიყო, მამა. ოჯახი ერთიანი უნდა იყოს, ერთმანეთს თუ მხარში არ ამოვუდექით, კარს უბედურება მოგვადგება.

- რას მიედ-მოედები, ჟან! ნუ ჯიუტობ და სისულელეს ნუ ლაპარაკობ.

სიჩუმე ჩამოვარდა. შანდალზე მოკიაფე ალი ნელ-ნელა ძირს იწევდა.

- რას აკეთებ, ჟან? - იკითხა იოჰან ბუდენბროკმა, - ვეღარ გხედავ.

- ვანგარიშობ, - მიუგო შვილმა მშრალად. სანთელი აბრიალდა და წელში გამართული კონსული გამოჩნდა. იგი ცივად და ყურადღებით მისჩერებოდა აფარფატებულ ალს, - ერთი მხრივ, თქვენ აძლევთ გოტჰოლდს 33335 მარკას, 15000-ს კი ფრანკფურტში ჩემს დას. ეს გამოდის 48335 მარკა. მეორე მხრივ, თუ მხოლოდ 25000-ს გასცემთ ფრანკფურტში, ფირმას 23335 მარკა მოგება დარჩება, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ვთქვათ, გოტჰოლდს ბინის საზღაური გადაუხადეთ, ამით დაირღვევა პრინციპი,
მაშინ ის საბოლოოდ გასტუმრებული არ გეყოლებათ, მას შეეძლება თქვენი სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობიდან იმდენივე მოითხოვოს, რაც მე და ჩემს დას გვერგება. ეს ფირმას ასობით ათასი მარკა დაუჯდება, რისი ძალაც მას არ შესწევს. მე კი, როგორც ამ ფირმის ერთადერთი მფლობელი, ამას ვერ შევურიგდები... არა, მამა! -

მტკიცედ გაიქნია მან ხელი და წელში გაიმართა, - გირჩევთ, გოტჰოლდს არაფერი დაუთმოთ!

- ჰოდა, მორჩა! N’en parlons plus! En avant![37] ახლა ძილი!

მოხუცმა უკანასკნელი სანთელი ჩააქრო. სვეტებიანი სადარბაზო წყვდიადში გაიარეს. მეორე სართულზე ამავალ კიბესთან მამა-შვილმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვა.

- ღამე ნებისა, ჟან... courage[38], გესმის? მაგაზე ფიქრით თავს ნუ აიტკივებ. ნახვამდის. დილას ისევ შევხვდებით საუზმეზე.

კონსული თავის ბინაში ავიდა, მოხუცი კი ხელის ცეცებით ანტრესოლისკენ გაემართა.

დიდი, ჩაგმანული სახლი სიბნელესა და სიჩუმეში ჩაეფლო. სიამაყე, იმედი და შიში ძილს მიეცნენ. გარეთ კი, უკაცრიელ ქუჩებში, წვიმა შხაპუნობდა და შემოდგომის ქარი სახურავებსა და შპილებში დათარეშობდა.

მეორე ნაწილი

პირველი თავი

ორწლინახევრის შემდეგ, აპრილის შუა რიცხვებში, ნაადრევად დამდგარი გაზაფხულის დღეს, ერთი ამბავი მოხდა, რამაც მოხუცი იოჰან ბუდენბროკი ღიღინის ხასიათზე დააყენა, მისი ვაჟი კი სულითა და გულით გაახარა.

კვირადილას, ცხრა საათზე, კონსული მცირე სასაუზმე ოთახში უზარმაზარ, ყავისფერ სეკრეტერს მისჯდომოდა. სეკრეტერი ფანჯარასთან იდგა, მისი ამობურცული სახურავი გონებამახვილური მექანიზმის წყალობით შიგნით იყო შეწეული. კონსულს წინ ქაღალდებით გატენილი სქელი ტყავის პორტფელი ედო. იქიდან ტვიფრულყდიანი, ოქროთი მოვარაყებული დავთარი ამოეღო და თავისი გაკრული, ლამაზი ხელით შიგ რაღაცას თავაუღებლად წერდა. თავს დროდადრო თუ ასწევდა ხოლმე, რომ ბატის ფრთა ლითონის მოზრდილ სამელნეში ჩაეწო.

ორივე ფანჯარა ღია იყო. ბაღიდან, სადაც გაზაფხულის სუსტი მზე პირველ კვირტებს ეალერსებოდა და ორი ჩიტუნია თამამად ერთმანეთს ეპასუხებოდა, გაზაფხულის სუფთა, ნელსურნელოვანი ნიავი მოქიქინებდა და ფარდებს უხმაუროდ არხევდა.

სიღრმეში, სასაუზმე მაგიდაზე, მზე თეთრი ტილოს სუფრას ეცემოდა და ფიალის ფორმის ფინჯნებზე თინათინობდა.

საძინებელი ოთახის კარი ყურთამდე ღია იყო და იქიდან იოჰან ბუდენბროკის ხმა მოისმოდა. მოხუცი ძველ, სახუმარო მელოდიას ღიღინებდა:

„ვაჟკაცია სანაქებო,

აბა, რა აქვს დასაწუნი?

კერძს ამზადებს, ბავშვს აძინებს და ნარინჯის უდის სუნი“.

იოჰან ბუდენბროკი მწვანე აბრეშუმის ფარდაჩამოფარებულ აკვანს უჯდა, რომელიც კონსულის მეუღლის მოჩარდახებულ საწოლთან იყო მიდგმული და ნელა არწევდა. კონსული და მისი მეუღლე სიმარჯვისთვის რამდენიმე ხნით ქვედა სართულზე გადმობარგებულიყვნენ, მამა და მადამ ანტუანეტა კი ანტრესოლის მესამე ოთახში იძინებდნენ. მადამ ანტუანეტას ახლა ზოლიან კაბაზე წინსაფარი აეფარებინა, ხშირ კულულებზე მაქმანიანი ჩაჩი დაეხურა, მაგიდაზე ფანელი და ტილო დაეხვავებინა და საქმეს შესდგომოდა.

კონსული ბუდენბროკი მეზობელი ოთახისკენ არც კი იხედებოდა, ისე იყო წერაში გართული. სახეზე დიდი მოწიწებისგან თითქმის ტანჯული იერი ედო. პირი ოდნავ გაეღო, ნიკაპი ჩამოვარდნოდა, თვალებს დროდადრო ცრემლი უბურავდა. კონსული წერდა:

„დღეს, 1838 წლის 14 აპრილს, დილის ექვს საათზე, ჩემმა ძვირფასმა მეუღლემ ქალბატონმა ელიზაბეტმა, ქალიშვილობაში კროგერმა, ღვთის შეწევნით, ბედნიერად შობა ქალიშვილი. მონათვლის შემდეგ ბავშვს მიეცემა სახელი - კლარა. ღმერთმა მოწყალე კალთა გადააფარა ჩემს მეუღლეს, თუმცა ექიმ გრაბოვის თქმით მშობიარობა ნაადრევი იყო, მანამდეც ყველაფერი რიგზე ვერ მიდიოდა და ბეტსი ტკივილმა გატანჯა“.

„ღმერთი ჩუენი შესავედრებელი და ძალ შემწე ჭირთა შინა, რათა მპოვნეს ჩუენ ფრიად. უფალო მიძეღუ მე სიმართლითა შენითა და მტერთა ჩემთათს წარმართე შენწინაშე გზა ჩემი“.

კალამი ქაღალდზე სწრაფად დასრიალებდა. კონსული ხანდახან ვაჭრულ ანგარიშებსაც გამოურევდა, მერე ისევ ლოცვა-ვედრებით ავსებდა სტრიქონებს. ორი გვერდის შემდეგ კონსული წერდა:

„ჩემი უმცროსი ქალიშვილის სახელზე გამოვწერე ას ორმოცდაათი ტალერის პოლისი. უფალო, გაუძეხ მას, შენი გზით ატარე, უბოძე გული წმინდა, რომ ოდესმე დაუმკვიდრო სასუფეველი. ვიცით, რა ძნელია, მთელი სულით შენით ირწმუნო, რომ

უტკბესი იესო სისხლია და ხორცი ჩვენი, რადგან ჩვენი პატარა, მიწიერი სუსტი გული“...

კონსულმა სამი გვერდის შემდეგ მიაწერა „ა მ ი ნ!“, მაგრამ წერა არ დაუმთავრებია. შემდეგ გვერდებზე იმ გამაცოცხლებელ წყაროებზე წერდა, დაღლილ მგზავრს რომ უკლავს წყურვილს, წერდა უნეტარესი მაცხოვრის სისხლიან ჭრილობებზე, ვიწრო და ფართო გზებსა და ღვთის გულმოწყალებაზე. უნდა გამოვტყდეთ, კონსული რომელიმე წინადადებას რომ დაასრულებდა, დაუძლეველ სურვილს გრძნობდა, კალამი გვერდზე გადაედო, თავის მეუღლესთან შესულიყო ან კანტორისთვის მიეხედა, მაგრამ როგორ? ნუთუ ასე მალე მოქანცა უფალ ღმერთთან საუბარმა? განა ღვთის გმობა არ იქნება, ახლა რომ წერა შეწყვიტოს? არა, სწორედ თავი უნდა დაისაჯოს ასეთი მკრეხელური აზრებისთვის. და... კონსული უფრო ვრცელ ადგილებს იშველიებდა საღვთო წერილიდან. ლოცულობდა თავისი მშობლებისთვის, ცოლ-შვილისა და საკუთარი თავისთვის, ილოცა თავისი ძმის გოტჰოლდისთვისაც. ბოლოს, უკანასკნელი ბიბლიური თქმაც მიაწერა, სამგზის „ა მ ი ნ“ დაურთო, ნაწერს ოქროს ქვიშა მოაფრქვია და შვებით ამოისუნთქა. ფეხი ფეხზე გადაიდო, დავთარში საკუთარი ჩანაწერები გადაათვალიერა და ღმერთს მადლობა ერთხელ კიდევ შესწირა, რომ ყოველგვარი ხიფათისგან მისი მოწყალე ხელი იფარავდა.

ბავშვობაში ისე მძიმედ იყო ყვავილით ავად, რომ ყველამ ხელი ჩაიქნია. მისი გადარჩენის იმედი აღარავის ჰქონდა, მაგრამ ბიჭი გადარჩა. ერთხელ, ბიჭობაში, მეზობლისას ქორწილის სამზადისს უყურებდა. ჩვეულება იყო, ქორწილისთვის ლუდი შინ უნდა გამოეხადათ. კართან უზარმაზარი ქვაბი იდგა. უეცრად გადაბრუნდა და ფსკერი იოჰანს მოხვდა თავში. უზარმაზარი ქვაბი ექვსმა კაცმა ძლივს ასწია, რომ ისევ ზედსადგარზე დაედოთ. ბავშვს თავი ჰქონდა გახეთქილი და სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა. იგი მეზობელ დუქანში გადაიყვანეს, სიცოცხლის ნიშანწყალი ოდნავღა ეტყობოდა და ექიმსა და ბეითალს მოუხმეს. მამამისს ამშვიდებდნენ, ღვთის ნებას უნდა დამორჩილდეო... მაგრამ მოხდა სასწაული: ყოვლისშემძლე ღმერთმა იხსნა ბიჭი, ჯანი და ღონე დაუბრუნა. კონსულს ეს უბედური შემთხვევა ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ, კალამს ხელი დაავლო და თავის უკანასკნელ „ა მ ი ნ ს“ ქვეშ მიაწერა:

„აღგამაღლო შენ, ღმერთო ჩემო და მეუფეო ჩემო, და ვაკურთხო სახელი შენი უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე“.

მესამედ, ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი, ბერგენში ღმერთმა დახრჩობისგან იხსნა.

„წყალუხვობის ჟამს, - ეწერა ამ შემთხვევის გამო დავთარში, - მაშინ როცა ჩრდილოელ მეთევზეთა გემები ჩამოდიან და ყურეში ტევა აღარ არის, ერთი უბედურება უნდა გადაგვეტანა, რომ იახტებს შორის გავმძვრალიყავით და ჩვენი გემების მისადგომამდე მიგვეღწია. იმ დღეს მე ბარჟის კიდეზე ვიდექი, ფეხები მუხის ნიჩბის

პალოზე მქონდა მიჭერილი, ზურგით კი იქვე მდგომ იახტას ვაწვებოდი - მინდოდა ჩვენი ბარჟა ნაპირთან მიმეყენებინა; ჩემდა საუბედუროდ, ნიჩბის პალოებმა ვერ გამიძლო და წყალში ყირამალა გადავეშვი. ერთხელ ამოვიყურყუმელავე, მაგრამ ახლოს არავინ იყო, რომ ჩემთვის ხელი ჩაევლო. მეორედ რომ ამოვყავი თავი, ბარჟა ჩემკენ მოიწევდა. ბევრი ჩემს გადასარჩენად თავს არ დაზოგავდა, მაგრამ ჯერ ბარჟა უნდა შეეჩერებინათ, თორემ ან იახტის, ან ბარჟის ქვეშ მოვყვებოდი. მათი ცდა ამაო იქნებოდა, რომ მოულოდნელად ჩრდილოელთა ერთი იახტის ბაგირი არ გაწყვეტილიყო, იახტას იქით არ გაეწია და ღვთის ნებით გაშლილ ადგილას არ აღმოვჩენილიყავი. თუმცა მესამეჯერ აღარ ამომიყვია თავი, მხოლოდ თმა მომიჩანდა თურმე. ყველანი ბორტზე ყოფილან გადმოკიდებული. ვიღაცას ჩემთვის თმაში ჩაუვლია ხელი, მეც მკლავში ჩავჭიდებივარ და თვითონაც კინაღამ წყალში ჩამითრევია. ისეთი ღრიალი აუტეხია, რომ დანარჩენები მივარდნილან და ფეხებში მაგრად ჩასჭიდებიან. ახლა მას შეეძლო წონასწორობა შეენარჩუნებინა. მეც მაგრად ვებღაუჭებოდი, თუმცა ხელზე კი მიკბინა. ბოლოს და ბოლოს, იმ კაცმა შეძლო ჩემი ამოთრევა“...

ამას მოჰყვებოდა გრძელი სამადლობელი ლოცვა, კონსულს ლოცვის წაკითხვაზე თვალები აუწყლიანდა.

„შემეძლო ბევრი რამ მეამბნა ჩემს ვნებებზე“... - ეწერა სხვა ადგილას. კონსულმა ეს გვერდები გამოტოვა და თავისი ქორწინებისა და პირველი შვილის შეძენის ამბები გადაიკითხა. გულახდილად რომ ეთქვა, ცოლი სიყვარულით არ შეურთავს. მამამ ერთი მოუტყაპუნა მხარზე ხელი და უთხრა, შეძლებული კროგერის ქალიშვილს ყურადღება მიაქციეო. ქალმა ფირმას გვარიანი მზითევი შემოამატა. მას შემდეგ ახალგაზრდა კაცი თავის მეუღლეს ღვთის მიერ მისთვის მოვლენილ ცხოვრების მეგობრად თვლიდა...

მამამისსაც ასევე შეერთო მეორე ცოლი.

„ვაჟკაცია სანაქებო, აბა, რა აქვს დასაწუნი“...

მოისმოდა საძინებელი ოთახიდან. აი, ის კი საწყენია, რომ მოხუცი ძველი ჩანაწერებითა და ქაღალდებით თავს არ იტკივებდა. იგი დღევანდელი დღით ცხოვრობდა და ოჯახის წარსულის მოგონებით თავს არ იწუხებდა. თუმცა ამ სქელ, მოოქრულ დავთარში ღვლარჭნილი ხელით მასაც გაუკეთებია ჩანაწერები. ეს მეტწილად მის პირველ ქორწინებას ეხებოდა.

კონსულმა გადაშალა ჟამთა სვლისგან სიყვითლეშეპარული ფურცლები. ისინი უფრო უხეში და სქელი იყო, ვიდრე მის მიერ გვიან ჩაკერებული ფურცლები... დიახ, იოჰან ბუდენბროკს თავისი პირველი მეუღლე, ბრემენელი ვაჭრის ქალიშვილი, ნაზად ჰყვარებია და მასთან გატარებული ერთი წელი უბედნიერესი ხანა ყოფილა მის ცხოვრებაში. L’annè e la plus heureuse de ma vie[39], - ეწერა იქ. ამ სიტყვებს კლაკნილი

ხაზი ჰქონდა გასმული. ეტყობოდა, იოჰან ბუდენბროკს სულაც არ ენაღვლებოდა, რომ შეიძლებოდა მადამ ანტუანეტას ეს სტრიქონი წაეკითხა. შემდეგ გოტჰოლდი გაჩნდა და გადაიყოლა კიდეც ჟოზეფინა... სქელ ქაღალდზე საოცარი აზრები ეწერა ამ შემთხვევის გამო. იოჰან ბუდენბროკს ქვეყანაზე ახალმოვლენილი არსება იმ წუთიდანვე შესძულებია, რაც მის პირველ ცხოველ მოძრაობებს დედისთვის აუტანელი ტკივილი მიუყენებია; შესძულებია იმიტომ, რომ, როცა ის ჯანმრთელი და სიცოცხლით სავსე ქვეყანას მოვლინებია, ამ დროს ბალიშზე მისვენებულ სისხლისგან დაცლილ ჟოზეფინას სული განუტევებია. ამქვეყნად უბოდიშოდ მოვლენილი არსება უდარდელად იზრდებოდა. იოჰან ბუდენბროკს კი დედის მოკვლა მისთვის ვერასგზით ვერ ეპატიებინა. კონსულს ეს კი ვერ გაეგო. „კარგი, - ფიქრობდა იგი, - ის გარდაიცვალა, იმ დროს, როცა დედაკაცის უმაღლეს მოვალეობას ასრულებდა. მე, მაგალითად, სიყვარულს იმ არსებაზე გადავიტანდი, ვისაც მან სიცოცხლე აჩუქა, ვინც საუკუნო განსასვენებელში მიმავალმა დამიტოვა... მამაჩემი კი პირმშოში მხოლოდ თავისი ბედნიერების გამანადგურებელს ხედავდა“. შემდეგ, გვიან, მდიდარი და პატივცემული ჰამბურგელი ოჯახის შვილი ანტუანეტა დიუშანი შეირთო და ცოლ- ქმარი მთელი სიცოცხლე ერთმანეთს პატივისცემითა და ყურადღებით ექცეოდა.

კონსულმა კიდევ რამდენიმე ფურცელი გადაშალა. აქ უკვე მისი შვილების ამბები იყო ჩაწერილი: როდის ჰქონდა ტომს წითელა, ანტონიას - სიყვითლე ან ქრისტიანმა როდის გადაიტანა ჩუტყვავილა. კონსულმა პარიზში, შვეიცარიასა და მარიენბადში მეუღლესთან ერთად მოგზაურობის ჩანაწერებიც გადაიკითხა და ისევ დავთრის პირველ გვერდებს მიუბრუნდა. პერგამენტის მსგავს, ალაგ-ალაგ დახეულ, ყვითლად დალაქულ ფურცლებს მისი ბაბუის, იოჰან ბუდენბროკის ბატიფეხური შემოენახა. ჩანაწერები ვრცელი გენეალოგიით იწყებოდა და მათი უშუალო წინაპრების ხაზს მისდევდა. მეთექვსმეტე საუკუნეში ერთი პარხიმელი ბუდენბროკის შვილი გრაბაუს რატსჰერი გამხდარა. ერთ-ერთი მისი შთამომავალი, მდიდარი თერძი, როსტოკში დაქორწინებულა, „შეძლებულად უცხოვრია“ (ეს სიტყვები ხაზგასმული იყო) და უამრავი შვილი გაუჩენია, ღვთის ნებით, ზოგი შერჩენია და ზოგი არა... შემდეგ ერთი, იოჰანად წოდებული ვაჭარი, როსტოკში დაფუძნებულა. ამას მოჰყვებოდა კონსულის ბაბუის აქ გადმოსახლებისა და მარცვლეულის ფირმის დაარსების ამბავი. მისი ცხოვრების ყოველი თარიღი ცნობილი გახლდათ: როდის გადაეტანა ჩუტყვავილა, როდის - ციებ-ცხელება და როდის - შავი ყვავილი. ყველაფერი გულმოდგინედ იყო აღნუსხული. ერთხელ სხვენიდან ჩამოვარდნილა, რაღაც ბედად დირეებზე არ დაცემულა და ცოცხალი გადარჩენილა. ბაბუამისს დავთარში ორიოდე რჩევა- დარიგებაც ჩაეწერა. გოთური, წერწეტა ასოებით გულდასმით მოხატული ერთი წინადადება ჩარჩოშიც კი ჩაესვა: „შვილო ჩემო, ბეჯითად იშრომე დღისით, მაგრამ გახსოვდეს, მხოლოდ ისეთ საქმეს მოჰკიდე ხელი, რომელიც ღამე მშვიდ ძილს არ დაგიფრთხობს“. შემდეგ ვიტენბერგში დაბეჭდილი ბიბლიის ამბავი იყო მოთხრობილი. ბიბლია მისი პირველი ვაჟიშვილის საკუთრება უნდა გამხდარიყო;

მასაც, თავის მხრივ, ბიბლია უფროსი ვაჟიშვილისთვის უნდა გადაეცა და ასე შემდეგ...

კონსულმა ბუდენბროკმა ტყავის პორტფელი თავისკენ მოსწია, ქაღალდების დასტა ამოიღო. უნდოდა ზოგი რამ ხელახლა გადაეკითხა. აქ იყო ჟამთა სვლისგან გაყვითლებული, დაფლეთილი ბარათები: დედების წერილები უცხო მხარეში სამუშაოდ გადახვეწილი შვილებისადმი. ბევრ წერილს ასეთი წარწერა ჰქონდა:
„ბარათი დაუბრკოლებლად მივიღე და შინაარსი გულში შთავიბეჭდე“. აქ იყო ჰანზის ქალაქის თავისუფალი მოქალაქეობის გერბიანი, ბეჭედდასმული სიგელები, პოლისები, მისალოცი ლექსები და ნათლობაზე მოსაპატიჟებელი ბარათები. შეხვდებოდით გულის ამაჩუყებელ საქმიან წერილებსაც. ამას შვილები სტოკჰოლმიდან და ამსტერდამიდან სწერდნენ მამასა და კომპანიონს. წერილებში ჯერ მამას ამშვიდებდნენ, ხორბალი ხელსაყრელ ფასად იყიდებაო, მერე კი იხვეწებოდნენ, სასწრაფოდ ცოლ-შვილი მომიკითხეთო. აქ იყო კონსულის ინგლისსა და ბრაბანტში მოგზაურობის დღიური, რომლის სპილენძის ყდას ედინბურგის ციხესიმაგრისა და დიდი ბაზრის ხედები ამშვენებდა. შენახული იყო აგრეთვე არასასიამოვნო დოკუმენტებიც - გოტჰოლდის წერილები. მთელი არქივი კი ჟან-ჟაკ ჰოფშტედეს საზეიმო ოდით გვირგვინდებოდა.

გაისმა ნაზი წკრიალი. სეკრეტერის თავზე გახუნებული სურათი ეკიდა - შუა საუკუნეების ბაზრის მოედანზე აღმართული ეკლესიის სამრეკლოში ნამდვილი საათი ჩაესვათ. საათმა ათი დარეკა. კონსულმა პორტფელი დაკეტა და სეკრეტერის უკანა უჯრაში სათუთად შეინახა. შემდეგ საძინებელ ოთახში შევიდა.

ოთახის კედლებზე დიდი ყვავილებით მოჩითული ქსოვილი იყო გაკრული. იატაკამდე დაშვებული ფარდები და საწოლის ჩარდახიც ამავე ქსოვილისა გახლდათ. გადატანილი შიშისა და ტკივილის შემდეგ ოთახში სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა. ოდნავ შემთბარ ჰაერში ოდეკოლონისა და წამლების სუნი ტრიალებდა. მჭიდროდ დახურულ ფარდებში მზის სხივი ძლივს ატანდა.

მოხუცი ბუდენბროკი და მადამ ანტუანეტა აკვანზე დახრილიყვნენ და მძინარე ჩვილს თვალებით ეალერსებოდნენ. კონსულის მეუღლეს ელეგანტური, მაქმანებიანი ხალათი ეცვა, მოწითალო თმა ფაქიზად გადაევარცხნა და ჯერ კიდევ გაფითრებულ სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა. მან თავისი მშვენიერი ხელი მეუღლეს გაუწოდა. ხელზე ახლაც კი ოქროს სამაჯური ეკეთა. სამაჯურმა ნაზად გაიწკრიალა. ელიზაბეტმა ქმრის ბაგეს ჩვეულებისამებრ ხელისგულები შეაგება, ამ ჟესტით, ეტყობა, გულითადობის გამოხატვა უნდოდა.

- როგორა ხარ, ბეტსი?

- მშვენივრად, მშვენივრად, ჟან!

კონსული აკვნის მეორე მხრიდან ბავშვისკენ ისე დაიხარა, რომ მეუღლის ხელი არ გაუშვია. ჩვილი ქსუტუნებდა, ჰაერს სწრაფად ისრუტავდა. კონსულმა თბილი, გულის ამაჩუყებელი სურნელება შეისუნთქა.

- გფარავდეს უფალი, - თქვა მან წყნარად და პატარა არსებას შუბლზე აკოცა. ბავშვს მოყვითალო, დანაოჭებული თითები საოცრად მიუგავდა ქათმის ბრჭყალებს.

- ძუძუთი კარგად გაიჭყიპა და შეხეთ, მოიმატა კიდეც, - შენიშნა მადამ ანტუანეტამ.

- გინდ დამიჯერეთ, გინდა არა, ნეტეს არა ჰგავს?.. - იოჰან ბუდენბროკს სახე ბედნიერებისგან გაუცისკროვნდა, - ნახეთ, რა მაყვალივით თვალები აქვს, ეშმაკმა წამიღოს, თუ ასე არ იყოს!

მოხუცმა ქალბატონმა თავმდაბლობის გამო მეუღლის ნათქვამი შორის დაიჭირა:

- აჰ, კარგი ერთი, ჯერ რა მსგავსებაზე შეიძლება ლაპარაკი... ეკლესიაში არ მოდიხარ, ჟან?

- დიახ, ათი საათია, დროა, ბავშვებს ვუცდი.

ბავშვების ხმაც მოისმა. ისინი კიბეზე ერთი ჟრიამულით ჩამორბოდნენ. კლოტილდე მათ სისინით აჩუმებდა. ბავშვებს ქურქები ეცვათ, რადგან მარიენკირხეში ჯერ კიდევ ზამთრის სუსხი იგრძნობოდა. ისინი ოთახში ფეხაკრეფით შემოვიდნენ, ჯერ ერთი პატარა დაიკოს ერიდებოდნენ, მერე ღვთისმსახურების წინ არ შეიძლებოდა არ დადინჯებულიყვნენ. სახეები აღელვებისგან უღვიოდათ. რა საზეიმო დღე იყო! დიდმა და ღონიერმა ყანჩამ ბავშვებს პატარა დაიკო მოუყვანა და თან უამრავი საჩუქარი მოაყოლა: თომასს ტყავის აბგა მოუტანა, ანტონიას - დიდი თოჯინა. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ამ თოჯინას ნამდვილი თმა ჰქონდა. სანიმუშო კლოტილდეს ფერადსურათებიანი წიგნი ერგო. იგი მადლიერი იყო, მაგრამ თვალი მაინც ტკბილეულით სავსე პარკებისკენ გაურბოდა. ქრისტიანს თოჯინების თეატრი შეხვდა, თავისი გმირებით - სულთნით, ეშმაკითა და ცელიანი სიკვდილით.

ბავშვებმა დედას აკოცეს. უფროსებმა მათ ნება დართეს მწვანე აბრეშუმის ფარდაში ერთხელ კიდევ ჩაეჭყიტათ. ამასობაში მამას უკვე მოესხა პელერინიანი პალტო და ხელში ლოცვანი აეღო. ბავშვები ჩუმად, მშვიდი ნაბიჯებით გაემართნენ ეკლესიისკენ. ამ დროს ოჯახის ახალმა წევრმა მოულოდნელად გამოიღვიძა და მიმავალნი ხმამაღალი ტირილით გააცილა.

მეორე თავი

ზაფხული მოაწევდა თუ არა, მაისშივე ან ივნისის დამდეგს ტონი ბუდენბროკი ქალაქგარეთ, ბებიასა და ბაბუასთან გადაბარგდებოდა ხოლმე. ტონის კროგერებისკენ დიდი ხალისით მიუწევდა გული.

რა სჯობდა ბუნების წიაღში, უზარმაზარ ბაღ-ბოსტანში ჩაფლულ დიდებულად მორთულ ვილაში ცხოვრებას. ვილას გარს ერტყა სამოახლო, თავლები, ფართოდ გაშლილი ბაღი კი მდინარე ტრავემდე ციცაბოდ ეშვებოდა.

კროგერები ხელგაშლილად ცხოვრობდნენ. მათ ბრწყინვალე სიმდიდრესა და ტონის მშობლიურ სახლში დამკვიდრებულ სოლიდურ, თუმცა, ცოტა არ იყოს, ძნელად შესანარჩუნებელ კეთილდღეობას შორის ხელშესახები განსხვავება იგრძნობოდა. აქ ყველაფერი ორჯერ უფრო დიდებული ჩანდა, ვიდრე შინ და ეს ამბავი ნორჩ მადმუაზელ ბუდენბროკზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

რაიმე საქმიანობაზე და მით უმეტეს, სამზარეულოში ტრიალზე ხომ აქ ფიქრიც ზედმეტი იყო. შინ კი, მენგშტრასეზე, მართალია დედა და ბაბუა ტონის გარჯას დიდად არ დაგიდევდნენ, მაგრამ მამა და ბებია ხშირად ავალებდნენ ავეჯიდან მტვერი გადაეწმინდა, თან ნიმუშად თავის მუყაით, ღვთისნიერ და დამჯერე ბიძაშვილს უყენებდნენ. პატარა ქალიშვილს დედისეული ოჯახის ფეოდალური მიდრეკილებები ეღვიძებოდა, როცა სკამსაქანელაში ნებიერად გადაწოლილი მოახლეს ან ლაქიას განკარგულებებს აძლევდა. ამათ გარდა მოხუც ბატონებს კიდევ ორი პირისფარეში და ერთი მეეტლე ემსახურებოდა.

რაც გინდათ, ის თქვით, მაგრამ უეჭველად სასიამოვნო იყო, როცა ხალვათ, ღია ფერის შტოფგამოკრულ საძინებელ ოთახში გამოგეღვიძებოდათ და ხელი ატლასის მძიმე საბანზე მოგიხვდებოდათ. ან ის რად ღირდა, რომ პირველ საუზმედ ტერასაზე ყავას ან ჩაის კი არა, შოკოლადს მოგართმევდნენ. დიახ, ყოველ დილით სადღეობო შოკოლადს, დასაყოლებლად გემრიელი ნამცხვრის კარგა მოზრდილი ნაჭერიც რომ ახლდა თან. ამ დროს ფართოდ გაღებულ მინის კარში ბაღიდან დილის ნიავი შემოქიქინებდა.

ტონი იმავე საუზმეს, კვირის გარდა, მარტოდმარტო მიირთმევდა. მოხუცები გვიან დგებოდნენ და დაბლა მხოლოდ მაშინ ჩამოდიოდნენ, როცა სკოლაში სწავლა კარგა ხნის დაწყებული იყო ხოლმე. ტონი ნამცხვარს გადაყლაპავდა თუ არა, ჩანთას ხელს დაავლებდა, ტერასიდან კუნტრუშით ჩამოირბენდა და ფაქიზად მოვლილ ბაღში დაეშვებოდა.

პატარა ტონი ბუდენბროკი ფრიად მომხიბლავი არსება გახლდათ. ჩალის ქუდიდან ქერა, ხშირი კულულები გადმოღვროდა. რაც დრო გადიოდა, თმა თანდათან უმუქდებოდა. წინ წამოწეული, ოდნავ აბზეკილი ზედა ტუჩი და მოცისფრო, ცოცხალი თვალები მის სანდომიან სახეს ონავრულ გამომეტყველებას აძლევდა. ტონის ეს თვისება პატარა, გრაციოზულ ფიგურაშიც მჟღავნდებოდა. გოგონა

თოვლივით ქათქათა წინდებში გამოკვართულ წვრილ ფეხებს მოქნილად და მტკიცედ ადგამდა.

კონსულ ბუდენბროკის პატარა ასულს ბევრი იცნობდა და როცა გოგონა ბაღის ჭიშკრიდან წაბლების ხეივანში გამოვიდოდა, ყველანი ესალმებოდნენ. ერთი, ხასხასა მწვანე ლენტებით შეკრული ჩალისქუდიანი მემწვანილე ქალი, სოფლიდან ფორანს რომ მოახრიგინებდა, ტონის მეგობრულად მიაძახებდა ხოლმე, დილა მშვიდობისა, პატარა ქალიშვილოო. შავ, ფართხუნა შარვალ-ხალათში გამოწყობილი, თეთრი წინდებითა და ბალთიანი ფეხსაცმლით ფეხდამშვენებული ზორბა მტვირთავი მატისენი ტონის გვერდით ისე არ ჩაუვლიდა, რომ პატივისცემის ნიშნად თავისი იაფფასიანი ცილინდრი არ მოეხადა.

ტონი ხეივანში შეჩერდებოდა და თავის მეზობელ გოგონას, იულჰენ ჰაგენშტრომს დაელოდებოდა, გოგონები სკოლაში ერთად დადიოდნენ. იულჰენს აწეული მხრები და ფართო, კრიალა შავი თვალები ჰქონდა. იგი იქვე, ველური ვაზით შემობურულ ვილაში ცხოვრობდა. მათი ოჯახი აქ სულ ცოტა ხნის წინ დამკვიდრებულიყო. მამამისს, ბატონ ჰაგენშტრომს ცოლად ახალგაზრდა ფრანკფურტელი ქალი ჰყავდა. მადამ ჰაგენშტრომს არაჩვეულებრივად სქელი, შავი თმა ჰქონდა და ყურის ბიბილოებზე ისეთი მსხვილი ბრილიანტები ეკეთა, რომლის მსგავსი მთელ ქალაქში
არ მოიძებნებოდა. მადამ ჰაგენშტრომი ქალიშვილობაში ზემლინგერი გახლდათ.
ბატონი ჰაგენშტრომი საექსპორტო ფირმის „შტრუნკი და ჰაგენშტრომის“ კომპანიონი იყო.
ქალაქის საქმეებში დიდ გულმოდგინებასა და პატივმოყვარეობას იჩენდა,
მაგრამ მისი ქორწინების გამო ტრადიციების მიმდევარი ხალხი: მოლენდორფები, ლანგჰალსები და ბუდენბროკები მისგან მაინც შორს იჭერდნენ თავს. ისედაც არავის ეხატებოდა გულზე ბატონი ჰაგენშტრომი, თუმცა იგი, როგორც სხვადასხვა კომისიის, კოლეგიისა და სამმართველოს წევრი, ყველგან აქტიურად მოღვაწეობდა. ჰაგენშტრომს თითქოს მიზნად ჰქონდა დასახული, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, ძველებური ოჯახის წევრებთან ეკინკლავა, მათი შეხედულებები ეშმაკურად გაებათილებინა, საკუთარი მოსაზრებები წამოეყენებინა და თავი მათზე საქმიან და საჭირო კაცად ეჩვენებინა.

კონსული ბუდენბროკი ბატონ ჰაგენშტრომზე ამბობდა ხოლმე:

- არ გააჭირა საქმე ამ ჰინრიჰ ჰაგენშტრომმა? მეც რა კბილი დამადგა! სადაც წამეწევა, ხელს მიშლის... დღეს იყო და საქველმოქმედო კომიტეტში მომიწყო აყალმაყალი, ორი დღის წინ - საფინანსო დეპარტამენტში.

იოჰან ბუდენბროკი შვილს კვერს უკრავდა: მართალი ხარ, დიდი შარისთავიაო.

ერთხელ მამა და შვილი სადილობისას შინ გაცოფებული დაბრუნდნენ... რა მომხდარიყო? აჰ, არაფერი... ჰოლანდიაში ბრინჯის გასაღების შესაძლებლობა

გაეშვათ ხელიდან. ასეთი სარფიანი საქმე „შტრუნკმა და ჰაგენშტრომმა“ თვალსა და ხელს შუა წაართვა ბუდენბროკების ფირმას.

დიდი მელა კი ბრძანდებოდა ეს ჰინრიჰ ჰაგენშტრომი!

მსგავსი ამბები ტონისთვის ბევრი გაუგონებიათ, არ უნდოდათ ბუდენბროკების ასული იულჰენს ძალიან დაახლოებოდა. ისინი მეზობლები იყვნენ და სკოლაში ერთად იმიტომ დადიოდნენ, თორემ ისე, ერთმანეთს ხშირად ხეთქავდნენ გულზე.

- იცი, მამაჩემს ათასი ტალერი აქვს! - დაახარბებდა ხოლმე იულჰენი, თან დარწმუნებული იყო, რომ მტკნარ სიცრუეს ამბობდა, - მამაშენს?

ტონის შურისა და შეურაცხყოფისგან ენა ჩაუვარდებოდა, მაგრამ შემდეგ სავსებით მშვიდად და სხვათა შორის იტყოდა:

- უჰ, რა გემრიელი იყო დღეს ჩემი შოკოლადი... შენ რას სვამ საუზმეზე, იულჰენ?

- ჰო, მართლა, არ დამავიწყდეს, - პასუხობდა იულჰენი, - არ გინდა ვაშლი, იცი რამდენი მაქვს? მაგრამ ვერ მოგართვეს, არც ერთსაც არ მოგცემ.

იულჰენი ამ სიტყვებზე ტუჩებს მაგრად მოკუმავდა და თვალები სიამოვნებისგან აუწყლიანდებოდა.

სკოლაში მიმავალთ ხანდახან იულჰენის ძმა ჰერმანი დაემგზავრებოდათ. ჰერმანი დაზე ერთი-ორი წლით უფროსი იყო. იულჰენს კიდევ ჰყავდა ერთი ძმა, მორიცი, მაგრამ ის ავადმყოფობდა და მასწავლებლები შინ დაუდიოდნენ. ჰერმანი ქერა ბიჭი იყო, გატყაპნილი ცხვირი ჰქონდა, მხოლოდ პირით სუნთქავდა და ამის გამო ტუჩებს განუწყვეტლივ აწკლაპუნებდა.

- სისულელეა! - თქვა მან, - მამას ათას ტალერზე ბევრად მეტი აქვს.

ტონის ყველაზე მეტად ის აოცებდა, რომ ამ ბიჭს სკოლაში პურის მაგიერ ფუნთუშა დაჰქონდა და რბილ, ოვალური მოყვანილობის, ქიშმიშით გამოტენილ ფუნთუშას ზედ კიდევ ენის ძეხვს ან ბატის მკერდის ნაჭერს ადებდა ხოლმე. ასეთი გემოვნება ჰქონდა და რა ექნა.

ტონი ბუდენბროკისთვის ასეთი რამ უცხო ხილი იყო. ფუნთუშა და ბატის ხორცი! რა გემრიელი იქნება?! ჰოდა, ერთხელ ჰერმანმა თავის თუნუქის კოლოფში რომ ჩაახედა, ტონის სულმა წასძლია და წამოსცდა, ერთ ლუკმას სიამოვნებით გავსინჯავდიო.

ჰერმანი შეჰპირდა:

- ახლა ჩემსას ვერ მოვაკლებ, ხვალ კი შენთვისაც წამოვიღებ, ოღონდ სამაგიეროდ რამე უნდა მომცე.

მეორე დილით ტონი ხუთ წუთს ელოდა იულჰენს წაბლის ხეივანში. ტონიმ კიდევ ერთ წუთს შეიცადა და მარტო მომავალი ჰერმანიც გამოჩნდა. ბიჭი ღვედზე ჩამოკიდებულ საუზმის კოლოფს მოაქანავებდა და პირს წყნარად აწკლაპუნებდა.

- აჰა, ფუნთუშა და ბატის მკერდი, - უთხრა ჰერმანმა, - ქონის ნატამალს ვერ უპოვი, სულ მჭლე შეგირჩიე... აბა, რას მომცემ სამაგიეროდ?

- რაას? გინდა, შილინგი მოგცე? - შეეკითხა ტონი.

ისინი შუა ხეივანში იდგნენ.

- შილინგი? - გაიმეორა ჰერმანმა. შემდეგ ნერწყვი გადაყლაპა და თქვა, - არა, მე სხვა რამე მინდა.

- მაინც რა? - ტონი მზად იყო სასუსნავში არაფერი დაეშურებინა.

- რა და კოცნა! - დაიძახა ჰერმანმა. ტონის ორივე მკლავი შემოხვია და ალალბედზე კოცნა დაუწყო. სახეს არც მიჰკარებია, რადგან ტონიმ თავი მაგრად გადაზნიქა, ჩანთიანი მარცხენა ხელი ჰერმანს მკერდზე მიაბჯინა და მარჯვენათი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სამჯერ თუ ოთხჯერ მოძალადეს სახეში გაულაწუნა. ჰერმანმა უკან დაიხია, მაგრამ იმ წუთში რომელიღაც ხის უკნიდან იულჰენი შავი ალქაჯივით გამოხტა, ტონის სისინით დაეტაკა, თავიდან ქუდი მოჰგლიჯა და ლოყები დაუნდობლად ჩამოკაწრა. ამ შემთხვევის გამო მათ ამხანაგობას კინაღამ ბოლო მოეღო.

ისე, ტონის სიმფრთხალის გამო არ უთქვამს ახალგაზრდა ჰაგენშტრომისთვის კოცნაზე უარი. არა, ტონი გვარიანი ახტაჯანა გახლდათ და თავისი საქციელით მშობლებს, განსაკუთრებით კონსულს, ბევრ უსიამოვნებას აყენებდა ხოლმე. სწავლაში ვერ დაემდურებოდით, სკოლაში რასაც ასწავლიდნენ, სწრაფად ითვისებდა, მაგრამ საქციელისა კი რა მოგახსენოთ, მის სკოლის გამგეს ფროილაინ აგათე ფერმერენს სირცხვილის ოფლი ასკდებოდა, მაგრამ მენგშტრასეზე მაინც გამოცხადდა და კონსულის მეუღლეს დიდი მორიდებით ურჩია, თქვენს პატარა ქალიშვილს შემოუწყერით, თორემ მრავალგზის თავაზიანი გაფრთხილების მიუხედავად, ახლახან ქუჩაში ისევ უწესოდ იქცეოდაო.

ის კიდევ არაფერი, რომ ქალაქში ხეტიალის წყალობით ტონი მთელ ქვეყანას იცნობდა და ვისთან არ ლაქლაქებდა. კონსულს ეს ამბავი თითქოს მოსწონდა კიდეც - ქალიშვილის საქციელს თავმდაბლობასა და მოყვასის სიყვარულს მიაწერდა. ტონი თომასთან ერთად ტრავეს ნაპირას ბეღლებში დაძვრებოდა, მიწაზე მოზვინულ ჭვავისა და ხორბლის ტომრებს შორის დარბოდა, მუშებთან და მიწის პირზე აშენებულ ჩაბნელებულ პატარა კანტორებში მწერლებთან ლაყბობდა და ასე გასინჯეთ, მტვირთავებს ტომრების აწევაშიც კი ეხმარებოდა. ბრაიტენშტრასეზე რომელი თეთრფეშტამლიანი ყასაბი გაივლიდა, ტონის რომ არ სცნობოდა. მერძევე

სოფლელ ქალებს ხომ ნუღარ იკითხავთ, რძის ბიდონებით დატვირთულ ფორანზე ჩამოსკუპდებოდა და ჰერი, ბიჭო!.. ცხენებს მიერეკებოდა. ბაზრის თაღში ჩაშენებულ ჯიხურებში მოკალათებულ ჭაღარა წვერულვაშიან ოქრომჭედლებს, ბაზარში თევზით ან ხილით მოვაჭრე ქალებსა და მემწვანილეებსაც კარგად იცნობდა. ცხვირს არც ფარეშებს უბზუებდა, ქუჩის კუთხეებში მიყუჟულნი თამბაქოს რომ ღეჭავდნენ... კეთილი და პატიოსანი!

მაგრამ ერთმა ფერმკრთალმა, გაურკვეველი ასაკის ქოსა კაცმა რაღა დააშავა, რომ ყოველ მოულოდნელ შეძახილზე შიშისგან ხტებოდა? ამ კაცს დილაობით ბრაიტენშტრასეზე ჩავლა უყვარდა. სახეზე მუდამ სევდიანი ღიმილი დასთამაშებდა. ტონი ამ კაცს როგორც კი თვალს მოჰკრავდა, ერთს შეჰყვირებდა, „ოჰოო“ და საცოდავს ცალ ფეხზე ააცეკვებდა. ან ერთ პაწაწკინტელა, დიდთავა ქალს რაღას ერჩოდა? ამ ქალს დარსა თუ ავდარში თავზე უზარმაზარი, გახვრეტილი ქოლგა ჰქონდა წამოფარებული. ტონი ისე არ ჩაუვლიდა, „ქოლგის ქალბატონო“ ან „ქამა სოკოო“ არ მიეძახებინა. ან ის რა მოსაწონი იყო, ტონი თავისი ჭკუის გოგონებს რომ აიტორღიალებდა და ერთი ბებრუხანას სახლს მიადგებოდა. ეს უცნაურად თვალებჩაწითლებული ბებრუხანა ჭინჭის თოჯინებით ვაჭრობდა იოჰანისშტრასეს მახლობელ შუკაში. გოგონები ზარს მთელი ძალით მოჰქაჩავდნენ და ზღურბლზე გამოსულ დედაბერს ვითომდა მეგობრულად ეკითხებოდნენ, - ბატონი და ქალბატონი საფურთხებლები აქ ხომ არ ცხოვრობენო. მერე ერთი სიცილ-კრიახით მოკურცხლავდნენ ხოლმე.

ტონი ბუდენბროკი, ალბათ, სავსებით სინდისდამშვიდებული ოინბაზობდა. აბა, რომელიმე მსხვერპლს გაებედა და დამუქრებოდა?! მაშინ ტონი ერთი ნაბიჯით უკან დაიხევდა, ლამაზ, აბზეკილი ტუჩებით შემკულ თავს გადაიგდებდა და ისეთი სახით იტყოდა - აბა, აბაო, - თითქოს უნდოდა ეთქვა: ერთი გაბედე და ხელი მახლე, იქნებ არ იცი, კონსულ ბუდენბროკის ქალიშვილი რომ გახლავარო.

ასე, პატარა დედოფალივით დაგოგმანებდა ტონი ქალაქში, ხან დაუნდობელი, ხან სიკეთით სავსე, ისე, როგორც მის სულსა და გულს მოენებებოდა.

მესამე თავი

ჟან-ჟაკ ჰოფშტედემ კონსულ ბუდენბროკის ორივე ვაჟი სწორად დაახასიათა.

თომასი სოვდაგრად და ფირმის მომავალ მეპატრონედ იყო გაჩენილი. იგი ძველებურ, გოთურთაღიანი სკოლის რეალურ განყოფილებაში სწავლობდა. თომასი ცოცხალი, ჭკვიანი და გონიერი ბავშვი იყო, თუმცა გართობასაც არ აკლებდა ხელს. ქრისტიანი გიმნაზიაში სწავლობდა. თომასზე ნაკლებნიჭიერი როდი იყო, მაგრამ უფროს ძმას

სერიოზულობაში ჩამოუვარდებოდა - მასწავლებლის გამოჯავრებას არაფერი ერჩია - განსაკუთრებით კი ბეჯითი და თავდადებული ბატონი მარცელუს შტენგელი ჰყავდა ნიშანში ამოღებული. შტენგელი ბავშვებს სიმღერას, ხატვასა და სხვა ამგვარ სახალისო საგნებს ასწავლიდა.

ბატონ შტენგელს ჟილეტის ჯიბეში მუდამ ნახევარი დუჟინი ძალზე წაწვეტებული ფანქარი ჰქონდა ამოჩრილი. იგი ჟღალ პარიკს ატარებდა და თითქმის კოჭებამდე ჩაფართხუნებული ღია ყავისფერი სერთუკი ეცვა. გაშეშებული საყელო საფეთქლებამდე სწვდებოდა. შტენგელი გონებამახვილი კაცი იყო, ფილოსოფიური განსაზღვრებები უყვარდა. „შენ ხაზი უნდა გაატარო და შტრიხი კი გაგყავს“, - ეტყოდა ხოლმე მოწაფეს და თან „ხაზის“ მაგიერ „ხაზეს“ ამბობდა. ანდა ზარმაცს შემოუწყრებოდა: შენ მეოთხე ჯგუფში ერთ წელს კი არა, მთელ ეპოქას გაატარებო. „მეოთხის მაგივრად „მეოხეს“ და „წლის“ მაგივრად კი „ჭელს“ ამბობდა... იგი თავს ყველაზე ბედნიერად მაშინ გრძნობდა, როცა ბავშვებს სიმღერის გაკვეთილზე ტკბილხმოვან სიმღერას „მწვანე ტყეს“ ასწავლიდა. რამდენიმე მოწაფეს ამ დროს გარეთ გაიყვანდა და გუნდი დააგუგუნებდა თუ არა, „მივდივართ, მიგვიხარია, გველოდება ტყე-ველიო“, მათ უკანასკნელი სიტყვა ფრთხილად და წყნარად - ექოსავით უნდა გაემეორებინათ. როცა ამას ქრისტიან ბუდენბროკს, მის ბიძაშვილს იურგენ კროგერს ანდა მის მეგობარს, ბრანდდირექტორის ვაჟიშვილს ანდრეას გიზეკეს დაავალებდა, ისინი ნაზი ექოს მაგიერ კიბეზე ნახშირის ყუთს დააგორებდნენ და მერე ნაშუადღევის ოთხ საათამდე ბატონ შტენგელის ბინაში ყურყუტებდნენ ხოლმე. ბიჭებს იქ ჯდომა მაინცდამაინც არ ეზარებოდათ, ბატონ შტენგელს გაბრაზება მალე გაუვლიდა, თავის დიასახლისს „შერისხულთათვის“ თითო ფინჯან ყავას მოატანინებდა და მერე ყმაწვილებს შინ გაუშვებდა ხოლმე.

აქაური სწავლული პედაგოგები მართლაც სათნო და გულკეთილი ადამიანები იყვნენ. ჰუმანური დირექტორის ხელმძღვანელობით, რომელიც მუდამ ბურნუთს ყნოსავდა, ძველი სკოლის - ყოფილი სამონასტრო სასწავლებლის თაღებში თავიანთ საქმეს უძღვებოდნენ. ყველას, როგორც ერთს, სჯეროდა, რომ მეცნიერება და მხიარულება ერთმანეთს ხელს არ უშლის და ცდილობდნენ საქმე ტკბილად და მშვიდად წარემართათ.

საშუალო კლასებში ლათინურს ერთი ყოფილი მღვდელი ასწავლიდა, ვინმე პასტორი ჰირტე. ამ აყლაყუდა წაბლისფერბაკენბარდებიან კაცს თვალები მუდამ უცინოდა. ყოფილ მღვდელს თავი ბედნიერად მიაჩნდა, რომ მისი სახელი და ტიტული ერთმანეთს ემთხვეოდა და მოწაფეებს სიტყვა pastor[40]-ს ხშირად ათარგმნინებდა. ძალიან უყვარდა გამოთქმა: „უსაზღვროდ შეზღუდულია“. ბოლომდე აუხსნელი დარჩა, ამას ხუმრობით ამბობდა თუ სერიოზულად. ხანდახან თუ მოისურვებდა მოწაფეები გაეოცებინა, მთელ თავის ხელოვნებას არ დაიშურებდა - ტუჩებს პირში შეიზნექდა და ისეთ ხმას გაადენინებდა, თითქოს შამპანურის ბოთლს საცობი ამოვარდაო. ხან საკლასო ოთახს დიდი ნაბიჯებით შემოუვლიდა და რომელიმე

მოწაფეს მის მომავალ ცხოვრებას მგზნებარედ უყვებოდა. ამით უნდოდა მოწაფის ფანტაზია აემოძრავებინა. შემდეგ კი სერიოზულად შეუდგებოდა მუშაობას - მოწაფეებს ყველაზე ძნელ გრამატიკულ კონსტრუქციებსა და წესებზე ოსტატურად შეთხზულ ლექსებს ამეორებინებდა. თვითონ პასტორი ჰირტე ამ ლექსს დიდი ამბით წარმოთქვამდა, რიტმსა და რითმას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა.

ტომისა და ქრისტიანის სიყმაწვილეზე სხვა მნიშვნელოვანი არაფერია მოსაყოლი. იმ დღეებში მზიანი დარი იდგა, კანტორებში საქმე ჩინებულად მიდიოდა. ხანდახან თუ გაავდრდებოდა ხოლმე და პატარა უბედურება მოხდებოდა. მაგალითად, ამდაგვარი:

გლოკენგისერშტრასეზე ერთი თერძი ცხოვრობდა, ბატონი შტუტი. მისი ცოლი ნახმარ ტანსაცმელს ყიდულობდა და ამიტომ მაღალ წრეებში ტრიალებდა. თერძს შარვალზე გადმოფაშფაშებული ღიპი შალის პერანგში ჰქონდა გამოკრული. ერთხელ მან ყმაწვილ ბუდენბროკებს სამოცდაათ მარკად კოსტიუმები შეუკერა და ბიჭების თხოვნით ანგარიშში 80 მარკა ჩაწერა. ზედმეტი ათი მარკა ბიჭებისთვის უნდა მიეცა. მთლად სუფთა საქმე ვერ იყო, მაგრამ არც სავსებით უჩვეულო გახლდათ. საუბედუროდ, რაღაც განგებით ყველაფერი გამოაშკარავდა. ბატონი შტუტი იძულებული გახდა შალის პერანგზე შავი სერთუკი გადაეცვა, კონსულის კერძო კანტორაში გამოცხადებულიყო და ტომისა და ქრისტიანის მკაცრ დაკითხვას დასწრებოდა. ფეხებგალაჯულ ბატონ შტუტს თავი გვერდზე გადაეგდო და კონსულის სავარძელთან მორჩილად იდგა. შტუტმა შემრიგებლური სიტყვა წარმოთქვა, სიტყვის შინაარსი დაახლოებით ასეთი გახლდათ: რახან საქმე ამგვარად შეტრიალდა, თავზევით ძალა არაა, სამოცდაათ მარკასაც სიამოვნებით დავჯერდებიო.

კონსული ამ ოინმა მოთმინებიდან გამოიყვანა, მაგრამ მომხდარ ამბავს დინჯად რომ ჩაუკვირდა, ამჯობინა, ბიჭებისთვის ჯიბის ფული მოემატებინა, რადგან ნათქვამია, ნუ გვაცდუნებო.

აშკარად ჩანდა, თომას ბუდენბროკი უფრო მეტ იმედს იძლეოდა, ვიდრე მისი ძმა. საქციელიც დინჯი ჰქონდა და მხიარულებაც ზომიერი იცოდა. ქრისტიანი უფრო ჭირვეული გახლდათ, ხან მთლად ტაკიმასხარასავით იქცეოდა, ხან კი შეეძლო მთელი ოჯახი შეეძრწუნებინა...

ერთხელ ყველანი მაგიდას უსხდნენ, წყნარად საუბრობდნენ და ხილს მიირთმევდნენ. უცებ ქრისტიანმა ჩაკბეჩილი ატამი თეფშზე დააგდო, სახე გაუფითრდა, მრგვალი, ღრმად ჩამჯდარი თვალები გაუფართოვდა და იყვირა:

- ატამს აღარასოდეს შევჭამ!

- რატომ, ქრისტიან, რა სისულელეს ამბობ, რა დაგემართა?

- აბა, იფიქრეთ, უცებ ეს მსხვილი კურკა ყელში რომ გადამცდენოდა, გამჩხეროდა, სული ვეღარ მომეთქვა, წამოვმხტარიყავი და კრუნჩხვა დამეწყო, თქვენც ხომ წამოცვივდებოდით... - და უცებ ქრისტიანმა მართლა ამოიკვნესა, - ვაი, დედაო, - სკამიდან წამოვარდა და გაქცევა დააპირა.

კონსულის მეუღლე და მამზელ იუნგმანი ფეხზე წამოიჭრნენ.

- ღმერთო, გვიშველე! ქრისტიან, მერედა შენ ხომ კურკა არ გადაგიყლაპავს?! - შეეკითხნენ შეშინებულები. მის შემხედვარეს ეგონებოდა, ატმის კურკა ყელში მართლა გაეჩხირაო.

- არა, არა, - უპასუხა ქრისტიანმა და ნელ-ნელა დაწყნარდა, - მაგრამ რომ გადამეყლაპა?

შიშისგან ფერწასულმა კონსულმა შვილი დატუქსა, გაბრაზებული ბაბუა მაგიდაზე თითს უკაკუნებდა - ასეთი სისულელე მეორედ აღარ გავიგონოო, ქრისტიანი კი ატამს მართლაც დიდხანს აღარ გაჰკარებია.

მეოთხე თავი

ექვს წელსაც არ გაევლო მას შემდეგ, რაც ბუდენბროკები მენგშტრასეზე გადმოვიდნენ, რომ იანვრის ერთ სუსხიან დღეს მოხუცი ქალბატონი ანტუანეტა ბუდენბროკი უეცრად უქეიფოდ შეიქნა და თავის ჩარდახიან საწოლში ჩაწვა. მას ადგომა აღარ ეწერა. ანტუანეტა ბუდენბროკის ავადმყოფობა მხოლოდ წლების
ბრალი როდი იყო, ჭარმაგი მოხუცი ქალბატონი ბოლომდე ღირსეულად დაატარებდა თეთრი, სქელი კულულებით დამძიმებულ თავს, ქალაქში გამართულ არც ერთ მნიშვნელოვან სადილს არ აკლდებოდა, შინ გამართულ წვეულებებზე ხომ თავის ელეგანტურ რძალს დიასახლისობაში ტოლს არ უდებდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად შეუძლოდ იგრძნო თავი, ნაწლავების მსუბუქი კატარი აღმოაჩნდა. ექიმმა გრაბოვმა მტრედის ხორცი და ფრანგული ფუნთუშა დაუნიშნა. მოხუცს პირღებინებასთან ერთად ჭვლებიც გაუდგა და ამან სულ მოუთავა ხელი. მდგომარეობა მართლაც დამაფიქრებელი იყო.

კონსულისა და ექიმ გრაბოვის ხანმოკლე, მაგრამ სერიოზული საუბრის შემდეგ ოჯახში მეორე ექიმმაც დაიწყო სიარული - ჩასკვნილმა, შავწვერიანმა, პირქუშმა, შუბლშეკრულმა კაცმა. სახლს თითქოს ნირი შეეცვალა, ყველანი ფეხის წვერებზე დადიოდნენ, ერთმანეთს ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ, დიდ თაღში ფურგონები აღარ შემოჰყავდათ. ჩანდა, სახლში შემოვიდა ახალი, უცხო, უჩვეულო საიდუმლო, რომელსაც ერთმანეთის თვალებში კითხულობდნენ; სიკვდილზე ფიქრი სახლში შემოიჭრა და მის ვრცელ პალატებში მდუმარედ დაისადგურა.

სტუმრიანობამ იმატა, მაგრამ ზარ-ზეიმით არავის ხვდებოდნენ. ავადმყოფობა თოთხმეტ თუ თხუთმეტ დღეს გაგრძელდა. ერთი კვირის თავზე ჰამბურგიდან მომაკვდავის ძმა, მოხუცი სენატორი დიუშანი და მისი ქალიშვილიც ჩამოვიდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ კონსულის დაც გამოჩნდა. მას თავისი ბანკირი მეუღლეც ჩამოჰყვა თან.

იდა იუნგმანს სტუმრიანობამ საქმე მოუმატა. მათ საძინებელ ოთახებზეც უნდა ეზრუნა, საუზმეზე კიბორჩხალები და პორტვაინი მუდამ უნდა ჰქონოდა. საუზმე ჯერ მოთავებული არ იყო, რომ სამზარეულოში სადილის თადარიგს იჭერდნენ.

ზევით, ავადმყოფის სარეცელთან, იოჰან ბუდენბროკი იჯდა, თავისი მოხუცი ნეტეს უძლური ხელი ხელში ეჭირა, წარბები აეძგიბა, ქვედა ტუჩი ძირს ჩამოეშვა და სივრცეში უსიტყვოდ იცქირებოდა. კედლის საათი ყრუდ და გრძელი პაუზებით რეკავდა, ხოლო ავადმყოფი კიდევ უფრო ყრუდ და იშვიათად სუნთქავდა. მომვლელი ქალი მაგიდაზე მადამ ანტუანეტასთვის ხორცის ბულიონს ამზადებდა, უნდოდა ერთხელ ესინჯა, იქნებ მომაკვდავს საჭმლისთვის პირი დაეკარებინა. ოთახში ხანდახან ვინმე შინაური ფეხაკრეფით თუ შემოვიდოდა და ისევ გაუჩინარდებოდა.

იქნებ მოხუც ბუდენბროკს აგონდებოდა, ორმოცდაექვსი წლის წინ პირველად რომ იჯდა მეუღლის სასიკვდილო სარეცელთან. იქნებ იმ მწარე სასოწარკვეთილებას ახლანდელ მშვიდ სევდას ადარებდა კიდეც. ახლა იგი, თვითონაც ხანდაზმული, მოხუცი ქალის შეცვლილ, უაზრო და შემზარავად გულგრილ სახეს დარდიანად დაჰყურებდა. ამ ქალს მისთვის არც დიდი ბედნიერება მოუნიჭებია და არც დიდი ტკივილი. იგი მრავალი წლის განმავლობაში ჭკვიანურად ედგა მხარში და ახლაც საუკუნო განსასვენებლისკენ უდრტვინველად მიემართებოდა.

მოხუცი ბუდენბროკი ბევრს არ ფიქრობდა, მხოლოდ თავს აკანტურებდა. მთელი თავისი ცხოვრება და, საერთოდ, ცხოვრება, მეტად შორეულად და უცხოდ ეჩვენებოდა. ცხოვრება, რომლის ხმაურისა და ორომტრიალის შუაგულში თვითონ იდგა, ახლა შეუმჩნევლად ხელიდან ეცლებოდა და მის დაძაბულ სმენას შორიდან ეპასუხებოდა. ხანდახან თავისთვის ჩაილაპარაკებდა:

- უცნაურია, უცნაური!

როცა მადამ ბუდენბროკს უკანასკნელი უდრტვინველი ოხვრა აღმოხდა, როცა სასადილო დარბაზში მიცვალებული გააპატიოსნეს, მესაფლავეებმა ყვავილებით მორთული კუბო ასწიეს და წაასვენეს, მოხუც ბუდენბროკს წარბი არ შეუხრია, ერთი კურცხალი არ გადმოვარდნია, მაგრამ ეს წყნარი, გაოცებული თავის კანტური და ღიმილნარევი „უცნაურია“ დასჩემდა... ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ იოჰან ბუდენბროკის დღეებიც დათვლილი იყო.

მოხუცი იმ დღიდან შინაურებში ჩუმად და გულგრილად იჯდა. ხანდახან პატარა კლარას თუ დაისვამდა მუხლებზე და რომელიმე ძველ სახუმარო სიმღერას თუ უმღერებდა:

„ომნიბუსი დადის ქალაქში“

ან

„შეხე, ბუზი კედელზეო“

მერე უცებ გაჩუმდებოდა, თითქოს ერთბაშად გამოერკვაო, ფიქრებს თავიდან მოიშორებდა, თავს გააკანტურებდა, უცნაურიაო, წაილაპარაკებდა, შვილიშვილს ძირს ჩამოსვამდა და გატრიალდებოდა...

ერთ დღეს მოხუცმა შვილს უთხრა:

- ჟან, assez, არა?

მალე ქალაქში ფაქიზად დაბეჭდილი და ორი ხელმოწერით გამაგრებული ფორმულარები გავრცელდა, სადაც იოჰან ბუდენბროკი-უფროსი ყველას ატყობინებდა, რომ ხანდაზმულობა აიძულებდა, თავისი ამჟამინდელი აღებმიცემობითი მოღვაწეობა დაესრულებინა. ამ მიზეზებისა გამო განსვენებული მამამისის მიერ 1768 წელს დაარსებულ ფირმას „იოჰან ბუდენბროკს“, თავისი აქტივითა და პასივით, დღეის ამას იქით თავის ვაჟსა და ყოფილ კომპანიონს, იოჰან ბუდენბროკს, როგორც ერთპიროვნულ მფლობელს, გადასცემდა. მისი უმორჩილესი თხოვნა იყო, იოჰან ბუდენბროკ-უმცროსისთვისაც ყოველმხრივი ნდობა გამოეცხადებინათ.

ფორმულარი ასე მთავრდებოდა:

„საფირმო ბარათს უკანასკნელად აწერს ხელს თქვენი მონა-მორჩილი იოჰან ბუდენბროკი-უფროსი“.

როცა ფორმულარები დაიგზავნა, მოხუცმა კანტორიდან ფეხი ამოიკვეთა და კიდევ უფრო გულგრილი გახდა. მეუღლის სიკვდილიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მარტში, სურდო შეეყარა და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ლოგინად ჩავარდნილიყო. ერთ ღამეს ჟამმა დაჰკრა. მთელმა ოჯახმა მის სარეცელთან მოიყარა თავი. მოხუცმა კონსულს უთხრა:

- აბა, შენ იცი, ჟან, ბედნიერად, გახსოვდეს - courage!

თომასს კი დაუბარა:

- მხარში ამოუდექი მამაშენს!

მერე ქრისტიანს შეხედა:

- ეცადე, კაცი გამოხვიდე!

ამის შემდეგ მოხუცი დადუმდა, ყველა შეათვალიერა, ერთხელ კიდევ უკანასკნელად ჩაილაპარაკა, უცნაურიაო, და პირი კედლისკენ იბრუნა.

გოტჰოლდი ერთხელაც არ უხსენებია. კონსულმა ძმას შეუთვალა, მომაკვდავი მამა ინახულეო. გოტჰოლდმა წერილზე დუმილით უპასუხა, მაგრამ მეორე დილით, როცა ჯერ იოჰან ბუდენბროკის სიკვდილის უწყებები დაგზავნილი არ იყო და კონსული კიბეზე ჩამოდიოდა, რათა კანტორაში აუცილებელი განკარგულებები გაეცა, მოხდა საოცრება: ბრაიტენშტრასეზე ტილოს სავაჭროს „ზიგმუნდ შტიუვინგი და კომპანიის“ მფლობელი გოტჰოლდ ბუდენბროკი თაღში სწრაფი ნაბიჯებით შემოდიოდა. ორმოცდაექვსი წლის ტანდაბალ და ჩასუქებულ გოტჰოლდს ფერფლისფერი, ჭაღარაშერეული ბაკენბარდები მოეშვა. მოკლე ფეხებზე ხამი, კუბოკრული ქსოვილის ტომარასავით ფართო შარვალი ეცვა. იგი კონსულს კიბეზე შეეგება. ნაცრისფერი ქუდის ფარფლებქვეშ წარბები აზიდა, მაგრამ მაშინვე შეჭმუხნა.

- იოჰან, - დაელაპარაკა ძმას მაღალი, სასიამოვნო ხმით ისე, რომ ხელი არ გაუწვდია, - როგორაა საქმე?

- ჩვენმა ძვირფასმა მამამ წუხელ სული განუტევა, - ხმა გაებზარა კონსულს და ძმას ქოლგიან ხელში ჩასჭიდა ხელი.

გოტჰოლდმა ისე ჩამოქუფრა წარბები, რომ ქუთუთოები თავისით დაეხურა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კონსულს დაჟინებით ჩაეკითხა:

- უკანასკნელ წუთებამდე არაფერი შეცვლილა, იოჰან?

კონსულმა გველნაკბენივით წაიღო ხელი, ერთი საფეხურით უკანაც კი დაიხია, მრგვალი, ღრმად ჩამჯდარი თვალები გაუნათდა და უპასუხა:

- არა, არაფერი!

გოტჰოლდმა წარბი ისევ აზიდა და ძმას მომლოდინე მზერა მიაპყრო:

- შემიძლია თუ არა, რაიმეს მოველოდე შენი სამართლიანობისგან? - ხმას დაუწია მან.

კონსულმა თვალები დახარა, შემდეგ ძმისთვის სახეზე არც შეუხედავს, ისე მიუგო, წყნარად და მტკიცედ:

- ამ მძიმე წუთებში როგორც ძმას, ისე გამოგიწოდე ხელი. რაც შეეხება საქმეებს, როგორც ღირსეული ფირმის ერთპიროვნულ მფლობელს შეჰფერის, მხოლოდ ისე შემიძლია გელაპარაკო. რასაც ფირმის მფლობელის თანამდებობა მაკისრებს, იმის საწინააღმდეგოს ჩემგან არაფერს არ უნდა მოელოდე. ჩემს გრძნობებს ამ საქმესთან ხელი არა აქვს.

გოტჰოლდი წავიდა... მაგრამ დასაფლავების დღეს, როცა ნათესავებმა, ნაცნობ- მეგობრებმა, ფირმის დეპუტაციებმა, მტვირთავებმა, კანტორის მოხელეებმა და ბეღლის მუშებმა ოთახები, კიბეები და დერეფნები გაავსეს, როცა მენგშტრასეზე ერთმანეთის მიყოლებით მთელი ქალაქის მეეტლეები ჩამოდგნენ, კონსულის სასიხარულოდ გოტჰოლდი თავის მეუღლესა და სამ ქალიშვილთან ერთად მაინც მოვიდა. მისი ქალიშვილები ფრიდერიკე და ჰენრიეტე მეტისმეტად აწოწილები და გამხდრები იყვნენ, უმცროსი ქალიშვილი ფიფი კი თავისი თვრამეტი წლის ასაკისთვის შეუფერებლად ჩასუქებული გახლდათ.

ქალაქგარეთ, სასაფლაოს განაპირას, ბუდენბროკების საგვარეულო აკლდამასთან, მარიენკირხელმა პასტორმა კოლინგმა, ბრგე, დიდთავა, ყიამყრალმა კაცმა მიცვალებულის წესიერ, ღვთის მოსაწონ ცხოვრებას ხოტბა შეასხა და „ავხორცებს, მუცელღმერთებსა და ლოთებს“ დაუპირისპირა. ამ უხეშ გამოთქმაზე ზოგიერთებმა ერთმანეთს გადახედეს. მათ კარგად ახსოვდათ ახლახან გარდაცვლილი პასტორ ვუნდერლიჰის თავდაჭერილობა. როცა სამგლოვიარო ცერემონიალი დამთავრდა და სამოცდაათმა თუ ოთხმოცმა დაქირავებულმა მეეტლემ ქალაქისკენ იბრუნა პირი, გოტჰოლდ ბუდენბროკმა კონსულის მეგზურობა მოიწადინა, როგორც თვითონ თქვა, ძმასთან პირისპირ სურდა ლაპარაკი. ჰოდა, აქ, მაღალ, ხალვათ, მოუხეშავ კარეტაში გოტჰოლდი ძმას გვერდით მიუჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და გულთბილი საუბარი წამოიწყო. თურმე გოტჰოლდი, როგორც თვითონ თქვა, თანდათან რწმუნდება კონსულის მოქმედების სისწორეში, მასაც არ უნდა მამის ხსოვნა შებღალოს, უარს ამბობს თავის პრეტენზიებზე, მით უმეტეს, რომ კომერციას საერთოდ თავს ანებებს და მემკვიდრეობითა და დანაზოგით აპირებს ცხოვრებას. ტილოს სავაჭრო დიდად არ უხალისებს გულს, ვაჭრობის საქმე ისე მდორედ მიუდის, რომ მისი გაფართოება არც ღირს... „მამის ურჩ შვილს ღმერთი არ სწყალობს!“ - გაიფიქრა კონსულმა და ცისკენ ღვთისმოსავი მზერა აღაპყრო. შეიძლება გოტჰოლდიც ამასვე ფიქრობდა.

მენგშტრასეზე გოტჰოლდი ძმას მცირე სასადილო ოთახში აჰყვა. გაზაფხულის სუსხში დიდხანს დგომისგან შეცივებულებმა თითო ჭიქა ძველი კონიაკი გადაკრეს. გოტჰოლდმა ორიოდე თავაზიანი სიტყვით რძალი მოიკითხა, ბავშვებს თავზე ხელი გადაუსვა და წავიდა. ერთი კვირის შემდეგ კი „ბავშვების დღეზე“ კროგერების სააგარაკო სახლს ესტუმრა. თავისი სავაჭრო ფირმის გაუქმების საქმე უკვე დაწყებული ჰქონდა.

მეხუთე თავი

კონსულს ერთი გარემოება სტკენდა გულს: მამამისი უფროსი შვილიშვილის საქმეში შეამხანაგებას ვერ მოესწრო, რაც იმავე წელს, სააღდგომოდ მოხდა.

თექვსმეტი წლის თომასმა სკოლა მიატოვა. ბოლო ხანებში ტანი აიყარა და თავისი მირონცხების შემდეგ, როცა პასტორმა კოლინგმა ღაღადით ზომიერებისკენ მოუწოდა, მთლად მოზრდილთა შესაფერ ტანსაცმელს იცვამდა. ასე ჩაცმული კიდევ უფრო მაღალი ჩანდა. ყელზე ბაბუას დანატოვარ გრძელ ოქროს ჯაჭვს ატარებდა, ჯაჭვზე ოჯახის გერბამოტვიფრული მედალიონი ეკიდა. გერბი, ცოტა არ იყოს, მელანქოლიური გახლდათ: ზედ ჭაობიანი მიწა იყო მოხატული, ნაპირზე ეულად მდგარი, გაძარცული ძეწნა მოჩანდა. შეძლებული როსტოკელი თერძის ნაქონი ზურმუხტისთვლიანი, ტვიფრიანი ძველთაძველი ბეჭედი და დიდი ბიბლია კონსულს ერგო.

თომასი, რაც დრო გადიოდა, ბაბუას ემსგავსებოდა, ქრისტიანი კი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა მამას. თომასს მრგვალი ნიკაპი და ჩამოქნილი, სწორი ცხვირი ბაბუასი გამოჰყოლოდა. გვერდზე გაყოფილი მოწაბლისფრო თმა ვიწრო, ძარღვებით დაქსელილ საფეთქლებთან ყურესავით იჭრებოდა. თმისგან განსხვავებით წარბ- წამწამი ღია ფერის, თითქმის უფერული ჰქონდა. თომასს ცალი წარბის აზიდვა უყვარდა. მოძრაობები, ლაპარაკი და სიცილი, რომლის დროსაც საკმაოდ ულამაზო კბილები მოუჩანდა, მშვიდი და დაკვირვებული იცოდა. თავის ხელობას სერიოზულად და იჭვნეულად ეკიდებოდა.

განსაკუთრებით საზეიმო გახლდათ ის დღე, როცა კონსულმა პირველი საუზმის შემდეგ თომასი კანტორაში გაიყოლა და იქ ბატონ მარკუსს - საქმეთა მმართველს, ბატონ ჰავერმანს - მოლარესა და დანარჩენ პერსონალს წარუდგინა, თუმცა ამ ხალხთან თომასი მანამდეც გაშინაურებული იყო. იმ დღეს თომასი პირველად იჯდა თავის მბრუნავ სავარძელში პულტთან და საბუთებზე ბეჭდის დასმით, ქაღალდების გადარჩევითა და გადაწერით იყო გართული. ნაშუადღევს მამამ რიყეზე განლაგებული ბეღლები: „ცაცხვი“, „მუხა“, „ლომი“ და „ვეშაპი“ მოატარა. კაცმა რომ თქვას, თომასი თავს იქაც შინაურად გრძნობდა, მაგრამ ახლა ბეღლებში, როგორც თანამშრომელი, ისე უნდა გამოცხადებულიყო.

თომასი საქმეს გულისხმიერად ეკიდებოდა, მამას ჩუმ და ჯიუტ გულმოდგინებაში ბაძავდა. კონსული თავაუღებლად შრომობდა. ვინ იცის, თავის დღიურში ღვთისთვის შველა რამდენჯერ უთხოვია. მოხუცის სიკვდილმა ბუდენბროკების
სალოცავი ფირმა საგრძნობლად დააზარალა, ზარალს კი ანაზღაურება სჭირდებოდა. ერთხელ, გვიან ღამით, ლანდშაფტებიან ოთახში კონსულმა თავის მეუღლეს საქმის ვითარება დაწვრილებით გააცნო. თორმეტის ნახევარი იყო. ბავშვებს და მამზელ იუნგმანს დერეფანში განლაგებულ ოთახებში ეძინათ, მეორე სართული ახლა ცარიელი იყო, იქ მხოლოდ უცხო სტუმრებს თუ დააბინავებდნენ. ქალბატონი ბუდენბროკი მეუღლის გვერდით იჯდა ყვითელ სოფაზე. კონსულს პირში სიგარა გაერჭო და „საქალაქო უწყებანის“ საბირჟო შენიშვნებს ათვალიერებდა. კონსულის მეუღლე აბრეშუმზე რაღაცას ქარგავდა და ტუჩების ცმაცუნით ნემსით ამობნეულ

ნაყშს ითვლიდა. მის გვერდით, ოქროს ორნამენტებით შემკულ ხელსაქმის ნატიფ მაგიდაზე, შანდალში ექვსი სანთელი ენთო; იმ ღამეს ჭაღი არ აუნთიათ.

იოჰან ბუდენბროკი უკვე ორმოცს გადასცილებოდა და უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად მობერებულიყო. პატარა, მრგვალი თვალები უფრო ჩასცვენოდა, დიდი, კეხიანი ცხვირი უფრო გამოკვეთოდა და ღაწვის ძვლები უფრო დამჩნეოდა. გულდასმით გაყოფილი ფერფლისფერი თმა საფეთქლებზე ისე მოუჩანდა, თითქოს პუდრი ჰქონოდეს წაყრილი. ორმოც წლამდე მიღწეულ კონსულის მეუღლეს კი თავისი არა უზადოდ მშვენიერი, მაგრამ მაინც ბრწყინვალე გარეგნობა კარგად შეენარჩუნებინა. მის ჭორფლით აქა-იქ დაწინწკლულ რძისფერ კანს სინაზე არ დაეკარგა. მოწითალო, დიდი ხელოვნებით დავარცხნილი თმა სანთლის შუქზე ძველებურად უელავდა. კონსულის მეუღლემ ღია ცისფერი თვალები ხელსაქმეს მოაშორა და მეუღლეს მიმართა:

- ერთ რამეზე მინდოდა გეფიქრა, ჩემო ძვირფასო ჟან; ხომ არ აჯობებდა, ფარეში აგვეყვანა... უამისობა აღარ შეიძლება... ჩემიანების სახლი რომ მაგონდება...

კონსულმა გაზეთი მუხლებზე დაიდო, სიგარა პირიდან გამოიღო და რადგან საქმე ახალ ხარჯს ეხებოდა, მეუღლეს ყურადღებით შეხედა.

- აი, რას გეტყვი, ჩემო ძვირფასო და პატივცემულო ბეტსი, - დაიწყო მან შორიდან. უნდოდა დამაჯერებელი მოსაზრებანი მოეფიქრებინა, - მსახური? ჩვენი ცხონებული მშობლების სიკვდილის შემდეგ მამზელ იუნგმანის გარდა, სამი მოახლე დავიტოვეთ და მე მგონია...

- რას ამბობ, ჟან! ამოდენა სახლს აბა, ვინ გასწვდება? კი ვეუბნები ხოლმე ლინეს, ჩემო კარგო, უკანა ოთახებში რამდენი ხანია მტვერი არ გადაწმენდილა-მეთქი, მაგრამ ხალხს არაქათს ხომ არ გამოვაცლი. ისედაც მთელი დღე ფუსფუსებენ, რომ ეს მხარე მაინც ჰქონდეთ სუფთად და ლამაზად მილაგებული... ფარეშს გასაგზავნ- გამოსაგზავნად მოვიხმარდით. ვინმე ყოჩაღი, უბრალო გლეხის ბიჭი რომ მოგვეყვანა... ჰო, მართლა, არ დამავიწყდეს, ჟან, ლუიზა მოლენდორფი თავისი ანტონის დათხოვნას აპირებს. მახსოვს ის ბიჭი სუფრას შნოიანად უძღვებოდა...

- უნდა გამოგიტყდე, ეს აზრი ჭკუაში არ მიჯდება, - თქვა კონსულმა და უსიამოვნოდ შეიშმუშნა, - ახლა ჩვენ საზოგადოებაში არ დავდივართ და არც შინ ვიღებთ სტუმრებს...

- მართალი ხარ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სტუმარი არ გვაკლია. ისინი ჩემთან როდი მოდიან, ძვირფასო, თუმცა კარგად იცი, ყველას მოსვლა მიხარია. გვეწვევა ვინმე მახლობელი კლიენტი, შენ სადილზე პატიჟებ, სანამ სასტუმროში ნომერს აიღებდეს, ბუნებრივია, ჩვენთან ათევს ღამეს, შემდეგ ერთი შვიდი-რვა დღით მისიონერი გვესტუმრება ხოლმე. იმ კვირაში კანშტატიდან პასტორ მათიასს ველოდებით... მოკლედ, მსახურის გასამრჯელო ისე უმნიშვნელოა, რომ...

- კი, მაგრამ ხარჯი რომ ხარჯს ემატება, ბეტსი? სახლში ხომ ოთხ სულს ვაძლევთ ხელფასს. ფირმის მოხელეებს რატომღა ივიწყებ?

- ნუთუ ერთი მსახურის აყვანა გაგვიჭირდება? - ღიმილით თქვა ქალბატონმა ბუდენბროკმა და ქმარს ალმაცერად გახედა, - მშობლების მსახურები რომ მაგონდება...

- შენს მშობლებზე ამბობ, ბეტსი? მერედა, თუ იცი, ჩვენი საქმეები როგორ მიდის?

- მართალი გითხრა, კარგად ვერ ვერკვევი, ჟან!..

- მაგას სულ იოლად აგიხსნი, ბეტსი, - მიუგო კონსულმა. სოფაზე მოხერხებულად ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, ნაფაზი დაარტყა და თვალმოჭუტულმა ბეჯითად დაიწყო ანგარიში:

- ერთი სიტყვით, განსვენებულ მამაჩემს ჩემი დის გათხოვებამდე 900000 მარკა ჰქონდა, რა თქმა უნდა, უძრავი ქონებისა და ფირმის ღირებულების გარდა. 80000 მზითვად გაატანა ჩემს დას, 100000 კი გოტჰოლდს უბოძა. დარჩა 720000. მერე ამ სახლის შეძენაზე (ალფშტრასეზე სახლი რომ გვქონდა, თუ იმის ღირებულებას გამოვაკლებთ), შეკეთებასა და სხვა საქმეებზე 100000 დაიხარჯა, დაგვრჩა 620000. ფრანკფურტში ჩემს დას ამ სახლის საკომპენსაციოდ 25000 მარკა გადავუხადეთ, ესეც შენი 595000. ასეც დარჩებოდა ეს თანხა მამაჩემის გარდაცვალებამდე, რომ 200000 მარკა მოგების წინანდელი ხარჯები არ გაესწორებინა. მაშასადამე, მთელი კაპიტალი 795000 მარკამდე ავიდა. აქედან მამას სიკვდილის შემდეგ გოტჰოლდს - 100000, ფრანკფურტელ დას კი 267000 გადავუხადეთ. რამდენიმე ათასი მარკა რომ მოვაკლოთ, რაც მამაჩემმა სულიწმინდას ჰოსპიტალს, ვაჭართა ქვრივების სალაროსა და სხვა მისთანებს უანდერძა, გვრჩება 420000, შენი მზითევიც - 100000 მარკა. თუ დავამრგვალებთ, აი, სულ ეს არის მთელი ჩემი თანხა. ფასების მერყეობაზე არაფერს ვამბობ. როგორც ხედავ, არც ისე მდიდრები ვართ, ჩემო კარგო. თუმცა საქმე შევამცირეთ, მაგრამ ხარჯები იგივე დარჩა. საქმის შეკვეცა გასავალს არ ამცირებს, გამიგე?

კონსულის მეუღლემ ყოყმანით დაუქნია თავი. საქარგავი ჯერ კიდევ კალთაში ედო.

- მშვენივრად გავიგე, ჩემო ძვირფასო ჟან, - უთხრა მან, თუმცა ყველაფერი ვერ გაიგო და, საერთოდ, არ ესმოდა, ასეთი მსხვილი თანხის პატრონს მოსამსახურის აყვანა რატომ უნდა გასჭირვებოდა.

კონსულმა სიგარა მოქაჩა და განაგრძო:

- შენ, ალბათ, ფიქრობ, როცა ღმერთი შენი მშობლების სულს მიიბარებს, ჩვენ გვარიანი თანხა გვერგება. მართალია, მაგრამ მით უმეტეს უფლება არა გვაქვს ამის იმედით ქონება გავფლანგოთ. კარგად მოგეხსენება, რომ მამაშენმა იუსტუსის წყალობით დიდი ზარალი ნახა. იუსტუსი შესანიშნავი ადამიანია, მაგრამ ვერაფერი

შვილი სოვდაგარი გამოდგა და ხელი მოეცარა. ბევრ კლიენტთან იზარალა, საბრუნავი კაპიტალის შემცირების შედეგად ბანკებთან შეთანხმებით კრედიტები გაუძვირდა. მამაშენს იუსტუსის დასახსნელად რამდენჯერმე მოუხდა გვარიანი თანხის გაღება. ამგვარი რამ შეიძლება გამეორდეს და ვშიშობ, რომ უეჭველად გამეორდება. გულახდილობისთვის მომიტევე, ბეტსი. ხელგაშლილი ცხოვრება, რაც მამაშენს, როგორც საქმეს ჩამოცილებულ კაცს ასე შვენის, იუსტუსს, როგორც საქმის კაცს, არაფრისდიდებით არ შეეფერება... ხომ გესმის ჩემი? ცოტა წინდაუხედავი კაცია შენი ძმა, არა, ბეტსი? ცოტა აჩქარებული და ზერელე... შენი მშობლები კი, რაც ძალიან მახარებს, არაფერს იკლებენ, ბატონკაცურად ცხოვრობენ, როგორც მათ
მდგომარეობას ეკადრება, ისე ირჯებიან.

ქალბატონმა ბუდენბროკმა ლმობიერად ჩაიღიმა. კარგად იცოდა, კონსულს მისი ოჯახის დიდკაცური ცხოვრება თვალში არ მოსდიოდა.

- კარგი, - განაგრძო კონსულმა და სიგარის ნამწვი საფერფლეში ჩააგდო, - მე, ჩემი მხრივ, იმის იმედი მაქვს, რომ ღმერთი ძალას შემინარჩუნებს და მისი შეწევნით ფირმის ქონებას წინანდელ სიმაღლეზე ავიყვან. დიახ, იმედი მაქვს. ახლა ყველაფერი ნათელია შენთვის, ბეტსი, არა?..

- სავსებით, ჟან, სავსებით! - არ დააყოვნა პასუხი კონსულის მეუღლემ. ის დღეისთვის მსახურის თაობაზე სიტყვის გაგრძელებას აღარ აპირებდა, - ახლა ძილის დროა, არა? ძალიან გვიანაა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი, როცა კონსული კანტორიდან კარგ გუნებაზე დაბრუნდა, გადაწყდა, მოლენდორფების დათხოვნილი მსახური აეყვანათ.

მეექვსე თავი

- ტონის პანსიონში მივაბარებთ, რასაკვირველია, ფროილაინ ვაიჰბროტთან, - ისე მტკიცედ თქვა კონსულმა ბუდენბროკმა, რომ არავინ შესდავებია.

როგორც მოვიხსენიეთ, მშობლები ტონითა და ქრისტიანით ისე კმაყოფილი ვერ იქნებოდნენ, როგორც თომასით, კლარათი ან საბრალო კლოტილდეთი. თომასი საქმეში ნიჭსა და უნარს იჩენდა, კლარაც სწრაფად იზრდებოდა, საბრალო და უწყინარ კლოტილდეს კი ძველებურად შესაშური მადა ჰქონდა.

ქრისტიანის ყველაზე უმცირესი დანაშაული ის იყო, რომ თითქმის ყოველდღე ბატონ შტენგელთან ყავას მიირთმევდა. კონსულის მეუღლეს ბოლოს და ბოლოს მოთმინება გამოელია. ერთ დღეს ბატონ მასწავლებელს თავაზიანი ბარათი გაუგზავნა და მოსალაპარაკებლად მენგშტრასეზე მოიპატიჟა. ბატონი შტენგელი თავისი საკვირაო

პარიკით ეახლა, გაშეშებული საყელო ეკეთა, ჟილეტიდან შუბებივით წვერწამახულ ფანქრებს მოუჩანდა თავი. ბატონი შტენგელი და კონსულის მეუღლე
ლანდშაფტებიან ოთახში ისხდნენ, ქრისტიანი კი სასადილო დარბაზში შეყუჟულიყო
და მათ საუბარს მალულად უგდებდა ყურს. სანიმუშო აღმზრდელმა ენაწყლიანად, თუმცა ოდნავ დარცხვენილმა გაუზიარა კონსულის მეუღლეს თავისი შეხედულებები, ილაპარაკა „ხაზისა“ და „შტრიხის“ საფუძვლიან განსხვავებაზე, მოიხსენია „მწვანე ტყე“ და ნახშირის ყუთი. თან წამდაუწუმ იშველიებდა სიტყვებს
„აქედან გამომდინარე“, ეს სიტყვები ამ წარჩინებულ გარემოში, ალბათ, ყველაზე შესაფერისად მიაჩნდა. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ კონსული შემოვიდა, ქრისტიანი სასადილო დარბაზიდან კინწისკვრით გააგდო, მერე შტენგელთან მივიდა და გულისტკივილი გამოთქვა ქრისტიანის უწესო საქციელის გამო. ამან ბატონი მასწავლებელი გაანაწყენა.

- ო, როგორ გეკადრებათ, ბატონო კონსულო! მოსწავლე ბუდენბროკი ხალისიანი ჭკუა-გონების პატრონია. აქედან გამომდინარე... ცოტა ანცი კი გახლავთ, თუ თავს ნებას მივცემ, ასე გამოვთქვა, ჰმ... აქედან გამომდინარე...

კონსულმა ბატონი შტენგელი ოთახებში თავაზიანად გაატარა და სადარბაზო კართან დაემშვიდობა.

მაგრამ ამ ოინებს კიდევ არა უშავდა, ქრისტიანის უარესი დანაშაული რომ არ გამომჟღავნებულიყო.

ერთ საღამოს ქრისტიან ბუდენბროკს ნება დართეს მეგობართან ერთად ქალაქის თეატრში წასულიყო. თეატრში იმ საღამოს „ვილჰელმ ტელს“ უჩვენებდნენ. ტელის ვაჟიშვილის - ვალტერის როლს ახალგაზრდა ქალი თამაშობდა, ვინმე მადმუაზელ მაიერ დე ლა გრანჟი. ამ მსახიობ ქალს ერთი ახირებული ჩვეულება ჰქონდა: როლს შეეფერებოდა თუ არა, სცენაზე ბრილიანტებით მოოჭვილი გულსაბნევით გამოდიოდა. ბრილიანტები რომ წმინდა წყლისა იყო, ეჭვი არავის ეპარებოდა. ყველამ იცოდა, ეს ძვირფასი ნივთი განსვენებული ხეტყის მსხვილი ვაჭრის ვაჟიშვილის, ახალგაზრდა კონსულ პეტერ დოლმანის ნაჩუქარი იყო. დოლმანები ჰოლშტენის ჭიშკრის ახლოს, პირველ ვალშტრასეზე ცხოვრობდნენ. კონსული დოლმანი ქალაქში Suitier[41]-ებად მონათლული ვაჟბატონების წრეს ეკუთვნოდა, რომელთა რიცხვში იუსტუს კროგერიც შედიოდა. ეს სახელი კი იმას ნიშნავდა, რომ პეტერ დოლმანი ცოტა თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა. ცოლ-შვილი ჰყავდა, მაგრამ დიდი ხანია ცოლთან გაშორებული იყო და უცოლო კაცივით ცხოვრობდა. მამამ გვარიანი ქონება დაუტოვა. პეტერი ვითომ მამის საქმეს აგრძელებდა, მაგრამ ხმა დადიოდა, ახალგაზრდა კონსულმა უკვე ძირითად კაპიტალს გაჰკრა კბილიო. მეტწილად კლუბში დადიოდა, ან „რატსკელერში“, რესტორანში საუზმობდა. დილაობით, ასე ოთხ საათზე, სადმე ქუჩაში დაინახავდით. ხშირად საქმეზე ჰამბურგში მიემგზავრებოდა. თეატრის დიდი მოყვარული გახლდათ, არც ერთ წარმოდგენას არ

აკლდებოდა, განსაკუთრებით დასის პირადი შემადგენლობა აინტერესებდა. მადმუაზელ მაიერ დე ლა გრანჟი ახალგაზრდა მსახიობთაგან უკანასკნელი იყო, ვისთვისაც გასულ წლებში ბრილიანტები ესახსოვრებინა.

მოკლედ, ვალტერ ტელის როლში ყმაწვილი ქალი მეტად მომხიბლავი გახლდათ. ჩვეულებისამებრ, იმ დღესაც ბრილიანტის გულსაბნევი ამშვენებდა. მსახიობი ქალი ისე ამაღელვებლად თამაშობდა, ქრისტიან ბუდენბროკს აღტაცებისგან თვალზე ცრემლი მოადგა. რაც მერე აღფრთოვანებულმა ქრისტიანმა ჩაიდინა, მხოლოდ გრძნობამორეულ ადამიანს შეეძლო გაეკეთებინა: ანტრაქტზე მახლობელ საყვავილეში გაიქცა და ერთ მარკად და რვა-ნახევარ შილინგად თაიგული იყიდა. შემდეგ ეს თოთხმეტი წლის დიდცხვირა და წვრილთვალება ლაწირაკი კულისებისკენ გაძვრა. წინ არავინ შეხვედრია და პირდაპირ ფროილაინ მაიერ დე ლა გრანჟის ტუალეტს მიადგა. მსახიობი ქალი კონსულ პეტერ დოლმანთან საუბარში იყო გართული. კონსული სიცილისგან კინაღამ გადაბრუნდა, თაიგულით ხელდამშვენებული ქრისტიანი რომ დაინახა; ახალგამოჩეკილი Suitier წელში მოიხარა, ვალტერ ტელს ყვავილები მიართვა, თავი ნელა გადაიქნია და აღელვებისგან ათრთოლებული ხმით მიმართა:

- ფროილაინ, რა მშვენივრად თამაშობდით!

- ერთი ამ კრიშან ბუდენბროკს დამიხედეთ! - წამოიძახა კონსულმა დოლმანმა, ფროილაინ მაიერ დე ლა გრანჟმა კი კოხტა წარბები აზიდა და იკითხა:

- ეს ყმაწვილი კონსულ ბუდენბროკის ვაჟია? - შემდეგ თავის ახალ თაყვანისმცემელს ლოყაზე ხელი ალერსიანად მოუთათუნა.

პეტერ დოლმანს ენაზე რა დააკავდებოდა - იმავე საღამოს კლუბში ყველაფერი დაწვრილებით ჩამოფქვა. ქრისტიან ბუდენბროკის დონჟუანობის ამბავი მთელ ქალაქს ელვის სისწრაფით მოედო და სკოლის დირექტორის ყურამდეც კი მიაღწია. დირექტორმა საჭიროდ ცნო, კონსულ ბუდენბროკს მოლაპარაკებოდა. კონსული როგორ შეხვდა ამ ამბავს? შვილის საქციელმა ის უფრო მეტად შეძრა და გული ატკინა, ვიდრე გააბრაზა. როცა მეუღლეს ქრისტიანის თავგადასავალს უყვებოდა, ლანდშაფტებიან ოთახში წელმოწყვეტილივით იჯდა.

- ესაა ჩვენი შვილი? ხედავ, რას სჩადის?

- ჟან, თუ ღმერთი გწამს, ნუ ცხარობ! მამაშენს ამ ამბავზე გულიანად გაეცინებოდა... თუ გინდა, ხუთშაბათს ჩემს მშობლებს მოუყევი, ნახავ, მამაჩემიც როგორ გამხიარულდეს.

კონსული ახლა კი გამოვიდა მოთმინებიდან:

- ვაი, რომ მაგაში ეჭვი არ მეპარება, ბეტსი! დიახ, გაუხარდება, რომ მისი დაუდეგარი სისხლი და ღვთის საგმობი საქციელი მარტო იუსტუსს კი არა, იმ მუსუსს... მის

შვილიშვილსაც გამოჰყოლია... ეშმაკმა დალახვროს, მაპატიე, მაგრამ მაიძულებ, ასე ვილაპარაკო! ჩემი ვაჟიშვილი მიდის ასეთ ვიღაცასთან, ამ მანჭიასთვის ჯიბის ფულს ხარჯავს! არც კი იცის, რას სჩადის, მაგრამ სისხლი ამბობს თავისას, სისხლი!..

დიახ, ცუდი ამბავი მოხდა. კონსულს თავზარს ისიც სცემდა, რომ არც ტონი იქცეოდა კარგად. მართალია, რაც წამოიზარდა, ქუჩაში ფერმკრთალ კაცს აღარ ახტუნავებდა და თოჯინებით მოვაჭრე ლიზასაც მოეშვა, მაგრამ ტუჩის აბზუებას მეტისმეტად მიეჩვია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ზაფხული ბებიასთან გაატარა, ქედმაღლობისა და კუდაბზიკობის ჭია ღრღნიდა.

ერთ დღეს კონსულმა წაასწრო, ტონი და მამზელ იუნგმანი კლაურენის რომანს „მიმილის“ კითხულობდნენ; კონსულმა წიგნი გადაათვალიერა, ხმა არ ამოუღია, ისე წაიღო და სამუდამოდ ჩაკეტა. ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ ტონი - ანტონია ბუდენბროკი - სრულიად მარტო თავისი ძმების ამხანაგ გიმნაზიელ ბიჭთან ერთად ქალაქგარეთ წაბრძანდა სასეირნოდ. მაღალ წრეში გარეულმა თერძის მეუღლემ, ფრაუ შტუტმა, ორივე დაინახა და მოლენდორფებთან კაბის შესასყიდად მისულმა აზრი გამოთქვა, - როგორც ჩანს, მადმუაზელ ტონი ისეთ ასაკშია, როცა...

სენატორის მეუღლეს ფრაუ მოლენდორფსაც არ დაუხანებია და კონსულს ყველაფერი მხიარულად უამბო. ქალაქგარეთ გასეირნებას ბოლო მოეღო. შემდეგ გამომჟღავნდა, რომ მადმუაზელ ტონი ქალაქის განაპირას ერთი ბებერი, ფუღუროიანი ხიდან პატარ- პატარა ბარათებს იღებდა და სამაგიეროს დებდა. ეს წერილებიც იმ გიმნაზიელი ბიჭისგან მოსდიოდა. როცა საქმე გამოაშკარავდა, საჭიროდ მიიჩნიეს თხუთმეტი
წლის ტონისთვის უფრო მტკიცედ ედევნებინათ თვალყური. ბუდენბროკებმა გადაწყვიტეს, ქალიშვილი ფროილაინ ვაიჰბროტის პანსიონში მიებარებინათ. ეს პანსიონი მიულენბრინკის 7 ნომერში მდებარეობდა.

მეშვიდე თავი

ტერეზა ვაიჰბროტი კუზიანი იყო, ისეთი კუზიანი, რომ მაგიდაზე ოდნავ მაღალი თუ იქნებოდა. ორმოცდაერთი წლისა გახლდათ, მაგრამ რადგან ჩაცმა-დახურვას ყურადღებას არასოდეს აქცევდა, სამოცი-სამოცდაათი წლის დედაბერივით გამოიყურებოდა. ყურებზე გულდასმით ჩამოვარცხნილ ჭაღარა კულულებზე მწვანე ლენტით შემკულ ჩაჩს იხურავდა. ლენტები ვიწრო, ბავშვურ მხრებზე ეცემოდა. სადა, შავ კაბაზე ვერავითარ სამკაულს ვერ დაუნახავდით, მხოლოდ ერთი დიდი ოვალური გულსაბნევი ეკეთა - შიგ ჩასმულ ფაიფურზე დედამისის სურათი იყო გამოსახული.

ფროილაინ ვაიჰბროტს ჭკვიანი და გამსჭვალავი თაფლისფერი თვალები, ოდნავ კეხიანი ცხვირი და თხელი ტუჩები ჰქონდა. ტუჩებს ხშირად მკაცრად კუმავდა

ხოლმე. საერთოდ, მის დალეულ ფიგურასა და მიხრა-მოხრაში ძალა იგრძნობოდა, რაც ცოტა სასაცილო ჩანდა, მაგრამ მოწიწებას კი იწვევდა. ამ გრძნობას მისი ლაპარაკის მანერაც აძლიერებდა. ფროილაინ ვაიჰბროტი ლაპარაკის დროს ქვედა ყბას ცოცხლად და ნერვიულად ამოძრავებდა, თავს სწრაფად, დაჟინებით აქნევდა. ლაპარაკობდა ზუსტად, სწრაფად, გარკვევით, კუთხურად არასოდეს მოუქცევდა. ყოველ თანხმოვანს მკვეთრად გამოთქვამდა, ხმოვნებს კი ასხვაფერებდა, მაგალითად, „ბუტერბროდის“ მაგიერ „ბოტერბროდს“ ამბობდა, ხანდახან
„ბატერბროდსაც“ კი. თავის ჭირვეულ გოშიას „ბობის“ კი არა, „ბაბის“ ეძახდა. როცა რომელიმე მოწაფე გოგონას ეტყოდა; „ნუ ხარ ასე სოლელიო“ და თან მოკაკულ საჩვენებელ თითს მაგიდაზე დააკაკუნებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ფროილაინ ვაიჰბროტი აღარ ხუმრობდა. ან თუ ფრანგი მადმუაზელ პოპინე ყავაში შაქარს ბლომად ჩაიყრიდა, ფროილაინ ვაიჰბროტი თვალებს ჭერისკენ აღაპყრობდა, ხელს სუფრაზე ფორტეპიანოს დამკვრელივით აათამაშებდა და ისე იტყოდა, მე მთელ საშაქრეს ჩავცლიდიო, რომ მადმუაზელ პოპინე ყაყაჩოსავით წითლდებოდა ხოლმე.

ბავშვობაში, ღმერთო ჩემო, ბავშვობაში რამოდენა უნდა ყოფილიყო! ტერეზა ვაიჰბროტმა თვითონ შეირქვა „ზეზემი“, ეს მეტსახელი დიდობაშიც არ მოუშლია და საუკეთესო, ყველაზე ბეჯით მოწაფეებს, ინტერნებსა თუ ექსტერნებს, ნებას რთავდა, მისთვის ზეზემი დაეძახათ.

- დამიძახე ზეზემი, შვილო, - პირველ დღესვე უთხრა მან ტონი ბუდენბროკს და შუბლზე სწრაფად და წკლაპუნით აკოცა, - მიყვარს, ასე რომ მეძახიან.

ზეზემის უფროს დას, მადამ კეთელსენს, ნელი ერქვა. მადამ კეთელსენი ორმოცდარვა წლისა იქნებოდა. გარდაცვლილ მეუღლეს მისთვის ცხოვრების არავითარი სახსარი
არ დაეტოვებინა. ახლა დასთან ცხოვრობდა, ზედა სართულზე ერთი პატარა ოთახი ეჭირა და საერთო სუფრაზე სადილობდა. ისიც ზეზემივით იცვამდა, მაგრამ მისგან განსხვავებით უსაშველოდ აწოწილი გახლდათ. გამხმარ მკლავებზე შალის ხელსათბურები ეცვა. ეს უწყინარი და ჩუმი არსება მასწავლებელი არ იყო და სიმკაცრე მის ბუნებას ვერ ეგუებოდა. ფროილაინ ვაიჰბროტის რომელიმე აღსაზრდელი თუ რაიმეს წაიეშმაკებდა, ისე კეთილად და გულაჩუყებული იცინოდა, სანამ ზეზემი თითს მაგიდაზე არ დააკაკუნებდა და დას მკაცრად არ შესძახებდა,
„ნელიო“, ისე მკაცრად, რომ ნელის მაგიერ „ნალი“ გამოუდიოდა. მაშინ დამფრთხალი ნელი ჩაჩუმდებოდა ხოლმე.

მადამ კეთელსენი უმცროს დას ემორჩილებოდა, თავს ბავშვივით ატუქსვინებდა, ზეზემი კი ნელის აბუჩად იგდებდა. ტერეზა ვაიჰბროტი ნაკითხი, თითქმის განათლებული ქალი იყო. ცოტა ძალის დახარჯვა როდი მოუხდა, თავისი ბავშვური რწმენა, რელიგიურობა და იმედი შეენარჩუნებინა - მძიმე და უფერული ცხოვრებისთვის იმ ქვეყნად ღმერთი სამაგიეროს მომიზღავსო. მადამ კეთელსენი კი პირიქით, ერთი უბირი, უსწავლელი, გულუბრყვილო არსება გახლდათ.

- კეთილი ნელი! - ამბობდა ზეზემი, - ღმერთო ჩემო, ნამდვილი ბავშვია, ეჭვებს არასოდეს დაუტანჯავს, არავითარი ბრძოლა არ გადაუტანია, რა ბედნიერია...

ასეთ სიტყვებში იმდენივე დამცირება იყო, რამდენიც შური. შური კი ზეზემის ხასიათის სუსტი, მაგრამ ამავე დროს მისატევებელი მხარე გახლდათ.

ზეზემის წითელი აგურის სახლი ქალაქის განაპირა უბანში, კარგად მოვლილ ბაღში იდგა. პირველი სართული მაღალზე იყო. იგი საკლასო ოთახებსა და სასადილოს ეჭირა. ნახევარსარდაფსა და ზედა სართულს საძინებლად იყენებდა, ფროილაინ ვაიჰბროტს მოწაფეები ბევრი არ ჰყავდა, რადგან პანსიონში მხოლოდ მოზრდილ გოგონებს იღებდა. სულ სამი კლასი ჰქონდა, გარდა ამისა, ფროილაინ ვაიჰბროტს მოწაფეების არჩევის ერთი მკაცრი წესი ჰქონდა: მისი პანსიონის კარი მხოლოდ და მხოლოდ წარჩინებული ოჯახის შვილებისთვის იყო ღია. ტონი ბუდენბროკი, როგორც უკვე მოგახსენეთ, გულთბილად მიიღეს; ვახშამზე მოწაფეებს ტერეზამ ბიშოფიც კი მიართვა, წითელი, ტკბილი პუნში, ცივი, შუშხუნა სასმელი. ტერეზა ბიშოფს დიდი ოსტატობით ამზადებდა.

- კიდევ ცოტა ბეშაფი ხომ? - ისე ალერსიანად და მადის აღმძვრელად იტყოდა ფროილაინ ვაიჰბროტი, რომ წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო.

ტერეზა მაგიდის თავში ორ ბალიშზე იჯდა და სუფრას წინდახედულად უძღვებოდა; დალეული ტანი გამართულად ეჭირა, მაგიდაზე თითებს აკაკუნებდა, ხან „ნალის“ შემოუწყრებოდა და ხან „ბაბის“, ხან კი მადმუაზელ პოპინეს დაუბრიალებდა თვალებს, როცა ის ცივად შემწვარი ხბოს ხორცის ჟელეს მთლიანად გადმოღებას დააპირებდა. ტონის პანსიონატის ორ სხვა მოწაფეს შორის მიუჩინეს ადგილი. ერთ მხარეს მეკლენბურგელი მემამულის ქერა, ჩასკვნილი ქალიშვილი, არმგარდ
შილინგი ეჯდა, მეორე მხარეს კი ამსტერდამელი გერდა არნოლდსენი.

გერდას ელეგანტური და უცხო იერი ჰქონდა, ოდნავ ქედმაღლურ, თეთრ, ლამაზ სახეს ხშირი სპილენძისფერი თმა და ახლო-ახლო ჩამჯდარი მუქი თაფლისფერი თვალები უმშვენებდა. ტონის პირდაპირ ფრანგი გოგონა ენას შეუჩერებლად ატარტარებდა, ყურებში კი ზანგივით უშველებელი ოქროს საყურეები გაერჭო. მაგიდის ბოლოში გაფშიკული ინგლისელი მის ბრაუნი იჯდა და სახეზე მჟავე ღიმილი დასთამაშებდა. მის ბრაუნიც პანსიონში ცხოვრობდა.

ზეზემის ბიშოფმა ყველა მალე დაამეგობრა. მადმუაზელ პოპინე ყვებოდა, წუხელაც საშინელი კოშმარები მქონდაო... Ah, quelle horreur![42] - მადმუაზელ პოპინემ ისეთი ყვირილის ატეხა იცოდა, არიქა, ქურდებიო, რომ ყველას წამოახტუნებდა ხოლმე.

ლაპარაკში გამოირკვა, რომ გერდა არნოლდსენი სხვებივით ფორტეპიანოზე კი არ უკრავდა, არამედ ვიოლინოზე, მამამისი თურმე ნამდვილ სტრადივარიუსის ვიოლინოს შეჰპირებოდა. დედა არ ჰყავდა. ტონის მუსიკის ნიჭი არ გააჩნდა. ეს ბუდენბროკების უმრავლესობისა და ყველა კროგერის ნაკლი გახლდათ. ტონი

მარიენკირხეში დაგუგუნებულ ქორალებსაც კი ვერ არჩევდა ერთმანეთისგან. ო, სამაგიეროდ Nieuwe Kerk[43]-ის ორგანს ამსტერდამში ნამდვილი vox humana აქვს, ნამდვილი ადამიანის ხმა, ღმერთო, რა დიდებულად ჟღერს! არმგარდ ფონ შილინგი
ამ დროს თავის ძროხებზე ლაპარაკობდა.

არმგარდმა ტონიზე დანახვისთანავე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს იყო პირველი დიდგვაროვანი ქალიშვილი, რომელიც მან გაიცნო. რა ბედნიერებაა ატარო ფონ შილინგის გვარი! ტონის მშობლებს ქალაქში ულამაზესი სახლი ჰქონდათ, ბებია და ბაბუაც წარჩინებული ხალხი იყვნენ, მაგრამ მათ ხომ უბრალოდ „ბუდენბროკი“ და „კროგერი“ ერქვათ, რაც განსაკუთრებით გულდასაწყვეტი იყო. კეთილშობილი ლებრეჰტ კროგერის შვილიშვილს არმგარდის აზნაურობამ თავბრუ დაახვია. ხანდახან ფიქრობდა, ეს დიდებული „ფონ“ მე უფრო დამმშვენდებოდაო. ღმერთო, არმგარდი თავის ბედნიერებას არად დაგიდევდათ. მას სქელი ნაწნავები და კეთილი, ცისფერი თვალები ჰქონდა. ლაპარაკის დროს მეკლენბურგულად უქცევდა. თავისი აზნაურობა სულ არ აგონდებოდა. არმგარდს კეთილშობილებისა არაფერი ეცხო და არც თავს დებდა. სიტყვა „კეთილშობილი“ ტონის საოცრად ღრმად ჩაებეჭდა ტვინში და ამ სიტყვით მხოლოდ გერდა არნოლდსენს იხსენიებდა.

გერდას თავი დანარჩენებისგან ცოტა შორს ეჭირა. იგრძნობოდა, რომ მის სისხლში უცხო სისხლი ჩქეფდა.

ზეზემი ბევრს უშლიდა, მაგრამ გერდას თავისი გაჰქონდა: სპილენძისფერ, მშვენიერ თმას ოდნავ გამომწვევად იყენებდა. ბევრი ვიოლინოზე დაკვრასაც მანჭიობად უთვლიდა. ეს უკვე მკაცრ გაკიცხვას ნიშნავდა. თუმცა არ შეიძლებოდა ტონის არ დათანხმებოდით, რომ გერდა არნოლდსენი ნამდვილად კეთილშობილი ქალიშვილი იყო. კეთილშობილება გერდას თავისი ასაკისთვის მეტად განვითარებულ გარეგნობაზე, ჩვეულებებსა და პირად ნივთებზეც კი ეტყობოდა. ქალიშვილს პარიზიდან ჩამოტანილი სპილოს ძვლის სატუალეტო მოწყობილობა ჰქონდა. პატარა ბუდენბროკმა იცოდა ამ საგნების ფასი. ტონის სახლში ბევრჯერ უნახავს თავისი მშობლების, ბებიასა და ბაბუას მიერ პარიზიდან ჩამოტანილი ათასგვარი ნივთი, რომლებსაც ისინი თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ.

ეს სამი გოგონა მალე დამეგობრდა. ისინი ერთ კლასში იყვნენ და მეორე სართულზე, ყველაზე დიდ საძინებელ ოთახში ცხოვრობდნენ. რა სასიამოვნო და სახალისო იყო
ის დრო, როცა ათ საათზე დასაძინებლად მაღლა ავიდოდნენ და სანამ გაიხდიდნენ, ხმადაბლა საუბრობდნენ - სხვა გზა არ ჰქონდათ, მეზობელ ოთახში მადმუაზელ პოპინეს სწორედ ამ დროს ელანდებოდა ქურდები. იგი ჰამბურგელ პატარა ევა ევერსთან ერთად იძინებდა. ევა ევერსის მამა, ხელოვნების დიდი მოტრფიალე და კოლექციონერი, ამჟამად მიუნხენში ცხოვრობდა.

ყავისფერზოლებიანი შტორები ჩამოშვებული იყო. მაგიდაზე დაბალი, ყვითლად შებურვილი ლამპა ენთო. ოთახში იისა და სუფთა თეთრეულის სურნელი

იგრძნობოდა. ამ მყუდროებაში მოთენთილობის, უზრუნველობისა და ოცნების განწყობილება სუფევდა.

- ღმერთო ჩემო, - წამოიწყო არმგარდმა. მას კაბა უკვე გაეხადა და თავისი საწოლის კიდეზე ჩამომჯდარიყო, - რა სხაპასხუპით ლაპარაკობს დოქტორი ნოიმანი! შემოვა კლასში, დადგება მაგიდასთან და იწყებს საუბარს რასინზე...

- რა მშვენიერი, მაღალი შუბლი აქვს, - შენიშნა გერდამ. იგი ფარდებს შორის მოთავსებულ სარკესთან იდგა და სანთლის შუქზე თმას ივარცხნიდა.

- ჰო! - სწრაფად უპასუხა არმგარდმა.

- არმგარდ, კარგი ეშმაკი ხარ, ნოიმანზე იმიტომ ჩამოაგდე სიტყვა, რომ ამ ხოტბის მოსმენა გსურდა. გაკვეთილზე შენი ცისფერი თვალებით ისე მისჩერებიხარ ხოლმე, თითქოს...

- გიყვარს? - შეეკითხა ტონი, - ოჰ, ვერაფრით ვერ გავიხსენი ფეხსაცმლის ზონარი, მ ო დ ი რა, გერდა... აი, ასე, მაშ, გიყვარს, ხომ, არმგარდ? გაჰყევი ცოლად, ჩინებული საქმროა, მალე გიმნაზიის პროფესორი გახდება...

- ღმერთო, რა საძაგლები ხართ, სულაც არ მიყვარს, მე მასწავლებელს ვერ გავყვები, მემამულეს უნდა მივთხოვდე...

- აზნაურს? - ტონიმ წინდა დააგდო და არმგარდს დაფიქრებულმა შეხედა.

- ჯერ არ ვიცი, მაგრამ დიდი მამული კი უნდა ჰქონდეს... რომ იცოდეთ, გოგოებო, როგორ მიხარია! დილით ხუთ საათზე ავდგები და მეურნეობას მივხედავ.

არმგარდმა საბანი წაიფარა და მეოცნებე თვალები ჭერს მიაპყრო.

- ახლა არმგარდის სულიერ თვალთა წინაშე ხუთასი ძროხა ბალახობს, - თქვა გერდამ და მეგობარს სარკეში გახედა.

ტონი გაუხდელად მიწვა ლოგინზე, თავი ბალიშზე დადო, ხელები თავქვეშ ამოიწყო და ისიც ჭერს მიაჩერდა დაფიქრებული.

- მე, რა თქმა უნდა, კომერსანტს გავყვები, - თქვა მან, - ფული ბევრი უნდა ჰქონდეს, რომ მდიდრულად ვიცხოვროთ. ეს ჩემი ვალია ოჯახისა და ფირმის წინაშე, - სერიოზულად დაუმატა ტონიმ, - აი, ნახავთ, ასეც ვიზამ.

გერდამ თმა აიკრიფა და ფართო, თეთრი კბილების წმენდას შეუდგა. თან სპილოს ძვლის ჩარჩოში ჩასმულ ხელის სარკეში იხედებოდა.

- მე, ალბათ, სულ არ გავთხოვდები, - ძლივს თქვა მან, რადგან პირი პიტნიანი ფხვნილით ჰქონდა გამოტენილი, - რატომ, ვერ გეტყვით, მაგრამ გათხოვების

არავითარი სურვილი არა მაქვს. წავალ ამსტერდამში, მამასთან ერთად დუეტებს დავუკრავ, მერე ჩემს გათხოვილ დასთან ვიცხოვრებ.

- რა ცუდია! - წამოიძახა ტონიმ ცოცხლად, - იცი, როგორ მწყინს, გერდა! რა კარგი იქნება, აქ რომ გათხოვდე და სამუდამოდ აქ დარჩე... მომისმინე, ხომ შეიძლება ჩემს რომელიმე ძმას გაჰყვე?

- რომელს, დიდცხვირას? - შეეკითხა გერდა, თან უდარდელად დაამთქნარა და პირზე სარკე მიიფარა.

- იმას ან მეორეს, სულერთი არაა?.. ღმერთო, როგორ მოეწყობოდით! ფიშშტრასელი იაკობსი რომ არის, მეშპალერე, იმას დაუძახებდით, იცი, რა გემოვნება აქვს! მეც ყოველდღე გესტუმრებოდით.

მაგრამ ამ დროს მადმუაზელ პოპინეს ხმა მოისმა.

- Ah! voynos, mesdames![44] - დაწექით, s’il vous plait![45] ამ საღამოს მაინც ვეღარ მოასწრებთ გათხოვებას!

კვირადღეებსა და არდადეგებს ტონი მენგშტრასეზე ან ქალაქგარეთ ბებიასა და ბაბუასთან ატარებდა. რა ბედნიერება იყო, როცა აღდგომის კვირას მზიანი დარი იდგა და კროგერების უზარმაზარ ბაღში კვერცხებისა და მარციპანის კურდღლების ძებნას შეუდგებოდნენ ხოლმე! ან ზაფხულის ზღვაზე გატარებას რა შეედრებოდა. იქ ისინი კურჰაუსში ცხოვრობდნენ, ტაბლდოტზე სადილობდნენ, ბანაობდნენ და სახედრით დასეირნობდნენ. იმ წლებში, როცა კონსული დიდ საქმეებს ატრიალებდა, ბუდენბროკები უფრო შორსაც მიდიოდნენ, შობის დღესასწაულს ხომ ნუღარ იკითხავთ! ტონი, ჯერ ერთი, საჩუქრებს სამგან იღებდა: შინ, ბებიასთან და პანსიონში, სადაც ბიშოფი უხვად იღვრებოდა... შობის საღამო მაინც ყველაზე დიდებულად შინ იმართებოდა. კონსულს უყვარდა, როცა ქრისტეშობას ლოცვა- კურთხევით, ზეიმითა და ღაღადისით ეგებებოდნენ. ოჯახის წევრები ლანდშაფტებიან ოთახში იყრიდნენ თავს. ამ დროს მოსამსახურეები, ვიღაც მოხუცები და ქალაქის ღარიბ-ღატაკნი სვეტებიან სადარბაზოში ირეოდნენ. კონსული სიცივისგან გალურჯებულ ხელებს არ თაკილობდა - ყველას ხელს ართმევდა, გარეთ კი ოთხხმიანი საგალობელი გაისმოდა. ეს მარიენკირხეს ბავშვთა გუნდი იყო. ისეთი საზეიმო განწყობილება გამეფდებოდა, რომ გულებს ბაგაბუგი გაუდიოდა. მაღალი, თეთრი კარის ჭუჭრუტანებიდან ნაძვის სურნელი აღწევდა. კონსულის მეუღლე ძველი საოჯახო ბიბლიიდან უზარმაზარი ასოებით დაწერილ საშობაო თავს წაიკითხავდა და გარეთ საგალობელი აჟღერდებოდა თუ არა, ყველანი „ნაძვის ხეო, ნაძვის ხეოს“ წამოიწყებდნენ, კარისკენ დინჯად გაემართებოდნენ, სვეტებიან სადარბაზოს გადაჭრიდნენ და დიდ სასადილო ოთახს მიადგებოდნენ. ვრცელ დარბაზში ჭერს მიბჯენილი, ქათქათა შროშანებით მორთული, ბრჭყვიალა და სურნელოვანი ნაძვის ხე ციმციმებდა. საჩუქრების ტაბლა ფანჯრებიდან კარამდე იყო

გაჭიმული. გარეთ, მოლიპულ ქუჩებში იტალიელი მეარღნეები არღანს აჭყვიტინებდნენ, ბაზრის მოედნიდან კი საშობაო ბაზრობის ღრიანცელი ისმოდა.

გვიან ღამით სვეტებიან დარბაზში გაშლილ სავახშმო სუფრას კლარას გარდა ოთხივე ბავშვი მიუჯდებოდა ხოლმე. სუფრაზე უხვად შემოჰქონდათ კობრი და ჩირით მუცელგამოტენილი ინდაურები.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ უკანასკნელ სამ წელიწადში ტონი ბუდენბროკი ორ მეკლენბურგულ მამულს ესტუმრა. ზაფხულის რამდენიმე კვირა არმგარდთან გაატარა, ბატონ ფონ შილინგის მამულში. შილინგების მამული ტრავეს შესართავის მოპირდაპირე მხარეს, ყურესთან იყო გადაჭიმული. მეორეჯერ ტონი თავის ბიძაშვილთან - ტილდასთან ერთად გაემგზავრა მეკლენბურგში. იქ ბატონი ბერნჰარდ ბუდენბროკი გახლდათ მოურავი. ამ მამულს „ეწერს“ ეძახდნენ, რადგან არავითარ შემოსავალს არ იძლეოდა, არდადეგების გასატარებლად კი არა უჭირდა რა.

ასე მიდიოდა წლები. ეს იყო ტონის სიყმაწვილის უბედნიერესი ხანა.

მესამე ნაწილი

პირველი თავი

ივნისის ერთ ნაშუადღევს, დაახლოებით ხუთ საათზე, ბუდენბროკები ბაღში ისხდნენ „პორტალის“ წინ და ყავას მიირთმევდნენ. შიგნით, ფანჩატურისმაგვარ, ნახევრად ღია, თეთრად შეფეთქილ ოთახში ჰაერი ძალიან დაიხუთა და ნუჟრებიანი, დაკალასებული ხის გაურანდავი ავეჯი გარეთ გამოიტანეს. სიღრმეში ფრთაგაშლილი ჩიტუნებით მოხატული მაღალი კედლის სარკე და ორი გალაქული კარი მოჩანდა. კარგად თუ დააკვირდებოდით, აღმოაჩენდით, რომ კარი უბრალოდ იყო კედელზე გამოყვანილი და სახელურებიც მიხატული ჰქონდა.

კონსული, მისი მეუღლე, ტონი, ტომი და კლოტილდე გაშლილ სუფრას ნახევარწრისებურად უსხდნენ. მაგიდაზე ჯერ კიდევ აულაგებელი სერვიზი ბრწყინავდა. ცოტა მოშორებით სახედაღმეჭილ ქრისტიანს ხელში ციცერონი ეჭირა და კატილინას საწინააღმდეგოდ წარმოთქმულ მეორე სიტყვას იზუთხავდა.

კონსული სიგარას ეწეოდა და „უწყებების“ თვალიერებით იყო გართული, კონსულის მეუღლეს საქარგავი კალთაში ჩაედო და პატარა კლარას მოღიმარი სახით

fb.com/groups/elib

შესცქეროდა. ბავშვი იდა იუნგმანთან ერთად მწვანე მინდორზე იებს ეძებდა, აქ ხანდახან ია იცოდა.

ტონის თავი ხელებზე დაეყრდნო და ჰოფმანის „სერაფიონის ძმებს“ გატაცებით კითხულობდა. ტომი დას ბალახის ღეროს კეფაზე ფრთხილად უცაცუნებდა. ძმის ანცობას ტონი განგებ არ იმჩნევდა.

გაძვალტყავებული, მობერებული, ყვავილებიან ჩითის კაბაში გამოწყობილი კლოტილდე რაღაც მოთხრობას კითხულობდა. მოთხრობას ასეთი სათაური ჰქონდა:
„ბრმა, ყრუ-მუნჯი და მაინც ბედნიერი“, ხანგამოშვებით კლოტილდე სუფრაზე ბისკვიტის ნამცეცებს მოაგროვებდა და ხუთი თითით პირში ფრთხილად გადაუძახებდა ხოლმე.

ცაზე აქა-იქ გაბნეული ქულა ღრუბლები უძრავად ეკიდა. ცა ნელ-ნელა უფერულდებოდა. სიმეტრიულად გაყვანილი ბილიკებითა და ყვავილნარებით მოხატული ბაღი გადაწვერილ მზის სხივებში იყო ჩაფლული. ყვავილნარებიდან ნიავს ხანდახან რეზედების სურნელი მოჰქონდა.

- აჰა, ტომ, - ხალისიანად მიმართა შვილს კონსულმა და სიგარა პირიდან გამოიღო, - მე რომ გიყვებოდი, „ვან ჰენკდომ და კომპანიასთან“ ჭვავის ვაჭრობის გარიგების ამბებს, ის საქმე, მგონი, გამოდის.

- რამდენს იძლევა? - ინტერესით იკითხა თომასმა და ტონის მოეშვა.

- ათას კილოგრამში სამოც ტალერს... ცუდი არაა, ხომ?

- ცუდი კი არა, შესანიშნავია! - თომასმა იცოდა, რომ ეს სარფიანი საქმე იყო.

- ტონი ცუდად ზიხარ. განა ეს comme il faut?[46] - შენიშნა კონსულის მეუღლემ.

ტონის წიგნიდან თავი არ აუღია, ცალი იდაყვი ისე ჩამოუშვა.

- მერე რა უშავს, - თქვა თომასმა, - როგორც უნდა იჯდეს, მაინც ტონი ბუდენბროკია.
ტილდა და ტონი ნამდვილად ულამაზესები არიან ჩვენს ოჯახში.

კლოტილდემ გაოცებისგან პირი დააღო.

- ღმერთო! ტოომ! - ისე გააგრძელა კლოტილდემ, რომ პირდაპირ საოცარი იყო, ამას როგორ ახერხებდა.

ტონი ძმის დაცინვას ხმაამოუღებლივ ითმენდა, რადგან იცოდა, რომ ტომი დაჯაბნიდა. ისეთ რამეს უპასუხებდა, ყველას გააცინებდა და თავის მხარეს გადაიბირებდა. მან მხოლოდ ნესტოები გაბუშტა და მხრები აიჩეჩა, მაგრამ როცა კონსულის მეუღლემ კონსულ ჰუნეუსთან მოსალოდნელ ბალზე დაიწყო ლაპარაკი და ახალი ლაქის ფეხსაცმელები ახსენა, ტონიმ მაგიდიდან მეორე იდაყვიც ჩამოიღო და საუბარში ხალისიანად ჩაება.

- სულ ლაპარაკობთ და ლაპარაკობთ, - საცოდავად წამოიძახა ქრისტიანმა, - ამის ზუთხვა კი რა ძნელია, რომ იცოდეთ!.. მეც კომერსანტობა მინდა, თუ კარგია!

- ჰო, შენ ყოველდღე ახალ-ახალი სურვილები გიჩნდება, - უთხრა თომასმა.

ამ დროს ეზოში ანტონი გამოჩნდა. ლანგრით ბარათი მოჰქონდა. ყველანი მას მიაჩერდნენ.

- გ რ ი უ ნ ლ ი ჰ ი, აგენტი, - წაიკითხა კონსულმა, - ჰამბურგელი პასტორის ვაჟი გახლავთ, სასიამოვნო, სანდო კაცია. მასთან საქმე მაქვს. უნდა მოვილაპარაკოთ... ანტონ, სთხოვე ბატონს, აქეთ მობრძანდეს. ხომ არაფერი გექნება საწინააღმდეგო, ბეტსი? ხომ შეიძლება სტუმარი აქ მივიღოთ?

ბაღში მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მოდიოდა წინ კისერწაწვდილი, საშუალო ტანის, ასე ოცდათორმეტიოდე წლის მამაკაცი. ქუდი და ჯოხი ცალ ხელში ეჭირა, ტანთ მომწვანო-მოყვითალო შალის გრძელკალთებიანი კოსტიუმი ეცვა და ნაქსოვი ხელთათმანები ეკეთა. შეთხელებული ღია ქერა თმის ქვემოთ ვარდისფერი სახე უღიმოდა; ცხვირის ნესტოსთან კაიხელა მეჭეჭი აჯდა. ნიკაპი და საულვაშე სუფთად გაეპარსა, ცინცხალი ოქროსფერი ბაკენბარდები კი ინგლისურ ყაიდაზე დაეყენებინა.

მან ერთგულების ნიშნად შორიდანვე დაიქნია თავისი დიდი, ღია ნაცრისფერი შლაპა, უკანასკნელი, გრძელი ნაბიჯიც გადადგა და ფანჩატურში შემოვიდა კიდეც. წელში რკალივით მოიხარა და ყველას ამგვარად მიესალმა.

- ხელი შეგიშალეთ, ოჯახურ წრეში შემოგეჭერით, - თქვა მან რბილი ხმით, - ზოგი საინტერესო წიგნებს კითხულობთ, ზოგი საუბარში ბრძანდებით გართული... უმორჩილესად გთხოვთ, მომიტევოთ.

- თქვენი სტუმრობა სასიამოვნოა, ჩემო ძვირფასო ბატონო გრიუნლიჰ! - შეაგება კონსულმა, ვაჟიშვილებთან ერთად ფეხზე წამოდგა და სტუმარს ისე მიესალმა, - ძალიან მოხარული ვარ, რომ კანტორის გარეთ, ჩემს ოჯახურ წრეში გხედავთ. ბეტსი, გაიცანით, ბატონი გრიუნლიჰი, ჩვენი დიდი ხნის კლიენტი... ჩემი ქალიშვილი ანტონია... ჩემი ძმისწული კლოტილდე... თომასს თქვენ უკვე იცნობთ... ეს ჩემი მეორე ვაჟი გახლავთ, ქრისტიანი, გიმნაზიელი.

ბატონი გრიუნლიჰი ყოველი სახელის ხსენებაზე წელში ორად იკეცებოდა.

- როგორც მოგახსენეთ, არ ვაპირებ დაუპატიჟებელი სტუმრის როლი ვითამაშო... მე საქმეზე გეახელით. თუ ბატონი კონსული პატივს დამდებს და ბაღში ჩემთან ერთად გამოისეირნებს...

კონსულის მეუღლემ უპასუხა:

- დიდად გვასიამოვნებთ, თუ ახლავე ჩემს მეუღლესთან არ განმარტოვდებით და ცოტა ხნით ჩვენს საზოგადოებაში დარჩებით. დაბრძანდით!

- უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, - თქვა ნასიამოვნებმა ბატონმა გრიუნლიჰმა, შემდეგ შეთავაზებული სკამის კიდეზე გამართული ჩამოჯდა, ქუდი და ჯოხი მუხლებზე დაიწყო, ცალ ბაკენბარდზე ხელი გადაისვა და ჩაახველა, - ჰე-ე-მ! - თითქოს ამით უნდოდა ეთქვა: „ეს გახლავთ შესავალი, შემდეგო?“

კონსულის მეუღლემ საუბარი წამოიწყო:

- თქვენ ჰამბურგიდან ბრძანდებით? - შეეკითხა იგი სტუმარს, თავი გვერდზე გადახარა და ხელსაქმე კალთაში ჩაიდო.

- დიახ, ქალბატონო, - მიუგო ბატონმა გრიუნლიჰმა და წელში ხელახლა მოიხარა, - ძირითადად, ჰამბურგში ვცხოვრობ, მაგრამ მოგზაურობაში ბევრ დროს ვატარებ, ძალიან დატვირთული ვარ, მეტისმეტად გაცხოველებულ საქმიანობას ვეწევი... ჰეე-მ, დიახ, ნამდვილად.

კონსულის მეუღლემ წარბები აზიდა და ტუჩები ისე აამოძრავა, თითქოს ამბობდა: „ჰოო?“

- შეუსვენებელი საქმიანობა ჩემი სიცოცხლის აზრს წარმოადგენს, - დაუმატა სანახევროდ კონსულისკენ შებრუნებულმა ბატონმა გრიუნლიჰმა და ხელახლა ჩაახველა, როცა ფროილაინ ანტონიას ცივი და გამომცდელი მზერა დაიჭირა.

ასე იციან ქალიშვილებმა უცხო ახალგაზრდა კაცის ჭვრეტა. ეს შემფასებელი მზერა ყოველ წუთს მოსალოდნელია, ზიზღში გადავიდეს.

- ჩვენ ჰამბურგში ნათესავები გვყავს, - შენიშნა ტონიმ მხოლოდ იმიტომ, რომ რაიმე ეთქვა.

- დიუშანები, - აუხსნა გრიუნლიჰს კონსულმა, - განსვენებული დედაჩემის ოჯახი.

- ო, როგორ არ ვიცი! - სწრაფად უპასუხა ბატონმა გრიუნლიჰმა, - მე მქონდა ბედნიერება, პატივცემულ ბატონებს გავცნობოდი. ყველანი შესანიშნავი ადამიანები არიან. დიდად გულკეთილი და გონიერი ხალხი გახლავთ. ჰე-ეემ! ნამდვილად. ყველა ოჯახში რომ ასეთი სულისკვეთება სუფევდეს, ქვეყანას არაფერი უჭირდა. იქ შევხვდებით ღვთისმოსაობას, გულითადობას, შინაგან სიწმინდეს... მოკლედ, ჭეშმარიტ ქრისტიანებს, რაც ჩემი იდეალი გახლავთ; თან ეს ბატონები როგორ კეთილშობილურად, წარჩინებულად და ელეგანტურად გამოდიან საზოგადოებაში. ქალბატონო, მე პირადად მოხიბლული ვარ!

ტონიმ გაიფიქრა: „ეს ვაჟბატონი საიდან იცნობს ასე კარგად ჩემს მშობლებს? ზუსტად იმას ამბობს, რაც მათ სმენას ეამება“.

კონსულმა მოწონების ნიშნად შენიშნა:

- ასეთი გემოვნება ყოველ კაცს ამშვენებს.

კონსულის მეუღლემაც არ დააყოვნა:

- პირდაპირ ჩემს გულში ზიხართ, ბატონო გრიუნლიჰ! - უთხრა მან სტუმარს და გულითადობის ნიშნად ხელისგული გაუწოდა. სამაჯურმა გაიწკრიალა.

ბატონმა გრიუნლიჰმა თავი დახარა, მერე ისევ გასწორდა, ბაკენბარდზე ხელი ჩამოისვა და ჩაახველა, თითქოს უნდოდა, ეთქვა, განვაგრძოთო.

კონსულის მეუღლემ ორიოდე სიტყვით მოიხსენია ბატონ გრიუნლიჰის მშობლიურ ქალაქზე ორმოცდაორი წლის მაისის დღეებში თავს დატეხილი უბედურება.

- დიახ, - შენიშნა ბატონმა გრიუნლიჰმა, - დიდი უბედურება დაგვატყდა, ქალბატონო, ძალზე მძიმე გამოცდა იყო ეს ხანძარი. ზარალმა, თითქმის უზუსტესი გამოთვლით, ას ოცდათხუთმეტ მილიონს მიაღწია. ისე, მე, ჩემი მხრივ, განგებას უღრმეს მადლობას უნდა ვწირავდე... ოდნავადაც არ დავზარალებულვარ. ცეცხლი უმთავრესად წმინდა პეტრესა და წმინდა ნიკოლოზის ეკლესიების შემოგარენში მძვინვარებდა... ო, რა მომხიბლავი ბაღია, - საუბრის თემა გამოცვალა ბატონმა გრიუნლიჰმა და კონსულს სიგარა მადლობით ჩამოართვა, - ქალაქში ასეთი დიდი ბაღი უჩვეულოა! ან რა ფერადი ყვავილნარია... ოი, ღმერთო ჩემო, ყვავილებისა და ბუნებისთვის ჭკუას ვკარგავ! ის ყაყაჩოებიც როგორ ამშვენებს იქაურობას.

ბატონმა გრიუნლიჰმა შეაქო სახლის განლაგება, მთელ ქალაქს ხოტბა შეასხა, არც კონსულის მიერ შეთავაზებული სიგარა დავიწყებია, ყველაფერს თავაზიანი ეპითეტი გამოუნახა.

- ნება მომეცით, გავიგო, რას კითხულობთ, მადმუაზელ ანტონია? - ჰკითხა ტონის ღიმილით.

ტონიმ რატომღაც წარბი შეიკრა, ბატონ გრიუნლიჰისთვის არც კი შეუხედავს, ისე უპასუხა:

- ჰოფმანის „სერაფიონის ძმებს“.

- მართლა! დიდად გამოჩენილი მწერალი გახლავთ, - შენიშნა მან, - მაპატიეთ... თქვენი მეორე ვაჟის სახელი დამავიწყდა, ქალბატონო.

- ქრისტიანი.

- მშვენიერი სახელია! ძალიან მიყვარს, თუ შეიძლება ითქვას, ისეთი სახელები, - ბატონი გრიუნლიჰი ოჯახის უფროსს მიუბრუნდა, - რომლებიც თავისთავად გვაგებინებენ, რომ მათი პატრონი ქრისტიანია. თქვენ ოჯახში, როგორც ვიცი, სახელი „იოჰანი“ მემკვიდრეობით გადადის... როგორ არ უნდა მოგაგონდეს კაცს მაცხოვრის უსაყვარლესი მოწაფე იოანე. მე, მაგალითად, თუ ნებას მომცემთ, ვთქვა, - ენაწყლიანად განაგრძო მან, - ჩემი წინაპრების უმრავლესობის მსგავსად ბენდიქსი მქვია. ეს სახელი ცოტა გადასხვაფერებულად ბენედიქტე გახლავთ. თქვენ რას

კითხულობთ, ბატონო ბუდენბროკ? აჰ, ციცერონს! მეტისმეტად ძნელი წასაკითხია ამ დიდი რომაელი ორატორის ნაწარმოებები. Quousque tandem[47], კატილინა... ჰე-ეე-მ, დიახ, ჩემი ლათინური დღემდე არ დამვიწყებია!

კონსულმა თქვა:

- მე, განსვენებული მამაჩემის საპირისპიროდ, არასოდეს მომწონდა, როცა ახალგაზრდებს თავს ბერძნულითა და ლათინურით უტენიან. ქვეყანაზე იმდენი სერიოზული და მნიშვნელოვანი რამ არსებობს, რაც პრაქტიკული ცხოვრებისთვისაა საჭირო, რომ...

- თქვენ ჩემს აზრს ამბობთ, ბატონო კონსულო, - არ დაახანა გრიუნლიჰმა, - დამასწარით, თორემ იგივე უნდა მეთქვა. ისიც უნდა გითხრათ, რომ არც კია სასურველი მისი წაკითხვა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისეთი საჩოთირო ადგილები მაგონდება, პირდაპირ ვერ აგიწერთ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ტონიმ გაიფიქრა, ახლა ჩემი ჯერიაო, რადგან გრიუნლიჰმა მზერა მასზე შეაჩერა და მართლაც, გრიუნლიჰი ისე აცმუკდა სკამზე, ხელი უცნაურად, მაგრამ მაინც ელეგანტურად აამოძრავა, კონსულის მეუღლეს მიუბრუნდა და გრძნობამორეულმა წაიჩურჩულა:

- გთხოვთ, ქალბატონო, ყურადღება მიაქციოთ! ფროილაინ, გევედრებით, - უცებ ხმამაღლა ჩაურთო, თითქოს ტონის მხოლოდ ეს სიტყვები უნდა გაეგონა, - ერთი წუთით, არ გაინძრეთ... ყურადღება მიაქციეთ, - ისევ ჩურჩულით გააგრძელა მან, - როგორ თინათინობს მზე თქვენი ქალიშვილის თმაში! ამაზე მშვენიერი თმა ჩემს სიცოცხლეში არ მიხილავს! - დასძინა მან უცებ სერიოზულად, აღტაცებულს არავისთვის მიუმართავს, თითქოს მხოლოდ ღმერთს თუ საკუთარ გულს ესაუბრებაო.

კონსულის მეუღლე სიამოვნებისგან გაიბადრა, კონსულმა კი თქვა:

- გოგონას თავბრუს ნუ დაახვევთ კომპლიმენტებით!

ტონის კრინტი არ დაუძრავს, ისე შეიკრა წარბი. ბატონი გრიუნლიჰი რამდენიმე წუთის შემდეგ წამოდგა.

- მეტად აღარ შეგაწყენთ თავს, ქალბატონო, არა, ღმერთმანი! მე ხომ საქმეზე ვარ მოსული... მაგრამ ვინ გაუძლებდა თქვენთან საუბრის ცდუნებას... საქმე აღარ ითმენს! ნება მიბოძეთ, ბატონი კონსული გავსარჯო...

- მგონი, ეჭვი არ გეპარებათ, რომ დიდად მასიამოვნებთ, თუ ჩვენს სახლს თქვენი სტუმრობით გააბედნიერებთ.

ბატონ გრიუნლიჰს ერთი წამით მადლიერებისგან ენა დაება.

- დავშთები თქვენი პატივისმცემელი, ქალბატონო! - წარმოთქვა აღელვებულმა, - მაგრამ ჩემს თავს ნებას არ მივცემ, თქვენი თავაზიანობით ვისარგებლო. სასტუმრო „ჰამბურგ-ქალაქში“ რამდენიმე ოთახი მიჭირავს.

„რამდენიმე ოთახი“, - გაიფიქრა კონსულის მეუღლემ, გაიფიქრა ზუსტად ისე, როგორც ბატონ გრიუნლიჰს ჰქონდა გაანგარიშებული.

ბატონი გრიუნლიჰი კონსულის მეუღლეს ხელზე ეამბორა, ცოტა ხანს დაყოვნდა, დაელოდა, ტონი ხელს გამომიწოდებსო, მაგრამ ამაოდ. მერე წელში რკალივით მოიხარა, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, კიდევ ერთხელ მოიხარა წელში, თავი უკან გადაიგდო, ნაცრისფერი შლაპა დაიხურა და კონსულთან ერთად იქაურობას გაშორდა.

- რა სასიამოვნო კაცია! - გაიმეორა უკან მობრუნებულმა კონსულმა და თავისი ადგილი დაიკავა.

- ჩემი აზრით, მანჭიაა, - ტონიმ თავს ნება მისცა, ბოლო სიტყვა ბეჯითად გამოეთქვა.

- ტონი! ღმერთო ჩემო! ეს რა მესმის! - წამოიძახა, ცოტა არ იყოს, აღშფოთებულმა კონსულის მეუღლემ, - ასეთ ღვთისმოსავ ახალგაზრდა კაცზე ამას ამბობ?!

- თან რა აღზრდილია, ან საზოგადოებაში როგორ იცის თავის დაჭერა! - დაუმატა კონსულმა, - არც კი იცი, რას ამბობ, ტონი!

ხანდახან ტონის მშობლები თავაზიანობის გამო უჭერდნენ ხოლმე ერთმანეთს მხარს. ფიქრობდნენ, ამით შვილებზე გავლენას გავაძლიერებთო.

ქრისტიანმა დიდი ცხვირი შეჭმუხნა და თქვა:

- რა დიდი ამბით ლაპარაკობს!.. „ზოგი საუბრობს! „ ჩვენ კიდევ სულაც არ ვსაუბრობდით. „ის ყაყაჩოები როგორ ამშვენებს იქაურობას!“ ხანდახან ვითომ თავისთვის ლაპარაკობს ხმამაღლა. „მე ხელს გიშლით, გთხოვთ, მომიტევოთ“!..
„ამაზე მშვენიერი თმა არასოდეს მიხილავს!..“ - ქრისტიანმა ისე მოხდენილად გამოაჯავრა ბატონ გრიუნლიჰს, რომ კონსულმაც ვეღარ შეიკავა თავი და გაეცინა.

- ჰო, დიდად მოაქვს თავი! - ხელახლა წამოიწყო ტონიმ, - სულ თავის თავზე ლაპარაკობდა! მისი საქმეები არ იცდიან, მას უყვარს ბუნება, მას ურჩევნია ეს და ეს სახელები, მას ჰქვია ბენდიქსი... ნეტავ ვიცოდე, ჩვენ რაში გვენაღვლება ეს ამბები... ყველაფერს იმიტომ ამბობს, რომ თავი გამოიჩინოს! - ტონი უცებ გაბრაზდა, - დედა, ნუთუ ვერა გრძნობთ, შენცა და მამასაც იმას გეუბნებათ, რაც გესიამოვნებათ, უნდა, სულში ჩაგიძვრეთ!

- მერე რა არის ამაში ცუდი, ტონი! - ამოთქვა კლოტილდემ ნაზად. თუმცა მათ შორის ის იყო ერთადერთი, ვისთვისაც ბატონ გრიუნლიჰს იოტისოდენა ყურადღებაც კი არ მიუქცევია.

თომასმა აზრის გამოთქმისგან თავი შეიკავა.

- საკმარისია, - დაასკვნა კონსულმა, - ეს არის ღვთისმოსავი, საქმიანი და განათლებული კაცი, შენ კი, ტონი, თვრამეტის კი არა, აგერ ცხრამეტი წლის ქალიშვილს, იმ კაცზე აზრის გამოთქმისას, ვინც ასე პატივისცემითა და გალანტურად მოგექცა, მეტი თავშეკავება გმართებს. სისუსტე ყველას გვახასიათებს, შენ კი, მაპატიე და, ყველაზე ნაკლები უფლება გაქვს სხვას უკბინო. ტომ, აბა, საქმეს შევუდგეთ!

- ოქროსფერი ბაკენბარდები! - ჩაიდუდღუნა ტონიმ და წარბები ისევ შეიკრა, ამ საღამოს უკვე მერამდენედ.

მეორე თავი

- როგორ დამწყდა გული, ფროილაინ, რომ შინ ვერ გიხილეთ! - უთხრა რამდენიმე დღის შემდეგ ბატონმა გრიუნლიჰმა ტონის. იგი ქალიშვილს ბრაიტენშტრასესა და მენგშტრასეს კუთხეში შეეყარა, - თავს ნება მივეცი, დედათქვენი მომენახულებინა და გული მეტკინა, რომ შინ არ დამხვდით. რა ბედნიერი ვარ, აქ მაინც რომ გნახეთ!

ფროილაინ ბუდენბროკი შეჩერდა, მაგრამ ნახევრად მოჭუტული თვალები ბატონ გრიუნლიჰის მკერდისთვის არ აუცილებია. ბაგეზე დამცინავი და უმოწყალო ღიმილი დასთამაშებდა. ტონიმ ბაგე გახსნა, რა უნდა ეთქვა? ჰო! ისეთი სიტყვა უნდა მოენახა, რაც ამ ბენდიქს გრიუნლიჰს სამუდამოდ ჩამოაშორებდა და გაანადგურებდა... მაგრამ სიტყვა ზუსტი, დამცინავი უნდა ყოფილიყო, რაც მას ტონისადმი მოწიწებას აგრძნობინებდა და ამავ დროს გულს მძიმედ დაუკოდავდა.

- ვერ ვიტყვი, მეც ამასვე ვგრძნობდე! - უთხრა გრიუნლიჰს ისე, რომ მისი მკერდისთვის თვალი არ მოუცილებია.

ესროლა ეს მოწამლული ისარი თუ არა, ტონიმ ბატონი გრიუნლიჰი მიატოვა, თავი უკან გადაიგდო, თავისი სარკასტული საქციელით კმაყოფილი და სიამაყისგან ალმურადენილი სახლისკენ გაემართა. შინ მოახსენეს, მომავალი კვირისთვის ბატონი გრიუნლიჰი სადილად მოვიპატიჟეთო.

ისიც მობრძანდა. მთლად ახალ მოდაზე არ ყოფილა გამოწყობილი, მაგრამ კოხტა, ზარისებური, მინაოჭებული სერთუკი ეცვა. ეს კოსტიუმი სერიოზულ და სოლიდურ იერს ანიჭებდა. სახე ვარდისფრად უღვიოდა, შეთხელებული თმა გულმოდგინედ გაეყო და ბაკენბარდები აეფუმფულებინა. ის მიირთმევდა მუშელრაგუს, სუპს - ჟულიენს, თევზს, ხბოს შემწვარ ხორცს კარტოფილისა და ყვავილოვანი კომბოსტოს გარნირით, მარასკინის პუდინგს, ვესტფალურ თაფლის კვერებს კი როკფორის ყველს ატანდა, თან ყოველ კერძს შესაფერ ხოტბას ასხამდა.

სადესერტო კოვზს მაღლა ასწევდა, თვალებს შპალერზე გამოსახულ ქანდაკს მიაპყრობდა და თავისთვის ხმამაღლა ამბობდა:

- ღმერთმა შემინდოს, სხვაგვარად არ შემიძლია, უკვე მოზრდილი ნაჭერი გეახელით, მაგრამ ეს პუდინგი ისეთი გემრიელია, რომ გულუხვი დიასახლისი ერთხელ კიდევ უნდა გავსარჯო, - თან კონსულის მეუღლეს თვალებში შესციცინებდა.

ბატონი გრიუნლიჰი კონსულს პოლიტიკასა და სავაჭრო საქმეებზე ელაპარაკებოდა. სერიოზულ და საქმიან შენიშვნებს გამოთქვამდა, კონსულის მეუღლესთან კი თეატრზე, დარბაზობებსა და ტუალეტებზე საუბრობდა; ორიოდე თავაზიანი სიტყვა ტომის, ქრისტიანისა და საბრალო კლოტილდესთვისაც კი გამონახა, არც პატარა კლარა და მამზელ იუნგმანი გამორჩენია. ტონის ხმა არ ამოუღია და არც ბატონი გრიუნლიჰი ცდილა, გამოლაპარაკებოდა, მხოლოდ ხანდახან თავს გვერდზე გადაიგდებდა და ქალიშვილს ნაღვლიანი, მაგრამ იმედიანი თვალით შეჰყურებდა.

იმ საღამოს, როცა ბატონი გრიუნლიჰი ბუდენბროკებს დაემშვიდობა, მათზე ადრინდელზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა.

- ჩინებულად აღზრდილი ადამიანია, - თქვა კონსულის მეუღლემ.

- დიდად პატივსაცემი და ჭეშმარიტი ქრისტიანია, - დაურთო კონსულმა.

ქრისტიანს ამჯერად უკეთ შეეძლო ბატონი გრიუნლიჰის ლაპარაკისა და მანერების გამოჯავრება, ტონი კი კვლავ წარბშეკრული დაემშვიდობა ყველას. ქალიშვილი გუმანით გრძნობდა, რომ ამ კაცს, ვინც ასე სწრაფად მოახერხა მისი მშობლების გულის მოგება, უკანასკნელად არ ხედავდა.

მართლაც ერთ ნაშუადღევს შინ დაბრუნებულ ტონის ბატონი გრიუნლიჰი ლანდშაფტებიან ოთახში დახვდა მოკალათებული. იგი კონსულის მეუღლეს ვალტერ სკოტის „ვეევერლეის“ უკითხავდა და, უნდა ითქვას, რომ სანიმუშოდ მეტყველებდა. მას ხომ, როგორც თვითონ ამბობდა, საქმეებზე ინგლისშიც ხშირად უხდებოდა მოგზაურობა.

ტონიმ სხვა წიგნი აიღო ხელში და მოშორებით დაჯდა. ბატონმა გრიუნლიჰმა რბილად ჰკითხა:

- ალბათ, თქვენს გემოვნებას არ შეეფერება ის, რასაც მე ვკითხულობ, არა?

ტონიმ თავი ქედმაღლურად ასწია და მწარედ მიახალა:

- დიახ, ოდნავადაც არა!

გრიუნლიჰს წარბიც არ შერხევია, სიტყვა თავის ნაადრევად გარდაცვლილ მშობლებზე გადაიტანა. კონსულის მეუღლეს წვრილად მოუთხრო თავის მამაზე -

მოძღვარსა და პასტორზე. თურმე იგი ჭეშმარიტი ქრისტიანი და საზოგადოებაში დიდად მიღებული კაცი ყოფილა...

შემდეგ ბატონი გრიუნლიჰი ჰამბურგს ისე გაემგზავრა, რომ ტონი მის გამოსამშვიდობებელ ვიზიტს არ დასწრებია.

- იდა! - უთხრა ტონიმ მამზელ იუნგმანს, - იდა მისი გულის მესაიდუმლე გახლდათ, - ის კაცი გაემგზავრა!

იდა იუნგმანმა უთხრა:

- ეჰ, შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, აი, ნახავ.

რვა დღის შემდეგ მცირე სასადილოში ერთი ამბავი მოხდა. ტონი ცხრა საათზე ჩავიდა ქვემოთ და ძალიან გაუკვირდა, მამა რომ სუფრასთან დახვდა. ტონიმ დედასა და მამას შუბლი საკოცნელად მიუშვირა. ნამძინარევი თვალები ჰქონდა. მოშივებული სუფრას მიუჯდა, შაქარი და კარაქი მოიწია და მწვანე ყველი მოიჭრა.

- რა კარგია, მამა, რომ მოგისწარი! - უთხრა მან კონსულს, თოხლო კვერცხი ხელსახოცით აიღო და ჩაის კოვზით თავი წაატეხა.

- დღეს გადავწყვიტე ჩვენს ძილისგუდას დავლოდებოდი, - თქვა კონსულმა.

იგი სიგარას აბოლებდა და დაკეცილ გაზეთს მაგიდაზე მსუბუქად ურტყამდა. კონსულის მეუღლემ აუჩქარებლად და გრაციოზულად მიირთვა თავისი საუზმე და სოფაზე მიესვენა.

- ტილდა უკვე სამზარეულოში საქმიანობს, - განაგრძო კონსულმა მრავლისმეტყველად, - მეც ჩემს სამუშაოზე ვიქნებოდი, რომ მე და დედაშენს ჩვენს ქალიშვილთან სერიოზული საქმე არ გვქონოდა.

ტონის ლუკმა ყელში გაეჩხირა, ჯერ მამას შეხედა, მერე დედაზე გადაიტანა ცნობისმოყვარეობითა და შიშით აღსავსე მზერა.

- ჯერ ჭამე, შვილო, - უთხრა კონსულის მეუღლემ.

ტონიმ დანას ხელი უშვა და წამოიძახა:

- ბარემ ახლავე მითხარით, რა საქმე გაქვთ!

ჯერ ჭამეო, გაუმეორა კონსულმა ისე, რომ გაზეთით თამაშისთვის თავი არ დაუნებებია.

მადადაკარგული ტონი ყავას უხმოდ წრუპავდა, კვერცხსა და მწვანე ყველიან პურის ნაჭერსაც ათავებდა და თანდათან ხვდებოდა, მშობლებს მისთვის რაც უნდა ეთქვათ.

დილიდან გამოყოლილი ვარდისფერი სახეზე თანდათან გაუქრა, ცოტათი გაფითრდა კიდეც, თაფლზე უარი თქვა და მშობლებს წყნარი ხმით განუცხადა, გისმენთო.

- ჩემო საყვარელო გოგონა, - დაიწყო კონსულმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, - რაზედაც ჩვენ გვინდა გესაუბროთ, აი, ამ წერილში წერია, - კონსულმა გაზეთის მაგივრად ახლა დიდი, მოლურჯო კონვერტი დაარტყა მაგიდაზე, - ერთი სიტყვით, ბატონი ბენდიქს გრიუნლიჰი, რომელსაც ყველანი ვიცნობთ როგორც მშვენიერ და თავაზიან კაცს, მწერს, რომ აქ ყოფნის დროს ჩვენი ქალიშვილისადმი უნაზესი გრძნობით გამსჭვალულა და ყოველგვარი წესების დაცვით გვთხოვს მის ხელს. რას ფიქრობს ჩვენი საყვარელი შვილი ამაზე?

თავჩაქინდრული ტონი სკამს მიყრდნობოდა და მარჯვენა ხელით ხელსახოცის ვერცხლის რგოლს ანგარიშმიუცემლად ატრიალებდა. უცებ მთლად ჩამუქებული, ცრემლით სავსე თვალები მშობლებს მიაპყრო და დაგუდული ხმით წამოიძახა:

- რა უნდა ამ კაცს ჩემგან, რა დავუშავე?! - და ტირილი წასკდა.

კონსულმა მეუღლეს გადახედა და თავის ცარიელ ფინჯანს ოდნავ დარცხვენილი დააცქერდა.

- ჩემო გოგონა, - უთხრა დედამ ნაზად, - რა საჭიროა ეს Echauffament[48], შეგიძლია ეჭვი არ შეგეპაროს, რომ მშობლებს შენთვის კარგის მეტი არაფერი უნდათ. მათ არ შეუძლიათ გირჩიონ, ასეთ ღირსეულ წინადადებაზე უარი თქვა. ნამდვილად მჯერა, ბატონ გრიუნლიჰის მიმართ არავითარი გრძნობა არ გაგაჩნია, მაგრამ გრძნობა მოვა, შემიძლია დაგარწმუნო, გაივლის დრო და გრძნობა მოვა... შენისთანა ახალგაზრდა ქალმა ნათლად არასოდეს იცის, რა უნდა... თავშიც ისეთივე ბურუსი გაქვს, როგორიც გულში... გულს უნდა აცალო, თავს კი იმ გამოცდილი ადამიანების დარიგება შეასმინო, ვინც შენს ბედნიერებაზე ზრუნავს.

- მე ხომ მასზე არაფერი ვიცი, - ამოიქვითინა ტონიმ და კვერცხით დალაქული ბატისტის პატარა ხელსახოცი თვალებზე მიიფარა, - ვიცი მხოლოდ, რომ ოქროსფერი ბაკენბარდები აქვს და საქმეებიც კარგად მიუდის.

ტონის ზედა ტუჩი ტირილისგან გულის ამაჩუყებლად უცახცახებდა.

კონსულს გული შეეკუმშა, სკამი ტონისკენ მისწია და თმაზე ღიმილით მოეფერა.

- ჩემო პატარა ტონი, - უთხრა ქალიშვილს, - რა გინდა კიდევ გრიუნლიჰზე იცოდე? ნამდვილი ბავშვი ხარ, ოთხი კი არა, ოცდახუთი კვირა რომ ეცხოვრა აქ, მეტი მაინც არაფერი გეცოდინებოდა. ჯერ პატარა გოგო ხარ, ცხოვრებას არ იცნობ, ჯობია, იმათ თვალებს დაენდო, ვინც შენს სიკეთეზე ფიქრობს.

- არ მესმის... არ მესმის... - გულამომჯდარი სლუკუნებდა ტონი და მოალერსე ხელს კნუტივით თავს უხახუნებდა, - მოდის აქ... ყველას სასიამოვნო სიტყვებს ეუბნება... მიდის... და იწერება, რომ მე... არ მესმის... საიდან მოუვიდა თავში... რა დავუშავე?!

კონსულს ისევ გაეღიმა.

- შენ უკვე მეორეჯერ თქვი ეს, ტონი, და სწორედ ეს ამხელს შენს ბავშვურ უმწეობას. ჩემს ქალიშვილს ნუ ეგონება, რომ ვაიძულებ ან დავტანჯავ. მისი წინადადება მშვიდად შეიძლება აიწონ-დაიწონოს, დიახ, მშვიდად უნდა აიწონ-დაიწონოს... ეს სერიოზული საქმეა. ბატონ გრიუნლიჰსაც ჯერჯერობით გარკვევით არაფერს მივწერ, არც მტკიცე თანხმობას და არც ცივ უარს... აქ ბევრი რამაა მოსაფიქრებელი... მაშ, ასე... ვნახოთ, ხომ? შევთანხმდით! ახლა მამა მუშაობას უნდა შეუდგეს... Adieu, ბეტსი.

- ნახვამდის, ჟან!

- იქნებ მაინც გაგესინჯა თაფლი, ტონი, - უთხრა დედამ, როცა მარტონი დარჩნენ. თავჩაქინდრული ტონი კვლავ უძრავად იჯდა, - კარგად უნდა დანაყრდე.

ტონის ნელ-ნელა შეაშრა ცრემლები. ამდენი ფიქრისგან თავი უხურდა და უბრუოდა... ღმერთო! რა თავსამტვრევი გაუჩნდა! ტონიმ მშვენივრად იცოდა, ადრე თუ გვიან, კომერსანტის ცოლი უნდა გამხდარიყო. ისე კარგად უნდა გათხოვილიყო, ბუდენბროკების ოჯახსა და ფირმას რომ ეკადრებოდა... მაგრამ ტონისთვის ეს იყო ძალზე მოულოდნელი და თანაც პირველი შემთხვევა, ვიღაცას ნამდვილად და სერიოზულად რომ ეწადა მისი შერთვა. როგორ უნდა დაიჭიროს თავი? ახლა მას, ტონი ბუდენბროკს, უშუალოდ ეხებოდა ყველა ის საშინლად დიდმნიშვნელოვანი გამოთქმა, რაც აქამდე მხოლოდ წიგნებში თუ წაეკითხა. ლაპარაკი იყო მის „თანხმობაზე“, მის „ხელზე“... „სამარადისოდ ერთად ცხოვრებაზე“... ღმერთო! ეს რა დღეში ჩავარდა!

- დედა, შენ? - შეეკითხა იგი დედას, - შენც მირჩევ, რომ თანხმობა მივცე? - თქვა და წამით შეყოყმანდა, რადგან ეს სიტყვა მეტისმეტად მაღალფარდოვანი მოეჩვენა, მაგრამ შემდეგ, თავის სიცოცხლეში პირველად, მთელი ღირსებით წარმოთქვა ეს სიტყვები. პირვანდელი თავშეუკავებლობისა შერცხვა კიდეც. გრიუნლიჰზე გათხოვება ახლაც არანაკლებ უაზრობად მიაჩნდა, ვიდრე ათი წუთის წინ, მაგრამ თავისი მდგომარეობის შეგნება კმაყოფილებით ავსებდა.

კონსულის მეუღლემ თქვა:

- გირჩიო, შვილო? განა მამამ გირჩია რამე? მას ხომ საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს, ეს იყო და ეს. ჩვენ საწინააღმდეგოს ვერ გირჩევდით, რადგან შენთვის შემოთავაზებული კავშირი არის ის, რასაც კარგ პარტიას უწოდებენ. ჩემო საყვარელო გოგონა, გადასახლდებოდი ჰამბურგში, გექნებოდა შესანიშნავი პირობები, იცხოვრებდი ხელგაშლილად...

ტონი არ განძრეულა, თვალწინ ფარჩის პორტიერების მსგავსი რაღაც აესვეტა, ისეთები, ბებიამისთან რომ ეკიდა სალონში... ნეტავ მადამ გრიუნლიჰი რომ გახდეს, დილაობით შოკოლადს თუ მიირთმევს ხოლმე? არა, ამის კითხვა ნამდვილად უხერხული იყო.

- როგორც მამაშენმა გითხრა, მოსაფიქრებლად დრო გაქვს, - განაგრძო კონსულის მეუღლემ, - მაგრამ ჩვენი ვალია მოგაგონოთ, რომ ასეთი ბედნიერი შემთხვევა ყოველდღე არ მოგეცემა. ეს ქორწინება არის ის, რასაც შენი მოვალეობა და დანიშნულება გკარნახობს. დიახ, ჩემო კარგო, ვალდებული ვარ, ესეც მოგაგონო. შენ წინაშე დღეს გახსნილი გზა შენთვის წინასწარ არის დასახული. ეს თვითონაც კარგად იცი.

- დიახ, - ფიქრიანად ჩაილაპარაკა ტონიმ, - ჰო, რა თქმა უნდა.

თავისი მოვალეობა ოჯახისა და ფირმის წინაშე ტონის მშვენივრად ესმოდა, ამაყობდა კიდეც ამით. მას, ტონი ბუდენბროკს, ვის წინაშეც მტვირთავი მატისენი თავის იაფფასიან ცილინდრს იშვლეპდა, ხოლო თვითონ, როგორც ეს კონსულ ბუდენბროკის ქალიშვილს შეეფერებოდა, დედოფალივით დაგოგმანებდა ქალაქში, თავისი ოჯახის ისტორია ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი.

ჯერ კიდევ როსტოკელი თერძი ცხოვრობდა შეძლებულად, მას შემდეგ კი ბუდენბროკები მაღლა-მაღლა მიიწევდნენ. თავის მხრივ, ტონი ვალდებული იყო ოჯახისა და ფირმისთვის ბრწყინვალება მოეტანა, მდიდარ და წარჩინებულ კაცს გაჰყოლოდა... თომასიც ამისთვის მუშაობდა კანტორაში... არა, ეს პარტია ნამდვილად მისაღებია, მაგრამ გრიუნლიჰი... ტონის თვალწინ წარმოუდგა მისი ოქროსფერი ბაკენბარდები, ვარდისფრად აღაჟღაჟებული მოღიმარი სახე, ნესტოზე ამოსული მეჭეჭი, კუნკულა სიარული, თითქოს მისი შალის კოსტიუმის ხაოც კი იგრძნო, თითქმის მისი შემპარავი ხმაც გაიგონა.

- ვიცოდი, რომ მშვიდად განვსჯიდით ყველაფერს. იქნებ გადავწყვიტეთ კიდეც? - ჰკითხა კონსულის მეუღლემ.

- ო, ღმერთმა დამიფაროს! - აღშფოთებით წამოიძახა ტონიმ, - რა სისულელეა გრიუნლიჰზე გათხოვება! როგორ ვგესლავდი... საერთოდ, არ მესმის, როგორ მიტანს! ცოტა თავმოყვარეობა ხომ მაინც უნდა ჰქონდეს...

და ტონიმ შინაური პურის ნაჭერს თაფლი დააწვეთა.

მესამე თავი

იმ ზაფხულს ბუდენბროკები მენგშტრასეზე დარჩნენ, ქრისტიანისა და კლარას არდადეგებზეც არსად წასულან დასასვენებლად. კონსულმა საქმეები მოიმიზეზა, თან ანტონიას ქორწინების ამბავი იყო გადაუწყვეტელი.

ბატონ გრიუნლიჰს კონსულის ხელით დაწერილი ზედმიწევნით დიპლომატიური წერილი გაუგზავნეს. საქმის გაგრძელებას ტონის ბავშვური სიჯიუტე უშლიდა ხელს.

- ღმერთმა დამიფაროს გრიუნლიჰისგან, დედა! - ამბობდა იგი, - დასანახავად ვერ ვიტან!

თავის აზრს ტონი ბეჯითად გამოთქვამდა და ბოლო სიტყვას განსაკუთრებით უსვამდა ხაზს, ან საზეიმოდ აცხადებდა:

- მამაჩემო! - ჩვეულებრივ ტონი „მამას“ ამბობდა ხოლმე, - ჩემს თანხმობას არასოდეს ვაღირსებ!

ამ წერტილზე საქმე, ალბათ, დიდხანს იქნებოდა გაყინული, რომ ათიოდე დღის შემდეგ - ასე, ივლისის შუა რიცხვებში - ერთი ამბავი არ მომხდარიყო.

თბილი, კაშკაშა დღე იდგა, კონსულის მეუღლე სადღაც წასულიყო, ტონი კი რომანით ხელში ლანდშაფტებიან ოთახში, ფანჯარასთან იჯდა მარტო. ანტონმა სადარბაზო ბარათი მოართვა. სანამ ტონი სტუმრის სახელს ამოიკითხავდა, ოთახში ზარისებურ ქურთუკსა და მუხუდოსფერ შარვალში გამოწყობილი კაცი შემოვიდა; რაღა თქმა უნდა, ეს ბატონი გრიუნლიჰი გახლდათ. მას სახეზე ნაზი, მავედრებელი გამომეტყველება ეფინა.

შეძრწუნებული ტონი უნებურად წამოხტა და თითქოს სასადილო დარბაზისკენ გაქცევა დააპირა... როგორ უნდა ელაპარაკა კაცთან, რომელიც მის ხელს თხოულობდა? გული კინაღამ ყელში მოებჯინა, ფერი წაუვიდა. სანამ ბატონი გრიუნლიჰი შორს ეგულებოდა, მშობლებთან სერიოზული მოლაპარაკება და საკუთარი პიროვნებისთვის ფასის დადება ეხალისებოდა კიდეც. მაგრამ ის ისევ აქ იყო! მის წინ იდგა! რა ეშველება? გრძნობდა, მალე ატირდებოდა.

ხელებგაშლილი და გვერდზე თავგადაგდებული გრიუნლიჰი ისე სწრაფად წამოვიდა ტონისკენ, თითქოს უნდა ეთქვა: „აი, აქა ვარ! თუგინდ მაცოცხლე და თუგინდ მომკალი!“

- ბედი მქონია, რომ თქვენ შემხვდით, ანტონია! - წამოიძახა მან.

ტონის „ანტონია“ ყურში მოხვდა. მარჯვენა ხელში კვლავ წიგნი ეჭირა და სკამთან წელგამართული იდგა. ტუჩები წინ წამოეზიდა, ყოველ სიტყვაზე თავს მაღლა სწევდა და აღშფოთებული მარცვლავდა:

- რო-გორ მომ-მარ-თავთ!

მაგრამ ცრემლები უკვე ყელში უჭერდა.

ბატონი გრიუნლიჰი ისე იყო აღელვებული, რომ ამ შეძახილისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

- შემეძლო კი მეტხანს მოცდა?.. განა არ უნდა დავბრუნებულიყავი? - ჩაეკითხა იგი დაჟინებით, - ერთი კვირის წინ თქვენი ძვირფასი მამის წერილი მივიღე, რამაც იმედით აღმავსო! განა შემეძლო ასე ორჭოფულ მდგომარეობაში დავრჩენილიყავი, ფროილაინ ანტონია? ვეღარ მოვითმინე... ჩავჯექი ეკიპაჟში და აქეთ გამოვეშურე... სასტუმრო „ჰამბურგ-ქალაქში“ რამდენიმე ოთახი დავიჭირე... და ახლა აქა ვარ, ანტონია, რათა თქვენს ბაგეთაგან მოვისმინო უკანასკნელი, გადამწყვეტი პასუხი, რომელიც ენით აუწერელ ბედნიერებას მომანიჭებს!

ტონი გაქვავდა, სახტად დარჩენილს ცრემლი შეაშრა. მაშ, ეს მამამისის ფრთხილი წერილის გავლენა იყო? ის ხომ ყოველგვარ გადაწყვეტილებას განსაზღვრული ვადით სწევდა!

ტონიმ სამჯერ თუ ოთხჯერ წაილაპარაკა:

- თქვენ ცდებით. თქვენ ცდებით...

ბატონმა გრიუნლიჰმა სავარძელი ქალიშვილის სკამთან მჭიდროდ მისწია, დაჯდა და ტონიც აიძულა, დამჯდარიყო, მისი მოწყვეტილი ხელი ხელში აიღო და
აღელვებული ხმით განაგრძო:

- ფროილაინ ანტონია... პირველი წუთიდანვე, იმ დღის შემდეგ... გახსოვთ ის დღე?.. როცა თქვენიანების წრეში ასე კეთილშობილი, ასე საოცრად სასურველი არსება გიხილეთ... ჩემს გულში თქვენი სახელი სამუდამოდ ჩაიბეჭდა... - მან შეასწორა, - ამომეკვეთა; იმ დღიდან, ფროილაინ ანტონია, ჩემი ერთადერთი, მხურვალე სურვილია, თქვენი მშვენიერი ხელი სამუდამოდ მოვიპოვო. მამათქვენის წერილმა რა იმედიც ჩამისახა, იმას თქვენ საბოლოოდ განმიმტკიცებთ... ხომ მართალია?! ხომ
უნდა მქონდეს თქვენი თანაგრძნობის იმედი? უეჭველად უნდა მქონდეს, არა? - მან ტონის ხელს მეორე ხელიც წაავლო და ქალიშვილს შიშისგან გაფართოებულ თვალებში ჩააცქერდა. ბატონ გრიუნლიჰს დღეს ხელთათმანები არ ეკეთა. გრძელ, თეთრ ხელებზე ცისფერი ძარღვები მკაფიოდ აჩნდა.

ტონიმ გრიუნლიჰს ვარდისფერ სახეში შეხედა, ცხვირზე ამოსულ მეჭეჭსა და ბატივით წყლისფერ თვალებს დააჩერდა.

- არა, არა! - წამოიძახა შეშინებულმა და სწრაფად დაუმატა, - მე თქვენ თანხმობას არ გაძლევთ!

ტონი შეეცადა მტკიცედ ელაპარაკა, მაგრამ უკვე ტიროდა.

- რით დავიმსახურე ეს ეჭვი და ყოყმანი? - შეეკითხა ბატონი გრიუნლიჰი ჩავარდნილი და თითქმის საყვედურნარევი ხმით, - თქვენ სათუთი, განებივრებული გოგონა ხართ... მაგრამ გეფიცებით, გაძლევთ ვაჟკაცურ სიტყვას, რომ ხელისგულზე გატარებთ, ჩემს მეუღლეს არაფერი მოაკლდება, ჰამბურგში თქვენი საკადრისი ცხოვრება გელით.

ტონი წამოხტა, ხელი გაითავისუფლა, ცრემლები ისევ წასკდა და სასოწარკვეთილმა წამოიძახა:

- არა... არა! მე თქვენ უარს გეუბნებით! ღმერთო დიდებულო, ნუთუ არ გესმით!..

მაშინ ბატონი გრიუნლიჰიც წამოდგა, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ხელები გაშალა და ღირსეულად წარმოთქვა:

- იცით თუ არა, მადმუაზელ ბუდენბროკ, რომ ასეთ შეურაცხყოფას ვერ ავიტან!

- მე ხომ შეურაცხყოფას არ გაყენებთ, ბატონო გრიუნლიჰ, - უთხრა ტონიმ.

იგი უკვე ნანობდა, რომ ასე გაცხარდა. „ღმერთო ჩემო, მაინცდამაინც მე უნდა დამმართნოდა ასეთი ამბავი!“ ამგვარად ხელის თხოვნა ტონის ვერ წარმოედგინა. ეგონა, საკმარისია ვთქვა, თქვენი წინადადება დიდ პატივს მდებს, მაგრამ ვერ მივიღებო, და ამით ყველაფერი დამთავრდებოდა.

- თქვენი წინადადება პატივს მდებს, - უთხრა ბატონ გრიუნლიჰს რაც შეიძლებოდა მშვიდად, - მაგრამ მე მას ვერ მივიღებ... დიახ, ახლა კი უნდა... დაგტოვოთ, მომიტევეთ, მეტი დრო არა მაქვს.

მაგრამ ბატონი გრიუნლიჰი გზაზე გადაუდგა.

- თქვენ ხელსა მკრავთ? - ხმა ჩაუწყდა გრიუნლიჰს.

- დიახ, - უპასუხა ტონიმ და სიფრთხილისთვის დაუმატა, - სამწუხაროდ...

მაშინ ბატონმა გრიუნლიჰმა ღრმად ამოისუნთქა, ორი ნაბიჯი უკან გადადგა, ტანი გვერდზე გადახარა, თითი ხალიჩისკენ გაიშვირა და საზარელი ხმით დაიყვირა:

- ანტონია!

ერთ წუთს ასე პირისპირ იდგნენ: ბატონი გრიუნლიჰი - განრისხებული, ზვიადი, ტონი კი - გაფითრებული, აკანკალებული. სველი ცხვირსახოცი პირზე აეფარებინა. ბოლოს ბატონი გრიუნლიჰი შემობრუნდა, ზურგზე ხელები შემოიწყო და ოთახში შინაურივით გაიარ-გამოიარა. შემდეგ ფანჯარასთან შეჩერდა და ჩამოწოლილ ბინდს გახედა.

ტონი ნელა და ფრთხილად დაიძრა მინიანი კარისკენ, მაგრამ ჯერ ოთახის შუამდეც არ იყო მისული, რომ ბატონი გრიუნლიჰი კვლავ მის გვერდით გაჩნდა.

- ტონი! - თქვა მან წყნარად და ხელი ნაზად გამოართვა, მერე ქალიშვილის წინ ნელ- ნელა დაიჩოქა. მისი ოქროსფერი ბაკენბარდები ტონის ხელზე ეხებოდა, - ტონი... - გაიმეორა მან, - შემომხედეთ... სადამდე მიმიყვანეთ... ნუთუ მკერდში გული არ გიძგერთ?... მომისმინეთ... თქვენ წინაშე დგას კაცი, რომელიც განადგურდება, დაღუპვის კარამდე მივა, თუ... დიახ, დარდი გადაიტანს... - მან სიტყვა ნაჩქარევად გაწყვიტა, - თუ მის სიყვარულს ხელსა ჰკრავთ! აი, თქვენს ფერხთითა ვარ... გული ნებას მოგცემთ, მითხრათ, მეზიზღებითო?

- არა, არა! - ლმობიერად თქვა უცებ ტონიმ.

ცრემლები შეაშრა, სიბრალულითა და თანაგრძნობით განიმსჭვალა. ღმერთო ჩემო, როგორ უნდა უყვარდეს ამ კაცს, რომ გრძნობას ამრიგად აჰყვეს. გრძნობას, რომელსაც ტონი ასე განურჩევლად უყურებს. ნეტავ, თვითონ თუ შეუყვარდება ვინმე ასე? მსგავსი ამბები რომანებში თუ წაუკითხავს, ახლა კი, სინამდვილეში, საგარეო სერთუკში გამოწყობილი კაცი მის ფერხთით იყო გართხმული და გულმხურვალედ ევედრებოდა! ტონის აზრი არ შესცვლია. მასზე გათხოვება სისულელედ მიაჩნდა, რადგან ბატონი გრიუნლიჰი სასაცილოდ ეჩვენებოდა. მაგრამ ღმერთია მოწამე, ამ წუთში გრიუნლიჰს სასაცილო არაფერი ჰქონდა! მის ხმასა და სახეში ისეთი შიში, ისეთი გულწრფელი და სასოწარკვეთილი ღაღადი იხატებოდა, რომ...

- არა, არა, - გაიმეორა ტონიმ და აღელვებული მისკენ დაიხარა, - მე თქვენ არ მეზიზღებით, ბატონო გრიუნლიჰ, ეს როგორ იფიქრეთ... მაგრამ, ახლა აბრძანდით, გთხოვთ...

- მაშ, სიცოცხლის მოსწრაფებას არ მიპირებთ? - შეეკითხა იგი კვლავ და ტონიმაც თითქმის დედობრივი სინაზით უპასუხა:

- არა, არა...

- თქვენ თანახმა ხართ! - წამოიძახა ბატონმა გრიუნლიჰმა და ფეხზე წამოხტა, მაგრამ როგორც კი ტონის შეკრთომა შენიშნა, ისევ ძირს დაეშვა და ტონი დააშოშმინა, - კარგი, კარგი... მეტს ნუღარაფერს იტყვით, ანტონია! ამჯერად საკმარისია, გთხოვთ,
ამ საქმეზე... ჩვენ კიდევ ვილაპარაკებთ... სხვა დროს... სხვა დროს... კარგად იყავით...
მე დავბრუნდები... მშვიდობით!

ბატონი გრიუნლიჰი სწრაფად წამოდგა, მაგიდიდან თავისი დიდი, ნაცრისფერი შლაპა აიტაცა, ტონის ხელზე ეამბორა და მინის კარი სწრაფად გაიხურა.

ტონი ხედავდა, ბატონმა გრიუნლიჰმა სვეტებიან სადარბაზოში როგორ დაავლო თავის ჯოხს ხელი და დერეფანში გაუჩინარდა.

გაოგნებული და ქანცმილეული ტონი შუა ოთახში იდგა და უღონოდ ჩამოვარდნილ ხელში სველი ცხვირსახოცი ეჭირა.

მეოთხე თავი

კონსული ბუდენბროკი თავის მეუღლეს ეუბნებოდა:

- რომ ვიცოდე, ტონის რაღაც სერიოზული მიზეზი ამოძრავებს და ამ ქორწინებისგან თავს შორს იმიტომ იჭერს... მაგრამ, არა, ის ხომ ბავშვია, ბეტსი, გართობა უყვარს, ბალებზე ცეკვას ხომ არაფერი ურჩევნია, ყმაწვილკაცებს ნებას აძლევს, ეაშიკონ. ეს სიამოვნებს, იცის, რომ ლამაზია და კარგი ოჯახის შვილი... იქნებ საიდუმლოდ და შეუგნებლად რაღაცას ეძებს კიდეც... მაგრამ მე ხომ ვიცნობ ჩემს ქალიშვილს, ის, როგორც იტყვიან, ჯერ თავის გრძნობაში არცაა გარკვეული... კაცმა რომ ჰკითხოს, ვინმეზე ხომ არ გიჭირავს თვალიო, თავს აქეთ-იქით გადააქნევს და ჩაფიქრდება... მაგრამ ვერავის დაასახელებს... ის ჯერ მთლად ბავშვია, ბეღურის ბარტყივითაა, ჯერ კიდევ უქიქინებს თავში. ამ ქორწინებაზე უარს თუ არ იტყვის, საზოგადოებაში ადგილი განაღდებული ექნება, მშვენივრად მოეწყობა, იცოცხლე, ეს კი სურს. ქმარიც რამდენიმე დღეში შეუყვარდება... ბატონი გრიუნლიჰი კალმით ნახატი არ არის, მაგრამ მაინც წარმოსადეგია კაცია, ბოლოს და ბოლოს, მაპატიე ვაჭრული გამოთქმა და, ხუთფეხა ცხვარს, ძალიანაც რომ გინდოდეს, სად იშოვი? თუ ტონის უნდა, ელოდოს, სანამ ვინმე კარგი გარეგნობისა და ამავე დროს ხელსაყრელი საქმრო გამოუჩნდება, ღმერთმა ხელი მოუმართოს! ტონი ბუდენბროკი გაუთხოვარი არ დარჩება... მაგრამ, მეორე მხრივ, მოცდა რისკის საქმეცაა და კვლავ ვაჭრების ენაზე ვთქვათ, ანკესს ყოველთვის ღლავი არ ამოჰყვება! გუშინ დილით გრიუნლიჰთან დიდხანს ვისაუბრე, უკან დახევას სულაც არ აპირებს. ვნახე მისი დავთრები... თვითონ მაჩვენა... ბეტსი, პირდაპირ სანიმუშო დავთრები აქვს! ჩემი უდიდესი კმაყოფილება არც დამიფარავს! ახალდაწყებულ საქმეს რაც შეეფერება, ნამდვილად კარგად მიუდის, კაპიტალი 120000 ტალერს აღწევს. ეს, როგორც ჩანს, მისი მომავალი ქონების საფუძველი უნდა იყოს, რადგან წლითიწლობით გრიუნლიჰი გვარიანად მიდის წინ... დიუშანებსაც ბევრი რამ გამოვკითხე, არც იმათ უთქვამთ ცუდი ამბები, თუმცა მისი საქმეებისა ბევრი არაფერი იციან. გრიუნლიჰი თურმე ჯენტლმენურ ცხოვრებას ეწევა, საუკეთესო საზოგადოებაში ტრიალებს, მისი წამოწყებული საქმეც ყოველდღიურად ფართოვდება. ზოგიერთი სხვა რამ ჰამბურგელებისგან, მაგალითად, ბანკირ კესელმაიერისგან შევიტყვე. არც აქ გამცრუებია იმედი. სიტყვა რომ აღარ გავაგრძელო, ბეტსი, შენც იცი, ეს ქორწინება ოჯახისთვისაც და ფირმისთვისაც ძალზე სასარგებლოა. აბა, როგორ შემიძლია ამ საქმეს გულგრილად მოვეკიდო! ღმერთო, როგორ მტკივა გული, გოგონას თითქოს ყოველი მხრიდან ალყა აქვს შემორტყმული. დადის დაღვრემილი და დამუნჯებული, მაგრამ მე მაინც არ შემიძლია გრიუნლიჰი ერთი ხელის დაკვრით მოვიშორო თავიდან. უნდა გითხრა,
ბეტსი, უკანასკნელ წლებში, ღმერთმა იცის, ჩვენს ქონებას ბევრი არაფერი მომატებია.
არა, განა განგებამ აგვაღო ხელი, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ მხოლოდ ერთგული

შრომა მიფასდება, ესაა და ეს. საქმე ნელა მიდის წინ... მეტისმეტად ნელა და ამასაც მხოლოდ ჩემს სიფრთხილეს უნდა ვუმადლოდე. მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ წინ დიდად არ წავწეულვართ. კომერსანტებს ცუდი დრო დაგვიდგა... მოკლედ, სასიხარულო ბევრი არაფერია. ჩვენი ქალიშვილი გასათხოვარია, ახლა მას შემთხვევა ეძლევა ყველას თვალში ხელსაყრელი და მოსაწონი პარტია აირჩიოს - და უნდა აირჩიოს კიდეც! მოცდას ნამდვილად არა აქვს აზრი, ბეტსი! მოელაპარაკე კიდევ ერთხელ. დღეს, ნაშუადღევს, მეც იმდენი ვეჩიჩინე, პირდაპირ ყელი გამიშრა.

კონსული არ ტყუოდა, ტონი მართლაც გასაჭირში იყო ჩავარდნილი. „არას“ აღარ ამბობდა, მაგრამ არც „ჰო“ ამოსდიოდა პირიდან. ღმერთო, თვითონაც არ ესმოდა, რატომ ჯიუტობდა.

ამასობაში ხან მამა გაიხმობდა და სერიოზულად ესაუბრებოდა, ხან დედა მოისვამდა გვერდით და საბოლოო სიტყვას სთხოვდა. ბიძია გოტჰოლდისა და მისი ოჯახისთვის არაფერი უთქვამთ, რადგან ისინი მუდამ ოდნავ დამცინავად ეპყრობოდნენ მენგშტრასელებს. მაგრამ საიდანღაც ეს ამბავი ზეზემი ვაიჰბროტის ყურს მისწვდენოდა და მანაც კეთილი რჩევა მისცა ტონის, მამზელ იუნგმანიც ხშირად ეუბნებოდა ხოლმე:

- ტონი, ჩემო შვილიკო, რას იკლავ ჯავრით თავს, მაღალ წრეს ხომ არ გამოაკლდები...

ტონი ისე ვერ შევიდოდა ბებიამისის აბრეშუმგამოკრულ სალონში, რომ მადამ კროგერს არ დაეწყო:

- A propos,[49] რაღაც-რაღაცები მესმის და იმედი მაქვს, გონივრულად მოიქცევი, ჩემო პატარავ.

ერთ კვირადღეს ტონი მშობლებსა და და-ძმასთან ერთად მარიენკირხეში იჯდა, პასტორი კოლინგი ჩვეულებისამებრ მოურიდებლად კითხულობდა აღთქმის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, დედაკაცმა დედა და მამა უნდა დატოვოს და ქმარს უნდა გაჰყვესო. პასტორი ისე გაიტაცა ქადაგებამ, შეძრწუნებულმა ტონიმ ახედა, მე ხომ არ მიყურებსო... არა, მადლობა ღმერთს, თავისი დიდი თავი პასტორს სხვა მხარეს მიექცია და მთელი მრევლის ყურადსაღებად ქადაგებდა. ტონისთვის მაინც დღესავით ნათელი იყო, რომ ეს ახალი შემოტევა გახლდათ და პასტორის ყოველი სიტყვა მას ეხებოდა.

- ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ნორჩ ქალს, - ღაღადებდა პასტორი, - ვისაც საკუთარი ნება და საკუთარი განსჯა არ გააჩნია და მაინც მოსიყვარულე მშობლების რჩევას ეწინააღმდეგება, უფალი შეაჩვენებს...

ეს სიტყვები პასტორს განსაკუთრებით უყვარდა და ახლაც დიდი აღმაფრენით წარმოთქვა, ხელი მუქარით დააქნია და მზერა ტონის დაასო.

ტონიმ თვალი ჰკიდა, მამამისმა პასტორს ხელით როგორ ანიშნა, ასე მკაცრად ნუო... ახლა ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ პასტორი კოლინგი მის მშობლებთან იყო შეთქმული. ალმურადენილი ტონი წელში მოიხარა, ასე ეგონა, მთელი ქვეყანა მე მიყურებსო და შემდეგ კვირას ეკლესიაში წასვლაზე ცივი უარი განაცხადა.

ტონი შინ ხმაგაკმენდილი დაბორიალებდა, პირზე ღიმილი აღარ მოსდიოდა, მადაც დაკარგა. ხანდახან ისე გულსაკლავად ამოიოხრებდა, თითქოს რაღაც გადაწყვეტილებას ებრძვისო. შემდეგ თავისიანებს საცოდავად გადახედავდა... ტონი ნამდვილად შესაბრალისი იყო - შესამჩნევად გახდა და ქორფა სახე გაეცრიცა, ბოლოს კონსულმა მეუღლეს უთხრა:

- როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, ბეტსი. ბავშვს სულს ხომ არ ამოვხდით. აუცილებელია სადმე წავიდეს, გულს გადააყოლებს და ყველაფერს მოიფიქრებს. აი, ნახავ, თუ გონს არ მოვა. მე საქმეებს ვერ მივატოვებ, არდადეგები კი საცაა მიიწურება... ჩვენ არაფერი გვიშავს, შინ რომ დავრჩეთ. გუშინ შემთხვევით მოხუცი შვარცკოფი იყო აქ, ტრავემიუნდელი დიდერიჰ შვარცკოფი, უფროსი ლოცმანი. სიტყვა გადავუკარი და სიამოვნებით დამთანხმდა, გოგონა ცოტა ხნით ისტუმროს... რა თქმა უნდა, ხარჯს ავუნაზღაურებ... ტონი მყუდრო ოჯახურ გარემოში იქნება, იბანავებს, ჰაერს გამოიცვლის და ნამდვილად მოიხედავს. ტომი გააცილებს და ყველაფერი რიგზე იქნება. ამ საქმეს ნუ გადავდებთ, გოგონას რაც უფრო მალე გავისტუმრებთ, მით უკეთესი.

ამ აზრს ტონი ხალისით დაეთანხმა. მართალია, ბატონი გრიუნლიჰი თვალით აღარ უნახავს, მაგრამ იცოდა, ის კვლავ აქ იყო, მის მშობლებთან დაძვრებოდა, იმედს არ კარგავდა და მოთმინებით იცდიდა. ღმერთო ჩემო, გრიუნლიჰს ყოველდღე შეეძლო მის წინ ასვეტილიყო, ეყვირა და შევედრებოდა! ტრავემიუნდეში, უცხო სახლში კი ტონისთან ხელი არ მიუწვდებოდა.

ამრიგად, ტონიმ სწრაფად და ხალისიანად ჩაალაგა ჩემოდნები, ივლისის ბოლოს ძმასთან ერთად კროგერების დიდებულ ეკიპაჟში ჩაჯდა, ყველას მხიარულად დაემშვიდობა და გულიდან დარდგადაყრილი ქალაქის კარიბჭეს გაშორდა.

მეხუთე თავი

ტრავემიუნდესკენ მიმავალი გზა პირდაპირ მიემართებოდა, ბორნით გაღმა უნდა გასულიყვნენ და მერეც არ უნდა შეეცვალათ გეზი.

გზა ორივემ ხუთი თითივით იცოდა. რუხი შარაგზა სწრაფად მისრიალებდა ლებრეჰტ კროგერის მეკლენბურგული, ნაპატივები ქურანა ცხენების ფლოქვებქვეშ, თუმცა მზე უმოწყალოდ აჭერდა და ხრიოკი მიდამო მტვრის ბუღში იყო გახვეული.

დღეს ბუდენბროკებმა ტრადიციას უღალატეს და პირველ საათზე ისადილეს. ტონი და თომასი ზუსტად ორ საათზე დაადგნენ გზას. ოთხზე ტრავემიუნდეში უნდა ჩასულიყვნენ კიდეც. სხვა დროშკა რომ სამ საათს მოუნდებოდა, იმ გზას კროგერის თავმომწონე მეეტლე იოჰენი ორ საათში უკან მოიტოვებდა.

ტონის თვალები ნახევრად მიელულა და თავს აკანტურებდა. არშიაშემოვლებული, მომწვანო-მონაცრისფრო ქოლგა ეტლის საზურგისთვის მიეყრდნო. ტანზე იმავე ფერის, სადად შეკერილი, წელში გამოყვანილი კაბა ეცვა და ფართოფარფლებიანი ჩალის ქუდი ეხურა. ზონრებით შეკრულ ფეხსაცმელებსა და თეთრ წინდებში გამოკვართული ფეხები ერთმანეთზე კოპწიად გადაედო და საზურგეს ისე მოხდენილად და ელეგანტურად მიყრდნობოდა, თითქოს ეკიპაჟში ჯდომისთვის არის გაჩენილიო.

უკვე ოც წელს მიღწეულ თომასს ტანზე კარგად მოყვანილი, მოლურჯო- მონაცრისფრო მაუდის კოსტიუმი ეცვა. ჩალის ქუდი კეფაზე მოეგდო და რუსულ პაპიროსს აბოლებდა.

თომასს ტანი დიდად არ აეყარა, მაგრამ თმასა და წამწამებზე უფრო მუქი ულვაშები გახშირებოდა. ჩვეულებისამებრ, ცალი წარბი აეზიდა და მტვრის ბოლქვებსა და შარაგზაზე გაქცეულ ხეებს აკვირდებოდა.

ტონიმ თქვა:

- ჩემს სიცოცხლეში ასე არ გამხარებია ტრავემიუნდეში წასვლა. ჯერ ერთი, იმ მიზეზების გამო... ჰო, ტომ, ნუ დამცინი! რა თქმა უნდა, სულითა და გულით მინდა
იმ ოქროსფერ ბაკენბარდებს ერთი-ორი მილით მაინც დავშორდე. მერე კიდევ, ტრავემიუნდე ამჯერად სულ სხვანაირი იქნება, ზედ ზღვის პირას, შვარცკოფებთან ვიცხოვრებ. კურორტის საზოგადოებაც არ მეყოლება სალოლიავო. ყველანი მომბეზრდნენ. ხალხისკენ არც მიმიწევს გული. იმას იქ ყველგან მიუწვდება ხელი, მე შენ გეტყვი, შერცხვება, გაიხედავ და... ერთ მშვენიერ დღეს დათაფლული ღიმილით მოგადგება კარზე.

თომასმა ნამწვი მოისროლა და კოლოფიდან ახალი პაპიროსი ამოიღო. კოლოფის სახურავზე ოსტატს დიდი ხელოვნებით ამოეტვიფრა მგლებდასეული ტროიკა. ეს პორტსიგარი კონსულისთვის რომელიღაც რუს კლიენტს მიეძღვნა. ტომი ამ პატარ- პატარა ყვითელმუნდშტუკიანი პაპიროსებისთვის სულს ლევდა, უზომოდ ბევრს ეწეოდა, კვამლს ფილტვებში ღრმად ისუნთქავდა და მერე, ლაპარაკის დროს, ნესტოებიდან ნელ-ნელა უშვებდა.

- ჰო, - თქვა მან, - მართალი ხარ, კურორტის ბაღი ჰამბურგელებით იქნება სავსე. თვითონ კურორტის მეპატრონე კონსული ფრიჩეც იქაური გახლავს. ამჟამად დიდ საქმეებს ატრიალებსო, მითხრა მამამ. ისე, ბევრ საინტერესო ამბავს კი დააკლდები, თუ საზოგადოებაში არ გაერევი. პეტერ დოლმანი, რა თქმა უნდა, იქ იქნება. ამ დროს

ქალაქში რა გააჩერებს. საქმე თავის ნებაზე აქვს მიშვებული. სასაცილოა! ჰო, კვირაობით ბიძია იუსტუსიც გამოისეირნებს აქეთ, რულეტს წაითამაშებს. მოლენდორფები და კისტენმაკერებიც იქ იქნებიან, ჰაგენშტრომებიც...

- მაგას რაღა თქმა უნდა! აბა, სარა ზემლინგერის გარეშე კურორტი რას ემგვანება!

- იმას ლუარა ჰქვია, ჩემო კარგო. კაცმა სამართლიანობის გრძნობა კი არ უნდა დაკარგო.

- რა თქმა უნდა, იულჰენიც თან ეყოლება. იულჰენი ამ ზაფხულს აუგუსტ მოლენდორფზე უნდა დაინიშნოს და დაინიშნება კიდეც. მერე ჰაგენშტრომები საზოგადოებაში საბოლოოდ გაინაღდებენ ადგილს! ტომ, იცი, მათ დანახვაზე გულზე ვსკდები, ვერ ვიტან ამ ახალგამოჩეკილ არისტოკრატებს!

- კარგი, თუ ღმერთი გწამს!.. „შტრუნკმა და ჰაგენშტრომმა“ საქმე წინ წასწია, თავისი გაინაღდა და ახლა მთავარიც ეს გახლავს...

- რა თქმა უნდა! მაგრამ ქვეყანამ იცის, საქმეებს როგორ ატრიალებენ. თუ დასჭირდათ, მუშტი-კრივსაც არ ითაკილებენ, ეს შენც კარგად მოგეხსენება. ჰინრიჰ ჰაგენშტრომზე ბაბუა იტყოდა ხოლმე, ხარსაც კი ხბოს მოაგებინებსო, დიახ, ეს ბაბუას სიტყვები გახლავს!..

- მართალი ხარ, მაგრამ შველის ეგ საქმეს? ახლა ვისაც ფული აქვს, ქვეყანაც იმისია. მათი ნიშნობაც ძალიან გონივრულია და ყოველმხრივ გამართლებული. იულჰენი გახდება მოლენდორფი, აუგუსტი კი მშვენიერ თანამდებობას მიიღებს.

- ეჰ, ტომ! მაინცდამაინც გინდა გამაბრაზო? ხომ იცი, როგორ მძულს ეგ ხალხი?!..

თომასს გაეცინა.

- ეჰ, ჩემო ტონი, ადრე თუ გვიან, ყველა იძულებული გახდება, მაგათ ანგარიში გაუწიოს. ამას წინათ იცი, რა მითხრა მამაჩემმა? - მომავალი მაგათიაო. თუნდაც იგივე მოლენდორფები აიღე... ჰაგენშტრომი რომ გამჭრიახი და მარჯვეა, ამას ვერ წაართმევ. ჰერმანი უკვე კარგადაა საქმეებში გასული. მორიცმა კი, თუმცა გული სუსტი ჰქონდა, სკოლა მაინც ბრწყინვალედ დაამთავრა. ძალიან ჭკვიანიაო, ამბობენ. ახლა თურმე იურისპრუდენციას სწავლობს.

- ბატონი ბრძანდები, მაგრამ ერთი რამ მაინც მიხარია, ტომ! ისეთი ოჯახებიც არსებობს, მათ წინაშე რომ ქედის მოხრა არ სჭირდებათ. მაგალითად, ჩვენ, ბუდენბროკები, ასე თუ ისე...

- ჰო, ახლა ტრაბახს ნუ მოვყვებით, ნაკლი ყველა ოჯახს აქვს, - თომასმა იოჰენის ზურგს შეხედა და ხმას დაუწია, - ბიძია იუსტუსის საქმე როგორაა, უფალმა უწყის, იმის სახელის ხსენებაზე მამა უსიამოდ იქნევს ხოლმე თავს. როგორც ვიცი, ბაბუა კროგერმა ერთი-ორჯერ უკვე გამოიხსნა ბიძია იუსტუსი. არც ჩვენი ბიძაშვილები

უქნია ღმერთს. იურგენს სწავლის გაგრძელება კი უნდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ჩააბარა გამოსაშვები გამოცდები. იაკობსაც არ ემადლიერებიან „დალბეკ და კომპანიაში“. ფული არასოდეს ჰყოფნის, თუმცა შემოსავალი არ აკლია, ბიძია იუსტუსი ხშირად უარს ეუბნება ფულის გაგზავნაზე, დეიდა როზალი კი თავისას არ იშლის და ჩუმ-ჩუმად უგზავნის. არა, ჯობია, ქვის სროლას თავი დავანებოთ. შენ თუ გინდა, ჰაგენშტრომებს გაეჯიბრო, გაჰყევი გრიუნლიჰს და ის იქნება!

- აქ იმიტომ წამოვედით, რომ კიდევ ამაზე ვილაპარაკოთ? დიახ, დიახ! ალბათ, უნდა გავყოლოდი! მაგრამ ახლა ამაზე ფიქრიც არ მინდა. მინდა უბრალოდ დავივიწყო ყველაფერი. ახლა შვარცკოფებთან მივდივართ. მე ხომ ისინი თვალითაც არ მინახავს, კარგი ხალხია?

- ო, დიდერიჰ სვატკოპი მაგარი ბიჭიაო, ასე ამბობს თავის თავზე ლოცმანი, ხუთ ჭიქა გროგს რომ გადაყლურწავს ხოლმე. ერთხელ კანტორაში გვესტუმრა და ერთად წავედით სანაოსნო კლუბში. სმაში ნამდვილად მაგარია. მამამისი გემზე დაიბადა, ნორვეგიის სანაოსნო ხაზზე და ამ ხაზზევე გახდა კაპიტანი. დიდერიჰმაც კარგი სკოლა გაიარა. უფროსი ლოცმანობა საპასუხისმგებლო და საკმაოდ შემოსავლიანი თანამდებობაა. ბებერი ნამდვილი ზღვის მგელია, მაგრამ ქალებთან ყოველთვის გალანტურად უჭირავს თავი. ნახე, არშიყობა თუ არ დაგიწყოს.

- მართლა? მისი ცოლი როგორიღაა?

- მის ცოლს პირადად არ ვიცნობ. სათნო ქალი უნდა იყოს. ჰყავთ ვაჟიშვილი. როცა მე ვსწავლობდი, ის, მგონი, დამამთავრებელ კლასში იყო. ახლა, ალბათ, სტუდენტი იქნება. შეხედე, ზღვა!.. ერთი თხუთმეტი წუთი კიდევ და...

ნორჩი წიფლების ხეივანი ზღვას მისდევდა. მზის სხივებში გახვეული ლურჯი ზღვა წყნარად ლივლივებდა. გამოჩნდა მრგვალი, ყვითლად შეღებილი შუქურა. ერთი წუთიც და, თვალი მოჰკრეს ყურეს და ბასტიონს, პატარა ქალაქის წითელ სახურავებსა და იალქნებით სავსე პატარა ნავმისადგომს.

მალე უკან მოიტოვეს სახლების პირველი რიგი, ეკლესია, ეკიპაჟი მდინარის გასწვრივ გაჭიმულ ქუჩას გაუყვა და გეზი პატარა, ვაზით შებურული, კოპწია სახლისკენ აიღო.

უფროსი ლოცმანი შვარცკოფი კართან იდგა. როცა ეკიპაჟი მიუახლოვდა, ლოცმანმა მეზღვაურის ჩაჩი მოიხადა. შვარცკოფი ჩასკვნილი, მხარბეჭგანიერი კაცი იყო. ღაჟღაჟა სახეს წყლისფერი თვალები და ჭაღარა, მარაოსავით გადაშლილი უხეში წვერი უმშვენებდა. პირში ჩიბუხი გაეჩარა. ბაგე ოდნავ მოღრეცოდა. სუფთად გაპარსული, ხორციანი და წითელი ზედა ტუჩი ღირსეულ და გულღია იერს აძლევდა. ოქროს კანტებით დამშვენებული გახსნილი სერთუკიდან პიკეს ჟილეტი თეთრად ანათებდა. ლოცმანს ღიპი ოდნავ წინ წამოეწია და ფეხებგალაჯული იდგა.

- სინდისს გეფიცებით, მამზელ, თქვენი სტუმრობა ჩემთვის დიდი პატივია.

მან ტონი ფრთხილად ჩამოსვა ეკიპაჟიდან.

- ბატონ ბუდენბროკს ჩემი სალამი! ბატონი მამათქვენი ხომ კარგად ბრძანდება? ქალბატონი ბუდენბროკი? სულითა და გულით მოხარული ვარ!.. აბა, მობრძანდით, მობრძანდით, ბატონებო! ჩემმა ცოლმა უკვე მოგვიმზადა საუზმე... შენ კი მედუქნე პედერსენთან შეუხვიე, - კუთხურად მოუქცია ლოცმანმა მეეტლეს, რომელმაც ის იყო ჩემოდანი შეიტანა სახლში, - იქ ცხენებს კარგა გიჭმევენ! თქვენც ხომ ჩვენთან გაათევთ ღამეს, ბატონო ბუდენბროკ? არა? რატომ? ცხენებმა ხომ უნდა მოითქვან სული, ესეც არ იყოს, ქალაქში დაბინდებამდე მაინც ვერ ჩახვალთ.

- იცით, აქაურობა არაფრით ჩამოუვარდება კურჰაუსს, - თქვა ტონიმ, როცა ვერანდაზე სუფრას მიუსხდნენ, - ღმერთო, რა ჰაერია! წყალმცენარეების სუნიც კი აღწევს აქამდე. საშინლად მიხარია, რომ კვლავ ტრავემიუნდეში ვარ.

ვერანდის მწვანედ შეფოთლილი სვეტებიდან მზის სხივებზე ალაპლაპებული, ორჩხომელებით სავსე, ნავმისადგომებით დასერილი ფართო მდინარე ბრწყინავდა. გაღმა კი, ზღვაში ღრმად შეჭრილ მეკლენბურგის ნახევარკუნძულზე, მისადგომთან, მებორნის სახლი მოჩანდა.

ფართო ლურჯარშიიანი, ფიალებივით ფინჯნები ბუდენბროკების ძველებურ, ნატიფ ფაიფურთან შედარებით უჩვეულოდ უხეში ჩანდა. სამაგიეროდ, მინდვრის ყვავილებით დამშვენებული სუფრა მადისაღმძვრელად იყო გაშლილი. ახალგაზრდებიც მოშიებულნი იყვნენ მგზავრობის შემდეგ.

- აი, ნახავთ, მამზელი როგორ მოიკეთებს აქ, - თქვა დიასახლისმა, - თუ არ გამიწყრებით, ცოტა ხორცი ჩამოუყრია, სულ ქალაქის ჰაერის ბრალია, მერე კიდევ ეს მომქანცველი ბალები...

ქალბატონი შვარცკოფი, შლუტუპელი პასტორის ქალიშვილი, ორმოცდაათი წლის იქნებოდა. ტონიზე ერთი თავით დაბალი იყო და თითქმის გამხდარი ეთქმოდა. ჯერ კიდევ შავი, ფაქიზად დავარცხნილი თმა ფართოთვლებიან ბადეში ჰქონდა შებურვილი. მუქყავისფერ სადა კაბაზე თეთრი საყელო და მანჟეტები ეკეთა. ფაქიზი, ალერსიანი და ნაზი დიასახლისი სტუმრებს თავისი ხელით გამომცხვარ ქიშმიშიან ფუნთუშებს გულღიად სთავაზობდა. ფუნთუშები ნავისმაგვარ კალათაში ელაგა, ირგვლივ ნაღები, შაქარი, კარაქი და ფიჭა თაფლი ჰქონდა შემოწყობილი. პატარა მეტა შვარცკოფს კალათის კიდეებისთვის მძივებით ნაქარგი არშია შემოევლო. რვა წლის წყნარი, პატარა გოგონა დედის გვერდით იჯდა. მას შოტლანდიური ქსოვილის კაბა ეცვა და ჩალისფერი კიკინები აეპრიხა.

ქალბატონმა შვარცკოფმა ტონის ოთახზე მოუბოდიშა, თქვენი საკადრისი არ არისო. ტონი თავის ოთახში უკვე ნამყოფი იყო, ჩამოსვლისთანავე ტანსაცმელი იქ გამოიცვალა.

- რას ბრძანებთ, მშვენიერი ოთახია! ზღვას რომ გადაჰყურებს, მარტო ეს რად ღირს! - თქვა ტონიმ და ყავაში ქიშმიშიანი ფუნთუშის მეოთხე ნაჭერი ჩააწო.

ტომი მოხუც ლოცმანს „ვულენვეევერზე“ ესაუბრებოდა. ამ ხომალდს ახლა ქალაქში არემონტებდნენ.

ამ დროს ვერანდაზე ოციოდე წლის ჭაბუკი შემოვიდა. ხელში წიგნი ეჭირა. სტუმრების დანახვაზე ჭაბუკი გაწითლდა, ნაცრისფერი ფეტრის შლაპა მოიხადა, წელში მოიხარა და სტუმრებს ოდნავ უხერხულად მიესალმა.

- შენა ხარ, შვილო, - უთხრა ლოცმანმა, - დაგაგვიანდა, - შემდეგ ვაჟიშვილი სტუმრებს წარუდგინა, - ჩემი ვაჟიშვილი გახლავთ, - მოხუცმა შვილის სახელი კი თქვა, მაგრამ ტონიმ კარგად ვერ გაარჩია, - ექიმობას სწავლობს, არდადეგებს ჩვენთან ატარებს.

- სასიამოვნოა, - თქვა ტონიმ.

ტომი წამოდგა და ახალგაზრდას ხელი გაუწოდა. ახალგაზრდა შვარცკოფი ერთხელ კიდევ მოიხარა, წიგნი დადო და ალმურადენილმა მაგიდასთან დაიკავა ადგილი.

ის საშუალო ტანისა იყო. საკმაოდ წერწეტა ჭაბუკს ქერა თმა მოკლედ შეეკრიჭა, თმასავით უფერული, ახალაქინქლული ულვაშები სახეზე ძლივს ემჩნეოდა; თმას უჩვეულოდ ნათელი, ფაიფურივით ნაზი კანი ეხამებოდა. ჭაბუკს სულ მცირე რამ ჰყოფნიდა, რომ სახეზე სიწითლე მოსდებოდა. თვალები მამაზე უფრო მუქი ჰქონდა, ოღონდ გამომეტყველება ისეთივე ცოცხალი, კეთილი და გამომცდელი, სახის ნაკვთები - მწყობრი და საკმაოდ სასიამოვნო. როცა ჭამას შეუდგა, უჩვეულოდ ლამაზად ჩამოსხმული, მიჯრილი კბილები გამოუჩნდა. კბილები გაკრიალებული სპილოს ძვალივით უელავდა. ტანზე ჯიბეებიანი, დახურული და წელში რეზინგაყრილი ნაცრისფერი ჯუბა ეცვა.

- გთხოვთ მაპატიოთ, დამაგვიანდა, - თქვა მან. სიტყვებს ცოტა მძიმედ და გაჭიანურებულად გამოთქვამდა, - ზღვის პირას წიგნს ვკითხულობდი და საათს დროზე ვეღარ დავხედე.

ახალგაზრდა შვარცკოფი ჩუმად ჭამდა, დროდადრო თომასსა და ტონის ქვევიდან გამომცდელად ამოხედავდა ხოლმე.

დიასახლისმა ტონის ერთხელ კიდევ სთხოვა, თაფლი მიირთვითო. ჭაბუკმა თქვა:

- ფიჭის თაფლს შეგიძლიათ ენდოთ, ფროილაინ ბუდენბროკ, ნატურალური პროდუქტი გახლავთ. კაცმა ის მაინც იცი, რასა ჭამ! თქვენ კარგად უნდა იკვებოთ. იცოდეთ, აქაური ჰაერი კაცს ასავათებს, ნივთიერებათა ცვლას აჩქარებს, თუ საკმარისად არ მიიღებთ საკვებს, წონაში დაიკლებთ.

მას ერთი გულუბრყვილო და სიმპათიური ჩვეულება ჰქონდა: ლაპარაკის დროს წინ იხრებოდა, ხოლო დროდადრო სულ სხვა ვინმეს შეჰყურებდა და არა მას, ვისაც ელაპარაკებოდა.

დედა ნაზად უსმენდა ვაჟიშვილს, თან ტონის აკვირდებოდა, ცდილობდა ქალიშვილის სახეზე ამოეკითხა, ვაჟის სიტყვები მასზე რა შთაბეჭდილებას მოახდენდა, მაგრამ საქმეში მოხუცი შვარცკოფი ჩაერია:

- ამ შენი ნივთიერებათა ცვლით ნუ გვაწონებ თავს, ბატონო ექიმო. ახლა სულ არ გვეპიტნავება ეგ ამბები.

ჭაბუკს გაეცინა და გაწითლებულმა ტონის თეფშს გახედა.

უფროსმა ლოცმანმა რამდენჯერმე ახსენა თავისი ვაჟიშვილის სახელი, მაგრამ ტონიმ ვერაფრით გაარჩია, ჭაბუკს „მოორ“ ერქვა თუ „მორდ“. მოხუცს ქვემოგერმანული წარმოთქმა ჰქონდა და მიუჩვეველი ყური ბგერებს ვერ იჭერდა.

როცა ჭამას მორჩნენ, სერთუკგაღეღილმა დიდერიჰ შვარცკოფმა მზეზე თვალები მოჭუტა და მოკლე ჩიბუხი გააბოლა. ვაჟიშვილმაც მას მიბაძა. თომასმა პაპიროსს მოუკიდა. ახალგაზრდებმა ცხოველი საუბარი გააჩაღეს, სკოლის ამბები მოიგონეს. საუბარში ტონიც ჩაება. ბატონ შტენგელის სიტყვები გაიხსენეს: „ყმაწვილო, მე გითხარი, ხაზი გაავლე-მეთქი, შენ კი რას აკეთებ? ავლებ შტრიხს!“ რა კარგი იქნებოდა, ქრისტიანი ახლა აქ ყოფილიყო. გამოჯავრება ხომ მისი ხელობა გახლდათ.

უცებ თომასმა დას მაგიდაზე ჩადგმული ყვავილები დაანახვა და უთხრა:

- ბატონი გრიუნლიჰი იტყოდა, ეს ყვავილები აქაურობას უჩვეულოდ ამშვენებსო.

ტონი სიბრაზისგან გაწითლდა, ძმას გვერდში მუჯლუგუნი გაჰკრა და თვალით ახალგაზრდა შვარცკოფზე ანიშნა.

იმ დღეს შვარცკოფებთან ყავაც უჩვეულოდ გვიან დალიეს და ვერანდაზეც დიდხანს ისხდნენ, უკვე შვიდის ნახევარი იყო და გაღმა, ნახევარკუნძულზე ბინდი წვებოდა. ლოცმანი წამოდგა.

- ახლა მომიტევონ ბატონებმა, - თქვა მან, - გაღმა, ლოცმანთა სახლში საქმე მაქვს. თქვენის ნებართვით ჩვენ რვაზე ვვახშმობთ... თუ დღეს ცოტა გვიან, ა, მეტა? შენ კი, - თქვა მან და ვაჟიშვილის სახელი წარმოთქვა, - დიდხანს ნუ გაცდები, გადი და შენს ჩონჩხებს მიხედე. მადმუაზელ ბუდენბროკს, ალბათ, ბარგი აქვს ამოსალაგებელი. თუ ჩვენს ძვირფას სტუმრებს ნაპირზე გასვლა მოენებებათ, ხელს ნუ შეუშლი!

- დიდერიჰ, ღმერთო ჩემო, რა დროს მეცადინეობაა? - ნაზად უსაყვედურა ქმარს ფრაუ შვარცკოფმა, - თუ ახალგაზრდები ზღვის პირას გავლას მოისურვებენ, რატომ არ უნდა გაჰყვეს თან? ბიჭს არდადეგები აქვს, დიდერიჰ! ქვეყანა დაიქცევა, სტუმრებთან რომ გაერთოს?

მეექვსე თავი

მეორე დილით ტონის პატარა, სუფთა ოთახში გამოეღვიძა. ავეჯს დაფოთლილი ჩითი ჰქონდა გადაკრული. ტონიმ თვალი ხალისიანად გაახილა. ასეთი მღელვარე გრძნობა ეუფლება ადამიანს, უცხო ოთახში რომ გაეღვიძება ხოლმე.

ტონი წამოჯდა, მკლავები მუხლზე შემოიჭდო. გაწეწილი თმა უკან გადაიყარა, დახურული დარაბებიდან შემოჭრილი სინათლის ვიწრო, დამაბრმავებელ ზოლს თვალმოჭუტულმა გახედა და გუშინდელი ამბები მეხსიერებაში აუჩქარებლად აღიდგინა.

ბატონი გრიუნლიჰი აღარც კი ახსოვდა. არც ლანდშაფტებიან ოთახში მომხდარი ამაზრზენი სცენა და არც მშობლებისა და პასტორ კოლინგის შეგონებანი გახსენებია. ქალაქი უკან დარჩა. აქ ყოველ დილით უზრუნველად გაეღვიძებოდა... შვარცკოფები მართლაც გულღია მასპინძლები იყვნენ. გუშინ საღამოს სუფრას ფორთოხლის კრუშონიც ამშვენებდა. სტუმრები დალოცეს, თქვენს ჩამოსვლას გაუმარჯოსო. ყველანი კარგ ხასიათზე იყვნენ. მოხუცი შვარცკოფი ენამზეობდა, ზღვაზე მოგზაურობას იხსენებდა, მისი ვაჟიშვილი კი სტუმრებს გოტინგენის ამბებს უყვებოდა. ის ხომ გოტინგენში სწავლობდა. რა საოცარი იყო: ტონიმ ჯერ კიდევ არ იცოდა, ჭაბუკს რა ერქვა. წუხელაც ცდილობდა, გაეგო, მაგრამ ვახშამზე მისი სახელი არავის უხსენებია, კითხვა კი ეუხერხულებოდა. ტონი თავს იმტვრევდა. ღმერთო ჩემო, მაინც რა ერქვა ჭაბუკს? მოორი... მორდი? ერთ კია - ეს მოორი თუ მორდი ტონის ძალიან მოეწონა. როცა ჭაბუკი წყალს მოითხოვდა, ბაგეზე სათნო და თანაც ეშმაკური ღიმილი აუთამაშდებოდა ხოლმე. წყლის მაგივრად რაღაც ასოებსა და ციფრებს ახსენებდა. მოხუცს გული მოსდიოდა. რას ამბობდა ჭაბუკი? ჰო, ეს წყლის მეცნიერული ფორმულა გახლავთ, მაგრამ არა ამ წყლისა, რადგან ტრავემიუნდული სითხის ფორმულა გაცილებით რთული იქნებაო. ყოველ წუთში შეიძლება კაცმა შიგ რაიმე უბედურება აღმოაჩინოს, ქალაქისთავებს მტკნარ წყალზე საკუთარი შეხედულება აქვთო... მამა ქალაქისთავების აგდებულად ხსენებას ვერ იტანდა და შვილს უჯავრდებოდა, ქალბატონი შვარცკოფი კი ცდილობდა, ტონის სახეზე აღტაცება ამოეკითხა. ყმაწვილი მართლაც მიმზიდველად, მხიარულად და თანაც მეცნიერულად ლაპარაკობდა. ახალგაზრდა კაცი ტონის ფარვანასავით დასტრიალებდა. ტონიმ შესჩივლა, ჭამის დროს თავში სისხლი მივარდება, ნამდვილად სისხლჭარბი უნდა ვიყოო. მან კი რა უპასუხა? ტონის გულდასმით დააკვირდა და დინჯად უთხრა: საფეთქლებზე ძარღვები კი გემჩნევათ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თავში ჭარბი სისხლი, ანუ უფრო სწორად, ჭარბი წითელი ბურთულები გაქვთ, თქვენ შეიძლება ოდნავ სისხლნაკლულიც კი იყოთო.

მოჩუქურთმებული კედლის საათიდან გუგული გამოხტა და ხმამაღლა, წკრიალა ხმით დაიძახა: „გუგუ“. „შვიდი, რვა, ცხრა, - დათვალა ტონიმ, - ადგომის დროა!“ ლოგინიდან ფიცხლად წამოიჭრა და დარაბები გამოაღო. ოდნავ მოღრუბლულ ცაზე მზე ჭიატობდა. ფანჯრიდან შუქურის იქით მოტორტმანე ზღვა მოჩანდა. ზღვა მარჯვნივ, მეკლენბურგის ნაპირებთან, რკალივით უხვევდა და მომწვანო-მოლურჯო ზოლებად გაწოლილი დაბურულ ჰორიზონტს ერწყმოდა. „საბანაოდ მერე წავალ, - ფიქრობდა ტონი, - ჯერ კარგად უნდა ვისაუზმო, თორემ ნივთიერებათა ცვლა დამერღვევა და გავსავათდები“. ამის გაფიქრებაზე ტონის გაეღიმა და ჩაცმას ხალისიანად შეუდგა.

ათის ნახევარი სრულდებოდა, როცა ოთახიდან გამოვიდა. თომასის საძინებელი ოთახის კარი ღია დახვდა. იგი უთენია გამგზავრებულიყო ქალაქში. ეს ოთახები კარგა მაღალზე იყო განლაგებული, მაგრამ ტონის ყნოსვას აქაც კი მოსწვდა ყავის სურნელი. ეტყობოდა, ყავის სურნელი ყოველთვის იდგა ამ პატარა სახლში. ტონიმ მოუხარატებელი, სადა ხის კიბე ჩაათავა და გაუყვა ვერანდისკენ მიმავალ ტალანს, რომლის ორივე მხარეს სასტუმრო, სასადილო და უფროსი ლოცმანის სამუშაო ოთახები იყო ჩარიგებული. აქ კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობოდა ყავის სურნელი. თეთრი პიკეს სადად შეკერილ კაბაში გამოწყობილმა ტონიმ ტალანი ჩაათავა და ვერანდაზე ხალისიანად და ცოცხლად გავიდა.

ფრაუ შვარცკოფი შვილთან ერთად ნახევრად ალაგებულ სუფრას უჯდა. ყავისფერ კაბაზე ლურჯი, უჯრედებიანი წინსაფარი აეფარებინა. წინ გასაღებებით სავსე კალათა ედგა.

- დიდ ბოდიშს გიხდით, რომ ვერ დაგელოდეთ, მამზელ ბუდენბროკ! - თქვა მან და წამოდგა, - ჩვენ უბრალო ხალხი ვართ და ადრე ვდგებით. ათასი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. შვარცკოფი თავის კაბინეტშია... ალბათ, მამზელი არ შემოგვწყრება, არა?

ტონიმ, თავის მხრივ, მოიბოდიშა:

- ძილისგუდა არ გეგონოთ. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ასე გვიან რომ გამეღვიძა, გუშინდელი კრუშონის ბრალია.

ჭაბუკს გაეცინა. მას ხელში მოკლე ჩიბუხი ეჭირა და მაგიდასთან იდგა. წინ გაზეთი ედო.

- დიახ, სწორედ თქვენი ბრალია, - უთხრა მას ტონიმ, - დილა მშვიდობისა! სწორედ თქვენ მიჭახუნებდით ჭიქას. ახლა მხოლოდ ცივი ყავის ღირსი ვარ. ამ დროს უკვე ნასაუზმევი და ნაბანავები უნდა ვყოფილიყავი.

- არა, რას ამბობთ, ახალგაზრდა ქალისთვის ძალიან ადრე ბანაობაც არ ვარგა. შვიდზე წყალი საკმაოდ ცივია. თერთმეტ გრადუსზე მეტად არ თბება. ლოგინის სითბოგამოყოლილ კაცს ცივი წყალი ძვალსა და რბილში გაატანს.

- საიდან დაასკვენით, რომ თბილ წყალში მინდა ბანაობა, მუსიო? - ტონი სუფრას მიუჯდა, - ფრაუ შვარცკოფ, ყავა მაინც თბილად შეგინახავთ ჩემთვის... ნუ წუხდებით, მე თვითონ დავისხამ... დიდი მადლობა!

დიასახლისს თვალი ეჭირა, რომ სტუმარს მადიანად ესაუზმა.

- მამზელს ხომ კარგად ეძინა წუხელ? ღმერთო ჩემო, ლეიბი ზღვის ბალახითაა გატენილი. ჩვენ უბრალო ხალხი ვართ... აბა, მადიანად მიირთვით, გისურვებთ ამ დილას დრო კარგად გაგეტარებინოთ. მამზელი ზღვის პირას, ალბათ, ნაცნობებს შეხვდება... თუ გესიამოვნებათ, ნაპირამდე ჩემი ვაჟი მიგაცილებთ, ახლა ბოდიშს ვიხდი, უნდა დაგტოვოთ, სადილი მაქვს მისახედი. სადილად შემწვარი ძეხვი მექნება... რაც შეიძლება გემრიელად უნდა გაგიმასპინძლდეთ.

- ფიჭა თაფლი მიყვარს, - თქვა ტონიმ, როცა ახალგაზრდები მარტონი დარჩნენ, - რაც უნდა იყოს, „ნატურალური პროდუქტია, კაცმა ის მაინც იცი, რასა ჭამ“.

ახალგაზრდა შვარცკოფი წამოდგა და ჩიბუხი ვერანდის მოაჯირზე ჩამოდო.

- მოსწიეთ, მოსწიეთ! სულ არ მიშლის ხელს. დიდი ხანია მივეჩვიე. შინ, საუზმეზე რომ ჩავდივარ ხოლმე, ოთახი მამას სიგარის კვამლითაა სავსე... მითხარით, - სიტყვა გაწყვიტა ტონიმ, - მართალია, რომ ამბობენ, ერთი კვერცხი მეოთხედ გირვანქა ხორცს უდრისო?

ყმაწვილ კაცს სახეზე ალმური მოედო.

- დამცინით, ფროილაინ ბუდენბროკ? - სიცილით უსაყვედურა მან ტონის, - გუშინ მამაჩემმაც კარგად შემახურა, მეტიჩრობ, ვითომ ცოდნას ამჟღავნებ და იბღინძებიო.

- გეფიცებით, ცუდი არაფერი მქონია გულში! - ტონიმ უხერხულად იგრძნო თავი და ჭამა შეწყვიტა, - იბღინძებიო! ამის თქმა როგორ შეიძლება! რაღაც-რაღაცების გაგება ნამდვილად მინდოდა... ღმერთმანი, ნამდვილი ბატი ვარ! ზეზემი ვაიჰბროტს ჩემზე ზარმაცი მოწაფე არ ჰყოლია. თქვენ კი, მგონია, ისე ბევრი იცით, რომ...

ტონიმ გაიფიქრა: „იბღინძებიო? კაცი მოხვდა უცხო საზოგადოებაში, უნდა თავი გამოიჩინოს, სიტყვებს არჩევს და ცდილობს ყველას მოეწონოს. სავსებით გასაგებია“.

- დიახ, თითქმის ტოლფასოვანი გახლავთ, - თქვა აშკარად ნასიამოვნებმა ვაჟმა, - ხოლო რაც შეეხება ზოგიერთ საკვებ ნივთიერებას...

ტონი საუზმობდა, ახალგაზრდა შვარცკოფი ჩიბუხს აბოლებდა და წამოწყებულ საუბარს აგრძელებდა. მერე ზეზემი ვაიჰბროტი ახსენეს, ტონის პანსიონის ხანაც

მოიგონეს, გერდა არნოლდსენი და არმგარდ ფონ შილინგიც არ დავიწყებიათ. გერდა მშობლიურ ამსტერდამს დაბრუნებოდა, არმგარდის სახლი კი მოწმენდილ ამინდში აქედან კარგად მოჩანდა თურმე.

ტონიმ ჭამა დაამთავრა, პირი მოიწმინდა, ჭაბუკს გაზეთზე ანიშნა და ჰკითხა:

- არის რამე ახალი?

ახალგაზრდა შვარცკოფს გაეცინა და თავი დამცინავად გადააქნია.

- აჰ, არა... ახალი რა უნდა იყოს? იცით, ეს „ქალაქური უწყებანი“ დიდი უბადრუკი გაზეთია!

- მართლა? მამა და დედა ყოველთვის რომ იწერენ?

- მეტი რა გზა აქვთ, - თქვა მან და გაწითლდა, - როგორც ხედავთ, მეც ვკითხულობ. იმიტომ, რომ სხვა არაფერია წასაკითხი. ისე, მავანი და მავანი დიდვაჭარი ვერცხლის ქორწილის გადახდას აპირებსო, არცთუ დიდად საინტერესო ამბავი გახლავთ... დიახ, დიახ! გაგეცინებათ კიდეც, თქვენ სხვა გაზეთები უნდა წაიკითხოთ: „კიონიგსბერგის ჰარტინგული მაცნე“ ან „რაინის გაზეთი“. პრუსიის მეფემ რაც უნდა ილაპარაკოს... იქ მაინც იპოვით რამე ხეირიანს.

- მერედა რას ამბობს პრუსიის მეფე?

- არა, სამწუხაროდ, ქალთან მის სიტყვებს ვერ გავიმეორებ... - თქვა ჭაბუკმა და ისევ გაწითლდა, - მან ეს გაზეთები საკმაოდ არაგულმოწყალედ მოიხსენია, - განაგრძო მან ნაძალადევი, ირონიული ღიმილით, რამაც ტონის ერთი წუთით უსიამოვნო გრძნობა მოჰგვარა, - ისინი თურმე „ღირსეულად“ ვერ ეპყრობიან მთავრობას, აზნაურობას, სამღვდელოებასა და იუნკრებს... და ასევე ცენზურის ყინულზე გაცურებაც მშვენივრად სცოდნიათ...

- მერე თქვენ, თქვენც ასე ეპყრობით არისტოკრატიას?

- მე? - იკითხა მან და დაირცხვინა.

ტონი წამოდგა.

- კარგი, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. რა უჭირს, ახლა ზღვაზე რომ გავიდე? ხედავთ, სულ მოიწმინდა. დღეს აღარ იწვიმებს. როგორ მომენატრა ზღვაში ჩაყურყუმელავება. ხომ არ გამაცილებთ?

მეშვიდე თავი

ტონიმ თავისი დიდი ჩალის ქუდი დაიხურა და ქოლგა გაშალა, თუმცა ზღვიდან ნიავი უბერავდა, სიცხე მაინც აჭერდა. ახალგაზრდა შვარცკოფს თავზე ნაცრისფერი შლაპა ეხურა, იღლიაში წიგნი ამოეჩარა, ტონის გვერდზე მიაბიჯებდა და ხანდახან ქალიშვილს გვერდიდან უჭვრეტდა.

სანაპირო ქუჩა გაიარეს და პარკში შევიდნენ. ხრეშმოყრილი გზებითა და ყვავილნარებით შემკულ პარკში მზე აცხუნებდა, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. კურჰაუსის, საკონდიტროსა და ერთმანეთთან გრძელი ნაგებობებით შეერთებული შვეიცარიული სახლების პირდაპირ, წიწვიან ხეებში ჩამალული საკონცერტო ნიჟარაც დუმდა. ორის ნახევარი იყო. მოაგარაკენი ჯერ კიდევ სანაპიროზე იქნებოდნენ.

მალე მერხებითა და დიდი საქანელათი მოწყობილი საბავშვო მოედანი გადაიარეს, სააბაზანოებს გვერდი აუარეს და შუქურისკენ გაემართნენ. მზე ბალახზე აცხუნებდა, იქაურობას ბუღი ასდიოდა, ჰაერში ტრიალებდა სამყურასა და ძირხვენების სუნი. მუმლი გუნდად, ზუზუნით ირეოდა. ზღვიდან ტალღების მონოტონური, ყრუ ტყლაშუნი აღწევდა. შორს, ზღვაში, აქა-იქ პაწაწა, ქოჩორა ტალღა წამოყოფდა თავს და გაქრებოდა.

- ეგ რა წიგნი მოგაქვთ? - შეეკითხა ჭაბუკს ტონი.

ჭაბუკმა წიგნი სწრაფად გადაფურცლა.

- სათქვენო არ გახლავთ, ფროილაინ ბუდენბროკ! აქ სულ სისხლის, შინაგანი ორგანოებისა და სხვადასხვა სნეულების აღწერას ნახავთ. ნახეთ, აქ, მაგალითად, ფილტვების შეშუპებაზეა ლაპარაკი. ამ დროს ფილტვების ბუშტუკები წყლისმაგვარი სითხით ივსება... ეს კი ძალიან სახიფათოა. შეშუპება ფილტვების ანთების დროს ემართებათ ხოლმე. როცა ფილტვები მეტისმეტად დაიბერება, კაცი ვეღარ სუნთქავს და კვდება. ჰოდა, ეს ამბავი აქ სავსებით გულგრილად არის თავიდან ბოლომდე აღწერილი და ახსნილი...

- ფუ, რა საშინელებაა!.. მაგრამ რას იზამ, კაცს თუ ექიმობა გინდა... მე ვეცდები ჩვენი შინაური ექიმი გახდეთ, როცა გრაბოვს მუშაობა აღარ შეეძლება, აი, ნახავთ თუ არა!

- ჰოო, ნება მომეცით, გკითხოთ, თქვენ რაღას კითხულობთ, ფროილაინ ბუდენბროკ?

- იცნობთ ჰოფმანს? - შეეკითხა ტონი.

- კაპელმაისტერსა და ოქროს ქოთანზე რომ წერს? დიახ, მშვენიერია... მაგრამ იცით, ის უფრო ქალებისთვისაა დაწერილი. მამაკაცებმა დღეს სხვა რამე უნდა იკითხონ.

- ახლა ერთი რამ უნდა გკითხოთ, - რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, როგორც იქნა, გაბედა ტონიმ, - რა გქვიათ თქვენ? ვერაფრით თქვენი სახელი ვერ გავიგე... პირდაპირ ნერვები მომეშალა! გუშინდლიდან თავს ვიმტვრევ და...

- თავს იმტვრევთ?..

- დიახ, ძალიან გთხოვთ ნუღარ გამაწვალებთ! ამის კითხვა უხერხულიცაა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ ამიტანა... ისე, კაცმა რომ თქვას, შეიძლება ჩემს სიცოცხლეში არ დამჭირდეს თქვენი სახელი.

- რახან ასეა, მე მქვია მორტენი, - თქვა ჭაბუკმა და ჩვეულებრივზე მეტად გაწითლდა.

- მორტენი? ლამაზი სახელია!

- რას ამბობთ! ლამაზი?..

- ჰო, ღმერთმანი... აბა, უკეთესი იქნებოდა, ჰინცი ან კუნცი გრქმეოდათ? თქვენი სახელი რაღაც განსაკუთრებულია, უცხოურსა ჰგავს...

- თქვენ რომანტიკოსი ბრძანდებით, მადმუაზელ ბუდენბროკ, გეტყობათ, ჰოფმანის ბევრი ნაწარმოები წაგიკითხავთ... უცნაური აქ არაფერია: ბაბუაჩემი ნახევრად ნორვეგიელი იყო და მორტენი ერქვა. მე მისი სახელი დამარქვეს. ეს არის და ეს.

ტონი ფრთხილად მიიკვლევდა გზას შიშველი ნაპირის კლდეზე ამოსულ მაღალ, ჩხვლეტია ლაქაშებში. გამოჩნდა კონუსისებურსახურავიანი ხის პავილიონების რიგი.

ზღვასთან ახლოს მოწნული ჩარდახები იყო ჩამწკრივებული. ჩარდახებთან, თბილ ქვიშაზე მთელი ოჯახები მოკალათებულიყვნენ. ქალებს ლურჯი პენსნეები ეკეთათ და ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნებს კითხულობდნენ, ღია ფერის კოსტიუმებში გამოწყობილი მამაკაცები უსაქმობისგან სილაზე ხელჯოხით ფიგურებს ხატავდნენ. მზეზე გარუჯული, ჩალისქუდიანი ბავშვები სილაში იქექებოდნენ, გორაობდნენ, ხის ყალიბებში სილის ნამცხვრებს აცხობდნენ, გაჰყავდათ გვირაბები, ფეხშიშველები ნაპირთან ახლოს თხელ ტალღებში დატყაპუნებდნენ და გემებს აცურავებდნენ. მარჯვნივ, ზღვაში, სააბაზანოს ხის შენობა იჭრებოდა.

- ასე პირდაპირ მოლენდორფების პავილიონს მივადგებით, - თქვა ტონიმ, - ცოტა გადავუხვიოთ!

- სიამოვნებით... მაგრამ თქვენ ხომ მაინც მოგიწევთ მათთან მისვლა. მე აგერ, იმ ქვებზე ჩამოვჯდები.

- მომიწევს... ჰო, გამარჯობის თქმა აუცილებლად მომიწევს. მაგრამ რომ იცოდეთ, როგორ არ მინდა მათი ნახვა, მე აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ მოვისვენო...

- მოისვენოთ? ვისგან?

- ვისგან?

- იცით რა, ფროილაინ ბუდენბროკ, მეც მინდა ერთი რამ გკითხოთ... მაგრამ სხვა დროს, როცა შესაფერის შემთხვევას ვიპოვი. ახლა კი ნება მომეცით, დაგემშვიდობოთ. მე აგერ, იმ ქვებზე ჩამოვჯდები.

- არ გინდათ, რომ წარგადგინოთ, ბატონო შვარცკოფ? - დიდის ამბით ჰკითხა ტონიმ.

- არა, არა! - სწრაფად წარმოთქვა მორტენმა, - დიდად გმადლობთ. მე რა იმათი ტოლი ვარ. მე იქით დავჯდები, ქვებზე.

მორტენ შვარცკოფი ხელმარჯვნივ, დიდი ლოდებისკენ გაემართა. სააბაზანოს გვერდით ლოდებს წყალი ელამუნებოდა.

მოლენდორფების პავილიონთან კისტენმაკერებს, ჰაგენშტრომებსა და ფრიჩეებს მოეყარათ თავი. ტონი მათთან მივიდა. მთელი ეს თავყრილობა უმთავრესად ქალებისა და ბავშვებისგან შედგებოდა. მათ შორის მხოლოდ ორ მამაკაცი მოჩანდა: კურორტის მეპატრონე, ჰამბურგელი კონსული ფრიჩე და Suitier-ად[50] აღიარებული პეტერ დოლმანი. დღეს სამუშაო დღე იყო და მამაკაცების უმრავლესობა ქალაქში გახლდათ. კონსული ფრიჩე, სუფთად გაპარსული, თხელსახიანი, შუახნის მამაკაცი, პავილიონში იდგა და ჭოგრიტით იალქნიან ხომალდს გაჰყურებდა. პეტერ დოლმანს ფართოფარფლებიანი ჩალის ქუდი დაეხურა, წვერი მეზღვაურივით მრგვალად მოეშვა და სილაზე გაშლილ პლედზე წამოწოლილ თუ ტილოს სავარძლებში მსხდომ ქალებს ესაუბრებოდა. სენატორის მეუღლე, ქალბატონი მოლენდორფი, ქალიშვილობაში ლანგჰალსი, ხელში გრძელტარიან ლორნეტს ატრიალებდა. ჭაღარა თმა ჩვეულებისამებრ გაწეწილი ჰქონდა. ქალბატონი ჰაგენშტრომიც აქ გახლდათ თავის იულჰენთან ერთად. იულჰენს ტანი არ აეყარა, სამაგიეროდ ყურის ბიბილოებში უკვე დედამისივით ეკეთა ბრილიანტები. აქ ბრძანდებოდნენ კონსულ კისტენმაკერის მეუღლე და მისი ქალიშვილი. კონსულ ფრიჩეს მეუღლე, სახედანაოჭებული, თავზე ჩაჩწამოკოსებული ტანმორჩილი ქალი, კურორტზე დიასახლისობდა. მუდამ გაწითლებული და არაქათგამოცლილი დიასახლისი სულ პიკნიკებზე, საბავშვო ბალებზე, ლატარიებსა და იალქნიანი ნავებით სეირნობაზე ფიქრობდა. მისი კომპანიონი ქალი ცოტა მოშორებით იჯდა. ბავშვები ზღვის პირას თამაშობდნენ.

ღვინის სავაჭრო ფირმას „კისტენმაკერსა და ვაჟიშვილს“ აყვავების ხანა დაუდგა. მან უკანასკნელ წლებში კოპენს ბევრი მუშტარი წაართვა. კისტენმაკერს ორივე ვაჟიშვილი, ედუარდი და შტეფანი, უკვე საქმეში ჰყავდა ჩაბმული. კონსული დოლმანი სხვა Suitier-ებისგან განსხვავებით დახვეწილი მანერებით როდი გამოირჩეოდა. სამაგიეროდ, ეს წყალობა იუსტუს კროგერს უხვად ჰქონდა ღვთისგან მომადლებული. პეტერ დოლმანი უფრო პირდაპირი Suitier იყო. საზოგადოებაში თავი აგდებულად ეჭირა. იცოდა, შინაურული, თავხედური საქციელითა და როხროხა ხმით თავს ორიგინალურ კაცად გაასაღებდა, განსაკუთრებით - ქალებთან. ერთხელ ბუდენბროკებთან სადილზე რომელიღაც კერძის შემოტანა დააგვიანეს.

დიასახლისი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, საზოგადოებასაც გუნება გაუფუჭდა. მაშინ პეტერ დოლმანმა მთელი სუფრის გასაგონად დაიროხროხა: არიქა, ქალბატონო, მოგვაშველეთ რამე, თორემ გამძვრა სული შიმშილითო, და მისმა ხუმრობამ სუფრა გაამხიარულა.

სწორედ იმ წუთში პეტერ დოლმანი თავისი მქუხარე, უხეში ხმით რაღაც უწმაწურ ანეკდოტს ყვებოდა და სამხრეთგერმანულ გამოთქმებს უხეშად იშველიებდა.

სიცილისგან დაოსებული სენატორის მეუღლე დროგამოშვებით წამოიძახებდა ხოლმე:

- თუ ღმერთი გწამთ, ბატონო კონსულო, ერთი წუთით მაინც შეჩერდით!

ტონი ბუდენბროკს ჰაგენშტრომები ცივად შეხვდნენ, დანარჩენები კი გულთბილად შეეგებნენ. კონსულმა ფრიჩემ სწრაფად ჩამოირბინა პავილიონის კიბე. მას იმედი ჰქონდა, ბუდენბროკები კურორტზე ხალხის მოზიდვაში გაისად მაინც მომეხმარებიანო.

- დავშთები თქვენი მონა-მორჩილი, მადმუაზელ! - შეეგება ტონის კონსული დოლმანი. იგი შეეცადა, სალამი დახვეწილი და თავაზიანი გამოსვლოდა. კარგად იცოდა, ფროილაინ ბუდენბროკს მისი მანერები დიდად არაფრად ეპიტნავებოდა.

- მადმუაზელ ბუდენბროკ!

- თქვენ აქა ხართ?

- რა შესანიშნავია!

- როდის ჩამობრძანდით?

- რა მშვენიერი კაბა გაცვიათ!

- სადა ხართ ჩამომხტარი?

- შვარცკოფებთან?

- უფროს ლოცმანთან?

- რა ორიგინალურია!

- ნამდვილად ორიგინალურია!

მეტისმეტი ტყლარჭვისგან ისინი „ნემდვილადო“, ამბობდნენ.

- მაშ, თქვენ ქალაქში ცხოვრობთ? - გაიმეორა კონსულმა ფრიჩემ, კურორტის მეპატრონემ. მან არ შეიმჩნია, თორემ გული დასწყდა.

- უახლოეს პიკნიკზე თქვენი ხილვით სიამოვნებას არ მოგვანიჭებთ? - შეეკითხა ტონის კონსულის მეუღლე.

- დიდხანს დარჩებით ტრავემიუნდეში? - კითხვა შეუნაცვლა სხვა ქალბატონმა.

- არ გეჩვენებათ, ძვირფასო, რომ ბუდენბროკებს მეტისმეტად გამორჩეულად უჭირავთ თავი? - წაუჩურჩულა ფრაუ ჰაგენშტრომმა სენატორის მეუღლეს.

- ჯერ არ გიბანავიათ? - შეეკითხა ტონის ვიღაც, - ქალიშვილებიდან ვის არ უბანავია დღეს? მარიჰენს, იულჰენს, ლუიზჰენს? მე მგონი, თქვენი მეგობრები არ დაგზარდებიან და საბანაოდ გამოგყვებიან, ფროილაინ ანტონია!

რამდენიმე ქალიშვილი ფეხზე წამოდგა და საბანაოდ გაემზადა. პეტერ დოლმანსაც შემთხვევა ხელიდან არ გაუშვია და ქალიშვილები ნაპირამდე მიაცილა.

- ღმერთო! გახსოვს სკოლაში რომ დავდიოდით? - შეეკითხა ტონი იულჰენ ჰაგენშტრომს.

- დი-ახ! თქვენ ყოველთვის ანჩხლობაზე დებდით თავს, - უთხრა იულჰენმა გულმოწყალე ღიმილით.

ქალიშვილები ფიცარნაგით საბანაოსკენ გაემართნენ. როცა იმ ლოდებს ჩაუარეს, სადაც მორტენ შვარცკოფი იჯდა და წიგნს კითხულობდა, ტონიმ ჭაბუკს შორიდანვე დაუქნია თავი.

- ვის ესალმები, ტონი? - დაინტერესდა ვიღაც.

- ო, ეს ახალგაზრდა შვარცკოფია, - უპასუხა ტონიმ, - აქამდე იმან მომაცილა.

- უფროსი ლოცმანის ვაჟი? - იკითხა იულჰენ ჰაგენშტრომმა და შავი, კრიალა თვალები მორტენს დაასო. ისიც, თავის მხრივ, საკმაოდ მელანქოლიურად უჭვრეტდა ამ ელეგანტურ საზოგადოებას. ტონიმ ხმამაღლა თქვა:

- ერთ რამეზე მწყდება გული: აუგუსტ მოლენდორფი მაინც იყოს აქ... კვირადღის გარდა პლაჟზე, ალბათ, მოწყენილობა იქნება!

მერვე თავი

ასე დაიწყო ტონი ბუდენბროკისთვის ზაფხულის მშვენიერი დღეები, სწრაფად მსრბოლავი და ყველაზე უფრო სასიამოვნო, ვიდრე ოდესმე ტრავემიუნდეში განუცდია. ტონი გაიფურჩქნა, გულიდან დარდი გადაეყარა. ლაპარაკსა და მიხრა- მოხრაში წინანდელი სითამამე და უზრუნველობა დაეტყო. კონსული შვილს კმაყოფილი აკვირდებოდა. იგი კვირაობით ტომსა და ქრისტიანთან ერთად

ტრავემიუნდეში ჩამოდიოდა ხოლმე. იმ დღეს სასტუმროში საერთო სუფრაზე სადილობდნენ, მუსიკას უსმენდნენ და საკონდიტროს ჩარდახში ყავას მიირთმევდნენ, ხანდახან რულეტის სათამაშო დარბაზშიც შეიჭვრეტდნენ ხოლმე, სადაც იუსტუს კროგერისა და პეტერ დოლმანისთანა მხიარული ხალხი ირეოდა. თვითონ კონსული არასოდეს თამაშობდა.

ტონი მზეზე იხრუკებოდა, ბანაობდა, პირშუშხას საწებლით მორთმეულ ძეხვს გეახლებოდათ და მორტენთან ერთად მეზობელი სოფლისკენ მიმავალ შარაგზაზე დაეხეტებოდა. უყვარდა სანაპიროზე ასვეტილ „ზღვის ტაძრამდე“ გასეირნება; იქიდან იშლებოდა ზღვისა და ხმელეთის უსაზღვრო ხედი. ზოგჯერ კურჰაუსის უკან მდებარე ტყეში ადიოდა, სადაც უზარმაზარი ზარი ეკიდა, ეს ზარი დამსვენებლებს ტაბლდოტზე უხმობდა... ხშირად ტრავეზე ნავით მოგზაურობდნენ ნახევარკუნძულამდე, იქ შეიძლებოდა ქარვასაც წასწყდომოდით.

მორტენი ხალისიანი მეგზური გახლდათ, აზრის გამოთქმა კი ცოტა ცხარედ და მკვახედ იცოდა. ყველაფერზე მკაცრი და სამართლიანი განაჩენი გამოჰქონდა, თუმცა სახეზე სიწითლე მოედებოდა ხოლმე. ტონის სწყინდა და მორტენს კიცხავდა კიდეც, როცა იგი ხელს მოუხეშავად, ბრაზიანად იქნევდა და ყველა აზნაურს იდიოტსა და საცოდავს ეძახდა. ტონის ერთი რამ კი ძალიან ეამაყებოდა: ბევრ საიდუმლოს, მორტენი მშობლებსაც რომ არ უმხელდა, ტონის გულახდილად უზიარებდა.

ერთხელ მორტენმა ტონის უთხრა:

- ერთი საიდუმლო ამბავი უნდა გაგანდოთ: გოტინგენში, ჩემს ოთახში, ნამდვილი ჩონჩხი მაქვს. ჩონჩხი მავთულითაა შეკრული და ფეხზე დგას. აი, იმ ჩონჩხს პოლიციელის ფორმა გადავაცვი. ჰა! არ მოგწონთ? მაგრამ ღვთის გულისათვის, მამაჩემთან არაფერი დაგცდეთ!

რა თქმა უნდა, ტონი ნაცნობ ქალაქელებსაც ხვდებოდა ხოლმე პარკში ან ზღვის სანაპიროზე. მათ ხან პიკნიკებზე დაჰყვებოდა, ხან კი იალქნიანი ნავით სეირნობდა. მაშინ მორტენი „ქვებზე იჯდა“. „ქვებზე ჯდომა“ პირველი დღიდანვე მათთვის გამოთქმად იქცა, რაც ეულად ყოფნას, მოწყენას ნიშნავდა. როცა წვიმიანი დღე გამოერეოდა და ნაცრისფერ ბურუსში გახვეული ზღვა ჩამოქუფრულ ცას შეერწყმოდა, მაშინ ტონი იტყოდა ხოლმე:

- დღეს ორივეს ქვებზე მოგვიწევს ჯდომა, ესე იგი, ვერანდიდან ან სასტუმრო ოთახიდან ფეხს ვერ მოვიცვლით. მეტი რა გზაა, თქვენი სტუდენტური სიმღერები უნდა მიმღეროთ, მორტენ, თუმცა მათი მოსმენა უკვე საშინლად მომბეზრდა.

- ჰო, - ამბობდა მორტენი, - რა გაეწყობა... მაგრამ, როცა თქვენც აქა ხართ, მაშინ „ქვებზე ჯდომა“ რა მოსატანია!..

ასეთი რამ მორტენს მამამისის თანდასწრებით არასოდეს დასცდებოდა ხოლმე, დედისა კი არ ერიდებოდა.

- აბა, - იკითხავდა უფროსი ლოცმანი, როცა სადილის შემდეგ ტონი და მორტენი ერთად წამოდგებოდნენ და წასვლას დააპირებდნენ, - ახალგაზრდა ბატონებს საით გაუწევიათ?

- ფროილაინ ანტონია ნებას მრთავს ზღვის ტაძრამდე ვეახლო.

- მაშ ნებას გაძლევს, ხომ? ერთი მითხარი, ჩემო Filius,[51] არ ჯობია შენს ოთახში წახვიდე და „ნერვული სისტემა“ გაიმეორო? სანამ გოტინგენში ჩახვიდოდე, ყველაფერი დაგავიწყდება.

ფრაუ შვარცკოფი ქმარს ნაზად ეწინააღმდეგებოდა:

- დიდერიჰ, ღმერთო ჩემო! რას ჩააცივდი ამ ბავშვს? წავიდეს, სადაც უნდა, მას ხომ არდადეგები აქვს! ჩვენს სტუმარს, აბა, არ უნდა გაეკაროს? - და ისინიც მიდიოდნენ.

ტონი და მორტენი ნაპირს მიჰყვებოდნენ, ზედ წყლის პირას, სადაც ქვიშა ტალღებისგან ისე იყო გაპრიალებული და გამაგრებული, რომ კაცს სიარული გაუჭირვებლად შეეძლო. ქვიშაზე უხვად ეყარა თეთრი ნიჟარები, თუმცა მოგრძო, ოპალისფრად მოელვარე დიდ ნიჟარებსაც ხშირად წააწყდებოდით. ნაპირზე ალაგ- ალაგ ამოსულ მომწვანო-მოყვითალო ზღვის ბალახს მრგვალი, ფუყე ნაყოფი ესხა. ფეხის დაჭერისას ნაყოფი ტკაცუნით სკდებოდა. ნაპირთან მედუზები ტივტივებდა, ზოგი უბრალო და წყლისფერი, ზოგი შხამიანი, მოწითალო-მოყვითალო ფერისა. ბანაობისას მათი ფეხზე მოკარება და ფეხების დასუსხვა ერთი იყო.

- იცით, წინათ რა სულელი ვიყავი? - ყვებოდა ტონი, - მედუზებისთვის ციმციმა ვარსკვლავები მინდოდა ამომეგლიჯა. ცხვირსახოცში მთელ გროვა მედუზებს გავახვევდი ხოლმე და შინ მიმქონდა. აივანზე, მზის გულზე ფაქიზად დავაწყობდი. მეგონა, მედუზები გადნებოდნენ და ვარსკვლავები დარჩებოდა. სხვაგვარად ვერ წარმომედგინა. ცოტა ხნის შემდეგ რომ დავხედავდი, დიდი, სველი ლაქა დამხვდებოდა და მეტი არაფერი. მხოლოდ ოდნავ თუ იგრძნობდი წყალმცენარეების სუნს, ეს იყო და ეს.

ისინი მიდიოდნენ, მათ ახლოს ტალღები რიტმულად დგაფუნებდნენ. გრილი ზღვაური სახეში სცემდათ, ნიავი ლაღად მოქიქინებდა, ორივეს ყურებს უგუბებდა და სასიამოვნოდ ახვევდა თავბრუს. ასე მიდიოდნენ ზღვაზე გამეფებული წყნარი შუილით აღსავსე უსაზღვრო სიმშვიდეში. აქ ყოველი შორეული ჩქამიც კი ადამიანს იდუმალებით ავსებდა.

მარცხნივ ნაპირს აყალო მიწის კენჭიანი კბოდეები მიჰყვებოდა. ერთფეროვანი, წამახული შვერილებით ისინი სანაპიროს მიხვეულ-მოხვეულ ხაზს ფარავდნენ. მერე ნაპირი ქვიანი გახდა და მაღლა აცოცდნენ. ზემოთ ბუჩქნარი იწყებოდა. იქიდან

ზღვის ტაძრამდე შეეძლოთ გზა ციცაბო ბილიკით გაეკვლიათ. ზღვის ტაძარი ქერქიანი კუნძებითა და გაურანდავი ფიცრებით შემორაგვული ადგილი გახლდათ. შიგნიდან წარწერებით, ინიციალებით, ისარგაყრილი გულებითა და ლექსებით იყო აჭრელებული. ტონი და მორტენი ერთ-ერთ პატარა ჩარდახში ვიწრო, ნედლი ხის მერხზე ჩამოსხდნენ, ჩარდახს პირი ზღვისკენ ჰქონდა მიქცეული და შიგ, საბანაოზე ჩარიგებული ჯიხურების მსგავსად, ხის სურნელი იდგა.

აქ ნაშუადღევს მაღლობზე დიდებული სიჩუმე სუფევდა, ერთი-ორი ჩიტი თუ ჭიკჭიკებდა, ხეების წყნარი შრიალი ზღვის ხმაურს ერთვოდა, ძირს კი ზღვა იყო ფართოდ გაშლილი. შორს რომელიღაც ხომალდის ანძები მოჩანდა. ყურებში ქარი აღარ უსისინებდათ. ჩარდახში თავშეფარებულებს უჩვეულო, ფიქრიანი სიმშვიდე დაუფლებოდათ.

ტონიმ იკითხა:

- ის ხომალდი მოდის თუ მიდის?

- რა თქვით? - გაეპასუხა მორტენი თავისი მოუხეშავი ხმით. მერე თითქოს ღრმა ფიქრებიდან გამოერკვაო, სწრაფად თქვა, - მოდის! ეს გახლავთ „გუბერნატორი სტენბოკი“, რუსეთისკენ მიემართება, - ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კი დაუმატა, - რუსეთში წასვლას არ ვისურვებდი, იქ ჩვენზე უარესადაა საქმე!

- ჰოო! - თქვა ტონიმ, - სახეზე გატყობთ, თქვენ ისევ გინდათ არისტოკრატიას გაჰკრათ კბილი. ასე არ ვარგა... იცნობდით კი ოდესმე ვინმე არისტოკრატს?

- არა! - თითქმის აღშფოთებით წამოიძახა მორტენმა, - მადლობა ღმერთს, რომ არა!

- აი, ხედავთ? მე კი ვიცნობ ერთ გოგონას, არმგარდ ფონ შილინგს, აი, გაღმა რომ ცხოვრობს. მგონი, გიამბეთ კიდეც. ის ჩვენზე უფრო კეთილი იყო, თავის „ფონს“ ყურადღებასაც არ აქცევდა, იტალიურ ძეხვს მიირთმევდა და მამამისის ძროხებზე ლაპარაკობდა.

- ალბათ, გამონაკლისები არიან, ფროილაინ ტონი! - თქვა მორტენმა მტკიცედ, - მაგრამ ყური დამიგდეთ... თქვენ ახალგაზრდა ქალი ხართ, ყველაფერს საკუთარი გულის კარნახით უდგებით. გაიცნობთ ერთ არისტოკრატს და იტყვით: ის ხომ შესანიშნავი ადამიანია! გეთანხმებით... მაგრამ ყველა რომ განსაჯოთ, ამისთვის არავის გაცნობა არ არის საჭირო! ეს პრინციპის ამბავია. იცით თუ არა, რომ აქ საქმე წყობილებას ეხება? ამაზე ხომ ვერაფერს იტყვით... ზოგი დაიბადება თუ არა, უკვე გამორჩეული და კეთილშობილია... უფლება აქვს ზემოდან ზიზღით გადმოგხედოს... ჩვენ კი რაც უნდა დავიმსახუროთ, მათ სიმაღლეზე მაინც ვერ უნდა ავიდეთ?..

მორტენი გულუბრყვილოდ და აღშფოთებით ლაპარაკობდა. აზრის გამოსახატავად ხელებსაც იშველიებდა, მაგრამ მიხვდა, რომ უგერგილოდ გამოუდიოდა და ხელების ქნევას თავი მიანება. ლაპარაკი კი განაგრძო, უკვე აზარტში იყო შესული. იგი წინ

წახრილი იჯდა, ცერი ქურთუკის ღილკილოში გაერჭო და კეთილი თვალებით ჯიუტად იყურებოდა.

- ჩვენ, ბურჟუაზიას, მესამე ფენას, როგორც დღემდე გვიწოდებენ, გვსურს ყველას დამსახურებისამებრ მიეზღოს პატივი. ჩვენ არ ვცნობთ ზარმაც არისტოკრატიას და უარვყოფთ ფენების ახლანდელ იერარქიას... ჩვენ გვინდა ყველა ადამიანი დამოუკიდებელი, თავისუფალი და თანასწორუფლებიანი იყოს. ყველანი მხოლოდ კანონებს უნდა ვემორჩილებოდეთ!.. ყოველგვარ პრივილეგიებსა და თვითნებობას ბოლო უნდა მოეღოს!.. ადამიანები სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი შვილები უნდა იყვნენ. როგორც ღმერთსა და კაცს შორის არ არსებობს შუამავალი, ასევე მოქალაქეც უშუალოდ უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფოს!.. ჩვენ გვინდა პრესის, წარმოების, ვაჭრობის თავისუფლება... ადამიანებს ყოველგვარი უპირატესობების გარეშე უნდა შეეძლოთ ერთმანეთისთვის კონკურენციის გაწევა, ყველას თავისი დამსახურების მიხედვით უნდა მიეზღოს!.. მაგრამ ჩვენ დამონებული ვართ, თევზისა
არ იყოს, პირი წყლითა გვაქვს სავსე... რა მინდოდა, მეთქვა? ჰო, მომისმინეთ: ოთხი
წლის წინ განახლდა სახელმწიფო კანონები უნივერსიტეტისა და პრესის შესახებ. მშვენიერი
კანონებია, ვერაფერს იტყვი: სიმართლე არც უნდა დაიწეროს და არც უნდა ასწავლონ.
სიმართლის აღიარება თურმე არსებულ ვითარებას ეწინააღმდეგება... გესმით? სიმართლეს
ფეხქვეშ თელავენ, სიმართლის თქმა არ შეიძლება... მერედა რატომ? იმიტომ, რომ იდიოტურ,
მოძველებულ და დამყაყებულ წყობას გუნდრუკი უკმიონ. ყველამ იცის, ადრე თუ გვიან, ეს
წყობა უნდა შეიცვალოს... მე მგონია, თქვენ ყველა ამ სიმდაბლისა და უბედურებისა არაფერი
გაგეგებათ! ბრიყვულ, აშკარა, უხეშ და პოლიციურ ძალადობას ხომ სულიერისა და სიახლის
არავითარი გაგება არ გააჩნია... არა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კიდევ ერთი რამ უნდა
ვთქვა... პრუსიის მეფემ დიდი უსამართლობა ჩაიდინა! მაშინ, ცამეტ წელს, როცა ჩვენს ქვეყანაში
ფრანგები ბატონობდნენ, მოგვიწოდა და კონსტიტუციას შეგვპირდა... ჩვენც მხარში
ამოვუდექით, გერმანია გავათავისუფლეთ...

ტონის ნიკაპი ხელზე დაეყრდნო და მორტენს გვერდიდან შეჰყურებდა. ერთი წუთით სერიოზულად ისიც კი გაიფიქრა, მორტენი მართლა ხომ არ მონაწილეობდა ნაპოლეონის განდევნაშიო.

- იქნებ გგონიათ, მეფემ დაპირება შეასრულა? როგორ არა! ახლანდელი ხელმწიფე დიდი ლაქლაქა ვინმეა, მეოცნებე და, თქვენი არ იყოს, რომანტიკოსი, ფროილაინ ტონი... ერთი რამ დაიმახსოვრეთ: როცა ფილოსოფოსები და პოეტები რაიმე ცრუ ჭეშმარიტებას, მოძველებულ შეხედულებას ან პრინციპს ამოატივტივებენ, გამოჩნდება რომელიმე მეფე და სწორედ იმას დაუჭერს მხარს, მხოლოდ ის ჰგონია ახალი და საუკეთესო და ჩვენც იმ პრინციპებს გვაძალებს. დიახ, ასეა მეფეების საქმე! მეფეებიც ადამიანები არიან და უნდა გითხრათ, ზედმიწევნით საშუალო ადამიანები, ცხოვრების კუდში მოჩანჩალებენ. გერმანიას ერთი ახალგაზრდა სტუდენტივით

დაემართა, რომელიც თავისუფლებისთვის ბრძოლის დროს სიმამაცითა და აღმაფრენით იყო სავსე, ბოლოს კი საცოდავი ფილისტერი გახდა.

- კარგი, კარგი - უთხრა ტონიმ, - კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ნება მომეცით, ერთი რამ გკითხოთ... თქვენ რაში გეხებათ ყველაფერი ეს? თქვენ ხომ პრუსიელი არა ხართ?

- ეს სულერთია, ფროილაინ ბუდენბროკ! დიახ, მე თქვენ გვარით მოგმართავთ და უნდა გითხრათ, განგებ... ალბათ, მადმუაზელ ბუდენბროკი უნდა მეთქვა, თქვენს უფლებებს ასე უფრო შეეფერება! განა ჩვენთან ადამიანები უფრო თავისუფალნი, თანასწორნი და მოქალაქეობრივი უფლებებით აღჭურვილნი არ არიან, ვიდრე პრუსიაში? ზღუდეები, იერარქია, არისტოკრატია - რაც აქაა, იქაც ისაა! თქვენ არისტოკრატიას სიმპათიით უყურებთ... გნებავთ, გითხრათ, რატომ? თქვენ თვითონ ბრძანდებით არისტოკრატი და იმიტომ! დიახ, დიახ, განა არ იცოდით?.. მამათქვენი დიდი კაცია, თქვენ კი ნამდვილი პრინცესა ხართ. ჩვენ ხომ თქვენს წრეს - გაბატონებულ ოჯახებს არ ვეკუთვნით. აი, რატომ არის ჩვენ შორის უფსკრული. თქვენ შეგიძლიათ ვინმე ჩვენგანს ზღვაზე სასეირნოდ გაჰყვეთ, მაგრამ როცა რჩეულ საზოგადოებაში გაერევით, მაშინ იგი ქვებზე უნდა იჯდეს... - მორტენს ხმა უცნაურად შეეცვალა.

- მორტენ, - თქვა ტონიმ სევდიანად, - ესე იგი, თქვენ მაინც გწყენიათ, ქვებზე რომ იჯექით!.. მე ხომ გთხოვეთ, ჩემს ნაცნობებთან წარგადგენთ-მეთქი.

- ო, თქვენ საქმეს ისევ ყმაწვილი ქალის თვალით უყურებთ, ფროილაინ ტონი! ეს ხომ პრინციპის ამბავია... მე საერთოდ ვამბობ, ჩვენთან პრუსიაზე უკეთესი ძმობა და ერთობა არ არსებობს-მეთქი. თუ ვინმეს პირადად შევეხებით, - განაგრძო ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ წყნარად, თუმცა ხმაში მღელვარება ისევ ეტყობოდა, - იმდენად
აწმყო არა მაქვს მხედველობაში, რამდენადაც მომავალი... როცა თქვენ, როგორც მადამ
ესა და ეს, თქვენს წარჩინებულ წრეში საბოლოოდ ჩაიძირებით... მაშინ სხვას შეუძლია მთელი სიცოცხლე ქვებზე იჯდეს...

მორტენი გაჩუმდა. არც ტონის ამოუღია ხმა. ის მორტენს აღარ უცქეროდა, იქვე, გვერდით, მეორე მხარეს ფიცრის კედელს გაჰყურებდა. უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

- გახსოვთ, - ხელახლა წამოიწყო მორტენმა, - ერთხელ გითხარით, რაღაც უნდა გკითხოთ-მეთქი? ეს კითხვა თქვენი ჩამოსვლის დღიდანვე მაწვალებს... ნუ იმკითხავებთ! მაინც ვერ გამოიცნობთ. სხვა დროს შეგეკითხებით, შემთხვევა რომ მომეცემა; საჩქარო არაფერია, კაცმა რომ თქვას, ეს ჩემი საქმე არც არის, უბრალო ცნობისმოყვარეობაა და მეტი არაფერი. არა, დღეს მე მხოლოდ ერთი რამ მინდა გაგანდოთ... სულ სხვა რამ... აბა, ერთი ეს ნახეთ!

მორტენმა ქურთუკის ჯიბიდან ვიწრო, ჭრელზოლებიანი ლენტი ამოაძვრინა და ტონის თვალებში მოლოდინითა და გამარჯვების იმედით მიაჩერდა.

- რა მშვენიერია, - თქვა ტონიმ გულუბრყვილოდ, - რა არის ეს?

მორტენმა დიდის ამბით წარმოთქვა:

- ეს ჩვენი ნიშანია. მე გოტინგენში სტუდენტთა კავშირის წევრი ვარ. ახლა თქვენ იცით ჩემი საიდუმლო! ასეთივე ფერის ქუდიც მაქვს, მაგრამ არდადეგებია და პოლიციის ფორმაში გამოწყობილ ჩონჩხს დავახურე... აქ იმ ქუდით ვერ გამოვჩნდებოდი, ხომ გესმით... შემიძლია იმედი ვიქონიო, რომ პირში წყალს ჩაიგუბებთ? მამაჩემმა რომ ეს ამბავი გაიგოს, ვაი ჩემი ბრალი მაშინ.

- კრინტს არ დავძრავ, მორტენ! შეგიძლიათ ჩემი იმედი იქონიოთ! მაგრამ არაფერი მესმის... თქვენ, ყველანი, არისტოკრატიის წინააღმდეგ ხართ შეთქმულნი?.. რა გსურთ თქვენ?

- ჩვენ თავისუფლება გვინდა! - უპასუხა მორტენმა.

- თავისუფლება?

- დიახ, თავისუფლება, გესმით, თავისუფლება! - გაიმეორა მან და ხელი თამამად, ოდნავ უხერხულად, მაგრამ აღფრთოვანებით გაიშვირა ზღვისკენ, იმ მხარეს კი არა, სადაც მეკლენბურგის ნაპირები ყურეს ფარგლავდა, არამედ იქით, სადაც უსასრულოდ გაშლილი მწვანე, ლურჯ, ყვითელ და ნაცრისფერ ზოლებად ალივლივებული ზღვა წაშლილ ჰორიზონტს დიდებულად ერწყმოდა.

ტონიმ მის ხელს თვალი გააყოლა და მაშინ, როცა გაურანდავ მერხზე დაყრდნობილი მათი ხელები ერთმანეთს შეეხნენ, ორივემ სივრცეს გახედა. ისინი დიდხანს დუმდნენ, ზღვა იყო მშვიდი და ყრუდ ხმაურობდა.

და ტონიმ იგრძნო: თითქოს ის და მორტენი იმ დიდ, განუსაზღვრელ, ოცნებით სავსე და უსაზღვროდ სასურველ ცნებაში გაერთიანდნენ, რომელსაც „თავისუფლება“ ერქვა.

მეცხრე თავი

- საოცარია, რომ კაცს ზღვაზე არ სწყინდება, მორტენ, აბა, სადმე სხვაგან დაწექით გულაღმა სამი ან ოთხი საათი, თანაც უსაქმოდ, არაფერზე იფიქროთ...

- დიახ, დიახ... ისე, უნდა გამოვტყდე, წინათ ხანდახან მბეზრდებოდა აქ ყოფნა, ფროილაინ ტონი, მაგრამ ეს რამდენიმე კვირის წინ იყო.

უკვე შემოდგომა იდგა, პირველად დაუბერა ქარმა. ცაზე რუხი, თხელი და მეჩხერი ღრუბლები დაფარფატებდნენ. მოქუშული, აბობოქრებული ზღვა თვალსაწიერზე

ქაფით იყო დაფარული. დიდი, ძლიერი ტალღები ზვიადად, შიშის მომგვრელი სიმშვიდით მოგორავდნენ, მედიდურად იზნიქებოდნენ, მუქმწვანე, ფოლადივით ალაპლაპებულ რკალს ხაზავდნენ და ნაპირს ზათქით ეხეთქებოდნენ.

სეზონი დამთავრდა. ნაპირი, სადაც ჩვეულებრივ მოაგარაკენი იყრიდნენ თავს, დაცარიელდა. ახლა პავილიონები თითქმის აყრილი იყო, მხოლოდ ორიოდე მოწნული ჯიხური იდგა კიდევ და ტონი და მორტენი ნაშუადღევს სანაპიროს შორეულ კუთხეს მიაშურებდნენ ხოლმე, იქ, სადაც ყვითელი თიხის კბოდეები იწყებოდა, სადაც ტალღები „თოლიების ლოდს“ ასკდებოდა და ზედ ქაფს ტოვებდა. მორტენმა ქვიშა კოშკივით ააკოკოლავა და მაგრად დაბეკნა. ტონი ამ კოშკს ზურგით მიეყრდნო და ზონრებით ამოსაბნევ ფეხსაცმელებსა და თეთრ წინდებში გამოკვართული ფეხები ერთმანეთს გადააჭდო. ტონის რბილი, ნაცრისფერი, დიდღილებიანი საშემოდგომო ჟაკეტი ეცვა. მისკენ მიბრუნებული მორტენი ნიკაპით ხელებს დაყრდნობოდა. იგი იქვე, მის გვერდით იწვა, დროდადრო ზღვაზე თოლია გაისრიალებდა და გამყივანი ხმით დაიჭყივლებდა. ტონი და მორტენი ზღვის ბალახმორეულ მწვანე ტალღებს გასცქეროდნენ. ტალღები წინ მუქარით მოიწევდნენ და მათ პირდაპირ აღმართულ ლოდზე იმსხვრეოდნენ. გიჟური, შეუჩერებელი გრგვინვა კაცს აბრუებდა, სიტყვას ართმევდა და დროის განცდას უკლავდა.

ბოლოს მორტენი შეინძრა, თითქოს ძილისგან გამოფხიზლდაო და იკითხა:

- ახლა თქვენ, ალბათ, მალე გაემგზავრებით, ფროილაინ ტონი?

- არა... როგორ? - უპასუხა ტონიმ დაბნეულად და თითქმის უაზროდ.

- ღმერთო ჩემო, დღეს ხომ ათი სექტემბერია... ჩემი არდადეგებიც მალე დამთავრდება. ანდა როდემდე შეიძლება გაგრძელდეს! არ გიხარიათ ქალაქის საზოგადოებაში დაბრუნება?.. მითხარით, ხომ გიყვართ გალანტურ ვაჟბატონებთან ცეკვა? არა, ეს არ მინდოდა მეკითხა! ახლა ერთ რამეზე უნდა მიპასუხოთ, - მორტენმა ყოყმანი დასძლია. ნიკაპი ხელით მოისრისა და ტონის შეხედა, - ამ კითხვას დიდი ხანია ვატარებ გულში... აჰ, რაც იქნება, იქნება! ვინ არის ბატონი გრიუნლიჰი?

ტონი შეკრთა. მორტენს სახეში სწრაფად შეხედა და თვალებში ისეთი გამომეტყველება ჩაუდგა, თითქოს შორეულ სიზმარს იგონებსო. ის გრძნობაც გაუცოცხლდა, ბატონ გრიუნლიჰის წინადადების მოსმენის დროს რომ დაეუფლა - საკუთარი ღირსების გრძნობა.

- ეს გინდათ შეიტყოთ, მორტენ? - შეეკითხა იგი სერიოზულად, - გეტყვით. საშინლად შევცბუნდი, თომასმა რომ ჩამოსვლის დღეს მისი სახელი ახსენა, მაგრამ, რადგან თქვენ მაინც მოგიკრავთ ყური, გეტყვით: ბატონი გრიუნლიჰი, ბენდიქს გრიუნლიჰი, გახლავთ მამაჩემის კლიენტი, ჰამბურგელი შეძლებული სოვდაგარი. მან მამას ჩემი ხელი სთხოვა... მაგრამ, არა! - მორტენს შეკრთომა რომ შეატყო, სწრაფად დაუმატა, -

მე მას უარი ვუთხარი, არ შემეძლო, მთელი სიცოცხლე ერთად ცხოვრებაზე თანხმობა მიმეცა.

- მერედა, რატომ? თუ ნებას მომცემთ, გკითხოთ? - უხერხულად თქვა მორტენმა.

- რატომ? ღმერთო ჩემო, იმიტომ, რომ მისი ატანა არ შემეძლო, - თითქმის აღშფოთებით წამოიძახა ტონიმ, - ერთი უნდა გენახათ, რას ჰგავდა ან როგორ იქცეოდა! გარდა ამისა, ნამდვილი ოქროსფერი ბაკენბარდები აქვს... სავსებით არაბუნებრივი ფერისა! დარწმუნებული ვარ, საახალწლო კაკლებს რომ ავლებენ, იმ ფხვნილით იპუდრება... მერე რა ყალბი ადამიანია?! ჩემს მშობლებს ისე ექლესავებოდა და პირში ისე უსირცხვილოდ ეფერებოდა... პირდაპირ, ვერ აგიწერთ.

მორტენმა შეაწყვეტინა:

- კი მაგრამ, რას ნიშნავს... თუ არ გამიბრაზდებით, კიდევ ერთი რამ უნდა მითხრათ... რას ნიშნავს: „ეს არაჩვეულებრივად ამშვენებს?“

ტონიმ ნერვიულად და ძალდატანებით გაიცინა.

- ოჰ... ზუსტად ასე ლაპარაკობდა, მორტენ! უბრალოდ კი არ იტყოდა, რა ლამაზია ან ოთახს უხდებაო, არამედ: „ეს ყვავილი აქაურობას არაჩვეულებრივად ამშვენებსო“... დამერწმუნეთ, საშინელი ტყლარჭიაა... ამასთან აბეზარიც გახლავთ. არაფრით არ დამანება თავი. თუმცა ყოველთვის დავცინოდი. მასხრად ვიგდებდი. ერთხელ ისეთი სცენა მომიწყო, რომ... თითქმის იტირა... აბა, წარმოიდგინეთ: კაცი და ტირის...

- ალბათ, ძალიან უყვარდით, - თქვა მორტენმა წყნარად.

- ერთი მეც მკითხეთ! მერე რა ჩემი ბრალია, - განცვიფრებით წამოიძახა ტონიმ და ქვიშის ტახტზე შეტრიალდა.

- თქვენ გულქვა ხართ, ფროილაინ ტონი... ყოველთვის ასეთ გულქვაობას იჩენთ? მითხარით... ბატონი გრიუნლიჰის ატანა არ შეგეძლოთ, მაგრამ სხვების მიმართ თუ ხართ გულთბილი? ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, ალბათ, ცივი გული აქვს-მეთქი. ერთი რამ მინდა გითხრათ... ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, შემიძლია შემოგფიცოთ კიდეც: როცა მამაკაცი იმიტომ ტირის, რომ თქვენ მისი დანახვაც არ გინდათ, ეს სრულებით არაა სასაცილო... დიახ, ასეა. მე არა ვარ დარწმუნებული, რომ მეც ასევე.... იცით, თქვენ განებივრებული, გალაღებული არსება ხართ... ყოველთვის დასცინით იმათ, ვინც თქვენს ფერხთითაა გართხმული? ნუთუ ასეთი ცივი გული გაქვთ?

ტონის მხიარული სახე მოეღრუბლა და ზედა ტუჩი აუცახცახდა. ნაღვლიანი, ცრემლმორეული ფართო თვალები მორტენს მიაპყრო და წყნარად უთხრა:

- არა, მორტენ, განა მე ასეთი ვარ?.. არა, ასეთი ნუ გეგონებით.

- არა, არც მგონიხართ! - წამოიძახა ჭაბუკმა სიცილით და სიცილში მღელვარება და დაუოკებელი სიხარულის გრძნობა გაერია. მორტენმა მხარი იცვალა და ტონის გვერდით პირქვე დაემხო. მერე იდაყვებზე წამოიწია, ტონის ხელი ხელებში მოიქცია და თავისი ფოლადისფერი, კეთილი თვალებით სახეში აღტაცებით შეაჩერდა.

- და თქვენ... თქვენ არ დამცინებთ, მე რომ...

- ვიცი, მორტენ, - შეაწყვეტინა ტონიმ წყნარად და თავის მეორე ხელს დახედა, საიდანაც თითებშუა თეთრი ქვიშა ნელა იბნეოდა.

- თქვენ იცით!... და თქვენ, თქვენ, ფროილაინ ტონი...

- დიახ, მორტენ. მე თქვენი მჯერა. მე თქვენ ძალიან მომწონხართ. ყველაზე მეტად მომწონხართ.

მორტენი შეინძრა, მკლავები აიქნია, არ იცოდა, რა ექნა. ფეხზე წამოხტა. მერე ისევ ტონის წინ დაემხო, აღელვებულმა და ბედნიერებისგან აფორიაქებულმა ნაწყვეტ- ნაწყვეტ წამოიძახა:

- აჰ, მადლობას გწირავთ, მადლობას გწირავთ! ასეთი ბედნიერი ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ!...

მორტენმა ტონის ხელებზე დაუწყო კოცნა.

უცებ მან წყნარად თქვა:

- თქვენ ახლა მალე გაემგზავრებით ქალაქში, ტონი, ჩემი არდადეგებიც თოთხმეტ დღეში დამთავრდება. შემდეგ ისევ გოტინგენისკენ უნდა გავწიო, მაგრამ შემპირდით, რომ ამ დღეს არ დაივიწყებთ, სანამ უკან ექიმი არ დავბრუნდები! მაშინ კი მამათქვენს, როგორც უნდა გამიძნელდეს, მაინც ვთხოვ თქვენს ხელს. თქვენ კი ამასობაში არავითარ ბატონ გრიუნლიჰს არ მოუსმენთ! იცოდეთ, დიდხანს ლოდინი არ მოგიწევთ. მე თავდაუზოგავად ვიმუშავებ... ეს სულაც არ არის ძნელი.

- ჰო, მორტენ, - თქვა ბედნიერებისგან გაბრუებულმა ტონიმ.

იგი მორტენს ხან თვალებში შესცქეროდა, ხან კი ხელებზე დასჩერებოდა, რომლითაც ვაჟს მისი ხელები ეჭირა.

მორტენმა ტონის ხელი მკერდთან მიიზიდა, თან ყრუდ და ვედრებით ჰკითხა:

- ამის შემდეგ... ნებას მაძლევთ... განვამტკიცო...

ტონის არაფერი უპასუხია, ჭაბუკისთვის სახეზე არც შეუხედავს, მხოლოდ ოდნავ მიიწია მისკენ. მორტენმა ტონის ბაგეზე უფაქიზესი, ხანგრძლივი კოცნა აღბეჭდა. შემდეგ დარცხვენილებმა სხვადასხვა მხარეს დაიწყეს ყურება.

მეათე თავი

უძვირფასესო მადმუაზელ ბუდენბროკ!

რა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ქვემორე ხელის მომწერს მომხიბლავი გოგონას სახე არ უხილავს? ამ რამდენიმე სტრიქონმა უნდა გამცნოთ, რომ თქვენი ხატება მუდამ ტრიალებდა მის სულიერ თვალთა წინაშე. ამ ხანგრძლივი და დარდიანი კვირების განმავლობაში გონებიდან არ მომშორებია თქვენი მშობლების სალონში გატარებული ერთი ბედნიერი საღამო, როცა თქვენს ბაგეთაგან მოვისმინე მორცხვი აღთქმა, რა თქმა უნდა, არა საბოლოო, მაგრამ მაინც სასოების მომგვრელი. მას შემდეგ ვინ იცის, რამდენმა დღემ გაიარა, რაც თქვენ აზრის მოსაკრებად და საკუთარ გრძნობაში გასარკვევად განმარტოება ინებეთ. იმედს ვიტოვებ, რომ გამოცდის ვადამ უკვე განვლო, უძვირფასესო მადმუაზელ, ქვემორე ამის ხელის მომწერი თავს ნებას აძლევს, სამარადისო სინაზისა და თქვენდამი უღრმესი პატივისცემის ნიშნად ბარათთან ერთად მოგართვათ ბეჭედი. გიძღვნით უერთგულეს სალამს და სიყვარულით გიკოცნით ხელებს.

თქვენი მონა-მორჩილი გრიუნლიჰი ძვირფასო მამა!

ღმერთო, როგორ გავბრაზდი. ეს წუთია გრ-სგან წერილი და ბეჭედი მივიღე. მღელვარებისგან თავი ამტკივდა და უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, რომ ერთიცა და მეორეც შენთვის გამომეგზავნა. გრ-ს არ ნებავს ჩემი შეისმინოს. ის, რასაც იგი ასე პოეტურად ჩემს „აღთქმას“ უწოდებს, საერთოდ არ არსებულა. გთხოვ სასწრაფოდ აუხსნა, რომ მე ახლა უფრო ნაკლებად შემიძლია მას თანხმობა გამოვუცხადო, ვიდრე
ამ ექვსი კვირის წინ. უთხარი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამომეხსნას. ბოლოს და ბოლოს, თავს რატომ იხდის სასაცილოდ. ჩემს საყვარელ მამას ხომ შემიძლია ვუთხრა, რომ მე სიტყვა სხვას მივეცი, სხვას, ვისაც ვუყვარვარ და მეც ენით გამოუთქმელად მიყვარს. მამიკო! ჩემს სიყვარულზე შემეძლო უსასრულოდ მეწერა. მე ბატონ მორტენ შვარცკოფზე მოგახსენებ. მას სურს ექიმი გახდეს და როგორც კი მიიღებს დოქტორის ხარისხს, დაუყოვნებლივ გთხოვს ჩემს ხელს.

ვიცი, ჩვენი ჩვეულების თანახმად, კომერსანტს უნდა გავყვე ცოლად, მაგრამ მორტენი ეკუთვნის პატივსაცემი ხალხის სხვა ჯგუფს, სწავლულებს. იგი მდიდარი არ არის. ისიც ვიცი, ეს თქვენთვის რაოდენ მნიშვნელოვანია. უნდა გითხრა, ძვირფასო მამიკო, ახალგაზრდა კი ვარ, მაგრამ კარგად ვხვდები, რომ მხოლოდ სიმდიდრე არ ანიჭებს კაცს ბედნიერებას. გკოცნი მრავალს, დავშთები

შენი მორჩილი ქალიშვილი ანტონია

P.S. ბეჭედი შევათვალიერე, დაბალი ხარისხის ოქროსია და საკმაოდ ვიწროც უნდა იყოს.

ჩემო ძვირფასო ტონი!

შენი წერილი მივიღე! აქედან გამომდინარე, გამცნობ, რომ ვალდებული ვიყავი, ბატონი გრ-თვის, რაც შეიძლებოდა თბილად მემცნო შენი შეხედულება, შედეგი ისეთი იყო, რომ პირდაპირ შევძრწუნდი. ჩემო გოგონა, ახლა პატარა აღარა ხარ და ამ გადამწყვეტი ჟამის წინ თავს ნებას მივცემ, გაგაფრთხილო, შენს დაუფიქრებელ ნაბიჯს რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ბატონ გრ-ს ჩემს სიტყვაზე სასო წარეკვეთა. საცოდავად გაიძახოდა, ჩემი სიყვარული თქვენი ქალიშვილისადმი უსაზღვროა და მის დაკარგვას ვერ გადავიტანო. თუ ტონი თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლის, თავს მოვიკლავო. ვინაიდან შენი სხვა პიროვნებით გატაცება სერიოზულ ამბად არ მიმაჩნია, გთხოვ, გრ-ის ბეჭდით გამოწვეული მღელვარება დაიოკო და შენს გულში ყველაფერი ერთხელ კიდევ აწონ-დაწონო. ადამიანთა ვალია სხვისი გრძნობები დააფასონ, ამას ქრისტიანული რწმენა გვიკარნახებს, ასულო ჩემო! არავინ იცის, თუ ღმერთი ოდესმე სამაგიეროს არ მოგიზღავს, თუ შენგან გულცივად ხელნაკრავი კაცი საკუთარ სიცოცხლეზე ხელყოფით უდიდეს ცოდვას ჩაიდენს. ერთი რამ კიდევ მინდა მოგაგონო, რაც შენთვის არაერთხელ მითქვამს და ახლა, ჩემდა სასიხარულოდ, შემთხვევა მეძლევა, წერილობით გაგიმეორო. მართალია, ნათქვამი სიტყვა უფრო ცოცხლად და უშუალოდ მოქმედებს, მაგრამ დაწერილ სიტყვას ერთი უპირატესობა აქვს, მას წინასწარ შეარჩევ, აწონ-დაწონი, გაიაზრებ, ფორმასაც მოუნახავ და შესაფერის ადგილსაც მიუჩენ. ამიტომაცაა, რომ წამკითხავზე იგი ხანგრძლივ ზემოქმედებას ახდენს. ადამიანები, ჩემო საყვარელო შვილო, იმისთვის კი არ ვიბადებით, რომ ჩვენს საკუთარ, პატარა პირად ბედნიერებას ჩავეჭიდოთ. ჩვენ თავისუფალი, დამოუკიდებელი და მხოლოდ საკუთარი თავისთვის გაჩენილი ერთეულები არა ვართ. არა, შვილო, ჩვენ ერთი ჯაჭვის რგოლები ვართ. ჩვენი არსებობა შეუძლებელი იქნებოდა იმ ადამიანების დიდი მწკრივის გარეშე, რომელიც ჩვენამდე ცხოვრობდა და გზას გვიჩვენებდა. ისინიც თავის მხრივ მკაცრად, გვერდზე მოუხედავად, მრავალგზის ნაცად და ღირსეულ მემკვიდრეობას მისდევდნენ. შენი გზა, როგორც მგონია, კარგა ხანია ნათლად და გარკვეულად მოიხაზა და შენ ჩემი ასული არ იქნები, არც ცხონებული ბაბუაშენის შვილიშვილი და საერთოდ, ჩვენი ოჯახის ღირსეული წევრი, თუ სერიოზულად ფიქრობ მარტო, ჯიუტად და თავქარიანად დაადგე შენს საკუთარ, გაუკვალავ ბილიკს. ჩემო ძვირფასო ანტონია, ძალიან გთხოვ, ამ აზრს შენს გულში მიუჩინო ბინა.

დედაშენი, თომასი, ქრისტიანი, კლარა და კლოტილდე (მან ეს უკანასკნელი კვირები მამამისთან „ეწერში“ გაატარა), აგრეთვე მამზელ იუნგმანი გულითად სალამს გითვლიან; ყველანი სიხარულით მოველით, როდის ჩაგიკრავთ გულში.

შენი ერთგული და მოყვარული მამა.

მეთერთმეტე თავი

წვიმა კოკისპირულად ასხამდა. ცა, დედამიწა და ზღვა ერთმანეთს შეერწყნენ - ხანდახან ქარი წამოუბერავდა და წვიმას ფანჯრის მინებზე ისე ახლიდა, რომ მინებიდან წვეთები კი არა, წყალი ღვარ-ღვარად ჩამოდიოდა. ფანჯრებში აღარაფერი ჩანდა. ღუმლის მილებში ქარი საცოდავად კვნესოდა.

ნასადილევს მორტენ შვარცკოფი თავისი ჩიბუხით ხელში ცის შესათვალიერებლად გამოვიდა ვერანდაზე. უცებ მის წინ უცნობი მამაკაცი აისვეტა. მას გრძელი, ვიწრო, ყვითელი ფერის უჯრედებიანი ულსტერი[52] ეცვა და ნაცრისფერი ქუდი ეხურა. სახლის წინ სისველისგან აპრიალებული და ტალახში ამოგანგლული დახურული დროშკა იდგა. მორტენი მოსულს გაოგნებული მიაჩერდა ვარდისფერ სახეში. უცნობს ისეთი ყვითელი ბაკენბარდები ჰქონდა, გეგონებოდათ, ზედ საშობაო კაკლების მოსავარაყებელი ფხვნილი შეუფრქვევიათო.

ულსტერიანმა ბატონმა მორტენს ისე შეხედა, როგორც მსახურს შეხედავენ ხოლმე - არაფრისმთქმელი მზერა მიაპყრო და რბილი ხმით ჰკითხა:

- შეიძლება ბატონ უფროს ლოცმანთან საუბარი?

- რა თქმა უნდა... - წაიბორძიკა მორტენმა, - მე მგონი, მამაჩემი... - უცნობმა ახლა კი მიანათა მორტენს თავისი ბატივით წყლისფერი თვალები.

- თქვენ ბრძანდებით მორტენ შვარცკოფი? - შეეკითხა იგი.

- დიახ, ბატონო ჩემო, - უპასუხა მორტენმა და შეეცადა მტკიცე გამომეტყველება მიეღო.

- ჰოო! სინამდვილეში... - წამოიწყო უცნობმა ბატონმა, მაგრამ აღარ დაამთავრა, - ყმაწვილო, იქნებ კეთილი ინებოთ და მამათქვენს ჩემი მოსვლა მოახსენოთ. ჩემი გვარია გრიუნლიჰი.

მორტენმა ბატონი ვერანდაზე გაატარა. ტალანში ხელმარჯვნივ, კაბინეტში გამავალი კარი გაუღო და თვითონ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, რათა მამისთვის სტუმრის მოსვლა შეეტყობინებინა. ბატონი შვარცკოფი კაბინეტისკენ გაემართა. მორტენს წვიმით დაბურულ ფანჯარასთან წინდების კემსვაში გართული დედისთვის არც შეუხედავს, მრგვალ მაგიდას მიუჯდა, იდაყვები ზედ ჩამოაყრდნო და ვითომ „უბადრუკი ფურცლების“ კითხვაში გაერთო. ეს გაზეთი, მისივე თქმით, მხოლოდ იმას იტყობინებოდა ხოლმე, ესა და ეს კონსული ვერცხლის ქორწილს იხდისო. ტონი დასასვენებლად თავის ოთახში იყო ასული.

უფროსი ლოცმანი კაბინეტში შევიდა. სახეზე ეტყობოდა, კარგად იყო დანაყრებული. ფორმის სერთუკი გაღეღილი ჰქონდა და კარგად ამობურცული თეთრი ჟილეტი მოუჩანდა. ღაჟღაჟა სახეზე სავსებით გაჭაღარავებული, მეზღვაურულ ყაიდაზე შეკრეჭილი წვერი გამოერჩეოდა. ენას კბილებს შორის ისე ამოძრავებდა, რომ გულუბრყვილო ტუჩ-პირი უცნაურად ებუშტებოდა. მან სტუმარს მოკლედ, მტკიცედ დაუკრა თავი, თითქოს ამბობდა: აი, ასე უნდა მისალმებაო!

- საღამო მშვიდობისა, - თქვა მან, - რით შემიძლია გემსახუროთ?

ბატონმა გრიუნლიჰმა უფროს ლოცმანს ოდნავ დაუქნია თავი, ტუჩები მოეღრიცა და თან წყნარად ჩაახველა: „ჰე-ეე-მ“.

კაბინეტი საკმაოდ პატარა ოთახი გახლდათ, შიშველი კედლები კაცის სიმაღლეზე იყო მოპირკეთებული. ფანჯრებზე წვიმა შეუსვენებლივ ურაკუნებდა. ზედ თამბაქოს ბოლით გაყვითლებული ფარდები ეკიდა. კარიდან ხელმარჯვნივ გრძელი, ქაღალდებით დაჯორგილი შეუღებავი მაგიდა იდგა. მის თავზე ევროპის დიდი და აღმოსავლეთის ზღვის[53] მომცრო რუკა მიემაგრებინათ. შუა ჭერიდან აფრაგაშლილი ხომალდის იშვიათი ნახელოვნები მოდელი ეშვებოდა.

უფროსმა ლოცმანმა სტუმარი კარის პირდაპირ, ზამბარამოშვებულ, შავ, დახეთქილ მუშამბაგადაკრულ დივანზე დასვა, თვითონ კი მუცელზე ხელები დაიწყო და საკარცხულში მოიკალათა. ყელამდე ღილებშეკრულ ულსტერში გამოჭიმულმა ბატონმა გრიუნლიჰმა შლაპა მუხლებზე ჩამოიდო და დივნის კიდეზე ისე ჩამოჯდა, რომ საზურგეს არ მიჰკარებია.

- ჩემი გვარი, გიმეორებთ, გრიუნლიჰი გახლავთ, ჰამბურგელი გრიუნლიჰი. მეტი სიზუსტისთვის მოგახსენებთ, რომ მე დიდვაჭარ კონსულ ბუდენბროკის უახლოესი კლიენტი გახლავართ.

- Allabonöhr[54], ეგ ჩემთვის დიდი პატივია. ბატონო გრიუნლიჰ! იქნებ უფრო მოხერხებულად დაბრძანდეთ? მგზავრობის შემდეგ გროგს ხომ არ ინებებთ? ახლავე მოვატანინებ...

- თავს ნებას მივცემ, აღვნიშნო, რომ დრო გამოზომილი მაქვს, ეკიპაჟი მელოდება, იძულებული ვარ ჩემი სათქმელი ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ, - მშვიდად უპასუხა ბატონმა გრიუნლიჰმა.

- მზად ვარ გემსახუროთ, ბატონო ჩემო, - გაიმეორა, ცოტა არ იყოს, შემცბარმა ბატონმა შვარცკოფმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

- ბატონო უფროსო ლოცმანო! - დაიწყო სტუმარმა. მან თავი ბეჯითად გააქნია და ოდნავ უკან გადაიგდო. შემდეგ გაჩუმდა, რათა ამ მიმართვის გავლენა

გაეძლიერებინა და პირი ზონრებით მაგრად შეკრულ ქისასავით მოკუპრა, - ბატონო უფროსო ლოცმანო! - გაიმეორა მან და შემდეგ სწრაფად გააგრძელა, - საქმე, რომელმაც თქვენთან მომიყვანა, უშუალოდ ერთ ახალგაზრდა ქალს ეხება. ეს ქალი რამდენიმე კვირაა თქვენს სახლში ბინადრობს.

- მადმუაზელ ბუდენბროკზე ბრძანებთ? - ჰკითხა ბატონმა შვარცკოფმა.

- დიახ, სწორედ მასზე მოგახსენებთ, - თითქმის უხმოდ დაუდასტურა ბატონმა გრიუნლიჰმა და თავი დაუქნია. ტუჩის კუთხეებში ღრმა ნაოჭები დააჩნდა, - მე... იძულებული გახლავართ, ერთი ამბავი გაგიმხილოთ, - განაგრძო მან, თან თვალები ხან ერთ წერტილს მიასო, ხან მეორეს და საბოლოოდ ფანჯარას შეაცქერდა, - ამ რამდენიმე დღის წინ სწორედ თქვენი სტუმრის, მადმუაზელ ბუდენბროკის ხელი ვთხოვე მამამისს. მშობლები სრულ თანხმობას მიცხადებენ და თვითონ ფროილაინმაც, თუმცა ნიშნობა ფორმალურად არ შემდგარა, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე თანხმობა გამომიცხადა.

- მართლა? - ხალისიანად შეეკითხა ბატონი შვარცკოფი, - მე არაფერი ვიცოდი! მოგილოცავთ, ბატონო... გრიუნლიჰ! სულით და გულით გილოცავთ! ბედი გქონიათ.

- მადლობას მოგახსენებთ, - ცივად თქვა ბატონმა გრიუნლიჰმა, - თქვენთან ერთმა გარემოებამ მომიყვანა, ბატონო უფროსო ლოცმანო, - განაგრძო მან მღერადი ხმით, - ამ კავშირს ახლახან რაღაც სიძნელეები გადაეღობა წინ და ეს სიძნელეები თქვენი ოჯახიდან მოდის.

უკანასკნელი სიტყვები ისე წარმოთქვა, თითქოს უნდოდა ეკითხა, რაც ჩემს ყურს მოსწვდა, ნუთუ მართალიაო.

ბატონმა შვარცკოფმა გაჭაღარავებული წარბები აძგიბა და ხელები, მზედაკრული, ქერაბალნიანი, მეზღვაურის ხელები, სავარძლის სახელურებს ჩასჭიდა.

- დიახ. მართალს მოგახსენებთ. მე გავიგე... - თქვა ბატონმა გრიუნლიჰმა ნაღვლიანად, მაგრამ მტკიცედ, - მე გავიგე, რომ თქვენს ვაჟს, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტს, თავისი თავისთვის... შეიძლება წინასწარი განზრახვის გარეშე... ნება მიუცია, ჩემი უფლებები ხელეყო, გავიგე, რომ მას ფროილაინ ანტონიას აქ ყოფნით უსარგებლია და გარკვეული დაპირებებიც გამოუტყუებია...

- რაო? - იყვირა უფროსმა ლოცმანმა. სავარძლის სახელურებს ხელი დაჰკრა და ფიცხლად ზეზე წამოიჭრა, - მე... მაგას ვუჩვენებ...

ორი ნაბიჯით კართან გაჩნდა, კარი მოფლითა და ქარიშხლის ღმუილს რომ ჩაახშობდა, ისეთი ხმით დასჭექა:

- მეტა! მორტენ! აქ მობრძანდით! ერთი ყველანი აქ შემობრძანდით!

- ძალიან ვწუხვარ, - თქვა ბატონმა გრიუნლიჰმა და ჩაიღიმა, - თუ ჩემი ძველი უფლებებით ვისარგებლე და თქვენი საკუთარი, შინაურული გეგმები ჩავშალე, ბატონო უფროსო ლოცმანო.

დიდერიჰ შვარცკოფი შემობრუნდა და თავისი გამჭრიახი, წვრილი ნაოჭებით შემოქსელილი ცისფერი თვალები სტუმარს ისე მიაშტერა, თითქოს მისი სიტყვების აზრს ვერ სწვდებაო.

- ბატონო ჩემო! - თითქოს მაგარ გროგს ყელი ჩაუწვიაო, ხრინწიანი ხმით უპასუხა ლოცმანმა, - მე ერთი უბრალო კაცი გახლავართ, ცერემონიების თავი არა მაქვს... მაგრამ თქვენ თუ გნებავდათ, გეთქვათ... მაშინ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ მცდარ გზას ადგახართ და ჩემს წესებსა და კანონებზე წარმოდგენა არა გაქვთ! მე
კარგად ვიცი, ვინ არის ჩემი ვაჟი და ვინ არის მადმუაზელ ბუდენბროკი. იმდენი ჭკუა
და, თუ გნებავთ, სიამაყეც გამაჩნია, ბატონო ჩემო, რომ მაგდაგვარი შინაურული გეგმები გულში არ გავივლო... აბა, ერთი ახლა მიბრძანეთ, ერთი მიპასუხეთ, ეს რა ამბავია! ეს რა მესმის?

ფრაუ შვარცკოფი და მისი ვაჟიშვილი კარში იდგნენ. პირველი ეჭვითაც კი ვერაფერს ხვდებოდა და წინსაფრის სწორებაში იყო გართული, მორტენს კი გაჯიქებული ცოდვილის სახე ჰქონდა... ბატონი გრიუნლიჰი მათ შემოსვლაზე არც წამოწეულა - ყელამდე შეკრულ ულსტერში გამოჭიმული მშვიდად იჯდა დივნის კიდეზე.

- მაშ სულელი ბიჭივით იქცეოდი, ხომ? - შეუტია უფროსმა ლოცმანმა მორტენს.

ყმაწვილ კაცს ცერი თავისი ქურთუკის ღილკილოში გაერჭო, თვალები მოექუშა და ბრაზისგან ლოყებიც კი გაებუშტა.

- დიახ, მამაჩემო, - თქვა მან, - ფროილაინ ბუდენბროკი და მე...

- ჰოო, მაშინ რას გეტყვი იცი, კარგი რეგვენი, ტაკიმასხარა და ბრიყვი ყოფილხარ! ხვალვე აიბარგები და გოტინგენისკენ მოუსვამ! გესმის თუ არა? ხვალვე! შენი ფეხი არ ვნახო ამ სახლში! რაც ჩაგიდენია, ბავშვური მონაჩმახია და მეტი არაფერი. სიტყვა აღარ გავიგონო ამაზე, მორჩა!

- დიდერიჰ, თუ ღმერთი გწამს, - ხელები გაშალა ფრაუ შვარცკოფმა, - ასე ერთი ხელის მოსმით როგორ შეიძლება?! ვინ იცის...

ქალს სიტყვა გაუწყდა, ხედავდა, მშვენიერი იმედი როგორ ემსხვრეოდა თვალწინ.

- ფროილაინთან საუბარს ხომ არ ისურვებდით? - უხერხულად შეეკითხა უფროსი ლოცმანი ბატონ გრიუნლიჰს.

- ის თავის ოთახში გახლავთ! სძინავს! - განაცხადა გულაჩუყებულმა და ტონის მიმართ თანაგრძნობით აღვსილმა ფრაუ შვარცკოფმა.

- დიდად ვწუხვარ, - თქვა ბატონმა გრიუნლიჰმა. აშკარად შეეტყო, რომ გულზე მოეშვა და მაშინვე ფეხზე წამოდგა, - როგორც უკვე მოგახსენეთ, დრო გამოზომილი მაქვს და ჩემი ეკიპაჟი მელოდება. ნება მიბოძეთ, - განაგრძო მან და ბატონ შვარცკოფს ქუდი დაუქნია, - ბატონო უფროსო ლოცმანო, თქვენი ვაჟკაცური და მტკიცე მოქმედების გამო ჩემი უდიდესი კმაყოფილება გამოგიცხადოთ. მაქვს პატივი გამოგემშვიდობოთ.

დიდერიჰ შვარცკოფს არც უფიქრია მისთვის ხელი გაეწოდებინა. მხოლოდ ოდნავ დაუკრა თავი, თითქოს უნდოდა ეთქვა, აბა, რა გეგონათო.

ბატონმა გრიუნლიჰმა მორტენსა და დედამისს შორის გაიარა და ტალანში გავიდა.

მეთორმეტე თავი

თომასი კროგერების ეკიპაჟით დილის ათ საათზე ჩამოვიდა. დადგა წასვლის დღე.

თომასმა მასპინძლებთან ერთად სასტუმრო ოთახში მსუბუქად ისაუზმა. ისინი, როგორც პირველ დღეს, ისევ ერთად ისხდნენ; მხოლოდ ზაფხული გასული იყო, ციოდა და ქარი უბერავდა, ვერანდაზე არ დაიჯდომებოდა და მორტენიც აკლდათ... იგი უკვე გოტინგენში იყო. ტონი და მორტენი ერთმანეთს წესიერად არც კი დამშვიდობებიან. უფროსი ლოცმანი იქვე იდგა. მან მოკლედ მოჭრა:

- ასე, მორჩა და გათავდა!

თერთმეტ საათზე და-ძმა უკვე ეკიპაჟში იჯდა. ტონის მოზრდილი ჩემოდანი ეკიპაჟს უკან დააკრეს. გაფითრებული ტონი თავის რბილ საშემოდგომო ჟაკეტში გახვეულიყო და სიცივისგან, დაღლილობისა, მგზავრობის მოლოდინისა და დარდისგან იბუზებოდა. ხანდახან ნაღველი ისე მოაწვებოდა, რომ პირდაპირ ფიზიკურ ტკივილს გრძნობდა. მან პატარა მეტა გადაკოცნა, დიასახლისს ხელი ჩამოართვა და ბატონ შვარცკოფს თავი დაუკრა. ბატონმა შვარცკოფმა უთხრა:

- აბა, ნუ დაგვივიწყებთ, მადმუაზელ, ცუდად ნუ მოგვიგონებთ, კარგი? მაშ, კეთილი მგზავრობა და დიდი მოკითხვა ბატონ მამასა და ქალბატონ დედათქვენს.

ეკიპაჟის კარი მიაჯახუნეს და ნაპატივები წაბლა ცხენებიც დაიძრნენ. სამივე შვარცკოფმა ცხვირსახოცი ააფრიალა.

ტონი ეკიპაჟის კუთხეში მიიყუჟა და ფანჯარაში დაიწყო ცქერა. ცა თეთრი ღრუბლებით იყო დაფარული. ტრავეზე ქარი პატარ-პატარა ზვირთებს მოაგორებდა. დროდადრო ფანჯრის მინაზე წვიმის წვეთები წკაპუნებდა. ქალაქის სანაპირო ქუჩის მცხოვრებნი სახლების წინ გამოსულიყვნენ და ბადეებს კემსავდნენ. ფეხშიშველი

ბავშვები გამორბოდნენ და ეკიპაჟს ცნობისმოყვარეობით აღსავსე მზერას აყოლებდნენ, ისინი ხომ აქ რჩებოდნენ.

ეკიპაჟმა უკანასკნელი სახლიც მოიტოვა. ტონი წინ გადმოიხარა, უნდოდა შუქურისთვის ერთხელ კიდევ შეევლო თვალი; შემდეგ ეტლის საზურგეს მიესვენა და დაღლილი და გაღიზიანებული თვალები დახუჭა. ღამით მღელვარებისგან თითქმის არ უძინია, დილას ჩემოდნის ჩასალაგებლად უთენია წამოდგა და საუზმესაც პირი ვერ დააკარა. ახლა ნერწყვი გაშრობოდა და პირში ცუდ გემოს გრძნობდა. ღონემიხდილს იმის თავიც არ ჰქონდა, რომ ყოველ წუთში თვალზე მომდგარი ცხელი ცრემლები შეეკავებინა.

თვალს დახუჭავდა თუ არა, თავი ისევ შვარცკოფების ვერანდაზე ეგონა. მორტენ შვარცკოფი ხორცშესხმულივით ედგა თვალწინ. მორტენი ლაპარაკის დროს წინ თავისებურად იხრებოდა და დროდადრო ვინმეს კეთილ, გამომცდელ მზერას შეავლებდა ხოლმე, სიცილის დროს ლამაზ კბილებს აჩენდა და არც კი იცოდა, რომ ლამაზი კბილები ჰქონდა. ტონის ეს ფიქრები საოცრად ამშვიდებდა და ახალისებდა. იგონებდა მის ნათქვამ ყოველ სიტყვას და ბედნიერებას ჰგვრიდა გულში საზეიმოდ დადებული ფიცი - ყველაფერი წმიდათაწმიდად და ხელშეუხებლად ჩაებეჭდა თავის არსებაში: პრუსიის მეფემ დიდი უსამართლობა ჩაიდინა, „ქალაქური უწყებანი“ რომ უბადრუკი გაზეთია, ჰო, ისიც, ოთხი წლის წინ უნივერსიტეტის კანონმდებლობა რომ გადაისინჯა. ეს აზრები ამიერიდან მისთვის ღირსეულ და სანუგეშო ჭეშმარიტად დარჩებოდა, საიდუმლო საუნჯედ, რასაც მეხსიერება სურვილისამებრ აღადგენდა ხოლმე. ქუჩაშიც, ოჯახურ წრეშიც, ჭამის დროსაც კი იფიქრებდა ამაზე... ვინ იცის? მალე, ალბათ, მისთვის წინასწარ დაწერილ გზას დაადგება და ბატონ გრიუნლიჰის მეუღლე გახდება. განა სულერთი არ იქნება? მაგრამ როცა ქმარი დაელაპარაკება,
ტონი უცებ გაიფიქრებს: მე ვიცი რაღაც, რაც შენ არ იცი; არისტოკრატები, საერთოდ, მხოლოდ ზიზღის ღირსნი არიან...

ტონიმ კმაყოფილებით ჩაიცინა... მაგრამ უცებ ბორბლების ხმაურში მის ყურს საოცრად ნათლად მოსწვდა მორტენის ხმა; ტონი კეთილი, ოდნავ მოუხეშავი ხმის თითოეულ ბგერასაც კი არჩევდა, შინაგანი ყურით ესმოდა მისი ნათქვამი: დღეს ორივენი ქვებზე უნდა ვისხდეთო. ამ პატარა მოგონებამ ტონი შეძრა. გული ნაღვლისა და ტკივილისგან შეეკუმშა და ცრემლები წასკდა. კუთხეში მიკუნჭულმა სახეზე ცხვირსახოცი მიიფარა და გულამოსკვნილი ატირდა.

თომასი სიგარეტს ეწეოდა. მან უმწეოდ გახედა შარაგზას.

- საბრალო ტონი! - თქვა მან ბოლოს და დას ჟაკეტზე ხელი მოუთათუნა, - ძალიან მეცოდები... იცი, რა კარგად მესმის შენი! მაგრამ რას იზამ? უნდა გადაიტანო. დამიჯერე... მე ხომ ვიცი.

- აჰ, შენ არაფერიც არ იცი, ტომ! - ქვითინებდა ტონი.

- კარგი ერთი. უკვე გადაწყვეტილია, მომავალი წლის დასაწყისში ამსტერდამში უნდა წავიდე. მამამ „ვან კელენსა და კომპანიასთან“ ადგილი გამომინახა. ყველასთან დიდი ხნით მომიწევს გამოთხოვება.

- აჰ, ტომ! მშობლებსა და და-ძმასთან გამოთხოვება რა მოსატანია!

- ჰოო! - გააჭიანურა თომასმა და ისე ამოისუნთქა, თითქოს მეტის თქმას აპირებდა, მაგრამ გაჩუმდა, პაპიროსი ტუჩის მეორე კუთხეში გადაიტანა, ცალი წარბი აზიდა და თავი გვერდზე მიაბრუნა.

- ეს ხომ დიდხანს არ გაგრძელდება, - წამოიწყო ცოტა ხნის შემდეგ თომასმა, - გაივლის დრო და დაგავიწყდება...

- მაგრამ მე თუ არ მინდა დავივიწყო?! - წამოიძახა სასოწარკვეთილმა ტონიმ, - დავიწყება... განა ესაა ნუგეში?!

მეცამეტე თავი

მალე ბორანიც გამოჩნდა, შემდეგ იზრაელდორფის ხეივანი, იერუსალიმის მთა. ბურგფელდი. უკან დარჩა ქალაქის ჭიშკარი და მის მარჯვენა მხარეს აღმართული ქვის კედლებიანი ციხე. ეკიპაჟმა ბურგშტრასეზე ჩაიქროლა და კობერგი გადაკვეთა. ტონი ნაცრისფერფრონტონიან სახლებს ათვალიერებდა, ქუჩებზე გაჭიმულ მავთულებზე დაკიდულ ნავთის ფარნებს, სულიწმინდას ჰოსპიტლის წინ ჩარიგებულ, თითქმის გაძარცულ ცაცხვებს... ღმერთო ჩემო, ყველაფერი ისე დახვდა, როგორც დატოვა! აქ ყველაფერი უცვლელად და მედიდურად იდგა, ტონი კი აქაურობას მივიწყებული სიზმარივით იგონებდა! ეს ძველი, მამაპაპური, რუხი ფრონტონები ხელახლა უნდა აღექვა და კვლავ ამ კედლებს შორის ეცხოვრა. ტონი აღარ ტიროდა... ირგვლივ ცნობისმოყვარეობით იხედებოდა. ამ ქუჩებისა და ნაცნობი სახეების დანახვაზე განშორების სევდა თითქმის მიყუჩდა. ისინი უკვე ბრაიტენშტრასეზე მისრიალებდნენ. ამ დროს ქუჩაზე მტვირთავმა მატისენმა გამოიარა და ეკიპაჟში მსხდომთ თავისი იაფფასიანი ცილინდრი ისე აღრენილი სახით მოუხადა, თითქოს ამბობდა, მე ხომ თქვენი ფეხის მტვრადაც არა ვღირვარო.

ეკიპაჟმა მენგშტრასეზე შეუხვია. აფრუტუნებული და ატოკებული ნასუქი წაბლა ცხენები ბუდენბროკების სახლის წინ შეჩერდნენ. ტომმა დას მზრუნველად შეაშველა ხელი. ანტონი და ლინე უკვე გამორბოდნენ ბარგის გადმოსაზიდად. სახლში შესვლა ჯერ არ შეიძლებოდა: ხორბლით სავსე ტომრებით პირთამდე დატვირთული სამი უზარმაზარი ფურგონი ერთმანეთის მიყოლებით შედიოდა ალაყაფის კარში. ტომრებზე მსხვილი, შავი ასოებით ეწერა: „იოჰან ბუდენბროკი“. ფურგონები დიდ თაღში შეგრუხუნდნენ და დამრეცი საფეხურებით ეზოსკენ დაეშვნენ. ალბათ,

ხორბლის ნაწილს ეზოში გადმოტვირთავდნენ, დანარჩენებს კი სხვა ბეღლებში: „ვეშაპში“, „ლომსა“ და „მუხაში“ მიუჩენდნენ ადგილს.

თაღში შესულ და-ძმას კონსული გამოეგება. კონსულმა ხელები გაშალა და ტონი გულში ჩაიკრა:

- კეთილი იყოს შენი დაბრუნება, ჩემო საყვარელო შვილიკო!

ტონიმ მამას აკოცა და ოდნავ დარცხვენილმა ნამტირალევი თვალები მიაპყრო. მაგრამ არა, მამა არ ჯავრობდა, საყვედურიც არ დასცდენია. მხოლოდ ესა თქვა, გვიან არის, მაგრამ მეორე საუზმე უთქვენოდ არ მიგვირთმევიაო.

კონსულის მეუღლე, ქრისტიანი, კლოტილდე, კლარა და იდა იუნგმანი ტონის შესახვედრად კიბეზე გამოფენილიყვნენ.

* * *

იმ ღამეს ტონის უშფოთველად ეძინა მენგშტრასეზე. მეორე დილას, 22 სექტემბერს, მცირე სასადილო ოთახში გამოცოცხლებული და დამშვიდებული ჩამოვიდა. სისხამი დილა იყო. შვიდი საათი სრულდებოდა. სასადილოში ტონის მხოლოდ მამზელ იუნგმანი დაუხვდა. იდა ყავას ამზადებდა.

- აჰ, ტონიჰენ, შვილიკო, ასე ადრე რამ აგაყენა? - უთხრა მან ტონის და ნამძინარევი, მუქი თაფლისფერი, წვრილი თვალები მიაპყრო.

ტონი თავახდილ სეკრეტერს მიუჯდა. ხელები კეფაზე შემოიჭდო, სისველისგან შავად აპრიალებულ ეზოს და გაყვითლებულ, დანესტიანებულ ბაღს გახედა, შემდეგ სადარბაზო ბარათებისა და წერილების ქექვას შეუდგა.

ზედ სამელნესთან ტონისთვის კარგად ნაცნობი, დიდი, ტვიფრულ ყდაში ჩასმული, მოოქრული და სხვადასხვანაირფურცლებიანი დავთარი იდო. ეტყობოდა, გუშინ საღამოს შიგ რაღაც ჩაეწერათ. საკვირველი იყო, რომ დავთარი მამას ჩვეულებისამებრ ტყავის საქაღალდეში არ ჩაედო და სეკრეტერის სიღრმეში მისთვის მიჩენილ უჯრაში
არ ჩაეკეტა.

ტონიმ დავთარი აიღო, გადაფურცლა და კითხვაში გაერთო. დავთარში მისთვის კარგად ცნობილი უბრალო ამბები ეწერა. ყოველ მემატიანეს თავისი წინამორბედისგან ინსტინქტურად ისტორიულ ქრონიკებს მიმსგავსებული სტილი და საზეიმო, თუმცა ზომიერი თხრობის მანერა გადმოეღო, საიდანაც საკუთარი თავისადმი, ტრადიციისა და ოჯახის ისტორიისადმი თავშეკავებული და ამიტომაც ესოდენ ღირსეული მოწიწება ღაღადებდა. ტონისთვის ეს ამბავი ახალი არ გახლდათ. მისთვის რამდენჯერმე მიუციათ ამ დავთრის გადაშლის ნება, მაგრამ ბუდენბროკების მატიანეს დღევანდელისთანა შთაბეჭდილება არასოდეს მოუხდენია.

ოჯახის ისტორიის უმნიშვნელო ფაქტებიც კი აქ ისეთი მოწიწებით იყო აღწერილი, რომ ტონი მთელი არსებით შეირყა, იდაყვებით სეკრეტერს ჩამოეყრდნო და სიამაყით აღვსილი თავდავიწყებით შეუდგა კითხვას.

დავთარში ტონის პატარა წარსულიც დაწვრილებით იყო მოთხრობილი: მისი დაბადება, ბავშვობაში გადატანილი ავადმყოფობები, სკოლის პირველი დღე, მადმუაზელ ვაიჰბროტის პანსიონში შესვლა, მისი კონფირმაცია - კონსულს ყველაფერი თავისი წვრილი, გაკრული, სოვდაგრული ხელით მზრუნველად და თითქმის რელიგიური მოწიწებით აღენუსხა. განა უმცირესი ამბავიც ღვთის ნება არ იყო, ღვთისა, რომელიც ოჯახის ბედს ასე სასწაულებრივ წარმართავდა?

რა დაიწერებოდა მომავალში ტონის სახელის ქვეშ, რომელიც მისთვის ბებია ანტუანეტას პატივსაცემად დაერქმიათ? შემდგომში მატიანეს სტრიქონებს ოჯახის შთამომავალნი ისეთივე თრთოლვით წაიკითხავენ, როგორც ახლა თვითონ ჩაჰკირკიტებს წარსულის ფერგადასულ ამბებს.

ტონიმ ღრმად ამოისუნთქა და სკამის საზურგეს მიეყრდნო. გული საზეიმოდ აუძგერდა. საკუთარი თავისადმი მოწიწებით განიმსჭვალა. მატიანეს ფურცლებში შემონახულმა ოჯახის სულისკვეთებამ საკუთარი პიროვნული ღირსების გრძნობა გაუღვივა და თრთოლა მოჰგვარა.

ჯაჭვის რგოლივით ვართო, - სწერდა მამა... დიახ, დიახ! როგორც ამ ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლს, ტონის საპასუხისმგებლო და უმაღლესი მოვალეობა აკისრია - საქმითა და აზრით ოჯახის ისტორიაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს!

ტონიმ ხელახლა გადაფურცლა დავთარი. კონსულს უკანასკნელ გვერდზე ბუდენბროკების გვარის გენეალოგია გულმოდგინედ გამოეყვანა: მათი შორეული წინაპრის, პასტორის ქალიშვილის, ბრიგიტა შურენის ქორწინების თარიღით დაწყებული და კონსულ იოჰან ბუდენბროკის ელიზაბეტ კროგერთან 1825 წელს შეუღლების დღით დამთავრებული. ამ ქორწინების შედეგად ოთხი ბავშვი იშვაო, ეწერა შემდეგ და ქვემოთ ყველას დაბადების წელი, დღე და ნათლობის სახელები იყო ჩაწერილი. უფროსი ვაჟის სახელის ქვეშ კონსულს აღენიშნა, 1842 წლის აღდგომას ფირმაში შეგირდად შემოვიდაო.

ტონი თავის სახელსა და ქვემოთ დარჩენილ თავისუფალ ადგილს დიდხანს დაჰყურებდა. უცებ სახე შეეცვალა, ნერწვი გადაყლაპა, ტუჩები ააცმაცუნა, კალამს ხელი სტაცა, სამელნეში კი არ ჩააწო, ჩაარტყა, მერე კალამს მოკრუნჩხული საჩვენებელი თითი დააჭირა და მხრებში თავჩარგულმა, თავისი გაუწაფავი ხელით ოკრობოკრო ასოებით ჩაწერა: „1845 წლის 22 სექტემბერს დაინიშნა ბატონ ბენდიქს გრიუნლიჰზე, ჰამბურგელ კომერსანტზე“.

fb.com/groups/elito

მეთოთხმეტე თავი

- სავსებით გეთანხმებით, ჩემო ძვირფსო მეგობარო. ეს საკითხი მნიშვნელოვანია და ახლავე უნდა გადაიჭრას. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩვენი ოჯახიდან გასული ქალის მზითევი ტრადიციულად 70000 მარკას შეადგენს.

ბატონმა გრიუნლიჰმა სასიმამროს საქმიანი კაცის გამომცდელი და სწრაფი მზერა ესროლა.

- სინამდვილეში... - თქვა ბატონმა გრიუნლიჰმა და ეს სიტყვა მანამ გააგრძელა, სანამ თავისი მარცხენა ოქროსფერი ბაკენბარდი თითებს შორის ბოლომდე არ გააცურა, - პატივცემულო მამა, - განაგრძო მან, - თქვენ იცით, რომ მე ტრადიციებისა და პრინციპების დიდი პატივისმცემელი გახლავართ! მაგრამ... დღევანდელი დღისთვის
ამ მშვენიერი ტრადიციის დაცვა მეტისმეტი ხომ არ იქნებოდა?.. საქმე ფართოვდება...
ოჯახი წინ მიდის... ერთი სიტყვით, პირობები იცვლება და უმჯობესდება...

- ჩემო ძვირფასო მეგობარო, - მიმართა კონსულმა, - მე მგონი, თქვენ საქმის კაცად მიცნობთ, ღმერთო ჩემო... თქვენ არ დამამთავრებინეთ, თორემ უკვე ნათქვამი მექნებოდა, რომ მზად ვარ, გარემოების მიხედვით ხელი შეგიწყოთ და 70000-ს უყოყმანოდ 10000 მარკაც დავუმატო.

- მაშ, 80000, ხომ? - თქვა ბატონმა გრიუნლიჰმა და ტუჩები ისე აამოძრავა, თითქოს უნდოდა ეთქვა, ძალიან ბევრი არ არის, მაგრამ საკმარისიაო.

ორივე მხარე თავაზიანად შეთანხმდა. კონსული წამოდგა და კმაყოფილმა შარვლის ჯიბეში გასაღებების დიდი აცმა ააჩხარუნა. მზითვის ტრადიციული თანხა სწორედ
80000 მარკა გახლდათ.

ამის შემდეგ ბატონი გრიუნლიჰი ბუდენბროკებს გამოეთხოვა და ჰამბურგს გაემგზავრა. ტონის ცხოვრებაში თითქოს ახალი არაფერი მომხდარა, არავინ უშლიდა, შინ თუ გარეთ ძველებურად ენავარდა და ეცეკვა, ტრავეს ნაპირას ციგურებით ესრიალა და ყმაწვილკაცებისთვის აშიკობის ნება მიეცა.

ოქტომბრის შუა რიცხვებში ტონი მოლენდორფებთან დაპატიჟეს უფროსი ვაჟიშვილისა და იულჰენ ჰაგენშტრომის ნიშნობაზე.

- ტომ! - უთხრა ძმას ტონიმ, - მე არ წავალ, ეს ნიშნობა პირდაპირ აღმაშფოთებელია! - მაგრამ მაინც წავიდა და მშვენიერი დროც გაატარა.

სხვათა შორის, ოჯახის მატიანეში შეტანილი ჩანაწერით ტონიმ უფლება მოიპოვა, კონსულის მეუღლესთან ერთად ან მარტოს ქალაქის ყველა მაღაზიაში თავისუფლად ევლო და მზითევზე, რა თქმა უნდა, კეთილშობილურ მზითევზე ეზრუნა. მცირე სასადილო ოთახში ფანჯარასთან ორი მკერავი დღე და ღამეს ასწორებდა, ისინი

თეთრეულის შემოტეხასა და მონოგრამების ამოქარგვას აკლავდნენ თავს, მაგრამ არც ჭამას აკლებდნენ ხელს და შინაურ პურსა და მწვანე ყველს მადიანად შეექცეოდნენ.

- ლენტფორისგან ტილო თუ მოიტანეს, დედა?

- არა, შვილო, მაგრამ აი, ნახე, ორი დუჟინი ჩაის ხელსახოცები მოგვართვეს!

- კარგია, ლენტფორი დამპირდა, ტილოს დღეს ნაშუადღევამდე გამოგიგზავნითო. ღმერთო ჩემო, ზეწრები კიდევ შემოსატეხია!

- მამზელ ბატერლიჰს ბალიშის პირებისთვის არშია სჭირდება, იდა!

- დერეფანში ნახე, მარჯვნივ, თეთრეულის კარადაში, ტონიჰენ.

- ლინე!

- შენც კი შეგიძლია, ჩემო კარგო, გაცუნცულდე.

- ღმერთო, იმისთვის ვთხოვდები, რომ კიბეზე თვითონ ვირბინო?..

- ტონი, მოიფიქრე, საქორწილო კაბა როგორი უნდა იყოს?

- Moire antique, დედიკო! Moire antique[55]... სხვანაირად ჯვრის დასაწერად არ წავალ!

ასე მიიწურა ოქტომბერი, ნოემბერი. ბატონი გრიუნლიჰი საშობაოდ ჩამობრძანდა. შობის წინადღე ბუდენბროკებთან უნდა გაეტარებინა. ბატონ გრიუნლიჰს არც მოხუცი კროგერების მიპატიჟებაზე უთქვამს უარი. საცოლეს ნაზად და ალერსიანად ექცეოდა, გრიუნლიჰისგან ასეთი გულთბილი საქციელი არავის უკვირდა. მაღალფარდოვანი ფრაზებისგანაც თავს იკავებდა. გრძნობის უტაქტო გამომჟღავნებით ტონის თავს არ აბეზრებდა. მათი ნიშნობა მშობლების თანდასწრებით შუბლზე აღბეჭდილმა ალერსიანმა და მორიდებულმა ამბორმა განამტკიცა.

ხანდახან ტონის უკვირდა, რომ ბატონ გრიუნლიჰის ახლანდელი სიხარული მის წინანდელ სასოწარკვეთილებას მაინცდამაინც არ შეესაბამებოდა. ბატონი გრიუნლიჰი თავის საცოლეს ახლა მხოლოდ მესაკუთრის თვალით თუ შეხედავდა ხოლმე... იშვიათად, როცა შემთხვევით მარტონი აღმოჩნდებოდნენ, ბატონი გრიუნლიჰი ხუმრობის ხასიათზე დგებოდა ხოლმე; ტონის აღიზიანებდა,
ცდილობდა, მუხლებზე დაესვა და თავისი ბაკენბარდები სახეზე მოეცაცუნებინა. თან სინაზისგან აკანკალებული ხმით ეკითხებოდა:

- ხომ დაგიჭირე, ა, ხომ გაგაბი მახეში!

- ღმერთო ჩემო, რა გემართებათ! - ამბობდა პასუხად ტონი და ხელიდან მარჯვედ უსხლტებოდა.

შობის მეორე დღეს ბატონი გრიუნლიჰი სასწრაფოდ გაბრუნდა ჰამბურგში. გაცხოველებული საქმე უმისობას ვერ მოითმენდა. ბუდენბროკები უსიტყვოდ ეთანხმებოდნენ ბატონ გრიუნლიჰს, რომ საქმროს გასაცნობად ტონის ნიშნობამდეც საკმარისი დრო ჰქონდა.

ბინის საკითხი მიწერ-მოწერით მოაგვარეს. ტონის დიდ ქალაქში ცხოვრება განსაკუთრებით უხაროდა, სურვილიც გამოთქვა, ჰამბურგის ცენტრში დასახლებულიყვნენ, სწორედ ჰოსპიტლის ქუჩაზე, სადაც ბატონ გრიუნლიჰის კანტორა იყო განთავსებული, მაგრამ საქმრომ დაიჟინა და თავისი გაიტანა კიდეც. გადაწყდა, ვილა აიმსბიუტელთან ახლოს მდებარე გარეუბანში, რომანტიკულ და ხალხისგან მოშორებულ ადგილზე შეეძინათ. ასეთი იდილიური ბუდე ახალგაზრდა წყვილს სწორედ რომ შეეფერებოდა.

- Procul negotiis,[56] - არა, ბატონ გრიუნლიჰს თავისი ლათინური სავსებით არ დავიწყებია!

მიიწურა დეკემბერიც და ორმოცდაექვსი წლის დამდეგისთვის ქორწილიც გადაიხადეს. ჯვრისწერის წინა საღამოს გამართულ დიდებულ ზეიმზე ბუდენბროკებთან ნახევარმა ქალაქმა მოიყარა თავი. ტონის მეგობარი ქალიშვილები ტომისა და ქრისტიანის ამხანაგებთან ცეკვავდნენ. აქ იყო არმგარდ ფონ შილინგიც. იგი კოშკივით წამოყუდებული ეკიპაჟით საგანგებოდ ჩამოსულიყო მეგობრის ქორწილზე. აქ გახლდნენ ანდრეას გიზეკე, ბრანდმაისტერის ვაჟიშვილი, studiosus iuris,[57] შტეფან და ედუარდ კისტენმაკერები... ახალგაზრდები სასადილო დარბაზში და დერეფანში ცეკვავდნენ, სადაც იატაკზე ტალკი მოეყარათ.

საზეიმო საღამოსთვის ყველაზე მეტად კონსულმა პეტერ დოლმანმა იზრუნა. მან დიდი თაღის ქვის ფილებს მიაფშვნა ყველა ქოთანი, რაც კი სახლში მოიძებნებოდა.

გლოკენგისერშტრასელ ფრაუ შტუტს ერთხელ კიდევ მიეცა შემთხვევა, მაღალ წრეში გარეულიყო. იგი მამზელ იუნგმანსა და მკერავ ქალს ტონის საქორწილოდ მორთვაში ეხმარებოდა. ღმერთმა ხვალინდელი დღე არ გამითენოს, თუ ტონიზე მშვენიერი საპატარძლო მენახოს სადმეო, - ამბობდა ფაშფაშა დედაკაცი, მუხლებზე დახოხავდა და აღტაცებისგან თვალებგადმოკარკლული საპატარძლოს თეთრ moire antique-ზე მირტის ტოტებს აბნევდა. ტონის საქორწილოდ მცირე სასადილო ოთახში რთავდნენ.

გრძელკალთებიან ფრაკსა და აბრეშუმის ჟილეტში გამოწყობილი ბატონი გრიუნლიჰი კართან იცდიდა. ვარდისფრად აღაჟღაჟებულ სახეზე სერიოზული და კორექტული იერი ეფინა. მარცხენა ნესტოზე დამჯდარი მეჭეჭი ოდნავ შეეპუდრა, ოქროსფერი ბაკენბარდები კი გულმოდგინედ დაევარცხნა.

გარეთ, სვეტებიან სადარბაზოში, სადაც ჯვრისწერა უნდა შემდგარიყო, ბუდენბროკების მრავალრიცხოვან ოჯახს მოეყარა თავი. აქ იყვნენ მოხუცი კროგერებიც. ისინი კარგად მობერებულიყვნენ, მაგრამ მაინც ელეგანტურად

გამოიყურებოდნენ. კონსული კროგერიც აქ გახლდათ. მხარს ვაჟიშვილები უმშვენებდნენ: იაკობი და იურგენი. იაკობი და დიუშანები ჰამბურგიდან საგანგებოდ ჩამოსულიყვნენ. გოტჰოლდ ბუდენბროკი თავისი მეუღლითა და ქალიშვილებით მობრძანებულიყო. სამწუხაროდ, არც ერთ ქალიშვილს არ ჰქონდა გათხოვების იმედი. ნათესავების მეკლენბურგულ გარე შტოს კლოტილდეს მამა ბატონი ბერნჰარდ ბუდენბროკი წარმოადგენდა. იგი თავისი „ეწერიდან“ ჩამოსულიყო და მდიდარი ნათესავის ბატონკაცურ სახლს თვალებგაფართოებული ათვალიერებდა. ფრანკფურტელ ნათესავებს მხოლოდ საჩუქრები გამოეგზავნათ, იქიდან ჩამოსვლა ხუმრობა როდი იყო... სამაგიეროდ, შინაურების გარდა, აქ იყვნენ ბუდენბროკების შინაური ექიმი დოქტორი გრაბოვი და მამზელ ვაიჰბროტი - ტონის მოსიყვარულე მეგობარი ზეზემი ვაიჰბროტი. მას ჩაჩზე ახალთახალი მწვანე ლენტები გაეკეთებინა და შავი კაბა ჩაეცვა.

- ბედნიერი იყავი, ჩემო კარგო შვილო! - უთხრა მან ტონის, როცა დედოფალი ბატონ გრიუნლიჰთან ერთად სვეტებიან სადარბაზოში შემოვიდა. ზეზემი ვაიჰბროტი თითის წვერებზე შედგა და ტონის შუბლზე წკლაპუნით აკოცა.

ოჯახი დედოფლით კმაყოფილი დარჩა. ტონი მშვენიერი იყო, თავი ლაღად და ხალისიანად ეჭირა. მხოლოდ სახე ცნობისმოყვარეობისა და მოსალოდნელო მოგზაურობის გამო ოდნავ გაჰფითრებოდა.

სადარბაზო ყვავილებით იყო მორთული, მარჯვნივ საკურთხეველი აღემართათ, ჯვრისწერის ცერემონიალს მარიენკირხელი პასტორი კოლინგი ასრულებდა. იგი ჩვეულებისამებრ მკვახედ და დაჟინებით ნეფე-დედოფალს წესიერებისკენ მოუწოდებდა. ყველაფერი, როგორც წესი და რიგი იყო, ისე მიდიოდა. ტონიმ გულუბრყვილო და სათნო „დიახ“ წარმოთქვა, ბატონმა გრიუნლიჰმა კი, სანამ პასტორს უპასუხებდა, ყელის ჩასაწმენდად ჩაახველა.

ჯვრისწერის შემდეგ სტუმარ-მასპინძლები გულუხვ სუფრას მიუსხდნენ.

სტუმრები სასადილო დარბაზში პასტორის მეთაურობით ჯერ კიდევ სმა-ჭამაში იყვნენ გართულნი, კონსულმა და მისმა მეუღლემ კი ახალგაზრდა წყვილი კარეტამდე მიაცილეს. თოვდა. ჩემოდნებითა და ჩანთებით დახუნძლული დიდი სამგზავრო კარეტა სახლის კართან იდგა.

ტონიმ უკვე მერამდენეჯერ გაუმეორა მშობლებს, მალე გესტუმრებითო. თავის მხრივ ისინიც შეჰპირდნენ, ჰამბურგში შენს მონახულებას არ დავაყოვნებთო. კარგ გუნებაზე დამდგარი ტონი კარეტაში ჩაჯდა. დედამ მზრუნველად შეფუთნა ბეწვის საფარში. ბატონმა გრიუნლიჰმა ტონის გვერდით დაიკავა ადგილი.

- ჰო, მართლა, გრიუნლიჰ, - უთხრა სიძეს კონსულმა, - ახალი მაქმანები ხელჩანთაშია, სულ ზემოთ დევს. ჰამბურგს რომ მიუახლოვდებით, უბეში დამალეთ, კარგი? კაცი

თუ მოახერხებ, საბაჟო გადასახადს თავი უნდა აარიდო. აბა, კარგად იყავით! კარგად იყავი, ჩემო ძვირფასო ტონი! ღმერთი იყოს შენი შემწე.

- არენსბურგში რიგიანი სასტუმრო იქნება, არა? - იკითხა კონსულის მეუღლემ.

- ნომერი შეკვეთილია, ძვირფასო დედა! - უპასუხა ბატონმა გრიუნლიჰმა.

ანტონი, ლინე, ტრინა და სოფიც გამოემშვიდობნენ მადამ გრიუნლიჰს.

ის იყო კარეტის კარი უნდა მიეჯახუნებინათ, რომ ტონის გრძნობა მოერია. კარეტიდან გამოძრომა ადვილი აღარ იყო, მაგრამ ტონიმ გაიჭირვა, ბატონ გრიუნლიჰის დუდღუნს ყური აარიდა, მის მუხლებზე მოურიდებლად გადმოძვრა და მამას მაგრად ჩაეკონა.

- Adieu, მამიკო... ჩემო კარგო მამიკო! - შემდეგ ყურში ჩასჩურჩულა, - კმაყოფილი ხარ ჩემით?

კონსულმა შვილი უსიტყვოდ ჩაიკრა მკერდში, მერე უკან დასწია და ორივე ხელზე მხურვალედ მოუჭირა ხელი.

კარი მოაჯახუნეს, მეეტლემ მათრახი აატყლაშუნა, ცხენები ადგილს ისე მკვირცხლად მოსწყდნენ, რომ მინებმა ზრიალი დაიწყო. კონსულის მეუღლე ბატისტის ცხვირსახოცს მანამდე აფრიალებდა, სანამ კარეტა თოვლის ბურუსში არ გაუჩინარდა.

კონსული დაფიქრებული იდგა მეუღლის გვერდით. ქალბატონმა ბუდენბროკმა გრაციოზული ჟესტით ბეწვის პელერინა მხრებზე მჭიდროდ შემოიხვია.

- აი, გაგვიფრინდა ჩვენი ტონი, ბეტსი!

- ჰო, ჟან, ეს პირველი მერცხალი გაფრინდა ჩვენი სახლიდან. ვითომ ბედნიერი იქნება მასთან?

- ეჰ, ბეტსი, ტონი თავისი თავითაა კმაყოფილი. ადამიანს კი ამაზე დიდი ბედნიერება ამქვეყნად არ უწერია.

კონსული და მისი მეუღლე სტუმრებთან დაბრუნდნენ.

მეთხუთმეტე თავი

თომას ბუდენბროკი მენგშტრასეს დაღმა ჩაუყვა ფიუნფჰაუზენამდე. ბრაიტენშტრასეზე ავლას თავი აარიდა. იქ ბევრი ნაცნობი შეხვდებოდა და წამდაუწუმ ქუდი უნდა ეხადა. თომასს თბილი, მუქნაცრისფერი, ბეწვისსაყელოიანი
პალტოს ჯიბეებში ხელები ჩაეწყო და მაგრად მოყინულ, კრისტალებივით მოციმციმე

თოვლზე ჩაფიქრებული მიაბიჯებდა. მის ფეხქვეშ თოვლი ჭრაჭუნებდა. თომასი ნაჩვევი გზით მიდიოდა. ამ გზის არსებობა არავინ იცოდა... ცა კამკამა, ლურჯი და ცივი იყო: ჰაერი წმინდა, მწკლარტე და არომატული. თებერვლისთვის უჩვეულო, უქარო, სუსხიანი, ნათელი, ცინცხალი დარი იდგა. ყინვა ხუთ გრადუსამდე აღწევდა.

თომასმა ფიუნფჰაუზენი უკან მოიტოვა, ბეკერგრუბე გადაჭრა და ვიწრო ქუჩით ფიშერგრუბეზე გავიდა. ფიშერგრუბე მენგშტრასეს პარალელური ქუჩა იყო და ტრავესკენ ციცაბოდ ეშვებოდა. თომასმა ამ ქუჩაზე რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და ერთ პატარა სახლს მიადგა. ყვავილების უბრალო მაღაზიას ვიწრო კარი და ღარიბული ვიტრინა ჰქონდა. ვიტრინაში, მწვანე შუშაზე, ქოთნის ყვავილები შემოედგათ.

თომასმა კარი შეაღო. თუნუქის ზარმა ერთგული ძაღლივით დაიწკავწკავა. დახლის წინ გამყიდველ ქალიშვილს ხანში შესული, თურქულ შალში გახვეული, დაბალი, სქელი ქალი ესაუბრებოდა. იგი ყვავილების ქოთნებს არჩევდა, ამოწმებდა, ყნოსავდა, იწუნებდა და ენას ისე ატარტარებდა, რომ ყოველ წუთს ცხვირსახოცით
დადორბლილ ტუჩებს იწმენდდა.

თომას ბუდენბროკი ქალს თავაზიანად მიესალმა და გვერდზე გადგა. ეს ქალი ლანგჰალსების ღარიბი ნათესავი გახლდათ, კეთილი და ენაჭარტალა შინაბერა გვარიშვილობით მაღალ წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ საზოგადოებაში ჩირადაც არავინ აგდებდა, საზეიმო სადილებსა და ბალებზე არავინ ეპატიჟებოდა, ფინჯან ყავაზე თუ დაუძახებდა ვინმე. შინაბერას თითქმის ყველა ქალაქი „ტანტე ლოტჰენს“ ეძახდა. „ტანტე ლოტჰენმა“ თხელ ქაღალდში შეხვეული ყვავილის ქოთანი იღლიაში ამოიჩარა და კარისკენ გაემართა. თომასი ხელახლა მიესალმა მეყვავილეს და ხმამაღლა უთხრა:

- მომეცით რამდენიმე ვარდი, გეთაყვა... დიახ, სულერთია, იყოს ფრანგული...

როცა „ტანტე ლოტჰენმა“ კარი გაიხურა, თომასმა ხმას დაუწია:

- შეინახე, ანა, გამარჯობა, ჩემო პატარავ! დღეს ვერ ვარ ხასიათზე, გულდამძიმებული მოვედი შენთან.

ანას შავ, სადა კაბაზე თეთრი წინსაფარი ჰქონდა აფარებული. გოგონა საოცრად ლამაზი და ქურციკივით ნაზი იყო. სახე მალაიელს მიუგავდა: ყვრიმალები ოდნავ ამობურცვოდა, ვიწრო, შავი თვალები უციმციმებდა, ასეთ მოყვითალო, ფერმკრთალ კანს იშვიათად შეხვდებოდით. ხელებიც იმავე ფერისა ჰქონდა, ნაზი და საოცრად ლამაზი - მეყვავილისთვის შეუფერებელი.

გოგონა დახლს არ მოშორებია, დუქნის ბოლოსკენ ისე გაემართა, იქ თვალს ვერავინ მოჰკრავდა. თომასიც მიჰყვა, დახლზე გადაიხარა და ტუჩები და თვალები დაუკოცნა.

- მთლად გაყინულხარ, შე საბრალო! - უთხრა ანამ.

- ხუთი გრადუსია! - უპასუხა ტომმა, - არც შემიმჩნევია, ისე დადარდიანებული მოვდიოდი.

თომასი დახლზე ჩამოჯდა, ანას ხელები ჩაბღუჯა და განაგრძო:

- მისმენ, ანა?.. დღეს მე და შენ ჭკვიანურად უნდა მოვიქცეთ, დადგა განშორების ჟამი.

- ღმერთო ჩემო! - საბრალოდ წარმოთქვა ანამ და შემკრთალმა წინსაფრის კალთა სახეზე აიფარა.

- ოდესმე ხომ უნდა დამდგარიყო ეს დღე, ანა... ნუ ტირი! ჩვენ ხომ გადავწყვიტეთ ჭკვიანურად მოვქცეულიყავით, არა? რას იზამ? ამას ვერსად გავექცევით.

- როდის? - ჰკითხა ანამ სლუკუნით.

- ზეგ.

- ღმერთო... ზეგ რატომ? კიდევ ერთი კვირა მოიცადე, გეხვეწები... ხუთი დღე მაინც.

- არ შეიძლება, საყვარელო, ყველაფერი მტკიცედ არის გადაწყვეტილი. ამსტერდამში მელოდებიან... სულით და გულით რომ მინდოდეს, ერთ დღესაც ვერ დავაგვიანებ!

- ამ სიშორეს მაინც არ იყოს!..

- ამსტერდამი? აჰ, სულაც არაა შორს! ერთმანეთზე ფიქრი ხომ მაინც შეიძლება, არა? ხშირად მოგწერ! აი, ნახავ, როგორც კი ჩავალ, იმ წუთში მოგწერ...

- გახსოვს, - თქვა ანამ, - წლინახევრის წინ, მოისართა დღესასწაულზე რომ შევხვდით ერთმანეთს?

თომასმა აღტაცებით შეაწყვეტინა:

- ღმერთო ჩემო, ჰო, წლინახევრის წინ... იტალიელი მეგონე... მე შენგან მიხაკი ვიყიდე და ღილკილოში გავიკეთე... ის მიხაკი ახლაც მაქვს შენახული. ამსტერდამში თან წავიღებ. გახსოვს, რა ბუღი იდგა მინდორზე?

- ერთი ჭიქა ლიმონათი რომ მომიტანე იქვე, ჯიხურიდან... დღევანდელ დღესავით მახსოვს! ირგვლივ ნამცხვრისა და ადამიანების სუნი იდგა.

- მაგრამ მაინც კარგი იყო! განა იმწამსვე ერთმანეთის თვალებში არ ამოვიკითხეთ, რა მოგველოდა?

- შენ კარუსელზე გინდოდა წაგეყვანე... მაგრამ უარი გითხარი, არ შემეძლო. ხომ უნდა მევაჭრა! ქალბატონი ამიკლებდა...

- ვიცი, ანა, არ შეგეძლო. ძალიან კარგად მესმის.

ანამ წყნარად თქვა:

- ეს იყო ერთადერთი შენი თხოვნა, რაზედაც უარი გითხარი.

თომასმა ხელახლა დაუკოცნა თვალები და ტუჩები.

- მშვიდობით, ჩემო საყვარელო, პატარა ანა! დადგა გამომშვიდობების დრო!

- ხვალ ერთხელ კიდევ ხომ მოხვალ?

- უეჭველად, ამ დროს მოვალ. ზეგაც უთენია გინახულებ, თუ როგორმე დავიძვრინე თავი. ახლა კი რაღა უნდა გითხრა, ანა! მე კარგა შორს მივდივარ, ჰო, ამსტერდამი საკმაოდ შორსაა... შენ კი აქ რჩები. გზიდან არ გადაცდე, ანა, გესმის? აქამდე არ გადაცდენიხარ და იმიტომ, ანა! გესმის, რას გეუბნები?

ანას წინსაფარი სახეზე აეფარებინა და ტიროდა.

- შენ... შენ?

- უფალმა უწყის, საქმე როგორ წავა, ანა. სულ ყმაწვილი ხომ არ ვიქნები... შენ ჭკვიანი გოგო ხარ, ქორწინებაზე სიტყვა არასოდეს დაგცდენია...

- არა, ღმერთმა დამიფაროს, მაგას როგორ გთხოვ!

- კაცი თავის ნებაზე ვერ იქნება, ხომ იცი... თუ ცოცხალი ვიქენი, მომავალში მამაჩემის ფირმას მე უნდა გავუძღვე და შესაფერი პარტიაც უნდა შევარჩიო... ჰო, განშორებისას მინდა გულახდილი ვიყო შენთან... შენც გათხოვდები... ასე იქნება... ბედნიერებას გისურვებ, ჩემო საყვარელო, კარგო ანა! მაგრამ გზიდან არ გადაცდე, გესმის? რადგან აქამდე არ გადაცდენიხარ. გესმის, რას გეუბნები?

პატარა დუქანში თბილოდა. მიწისა და ყვავილების ნესტიანი სურნელი იდგა. ზამთრის მზე ჩადიოდა. მდინარის გაღმა ცას ფაიფურზე დახატულივით ნაზი, წმინდა და მკრთალი სიწითლე მოსდებოდა. პალტოს საყელოში თავჩარგული გამვლელები ვიტრინის წინ მიმოდიოდნენ. შეყვარებულებს კი ვერავინ ხედავდა. ისინი საყვავილეს კუნჭულში მიყუჟულიყვნენ და ერთმანეთს ეთხოვებოდნენ.

მეოთხე ნაწილი

პირველი თავი

1846 წლის 30 აპრილი.

ჩემო საყვარელო დედიკო!

ათას მადლობას გწირავ წერილისთვის, რომელშიც არმგარდ ფონ შილინგისა და პოპენრადეს მფლობელ ბატონ ფონ მაიბომის ნიშნობის ამბავს მაცნობებ. არმგარდმა თვითონ გამომიგზავნა ბარათი (მდიდრული, ოქროთი მოვარაყებული) და წერილიც მომწერა. თავისი საქმროთი აღტაცებულია. თურმე ლამაზი კაცი ყოფილა და კეთილშობილიც. რა ბედნიერია არმგარდი! ყველა თხოვდება. მიუნხენიდან ევა ევერსის ბარათიც მივიღე. ის ლუდის ქარხნის დირექტორს მიჰყვება.

ახლა ერთი რამ უნდა გკითხო, ძვირფასო დედა: კონსული ბუდენბროკი ჩემთან სტუმრობას არ აპირებს? ამაზე რატომ არაფერს იწერები? გრიუნლიჰის ოფიციალურ მოპატიჟებას ხომ არ უცდით! თუ ასეა, ცდებით, მე მგონია, ამაზე არც ფიქრობს. როცა შევახსენებ, ასე იტყვის ხოლმე: ჰო, ჰო, გოგონი, მამაშენს ისედაც ბევრი საქმე აქვსო. იქნებ ფიქრობთ, რომ მე შემაწუხებთ? აჰ, არა, იოტისოდენადაც არა! ან იქნებ გგონიათ, თქვენს დანახვაზე სახლი მომენატრება? ღმერთო დიდებულო, მე ხომ შეგნებული ქალი ვარ და ცხოვრებისა ასე თუ ისე გამეგება რამე. ახლახან მეზობლად მადამ კეზელაუსთან ვიყავი ყავაზე დაპატიჟებული. სასიამოვნო ხალხია. ჩვენს ხელმარცხნივ გუსმანები ცხოვრობენ (თუმცა ჩვენი სახლები საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისგან). ისინიც სტუმართმოყვარე ხალხია. გვყავს ოჯახის ორი ახლო მეგობარი. ორივე ქალაქგარეთ ცხოვრობს: დოქტორი კლაასენი (მასზე შემდეგ მოგიყვები) და ბანკირი კესელმაიერი, გრიუნლიჰის უახლოესი მეგობარი. რომ იცოდე, რა სასაცილო მოხუცია! თეთრი, შეკრეჭილი ბაკენბარდები აქვს. თავზე თხელი, ბუმბულივით ფუმფულა ჭაღარა თმა ნიავის ოდნავ წამობერვაზეც კი უფრიალებს. თავს ფრინველივით სასაცილოდ აკანტურებს... მერე რომ იცოდე, რამდენი ლაპარაკი იცის! მე „კაჭკაჭი“ შევარქვი, მაგრამ გრიუნლიჰი მეუბნება, ეგ მეორედ აღარ გავიგონოო... კაჭკაჭი ქურდბაცაცაა, ბატონი კესელმაიერი კი პატიოსნებით აღსავსე კაციაო. სიარულის დროს მოხუცი ბანკირი იკუზება და ხელებს ნიჩბებივით იქნევს. ბულულა თმა კეფას ვერ უფარავს და წითელი, დანაოჭებული კანი მოუჩანს. მეტისმეტად სასაცილო მოხუცია. ხანდახან ლოყაზე ხელს მომითათუნებს და მეტყვის: შე პატარა კარგო ქალო, ღმერთმა რა წყალობით გადმოხედა გრიუნლიჰს, შენი თავი რომ არგუნაო! მერე პენსნეს ამოიღებს (გრძელ ზონარზე სამი პენსნე აქვს ერთად ჩამოკონწიალებული და ყოველთვის ერთმანეთში ეხლართება), აჭმუხნილ ცხვირზე წამოიკოსებს და პირდაღებული ისეთი კმაყოფილებით შემომაჩერდება, რომ ხმამაღლა მეცინება ხოლმე, მაგრამ ეს სრულიადაც არ სწყინს. გრიუნლიჰი მეტისმეტად მოუცლელია, დილას ქალაქში ჩვენი ყვითელი, პატარა შარაბანით მიდის და შინ მხოლოდ გვიან ბრუნდება. ხანდახან ჩემთან დაჯდება და გაზეთს კითხულობს ხოლმე.

როცა სტუმრად მივდივართ, მაგალითად, კესელმაიერებთან ან კონსულ გოუდშტიკერთან ალსტერდამზე ან სენატორ ბოკთან რატჰაუსშტრასეზე, ეკიპაჟის დაქირავება გვიხდება. გრიუნლიჰს უკვე რამდენჯერ ვთხოვე, კარეტა გავიჩინოთ,

ქალაქგარეთ ვცხოვრობთ, ჩვენთვის ნამდვილად საჭიროა-მეთქი, ისიც თითქოს შემპირდა, მაგრამ საზოგადოებაში რომ გავდივარ, მაინცდამაინც არ ეპიტნავება. ვითომ ეჭვიანობით მოსდის?

ჩვენი ვილა, როგორც ადრე დაწვრილებით აგიწერე, საყვარელო დედიკო, მართლა ძალიან ლამაზია, ახალმა ავეჯმა ხომ სულ დაამშვენა. პირველი სართულის სალონს შენც კი ვერ დასდებ წუნს: იქ ყველაფერს ყავისფერი აბრეშუმი აქვს გადაკრული. მის გვერდით სასადილო ოთახია. იგი პანელებით არის დამშვენებული: თითო სკამი ოცდახუთი მარკა დაგვიჯდა; ახლა ლურჯ ოთახში ვზივარ, ეს ოთახი სტუმრების მისაღებადაც გვემსახურება. მოსაწევი და გასართობი ოთახიც აქვეა. დერეფნის მეორე მხარეს მთელი ნახევარი სართული დარბაზს უჭირავს. იქ ახლახან ყვითელი
შტორები ჩამოვკიდეთ და დარბაზმა კეთილშობილური იერი მიიღო. ზევით საძინებელი, სააბაზანო, გარდერობი და მსახურთა ოთახებია. ყვითელი შარაბანისთვის პატარა გრუმი გვყავს აყვანილი. მოსამსახურე გოგოების თითქმის კმაყოფილი ვარ. არ ვიცი, მთლად პატიოსნები არიან თუ არა, მაგრამ მადლობა ღმერთს, გროშების დათვლა არ მჭირდება! მოკლედ, ოჯახი ისე მაქვს მოწყობილი, ჩვენს გვარს რომ შეეფერება.

უმთავრესი ბოლოსთვის მოვიტოვე. ერთი ხანია თავს უცნაურად ვგრძნობ, იცი, დედიკო, არც სავსებით კარგად და არც ავად; შემთხვევა რომ მომეცა, დოქტორ კლაასენს გავენდე. ის პატარა ტანის, დიდთავა კაცია. თავზე კიდევ უფრო დიდი ქუდი ახურავს. ბუნიკიან ჯოხს ერთთავად ნიკაპზე იბჯენს. წვერი თითქმის მწვანე ფერისა აქვს, რადგან დიდი ხანია შავად იღებავს. ნეტა ერთი შეგახედა! მან არაფერი
მიპასუხა, პენსნე შეისწორა, ჩაწითლებული თვალი ჩამიკრა, კარტოფილივით ცხვირი დამიქნია, ჩაიხითხითა და ისე მოურიდებლად ამათვალ-ჩამათვალიერა, რომ აღარ ვიცოდი, სად დავმალულიყავი. შემდეგ გამსინჯა და მითხრა, ყველაფერი შესანიშნავად მიდისო, მხოლოდ მინერალური წყალი სვი, რადგან ცოტა სისხლნაკლული ხარო. დედიკო, ეს ამბავი მამასაც გაანდე ფრთხილად, ჩაწეროს საოჯახო დავთარში. მე კიდევ მოგწერ და რაც შეიძლება ჩქარა.

გულითადად მომიკითხე მამა, ქრისტიანი, კლარა, ტილდა და იდა იუნგმანი. დიდი ხანი არ არის, რაც თომასს გავუგზავნე წერილი ამსტერდამში.

შენი მორჩილი ქალიშვილი ანტონია.

1846 წლის 2 აგვისტო ჩემო ძვირფასო თომას!

ძალიან გამიხარდა, ამსტერდამში ქრისტიანს რომ შეხვედრიხარ; ალბათ, კარგ დროს გაატარებდით. რაც ქრისტიანი ინგლისში გაემგზავრა, მისგან არავითარი ცნობა არ მიმიღია. მაგრამ ღვთის იმედი მაქვს, მოგზაურობას ბედნიერად დაასრულებს. ქრისტიანმა რადგან ასე ისურვა და მეცნიერებას ზურგი შეაქცია, ღმერთმა ქნას, თავის

პრინციპალთან, მისტერ რიჩარდსონთან რაიმე ისწავლოს. კომერსანტობის გზაზე წარმატებით და ღვთის კურთხევით ევლოს! მისტერ რიჩარდსონი (ტრინიდლსტრიტზე), შენც იცი, ჩვენი ძველი კლიენტია. თავს ბედნიერად ვთვლი, ორივე ვაჟი ისეთ ფირმებში მოვაწყვე, რომლებთანაც მეგობრობა მაკავშირებს. ამ წყალობას შენ, ალბათ, უკვე გრძნობ. დიდად მახარებს ბატონმა ვან დერ კელენმა ამ მეოთხედ წელიწადში ხელფასი რომ მოგიმატა და ამიერიდან მოგებაშიც დაგიდო წილი; დარწმუნებული ვარ, შენი სიბეჯითით ამ ნდობას გაამართლებ.

ყოველივე ამასთან ერთად გული მტკივა, რომ მთლად ჯანზე ვერა ხარ. ნერვები მაქვს აშლილიო, რომ მწერ, ჩემი ახალგაზრდობა მაგონდება. მაშინ ანტვერპენში ვმუშაობდი და იქიდან სამკურნალოდ ემსში მომიხდა წასვლა. თუ მკურნალობა შენც დაგჭირდება, რაღა თქმა უნდა, სიტყვითაც და საქმითაც მხარში ამოგიდგები, თუმცა ჩვენს არეულ დროში ზედმეტ ხარჯს ძალიან ვერიდები. მიუხედავად ამისა, მე და დედაშენი ივნისის შუა რიცხვებში ტონის სანახავად ჰამბურგში ჩავედით. მის მეუღლეს არ დავუპატიჟივართ, მაგრამ გულღიად შეგვხვდა და ორი დღე, რაც იქ გავატარეთ, მთლიანად ჩვენ მოგვიძღვნა, თავისი საქმეც კი მიატოვა. ძლივს დავუძვერი ხელიდან, რომ დიუშანებთან ერთხელ მაინც მივსულიყავი. ანტონია მეხუთე თვეშია. მისმა ექიმმა დაგვარწმუნა, ყველაფერი ნორმალურად და საიმედოდ მიდისო.

არ შემიძლია, ბატონ ვან დერ კელენის წერილი არ მოვიხსენიო, საიდანაც სიხარულით შევიტყვე, რომ მის ოჯახში სასიამოვნო სტუმრად ყოფილხარ
მიღებული. შენ, ჩემო შვილო, ისეთ ასაკში ხარ, რომ შენი აღზრდის ნაყოფს პირველად იმკი. რჩევად გამოგადგება, - შენი ხნისა ბერგენსა და ანტვერპენში რომ ვმუშაობდი, ყოველთვის ვცდილობდი, ჩემი პრინციპალის მეუღლესთან კარგად ვყოფილიყავი, რამაც დიდი სარგებლობა მომიტანა.

პრინციპალის ოჯახთან დაახლოება ხომ თავისთავად დიდი პატივია, გარდა ამისა, მისი მეუღლის სახით თავგამოდებულ ქომაგსაც შეიძენ. თუ ღმერთმა ცუდი თვალით გადმოგხედა, რაიმე შეგეშალა, ფეხი წაგიცდა და პრინციპალი გაანაწყენე, რაც სავსებით მოსალოდნელი და შესაძლებელია, მისი მეუღლე ყოველთვის შენი მფარველი იქნება.

რაც შენს მომავალ საქმიან გეგმებს შეეხება, ჩემო შვილო, ეს გეგმები იმით მახარებს, რომ შენს დაინტერესებას ვხედავ, თუმცა სავსებით ვერ მოგიწონებ. შენ გგონია, ისეთი პროდუქტების გასაღება, რაც ჩვენი მშობლიური ქალაქის მიდამოებში მზადდება: მარცვლეული, თალგამურა, ტყავეული და ბეწვეული, შალი, ზეთი, კოპტონი, რქა და სხვანი ჩვენივე ქალაქის საქმე უნდა იყოს და ფიქრობ, საკომისიო ვაჭრობის გარდა ასეთ საქმეებსაც მოჰკიდო ხელი. იმ დროს, როცა კომერციის ამ დარგში კონკურენცია ჯერ კიდევ მცირე იყო (ახლა შედარება არაა, ისე გაიზარდა), შენსავით დაინტერესებული ვიყავი და სანამდეც ხელი გამიწვდა, ექსპერიმენტებიც

ჩავატარე. ჩემი ინგლისში მოგზაურობის ძირითადი მიზანი სწორედ ის იყო, რომ იქაურ კომერსანტებთან კავშირი დამემყარებინა. შოტლანდიამდე გავედი და სასარგებლო ნაცნობობაც გავიჩინე, მაგრამ თან მივხვდი, ასეთი ექსპორტი სათუო საქმე იყო და საქმის გაგრძელებაზე ხელი ავიღე, მით უმეტეს, რომ ჩვენი წინაპრის, ფირმის დამაარსებლის გაფრთხილება მუდამ მახსოვდა: „შვილო ჩემო, ბეჯითად იშრომე დღისით, მაგრამ გახსოვდეს, მხოლოდ ისეთ საქმეს მოჰკიდე ხელი, რომელიც ღამე მშვიდ ძილს არ დაგიფრთხობს“.

ამ აღთქმას ჩემი სიცოცხლის დასასრულამდე სათუთად შევინახავ, თუმცა ამ სიტყვების სიმართლეში კაცს ხანდახან შეიძლება ეჭვი შეეპაროს, როცა იმ ხალხის მოჩვენებით წინსვლას უყურებს, ასეთ პრინციპებს რომ არ მისდევენ. მხედველობაში მაქვს „შტრუნკი და ჰაგენშტრომი“, მათი საქმე ფართოვდება ჩვენი კი ადგილიდან ძლივს იძვრის. შენ კარგად იცი, ჩვენი საფირმო სახლი ბაბუაშენის სიკვდილის შემდეგ რომ შემცირდა, მას მერე არ გაზრდილა. ღმერთს ვევედრები, ფირმა ასე მაინც დაგიტოვო და სხვას არ დავეძებ. ჩვენი საქმეთა მმართველი, ბატონი მარკუსი, გამოცდილი და საქმიანი კაცია. ნეტავ დედაშენის ოჯახი ცოტა მეტად უფრთხილდებოდეს თავის ქონებას; მის მემკვიდრეობას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ფირმაშიც და ქალაქის მმართველობაშიც საქმე თავზე საყარად მაქვს. ბერგენის კოლეგიის თავმჯდომარე ვარ. გარდა ამისა, ბიურგერებმა დეპუტატად ამირჩიეს ფინანსური დეპარტამენტის საკომერციო კოლეგიაში, საანგარიშო-სააღრიცხვო დეპუტაციასა და წმინდა ანას თავშესაფარში.

დედაშენი, კლარა და კლოტილდე გულითად მოკითხვას გითვლიან. აგრეთვე ბატონმა სენატორებმა მოლენდორფმა და დოქტორმა ოვერდიკმა, კონსულმა კისტენმაკერმა, მაკლერმა გოშმა, ც. ფ. კოპენმა, ასევე ჩვენი კანტორიდან ბატონმა მარკუსმა და კაპიტნებმა კლოჰტმა და კლოტერმანმა დამავალეს შენთვის მოკითხვა მომეწერა. გფარვიდეს უფალი, შვილო ჩემო! იშრომე, ილოცე და დაზოგე!

შენი მზრუნველი, მოსიყვარულე მამა.

1846 წლის 8 ოქტომბერი

ძვირფასო და დიდად პატივცემულო მშობლებო!

ქვემორე ხელის მომწერი სიამოვნებით აღასრულებს თავის მოვალეობას, რათა გაუწყოთ თქვენი ქალიშვილის, ჩემი დიდად საყვარელი მეუღლის ანტონიას გათავისუფლება. ღვთის ნებით, ნახევარი საათის წინ გოგონა შეგვეძინა. ჩემი სიხარულის გამოსახატავად სიტყვებს ვერ ვპოულობ. ჩვენი ძვირფასი მელოგინე და ბავშვი ჩინებულად გრძნობენ თავს. დოქტორი კლაასენი სავსებით კმაყოფილია. ბებიაქალი ფრაუ გროსგეორგისიც ამბობს, არავითარი გართულება არ ყოფილაო.

მღელვარება მაიძულებს კალამი გადავდო. დავშთები თქვენი დიდად პატივმცემელი და მოყვარული ბ. გრიუნლიჰი

ბიჭი რომ შემძენოდა, ძალიან ლამაზი სახელი მქონდა მოფიქრებული. გოგონასთვის მეტა მინდოდა დამერქმია, მაგრამ გრ. ერიკას ამჯობინებს. ტ.

მეორე თავი

- რა დაგემართა, ბეტსი? - შეეკითხა მეუღლეს კონსული, როცა სუფრასთან მივიდა და თავის სუპს მზრუნველად გადამხობილი თეფში გადახადა, - შეუძლოდ ხომ არა ხარ? რა იყო? კარგად ვერ გამოიყურები.

უზარმაზარ სასადილო დარბაზში მრგვალი მაგიდა შეეკეცათ. ბატონების გარდა სუფრას ყოველდღე მამზელ იუნგმანი, 10 წლის კლარა და გაფშიკული, მორჩილი და უხმოდ მჭამელი კლოტილდე უსხდებოდნენ. კონსულმა ოჯახის წევრებს თვალი შეავლო. ყველას სახე ჩამოსტიროდა. რა მოხდა? თვითონაც განერვიულებული და შეწუხებული იყო, ბირჟაზე ამ დახლართული შლეზვიგ-ჰოლშტაინის ამბების გამო დიდი არეულობა სუფევდა... ჰაერში კიდევ სხვა არეულობის სუნი იგრძნობოდა; როცა ანტონი ხორციანი კერძის მოსატანად გავიდა, კონსულმა შეატყო, სახლში რაღაც მომხდარიყო. ტრინა, მზარეული ქალი ტრინა, რომელიც აქამდე ერთგულებისა და მორჩილების განსახიერებას წარმოადგენდა, აშკარა ურჩობაზე გადასულიყო. კონსულის მეუღლის სავალალოდ, მას ერთი ხანია ყასბის შეგირდთან რაღაც სულიერი მეგობრობის მსგავსი რამ გაეჩაღებინა და ეტყობოდა, ამ მუდამ სისხლში ამოსვრილ კაცს ტრინას პოლიტიკურ შეხედულებებზე მავნე გავლენა მოეხდინა. კონსულის მეუღლეს დღეს მზარეულისთვის საწებელი დაუწუნებია, მას კი შიშველი ხელებით დოინჯი შემოუყრია და ქალბატონისთვის პირში მიუხლია:

- დაიცადეთ, ქალბატონო, ერთი დრო არც თქვენ შეგრჩებათ. ერთხელაც იქნება, სხვა წესები შემოვა, მაშინ მე ფარჩის კაბაში გამოპრანჭული დივანზე წამოვგორდები და თქვენ აქეთ მომართმევთ შემწვარსა და მოხრაკულს...

რა თქმა უნდა, ტრინა მაშინვე დაუთხოვიათ.

კონსულმა თავი გააქნია. ამ ბოლო დროს თვითონაც ბევრი თავსატეხი გასჩენოდა. მართალია, ხნიერ მტვირთავებსა და ბეღლის მუშებს იმდენი ჭკუა ჰქონდათ, რომ თავში არაფერი გაევლოთ, მაგრამ თითო-ოროლა ახალგაზრდამ კი გამოამჟღავნა, ამბოხების ახალ სულს მათთანაც როგორ გაეკვლია გზა... გაზაფხულზე ქუჩაში არეულობა მოხდა, თუმცა კონსტიტუცია, რომელიც ახალი დროის მოთხოვნებს შეესაბამებოდა, პროექტის სახით მზად იყო და ამის შემდეგ, ლებრეჰტ კროგერისა და რამდენიმე სხვა ჯიუტი მოხუცის წინააღმდეგობის მიუხედავად, სენატმა კანონად

ცნო. აირჩიეს ხალხის წარმომადგენლები, გაიმართა სამოქალაქო კრება, მაგრამ არეულობას ბოლო მაინც არ მოეღო. ქვეყანა აფორიაქებული იყო. ყველას უნდოდა კონსტიტუციისა და საარჩევნო უფლებების გადასინჯვა. ბიურგერები ერთმანეთს დაერივნენ. ერთნი, მათ შორის - კონსული ბუდენბროკიც, „წოდებრივი პრინციპის“ დაცვას მოითხოვდნენ. საყოველთაო საარჩევნო უფლებაო, - გაჰყვიროდნენ სხვები. ჰინრიჰ ჰაგენშტრომიც ამასვე ამბობდა. ზოგი გაიძახოდა, საყოველთაო წოდებრივი არჩევნებიო და, ალბათ, თვითონაც არ იცოდნენ, ამაში რა იგულისხმებოდა. ისეთი იდეებიც წამოტივტივდა, ბიურგერებსა და სხვა მცხოვრებლებს შორის ყოველგვარი განსხვავება მოისპოსო, მოქალაქეობრივი უფლებები არაქრისტიანებზეც გავრცელდესო... გასაკვირი არ იყო, ბუდენბროკების ტრინას სოფაზე დაბრძანება და ფარჩის კაბები რომ ეზმანებოდა! უარესიც იყო მოსალოდნელი. შეიძლებოდა საქმე სახიფათოდ შეტრიალებულიყო.

ორმოცდარვა წლის პირველი ოქტომბერი იდგა. ლურჯ ცაზე გაბნეულ ქულა ღრუბლებს მზე ვერცხლისფრად ავარაყებდა. მზეს ისე გამოლეოდა ძალა, რომ ლანდშაფტებიან ოთახში მოლაპლაპე გისოსებს იქით უკვე ღუმელი გუზგუზებდა.

პატარა კლარა, მკაცრთვალებიანი ქერა გოგონა, თავისი საქსოვით ფანჯარასთან მიდგმულ ხელსაქმის მაგიდას მისჯდომოდა. კლოტილდესაც საქარგავი აეღო ხელში და კონსულის მეუღლის გვერდით მოკალათებულიყო სოფაზე. კლოტილდე ბუდენბროკი თავის გათხოვილ ბიძაშვილზე ბევრად უფროსი როდი იყო, ჯერ ოცდაერთი წლის გახლდათ, მაგრამ გრძელი სახის ნაკვთები უკვე გაუხეშებოდა, ამას დაუმატეთ მისი უცნაური, მონაცრისფრო, შუაზე გაყოფილი, გადატკეპნილი თმა და შინაბერას სურათი დასრულებული იყო. იგი ბედს არ ემდუროდა და არც ცდილობდა რაიმე შეეცვალა. ალბათ, დაბერება კიდეც ეჩქარებოდა, რომ ყველა ეჭვისა და იმედისთვის ერთხელ და სამუდამოდ დაეღწია თავი. სულს იქით გროში არ გააჩნდა და იცოდა, მისი მთხოვნელი ქვეყანაზე კაცი არ მოიძებნებოდა. მომავალს თავმოდრეკილი შეჰყურებდა, იქნებ ყოვლისშემძლე ბიძას მისთვის კუნჭული გამოეძებნა და წარჩინებული გვარის ღარიბი ქალიშვილების დასახმარებლად დაარსებული რომელიმე საქველმოქმედო დაწესებულების სალაროდან პენსიაც გაეხერხებინა.

კონსულის მეუღლე წერილების კითხვაში იყო გართული: ერთში ტონი იტყობინებოდა, პატარა ერიკა კარგად და ჯანმრთელად არისო, მეორეში ქრისტიანი მშობლებს ლონდონურ ცხოვრებას უხატავდა გულმოდგინედ, მისტერ რიჩარდსონთან თავის მოღვაწეობაზე კი ბევრს არაფერს იწერებოდა.

კონსულის მეუღლე ორმოცს გადასცილდა და ქერა ქალების ბედისწერას ვერ გაექცა - სწრაფად ბერდებოდა. ნაზი კანი, რაც მის მოწითალო თმას აგრერიგად შვენოდა, ათასგვარი მასათუთებელი საშუალების მიუხედავად, სინორჩეს დღითი დღე კარგავდა. ერთი პარიზული ნაყენი რომ არა, თმაც უმოწყალოდ გაუჭაღარავდებოდა.

კონსულის მეუღლეს გადაწყვეტილი ჰქონდა, მის თავზე ჭაღარა არავის ენახა. როცა საღებავი აღარაფერს უშველიდა, მაშინ თავის თმისფერ პარიკს შეუკვეთდა... ჯერ კიდევ დიდი ხელოვნებით დაყენებულ თმაზე პატარა, თეთრარშიაშემოვლებული აბრეშუმის ბაფთა ეკეთა. ეს ჩაჩის პირველი ნიშანი გახლდათ. ტანთ ფართო, მინაოჭებული ქვედაკაბა ეცვა, ზარისებრი სახელოებისთვის შიგნიდან ხამი ქსოვილი დაედოთ. მაჯაზე, ჩვეულებისამებრ, სამაჯურები უწკრიალებდა.

ნაშუადღევის სამი საათი იყო, უცებ ქუჩაში ერთი ვაი-უშველებელი ატყდა, ყვირილი, ჩოჩქოლი, სტვენა და ბრაგაბრუგი თანდათან ახლოვდებოდა და ძლიერდებოდა.

- დედა, რა ამბავია? - წამოიძახა კლარამ, რომელიც ფანჯრის ჭუჭრუტანიდან იცქირებოდა, - რამდენი ხალხია... რა მოუვიდათ? რა უხარიათ ასე?

- ღმერთო ჩემო! - დაიძახა კონსულის მეუღლემ, წერილები გადაყარა, შეშინებული წამოხტა და ფანჯარას მივარდა, - ეს ხომ... ოი, ღმერთო მიშველე, რევოლუციაა... ეს ხალხია...

დღეს ქალაქში მთელი დღე არეულობა იყო. ბრაიტენშტრასეზე ამ დილით მაუდით მოვაჭრე ბენთიენის ვიტრინა ქვით ჩაემსხვრიათ, თუმცა მხოლოდ უფალმა უწყოდა, ბატონი ბენთიენის ფანჯარას დიდ პოლიტიკასთან რა ხელი ჰქონდა.

- ანტონ! - აკანკალებული ხმით გასძახა მსახურს კონსულის მეუღლემ სასადილო დარბაზში, სადაც იგი ვერცხლეულს ალაგებდა. - ანტონ, ჩადი ქვევით! სახლის კარი ჩარაზე! ყველაფერი ჩაკეტე! ხალხი მოდის...

- კი, ბატონო, მაგრამ ვითომ გავბედო? მე ხომ ბატონების ლაქია ვარ... ჩემს ლივრეას რომ დაინახავენ...

- ბოროტი ადამიანები, - ამოთქვა კლოტილდემ ნაღვლიანად, ისე, რომ თავისი ხელსაქმე არ გადაუდვია.

ამ დროს სვეტებიანი სადარბაზოს მინის კარი გაიღო და კონსული შემოვიდა. მას პალტო მკლავზე გადაედო, ქუდი კი ხელში ეჭირა.

- ქუჩაში გასვლას აპირებ, ჟან? - ჰკითხა შეძრწუნებულმა მეუღლემ.

- დიახ, ძვირფასო, ქალაქის საბჭოში ვარ წასასვლელი...

- მერე ხალხი, ჟან, რევოლუცია...

- ღმერთო დიდებულო, ასეც კი არაა საქმე, ბეტსი... ყველაფერი ღვთის ნებაა. ჩვენი სახლი უკვე გაიარეს. მე სხვა მხრიდან გავალ...

- ჟან, თუ გიყვარდე... რატომ იგდებ ხიფათში თავს? ჩვენც მარტო გვტოვებ... მეშინია, იცოდე!

- ჩემო ძვირფასო, გევედრები, გულს ნუ იხეთქავ... ხალხი რატჰაუსის წინ ან ბაზრის მოედანზე იყაყანებს... შეიძლება სახელმწიფომ რამდენიმე ფანჯრის მინა კიდევ იზარალოს, ესაა და ეს.

- მაინც სად მიდიხარ, ჟან?

- ქალაქის საბჭოში... ისედაც დამაგვიანდა, საქმეებს ვერ ავუთავდი. დღეს იქ რომ არ მივიდე, თავი მომეჭრება! თუ გგონია, მამაშენი შინ დარჩება? ამ ხნის კაცია და...

- კარგი, წადი, ღმერთი იყოს შენი მფარველი, ჟან... მაგრამ ფრთხილად იყავი, გთხოვ, თავს გაუფრთხილდი! მამაჩემსაც მიხედე, არაფერი დაემართოს.

- ჯავრი ნურაფრის გექნება, ძვირფასო.

- როდის დაბრუნდები? - დაადევნა სიტყვა მეუღლემ.

- ასე, ხუთის ნახევრისთვის... როგორც მოვახერხებ, ძალზე სერიოზული საკითხები გვაქვს განსახილველი, ღმერთმა იცის, როდის მოვრჩებით.

- ღმერთო, როგორ მეშინია, როგორ მეშინია! - იმეორებდა კონსულის მეუღლე, თვალებს უმწეოდ აცეცებდა და ოთახში დაწრიალებდა.

მესამე თავი

კონსულმა ბუდენბროკმა თავისი ვრცელი კარ-მიდამო სწრაფად გადაიარა. როცა ბეკერგრუბეზე გავიდა, ზურგს უკან ფეხის ხმა მოესმა, მოიხედა და მაკლერი გოში დაინახა. თავის გრძელ პალტოში მოხდენილად გახვეული მაკლერი აღმართს შესდგომოდა, ისიც სხდომაზე მიეშურებოდა. მან გამხდარი, გრძელი ხელით იეზუიტის ქუდი მოიშვლიპა, მერე ხელი კი ისე ჩაიქნია, თითქოს უნდოდა ეთქვა, ბედს უნდა შევეგუო, მეტი რა ჩარაო და ჩავარდნილი, ყრუ ხმით კონსულს მიმართა:

- ბატონო კონსულო, მიიღეთ ჩემი სალამი!

მაკლერი სიგიზმუნდ გოში, ორმოც წელს მიღწეული ბერბიჭა, თავისი უცნაური საქციელის მიუხედავად, პატიოსანი და გულკეთილი კაცი იყო. არტისტული ბუნება და ფრიად ორიგინალური გონება ჰქონდა. სუფთად გაპარსულ სახეზე წამოდგმული კეხიანი ცხვირი, დაკუთხული წინწამოწეული ნიკაპი, გამოკვეთილი ნაკვთები, ფართო, კუთხეებჩამოწეული პირი და თხელი, მოკუმული ბაგე გულჩახვეული და ბოროტი კაცის იერს აძლევდა. თვითონაც ისწრაფოდა, ველური, ლამაზი და დემონური კაცის სახე ჰქონოდა, ხალხისთვის ბოროტ, ცბიერ, საინტერესო და საშიშ, რაღაც მეფისტოფელისა და ნაპოლეონის შუა მდგარ პიროვნებად მოეჩვენებინა თავი... და ეს მშვენივრად გამოსდიოდა კიდეც. ჭაღარა თმა შუბლზე პირქუშად

ჩამოშლოდა. სიგიზმუნდ გოში გულწრფელად ნანობდა, კუზიანი რომ არ იყო. ძველი სავაჭრო ქალაქის მცხოვრებლებს შორის ეს კაცი უცხო და უცნაური იერით გამოირჩეოდა. ისიც მათ წრეს ეკუთვნოდა, რადგან მთელ ბიურგერობაში პატარა, მაგრამ სოლიდურ და თავისი უბრალოებით პატივსაცემ საშუამავლო საქმეს უძღვებოდა. ვიწრო, ბნელ კანტორაში წიგნების დიდი კარადა ედგა, კარადა მრავალ ენაზე დაწერილი პოეტური ნაწარმოებებით ჰქონდა გამოტენილი. ქალაქში ხმა დადიოდა, ოცი წლის ასაკიდან ლოპე დე ვეგას დრამების სრული კრებულის თარგმანზე მუშაობსო. ერთხელ მართლაც მოყვარულთა სცენაზე შილერის „დონ კარლოსში“ დომინგო ეთამაშა. ეს მისი ცხოვრების მწვერვალი იყო. მაკლერის ბაგეს უწმაწური სიტყვა თავის დღეში არ დასცდენია და თვით საქმიანი საუბრისას ჩვეულებრივ გამოთქმებსაც კი კბილებში ისე გამოცრიდა, თითქოს უნდოდა ეთქვა:
ოჰ, შე არამზადა! შენს წინაპრებს საფლავშიც არ მოვასვენებო. ზოგ რამეში განსვენებული ჟან-ჟაკ ჰოფშტედეს მემკვიდრე და მიმდევარი გახლდათ. მხოლოდ უფრო პირქუში და პათეტიკური იყო და იმ გონებამახვილური სიხალისისა არაფერი ეცხო, რაც უფროს იოჰან ბუდენბროკის მეგობარს გასული საუკუნიდან გამოჰყოლოდა. ერთ დღეს გოშმა ბირჟაზე ერთბაშად ორ თუ სამ აქციაზე ექვს- ნახევარი ტალერი დაკარგა. ეს აქციები მას სასპეკულაციოდ ჰქონდა ნაყიდი. აქ კი ამოხეთქა მისმა დრამატულმა ნიჭმა და ბირჟაზე პირდაპირ წარმოდგენა გამართა. მერხზე ისეთი პოზით დაეშვა, თითქოს ვატერლოოს ბრძოლა წაეგოს, დამუშტული ხელი შუბლზე მიიყრდნო და ზეცისკენ თვალაპყრობილმა რამდენჯერმე გაიმეორა: „წყეულიმც იყოს!“ პატარა, უწყინარი, ნაღდი მოგება, ამა თუ იმ კარ-მიდამოს გაყიდვისას რომ რჩებოდა, მობეზრებული ჰქონდა. ეს ზარალი კი, ეს ტრაგიკული დარტყმა, როგორც ინტრიგანს ღმერთმა რომ მოუვლინა, მისთვის ტკბობა, ნამდვილი ბედნიერება გახლდათ. ამ ბედნიერებას გოში მთელი კვირების განმავლობაში ეწაფებოდა. როცა ეტყოდნენ: „ბატონო გოშ, გავიგე, უბედურება შეგმთხვევიათ და სულითა და გულით თანაგიგრძნობთ“, - გოში უპასუხებდა: „ო, ჩემო ძვირფასო მეგობარო! Uomo non educato dal dolore riman sempre bambino“.[58]

რა თქმა უნდა, ამ სიტყვებს ვერავინ იგებდა. იქნებ ეს ფრაზა ლოპე და ვეგას რომელიმე დრამიდან იყო? სიგიზმუნდ გოში დიდად განათლებული და უცნაური კაცი რომ გახლდათ, ეჭვი არავის ეპარებოდა.

- რა დროში ვცხოვრობთ?! - უთხრა მან კონსულ ბუდენბროკს. წელში მოხრილი მაკლერი ჯოხს დაეყრდნო და კონსულს გვერდში ამოუდგა, - ქარიშხლისა და მღელვარების პერიოდია!

- მართალი ბრძანდებით, - მიუგო კონსულმა, - დრო აირია. დღევანდელ სხდომას გულისყურით უნდა მოვეკიდოთ. წოდებრივი დაყოფის პრინციპი...

- არა, მომისმინეთ! - განაგრძო ბატონმა გოშმა, - მთელი დღე ქუჩაში გავატარე, მდაბიოთ ვაკვირდებოდი. დიდებულ ჭაბუკებს მოვკარი თვალი, სიძულვილისა და აღფრთოვანებისგან თვალები უელავდათ.

იოჰან ბუდენბროკს გაეცინა.

- თქვენგან არ მიკვირს, ჩემო მეგობარო! თქვენ, მგონი, მოგწონთ კიდეც ეს ამბავი. არა, ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ... ეს ყველაფერი ბავშვობანას თამაშია და მეტი არაფერი. რა უნდა ამ ხალხს? თავაშვებული ყმაწვილკაცების ბრბომ ოინბაზობის დრო იპოვა, ეს არის და ეს.

- რა თქმა უნდა! მაგრამ ვერც იმას უარყოფს კაცი, რომ... მე იქ გახლდით, ყასბის შეგირდმა ბერკემაიერმა ბატონი ბენთიენის ფანჯარა რომ ჩაამსხვრია... პირდაპირ ავაზასავით ბიჭია! - უკანასკნელი სიტყვა ბატონმა გოშმა კბილებში ძლივს გამოცრა
და შემდეგ განაგრძო, - ო, არა, ერთ რამეს ვერ უარყოფ, ამ საქმეს თავისი ამაღლებული მხარეცა აქვს! ბოლოს და ბოლოს ეს სულ სხვა რაღაცაა! იცით, ეს ყოველდღიური ამბავი როდია, ეს ძალაა, ქარიშხალია, სიშმაგე... ჭექა-ქუხილია... აჰ, ხალხი უბირია, ვიცი! მაგრამ ჩემი გული, ეს ჩემი გული მათთანაა...

ისინი უკვე მიადგნენ უბრალო, ყვითელი ზეთის საღებავით შეღებილ სახლს. ამ სახლის პირველი სართული ქალაქის საბჭოს სხდომათა დარბაზს ეკავა.

ლუდხანა და საცეკვაო სახლი, სადაც ეს დარბაზი იყო მოთავსებული, ვიღაც ქვრივს - ზუერკრინგელს ეკუთვნოდა, მაგრამ განსაზღვრულ დღეებში დარბაზი საბჭოს ჰქონდა დათმობილი. ვიწრო, ფილებით მოგებული დერეფნის მარჯვენა მხარეს რესტორნის სათავსოები იყო ჩარიგებული, იქ ყოველთვის ლუდისა და საჭმლის სუნი იდგა. ხელმარცხნივ მწვანედ შეღებილი ფიცრის კარი მოჩანდა. კარს არც საკეტი ჰქონდა და არც სახელური. კაცი ვერ იფიქრებდა, რომ ამ ვიწრო და დაბალ კარს იქით იმოდენა დარბაზი იქნებოდა. ცივი, ფარდულივით შიშველკედლებიანი დარბაზის თეთრად შელესილ ჭერზე თავხეები მოჩანდა, კედლებიც თეთრად შეეფეთქათ; სამი დიდი, უფარდო ფანჯრის ჩარჩო მწვანედ იყო შეღებილი, ფანჯრების პირდაპირ რიგები ამფითეატრივით მაღლდებოდა, მათ ძირში კი მწვანე მაუდგადაფარებული, დიდი ზარით, საქმეებითა და საწერი მოწყობილობებით დაჯორგილი მაგიდა იდგა. მაგიდასთან თავმჯდომარე, მდივანი და სენატის კომისრები სხდებოდნენ. კარის მოპირდაპირე კედელზე ჩარიგებული საკიდები პალტოებითა და ქუდებით იყო დახუნძლული.

კონსულსა და მის თანამგზავრს დარბაზი გუგუნით შეეგება. როგორც ჩანდა, ისინი ყველაზე ბოლოს მოვიდნენ. დარბაზი ბიურგერებით იყო გაჭედილი. ხელები ზოგს ჯიბეებში ჩაეწყო, ზოგს ზურგზე შემოედო, ზოგი კი გამალებით იქნევდა ჰაერში. ისინი ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და კამათობდნენ. საბჭოს ას ოცი წევრიდან დღეს ასი

თუ იქნებოდა მოსული. სასოფლო ოლქების ზოგიერთ დეპუტატს ქალაქში მომხდარი არეულობის გამო შინ დარჩენა ემჯობინებინა.

გასასვლელის ახლოს საშუალო ფენის რამდენიმე წარმომადგენელი იდგა: ორი თუ სამი უმნიშვნელო საქმის მფლობელი, გიმნაზიის მასწავლებელი, „ობლების მამობილი“ ბატონი მინდერმანი და ყველასთან გაშინაურებული დალაქი ბატონი ვენცელი. ბატონ ვენცელს, დაბალ, შავულვაშა, ჩასკვნილ, ინტელიგენტური გარეგნობის, წითელხელებიან კაცს, კონსული ამ დილით გაეპარსა, მაგრამ აქ, როგორც თანასწორი, ისე ედგა მხარში. ბატონი ვენცელი მხოლოდ მაღალი წრის ხალხს პარსავდა. იგი თითქმის ყველა მოლენდორფს, ლანგჰალსს, ბუდენბროკსა და ოვერდიკს ემსახურებოდა. ქალაქის საბჭოში არჩევას ბატონი ვენცელი თავის სიმარჯვესა და საზრიანობას, ქალაქის საქმეებში გათვითცნობიერებასა და, დალაქობის მიუხედავად, საკუთარი ღირსების შენარჩუნების უნარს უმადლოდა.

- ბატონო კონსულო, იცით ახალი ამბავი? - შესძახა მან და თავის მფარველს სერიოზული მზერა მიაპყრო.

- რა უნდა ვიცოდე, ჩემო ძვირფასო ვენცელ?

- დღეს დილით ეს ამბავი ძეხორციელმა არ იცოდა. ან როგორ ეცოდინებოდა? მაპატიეთ, ბატონო კონსულო, მაგრამ ეს უახლესი ცნობა გახლავთ! ხალხი რატჰაუსისა და ბაზრის მოედნისკენ კი არ მიდის, აქეთ მოემართება. თავისი რისხვა ქალაქის საბჭოს უნდა დაატეხოს თავს. ეს აზრი მათთვის რედაქტორ რიუბზამს ჩაუნერგავს.

- არა, შეუძლებელია! - თქვა კონსულმა.

მან დარბაზის შუაგულისკენ გაიკვლია გზა. იქ სენატორ დოქტორ ლანგჰალსსა და ჯეიმს მოლენდორფთან ერთად თავისი სიმამრი დაინახა.

- ნუთუ ეს მართალია, ბატონებო? - იკითხა მან და ყველას ხელი ჩამოართვა.

მთელი კრება მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდა. მეამბოხეები აქეთ მოემართებოდნენ, მათი ხმა უკვე ისმოდა.

- ნაძირალები! - თქვა ლებრეჰტ კროგერმა ცივად და ზიზღით.

მას ეკიპაჟი კართან ელოდა. მაღალი, წარმოსადეგი, ყოფილი á la mode kavalier წელში ცოტა მოხრილიყო, ოთხმოც წელს თავისი გაეტანა, მაგრამ დღეს წელში გამართული იდგა, თვალები ნახევრად მოეხუჭა, თეთრი ულვაშები მაღლა აეპრიხა, ხოლო ტუჩები მედიდურად და ზიზღით ჩამოეშვა. შავი ხავერდის ჟილეტზე ორი წყება პატიოსანი თვლების ღილი უციმციმებდა.

ამ ჯგუფის შორიახლოს კონსულმა ჰინრიჰ ჰაგენშტრომს მოჰკრა თვალი. ჩასკვნილი, ჩასუქებული მამაკაცი თავის კომპანიონ ბატონ შტრუნკთან იდგა. მას მოწითალო,

ჭაღარაშერეული ბაკენბარდები ჰქონდა, გაღეღილ ფრაკში ცისფერი, უჯრედებიანი ჟილეტი მოუჩანდა, მკერდზე მსხვილი ძეწკვი ეკიდა. ჰინრიჰ ჰაგენშტრომი კონსულს არც მისალმებია.

იქით ფართლეულის ვაჭარ ბენთიენს ხალხი შემოეკრიბა და თავისი ვიტრინის ჩამსხვრევის ამბავს დაწვრილებით ყვებოდა. გარეგნობაზე ეტყობოდა, შეძლებული კაცი იყო.

- აგურით, ბატონებო, ნახევარი აგურით!. ჭახ... და შიგნით შემოვარდნილი აგური მწვანე რიფსის თოფს დაეცა... ეგ ნაძირალები, ეგენი!.. არა, ეს უკვე სახელმწიფო საქმეა.

რომელიღაც კუთხეში გლოკენგისერშტრასელი ბატონ შტუტის ხმა მოისმოდა, მას შავი სერთუკი შალის ხალათზე გადაეცვა და ცხარედ კამათობდა, თან აღშფოთებული იმეორებდა, გაუგონარი თავხედობააო. თუმცა სხვა დროს ბოლო სიტყვას სწორად ვერ გამოთქვამდა ხოლმე.

იოჰან ბუდენბროკმა მთელ დარბაზს ჩამოუარა, აქეთ თავის ძველ მეგობარს ც. ფ. კოპენს მიესალმა, იქით ამ უკანასკნელის კონკურენტს კონსულ კისტენმაკერს დაუკრა თავი. დოქტორ გრაბოვს ხელი ჩამოართვა, ხოლო ბრანდმაიორ გიზეკეს, ხუროთმოძღვარ ფოიჰტს, თავმჯდომარე დოქტორ ლანგჰალსს, სენატორ
ლანგჰალსის ძმას, ვაჭრებს, მასწავლებლებსა და ვექილებს გამოელაპარაკა კიდეც.

სხდომა გახსნილი არ იყო, მაგრამ კამათი უკვე გაეჩაღებინათ. იმ ჯღაბნიას, იმ რედაქტორს, იმ რიუბზამს ყველა წყევლა-კრულვას უთვლიდა. თურმე ბრბო იმას შეუგულიანებია... და მერე რისთვის? განა დღეს იმისთვის არ შეიკრიბნენ, რომ დაედგინათ, ხალხის წარმომადგენლობაში წოდებრივი განსხვავების პრინციპი შეენარჩუნებინათ თუ საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლება გაეტარებინათ?! სენატმა ხომ უკვე მოიწონა ეს უკანასკნელი აზრი... ხალხს რაღა უნდოდა? ხალხს უნდოდა, ბატონებს ყელში სცემოდა, ეს იყო და ეს. ეშმაკმა დალახვროს, ასეთი შავი დღე ჯერ არ დასდგომიათ!

დეპუტატები სენატის კომისრებს შემოეხვივნენ, ყველას სურდა მათი აზრი გაეგო. კონსული ბუდენბროკიც წრეში მოიქციეს. წესით, მას უნდა სცოდნოდა გუბერნატორი ოვერდიკი ამ საქმეს როგორ უყურებდა. სენატორი დოქტორი ოვერდიკი კონსულ იუსტუს კროგერის ქვისლი იყო და ბუდენბროკებს მოყვრად
ერგებოდა. შარშან ოვერდიკი სენატის პრეზიდენტი გახდა. ამან ბუდენბროკების წონა საზოგადოების თვალში მეტად აამაღლა.

გარეთ გუგუნმა იმატა... რევოლუცია სხდომათა დარბაზის ფანჯრებს მოადგა! ერთბაშად მიჩუმდნენ აღელვებული მოკამათენი. შიშისგან ენაჩავარდნილებს ხელები მუცლებზე დაეწყოთ. თავზარდაცემულნი ხან ერთმანეთს მიაშტერდებოდნენ, ხან კი ფანჯრისკენ იხედებოდნენ, სადაც მაღლა აწეული

მუშტები მოჩანდა. ჰაერს თავაწყვეტილი, გიჟური და გამაყრუებელი ღრიალი აზანზარებდა. მერე სრულიად მოულოდნელად, თითქოს მოჯანყეებს თავისივე საქციელის შეეშინდათო, გარეთაც ისეთივე სიჩუმე ჩამოწვა, როგორც დარბაზში. ამ ღრმა სიჩუმეში, ქვედა რიგებში, სადაც ლებრეჰტ კროგერი იჯდა, გაისმა ცივად, აუჩქარებლად და ბეჯითად ნათქვამი სიტყვა:

- ნაძირალები!

მას რომელიღაც კუთხიდან ყრუ და აღშფოთებული ხმა გამოეპასუხა, გაუგონარი თავხედობააო.

შემდეგ ფართლეულის ვაჭარ ბენთიენის აჩქარებული, ათრთოლებული და საიდუმლოებით აღსავსე ხმა გაისმა:

- ბატონებო... ბატონებო... მომისმინეთ... მე ვიცნობ ამ სახლს... სხვენზე თუ ავალთ, ერდოდან... მეზობელი სახლის სახურავზე გადავცოცდებით და თავს ვუშველით...

- უღირსი სიმხდალეა! - კბილებში გამოცრა მაკლერმა გოშმა. ის გულხელდაკრეფილი და თავჩაღუნული იჯდა თავმჯდომარის მაგიდასთან და მუქარით სავსე თვალებს ფანჯარას არ აცილებდა.

- სიმხდალეა ხომ, ბატონო ჩემო? ღმერთმა დასწყევლოს... ხალხი აგურებს ისვრის! მეყო, რაც ვიწვნიე.

გარეთ ხმაური ისევ გაძლიერდა, მაგრამ თავდაპირველი სიძლიერისთვის არ მიუღწევია, მშვიდი, ღიღინივით განუწყვეტელი გუგუნი ისმოდა, თითქოს კმაყოფილი ბრბო ზუზუნებდა. შიგადაშიგ სტვენა და წამოძახილები გაერეოდა ხოლმე. შეიძლებოდა კარგად გაგერჩიათ: „პრინციპი“ და „მოქალაქეობრივი უფლებები!“ დეპუტატები ამ შეძახილებს მოწიწებით უსმენდნენ.

- ბატონებო, - ცოტა ხნის შემდეგ კრებას მიმართა თავმჯდომარემ დოქტორმა ლანგჰალსმა, - იმედი მაქვს, მხარს დამიჭერთ, რომ სხდომა გახსნილად გამოვაცხადო.

ეს იყო არაოფიციალური წინადადება, მაგრამ მისთვის მხარი არავის დაუჭერია.

- არა, ბატონო, ჩემი იმედი ნურავის გექნებათ, - თქვა ვიღაცამ მოურიდებლად და მტკიცედ.

ეს იყო გლეხური გარეგნობის კაცი, გვარად პფალი, სოფელ კლაინ-შრეტსტაკენის დეპუტატი რიტცერაუერის სასოფლო ოლქიდან. მანამდე, არც ერთ სხდომაზე, მისი ხმა არავის გაეგონა, მაგრამ ამ დაძაბულ წუთებში ყველაზე უმნიშვნელო პიროვნების აზრსაც დიდი ფასი ჰქონდა. ბატონ პფალს თითქოს პოლიტიკურმა ალღომ უკარნახა და უშიშრად გამოთქვა იქ შეკრებილი დეპუტატების აზრი.

- ღმერთო დიდებულო, შენ დაგვიფარე! - თქვა ბატონმა ბენთიენმა აღშფოთებით, - კაცი თუ ზედა რიგებში ზიხარ, ქუჩიდან მოჩანხარ! ხალხი აგურებს ისვრის! არა, ღმერთმა დასწყევლოს, მეყოფა, რაც ვიწვნიე.

- ეს დაწყევლილი კარიც რა ვიწროა! - სასოწარკვეთით წამოიძახა ღვინის ვაჭარმა კოპენმა, - გაქცევა რომ დაგვჭირდეს, ერთმანეთს გავსრესთ!

- გაუგონარი თავხედობაა, - ყრუდ ჩაილაპარაკა ბატონმა შტუტმა.

- ბატონებო, - ხელახლა დაჟინებით დაიწყო თავმჯდომარემ, - გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ, რომ სამ დღეში გუბერნატორს დღევანდელი სხდომის ოქმი გამზადებული უნდა წარვუდგინო. გარდა ამისა, ქალაქიც ელოდება ოქმის გამოქვეყნებას. კენჭი ვყაროთ, სხდომა გავხსნათ თუ არა.

რამდენიმე ბიურგერის გარდა სხდომის გახსნას მხარი არავინ დაუჭირა. კენჭისყრასაც აზრი არ ჰქონდა. ახლა ხალხის გაღიზიანება არ ღირდა, ვინ იცის, გულში რა ედო. რაიმე გადაწყვეტილება რომ მიეღოთ, იქნებ ხალხის საწინააღმდეგო გამომდგარიყო. ჯობდა, დაეცადათ და მშვიდად ყოფილიყვნენ. მარიენკირხეზე საათმა ხუთის ნახევარი ჩამოჰკრა.

ყველანი ცდილობდნენ, ერთმანეთი შეეგულიანებინათ, ჯობია, მოვიცადოთო. ხმაურს უკვე შეაჩვიეს ყური. გუგუნი გარეთ ხან მატულობდა, ხან იკლებდა, ხან სულაც მიწყნარდებოდა და მერე ისევ იწყებოდა. დეპუტატები შედარებით დამშვიდდნენ, მოხერხებულად მოეწყვნენ, ზოგიერთმა ზედა რიგებიდან ქვევით ჩამოინაცვლა. ბეჯითი ბიურგერების არსებაში საქმიანმა განწყობილებამ გაიღვიძა.
აქა-იქ უკვე დაიწყეს საქმეებზე ლაპარაკი და ზოგან ერთმანეთს გაურიგდნენ კიდეც. მაკლერები ბითუმად მოვაჭრეებს მიუჩოჩდნენ. დარბაზში გამომწყვდეული ბატონები ჭექა-ქუხილში მოხვედრილ ადამიანებს ჰგავდნენ. საქმეებსა და სხვადასხვა ამბავზე კი საუბრობდნენ, მაგრამ დროდადრო, მოწიწებით, ჭექა-ქუხილსაც მიუგდებდნენ ხოლმე ყურს.

გახდა ხუთი საათი, ექვსის ნახევარი, ბინდი ჩამოწვა. აქა-იქ ვინმე თუ ამოიოხრებდა, ცოლი ყავაზე მელოდებაო, ამის გაგონებაზე ბატონი ბენთიენი ისევ ერდოს ახსენებდა ხოლმე, მაგრამ უმრავლესობა ბატონი შტუტის აზრისა იყო. ის ფატალურად იქნევდა თავს და ამბობდა, არა, მე ამ საქმისთვის მეტისმეტად სქელი გახლავართო.

იოჰან ბუდენბროკი მეუღლის გაფრთხილებას არ ივიწყებდა და სიმამრს არ შორდებოდა:

- მამა, ეს პატარა შემთხვევა გულთან ახლოს ხომ არ მიგიტანიათ?

ლებრეჰტ კროგერს თოვლივით ქათქათა ქოჩორს ქვემოთ შუბლზე წყვილი ცისფერი ძარღვი შემაშფოთებლად ამობურცვოდა, ბებრულ, არისტოკრატულ ხელს ჟილეტის

ოპალისფერ ღილებზე ათამაშებდა, მსხვილი ბრილიანტით შემკული, მუხლზე ჩამოდებული მეორე ხელი კი ოდნავ უცახცახებდა.

- სალაპარაკოდაც არ ღირს, ბუდენბროკ! - უჩვეულოდ დაღლილი ხმით ამოთქვა მოხუცმა, - მომეწყინა მხოლოდ, ესაა და ეს, - მაგრამ ტყუილში მაშინვე გამოტყდა, - Parbleu[59], ჟან! ამ გათავხედებულ ბინძურ ხალხს ტყვია-წამლით ბოლი უნდა ადინო და ისე ასწავლო ჭკუა. ეს ნაძირალები, ესენი! ეს ვიგინდარები!..

კონსულმა დამაშოშმინებლად ჩაიდუდუნა:

- დიახ... დიახ... მართალი ბრძანდებით, ეს საკმაოდ უღირსი კომედია გახლავთ, მაგრამ რას იზამ? არაფერი არ უნდა შეიმჩნიოთ. ღამდება, ალბათ, ახლა დაიშლებიან...

- ჩემი კარეტა სად არის?.. მომგვარონ ჩემი კარეტა! - ბრძანა მოთმინებიდან გამოსულმა ლებრეჰტ კროგერმა. მოხუცმა იფეთქა და მთელი ტანით აკანკალდა, - კარეტა ხუთი საათისთვის დავიბარე!.. თავს არავის გავასულელებინებ!.. მე ჩემი კარეტა მინდა! იქნებ ჩემს მეეტლეს თავს დაესხნენ? გამიგეთ, ბუდენბროკ!

- ბატონო მამა, ღვთის გულისათვის, დამშვიდდით! ნერვებს ნუ იშლით. თქვენ ეს გავნებთ! კარეტის დასახედად, რა თქმა უნდა, წავალ. ასე ყოფნა მეც მომბეზრდა. ხალხს მოველაპარაკები, მოვუწოდებ სახლში წავიდ-წამოვიდნენ.

ლებრეჰტ კროგერმა პროტესტის ნიშნად სიძეს ცივად, ზიზღით უბრძანა:

- შეჩერდით, ფეხი არ მოიცვალოთ, ტყუილად თავი არ დაიმცირეთ!

კონსულმა თავისი არ დაიშალა. ზედ პატარა, მწვანე კართან სიგიზმუნდ გოშმა შეაჩერა, გამხდარი ხელი მკლავში ჩასჭიდა და საშინელი ხმით წასჩურჩულა:

- საით, ბატონო კონსულო?

მაკლერს სახეზე ღრმა ნაოჭები დამჩნეოდა. მტკიცე გადაწყვეტილების ნიშნად წვეტიანი ნიკაპი თითქმის ცხვირამდე აეზიდა, ჭაღარა თმა საფეთქლებსა და შუბლზე ჩამოშლოდა, თავი მხრებში ისე ღრმად ჩაერგო, მართლა კუზიანს ჰგავდა.

გოშმა წამოიძახა:

- მზად ვარ, ხალხს მე ველაპარაკო!

კონსულმა უთხრა:

- ჯობია, ეგ საქმე მე დამანებოთ, გოშ, ხალხში მე უფრო მეტი ნაცნობი აღმომაჩნდება.

- დე, ასე იყოს! - ძლივს გასაგონად უპასუხა მაკლერმა, - თქვენ ჩემზე დიდი კაცი ბრძანდებით, - მერე ხმას აუწია და განაგრძო, - მაშინ მეც თან გამოგყვებით, კონსულო ბუდენბროკ! დაე, აწყვეტილი მონების რისხვამ გამანადგუროს.

- ღმერთო, რა დღე დაგვიდგა! - თქვა მან, როცა გარეთ გავიდნენ. ასე ბედნიერად, მგონი, არასდროს უგრძნია თავი, - აჰა, ბატონო კონსულო! ხალხი აქ გახლავთ!

დერეფანი გაიარეს და პარმაღზე გავიდნენ. ისინი ზემო, მესამე საფეხურზე შეჩერდნენ. კიბის შემდეგ უკვე ტროტუარი იწყებოდა. ქუჩა უცნაურად გამოიყურებოდა, ირგვლივ თითქოს ყველაფერი ჩამკვდარიყო. საბჭოს გასწვრივ ჩარიგებული სახლების ღია, უკვე განათებულ ფანჯრებში ცნობისმოყვარეებს გადმოეყოთ თავები. ისინი მეამბოხეების შავად მოზიმზიმე ბრბოს უჭვრეტდნენ. ბრბო რაოდენობით დარბაზში შეკრებილებზე მეტი არ იქნებოდა. იგი ნავსადგურისა და საწყობის მუშების, მსახურების, სახალხო სკოლის მოსწავლეების, სავაჭრო გემების რამდენიმე მეზღვაურისა და ქალაქის მივარდნილი კუთხეების - ყოველგვარი ჩიხების, შუკების, მისახვევ-მოსახვევებისა და ეზოების ბინადართაგან შედგებოდა. მათში სამი თუ ოთხი ქალიც ერია. ისინი, ალბათ, ბუდენბროკების მზარეულივით ამ არეულობიდან რაღაც ხეირს გამოელოდნენ. ზოგიერთი შფოთისთავი დგომით დაღლილიყო, ფეხები პირდაპირ არხში ჩაეკიდა და ტროტუარზე ჩამომჯდარი ილუკმებოდა.

სადაც იყო ექვსი შესრულდებოდა და თუმცა უკვე საკმაოდ ბნელოდა, ქუჩაზე გაბმულ ჯაჭვებზე დაკიდებული ზეთის ფარნები არ ენთო. ამ ფაქტმა, წესრიგის ამ აშკარა და გაუგონარმა დარღვევამ, კონსული ბუდენბროკი მოთმინებიდან გამოიყვანა და ამიტომ იყო, რომ ლაპარაკი მკვახედ დაიწყო:

- ხალხნო, ეს რა სულელურ საქმეებს სჩადიხართ?!

ტროტუარზე მსხდომნი ფიცხლად წამოხტნენ. ქვაფენილის იქით მდგარნი თითის წვერებზე წამოიწივნენ. კონსულის სამსახურში მდგომმა ნავსადგურის რამდენიმე მუშამ მას ქუდი მოუხადა. ხალხი გაფაციცდა, ატორტმანდა და ყრუდ დაიგუგუნა:

- ეს ხომ კონსული ბუდენბროკია! კონსულ ბუდენბროკს სიტყვის თქმა უნდა! მოკეტე, კრიშან, ვაი შენს ტყავს, თუ გაგიბრაზდა! ეჰე, მაკლერ გოშს უყურეთ... ერთი შეხედე, მაიმუნს არ უგავს სიფათი!.. ცოტას აფრენს კიდეც, არა?

- კორლ სმოლტ, - ხელახლა წამოიწყო კონსულმა და წვრილი, ღრმად ჩამჯდარი თვალები ოციოდე წლის ფეხებდაგრეხილ მტვირთავს მიაპყრო. მტვირთავს ქუდი ხელში ეჭირა და პურს მადიანად ილუკმებოდა, - აბა, ილაპარაკე, კორლ სმოლტ! ნაშუადღევს აქეთ ღრიალებ, ახლა ამოშაქრე, რა გინდა.

- კი, ბატონო კუნსელო, თქვენ კი ამბობთ ასე, მაგრამ აბა ერთი ჩვენც გვკითხეთ! ყველაფერი ყელში ამოგვივიდა... რაღაც-რაღაცები ჭკუაში აღარ გვიჯდება... სხვა წესსა და რიგს ვთხოულობთ... ახლანდელი წესი და რიგი არაფრად გვეპიტნავება.

- ყური მიგდე, სმოლტ, და თქვენც, დანარჩენებო! ვისაც ჭკუა უდევს თავში, შინ წავა, რევოლუციაში ცხვირს არ ჩაყოფს და წესრიგს არ დაარღვევს.

- წმიდათაწმიდა წესრიგს! - სისინით შეაწყვეტინა მას ბატონმა გოშმა.

- გონს მოდით, წესრიგს ნუ არღვევთ, მე თქვენ გეუბნებით! - ბრძანა კონსულმა ბუდენბროკმა, - ხედავთ, ფარნებიც არ აუნთიათ... თქვენმა რევოლუციამ შორს შეტოპა!

კორლ სმოლტმა, როგორც იქნა, გადაყლაპა ლუკმა, ბრბოს ზურგი შეაქცია, ფეხები გალაჯა და თავისი მოსაზრებები გადმოალაგა:

- ეჰ, ბატონო კუნსელო, თქვენ რა გენაღვლებათ! ჩვენ არჩევნებში საერთო პრინციპისთვის ვიბრძვით.

- ღმერთო დიდებულო, შე ყეყეჩო! - დაუყვირა კონსულმა და აღელვებისგან დაავიწყდა, რომ აჯანყებულებთან მდაბიურად უნდა ელაპარაკა, - შენ ხომ სისულელეს ამბობ!

- ეჰ, ბატონო კუნსელო, - თქვა, ცოტა არ იყოს, შეცბუნებულმა კორლ სმოლტმა, - ეგრე იყოს, მაგრამ ჩვენ რევოლუცია გვინდა, ამას წყალი არ გაუვა. რევოლუცია ყველგან არის, ბერლინშიც და პარიზშიც.

- სმოლტ, რა გინდათ ბოლოს და ბოლოს?! ამოღერღეთ ბარემ!

- ეჰ, ბატონო კუნსელო, ხომ გითხარით, რესპუბლიკა გვინდა-მეთქი.

- შე ბრიყვო... მერედა, ჩვენ რესპუბლიკა არა გვაქვს თუ რა!

- ეჰ, ბატონო კუნსელო, მაშინ ჩვენ სხვანაირი რესპუბლიკა გვინდა.

საქმეში ცოტა უკეთ ჩახედულებმა გულიანად გაიცინეს და თუმცა კორლ სმოლტის პასუხი ბევრს არ გაუგონია, მხიარულებამ ხალხში სწრაფად გადაირბინა, რესპუბლიკელები გულღიად და გულიანად ახარხარდნენ. ქალაქის საბჭოს დარბაზის ფანჯრებში რამდენიმე ცნობისმოყვარე ბატონი გადმოდგა, მათ ხელში ლუდის კათხები ეჭირათ. ერთადერთი, ვინც საქმის ასე შეტრიალებით იმედგაცრუებული და გულნატკენი დარჩა, სიგიზმუნდ გოში გახლდათ.

- ხალხნო, - თქვა ბოლოს კონსულმა ბუდენბროკმა, - ახლა ყველაფერს აჯობებს სახლებში წავიდეთ!

კონსულთან ლაპარაკით რეტდასხმული კორლ სმოლტი საცოდავად ალუღლუღდა:

- ეჰ, ბატონო კუნსელო, ეგრე იყოს, საქმეს თავისი ეშველება, მეც მიხარია, კუნსელს რომ ჩემგან არაფერი სწყინს, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო კუნსელო.

ჩინებულ გუნებაზე დამდგარმა ბრბომ დაშლა დაიწყო.

- სმოლტ, მოიცა! - დაუძახა კონსულმა, - ერთი მითხარი, კროგერების კარეტისთვის ხომ არ მოგიკრავს თვალი?

- როგორ არა, ბატონო კუნსელო! თქვენი სახლისკენ წავიდა. იქ გელოდებათ.

- კარგი! ერთი გაიქეც, სმოლტ, და იოჰანს უთხარი, აქეთ წამოვიდეს. მის ბატონს შინ წასვლა ნებავს.

- ახლავე, ბატონო კუნსელო! - სმოლტმა ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და ქუჩაზე თავქვე გაძუნძულდა.

მეოთხე თავი

როცა კონსული ბუდენბროკი სიგიზმუნდ გოშთან ერთად კრებას დაუბრუნდა, დარბაზი გახალისებული დახვდა. თავმჯდომარის მაგიდაზე ორი დიდი პარაფინის ლამპა აენთოთ. ლამპის ყვითელი შუქით განათებულ დარბაზში ზოგი იჯდა, ზოგი ფეხზე იდგა, ლუდს ლაპლაპა კათხებში ისხამდნენ, ერთმანეთს უჭახუნებდნენ და ჩინებულ გუნებაზე დამდგარნი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ზუერკრინგელის ქვრივი ფრაუ ზუერკრინგელიც აქ იყო. თავის დამწყვდეულ სტუმრებზე ზრუნავდა, ყველას ენაწყლიანად არწმუნებდა, ვინ იცის, აქ ყოფნა სანამდე მოგიწევთ და ცოტა მომაგრება
არ გაწყენთო. ფრაუ ზუერკრინგელმა ამ არეულობითაც მოითბო ხელი: თავისი ღია ფერის და საკმაოდ მაგარი ლუდი ბლომად გაასაღა. ახლაც, როცა შუაკაცები დარბაზში დაბრუნდნენ, მკლავებდაკარწახებულ, სახეგაბადრულ მსახურს ბოთლების ახალი წყება შემოჰქონდა. თუმცა უკვე დაღამებულიყო და კონსტიტუციის განხილვის თავი აღარავის ჰქონდა, დაშლასა და შინ წასვლაზე მაინც არავინ ფიქრობდა. ყავა ვიღას ახსოვდა!

კონსულმა ბევრ მომლოცველს ჩამოართვა ხელი და დაუყოვნებლივ სიმამრს მიაშურა. ლებრეჰტ კროგერი, მგონი, ერთადერთი კაცი გახლდათ, რომელსაც გუნება არ გამოჰკეთებია. მაღალი მოხუცი ცივად და მედიდურად იჯდა თავის ადგილზე. როცა შეიტყო, კარეტა ამ წუთში აქ გაჩნდებაო, დამცინავად იკითხა:

- მაშ, მდაბიოებმა ინებეს ჩემი შინ გაშვება? - მოხუცს უფრო სიმწრისგან უთრთოდა ხმა, ვიდრე სიბერისგან.

ლებრეჰტ კროგერმა უგერგილოდ მოიგდო მხრებზე ქურქი. როგორ არ ჰგავდა ეს მის ჩვეულ ელეგანტურ ჟესტებს! კონსულმა შესთავაზა, გაგაცილებთო. მან უგულოდ უპასუხა merci-ო და სიძეს ხელი გაუყარა.

დიდებული, ფარნებიანი კარეტა კართან ელოდათ. ქუჩაში, კონსულის გულის გასახარად, ფარნებს ანთებდნენ. სიძე და სიმამრი კარეტაში ჩასხდნენ. ლებრეჰტ კროგერი კონსულის ხელმარჯვნივ იჯდა. წელში გამართულ მოხუცს თვალები ნახევრად მოეხუჭა და ხმას არ იღებდა. საზურგეს არც ეყრდნობოდა, მუხლებზე სათბური მოეხვია. ულვაშების მოკლე წკვეტების ქვეშ, შეტეხილი ტუჩის კუთხეებიდან ორი სწორი ნაოჭი ნიკაპამდე ეშვებოდა. განცდილი დამცირებისგან მოგვრილი ბრაზი გულს უღრღნიდა. ჩამქრალი და ცივი თვალებით მოპირდაპირე მერხს მისჩერებოდა. ქუჩებში კვირა საღამოებზე მეტი სიცხოველე სუფევდა. ყველგან საზეიმო განწყობილება იგრძნობოდა. რევოლუციის ბედნიერი მსვლელობით აღტაცებული ხალხი გულარხეინად დაყიალებდა. ზოგან მღეროდნენ კიდეც. კარეტა რომ გამოჩნდებოდა, ბიჭები „ვაშას“ მისძახოდნენ და ქუდებს ჰაერში ისროდნენ.

- მე ნამდვილად მგონია, რომ თქვენ ეს საქმე გულთან ახლოს მიგაქვთ, მამა, - თქვა კონსულმა, - კაცი რომ დაუფიქრდეს, რამოდენა მასხარაობა იყო ყველაფერი. ეს იყო ფარსი და მეტი არაფერი, - კონსულს უნდოდა მოხუცისთვის რამე დაეცდენინებინა და რევოლუციაზე ხალისიანად დაიწყო ლაპარაკი:

- უქონელთა მასას რომ ესმოდეს, ამ დროს თავის საქმეს როგორ იფუჭებს... ღმერთო, ყველგან ასე გახლავთ! დღეს, ნაშუადღევს, მაკლერ გოშთან მომიხდა საუბარი, ამ უცნაურ კაცთან, რომელიც ყველაფერს პოეტისა და დრამატურგის თვალით უყურებს. ხედავთ, მამაჩემო, ბერლინში რევოლუცია ესთეტების ჩაის სუფრასთან მზადდებოდა. შემდეგ მათი იდეები ხალხმა აიტაცა და ბრძოლით მოინდომა თავისი გაეტანა. საკუთარ ტყავსაც კი აღარ უფრთხილდებიან... ვითომ ეს საქმე მათ სასიკეთოდ დამთავრდება?!

- კარგი იქნებოდა, თქვენს მხარეს სარკმელი გაგეღოთ, - თქვა ბატონმა კროგერმა.

იოჰან ბუდენბროკმა სიმამრს სწრაფად შეავლო თვალი და ფანჯრის მინა ჩასწია.

- შეუძლოდ ხომ არ ბრძანდებით, ძვირფასო მამა? - შეწუხებული შეეკითხა იგი.

- არა, სულაც არა, - მკაცრად უპასუხა ლებრეჰტ კროგერმა.

- თქვენ წახემსება და მოსვენება გჭირდებათ, - თქვა კონსულმა. თითქოს რაღაცის გაკეთება უნდოდა და სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, სიმამრს ბეწვის სათბური მუხლებზე მჭიდროდ შემოუკეცა.

ეკიპაჟი ბურგშტრასეზე მიქროდა. უცებ მოხდა საშინელი რამ: ბუნდოვნად გამოკვეთილ ქალაქის ჭიშკრამდე თხუთმეტი ნაბიჯი თუღა იქნებოდა. ის იყო, ქუჩის ბიჭების ახმაურებულ და გამხიარულებულ ბრბოს ჩაუარეს, რომ ღია სარკმელში

უცებ ქვა შემოვარდა. ეს სავსებით უვნებელი ფრინველის კვერცხისოდენა კენჭი იყო. რევოლუციის ხათრით ვინმე კრიშან სნუტმა ან ჰაინე ვოსმა თუ ისროლა, სავსებით უბოროტოდ და შეიძლება კარეტისთვის დაუმიზნებლადაც კი. კენჭი სარკმელში უხმაუროდ შემოვარდა. ასევე უხმაუროდ მოხვდა ლებრეჰტ კროგერს სქელი ბეწვით დაფარულ მკერდზე, უხმაუროდ ჩამოგორდა ბეწვის სათბურზე და ძირს დაეცა.

- რა ბრიყვული ანცობაა! - თქვა აღშფოთებულმა კონსულმა, - დღეს, ეტყობა, მართლა შეიშალნენ ჭკუიდან. ხომ არაფერი დაგშავებიათ, მამა?

მოხუცი კროგერი დუმდა, საშინლად დუმდა. კარეტაში ისე ბნელოდა, მისი სახის გამომეტყველების გარჩევა შეუძლებელი იყო. მოხუცი წინანდელზე უფრო წელგამართული და გაშეშებული იჯდა, საზურგეს კვლავ არ ეყრდნობოდა. შემდეგ ხმადაბლა, ძალზე ნელა, ცივად და მძიმედ ამოთქვა ერთადერთი სიტყვა:

- ნაძირალები!

უფრო მეტად არ გავაღიზიანოო, შეეშინდა კონსულს და არაფერი უპასუხია. კარეტამ ჭიშკარი გრუხუნით გაიარა და სამ წუთში კროგერის მამულზე შემოვლებულ, წვერებმოოქრულ მესერთან გაჩნდა. ბაღის ჭიშკრის ორივე მხარეზე მოოქრული ბუნიკით შემკული ორი ფარანი ჩახჩახებდა. იქიდან ტერასამდე წაბლის ხეივანი იყო გაჭიმული. კონსულმა თავის სიმამრს შეხედა და შეძრწუნდა: მოხუცს სახე გაჰყვითლებოდა და დანაოჭებოდა. ცივი, მტკიცე და ზიზღით სავსე გამომეტყველება, რომელიც პირზე აქამდე შერჩენოდა, სუსტ, მოღრეცილ, მოშვებულ და უაზრო ბებრულ ღიმილს დაემახინჯებინა.

კარეტა ტერასასთან შეჩერდა.

- მომეშველეთ, - თქვა ლებრეჰტ კროგერმა, თუმცა კონსული უკვე ჩამომხტარიყო, ბეწვის სათბური გადაეწია და სიმამრს მკლავსა და მხარს საყრდენად სთავაზობდა. მან მოხუცი ხრეშმოყრილი ბილიკით ნელა მიიყვანა თეთრად მოკიაფე კიბემდე, რომელიც სასადილო დარბაზისკენ მიდიოდა. კიბის საფეხურთან მოხუცს მუხლმა უმტყუნა. თავი ისე მძიმედ დაუვარდა მკერდზე, რომ ჩამოშვებულმა ქვედა ყბამ ზედა ყბასთან დარტყმისას წკაპუნი მოადინა. მოხუცმა თვალები გადაატრიალა. ლებრეჰტ კროგერი, á la mode kavalier, ამქვეყნად აღარ იყო.

მეხუთე თავი

წლისა და ორი თვის შემდეგ, 1850 წლის იანვრის ერთ მოღრუბლულ, თოვლიან დილას, ბატონი და ქალბატონი გრიუნლიჰები თავის სამი წლის გოგონასთან ერთად

ღია ფერის ხით მოპირკეთებულ სასადილო ოთახში ოცდახუთმარკიან სკამებზე ისხდნენ და პირველ საუზმეს შეექცეოდნენ.

ფანჯრის მინები ისე იყო დაბურული, კაცს გაუმჭვირვალე ეგონებოდა. ფანჯრის გადაღმა გაძარცული ხეები და ბუჩქები ბუნდოვნად ილანდებოდა. მწვანედ მომინანქრებული დაბალი ღუმელი კუთხეში იდგა, სათამაშო ოთახში გამავალი ღია კარის გვერდით, საიდანაც მცენარეები მოჩანდა. ღუმელში ცეცხლი გუზგუზებდა და ოთახს ნაზი, ოდნავ კვამლშერეული სითბოთი ავსებდა. მოპირდაპირე მხარეს, ნახევრად მოხურულ მწვანე მაუდის პორტიერებში ყავისფერი აბრეშუმით დამშვენებული სალონი და მაღალი მინის კარი მოჩანდა, კარის ჭუჭრუტანები ბამბით ამოეჩურთათ. კარს იქით პატარა ტერასა რძისფერ, გაუმჭვირვალ ნისლში იკარგებოდა. მესამე კარი დერეფანში გადიოდა.

მრგვალ მაგიდაზე გადაფარებულ თოვლივით ქათქათა ნაქსოვ ქამხას მწვანე ძაფით ამოქარგული ფიანდაზი გასდევდა, ზედ ოქროს არშიიანი გამჭვირვალე ფაიფური სადაფივით ელვარებდა. სამოვარი შიშინებდა. ვერცხლის თხელ სინზე, რომელსაც დიდი, დაკბილული, ოდნავ ჩაზნექილი ფოთლის ფორმა ჰქონდა, მთელი და დაჭრილი ფუნთუშები ელაგა. ბროლის ერთ ხუფს ქვეშ კარაქის პატარა ბურთულები დაეხვავებინათ, მეორიდან კი ნაირ-ნაირი ყველის მარმარილოსავით დაძარღვული ყვითელი, მწვანე და თეთრი ნაჭრები მოჩანდა. სუფრას არც წითელი ღვინო აკლდა. ღვინით სავსე ბოთლი ოჯახის უფროსის წინ ჩამოედგათ. ბატონი გრიუნლიჰი ყოველთვის ცხელ საუზმეს მიირთმევდა.

ბატონ გრიუნლიჰს სახე დილით განსაკუთრებით უღვიოდა ვარდისფრად. ბაკენბარდები გულმოდგინედ დაევარცხნა. სალონისკენ ზურგშექცეული იჯდა. ის უკვე ჩაცმული იყო, შავი სერთუკი და ღია ფერის უჯრედებიანი შარვალი ეცვა. ბატონი გრიუნლიჰი ინგლისურ ყაიდაზე ნახევრად შემწვარ ბიფშტექსს მიირთმევდა.

ფრაუ გრიუნლიჰს ნახევრად უმი ბიფშტექსი ფრიად კეთილშობილურ საუზმედ მიაჩნდა, მაგრამ თვითონ იმდენად ეზიზღებოდა, რომ არასდროს აზრადაც არ მოსვლია, თავისი ჩვეულებრივი საუზმე - თოხლო კვერცხი და პური - მასზე გაეცვალა.

ტონის პენუარი ეცვა - პენუარებისთვის ჭკუას კარგავდა. ელეგანტურ ნეგლიჟეს განა რამე შეედრებოდა?! მშობლების სახლში ტონი ასეთ კაბებზე მხოლოდ თუ იოცნებებდა. ახლა კი გათხოვილ ქალს უფლება ჰქონდა, ეს სიამოვნება არ მოეკლო. ტონის სამი ხელი ჰქონდა ასეთი ფუმფულა და ნაზი მოსასხამი. ამ მოსასხამებში გაცილებით მეტი გემოვნება და დახვეწილი ფანტაზია შეგეძლოთ ჩაგექსოვათ, ვიდრე რომელიმე საბალო ტუალეტში. დღეს ტონის შინდისფერი დილის ხალათი ეცვა, ხალათის ფერი ოთახის შპალერების ტონს ეხამებოდა. ფართო ყვავილებით მოჩითული, მუშკივით რბილი ქსოვილი იმავე ფერის წვრილი მძივებით იყო

მოქარგული. შესაკრავიდან ქობამდე ხალათს წითელი ხავერდის ლენტები ჩაუყვებოდა.

ტონის ხშირი, ფერფლისფერი თმა იმავე ფერის ხავერდის ბაფთით აეკრიფა და შუბლზე კულულებად ჩამოეშალა. თუმცა ფრაუ გრიუნლიჰის სილამაზეს უკვე მწვერვალისთვის მიეღწია - რასაც თვითონაც მშვენივრად გრძნობდა - მის ოდნავ აბზეკილ ზედა ტუჩს მაინც შერჩენოდა ძველებური, ბავშვური, გულუბრყვილო და თამამი გამომეტყველება. მოცისფრო-მონაცრისფრო თვალების ქუთუთოები ცივი წყლისგან დასწითლებოდა. თეთრი, ოდნავ მოკლე, მაგრამ ნატიფი, ბუდენბროკისეული ხელების სუსტ მაჯებს სახელოების ხავერდის არშია რბილად შემოჰკვროდა. ტონი დანის, კოვზისა და ფინჯნის აღებისას დღეს, რაღაც მიზეზის გამო, ხელებს ოდნავ მოწყვეტით და აჩქარებით ამოძრავებდა.

ტონის გვერდით, კოშკივით აკოკოლავებულ სკამზე, ერიკა იჯდა. მას ღია ცისფერი, მსხვილი ძაფით უფორმოდ მოქსოვილი კაბა ეცვა. ქერაკულულებიან, ნაპატივებ ბავშვს ორივე ხელი დიდი ფინჯნისთვის შემოევლო, სახე შიგ ჩაემალა და რძეს ხვნეშით ყლურწავდა.

ფრაუ გრიუნლიჰმა დარეკა და დერეფნიდან მოახლე გოგო თინკა შემოვიდა. მას ბავშვი „კოშკიდან“ უნდა ამოეყვანა, სკამი კი ზევით, საბავშვო ოთახში აეტანა.

- ნახევარი საათით შეგიძლია ბავშვი სასეირნოდ წაიყვანო, თინკა, - უთხრა ტონიმ, - მეტი არაა საჭირო. თბილი ჟაკეტი ჩააცვი, გესმის?.. ნისლიანი დღეა.

ტონი მეუღლესთან მარტო დარჩა.

- პირდაპირ სასაცილო ხარ, - თქვა ტონიმ ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ. როგორც ეტყობოდა, შეწყვეტილ საუბარს აგრძელებდა, - აბა, რა საფუძველი გაქვს? თქვი რამე, თუ შეგიძლია! მთელი დღე ბავშვს ხომ ვერა ვდევ კუდში?

- შენ ცუდი დედა ხარ, ანტონია!

- ცუდი დედა ვარ!.. ცუდი! დრო აღარ მყოფნის, დიასახლისობას ვერ ვუთავდები. დილით თვალს გავახელ თუ არა, ფიქრი მკლავს - ერთი ოცი საქმე მაინც მელოდება, დავიძინებ და... ფიქრი ძილშიაც არ მასვენებს - ორმოცი საქმე ისევ მრჩება გასაკეთებელი.

- ორი გოგო გყავს. შენ თვითონ ასეთი ახალგაზრდა ქალი ხარ...

- კარგი ერთი, ორი გოგო! თინკამ უნდა რეცხოს, ტანსაცმელი გაწმინდოს, დაალაგოს, მოგვემსახუროს. მზარეულ ქალს კი საქმე თავზე საყარად აქვს. შენ დილიდანვე ბიფშტექსს მიირთმევ... აბა, დაფიქრდი, გრიუნლიჰ, ადრე თუ გვიან ერიკასაც დასჭირდება აღმზრდელი ქალი.

- ჩვენ იმის საშუალება არა გვაქვს, ერიკას ახლავე დავაყენოთ თავზე გადია.

- საშუალება არა გვაქვს! ოჰ, ღმერთო, რა სასაცილო ხარ! მათხოვრები ხომ არა ვართ? განა ისე გვიჭირს, რომ აუცილებელი რამ მოვიკლოთ? თუ არ ვცდები, მე კარგი ოთხმოცი ათასი მოგიტანე მზითევში...

- ოჰ, ეს შენი ოთხმოცი ათასი!

- დიახ!.. აგდებულად მოსახსენიებელი არ გახლავს ამდენი ფული, თუმცა... შენ ხომ მზითევი არ გაინტერესებდა... სიყვარულით შემირთე... კარგი, მაგრამ გიყვარვარ კი? შენ ჩემს სამართლიან მოთხოვნებს არაფრად აგდებ. ბავშვს მომვლელი არ უნდა ჰყავდეს? კარეტა, როგორც პური არსობისა, ისე გვჭირდება, შენ კი ამაზე კრინტსაც არა ძრავ. მერედა რატომ გვაცხოვრებ ქალაქგარეთ, თუ იმის საშუალება არა გვაქვს, რომ საზოგადოებაში გასასვლელად კარეტა ვიყოლიოთ? რატომ არ გსიამოვნებს, როცა ქალაქში გავდივარ ხოლმე?.. ალბათ, ყველაფერს გირჩევნია, სამუდამოდ ჩავიმარხოთ ამ სოფელში. ძეხორციელის დანახვა რატომ უნდა მენატრებოდეს? დიდი უჟმური კაცი ხარ!

ბატონმა გრიუნლიჰმა წითელი ღვინო დაისხა, ბროლის ხუფი ასწია და ყველს დასწვდა. ტონისთვის არ უპასუხია.

- გიყვარვარ კი? - გაუმეორა ტონიმ, - შენი დუმილი ისეთი უზრდელობის მაჩვენებელია, თავს უფლებას ვაძლევ, ერთი სცენა მოგაგონო, ლანდშაფტებიან ოთახში რომ გაითამაშე... მაშინ სხვანაირად მაჩვენებდი თავს!.. აქ კი პირველი დღიდანვე მხოლოდ საღამოს თუ დაჯდებოდი ჩემთან და ისიც იმიტომ, რომ გაზეთი წაგეკითხა. ადრე ჩემს სურვილებს მაინც უწევდი ანგარიშს. კარგა ხანია ამასაც ბოლო მოეღო. არაფრად მაგდებ...

- შენ როგორღა იქცევი? ლამის გამაღატაკო!

- მე?.. მე გაღატაკებ?..

- დიახ, შენ მაღატაკებ შენი მფლანგველობით, შენი სიზარმაცით! წელის აწევა გეზარება. ყველაფერი სხვისი ხელით გინდა გააკეთო.

- ოჰ! თუ გიყვარდე, ჩემს კარგ აღზრდას ნუ მაყვედრი! ჩემს მშობლებთან მე თითის განძრევაც არ მჭირდებოდა. ახლაც გაჭირვებით მივეჩვიე დიასახლისობას. ჩემს თავს უფლებას ვაძლევ მოვითხოვო, რომ უბრალო ხელის შეწყობაზე მაინც არ მითხრა უარი. მამაჩემი მდიდარი კაცია; ამას იფიქრებდა, ოდესმე მოსამსახურეები შემომაკლდებოდა?!

- მაშინ მესამე გოგოს მანამდე დაელოდე, სანამ მამაშენის სიმდიდრე არ შემოგეშველება.

- იქნებ მამაჩემის სიკვდილიც გინდა? მე იმას ვამბობ, ჩვენ შეძლებული ხალხი ვართ და შენთან ხელცარიელი არ მოვსულვარ-მეთქი...

თუმცა ბატონი გრიუნლიჰი ლუკმას ღეჭავდა, მაინც გაეღიმა, მწარედ, უსიტყვოდ გაეღიმა. ტონი ამ ღიმილმა შეძრა.

- გრიუნლიჰ, - თქვა მან უკვე მშვიდად, - შენ გეღიმება, ჩვენს შეძლებაზე რომ ვლაპარაკობ, იქნებ ვცდები? იქნებ საქმე კარგად არ მიგდის? ხომ არ...

ამ დროს დერეფანში გამავალ კარზე ვიღაცამ მოკლედ დააკაკუნა და ოთახში ბატონი კესელმაიერი შემოვიდა.

მეექვსე თავი

ბატონი კესელმაიერი შინაურ კაცს რომ შეეფერებოდა, ისე შემოვიდა ოთახში - გაუფრთხილებლად, უცერემონიოდ - და კარში შეჩერდა. გარეგნობით ბატონი კესელმაიერი ზუსტად ისეთი გახლდათ, როგორიც ტონიმ აუწერა დედას. ჩასკვნილი კაცი იყო - არც სქელი ეთქმოდა და არც კაფანდარა. ეცვა შავი, ოდნავ აპრიალებული სერთუკი, იმავე ფერის შემოსხუთული, მოკლე შარვალი, თეთრ ჟილეტზე საათის გრძელი, თხელი ჯაჭვი ორი თუ სამი პენსნეს ზონარს გადახლართოდა. თეთრი, შეკრეჭილი ბაკენბარდები ღაჟღაჟა ლოყებს უფარავდა, ნიკაპი და ბაგე კი გაპარსული ჰქონდა. სასაცილოდ მოხაზულ პატარა პირს გაუთავებლად აცმაცუნებდა. ქვედა ყბაზე ორად ორი კბილი შერჩენოდა. შარვლის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ბატონი კესელმაიერი შეჩერდა და ყვითელი, მრგვალი ღოჯები ზედა ტუჩს მიაბჯინა. თავზე ჭაღარა ბულულები წყნარად ერხეოდა, თუმცა ოთახში ჰაერი არ იძვროდა.

ბოლოს მან ხელები ჯიბიდან ამოიღო, წელში მოიხარა, ქვედა ტუჩი ჩამოუშვა და მკერდზე დაბურდული ზონრებიდან ერთ-ერთი პენსნეს ზონარი ძლივს მოიხსნა. შემდეგ პენსნე ერთი ხელის მოქნევით ცხვირზე დაიკოსა, სახე უცნაურად დაჭყანა, ცოლ-ქმარი მუშტრის თვალით შეათვალიერა და შენიშნა:

- აჰა!

კაცი მაშინვე შეამჩნევდა, რომ ბატონი კესელმაიერი ამ თავის აკვიატებულ სიტყვას ყოველთვის სხვადასხვანაირად და თავისებურად გამოთქვამდა ხოლმე. შეეძლო თავი უკან გადაეგდო, ცხვირი შეეჭმუხნა, პირი ფართოდ გაეღო, ხელები ჰაერში გაესავსავებინა და თავისი „აჰა“ გაჭიანურებულად, ფოლადივით მჟღერი ხმით ცხვირში ისე გამოეთქვა, რომ ჩინური გონგის ხმა გაგხსენებოდათ. თუმცა ისიც შეეძლო, ბევრი ნიუანსისთვის თავი არ აეტკივებინა და მოკლედ, ნაზად და სხვათა
შორის ესროლა თავისი საყვარელი სიტყვა. ეს უფრო თავშესაქცევი გახლდათ, რადგან იგი „ანს“ ჩვეულებრივ მეტისმეტად სევდიანად და ცხვირში გამოთქვამდა ხოლმე. დღეს მან „აჰაო“ ისე სწრაფად და მხიარულად წამოიძახა, კაცს ეგონებოდა, ბატონი კესელმაიერი ჩინებულ გუნებაზეაო... და მაინც, არ შეიძლებოდა ამ აზრს

მინდობოდით, რადგან მოხუცი ბანკირი მით უფრო მხიარულად იქცეოდა, რაც უფრო სახიფათო გუნებაზე იყო. როცა იგი „აჰას“ ძახილით დაკუნტრუშებდა, პენსნეს ცხვირზე აწვალებდა, ხელებს აქეთ-იქით იქნევდა, ენას ატარტალებდა და თავს თითქოს მასხარაობისგან ვერ იკავებდა, მაშინ შეგეძლოთ დარწმუნებული ყოფილიყავით, რომ მოხუცს გულში ბოღმა უტრიალებდა.

ბატონმა გრიუნლიჰმა თვალები მოჭუტა, სტუმარს აშკარად შეშფოთებული მიაჩერდა და ჰკითხა:

- ასე ადრე?

- აჰა... - უპასუხა ბატონმა კესელმაიერმა და პატარა, წითელი დანაოჭებული ხელი ისე გაასავსავა, თითქოს უნდოდა ეთქვა, ერთი დამაცა, რა სიურპრიზი მოგართვაო.

- მე თქვენთან სალაპარაკო მაქვს! დაუყოვნებლივ უნდა მოგელაპარაკოთ, ჩემო ძვირფასო!

ბატონმა კესელმაიერმა სასაცილო ლაპარაკი იცოდა. კბილებჩაცვენილი მოხუცი ყოველ სიტყვას პირში ატრიალებდა. პატარა ტუჩებს აცმაცუნებდა, თავს ძალას ატანდა და სიტყვას ისე გამოთქვამდა. „რ“-ს ისე აბრუნებდა, თითქოს სასა გაქონილი აქვსო. ბატონ გრიუნლიჰს კიდევ უფრო დაეტყო შეშფოთება.

- მობრძანდით, ბატონო კესელმაიერ, - თქვა ტონიმ, - აი, აქ დაბრძანდით. რა კარგია, რომ მოხვედით... მოიცათ, თქვენ ჩვენი მსაჯული უნდა იყოთ. სწორედ ახლა ვკამათობდი გრიუნლიჰთან... აბა, მითხარით, სამი წლის ბავშვს გადია უნდა ჰყავდეს თუ არა?

ბატონი კესელმაიერი ტონის თითქოს ყურადღებასაც არ აქცევდა. სკამზე ჩამოჯდა, პაწაწკინტელა პირი ბოლომდე გააღო, ცხვირი შეჭმუხნა და საჩვენებელი თითით მოკლედ შეკრეჭილი ბაკენბარდები ისე მოიფხაჭნა, რომ ტანში გამაჟრჟოლებელი ხმა გამოსცა. მერე სახეგაცისკროვნებულმა ბანკირმა ელეგანტურად გაწყობილი სუფრა, ვერცხლის სინი და წითელი ღვინის ეტიკეტი პენსნეს ზემოდან მუშტრის თვალით შეათვალიერა.

- გრიუნლიჰი იმასაც მიმტკიცებს, მაღატაკებო! - განაგრძო ტონიმ.

ახლა კი შეხედა მას ბატონმა კესელმაიერმა, შემდეგ მზერა ბატონ გრიუნლიჰზე გადაიტანა და ხარხარი აუტყდა.

- თქვენ აღატაკებთ მას?.. - წამოიძახა მოხუცმა ბანკირმა, - თქვენ... აჰა... თქვენ... მაშ თქვენ აღა... აღატაკებთ მას ხომ?.. ღმერთო დიდებულო! ღმერთო! ეს რა მესმის!.. აი, ეს კი ნამდვილად სასაცილოა!.. მეტისმეტად, მ ე ტ ი ს მ ე ტ ა დ სასაცილოა!

ბატონმა კესელმაიერმა თავის სიტყვებს სხვადასხვანაირი „აჰას“ მთელი ნიაღვარი მოაყოლა.

ბატონი გრიუნლიჰი თავს ვეღარ იკავებდა და ნერვიულად ცმუტავდა სკამზე. გრძელ საჩვენებელ თითს ხან საყელოში იტარებდა, ხან ოქროსფერ ბაკენბარდებზე გამალებით ისვამდა.

- კესელმაიერ! - თქვა მან, - თავი შეიკავეთ ბოლოს და ბოლოს! ჭკუაზე ხომ არ შეიშალეთ? შეწყვიტეთ სიცილი! ღვინოს ინებებთ? იქნებ სიგარას? მაინც რა გაცინებთ?

- რა მაცინებს? ჰო, დამისხით ღვინო, სიგარაც მომეცით... რა მაცინებს? მაშ, თქვენ გგონიათ, რომ თქვენი მეუღლე გაღატაკებთ?

- ფუფუნებაში ცხოვრებას არ იშლის! - გულნატკენად თქვა ბატონმა გრიუნლიჰმა.

ტონის ამ აზრის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. მშვიდად მისწოლოდა სკამის საზურგეს, ხელები კალთაში ეწყო, პენუარის ხავერდის ლენტებს ათამაშებდა და ზედა ტუჩი გამომწვევად აებზიკა.

- დიახაც... ასეთი ვარ და რა ვქნა. რაც მართალია, მართალია, კარგი ცხოვრების სიყვარული დედისგან მაქვს გამოყოლილი. ყველა კროგერს ფუფუნებაში უყვარს ცხოვრება! - თქვა მან.

ტონის ასევე მშვიდად შეეძლო განეცხადებინა, თავქარიანი, ფიცხი და შურისმაძიებელი ვარო. ტონის მკვეთრად გამოხატული მემკვიდრეობითი ინსტინქტები ხელს უშლიდა თავისუფლად ეაზროვნა და თავის თავში გარკვეულიყო. გვაროვნული ინსტინქტები აიძულებდა, თავისი თვისებები თითქმის ფატალური გულგრილობით აღენიშნა და შეეცნო. არ ცდილობდა, ისინი გამოესწორებინა. ტონი ანგარიშმიუცემლად ფიქრობდა, რომ ყოველი თვისება, რანაირიც უნდა ყოფილიყო იგი, მემკვიდრეობით ჰქონდა გადმოცემული. ეს თვისებები მის ოჯახურ ტრადიციას გამოხატავდა და სხვები მოწიწებით უნდა მოქცეოდნენ, მათ წინაშე ყოველთვის ქედი უნდა მოეხარათ.

ბატონმა გრიუნლიჰმა საუზმე დაამთავრა და ორი სიგარის კვამლი ღუმლის თბილ ჰაერს შეერია.

- სიგარა ხომ არ ჩაგიქრათ, კესელმაიერ? - შეეკითხა სტუმარს მასპინძელი, - მეორე ინებეთ! წითელ ღვინოს კიდევ დაგისხამთ. მაშ თქვენ ჩემთან ლაპარაკი გნებავთ? საჩქაროა? სერიოზული საქმეა? აქ ძალიან ხომ არ გცხელათ?.. შემდეგ ერთად წავალთ ქალაქში... მოსაწევ ოთახში უფრო გრილა.

ამ გადაჭარბებულ თავაზიანობაზე ბატონი კესელმაიერი მხოლოდ ხელს იქნევდა, თითქოს უნდოდა ეთქვა: ჩემო ძვირფასო, ეგ ვერაფერს გიშველითო.

ბოლოს სტუმარ-მასპინძელი წამოდგა, ტონი სასადილო ოთახში დარჩა - მოახლისთვის სუფრის ალაგებაზე თვალყური უნდა ედევნებინა. ბატონმა

გრიუნლიჰმა სტუმარი მოსაწევ ოთახში მიიპატიჟა. თავჩაქინდრული ბატონი გრიუნლიჰი მარცხენა ბაკენბარდს თითებს შორის კვარკნიდა და სტუმარს წინ მიუძღოდა. ბატონი კესელმაიერი მკლავებს ნიჩბებივით იქნევდა და გრიუნლიჰს უკან მიჰყვებოდა.

ათი წუთი გავიდა. ტონიმ ცოტა ხნით სალონში დააპირა გასვლა. კაკლის ხის პაწაწა სეკრეტერისა და მაგიდის მოღუნული ფეხებისთვის უნდოდა თვითონ გადაესვა ჭრელი ფრთების კონა. ტონი მშვიდად და მედიდურად მიაბიჯებდა. მადმუაზელ ბუდენბროკს მადამ გრიუნლიჰად გადაქცევით, როგორც ჩანდა, საკუთარი ღირსების გრძნობა ოდნავადაც არ დაეკარგა. წელში გამართული ნიკაპს მკერდზე ოდნავ იბჯენდა და საგნებს ზემოდან დაჰყურებდა. ცალ ხელში გასაღების ნატიფი, გალაქული კალათა ეჭირა, მეორე ხელი შინდისფერი დილის ხალათის ჯიბეში მსუბუქად ჩაედო, სერიოზული სახე მიეღო და ისე მირონინებდა, რომ გრძელი პენუარის რბილ ნაკეცებში ტანი უკეთ გამონაკვთოდა. თუმცა ამავე დროს ტუჩ-პირის გულუბრყვილო და უმანკო გამომეტყველება ამხელდა, რომ მთელი ეს დიდებულება რაღაც ზედმიწევნით უმწეო და ბავშვური თამაში იყო.

ტონიმ პატარა სპილენძის სარწყავით დეკორატიულ მცენარეებს ჩამოუარა და შავი მიწა დაუნამა. პალმები თავს ერჩია, ისინი ხომ ბინას ისეთ კეთილშობილურ იერს აძლევდნენ! მსხვილ ღეროზე ახალამოყრილი ყლორტი ფრთხილად მოსინჯა, მარაოსავით დიდებულად გაშლილ ფოთლებს ნაზად შეავლო ხელი და აქა-იქ გაყვითლებული წვეტები მაკრატლით შეაცალა.

უცებ ტონიმ ყურები ცქვიტა. უკვე რამდენიმე წუთი იქნებოდა, მოსაწევ ოთახში საუბარი გაცხოველდა, ახლა კი თითოეული სიტყვა მკაფიოდ ისმოდა, თუმცა კარი საკმაოდ სქელი იყო და ზედ მძიმე პორტიერებიც ეკიდა.

- ნუ ყვირით! თავი მოთოკეთ, ღვთის გულისათვის! - გაისმა ბატონ გრიუნლიჰის ყვირილი.

მისმა რბილმა ხმამ დაჭიმვას ვერ გაუძლო და ყივილი ამოუშვა.

- ინებეთ სიგარა! - სასოწარკვეთილი ხმით დაუმატა მან.

- რატომაც არა, დიდი სიამოვნებით. გმადლობთ, - უპასუხა ბანკირმა.

შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა, ალბათ, ბატონი კესელმაიერი სიგარას უკიდებდა.

- მოკლედ, ერთი სიტყვით, გინდათ თუ არ გინდათ, ორიდან ერთი უნდა აირჩიოთ! - თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ.

- კესელმაიერ, გამიგრძელეთ ვადა!

- აჰა? ეგრე... ნ უ რ ა ს უ კ ა ც რ ა ვ ა დ, ჩემო ძვირფასო, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია!

- ვითომ რა მოხდება? რა ეშმაკი შეგიჯდათ? ღვთის გულისათვის, გონს მოდით! ამდენ ხანს გიცდიათ და...

- არც ერთ დღეს აღარ დავიცდი, ჩემო ძვირფასო! კარგი, რვა დღეს კიდევ გაძლევთ, მეტს კი არც ერთ საათს! განა ახლა ვინმე ენდობა...

- სახელს ნუ ახსენებთ, კესელმაიერ!

- სახელს ნუ ვახსენებ... კი ბატონო, მაგრამ ახლა ვინმე ენდობა თქვენს სანაქებო ბატონ სიმ...

- ნუ ახსენებთ-მეთქი!.. ღვთის გულისათვის ნუ გადაირევით!

- კარგი, ასე იყოს! ვინმე დაენდობა ახლა ერთ ფირმას, რომელზედაც თქვენი კრედიტია დამოკიდებული? რამდენი იზარალა მან, ბრემენში ერთი ფირმა რომ გაკოტრდა? ორმოცდაათი ათასი? სამოცდაათი ათასი? ასი? უფრო მეტი? მთელმა ქვეყანამ იცის, ამ საქმეში მან რა ზარალი ნახა... ამის შემდეგ შეიძლება კაცი ენდოს? გუშინ... კარგი, სახელს არ ვახსენებ!.. გუშინ ის ფირმა ფეხზე მტკიცედ იდგა და თავისდა უნებურად თქვენც გიფარავდათ. დღეს მისი საქმე მდორედ მიდის, ბ. გრიუნლიჰის საქმე კი... მთლად ჩამყაყებულია... ეს ხომ ცხადზე უცხადესია? ვითომ თქვენ ვერ ამჩნევთ ამას? თქვენ ხომ პირველს უნდა გეგრძნოთ ეს უბედურება? როგორ გხვდებიან თქვენ? რა თვალით გიყურებენ? ბოკი და გუოდშტიკერი ხომ უსაზღვროდ თავაზიანები და მიმნდობნი არიან, მაგრამ საკრედიტო ბანკი როგორღა გექცევათ?

- ვადას მიგრძელებს.

- აჰა, ცრუობთ, არა? მე ხომ ვიცი, იქიდან ჯერ კიდევ გუშინ გამოგაპანღურეს? გვარიანად გითავაზეს და გამოგაფხიზლეს, ხომ?! ნუ გრცხვენიათ. მეტი რაღა დაგრჩენიათ. თვალი უნდა ამიხვიოთ, თითქოს სხვები წინანდებურად არხეინად არიან... ვერ გამაცურებ, ჩემო კეთილო! მისწერეთ კონსულს, ერთ კვირას კიდევ დაგელოდებით.

- ნაწილი მაინც დამაფარვინეთ, კესელმაიერ!

- რაო, ნაწილიო! სესხს მაშინ იძლევიან, როცა ვალის დაბრუნების იმედი აქვთ. ეგღა მაკლია, ექსპერიმენტები ჩავატარო! მე ხომ მშვენივრად ვიცი, რისი გადამხდელიც ბრძანდებით! აჰა... სესხის ამბავი ძალიან, ძალიან მომწონს...

- ცოტა მოზომეთ თქვენი ხმა, კესელმაიერ! ასე სატანასავით მაინც ნუღარ იცინით! ჩემი საქმე ვერაა მთლად კარგად, დიახ, ვაღიარებ, ვერაა კარგად, მაგრამ, ასეა თუ ისე, ბევრი საქმე მაქვს წამოწყებული. ყველაფერი შეიძლება სასიკეთოდ შეტრიალდეს.

მომისმინეთ, მომხედეთ: გამიგრძელეთ ვადა და ოც პროცენტზე მოგიწერთ ხელს.

- ეგ არ გამაგონოთ... ნუ მაცინებთ, ჩემო კეთილო! ყველაფერს თავისი დრო აქვს! შემომთავაზეთ რვა პროცენტი, ვადა გაგიგრძელეთ. თორმეტი, თექვსმეტი პროცენტი შემომთავაზეთ, ვადა ისევ გაგიგრძელეთ. ახლა იქნებ ორმოციც შემომთავაზოთ, მაგრამ ვადის გაგრძელებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. არა, მსგავს სისულელეს თავშიც არ გავივლებ, ჩემო კეთილო!.. რაც ძმებმა ვესტფალებმა ბრემენში ცხვირი წაიტეხეს, ყველა ცდილობს იმ თქვენი ახლობლის ფირმისგან საქმე შორს დაიჭიროს, არავის არ უნდა ხათაბალაში გაიბას თავი. როგორც გითხარით, ყველაფერს თავისი დრო აქვს-მეთქი. თქვენს თამასუქებს მანამდე ვინახავდი, სანამ საეჭვო არაფერი იყო და იოჰან ბუდენბროკს კარგად მიუდიოდა საქმე. დიახაც, შემეძლო გადაუხდელი პროცენტები კაპიტალისთვის მიმემატებინა და თქვენთვის პროცენტები გამეზარდა! მაგრამ კაცს ფასიანი ქაღალდები მანამ შეუძლია შეინახოს, სანამ მისი ფასი აღმა მიდის ან, უკიდურეს შემთხვევაში, საფრთხე მაინც არ ემუქრება... როცა ფასი ქვევით მიექანება, მაშინ მას ყიდიან ხოლმე. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მე ჩემსას ვითხოვ.

- კესელმაიერ, სირცხვილ-ნამუსზე ხელს ნუ აიღებთ!

- აჰაა, ეს მომწონს! ერთი ვიცოდე, რა გნებავთ? ბევრიც რომ იხტუნოთ, მაინც ხომ თქვენს სიმამრს უნდა მიმართოთ? საკრედიტო ბანკი ცოფს ყრის, არც სხვებთანა გაქვთ გამოსაჩენი პირი.

- არა, კესელმაიერ... გევედრებით, წყნარად მომისმინეთ!.. მე არ ვმალავ და თქვენ წინაშე ვაღიარებ კიდეც, რომ ჩემი საქმე ვერ არის კარგად. თქვენ და საკრედიტო ბანკი ხომ ერთადერთი არა ხართ. მე სხვა თამასუქებიც წარმომიდგინეს, თითქოს ყველამ ერთად შეკრა პირი.

- რა გასაკვირია. ყველას თავისი დარდი აწუხებს.

- არა, კესელმაიერ, ყური დამიგდეთ! თუ ხათრი გაქვთ, ერთი სიგარა კიდევ აიღეთ.

- თუ შეიძლება, დამეხსენით, ჯერ ეს ერთიც არ დამიყვანია ნახევრამდე! ნუ გამიჭირეთ საქმე ამ თქვენი სიგარებით! ის გირჩევნიათ, ვალი გადაიხადოთ.

- კესელმაიერ, ახლა ნუ გამომჭრით ყელს... თქვენ ხომ ჩემი მეგობარი ხართ, ჩემს ოჯახში პურმარილი მიგიღიათ...

- თქვენ კი არ გიგემიათ ჩემი პურმარილი, ძვირფასო?

- ჰო, ჰო... მაგრამ ახლა კრედიტზე უარს ნუ მეტყვით, კესელმაიერ!

- რაო, კიდევ კრედიტს გაიძახით? ჭკუაზე თუ ხართ? კიდევ ახალ სესხსა მთხოვთ?

- ჰო, კესელმაიერ, გევედრებით... სულ ცოტა, უმნიშვნელო სესხი მომეცით! ეს საკმარისი იქნება, რომ წვრილმანი ვალები მოვიშორო, ნდობა მოვიპოვო და წელში გავიმართო. ამომიდექით მხარში და არ წააგებთ! როგორც გითხარით, ერთი და ორი

საქმე არა მაქვს წამოწყებული... ყველაფერი კეთილად შეტრიალდება, თქვენც ხომ იცით, რა დაუდეგარი და ალღოიანი ვარ?

- კი, როგორ არა, კარგი რეგვენი და კოკობზიკა ბრძანდებით, ჩემო კეთილო! იქნებ მოწყალება მოიღოთ და მითხრათ, თქვენი ალღოთი მაინც რის გაკეთებას აპირებთ? იპოვით კი ქვეყანაზე ბანკს, გახვრეტილ გროშს მაინც რომ გადმოგიგდებთ? იქნებ კიდევ ერთი სიმამრის შოვნა გაქვთ გადაწყვეტილი? თქვენი მთავარი თაღლითობა უკვე მოათავეთ! მსგავსი ოინი მეორედ აღარ გაგივათ. ჭეშმარიტად პატივსაცემი კაცი ხართ, ქედს ვიხრი თქვენ წინაშე!

- ხმას დაუწიეთ, ან ღმერთს შეხედეთ, ან ეშმაკს!

- დაუდეგარი და ალღოიანი ვარო! ჰმ! კოკობზიკა ბრძანდებით და მეტი არაფერი! ალღოიანი კი ხართ, მაგრამ სხვების სასარგებლოდ! სინდის-ნამუსი დიდად არ გაწუხებთ, მაგრამ ვაი, რომ ამითაც ვერ იხეირეთ! თაღლითობით კაპიტალი იმისთვის ჩაიჯიბეთ, რომ ჩემთვის თორმეტი პროცენტის მაგიერ თექვსმეტი გეხადათ, ხომ? სინდის-ნამუსზე ხელი აიღეთ და სარგებელი კი არ გინახავთ. თქვენ საყასბოს ძაღლზე მეტი სინდისი არ გაგაჩნიათ, ერთი უიღბლო, წყალწაღებული, საცოდავი ბრიყვი ხართ და მეტი არაფერი! თქვენისთანა სასაცილო ხალხიც იბადება ამქვეყნად, რას იზამთ! მაინც რატომ გეშინიათ, ყველაფერი ერთ ვინმეს შეატყობინოთ? იმიტომ, რომ ცოტა უხერხულად გრძნობთ თავს, არა? მაშინ, ოთხი წლის წინათაც, ყველაფერი რიგზე რომ არ გქონდათ, იმიტომ, არა? სუფთა საქმე რომ
არ გიძევთ უკან, იმიტომ, ხომ? გეშინიათ, რაღაც-რაღაცები არ...

- კარგი, კესელმაიერ, მივწერ, მაგრამ უარი რომ მითხრას? მხარში რომ არ ამომიდგეს?..

- ჰოო! მაშინ ერთ პატარა ბანკროტს გამოვაცხობთ. დიდად სასაცილო კოტრუნიას! ფეხებზეც არა მკიდიხართ?! თქვენი ნაცოდვილარი პროცენტებით მე ჩემი თითქმის განაღდებული მაქვს. საკონკურსო კომისიაშიც უპირატესობა მე მეკუთვნის, ჩემო კეთილო... ჰოდა, ნუ გეშინია, თავს არ დავიჩაგრავ. აქ ჩემს თვალს არაფერი გამოეპარება! ნივთების ნუსხა უკვე ჯიბეში მიდევს! აბა, რა გეგონათ! ნურას უკაცრავად, ვერც ერთი ვერცხლის კალათა, ვერც ერთი პენუარი ვერ გამომაპაროთ!

- კესელმაიერ, თქვენ ხომ ჩემს ოჯახში პურმარილი მიგიღიათ...

- არ გამიჭირეთ საქმე ამ თქვენი პურმარილით! რვა დღეში პასუხს ველოდები. ახლა ქალაქში წავალ, ცოტა გავლა მომიხდება. კარგად მეყოლე, ჩემო კეთილო, კარგად მეყოლე!..

ეტყობოდა, ბატონი კესელმაიერი წასვლას აპირებდა. დიახ, იგი მიდიოდა. დერეფანში მოხუცი ბანკირის ფრატუნა ნაბიჯების ხმა გაისმა, გაცხარებული, ალბათ, მკლავებს ნიჩბებივით მიიქნევდა.

ბატონი გრიუნლიჰი ოთახში შევიდა. ტონის სპილენძის სარწყავი ხელში შერჩენოდა და გაუნძრევლად იდგა. იგი ქმარს თვალებში შეაცქერდა.

- რას დამდგარხარ და მომშტერებიხარ! - კბილები დაკრიჭა ბატონმა გრიუნლიჰმა, თან ხელებით ჰაერში უცნაური წრეები შემოხაზა და ტანი გადაიქნია.

მის ვარდისფერ სახეს გაფითრების უნარი არ გააჩნდა. სახე ქუნთრუშიანი ავადმყოფივით წითლად ჰქონდა აფორეჯებული.

მეშვიდე თავი

კონსული იოჰან ბუდენბროკი ნაშუადღევის ორი საათისთვის ჩამობრძანდა. ნაცრისფერი სამგზავრო პალტო არც გაუხდია, ისე შევიდა გრიუნლიჰების სალონში და გულდამძიმებული ქალიშვილს ნაზად გადაეხვია. კონსულს სახეზე მკვდრისფერი ედო და მობერებული ჩანდა. წვრილი თვალები ფოსოებში ჩაცვივნოდა. ჩავარდნილ ლოყებზე ცხვირი მკვეთრად ჰქონდა გამოკვეთილი. ტუჩები თითქოს უფრო გათხელებოდა, ბაკენბარდებს აღარ ატარებდა, გაშეშებულ საყელოსა და ყელსახვევში სანახევროდ ჩამალული წვერი კი თმასავით გაჭაღარავებოდა.

კონსულმა მძიმე დღეები გადაიტანა. თომასს ფილტვებიდან სისხლის დენა ასტეხოდა. ეს ცუდი ამბავი მამას ბატონმა ვან დერ კელენმა შეატყობინა. კონსულმა საქმეები თავის სანდო საქმეთა მმართველს ჩააბარა და უმოკლესი გზით ამსტერდამს გაემგზავრა. გამოირკვა, რომ თომასს საშიში არაფერი სჭირდა, მაგრამ სამხრეთის თბილი ჰავა მისთვის აუცილებელი იყო. საბედნიეროდ, თომასის პრინციპალის ვაჟიც აპირებდა სამხრეთ საფრანგეთში გამგზავრებას დასასვენებლად. როგორც კი თომასი იმდენად მომჯობინდა, რომ მგზავრობის ატანა შეეძლო, კონსულმა ორივე ყმაწვილი პოში გაისტუმრა.

შინ დაბრუნებულ კონსულს ახალი უბედურება ელოდა: ბრემენელი „ძმები ვესტფალების“ გაკოტრებით კონსულმა ერთი ხელის დაკვრით 80000 მარკა იზარალა, რამაც მისი სავაჭრო ფირმა საფუძვლიანად შეარყია. ვესტფალების სახელზე დისკონტირებული თამასუქები ფირმას გაუნაღდებელი დაუბრუნდა. ფირმას თავი
არ შეურცხვენია, თამასუქები დაუყოვნებლივ გაანაღდა, მაგრამ მაინც ვერ ასცდა უსიამოვნებას, რაც საბრუნავი კაპიტალის ასეთ შემცირებას ჩვეულებრივ მოსდევს ხოლმე: ბანკებს, „მეგობრებსა“ და საზღვარგარეთელ ფირმებს „იოჰან ბუდენბროკის“ მიმართ უნდობლობისა და თავშეკავების გამოჩენა არ დაუყოვნებიათ.

როგორც იქნა, კონსული წელში გაიმართა, დამშვიდდა, საქმე ძველებურ კალაპოტში ჩააყენა. ახლა კი ამ გახურებულ ბრძოლაში, დეპეშების, წერილების, ქვითრების

ორომტრიალში, კიდევ ახალი უბედურება დაატყდა თავს: გრიუნლიჰს, ბ. გრიუნლიჰს, მისი ქალიშვილის მეუღლეს ანგარიშსწორება შეეწყვიტა და სიმამრს გრძელ, აბდაუბდა, ხვეწნა-ვედრებით სავსე ბარათით თავს აცოდებდა, ას-ასოცი ათას მარკამდე შესაწევარს სთხოვდა!

კონსულს არ უნდოდა მეუღლე შეეშფოთებინა, ახალი ამბავი მოკლედ, ზერელად აუწყა, სიძეს კი ცივად, ყოველგვარი დაპირების გარეშე შეატყობინა, ჯერ ბანკირ კესელმაიერსა და პირადად თქვენ მოგელაპარაკებითო და ჰამბურგს გამოემგზავრა.

ტონიმ მამა სალონში მიიღო. ყავისფერი აბრეშუმით მორთულ სალონში სტუმრების მიღებას არაფერი ერჩია. თუმცა ნათლად ვერ ერკვეოდა, მის ირგვლივ რა ხდებოდა, მაგრამ დღევანდელი შეხვედრის მნიშვნელობას მაინც გრძნობდა და ამიტომ ოფიციალური წესიდან მამის გულისთვისაც კი არ გადაუხვევია.

ფრაუ გრიუნლიჰი მშვენივრად გამოიყურებოდა. სახეზე სერიოზული იერი ედო, მკერდსა და მაჯებზე მაქმანით გაწყობილი, ზარისებურსახელოებიანი, ღია ნაცრისფერი კაბა ეცვა. კაბა უკანასკნელ მოდაზე იყო შეკერილი, უკან გრძელი შლეიფი დასთრევდა, საყელო კი ბრილიანტის პატარა ქინძისთავით ჰქონდა შებნეული.

- გამარჯობა, მამა, როგორც იქნა, ველირსე შენს ნახვას! დედა როგორ არის? ტომისგან რა ამბები მოდის? გაიხადე პალტო, დაჯექი რა, მამიკო! ხელ-პირის დაბანას ხომ არ ინებებდი? შენთვის მაღლა ერთი სასტუმრო ოთახი მოვაწყობინე... დილის ტუალეტს გრიუნლიჰიც არ მორჩენილა ჯერ.

- იყოს, შვილო, აქ დაველოდები. ხომ იცი, შენს ქმართან მოსალაპარაკებლად ჩამოვედი... ძალიან, ძალიან სერიოზული ლაპარაკი გვექნება, ჩემო კარგო ტონი. ბატონი კესელმაიერი აქ არის?

- დიახ, მამიკო, ოთახში ზის და ალბომს ათვალიერებს.

- ერიკა სადაა?

- ზევით, საბავშვო ოთახშია თინკასთან. კარგად არის. თავის თოჯინას აბანავებს... რა თქმა უნდა, წყალში კი არა... ცვილის თოჯინა ჰყავს...

- გასაგებია... - კონსულმა ამოისუნთქა და განაგრძო, - არა მგონია, ჩემო საყვარელო შვილო, რომ შენ... შენი ქმრის მდგომარეობაში იყო გარკვეული.

კონსული სავარძელში იჯდა მაგიდასთან. ტონი მამის ფეხებთან ერთმანეთზე დაწყობილ აბრეშუმის ბალიშებზე მოკალათებულიყო. კონსული მარჯვენა ხელით ტონის ბრილიანტის ქინძისთავს ფრთხილად ეთამაშებოდა.

- არა, მამა, - უპასუხა ტონიმ, - უნდა გამოგიტყდე, არაფერი ვიცი. ღმერთო ჩემო, ნამდვილი ბატი ვარ, არაფერი გამეგება! ახლახან შემთხვევით მოვუსმინე

კესელმაიერისა და გრიუნლიჰის ლაპარაკს... ბოლოს მომეჩვენა, თითქოს ბატონი კესელმაიერი ხუმრობდა... ის ყოველთვის ისე სასაცილოდ ლაპარაკობს, რომ... ერთხელ თუ ორჯერ შენს სახელსაც მოვკარი ყური...

- ჩემს სახელს? მაინც რაზე მახსენეს?

- არა, ეგ აღარ ვიცი, მამა! გრიუნლიჰმა იმ დღიდან ცხვირი ჩამოუშვა, პირდაპირ აუტანელი გახდა! გუშინდლამდე ასე იყო... გუშინ კი სინაზე მოერია და ერთი ათჯერ მაინც მკითხა, გიყვარვარ თუ არაო. მეკითხებოდა, ჩემთვის კარგ სიტყვას თუ გაიმეტებ მამაშენთან, რაიმეს თხოვნა რომ დამჭირდესო.

- ჰოო?

- ჰო, ასე მითხრა, მამაშენს მივწერე და ჩამოვაო. რა კარგია, აქ რომ ხარ! ისე გაუცხოებულია აქ ყველაფერი... გრიუნლიჰმა ბანქოს სათამაშო მწვანე მაგიდა გაშალა. ზედ ქაღალდები და ფანქრები დაახვავა, კესელმაიერსა და მასთან ერთად შენც იქ მოგიწევს ბჭობა.

- ყური მიგდე, შვილიკო, - უთხრა ტონის კონსულმა და თმაზე ხელი გადაუსვა, - ერთი რამ უნდა გკითხო, ძალზე სერიოზული რამ! მითხარი... შენი ქმარი ხომ მთელი სულითა და გულით გიყვარს?

- რა თქმა უნდა, მამა, - ისეთი ბავშვური და ეშმაკური სახე მიიღო ტონიმ, როგორც ოდესღაც იცოდა ხოლმე, როცა შეეკითხებოდნენ, თოჯინების გამყიდველ ლიზას ხომ აღარ გააბრაზებო.

კონსული ერთი წამით გაჩუმდა.

- ისე თუ გიყვარს, რომ რაც უნდა მოხდეს, უიმისოდ სიცოცხლე არ შეგიძლია? მაშინაც კი, თუ ღვთის ნებით, ისეთ დღეში ჩავარდით, რომ ასეთი ნივთებით ვეღარ გაგანებივრა?.. - კონსულმა ხელი ჯერ ავეჯისკენ, ფარდებისა და სარკიან ეტაჟერზე მდგარი მოოქრული საათისკენ გაიშვირა და მერე ტონის კაბაზე დაუშვა.

- რა თქმა უნდა, მამა, - გულუბრყვილოდ გაიმეორა ტონიმ. იგი ასე მხოლოდ მაშინ ლაპარაკობდა, როცა ვინმე სერიოზულად ეკითხებოდა რამეს. ტონიმ მამას თვალი მოარიდა და ფანჯარაში გაიხედა. ფანჯრის მიღმა უხმაუროდ ცრიდა. ტონი ისე იყურებოდა, როგორც ბავშვებმა იციან, როცა უფროსები ზღაპრის წაკითხვისას იმდენ უტაქტობას იჩენენ, რომ მორალსა და მოვალეობებზე საყოველთაოდ ცნობილ შეხედულებებს უხვად გადმოაფრქვევენ ხოლმე. ტონის თვალებში ერთსა და იმავე დროს დარცხვენილი და მოუთმენელი, მორჩილი და თან აღშფოთებით სავსე გამომეტყველება გასჩენოდა.

ჩაფიქრებული კონსული ერთი წუთის განმავლობაში შვილს უსიტყვოდ აკვირდებოდა. ვითომ კმაყოფილი იყო მისი პასუხით? კონსულს შინ და გზაში ყველაფერი კარგად აეწონ-დაეწონა.

ყველასთვის გასაგებია, იოჰან ბუდენბროკს რაც ჰქონდა გულში. რადაც უნდა დასჯდომოდა, ამ საქმიდან თავი უნდა დაეძვრინა და ფული არ გადაეხადა, მაგრამ როცა აგონდებოდა, ამ ქორწინებას თვითონ, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, როგორ ემხრობოდა, როცა მეხსიერებაში შვილის მზერას აღიდგენდა, ქორწილის შემდეგ მამას რომ შეხედა და ჰკითხა, კმაყოფილი ხარ ჩემით თუ არაო, ქალიშვილის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა. ახლა სხვა გზა არ იყო, ტონის ნება-სურვილს უნდა დაჰყოლოდა. კონსულმა მშვენივრად იცოდა, ტონი სიყვარულით არ გათხოვილა, მაგრამ ვარაუდობდა, ამ ოთხ წელიწადში ტონი მეუღლეს, ალბათ, შეეჩვია კიდეც და ბავშვის დაბადებაც ბევრ რამეს შეცვლიდაო. იქნებ ტონი ახლა თავის ქმართან სულითა და ხორცით იყო დაკავშირებული და ქრისტიანული მოსაზრებების გამო
განშორებაზე ფიქრსაც არ გაივლებდა გულში. ამ შემთხვევაში კონსული ფულზე უკან
არ დაიხევდა. ქრისტიანული მოვალეობა და დედაკაცის ღირსება ტონის ავალდებულებდა, მეუღლეს უბედურებაშიც თან გაჰყოლოდა. თუკი ტონი ამ გზას დაადგებოდა, კონსული თავს უფლებას ვერ მისცემდა, ასულისთვის მოეკლო ყოველი სიკეთე, რასაც ტონი ბავშვობიდან იყო მიჩვეული, ვალდებული იყო, კატასტროფა თავიდან აეცილებინა და რადაც უნდა დასჯდომოდა, ბ. გრიუნლიჰს მხარში ამოსდგომოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, დიდი განსჯა-ფიქრის შემდეგ
კონსულს მაინც ყველაზე კარგ გამოსავლად მიაჩნდა, თავისი ქალიშვილი ბავშვიანად
შინ წაეყვანა, ბატონ გრიუნლიჰს კი თუნდაც ჯანდაბამდე ჰქონოდა გზა, თუმცა ამ
უკიდურესობისგან იქნებ ღმერთს დაეფარა, ყოველი შემთხვევისთვის, კონსულს თან
მართლმსაჯულების კოდექსის ის პარაგრაფი წამოეღო, რომელიც განქორწინების უფლებას
იძლეოდა, თუ ქმარს ცოლ-შვილის რჩენა არ შეეძლო. მაგრამ კონსულს ჯერ თავისი
ქალიშვილის აზრი უნდა გაეგო.

- ჩემო საყვარელო შვილო, - თქვა კონსულმა და ტონის თმაზე კვლავ ალერსიანად გადაუსვა ხელი, - ვხედავ, რომ კეთილი და სანაქებო მოსაზრებანი გამოძრავებს. მხოლოდ არა მგონია, მოვლენებს ისე აფასებდე, როგორც საჭიროა. სახელდობრ, ისე უყურებდე, როგორც ფაქტებს. მე ის კი არ მიკითხავს, ამა თუ იმ შემთხვევაში რას იზამდი-მეთქი, არამედ ახლა, დღეს, ამ წუთში რას იზამ. არ ვიცი, რამდენად ხარ საქმეებში გარკვეული, ან რა ეჭვები გიტრიალებს გულში. მე მეტად არასასიამოვნო მოვალეობა მაკისრია. უნდა გითხრა, რომ შენი მეუღლე იძულებულია გადახდა შეწყვიტოს, მას საქმის გაძღოლა აღარ შეუძლია. იმედი მაქვს, გესმის ჩემი...

- გრიუნლიჰი კოტრდება?.. - იკითხა ტონიმ წყნარად, ბალიშიდან ნახევრად წამოიწია და კონსულს სწრაფად ჩასჭიდა ხელში ხელი.

- ჰო, ჩემო შვილო, - უპასუხა კონსულმა სერიოზულად, - არ გეგონა, ხომ?

- მე ასეთი არაფერი მიაზრია... - ენა დაება ტონის, - მაშ, კესელმაიერს არ უხუმრია? - განაგრძო მან და თავის წინ დაგებულ ყავისფერ ხალიჩას ირიბად გახედა, - ვ ა ი ღ მ ე რ თ ო! - წამოიძახა უცებ და ისევ ბალიშზე დაეშვა.

მხოლოდ ამ წუთში წარმოუდგა თვალწინ ყველაფერი, რაც სიტყვა „გაკოტრებაში“ იგულისხმებოდა, ყველაფერი, რაც ამ სიტყვის გაგონებაზე ჯერ კიდევ ბავშვობაში განეცადა.

„ბანკროტი“... - ეს სიკვდილზე უფრო საშინელი რამ იყო, - ეს იყო დაცემა, განადგურება, სირცხვილი, თავის მოჭრა, სასოწარკვეთა და სიღატაკე!..

- ის კოტრდება! - გაიმეორა მან.

ტონი გააოგნა და გააცამტვერა ამ საბედისწერო სიტყვამ, არსაიდან ხსნას არ მოელოდა, აღარც ის აგონდებოდა, მამამისს რომ შეეძლო შვილისთვის დახმარება გაეწია.

კონსულს წარბები აეზიდა და შვილს თავის წვრილ, ჩაცვენილ თვალებს არ აშორებდა. თვალებში ნაღველი და დაღლილობა ეტყობოდა, მაგრამ მათში უჩვეულო დაძაბულობას მაინც წაიკითხავდა კაცი.

- მე შენ გკითხე, ჩემო საყვარელო ტონი, - თქვა მან ნაზად, - მზად ხარ, შენს ქმარს სიღატაკეშიც გვერდში ამოუდგე? - კონსული თავის თავს მაშინვე გამოუტყდა, სიტყვა „სიღატაკე“ ინსტინქტურად, ქალიშვილის დასაშინებლად რომ ამოირჩია და მაშინვე დასძინა, - თუმცა შეიძლება კიდევ წამოდგეს ფეხზე.

- რა თქმა უნდა, მამა, - ვითომ მტკიცედ უპასუხა ტონიმ, მაგრამ თვალზე ცრემლი მაინც მოადგა, სახე ბატისტის ცხვირსახოცში ჩამალა და აქვითინდა. არშიაშემოვლებულ ცხვირსახოცზე მონოგრამა „ა. გ.“ იყო ამოქარგული. ტონი ბავშვურად ტირილს ჯერ კიდევ ვერ გადასჩვეოდა. ცრემლების სულ არ რცხვენოდა, გულამოსკვნილი ტიროდა და ზედა ტუჩი გულის ამაჩუყებლად უცახცახებდა.

მამა გამომცდელ თვალს არ აცილებდა.

- ეს შენი სერიოზული გადაწყვეტილებაა, შვილო? - შეეკითხა იგი. კონსული ტონიზე არანაკლებ უმწეოდ გრძნობდა თავს.

- განა ვალდებული არა ვარ? - ქვითინებდა ტონი, - მე ხომ ვალდებული ვარ...

- სულაც არა! - თქვა კონსულმა ცოცხლად, მაგრამ, თითქოს დამნაშავედ იგრძნო თავიო, სწრაფად გამოასწორა, - მე ვერ გაიძულებდი-მეთქი, თავი გაგეწირა. თუ, რა თქმა უნდა, შენი გრძნობებით ქმარზე სამუდამოდ არა ხარ მიჯაჭვული.

ტონიმ მამას ცრემლით დაბურული, უაზრო თვალებით შეხედა.

- როგორ, მამა?..

კონსული თითქოს დაიბნა, მაგრამ გამოსავალი მაინც იპოვა:

- ჩემო საყვარელო შვილო, ხომ გჯერა, როგორ მომიკვდება გული, ყველა იმ სისაძაგლისა და შერცხვენისთვის რომ გაგიმეტო, რაც შენი ქმრის უბედურებას, მისი საქმის მოსპობასა და შენი ოჯახის დანგრევას მოჰყვება. მე მინდა პირველ უსიამოვნებებს აგაცდინო და შენი ერიკათი შინ წაგიყვანო. მე მგონი, მადლობელი დამრჩები, არა?

ტონი ერთი წუთით გაჩუმდა და ცრემლები შეიშრო. ცხვირსახოცს სული შეუბერა და თვალებზე აიფარა, რომ ავარვარებული ქუთუთოები დაეამებინა. შემდეგ ისევ ხმადაბლა, მაგრამ გადაჭრით იკითხა:

- მამა, გრიუნლიჰი დამნაშავეა? თავისი თავქარიანობითა და დაუფიქრებლობით დაატყდა თავს ეს უბედურება?

- ადვილი შესაძლებელია!.. - თქვა კონსულმა, - თუმცა რა ვიცი, შვილო. მე გითხარი, განხეთქილება შენს ქმარსა და მის ბანკირს შორის ჯერ კიდევ არ მოგვარებულა- მეთქი.

ტონის ამ პასუხისთვის ყურადღება თითქოს არც მიუქცევია. აბრეშუმის ბალიშებზე დაიხარა, იდაყვები მუხლებზე დააბჯინა, ნიკაპით ხელებს დაეყრდნო და თავჩაქინდრულმა დაფიქრებული და მეოცნებე თვალი ოთახს თავიდან ბოლომდე მოავლო.

- ეჰ, მამა, - თქვა მან წყნარად. ბაგე თითქმის არ შეურხევია, - განა უკეთესი არ იქნებოდა, მაშინ რომ...

კონსული მის სახეს ვერ ხედავდა. ტონის ის ძველებური გამომეტყველება დაჰბრუნებოდა, ტრავემიუნდეში თავისი პატარა ოთახის ფანჯრიდან ცქერისას რომ ჰქონდა ხოლმე. ცალი მკლავი მამის მუხლზე ედო, ხელის მტევანი კი უღონოდ ჩამოჰკიდებოდა. ეს ხელი კი გამოხატავდა უსასრულოდ ნაღვლიან და ნაზ ლტოლვას, მოგონებებით სავსე ტკბილ სევდას, რომელიც შორეულ წარსულში დარიალებდა.

- უკეთესი იქნებოდა? - იკითხა კონსულმა ბუდენბროკმა, - რა იქნებოდა უკეთესი, შვილო?

კონსული სულითა და გულით მზად იყო ეღიარებინა, კარგი იქნებოდა, ტონი რომ გრიუნლიჰს არ გაჰყოლოდაო.

პასუხად ტონიმ მხოლოდ ამოიოხრა:

- ეჰ, არაფერი!

ტონი ფიქრებმა გაიტაცა. იგი სადღაც შორს დაფრინავდა და „ბანკროტი“ თითქოს დაავიწყდა კიდეც.

კონსული იძულებული გახდა, გამოეთქვა ერთი აზრი, თუმცა ერჩია, ის აზრი ტონის ეთქვა და თვითონ მხოლოდ დაედასტურებინა.

- მე მგონი, გამოვიცანი შენი ფიქრები, ტონი, - თქვა მან, - მეც, ჩემი მხრივ, შენ წინაშე უყოყმანოდ მინდა ვაღიარო, იმ ნაბიჯს, ოთხი წლის წინ ჭკვიანური და საჭირო რომ მეჩვენებოდა, ამ წუთში ვინანიებ... ნამდვილად ვინანიებ. მე მჯერა, რომ ღმერთთან პირნათლად ვარ. მეგონა, ჩემს ვალს ვასრულებდი, როცა ვცდილობდი, შენთვის შენი ჩამომავლობის საკადრისი ცხოვრება შემექმნა... ღმერთმა სხვაგვარად ინება... გულში ერთხელაც არ გაივლო, რომ მამაშენმა მაშინ იოლად და დაუფიქრებლად შეაგდო შენი ბედი სასწორზე! გრიუნლიჰი საუკეთესო რეკომენდაციებით მოვიდა ჩემთან. პასტორის ვაჟიშვილი იყო, ქრისტიანი, საზოგადოებაში გამოსული კაცი... შემდეგ მასზე საქმიანი ცნობები შევკრიბე. ცნობები უკეთესი არ შეიძლებოდა, ისეთი იყო. ყველაფერი შევამოწმე... ეს ყველაფერი ახლა ბნელითაა მოცული და ჯერ კიდევ ახსნას მოითხოვს, მაგრამ შენ ხომ არ მემდური, არა, ხომ?!

- არა, მამა, რას ამბობ! ამ ამბავს გულთან ახლოს ნუ მიიტან, საბრალო მამიკო... ისეთი გაფითრებული ხარ. კუჭის წვეთები ხომ არ მოგირბენინო? - ტონიმ მამას ყელზე მკლავი შემოაჭდო და ლოყები დაუკოცნა.

- გმადლობ, შვილო, - თქვა კონსულმა, - ჰო, კარგი... კარგი, მადლობელი ვარ შენი. გვარიანი მძიმე დღეები გადავიტანე... რა უნდა ქნა კაცმა? ბევრი უსიამოვნება შემხვდა. ეს ყველაფერი, ალბათ, ღვთის მიერ მოვლენილი გამოცდა იყო, მაგრამ არ იფიქრო, შენ წინაშე თავს სრულიად უდანაშაულოდ ვგრძნობდე, ჩემო შვილო. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ჩემს კითხვზე რა პასუხს გამცემ. გულახდილად მითხარი, ტონი, ამ ხნის განმავლობაში შენი ქმარი შეგიყვარდა თუ არა?

ტონი ხელახლა ატირდა, ბატისტის ცხვირსახოცი ორივე ხელით თვალებზე მიიფარა და ამოილუღლუღა:

- აჰ... რას მეკითხები, მამა! მე ის არასოდეს მყვარებია... ყოველთვის მეზიზღებოდა... განა შენ არ იცი?

ძნელი იყო იმის თქმა, კონსულს სახეზე რა ეხატებოდა. თვალებში შიში და ნაღველი ემჩნეოდა, ტუჩები ისე მოეკუმა, რომ ტუჩის კუთხეები და ლოყები ჩანაოჭებოდა. კონსული ასეთ გამომეტყველებას მაშინ იღებდა ხოლმე, როცა რომელიმე მომგებიან საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. მან წყნარად წარმოთქვა:

- ოთხი წელი...

ტონის ცრემლები უცბად შეაშრა. სველი ცხვირსახოცი ხელში შერჩა, ბალიშებზე წამოიმართა და განრისხებულმა წამოიძახა:

- ოთხი წელი... დიახ! ამ ოთხ წელიწადში ოთხჯერ თუ მჯდარა ჩემთან და ისიც იმიტომ, რომ გაზეთი წაეკითხა!

- ღმერთმა შვილი გიბოძათ... - თქვა ერთიანად შეძრულმა კონსულმა.

- დიახ, მამა, ერიკა ძალიან მიყვარს, თუმცა გრიუნლიჰი მიმტკიცებს, ცუდი დედა ხარო... ერიკას ცოცხალი თავით არ დავთმობ... მაგრამ გრიუნლიჰი - არა!.. გრიუნლიჰის სახელი არ გამაგონოთ! მაგ უბედურს გაკოტრებაღა აკლდა!.. აჰ, მამა, თუ მე და ერიკას შინ წაგვიყვან, სიხარულით წამოვალთ!.. ახლა ხომ იცი ჩემი აზრი!

კონსულმა ტუჩები ისევ მოკუმა, იგი უაღრესად კმაყოფილი დარჩა. მთავარი საკითხი ჯერ კიდევ გადასაწყვეტი ჰქონდა, მაგრამ ტონი თავის სიტყვაზე ისე მტკიცედ იდგა, გრძნობდა, საშიში აღარაფერი იყო.

- ერთი რამეც უნდა გითხრა, ტონი, შენ მგონი სულ დაგავიწყდა, რომ ჩემი დახმარებით შეიძლება მოევლოს ამ საქმეს. მამაშენმა გამცნო, რომ შენ წინაშე სავსებით უდანაშაულოდ ვერა გრძნობს თავს და იმ შემთხვევაში... ჰო, იმ შემთხვევაში, თუ მისგან დახმარებას მოელი... ის გაიჭირვებდა, ამ უბედურებას თავიდან აგაშორებდა, შენი ქმრის ვალებს ავად თუ კარგად დაფარავდა და საქმესაც შეუნარჩუნებდა.

კონსული ტონის დაძაბული აკვირდებოდა და მისმა გამომეტყველებამ კმაყოფილებით აღავსო. ტონი გულგატეხილი ჩანდა.

- მაინც რამდენია გადასახდელი? - იკითხა მან.

- საქმე ცუდადაა, ჩემო შვილო... დიდი ფულია საჭირო, დიდი! - და კონსულმა ბუდენბროკმა თავი რამდენჯერმე გააქნია, თითქოს აქეთ-იქით ამ თანხაზე ფიქრის სიმძიმე აქანავებსო, - ამასთან, - განაგრძო მან, - უფლება არა მაქვს დაგიმალო, რომ ფირმამ ისედაც საკმაო ზარალი ნახა, ამ თანხის გადახდა მას საგრძნობლად დაასუსტებს და წელში ძნელად გაიმართება. არ იფიქრო, ამას იმიტომ გეუბნებოდე...

კონსულს სიტყვა არ დაუსრულებია. ტონი ფეხზე წამოიჭრა, სველი ცხვირსახოცი ისევ ხელში ეჭირა, ორი ნაბიჯით უკან დაიხია და ხმამაღლა დაიყვირა:

- კარგი! კმარა! არასოდეს!

ტონი თითქმის გმირულად გამოიყურებოდა. „ფირმის“ ხსენებამ საბოლოოდ განუმტკიცა გადაწყვეტილება. ეს ნაბიჯი სიტყვა „ფირმამ“ უფრო გადაადგმევინა, ვიდრე ბატონ გრიუნლიჰისადმი ზიზღმა.

- შენ ამას არ იზამ, მამა! - განაგრძო მოთმინებიდან გამოსულმა ტონიმ, - ახლა შენც გინდა გაკოტრდე? კმარა! არასოდეს!

ამ დროს დერეფანში გამავალი კარი ყოყმანით გაიღო და ბატონი გრიუნლიჰი შემოვიდა.

იოჰან ბუდენბროკი ისე წამოდგა, თითქოს ამბობდა, ყველაფერი დამთავრებულიაო.

მერვე თავი

ბატონ გრიუნლიჰს მღელვარებისგან სახე აფორეჯებოდა, მაგრამ ზედმიწევნით ფაქიზად იყო ჩაცმული: შავი, მინაოჭებული სერთუკი და მუხუდოსფერი შარვალი ეცვა, თითქმის ისეთი, როგორც მაშინ, მენგშტრასეზე პირველად რომ გამოცხადდა. იგი მოიბუზა, მზერა იატაკს მიასო და რბილი, შემპარავი ხმით თქვა:

- მამაჩემო...

კონსულმა ცივად დაუკრა თავი და ენერგიული ჟესტით ყელსახვევი შეისწორა.

- მადლობას მოგახსენებთ, რომ ჩამობრძანდით, - დასძინა ბატონმა გრიუნლიჰმა.

- ეს ჩემი მოვალეობა გახლდათ, მეგობარო, - მიუგო კონსულმა, - მხოლოდ ვშიშობ, რომ ამითღა შემიძლია დაგეხმაროთ.

სიძემ სიმამრს გამსჭვალავი მზერა ესროლა და კიდევ უფრო მოიბუზა.

- გავიგე, რომ თქვენი ბანკირი, ბატონი კესელმაიერი გველოდება... მოლაპარაკება სად გადაგიწყვეტიათ? შეგიძლიათ მიმსახუროთ...

- გთხოვთ, მოწყალება მოიღოთ და გამომყვეთ, - წაილუღლუღა ბატონმა გრიუნლიჰმა.

კონსული ბუდენბროკი ქალიშვილს შუბლზე ეამბორა და უთხრა:

- ადი მაღლა, შენს ბავშვთან, ანტონია!

შემდეგ მან ბატონ გრიუნლიჰთან ერთად სასადილო ოთახი გაიარა და სასტუმროში გავიდა. ბატონი გრიუნლიჰი სიმამრს ხან წინ უსწრებდა, ხან უკან რჩებოდა და მძიმე ფარდებს გვერდზე სწევდა.

ბატონი კესელმაიერი ფანჯარასთან იდგა. როცა შემობრუნდა, ბუმბულივით მსუბუქი ჭაღარა თმა აუფარფატდა. მერე ისევ ნაზად დაულაგდა კეფაზე.

- ბატონი ბანკირი კესელმაიერი... დიდვაჭარი კონსული ბუდენბროკი, ჩემი სიმამრი...
- სერიოზულად და მოწიწებით განაცხადა ბატონმა გრიუნლიჰმა.

კონსულს სახეზე ერთი ნაკვთი არ შერხევია. ბატონმა კესელმაიერმა მკლავები ჩამოყარა, წელში მოიკეცა, ყვითელი ღოჯები ზედა ტუჩს მიაბჯინა და თქვა:

- გთხოვთ, მიმსახუროთ, ბატონო კონსულო! ნება მიბოძეთ, თქვენი ხილვის გამო ჩემი უდიდესი კმაყოფილება გამოვთქვა!

- მომიტევეთ, რომ გალოდინეთ, კესელმაიერ, - თქვა ორივეს მიმართ მთლად თავაზიანობად ქცეულმა ბატონმა გრიუნლიჰმა.

- საქმეზე ხომ არ გადავიდეთ? - შენიშნა კონსულმა და ოთახში ისე გაიხედ-გამოიხედა, თითქოს რაღაცას დაეძებსო.

მასპინძელს არ დაუხანებია:

- გთხოვთ, ბატონებო.

სანამ მოსაწევ ოთახში გავიდოდნენ, ბატონმა კესელმაიერმა კონსული მხიარულად მოიკითხა:

- ხომ კარგად იმგზავრეთ, ბატონო კონსულო?.. აჰ, წვიმდა, ხომ? ნამდვილად ცუდი ამინდია, საზიზღარი და ტალახიანი! ყინავდეს მაინც ან წამოთოვოს! გაგიგონიათ?! წვიმა და ტალახი! წვიმა და ტალახი! არა, ნამდვილად აუტანელია...

რა უცნაური ადამიანიაო, - გაიფიქრა კონსულმა.

მუქშპალერიანი პატარა ოთახის შუაგულში საკმაოდ დიდი, ოთხკუთხა, მწვანე მაუდგადაკრული მაგიდა იდგა. წვიმამ იმატა. ისე ბნელოდა, რომ ბატონმა გრიუნლიჰმა მაგიდაზე ჩამოდგმულ ვერცხლის სამივე შანდალში სანთლები მყისვე აანთო. მწვანე მაუდზე მოცისფრო, ფირმების ბეჭედდასმული საქმიანი ბარათები და დაჭმუჭნილი, დახეული, თარიღებითა და ხელმოწერებით აჭრელებული ქაღალდები ეყარა. იქვე სქელტანიანი დავთარი, წვერწამახული ბატის ფრთებითა და ფანქრებით სავსე ფოლადის საკალმე და საშრობი ქვიშის ფოლადისავე ჭურჭელი იდო.

ბატონი გრიუნლიჰი სიმამრსა და ბანკირს ისე წყნარად, ტაქტიანად და თავშეკავებულად ემსახურებოდა, თითქოს სამგლოვიარო ცერემონიალზე სტუმრებს იღებსო.

- ძვირფასო მამა, თქვენ აქ დაბრძანდით სავარძელში, - ნაზად უთხრა სიმამრს, - ბატონო კესელმაიერ, იქნებ ინებოთ და აქ დაბრძანდეთ?..

ბოლოს, როგორც იქნა, დალაგდნენ. ბანკირი მასპინძლის პირისპირ მოთავსდა, კონსული კი მაგიდას განიერი მხრიდან შემოუჯდა. მისი სავარძლის ზურგი დერეფანში გამავალ კარს ებჯინებოდა.

ბატონი კესელმაიერი წინ წაიხარა, ტუჩი ჩამოუშვა, ჟილეტიდან ერთი პენსნე გამოხსნა და ცხვირზე დაიკოსა. შემდეგ ცხვირი შეჭმუხნა, პირი დააღო, გაკრეჭილი

ბაკენბარდები ნერვების მომშლელად მოიფშვნიტა, მერე ხელებით მუხლებს დაეყრდნო, თავი ქაღალდებისკენ დაიქნია და მოკლედ და ხალისიანად შენიშნა:

- აჰა! ესეც მთელი ჩვენი ავლადიდება!

- ნებას მომცემთ, საქმეს უფრო ახლოს გავეცნო? - იკითხა კონსულმა და დიდ დავთარს მისწვდა.

უცებ ბატონმა გრიუნლიჰმა ხელები მაგიდას მთელ სიგრძეზე გადმოაწვდინა გრძელი, ძარღვებდაბერილი, ათრთოლებული ხელები და აღელვებული ხმით წამოიძახა:

- ერთი წუთით! ერთი წუთით კიდევ მაცალეთ, მამაჩემო! დამაცადეთ, ერთხელ კიდევ გაგაფრთხილოთ!.. დიახ, თქვენ ჩაიხედავთ ამ დავთარში. ვიცი, თქვენს თვალს არაფერი გამოეპარება... მაგრამ მერწმუნეთ: თქვენ უბედური კაცის ბედში ჩაიხედავთ და არა დამნაშავე კაცის ბედში! გევედრებით, ჩემში კაცი დაინახოთ, მამაჩემო, კაცი, რომელიც დაუღალავად ებრძოდა ბედისწერას, მაგრამ მუხთალმა ბედმა მიწასთან გაასწორა! გთხოვთ, ამ აზრით...

- ვნახავ, ჩემო მეგობარო, ვნახავ! - აშკარად მოუთმენლად მიუგო კონსულმა; ბატონმა გრიუნლიჰმა ხელები უკან წაიღო და ბედს დამორჩილდა.

სიჩუმეში მძიმედ გადიოდა საშინელი წუთები. სანთლების მოლიცლიცე შუქზე, ოთხ კედელშუა, ერთმანეთთან მჭიდროდ იჯდა სამი მამაკაცი. სიჩუმეს მხოლოდ ფურცლების შრიალი არღვევდა, გარედანაც მხოლოდ წვიმის შხაპუნი ისმოდა.

ბატონ კესელმაიერს ცერები ჟილეტის ჭრილში შეეცურებინა, დანარჩენ თითებს მკერდზე პიანისტივით ათამაშებდა და ენით გამოუთქმელი ხალისიანი მზერა სიძიდან სიმამრზე გადაჰქონდა. ბატონი გრიუნლიჰი სკამზე გაჭიმული იჯდა, ხელები მაგიდაზე დაებჯინა, დაღვრემილი წინ იყურებოდა და დროგამოშვებით შეშინებულ მზერას სიმამრის მხარეს გააპარებდა ხოლმე. კონსული დავთარს ფურცლავდა, საჩვენებელ თითს ციფრების სვეტებს აყოლებდა, თარიღებს ადარებდა და ქაღალდზე გაურკვეველი ხელით ციფრებს იწერდა. დაძაბულ სახეზე შეძრწუნება ეხატებოდა. ბოლოს, სულის სიღრმემდე შეძრულმა კონსულმა ბატონ გრიუნლიჰს ხელი მკლავზე დაადო და უთხრა:

- თქვენ მართლა შესაბრალისი კაცი ყოფილხართ!

- მამაჩემო... - აღმოხდა ბატონ გრიუნლიჰს.

შესაბრალის კაცს ლოყებზე ოქროსფერ ბაკენბარდებამდე ორი მსხვილი კურცხალი ჩამოუგორდა. ბატონი კესელმაიერი ამ ორი წვეთის გზას უდიდესი ინტერესით აკვირდებოდა; იგი ოდნავ წამოიწია კიდეც, წინ გადაიხარა და მის პირისპირ მჯდომ გრიუნლიჰს პირდაღებული მიაჩერდა.

კონსული ბუდენბროკი მეტისმეტად აღელვებული იყო, საკუთარი უბედურება გაახსენდა, მოლბა და იგრძნო, მის გულში სიბრალული როგორ იჭრებოდა, მაგრამ მალე მოთოკა თავისი გრძნობები.

- დაუჯერებელია, როგორ შეიძლებოდა... სულ რამდენიმე წელიწადში!.. - თქვა მან და უიმედოდ გააქნია თავი.

- მაგაზე იოლი რაა! - უპასუხა კარგ გუნებაზე დამდგარმა ბატონმა კესელმაიერმა, - ოთხ წელიწადში კაცი მილიონს გამოუყვანს წირვას. ორი დღის წინ არ იყო, ბრემენში, ძმები ვესტფალები ცივ ნიავს რომ არ იკარებდნენ!

თვალებმოჭუტულმა კონსულმა ბანკირს გახედა, მაგრამ ამ წუთში მას ვერც ხედავდა და მისი არც რამე ესმოდა. კონსულს ტვინის მბურღავი ფიქრები არაფრით გამოუმჟღავნებია. იგი თავს დაეჭვებული და გაოგნებული ეკითხებოდა, ეს უბედურება რაღა მაინცდამაინც ახლა უნდა მომხდარიყოო. ბენდიქს გრიუნლიჰი შეიძლებოდა ორი-სამი წლის წინათაც ჩავარდნილიყო ასეთივე დღეში; ამას კაცი ერთი შეხედვითაც შეატყობდა, მაგრამ მისი კრედიტი ამოუწურავი იყო, ბანკებისგან კაპიტალს იღებდა, თანაც ისეთი სოლიდური სავაჭრო სახლების პატრონებისგან ჰქონდა ხელმოწერები, როგორიც სენატორი ბოკი და კონსული გუოდშტიკერი გახლდნენ. ეს ბატონები გრიუნლიჰის ყოველ წამოწყებას უჭერდნენ მხარს და მის თამასუქებს ნაღდი ფულივით იღებდნენ. რატომ მაინცდამაინც ახლა, ახლა... - ფირმა „იოჰან ბუდენბროკის“ შეფმა კარგად იცოდა, რას გულისხმობდა ამ „ახლაში“ - ეს იყო განადგურება, საყოველთაო უნდობლობის გამოცხადება, ერთსულოვანი დარტყმა გრიუნლიჰზე, ყოველგვარი დათმობის გარეშე, ყოველგვარი თავაზიანობის ფორმის დაცვის გარეშე.

კონსული მეტისმეტად გულუბრყვილო იქნებოდა, ერთი რამ რომ არ სცოდნოდა, - მისი ფირმის სახელს ანტონიასთან შეუღლების შემდეგ გრიუნლიჰისთვის სარგებლობა უნდა მოეტანა. მაგრამ განა მისი სიძის კრედიტი ასე სავსებით, ასე აშკარად იყო დამოკიდებული იოჰან ბუდენბროკის კრედიტზე? მაშ, გრიუნლიჰი თვითონ არაფერი ყოფილა? მერე ის ცნობები, კონსულმა რომ შეკრიბა, ის დავთრები, თვითონ რომ გასინჯა?.. ასე იყო თუ ისე, კონსულმა ბუდენბროკმა უფრო მტკიცედ გადაწყვიტა, ამ საქმის სასარგებლოდ თითი არ გაენძრია. მაშ, კონსული შეცდა! როგორც ჩანდა, ბენდიქს გრიუნლიჰი ხალხს აჩვენებდა, იოჰან ბუდენბროკთან ვთანამშრომლობო. ამ ფართოდ გავრცელებულ სიცრუეს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოღებოდა! ეს კესელმაიერიც რა გაოგნებული დარჩება! ჰქონდა კი ამ ჯამბაზს სინდისი?

აშკარა იყო, ბანკირი უსირცხვილოდ სპეკულანტობდა. იმედი ჰქონდა, იოჰან ბუდენბროკი ქალიშვილის ქმარს არ გასწირავსო. კესელმაიერი უკვე განადგურებულ გრიუნლიჰს კიდევ და კიდევ ანდობდა კრედიტს, მაგრამ პროცენტებში ტყავსაც აძრობდა.

- მორჩა და გათავდა! - მოჭრა კონსულმა ბოლოს, - საქმეზე გადავიდეთ. როგორც კომერსანტმა თუ ჩემი აზრი უნდა გამოვთქვა, სამწუხაროდ, იძულებული ვარ, ვაღიარო, რომ ეს საქმე თუმცა უბედური, მაგრამ უაღრესად დამნაშავე კაცის საქმე გახლავთ.

- მამაჩემო... - წაილუღლუღა ბატონმა გრიუნლიჰმა.

- ეს მომართვა ყურს მჭრის!- სწრაფად და მკვახედ შეატოვა პირში სიტყვა კონსულმა, - თქვენ, ბატონო ჩემო, - განაგრძო მან და ბანკირს მიუბრუნდა, - ბატონ გრიუნლიჰისგან სამოცი ათასი მარკა გერგებათ, არა?

- გადასახდელი თანხა კაპიტალზე დარიცხული პროცენტებიანად 68755 მარკასა და 15 შილინგს შეადგენს, - მშვიდად უპასუხა ბატონმა კესელმაიერმა.

- ძალიან კარგი... და თქვენ არავითარ შემთხვევაში არ დაიოკებდით თქვენს მოთმინებას?

ბატონი კესელმაიერი ახარხარდა. მოხუცი ბანკირი ხახადაფჩენილი იცინოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ყოველგვარი დაცინვის გარეშე, გულკეთილადაც კი. კონსულს სახეში შესცქეროდა, თითქოს უნდოდა, ისიც აეყოლიებინა.

იოჰან ბუდენბროკს პატარა, ღრმად ჩამჯდარი თვალები დაუნაღვლიანდა, ქუთუთოები ჩაუწითლდა, სიწითლე ღაწვებამდე მოედო. მან მხოლოდ ყასიდად დაუსვა კესელმაიერს ასეთი კითხვა, თორემ მშვენივრად იცოდა, ბანკირს ვადა რომც გაეგრძელებინა, ეს საქმეს მაინც არ უშველიდა, გრიუნლიჰს მევალე სხვაც ბევრი ჰყავდა. მაგრამ ასე დამამცირებელმა უარმა კონსული ძალზე გაანაწყენა. მან ხელის ერთი გაქნევით მოიშორა ყველა საქმე, ფანქარიც დააგდო და წარმოთქვა:

- გიცხადებთ, რომ არავითარი სურვილი არა მაქვს ამ საქმეში გავერიო.

- აჰა! - წამოიძახა ბატონმა კესელმაიერმა და ხელები გაასავსავა, - აი, მესმის. ეს არის ნამდვილი კაცური სიტყვა! კონსული საქმეს სულ უბრალოდ მოაგვარებს, ყოველგვარი ბჭობის გარეშე, ერთი ხელის მოსმით!

იოჰან ბუდენბროკს მისთვის ზედაც არ შეუხედავს.

- მე არ შემიძლია დაგეხმაროთ, ჩემო მეგობარო, - მშვიდად მიუბრუნდა კონსული ბატონ გრიუნლიჰს, - ეს საქმე ისევ თავისი გზით უნდა წავიდეს... მე არ ძალმიძს მხარი დაგიჭიროთ. გამხნევდით და ნუგეში ღმერთთან ეძიეთ. მოლაპარაკება დამთავრებულად მიმაჩნია.

ბატონ კესელმაიერის სახემ მოულოდნელად მიიღო სერიოზული გამომეტყველება, მაგრამ შემდეგ ბატონ გრიუნლიჰს გამამხნევებლად დაუქნია თავი. ბატონი გრიუნლიჰი უძრავად იჯდა და გრძელ ხელებს მაგიდაზე ისე მაგრად აჭერდა, რომ სახსრებს ტკაცუნი გაჰქონდა.

- მამაჩემო... ბატონო კონსულო... - მთრთოლარე ხმით დაიწყო მან, - თქვენ... თქვენ... ნუთუ თქვენ შეგიძლიათ ჩემი დაღუპვა, ნუთუ გამწირავთ? მომისმინეთ, ეს სულ ას ოცი ათასი მარკის საქმეა... თქვენ შეგიძლიათ მიხსნათ! თქვენ მდიდარი კაცი ხართ! როგორც გნებავთ, ისე ჩათვალეთ ეს თანხა... როგორც საბოლოო ანგარიშის გასწორება, როგორც თქვენი ქალიშვილის კუთვნილი მემკვიდრეობა, როგორც პროცენტიანი სესხი... მე ვიმუშავებ... თქვენ იცით, როგორი ალღოიანი და დაუდეგარი ვარ...

- მე ვთქვი და გავათავე, - მოუგო კონსულმა.

- რაო, რაო? რა ბრძანეთ? არ შემიძლიაო? - იკითხა ცხვირშეჭმუხნილმა კესელმაიერმა და კონსულს პენსნედან გახედა, - თუ ბატონ კონსულისთვის რჩევის მიცემას გავბედავ... ეს იქნებოდა სწორედ საუკეთესო საშუალება, ფირმა „იოჰან ბუდენბროკის“ ძალა დაგედასტურებინათ.

- კარგს იზამდით, ბატონო კესელმაიერ, ჩემი სავაჭრო სახლის ღირსების საქმე ჩემთვის მოგენდოთ. ფირმის გადახდისუნარიანობის ნათელსაყოფად სულაც არ მჭირდება, ფული ქარს გავატანო...

- არა, რა თქმა უნდა, არა! აჰაა, ქარს გაატანოთ, არა? მოსწრებულადაა ნათქვამი, მაგრამ, ბატონო კონსულო, ვითომ თქვენი ბატონი სიძის გაკოტრება თქვენც არ მოგაყენებთ ჩრდილს? ა? არა?

- ერთხელ კიდევ გირჩევთ საქმიან სამყაროში ჩემს სახელზე ზრუნვა მე თვითონ მომანდოთ! - მიუგო კონსულმა.

ბატონმა გრიუნლიჰმა თავის ბანკირს უმწეოდ შეხედა და ხელახლა დაიწყო:

- მამაჩემო... გევედრებით, დაფიქრდით, რას სჩადიხართ!.. განა მარტო ჩემზეა საქმე? მე თუნდაც მეწყერს წავუღივარ! მაგრამ თქვენი ქალიშვილი, ჩემი ცოლი, ჩემი სათაყვანებელი მეუღლე, რომელიც ასეთი ცხარე ბრძოლით დავისაკუთრე... მერე ჩვენი ბავშვი. ჩვენი უმანკო ბავშვი... ისინიც გაჭირვებაში უნდა ჩაცვივდნენ! არა, მამაჩემო, მე ამას ვერ გადავიტან! მე თავს მოვიკლავ! დიახ, საკუთარი ხელით მოვიკლავ თავს... მერწმუნეთ! და მაშინ შეგინდოთ უფალმა შეცოდებანი თქვენნი!

გულაძგერებული და ფერწასული იოჰან ბუდენბროკი სავარძელს მიესვენა. ეს მეორეჯერ უტევდა კონსულს ამ კაცის თითქოსდა გულწრფელი განცდები, კვლავ იძულებული იყო იგივე საზიზღარი მუქარა მოესმინა, როგორიც ერთხელ, ბატონ გრიუნლიჰს ტრავემიუნდედან თავისი ქალიშვილის გამოგზავნილი ბარათის შინაარსი რომ გააცნო.

კონსულს კვლავ თავისი თაობისთვის დამახასიათებელი გრძნობა დაეუფლა - მოწიწება ადამიანის გრძნობების წინაშე, რაც მის ალღოიან, პრაქტიკულ და საქმიან გონებას სრულებით არ შეეფერებოდა, მაგრამ ეს სისუსტე წუთზე მეტხანს არ

გაგრძელებულა. „120000 მარკა“... - გაიმეორა გულში და შემდეგ დინჯად და მტკიცედ წარმოთქვა:

- ანტონია ჩემი ქალიშვილი გახლავთ. მე მას დავიფარავ დაუმსახურებელი ტანჯვისგან.

- ამით რისი თქმა გსურთ? - შეეკითხა გაოგნებული ბატონი გრიუნლიჰი.

- თქვენ ამას შეიტყობთ, - უპასუხა კონსულმა, - ახლა მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი.

ამ სიტყვებზე იოჰან ბუდენბროკი წამოდგა, სკამი გადადგა და კარისკენ გაემართა.

ბატონი გრიუნლიჰი მუნჯივით იჯდა, გაშეშებული და გაოგნებული, მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა, მაგრამ პირიდან ხმა არ ამოსდიოდა. სამაგიეროდ, ბატონ კესელმაიერს კონსულის გადამწყვეტი და ყოვლისმთქმელი მოძრაობის შემდეგ სიცოცხლე დაუბრუნდა... დიახ, ის მეტისმეტად გამოცოცხლდა, საზღვარს გადავიდა და თანდათან საშიში ხდებოდა. შეჭმუხნილი ცხვირიდან პენსნე ჩამოუვარდა, გეგონებოდათ, აგერ-აგერ გაეხევაო. პატარა, წითელი ხელებით ჰაერს ხოფავდა, ფუმფულა თმა უფარფატებდა, ზედმეტად მორეული ხალისისგან შეშლილი და დამანჭული სახე სინგურისფერი გაუხდა.

- აჰაა! - დაიყვირა მან, მაგრამ ხმამ უღალატა, - ძალიან კარგია, ძალიან! იქნებ დაფიქრებულიყავით, ბატონო კონსულო ბუდენბროკ, სანამ ასეთ საყვარელ სიძიკოს, ასეთ ძვირფას ეგზემპლარს სამარეში გადაუძახებდით!.. ასეთი სიმარჯვისა და საზრიანობის ნიმუშს ამქვეყნად მეორეს ვერ იპოვით. აჰა! ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ, როცა დანა ყელზე გვქონდა მობჯენილი, ბირჟაზე ქვეყნის გასაგონად გამოვაცხადეთ მადმუაზელ ბუდენბროკთან გრიუნლიჰის ჯვრისწერის ამბავი, სანამ მართლა მოხდებოდა ეს ჯვრისწერა, მანამდე... ამას მოფიქრება არ უნდოდა?!

- კესელმაიერ! - გამყივანი ხმა აღმოხდა ბატონ გრიუნლიჰს და დაკრუნჩხული ხელები ისე გაიქნია, თითქოს თავიდან მოჩვენებას იშორებსო. მერე ოთახის კუთხეში სკამზე მიიკუნჭა, სახე ხელებში ჩამალა და ისე მოიკუზა, რომ ბაკენბარდების წვეროები ბარკლებზე დაეფინა. რამდენჯერმე მუხლებიც კი აიტანა ზევით.

- როგორ დავაგვირგვინეთ ეს საქმე? - განაგრძო ბატონმა კესელმაიერმა, - როგორ მოვიგდეთ ხელში 80000-მარკიანი ასული? ოჰო! ეგ რა დიდი ბედენაა! კაცს ამის „დაუდეგრობისა და ალღოიანობის“ მეათედიც რომ გააჩნდეს, ეს არ გაუჭირდება! დაუდებ მხსნელ ბატონ მამიკოს ნამდვილად მშვენიერ დავთრებს წინ, საუკეთესო, ჩაწიკწიკებულ დავთრებს... დავთრებში ყველაფერი წესსა და რიგზეა... მხოლოდ ესაა, უხეშ სინამდვილეს სავსებით არ შეეფერება... რადგან უხეშ სინამდვილეში მზითვის სამი მეოთხედი უკვე თამასუქებშია დაბევებული!

მკვდარივით გაფითრებული კონსული კართან იდგა. ხელი სახელურისთვის ჩაევლო. ტანში ჟრუანტელი უვლიდა. ნუთუ მარტო იყო ამ პატარა, მკრთალად განათებულ ოთახში თაღლითსა და სიბრაზისგან ჭკუაზე აცდენილ მაიმუნთან?

- ბატონო ჩემო, მე ზიზღსა მგვრის თქვენი სიტყვები, - ყოყმანით წარმოთქვა მან, - ზიზღსა მგვრის თქვენი ბოროტი ცილისწამება მით უფრო, რომ ის მეც მეხება... მეც, ვისაც ქარაფშუტულად არ გაუუბედურებია თავისი ქალიშვილი. მე ჩემს სასიძოზე სარწმუნო ცნობები მქონდა შეკრებილი... დანარჩენი ღვთის ნება იყო!

კონსული შებრუნდა, კარი გამოაღო, ა ღ ა რ უ ნ დ ო დ ა კიდევ გაეგონა მოხუცი ბანკირის ხმა, მაგრამ ბატონმა კესელმაიერმა მიაძახა:

- აჰა? ცნობები, არა? მერე ვისთან შეკრიბეთ ეს ცნობები? ბოკთან? გუოდშტიკერთან? პეტერსენთან? მასმანსა და ტიმთან? ისინი ხომ ამ საქმეში იყვნენ ჩათრეული? და მერე როგორ? მათთვის ხომ ეს ქორწინება ნამდვილად ღვთის წყალობა იყო. ისინი ხომ თავისას ინაღდებდნენ!

კონსულმა კარი გაიჯახუნა.

მეცხრე თავი

სასადილო ოთახში ხელმრუდობაზე ეჭვმიტანილი დორა დაფათურობდა.

- მადამ გრიუნლიჰს სთხოვე ძირს ჩამობრძანდეს, - უბრძანა კონსულმა.

- მოემზადე, შვილო, - უთხრა მამამ ოთახში შემოსულ ტონის და მასთან ერთად სალონისკენ გაემართა, - სასწრაფოდ მოემზადე და იზრუნე, რომ ერიკაც მზად იყოს გასამგზავრებლად... ჩვენ ქალაქში წავალთ... სასტუმროში გავათევთ ღამეს და ხვალ შინ გავემგზავრებით.

- ჰო, მამა, - უპასუხა ტონიმ.

ტონის სახე გასწითლებოდა, დაბნეული და უმწეო ჩანდა. ხელებს უმიზნოდ და ნაჩქარევად იფათურებდა ტანზე, არ იცოდა, მომზადება რითი დაეწყო, ჯერ გამორკვეულიც არ იყო, მის თავს რა ხდებოდა, თავი სიზმარში ეგონა.

- რა უნდა წამოვიღო, მამა? - იკითხა დამფრთხალმა და აღელვებულმა ტონიმ, - ყველაფერი წამოვიღო? ერთი თუ ორი სკივრი?.. გრიუნლიჰი მართლა გაკოტრდა?.. ღმერთო!.. ჩემი სამკაულები წამოვიღო?.. მამა, მოსამსახურეები ხომ უნდა დავითხოვო... მათი გასასტუმრებელი რომ არაფერი გამაჩნია?.. გრიუნლიჰს დღეს თუ ხვალ უნდა მოეცა სახარჯო ფული...

- კარგი, შვილო. ამ საქმეებს აქ მოაწესრიგებენ. წამოიღე მხოლოდ ყველაზე აუცილებელი რაც არის... ერთი სკივრი... მომცრო. შენს პირად ნივთებს გამოგიგზავნიან. ოღონდ ნუ დაყოვნდები, გესმის? ჩვენ გვაქვს...

ამ დროს ფარდები გადაიწია და სალონში ბატონი გრიუნლიჰი შემოვიდა. გრიუნლიჰი სწრაფი ნაბიჯებით მოდიოდა, ხელები გაეშალა, თავი გვერდზე გადაეგდო, თითქოს უნდოდა ეთქვა: აი, აქა ვარ, გინდა მომკალი, გინდა მაცოცხლეო. მან მეუღლეს მიაშურა და მის წინ მუხლებზე დაემხო. შესაბრალისი შესახედავი იყო. ოქროსფერი ბაკენბარდები ასწეწოდა, ფრაკი დასჭმუჭნოდა, ყელსახვევი გვერდზე მოჰქცეოდა, საყელო მოეღეღა, შუბლი ოფლის წვეთებით ჰქონდა დაცვარული.

- ანტონია!.. - წამოიძახა მან, - შემომხედე... მკერდში თუ გული გიცემს, მომისმინე... შენ წინაშეა კაცი, რომელიც განადგურდება, დაიღუპება, თუ... დიახ, რომელიც დარდს გადაჰყვება, თუ მის სიყვარულს ხელს ჰკრავ! აი, შენს ფერხთითა ვარ... ნუთუ გული გაგიძლებს, მითხრა, მეზიზღები, გტოვებო?!

ტონი ტიროდა. თითქოს მეორდებოდა ლანდშაფტებიან ოთახში მომხდარი სცენა. ისევ ხედავდა შიშისგან შეშლილ სახეს, მისკენ მიპყრობილ მავედრებულ თვალებს. გულაჩუყებული და გაოცებული ხედავდა, რომ ეს შიში, ეს ვედრება მაშინდელივით პატიოსნებით აღსავსე და გულწრფელი იყო.

- ადექი, გრიუნლიჰ, - წაისლუკუნა ტონიმ, - გევედრები, ადექი! - ტონი შეეცადა ბატონი გრიუნლიჰი მხრებით წამოეწია, - მე შენ არ მეზიზღები! მაგას როგორ ამბობ!

ტონიმ აღარ იცოდა, რა ეთქვა და მამას უმწეოდ მიუბრუნდა. კონსულმა თავის ასულს ხელი ხელში ჩასჭიდა, სიძეს თავი დაუკრა და ტონისთან ერთად დერეფანში გამავალ კარს მიაშურა.

- მიდიხარ? - იყვირა ბატონმა გრიუნლიჰმა და ფეხზე წამოიჭრა...

- მე თქვენ უკვე მოგახსენეთ, - დაიწყო კონსულმა, - უფლება არა მაქვს, ჩემი უდანაშაულო შვილი ბედის ანაბარა მივატოვო. ახლა კი გიცხადებთ, რომ არც თქვენ გაქვთ ამის უფლება. არა, ბატონო ჩემო, ჩემი ქალიშვილი თქვენივე ქარაფშუტობით დაკარგეთ. კიდევ ღმერთს უმადლოდეთ, რომ ამ ბავშვს ისეთი სუფთა და მიმნდობი გული შეუნარჩუნა და ამ საშინელ წუთებში ა რ ც კ ი ეზიზღებით. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

აქ კი დაკარგა გონი ბატონმა გრიუნლიჰმა. ხანმოკლე განშორებაზე, ტონის უკან დაბრუნებასა და ახალი ცხოვრების დაწყებაზე რომ ელაპარაკა, იქნებ მემკვიდრეობა შეენარჩუნებინა კიდეც, მაგრამ განსჯის უნარმა, „დაუდეგრობამ და ალღოიანობამ“ ერთბაშად უღალატა. ბატონ გრიუნლიჰს შეეძლო სარკესთან ჩამოდებული ბრინჯაოს დიდი სინი აეღო, მაგრამ ხელი ყვავილებით მოხატულ სიფრიფანა ლარნაკს დასტაცა, იატაკზე დაანარცხა და ნამსხვრევებად აქცია.

- ასე ხომ! ძალიან კარგი, - დაიყვირა ბატონმა გრიუნლიჰმა, - წაბრძანდი! გგონია, ბღავილით უკან გამოგეკიდები, შე ბატისტვინა, შენა? არა, ცდებით, ჩემო ძვირფასო! მხოლოდ და მხოლოდ ფულისთვის შეგირთე და რახან ასე ცოტა ხანს მეყო შენი ფულები, ახლა აქედან აიბარგე, ჯანდაბამდე გზა გქონია! მომბეზრდი, აღარ შემიძლია შენი დანახვა... მომბეზრდი, გესმის?!

იოჰან ბუდენბროკს სიტყვა არ დაუძრავს, თავისი ასული ისე გაიყვანა გარეთ. თვითონ ისევ უკან შემობრუნდა. ბატონ გრიუნლიჰს ხელები ზურგზე დაეწყო, ფანჯარასთან იდგა და წვიმას უაზროდ მისჩერებოდა. კონსულმა ნაზად შეახო მხრებზე ხელი და წყნარად და მტკიცედ უთხრა:

- გამაგრდით! ღმერთს შეევედრეთ!

მეათე თავი

დიდ სახლში, მენგშტრასეზე, რაც მადამ გრიუნლიჰი თავისი ქალიშვილითურთ შინ დაბრუნდა, დიდხანს სუფევდა მძიმე განწყობილება. ყველანი ფეხის წვერებზე დადიოდნენ, არავის სიამოვნებდა „იმ ამბის“ გახსენება. მხოლოდ მთავარი მოქმედი პირი არ გაურბოდა „იმ ამბის“ მოყოლას. პირიქით, ამ დროს თავს ნამდვილად თავის სტიქიაში გრძნობდა.

ტონი მესამე სართულზე დაბინავდა. ეს ოთახები მოხუცი ბუდენბროკების სიცოცხლეში მის მშობლებს ეჭირათ. ცოტა არ იყოს, გული დასწყდა, რომ მამამისს აზრადაც არ მოსვლია, მისთვის მოახლე აეყვანა. ცოტა იმანაც დააფიქრა, მამამ ფრთხილად რომ უთხრა, ჯერჯერობით შენთვის ყველაზე უკეთესი იქნება, კარჩაკეტილად იცხოვრო და საზოგადოებაში არ გამოჩნდეო. მართალია, ღვთისგან მოვლენილ გამოცდაში, ადამიანურად თუ მივუდგებოდით, ტონის ბრალი არ მიუძღოდა, მაგრამ მას, როგორც ქმარგაცილებულ ქალს, უაღრესი თავშეკავება მართებდა. ღვთის მადლით, ტონის ერთი შესანიშნავი თვისება ჰქონდა: ყოველგვარ სიახლეს იოლად ეგუებოდა. მალე საკუთარი თავი მოეწონა კიდეც უდანაშაულოდ გაუბედურებული, შინმობრუნებული ქალის როლში. თალხებს იცვამდა, მშვენიერ, ფერფლისფერ თმას გოგონასავით სადად იყოფდა შუაზე და საზოგადოებისგან მოწყვეტას ერთი რამით ინაზღაურებდა - თავისი მდგომარეობის სერიოზულობით უზომოდ გახარებული თავის ქორწინებაზე, ბატონ გრიუნლიჰზე და, საერთოდ, ცხოვრებასა და ბედისწერაზე დიდის ამბით გამოთქვამდა მოსაზრებებს.

მაგრამ სახლში ამის საშუალებას ყველა როდი აძლევდა. ელიზაბეტ ბუდენბროკი დარწმუნებული გახლდათ, რომ მისი მეუღლე სწორად და ღირსეულად მოიქცა,

მაგრამ როცა ტონი ლაპარაკს წამოიწყებდა, იგი თავის მშვენიერ თეთრ ხელს ასწევდა და ეტყოდა ხოლმე:

- Assez, ამ ამბის მოსმენა არ მიყვარს, შვილო!

თორმეტი წლის კლარას არაფერი გაეგებოდა, მისი ბიძაშვილი ტილდაც პატარა კლარასგან ჭკუით დიდად არ განირჩეოდა. „ო, ტონი, რა სამწუხაროა!“ - ეს იყო და ეს, რაც მას შეეძლო ამოეღერღა. სამაგიეროდ, მამზელ იუნგმანი ყმაწვილ ქალს ყოველთვის დიდი ყურადღებით უსმენდა. იდა იუნგმანი უკვე ოცდათხუთმეტი წლისა გახლდათ და შეეძლო ეტრაბახა, მაღალი წრის სამსახურში გავჭაღარავდიო.

- ტონიჰენ, ჩემო შვილიკო, ნუ გეშინია, - ეუბნებოდა იგი, - ჯერ ახალგაზრდა ხარ, კიდევ გათხოვდები.

იდა იუნგმანი პატარა ერიკას აღზრდას დიდი სიყვარულითა და ერთგულებით შეუდგა. მასაც იმავე მოგონებებსა და ამბებს უყვებოდა, რასაც თხუთმეტი წლის წინ კონსულის ბავშვები გაფაციცებული ისმენდნენ ხოლმე. განსაკუთრებით ხშირად მარიენვერდერელი ბიძის ამბავს იმეორებდა, რომელსაც „გული ამოვარდნოდა“ და სლოკინისგან მომკვდარიყო.

ტონის ყველაზე უფრო დიდხანს მამასთან უყვარდა ლაპარაკი. მამას დილას, პირველ საუზმეზე ან ნასადილევს ესაუბრებოდა ხოლმე. ტონისთვის მამა ერთბაშად გახდა უფრო ახლობელი. ადრე კონსულს უფრო რიდით ეკიდებოდა. მამამისის დიდი, სოლიდური, მკაცრი და უპრეტენზიო საქმიანობა ტონის გულში მოკრძალებას იწვევდა, მაგრამ თავის სალონში იმდღევანდელი საუბრის შემდეგ მამას სულიერად დაუახლოვდა. ტონის გულში სიამაყე და სითბო ეღვრებოდა, მამამ რომ ასეთი გულახდილი და სერიოზული საუბრის ღირსი გახადა, საქმის გადაწყვეტაც თვითონვე მიანდო და ეს უმწიკვლო კაცი მორჩილად გამოუტყდა, შენ წინაშე დანაშაული მიმიძღვისო. თვითონ ტონი ამ აზრს თავშიაც არ გაივლებდა: რახან მამამ თქვა, მანაც დაიჯერა ეს ამბავი და მამის მიმართ გრძნობა კიდევ უფრო გაუსათუთდა. რაც შეეხება კონსულს, მას აზრი არ შეუცვლია, ქალიშვილს თავს ევლებოდა და ფიქრობდა, ჩემს დანაშაულს ამით მაინც გამოვისყიდიო.

იოჰან ბუდენბროკს თავისი ყალთაბანდი სიძე პირადად არაფრით შეუვიწროებია. თუმცა ტონიმ და დედამისმა ყური მოჰკრეს, იმ 80000 მარკის შესანარჩუნებლად ბატონი გრიუნლიჰი რას არ კადრულობდა, მაგრამ კონსული საქმის გახმაურებას, მით უმეტეს, სასამართლოსთვის გადაცემას ერიდებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კონსული, როგორც საქმის კაცი, თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და თავის გაბიაბრუებას უხმოდ ინელებდა.

ბ. გრიუნლიჰის სავაჭრო სახლზე კონკურსი გამოცხადდა თუ არა - უნდა ითქვას, რომ ამ საქმემ ბევრი ჰამბურგული ფირმა აზარალა - კონსულმა განქორწინების საქმე მაინც

აღძრა. პროცესმა ტონი ენით აუწერელი სიამაყით აღავსო. ხუმრობა ხომ არ იყო, ტონი ნამდვილი განქორწინების პროცესის მთავარი ფიგურა ხდებოდა.

- მამაჩემო, - მიმართა ტონიმ კონსულს. ასეთ საუბრებში ტონი „მამას“ არასოდეს იტყოდა ხოლმე, - მამაჩემო, როგორაა ჩვენი საქმე? ყველაფერი კარგად წავა, ხომ? პარაგრაფი სავსებით ნათელია, მე ის ზუსტად შევისწავლე: „მამაკაცის უუნარობა ოჯახის რჩენაში“... ბატონებმა ეს ხომ უნდა გაითვალისწინონ. ვაჟი რომ მყოლოდა, ის გრიუნლიჰს დარჩებოდა...

ერთხელ ტონიმ თქვა:

- მე ბევრი ვიფიქრე ჩემი ქორწინების წლებზე, მამაჩემო. აი, თურმე რატომ არ უნდოდა იმ კაცს ქალაქში ცხოვრება. მე ხომ ძალიან მინდოდა ქალაქში გვეცხოვრა. თურმე რატომ არ სიამოვნებდა, ქალაქში რომ წავიდოდი და საზოგადოებაში გავერეოდი. აიმსბიუტელში ოთხ კედელშუა ვიყავი გამომწყვდეული. რა თქმა უნდა, ქალაქში შემეძლო გამეგო მისი კაიკაცობის ამბავი, ო, რა გაიძვერაა!

- ჩვენ არ გვმართებს მისი განსჯა, შვილო! - ეტყოდა კონსული.

როცა განქორწინების საქმე დამთავრდა, ტონიმ დიდის ამბით უთხრა მამას:

- მამაჩემო, ეს ამბავი შეიტანე საოჯახო მატიანეში? არა? მაშინ მე თვითონ შევიტან...
თუ შეიძლება, მომეცი სეკრეტერის გასაღები.

და სიამაყით აღსავსე ტონიმ თავისივე ხელით ოთხი წლის წინ დაწერილი სტრიქონების ქვეშ მუყაითად მიაწერა: „ეს ქორწინება კანონიერად დაირღვა Anno
1850-ის თებერვალში“.

შემდეგ ტონიმ კალამი გადადო და ჩაფიქრდა.

- მამაჩემო, - თქვა ტონიმ, - მშვენივრად ვიცი, ეს ამბავი ოჯახის ისტორიას ლაქად დააჩნდება, თითქოს ამ მატიანეში მელანი დააღვენთესო. ჰო, ამაზე უკვე ბევრი ვიფიქრე, მაგრამ გულს ნუ გაიტეხ... ამ ლაქის ამოფხეკა ჩემი ვალია! ჯერ ახალგაზრდა ვარ... როგორ ფიქრობ, განა ლამაზი არა ვარ? თუმცა მადამ შტუტმა კი მითხრა: ღმერთო ჩემო, მადამ გრიუნლიჰ, როგორ დაბერებულხართო. აბა, მთელი ცხოვრება ისეთი ბატი ხომ არ დავრჩებოდი, ამ ოთხი წლის წინ რომ ვიყავი... ცხოვრება ბევრს გვასწავლის.. მოკლედ... არა, მე მეორედ გავთხოვდები! აი, ნახავ, ახალი, იღბლიანი ქორწინება ყველაფერს გამოასწორებს! არა, მამა? შენ როგორ გგონია?

- ეს ღვთის ნებაა, შვილო, მაგრამ ახლა ასეთ ამბებზე ლაპარაკი საჩოთიროა.

სხვათა შორის, ტონიმ იმ ხანებში ერთი ფრაზა ამოიჩემა: „ეჰ, რა არ შეგხვდება ცხოვრებაში!“

„ცხოვრებას“ რომ ახსენებდა, ფიქრიან თვალებს ისე ლამაზად აღაპყრობდა, ადვილი მისახვედრი იყო, ამ ახალგაზრდა ქალს უკვე რამდენი სიმწარე ეწვნია.

სასადილო დარბაზში სუფრა ისევ ძველებურად იშლებოდა. აგვისტოში თომასი პოდან შინ დაბრუნდა და ტონის ხელახლა მიეცა საშუალება, ძმისთვის გული გადაეშალა. ტონის უფროსი ძმა თავს ერჩია და დიდ პატივსაც სცემდა. თომასმა ჯერ კიდევ ტრავემიუნდედან გამომგზავრებისას შეიგრძნო და გაიზიარა ტონის ტკივილი. გარდა ამისა, ტონი თავის ძმაში ფირმის მომავალ შეფსა და ოჯახის თავს ხედავდა.

- ჰო, ტონი, - უთხრა დას თომასმა, - მე და შენ ბევრი დარდი გადავიტანეთ, - თომასმა წარბი აზიდა და რუსული პაპიროსი ტუჩის მეორე კუთხეში გადაიტანა. ალბათ, მალაიურსახიანი მეყვავილე გოგონა გაახსენდა. იგი ამ ცოტა ხნის წინ თავისი ქალბატონის ვაჟს გაჰყოლოდა და საყვავილეს ახლა თვითონ განაგებდა.

თომას ბუდენბროკი ელეგანტური გარეგნობით გამოირჩეოდა. ავადმყოფობის შემდეგ ფერი ჯერ კიდევ არ დაჰბრუნებოდა, მაგრამ ბოლო წლებში სავსებით დავაჟკაცებულიყო. თმა ყურებზე ჩამოევარცხნა, ულვაშები ფრანგულ ყაიდაზე ჰქონდა დაკვარკნილი და აწკეპილი. ჩასკვნილი, საკმაოდ მხარბეჭიანი თომასი მხედარს ჩამოჰგავდა, მაგრამ ვიწრო საფეთქლებზე აშკარად დამჩნეული მოცისფრო ძარღვები, საიდანაც თმა ყურეების მსგავსად უხვევდა, და ციებ-ცხელებისკენ მსუბუქი მიდრეკილება, რასაც კეთილი ექიმი გრაბოვი ამაოდ ებრძოდა, თომასის არცთუ მაგარ აგებულებას ამხელდა. სხვა მხრივ, ნიკაპით, ცხვირითა და განსაკუთრებით - ხელებით, ტიპიური ბუდენბროკისეული ხელებით, თომასი ბაბუამისს კიდევ უფრო დამსგავსებოდა.

თომასი ფრანგულში ესპანურ ბგერებს ურევდა და ყველას გასაოცრად სატირიკულ- პოლემიკურ ყაიდის მოდურ მწერლებს ეტანებოდა. ქალაქში მხოლოდ პირქუში მაკლერი ბატონი გოში თუ იწონებდა მის გემოვნებას; მამამისი ამ გატაცებისთვის კიცხავდა კიდეც, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა, თავისი უფროსი ვაჟისთვის სიამაყითა და ბედნიერებით სავსე თვალებით ემზირა. კონსულმა შვილი ჩამოსვლისთანავე მიიღო თავისი კანტორის თანამშრომლად. თვითონ კონსული ახლა დიდი ხალისით მუშაობდა, განსაკუთრებით იმ დღიდან, რაც მოხუცი მადამ კროგერი გარდაიცვალა.

ქალბატონ კროგერის ხნისა ქვაც აღარ დაგორავდა ამ ქვეყანაზე და მისი დაკარგვა იოლად გადაიტანეს. ღრმად მოხუცებული მადამ კროგერი ბოლო ხანებში განმარტოებით ცხოვრობდა. მან ღმერთს სული მიაბარა, ბუდენბროკებს კი გვარიანი თანხა ერგოთ - სრული 100000 ტალერი ნაღდი ფული, რაც ფირმის საბრუნავი კაპიტალისთვის მისწრება გახლდათ.

მადამ კროგერის გარდაცვალებას ერთი ამბავიც მოჰყვა. მუდმივი ხელის მოცარვისგან დაქანცულმა კონსულის ცოლისძმამ იუსტუსმა, როგორც კი თავისი მემკვიდრეობის ნაშთი ხელთ იგდო, საქმეს თავი მიანება და მშვიდ ცხოვრებას

შეუდგა. იუსტუს კროგერი, Suitier, á la mode Kavalier-ის სიცოცხლეს დახარბებული ვაჟიშვილი, ბედისგან განებივრებული კაცი არ გახლდათ. თავქარიანობისა და იოლი ცხოვრების სიყვარულის წყალობით, კომერციულ სარბიელზე წელი ვერ მოიმაგრა. მემკვიდრეობის გვარიან ნაწილს წინასწარვე გამოუყვანა წირვა. ახლა კიდევ თავისი უფროსი ვაჟი იაკობი ყოველ ნაბიჯზე დავიდარაბას ახვედრებდა.

ყმაწვილი კაცი, ეტყობოდა, ჰამბურგში ცუდ წრეში მოხვდა და რაც დრო გადიოდა, მამას შვილის შენახვა უფრო და უფრო ძვირი უჯდებოდა. ბოლოს და ბოლოს კონსულმა კროგერმა უარი განაცხადა შვილის შენახვაზე, მაგრამ მისი მეუღლე, სუსტი და ნაზი ქალი, გზასაცდენილ ვაჟს ჩუმ-ჩუმად უგზავნიდა ფულს. ამის გამო ცოლ-ქმარს შორის შუღლი ჩამოვარდა.

ეს ყველაფერი კიდევ ერთმა ამბავმა დააგვირგვინა: თითქმის იმ დროს, როცა ბ. გრიუნლიჰმა თამასუქების განაღდება შეწყვიტა, ჰამბურგში, სადაც იაკობ კროგერი „დალბეკ და კომპანიაში“ მსახურობდა, ერთობ საჩოთირო საქმე გამომჟღავნდა: გაფლანგვა და ყალთაბანდობა.

ხმა გავარდა, იაკობს ნიუ-იორკში კომივოიაჟერის ადგილი უშოვია და მალე გემით გაემგზავრებაო. ამაზე არ ლაპარაკობდნენ. იუსტუს კროგერსაც არაფერს ეკითხებოდნენ. ერთხელ, გამგზავრების წინ, იაკობს ქალაქშიაც მოჰკრეს თვალი. მამამისს გზის ფული უკვე გაეგზავნა. ეს გამომწვევად ჩაცმული, ავადმყოფური შესახედაობის ყმაწვილი, ალბათ, აქ იმისთვის ჩამოსულიყო, რომ დედისთვის კიდევ მეტი დაეცინცლა.

მოკლედ, საქმე იქამდე მივიდა, რომ კონსული იუსტუსი იაკობის სახელს აღარ ახსენებდა. ჩემი ვაჟიო, რომ იტყოდა, მხოლოდ იურგენს გულისხმობდა. იურგენს, მართალია, თავის სიცოცხლეში არაფერი დაუშავებია, მაგრამ ცოტა გონებაშეზღუდული კაცი იყო. გიმნაზია დიდი გაჭირვებით დაამთავრა და ერთი ხანია იენაში იმყოფებოდა. იქ, როგორც ჩანდა, დიდი ვაი-ვაგლახით სწავლობდა იურისპრუდენციას.

იოჰან ბუდენბროკმა მტკივნეულად განიცადა თავისი ცოლოურის დაკნინება და შვილებს უფრო მეტი გულის ფანცქალით შესჩერებოდა.

კონსულს სრული უფლება ჰქონდა მთელი იმედი უფროსი ვაჟის სერიოზულობასა და გულმოდგინებაზე დაემყარებინა. რაც შეეხება ქრისტიანს, მისტერ რიჩარდსონი იწერებოდა, ყმაწვილმა კაცმა ინგლისური ენის შეთვისებაში თუმცა დიდი უნარი გამოამჟღავნა, მაგრამ საქმეში საჭირო ინტერესს ვერ იჩენს და უფრო მსოფლიო ქალაქის ცდუნებათაკენ, მაგალითად, თეატრისკენ მიუწევს გულიო. თვითონ ქრისტიანი წერილებში მოგზაურობის დიდ სურვილს ამჟღავნებდა და დაბეჯითებით მოითხოვდა, მამას ნება დაერთო „გაღმა“, ეს იგი, სამხრეთ ამერიკაში, ალბათ, ჩილეში, წასულიყო და იქ ეშოვა რაიმე თანამდებობა. ეს რა

ავანტიურისტული სურვილებიაო, შეუთვალა კონსულმა და თან უბრძანა, ბარემ ეს მეოთხე წელიწადიც მისტერ რიჩარდსონთან იმუშავე და პრაქტიკული განათლება დაასრულეო.

ქრისტიანის გეგმებთან დაკავშირებით კიდევ რამდენიმე წერილი გაიგზავნ- გამოიგზავნა და 1851 წლის ზაფხულში ქრისტიან ბუდენბროკმა მართლაც ვალპარაისოსკენ გაშალა აფრა. იქ ადგილი დაბევებული ჰქონდა. ქრისტიანი პირდაპირ ინგლისიდან ისე გაემგზავრა, სამშობლოში არც კი დაბრუნებულა.

ორივე ვაჟს თავი რომ დავანებოთ, კონსული კმაყოფილებით ამჩნევდა, რომ ტონი ქალაქში თავის ბუდენბროკისეულ ღირსებას თავგამოდებით იცავდა... თუმცა წინასწარ შეიძლებოდა განგესაზღვრათ, რომ ტონის, როგორც ქმარს გაცილებულ ქალს, სხვა ოჯახების მხრიდან ყოველგვარი სიბოროტისა და ქედმაღლური გამოხდომების გადალახვა მოუხდებოდა.

ტონი ერთ დღეს სახეალეწილი დაბრუნდა სეირნობიდან და ქუდი ლანდშაფტებიან ოთახში სოფაზე მოისროლა.

- ერთი იმ მოლენდორფს უყურე, იმ ჰაგენშტრომს, იმ ზემლინგერს, იმ იულჰენს, იმ გომბიოს იმას!.. ერთი იფიქრე, დედა, არც კი მესალმება... არა, არ მესალმება! უცდის, სანამ პირველი დავუკრავდე თავს! ამაზე რას იტყვი, ჰა?! ბრაიტენშტრასეზე შევხვდი, თავაწეულმა ჩავუარე და პირდაპირ სახეში შევხედე... - ყვებოდა გაწიწმატებული ტონი.

- ასეც არ ვარგა, ტონი... ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ვითომ რატომ არ შეგეძლო მადამ მოლენდორფს პირველი მისალმებოდი? თანატოლები ხართ, ისიც გათხოვილი ქალია, როგორც შენ იყავი აქამდე.

- არასოდეს, დედა! ღმერთმა დამიფაროს, უყურე ერთი მაგ ოხერს!

- Assez, ძვირფასო! ასეთი არადელიკატური სიტყვები განა გეკადრება?

- ოჰ, შეიძლება გულზე გასკდე კაცი!

ტონის ეს „უგვარტომო ოჯახი“ ჭირის დღესავით სძულდა. ჯერ ერთი, ეგონა, ვაითუ ჰაგენშტრომებმა გაბედონ და ზემოდან გადმომხედონო, მეორეც, ბედის წყალობით ამ ოჯახის აყვავებაც უკლავდა გულს. მოხუცი ჰინრიჰი 51 წლის დამდეგს გარდაიცვალა, მისი ვაჟი ჰერმანი კი... ის ღორმუცელა, გასილაქებული ჰერმანი, ბატონ შტრუნკთან ერთად ჩინებულად დაყენებულ საექსპორტო ვაჭრობას ეწეოდა. მამისეულ საქმეს სათავეში ჩაუდგა თუ არა, მალე ცოლიც შეირთო, კონსულ ჰუნეუსის ქალიშვილი. კონსული ჰუნეუსი ქალაქში უმდიდრესი კაცი იყო. ხეტყით ვაჭრობით იმდენი ფული დააგროვა, რომ სამივე შვილს ორ-ორი მილიონი მემკვიდრეობა დაუტოვა.

ჰერმანის ძმამ მორიცმა, თუმცა სუსტი გული ჰქონდა, ბრწყინვალე იურიდიული განათლება მიიღო და ქალაქში დამკვიდრდა. მორიცი ჭკვიან, ეშმაკ, გონებამახვილ კაცად ითვლებოდა, ასე განსაჯეთ, ხელოვნების ტრფიალადაც კი მიაჩნდათ და სულ მალე საქმეც ჩინებულად წაუვიდა. გარეგნობაში ზემლინგერებისა არაფერი ეცხო, სამაგიეროდ, პირყვითელა გახლდათ და წვეტიანი, მეჩხერი კბილები ჰქონდა.

ტონის ოჯახშიაც კი მართებდა თავის ამაყად დაჭერა. ბიძია გოტჰოლდმა საქმეს თავი მიანება და ფართო შარვალში გამოხვეული მოკლე ფეხებით თავის უბრალო ბინაში არხეინად დაბაჯბაჯებდა. თუნუქის კოლოფიდან ხველის საწინააღმდეგო კანფეტებს იყრიდა პირში, სასუსნავის დიდი მოყვარული გახლდათ. თითქოს ბედს შერიგებოდა და მამის რჩეულ ნახევარძმას გაცილებით გულთბილად ექცეოდა. თუმცა სამი შინაბერა ქალის შემხედვარე მამას ტონის უიღბლო გათხოვება გულის სიღრმეში სიამოვნებდა კიდეც. მისმა ცოლმა, ქალიშვილობაში შტიუვინგმა, და განსაკუთრებით
- ოცდაექვსი, ოცდაშვიდი, ოცდარვა წლის შინაბერა ქალიშვილებმა ბიძაშვილის უბედურებისა და განქორწინების პროცესისადმი ნამდვილად გადაჭარბებული, ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს. ასეთი ყურადღება თვით ნიშნობისა და ჯვრისწერისადმიც კი არ გამოუმჟღავნებიათ. მოხუცი მადამ კროგერის გარდაცვალების შემდეგ „საბავშვო დღეები“ მენგშტრასეზე იმართებოდა. ტონისთვის იოლი როდი იყო, ყოველ ხუთშაბათს თავისი შინაბერა ბიძაშვილებისთვის გაეძლო.

- ო, ღმერთო, შე საცოდავო! - ეუბნებოდა ნაბოლარა ფიფი, ბურთივით ჩამრგვალებული, ტანდაბალი ქალიშვილი.

ფიფის ჩვეულებად ჰქონდა, ყოველ სიტყვაზე გადაქან-გადმოქანებულიყო, თან ლაპარაკის დროს ტუჩის კუთხეები უსველდებოდა ხოლმე.

- მაშ, გადაწყვეტილია, ხომ? მაშ, შენ ახლა ისევ ისე ხარ, როგორც წინათ იყავი?

- პირიქით, პირიქით! - იტყოდა ჰენრიეტე. იგი თავის უფროს დასავით ჭოკივით აწოწილი და კაფანდარა იყო, - ახლა შენ გაცილებით საცოდავი ხარ. ჯობდა სულ არ გათხოვილიყავი!

- ნამდვილად, ნამდვილად, - კვერს უკრავდა ფრიდერიკე, - ა ს ე გათხოვებას, ს უ ლ რომ არ გათხოვდე, ისა სჯობია.

- არა, საყვარელო ფრიდერიკე! - ეტყოდა ტონი, თავს უკან გადაიგდებდა და ცდილობდა, გულში მოსახვედრი პასუხი მოეფიქრებინა, - მაგაში კი ნამდვილად ცდები! კაცი ცხოვრებას მაინც სწავლობ, ბატისტვინა აღარა ხარ! ეგეც არ იყოს, ახლა მე კიდევ უფრო მეტი შანსი მაქვს ხელმეორედ გავთხოვდე, ვიდრე იმათ, ჯერაც რომ
არ გათხოვილან.

- ხოო? - ერთხმად წამოიძახებდნენ ბიძაშვილები.

„ჰო“ -ს მაგივრად „ხო“ უფრო გულსაკლავად და უნდოდ გაისმოდა.

ტონის აღმზრდელი ზეზემი ვაიჰბროტი პირიქით, ძალზე კეთილი და ტაქტიანი იყო. ამ ამბავზე საერთოდ არ დასცდებოდა სიტყვა. ხანდახან ტონი ზეზემი ვაიჰბროტსაც ინახულებდა ხოლმე წითელ სახლში, მიულენბრინკის შვიდ ნომერში. ამ სახლში ახლაც ბინადრობდა რამდენიმე ქალიშვილი, თუმცა პანსიონი თანდათან მოდიდან გამოდიოდა. ხანდახან ამ დაუღალავ შინაბერას მენგშტრასეზე თვითონ იწვევდნენ ხოლმე შვლის ბეჭზე ან სატენიან ბატზე. ზეზემი თითის წვერებზე აიწეოდა და ტონის შუბლზე გულთბილად, ბეჯითად და ტუჩების წკლაპუნით აკოცებდა ხოლმე. მის უბირ დას, მადამ კეთელსენს, ყურს ისე აკლდა, რომ ტონის ამბავი თითქმის არც გაუგია, გამოყრუებულ ქალს ისე უადგილოდ აუტყდებოდა ხოლმე გულიანი სიცილი, რომ სულ ცრემლები სცვიოდა. მაშინ ზეზემი თითს მაგიდაზე დააკაკუნებდა და „ნალიო“ შესძახებდა.

წლები გადიოდა, კონსულ ბუდენბროკის ქალიშვილის ამბავი ქალაქშიც და ოჯახშიც თანდათან დავიწყებას მიეცა. თვითონ ტონისაც თავისი ქორწინება ხანდახან თუ გაახსენდებოდა, ისიც მაშინ, როცა წამოჩიტულ ერიკას ბენდიქს გრიუნლიჰთან მსგავსებას შეამჩნევდა ხოლმე. ტონი ისევ ღია ფერის კაბებს იცვამდა, თმას შუბლზე ისევ კულულებად იყრიდა და ნაცნობ საზოგადოებაში უწინდებური ხალისით ტრიალებდა. მაგრამ ტონის მაინც უხაროდა, როცა შემთხვევა მიეცემოდა, ზაფხულობით ქალაქი დიდი ხნით მიეტოვებინა... სამწუხაროდ, კონსულის ჯანმრთელობა ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვდა.

- თქვენ არ იცით, რას ნიშნავს, კაცს რომ სიბერე შეეპარება! - ამბობდა კონსული, - საკმარისია შარვალზე ყავა დამეწვეთოს და ცივი წყლით მოვიწმინდო, რომ მაშინვე რევმატიზმი შემომიტევს... ეჰ, წავიდა ის დრო, კენჭივით რომ ვიყავი, - ხანდახან კონსულს თავბრუსხვევაც აწუხებდა.

ბუდენბროკები ობერზალცბრუნში, ბადენ-ბადენში, ემსსა და კისინგენში მიემგზავრებოდნენ, იქიდან გონებისა და გუნების გამახალისებელ მოგზაურობასაც აწყობდნენ: ნიურნბერგის გავლით მიუნხენისკენ მიეშურებოდნენ; ვენაში ზალცბურგისა და იშლის გავლით მიდიოდნენ: პრაღას, დრეზდენსა და ბერლინს მოინახულებდნენ და შინ ბრუნდებოდნენ... თუმცა მადამ გრიუნლიჰი ამ ბოლო დროს კუჭის ნერვიულმა კატარმა შეიპყრო და კურორტებზე იძულებული იყო მკაცრი რეჟიმი დაეცვა, ეს მოგზაურობები მაინც დიდად ეხალისებოდა. ტონი არც მალავდა, რომ შინ, ცოტა არ იყოს, მოწყენილობას გრძნობდა.

- ღმერთო ჩემო, რა არ შეგხვდება ცხოვრებაში, მამა! - იტყოდა ტონი და დაფიქრებული თვალებს მაღლა აღაპყრობდა ხოლმე, - მე ნამდვილად გავიცანი ცხოვრება, ჰოდა, სწორედ ამიტომ ჩემთვის დიდი ვერაფერი ბედენაა სულელივით ერთთავად შინ ჯდომა. არ იფიქრო, თქვენთან ცხოვრება არ მომწონდეს... მაშინ უმადურობისთვის ჩაქოლვის ღირსი ვიქნებოდი! მაგრამ ხომ იცი, ცხოვრებაში როგორ ხდება...

ტონის ყველაზე უფრო ის აღიზიანებდა, რომ მამამისის უზარმაზარ სახლში რელიგიური სული იკიდებდა ფეხს. კონსულს რაც ხანი ემატებოდა და ავადმყოფობაც ერეოდა, ღვთისმოსაობა მით უფრო ეღვიძებოდა. კონსულის
მეუღლეც სიბერეში შედიოდა და ისიც სარწმუნოებისკენ მეტ მიდრეკილებას იჩენდა. ბუდენბროკებს სუფრაზე ლოცვა ჩვეულებად ჰქონდათ, ახლა კი კანონად იქცა, დილა-საღამოს მთელი ოჯახი მსახურებიანად მცირე სასადილო ოთახში შეკრებილიყო და კონსულის ბაგეთაგან ბიბლიის რომელიმე თავი მოესმინა. გარდა ამისა, პასტორებმა და მისიონერებმაც მოუხშირეს სტუმრობას. პატრიციების სახლი მენგშტრასეზე, სადაც, სხვათა შორის, ყველას ჩინებულად უმასპინძლდებოდნენ, ლუთერანულ და რეფორმისტულ სასულიერო წოდებაში, შინაურ და უცხო მისიონერებში დიდი ხანია მშვიდ ნავსაყუდლად იყო აღიარებული. ამიტომ აქეთ ყოველი კუთხიდან მოისწრაფოდნენ შავად შემოსილი, გრძელთმიანი მამები. რამდენიმე ღამეს მაინც გაათევდნენ ბუდენბროკების ჭერქვეშ. აქ მათ ელოდა ღვთისმოსაური საუბარი, გულუხვი სუფრა და უხვი შემოსაწირავი, რაღა თქმა უნდა, წმიდათაწმიდა მიზნებისთვის. ოჯახის მეგობარი აქაური მოძღვრებიც ბუდენბროკების ხშირი სტუმრები იყვნენ.

ტომი იმდენად ზრდილი და თავდაჭერილი იყო, რომ ღიმილიც არ მოერეოდა სახეზე, ტონი კი სავსებით აშკარად დასცინოდა სამღვდელოებას, უფრო მეტიც, ცდილობდა, როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, სულიერი მამები მასხრად აეგდო.

ხანდახან, როცა კონსულის მეუღლეს შაკიკი აწუხებდა, დიასახლისობა მადამ გრიუნლიჰს ევალებოდა. მენიუს შედგენაც მისი საქმე იყო. ერთ დღეს, როცა ვიღაც ფრიად მადიანი მოძღვარი ჰყავდათ სტუმრად, ტონიმ მზარეულს მზაკვრულად ღორის ქონის სუპი შეუკვეთა. ეს გახლდათ აქაური ტრადიციული კერძი, მჟავე კომბოსტოთი შენელებული ბულიონი, რომელშიც მთელი სადილი იყრებოდა:
ლორი, კარტოფილი, მჟავე ქლიავი, მსხლის ჩირი, ყვავილოვანი კომბოსტო, მუხუდო, ცერცვი, ბოლოკი და ვინ იცის, კიდევ რა. ყველაფერ ამას კიდევ ხილის წვენს უმატებდნენ. ამ სუპს კაციშვილი პირს ვერ დააკარებდა, თუ ბავშვობიდანვე არ იყო მიჩვეული.

- ხომ გემრიელია, ბატონო პასტორო? - დაჟინებით ეკითხებოდა პასტორს ტონი, - არა? ღმერთო ჩემო, ვინ იფიქრებდა!

ტონიმ ამ სიტყვების წარმოთქმისას ონავრული სახე მიიღო და ზედა ტუჩი ენის წვერით ჩაილოკა. ოინბაზობის დროს ასე იცოდა ხოლმე.

მსხვილმა პასტორმა კოვზი მორჩილად დადო და გულუბრყვილოდ თქვა, მე მეორე კერძს გეახლებითო.

- დიახ, პატარა დესერტს მოგვართმევენ, - საჩქაროდ დასძინა კონსულის მეუღლემ.

„მეორე კერძი“ ამ სუპის შემდეგ არც შეიძლებოდა. ვაშლის ჟელეთი მომზადებულმა შარლოტმა კი პასტორს ვერ უშველა! მოტყუებული მღვდელი იძულებული გახდა სუფრიდან ნახევრად მშიერი ამდგარიყო.

ტონი ჩუმ-ჩუმად ხითხითებდა, თომასმა კი წარბი აზიდა და ღიმილი შეიკავა.

ერთხელ ტონი მზარეულ ქალს საოჯახო საქმეებზე ელაპარაკებოდა დერეფანში. ამ დროს მათი სტუმარი კანშტატელი პასტორი მათიასი ქალაქიდან დაბრუნდა და ზარი დარეკა. ტრინე სოფლურად წაბაჯბაჯდა კარის გასაღებად. პასტორს უნდოდა მსახურისთვის ორიოდე გულთბილი სიტყვა ეთქვა და თან გამოეცადა კიდეც.

- გიყვარს უფალი შენი? - მეგობრულად ჰკითხა მან ტრინეს. შეიძლება პასტორს უნდოდა მსახური ქალი დაესაჩუქრებინა კიდეც, თუ იგი მაცხოვრისადმი ერთგულებას გამოიჩენდა.

- ვაი, ბატონო პასტორო... - ყოყმანით თქვა ალმურადენილმა და თვალებგაფართოებულმა ტრინემ, - რომელზე მეკითხებით, მოხუცზე თუ ახალგაზრდაზე?

მადამ გრიუნლიჰს ეს ამბავი ენაზე როგორ დააკავდებოდა - სადილზე ყველას ხმამაღლა უამბო. კონსულის მეუღლემაც ვერ შეიკავა თავი და კროგერებისებურად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ახითხითდა.

კონსულს სახეზე წარბი არ შერხევია, გულმოსულმა მზერა თეფშს დაასო.

- დიახ, გაუგებრობა გახლდათ, გაუგებრობა... - თქვა შეცბუნებულმა პასტორმა მათიასმა.

მეთერთმეტე თავი

ეს ამბავი, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, ერთ კვირადღეს მოხდა, ორმოცდათხუთმეტი წლის ზაფხულის დამლევს. შუადღე გადასული იყო. ბუდენბროკები ლანდშაფტებიან ოთახში ისხდნენ და კონსულს ელოდნენ. იგი ჩაცმას რატომღაც აგვიანებდა. კისტენმაკერების ოჯახთან შეთანხმებულები იყვნენ, ქალაქის ჭიშკართან სალხინო ბაღში ერთად გაესეირნათ. მხოლოდ კლარა და კლოტილდე არ აპირებდნენ მათთან ერთად წასვლას. ყოველ კვირა საღამოს ისინი ერთი მეგობრის სახლში ზანგი ბავშვებისთვის ქსოვდნენ წინდებს. დანარჩენებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ბაღში ყავა მიერთმიათ და თუ ამინდი ხელს შეუწყობდათ, შეიძლება მდინარეზე ნავითაც ესეირნათ.

- მამაჩემის გადამკიდე შეიძლება ჭკუიდან შეიშალო კაცი, - თავისებურად მწუთხე გამოთქმა იხმარა ტონიმ, - დროზე ხომ ვერაფერს დააყენებს საშველს, მილურსმულივით უზის თავის პულტს... მაგას ხომ საქმე არ შემოელევა... ღმერთო დიდებულო, იქნებ ეს საჭიროა კიდეც. ამაზე რა მეთქმის... ვითომ ქვეყანა დაიქცევა, კალამი რომ თხუთმეტი წუთით ადრე გადადოს?.. დიახ.. მერე, როცა ათ წუთს დააგვიანებს, დაპირება მაშინღა გაახსენდება და კიბეზე ქოშინ-ქოშინით ამორბის ხოლმე, ორ საფეხურს ერთად ახტება, თუმცა იცის, რომ სისხლი მოაწვება და გული ამოუვარდება... ასეა ყოველი სტუმრობის, ყოველი გასეირნების დროს! არ შეიძლება, დრო დაიტოვოს? რა მოხდება, დროზე შეწყვიტოს მუშაობა და ნელ-ნელა წამოვიდეს? ეს უპასუხისმგებლობაა და მეტი არაფერი! დედა, შენს ადგილას ქმარს მაგრად შევახურებდი...

ტონის მოდური, მოლივლივე აბრეშუმის კაბა ეცვა და სოფაზე დედის გვერდით იჯდა. ქალბატონ ბუდენბროკს შედარებით მძიმე აბრეშუმის ნაცრისფერი, ამობურცულზოლებიანი, შავი მაქმანით გაწყობილი რობი ეცვა. მაქმანითა და გახამებული ტიულით შემკული ჩაჩი ატლასის ლენტებით გამოესკვნა ნიკაპთან, ლენტის ბოლოები კი მკერდზე გადმოეფინა. სადად გადავარცხნილ, შუაზე გაყოფილ თმას ძველებურად მოწითალო ფერი დაჰკრავდა. ნაზი ცისფერი ძარღვებით დაქსელილ თეთრ ხელებში რედიკული ეჭირა. იქვე სავარძელში გადაწოლილი ტომი სიგარეტს ეწეოდა, ფანჯარასთან კი ერთმანეთის პირისპირ კლარა და ტილდა ისხდნენ. პირდაპირ საოცარი იყო: საბრალო კლოტილდეს სასმელი არ აკლდა და საჭმელი, ხორცს მაინც ვერ იბამდა. პირიქით, რაც ხანი გადიოდა, ცარიელი ძვალი და ტყავი ხდებოდა. შავი, ჩაშვებული კაბა სიგამხდრეს ვერ უმალავდა. ჩამოგრძელებულ ნაცრისფერ სახეზე, უსხივო, გადატკეპნილი თმის ქვემოდან, ბოლოში გამსხვილებული, სწორი და დასვრეტილი ცხვირი ჰქონდა გამოკვეთილი.

- იქნებ გგონიათ, არ გაწვიმდება? - თქვა კლარამ.

გოგონა, ჩვეულებრივ, შეკითხვისას ხმას უწევდა და ყველას სახეში მკაცრად შეაჩერდებოდა ხოლმე. ყავისფერი კაბა პატარა, ქათქათა, გახამებული საყელოთი და ასეთივე მანჟეტებით ჰქონდა გაწყობილი. კლარა წელგამართული იჯდა, ხელები კალთაზე დაეკრიფა. მსახურებს ყველაზე უფრო მისი ეშინოდათ. ახლა დილა- საღამოს ლოცვებსაც ის კითხულობდა, რადგან ამ ბოლო დროს კონსულს ხმამაღლა კითხვისგან თავი სტკივდებოდა ხოლმე.

- შენი აპირებ, ტონი? - ისევ იკითხა კლარამ, - იწვიმებს. ახალი ყაბალახი დასანანია. ჩემი აზრით, გასეირნებას რომ გადადებდეთ, უფრო ჭკვიანური იქნება.

- არა, - მიუგო თომასმა, - კისტენმაკერებიც მოდიან, არაფერიც არ იქნება... ბარომეტრი უცებ დაეცა... შეიძლება ხანმოკლე კოკისპირული წვიმა წამოვიდეს... მამა მაინც არ არის მზად. შეგვიძლია მშვიდად დავიცადოთ, სანამ გამოიდარებდეს.

კონსულის მეუღლემ ხელები გაასავსავა.

- შენ გგონია, ჭექა-ქუხილი იქნება, ტომ? ხომ იცი, ქუხილის როგორ მეშინია!

- არა, - დაამშვიდა ტომმა, - ამ დილით ნავსადგურში კაპიტან კლოოტს ველაპარაკე, იგი არასოდეს ცდება. მხოლოდ წვიმა წამოვა, ისიც ხანმოკლე, ძლიერი ქარიც კი არ იქნებაო.

ამ შუა სექტემბერში თაკარა სიცხეები დაიჭირა. სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი უბერავდა და ქალაქში ივლისზე ძლიერი ხვატი იდგა. უჩვეულოდ ჩამუქებული ლურჯი ცა წოწოლა სახურავებს უკან ჰორიზონტზე ეშვებოდა, ისე, როგორც უდაბნოში იცის ხოლმე. მზის ჩასვლის შემდეგ ვიწრო ქუჩებში სახლებსა და ტროტუარებს ბუღი ასდიოდა.

დღეს ქარი დასავლეთიდან უბერავდა და ბარომეტრიც უეცრად დაეცა... ცა ჯერ კიდევ ლურჯი იყო, მაგრამ თანდათან ბალიშებივით აფუმფულებული ლეგა ღრუბლებით იფარებოდა.

ტომმა დაუმატა:

- მე რომ მკითხოთ, წვიმას ახლა არაფერი სჯობია. ასეთ ამინდში სეირნობა არ გამიგია, დაიხუთები კაცი, რაღაც არაბუნებრივი სიცხეა. ასეთი სიცხე პოშიც არ ყოფილა...

ამ დროს ოთახში პატარა ერიკასთან ხელიხელჩაკიდებული იდა იუნგმანი შემოვიდა. ახალგახამებულ ბატისტის კაბაში გამოწყობილი ბავშვი საპნისა და სახამებლის სურნელს აფრქვევდა და საყვარლად გამოიყურებოდა. ერიკას ბატონ გრიუნლიჰის სახის ფერი და თვალები გამოჰყოლოდა, ზედა ტუჩი კი ტონისას მიუგავდა.

კეთილი იდა უკვე სავსებით გაჭაღარავებულიყო, თუმცა ორმოცისა ძლივს იქნებოდა. ნაადრევი ჭაღარა იუნგმანებს გვარში მოსდგამდათ. სლოკინისგან რომ ბიძა გარდაეცვალა, ოცდაათი წლისა ისიც მთლად გათეთრებული ყოფილა. იდას წვრილ- წვრილი, თაფლისფერი თვალებიდან ერთგულება, ენერგია და ყურადღება გამოსჭვიოდა. აგერ უკვე ოცი წელი იყო ბუდენბროკებთან მსახურობდა, გული სიამაყით ევსებოდა, იცოდა, ბუდენბროკები უიმისოდ იოლად ვერ გავიდოდნენ.
იდას ეჭირა თვალი სამზარეულოზე, საკუჭნაოზე, თეთრეულის კარადებსა და ფაიფურზე, შედარებით მნიშვნელოვან საყიდლებზეც მას უნდა ეზრუნა.

იდა უკითხავდა პატარა ერიკას წიგნებს, დედოფლებისთვის კაბებსაც თვითონ უკერავდა, მასთან ერთად მეცადინეობდა, ბუტერბროდებით შეიარაღებულს ერიკა სკოლიდანაც მოჰყავდა და სასეირნოდაც დაატარებდა წისქვილის მიწაყრილზე. კონსულის მეუღლესა და მის ქალიშვილს ყველა შენატროდა:

- ეს რა მამზელი გყავთ, გეთაყვა, რა მამზელი! ღმერთმანი, აუწონავი ოქროა! ოცი წელია თქვენთანაა, ხუმრობა ხომ არ არის... ეგ სამოცისაც ყოჩაღად იქნება! ხომ იცით, გამხდარი ხალხი... მერე და რა ერთგული თვალები აქვს! პირდაპირ მშურს თქვენი, ნამდვილად მშურს.

იდა იუნგმანმაც იცოდა საკუთარი თავის ფასი. იცოდა, ვინ იყო და ვინიცობაა მიწაყრილზე რომელიმე უბრალო მოახლე გოგო თავისი აღსაზრდელიანად იდას გვერდით მოუჯდებოდა და თანასწორივით ლაპარაკის გაბმას დაუპირებდა, მამზელ იუნგმანი იტყოდა: ერიკჰენ, აქ უბერავსო, და იქაურობას გაეცლებოდა.

ტონიმ თავისი პატარა ასული მიიზიდა და ვარდისფერ ლოყაზე აკოცა. კონსულის მეუღლე ამ დროს ცას შიშით აკვირდებოდა და ბავშვს დაბნეული ღიმილით გაუწოდა ხელისგული. ცა თანდათან იქუფრებოდა, კონსულის მეუღლე სოფაზე თითებს ნერვიულად აკაკუნებდა და შეშფოთებული ღია ცისფერ თვალებს ფანჯარას არ აცილებდა.

ერიკას ნება დართეს ბებიის გვერდით დამჯდარიყო. იდა ერთ-ერთ სავარძელზე ჩამოჯდა წელგამართული და ყაისნაღი აამუშავა. ერთხანს ყველანი ასე უსიტყვოდ ისხდნენ და კონსულს ელოდნენ. ჰაერი დაიხუთა. ცაზე უკანასკნელი ლურჯი ნაკუწიც გაქრა და მოქუფრული ცა მძიმედ ჩამოემხო მიდამოს თავზე. ოთახის ფერები, შპალერებზე დახატული ლანდშაფტების სიმწვანე, ავეჯისა და ფარდების ოქროსფერი თითქოს ჩაქრა, აღარც ტონის კაბა ლივლივებდა, ადამიანებსაც ჩაუქრათ თვალებში სხივი. დასავლეთის ქარი, ახლახან მარიენკირხეს ეზოს ხეებში რომ დათარეშობდა და ბნელ ქუჩებში მტვრის კორიანტელს აყენებდა, უცებ ჩაყუჩდა. ერთი წამით სრულმა სიწყნარემ დაისადგურა.

ეს წუთები უცებ დადგა... იდუმალი, საშიშარი რაღაც ხდებოდა. ხვატი თითქოს გაორკეცდა, ატმოსფეროს წნევა ერთ წამში ისე გაიზარდა, გეგონებოდათ, ტვინი ვეღარ გაუძლებსო. მაღალი წნევა გულს ხუთავდა, სულის ამოთქმას აძნელებდა... მერცხალმა ისე ახლოს ჩაიქროლა, ფრთები ქვაფენილს გაჰკრა კიდეც... და ეს სულის შეხუთვა, სხეულზე ლოდივით დაწოლილი სიმძიმის შეგრძნება აუტანელი გახდებოდა, კიდევ ერთ წამს რომ გაგრძელებულიყო და ამ დაძაბულობას განმუხტვა
არ მოჰყოლოდა. თითქოს სადღაც პატარა მხსნელი ნაპრალი გაჩნდა... ყურს ამ ნაპრალის გაჩენის ხმაც მისწვდებოდა, იმავე წუთში კოკისპირულ წვიმას რომ არ დაეშვა. მილებში წყალი ახმაურდა. ქვაფენილზე წვიმას შხაპაშხუპი გაუდიოდა.

თომასი ავადმყოფობამ მიაჩვია, თავის ნერვებს დაჰკვირვებოდა. იგი ამ იშვიათ წამს წინ გადაიხარა, ხელი თავისკენ წაიღო და სიგარეტი გადააგდო, ირგვლივ მიმოიხედა, ყველაფერი ეს სხვებმაც თუ იგრძნესო. მან მხოლოდ დედას შენიშნა ბუნების ზემოქმედების რაღაცა კვალი, დანარჩენები აინუნშიაც არ იყვნენ. კონსულის მეუღლე თავსხმას გაჰყურებდა. წვიმა მარიენკირხეს მძიმე საბურველში ახვევდა.

- მადლობა ღმერთს! - ამოიოხრა მან.

- მაშ, ასე! - თქვა ტომმა, - ორ წუთში აგრილდება. ახლა ხის ფოთლებს წვეთები დაეკიდება და ჩვენ ვერანდაზე მოგვიწევს ყავის დალევა. ტილდა, აბა, ერთი ფანჯარა გამოაღე!

ოთახში წვიმის გამაყრუებელი ხმაური უფრო მძლავრად შემოიჭრა. არემარე თითქოს დუღდა და ქაფდებოდა, შხაპუნი, შრიალი და დგაფუნი ერთმანეთში ირეოდა.

ქარი ისევ ამოვარდა, ანცად შეიჭრა წყლის უსიერ პირბადეში, გახია იგი და აქეთ-იქით გაფანტა. თანდათან აგრილდა.

ამ დროს სვეტებიანი სადარბაზოდან მოახლე ლინე ოთახში ისე შემოვარდა, რომ იდა იუნგმანმა მის დასაშოშმინებლად საყვედურნარევი ხმით წამოიძახა:

- ღმერთო ჩემო, რა ამბავია!

ლინეს უაზრო ცისფერი თვალები დაეჭყიტა და ერთხანს ყბებს ხმის ამოუღებლად ამოძრავებდა:

- ვაი, ქალბატონო, ვაი ჩემს დღეს, ჩქარა წამობრძანდით... ღმერთო მიშველე, შიშისგან კინაღამ გავგიჟდი!

- ოჰო, - თქვა ტონიმ, - ეტყობა, კიდევ მიაფშვნა რამე! ალბათ, ძვირფასი ფაიფური! დედაჩემო, შენ რომ მოსამსახურეები გყავს!..

დამფრთხალმა მოახლე გოგომ წაილუღლუღა:

- არა, ღმერთმანი, მადამ გრიუნლიჰ... ნეტავ ეგრე იყოს... ბატონი გახლავთ ცუდად... მინდოდა, ფეხსაცმელი მიმეტანა, ბატონი კონსული მისვენებულია. ხმას ვერ იღებს და სულს ვერ ითქვამს... მხოლოდ უაზროდ მომჩერებია. ღმერთმანი, ცუდადაა ბატონი კონსული, ბაიისფერი ადევს.

- გრაბოვთან აფრინეთ კაცი! - იყვირა თომასმა და კარს ეცა.

- ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!- წამოიყვირა კონსულის მეუღლემ, ხელებით ცას შეღაღადა და ოთახიდან გავარდა.

- გრაბოვთან... კარეტით... ჩქარა! - გაიმეორა სუნთქვაშეკრულმა ტონიმ.

კიბე კისრისტეხით ჩაირბინეს. მცირე სასადილო ოთახით საძინებელში შეცვივდნენ... მაგრამ იოჰან ბუდენბროკი უკვე მკვდარი იყო.

მეხუთე ნაწილი

პირველი თავი

- საღამო მშვიდობისა, იუსტუს, - თქვა კონსულის მეუღლემ, - ხომ კარგად ხარ? დაჯექი.

კონსული კროგერი დას ნაზად და ფაციფუცით გადაეხვია, თავის უფროს დისწულს ტონის კი ხელი ჩამოართვა.

იუსტუს კროგერს უკვე ორმოცდათხუთმეტი წლისთვის მიეღწია, პატარა ულვაშები და ხშირი, სავსებით გაჭაღარავებული ბაკენბარდები მრგვლად მოეშვა, ნიკაპი კი საგანგებოდ ჰქონდა გაპარსული. ვარდისფერ, გამელოტებულ კეფაზე თხელი თმა ბეჯითად გადაევარცხნა. ელეგანტურ სერთუკზე სამგლოვიარო, ფართო არშია ჰქონდა შემოვლებული.

- ახალი ამბავი არ იცი, ბეტსი? - ჰკითხა დას, - ჰო, ტონი, შენთვის ეს განსაკუთრებით საინტერესო იქნება. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩვენი მამული უკვე გავყიდეთ... მერე ვის მივყიდეთ, არ იკითხავთ? ერთ კაცს კი არა, ორს. ნაკვეთს გაყოფენ, სახლს აიღებენ, შუაზე მესერს გაავლებენ. ვაჭარი ბენთიენი აქეთ იშენებს სოროს, ვაჭარი ზორენსონი კი - იქით... რას იზამ, ყველაფერი ღვთის ნებაა.

- ეს რა მესმის, - შესძახა ფრაუ გრიუნლიჰმა, ხელები კალთაზე დაიკრიფა და თვალი პლაფონს მიაპყრო, - ბაბუას ეზო ასე დანაკუწებული რაღას ივარგებს! ის მამული სწორედ სიდიდით გხიბლავდა, ზედმეტად დიდი კი ეთქმოდა, მაგრამ სამაგიეროდ რა დიდებული იყო! დიდი ბაღი... ზედ ტრავემდე... სიღრმეში დადგმული სახლი, წაბლების ხეივანი... მაშ, ახლა ეს ეზო გაიყოფა, ერთ ჭიშკართან ბენთიენი გააბოლებს თავის ჩიბუხს და მეორესთან - ზორენსონი, ხომ? კარგი, მეც იმასვე ვიტყვი, „ღვთის ნებაა-მეთქი“, ბიძია იუსტუს! სადღაა ახლა კეთილშობილი ხალხი! ვის რად უნდა ამოდენა მამული! კიდევ კარგი, ბაბუა მაინც არ მოესწრო ამ ამბავს.

სახლში ჯერ კიდევ მძიმე, სამგლოვიარო განწყობილება სუფევდა და ტონის არ შეეძლო თავისი აღშფოთება უფრო მაგარ-მაგარი სიტყვებით გამოეხატა. სწორედ დღეს, ექვსის ნახევარზე, კონსულის გარდაცვალებიდან ორი კვირის თავზე, ანდერძი უნდა გაეხსნათ, კონსულის მეუღლემ ძმა საგანგებოდ მოიწვია მენგშტრასეზე, თომასს, საქმეთა მწარმოებელ ბატონ მარკუსს და მას განსვენებულის ანდერძი უნდა გაეხსნათ. ტონიმ ყველას ამცნო თავისი გადაწყვეტილება, ამ საოჯახო თათბირს არც მე გამოვაკლდები, ეს ჩემი ვალია ფირმისა და ოჯახის წინაშეო, და თვითონვე გაისარჯა, რომ ეს თავყრილობა საოჯახო საბჭოს სხდომას დამსგავსებოდა. ფარდები მჭიდროდ დახურა და თუმცა გაშლილ, მწვანე სუფრაგადაფარებულ სასადილო

მაგიდაზე ორი პარაფინის ლამპა ჩახჩახებდა, დიდ, მოოქრულ კანდელაბრებზე ყველა სანთელი აანთო, მაგიდაზე მთელი დასტა საწერი ქაღალდი და წვერწამახული ფანქრები დაალაგა, თუმცა არავინ იცოდა, ეს რისთვის იყო საჭირო.

შავ კაბაში ტონი გოგონასავით ტანწერწეტა ჩანდა. შეიძლება კონსულის სიკვდილს ყველაზე უფრო მტკივნეულად იგი განიცდიდა - ამ ბოლო დროს მამა-შვილს ძალზე გულთბილი ურთიერთობა ჰქონდა და დღესაც მამის მოგონებაზე ორჯერ ცხარე ცრემლით იტირა, მაგრამ ამ პატარა საოჯახო თათბირმა, ამ სერიოზულმა ამბავმა, რომელშიც განზრახული ჰქონდა ღირსეული მონაწილეობა მიეღო, მშვენიერი ღაწვები შეუფაკლა, მზერა გამოუცოცხლა, ხალისი და მხნეობა შემატა... კონსულის მეუღლე კი, პირიქით, ელდის, ტკივილის, ათასგვარი სამგლოვიარო ფორმალობისა და დაკრძალვის ცერემონიალისგან დაქანცულიყო და საცოდავად გამოიყურებოდა. ჩაჩის შავმაქმანებიან ბაფთებში სახე კიდევ უფრო გაფითრებული უჩანდა, ღია ცისფერი თვალებიც თითქოს გამოხუნებოდა, მაგრამ სადად გაყოფილ სპილენძისფერ თმაში არც ერთი ღერი თეთრი არ ერია... ეს პარიზული ნაყენის წყალობა იყო თუ კონსულის მეუღლეს უკვე პარიკი ეკეთა? ქალბატონის საიდუმლო მხოლოდ მამზელ იუნგმანმა იცოდა და ამ ამბავს თვით შინაურ ქალებსაც კი არ გაუმხელდა.

სამივენი მაგიდის ბოლოში ისხდნენ, კანტორიდან თომასისა და ბატონ მარკუსის მოსვლას ელოდნენ. ცისფერ შპალერზე გამოკვეთილი თეთრი ღმერთები შეკრებილთ ზვიადად გადმოსცქეროდნენ.

კონსულის მეუღლემ იუსტუსს მიმართა:

- აი, რა უნდა გითხრა, ჩემო იუსტუს... უფრო იმისთვის შეგაწუხე, რომ... მოკლედ, საქმე ჩვენს ბავშვს, კლარას ეხება, ჩემმა ძვირფასმა, განსვენებულმა ჟანმა კლარასთვის მეურვის არჩევა მე მომანდო. გოგონას სამი წელი კიდევ სჭირდება მეურვე... ვიცი, ზედმეტ საქმეში თავის გაყოფა არ გიყვარს, ისედაც ბევრი მოვალეობა გაკისრია შენი ცოლისა და ვაჟიშვილების წინაშე.

- ვაჟიშვილის წინაშე, ბეტსი.

- კარგი, კარგი, ჩვენი ვალია ღვთის მოშიშნი და გულმოწყალენი ვიყოთ, იუსტუს. „შეუნდე ცოდვილთ შეცოდებანი მათნი“, - ასე გვიბრძანებს უფალი ჩვენი, იფიქრე მამაზეციერზე, იუსტუს.

იუსტუსმა, ცოტა არ იყოს, გაოცებით შეხედა დას. აქამდე ასეთ სიტყვებს მხოლოდ განსვენებული კონსულის პირიდან თუ გაიგონებდნენ.

- კარგი, - განაგრძო კონსულის მეუღლემ, - ეს მოვალეობა ბევრ დავიდარაბას არ შეგახვედრებს... ამიტომ გთხოვ მეურვეობა იკისრო, იუსტუს!

- სიამოვნებით, ბეტსი, ნამდვილად სიამოვნებით ვიკისრებ. ერთი ჩემი სამეურვეო დამანახვეთ, თუ შეიძლება. ცოტა ზედმეტად სერიოზული კია ჩვენი კლარა.

კლარას დაუძახეს. ძაძებში ჩაცმული, გაფითრებული გოგონა ოთახში დინჯად შემოვიდა. კლარა მამის სიკვდილის შემდეგ თავისი ოთახიდან თითქმის არ გამოდიოდა და დღეებს ლოცვა-ვედრებაში ატარებდა. თვალები თითქოს ერთ წერტილზე გაჰყინვოდა, გეგონებოდათ, გლოვისა და ღვთისმოშიშობისგან გაჰქვავებიაო.

ძველებურად გალანტური ბიძია იუსტუსი მისკენ გაემართა და ხელის ჩამორთმევისას წელში მოიხარა. შემდეგ კლარას ორიოდე სიტყვა უთხრა. კლარა მაშინვე წავიდა, როგორც კი კონსულის მეუღლე გაქვავებულ ბაგეზე ეამბორა.

- ჩვენი იურგენი როგორაა? - ხელახლა წამოიწყო საუბარი კონსულის მეუღლემ, - ვისმარში თავს როგორა გრძნობს?

- კარგად, - მიუგო იუსტუს კროგერმა, მხრები აიჩეჩა და თავის ადგილზე დაჯდა, - მე მგონი, იპოვა თავისი ადგილი. იცი, რა კარგი და პატიოსანი ბიჭია იურგენი, ბეტსი? მაგრამ, რაც გამოსაშვებ გამოცდაზე ორჯერ ჩაიჭრა, ეს ყველაზე კარგი გამოსავალი იყო... იურისპრუდენცია თვითონაც არაფრად ეჭაშნიკებოდა, თანაც ვისმარის ფოსტაში ნამდვილად ღირსეული თანამდებობა უჭირავს... ჰო, მართლა, გავიგე, შენი ქრისტიანი ჩამოდის თურმე.

- ჰო, იუსტუს, ჩამოვა. ღმერთმა მშვიდობით ჩამოიყვანოს. მერე, რომ იცოდე, რამდენი ხანი უნდა იმგზავროს ზღვით. ჟანის სიკვდილის მეორე დღესვე მივწერე ბარათი, მაგრამ ღმერთმა იცის, წერილი როდის ჩააღწევს, იალქნიანი გემით მგზავრობას ორი თვე მაინც დასჭირდება. აუცილებლად უნდა ჩამოვიდეს. რომ იცოდე, როგორ მჭირდება, იუსტუს! ტომმა კი თქვა, ჟანი არამც და არამც არ დასთანხმდებოდა, ქრისტიანს ვალპარაისოში თავისი ადგილი დაეტოვებინაო, მაგრამ, ერთი იფიქრე:
რვა წელიწადი იქნება, რაც ქრისტიანი აღარ მინახავს! ახლა კიდევ ამ დღეში ვარ. გაჭირვების ჟამს მინდა შვილები გვერდით მყავდეს... დედას ეს არ გაემტყუნება...

- არა, რა თქმა უნდა, არ გაემტყუნება! - დაუდასტურა კონსულმა კროგერმა თვალზე ცრემლმორეულ დას.

- ახლა თომასიც თანახმაა, - განაგრძო კონსულის მეუღლემ, - აბა, მითხარი, სად უნდა იყოს ქრისტიანი, თუ არა განსვენებული მამამისის ფირმაში, თომასთან? მას შეუძლია აქ დარჩეს, აქ იმუშაოს... ღმერთო, სულ იმის შიშში ვარ, რომ იქაური კლიმატი ქრისტიანს სახეიროს არაფერს დააყრის.

ამ დროს ბატონ მარკუსის თანხლებით დარბაზში თომას ბუდენბროკი შემოვიდა. ფრიდრიჰ ვილჰელმ მარკუსი, განსვენებული კონსულის ძველი საქმეთა მწარმოებელი, წარმოსადეგი კაცი იყო; ყავისფერი სერთუკის სახელოზე სამგლოვიარო არშია ჰქონდა შემოვლებული. ლაპარაკობდა ძალიან წყნარად, სვენებ- სვენებით, ბორძიკით, თითო სიტყვაზე თითო წუთს მაინც ფიქრობდა. ჩვეულებად ჰქონდა, ხელები გულმოდგინედ ეფშვნიტა ან გამართული მარცხენა ხელის

საჩვენებელი და შუათითებით ნელა ეფოცხა ტუჩებზე ჩამოფანჩული წითური ულვაშები. ამ დროს მრგვალ-მრგვალ ყავისფერ თვალებს აქეთ-იქით ისე ფრთხილად აცეცებდა, რომ უსაშველოდ დაბნეული და გამოთაყვანებული ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა, სინამდვილეში კი მის თვალსა და ყურს არასოდეს არაფერი გამოეპარებოდა.

თომას ბუდენბროკს, დიდი სავაჭრო სახლის ასეთ ახალგაზრდა შეფს, თავი ღირსეულად ეჭირა, თუმცა სახეზე ფერი არ ედო. განსაკუთრებით ხელები მოუჩანდა ისეთი უფერული, რომ მანჟეტებიდან არც გამოირჩეოდა. მაშინვე შეატყობდით, რომ ხელები გამომშრალი და ცივი ჰქონდა. ერთ ხელზე საგვარეულო ტვიფრიანი ბეჭდის მწვანე თვალი უციმციმებდა. თომასის მშვენივრად მოვლილ ოვალურ ფრჩხილებს ხშირად მოლურჯო ფერი დაჰკრავდა, ხელები კი ზოგჯერ შეუცნობლად ეკრუნჩხებოდა. მაშინ ისინი ენით აუწერელ, უსიამოვნო გრძნობას იწვევდნენ და შიშნარევ თავშეკავებას გამოხატავდნენ, რაც ბუდენბროკების საკმაოდ ფართო, ბიურგერული, თუმცა მაინც ნატიფი ხელებისთვის აქამდე უცხო იყო და მათი გვარის შვილებს ნაკლებად შეეფერებოდა... თომასმა ჯერ ლანდშაფტებიან ოთახში გამავალი ორფა კარი გააღო, უნდოდა, ღუმლის თუჯის გისოსებს იქით აგუზგუზებული ცეცხლის სითბო სასადილო დარბაზში გამოსულიყო. შემდეგ კონსულ კროგერს ჩამოართვა ხელი და მაგიდასთან ბატონი მარკუსის პირდაპირ დაჯდა. ტონის დანახვაზე თომასმა გაკვირვებით აზიდა ცალი წარბი, მაგრამ ტონიმ ისე მედიდურად ასწია თავი და ნიკაპი მკერდზე ისე ამაყად დაიბჯინა, რომ თომასმა ამჯობინა, ხმა არ ამოეღო.

- მაშ, ჯერ „ბატონ კონსულს“ ვერ დაგიძახებთ? - შეეკითხა დისწულს იუსტუს კროგერი, - ნიდერლანდებს ამაოდ აქვთ შენი წარმომადგენლობის იმედი, ძმობილო?

- დიახ, ბიძია იუსტუს, ასე ვამჯობინე... იცი, შემეძლო ახლავე მეკისრა კონსულობაც და სხვა ვალდებულებანიც, მაგრამ ჯერ ერთი, საამისოდ ახალგაზრდა ვარ... მეორეც, ბიძია გოტჰოლდს უკვე შევთავაზე კონსულობა და იგი სიხარულით დამთანხმდა კიდეც.

- ჭკვიანურად მოქცულხარ, ჩემო ბიჭო, ფრიად დიპლომატიურად... ნამდვილად gentlemanlike![60]

- ბატონო მარკუს, ჩემო ძვირფასო ბატონო მარკუს! - წარმოთქვა კონსულის მეუღლემ და საქმის მწარმოებელს ხელისგული გაუწოდა.

ბატონმა მარკუსმა ფრთხილად და მორიდებით გაიხედა გვერდზე და ისე შეაგება ხელი.

- მე გთხოვეთ ზემოთ ამობრძანებულიყავით... - მიმართა კონსულის მეუღლემ, - თქვენ კარგად მოგეხსენებათ, აქ რისთვისაც შევიკრიბეთ და ვიცი, ჩვენს გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერთ. ჩემი განსვენებული მეუღლე უკანასკნელ ხანებში

სურვილს გამოთქვამდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ თქვენს ერთგულებასა და ძალ-ღონეს მოახმარდით ფირმას, მაგრამ როგორც კომპანიონი და არა როგორც გარეშე თანამშრომელი.

- რა თქმა უნდა, უეჭველად, ქალბატონო, - მიუგო ბატონმა მარკუსმა, - უმორჩილესად გთხოვთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დიდ პატივად მიმაჩნია ასეთი დაფასება და უღრმეს მადლობას გწირავთ, მით უმეტეს, რომ ჩემი კაპიტალი, რაც ფირმაში შემიძლია შემოვიტანო, ფრიად უმნიშვნელო გახლავთ. ღვთისა და კაცის წინაშე ამაზე უკეთესს ვერაფერს გავაკეთებ - თქვენი და თქვენი ვაჟის წინადადება უღრმესი მადლობით უნდა მივიღო.

- დიახ, მარკუს, მადლობას მოგახსენებთ, რომ მზად ხართ დიდი პასუხისმგებლობა გაიზიაროთ, რაც მარტო ჩემთვის ფრიად მძიმე იქნებოდა, - ეს სიტყვები თომასმა სწრაფად, სხვათა შორის წარმოთქვა და თავის კომპანიონს ხელი გაუწოდა. ისინი უკვე კარგა ხანია შეთანხმებული იყვნენ და ეს ყველაფერი უბრალოდ ფორმალობა გახლდათ.

- ცხრა ზიარი ახო ჩიტმა მოძოვაო, ნათქვამია, მაგრამ იმედი მაქვს, ამ ანდაზას გააბათილებთ! - თქვა კონსულმა კროგერმა, - ახლა კი საქმეში ჩავიხედოთ, ბავშვებო. ჩემი სამეურვეოს მზითევს უნდა მივხედო. დანარჩენი მე არ მენაღვლება. ანდერძის ასლი აქა გაქვს, ბეტსი? შენ, ტომ, პატარა ანგარიში გაქვს გაკეთებული?

- გონებაში, კი, - უპასუხა თომასმა.

სავარძელში გადაწოლილი ტომი ოქროსბუნიკიან ფანქარს მაგიდაზე დაასრიალებდა, მზერა ლანდშაფტებიანი ოთახისკენ მიეპყრო და თავისიანებს საქმის არსს აცნობდა.

კონსულის დატოვებული მემკვიდრეობა გაცილებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონათ. მისი უფროსი ქალიშვილის მზითევი, რა თქმა უნდა, დაიკარგა. 51 წელს ბრემენელი ძმების გაკოტრებით ფირმას საგრძნობი ზარალი მიადგა. 48 წელს და ასევე, მიმდინარე 55 წელსაც, თავისი აჯანყებებითა და ომებით, ფირმა უკან დაეწია. კროგერების მემკვიდრეობიდან ბუდენბროკებს 400000 მარკა ხვდა წილად, მაგრამ იუსტუსს კარგა ძალი ფული გაეფლანგა წინასწარ და ეს თანხა 300000 მარკაზე დავიდა. თუმცა იოჰან ბუდენბროკი ვაჭრების ჩვეულებისამებრ ყოველთვის წუწუნებდა, მაგრამ ამ 15 წლის განმავლობაში წლიურ 30000 ტალერ შემოსავალს დანაკლისი გაეწონასწორებინა. მოკლედ, ბუდენბროკების ქონება, უძრავი ქონების გარეშე, 750000 მარკას შეადგენდა.

თომასი ფირმის საქმეებში ჩახედული გახლდათ, მაგრამ იოჰან ბუდენბროკს მისთვისაც კი არ გაუნდვია, ფირმის ქონება რა თანხას შეადგენდა. კონსულის მეუღლემ აუღელვებლად მოისმინა დასახელებული ციფრი. ტონის ღირსეულად ეჭირა თავი და წინ მომხიბლავად იყურებოდა, თუმცა შიშნარევი ეჭვის დაფარვას

მაინც ვერ ახერხებდა. თითქოს უნდოდა ეთქვა, ვითომ ეს ბევრია? ძალიან ბევრი? ვითომ მდიდრები ვართო?

ვითომდა დაბნეული ბატონი მარკუსი ხელებს დინჯად იფშვნეტდა, კონსულ კროგერს აშკარად დაეტყო მოწყენა. თვითონ თომასი საკუთარი პირით წარმოთქმულმა ციფრმა ნერვიული და აზარტული სიამაყით აღავსო, მაგრამ თან ხმაში ლამის უკმაყოფილება გაერია.

- ჩვენ დიდი ხანია მილიონისთვის უნდა მიგვეღწია! - აღელვებისგან ხმა ჩაუწყდა თომასს და ხელები აუკანკალდა, - ბაბუა თავისი აყვავების ხანაში უკვე ცხრაასი ათასს ატრიალებდა. მას შემდეგ რამდენი ძალ-ღონე დაიხარჯა, წარმატებაც ბევრი გვქონდა და მსხვილი მოგებაც ბევრი გვინახავს! მერე დედას მზითევი, დედას მემკვიდრეობა! მაგრამ კაპიტალის დაქუცმაცებასაც რომ აღარ მოეღო ბოლო! ღმერთო ჩემო, განა არ ვიცი, რომ ესეც ბუნებრივი ამბავია. მომიტევეთ, თუ ამ წუთში მხოლოდ და მხოლოდ ფირმის ინტერესები მალაპარაკებს... ეს მზითევი, ეს ბიძია გოტჰოლდისა და ფრანკფურტელების გასასტუმრებელი თანხა, ეს ასიათასობით მარკა, იძულებული რომ გავხდით ბრუნვიდან ამოგვეღო... მაშინ კი ფირმის მფლობელს ერთი და-ძმა ჰყავდა... კარგი, კმარა, ჩვენ ყელამდე გვექნება საქმე, მარკუს!

მოქმედების, გამარჯვებისა და ძალაუფლების ჟინი, ბედისწერის მუხლებზე დაჩოქების წყურვილი აღენთო თომასის თვალებში. ახალგაზრდა ბუდენბროკი გრძნობდა, რა დაძაბული მოლოდინით შეჰყურებდა მთელი ქვეყანა: შეძლებდა კი ფირმისა და ძველი ოჯახის პრესტიჟი, თუ არ აამაღლებდა, შეენარჩუნებინა მაინც? ძველი საქმოსნების ცოცხალ, სკეპტიკურ და, ცოტა არ იყოს, დამცინავ თვალთაგან ნატყორცნ ასეთ შემფასებელ, ალმაცერ მზერას იგი უკვე ბირჟაზე შეხვედროდა. ეს თვალები თითქოს ეკითხებოდნენ: „ჰო, რა, შვილიკო, გაუძღვები საქმეს?“, „დიახ, გავუძღვები!“ - ფიქრობდა თომასი.

ფრიდრიჰ ვილჰელმ მარკუსი ჩაფიქრებული იფშვნეტდა ხელებს, იუსტუს კროგერმა კი თქვა:

- დამშვიდდი, ტომ! ის დრო წავიდა, ბაბუაშენი პრუსიელთა ჯარს მომმარაგებლად რომ დაჰყვებოდა.

შემდეგ საუბარი ანდერძის დიდ და მცირე განკარგულებებს შეეხო. ყველა თავის აზრს გამოთქვამდა. კონსულ კროგერს საუბარში ხალისი შემოჰქონდა, თომასს „მის უმაღლესობასა“ და „მმართველ მთავარს“ ეძახდა.

- მაშ, ბეღლის ნაკვეთი, ტრადიციის თანახმად, კვლავ ტახტის მემკვიდრეს რჩება, არა? - თქვა მან.

ბუნებრივია, კონსულის განკარგულებებს ერთი აზრი ედო საფუძვლად: შეძლებისდაგვარად თავიდან აეცილებინათ ქონების დაქუცმაცება, ქალბატონი

ელიზაბეტ ბუდენბროკი უნივერსალური მემკვიდრე ყოფილიყო და მთელი ქონება ფირმის საქმეს მოხმარებოდა. აქ ბატონმა მარკუსმა დასძინა, რომ იგი, თავის მხრივ, საბრუნავ კაპიტალს 120000 მარკას დაუმატებდა.

თომასისთვის ჯერჯერობით საკუთრად 50000 მარკა იყო გამოყოფილი, ამდენივე ქრისტიანისთვის, იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი საქმის წამოწყებას მოისურვებდა. იუსტუს კროგერი გამოცოცხლდა, როცა შემდეგ მუხლს კითხულობდნენ: „ჩემი გულით საყვარელი უმცროსი ქალიშვილის კლარას მზითვის განსაზღვრას მისი გათხოვების შემთხვევაში ჩემს გულით საყვარელ მეუღლეს ვანდობ“.

- ვთქვათ, 100000! - წამოაყენა წინადადება იუსტუს კროგერმა, სავარძლის ზურგს მიეყრდნო, ფეხი ფეხზე გადაიდო და ორივე ხელით თავისი მოკლე, ჭაღარა ულვაშები აიგრიხა.

იუსტუს კროგერი გულუხვობის განსახიერება გახლდათ, მაგრამ სამზითვოდ მაინც 80000 მარკა დაადგინეს.

„ჩემი გულით საყვარელი უფროსი ქალიშვილის ანტონიას ხელმეორედ გათხოვების შემთხვევაში, - ეწერა შემდგომ ანდერძში, - ვინაიდან მისი პირველი ქორწინებისას გაცემული იყო 80000 მარკა, მზითვად გამოყოფილი თანხა 17000 ტალერს არ უნდა აღემატებოდეს“.

ქალბატონმა ანტონიამ გრაციოზული და აღელვებული ჟესტით მკლავები წინ გაიწვდინა, სახელოები შეისწორა, მზერა ჭერისკენ აღაპყრო და წამოიძახა:

- ოჰ, გრიუნლიჰი!

ტონის წამოძახილმა დაფდაფების გუგუნივით, საომარ მოწოდებასავით გაიხმიანა.

- თქვენ, ალბათ, არც გეცოდინებათ, ბატონო მარკუს, როგორ გავიცანით ის ტიპი, არა?
- შეეკითხა ტონი ბატონ მარკუსს, - ერთ წყნარ ნაშუადღევს ვსხედვართ ბაღში... პორტალის წინ... ხომ იცით, ბატონო მარკუს, ჩვენი პორტალი... ჰოდა, ვინ გვევლინება? ოქროსფერბაკენბარდებიანი პიროვნება! ოჰ, ის გაიძვერა, ისა!..

- ჰო, - თქვა თომასმა, - ბატონ გრიუნლიჰზე სხვა დროს ვილაპარაკებთ, კარგი?

- კარგი, კარგი, მაგრამ ერთ რამეში უნდა დამეთანხმო, ტომ, შენ ხომ ჭკვიანი კაცი ხარ. მე უკვე ყველაფერი გამოვცადე, თუმცა ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ძალზე გულუბრყვილო ვიყავი, - თურმე ცხოვრებაში ყველაფერი როდი კეთდება პატიოსანი და სამართლიანი გზით.

- ჰო... - კვერი დაუკრა თომასმა და კვლავ განაგრძეს ანდერძის დაწვრილებით კითხვა. წაიკითხეს განკარგულებანი დიდ საოჯახო ბიბლიაზე, კონსულის ბრილიანტის ღილებისა და მრავალი სხვა ნივთის თაობაზე...

იუსტუს კროგერი და ბატონი მარკუსი ვახშმად ბუდენბროკებთან დარჩნენ.

მეორე თავი

1856 წლის თებერვლის დამდეგს, რვა წლის განშორების შემდეგ, ქრისტიან ბუდენბროკი სამშობლო ქალაქში ბრუნდებოდა, ყვითელ, ფართოუჯრედებიან კოსტიუმში გამოწყობილი ქრისტიანი ჰამბურგიდან საფოსტო კარეტით ჩამოვიდა, თან ხმალთევზას მახვილი და დიდი შაქრის ლერწამი ჩამოიტანა. ნახევრად დაბნეული, ნახევრად დარცხვენილი ქრისტიანი დედას გადაეხვია.

ქრისტიანს დაბნეული იერი არც მაშინ შესცვლია, როცა მისი ჩამოსვლის მეორე დილასვე ოჯახი ქალაქის ჭიშკარგადაღმა გაემართა კონსულის საფლავზე გვირგვინის მისატანად. ოჯახის წევრები დათოვლილ გზაზე, დიდი ფილის წინ ერთმანეთის გვერდიგვერდ იდგნენ. ქვაში ამოკვეთილი საგვარეულო გერბის
გარშემო საუკუნო განსასვენებელში წასულთა სახელები ამოეკვეთათ. ბუდენბროკები ფოთლებგაძარცული ჭალის პირას აღმართული მარმარილოს ჯვრის წინ იდგნენ. კლოტილდეს გარდა ყველანი აქ იყვნენ. იგი ავადმყოფი მამის მისახედად „ეწერში“ გამგზავრებულიყო.

ტონიმ გვირგვინი იმ ადგილას დადო, სადაც ოქროს ასოებით მამამისის სახელი იყო ამოკვეთილი. იგი თოვლს არ მორიდებია, სამარესთან სალოცავად ჩაიჩოქა. შავი ლეჩაქი სახეზე ელამუნებოდა, ფართო კაბის ხვეულები კი ირგვლივ მომხიბლავად ჰქონდა შემოწყობილი. უფალმა უწყის, რა სჭარბობდა ამ პოზაში, ღვთისმოსაობა და გლოვა თუ ლამაზი ქალის სიკეკლუცე. თომასს ამაზე ფიქრისთვის არა სცხელოდა, ქრისტიანი კი დას დამცინავ და თან შიშნარევ მზერას არ აცილებდა. თითქოს უნდოდა ეთქვა: შეგიძლია ეს პოზა შეიფერო? ვითომ არ შეგრცხვება, ფეხზე რომ წამოდგები? რა უსიამოვნო განცდაა!.. ფეხზე წამომდგარმა ტონიმ ეს მზერა დაიჭირა, მაგრამ ნირი არ შესცვლია. თავი უკან გადაიგდო, ლეჩაქი და კაბა გაისწორა და ღირსეული იერით წარონინდა. ქრისტიანს გულზე მოეშვა.

თუკი განსვენებული კონსული თავის გვარში ღვთისა და ჯვარცმული ქრისტესადმი გულმხურვალე სიყვარულით გამოირჩეოდა და არაყოველდღიური, ბიურგერისთვის შეუფერებელი, დახვეწილი გრძნობებით სულდგმულობდა, მისი ორივე ვაჟი ბუდენბროკთაგან მგონი პირველები იყვნენ, ვინც ამგვარი გრძნობების აშკარად და გულახდილად გამოხატვას შიშით გაურბოდა. თუმცა თომასმა მამის სიკვდილი უფრო მტკივნეულად განიცადა, ვიდრე ბაბუამისმა მამამისის დაკარგვა, მაგრამ თომასს მამის სამარესთან მუხლი არ მოუყრია, არც არასოდეს თავის დასავით მაგიდაზე არ დამხობილა და ბავშვივით არ აქვითინებულა. თომასი თავს უხერხულად გრძნობდა, როცა მადამ გრიუნლიჰი შემწვარსა და დესერტს შუა

ცრემლმორეული ხმით მამის ხასიათსა და პიროვნებას მაღალფარდოვანი სიტყვებით ხოტბას ასხამდა. ასეთ გამოვლინებებს თომასი ტაქტიანი სერიოზულობით, თავდაჭერილი დუმილითა და თავის ოდნავ დაქნევით პასუხობდა... და სწორედ მაშინ, როცა მამას არავინ ახსენებდა და განსვენებული არავის აგონდებოდა, თომასს თვალები ნელ-ნელა ევსებოდა ცრემლებით.

ქრისტიანი სხვაგვარად ირჯებოდა, როცა მისი და გულუბრყვილოდ და ბავშვურად აქვითინდებოდა, თავს ვერ იკავებდა, თეფშისკენ დაიხრებოდა, პირს მიიბრუნებდა, თითქოს მზად იყო ქვესკნელში ჩამძვრალიყო... ბევრჯერ წყნარი და ტანჯული ხმით დას ტირილს აწყვეტინებდა კიდეც: თუ ღმერთი გწამს, კმარა, ტონიო, და დიდ ცხვირზე ნაოჭები ასხდებოდა.

დიახ, ქრისტიანს იმ წუთშივე წაუხდებოდა ნირი და მღელვარება მოერეოდა, როგორც კი სიტყვა განსვენებულზე ჩამოვარდებოდა ხოლმე. გეგონებოდათ, ღრმა და საზეიმო გრძნობების არა მარტო გამომჟღავნებას უფრთხოდა, არამედ თვით ამ გრძნობებს ემალებოდა და გაურბოდა.

მამის სიკვდილის გამო მის თვალზე ცრემლი არავის უნახავს. ეს მარტო ხანგრძლივი განშორებისა და მამის სიახლოვეზე გადაჩვევის ბრალი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. საოცარი ის იყო, რომ ქრისტიანი, ჩვეულებრივ, მამის გარდაცვალებაზე ლაპარაკს ვერ იტანდა, ტონის კი ხშირად გაინაპირებდა და იმ საშინელი დღის ყოველ წვრილმანს აამბობინებდა; ალბათ, იმიტომ, რომ მადამ გრიუნლიჰს ხატოვანი მოყოლა ყველაზე უფრო ემარჯვებოდა.

- მაშ, მამა ყვითელი იყო? - მეხუთედ კითხულობდა ქრისტიანი, - რა დაიყვირა გოგომ, თქვენთან რომ შემოვარდა?.. მაშ, ის მთლად გაყვითლებული იყო?.. და ისე მოკვდა, რომ სიტყვის თქმა არ დასცალდა? რა თქვა გოგომ? როგორ შეეძლო კიდევ ხმის ამოღებაო: „უა... უა“... - ასე? - ქრისტიანი ჩუმდებოდა, დიდი ხნით ჩუმდებოდა, და ჩაფიქრებული წვრილ, მრგვალ-მრგვალ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

-საშინელებაა!-იტყოდა უცებ და აშკარად ჩანდა, რომ ძრწოლა ერეოდა, თვალებში შეშფოთება და ღრმა ფიქრი ჩაუდგებოდა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვებოდა ხოლმე.

როცა ტონი მამას მოთქმით ტიროდა, ერთი რამ უკვირდა: მისი ძმა, გაუგებარი მიზეზების გამო, დარცხვენილი ჩანდა, ახლა კი ძრწოლისმომგვრელი ჩაფიქრებული სახით განსვენებულის უკანასკნელ ამოძახილს ხმამაღლა იმეორებდა.

ქრისტიანი ამ ხნის განმავლობაში სულ არ დამშვენებულიყო, პირიქით, ძვალად და ტყავად ქცეულს, სახეზე ფერიც დაკარგოდა. კანი თავის ქალაზე ჰქონდა დამკვდარი, ყვრიმალებს შორის დიდი, გამხდარი, კეხიანი ცხვირი ამოსჩროდა, თმა უკვე შესამჩნევად შეთხელებოდა. წვრილი, გრძელი კისერი და გამხდარი, მოგრეხილი ფეხები ჰქონდა. საერთოდ, ლონდონში ცხოვრებას ქრისტიანისთვის დაღი დაეჩნია.

ვალპარაისოში მეტწილად ინგლისელებთან უხდებოდა ურთიერთობა და მთელ მის გარეგნობას ინგლისური იერი ედო. ეს თითქოს უხდებოდა კიდეც. ინგლისური იერი შალის გამძლე ქსოვილისგან შეკერილი კოსტიუმის თავისუფალ თარგსა და ფართო, დარბაისლურ ფეხსაცმელებშიაც მჟღავნდებოდა. წითური, ხშირი ულვაშიც თითქოს ინგლისურ ყაიდაზე ჰქონდა დაყენებული - ბაგეზე მოწყენილი ჩამოჰკიდებოდა. ცხელ ქვეყანაში დიდი ხნით ცხოვრებისგან დასვრეტილი, კოხტად დაქნილფრჩხილებიანი თეთრი ხელებიც კი რაღაცნაირად ინგლისურ შთაბეჭდილებას ახდენდა.

- ერთი მითხარი, - უადგილოდ იკითხავდა ხოლმე ქრისტიანი, - გამოგიცდია ასეთი გრძნობა... ძნელი ასაწერია... აი, როცა მაგარ ლუკმას გადაყლაპავ და ტკივილი ზურგის ტვინამდე ჩააღწევს? - ამ დროს ქრისტიანი ცხვირს მაგრად შეიჭმუხნიდა ხოლმე.

- როგორ არა, - მიუგებდა ტონი, - ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია. დააყოლებ ერთ ყლუპ წყალს და...

- ჰოო? არა, არა მგონია, ჩვენ ერთსა და იმავეს ვგულისხმობდეთ, - უკმაყოფილოდ შეეპასუხებოდა ქრისტიანი და სახეზე შეშფოთება ეხატებოდა.

ქრისტიანმა პირველმა დაარღვია ოჯახში გამეფებული გლოვა. განსვენებულ მარცელუს შტენგელის გამოჯავრება ქრისტიანს არ დავიწყებოდა და ხშირად მის ხმაზე საათობით ლაპარაკობდა. სუფრასთან ქალაქის თეატრის ამბებს კითხულობდა, კარგი დასი თუ ჰყავთ და რას თამაშობენო.

- არ ვიცი, ახლა თეატრის დარდი არა მაქვს, - მეტისმეტად გულგრილად პასუხობდა ტომი და ამით ცდილობდა უკმაყოფილება დაეფარა.

ქრისტიანი მის სიტყვებს წაუყრუებდა და კვლავ თეატრზე განაგრძობდა ლაპარაკს.

- ენით ვერ გამომითქვამს, როგორ მიყვარს თეატრში ყოფნა! თეატრის ხსენებაც კი ბედნიერებით მავსებს... არ ვიცი, რომელიმე თქვენგანს თუ ჰქონია ასეთი გრძნობა? შემიძლია საათობით ვიჯდე ჩუმად და დახურულ ფარდას შევყურებდე... ამ დროს ისეთი სიხარული მიპყრობს, როგორიც ბავშვობაში ვიცოდი, საშობაო საჩუქრების მისაღებად აქ რომ შემოვიდოდით ხოლმე... მარტო ორკესტრის ხმა რად ღირს! მე თეატრში მხოლოდ მუსიკის მოსასმენადაც წავიდოდი!.. ყველაზე უფრო მაინც სასიყვარულო სცენები მომწონს... თითო-ოროლა ქალს თუ შეუძლია, საყვარელს თავზე ასე შემოავლოს ორივე ხელი... საერთოდ, მსახიობები... ლონდონშიც და ვალპარაისოშიც მსახიობებთან ახლოს ვიყავი, პირველად ვამაყობდი კიდეც, თეატრის გარეთ მათთან რომ შემეძლო საუბარი. თეატრში მათ ყოველ მოძრაობას ვაკვირდებოდი... იცით, რა საინტერესოა? იტყვის მსახიობი თავის ბოლო რეპლიკას, სავსებით მშვიდად შემოტრიალდება და ნელ-ნელა, უშიშრად, მოურიდებლად, კარისკენ გაემართება, თუმცა იცის, რომ მთელი თეატრის მზერა მის ზურგზეა

მისობილი... როგორ ახერხებენ ამას? ოდესღაც ვოცნებობდი, კულისებში ერთხელ მაინც შემეყო ცხვირი, ახლა იქ, შემიძლია ვთქვა, შინაურივითა ვარ-მეთქი. წარმოიდგინეთ... ერთ საღამოს ოპერეტის თეატრში - ეს ლონდონში გახლდათ - ფარდა აიწია და მე ისევ სცენაზე ვიდექი... ვესაუბრებოდი მის უოტერკლოუზს!.. ვინმე ფროილაინ უოტერკლოუზს... ფრიად მომხიბვლელ გოგონას! ჰო, კარგი! უცებ ჩემ წინ მაყურებელთა დარბაზი გამოჩნდა. ღმერთო ჩემო, ახლაც ვერ გეტყვით, სცენიდან როგორ ჩამოვედი!

სუფრასთან მსხდომთაგან მხოლოდ მადამ გრიუნლიჰმა გაიცინა, მაგრამ ქრისტიანი თვალებს ისევ აცეცებდა და განაგრძობდა ლაპარაკს ინგლისური კაფეების მომღერალ ქალებზე. ერთ ქალბატონზე ყვებოდა, შეპუდრული პარიკით გამოდიოდა სცენაზე, გრძელ ჯოხს იატაკზე აბჯენდა და „That’s Maria“[61]-ს მღეროდაო.

- იცით, ვინ არის მარია? ყველაზე დიდი უსირცხვილო არსება... ვთქვათ, ვინმემ უდიდესი ცოდვა ჩაიდინა: That’s Maria! მარია არის უსაძაგლესი, გესმით... მარია ხორცშესხმული ცოდვაა...

უკანასკნელი სიტყვები ქრისტიანმა ზიზღით წარმოთქვა, ცხვირი შეიჭმუხნა და თითებმოკრუნჩხული მარჯვენა ცისკენ აღმართა.

- Assez, ქრისტიან! - თქვა კონსულის მეუღლემ, - ეს ჩვენ სრულიად არ გვაინტერესებს.

მზერაგაშტერებული ქრისტიანი უკვე დედის მიღმა იცქირებოდა. იგი ისედაც შეწყვეტდა ლაპარაკს. წვრილ, მრგვალ-მრგვალ ფოსოებში ღრმად ჩამჯდარ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, შეიძლება, მარიასა და ცოდვების გახსენებამ ჩააფიქრა ასე ღრმად.

უცებ ქრისტიანმა თქვა:

- უცნაურია... ხანდახან ყლაპვა მიჭირს! არა, სასაცილო არაფერია, პირიქით, მეტისმეტად დამაფიქრებელი ამბავი გახლავთ. თავში გამიელვებს აზრი, ხომ შეიძლება ლუკმა ვერ გადავყლაპო-მეთქი და ლუკმა ყელში მართლა აღარ გადამდის. თითქოს ლუკმა უკვე მთლად ქვევითაა წასული, მაგრამ აი, აქ, ყელი, კუნთები, ჩემს სურვილს აღარ ემორჩილებიან, დიახ, რაც მთავარია, ვერც ვბედავ, გადაყლაპვა მოვინდომო.

მოთმინებიდან გამოსულმა ტონიმ ძმას დაუყვირა:

- ქრისტიან! ღმერთო ჩემო, რა სისულელეს ამბობ! ვერ ბედავ გადაყლაპვა მოინდომო! არა, პირდაპირ სასაცილო ხარ! რაებს გვიყვები!..

თომასი დუმდა. კონსულის მეუღლემ კი თქვა:

- ეს ნერვების ბრალია, ქრისტიან. შინ კიდევ უფრო ადრე უნდა დაბრუნებულიყავი; იქაურ კლიმატს შეეძლო უფრო დაესნეულებინე.

სადილის შემდეგ ქრისტიანი სასადილო დარბაზში პატარა ფისჰარმონიას მიუჯდა
და ვირტუოზი პიანისტი განასახიერა. თავს ისე იქნევდა, თითქოს თმას უკან იყრისო. ხელებს
იფშვნეტდა და ქვეშ-ქვეშ იყურებოდა. შემდეგ, უხმოდ, პედლებზე ფეხის დაუჭერლად
(ქრისტიანმა დაკვრა სრულებით არ იცოდა და, საერთოდ, ბუდენბროკების უმრავლესობასავით
სმენა არ გააჩნდა) წინ ბეჯითად გადაიხარა და ბანები აახმიანა. წარმოუდგენელ პასაჟებს
აკეთებდა, მთელი ტანით უკან იხრებოდა, აღტაცებული ჭერში იყურებოდა და ორივე ხელით,
მთელი ძალით, გამარჯვებული კაცის იერით კვლავ კლავიშებს ერკინებოდა.

სიცილისგან კლარამაც კი ვერ შეიკავა თავი. ქრისტიანი ბუნებრივად თამაშობდა, ვნებიანად და
შარლატანურად, უჩვეულო კომიზმით, ინგლისურ-ამერიკული ფარსის ექსცენტრიკულ
ყაიდაზე, ერთი წუთით არ იწვევდა უსიამოვნო გრძნობას, რადგან თვითონაც ლაღად და
თავისუფლად გრძნობდა თავს.

- კონცერტებზე ხშირად დავდიოდი, - თქვა ქრისტიანმა, - დიდი სიამოვნებით ვაკვირდები,
მუსიკოსები რა თავისუფლად ფლობენ ინსტრუმენტებს. არა, არა, ხელოვან კაცს ვერავინ
შეედრება.

ქრისტიანმა ხელახლა დაიწყო დაკვრა, მაგრამ უცებ შეწყვიტა და ისე მოულოდნელად
დადინჯდა, თითქოს სახიდან ნიღაბი ჩამოუვარდაო. ფეხზე წამოდგა, შეთხელებულ თმაზე
ხელი გადაისვა, სხვა ადგილზე გადაინაცვლა და იქვე დარჩა ხმაგაკმენდილი და
გუნებაწამხდარი. თვალებში ისეთი შეშფოთება ეხატებოდა, სახეზე ისეთი გამომეტყველება
ედო, თითქოს სმენადქცეული რაღაც იდუმალ ხმას ყურს უგდებსო.

- ხანდახან ქრისტიანი ცოტა უცნაური მეჩვენება, - უთხრა ერთ საღამოს მადამ გრიუნლიჰმა ძმას,
თომასს, როცა მარტო დარჩნენ.

- საერთოდ, როგორ ლაპარაკობს? ისე დაწვრილებით ჰყვება ამბებს, მგონია, რომ...
არა, არ ვიცი, როგორ ვთქვა! საგნებს რაღაც უჩვეულო მხრიდან ხედავს, არა?..

- ჰო, - მიუგო თომასმა, - მშვენივრად მესმის, რასაც გულისხმობ, ტონი. ქრისტიანს შინაგანი
ტაქტი არ ჰყოფნის... ამის გამოთქმაც კი ძნელია. მას აკლია ის, რასაც წონასწორობას, პიროვნულ
წონასწორობას ეძახიან. ერთი მხრივ, არ ძალუძს, სხვის უტაქტო მოქმედებას მშვიდად უცქიროს,
ასეთ ამბებს მიჩვეული არ არის, არ შეუძლია ამის დაფარვა, თავს ვეღარ იკავებს... მაგრამ, მეორე
მხრივ, შეუძლია ისე დაკარგოს წონასწორობა, რომ თვითონ მოჰყვეს ამაზრზენ ლაყბობას და
სული და გული გადმოგიშალოს. ხანდახან ეს პირდაპირ აუტანელი ხდება. სიცხიანის ბოდვას
ჰგავს ხოლმე, არა? ფანტაზიორ კაცს ასევე აკლია თავშეკავება და სხვების ხათრი... საქმე ის არის,
რომ ქრისტიანი მეტისმეტადაა საკუთარი თავით გართული, თავის სულში მიმდინარე
პროცესებს მეტისმეტად აქცევს ყურადღებას. ზოგჯერ ნამდვილი მანია აიტაცებს ხოლმე, ამ
პროცესების უმცირესი და უღრმესი დეტალებიც კი დღის სინათლეზე გამოიტანოს და
გამოთქვას... ისეთი პროცესები, რაზედაც შეგნებული

კაცი სრულიად არ ფიქრობს, არც უნდა იცოდეს, ერთი უბრალო მიზეზის გამო, რომ სირცხვილია ასეთი ამბების გამხელა. იცი, რამოდენა უსირცხვილობა იმალება ასეთ გულახდილობაში ტონი?! აბა, დაფიქრდი, სხვასაც შეუძლია ქრისტიანივით თქვას, თეატრი მიყვარსო, მაგრამ იგი ამას სხვა აქცენტით იტყვის, სხვათა შორის, მოკლედ, უფრო მოკრძალებულად. ქრისტიანი კი ისეთი ტონით ლაპარაკობს, თითქოს გვეუბნება: რაო, ჩემი სცენით გატაცება განა არაჩვეულებრივად უცნაური და საინტერესო ამბავი არ არისო? თან სიტყვებს ებრძვის, თავი ისე მოაქვს, თითქოს ძალას არ იშურებს, რომ რაღაც უჩვეულოდ დახვეწილი, სანუკვარი და უცნაური რამ გამოთქვას.

- მინდა ერთი რამ გითხრა, ტონი, - პაუზის შემდეგ განაგრძო თომასმა და პაპიროსის ნამწვი გისოსებიანი თუჯის კარიდან ღუმელში შეაგდო, - ზოგჯერ მეც დავფიქრებულვარ ამ სახიფათო, პატივმოყვარულ და ცნობისმოყვარე ფათურზე საკუთარ სულში, რადგან ადრე მეც მქონდა ამდაგვარი მიდრეკილება. დავფიქრებულვარ და შემიმჩნევია, რომ ეს ჩვეულება კაცს აბნევს, უუნაროსა და თავშეუკავებელს ხდის... თავშეკავება და წონასწორობის დაცვა კი პირადად ჩემთვის მთავარია. ქვეყანაზე ყოველთვის იარსებებენ ადამიანები, რომელთაც უფლება ექნებათ, თავისი თავით ღრმად დაინტერესდნენ, თავიანთ შეგრძნებებს გულდასმით დააკვირდნენ, თუნდაც პოეტები. მათ ხომ თავისი სულიერი ცხოვრების ჭეშმარიტად და ლამაზად გამოთქმა ძალუძთ. ამით ისინი სხვების გრძნობათა სამყაროს ამდიდრებენ. მაგრამ ჩვენ მხოლოდ უბრალო ვაჭრები ვართ, ჩემო კარგო; ჩვენი თვითშემეცნება ჩალის ფასადაც არა ღირს. გაჭირვების შემთხვევაში შეგვიძლია გამოვთქვათ აზრი, რომ ორკესტრის ინსტრუმენტების ხმები უცნაურ სიამოვნებას გვანიჭებს და რომ ხანდახან ვერ ვბედავთ ლუკმის გადაყლაპვა ვისურვოთ. მაგრამ ამას გაცილებით სჯობია ხელი გავანძრიოთ და რაიმეს მივაღწიოთ, როგორც ამას ჩვენი მამა-პაპანი აკეთებდნენ.

- მართალი ხარ, ტომ, შენ ჩემს სათქმელს ამბობ. როცა მომაგონდება, რომ ეს ჰაგენშტრომები, რაც დრო გადის, ტუჩს იბზუებენ... ღმერთო დიდებულო, ეგ ო ხ რ ე ბ ი ეგენი... დედა ვერ იტანს ამ სიტყვას, მაგრამ რა ვქნა, ეს სიტყვა ზედგამოჭრილია იმ ვაჟბატონებზე. იქნებ ჰგონიათ, რომ მათ გარდა ქალაქში სხვა წარჩინებული ოჯახი არ მოიძებნება? პირდაპირ მეცინება, იცი, მეცინება!..

მესამე თავი

ფირმა „იოჰან ბუდენბროკის“ შეფმა ძმა ჩამოსვლისთანავე გამომცდელი თვალით გაზომა. პირველ დღეებში შეუმჩნევლად, ხანგამოშვებით აკვირდებდა ხოლმე, შემდეგ კი, თუმცა მის მშვიდ სახეზე კაცი განაჩენს ვერ წაიკითხავდა, ეტყობოდა, ცნობისმოყვარეობა დაიცხრო და ძმაზე საბოლოო აზრი შეიქმნა. ოჯახურ წრეში

თომასი ძმას განურჩეველ საგნებზე განურჩევლად ესაუბრებოდა და დანარჩენებთან ერთად ერთობოდა, როცა ქრისტიანი რაიმე წარმოდგენას მართავდა.

შვიდიოდე დღის შემდეგ თომასმა ძმას უთხრა:

- მაშ, ჩვენ ერთად ვიმუშავებთ, ძამიკო? რამდენადაც ვიცი, დედის სურვილს ეთანხმები, არა? როგორც მოგეხსენება, მარკუსი ჩემი კომპანიონი გახდა. მოგებაში თავისი საპატიო თანხის შესატყვისი წილი უდევს. მე ვფიქრობ, შენ, როგორც ჩემმა ძმამ, მისი წინანდელი თანამდებობა უნდა დაიჭირო. საქმეთა მწარმოებელი იქნები. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად მაინც. რაც შეეხება შენს საქმიანობას, მართალი გითხრა, არ ვიცი, კომერსანტობაში რამდენად ხარ დახელოვნებული. თუ არ ვცდები, შენ აქამდე უფრო დროს ატარებდი, არა? ისე, ინგლისური კორესპონდენციის გარჩევა, ალბათ, ყველაზე უფრო მოგეწონება. ახლა კი ერთი რამ უნდა გთხოვო, ჩემო კარგო. ბუნებრივია, როგორც შეფის ძმას, სხვა მოსამსახურეებთან შედარებით უპირატესობა გექნება, მაგრამ მე მგონია, იმის შეხსენება არ დამჭირდება, რომ მათთან თავის გაყადრებითა და შენი მოვალეობის ბეჯითად აღსრულებით უფრო მოიგებ მათ გულს, ვიდრე იმით, რომ პრივილეგიებით ისარგებლო და დაუდევრად მოიქცე. მაშ, ასე, სამუშაო საათებს კანტორაში გაატარებ და dehors[62]-ს ყოველთვის დაიცავ, კარგი?

შემდეგ თომასმა ძმას ხელფასზე ჩამოუგდო სიტყვა. ქრისტიანი არც დაფიქრებულა, ვაჭრობა არ დაუწყია, - ძმის შემოთავაზებულ თანხაზე ისე დათანხმდა. დარცხვენილ და დაბნეულ ქრისტიანს სიხარბის კვალი არ ემჩნეოდა, მხოლოდ ეტყობოდა, სულითა და გულით უნდოდა, ეს საქმე რაც შეიძლება სწრაფად მოეგვარებინა.

მეორე დღეს თომასი ქრისტიანს კანტორაში შეუძღვა. ასე დაიწყო ქრისტიანის მოღვაწეობა ძველი ფირმის საკეთილდღეოდ.

კონსულის გარდაცვალების შემდეგ საქმეები ძველებურად შეუფერხებლად და დინჯად მიდიოდა, მაგრამ მალე ერთი რამ გახდა შესამჩნევი: რაც თომას ბუდენბროკმა ფირმის სადავეები ხელში აიღო, ფირმას უფრო გაბედული, ხალისიანი და საქმიანი სული დაეუფლა. იქ რისკიანი გარიგებები შედგა, აქ კრედიტით გონივრულად ისარგებლეს. კრედიტის გამოყენება წინანდელი რეჟიმის დროს მხოლოდ ცნებად, თეორიად, ფუფუნების საგნად ითვლებოდა. ბირჟელი
ვაჟბატონები ერთმანეთს თვალს უკრავდნენ, ბუდენბროკს ხელის ერთი დაკვრით უნდა ჯიბის გასქელებაო და უხაროდათ, რომ თომასს პატიოსნებით აღსავსე ბატონი ფრიდრიჰ მარკუსი ტყვიის ბურთივით ეკიდა ფეხზე და უკან ეწეოდა. ბატონი მარკუსის გავლენა საქმეებს ამუხრუჭებდა. იგი ჯერ ორი თითით ულვაშებს მზრუნველად შეისწორებდა, მერე საწერ მოწყობილობებსა და ჭიქა წყალს დიდის ამბით ადგილს მარჯვედ შეუნაცვლებდა - ბატონ მარკუსს წყლით სავსე ჭიქა მუდამ ედგა ხოლმე სამუშაო პულტზე - და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებოდა გულგრილი სახით რომელიმე საქმის შესწავლას. გარდა ამისა, ბატონ მარკუსს ჩვეულებად

ჰქონდა, დღეში ხუთჯერ მაინც გასულიყო ეზოში და გამოსაცოცხლებლად თავი ონკანისთვის შეეშვირა.

ორივენი ერთმანეთს ავსებენო, ამბობდნენ დიდი სავაჭრო სახლების პატრონები, მაგალითად, კონსული ჰუნეუსი, ალბათ, ამასვე ეტყოდა კონსულ კისტენმაკერს. ამ აზრს გემის მტვირთავებსა და ბეღლის მუშებს შორისაც კი გაიგონებდით. წვრილბურჟუაზიულ ოჯახებშიც ამასვე ლაპარაკობდნენ, - ქალაქი გაფაციცებული ადევნებდა თვალს, ახალგაზრდა ბუდენბროკი საქმეს როგორ გაუძღვებოდა. გლოკენგისერშტრასელი ბატონი შტუტი თავის მაღალ წრეში გარეულ ცოლს ეუბნებოდა: ორივენი ერთმანეთს ავსებენ, მე შენ გელაპარაკებიო.

ერთი რამ დღესავით ნათელი იყო: კომპანიონებს შორის ავტორიტეტად ახალგაზრდა შეფი ითვლებოდა. ეს იქიდანაც ჩანდა, რომ მხოლოდ თომას ბუდენბროკს შეეძლო მოსამსახურეებთან, კაპიტნებთან, საქმეთა მმართველებსა და საწყობების მუშებთან მათებურად ელაპარაკა და თან თავი შორს დაეჭირა. ბატონი მარკუსი კი ვინმე მუშას ვითომდა მდაბიურად ისე უგერგილოდ ეტყოდა, „ჩემი თუ გეყურებაო?“, რომ მის პირდაპირ მჯდომი კომპანიონი სიცილს ვერ იკავებდა და მთელ კანტორასაც აიყოლიებდა ხოლმე.

თომას ბუდენბროკი ერთი სურვილით იწვოდა: ფირმისთვის ძველი სახელის საკადრისი დიდება შეექმნა და გაეძლიერებინა კიდეც. წარმატების მოსაპოვებლად სიამოვნებით ებმებოდა ყოველდღიურ ბრძოლაში. მშვენივრად იცოდა, რამდენიმე სარფიანი საქმის მოგვარება თავისი უყოყმანო და მოხდენილი მოქმედების, მომხიბლავი თავაზიანობისა და ტაქტის წყალობა იყო.

- საქმის კაცს ბიუროკრატობა არ შეშვენის! - ეუბნებოდა თომასი თანაკლასელ შტეფან კისტენმაკერს, ფირმა „კისტენმაკერი და ვაჟიშვილების“ ერთ-ერთ მფლობელს.

შტეფან კისტენმაკერი თომასის ჭკუა-გონების დიდი პატივისმცემელი იყო და მის ყოველ სიტყვას ხარბად იჭერდა, რომ შემდეგ საკუთარ ნააზრევად გაესაღებინა.

- დარწმუნებული ვარ, პიროვნებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, - განაგრძობდა თომასი, - არა მგონია, დიდი წარმატება კანტორიდან გაუსვლელად მოიპოვოს კაცმა... ყოველ შემთხვევაში, ასეთი წარმატება დიდ სიხარულს ვერ მომანიჭებდა. წარმატება საწერ მაგიდასთან არ იბადება... ყოველთვის მაქვს მოთხოვნილება, მოვლენათა მსვლელობას საკუთარი თვალით, ენითა და ჟესტით ვუდირიჟორო, ჩემს ნებას, უშუალო გავლენას, ჩემს ტალანტს, როგორც შენ გიყვარს ხოლმე თქმა, ჩემს ბედს დავუმორჩილო. საუბედუროდ, თანდათან მოდიდან გამოდის საქმეში სოვდაგრის პირადი ჩარევა. დრო წინ მიდის, მაგრამ მე ვფიქრობ, საუკეთესო ტრადიციები უკან რჩება. ურთიერთობა სულ უფრო და უფრო იოლდება, კურსის ცვალებადობას უფრო სწრაფად ვიგებთ... რისკიც მცირდება და მასთან ერთად - მოგებაც... დიახ, ჩვენს მამა-პაპას სხვაგვარად ჰქონდა საქმე. თმაშეპუდრული და მოდურ ფეხსაცმელებში,

fb.com/groupsellfb

ესკარპინებში გამოწკეპილი ბაბუაჩემი, როგორც პრუსიელთა ჯარის მომმარაგებელი, ოთხცხენიანი დროშკით დაგრიალებდა სამხრეთ გერმანიაში, ირგვლივ ყველას ხიბლავდა, ყოველ ხერხს ხმარობდა და ფულს ბზესავით ხვეტდა, კისტენმაკერ! ვაგლახ, ძმობილო, რაც დრო გადის, კომერსანტებს ბანალური ცხოვრება გვიდგება.

ასე ჩიოდა ხოლმე თომასი, ამიტომაც ყველაზე სასიამოვნო გარიგებებად ხელდახელ, თუნდაც ოჯახური გასეირნების დროს მოგვარებული საქმეები მიაჩნდა. რომელიმე წისქვილში ვითომ შემთხვევით შეივლიდა, მისი სტუმრობით ნასიამოვნებ პატრონს გამოელაპარაკებოდა და en passant[63] ხალისიან საუბარში სარფიან ხელშეკრულებას გაინაღდებდა. ასეთი რამ მისი კომპანიონისთვის უცხო ხილი იყო.

რაც შეეხება ქრისტიანს, ის ჯერჯერობით საქმეს თითქოს დიდი მონდომებითა და ხალისით ეკიდებოდა. დიახ, ეტყობოდა, მუშაობა დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა, მადიანად ჭამდა, თავის მოკლე ჩიბუხს გემრიელად აბოლებდა და კმაყოფილებას ნიშნად ინგლისურ ჟაკეტში მხრებს ნებიერად ამოძრავებდა. კანტორაში თითქმის ძმასთან ერთად ჩადიოდა და მბრუნავ სავარძელში თომასის პირდაპირ, ბატონ მარკუსის გვერდით ჯდებოდა. მასაც ორივე შეფის მსგავსად სავარძელი ედგა. ქრისტიანი ჯერ „უწყებებს“ გადაათვალიერებდა და გაზეთის კითხვაში დილის სიგარეტს ბოლომდე დინჯად დაიყვანდა. შემდეგ ქვედა უჯრიდან ძველისძველ კონიაკს გამოიღებდა, მკლავებს გაივარჯიშებდა, „ესეც ასეო“, დააყოლებდა, ენას კბილებს შორის აატრიალებდა და მუშაობას მხნედ შეუდგებოდა. მისი ინგლისური წერილები ზედმიწევნით გამართული და საქმიანი იყო. ქრისტიანი ინგლისურად ისევე თავისუფლად და ხატოვნად წერდა, როგორც ლაპარაკობდა.

ჩვეულებისამებრ, ოჯახურ წრეში ქრისტიანი თავის გუნება-განწყობაზე მსჯელობდა ხოლმე:

- კომერსანტობა ნამდვილად მშვენიერი, ბედნიერების მომნიჭებელი ხელობაა! - ამბობდა იგი, - დარბაისლური, უპრეტენზიო, ცოცხალი, სასიამოვნო საქმეა... ნამდვილად კომერციისთვის ვარ დაბადებული! მერედა საგვარეულო ფირმაში მუშაობა, ხომ იცით... მოკლედ, ასე კარგად ჩემს სიცოცხლეში არ მიგრძნია თავი. დილას მხნედ და ხალისიანად ჩადიხარ კანტორაში, გადახედავ გაზეთს, გააბოლებ, იფიქრებ აქეთურზე, იქითურზე, კონიაკს გადაკრავ, წაიმუშავებ და სადილობაც კარს მოგადგება. სადილობ ოჯახთან ერთად, დაისვენებ და ისევ მუშაობას შეუდგები... წერ ჩინებულ, პრიალა, სუფთა საფირმო ბლანკზე, ჩინებული კალმით... სახაზავი, ქაღალდის საჭრელი დანა, ბეჭედი, ყველაფერი საუკეთესო და უმაღლესი ხარისხისა გაქვს... ამ ნივთებით რიგრიგობით აგვარებ ყველაფერს. ხვალ ახალი დღე გელოდება და როცა სავახშმოდ ზემოთ ამოდიხარ, კმაყოფილებითა ხარ განმსჭვალული... სხეულის ყოველი ნაკვთი კმაყოფილებითაა სავსე... ხელებიც კმაყოფილებას გრძნობენ!..

- თუ ღმერთი გწამს, ქრისტიან! - წამოიძახა ტონიმ, - სასაცილოდ ნუ იხდი თავს! ხელები კმაყოფილებას გრძნობენ!..

- დიახ! ასეთი გრძნობა შენთვის უცნობია! იცი, რას ვგულისხმობ?.. - და ქრისტიანი თავს არ იზოგავდა, რომ ეს გრძნობა როგორმე გამოეთქვა და აეხსნა.

- აი, მომუშტავ ხელს... ღონივრად ვერა, იმიტომ, რომ მუშაობითა ხარ დაღლილი... მაგრამ ხელი ნოტიო არა გაქვს... არ გაღიზიანებს... თვითონვე კარგად და მყუდროდ გრძნობ თავს... ეს არის თვითკმაყოფილების გრძნობა... შეგიძლია უსაქმოდ იჯდე და მოწყენილობა არ მოგერიოს...

ყველა დუმდა. შემდეგ თომასმა სავსებით გულგრილად თქვა, რათა თავისი ზიზღი დაეფარა:

- მე მგონი, კაცი იმისთვის კი არ მუშაობს, რომ... - მაგრამ მან სიტყვა გაწყვიტა, ქრისტიანის ნათქვამი აღარ გაუმეორებია, - მე, ყოველ შემთხვევაში, მუშაობისას თვალწინ სხვა მიზანი მიტრიალებს, - დასძინა თომასმა.

ქრისტიანს ძმის სიტყვები არ გაუგონია, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, უკვე ფიქრში იყო წასული. შემდეგ უცებ ერთი ვალპარაისული ამბის მოყოლა წამოიწყო, მკვლელობის, ხელჩართული ჩხუბის ისტორია, რასაც პირადად თვითონ შესწრებოდა:

- ამ დროს იძრო ყმაწვილმა დანა და...

ქრისტიანს ასეთი ამბები არ დაელეოდა. მადამ გრიუნლიჰი სულითა და გულით ილხენდა, კონსულის მეუღლეს, კლარასა და კლოტილდეს შიშისგან ჟრუანტელი უვლიდათ ტანში, მამზელ იუნგმანი და ერიკა ქრისტიანს პირდაღებულები უსმენდნენ. თომასი კი ძმას ყოველთვის ამრეზილი უგდებდა ყურს, ყოველთვის ცივ და დამცინავ შენიშვნას ჩაურთავდა ხოლმე, არც მალავდა, რომ ქრისტიანის ნაამბობი გაზვიადებულად და გადაჭარბებულად მიაჩნდა... მაგრამ ქრისტიანი არაფერს იგონებდა, მხოლოდ დიდი გატაცებითა და ხატოვნად ყვებოდა. იქნებ თომასს ის არ სიამოვნებდა, რომ ბევრი შორი ქვეყანა მოევლო და მასზე გაცილებით მეტი ენახა? ან იქნებ დანებისა და რევოლვერების ტრიალის ამბებში აყალმაყალისა და ეგზოტიკური ძალმომრეობის ხოტბა ზარავდა? ერთი რამ აშკარა იყო: ქრისტიანს სულ არ აწუხებდა, ძმას მისი მონაყოლი რომ არ ეპიტნავებოდა. თავისივე მონათხრობი ისე იტაცებდა და აღაგზნებდა, რომ მსმენელების თვალში მარცხი თუ წარმატება არაფრად მიაჩნდა. თხრობას როცა დაამთავრებდა, ჩაფიქრებული აქეთ-იქით გულგრილად იცქირებოდა.

რაც დრო გადიოდა, ძმებს შორის დამოკიდებულება უარესდებოდა, მაგრამ ამაში ქრისტიანს არ მიუძღოდა ბრალი. ძმის მიმართ სიძულვილი არასოდეს გამოუმჟღავნებია და გულშიც არ გაუვლია, არც იმას ცდილა, ძმა განესაჯა ან მისთვის

რაიმე ნაკლი აღმოეჩინა. უფროსი ძმის უპირატესობას, სერიოზულობას, მეტ ნიჭს, გულმოდგინებასა და ღირსებას უსიტყვოდ აღიარებდა, მაგრამ თომასს სწორედ ეს უსაზღვრო, გულგრილი და უსიტყვო მორჩილება აცოფებდა. მისი ძმა ბედს ისე იოლად ურიგდებოდა, თითქოს უპირატესობას, გულმოდგინებას, ღირსებასა და სერიოზულობას საერთოდ არაფრად აგდებდა.

ქრისტიანი თითქოს ვერც ამჩნევდა, ფირმის შეფი თანდათანობით როგორი უსიტყვო სიძულვილით ეკიდებოდა. თომასს ჰქონდა კიდეც უკმაყოფილების საბაბი: ქრისტიანს მუყაითობა მხოლოდ რამდენიმე კვირას გაჰყვა: ჯერ იყო და
მუშაობისწინა სამზადისი, რაც თავიდან ხელოვნურად, დიდი ოსტატობით
გაგრძელებულ სიხარულს ჰგავდა, თანდათან ჭიანურდებოდა. გაზეთის კითხვას, დილის სიგარეტის მოწევასა და კონიაკის გადაკვრას ქრისტიანი სულ უფრო მეტ დროს ანდომებდა, ხანდახან სამზადისს შუადღემდეც აგრძელებდა. მერე გასაკვირი აღარ იყო, რომ კანტორაში ჯდომასაც აღარ თვლიდა სავალდებულოდ, დილაობით კანტორაში სულ უფრო და უფრო გვიან ჩადიოდა და საუზმეზე დასაყოლებელი სიგარეტი ჯერ კიდევ პირში ჰქონდა გაჩრილი. სადილს კლუბში მიირთმევდა, სამუშაოდ მოგვიანებით ბრუნდებოდა, ხან კი კანტორაში სულაც აღარ შემოიხედავდა ხოლმე.

კლუბის წევრები უპირატესად უცოლო ვაჭრები იყვნენ. კლუბს ერთ რესტორანში რამდენიმე კომფორტული დარბაზი ეჭირა. იქ სადილობაც შეიძლებოდა და არცთუ სავსებით უწყინარი გართობაც, რადგან კლუბის წევრებს რულეტიც არ აკლდათ. აქ ქარაფშუტა ცოლშვილიან კაცებსაც შეხვდებოდით: კონსული კროგერი და, რაღა თქმა უნდა, პეტერ დოლმანიც ამ კლუბის წევრები გახლდნენ. პოლიციის სენატორი კრემერი კლუბში „პირველ ლოთიშფოთად“ ითვლებოდა, როგორც დოქტორი
გიზეკე, ბრანდდირექტორის ვაჟიშვილი ანდრეას გიზეკე ამბობდა ხოლმე.
ქრისტიანის თანაკლასელი ანდრეას გიზეკე ამჟამად ქალაქში საადვოკატო პრაქტიკას ეწეოდა, თუმცა იგი უკვე ითვლებოდა საკმაოდ გამოქექილ Suitier-ად. ახალგაზრდა ბუდენბროკმა მასთან მყისვე განაახლა მეგობრობა.

ქრისტიანი ან, როგორც მეტწილად ეძახდნენ, კრიშანი, თითქმის ყველას ნაცნობ- მეგობარი იყო. კლუბის წევრების უმეტესობა მარცელუს შტენგელის ნამოწაფარი გახლდათ. ქრისტიანი კლუბში გულღიად მიიღეს. მართალია, კომერსანტებს და ნასწავლ ხალხს ქრისტიანი დიდი ჭკუა-გონების პატრონად არ მიაჩნდათ, მაგრამ მის ოინბაზურ ნიჭს კი აფასებდნენ. მართლაც, ქრისტიანი აქ თავის საუკეთესო
„წარმოდგენებს“ მართავდა ხოლმე და ყველაზე საინტერესო ამბებს ყვებოდა. ან
როიალს მიუჯდებოდა და ოკეანისგაღმელ მსახიობებსა და ოპერის მომღერლებს
გამოაჯავრებდა. უმანკო სახით ყვებოდა სხვადასხვა კუთხის სასიყვარულო ინტრიგებს, არც საკუთარ თავგადასავლებს ივიწყებდა, ყვებოდა მთისას და ბარისას, რაც გემებზე, რკინიგზაზე, პაულიში[64], უაიტჩეპელში[65] და უსიერ ტყეებში გადახდენოდა. ეჭვი არავის უნდა შეჰპარვოდა, რომ ქრისტიან ბუდენბროკი

ნამდვილი Suitier იყო. ქრისტიანი ყვებოდა გატაცებით, დაუღალავად, წუწუნებდა, სიტყვებს სასაცილოდ აჭიანურებდა - მოკლედ, ნამდვილი ინგლისელი იუმორისტივით ლაპარაკობდა. ყვებოდა ერთი ქეციანი ძაღლის ამბავს, რომელიც ვალპარაისოდან სან-ფრანცისკოში ყუთით გაეგზავნათ. უფალმა უწყოდა, ამ ანეკდოტის მარილი რაში იყო, მაგრამ მისი მონაყოლი მაინც საოცრად და კომიკურად გაისმოდა. ირგვლივ სიცილისგან იჭაჭებოდნენ, თმაშეთხელებული, წითური, დიდცხვირა და გრძელკისერა ქრისტიანი კი უძრავად იჯდა, სახეზე შეშფოთებული, აუხსნელი სერიოზული იერი ედო, გამხდარი, მოგრეხილი ფეხები ერთმანეთზე გადაედო და წვრილ, მრგვალ-მრგვალ, ფოსოებში ღრმად ჩამჯდარ თვალებს ჩაფიქრებული აქეთ-იქით აცეცებდა... კაცს შეიძლებოდა ადვილად მოსჩვენებოდა, რომ მსმენელები თვითონ ქრისტიანს დასცინოდნენ... მაგრამ ქრისტიანი ამაზე ფიქრით თავს არ იწუხებდა.

შინ ქრისტიანს ძალიან უყვარდა თავისი ძველი კანტორის გახსენება. იგონებდა ვალპარაისოში გამეფებულ საშინელ სიცხესა და ერთ ლონდონელ ახალგაზრდას, ვინმე ჯონი თანდერსტორმს. ჯონი თანდერსტორმი თურმე ერთი უსაქმური, მაგრამ ჩინებული ყმაწვილი გახლდათ. „ღმერთი გაუწყრეს, თუ ის ქრისტიანს მომუშავე ენახოს“ და მაინც მარჯვე კომერსანტი კი ყოფილა.

- ღმერთო დიდებულო! - თქვა ქრისტიანმა, - აბა, რა იქნება ამ სიცხეში! ვთქვათ, შეფი მოდის კანტორაში... ჩვენ, რვა კაცი, ბუზებივით ვყრივართ აქეთ-იქით და სიგარეტს ვეწევით, რომ მოსკიტები მაინც მოვიგერიოთ. ღმერთო დიდებულო! „აბა, - ამბობს შეფი, - თქვენ არ მუშაობთ, ბატონებო?!“ „No, Sir“, არაო, პასუხობს ჯონი თანდერსტორმი. „როგორც ხედავთ, სერ!“ და ყველანი სიგარეტის კვამლს სახეში ვაბოლებთ. ღმერთო დიდებულო!

- რას დაგიჩემებია ეს „ღმერთო დიდებულო?“ - ამრეზით შეეკითხა თომასი. მაგრამ ახალგაზრდა შეფს ეს გამოთქმა კი არ აბრაზებდა, გრძნობდა, ქრისტიანი ამ ამბავს ასე დიდი ხალისით იმიტომ ყვებოდა, რომ საბაბი ეშოვა და მუშაობაზე აგდებულად და ზიზღით ელაპარაკა.

ამ დროს კონსულის მეუღლეს საუბარი ტაქტიანად გადაჰქონდა სხვა თემაზე.

„დედამიწის ზურგზე ბევრი სისაძაგლე ხდება, - ფიქრობდა ქალბატონი ბუდენბროკი, კროგერების ასული, - ძმებსაც შეიძლება ერთმანეთი სძულდეთ და ეზიზღებოდეთ; საზარელია და დაუჯერებელი ასეთი ამბავი, მაგრამ ხდება ხოლმე. ოღონდ ამაზე არ უნდა ილაპარაკო, თვალი უნდა დახუჭო. ამ ამბავზე ფიქრიც კი არ შეიძლება“.

მეოთხე თავი

მაისში, ერთ საბედისწერო ღამეს, სამოც წელს მიღწეულ ძია გოტჰოლდ ბუდენბროკს გულის შეტევა მოუვიდა და მეუღლის, შტიუვინგების ასულის ხელში ტანჯვით დალია სული.

ბედკრულ მადამ ჟოზეფინას ვაჟიშვილს, მადამ ანტუანეტასგან შეძენილი და მასზე სვებედნიერი და-ძმისგან განსხვავებით, ცხოვრება ყოველთვის უჭირდა. ბედს იგი დიდი ხანია შერიგებული იყო. უკანასკნელ წლებში კი, მით უმეტეს, რაც ძმისწულმა ნიდერლანდების კონსულობა დაუთმო, სავსებით უდარდელად ცხოვრობდა. მონპანსიეს თუნუქის კოლოფს თითქმის არ იცილებდა და ხველის საწინააღმდეგო კანფეტებით იქცევდა თავს. ყრუ სიძულვილში გადასულ ოჯახურ შუღლს მისი ოჯახის ქალები მაინც არ ივიწყებდნენ, თუმცა გულკეთილ და გონებაშეზღუდულ მადამ ბუდენბროკზე უფრო შუღლს ბიძია გოტჰოლდის სამი შინაბერა ქალიშვილი აღვივებდა, კონსულის მეუღლის, ანტონიასა და თომასის დანახვაზე თვალებში გესლიანი ნაპერწკალი უჩნდებოდათ ხოლმე.

ხუთშაბათობით, ტრადიციულ „საბავშვო დღეს“, ოთხი საათისთვის ყველანი მენგშტრასეზე, დიდ სახლში იყრიდნენ თავს, ერთად სადილობდნენ და საღამოსაც ერთად ატარებდნენ. ზოგჯერ ბუდენბროკებს ამ დღეს კონსული კროგერი და მისი მეუღლეც ესტუმრებოდნენ, ან ზეზემი ვაიჰბროტი შემოივლიდა ხოლმე თავის დასთან ერთად. ბრაიტენშტრასელი ქალბატონები დროს იხელთებდნენ თუ არა, სიტყვას ტონის უიღბლო გათხოვებაზე ჩამოაგდებდნენ და ცდილობდნენ მადამ გრიუნლიჰისთვის ორიოდე მაღალფარდოვანი ფრაზა დაეცდენინებინათ. ამ დროს ერთმანეთისკენ გესლით სავსე მზერას გააპარებდნენ ხოლმე. ხან შინაბერები, ვითომ სხვათა შორის იტყოდნენ, რა უღირსი პატივმოყვარეობაა თმის შეღებვაო, ანდა კონსულის მეუღლის ძმისწულ იაკობ კროგერს დიდის ამბით მოიკითხავდნენ. საცოდავ, უდანაშაულო, თვინიერ კლოტილდეს, ერთადერთ არსებას, ვინც თავს მათზე მდაბლად რაცხდა, დები მწარედ დასცინოდნენ. როგორ არ ჰგავდა მათი გესლიანი ირონია თომასისა და ტონის უბოროტო ხუმრობას, რასაც ღარიბი, მუდამ მშიერი კლოტილდე უწყინრად იტანდა ხოლმე. ბრაიტენშტრასელი შინაბერები კლარას სიმკაცრესა და უღიმღამობასაც მასხრად იგდებდნენ. წამსვე იყნოსეს, ქრისტიანი თომასს რომ ვერ ეწყობოდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ქრისტიანს ყურადღების ღირსად არ თვლიდნენ, ის ხომ ერთი მასხარა, ქარაფშუტა კაცი იყო. რაც შეეხება თომასს, მას გასაკიცხი არაფერი ჰქონდა, თავის მხრივ, ბიძაშვილებს თავს არ უყადრებდა და გულგრილად ექცეოდა. თითქოს ეუბნებოდა: მესმის თქვენი და მებრალებითო. ისინიც იძულებულნი იყვნენ, თომასს გესლშეპარული პატივისცემით მოქცეოდნენ. ვარდისფერლოყება, ფაქიზად მოვლილ პატარა ერიკაზე ხომ არ შეიძლებოდა არ ეთქვათ, ბავშვი შემაშფოთებლად ნელა ვითარდებაო. ამ სიტყვებზე ფიფი აქეთ-იქით გადაქანდებოდა, ტუჩის კუთხეებში ნერწყვი მოადგებოდა და დასძენდა, გოგონა იმ ყალთაბანდ გრიუნლიჰს რა საზარლად ჰგავსო.

ახლა დები დედასთან ერთად მამის სასიკვდილო სარეცელთან იდგნენ და მწარედ ქვითინებდნენ. თუმცა ფიქრობდნენ, ამ უბედურებაშიც მენგშტრასელ ნათესავებს მიუძღვით ბრალიო, მათთან კაცი მაინც ააფრინეს.

უზარმაზარ თაღში ზარმა შუაღამისას გაიხმიანა. ქრისტიანი შინ გვიან დაბრუნებულიყო, თავს შეუძლოდ გრძნობდა და გაზაფხულის წვიმაში თომასი მარტო გაუდგა გზას. მოხუცი ბიძის უკანასკნელ კრუნჩხვებს მიუსწრო, შემდეგ გულხელდაკრეფილი დიდხანს იდგა სასიკვდილო სარეცელთან და სუდარაში გამოსახულ მოკლე სხეულსა და უსიცოცხლო, რბილნაკვთებიან, წვერულვაშგათეთრებულ სახეს დასჩერებოდა.

„ცხოვრებაში არ გაგიხარია, ბიძია გოტჰოლდ, - ფიქრობდა თომასი, - გვიან ისწავლე დათმობა, გარემოებისთვის ანგარიშის გაწევა... ეს კი საჭიროა... მეც რომ შენნაირი ვყოფილიყავი, კარგა ხანია მედუქნე გოგოზე დავქორწინდებოდი. რას იზამ, dehors უნდა დაიცვა კაცმა. გქონდა კი სურვილი, სხვანაირად წასულიყო შენი ცხოვრება? თუმცა კერპი იყავი და გჯეროდა, ჩემი სიკერპე რაღაც იდეალს ემსახურებაო. მაგრამ შენს სულს აღმაფრენა, ფანტაზია აკლდა, არც იმ იდეალიზმისა გეცხო რამე, ადამიანს რომ უნარს ანიჭებს, ფარულ სიყვარულზე უფრო ტკბილი, ბედნიერების მომგვრელი დინჯი ენთუზიაზმით რომელიმე აბსტრაქტულ ცნებას ემსახუროს, დიდი სახელისთვის ან სავაჭრო გერბისთვის იბრძოლოს, იგი დაიცვას, დიდება, ძალა და ბრწყინვალება მიანიჭოს. შენთვის პოეზიის გრძნობა უცხო იყო, თუმცა სიმამაცე არ გაკლდა. მამას წინ აღუდექი, მის უნებურად შეიყვარე და იქორწინე კიდეც. შენც არც პატივმოყვარეობა გაგაჩნდა, ბიძია გოტჰოლდ! მართალია, ჩვენი კარგი სახელი მხოლოდ და მხოლოდ ბიურგერული სახელია, ამ სახელს რომელიმე ხორბლით მოვაჭრე ფირმის აყვავებით ან ამ პატარა სამყაროში საკუთარი პიროვნებისთვის პატივის, ღირსებისა და აღიარების მოპოვებით ვიმკით ხოლმე. შენ, ალბათ, ფიქრობდი, შტიუვინგი მიყვარს და შევირთავ კიდეც, პრაქტიკულ მიზნებს რა თავში ვიხლი, ეგ ხომ წვრილმანობა და შეზღუდულობაა. ჩვენც გაგვიხელია ამ ქვეყანაზე თვალი, განათლებაც მიგვიღია და მშვენივრად ვიცით, ჩვენი პატივმოყვარეობის საზღვრები, შორიდან რომ შეხედო, რა ვიწრო და უბადრუკია, მაგრამ ამ ქვეყანაზე ყველაფერი მოჩვენებითია. განა არ იცოდი, რომ პატარა ქალაქშიც შეიძლება დიდი კაცი გახდე? განა არ იცოდი, რომ ამ პატარა ზღვისპირა სავაჭრო ქალაქშიც შეიძლება კეისრობდე? მართალია, ამისთვის ცოტაოდენი ფანტაზია, ცოტაოდენი იდეალიზმია საჭირო, შენ კი საკუთარ თავზე რა წარმოდგენაც უნდა გქონოდა, სწორედ ეს მადლი გაკლდა, ბიძია გოტჰოლდ!“

თომას ბუდენბროკი სარეცელს გაშორდა, ფანჯარასთან მივიდა, ხელები ზურგს უკან დაიწყო და ინტელიგენტურ სახეზე ღიმმორეულმა რატჰაუსის მკრთალად განათებულ, წვიმის ბურუსში გახვეულ გოთურ ფასადს გახედა.

* * *

ბუნებრივია, ნიდერლანდების სამეფო კონსულის თანამდებობა და ტიტული, რაც თომასს მამის გარდაცვალებისთანავე შეეძლო მიეღო, ტონი გრიუნლიჰის საამაყოდ თომასზე გადავიდა. გვირგვინითა და ლომების გამოსახულებით დამშვენებული გერბიანი ფარი კვლავ გამოჩნდა ბუდენბროკების სახლის ფასადზე წარწერილი სიტყვების ქვეშ „Dominus providebit“.

ამ საქმის დასრულებისთანავე, იმავე წლის ივნისში, ახალგაზრდა კონსული წინასწარ დაუდგენელი ვადით საქმეებზე ამსტერდამს გაემგზავრა.

მეხუთე თავი

სიკვდილს სჩვევია სახლში ღვთისმოსაური განწყობილების შემოტანა და არავის უკვირდა, ქალბატონ ბუდენბროკის ბაგეთაგან მეუღლის გარდაცვალების შემდეგ რომელიმე უაღრესად რელიგიურ ფრაზას რომ გაიგონებდა, თუმცა წინათ მისგან ამგვარი რამ იშვიათად სმენოდათ.

მალე გამომჟღავნდა, რომ ეს გრძნობა წარმავალი არ იყო. ქალაქში სწრაფად გავრცელდა ხმა, კონსულის მეუღლეს უნებებია, განსვენებულის ხსოვნას პირველ რიგში მისი ღვთისმოსაური მსოფლმხედველობის სავსებით გაზიარებით სცეს პატივიო, თუმცა ადრეც, კონსულის სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიც, ქალბატონი ბუდენბროკი, რაც ხანში შედიოდა, მეუღლის რელიგიურ მიდრეკილებებს მით უფრო თანაუგრძნობდა.

კონსულის მეუღლე ისწრაფოდა თავის უზარმაზარ სახლში განსვენებულის სანუკვარი ქრისტიანული, მოწყალე სულისკვეთება გაემეფებინა, რაც კეთილშობილურ მხიარულებასაც არ უცხოობდა. დილისა და მწუხრის ლოცვები გახანგრძლივდა. მთელი ოჯახი სასადილო დარბაზში იყრიდა თავს, მოსამსახურეები კი სვეტებიან სადარბაზოში იდგნენ. კონსულის მეუღლე ან კლარა დიდი საოჯახო ბიბლიიდან უზარმაზარი ასოებით დაწერილ რომელიმე თავს წაიკითხავდნენ, შემდეგ კონსულის მეუღლე ფისჰარმონიაზე დაუკრავდა და ყველანი ერთად საგალობლების წიგნიდან ერთ-ორ მუხლს იგალობებდნენ. ხშირად ბიბლიას შავ ყდაში ჩასმული, ოქროთი მოვარაყებული რომელიმე სულის განმანათლებელი წიგნი ცვლიდა, საუნჯე, დავითნი, ხელთდასხმა, ცისკრის ლოცვანი და სხვანი, ამგვარი წიგნები სახლში უხვად მოიპოვებოდა. ისინი უნეტარეს იესოს ისეთ სინაზით აღსავსე ხოტბას ასხამდნენ, რომ მსმენელზე თითქმის გულის ამრევად მოქმედებდა.

ქრისტიანი ლოცვას ხშირად არიდებდა თავს. თომასმა ერთხელ დრო იხელთა და ამდაგვარი წვრთნის წინააღმდეგ ფრთხილად, ნახევრად ხუმრობით აიმაღლა ხმა, მაგრამ ლმობიერ, თუმცა ღირსებით აღსავსე წინააღმდეგობას წააწყდა. მადამ

გრიუნლიჰი, სამწუხაროდ, ღვთისმსახურებისას ყოველთვის საკმაო თავშეკავებას ვერ იჩენდა. ერთ დილას - ბუდენბროკებთან ამ დროს სწორედ ვინმე უცხო მოძღვარი იყო სტუმრად - იძულებული გახდნენ, საზეიმო, რწმენით აღსავსე და შთამაგონებელი მელოდიის ხმაზე ასეთი სიტყვები დაემღერებინათ:

„მე ვარ ჭეშმარიტი მძორი,

ჭეშმარიტი ცოდვილი და ხეიბარი ვარ,

ვინც თავის ცოდვებს ისევე ნთქავს,

როგორც სიდამპლე, გულს რომ უხრავს ხახვს. უფალო, შენს ძაღლს ყურში ჩამავლე ხელი,

მოწყალება მოიღე და მომიგდე ძვალი. ჩემისთანა ცოდვილი და ღვთის გლახა შემიბრალე და

დამაფარე მოწყალე კალთა“.

ამ სიტყვებით გულამღვრეულმა ფრაუ გრიუნლიჰმა ფსალმუნი მოისროლა და დარბაზიდან გავიდა.

უნდა ითქვას, რომ კონსულის მეუღლე თავის თავს გაცილებით მეტს სთხოვდა, ვიდრე შვილებს. მან საკვირაო სკოლა მოაწყო. კვირა დილას მენგშტრასეზე სახალხო სკოლის მოსწავლე გოგონები - გალავნის მახლობლად მცხოვრები შტინე ვოსი, გლოკენგისერშტრასელი მიკე შტუტი, გროპელგრუბელი, ენგელსვიშელი თუ ტრავეს სანაპიროელი ფიკე სნუტი რეკავდნენ ხოლმე ზარს. გოგონებს ჩალისფერი თმები წყლით გულდაგულ ჰქონდათ გადაგლესილი. ისინი დიდი თაღით ბაღში გამავალ ნათელ ოთახში შედიოდნენ. ამ ოთახს დიდი ხანია კანტორად აღარ იყენებდნენ, იქ ახლა მერხები იდგა. მძიმე შავი ატლასის კაბაში გამოწყობილი ქალბატონი ბუდენბროკი, კროგერების ასული, მათ წინ მაგიდას მიუჯდებოდა, შაქრით დამტკბარ წყალს წინ დაიდგამდა და გოგონებს მთელ საათს უკითხავდა კატეხიზმოს. კონსულის მეუღლეს თეთრ, კეთილშობილ სახეს კიდევ უფრო თეთრი, მაქმანებიანი თავსაბური უმშვენებდა.

კონსულის მეუღლემ „იერუსალიმური საღამოებიც“ შემოიღო, რომელსაც კლარასა და კლოტილდეს გარდა ძალაუნებურად ტონიც ესწრებოდა. კვირაში ერთხელ ლამპებისა და სანთლების შუქით განათებულ სასადილო დარბაზში ფართოდ გაშლილ მაგიდას ოციოდე მანდილოსანი შემოუჯდებოდა. დრო იყო, ყველა მათგანს ზეციურ სასუფეველზე ეზრუნა. ქალბატონები ჩაის ან ბიშოფს სვამდნენ, გემრიელ ბუტერბროდებსა და პუდინგს მიირთმევდნენ, რელიგიურ საგალობლებს მღეროდნენ და ხელსაქმობდნენ; ხელსაქნარი წლის დამლევს საქველმოქმედო ბაზარზე

იყიდებოდა და შემოსავალი მისიონერული მიზნებისთვის იერუსალიმში იგზავნებოდა.

ღვთისმოსაური გაერთიანება უპირატესად კონსულის მეუღლის საზოგადოებისგან იყო შედგენილი; სენატორ ლანგჰალსის მეუღლე, ქალბატონი მოლენდორფი და კონსულ კისტენმაკერის მოხუცი მეუღლე ამ წრეს ეკუთვნოდნენ, სხვა ხანში შესული მანდილოსნები, რომლებიც საერო ცხოვრებას ამჯობინებდნენ, მაგალითად, მადამ კოპენი, თავიანთ მეგობარ ბეტსის ჩუმ-ჩუმად დასცინოდნენ. აქაური მღვდლების ცოლები, ასევე დაქვრივებული კონსულის მეუღლე ბუდენბროკი, შტიუვინგის ასული, და ზეზემი ვაიჰბროტი თავისი უბირი დით ამ თავყრილობის წევრები იყვნენ. იესო ქრისტეს წინაშე ყველა თანასწორია და ამიტომაც „იერუსალიმურ
საღამოებს“ გაცილებით დაბალი რანგის მანდილოსნებიც ესწრებოდნენ. მაგალითად, ერთი პატარა, ღვთისმოსაობითა და ხელსაქმით ნაქები სახედანაოჭებული არსება, გვარად ჰიმელსბიურგერი ამ საღამოების მუდმივი სტუმარი გახლდათ. თავს სევდიანად „უკანასკნელ ჰიმელსბიურგერს“ უწოდებდა, ჩაჩის ქვეშ ყაისნაღს შეიყოფდა და ყელს ისე იფხანდა ხოლმე.

გაცილებით ღირსშესანიშნავი ამ კრების სხვა წევრები იყვნენ, - ტყუპი, დიდად უცნაური შინაბერა დები. მათ მეთვრამეტე საუკუნის მწყემსური ქუდები ეხურათ და გამოხუნებული ძველი კაბები ეცვათ... ქუჩა-ქუჩა ხელიხელჩაკიდებული დაეხეტებოდნენ და სიკეთეს თესავდნენ. გვარად გერჰარტები იყვნენ და ირწმუნებოდნენ, პაულ გერჰარტის პირდაპირი შთამომავლები ვართო. თუმცა ხმა დადიოდა, დები არც ისე ღარიბები არიანო, მაგრამ ისინი საშინელ სიღატაკეში ცხოვრობდნენ და რაც კი გააჩნდათ, გაჭირვებულებს ურიგებდნენ.

- ჩემო კეთილებო, - შენიშნავდა ქალბატონი ბუდენბროკი, მას დები გერჰარტების საზოგადოება, ცოტა არ იყოს, ესირცხვილებოდა, - უფალი ღმერთი ხედავს თქვენს კეთილ გულებს, მაგრამ ასეთი სამოსელი არ შეგეფერებათ, თავსაც უნდა მიხედოს კაცმა.

თვითონ ქალბატონი ბუდენბროკი წარჩინებული მანდილოსნის ჩვევებს ვერ ღალატობდა. პასუხად შინაბერა დები თავიანთ ელეგანტურ მეგობარს შუბლზე ეამბორებოდნენ, თან სახეზე ლმობიერება, სიყვარული და თანაგრძნობა ეხატებოდათ. ამით მდაბიო დები სასუფევლისმაძიებელ წარჩინებულ ქალბატონზე თავის უპირატესობას გამოხატავდნენ. შინაბერებს ჭკუა არ აკლდათ, თუთიყუშივით პატარა, გონჯ, დანაოჭებულ სახეებზე ოდნავ მიბნედილი, რუხი თვალები უპრიალებდათ. ეს თვალები სამყაროს უცნაური გულმოწყალებითა და ყოვლისმცოდნე მზერით შეჰყურებდნენ. გულებიც საოცარი, იდუმალებით აღსავსე გრძნობებით ჰქონდათ სავსე. მათ უწყოდნენ: ჩვენი უკანასკნელი ჟამი რომ დაჰკრავს, ღმერთთან ჩვენზე ადრე წასული საყვარელი ადამიანები უფლის სამყოფლოში წასაყვანად სულთათანას გალობით მოგვევლინებიანო. სიტყვა „უფალს“ ისინი იმ

პირველი ქრისტიანებივით უშუალოდ და სასოებით წარმოთქვამდნენ, რომელთაც წამიც და მიხილავთ მეო, თვით მაცხოვრის ბაგეთაგან გაეგონათ. ისინი ფლობდნენ საოცარზე საოცარ თეორიებს შინაგან სხივმფინარებასა და წინათგრძნობებზე, აზრების შთაგონებასა და გადაცემაზე... ერთ-ერთი და ლეა, ყრუ იყო, მაგრამ თითქმის ყოველთვის ხვდებოდა, დანარჩენები რაზე საუბრობდნენ.

სიყრუის გამო „იერუსალიმურ საღამოებზე“ ხმამაღლა კითხვას ჩვეულებრივ ლეა გერჰარტს აკისრებდნენ ხოლმე. გარდა ამისა, მანდილოსნების აზრით, იგი ლამაზად და შთამაგონებლად კითხულობდა. ლეა გერჰარტი ჩანთიდან სიძველისგან გაქექილ, თითქმის სასაცილოდ წაგრძელებულ წიგნს ამოიღებდა - წიგნის ყდაზე თავისი წინაპრის არაადამიანურად ლოყებდაბუშტული ხატება იყო ამოტვიფრული - წიგნს ორივე ხელში დაიჭერდა, წმინდა ტექსტის მოსმენა თვითონაც უნდოდა და ამიტომ ისეთი საზარელი ხმით კითხულობდა, გეგონებოდათ, ღუმლის მილში ქარი ღრიალებსო:

„სატანას სურს ჩემი შთანთქმა“...

ნეტა რომელი სატანა ისურვებს მის შთანთქმასო, გულში ეღიმებოდა ტონი გრიუნლიჰს, მაგრამ არაფერს ამბობდა, პუდინგს შეექცეოდა და ფიქრობდა, ნეტა ოდესმე მეც ამ დებივით საზიზღარი თუ შევიქნებიო.

ტონი ბედნიერად ვერ გრძნობდა თავს, მუდამ მოწყენილი იყო და პასტორებსა და მისიონერებზე გული მოსდიოდა. კონსულის გარდაცვალების შემდეგ, მგონი, მათი მისვლა-მოსვლა უფრო გახშირდა. სულიერი მამები, ტონის აზრით, სახლში მეტისმეტად გაბატონდნენ და ოჯახსაც მათი სტუმრობა ძვირი უჯდებოდა. უკანასკნელი საკითხი თომასს ეხებოდა, მაგრამ იგი ხმას არ იღებდა, მისი და კი, სადაც მოახელთებდა, ბუზღუნებდა, ზოგნი ქვრივების სახლებს აჩანაგებენ და თან ზედ გრძელ-გრძელ ლოცვებს აყოლებენო.

ტონის ეს შაოსანი ვაჟბატონები ჭირის დღესავით სძაგდა. სიმწიფეში შესული ქალი ცხოვრებას იცნობდა და წინანდებურად ბრიყვი აღარ იყო, რომ მათი სიწმინდე ეჭვმიუტანლად ეწამებინა.

- დედა! - ეუბნებოდა დედას ტონი, - ღმერთო დიდებულო, მართალია, არ უნდა გაკიცხო მოყვასი შენი, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა გითხრა და ნამდვილად გამიკვირდება, თუ ცხოვრებამ არ გასწავლა, რომ ყველა, ვინც ანაფორას ატარებს და
„უფალო, უფალოო“, გაიძახის, უბიწო და უცოდველი არ არის!

ამ ჭეშმარიტებაზე, რასაც ტონი ასეთი დაჟინებით გამოთქვამდა, თომასი რა აზრისა იყო, კაცმა არ იცოდა, ქრისტიანს კი არავითარი შეხედულება არ გააჩნდა, იგი ცხვირს იჭმუხნიდა და ამ ვაჟბატონებს მხოლოდ იმისთვის აკვირდებოდა, რომ შემდეგ კლუბში ან შინაურებთან გამოეჯავრებინა.

ესეც იყო, რომ სულიერი მამების სტუმრობა ყველაზე მეტად ტონის აწუხებდა. ერთ საღამოს მისიონერი, სახელად იონათანი, რომელსაც სირიაც მოვლილი ჰქონდა და არაბეთიც, ფართო თვალებში მუდამ საყვედური რომ ედგა და ლოყები მოწყენილივით ჩამოჰკიდებოდა, ტონისთან მივიდა და მოღუშულმა მკაცრად ჰკითხა, თქვენს შუბლზე ჩამოყრილი, დახუჭუჭებული კულულები ჭეშმარიტ ქრისტიანულ სათნოებას თუ შეეფერებაო. აჰ, მან ტონი გრიუნლიჰის მწარე ენის ამბავი, ეტყობა, არ იცოდა. ტონი ერთ წუთს დუმდა, სახეზე დაძაბული ფიქრი ეხატებოდა. მერე კი წარმოთქვა:

-ნება მიბოძეთ გთხოვოთ, ბატონო პასტორო, რომ თქვენს საკუთარ კულულებს მოუაროთ, - და ტონი გრიუნლიჰი კარისკენ წაშარიშურდა, მხრები აიწურა, თავი უკან გადაიგდო, თან ცდილობდა, ნიკაპი მკერდზე დაებჯინა. პასტორ იონათანს თავზე ორი ღერი თმა შერჩენოდა. დიახ, კეფა თითქმის მთლიანად ჰქონდა გამელოტებული.

მაგრამ ერთხელ ტონის კიდევ უფრო დიდი ტრიუმფი ხვდა წილად. რვა თუ ათი დღე იყო, ბუდენბროკებისას ბერლინელი პასტორი ტრიშკე, მეტსახელად „მტირალა ტრიშკე“, ჩამომხდარიყო. ეს მეტსახელი პასტორისთვის იმიტომ შეერქმიათ, რომ ყოველ კვირას, ქადაგებისას, აუცილებლად ცრემლებს გადმოყრიდა ხოლმე. მტირალა ტრიშკე ერთი სახეგამოხუნებული, თვალებჩაწითლებული, ცხენივით მოქნეულყბებიანი კაცი იყო, ჟამიდან ჟამზე ან საბრალო კლოტილდეს ეჯიბრებოდა ჭამაში, ან ლოცვებს ღაღადებდა. სწორედ ამ ტრიშკეს შეუყვარდა ტონი... და განა ტონის უკვდავმა სულმა მოხიბლა ბატონი პასტორი, არა, მისმა ზედა ტუჩმა, მისმა ხშირმა თმამ, მისმა მშვენიერმა თვალებმა და მისმა აყვავებულმა სხეულმა წაუკიდა ცეცხლი ღვთის მონა-მორჩილს. წვრილშვილიან ღვთის მსახურს არ უჩოთირებია, ფარეშ ანტონის ხელით მესამე სართულზე, მადამ გრიუნლიჰის საძინებელ ოთახში წერილი შეეპარებინა. ბარათი ბიბლიური გამოთქმებისა და პირფერული სინაზის მარჯვე ნაზავი გახლდათ. ტონიმ ის დაწოლისას იპოვა, წაიკითხა, კიბე მტკიცე ნაბიჯებით ჩაიარა და კონსულის მეუღლის საძინებელ ოთახს მიაშურა. სანთლების შუქზე დედას ღვთის ერთგული მსახურის უსტარი ისე წაუკითხა, თვალი არ დაუხამხამებია. ასე რომ, ამიერიდან მტირალა ტრიშკეს გაჩერება მენგშტრასეზე აღარ შეიძლებოდა.

- ყველანი ასეთები არიან! - წარმოთქვა მადამ გრიუნლიჰმა, - დიახ, ასეთები არიან! ღმერთო, რა ბატისტვინა ვიყავი წინათ, დედა, მაგრამ ცხოვრებამ ადამიანებისადმი ნდობა დამიკარგა. ადამიანების უმრავლესობა გაიძვერაა... დიახ, სამწუხაროდ, ასეა. გრიუნლიჰ! - ამ სახელმა მხრებაზიდული, თვალებაპყრობილი ტონის ბაგეთაგან საბრძოლო მოწოდებასავით, დაფდაფების გუგუნივით გაიხმიანა.

მეექვსე თავი

ზივერტ ტიბურციუსი პატარა, ვიწრომხრებიანი, დიდთავა კაცი იყო. მეჩხერი, მაგრამ გრძელი ქერა ბაკენბარდები ჰქონდა. ბაკენბარდების ბოლოებს ხანდახან მხრებზე მოხერხებულად გადაიწყობდა ხოლმე. მრგვალი კეფა წვრილ-წვრილად დაკვარკნილ თმას დაეფარა. განზე გამდგარი დიდი ყურების ნაპირები შიგნით ეხვეოდა, ბოლოები კი მელიასავით ჰქონდა აცქვეტილი. ყვრიმალებამობურცულ სახეზე ცხვირი
ბრტყელი ღილივით ეჯდა, ნაცრისფერი, ჩვეულებრივ მოჭუტული, ოდნავ სულელურად გამომზირალი თვალები ხანდახან ისე უსაშველოდ უფართოვდებოდა და ეკარკლებოდა, რომ ფოსოებიდან ამოცვენას არა უკლდა რა.

ასეთი გახლდათ რიგელი პასტორი ტიბურციუსი. მას რამდენიმე წელი შუა გერმანიაში ემსახურა, ახლა სამშობლოში მრევლი რგებოდა და გზად ბუდენბროკებთან შემოევლო. პასტორს ერთი თანამოძმის სარეკომენდაციო ბარათი ჰქონდა თან, რომელსაც მენგშტრასეზე უკვე ეგემა მტრედის ბულიონი და ხახვიანი საწებლით შენელებული ლორი. პასტორი ტიბურციუსი კონსულის მეუღლეს ეახლა, მისი თავაზიანი მოპატიჟება მიიღო და პირველ სართულზე სტუმრებისთვის განკუთვნილ ვრცელ ოთახში დაბინავდა.

მაგრამ პასტორი მენგშტრასეზე მეტხანს დაყოვნდა, ვიდრე თვითონ მოელოდა. რვა დღემ გაიარა და მას ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩა მოსანახულებელი: „მიცვალებულის როკვა“, მოციქულის საათი მარიენკირხეში, რატჰაუსი, „ნაოსანთა საზოგადოება“ თუ ტაძარში მოძრავთვალებიანი მზე. გაიარა ათმა დღემაც და პასტორმა გამგზავრება
ისევ ახსენა, მაგრამ ერთი შეპატიჟება საკმარისი აღმოჩნდა, რომ წასვლა კვლავ
გადაედო.

პასტორი ტიბურციუსი ბატონ იონათანსა და მტირალა ტრიშკეზე უფრო გონიერი აღმოჩნდა. ის არც ფრაუ ანტონიას დახუჭუჭებულ კულულებზე დარდობდა და არც სატრფიალო ბარათების მიწერით იწუხებდა თავს. სამაგიეროდ, ტონიზე უმცროს და მასზე გაცილებით სერიოზულ კლარას დიდი ყურადღებით ეკიდებოდა. როცა კლარა ლაპარაკობდა ან დადიოდა, პასტორ ტიბურციუსს თვალები უსაშველოდ უფართოვდებოდა, გადმოეკარკლებოდა და თითქმის ფოსოებიდან უცვივდებოდა. პასტორი თითქმის მთელ დღეს კლარასთან ატარებდა, სასულიერო თუ საერო საუბრით იყოლიებდა ან თავისი მაღალი ხმითა და თავისი სამშობლოს დამახასიათებელი ბალტიური კაკანა გამოთქმით რაიმეს უკითხავდა ხოლმე.

პასტორმა პირველივე დღეს უთხრა კონსულის მეუღლეს:

- ნუ მიწყენთ, ქალბატონო, და რა საუნჯე, რა ღვთის წყალობა გაქვთ მონიჭებული თქვენი ქალიშვილის კლარას სახით. რა დიდებული ბავშვია!

მართალი ბრძანდებითო, - მიუგო კონსულის მეუღლემ, მაგრამ პასტორი ამ სიტყვებს შემდგომაც ისე ხშირად იმეორებდა, რომ კონსულის მეუღლე თავის ცისფერ თვალებს მეტი ყურადღებით აპყრობდა ტიბურციუსს და აიძულებდა თავის ჩამომავლობაზე,

შეძლებასა და პერსპექტივებზე ელაპარაკა. გამოირკვა, რომ დედისერთა პასტორი ტიბურციუსი ვაჭრის ჩამომავალი იყო, დედა აღარ ჰყავდა, მოხუცი მამა კი რიგაში ცხოვრობდა კაპიტალის შემოსავლით. ეს კაპიტალი ოდესმე პასტორ ტიბურციუსის საკუთრება უნდა გამხდარიყო, თუმცა უამისოდაც მრევლი საკმაო შემოსავალს მოუტანდა.

კლარა ბუდენბროკი ამ დროს მეცხრამეტე წელიწადში იდგა. მუქ, გადატკეპნილ თმას შუაზე იყოფდა. მკაცრი, მაგრამ მაინც მეოცნებე რუხი თვალები ჰქონდა. ტანწერწეტა ქალიშვილს ოდნავ კეხიანი ცხვირი, ცოტა ზედმეტად მოკუმული ტუჩები
თავისებურ, თუმცა ასკეტურ სილამაზეს ანიჭებდა.

შინ კლარა ყველაზე ახლოს თავის საბრალო და მასავით ღვთისმოსავ ბიძაშვილთან - კლოტილდესთან მეგობრობდა. კლოტილდეს მამა ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა და ახლა ქალიშვილს ერთი ფიქრი ამოძრავებდა, როგორმე მოწყობილიყო: ეს კი ნიშნავდა, მემკვიდრეობად მიღებული თავისი გროშებითა და ავეჯით სადმე პანსიონში დაედო ბინა. კლარას, რა თქმა უნდა, ტილდას უსიცოცხლო, მომთმენი და მშიერი თვინიერებისა არაფერი ეცხო, პირიქით, მოსამსახურეებთან, და-ძმასა და დედასთანაც კი ქედმაღლურად სჩვეოდა ლაპარაკი. რაიმეს მტკიცედ რომ იტყოდა, მაშინ თუ დაუწევდა ტონს, თორემ ხმაში კითხვის ინტონაციას ხომ არასდროს გამოურევდა. კლარას ალტი მბრძანებლური ტონით იყო შეფერილი, ხშირად კი მკვახედ, მოუთმენლად და ზვიადად ჟღერდა, განსაკუთრებით იმ დღეებში, როცა თავის ტკივილი ტანჯავდა ხოლმე.

სანამ კონსულის სიკვდილის გამო ოჯახი ძაძებში გაეხვეოდა, კლარა ქედმაღლურად და გულგრილად მონაწილეობდა მშობლების სახლში ან მათი წრის რომელიმე ოჯახში გამართულ საღამოებში. კონსულის მეუღლე ქალიშვილის აკვირდებოდა და თავს უტყდებოდა: კლარას გვარიანი მზითევი ჰქონდა და დიასახლისობაც ემარჯვებოდა, მაგრამ მისი გათხოვება ადვილი საქმე არ იყო. ქალბატონ ბუდენბროკს ვერაფრით წარმოედგინა კლარას გვერდით მათი წრის რომელიმე სკეპტიკოსი, წითელი ღვინის მოყვარული დარდიმანდი სოვდაგარი. ამ დინჯი და ღვთისმოშიში გოგონას წყვილი მხოლოდ ვინმე სასულიერო პირი თუ შეიძლებოდა გამხდარიყო. კონსულის მეუღლეს ეს აზრი გულს უფონავდა და პასტორ ტიბურციუსის ნაზ ნართაულებს თუმცა თავდაჭერილად, მაგრამ აშკარად გულითადად ხვდებოდა.

და მართლაც, მოვლენები საოცარი სიზუსტით განვითარდა. ივლისის ერთ თბილ, უღრუბლო ნაშუადღევს ოჯახი სასეირნოდ გაემართა. კონსულის მეუღლე, ანტონია, ქრისტიანი, კლარა, ტილდა, ერიკა გრიუნლიჰი მამზელ იუნგმანითურთ და პასტორი ტიბურციუსი ქალაქის ჭიშკარს გარეთ გავიდნენ, უნდოდათ სუფთა ჰაერზე ვინმე სოფლელ მედუქნესთან ხის უბრალო მაგიდებზე მარწყვი, შესქელებული რძე ან პუდინგი ეჭამათ. ნასამხრევს ყველანი მდინარემდე გადაჭიმულ ბაღ-ბოსტანში

გაიფანტნენ, მიაბიჯებდნენ ხეხილის ჩრდილქვეშ, მოცხრისა და ხურტკმლის ბუჩქებში, სატაცურისა და კარტოფილის მინდვრებზე.

ზივერტ ტიბურციუსი და კლარა ბუდენბროკი დანარჩენებს ჩამორჩნენ. კლარაზე ბევრად ტანმორჩილმა პასტორმა გაყოფილი ბაკენბარდები მხრებზე გადაიწყო, დიდი თავიდან შავი ჭილის ქუდი მოიხადა, თვალები გადმოკარკლა და კლარას გრძელი, შემპარავი საუბარი გაუბა, თან დროდადრო შუბლს ცხვირსახოცით იმშრალებდა ხოლმე. შუა საუბარში ორივენი შეჩერდნენ და კლარამ სერიოზული და მშვიდი ხმით წარმოთქვა: „დიახ“.

შინ დაბრუნების შემდეგ ოდნავ დაღლილი და სიცხისგან მოთენთილი კონსულის მეუღლე ლანდშაფტებიან ოთახში მარტო ბრძანდებოდა. გარეთ კვირასაღამოს იდუმალი სიჩუმე გამეფებულიყო, ზაფხულის ჩამავალი მზე უკანასკნელ სხივებს ისროდა. პასტორი ტიბურციუსი კონსულის მეუღლეს ახლოს დაუჯდა და გრძელი, შემპარავი საუბარი გაუბა. კონსულის მეუღლემ უპასუხა:

- კმარა, ჩემო ძვირფასო ბატონო პასტორო... თქვენი წინადადება ჩემს დედობრივ სურვილებს ეთანხმება. თქვენც არ გაგიკეთებიათ ურიგო არჩევანი, ამაში შეგიძლიათ მერწმუნოთ. ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენს სახლში თქვენი შემოსვლა ასე ღვთისგან კურთხეული შეიქნებოდა!.. დღეს მაინც არ მინდა ჩემი საბოლოო სიტყვა გითხრათ, რადგან, როგორც წესი და რიგია, ჯერ ჩემს ვაჟს, კონსულ თომას ბუდენბროკს უნდა მივწერო. იგი ამჟამად, როგორც მოგეხსენებათ, საზღვარგარეთ იმყოფება. თქვენც ხვალ მშვიდობით გაემგზავრებით რიგას, იქ თქვენი მოვალეობის აღსრულებას შეუდგებით, ჩვენ კი რამდენიმე კვირით ზღვაზე ვაპირებთ წასვლას... ალბათ, სულ მალე მოგაწვდენთ ხმას და ღმერთია მოწყალე, კვლავ მშვიდობით შეგვახვედრებს ერთმანეთს.

მეშვიდე თავი

ამსტერდამი, 56 წლის 20 ივლისი სასტუმრო „ჰეტ ჰაასიე“

ჩემო საყვარელო დ ე დ ა!

როგორც კი შენი მრავლისმთქმელი ბარათი მივიღე, დავეშურე გულითადი მადლობა მომეხსენებინა, რომ ჩემდამი დიდ ყურადღებას იჩენ და ასეთ სერიოზულ საქმეზე თანხმობას მთხოვ; რაღა თქმა უნდა, ჩემს თანხმობასაც გაცნობებ და კეთილ სურვილებსაც ზედ ვურთავ. ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენ, შენ და კლარა, არჩევანში
არ შეცდებოდით. ღირსეული სახელი ტიბურციუსი მეცნობა, დარწმუნებულიცა ვარ,

მამას მოხუც ტიბურციუსთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, კლარა სასურველ გარემოში მოხვდება, პასტორის მეუღლეობა კი მისი ხასიათისთვის სავსებით შესაფერი იქნება.

მაშ, ტიბურციუსი რიგას გაემგზავრა და თავის საცოლეს აგვისტოში ერთხელ კიდევ ინახულებს? ახლა კი ჩვენთან, მენგშტრასეზე ნამდვილი მხიარულება იქნება - უფრო დიდი მხიარულება, ვიდრე თქვენ ყველას წარმოგიდგენიათ, რადგან ჯერ არ უწყით, რა განსაკუთრებული მიზეზების გამო ვარ ასე აღფრთოვანებული მადმუაზელ კლარას ნიშნობით და რა სასიამოვნო დამთხვევის მომსწრენი ვხდებით. დიახ, ჩემო ყოვლად მშვენიერო ქალბატონო დედიკო, თუკი მე დღეს ჩემს ვალად ვრაცხ კლარას ამქვეყნიურ ბედნიერებაზე ჩემი თავმოდრეკილი დასტური ამსტელიდან აღმოსავლეთის ზღვისკენ გამოვგზავნო, ერთი პირობით, რომ საპასუხო ბარათში ასეთივე საქმეზე შენი ხელით დაწერილ დასტურს მივიღებ! სამ გულდენს მივცემდი, ამ სტრიქონების კითხვისას შენი, განსაკუთრებით კი ჩვენი ყაჩაღანა ტონის სახე რომ დამანახა... მაგრამ ახლა საქმეზე ვილაპარაკოთ.

ჩემი პატარა, სუფთა სასტუმრო არხის მშვენიერ პანორამას გადაჰყურებს. იგი შუაგულ ქალაქში მდებარეობს, ბირჟის მახლობლად. საქმეები, რომელთა ხათრით აქ ჩამოვედი (საქმე ეხება ახალი, ხელსაყრელი კავშირის დამყარებას. შენ იცი, ასეთი საქმეების პირადად მოგვარება რომ მიყვარს), პირველი დღიდანვე სასურველად წარიმართა. ქალაქში ხალხს ჩემი შეგირდობის ხანიდან ვახსოვარ და თუმცა ბევრი ოჯახი სააგარაკოდაა წასული, თავიდანვე მიპატიჟებებს ვერ ავუდიოდი. ვიყავი ვან ჰენკდომებსა და მოლენებთან. ჩამოსვლის მესამე დღესვე იძულებული გავხდი, საგულდაგულოდ გამოვწყობილიყავი და ჩემს ყოფილ პრინციპალთან, ბატონ ვან დერ კელენთან წავსულიყავი სადილად. მან ეს სადილი, როგორც ჩანს, ჩემს პატივსაცემად გამართა, რადგან სეზონი უკვე დამთავრებული იყო.

სუფრასთან წილად მხვდა მიმეყვანა... აბა, გამოიცანით, ვინ? ფროილაინ არნოლდსენი, გერდა არნოლდსენი, ტონის პანსიონის ამხანაგი. მისი მამა - დიდვაჭარი და თითქმის უფრო დიდი მევიოლინე, თავისი გათხოვილი ქალიშვილითა და სიძითურთ იქ ბრძანდებოდა.

მშვენივრად მახსოვს, რომ გერდამ - ნება მომეცით, იგი ამიერიდან სახელით მოვიხსენიო - ჯერ კიდევ მაშინ, მადმუაზელ ვაიჰბროტის პანსიონში მიულენბრინკზე რომ სწავლობდა, ჩემზე ძლიერი და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ახლა იგი კვლავ ვიხილე: დაქალებული, დამშვენებული, სულიერად კიდევ უფრო ამაღლებული... თუმცა, ნუღარ მალაპარაკებთ იმაზე, ვისაც მალე საკუთარი თვალით იხილავთ!

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ წვნიანის შემდეგ ძველ ამბებს თავი გავანებეთ და უფრო სერიოზულ და საინტერესო ამბებზე გადავედით. მუსიკაში მას პარტნიორობას ვერ გავუწევდი, რადგან ჩვენდა სავალალოდ ბუდენბროკებს მუსიკისა ბევრი არა

გაგვეგება რა; ნიდერლანდურ მხატვრობაში კი გვარიანად ვერკვევი, ლიტერატურაში ხომ სავსებით გავუგეთ ერთმანეთს.

მართალი გითხრათ, დრო სწრაფად მიქროდა. სადილის შემდეგ მოხუც არნოლდსენთან წარვადგენინე თავი, მან ძალზე გულითადად მიმიღო. შემდეგ ბატონმა არნოლდსენმა სალონში რამდენიმე საკონცერტო პიესა დაუკრა. გერდამაც გვიჩვენა თავისი ხელოვნება. დაკვრისას იგი მართლაც წარმტაცი იყო. და თუმცა ვიოლინოსი არაფერი გამეგება, ერთი რამ კი შემიძლია ვთქვა: გერდა თავის ინსტრუმენტს (ნამდვილ სტრადივარიუსის ვიოლინოს) ისე ამღერებდა, რომ ზოგს თვალზე ცრემლი მოადგა.

მეორე დღეს არნოლდსენებს ვეწვიე ბიუტენკანტის ქუჩაზე. ჯერ მოხუცმა კომპანიონმა ქალმა მიმიღო, მასთან ფრანგულად მომიხდა საუბარი. შემდეგ გერდაც გამოვიდა და ჩვენ, როგორც წინადღეს, მთელი საათი ვსაუბრობდით, ეს იყო, რომ ამჯერად უფრო მეტად დავახლოვდით, უფრო მეტად ვისწრაფოდით ერთმანეთი გაგვეცნო და საერთო ენა გამოგვენახა. კვლავ შენზე, დედიკო, ტონიზე, ჩვენს კარგ, ძველ ქალაქსა და ჩემს იქაურ საქმიანობაზე გვქონდა საუბარი.

უკვე ამ დღეს გადავწყვიტე მტკიცედ: ან ეს, ან არავინ, ან ახლა, ან არასოდეს! გერდას ერთხელ კიდევ შევხვდი ჩემს მეგობართან - ვან სვინდრენთან ბაღში მოწყობილ საღამოზე დამპატიჟეს. აქ მე ახალგაზრდა ქალს გული თითქმის გადავუშალე და მისგანაც იმედისმომცემი პასუხი მივიღე... და ამ ხუთი დღის წინ ბატონ არნოლდსენს მისი ასულის ხელის სათხოვნელად ვეახელი. დილა იყო. ბატონმა არნოლდსენმა კერძო კანტორაში მიმიღო. „ჩემო ძვირფასო კონსულო, - მითხრა მან, - თქვენ ჩემთვის ფრიად სასურველი ადამიანი ბრძანდებით, თუმცა ჩემისთანა მოხუცი ქვრივისთვის ქალიშვილთან განშორება ძალიან მძიმეა. მაგრამ თვითონ? აქამდე თავის გადაწყვეტილებას მტკიცედ ადგა, არასოდეს გავთხოვდებიო. გაქვთ რაიმე შანსი?“ ბატონი არნოლდსენი ფრიად გაოცებული დარჩა, როცა მოვახსენე, ფროილაინ გერდამ ნამდვილად მომცა გულში იმედის ჩანერგვის საბაბი-მეთქი. მან ქალიშვილს მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე მისცა და დარწმუნებული ვარ, ეგოიზმის კარნახით ეცდებოდა გერდა თავის მხარეზე გადაებირებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა: მე ვარ გერდას რჩეული და გუშინდელს აქეთ ნიშნობა დამტკიცებული გახლავთ.

არა, ჩემო საყვარელო დედიკო, მე ახლა არა გთხოვ ბარათით დამლოცო, რადგან ზეგ უკვე მოვემგზავრები: თან მომაქვს არნოლდსენების დაპირება. ბატონი არნოლდსენი, გერდა და მისი გათხოვილი და აგვისტოში გვეწვევიან. მაშინ კი შენც აღიარებ, რომ შესაფერისი საცოლე ავირჩიე. შენ ხომ ნაკლად არ ჩათვლი, გერდა მხოლოდ სამი წლით რომაა ჩემზე უმცროსი. იმედი მაქვს, გულში არასოდეს გაგივლია, შენი ვაჟი მოლენდორფების, ლანგჰალსების, კისტენმაკერების ან ჰაგენშტრომების წრიდან ვინმე პატარა გოგონას შემოგიყვანდა სახლში.

რაც შეეხება „პარტიას“... აჰ, მე თითქმის გული მიკანკალებს, როცა გამახსენდება, შტეფან კისტენმაკერი და ჰერმან ჰაგენშტრომი, პეტერ დოლმანი და ბიძია იუსტუსი და, საერთოდ, მთელი ქალაქი როგორ დამიწყებს ჭვრეტას, ჩემი არჩევანის ამბავს რომ გაიგებენ. ჩემი სასიმამრო ხომ მილიონერი გახლავთ.

ღმერთო ჩემო, აბა, რა უნდა გითხრათ? ადამიანის გული ისე ორჭოფობით არის სავსე, რომ ეს გარემოება ყოველნაირად შეიძლება განსაჯოს კაცმა. მე აღტაცებული ვარ გერდათი, მაგრამ სულაც არ მეჭაშნიკება, საკუთარ სულში ხელი ვაფათურო და გამოვჩხრიკო, ჩემს სიყვარულში გერდას დიდმა მზითევმა თუ შეიტანა წვლილი. მზითვის თანხა ხომ მასთან წარდგენისთანავე ცინიკურად ჩამჩურჩულეს ყურში. მე მიყვარს გერდა, მაგრამ ბედნიერება და სიამაყე მიორკეცდება, როცა გამახსენდება, რომ მისი შერთვით ჩვენს ფირმას მნიშვნელოვან კაპიტალს შემოვუმატებ.

ამით ვასრულებ, ძვირფასო დედა, ჩემს ბარათს. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე დღეში ჩემს ბედნიერებაზე უკვე პირისპირ ვისაუბრებთ, წერილი გამიჭიანურდა... კურორტზე სასიამოვნო და სასარგებლო დასვენებას გისურვებ და გთხოვ, ყველა ჩვენიანს ჩემგან გულითადი მოკითხვა გადასცე.

შენი ერთგული, მოყვარული და მორჩილი ვაჟი თ.

მერვე თავი

წლეულს ბუდენბროკების სახლში მართლა ხალისიანი და საზეიმო ზაფხული იდგა.

ივლისის მიწურულს თომასი მენგშტრასეზე დაბრუნდა. სხვა საქმიანი ხალხის მსგავსად ზაფხულს ქალაქში ატარებდა, ოჯახს ხანდახან თუ მოინახულებდა ზღვაზე, ქრისტიანი კი კურორტიდან ფეხს არ იცვლიდა, მარცხენა ფეხში რაღაც ყრუ ტკივილს უჩიოდა. ექიმმა გრაბოვმა მის სატკივარს ვერაფერი გაუგო და ქრისტიანს ამიტომ უფრო მეტი საფიქრალი გაუჩნდა.

- ეს ტკივილი კი არ არის... არა, ტკივილს ვერ დაარქმევ, - გაჭირვებით უხსნიდა ძმას, თან ფეხს იზელდა, დიდ ცხვირს იჭმუხნიდა და თვალებს აცეცებდა, - ეს რაღაც ტანჯვაა, განუწყვეტელი ტანჯვა, მთელი ფეხი ყრუდ მტეხს... მერე ისიც მარცხნივ, გულის მხარეს... საოცარია... პირდაპირ საოცარი! შენი აზრით, რა უნდა იყოს, ტომ?

- არაფერია, - ეუბნებოდა ტომი, - დაისვენებ, ზღვის აბაზანებს მიიღებ და გაგივლის.

შემდეგ ქრისტიანი ან ზღვისკენ დაეშვებოდა, რომ დამსვენებლებისთვის ამბები მოეყოლა და ნაპირი სიცილით აეხმაურებინა, ან პეტერ დოლმანთან, ბიძია

იუსტუსთან, ექიმ გიზეკესა და რამდენიმე ჰამბურგელ Suitier-თან ერთად რულეტის სათამაშოდ კურზალისკენ გაემართებოდა.

კონსულმა ბუდენბროკმა ტონისთან ერთად, როგორც ყოველთვის ტრავემიუნდეში ყოფნისას, მოხუცი შვარცკოფები მოინახულა.

- გამარჯობა, მა'მ გრიუნლიჰ! - ამბობდა უფროსი ლოცმანი და სიხარულისგან ქვემოგერმანულად უქცევდა, - არ დაგვიწყებივართ განა? მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ღმერთმანი, კარგი დრო კი იყო... ჩვენი მორტენი კაი ხანია, ბრესლაუში დოხტური გახლავთ, გვარიანი პრაქტიკა აქვს იმ მამაძაღლს, იმას...

შემდეგ ფრაუ შვარცკოფი დატრიალდა, ყავა მოადუღა და, როგორც ოდესღაც, ამწვანებულ ვერანდაზე ისამხრეს. მხოლოდ ახლა ყველანი ათი წლით ხნიერი გახლდნენ, მორტენი და პატარა მეტა კი შორს იყვნენ. მეტა ჰაფკრუგელ ჩინოვნიკს გაჰყოლოდა ცოლად. ლოცმანს თმა მთლად გასთეთრებოდა და ყურშიაც ცუდად ესმოდა. კარგა ხანია პორტში აღარ მსახურობდა. მის ცოლსაც ბადიდან მთლად გაჭაღარავებული თმა მოუჩანდა, მადამ გრიუნლიჰიც აღარ იყო ბატისტვინა, ცხოვრებას ავ-კარგი გაუგო, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა, ფიჭა თაფლი ბლომად ეჭამა.

- ნატურალური პროდუქტია, კაცმა ის მაინც იცი, რას ჭამ! - ამბობდა ტონი და თაფლს მადიანად შეექცეოდა.

აგვისტოს დამდეგს, ისე როგორც ბევრი სხვა ოჯახი, ბუდენბროკებიც ქალაქში დაბრუნდნენ. დადგა დიდებული ჟამი.

პასტორი ტიბურციუსი - რუსეთიდან, არნოლდსენები კი ჰოლანდიიდან მენგშტრასეზე თითქმის ერთდროულად ჩამოვიდნენ და სტუმრად დარჩენასაც კარგა ხანს აპირებდნენ.

მშვენიერი სანახაობა იყო, როცა კონსულმა თავისი საცოლე ლანდშაფტებიან ოთახში პირველად შემოიყვანა. კონსულის მეუღლეს მკლავები გაეშალა, თავი ოდნავ გვერდზე გადაეგდო და მათ შესაგებებლად მიუხაროდა. ტანაშოლტილი, მშვენიერი გერდა ლაღად და ამაყად მოაბიჯებდა ღია ფერის ხალიჩაზე. ხშირი, სპილენძისფერი თმა, ახლო-ახლო განლაგებული, მუქი თაფლისფერი, მოლურჯო ჩრდილებით შემოვლებული თვალები, ღიმილის დროს გამომკრთალი ფართო, მოელვარე კბილები, სწორი, მომსხო ცხვირი და საოცრად კეთილშობილურად მოხაზული ტუჩები ამ ოცდაშვიდი წლის ქალიშვილს ელეგანტურ, უცხო, ზეაღმტაცსა და იდუმალებით აღსავსე მშვენიერებას ანიჭებდა. გერდას სპილოსძვლისფერი, ოდნავ ქედმაღლური სახე ჰქონდა, მაგრამ მაშინვე დახარა თავი, როცა კონსულის მეუღლემ ორივე ხელი თავზე ნაზად შემოავლო და თოვლივით ქათქათა უმწიკვლო შუბლზე ეამბორა.

- კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს ოჯახში, ძვირფასო, მშვენიერო, ღვთივკურთხეულო, საყვარელო ასულო ჩემო. შენ თომასს ბედნიერებას მიანიჭებ... განა ახლავე არ ვხედავ, შენით რა ბედნიერია? - კონსულის მეუღლემ მარჯვენა ხელი თომასს შემოხვია და საკოცნელად მიიზიდა.

მხოლოდ ბაბუას დროს თუ ყოფილა ასეთი მხიარულება და სტუმრიანობა დიდ სახლში, რომელიც მომსვლელს თავისუფლად იტევდა. თავმდაბლობის გამო მარტო პასტორმა ტიბურციუსმა აირჩია საბილიარდოს მომიჯნავე ოთახი ფლიგელში. დანარჩენები: ბატონი არნოლდსენი, მისი ავადმყოფური სახის უფროსი ქალიშვილი, მისი სიძე და გერდა მეორე სართულზე, სვეტებიან სადარბაზოში გამომავალ, აქამდე ცარიელ ოთახებში დაბინავდნენ. ბატონი არნოლდსენი, სამოც წელს მიღწეული, ჭაღარაწვეროსანი ძველი კომერსანტი, დიდი ხუმარა კაცი იყო და თავაზიანი მანერები ჰქონდა. მისი დარდიმანდი სიძე ქრისტიანს ქალაქსა და კლუბში სიამოვნებით დაჰყვებოდა.

ანტონია გრიუნლიჰს უხაროდა, რომ ამჟამად მის მშობლიურ სახლში ზივერტ ტიბურციუსი იყო ერთადერთი სასულიერო პირი. უფრო მეტიც, ტონი სიხარულისგან მეცხრე ცაზე დაფრინავდა! თომასის რჩეული ხომ მისი მეგობარი გერდა იყო. მისი სათაყვანებელი ძმის ნიშნობა, ამ ქორწინების ბრწყინვალება, რაც ბუდენბროკების ოჯახისა და ფირმის სახელს შარავანდედს ადგამდა, 300000 მარკა მზითევი, რაზეც უკვე მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი, ქალაქი რომ ამაზე ლაპარაკობდა, სხვა ოჯახები, განსაკუთრებით ჰაგენშტრომები რას იტყოდნენ - ყველაფერი ეს ტონის აღტაცებით ავსებდა. ტონი საათში სულ ცოტა სამჯერ მაინც შემოეხვეოდა თავის მომავალ რძალს და გულმხურვალედ ეალერსებოდა.

- ო, გერდა, - იძახდა ტონი, - იცი, როგორ მიყვარხარ, ყოველთვის, ყოველთვის მიყვარდი! ვიცი, რომ ვერ მიტან, შენ ყოველთვის გძულდი, მაგრამ...

- აბა, რას ამბობს, ტონი! - ეუბნებოდა ფროილაინ არნოლდსენი, - როგორ შეიძლებოდა შენ მიმართ ასეთი გრძნობა მქონოდა? ნება მიბოძე გკითხო, რა გაგიკეთებია ჩემთვის ისეთი, რომ შემძულებოდი?

მაგრამ რაღაც მიზეზების, ალბათ, მხოლოდ ნაპირგადასული სიხარულისა და ლაპარაკის წყურვილის გამო, ტონი ჯიუტად ადგა თავისას, რომ გერდას იგი სძულდა. ტონი კი თავის მხრივ - და ამ დროს თვალები ცრემლით ევსებოდა - სიძულვილზე თურმე ყოველთვის სიყვარულით პასუხობდა. ტონი ხან თომასს გაინაპირებდა და ეუბნებოდა:

- რა კარგი ქენი, ტომ, რა კარგად მოიქეცი! არა, რა გულდასაწყვეტია, მამა რომ ვერ მოესწრო ამ ამბავს! პირდაპირ ტირილი მინდა! დიახ, ამით ბევრი რამ გამოსწორდება... თუნდაც ერთ პიროვნებასთან დაკავშირებული საქმე, რომლის სახელი არც მინდა ვახსენო.

შემდეგ ტონის თავში მოუვიდა, გერდა ცარიელ ოთახში შეეყვანა და მისთვის ბენდიქს გრიუნლიჰთან ქორწინების ამბავი უკიდურეს წვრილმანებამდე მოეყოლა. ტონი ასევე საათობით ესაუბრებოდა გერდას პანსიონში გატარებულ წლებზე, თავიანთ ძილისპირულ საუბრებზე, მეკლენბურგელ არმგარდ ფონ შილინგსა და მიუნხენელ ევა ევერსზე... ზივერტ ტიბურციუსისა და კლარას ნიშნობა ტონის თითქოს არც აგონდებოდა, თუმცა არც ისინი აბეზრებდნენ ვინმეს თავს, ხელიხელჩაკიდებულნი წყნარად ისხდნენ თავისთვის და ნაზად და სერიოზულად ლაპარაკობდნენ მშვენიერ მომავალზე.

ბუდენბროკებისას სამგლოვიარო ვადა ჯერ გასული არ იყო და ამიტომ ორივე ნიშნობა მხოლოდ ოჯახურ წრეში აღნიშნეს, მაგრამ გერდა არნოლდსენს ქალაქში მაინც მალე გაუვარდა სახელი, დიახ, მისი სახელი ყველას პირზე ეკერა: ბირჟაზე, კლუბში, თეატრსა თუ საზოგადოებაში.

- ტიპ-ტოპ, - ამბობდნენ Suitier-ები და ენას აწკლაპუნებდნენ.

ეს ჰამბურგული, რაიმე ფრიად მშვენიერის აღმნიშვნელი უახლესი გამოთქმა გახლდათ, იქნებოდა ეს წითელი ღვინის მარკა, სიგარა, სადილი თუ საქმიანი გარიგება. მაგრამ სოლიდურ, გამჭრიახ და ტრადიციების მიმდევარ ბიურგერებს შორის ბევრი თავს მრავალმნიშვნელოვნად აქნევდა, უცნაურია, ეს ტუალეტები, ეს თმა, ეს თავდაჭერა, ეს სახე... ფრიად უცნაურიაო. სოვდაგარმა ზორენსენმა თავისი აზრი ასე გამოხატა: ამ ქალს რაღაც ისეთი აქვსო... და თან სახე ისე დაეჭყანა, თითქოს ბირჟაზე რაღაც საზარალო საქმე შემოსთავაზესო, მაგრამ კონსული ბუდენბროკიც ცოტა პრეტენზიულია, ცოტა... სხვანაირია, თავის წინაპრებსაც არა ჰგავსო.

ყველამ იცოდა, ხოლო ყველაზე კარგად მაინც ფართლეულის ვაჭარ ბენთიენს მოეხსენებოდა, რომ თომას ბუდენბროკი მარტო ნატიფ, ახალმოდურ ტანსაცმელს კი არა, საცვლებსაც ჰამბურგიდან იწერდა. ტანსაცმელი კი უამრავი ჰქონდა: ნაირ-ნაირი სერთუკები, ქუდები, ჟილეტები, შარვლები და ჰალსტუხები. ისიც იცოდნენ, რომ თომასი პერანგს ყოველდღე, ხან დღეში ორჯერაც იცვლიდა, ცხვირსახოცსა და ნაპოლეონ მესამის ყაიდაზე დაყენებულ გაწკეპილ ულვაშებზე კი სუნამოს იპკურებდა. ამას ფირმის ღირსებისთვის სულაც არ სჩადიოდა - სავაჭრო სახლ „იოჰან ბუდენბროკს“ ეს არ სჭირდებოდა - არამედ... ეშმაკმა დალახვროს, როგორ შეიძლებოდა ამის გამოთქმა... ამას სინატიფისა და არისტოკრატიულობისკენ პირადი მიდრეკილების გამო აკეთებდა. მერე ეს ციტატები ჰაინედან და სხვა პოეტებიდან, ზოგჯერ სავაჭრო გარიგებებისას თუ საქმიან ან ქალაქის საჭირბოროტო საკითხების განხილვისას ლაპარაკში რომ ურთავდა? ახლა კი ეს ქალი... არა, თვით მასში, კონსულ ბუდენბროკში იყო რაღაც ისეთი, რასაც, რა თქმა უნდა, მაინც მოწიწებით აღნიშნავდნენ, რადგან ბუდენბროკების ოჯახს ყველა პატივს სცემდა, ფირმასაც ფრიად ღირსეული სახელი ჰქონდა და მისი შეფიც გონიერი, თავაზიანი კაცი გახლდათ. ფირმის შეფს ქალაქი უყვარდა და ეჭვგარეშე იყო, მას კიდევ მეტი

წარმატებით მოემსახურებოდა. მერე ეს ქორწინებაც რომ ჯოჯოხეთურად მომგებიანია! 100000 ტალერი ხუმრობა ხომ არ არის! მაგრამ მაინც... მანდილოსნებს შორის იყვნენ ისეთები, ვინც გერდა არნოლდსენს სრულიად უბრალოდ - „მანჭიად“ ნათლავდნენ, ეს კი ფრიად მწვავე განაჩენად ითვლებოდა.

სამაგიეროდ, მაკლერი გოში, თომას ბუდენბროკის საცოლეს მოჰკრა თუ არა თვალი, აღტაცებას ვეღარ მალავდა:

- აჰ, რა ქალია ბატონებო! - ამბობდა იგი კლუბსა თუ „ნაოსანთა საზოგადოებაში“, თან პუნშით სავსე სასმისს მაღლა სწევდა და ზედგამოჭრილი ინტრიგანის სახეს სატანურად მანჭავდა, - ჰერა და აფროდიტე, ბრიუნჰილდე და მელუზინე ერთ არსებად შეერთებული... აჰ, ცხოვრება კარგი რამ არის! - უადგილოდ დასძენდა მაკლერი გოში და არც ერთ ბიურგერს, რომლებიც მის ირგვლივ ნაოსანთა ძველი სახლის მძიმე, მოხარატებულ ხის მერხებზე, ჭერიდან ჩამოშვებული აფრებიანი ხომალდების მოდელებისა და უზარმაზარი თევზების ქვეშ ისხდნენ და ტოლჩას წრუპავდნენ, არ ესმოდა, გერდა არნოლდსენის გამოჩენა მაკლერ გოშის უინტერესო და რაღაც განსაკუთრებულს მოწყურებულ ცხოვრებაში რა უზარმაზარი მოვლენა იყო.

როგორც ითქვა, ბუდენბროკებს დიდი საზეიმო საღამოების გამართვა არ შეჰფეროდათ და მენგშტრასეზე შეკრებილ ვიწრო წრეს მით უფრო მეტი საშუალება ჰქონდა ერთმანეთს დაახლოებოდა. ზივერტ ტიბურციუსს კლარას ხელი მუდამ ხელთ ეპყრა და თავის მშობლებზე, სიყმაწვილესა და მომავლის გეგმებზე ისე ლაპარაკობდა. არნოლდსენები თავიანთ წინაპრებზე ყვებოდნენ, ისინი დრეზდენის მკვიდრნი ყოფილან, ნიდერლანდებში თურმე მხოლოდ ერთი შტო გადასახლებულა. შემდეგ მადამ გრიუნლიჰმა ლანდშაფტებიან ოთახში მდგარი სეკრეტერის გასაღები მოითხოვა და ოჯახური მატიანე დიდის ამბით გამოიტანა. თომასს მატიანეში უახლესი თარიღების ჩაწერა უკვე მოესწრო. ტონიმ ღირსეულად გადმოსცა ბუდენბროკების ისტორია როსტოკელი შეძლებული თერძიდან მოყოლებული და ძველი საზეიმო მიძღვნა წაიკითხა:

„ვენერას სათნო, ღვთიური სახე, ვულკანის გამრჯე, ხელი ქებული, ერთად ვიხილეთ, დღეს

ერთად ვნახეთ ჩვენ თვალწინ ამოდ შეერთებული“.

ამ კუპლეტის კითხვისას ტონიმ თომასსა და გერდას გახედა და ზედა ტუჩზე ენა აათამაშა; ისტორიისადმი პატივისცემის გამო მადამ გრიუნლიჰს ოჯახის მატიანეში ერთი პიროვნების შემოჭრისთვის, ვისი სახელის ხსენებაც არ უნდოდა, გვერდი არ აუვლია.

ხუთშაბათობით, ოთხ საათზე, მენგშტრასეზე ჩვეული სტუმრები იყრიდნენ თავს. მოდიოდა იუსტუს კროგერი თავისი უნებისყოფო მეუღლითურთ. მადამ კროგერი გზააბნეულ და მემკვიდრეობაწართმეულ ვაჟს იაკობს თანხას თანხაზე უგზავნიდა და ამის გამო ცოლ-ქმარს მუდამ უსიამოვნება ჰქონდა, ოჯახში მეტისმეტად მომჭირნეობდნენ და ლამის მხოლოდ წიწიბურას ფაფაზე გადადიოდნენ. კაცი მასთან ვერაფერს გააწყობდა. მოდიოდნენ ბრაიტენშტრასელი ქალბატონები, მათ ხომ სიმართლისთვის თავისი უნდა მიეზღოთ, ხომ უნდა აღენიშნათ, ერიკა გრიუნლიჰი კვლავაც ცუდად ვითარდება და რაც დრო გადის, თავის ყალთაბანდ მამას უფრო მეტად ემსგავსებაო. ისიც ხომ უნდა ეთქვათ, კონსულის საცოლე თმას საკმაოდ გამომწვევად ივარცხნისო. მოდიოდა ზეზემი ვაიჰბროტიც, ფეხის ცერებზე აიწეოდა, გერდას შუბლზე წკლაპუნით აკოცებდა და გრძნობამორეული ეტყოდა, ბედნიერი იყავი, ჩემო საყვარელო შვილოო.

შემდეგ ბატონი არნოლდსენი წყვილების პატივსაცემად ფანტაზიით სავსე, სხარტ სადღეგრძელოს წარმოთქვამდა, მერე კი, როცა ყველანი ყავას მიირთმევდნენ, ვიოლინოს ბოშისებური მგზნებარებით, ვნებიანად და ლაღად აახმიანებდა... ხან გერდაც გამოიტანდა თავის სტრადივარიუსს - ვიოლინოს იგი არასოდეს იშორებდა - და ტკბილხმოვანი კანტილენით მამის პასაჟებში შეიჭრებოდა. მამა-შვილი დიდებულ დუეტებს ასრულებდა. ისინი ლანდშაფტებიან ოთახში იდგნენ ფისჰარმონიასთან, სწორედ იმ ადგილას, სადაც ოდესღაც კონსულის ბაბუა ფლეიტაზე თავის პატარ- პატარა ტკბილ ჰანგებს აწკრიალებდა.

- ზეაღმტაცია! ღმერთო, რა ზეაღმტაცია! - ამბობდა სავარძელში გადაწოლილი ტონი, თან თვალებს აღაპყრობდა და მოზღვავებულ გრძნობებს სერიოზულად, დინჯად და ბეჯითად გამოთქვამდა, - არა, რა არ შეგხვდება ცხოვრებაში... ყველას როდი დაჰყვება ასეთი ნიჭი! მე ღმერთმა არ მომამადლა ამის უნარი, თუმცა, იცით, ღამით რამდენჯერ შევვედრებივარ... ნამდვილი ბატი ვარ, უგუნური, მაგრამ ცხოვრებას ვიცნობ... შენს შემქმნელს მუდამჟამს მუხლმოყრილი მადლობას უნდა სწირავდე, ასე ღვთივკურთხევული არსება რომ გაგაჩინა!

- კურთხეული! - შეუსწორა გერდამ, გაიღიმა და თავისი მშვენიერი, ქათქათა, ფართო კბილები გამოაჩინა.

შემდეგ ყველამ ერთად მოიყარა თავი. ისინი კვლავ მომავალზე საუბრობდნენ და თან ღვინის ჟელეს მიირთმევდნენ. გადაწყდა, ამ თვის დამლევს ან სექტემბრის დამდეგს ზივერტ ტიბურციუსი და არნოლდსენები შინ გამგზავრებულიყვნენ. შობის მეორე დღესვე სვეტებიან სადარბაზოში შესაფერისი ზეიმით უნდა შემდგარიყო კლარას ჯვრისწერა. ამსტერდამში ქორწილს კი „თუ ცოცხალი და ჯანმრთელი“ იქნებოდა, კონსულის მეუღლეც დაესწრებოდა. ოღონდ თომასისა და გერდას ქორწილი ახალი წლის დამდეგამდე უნდა გადაედოთ - შესვენება აუცილებელი იყო. თომასის პროტესტმა არ გაჭრა.

- ნუ მიწყენ! - შეევედრა კონსულის მეუღლე შვილს და მკლავზე ხელი შეახო, - ზივერტს ეკუთვნის prè venir![66]

პასტორმა და მისმა საცოლემ საქორწინო მოგზაურობაზე უარი თქვეს. გერდა და თომასი კი შეთანხმდნენ, ზემო იტალია მოეარათ და მოგზაურობა ფლორენციაში დაესრულებინათ. იტალიაში ორ თვეს დარჩებოდნენ. ამასობაში ანტონია ფიშშტრასელ მეშპალერე იაკობსთან ერთად ბრაიტენშტრასეზე კოპწია სახლს მოამზადებდა. ეს სახლი ჰამბურგში გადასულ ერთ ბერბიჭას ეკუთვნოდა და მის შესყიდვაზე კონსულს მოლაპარაკება უკვე დაწყებული ჰქონდა. სახლის მორთვა- მოკაზმვაში ტონი თავს არ შეირცხვენდა.

- თქვენ ყველაფერი კეთილშობილურად გექნებათ, - თქვა ტონიმ და მის ნათქვამში ეჭვი არავის შეჰპარვია.

გრძელცხვირა ქრისტიანი წვრილ-წვრილ, დაგრეხილ ფეხებს ძლივს დაათრევდა და ოთახში დაბორიალებდა. აქ, ჩვეულებისამებრ, ორი წყვილი ხელიხელჩაკიდებული იჯდა და მხოლოდ ჯვრისწერაზე, გამზითვებასა და საქორწინო მოგზაურობაზე იყო ლაპარაკი. ქრისტიანს მარცხენა ფეხი კვლავ ყრუდ ტეხდა და ყველას თავისი პატარა, მრგვალ-მრგვალი, ღრმად ჩამჯდარი თვალებით დაბნეულად და შეშფოთებით უმზერდა. ბოლოს მარცელუს შტენგელის ხმაზე საბრალო ბიძაშვილს მიუბრუნდა. ბებრული, გამხდარი ტილდა ბედნიერ წყვილებს შორის წყნარად იჯდა და ნასადილევსაც შიმშილით ეწვოდა კუჭი.

- მაშ, ტილდა, ახლა ჩვენც მალე გავაჩაღებთ ქორწილს, მხოლოდ, რა თქმა უნდა, ჩვენ-ჩვენთვის, არა?

მეცხრე თავი

დაახლოებით შვიდი თვის შემდეგ კონსული ბუდენბროკი მეუღლითურთ იტალიიდან ბრუნდებოდა. ბრაიტენშტრასეზე მარტის თოვლი იდო. ნაშუადღევის ხუთ საათზე ბუდენბროკების ახალი სახლის სადა, ზეთის საღებავით შეღებილ ფასადს დროშკა მოადგა. რამდენიმე ბავშვი და ბიურგერი შეჩერდა, რომ ჩამოსულებისთვის შეეხედა. თავისი ნახელავით გაამაყებული ფრაუ ანტონია გრიუნლიჰი სახლის კარში იდგა, მის ზურგს უკან კი შესახვედრად გამზადებული ორი შიშველმკლავება მოახლე მოჩანდა. ეს თეთრჩაჩიანი, ზოლიან, უხეშ ქვედაკაბებში გამოწყობილი მოახლეები ტონის წინასწარ აეყვანა.

ფაციფუცისა და სიხარულისგან აგზნებულმა მადამ გრიუნლიჰმა დაბალსაფეხურებიანი კიბე სწრაფად ჩამოირბინა. ქურქებში გახვეული გერდა და

თომასი ჩემოდნებით დახუნძლული კარეტიდან გადმოვიდნენ. ტონიმ ხვევნა-კოცნით ორივე სახლში შეიყვანა.

- აი, თქვენც აქა ხართ! ბედნიერებო, მთელი ქვეყანა მოიარეთ! „გინახავთ სახლი, სვეტებიანი?“... გერდა, შენ კიდევ უფრო გამშვენიერებულხარ, მოდი ერთი, გაკოცო... არა, ტუჩებშიც... ასე! გამარჯობა, ჩემო ტომ, ჰო, ერთი შენც უნდა გაკოცო. მარკუსმა შემოგითვალა, საქმეები კარგად მიდისო. დედა მენგშტრასეზე გელოდებათ, მაგრამ ჯერ ცოტა სული მოითქვით. ჩაის ხომ არ ინებებთ? აბაზანა გინდათ მიიღოთ? ყველაფერი მზად გახლავთ. სასაყვედურო არაფერი გექნებათ. იაკობსს თავი არ დაუზოგავს, მეც, რაც შემეძლო, გავაკეთე.

ისინი ერთად შევიდნენ დერეფანში, სადაც გოგოებსა და მეეტლეს ბარგი უკვე შემოეზიდათ. ტონიმ თქვა:

- პირველი სართულის ოთახები ჯერჯერობით ხშირად არ დაგჭირდებათ... ჯერჯერობით, - გაიმეორა მან და ენის წვერი ზედა ტუჩზე აათამაშა, - აი, ნახეთ რა მშვენიერია, - განაგრძო ტონიმ და მარჯვნივ კარი შეაღო. - აქ ფანჯრებზე პლუში კიდია... უბრალო ხის ავეჯი დგას, მუხისა... იქ, უკან, დერეფნის მეორე მხარეს კიდევ სხვა, უფრო დიდი ოთახია. აქ, მარჯვნივ, სამზარეულო და საკუჭნაო გახლავთ. მაგრამ მოდი, ზევით ავიდეთ: ყველაფერი მინდა გიჩვენოთ!

შინდისფერი ფიანდაზით მოგებული ფართო, მოხერხებული კიბე აიარეს. მეორე სართულზე შუშის კარს მიღმა ვიწრო დერეფანი მოჩანდა. პირველი კარი სასადილო ოთახში გადიოდა. იქ, მასიურ, მრგვალ მაგიდაზე სამოვარი ჩუხჩუხებდა. კედლებზე შინდისფერი დამასტისმაგვარი ქსოვილი იყო გაკრული. ლერწმისსაჯდომიანი კაკლის ხის მოხარატებული სკამები და მასიური ბუფეტი კედელთან მიედგათ. სასადილოს გვერდით ნაცრისფერ მაუდგადაკრული ავეჯით გაწყობილი მყუდრო სასტუმრო ოთახი იყო. სასტუმრო ოთახი მწვანეზოლებიანი რიფსის სავარძლებით მორთულ ვიწრო სალონს ემიჯნებოდა. სალონს ერკერი ამკობდა და სასტუმრო ოთახისგან მხოლოდ პორტიერებით განიყოფოდა. მთელი სართულის ერთი მეოთხედი სამფანჯრიან დარბაზს ეკავა. ამ დარბაზიდან ყველანი დერეფნის ხელმარჯვნივ მოთავსებულ საძინებელ ოთახში გავიდნენ.

საძინებელ ოთახში დაჩითული ფარდები ეკიდა და უზარმაზარი წითელი ხის საწოლები იდგა. ტონი ოთახის სიღრმეში გამოჭრილ თაღთან მივიდა, სახელურს დააწვა და ხვეული კიბისკენ გამავალი კარი გააღო; ეს კიბე ქვევით სააბაზანოსა და სამოახლოებში ჩადიოდა.

- რა კარგია, აქედან ფეხის მოცვლა აღარ მინდა! - თქვა გერდამ, შვებით ამოისუნთქა და ერთ-ერთ საწოლთან მიდგმულ სავარძელში ჩაეშვა.

კონსული მისკენ დაიხარა და შუბლზე ეამბორა.

- დაიღალე? მართალი გითხრა, მეც მინდა ცოტა მოვწესრიგდე.

- მე კი ჩაის მივხედავ და სასადილო ოთახში დაგელოდებით! - თქვა ფრაუ გრიუნლიჰმა და გავიდა.

როცა თომასი ოთახში შემოვიდა, ჩაი უკვე მაისენური ფაიფურის ფინჯნებში ესხა და ოხშივარი ასდიოდა.

- აი, მეც აქ ვარ, - თქვა მან, - გერდა ნახევარ საათს დაისვენებს. თავი ასტკივდა. შემდეგ მენგშტრასეზე წავიდეთ... ყველანი კარგად არიან, არა, საყვარელო ტონი? დედა, ერიკა, ქრისტიანი?.. მაგრამ ჯერ, - თავაზიანი ჟესტით განაგრძო მან, - ჩემი და გერდას გულითადი მადლობა მიიღე შენი გარჯისთვის, ძვირფასო, რა მშვენივრად გაგიკეთებია ყველაფერი! ბინას არაფერი აკლია. მხოლოდ ჩემი მეუღლე პალმებს შეიძენს თავისი ერკერისთვის, მე კი რამდენიმე ზეთით ნახატ სურათს დავუმატებ. ახლა კი მომიყევი, შენ როგორღა ხარ, შენკენ ახალი ხომ არაფერია?

თომასმა დისთვის სკამი მოსწია, ჩაი ნელ-ნელა მოწრუპა და ბისკვიტი დააყოლა.

- ეჰ, - ტომ, - უპასუხა ტონიმ, - ჩემკენ რა უნდა მომხდარიყო? მე უკვე მოვჭამე ჩემი ცხოვრება.

- ნუ სულელობ, ტონი! რას ჰქვია, ცხოვრება მოჭამე, მაგრამ მოწყენილი კი ხარ და გვარიანადაც, არა?

- ჰო, ტომ, ძალიან. ხანდახან მოწყენილობისგან ლამის ვიყმუვლო. ამ სახლში საქმიანობამ დიდი სიხარული მომანიჭა, შენ არც კი იცი, რა ბედნიერი ვარ, თქვენ რომ დაბრუნდით. შინ სული მეხუთება. ღმერთმა შემინდოს, თუ ცოდვას ჩავდივარ. ოცდამეათე წელიწადში გადავდექი, მაგრამ ჯერ ხომ იმ ასაკში არა ვარ, რომ უკანასკნელ ჰიმელსბიურგერთან ან გერჰარტებთან, ან დედას ბნელეთის მოციქულებთან, ქვრივების სახლების გამჩანაგებლებთან გულითადი მეგობრობა გავაჩაღო... მათი არაფერი მწამს, ცხვრის ქურქში გახვეული მგლები არიან... ასპიტების მოდგმა... ჩვენ, ყველას, სუსტი ნებისყოფა გვაქვს და გულში თავს ცოდვილებად ვთვლით. როცა ისინი თანაგრძნობით მიცქერიან, როგორც გზააბნეულ კრავს, მე მათ დავცინი. ყოველთვის იმ აზრის ვიყავი, რომ ყველა კაცი თანასწორია, რომ ღმერთსა და ჩვენ შორის შუამავალი საჭირო არ არის. შენთვის ჩემი
პოლიტიკური მრწამსიც ცნობილია. მე მინდა, ბიურგერები სახელმწიფოსადმი...

- მაშ, შენ ეულად გრძნობ თავს, არა? - შეეკითხა თომასი, როცა შეატყო, რომ ტონიმ სწორი გზიდან გადაუხვია, - კი მაგრამ, შენ ხომ ერიკა გყავს?

- ჰო, ტომ, ბავშვი მთელი სულითა და გულით მიყვარს, თუმცა ერთი პიროვნება ამტკიცებდა, ცუდი დედა ხარო. მაგრამ, იცი რა... მე შენ არაფერს გიმალავ. ტომ, მე გულმართალი ქალი ვარ და იმას ვამბობ, რაც გულში მაქვს, სიტყვების რახარუხი არ მიყვარს.

- მერე მაგას რა სჯობია, ტონი!

- მოკლედ, გული მწყდება, რომ ბავშვი მეტისმეტად მაგონებს... გრიუნლიჰს... ბრაიტენშტრასელი ბუდენბროკებიც ამბობენ, ბავშვი ზედგამოჭრილი მამაო.. მერედა, ჩემს ბავშვს რომ ვუყურებ, ყოველთვის ვფიქრობ: „აი, შენ უკვე ხნიერი ქალი ხარ, მოზრდილი ქალიშვილი გყავს, ცხოვრება დიდი ხანია უკან მოიტოვე. მხოლოდ რამდენიმე წელი იტრიალე ცხოვრების შუაგულში, ახლა კი სამოცდაათს რომ მიაღწიო, თუნდაც ოთხმოცსაც, შინ უნდა იჯდე და ლეა გერჰარტს უსმინო“. ეს საშინელი აზრი ყელში ბურთივით მაწვება და მახრჩობს. იცი, ჯერ კიდევ რა ახალგაზრდად ვგრძნობ თავს, ვოცნებობ, ისევ შევდგა ცხოვრებაში ფეხი... ერთსაც გეტყვი: მარტო შინ კი არა, ქალაქშიც ვერა ვგრძნობ თავს კარგად. ბრმა კი ნუ გგონივარ, აღარც წინანდებურად ბატისტვინა ვარ და თვალებიც თავის ადგილზე მაქვს. მე ქმარს გაცილებული ქალი ვარ და ამას ყოველ ნაბიჯზე მაგრძნობინებენ, ეს ხომ დღესავით ნათელია. მერწმუნე, ტომ, ყოველთვის გულზე ლოდივით მაწევს, რომ ჩემდაუნებურად ჩვენს სახელს ლაქა მოვაცხე. შენ რაც უნდა გააკეთო, ბევრი ფული მოიხვეჭო, ქალაქში პირველი კაცი გახდე, მაინც იტყვიან: - დიახ... მისი და ქმარს გაცილებული გახლავთო. იულჰენ მოლენდორფი, ჰაგენშტრომების ნაშიერი, არ მესალმება... კარგი, ის ერთი ბატისტვინაა და მეტი არაფერი! მაგრამ სხვა ოჯახებიც რომ ასევე მექცევიან? მე მაინც არ ვკარგავ იმედს, ტომ, რომ ყველაფერი გამოსწორდება! ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ... და, მგონი, საკმაოდ ლამაზიც, არა? დედა დიდ მზითევს ვერ მომცემს, მაგრამ ჩემს სახელზე გამოყოფილი თანხაც არ არის ცოტა. რა იქნება, ხელმეორედ რომ გავთხოვდე? გულახდილად რომ გითხრა, ტომ, ეს ჩემი უდიდესი სურვილია! ჩემი გათხოვებით ყველაფერი მოწესრიგდებოდა, ლაქა წარიხოცებოდა... ო, ღმერთო, ჩვენს გვარს რომ ეკადრება, ისე რომ გავთხოვდებოდე, კვლავ წელში გავიმართებოდი! როგორ გგონია, ეს აუხდენელი ოცნებაა?

- ღმერთმა დაგიფაროს, ტონი! არავითარ შემთხვევაში! არასოდეს გადამწურვია მაგის იმედი... მაგრამ, მგონი, ჯერ აუცილებელია სადმე წახვიდე. ცოტას გახალისდები, გარემოს გამოიცვლი.

- მართალი ხარ! - მყისვე დაუდასტურა ძმას ტონიმ, - ახლა სწორედ ერთი ამბავი უნდა გიამბო.

ამ სიტყვებით ნასიამოვნები ტომი სკამის საზურგეს მიეყრდნო. ის უკვე მეორე პაპიროსს ათავებდა.

ოთახში ბინდი წვებოდა.

- თქვენს აქ არყოფნაში კინაღამ ლივერპულში ამოვყავი თავი. ერთ ქალბატონს კომპანიონი სჭირდებოდა! შენ, ალბათ, აღშფოთდებოდი, არა? ყოველ შემთხვევაში, ასეთ საქციელს არ მომიწონებდი, ნამდვილად არ არის კომპანიონობა ჩვენი საკადრისი, მაგრამ საშინლად მინდოდა სადმე წასვლა... მოკლედ, ეს საქმე ჩაიშალა.

იმ ქალბატონს ჩემი ფოტოსურათი გავუგზავნე და მან სამსახურზე უარი შემომითვალა, თურმე მეტისმეტად ლამაზი ვყოფილვარ და მას კი მოზრდილი ვაჟი ჰყოლია შინ. თქვენ მეტისმეტად ლამაზი ხართო, - წერდა იგი. აჰ, ისე გულიანად ჩემს დღეში არ მიცინია!

და-ძმას ხმამაღლა გაეცინა.

- მაგრამ ახლა სხვა რაღაც მაქვს გუნებაში, - განაგრძო ტონიმ, - ევა ევერსი მიუნხენში მეპატიჟება... ჰო, იგი ახლა ევა ნიდერპაურია, მისი ქმარი ლუდის ქარხნის დირექტორი გახლავს. მოკლედ, მთხოვა, ვეწვიო და მეც ვაპირებ ამ მიპატიჟებით ვისარგებლო. რა თქმა უნდა, ერიკას ვერ წავიყვან თან. ბავშვს ზეზემი ვაიჰბროტის პანსიონში მივაბარებ. იქ მოვლა-პატრონობა არ მოაკლდება. შენ ხომ არაფერი გაქვს საწინააღმდეგო?

- არაფერი. ყოველ შემთხვევაში, შენთვის აუცილებელია, ახალ გარემოში მოხვდე.

- ჰო, ნამდვილად! - თქვა ძმის მიმართ მადლიერებით აღვსილმა ტონიმ, - ახლა კი შენი ამბავი მითხარი, ტომ! მე სულ ჩემს თავზე ვლაპარაკობ, რა ეგოისტი ქალი ვარ! აბა, მომიყევი, ღმერთო, ალბათ, რა ბედნიერი ხარ, არა?

- ჰო, ტონი! - დაუდასტურა თომასმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ტომმა პირი იბრუნა, გააბოლა და განაგრძო:

- ჯერ ერთი, კმაყოფილი ვარ, რომ ცოლი შევირთე და საკუთარი კერა გავიჩინე. შენ მე კარგად მიცნობ: ბერბიჭად ვერ ვივარგებდი. უცოლო კაცის ცხოვრებას რაღაც განცალკევებისა და აღვირახსნილობის დაღი აზის, მე კი შენც კარგად იცი, ცოტა არ იყოს, პატივმოყვარე კაცი ვარ. ჩემს კარიერას არც საქმეში და, ხუმრობით რომ
ვთქვათ, არც პოლიტიკურ ცხოვრებაში დამთავრებულად არ ვთვლი... მაგრამ საზოგადოების ჭეშმარიტ ნდობას კაცი მხოლოდ მაშინ მოიპოვებს, როცა იგი ოჯახის თავი და მამა ხდება. ჩემი საქმე კი ბეწვზე ეკიდა, ტონი... მე, ცოტა არ იყოს, ვერჩეოდი. დიდხანს მეგონა, ამ ქვეყანაზე ჩემს შესაფერისს ვერ ვიპოვი-მეთქი, მაგრამ გერდას ერთი ნახვა და... მაშინვე მივხვდი, რომ ის იყო ერთადერთი, მხოლოდ ის და მეტი არავინ... თუმცა ვიცი, ჩემი გემოვნების გამო ქალაქში ბევრი ავი თვალით მიყურებს. გერდა საკვირველი არსებაა. მისი მსგავსი ცოტა დადის დედამიწაზე. მართალია, ის სულ სხვანაირია, ვიდრე, ვთქვათ, შენ, ტონი. შენ უფრო გულღია ხარ, უფრო ბუნებრივიც... ჩემი ქალბატონი დაიკო, უბრალოდ, უფრო ფიცხი, ტემპერამენტით სავსე ქალია, - მოულოდნელად ხუმრობის კილოზე გადავიდა თომასი, - გერდასაც რომ არ აკლია ტემპერამენტი, ამას ადვილად შეიტყობ, როცა მის დაკვრას მოისმენ, მაგრამ ხანდახან გულცივობასაც იჩენს. ხელოვანის ბუნება აქვს, თავისებური, იდუმალებით სავსე. საოცარი არსებაა.

- ჰო, ჰო, - თქვა ტონიმ. ის ძმას სერიოზულად და ყურადღებით უსმენდა. საღამო ისე შემოეპარათ, ლამპის ანთებაზე არც უფიქრიათ.

ამ დროს დერეფნის კარი გაიღო და მათ წინაშე ბინდით შებურვილი, თოვლივით ქათქათა, ნაოჭებდაყრილ საშინაო პიკეს კაბაში გამოწყობილი ტანკენარი ფიგურა გამოჩნდა. გრუზა, სპილენძისფერი თმა თეთრ სახეს გარს ევლებოდა, ახლო-ახლო განლაგებული მუქი თაფლისფერი თვალების უპეებში მოლურჯო ჩრდილები ჩასწოლოდა.

ეს იყო გერდა, დედა მომავალი ბუდენბროკებისა.

მეექვსე ნაწილი

პირველი თავი

თომას ბუდენბროკი თავის კოხტა სასადილო ოთახში დილით თითქმის ყოველთვის მარტო საუზმობდა, რადგან მისი მეუღლე საძინებელი ოთახიდან გვიან გამოდიოდა ხოლმე. გერდას დილაობით შაკიკი აწუხებდა და გუნებაც მოშხამული ჰქონდა. კონსული საუზმის დამთავრებისთანავე მენგშტრასეს მიაშურებდა - ფირმის კანტორები წინანდებურად იქ იყო მოთავსებული - მეორე საუზმეს კი მაღლა, დედასთან, ქრისტიანსა და იდა იუნგმანთან ერთად მიირთმევდა. გერდას მხოლოდ ოთხ საათზე თუ იხილავდა სადილად.

მენგშტრასეზე დიდი სახლის პირველ სართულს კვლავ აცოცხლებდა საქმიანი ფუსფუსი, დანარჩენი სართულები კი დაცარიელებული და დაყრუებული იყო. პატარა ერიკა მადმუაზელ ვაიჰბროტმა აიყვანა პანსიონში, საბრალო კლოტილდე თავისი ოთხი თუ ხუთი თავი ავეჯიანად გიმნაზიის მასწავლებლის ქვრივთან, დოქტორის მეუღლე ვინმე კრაუზემინცთან გადაბარგდა იაფფასიან პანსიონში, ფარეში ანტონიც ბრაიტენშტრასეზე გადავიდა, იგი ახალგაზრდა ბატონებს უფრო სჭირდებოდა, - და თუ ქრისტიანიც კლუბში მიირთმევდა სადილს, მაშინ ოთხ საათზე კონსულის მეუღლე და მამზელ იუნგმანიღა უსხდნენ მრგვალ მაგიდას. დიდ მაგიდას ძველებურად აღარ შლიდნენ და ისიც ღმერთების სახეებით შემკულ უზარმაზარ სანადიმო დარბაზში სულ პაწაწკინტელა ჩანდა.

კონსულ იოჰან ბუდენბროკის გარდაცვალების შემდეგ მენგშტრასეზე ცხოვრება ჩაკვდა. კონსულის მეუღლე თითო-ოროლა სასულიერო პირის გარდა, სტუმარს ვეღარ ხედავდა, მხოლოდ ხუთშაბათობით თუ იხილავდა ახლობლებს, ეს იყო და ეს.

სამაგიეროდ, მისმა უფროსმა ვაჟიშვილმა და რძალმა პირველი სადილი უკვე გამართეს. სუფრა იმ დღეს სასტუმრო და სასადილო ოთახებში იყო გაშლილი, მზარეული ქალი და დაქირავებული მსახურები ციბრუტივით ტრიალებდნენ, მოიტანეს კისტენმაკერის ღვინოები. სადილი ხუთ საათზე დაიწყო, ოხშივარი და წკარაწკური კი თერთმეტ საათამდე არ შენელებულა. სადილზე ყველა ლანგჰალსი, ჰაგენშტრომი, ჰუნეუსი, კისტენმაკერი, ოვერდიკი და მოლენდორფი იყო მოპატიჟებული, - ვაჭრები და სწავლულები, წყვილები და Suitiers. სადილი ვისტითა და ორიოდე მუსიკალური ნომრით დაგვირგვინდა. ასე რომ, ბირჟაზე ბუდენბროკების სადილს მთელი კვირის განმავლობაში ქება-დიდებით იხსენიებდნენ. კონსულის ახალგაზრდა მეუღლემ სტუმრების მიღებაში ნამდვილად შნო და ლაზათი გამოიჩინა.

საღამოს ახალდაქორწინებულნი მარტონი დარჩნენ თითქმის ძირამდე ჩამწვარი სანთლებით განათებულ, მიულაგებელ ოთახებში, სადაც რჩეული კერძების, სუნამოს, ღვინის, ყავისა და სიგარების, სუფრისა და საღამოს ტუალეტების მოსართავი ყვავილების მძიმე, მოტკბო ოხშივარი იდგა. კონსულმა ცოლს ხელები დაუჭირა და უთხრა:

- ჩინებულია, გერდა! თავი არ შეგვირცხვენია. ასეთი წვეულებების გამართვას დიდი მნიშვნელობა აქვს. სულაც არ მეპრიანება, მეჯლისები მოვაწყო და აქ ახალგაზრდები ვაკუნტრუშო; სამაგისოდ არც ფართობი გვიწყობს ხელს, მაგრამ დარბაისელ ხალხს ჩვენთან ყოფნა უნდა მოსწონდეს და სიამოვნებდეს. ასეთი სადილი ძვირი ჯდება, მაგრამ ეს ფული წყალში არ არის გადაყრილი.

- მართალი ხარ, - უპასუხა გერდამ და მაქმანები შეისწორა, საიდანაც მისი მკერდი მარმარილოსავით გამოკრთოდა, - მეჯლისებს მეც სადილები მირჩევნია. სადილი უფრო აწყნარებს კაცს... დღეს, ნაშუადღევს, ვიოლინოზე ვუკრავდი და თავს რაღაც უცნაურად ვგრძნობდი... ახლა კი ტვინი ისე გამეყინა, აი, ამ წუთში ოთახში მეხი რომ ჩამოვარდეს, ალბათ, სახეზე ფერი არ შემეცვლება.

* * *

მეორე დღეს, თერთმეტის ნახევარზე, როცა თომასი დედასთან ერთად სუფრას მიუჯდა, კონსულის მეუღლემ შემდეგი წერილი წაუკითხა:

„მიუნხენი, 1857წ. 2 აპრილი მარიენპლაცი N5

ჩემო საყვარელო დედიკო!

მაპატიე, რომ უკვე რვა დღეა აქა ვარ და შენთვის ბარათი არ მომიწერია. ნამდვილად, სირცხვილით თავი არ გამომეყოფა, მაგრამ აქ იმდენი რამ ვნახე, თავგზა ამებნა -

თუმცა ამაზე ქვემოთ, ჯერ კი მითხარით, ყველანი ხომ კარგად ხართ: შენ და ტომი, გერდა და ერიკა, ქრისტიანი და ტილდა, იდა; ესაა მთავარი.

რომ იცოდე, რა არ ვნახე ამ დღეებში! პინაკოთეკა და გლიპტოთეკა, სამეფო კარის ლუდის ქარხანა, კარის თეატრი, ეკლესიები და სხვა კიდევ ბევრი რამ. ყველაფერს ისე თუ გიამბობთ, თორემ ამდენი ამბის დაწერა ხელს მომითავებს. იზარის ხეობაშიც ვიყავით კარეტებით, ხვალისთვის ვიურმის ტბაზე ვაპირებთ გასეირნებას. ჰოდა, ასე დაუსრულებლად... ევა დიდი ყურადღებით მექცევა, ბატონი ნიდერპაურიც, ლუდის ქარხნის დირექტორი, ნამდვილად კარგი კაცია. ვცხოვრობთ ქალაქის ცენტრში,
კოპწია მოედანზე, მოედნის შუაგულში, როგორც ჩვენთან, ბაზრის მოედანზე, ჭა არის ამოყვანილი. ჩვენი სახლი რატჰაუსიდან ორ ნაბიჯზეა. ასეთი სახლი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს!

მთელი შენობა ჭერიდან იატაკამდე გველეშაპებთან შერკინებული წმინდა გიორგის გამოსახულებებითა და აბჯარში ჩასმული გერბიანი ბავარიელი მთავრების სურათებითაა მოხატული. აბა, ერთი წარმოიდგინეთ!

დიახ, მიუნხენი ძალიან, ძალიან მომწონს. აქაური ჰავა, მგონი, ნერვებს უნდა ამაგრებდეს, კუჭი ამჟამად სულ არ მაწუხებს. ვეწაფები ლუდს, მით უმეტეს, რომ აქაური წყალი არცთუ მარგებელი ყოფილა, მაგრამ საჭმელს ვერ იქნა და ვერ შევეგუე. ბოსტნეულს ძუნწად ხმარობენ, ფქვილს კი - უხვად. საწებელს ისეთს მოგართმევენ, პირს ვერ დააკარებ. ხბოს ბეჭზე ხომ აქ წარმოდგენაც არა აქვთ, ყასბები ხორცს უმოწყალოდ ჩეხენ და ანაკუწებენ. თევზის ნაკლებობას ძალიან განვიცდი. მართლაც, რა სიგიჟეა, სულ კიტრისა და კარტოფილის სალათის ყლაპვა და ზედ ლუდის დაყოლება! კუჭი მიბუყბუყებს პირდაპირ!

ისე, კაცი კი უნდა შეეჩვიოს ზოგ რამეს, უცხო ქვეყანაში რომ მოხვდები, იქაური ქუდი უნდა დაიხურო. კიდევ ერთი რამ მიჭირებს საქმეს - მსახურებსა და უბრალო ხალხთან ურთიერთობა; მათ ჩემი ლაპარაკი სწრაფი ეჩვენებათ, მე კი მათი ენის ინჩიბინჩი არ მესმის. მერედა, აქ ხომ კათოლიციზმია. კათოლიციზმი, კი, ხომ იცით, ჭირის დღესავით მეზიზღება“...

კონსულს ამის გაგონებაზე სიცილი აუტყდა, მწვანეყველიანი ბუტერბროდი ხელში შერჩა და სოფას მიეყრდნო.

- ტომ, იცინი, ხომ?.. - შენიშნა დედამ და სუფრაზე შუათითი რამდენჯერმე დააკაკუნა,
- მე კი სავსებით ვუწონებ ტონის, მამა-პაპის რწმენას რომ არ ღალატობს და უკუღმართი ოინბაზობა ეზიზღება, შენ საფრანგეთსა და იტალიაში ყოფნისას პაპისადმი სიმპათიები გაგეღვიძა, მაგრამ ეს ღვთის მორწმუნეობით კი არ მოგდის, სულ სხვა რაღაცის ბრალია და ისიც ვიცი, რისიც. თუმცა შემწყნარებლობა გვმართებს, მაგრამ ასეთ რამეებზე ქილიკობას ღმერთი არ გვაპატიებს. მე შეევედრები უფალს,

რომ შენ და შენს გერდას - ვიცი, არც ისაა მტკიცე რწმენისა - დროთა განმავლობაში განგიმტკიცოთ ღვთის რწმენა. აპატიე შენს დედას ეს შენიშვნა.

„ჩემი ფანჯრიდან მოჩანს ჭა, - განაგრძო კითხვა მოხუცმა ქალბატონმა, - ჭის თავზე ღვთისმშობლის ქანდაკება დგას. ხანდახან მას ყვავილებით ამკობენ. ბოგანოებს ვარდების გვირგვინები მოაქვთ, მუხლს იყრიან და ლოცულობენ. კარგი სანახაობა კია, მაგრამ საღვთო წერილი ხომ გვასწავლის: შევედ საუნჯესა შენსაო. აქ ქუჩაში ხშირად შეხვდები ბერებს. საკმაოდ ღირსეული იერიცა აქვთ, მაგრამ წარმოიდგინე, დედა, გუშინ თეატინერშტრასეზე ვიღაც მაღალმა სამღვდელო პირმა ჩამიარა კარეტით, ალბათ, ეპისკოპოსი იქნებოდა, ხანში შესული კაცი იყო... და ამ კაცმა ფანჯრიდან ისეთი მზერა მტყორცნა, რომ გვარდიის ლეიტენანტსაც კი შეშურდებოდა. შენ კარგად იცი, დედიკო, შენს მეგობარ მისიონერებსა და პასტორებს დიდად არაფრად ვაგდებ, მაგრამ მტირალა ტრიშკე ამ საეკლესიო ბობოლა Suitier-თან, ალბათ, მონაგონი იქნებოდა“...

- თფუ! - ჩაურთო აღშფოთებულმა კონსულის მეუღლემ.

- როგორ ვცნობ ტონის! - თქვა კონსულმა.

- მაინც რითი, ტომ?

- ვითომ იმ მღვდელმთავარს გამოსაცდელად თვითონვე არ გამოიწვევდა? მე ხომ ვიცნობ ტონის! ყოველ შემთხვევაში, ეს „მზერის ტყორცნა“ ტონის ერთი კარგად გაამხიარულებდა... იმ ბერიკაცის მიზანიც ხომ ეგ იყო და...

კონსულის მეუღლე ვაჟიშვილს აღარ აჰყოლია, კითხვა განაგრძო:

„გუშინ ნიდერპაურებმა წვეულება გამართეს, შესანიშნავი იყო, თუმცა საუბარს ყოველთვის ვერ მივყვებოდი, საუბრის ტონიც ხანდახან თითქმის è quivoque[67] მეჩვენებოდა. სტუმრებს შორის ერთი კარის ოპერის მომღერალიც ერია, მან რამდენიმე სიმღერა იმღერა. იყო ერთი ახალგაზრდა მხატვარიც. მან მთხოვა, ჩემი
დახატვის ნება მიმეცა, მაგრამ ვიუარე, უხერხული მეჩვენა. ყველაზე გულიანად ვინმე ბატონ პერმანედერთან ვსაუბრობდი. ოდესმე იფიქრებდი, რომ ასეთი გვარი არსებობს? პერმანედერი სვიით ვაჭრობს, სასიამოვნო, ხუმარა კაცია, ხანში შესული
და უცოლო. სუფრასთან ერთად ვისხედით და მეც მივეკედლე, იმიტომ, რომ მთელ ამ საზოგადოებაში ის აღმოჩნდა პროტესტანტი. თუმცა თვითონ მიუნხენის მკვიდრია, მაგრამ მისი ოჯახი ნიურნბერგიდან მოდის. დამარწმუნა, თქვენს ფირმას სახელით კარგად ვიცნობო. შეგიძლია წარმოიდგინო, ტომ, როგორ გამიხარდებოდა, ამ კაცმა ჩვენი ფირმა მოწიწებით რომ მოიხსენია. გარდა ამისა, გამომკითხა, რამდენი და-ძმა ვართ და სხვა მისთანები. ერიკაზეც მკითხა, გრიუნლიჰზეც კი. იგი ხანდახან მოდის ნიდერპაურებთან და, ალბათ, ხვალ ვიურმის ტბაზეც წამოვა.

ახლა კი კარგად იყავი, საყვარელო დედიკო, წერა აღარ შემიძლია. შენებურად რომ ვთქვა, თუ ცოცხალი და ჯანმრთელი ვიქენი, კიდევ სამ ან ოთხ კვირას დავრჩები აქ, მერე ჩამოვალ და მიუნხენის ამბებს წვრილად მოგიყვებით. აღარ ვიცი, მეტი რა მოგწეროთ. ერთს კი გაგანდობთ: აქაურობა ძალიან მომწონს. აი, მხოლოდ მზარეულს რომ ასწავლოს კაცმა საწებლების შეზავება... შენც კარგად იცი, მე უკვე დავბერდი, ცხოვრება დიდი ხანია მოვჭამე და ამ წუთისოფლისგან აღარაფერს მოველი, მაგრამ
აი, ერიკა აქეთ რომ გამოთხოვდებოდეს, უნდა გითხრათ, საწინააღმდეგო არაფერი მექნება“...

კონსულმა ისევ შეწყვიტა ჭამა, სოფაზე გადაწვა და გულიანად ახარხარდა.

- მაგის ფასი ქალი არ დადის ქვეყანაზე, დედა! პირფერობას რომ იწყებს, მაშინ ხომ შეუდარებელია! იმიტომაც მიყვარს ასე ტონი, ქვეყანა რომ დაიქცეს, ვერ ითვალთმაქცებს.

- ჰო, ტომ, - თქვა კონსულის მეუღლემ, - ტონი კარგი გოგოა და ბედნიერების ღირსიც არის.

შემდეგ მოხუცმა ქალბატონმა წერილი ჩაათავა.

მეორე თავი

აპრილის დამლევს ფრაუ გრიუნლიჰი შინ დაბრუნდა და თუმცა ცხოვრება „დიდი ხანია მოჭამა“, თუმცა კვლავ ძველ ყოფაში ჩავარდა - ისევ უნდა დასწრებოდა წირვა- ლოცვას და „იერუსალიმურ საღამოებზე“ ლეა გერჰარტისთვის კვლავ ესმინა - ტონი მაინც აშკარად ხალისიანი და იმედიანი ჩანდა.

ტონი მიუნხენიდან მატარებლით ჩამოვიდა. კონსული ბუდენბროკი დას სადგურზე დახვდა და ქალაქში ჰოლშტენის კარიბჭით შემოიყვანა. თომასმა ქათინაურისგან თავი ვერ შეიკავა, დას გაეხუმრა, კლოტილდეს შემდეგ სახლში პირველი მზეთუნახავი შენა ხარო.

ტონიმ უპასუხა:

- ღმერთო ჩემო, ტომ, იცი, რა საძაგელი ხარ! განა ჩემისთანა დედაბერი ასე უნდა გაამასხარავო?

თომასი არ ტყუოდა. მადამ გრიუნლიჰი მართლაც მშვენივრად იყო შენახული: შუაზე გაყოფილი, პაწია ყურებზე გულდასმით გადავარცხნილი ხშირი, ფერფლისფერი თმა თავზე კუს ბაკნის სავარცხლით ჰქონდა დაგრაგნილი, მოცისფრო-მონაცისფრო თვალებს ძველებური ნაზი გამოხედვა შერჩენოდა, მისი მომხიბლავი ზედა ტუჩის,

ნატიფი ოვალისა და სახის ნაზი ფერის შემხედვარე კაცი ტონის ოცდაათს კი არა, ოცდასამ წელზე მეტს ვერ მისცემდა. მადამ გრიუნლიჰს ფრიად ელეგანტური, გრძელი ოქროს საყურეები ეკიდა. მისი ბებიაც დაახლოებით ამდაგვარ საყურეებს ატარებდა. ატლასის საყელოთი და მაქმანებით დამშვენებულ მსუბუქ, მუქი აბრეშუმის თავისუფალ სამოსში მკერდი წარმტაცად ამობურცვოდა.

როგორც ვთქვით, ტონი ჩინებულ ხასიათზე იყო და ხუთშაბათობით ახლობლებს: კონსულ ბუდენბროკსა და გერდას, ბრაიტენშტრასელ ქალბატონებს, კონსულ კროგერსა და მის მეუღლეს, კლოტილდეს, ზეზემი ვაიჰბროტსა და ერიკას მიუნხენის ამბებს გატაცებით უყვებოდა; აქებდა იქაურ ლუდს, ორთქლში მოხარშულ ატრიას, იგონებდა მხატვარს, მისი პორტრეტის დახატვა რომ მოინდომა, სამეფო კარის ეკიპაჟებს, რასაც მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოეხდინა. ტონი ბატონ პერმანედერსაც ახსენებდა ხოლმე და თუ ფიფი ბუდენბროკი თავისებურად ჩაურთავდა, ასეთი მოგზაურობა დიახაც სასიამოვნოა, მაგრამ რაიმე პრაქტიკული შედეგი რომ მოეტანოს, არა მგონიაო, ფრაუ გრიუნლიჰი ნათქვამს ღირსეულად აარიდებდა ყურს, თავს უკან გადაიგდებდა და მაინც ცდილობდა როგორმე ნიკაპი მკერდზე დაებჯინა.

მიუნხენიდან ჩამოსვლის შემდეგ ტონის ჩვეულებად ექცა, ალაყაფის ზარის ყოველ გაწკარუნებაზე კიბის მოედნისკენ გაქცეულიყო და ყველა მომსვლელის ვინაობა გაეგო. რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? ეს მხოლოდ იდა იუნგმანმა იცოდა, ტონის აღმზრდელმა და გულის მესაიდუმლემ. იგი ტონის ხშირად ეუბნებოდა ხოლმე:

- ტონიჰენ, ჩემო შვილიკო, ნახავ თუ არა მოვა! განა ვინ მოინდომებს, თავი გაისულელოს?

ოჯახის წევრები ტონის ემადლიერებოდნენ, სახლში ხალისი რომ შემოჰქონდა. აქ გამეფებულ განწყობილებას სასწრაფოდ განმუხტვა სჭირდებოდა. ამ ხნის განმავლობაში ფირმის შეფსა და მის უმცროს ძმას შორის დამოკიდებულება, გაუმჯობესებას ვინღა დაეძებდა, კიდევ უფრო გაუარესებულიყო. ამ ამბის შემხედვარე დედას გული უკვდებოდა და ცდილობდა ძმები მოერიგებინა. დედის ვედრებას, კანტორაში წესიერად ევლო, ქრისტიანი დაბნეული დუმილით ხვდებოდა, ძმის შეგონებებს კი სიტყვაშეუბრუნებლად, დარცხვენილი, შეწუხებული და ჩაფიქრებული ისმენდა და რამდენიმე დღეს ინგლისურ კორესპონდენციებს ვითომ მეტი გულმოდგინებით ეკიდებოდა. მაგრამ თანდათან კონსულს უმცროსი ძმის სიძულვილი კიდევ უფრო გაუღვივდა. სიძულვილს ვერც ის ანელებდა, რომ ქრისტიანი ძმის ზიზღს უსიტყვოდ ითმენდა, ჩაფიქრებული მხოლოდ თვალებს აცეცებდა ხოლმე.

თომასს დაძაბული შრომა და ნერვების სისუსტე არ აძლევდა საშუალებას, თუ თანაგრძნობით არა, გულდამშვიდებით მაინც მოესმინა ქრისტიანის ჩივილი თავისი ავადმყოფობის სიმპტომებზე და დედასთან ან დასთან საუბარში ქრისტიანის ამ

საქციელს „საკუთარი თავისადმი გადამეტებული ყურადღების ტუტუცურ გამოვლენად“ ნათლავდა.

ქრისტიანს წამლების მეშვეობით მარცხენა ფეხის ტეხამ კარგა ხანია გაუარა, ყლაპვა კი სადილობისას ხშირად უძნელდებოდა, ამას სუნთქვის შეჭირვება, ასთმისებური ავადმყოფობაც დაემატა და ისიც კარგა ხანს იჩემებდა, ჭლექი მჭირსო. ცხვირშეჭმუხნილი უმცროსი ბუდენბროკი ოჯახის წევრებს დაწვრილებითა და თავგამოდებით უხსნიდა ამ სენის ბუნებასა და სიმპტომებს. ქრისტიანის გასასინჯად ექიმი გრაბოვი მოიწვიეს. დოქტორმა გრაბოვმა დაადგინა, გული და ფილტვები ქრისტიანს მაგარი აქვს, სუნთქვის შეჭირვება კი ზოგიერთი კუნთის მოდუნების ბრალიაო. ექიმმა სუნთქვის გასაიოლებლად ავადმყოფს მარაოს ხმარება ურჩია,
გარდა ამისა, რაღაც მომწვანო ფხვნილი დაუნიშნა - ავადმყოფს აალებული ფხვნილის კვამლი უნდა შეესუნთქა. იმ დღიდან მარაოს ქრისტიანი კანტორაშიც არ იშორებდა. შეფის საყვედურზე პასუხობდა, ვალპარაისოში კანტორის ყველა მოხელეს სიცხისგან თავის დასაცავად ხელში მარაო უჭირავსო: „ღმერთო დიდებულო, თუნდაც ჯონი თანდერსტორმს“.

ერთ დღეს სავარძელში კარგა ხნის წრიალის შემდეგ, ქრისტიანმა ჯიბიდან ფხვნილი ამოიღო და იქვე, კანტორაში აახრჩოლა. ხალხს ხველა აუტყდა, ბატონმა მარკუსმა კი ფერი დაკარგა... ჰოდა, ამჯერად საქმე მშვიდობიანად აღარ დამთავრებულა, ატყდა აყალმაყალი, ძმები მაგრად შეეჯახნენ ერთმანეთს; შეიძლებოდა ამ ამბავს საბოლოო გათიშვაც მოჰყოლოდა, კონსულის მეუღლეს კიდევ ერთხელ რომ არ ეძალა და საქმე სასიკეთოდ არ შემოეტრიალებინა.

მარტო ეს არ იყო ძმების განხეთქილების მიზეზი. ქრისტიანი თანაკლასელთან, ვექილ გიზეკესთან ერთად, არც სახლის გარეთ ეწეოდა წესიერ ცხოვრებას. კონსულს ძმის აღვირახსნილობა ზიზღით ავსებდა. თომასი არც ბუზღუნა იყო და არც განდეგილად მოჰქონდა თავი. თავისი სიყმაწვილის შეცოდებანიც კარგად ახსოვდა და ისიც კარგად იცოდა, რომ მისი მშობლიური ქალაქი, სანავსადგურო და სავაჭრო ქალაქი, სადაც დიდად პატივცემული, გარეგნულად პატიოსნებით აღსავსე ბიურგერები ტროტუარებზე ხელჯოხებს მოაკაკუნებდნენ, უმწიკვლო მორალის ნავსაყუდელს სულაც არ წარმოადგენდა. კანტორაში თავაუღებლად გატარებულ დღეებს ბიურგერები მარტო ძვირფასი ღვინოებითა და რჩეული კერძებით როდი ინაზღაურებდნენ... მაგრამ ამგვარ გართობას უმწიკვლო სიდარბაისლის სქელი საბურველი ფარავდა. კონსულ ბუდენბროკს წესისა და რიგის დაცვა უპირველეს კანონად ჰქონდა ქცეული. ეს თანამოქალაქეების მსოფლმხედველობით გაჟღენთვის შედეგი იყო. ვექილი გიზეკე იმ „სწავლულების“ კასტას ეკუთვნოდა, რომელნიც
„ვაჭართა“ ყოფას სავსებით ეგუებოდნენ. წმინდა წყლის Suitier-ს სხვა
დარდიმანდების მსგავსად ღირსეული იერის შენარჩუნებაც ეხერხებოდა, უსიამოვნებას თავიდან იოლად იცილებდა და პოლიტიკურ და საქმიან მოღვაწეობაში უმწიკვლო სახელს ინარჩუნებდა. მისი ნიშნობა ჰუნეუსის

ქალიშვილთან უკვე საჯაროდ იყო გამოცხადებული. ამ ქორწინებით ვექილი გვარიან მზითევსაც იძენდა და მაღალ საზოგადოებაშიც იმკვიდრებდა ადგილს. ვექილი გიზეკე ქალაქის საქმიანობისადმი დიდ ინტერესს იჩენდა, ხმებიც დადიოდა, დოქტორ გიზეკეს ჯერ რატსჰერობაზე, შემდეგ კი მოხუცი გუბერნატორის, დოქტორ ოვერდიკის სავარძელზე უჭირავს თვალიო.

მისი მეგობარი ქრისტიან ბუდენბროკი კი, ის ქრისტიანი, ერთხელ მადმუაზელ მაიერ დე ლა გრანჟს ყვავილების თაიგული რომ მიართვა და უთხრა: „ო, ფროილაინ, რა მშვენივრად თამაშობდითო“, თავისი ხასიათისა და ხანგრძლივი ხეტიალის წყალობით გაცილებით გულუბრყვილო და უდარდელი Suitier დადგა. სასიყვარულო საქმეებშიც, ისე როგორც სხვა რამეშიც, როდი ცდილობდა, თავისი გრძნობები შეეზღუდა, იგი არც თავს იკავებდა და არც ღირსების შენარჩუნებაზე ზრუნავდა. საზაფხულო თეატრის ერთ სტატისტ ქალთან მის კავშირზე მთელი ქალაქი იცინოდა. გლოკენგისერშტრასელი ფრაუ შტუტი კი, ის ფრაუ შტუტი, მაღალ წრეში რომ იყო გარეული, ყველა ცნობისმოყვარე მანდილოსანს სიამოვნებით ჩამოუკაკლავდა, კრიშანი დღისით, მზისით იმ „ტივოლელთან“ ქუჩაში კიდევ უნახავთო.

არც ეს ითვლებოდა დიდ უბედურებად... აქაურები იმდენად სკეპტიკურნი იყვნენ, ასეთ რამეებზე სერიოზულად არც კი აღშფოთდნენ. კონსულმა პეტერ დოლმანმაც თავისი მთლად ჩაფლავებული საქმეების წყალობით ქრისტიან ბუდენბროკივით იოლ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ისინი საყოველთაოდ აღიარებული მომლხენები იყვნენ, უიმათოდ მამაკაცების თავყრილობა წარმოუდგენელი იყო, მაგრამ მათ
დიდად არაფრად აგდებდნენ და მნიშვნელოვან საქმეზე არც არაფერს ეკითხებოდნენ. ისიც საგულისხმო იყო, რომ მთელ ქალაქში, კლუბში, ბირჟაზე თუ ნავსადგურში, ორივეს უბრალოდ სახელს ეძახდნენ. - „კრიშანს“ და „პეტერს“, გულღრძო ხალხს კი, მაგალითად ჰაგენშტრომებს, თავისუფლად შეეძლოთ, მარტო კრიშანის მონაყოლ ამბებსა და ოხუნჯობაზე კი არა, თვით კრიშანზე ეცინათ და ეხარხარათ.

ქრისტიან ბუდენბროკი ამაზე ფიქრით ან სულ არ იწუხებდა თავს, ან თავისი ბუნების წყალობით მძიმე ფიქრებს წამში გადაიყრიდა ხოლმე გულიდან. მისმა ძმამ, კონსულმა ბუდენბროკმა, ყველაფერი იცოდა. თომასმა ისიც იცოდა, რომ ქრისტიანი მათი ოჯახის მოძულეთ გასალანძღავად საბაბს საბაბზე აძლევდა. სალანძღავი კი ცოტა როდი იყო: ოვერდიკებთან ბუდენბროკებს შორეული ნათესაობა აკავშირებდათ და ამ გარემოებასაც გუბერნატორის სიკვდილის შემდეგ ყოველგვარი ფასი დაეკარგებოდა. კროგერებს საზოგადოებაში არავითარი წონა აღარ ჰქონდათ და თავიანთი ვაჟიშვილისგან მუდამ გაწამებულნი კარჩაკეტილად ცხოვრობდნენ. განსვენებული ბიძია გოტჰოლდის უიღბლო ქორწინებისგან დარჩენილი ლაქაც არ წარხოცილა ჯერ. კონსულის და ქმარს იყო გაცილებული, თუმცა მისი მეორედ გათხოვების იმედი კიდევ რჩებოდა, კონსულის ძმას ყველა სასაცილოდ იგდებდა, ქრისტიანის ტაკიმასხარაობით საქმიანი ბატონები თავისუფალ დროს კლავდნენ ხოლმე. ზოგი კეთილი გულით იცინოდა, ზოგი კი გესლიანად. ყველა ამ სიკეთესთან

ერთად ქრისტიანი ვალებსაც იღებდა, კვარტალის ბოლოს, როცა ფული სულ შემოეხარჯებოდა, აშკარად ცხოვრობდა დოქტორ გიზეკეს ხარჯზე და ფირმას თავს ლაფს ასხამდა.

თომასს ძმა ზიზღნარევი სიძულვილით სძულდა, ქრისტიანი კი ამ ამბავს გულგრილად ეკიდებოდა. სიძულვილი ყოველგვარ წვრილმანში მჟღავნდებოდა. ასეთი რამ მხოლოდ ახლო ნათესავებშია შესაძლებელი. მაგალითად, თუ საუბარი ბუდენბროკების ოჯახის ისტორიაზე ჩამოვარდებოდა, ქრისტიანი აღენთებოდა და მშობლიურ ქალაქსა და წინაპრებზე სერიოზულად, სიყვარულითა და აღტაცებით იწყებდა ლაპარაკს, რაც არცთუ ძალიან უხდებოდა ხოლმე. ამ დროს თომასს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა და ცდილობდა საუბრისთვის რაიმე მწარე შენიშვნით მოეღო ბოლო. კონსულს ისე სძულდა ქრისტიანი, რომ არ შეეძლო ძმისთვის ნება დაერთო, მასაც ის ჰყვარებოდა, რაც მისთვის წმიდათაწმიდა იყო. კონსულს ერჩია ასეთ ამბებზე ქრისტიანს მარცელუს შტენგელის ხმაზე ელაპარაკა. თომასმა ერთხელ რომელიღაც ისტორიული ნაწარმოები წაიკითხა. წიგნმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ნაწარმოებს ხოტბა შეასხა. ქრისტიანს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი არ გააჩნდა, ასეთ წიგნს თვითონ, ალბათ, არც აიღებდა ხელში, შთაბეჭდილებიანი კი იყო და სხვისი გავლენის ტყვე იოლად ხდებოდა. იმანაც წაიკითხა ეს წიგნი, შთაბეჭდილება წინასწარ შემზადებული ჰქონდა და ნაწარმოები მასაც დიდებული ეჩვენა. თავისი გრძნობების გამოსახატავად სიტყვები არ დაუშურებია... ამის შემდეგ თომასისთვის ის წიგნი აღარ არსებობდა, მხოლოდ გულგრილად თუ მოიხსენიებდა, ვითომ ბოლომდე არც წაეკითხოს, დაე, აღტაცებული მარტო ქრისტიანი ყოფილიყო.

მესამე თავი

კონსულმა ბუდენბროკმა მკითხველთა საზოგადოება „ჰარმონიაში“ მეორე საუზმის შემდეგ ერთ საათს დაჰყო და ახლა მენგშტრასეზე ბრუნდებოდა. თავის მამულში უკანა ეზოდან შევიდა, ბაღს გვერდი აუარა და ხავსმოკიდებულ ქვის კედლებს შორის გამავალ მოკირწყლულ გზას დაადგა. ეს გზა უკანა ეზოს წინასთან აკავშირებდა. კონსულმა თაღი გაიარა და სამზარეულოში იკითხა, ქრისტიანი შინ ხომ არ არისო; დაიბარა, მისი მოსვლა მომახსენეთო და კანტორას მიაშურა. მოხელეებმა შეფის დანახვაზე ქაღალდებში უფრო ღრმად ჩარგეს თავი. კონსული კაბინეტში შევიდა, ქუდი და ჯოხი გვერდზე დადო, სამუშაო ხალათი ჩაიცვა და ბატონ მარკუსის პირისპირ, ფანჯარასთან თავის ადგილს მიაშურა. კონსულს საოცრად უფერულ წარბებს შორის ორი ღრმა ნაოჭი აჯდა. ყვითელი მუნდშტუკი ნერვიულად გადაჰქონდა ტუჩის ერთი კუთხიდან მეორეში. მუნდშტუკში რუსული პაპიროსი თითქმის ჩამწვარიყო. კონსული მაგიდაზე ხელებს ისე ჯიქურ აფათურებდა, რომ

ბატონმა მარკუსმა ორი თითით ულვაში იჭვნეულად მოიქექა და კომპანიონისკენ გამომცდელი მზერა გააპარა, ახალგაზრდა მოხელეებმა კი გაკვირვებისგან წარბები ასწიეს. შეფი გაცოფებული იყო.

ნახევარი საათის განმავლობაში მხოლოდ კალმების წრიპინი და ბატონ მარკუსის ფრთხილი ჩახველება ისმოდა. კონსულმა ფანჯარაში მწვანე თეჯირს ზემოდან გაიხედა და აქეთ მომავალი ქრისტიანი დაინახა. ქრისტიანი კლუბიდან ბრუნდებოდა; მას იქ ესაუზმა კიდეც და ერთი ხელი ბანქოს წათამაშებაც მოესწრო. ქუდი დარდიმანდულად მოეგდო გვერდზე, „გაღმიდან“ ჩამოტანილ ყვითელ ხელჯოხს მოაქნევდა და სიგარეტს არხეინად აბოლებდა. ჯოხს შავი ხისგან გამოთლილი მონაზვნის ბიუსტი ამშვენებდა. აშკარად ჩანდა, ქრისტიანი ჯანზეც კარგად იყო და ჩინებულ ხასიათზეც ბრძანდებოდა. კანტორაში რომელიღაც ინგლისური სიმღერის ღიღინით შემოვიდა. დილა მშვიდობისა, ბატონებოო, თქვა, თუმცა უკვე გაზაფხულის კაშკაშა დღე იდგა, და წასამუშავებლად თავის ადგილს მიაშურა, მაგრამ კონსული წამოდგა, ქრისტიანისთვის ზედაც არ შეუხედავს, ისე ჩაუარა და ჩაულაპარაკა:

- ორი სიტყვა მაქვს სათქმელი, ჩემო ძვირფასო.

ქრისტიანი ძმას გაჰყვა. მათ თითქმის სირბილით გაიარეს თაღი. თომასს ხელები ზურგზე შემოეწყო და ქრისტიანმაც უნებლიეთ მიბაძა ძმას. მერე ინგლისურ ყაიდაზე შეკრეჭილი წითური ულვაშებიდან და ჩავარდნილი ლოყებიდან მკვეთრად ამოჩრილი, დიდი, კეხიანი ცხვირი ძმისკენ მიაბრუნა. ეზოზე გადავლისას თომასმა ქრისტიანს უთხრა:

- ჩემთან ერთად ორიოდე ნაბიჯის გადადგმა მოგიწევს ბაღში, მეგობარო.

- ბატონი ბრძანდები, - მიუგო ქრისტიანმა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ბაღში ხეები უკვე გაკვირტულიყო. ძმებმა როკოკოს სტილზე აშენებულ პორტალს მარცხენა მხრიდან ჩაუარეს. კონსულმა ღრმად ამოისუნთქა და ხმამაღლა დაიწყო:

- სულ ცოტა ხნის წინ შენი საქციელის გამო სიმწრის ოფლი მასხამდა შუბლზე.

- ჩემი საქციელის გამო?

- დიახ, „ჰარმონიაში“ მიამბეს წვრილად, გუშინ რაც წამოგისროლია. მაინც რამ გათქმევინა ისეთი უადგილო და უტაქტო სიტყვები, რომ ძალა აღარ მყოფნის აღშფოთება გამოვხატო... თავს ლაფი დაგასხეს და მაშინვე უკანვე ჩაგჩარეს პირში შენივე სიტყვები, ხომ! იქნებ კეთილი ინებო და გაიხსენო, რა წამოროშე გუშინ?

- აჰ, ახლა კი მივხვდი, რასაც გულისხმობ. ვინ მოგახარა ეგ ამბავი?

- ამას რა მნიშვნელობა აქვს, დოლმანმა, თანაც, რა თქმა უნდა, ისე ხმამაღლა მომახსენა, რომ ვინც ჯერ კიდევ არ იცოდა ეს ამბავი, ისიც კარგად გაიგონებდა და გულს მოიფხანდა.

- ჰო, ტომ, იცი რა, ჰაგენშტრომის მაგიერ პირდაპირ სირცხვილით დავიწვი.

- რაო, ჰაგენშტრომის მაგიერ შენ დაიწვი სირცხვილით? კი მაგრამ, ეს ხომ... იცი, რას გეტყვი! - დაუყვირა კონსულმა, თავი გვერდზე გადაიგდო და აღელვებულმა ხელები გაასავსავა, - შენ ვაჭრებისა და სწავლულების საზოგადოებაში ყველას გასაგონად ამბობ, თუ კარგად დაუკვირდები, ყველა საქმის კაცი თაღლითიაო... შენ, თვითონ ვაჭარი კაცი, იმ ფირმის წარმომადგენელი, რომელიც მთელი ძალით იღვწის აბსოლუტური კეთილსინდისიერებისა და უმწიკვლო სახელისთვის...

- ღმერთმანი, თომას, ვიხუმრე! თუმცა... კაცმა რომ თქვას... - დასძინა ქრისტიანმა, ცხვირი შეიჭმუხნა, კისერი წაიგრძელა და ასე გადადგა რამდენიმე ნაბიჯი.

- იხუმრე, არა? - დაუყვირა კონსულმა, - მე შემიძლია, მგონი, ხუმრობის გაგება, მაგრამ ხომ ხედავ, როგორ გაიგეს ეგ შენი ხუმრობა! მე ჩემი მხრივ, ჩემს ხელობას მაღლა ვაყენებო, გიპასუხა ჰერმან ჰაგენშტრომმა... აქ კი ჩაფლავდი, შე საცოდავო, შენა, შენი სახელი ხომ ლაფში ამოსვარე?!

- კარგი, ტომ! აბა, ამაზე რას იტყვი: მერწმუნე, ჩვენს მხიარულ განწყობილებას ერთ წუთში ცივი წყალი გადაესხა. ხალხი იცინოდა, თითქოს მეთანხმებოდნენ კიდეც. იქ კი დაბრძანებულა ეს ჰაგენშტრომი და დიდის ამბით ამბობს: „მე, ჩემი მხრივ...“ - ნამდვილი ყეყეჩი! მართალი გითხრა, მის მაგიერ მე შემრცხვა. წუხელ ლოგინში ამ ამბავზე დიდხანს ვიფიქრე და უცნაური გრძნობა დამეუფლა... არ ვიცი, გამოგიცდია თუ არა...

- ნუ ლაყბობ, გევედრები, ნუ ლაყბობ! - შეაწყვეტინა კონსულმა. იგი სიბრაზისგან მთელი ტანით ცახცახებდა, - გეთანხმები, გეთანხმები, რომ უგერგილოდ იყო ნათქვამი, მაგრამ ხომ უნდა იცოდე, ვისთან რა ილაპარაკო და თუ მაინცდამაინც გინდოდა გეთქვა... საკუთარი თავი კი არ უნდა გაიპანღურო! ჰაგენშტრომმა გამოიყენა შემთხვევა, რომ ჩვენ, დიახ, შენ კი არა, ჩვენ ჩავეწიხლეთ. იცი თუ არა, რას ნიშნავს „მე ჩემი მხრივო“, რომ გეტყვის კაცი? „ასეთ აზრებს, ალბათ, თქვენი ძმის კანტორაში იძენთ, ბატონო ბუდენბროკ, არა?“ - აი, რას ნიშნავს ეს, შე ვირო, შენა!

- ვირო... ხომ... - თქვა ქრისტიანმა და სახეზე დარცხვენა და შეშფოთება დაეტყო.

- ბოლოს და ბოლოს, შენ მარტო შენს თავს კი არ ეკუთვნი, - განაგრძო კონსულმა, - თუმცა პირადად მე სულ არ მენაღვლება, თუ ქვეყნის მასხარა გახდები. ანდა... როდის არა ხარ მასხარა და სასაცილო! - უყვირა ძმას თომასმა.

კონსულს ფერი დაეკარგა, თმაში ყურეებივით შეჭრილ საფეთქლებზე ცისფერი ძარღვები დაებერა. უფერული ცალი წარბი მაღლა აზიდა. ულვაშის გრძელი,

წაწვეტებული ბოლოებიც კი უთრთოდა სიბრაზისგან, ხელებს ისე იქნევდა, თითქოს ქრისტიანს სალანძღავ სიტყვებს ფეხქვეშ უყრისო.

- თავს ქვეყნის სასაცილოდ იხდი შენი სასიყვარულო ამბებით, შენი ტაკიმასხარაობით, შენი სნეულებითა და შენი წამლებით...

- ოჰ, თომას, - თქვა ქრისტიანმა, თავი ნაღვლიანად გადააქნია და საჩვენებელი თითი უგერგილოდ ასწია მაღლა, - აი, ეგ კი მთლად კარგად ვერ გაგიგია... საქმე ის არის, რომ... კაცს, ასე ვთქვათ, სინდისი სუფთა უნდა გქონდეს... არ ვიცი, გამოგიცდია თუ არა... გრაბოვმა ყელის კუნთების მალამო გამომიწერა... კარგი, ვთქვათ, მე ეს წამალი
არ ვიხმარე, თავი დავანებე, მაშინ ხომ მთლად უიმედოდ და უმწეოდ ვიგრძნობ თავს.
რა ვქნა, თუ ეგ წამალი არ ვიხმარე, თავს ვეღარ ვიმორჩილებ, შიში მიპყრობს, თავგზა მებნევა და ყლაპვა მიჭირს. როცა იმ წამალს ვხმარობ, ასე მგონია, ვალი მოხდილი მაქვს-მეთქი და თავსაც კარგად ვგრძნობ, სინდისი დამშვიდებული მაქვს, დაწყნარებული ვარ და კმაყოფილი, ყლაპვაც აღარ მიჭირს. ამაში მალამო კი არ მშველის... იცი, საქმე ის არის, რომ ასეთი წარმოდგენა - კარგად გამიგე, თუ ღმერთი გწამს - მხოლოდ სხვა წარმოდგენით, ასეთ ვთქვათ, კონტრწარმოდგენით შეიძლება გაბათილდეს... არ ვიცი, გამოგიცდია თუ არა ამდაგვარი რამ...

- კი ბატონო! კი ბატონო! - წამოიყვირა კონსულმა და თავზე ხელები წაიჭირა, - როგორც გენებოს, ისე მოიქეცი, როგორც გენებოს! მაგრამ ამაზე ნუ ლაპარაკობ! ნუ ლაყბობ ამაზე! შენი გულის ამრევი შეგრძნებებით ხალხს ნუ აწუხებ! ამ უხეირო ლაყბობითაც იმასხარავებ თავს! კიდევ გიმეორებ, იცოდე, მე, პირადად, სულ არ მენაღვლება, როგორ გაისულელებ თავს, მაგრამ გიკრძალავ, გესმის, გიკრძალავ ფირმის სახელის შელახვას, გეყო, რაც გუშინ ჩაიდინე!

ქრისტიანს ამაზე პასუხი არ გაუცია, შეთხელებულ წითურ თმაზე ხელი ნელა გადაისვა და სახეზე შეშფოთებული, სერიოზული გამომეტყველება გამოეხატა. გამოციებულ თვალებს აქეთ-იქით ისე მოუსვენრად აცეცებდა, ეჭვი არ იყო, ჯერ კიდევ თავის უკანასკნელ სიტყვებზე ფიქრობდა.

დუმილი ჩამოვარდა. სასოწარკვეთილი თომასი გზაზე მიაბიჯებდა.

- ყველა ვაჭარი თაღლითია, ხომ? - დაიწყო მან ხელახლა, - კარგი! მოგწყინდა შენი ხელობა? შენ არ იყავი, მამას ნებართვას რომ სთხოვდი, მეც კომერსანტობა მინდაო?

- ჰო, ტომ, - ნაღვლიანად თქვა ქრისტიანმა, - ნამდვილად მერჩია, სწავლა გამეგრძელებინა, ხომ იცი! რა კარგია უნივერსიტეტში... როცა მოგენებება, მაშინ მიხვალ ლექციებზე, კაციშვილი არ გაძალებს, ზიხარ და უსმენ, თავი თეატრში გგონია...

- თეატრში, არა? შენი ადგილი ნამდვილად კაფეშანტანშია... კი არ გეხუმრები! სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ესაა შენი საოცნებო იდეალი! - მტკიცედ თქვა კონსულმა.

ქრისტიანს სიტყვა არ შეუბრუნებია, ჩაფიქრებული სივრცეში იყურებოდა.

- შენ კიდევ გყოფნის თავხედობა, ასეთი შენიშვნა წამოისროლო, შენ, რომელსაც არავითარი წარმოდგენა, იოტისოდენა წარმოდგენაც კი არა გაქვს მუშაობაზე. ცხოვრება სრულფასოვანი გგონია, თუ თეატრით, ხეტიალითა და ოინბაზობით რაღაც გრძნობებს და შეგრძნებებს შეიძენ! მერე იმათ კვლევას და დაკვირვებას უნდები და არც კი შეგრცხვება, ასეთ რამეებზე ლაყბობით კაცს ყურები გამოუჭედო.

- ჰო, ტომ, - მიუგო ოდნავ დანაღვლიანებულმა ქრისტიანმა და ხელი კვლავ კეფაზე გადაისვა, - მართალია, სავსებით სწორად მსჯელობ. მე და შენ შორის განსხვავებაც სწორედ მაგაშია, ხომ იცი. შენც კარგად გიყვარს წარმოდგენების ყურება და უწინ,
ჩვენ შორის დარჩეს და, შენც გქონია პატარ-პატარა გატაცებები. შენც კარგა ხანს დიდი გატაცებით კითხულობდი ლექსებსა და რომანებს... მაგრამ ყოველთვის გქონდა უნარი, ეს ყველაფერი გულმოდგინე მუშაობასა და სერიოზულ ცხოვრებასთან შეგეთავსებინა... მე კი ეს უნარი არ გამაჩნია. ამდენი აბდაუბდა ისე მაცლის ძალ- ღონეს, რომ სხვა სასიკეთო საქმისთვის ძალა აღარ მრჩება... არ ვიცი, გესმის თუ არა ჩემი...

- მაშ, შენ თვითონ აღიარებ, არა! - იყვირა თომასმა, შეჩერდა და ხელები გულზე დაიკრიფა, - სულმდაბლურად მეთანხმები და მაინც ძველებურად განაგრძობ, არა?! ძაღლი ხომ არა ხარ, ქრისტიან? ღმერთო, შენ დამიფარე! კაცს თავმოყვარეობის ნასახი ხომ მაინც უნდა გააჩნდეს? განა კაცი განაგრძობს ისეთ ცხოვრებას, რომელიც თვითონვე ვერ გაუმართლებია?! მაგრამ შენა ხარ ასეთი! მთელი შენი არსება ეგაა! თუ რაიმეს დაინახავ, გაიგებ და აღწერ, მორჩა, ესა ხარ სულ... არა, ჩემს მოთმინებას ბოლო მოეღო, ქრისტიან! - კონსულმა ერთი ნაბიჯი უკან გადადგა და ხელი მტკიცედ გაიქნია, - გამომელია მოთმინება, გესმის! ხელფასს ხომ კარგად იღებ? კანტორაში კი კაცი ვერ გნახავს... ეს კიდევ არაფერი! მიდი და როგორც აქამდე ცხოვრობდი, ისე იცხოვრე! მაგრამ სადაც ფეხს დაადგამ, ყველგან სახელს გვიტეხ, ყველას თავს გვჭრი. ჩვენი ოჯახის ხორცმეტი ხარ, ჩირქიანი მუწუკი! ქალაქშიც ჭირად ხარ მოვლენილი.
ეს სახლი რომ ჩემი იყოს, კინწისკვრით გაგაგდებდი კარში, დიახ, კინწისკვრით გაგისვრიდი აქედან! - დაუყვირა ძმას კონსულმა და თან ხელით შემოხაზა ბაღი, ეზო და დიდი თაღი.

თომასი თავს ვეღარ ერეოდა. დიდი ხნის დაგროვილმა ბოღმამ ერთბაშად გადმოხეთქა.

- თომას, რა მოგდის! - უთხრა ძმას ქრისტიანმა.

ისიც აღშფოთებული იყო, მაგრამ აღშფოთებას საკმაოდ უცნაურად ამჟღავნებდა. იდგა, როგორც ფეხკავშა ადამიანებს სჩვევიათ, კითხვის ნიშანივით წაკუზული, თავი, მუცელი და მუხლები წინ გამოებზიკა და მრგვალი, ღრმად ჩამჯდარი თვალები, რაც შეეძლო, ფართოდ დაეჭყიტა. თვალების ირგვლივ გაჩენილი წითელი ლაქები ღაწვებამდე ეფინებოდა, ზუსტად ისე, როგორც მამამისმა იცოდა სიბრაზის დროს.

- როგორ მელაპარაკები? - განაგრძო ქრისტიანმა, - რა დამიშავებია შენთვის? მე თვითონ წავალ, გაგდება რაში გჭირდება? თფუ! - მწარე საყვედურით წამოიძახა მან და ხელი ისე გაიქნია, თითქოს ბუზს იჭერსო.

საოცარი იყო: თომასი ამ სიტყვებს აღარ გაუცოფებია. პირიქით, უსიტყვოდ ჩაჰკიდა თავი და ბილიკს აღმა აუყვა. თითქოს ნასიამოვნებიც დარჩა, თითქოს იმან დააშოშმინა კიდეც, რომ ბოლოს და ბოლოს ძმა წონასწორობიდან გამოიყვანა. აიძულა, ხმა ენერგიულად აღემაღლებინა და პროტესტი გამოეცხადებინა.

- შეგიძლია, მერწმუნო, - თქვა მან მშვიდად და ხელები ისევ ზურგზე შემოიწყო, - ეს საუბარი ჩემთვის ძალიან მძიმეა, ქრისტიან, მაგრამ აბა, მეტი რა გზა იყო. ოჯახში ასეთი სცენები საშინელებაა, მაგრამ ერთმანეთთან ერთხელ მაინც ხომ უნდა გველაპარაკა გულახდილად! ახლა შეგვიძლია საქმეზე სრულიად დამშვიდებით ვისაუბროთ. შენი ახლანდელი მდგომარეობა, როგორც ვხედავ, არ მოგწონს! ასეა, არა?

- მართალი ხარ, არ მომწონს. იცი, რა: თავიდან ნამდვილად კმაყოფილი ვიყავი... აქ უფრო კარგად ვგრძნობდი თავს, ვიდრე სადმე სხვაგან, უცხო ფირმაში, მაგრამ, მგონი, მე დამოუკიდებლობა მაკლია... ყოველთვის შემშურებია, მუშაობაში გართულს რომ გიყურებდი. შენთვის, კაცმა რომ თქვას, ამას მუშაობაც არ ჰქვია. შენ იმიტომ კი არ მუშაობ, რომ თავს ვალდებულად თვლი ვიღაცის წინაშე, მუშაობ, როგორც ბატონი
და შეფი, სხვებს კი აიძულებ შენთვის იმუშაონ, ანგარიშობ, ყველას ხელმძღვანელობ.
შენ თავისუფალი კაცი ხარ, ეს სულ სხვაა.

- კარგი, ქრისტიან, არ შეგეძლო ეგ ადრე გეთქვა? განა შენს ხელთ არ არის დამოუკიდებლობის მოპოვება? კარგად მოგეხსენება, მამამ წინასწარ მე და შენ მემკვიდრეობიდან ორმოცდაათ-ორმოცდაათი ათასი მარკა გამოგვიყო. რა თქმა უნდა, ყოველ წუთში მზადა ვარ ეს თანხა გონიერი და სერიოზული საქმისთვის ჩაგითვალო. ჰამბურგში და სხვაგანაც არსებობს ბევრი წელგამართული, მაგრამ ხელვიწრო ფირმა, რომელსაც კაპიტალით გამაგრება სჭირდება, იქ შეგიძლია კომპანიონად შეხვიდე... მოდი, ამ საქმეზე ორივე დავფიქრდეთ და თუ საჭირო იქნა, დედასაც მოველაპარაკოთ. ახლა საქმე მაქვს, შენ კი ამ დღეებში ინგლისური კორესპონდენციები მოისტუმრე, კარგი?.. რას ფიქრობ, მაგალითად ჰამბურგელ „ჰ. კ. ფ. ბურმისტრსა და კომპანიაზე?“ - ჰკითხა თომასმა ძმას უკვე თაღში, - იმპორტსაც ეწევიან და ექსპორტსაც. მე ვიცნობ შეფს, დარწმუნებული ვარ, ასეთ წინადადებას ხელიდან არ გაუშვებს.

* * *

ეს იყო 57 წლის მაისის მიწურულში. ივნისის დამდეგს კი ქრისტიან ბუდენბროკი ბიუჰენის გავლით ჰამბურგს გაემგზავრა. კლუბის, ქალაქის თეატრ „ტივოლისა“ და ქალაქის მთელი დარდიმანდებისთვის ქრისტიანის წასვლა მძიმე დანაკლისი იყო. ყველა Suitier-მა, მათ შორის - დოქტორმა გიზეკემ და პეტერ დოლმანმა, ქრისტიანი სადგურზე გააცილეს, ყვავილები და სიგარებიც კი მიართვეს და თან სიცილით იჭაჭებოდნენ. ალბათ, ქრისტიანის მონაყოლი ამბები აგონდებოდათ. ბოლოს ვექილმა, დოქტორმა გიზეკემ საყოველთაო ღრიანცელში ქრისტიანს ოქროს ქაღალდისგან გამოჭრილი კოტილიონის ორდენი მიუმაგრა პალტოზე. ეს ორდენი ნავსადგურის მახლობლად მდებარე ერთი სახლიდან იყო გამოგზავნილი. იმ სალაღობო სახლის პარმაღზე საღამოობით წითელი ფარანი ეკიდა და მისი კარი ყველასთვის ფართოდ იყო გაღებული. ეს ორდენი კრიშან ბუდენბროკისთვის იმ სახლში განსაკუთრებული დამსახურებისთვის მიენიჭებინათ.

მეოთხე თავი

ალაყაფის კარზე დარეკეს და ფრაუ გრიუნლიჰი თავისი ახალშეძენილი ჩვეულებისამებრ კიბის მოედანზე გამოსრიალდა, თეთრად გალაქულ რიკულებზე გადაწვა და თაღში შეიჭვრიტა. კარი გააღეს თუ არა, ფრაუ გრიუნლიჰი უფრო ღრმად გადაეკიდა მოაჯირს, შემდეგ უკან მიაწყდა, ცალი ხელით ცხვირსახოცი ტუჩთან მიიტანა, მეორით კაბის კალთა აიკრიფა და წელში წახრილი ზევით გაეშურა. მესამე სართულზე ამავალ კიბეზე მამზელ იუნგმანს შეეჩეხა და აკანკალებული ხმით ყურში რაღაც წასჩურჩულა. სიხარულით ელდანაკრავმა იდამ პოლონურად რაღაც ამდაგვარი უპასუხა: „მაიბოშეკოხანეო“.[68]

ამ დროს კონსულის მეუღლე ლანდშაფტებიან ოთახში იჯდა და ხის დიდი ჩხირებით მოსასხამს თუ შალს ქსოვდა.

დილის თერთმეტი საათი იყო.

უცებ სვეტებიანი სადარბაზოდან მოახლე შემოვიდა, შუშის კარზე დააკაკუნა, ოთახში შემობაჯბაჯდა და კონსულის მეუღლეს სავიზიტო ბარათი მიართვა. კონსულის მეუღლემ ბარათი აიღო, ცხვირზე სათვალე კარგად გაისწორა - ხელსაქმეზე იგი სათვალეს ხმარობდა - და ბარათი წაიკითხა. შემდეგ მოახლეს ღაჟღაჟა სახეში შეხედა, ბარათი ერთხელ კიდევ წაიკითხა და ისევ მოახლეს ახედა, ბოლოს გულთბილად, მაგრამ მტკიცედ ჰკითხა:

- რას ნიშნავს ეს, ჩემო კარგო, ჰა?

ბარათზე დაბეჭდილი იყო: „ქს. ნოპე და კომპ.“. ქს. ნოპე და კომპანიის აღმნიშვნელი ნიშანი ლურჯი მელნით იყო გადაჯღაბნილი, ისე, რომ ბარათზე მარტო „კომპ.“ დარჩენილიყო.

- ქალბატონო, - თქვა მოახლემ, - იქ ერთი კაცია, გერმანულად არ ლაპარაკობს, ისედაც უცნაური ვინმეა.

- სთხოვე ბატონს, მობრძანდეს, - უბრძანა მოახლეს კონსულის მეუღლემ.

იგი უკვე მიხვდა, რომ მისი ნახვა „კომპ.“-ს სურდა.

მოახლე წავიდა. მინის კარი თითქმის მაშინვე გაიღო და ლანდშაფტებიან ოთახში ჩასკვნილი მამაკაცი შემოვიდა. მამაკაცის ფიგურა ოთახის ჩაბნელებულ კუთხეში ერთ წამს შეჩერდა და გაბმულად რაღაც ამის მსგავსი წარმოთქვა:

- პატივი მაქვს...

- დილა მშვიდობისა! - შეაგება კონსულის მეუღლემ, - ახლოს მობრძანებას ხომ არ ინებებთ?

ამ სიტყვებზე კონსულის მეუღლე სოფას ცალი ხელით მსუბუქად დაეყრდნო და ოდნავ წამოიწია, რადგან ჯერ არ იცოდა, წამოდგომა მართებდა თუ არა.

- როგორ მიხარია, - საამური ხმით გააბა სტუმარმა, წელში თავაზიანად მოიხარა, ორი ნაბიჯი წინ გადადგა, ისევ შეჩერდა და თვალი ოთახს მოავლო: ან სკამი, ან რაიმე ქუდისა და ხელჯოხის დასადები ხომ არაფერი არისო. სტუმარს ქუდიც და მოკაუჭებული, რქისტარიანი ფუტ-ნახევარი სიგრძის ჯოხიც რატომღაც ოთახში შემოეტანა.

მოსული ორმოციოდე წლის ჩასუქებული კაცი იყო, მოკლე ხელ-ფეხი ჰქონდა. ყავისფერი უხეში მაუდის გულმოღეღილი სერთუკი ეცვა. ღია ფერის, ყვავილებიანი ჟილეტი ამობურთულ მუცელზე შემოტმასნოდა, ზედ ოქროს ძეწკვი მოუჩანდა. საათის ძეწკვზე ძვლის, რქის, ვერცხლისა და მარჯნის შანების მთელი კოლექცია ჰქონდა თაიგულივით ასხმული. გაურკვეველი ფერის მომწვანო-მონაცრისფრო, მეტისმეტად მოკლე შარვალი ისეთი ხეშეში ქსოვილისგან იყო შეკერილი, რომ მისი ბოლოები ფართო და მოკლეყელიან ჩექმებზე უნაოჭოდ ადგა. ბაგეზე ფოჩისებურად ჩამოშვებული, მეჩხერი და ზედმიწევნით ქერა ულვაშების გამო ნოღაცხვირიანი, თხელი, აწეწილი თმით დაფარული ბურთივით მრგვალი თავი სელაპისას მიუგავდა. უცნობს ნიკაპსა და ქვედა ტუჩს შორის ამოსული წვერი, ულვაშებისგან განსხვავებით, ჯაგარივით ჰქონდა აბურძგნილი, მსხვილი, ქონიანი, აფუებული ლოყები თვალებს
ისე უფარავდა, რომ თვალების მაგიერ ორი, მთლად ვიწრო, კილოებთან ჩანაოჭებული ღია ცისფერი ჭრილიღა უჩანდა. ეს უცნობის გაბუშტულ სახეს მრისხანე და ამავე დროს გულუბრყვილო, უმწეო და გულის ამაჩუყებელ გულკეთილ იერს აძლევდა. პატარა ნიკაპქვეშ ჩიჩახვისებურ ყელზე ვიწრო, თეთრი ჰალსტუხი

ჰქონდა შემოჭერილი. ამ კისერს მაღალი, გაშეშებული საყელო არც მოერგებოდა. სახის ქვემო ნაწილი და კისერი, თხემი და კეფა, ლოყები და ცხვირი ერთმანეთში უფორმოდ გადაუდიოდა. მეტისმეტი სიმსუქნისგან სახის კანი ისე ჰქონდა გადაჭიმული, რომ ზოგან, მაგალითად, ყურის ბიბილოებსა და ცხვირის ნესტოებთან წითელი ლაქები აჩნდა. კოტიტა, თეთრი ხელები ჰქონდა. ცალ ხელში ხელჯოხი, მეორეში კი არჩვის ბალნით დამშვენებული ტიროლური მწვანე ქუდი ეჭირა.

კონსულის მეუღლეს სათვალე მოეხსნა და ნახევრად წამოწეული კვლავ სოფაზე იყო დაყრდნობილი.

- რით შემიძლია გემსახუროთ? - თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ მიმართა მან სტუმარს.

უცნობმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა - ქუდი და ხელჯოხი ფისჰარმონიის სახურავზე დადო. კმაყოფილმა გათავისუფლებული ხელები მოიფშვნიტა, კონსულის მეუღლეს გულღიად შეხედა თავისი ნათელი, შეშუპებული თვალებით და წარმოთქვა:

- პატივცემულ ქალბატონს პატიებას ვთხოვ ასეთი ბარათის გულისთვის, სხვა არა გამაჩნდა რა და... ჩემი გვარია პერმანედერი - ალოიზ პერმანედერი, მიუნხენიდან გახლავართ, იქნებ გაგიგონიათ თქვენი ქალბატონი ქალიშვილისგან?

ეს სიტყვები მან ხმამაღლა და საკმაოდ უხეშად წარმოთქვა თავის კორძიან დიალექტზე, თან თვალის ჭრილებს კონსულის მეუღლეს გულღიად უპაჭუნებდა, ხომ გავუგეთ ერთმანეთსო.

კონსულის მეუღლე ახლა კი წამოდგა ფეხზე, თავი გვერდზე გადახარა და სტუმრისკენ ხელგაშლილი გაემართა.

- ბატონო პერმანედერ! ეს თქვენა ხართ? რა თქმა უნდა, ტონიმ თქვენზე ყველაფერი გვიამბო. ვიცი, მიუნხენში თავი არ დაგიზოგავთ და ჩემი ქალიშვილისთვის დიდი პატივი გიციათ. ახლა კი ჩვენს ქალაქში მოხვედრილხართ, არა?

- ჰო, გიკვირთ, არა? - თქვა ბატონმა პერმანედერმა. კონსულის მეუღლემ სტუმარს მოხდენილი ჟესტით ანიშნა, დაბრძანდითო.

ისიც მითითებულ სავარძელში ჩაეფლო და არხეინად დაიწყო თავისი მოკლე და მრგვალი ბარძაყების ფხანა.

- რა ბრძანეთ? - შეეკითხა კონსულის მეუღლე.

- ჰო-მეთქი, აბა, ჰო, - უპასუხა ბატონმა პერმანედერმა და მუხლების ფხანას მოეშვა.

- ძალიან სასიამოვნოა! - კვლავ ვერაფერი გაიგო, მაგრამ მაინც თქვა კონსულის მეუღლემ, ხელები კალთაში ჩაიწყო და სტუმრის პასუხით ვითომ კმაყოფილი სოფას მიეყრდნო. ბატონ პერმანედერს ეს არ გამოჰპარვია. იგი წინ გადაიხარა, ღმერთმა უწყის, რისთვის, ხოლო ჰაერში ხელით წრე შემოხაზა, დაიძაბა და ისე ამოთქვა:

- პატივცემული ქალბატონი გაოცებულია, არა?

- დიახ, დიახ, ძვირფასო პერმანედერ, ასე გახლავთ! - მიუგო გახარებულმა კონსულის მეუღლემ.

დუმილი ჩამოვარდა. ბატონმა პერმანედერმა სიჩუმის დარღვევა სცადა და ოხვრით წარმოთქვა:

- აი, ჯანდაბა და დოზანა თუ გინდა, ეს არის!

- ჰმ... რა ბრძანეთ? - შეეკითხა კონსულის მეუღლე და სტუმარს თვალი აარიდა.

- ეს რა ჯანდაბა და დოზანაა-მეთქი! - ხმამაღლა და უხეშად გაიმეორა ბატონმა პერმანედერმა.

- ძალიან სასიამოვნოა, - რბილად თქვა კონსულის მეუღლემ. ამით ეს პუნქტიც მოიხსნა, - შეიძლება გკითხოთ, - განაგრძო ქალბატონმა ბუდენბროკმა, - ამ სიშორეზე რამ წამოგიყვანათ? მიუნხენიდან აქამდე კარგა ხნის სავალია.

- საქმეებმა, - თქვა ბატონმა პერმანედერმა და მოკლე ხელი ჰაერში აქეთ-იქით გაიქნია,
- პატარ-პატარა საქმეებმა, პატივცემულო ქალბატონო, ვალკმიულეს ლუდის სახარშში მქონდა საქმე.

- ჰო, მართლა, თქვენ ხომ სვიით ვაჭრობთ, ჩემო ძვირფასო ბატონო პერმანედერ!
„ნოპე და კომპანია“ თქვენს ფირმას ჰქვია, არა? მერწმუნეთ, ჩემი ვაჟიშვილისგან თქვენს ფირმაზე ბევრი კარგი მსმენია, - თავაზიანად თქვა კონსულის მეუღლემ.

ბატონი პერმანედერი შეესიტყვა:

- აგრე გახლავთ, მაგრამ ახლა მაგაზე ლაპარაკი არა ღირს. მთავარი ის გახლავთ, რომ რა ხანია მინდოდა, პატივცემული ქალბატონისთვის ჩემი პატივისცემა გამომეთქვა
და ქალბატონი გრიუნლიჰი მომენახულებინა! ეს რა, არა კმარა, რომ კაცი მგზავრობას
არ შეუშინდე?!

- მადლობას მოგახსენებთ, - გულთბილად თქვა კონსულის მეუღლემ და სტუმარს მეორედ გაუწოდა ხელი, ოღონდ ამჯერად ხელისგული შეაგება, - ახლა კი დროა თქვენი ჩამოსვლა ჩემს ქალიშვილს შევატყობინოთ! - დასძინა მან, ფეხზე წამოდგა და შუშის კართან ჩამოშვებულ ზარის ფოჩთან მივიდა.

- ეგ კი გამიხარდება, მე და ჩემმა ღმერთმა! - წამოიძახა ბატონმა პერმანედერმა და კარისკენ სავარძლიანად შეტრიალდა.

კონსულის მეუღლემ მოახლეს უბრძანა:

- ჩემო კარგო, მადამ გრიუნლიჰს სთხოვე ქვევით ჩამობრძანდეს!

კონსულის მეუღლე კვლავ სოფას დაუბრუნდა და ბატონმა პერმანედერმაც ისევ შემოატრიალა თავისი სავარძელი.

- ეგ კი გამიხარდება, აი, - უაზროდ გაიმეორა პერმანედერმა და თან შპალერებს, სეკრეტერზე მოთავსებულ სევრის პორცელანს, დიდ სამელნესა და ავეჯს დაკვირვებით მოავლო თვალი. შემდეგ რამდენჯერმე გაიმეორა - ჯანდაბა და დოზანა ჩემს თავსაო, თან მუხლებს იქექავდა და უმიზეზოდ, მძიმედ ოხრავდა. თითქმის ასე გაგრძელდა ფრაუ გრიუნლიჰის გამოჩენამდე.

ფრაუ გრიუნლიჰი ცოტა მორთულ-მოკაზმულიყო, ღია ფერის ჟაკეტი მოეცვა, თმა კოხტად დაევარცხნა. სახე ჩვეულებრივზე ქორფა და მშვენიერი ჰქონდა. ენის წვერს ტუჩის კუთხეში ეშმაკურად ათამაშებდა.

ფრაუ გრიუნლიჰი ოთახში შემოვიდა თუ არა, ბატონი პერმანედერი ფეხზე წამოიჭრა, უზომოდ აღტაცებული მისკენ გაეშურა და ხელებში ჩააფრინდა. ერთთავად აძაგძაგებული, ტონის ხელებს აჯანჯღარებდა და თან იძახდა:

- აი, თქვენც აქა ხართ, ფრაუ გრიუნლიჰ! შეგეწიოთ ღმერთი! როგორა ხართ, ა? რას აკეთებდით აქ, ხომ მშვიდობითა ხართ, ა? ღმერთო დიდებულო, სიხარულისგან ლამის გავგიჟდე კაცი! გახსოვთ კი მიუნხენ-ქალაქი და ჩვენი მთები? ღმერთმანი, ერთი სიამოვნება იყო, არა? ჰოდა, აი, ახლა კიდევ შევხვდით ერთმანეთს! ვინ იფიქრებდა, ა?

ტონიც დიდის ამბით მიესალმა პერმანედერს, სტუმრის სავარძელთან სკამი მიაჩოჩა და მიუნხენში გატარებულ დღეებზე დაიწყო ტიკტიკი. ახლა საუბარი დაუბრკოლებლად მიდიოდა. დროდადრო კონსულის მეუღლეც ებმებოდა საუბარში, თან ბატონ პერმანედერს ტკბილად და გამამხნევებლად უქნევდა თავს, მის ნალაპარაკევს თავისთვის სალიტერატურო ენაზე თარგმნიდა და კმაყოფილი, რომ სტუმრის ენა ესმოდა, ხანგამოშვებით სოფას მიეყრდნობოდა ხოლმე.

ბატონი პერმანედერი იძულებული იყო ამჯერად ფრაუ ანტონიასთვის აეხსნა ჩამოსვლის მიზეზი, მაგრამ ლუდის სახარშში პატარა საქმეს აშკარად ისე აგდებულად ახსენებდა, რომ კაცს ეგონებოდა, ქალაქში ტყუილუბრალოდ ჩამოსულაო. სამაგიეროდ ბატონმა პერმანედერმა დიდი ინტერესით მოიკითხა კონსულის მეუღლის უმცროსი ქალიშვილი და ვაჟიშვილები, ხმამაღლა გამოთქვა სინანული, რომ კლარასა და ქრისტიანს ვერ შეხვდებოდა; თურმე „დიდი, დიდი სურვილი ჰქონდა, მთელი ჯალაბი გაეცნო“.

ბატონ პერმანედერს გარკვევით არ უთქვამს, რამდენ ხანს აპირებდა ქალაქში დარჩენას.

კონსულის მეუღლემ შენიშნა, ყოველ წუთში საუზმეზე ჩემს შვილს ველოდებიო და სტუმარს სთხოვა, ნუ მოგვაკლებთ სიამოვნებას, საუზმე ჩვენთან მიირთვათო.

ბატონმა პერმანედერმა მასპინძელს სიტყვის დამთავრება ძლივს აცალა. მიპატიჟება ისე სწრაფად მიიღო, თითქოს მხოლოდ ამას ელოდაო.

კონსული მოვიდა. მცირე სასადილო ოთახი ცარიელი დახვდა. სამუშაო ხალათი არც გაუხდია, დაღლილმა და შეწუხებულმა სასწრაფოდ ლანდშაფტებიან ოთახს
მიაშურა, რათა სახელდახელო საუზმე დაეჩქარებინა. ოთახში შესვლისას, მოჰკრა თუ
არა თვალი უხეში შალის სერთუკში გამოწყობილ უცხო სტუმარს, მის შანებით აჩორჩხლილ ოქროს ძეწკვსა და ფისჰარმონიაზე ჩამოდებულ არჩვის ბალნით მორთულ ქუდს, თომასი შეჩერდა. სტუმარი წარუდგინეს. მისი სახელი კონსულს უკვე ბევრჯერ ჰქონდა გაგონილი
დისგან. მან ტონის ერთი გადახედა და ბატონ
პერმანედერს, რაც შეეძლო, გულთბილად მიესალმა. თომასი არც დამჯდარა. ყველანი მეორე სართულზე ჩავიდნენ. სასადილო ოთახში მამზელ იუნგმანს სუფრა უკვე გაეშალა. სუფრაზე სამოვარი თუხთუხებდა, ნამდვილი სამოვარი - პასტორ ტიბურციუსისა და მისი მეუღლის მიერ მოძღვნილი საჩუქარი.

- ღმერთმანი, კაია კაი ცხოვრება, - თქვა ბატონმა პერმანედერმა, როცა სუფრას მიუჯდა და ცივ საუზმეულს გადახედა. ხანდახან ბატონი პერმანედერი უწყინარი სახით ხან ვის და ხან ვის შენობით მიმართავდა.

- თქვენებურ ლუდთან ვერ მოვა, ბატონო პერმანედერ, მაგრამ აქაურ მოთუხთუხებულს კი სჯობია, - თქვა კონსულმა და სტუმარს ქაფმოყენებული ყავისფერი პორტერი დაუსხა.

კონსული საუზმეზე ყოველთვის ამ სასმელს მიირთმევდა.

- დიდი მადლობა, ჩემო ბატონო! - ღეჭვა არ შეუწყვეტია, ისე მიუგო ბატონმა პერმანედერმა, არც შეუმჩნევია, მამზელ იუნგმანმა როგორი შეშფოთებით შემოხედა. პორტერის დალევისგან სტუმარი თავს ისე იკავებდა, რომ კონსულის მეუღლემ ერთი ბოთლი წითელი ღვინო მოატანინა.

ღვინომ სტუმარი შესამჩნევად გაამხიარულა და ფრაუ გრიუნლიჰთან საუბარი გააჩაღა. ბატონ პერმანედერს ღიპი უშლიდა და მაგიდას მოშორებით უჯდა, ფეხები გაეჩაჩხა, ჩაპუტკუნებული, მოკლე, თეთრი ხელი სკამის ზურგზე ჩამოედო, სელაპისებური ულვაშებით შემკული მსხვილი თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა და თითქოს გაგულისებული თვალების ერთგული პაჭუნით ტონის ყურადღებით უსმენდა.

ტონი სტუმარს მოხდენილად უჭრიდა სალაკას - ბატონი პერმანედერი ასეთ საქმეში გაწაფული არ იყო - და თან ცხოვრებისეულ სიბრძნესაც უხვად აფრქვევდა.

- ღმერთო ჩემო, რა სამწუხაროა, ბატონო პერმანედერ, რომ ცხოვრებაში ყველაფერი კარგი და მშვენიერი სწრაფად გაივლის ხოლმე! - თავის მიუნხენში ყოფნას გულისხმობდა ტონი. ამ სიტყვებზე დანა-ჩანგალი წუთით გვერდზე გადადო და

ჭერისკენ სერიოზული მზერა აღაპყრო. დროდადრო მადამ გრიუნლიჰი, თუმცა უნიჭოდ, მაგრამ მაინც თავშესაქცევად ცდილობდა, ბავარიულ დიალექტზე ელაპარაკა.

საუზმე ჯერ არ დაემთავრებინათ, რომ კარზე დააკაკუნეს. კანტორის შეგირდმა თომასს დეპეშა მოართვა. კონსულმა დეპეშა წაიკითხა და აწკეპილი ულვაშის ბოლო თითებშუა გამოიტარა. აშკარად ეტყობოდა, დეპეშის შინაარსმა დააფიქრა, მაგრამ ბატონ პერმანედერს მაინც უზრუნველად ჰკითხა:

- საქმე როგორ მიგდით, ბატონო პერმანედერ? - კონსული ახლა შეგირდს მიუბრუნდა, - კარგია, კარგი, - უთხრა და ყმაწვილი კაციც მაშინვე გავიდა.

- ეჰ, ჩემო ბატონო! - უპასუხა ბატონმა პერმანედერმა, მეორე ხელი სკამის ზურგს ჩამოადო და სქელი და მოუხეშავი კისერი კონსულისკენ ძლივს მიაბრუნა, - აბა, რა სათქმელია, წვალებისა და ჯახირის მეტი არაფერია. მოგეხსენებათ, მიუნხენი, - იგი მშობლიური ქალაქის სახელს ისე გამოთქვამდა, რომ კაცი გუმანით თუ მიხვდებოდა, რისი თქმა სურდა, - მიუნხენი საქმიანი ქალაქი ვერ გახლავთ... ვისაც როგორ უნდა, ისე მყუდროდ ირთხამს ფეხს... დეპეშების კითხვითაც არავინ იტკივებს ჭამის დროს თავს, არა, თქვენც არ მომიკვდეთ. ზემოურებს კი საქმე სხვაგვარად გაქვთ, ეშმაკმა წამიღოს, თუ ვტყუოდე! დიდი მადლობა, ერთ ჭიქას კიდევ ვხუხავდი... მისწრებაა პირდაპირ! ჩემი კომპანიონი ნოპე ნიურნბერგში აპირებს გადაბარგებას, იქ ბირჟაც არის და ხალხიც მარიფათიანიაო... მე კი ჩემი მიუნხენიდან ფეხსაც არ მოვიცვლი... აბა, მამა უცხონდათ... ჩვენთან ჯოჯოხეთური კონკურენცია კია, მაგრამ... ექსპორტი რა სათქმელია. სიცილად არ ეყოფა კაცს... რუსეთმაც კი თვითონ დაიწყო სვიის მოშენება...

უცებ ბატონმა პერმანედერმა კონსულს ელვისებური მზერა ესროლა და თქვა:

- ისე საწუწუნო არაფერი მაქვს, ჩემო ბატონო! გვარიანი საქმე გვიჭირავს ხელში! სააქციო ლუდის სახარშში კარგ ფულს ვაკეთებთ, აი, ნიდერპაური რომაა, დირექტორი, იქ, გეცოდინებათ, ალბათ! ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ჯერ პატარა ამხანაგობა ჰქონდათ, მაგრამ კრედიტი მივეცით, სულ ოქროები ჩავუთვალეთ... ოთხ პროცენტად, რომ წარმოება გაეფართოებინათ... ახლა დიდ საქმეს ატრიალებენ, ჩვენც არაფერი გვიჭირს, კარგი შემოსავალი გვაქვს!.. - დაასრულა ბატონმა პერმანედერმა.

კონსულმა პაპიროსები და სიგარები შესთავაზა, სტუმარმა მადლობა გადაუხადა, ჯიბიდან რქისთავიანი გრძელი ჩიბუხი ამოიღო, მოწევის ნებართვა ითხოვა და კვამლის ბოლქვებში გახვეულმა თომასთან საქმიანი საუბარი გააჩაღა. საუბარმა მალე პოლიტიკურ სფეროში გადაინაცვლა და პრუსია-ბავარიის ურთიერთობას, მეფე მაქსიმილიანესა და იმპერატორ ნაპოლეონსაც კი გადასწვდა... საუბარში ბატონი პერმანედერი აქა-იქ სავსებით გაუგებარ ფრაზებს ურთავდა, თან უადგილო

ამოოხვრითა და წამოძახილებით: „აბა, რაო“, ან „კაი დაგემართოთ, კაი ამბავიაო“, ავსებდა პაუზებს.

მამზელ იუნგმანს გაკვირვებისგან პირში ლუკმა უჩერდებოდა, სტუმარს თავისი კრიალა, მუქი თაფლისფერი თვალებით უსიტყვოდ აკვირდებოდა, თან, ჩვეულებისამებრ, დანა-ჩანგალი შვეულად ეჭირა ხელში და აქეთ-იქით აქანავებდა. ამ დარბაზებს ჯერ არ გაეგონა ასეთი ბგერები, ასეთ კვამლს ჯერ არასდროს შეუბურავს მათი კედლები; ასეთი თავისუფალი, უგერგილო თავდაჭერაც უცხო იყო ბუდენბროკთა სავანისთვის. კონსულის მეუღლემ ერთი კი იკითხა, პატარა ევანგელური საზოგადოება პაპის მომხრეებისგან ხომ არ იდევნებაო და მერე ხმა აღარ ამოუღია. ტონიც თითქოს თანდათან ჩაფიქრდა და სიმშვიდე დაკარგა. სამაგიეროდ კონსულმა ჩინებულად მოილხინა, დედას ისიც კი სთხოვა, მეორე ბოთლი წითელი ღვინო მოატანინეთო და ბატონი პერმანედერი ბრაიტენშტრასეზე ხალისიანად მიიწვია, ჩემს ცოლს თქვენი მოსვლა ძალიან გაუხარდებაო.

სრულმა სამმა საათმა გაიარა, სანამ სვიის ვაჭარი წასასვლელად მზადებას შეუდგებოდა, ჩიბუხი გამობერტყა, ჭიქა გამოცალა, ერთხელ კიდევ დააყოლა „ჯანდაბაო“ და ფეხზე წამოდგა.

- პატივი მაქვს, მოწყალეო ქალბატონო! გფარავდეთ უფალი, ფრაუ გრიუნლიჰ... ღმერთი შეგეწიოთ, ბატონო ბუდენბროკ... აბა, დილა მშვიდობისა, ფროილაინ, - მიუბრუნდა იგი იდას.

იდა ამ სიტყვებზე შეკრთა და სახეზე სიწითლე მოედო. ბატონი პერმანედერი წასვლისას „დილა მშვიდობისაო“, ამბობდა.

კონსულის მეუღლემ და მისმა ვაჟმა ერთმანეთს გადახედეს. ბატონმა პერმანედერმა მასპინძლებს ამცნო, რომ ტრავეს უბრალო სასტუმროში იყო ჩამომხტარი და ახლა იქ აპირებდა წასვლას.

- ჩემი ქალიშვილის მიუნხენელი მეგობარი და მისი მეუღლე შორს არიან, - თქვა მოხუცმა ქალბატონმა და ბატონ პერმანედერთან მივიდა, - ჩვენ, ალბათ, მალე არ მოგვეცემა შემთხვევა, სტუმართმოყვარეობისთვის მადლობა გადავუხადოთ. მაგრამ თუ თქვენ, ბატონო ჩემო, სანამ აქ ბრძანდებით, ჩვენს ჭერქვეშ დაიდებთ ბინას, დიდად მოხარული ვიქნებით.

მან ბატონ პერმანედერს ხელი გაუწოდა და ერთი შეხედეთ: ბატონი პერმანედერი არც დაფიქრებულა, ისე დათანხმდა. მან ისევე სწრაფად მიიღო ეს მიპატიჟება, როგორც ადრე საუზმეზე არ გაუდვია თავპატიჟი. ორივე მანდილოსანს ხელზე აკოცა, რაც, ცოტა არ იყოს, არც უხდებოდა. ლანდშაფტებიანი ოთახიდან ქუდი და ხელჯოხი გამოიტანა, მასპინძლებს ერთხელ კიდევ აღუთქვა, ჩემოდნებს ახლავე მოვატანინებ და ჩემი საქმეების მოწესრიგების შემდეგ ოთხ საათზე აქ გავჩნდებიო. მერე კონსულთან ერთად კიბეს ჩაუყვა. თომასმა სტუმარი ალაყაფის კარამდე მიაცილა.

ბატონი პერმანედერი ერთხელ კიდევ შემობრუნდა, აღტაცებისგან თავი გააკანტურა და წარმოთქვა:

- ცუდად ნუ გამიგებთ, ჩემო ბატონო, და თქვენი ქალბატონი დაიკო მართლა კარგი ვინმეა! ღმერთი შეეწიოს!

ბატონმა პერმანედერმა თავის კანტურით გააგრძელა გზა.

კონსულს გულმა არ მოუთმინა, რომ ზევით არ ასულიყო და ქალები არ ენახა. აფუსფუსებულ იდა იუნგმანს უკვე თეთრეული ეჭირა ხელში და ერთ-ერთი სასტუმრო ოთახის მოწყობაზე ზრუნავდა.

კონსულის მეუღლე ჯერ კიდევ სუფრას უჯდა, წყლისფერი თვალები ჭერზე რაღაც ლაქისთვის მიეპყრო და თეთრ თითებს მაგიდაზე მსუბუქად აკაკუნებდა. ტონი ფაჯარასთან იჯდა, ხელები გულზე დაეკრიფა, თან ღირსეულად და მკაცრად, პირდაპირ იყურებოდა. ოთახში სიჩუმეს დაესადგურებინა.

- აბა, რას იტყვით? - იკითხა თომასმა და რუსული სათუთუნედან პაპიროსი ამოიღო. კონსულს სიცილისგან მხრები უთახთახებდა.

- ძალიან სასიამოვნო კაცია, - უწყინრად მიუგო შვილს კონსულის მეუღლემ.

- მეც მაგ აზრის გახლავართ! - თქვა კონსულმა და ტონისკენ ხუმრობით გაიწოდა ხელი, თითქოს ახლა მასაც აზრის გამოთქმას სთხოვსო.

ტონი დუმდა. წინ კვლავ მკაცრად იყურებოდა.

- მაგრამ, მე მგონია, წყევლა-კრულვას რომ გადაეჩვეოდეს, კარგი იქნებოდა, ტომ, - ნაღველგარეული ხმით დასძინა კონსულის მეუღლემ, - თუ სწორად გავიგე, პირზე სულ ჯანდაბა და დოზანა ეკერა.

- ეგ არაფერი, დედა, განა ამ დროს ცუდს რასმე გულისხმობდა.

- მერე, ცოტა ზედმეტად თავისუფლად უჭირავს თავი, არა, ტომ?

- ჰო, ეს კი სამხრეთგერმანული მოსდგამს, ღმერთმანი! - თქვა კონსულმა, კვამლი ნელ-ნელა გამოუშვა, დედას გაუღიმა და ტონისკენ ქურდული მზერა გააპარა.

კონსულის მეუღლეს ეს არ შეუნიშნავს.

- დღეს გერდასთან ერთად ხომ მოხვალ სადილად, ტომ? არ გამაწბილო, იცოდე!

- სიამოვნებით, დედა, დიდი სიამოვნებით! გულახდილად რომ ვთქვა, მე ბევრ სიამოვნებას მოველი ამ სტუმრობისგან. შენ, არა? ეს ხომ შენი სასულიერო პირების სტუმრობას არა ჰგავს.

- ყველას თავისი გემოვნება აქვს, ტომ.

- გეთანხმები! ახლა კი მივდივარ... ჰო, მართლა! - უკვე კართან თქვა ტომმა, - შენ მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოგიხდენია, ტონი! არა, მართლა გეუბნები! იცი, რა თქვა შენზე ქვემოთ? კარგი ვინმეაო. ეს მისი სიტყვები გახლავს.

ამ სიტყვების გაგონებაზე კი შემოტრიალდა ფრაუ გრიუნლიჰი და ხმამაღლა თქვა:

- კარგი, ტომ, მაგას რატომ მეუბნები?.. მას, ალბათ, არც აუკრძალავს შენთვის, ჩემს სიტყვებს ნუ გაიმეორებთო... მაგრამ მაინც არ ვიცი, შენი საქციელი რამდენად მართებულია. ერთი რამ კი ნათელია ჩემთვის და მინდა თქვენც გითხრათ: ამ ქვეყანაზე ის კი არ არის მთავარი, რა როგორ გამოითქმის ან როგორ გამოიხატება, არამედ ის, თუ კაცი გულით რას ამბობს და რასა გრძნობს. და თუ შენ ბატონ პერმანედერის სიტყვებს აქილიკებ... თუ შენ იგი სასაცილოდ მიგაჩნია.

- აბა, რას ამბობ, ტონი? ეგ არც მიფიქრია! რაზე ცხარობ?

- Assez, - თქვა კონსულის მეუღლემ და თავის ვაჟს სერიოზულად და მუდარით შეხედა, შენი და შეიცოდეო.

- კარგი, ნუ მიბრაზდები, ტონი! - თქვა თომასმა, - შენი წყენინება სულაც არ მინდოდა. ჰო, ახლა წავალ და ბეღლიდან რომელიმე მუშას ჩემოდნების მოსატანად გავგზავნი. ნახვამდის!

მეხუთე თავი

ბატონი პერმანედერი მენგშტრასეზე დასახლდა. მეორე დღეს თომას ბუდენბროკსა და მის მეუღლესთან ისადილა, მესამე დღეს, ხუთშაბათს, იუსტუს კროგერსა და მის ცოლს, ბრაიტენშტრასელ ბუდენბროკებს, ზეზემი ვაიჰბროტს, საბრალო კლოტილდესა და ერიკას გაეცნო. ბატონმა პერმანედერმა ერიკას „კაფენტებიანი“ პარკი აჩუქა. ეს მისებურად კანფეტებს ნიშნავდა.

ბრაიტენშტრასელ ქალბატონებს ბატონი პერმანედერი „სოშინლად“ სასაცილო ეჩვენათ, ზეზემი ვაიჰბროტი კი ახალგაცნობილ სტუმარს საკმაოდ მკაცრად შეხვდა.

ბატონი პერმანედერი ერთთავად მხიარულ გუნებაზე იყო, ხანდახან მძიმედ ამოიოხრებდა, მაგრამ ეს ოხვრა არაფერს ნიშნავდა, იგი უფრო მეტი სიამისგან აღმოხდებოდა ხოლმე. პირში ჩიბუხგამოჩრილს შეეძლო სადილის შემდეგ სკამზე დიდხანს, დიდხანს მოხერხებულად მჯდარიყო, ჩიბუხი ებოლებინა, ესვა და სასაცილოდ ელაყბა. მართალია, ძველი სახლის მყუდრო ცხოვრებაში სულ ახალი, უჩვეულო განწყობილება შემოიტანა და, საერთოდ, მთელ მის არსებას ამ პალატებში გამეფებული სტილის რაღაც საწინააღმდეგო ელფერი დაჰკრავდა, მაგრამ ბუდენბროკების სახლში დამკვიდრებული ზნე-ჩვეულებები არაფრით დაურღვევია.

ბატონი პერმანედერი ცისკრისა და მწუხრის ლოცვებს არასდროს აკლდებოდა. ერთხელ ნებართვაც კი ითხოვა, კონსულის მეუღლის საკვირაო სკოლის შეკრებას დავესწრებიო, „იერუსალიმურ საღამოზეც“ შემოდგა ფეხი, რათა მანდილოსნებს წარსდგომოდა, მაგრამ როგორც კი ლეა გერჰარტმა კითხვა დაიწყო, უკანვე გაიძურწა.

მისი გამოჩენის ამბავი მთელ ქალაქს სწრაფად მოედო და დიდკაცთა ოჯახები ბუდენბროკების ბავარიელ სტუმარზე ცნობისმოყვარეობით ალაპარაკდნენ. მაგრამ ბატონ პერმანედერს არც ოჯახებში და არც ბირჟაზე ნაცნობები არ ჰყავდა. წლის სეზონი უკვე მიწურული იყო, ოჯახების უმრავლესობა ზღვაზე წასასვლელად ემზადებოდა და კონსულს აღარც უცდია ბატონი პერმანედერი საზოგადოებაში გაეყვანა.

სამაგიეროდ სტუმარს თვითონ დიდი ხალისითა და მონდომებით ემსახურებოდა. საქმეებისა და საზოგადოებრივი მოვალეობების მიუხედავად, კონსული დროს პოულობდა და სტუმარს ქალაქში დაასეირნებდა. აჩვენა ყველა შუასაუკუნეობრივი ღირსშესანიშნაობა, ეკლესიები, კარიბჭეები, ბაზარი და ჭები, რატჰაუსი და „ნაოსანთა საზოგადოება“. კონსული ცდილობდა სტუმარი ყველანაირად გაერთო, ბირჟაზე თავისი უახლოესი მეგობრებიც გააცნო. როცა კონსულის მეუღლეს შემთხვევა მიეცა, ამდენი მსხვერპლის გაღებისთვის მისთვის მადლობა ეთქვა, თომასმა მშრალად შენიშნა:

- ეჰ, დედა, რისი გაკეთება არ უხდება ადამიანს...

კონსულის მეუღლემ ეს სიტყვები უპასუხოდ დატოვა, არც გაუღიმია, სახეზე ნაკვთიც არ შერხევია, მხოლოდ წყლისფერი თვალები შვილს აარიდა და სიტყვა სულ სხვა რაღაცაზე გადაიტანა.

კონსულის მეუღლე ბატონ პერმანედერს გულითადად და მეგობრულად ექცეოდა, მის ქალიშვილზე კი ამას ვერ იტყოდით. სვიის ვაჭარმა უკვე მოასწრო ორ „საბავშვო დღეს“ დასწრებოდა. თუმცა ჩამოსვლიდან მესამე თუ მეოთხე დღესვე გაკვრით თქვა, აქაურ ლუდის სახარშთან საქმე უკვე მოვაგვარეო, მას შემდეგ კარგი ათი დღე გავიდა.

ხუთშაბათობით, როცა ბატონი პერმანედერი ლაპარაკს წამოიწყებდა და ხელების ქნევას მოჰყვებოდა, ფრაუ გრიუნლიჰი თავის ოჯახის წევრებს, ბიძია იუსტუსს, ბრაიტენშტრასელ ბიძაშვილებს ან თომასს სწრაფ, დამფრთხალ მზერას ესროდა ხოლმე, წითლდებოდა, დიდხანს გაშეშებული და დამუნჯებული იჯდა, ან ოთახიდან სულ გადიოდა ხოლმე.

* * *

მესამე სართულზე, ფრაუ გრიუნლიჰის საწოლ ოთახში ორივე ფანჯარა ღია იყო და ივნისის ნათელი ღამის ნაზი სუნთქვა მწვანე შტორებს უჩუმრად არხევდა. ჩარდახიანი საწოლის გვერდით, პატარა მაგიდაზე, ნახევრად წყლით სავსე ჭიქა

იდგა. წყლის ზედაპირზე ზეთის ფენა ტივტივებდა, შიგ რამდენიმე პატრუქი ენთო და სწორზურგიანი, სელის ჩარსავებშემოკრული სკამებით მორთულ დიდ ოთახს წყნარ, ლიცლიცა შუქს ჰფენდა.

ფრაუ გრიუნლიჰი საწოლში იწვა. კოხტა თავი რბილად ედო ფართო მაქმანებშემოვლებულ ბალიშზე, ხელები დალიანდაგებულ საბანზე დაეკრიფა, მაგრამ მის ფიქრით დაღლილ თვალებს რული არ ეკარებოდა. ფრაუ გრიუნლიჰი დიდ, გრძელტანიან მწერს თვალს არ აცილებდა. მწერი სიფრიფანა ფრთებს უხმოდ აქნევდა და განათებულ შუშას აწყდებოდა. საწოლის გვერდით, კედელზე, შუა
საუკუნეების ქალაქის ორ ძველებურ სპილენძის გრავიურას შორის ჩარჩოში ჩასმული წარწერა მოჩანდა: „მიანდვე უფალს გზები შენი“. მაგრამ კმარა ეს ნუგეშად, როცა შუაღამისას თვალგახელილი წევხარ და მარტომ, ვინმეს რჩევის მიუღებლად უნდა გადაწყვიტო, „ჰო“ თქვა თუ „არა“ შენს ცხოვრებაზე და არა მარტო შენს ცხოვრებაზე?

სახლში სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ კედლის საათი ტიკტიკებდა. ხანგამოშვებით მხოლოდ ფარდით გამოყოფილი მეზობელი ოთახიდან მამზელ იუგმანის ჩახველება ისმოდა. იქ ჯერ კიდევ სინათლე ენთო. ერთგული პრუსიელი ქალი ჭაღის ქვეშ, გასაშლელ მაგიდასთან წელგამართული იჯდა და პატარა ერიკას წინდებს უკემსავდა. ოთახში ბავშვის ღრმა და მშვიდი სუნთქვა ისმოდა. ზეზემი ვაიჰბროტის აღსაზრდელებს საზაფხულო არდადეგები ჰქონდათ და ერიკა ახლა მენგშტრასეზე ცხოვრობდა.

ფრაუ გრიუნლიჰმა ამოიოხრა, წამოიწია და თავით ხელზე დაეყრდნო.

- იდა? - ჩუმად იკითხა მან, - კიდევ მანდ ზიხარ და კემსავ?

- ჰო, ტონიჰენ, შვილიკო, - გაისმა იდას ხმა, - დაიძინე, ხვალ დილით ადრე ხარ ასადგომი, გამოძინებას ვერ მოასწრებ.

- კარგი, იდა, დავიძინებ... დილით ექვსზე ხომ გამაღვიძებ?

- შვიდის ნახევარიც საკმაოდ ადრეა, ჩემო შვილიკო. კარეტა რვა საათისთვისაა შეკვეთილი. იძინე, თუ გინდა, დილით ქორფა და მშვენიერი ადგე.

- აჰ, მე ხომ ჯერ თვალიც არ მომიხუჭავს.

- კარგი, ტონიჰენ, ეგ როგორ შეიძლება! შვარტაუში უძინარი და გაბრუებული უნდა ჩახვიდე? შვიდი ყლუპი წყალი დალიე, მარჯვენა გვერდზე გადაბრუნდი და ათასამდე დაითვალე!

- იდა, ჩემო კარგო, მოდი რა ჩემთან! ძილი გამიტყდა, ამდენი ფიქრისგან თავი მისკდება. მოდი, ერთი ნახე, მგონი, სიცხე მაქვს, კუჭიც მაწუხებს. იქნებ ეს სისხლნაკლულობით მომდის, საფეთქლებზე ძარღვები დამებერა და ისე მიფეთქავს,

რომ პირდაპირ ტვინში მირტყამს. ძარღვები სისხლით მაქვს ავსებული, ესეც სისხლნაკლულობის ნიშანია.

მეზობელ ოთახში სკამის გაწევის ხმა გაისმა და ფარდებს შორის იდა იუნგმანის ძვალმსხვილი, სადა, ძველმოდურ ყავისფერ კაბაში გამოწყობილი ჭარმაგი ფიგურა გამოჩნდა.

- აჰ, ტონიჰენ, სიცხე გაქვს? აბა, ერთი გაგისინჯო, ჩემო შვილიკო... მოდი, კომპრესს დაგადებ.

იდამ ოთახი ოდნავ მამაკაცური, გრძელი და მტკიცე ნაბიჯებით გაიარა, კომოდთან მივიდა, ცხვირსახოცი ამოიღო, წყლიან ჯამში დაასველა, კვლავ საწოლს მიაშურა, ტონის კომპრესი შუბლზე ფრთხილად დაადო და ორივე ხელით გადაუტკეპნა.

- გმადლობ, იდა, როგორ მეამა... ცოტა ხანს ჩამოჯექი, ჩემო კარგო, მოხუცო იდა. იცი, ხვალინდელ დღეზე ფიქრი არ მასვენებს.... რა უნდა ვქნა? ტვინი მიდუღს!

იდა საწოლზე ჩამოჯდა, ნემსი და საკემსავ ბურთულაზე წამოცმული წინდა ხელში აიღო, სადად დავარცხნილი ჭაღარა თავი დახარა, მოუღალავი, კრიალა, მუქი თაფლისფერი თვალები საკემსავს მიაპყრო და ტონის ჰკითხა:

- შენ ფიქრობ, რომ ის ხვალ შეგეკითხება?

- უეჭველად, იდა! ამაში ეჭვიც არ მეპარება. ხვალ შემთხვევა მიეცემა და არა მგონია, ხელიდან გაუშვას. კლარას ამბავიც ასეთი გასეირნების დროს არ გადაწყდა? მე შემიძლია თავი ავარიდო და ჩემი დამარტოხელების საშუალება არ მივცე, მაგრამ მაშინ ყველაფერს ბოლო მოეღება! ის ზეგ მიემგზავრება, ასე თქვა თვითონ. არც შეუძლია მეტხანს დარჩეს, თუ ხვალაც არ გაირკვა ყველაფერი... არა, ეს ამბავი ხვალ უნდა გადაწყდეს... მაგრამ არ ვიცი, რა ვუპასუხო? შენ გათხოვილი არ ყოფილხარ და ამიტომ ცხოვრებას არ იცნობ, მაგრამ პატიოსანი ქალი ხარ, ჭკუაც გიჭრის, ორმოც წელს გადააბიჯე. შეგიძლია რაიმე მირჩიო? იცი, როგორ მჭირდება რჩევა?

იდა იუნგმანმა წინდა კალთაში ჩაიდო.

- ჰო ტონიჰენ, მეც ბევრი ვიფიქრე ამაზე. მაგრამ მე მგონია ახლა თავსამტვრევი აღარაფერია, ჩემო შვილიკო. ის კაცი არ შეიძლება ისე გაუდგეს თავის გზას, - იდამ „კზასო“ თქვა, - რომ შენ და შენს დედიკოს არაფერი გითხრათ. შენ თუ უარის თქმას აპირებ, აქამდეც უნდა გაგესტუმრებინა შინ.

- მართალი ხარ, იდა, მაგრამ რომ არ შემეძლო? ხომ იცი, რაც მოსავალია, იმას ვერ გაექცევი. სულ ვფიქრობდი, ჯერ კიდევ შემიძლია უკან დახევა, ჯერ კიდევ არ არის გვიან-მეთქი, ახლა კი ვწევარ და ვიტანჯები.

- შენ ის მოგწონს, ტონი? ნუ დამიმალავ, გულწრფელად მითხარი.

- ჰო, იდა. ტყუილი იქნება, არა-მეთქი, რომ გითხრა. იგი არ არის ლამაზი, მაგრამ ამ წუთისოფელში ეს როდია მთავარი. ბუნებით კეთილი კაცია და ვერავითარ ბოროტებას ვერ ჩაიდენს. ამაში მერწმუნე. გრიუნლიჰი რომ მომაგონდება... ღმერთო! სულ იმას გაიძახოდა, დაუდეგარი და ალღოიანი ვარო და თავის თაღლითურ ბუნებას ამით ფარავდა. პერმანედერს მისი არაფერი სცხია. ასეთი საქმეებისთვის, მართალი თუ გინდა, მეტისმეტად მოუქნელი და თავმიცემულიც კია. არც ასე ვარგა,
იდა. იგი მილიონერი ვერასდროს გახდება, ის კი არა, „არხეინი ცხოვრებისკენაც“ აქვს მიდრეკილება, როგორც იქ ამბობენ, სამხრეთში. იქ ყველა მაგნაირია, სწორედ ამის თქმა მინდა, იდა. მიუნხენში თავისი ყაიდის ხალხში იყო გარეული. მათ ხომ სიტყვა- პასუხიც ერთნაირი აქვთ და საქციელიც. იქ ეს კაცი თითქმის მიყვარდა კიდეც, იმ ხალხში მომხიბლავი, გულმართალი და გულღია მეჩვენებოდა. ისიც მაშინვე შევნიშნე, რომ ჩემი გრძნობა ცალმხრივი არ იყო. შეიძლება მას მდიდარი ქალი ვგონივარ, ვშიშობ, რომ იმაზე უფრო მდიდარი, ვიდრე სინამდვილეში ვარ და მისი გრძნობაც ნაწილობრივ ამითაც არის გამოწვეული. შენ იცი, დედა ახლა ბევრს ვეღარ მომცემს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამის გულისთვის უკან არ დაიხევს. ფულზე დახარბებული სულაც არ არის. კმარა! რას ვამბობდი, იდა?

- მიუნხენშიო, ტონიჰენ, ამბობდი, მაგრამ აქ?

- აქ, იდა! ხომ ხვდები, რისი თქმაც მინდა? აქ იგი თავისი ბუდიდან ამოვარდნილს ჰგავს, აქ ყველანი სხვანაირები არიან, უფრო მკაცრნი და პატივმოყვარენი და, ასე ვთქვათ, უფრო ღირსეულნი. აქ მე მის გამო ხშირად სირცხვილით ვიწვები და ეს, ალბათ, ჩემი მხრივ არც არის კარგი. ბევრჯერ საუბარში „ჩემის“ მაგიერ „ჩემ“ წამოსცდება ხოლმე. სამხრეთში ასე ლაპარაკობენ, იდა. მერწმუნე, ყველაზე განათლებული ხალხიც კი ასე ლაპარაკობს, როცა მხიარულ ხასიათზე არიან ხოლმე.
იქ ამას, შენც არ მომიკვდე, აინუნშიაც არავინ აგდებს. აქ კი... დედა გვერდიდან შეხედავს, ტომი წარბებს შეიკრავს, ბიძია იუსტუსს წაფრუტუნებას არაფერი უკლია, ხომ იცი, კროგერებმა როგორც იციან. ფიფი ბუდენბროკიც დედამისს, ფრიდერიკეს ან ჰენრიეტეს გადახედავს ხოლმე. იმ წუთებში ისე მრცხვენია, მინდა მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს. გათხოვების გაფიქრებაზე ხომ ტანში მაჟრჟოლებს.

- აი, თურმე რა ყოფილა. ტონიჰენ! მაგრამ თქვენ ხომ მიუნხენში იცხოვრებთ!

- მართალი ხარ, იდა, მაგრამ ნიშნობას რა ვუყო, ნიშნობა ხომ უნდა გადავიხადოთ და, აბა, მითხარი, ამ ნიშნობას რა ფასი ექნება, თუ სირცხვილით დავიწვები ჩემი ოჯახისა და კისტენმაკერების, მოლენდორფებისა და სხვების წინაშე. და მერე რატომ? იმიტომ, რომ მას კეთილშობილური გარეგნობა აკლია... აჰ, გრიუნლიჰს გარეგნობაში გაცილებით მეტი კეთილშობილება ეტყობოდა, თუმცა სული შავი ჰქონდა, როგორც ბატონი შტენგელი ამბობდა თურმე... იდა, თავი მიბრუის. შენი ჭირიმე, კომპრესი დამისველე... ეჰ, ჯანდაბას, მოხდეს, რაც მოსახდენია! - ღრმად ამოისუნთქა ტონიმ და იდას გრილი კომპრესი გამოართვა, - ერთი რამეა მთავარი: მე კვლავ გათხოვილი

ქალის სახელი მერქმევა და აქ ქმარგაცილებულს ვეღარავინ დამიძახებს... აჰ, იდა, იმ დღეების გახსენებაც არ მინდა, გრიუნლიჰი რომ მოგვევლინა პირველად, მისი გამოხდომები რომ მაგონდება - ღმერთო, რა საზიზღრობა იყო, იდა! მერე ტრავემიუნდე, შვარცკოფები, - წყნარად დასძინა ტონიმ და ოცნებით სავსე თვალები ერთ წამს ერიკას დაკემსილ წინდას მიაპყრო, - შემდეგ ჩემი ნიშნობა და აიმსბიუტელი, ჩვენი სახლი... იცი, რა დიდკაცური სახლი გვქონდა, იდა? ჩემი პენუარები რომ მომაგონდება... პერმანედერთან, კარგად ვიცი, ისეთებს ვეღარ ვეღირსები. ხომ იცი, იდა, ცხოვრება კაცს წელში გატეხს და ქედს მოახრევინებს. მერე ექიმი კლაასენი, ბავშვის გაჩენა, ბანკირი კესელმაიერი... და მერე დასასრული. ვერც კი წარმოიდგენ, რა შემაძრწუნებელი იყო ეს დასასრული! ეჰ, კაცი რომ ცხოვრებისგან ასეთ მწარე გამოცდილებას მიიღებ... მაგრამ პერმანედერი ბინძურ საქმეებში არ გაერევა - ეს არის ერთადერთი, რისი იმედიც მაქვს. სხვა მხრივაც შეგვიძლია დავენდოთ, ნამდვილად მჯერა, რომ ნოპესთან ერთად ნიდერპაურის ლუდის ქარხანაში კარგ ფულს აკეთებს. მე რომ მისი ცოლი გავხდები, აი, ნახავ, იდა, იმას მაინც მივაღწევ, რომ პატივმოყვარეობის გრძნობა გავუღვიძო. თავი არ უნდა დაზოგოს და უნდა გვასახელოს, პატივი და დიდება შეგვმატოს, ბოლოს და ბოლოს, რამოდენა მოვალეობას კისრულობს, ბუდენბროკების ასულს რომ ირთავს ცოლად!

ტონიმ ხელები თავქვეშ ამოიდო და თვალი ჭერს მიაპყრო.

- დიახ, კარგი ათი წელი გავიდა მას შემდეგ, გრიუნლიჰს რომ გავყევი... ათი წელი! ახლა ისევ იმ დღეში ვარ: ვიღაცას ჩემი თანხმობა უნდა გამოვუცხადო. იცი, იდა, ცხოვრება რა ძნელი რამაა! მაშინ ერთი ამბავი იყო, ყველა ჩამჩიჩინებდა და ჯვარს მაცვამდა, ახლა ყველა ჩუმად არის და ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ამ ქორწინებაზე დავთანხმდები. შენ უნდა მიხვდე, იდა, ალოიზზე გათხოვებაში - ხომ ხედავ, უკვე ალოიზს ვეძახი, რადგან მოსახდენი უნდა მოხდეს - საზეიმო და სასიხარულო არაფერია. ჩემს ბედნიერებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: ესაა, რომ მეორედ გათხოვებით, მშვიდად და უბრალოდ, ჩემი პირველი უიღბლო ქორწინება შემიძლია გამოვასწორო. ამას მავალებს ჩვენი ოჯახის სახელი, ასე ფიქრობს დედა, ასე ფიქრობს ტომიც...

- აბა, რას ამბობ, ტონიჰენ! შენ თუ ეს კაცი არ გინდა და მასთან ბედნიერი არ იქნები...

- იდა, მე ცხოვრებას კარგად ვიცნობ და ისეთი ბატისტვინა აღარა ვარ, ადრე რომ ვიყავი, თავი მხრებზე მაბია და თვალებიც თავის ადგილზე მაქვს. დედამ შეიძლება არც დამაძალოს გათხოვება, ის საჭოჭმანო საკითხებს გვერდს უვლის და მხოლოდ assez-ს ამბობს ხოლმე. მაგრამ ტომი? ტომს უნდა, რომ გავთხოვდე. ტომის ამბავს ნუ მასწავლი! იცი, როგორ მსჯელობს ტომი? ტომი ფიქრობს: ვინც უნდა იყოს! ვინც უნდა იყოს, თუ მთლად უღირსი არ არის. ახლა ბრწყინვალე საქმროს მოძებნას ვინღა
დაეძებს. მთავარია, მეორე ქორწინებით როგორმე პირველი მარცხი გამოსწორდეს. აი,
ასე ფიქრობს ტომი. როგორც კი ჩამოვიდა პერმანედერი, დარწმუნებული იყავი, ტომი

ჩუმ-ჩუმად მის შესახებ ცნობებს შეკრებდა! ეტყობა, ცნობები საკმაოდ კეთილსაიმედო გამოდგა და... უკვე ყველაფერი გადაწყვიტა... ტომი ნამდვილი პოლიტიკოსია, იცის, რაც უნდა. ვინ გაუძახა ქრისტიანს კარში? მართალია, მაგარ გამოთქმას ვხმარობ, იდა, მაგრამ სინამდვილეში ხომ ასე იყო? მერედა, რატომ? იმიტომ, რომ ქრისტიანი ფირმას და ოჯახს ჩირქს სცხებდა, მის თვალში მეც ამასვე ჩავდივარ, იდა, საქციელით და ლაპარაკით კი არა, ჩემი არსებობით. აბა, რა სასახელოა ქმარს გაცილებული ქალი? თომასს უნდა, ამ ამბავს როგორმე ბოლო მოუღოს და მართალიც არის. ღმერთმა იცის, ტომი ამის გამო ნაკლებად არ მიყვარს და იმედი მაქვს, მასაც ასევე ვუყვარვარ. მეც ამ წლების მანძილზე ცხოვრების ხელახლა დაწყებას ვესწრაფოდი.

იმ ღამეს ტონიმ კიდევ ბევრი ცხოვრებისეული სიბრძნე გადმოაფრქვია. აქა-იქ მაინც გამოურევდა ხოლმე, მოსახდენი უნდა მოხდესო და შემდეგ ხუთი საათის განმავლობაში უდრტვინველი და ღრმა ძილით ეძინა.

მეექვსე თავი

ქალაქი ჯერ კიდევ ნისლში იყო გახვეული, მაგრამ იოჰანისშტრასელმა ბატონმა ლონგემ, საქირაო კარეტების პატრონმა, გადახურული, ღიაგვერდებიანი დიდი ეტლი პირადად თვითონ მოაყენა მენგშტრასეზე და განაცხადა, ერთ საათში მზე გამოაჭყეტსო. ყველას შეეძლო გულდამშვიდებული ყოფილიყო - ასეც იქნებოდა.

კონსულის მეუღლემ, ანტონიამ, ბატონმა პერმანედერმა, ერიკამ და იდა იუნგმანმა ერთად ისაუზმეს და სამგზავროდ გამზადებულებმა ნელ-ნელა თაღის ქვეშ მოიყარეს თავი. გერდასა და ტომს აქ უნდა დალოდებოდნენ. ფრაუ გრიუნლიჰს ატლასის ყელსახვევით დამშვენებული კრემისფერი კაბა ეცვა. წუხანდელი ძილნაკლულობა სულ არ ეტყობოდა, ჩინებულად გამოიყურებოდა, ყოყმანი და გულის კანკალი, როგორც ჩანდა, დაეძლია. სტუმართან საუბარში გართული თხელ ხელთათმანებზე ღილებს აუჩქარებლად იკრავდა და სახეზე მშვიდი, მტკიცე და თითქმის საზეიმო გამომეტყველება უკრთოდა. ფრაუ გრიუნლიჰს კვლავ დაუბრუნდა უწინდებური განწყობილება: საკუთარი პიროვნების ღირსებას, მასზე დაკისრებული გადამწყვეტი ნაბიჯის მნიშვნელობას კარგად გრძნობდა. კვლავ დადგებოდა დღე, რომელიც ოჯახის მატიანეში ახალ ფურცელს გადაშლიდა. ამის შეგნება ტონის სიამაყით ავსებდა და გულს უძგერებდა. წუხანდელ ღამეს სიზმარში ოჯახის მატიანის იმ გვერდს ხედავდა, სადაც თავისი მეორე ქორწინების ფაქტი უნდა აღენიშნა. ამ ქორწინებას მატიანის ფურცლებზე შემონახული შავი ლაქა უნდა წარეხოცა. ახლა ტონი თომასის გამოჩენას გულის ფანცქალით ელოდებოდა, რომ ძმისთვის სერიოზულად და მძიმედ დაეკრა თავი.

ტომი და გერდა ცოტა დაგვიანებით მოვიდნენ - კონსულის ახალგაზრდა მეუღლე ასე ადრე ადგომას მიჩვეული არ იყო. თომასს ღია ყავისფერი, წვრილუჯრედებიანი კოსტიუმიდან საზაფხულო ჟილეტი მოუჩანდა. სახეზე სიმხნევე ეტყობოდა. როცა ტონის უჩვეულო ღირსებით აღსავსე სახე დაინახა, თომასს თვალები აუციმციმდა. გერდას სასეირნო განწყობილება სულაც არ ემჩნეოდა. მისი ოდნავ ავადმყოფური და იდუმალი მშვენიერება მულის ჯანსაღ სილამაზესთან უცნაურ კონტრასტს ქმნიდა. ალბათ, გერდას ძილი აკლდა. კონსულის ახალგაზრდა მეუღლეს მუქი ლილისფერი რობი ეცვა. ეს ფერი მის ხშირ თმას სიხასხასეს მატებდა, სახის კანს კი უფრო თეთრსა და ფერმკრთალს უჩენდა. ახლო-ახლო განლაგებულ მუქთაფლისფერ თვალებქვეშ მოლურჯო ჩრდილები ჩვეულებრივზე მეტად ჩამუქებოდა. გერდამ დედამთილს ცივად მიუშვირა საკოცნელად შუბლი, ბატონ პერმანედერს კი ხელი საკმაოდ ირონიული ღიმილით გაუწოდა. ფრაუ გრიუნლიჰმა რძლის დანახვაზე ხელი ხელს შემოჰკრა და ხმამაღლა წამოიძახა:

- გერდა, ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი ხარ!

გერდამ მასაც უღიმღამო და არაფრისმთქმელი ღიმილი შეაგება. კონსულის ახალგაზრდა მეუღლეს დღევანდლის მსგავსი ამბები ჭირივით ეზარებოდა, მით უმეტეს - ზაფხულში და ისიც კვირადღეს. შინ ფანჯრებზე ფარდები მეტწილად ჩამოშვებული ჰქონდა და ოთახებში მუდამ ბინდი იდგა, თვითონ გარეთ იშვიათად გამოდიოდა, ბუღსა და საკვირაოდ მორთულ-მოკაზმულ ბიურგერებს გაურბოდა. ყავის, ლუდისა და თამბაქოს სუნსაც ვერ იტანდა. ქვეყანაზე ყველაფერზე უფრო დასიცხვა და მოუსვენრობა ეჯავრებოდა.

- ჩემო კარგო, - სხვათა შორის უთხრა გერდამ თომასს, როცა შვარტაუსა და „რიზებუშისკენ“ გასეირნება გადაწყდა: მიუნხენელ სტუმარს ქალაქის შემოგარენიც ხომ უნდა გაეცნო, - ხომ იცი, ღმერთს მე სიმშვიდისა და მყუდრო ცხოვრებისთვის გავუჩენივარ... ჩემისთანები მყუდროების დარღვევასა და ყოველდღიური ცხოვრების შეცვლას ვერ იტანენ. მე მგონია, მაპატიებთ, რომ...

გერდა არც გაჰყვებოდა თომასს ცოლად, ასეთ დროს მისი მხარდაჭერის იმედი რომ არ ჰქონოდა.

- ღმერთმანი, მართალი ხარ, გერდა. ასეთი გასეირნება კაცს სიამოვნებას ანიჭებსო, რომ ამბობენ, ეგ მონაგონია, მაგრამ ასეთ გართობაზე თუ უარს მაინც არ ამბობ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ გინდა სხვებისა და არც საკუთარ თვალში ახირებული კაცი გამოჩნდე. ასეთი თავმოყვარეობის ჭია ყველას ღრღნის, შენ არა, გერდა? ასე რომ არ მოიქცე, შეიძლება მარტოობის მოყვარულ, უბედურ ადამიანად ჩაგთვალონ და პატივიც აღარ გცენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გერდა, ჩვენ ყველას გვაქვს მიზეზი, ბატონ პერმანედერს ცოტა მოვეფეროთ. დარწმუნებული ვარ, შენც კარგად გესმის, რასაც ვგულისხმობ. რაღაც ქსელი იბმება და ძალიან გული დამწყდება, ეს საქმე რომ საბოლოოდ არ დაგვირგვინდეს.

- მე, ჩემო მეგობარო, კარგად ვერ გამიგია, ჩემი იქ ყოფნა რამდენად... კარგი, ამას არა აქვს მნიშვნელობა. რახან შენ გინდა, ასე იყოს. ამ სიამოვნებასაც ნუ მოვიკლებთ.

- ნამდვილად მადლობელი დაგრჩები, გერდა.

ყველანი ქუჩაში გამოეფინენ. მართლაც, მზის სხივები უკვე იჭრებოდა დილის ნისლში. წმინდა მარიამის ეკლესიის ზარები საკვირაოდ რეკავდნენ, ჰაერში ჩიტების ჟღურტული ისმოდა. მეეტლემ ქუდი მოიხადა. კონსულის მეუღლემ პატრიარქალური გულმოწყალების გამო, რაც თომასს ხშირად ოდნავ უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა ხოლმე, მეეტლეს მეტისმეტად გულთბილად შესძახა, დილა მშვიდობისაო. შემდეგ თავისიანებს მიუბრუნდა:

- აბა, ყველანი ამოდით, ჩემო კარგებო! ახლა ცისკრის ლოცვის დრო კია, მაგრამ დღეს ბუნების წიაღში ვადიდებთ უფალს. არა, ბატონო პერმანედერ?

- მართალსა ბრძანებთ, ფრაუ კონსულო!

თუნუქის საფეხურებით ყველანი ეტლში ავიდნენ და რბილ მერხებზე დასხდნენ. ეტლი ათ კაცსაც თავისუფლად დაიტევდა. მერხებზე, ალბათ, ბატონ პერმანედერის პატივსაცემად, თეთრი, ცისფერზოლებიანი ქსოვილი გადაეკრათ. ეტლის კარის საკლიტულმა გაიჩხაკუნა. ბატონმა ლონგემ ენა გააწკლაპუნა და ცხენებს შემოუძახა. კუნთმაგარი წაბლა ცხენები ადგილიდან დაიძრნენ.

ეტლი მენგშტრასეს დაღმა ჩაუყვა, ჯერ ტრავეს ნაპირები მოიტოვა უკან, მერე ჰოლშტენის კარიბჭე გაიარა და ბოლოს მარჯვნივ, შვარტაუს შარაგზაზე გავიდა.

მინდვრები, მდელოები, ჭალები, კარ-მიდამოები... ცისკენ მიმავალ, შეთხელებულ, მოცისფრო ნისლში ტოროლების ხმა ისმოდა და ყველანი მათ დანახვას ლამობდნენ. თომასი პაპიროსს აბოლებდა და ირგვლივ ყურადღებით იყურებოდა. როცა
ხორბლის ყანებს ჩაუვლიდნენ, ბატონ პერმანედერს რაღაცას უხსნიდა. სვიის ვაჭარმა მართლა ყმაწვილივით მოილხინა, არჩვის ბალნით დამშვენებული მწვანე ქუდი ოდნავ გვერდზე ჰქონდა მოგდებული, ცდილობდა რქის დიდკაუჭიანი ხელჯოხი ხან თეთრ, ფართო ხელისგულზე გაეჩერებინა, ხან კი ქვედა ტუჩით დაეჭირა. ნომერი არ გამოსდიოდა, ჯოხი ყოველთვის უვარდებოდა, მაგრამ პატარა ერიკასგან ჯილდოდ ტაშს იმსახურებდა. ბატონმა პერმანედერმა რამდენჯერმე გაიმეორა:

- დიდი მწვერვალები რომ არ შეგვხვდება, კი ვიცი, მარა ცოტა ახოხება მაინც მოგვიწევს, დიდ გაწამაწიაში კი ვიქნებით, ჰაი, დედასა, რა სიამოვნება გველის, არა, ფრაუ გრიუნლიჰ?

შემდეგ ბატონმა პერმანედერმა დიდი გატაცებით დაიწყო მთაში ზურგჩანთებითა და წერაყინებით მოგზაურობის ამბების მოყოლა. კონსულის მეუღლეს დროდადრო გაოცების შეძახილები აღმოხდებოდა ხოლმე.

შემდეგ სრულიად მოულოდნელად ბატონმა პერმანედერმა ქრისტიანი ახსენა: გული მწყდება, რომ აქ არ არის, გამიგონია, გულგახსნილი და მხიარული კაციაო.

- გააჩნია როდის, - თქვა კონსულმა, - ასეთ დროს მართლაც შეუდარებელი გახლავთ. ჩვენ დღეს კიბოებს მივირთმევთ, ბატონო პერმანედერ! - მხიარულად წამოიძახა მან, - კიბოებსა და აღმოსავლეთის ზღვის კიბორჩხალებს! თქვენ დედაჩემთანაც გიგემნიათ კიბორჩხალები, მაგრამ ჩემს მეგობარ დიკმანს, რესტორან „რიზებუშის“ პატრონს, მუდამ საუკეთესო კიბოები და კიბორჩხალები აქვს ხოლმე. მერე აქაურ განთქმულ თაფლის კვერებს აღარ იკითხავთ? თუ მათ ქებას ჯერ იზარამდე არ მოუღწევია? აი, თქვენ თვითონ მიირთმევთ და ნახავთ!

ფრაუ გრიუნლიჰმა რამდენჯერმე გააჩერებინა ეტლი, გზისპირებზე ყაყაჩოები და ღიღილოები დაკრიფა. ბატონ პერმანედერს ერთი სული ჰქონდა, ტონის მიშველებოდა, მაგრამ ეტლიდან ასვლა-ჩამოსვლა მისთვის არც ისე იოლი იყო და საბოლოოდ თავი შეიკავა.

ერიკა ყოველი ყორნის წამოფრენაზე სიხარულით ცას ეწეოდა. იდა იუნგმანი უღრუბლო ამინდშიც არ იცილებდა საწვიმარსა და ქოლგას, როგორც ნამდვილ აღმზრდელს შეჰფერის, იგი ბავშვის გუნება-განწყობილებას მხოლოდ გარეგნულად კი არ ეპასუხებოდა, სიხარულს თვითონაც ბავშვურად განიცდიდა და მოურიდებლად ჭიხვინებდა. გერდა არ იყო ამ ოჯახში იდა იუნგმანის გაჭაღარავების მოწმე და ამიტომ აღმზრდელს, ცოტა არ იყოს, ცივად და გაკვირვებით შესცქეროდა.

უკვე ოლდენბურგის საჰერცოგოში იყვნენ. გზა წიფლნარში მიდიოდა. ეტლი პატარა დაბაში შეგრიალდა, ოწინარიანი ჭით დამშვენებული ბაზრის მოედანი გადაიარა და ისევ ველზე გავიდა. ბოლოს პატარა მდინარე აუზე გადებულ ხიდზე გარახრახდა და ერთსართულიან სამიკიტნოსთან შეჩერდა. სამიკინტო „რიზებუშს“ ცალ მხარეს სოფლურ ყაიდაზე გაკეთებული, ქვიშიანი ბილიკებითა და ყვავილნარებით შემკული მდელო ეკრა, მეორე მხარეს კი, ფერდობზე, ტყე ამფითეატრივით იყო შეფენილი.

ამფითეატრის ტერასები ერთმანეთს გამოჩორკნილი კიბით უერთდებოდა, საფეხურებად ზოგან ხის ვეება ფესვები, ზოგან ლოდები იყო გამოყენებული. ტერასებზე, ხეების ჩრდილქვეშ, თეთრად შეღებილი მაგიდები, მერხები და სკამები იდგა.

ბუდენბროკები პირველი სტუმრები არ ყოფილან, რამდენიმე ჩასუქებული მოსამსახურე გოგო და ერთი გაქონილ ფრაკში გამოწყობილი ოფიციანტი მოედანზე დაქროდნენ, ცივი საუზმე, ლიმონათები, რძე და ლუდი მაგიდებისკენ მიჰქონდათ. რამდენიმე ოჯახი ბავშვებიანად წასულიყო და ზევით, ერთმანეთის შორიშორს უკვე დაეკავებინა ადგილი.

ხალათის ამარა გამოსულ მედუქნე დიკმანს თავზე ყვითელი ძაფით ამოქარგული ქუდი წამოეკოსებინა. ახალმოსულებს თვითონ შეეგება და ეტლიდან ჩამოსვლაში

მოეხმარა. როცა მეეტლე ცხენების გამოსახსნელად გვერდზე გავიდა, კონსულის მეუღლემ მედუქნეს უთხრა:

- ჩვენ ჯერ გავისეირნებთ, ჩემო კარგო, მერე კი ერთი საათის, საათ-ნახევრის შემდეგ საუზმეს გეახლებით. ჩვენთვის ზევით გააშლევინეთ სუფრა. ძალიან მაღლა არ გინდათ, მე მგონი, მეორე შვერილზე აჯობებს.

- აბა, თქვენ იცით, დიკმან, - დასძინა კონსულმა, - პატივსაცემი სტუმარი გვყავს.

ბატონმა პერმანედერმა შეიცხადა:

- არა, ღმერთმანი, არა! მე ლუდით და ყველითაც იოლად გავალ!..

ბატონმა დიკმანმა ვერაფერი გაიგო და სხაპასხუპით მიაყარა:

- ყველაფერს მოგართმევთ, რაც გვაქვს, ბატონო კონსულო: კიბოებს, კიბორჩხალებს, ნაირ-ნაირი ძეხვი მოგვეძევება, ნაირ-ნაირი ყველი, შებოლილი გველთევზა, შებოლილი ორაგული, შებოლილი თართიც გახლავთ.

- კარგი, დიკმან, თქვენ იცით. მოგვიტანეთ კიდევ ექვსი ჭიქა რძე და ერთი ტოლჩა ლუდი. ასე ხომ, ბატონო პერმანედერ?

- ერთი ლუდი, ექვსი რძე... - გაიმეორა დიკმანმა, - რძეს როგორს ინებებთ: ახალმოწველილს, დოს, შედედებულს თუ დადუღებულს, ბატონო კონსულო?

- ახალმოწველილიც მოგვართვით და დოც, დიკმან! მაშ, ასე, ერთ საათში, ხომ?

ბუდენბროკებმა მოედანი გადაიარეს.

- ჯერ ზევით წყარო უნდა მოვინახულოთ, ბატონო პერმანედერ, - თქვა თომასმა, - ამ წყაროს აუს წყარო ჰქვია. აუ პატარა მდინარეა. შვარტაუ აუზე გახლავთ გაშენებული. გადმოცემით, ჩვენი ქალაქიც პირქუშ შუა საუკუნეებში თურმე ამავე მდინარეზე მდებარეობდა. მერე ხანძარს მთლად გადაუბუგავს - როგორი აშენებული იქნებოდა, მოგეხსენებათ. შემდეგ ტრავეზე ხელახლა აუშენებიათ ქალაქი. ისე, ამ მდინარის სახელთან მტკივნეული მოგონებებიც მაკავშირებს. ჩემს ბიჭობაში ერთი სისულელე დიდ ხუმრობად ითვლებოდა: ერთმანეთს მკლავზე ვჩქმეტდით და ტკივილისგან გამწარებულს სანამ „აუს“ არ ვათქმევინებდით, მანამდე არ მოვეშვებოდით ხოლმე.

ქარაფამდე ათიოდე ნაბიჯი აშორებდათ. თომასმა სიტყვა უცებ გაწყვიტა:

- ჩვენთვის დაუსწრიათ. აგერ მოლენდორფები და ჰაგენშტრომები!..

მართლაც, იქ, მაღლა, ტყიანი ფერდობის მესამე ტერასაზე, ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმულ მაგიდებთან სარფიანად დანათესავებული ორი ოჯახის წევრები ისხდნენ და საუზმობდნენ. სუფრას მოხუცი სენატორი მოლენდორფი უფროსობდა,

ფერმკრთალი, თეთრ, მეჩხერბაკენბარდებიანი მოხუცი. მას შაქრის ავადმყოფობა სჭირდა.

სენატორის მეუღლეს, ლანგჰალსების ასულს, ჭაღარა თმა ჩვეულებისამებრ გაეწეწა და გრძელტარიანი ლორნეტი თვალებთან ხშირად მიჰქონდა. მისი ვაჟიც აქ იყო, აუგუსტი, ქერა, ზრდილი ახალგაზრდა კაცი, იულჰენ ჰაგენშტრომის მეუღლე. იულჰენ მოლენდორფს, ტანმორჩილ, შავთვალა, მკვირცხლ ქალს ბიბილოებში თითქმის თავისი თვალებისოდენა ბრილიანტის საყურეები ეკიდა. იგი თავის ძმებს, ჰერმანსა და მორიცს შორის იჯდა. კონსული ჰაგენშტრომი ჭამა-სმის მოყვარული კაცი იყო და ამ ბოლო დროს ღვიძლის პაშტეტს ლოგინშივე გეახლებოდათ. ჰერმან ჰაგენშტრომს წითური, ხშირი წვერი მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი, ცხვირი კი - დედისეული ცხვირი - ზედა ტუჩზე დატყაპნოდა. დოქტორ მორიცს, მკერდჩავარდნილ, პირყვითელა კაცს, გაცხარებულ საუბარში წვეტიანი, ჭიანი კბილები მოუჩანდა. ორივე ძმას მხარს მეუღლეები უმშვენებდნენ. იურისპრუდენციის დოქტორსაც დიდი ხანია შეერთო ცოლი, ვინმე ჰამბურგელი ფროილაინ პუტფარკენი. ქალს კარაქისფერი თმა და უსიცოცხლო, ინგლისური ტიპის, მაგრამ ზედმიწევნით მშვენიერი და მწყობრნაკვთებიანი სახე ჰქონდა. დოქტორ ჰაგენშტრომს დიდი ესთეტის სახელი ჰქონდა გავარდნილი და არ
შეიძლებოდა, უსახური ქალი შეერთო. უფროსებს ბავშვებიც თან წამოეყვანათ: ჰერმან ჰაგენშტრომის პატარა გოგონა და მორიცის პატარა ვაჟი. ბავშვები თავიდან ფეხებამდე თეთრებში იყვნენ გამოწყობილი. ისინი თითქმის დანიშნულებად ითვლებოდნენ - ჰუნეუსისა და ჰაგენშტრომების ქონება არ უნდა დაქსაქსულიყო. ყველანი ლორიან ტაფამწვარს მიირთმევდნენ.

ბუდენბროკები მათ მხოლოდ მაშინ მიესალმნენ, როცა მთლად გაუსწორდნენ. კონსულის მეუღლემ ოდნავ დაბნეულად და ამავე დროს გაოცებულმა დახარა თავი, თომასმა ქუდი მოიხადა და ტუჩები შეარხია, თითქოს ვალის მოსახდელად მისასალმებელ სიტყვებს წარმოთქვამსო, გერდამ სუფრასთან მსხდომთ ცივად დაუკრა თავი, აღმართზე სიარულით აღგზნებულმა ბატონმა პერმანედერმა კი თავისი მწვანე ქუდი გულღიად გააქნია და ხალისიანად დასჭექა, დილა მშვიდობისა, ბატონებო, დილა მშვიდობისაო.

მის შეძახილზე სენატორის მეუღლემ, ქალბატონმა მოლენდორფმა ლორნეტი მოიმარჯვა. ტონიმ მხრები ოდნავ აიწურა, თავი უკან გადაიგდო, თან ჩვეულებისამებრ, შეეცადა ნიკაპი მკერდზე დაებჯინა, მოსაუზმეებს ზემოდან გადახედა და იულჰენ მოლენდორფის ფართოფარფლებიან, ელეგანტურ შლაპას თვალი აარიდა. ამ წუთში ტონიმ საბოლოო და მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო.

- მადლობა ღმერთს, ტომ, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი საათის შემდეგ ვისაუზმებთ! სულაც არ მეპიტნავება, იულჰენმა პირში მიყუროს. შეამჩნიე, როგორ მომესალმა?

თითქმის არც უპასუხია სალამზე. მერე, სიმართლე თუ გინდა იცოდე, დიდი უგემოვნო შლაპა ეხურა.

- კარგი, შლაპას თავი დავანებოთ. უფრო გულთბილად არც შენ მისალმებიხარ, ჩემო კარგო. საერთოდ, ეცადე, გულს არ შეასკდე, ნაოჭები გაგიჩნდება.

- გულს შევასკდე? ეგღა მაკლია! ამ ხალხს თუ ჰგონია, ჩვენ ვართ, რაცა ვართო, სასაცილოა და მეტი არაფერი. მე შენ გეკითხები, რა განსხვავებაა ჩემსა და ამ იულჰენს შორის? ის, რომ ქმრად ჩემსავით თაღლითი კი არა, ყეყეჩი შეხვდა, როგორც იდა იტყვის ხოლმე. ეგ უბედური, ეგა! ჩემს დღეში რომ ჩავარდნილიყო, ნახავდა, როგორ იშოვიდა მეორე ქმარს!

- საიდან ჩანს, რომ შენ იშოვი მეორეს?

- ყეყეჩს, ტომ?

- თაღლითს მაინც ყეყეჩი სჯობია.

- არც ერთია აუცილებელი და არც მეორე, მაგრამ ეს რა სალაპარაკოა.

- მართალი ხარ. ჩვენ ჩამოვრჩით. რა ყოჩაღად მიდის ბატონი პერმანედერი!

მოსეირნეებმა ჩრდილიან გზაზე გაივაკეს და მალე წყაროს მიადგნენ. ეს იყო მშვენიერი, რომანტიკული ადგილი. პატარა ხევზე ხის ხიდი იყო გადებული. დაკბილულ ქარაფებზე ფესვებგაშიშვლებული ხეები გადმოკიდებულიყო. კონსულის მეუღლეს თან დასაკეცი ვერცხლის ფიალა წამოეღო და პატარა, ქვის აუზიდან ცივ, რკინიან წყალს იმით იღებდნენ.

ბატონ პერმანედერს გალანტურობის ჟინმა მოუარა, მხოლოდ ფრაუ გრიუნლიჰის მიწოდებულ სასმისს იღებდა და მადლიერებით აღვსილი წამდაუწუმ იმეორებდა, რა კარგიაო. კონსულის მეუღლეს, თომასს, გერდას, ტონისა და პატარა ერიკასაც ნაზად და დიდი ყურადღებით ელაპარაკებოდა. გერდას პაპანაქება სიცხისგან ნერვები ჰქონდა აშლილი და ხმას არ იღებდა, მაგრამ, როცა მოკლე გზით უკან დაბრუნდნენ და ტერასაზე ნაირ-ნაირი საუზმეულით სავსე სუფრას შემოუსხდნენ, ისიც გამოცოცხლდა და თავაზიანი სიტყვებით სინანული გამოთქვა, რა ცუდია, ბატონი პერმანედერის გამგზავრების დღე ასე რომ მოახლოვდაო. ახლა, როცა ერთმანეთს ცოტა დავუახლოვდით და ერთმანეთის დიალექტიც უკვე კარგად გვესმისო. ისიც კი შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, ჩემს მეგობარსა და მულს ტონის ორჯერ თუ სამჯერ „ღმერთო, შეგვეწიე“ ბავარიულ დიალექტზე ვირტუოზულად გამოუვიდაო.

ბატონ პერმანედერს „გამგზავრების“ ხსენებაზე ხმა არ ამოუღია, სუფრაზე დახვავებულ სასუსნავს მიჰყო ხელი. ასეთ საჭმელებს დუნაის გაღმა დიდხანს ვეღარ ეღირსებოდა.

ნაირ-ნაირი კერძები აუჩქარებლად მიირთვეს, პატარა ერიკას ყველაფერზე უფრო აბრეშუმის ქაღალდის ხელსახოცები მოეწონა. ქაღალდის ხელსახოცები შინაურ ფართო, ტილოს ხელსახოცებზე გაცილებით ლამაზი ეჩვენებოდა და ოფიციანტის ნებართვით რამდენიმე ცალი სახსოვრად ჯიბეში ჩაიდო.

ბატონმა პერმანედერმა საუზმეს რამდენიმე საოცრად შავი სიგარა დააყოლა, კონსულმა პაპიროსი გააბოლა. ბუდენბროკები სტუმართან ერთად კიდევ დიდხანს ისხდნენ სუფრასთან და თავს საუბრით იქცევდნენ. ერთი რამ კი უნდა ითქვას: ბატონი პერმანედერის გამგზავრება აღარავის აგონდებოდა და საერთოდ, მომავალზე ლაპარაკისგან ყველანი თავს იკავებდნენ. უფრო მოგონებებით ერთობოდნენ, უკანასკნელი პოლიტიკური ამბებიც გაიხსენეს, ქალბატონმა ბუდენბროკმა განსვენებული მეუღლის მონაყოლი, 1848 წლის დროინდელი ანეკდოტები გამოქექა. ბატონმა პერმანედერმა სიცილით გული იჯერა და თავის მხრივ ბუდენბროკებს მიუნხენის რევოლუციისა და ლოლა მონტეზის ამბავი მოუთხრო. ფრაუ გრიუნლიჰს ამ ქალის თავგადასავალი უზომოდ აინტერესებდა.

ნაშუადღევის მეორე საათი იყო. ერიკამ იდასთან ერთად გაისეირნა. სიცხისგან ალმურადენილმა ბავშვმა თან მთელი მკლავი გვირილები და სხვადასხვანაირი ბალახბულახი მოიტანა და უფროსებს თაფლის კვერები შეახსენა. ყველანი შვარტაუში წასასვლელად წამოიშალნენ. ამასობაში დღევანდელმა მასპინძელმა, კონსულის მეუღლემ ოქროს ფულით მედუქნესთან ანგარიში გაასწორა.

ბუდენბროკებმა განკარგულება გასცეს, ერთ საათში ეტლი შებმული ყოფილიყო. სადილობამდე უნდოდათ დაბაში ცოტა შეესვენათ. შემდეგ მთის ძირში შეფენილი დაბალი სახლებისკენ ნელ-ნელა დაიძრნენ, რადგან მტვრიან გზაზე მზე უმოწყალოდ აჭერდა.

აუს ხიდზე გადასვლისთანავე მოსეირნენი თავისთავად დაიყვნენ: ყველაზე წინ იდა იუნგმანი აღმოჩნდა. იგი არაჩვეულებრივად გრძელ ნაბიჯებს ადგამდა. მის გვერდით ერიკა მიკუნტრუშებდა და გზაზე პეპლებს იჭერდა, მათ კონსულის მეუღლე, თომასი და გერდა მიჰყვებოდნენ. ყველაზე ბოლოს, დანარჩენებისგან ოდნავ მოშორებით, ფრაუ გრიუნლიჰი და ბატონი პერმანედერი მიდიოდნენ. ხანდახან ერიკას კისკისი ისმოდა, გოგონას კეთილი ჭიხვინით იდაც აძლევდა ბანს. დანარჩენები ჩუმად მიაბიჯებდნენ. გერდას მტვერმა ისევ აუშალა ნერვები, მოხუცი ქალბატონი და მისი ვაჟი კი ფიქრებს მისცემოდნენ. არც ფრაუ გრიუნლიჰისა და ბატონ პერმანედერის ხმა ისმოდა, თუმცა სინამდვილეში ტონი და ბავარიელი სტუმარი წყნარად და ინტიმურად საუბრობდნენ. რაზე ლაპარაკობდნენ? ბატონ გრიუნლიჰზე...

ბატონმა პერმანედერმა ტონის შეაპარა, ერიკა საყვარელი და ლამაზი გოგონაა, თუმცა თავის ქალბატონ დედიკოს სულ არა ჰგავსო.

ტონიმ უპასუხა:

- ერიკა ზედგამოჭრილი მამაა, გრიუნლიჰი კი, რაც მართალია, მართალია, გარეგნულად ნამდვილი ჯენტლმენი იყო! ისეთი ოქროსფერი ბაკენბარდები ჰქონდა, სავსებით ორიგინალური; მსგავსი ბაკენბარდები მას მერე არც მინახავს.

ტონის თავისი ქორწინების ამბები მიუნხენშივე საკმაოდ დაწვრილებით ჰქონდა მონათხრობი, ბატონმა პერმანედერმა კიდევ ერთხელ გამოჰკითხა ყველაფერი. იგი განსაკუთრებით გრიუნლიჰის გაკოტრების ამბებით დაინტერესდა და თან თვალებს შიშნარევი თანაგრძნობით აპაჭუნებდა.

- ის ბოროტი კაცი იყო, ბატონო პერმანედერ, თორემ, მერწმუნეთ, მამა ქმარს არ მომაშორებდა. ეჰ, ქვეყანაზე ყველას როდი დაჰყვება კეთილი გული, ეს კი მასწავლა
ამ ცხოვრებამ; თუმცა ჯერ არ დავბერებულვარ და ათი წელია ქვრივი თუ რაღაც ამდაგვარი გახლავართ. ის ხომ ბოროტი იყო და იყო, მაგრამ კესელმაიერი, მისი ბანკირი, იმაზე უფრო ბოროტი და თან ლეკვივით ტუტუცი გახლდათ. ამით იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს ჩემს თავს უცოდველ ანგელოზად ვთვლიდე. ცუდად ნუ გამიგებთ! გრიუნლიჰი არაფრად მაგდებდა, ჩემთან თუ იჯდა, ერთთავად გაზეთს კითხულობდა. თვალს მიხვევდა და მუდამ აიმსბიუტელში მამყოფებდა. მეტი რა გზა ჰქონდა: ქალაქში ხომ შემეძლო გამეგო, რა ჭაობშიც იყო ჩაფლული... მაგრამ მეც ერთი სუსტი ქალი ვარ, მეც ვცდებოდი, საქმეს ყოველთვის კარგად ვერ ვუძღვებოდი. ცოტა თავქარიანი ვიყავი, პენუარებში უამრავ ფულს ვფლანგავდი და ქმარს ბევრ სადარდებელს ვუჩენდი. ერთი რამ უნდა დავძინო: მე შეიძლება მეპატიოს ჩემი დანაშაული, იმიტომ, რომ ბავშვი ვიყავი, ნამდვილი ბატისტვინა, სულელი გოგო. დამიჯერებთ? გათხოვებამდე სულ ცოტა ხნით ადრე გავიგე, რომ ოთხი წლის წინ უნივერსიტეტისა და პრესისთვის ახალი ფედერალური კანონები ყოფილა შემოღებული, მშვენიერი კანონები! აჰ, მართლა რა დასანანია, რომ ადამიანი ამ ქვეყანაზე მხოლოდ ერთხელ ცხოვრობს, ბატონო პერმანედერ! თავიდან რომ შეიძლებოდეს ცხოვრების დაწყება ზოგ რამეს უფრო ჭკვიანურად შეხედავდა კაცი.

ტონი გაჩუმდა და დაძაბული მიწას დააჩერდა. მან ბატონ პერმანედერს საკმაოდ მარჯვედ მისცა საუბრის გაგრძელების საშუალება. ახლა ადვილი იყო იმის თქმა: სავსებით ახალი ცხოვრების დაწყება შეუძლებელია, მეორედ უკეთესად გათხოვება კი ნამდვილად შესაძლებელიაო. მაგრამ ბატონმა პერმანედერმა ეს შემთხვევა ხელიდან გაუშვა. მხოლოდ ერთი მოახერხა, ბატონი გრიუნლიჰის ლანძღვა-გინებას მოჰყვა და თან ისე გაცხარდა, რომ პატარა, მრგვალ ნიკაპზე წვერი ყალყზე დაუდგა.

- უხ, ის ყეყეჩი, ისა! ის უსირცხვილო ნაგაზი! ახლა ხელში მომცა და მე ვიცი, ყბაში როგორს გავულაწუნებდი!

- თფუ, ბატონო პერმანედერ! იმის ლანძღვა-გინება რა საკადრისია. ჩვენ მოვალენი ვართ მივუტევოთ და დავივიწყოთ შეცოდებანი მისნი, უფალი გვიბრძანებს, შურისგება ჩემი ნებაარ... აბა, ჰკითხეთ დედას. ღმერთო, შენ დამიფარე... არც ვიცი,

გრიუნლიჰი ახლა სად არის და როგორ ცხოვრობს, მაგრამ ყოველგვარ სიკეთეს ვუსურვებ, თუმცა ამის ღირსი არ არის.

ამასობაში ქვემოთ ჩამოვიდნენ და საფუნთუშეს პატარა შენობას მიადგნენ. საუბარში ისე იყვნენ გართულნი, არც კი შეუტყვიათ, როგორ შეჩერდნენ, თუმცა აქამდე სრულიად ზედმეტ და უბრალო საქმეებზე ლაპარაკობდნენ. ასევე ანგარიშმიუცემლად შეჰყურებდნენ, დუქნის სასაცილო დაბალ კარში წაკუზული იდა, ერიკა, კონსულის მეუღლე, თომასი და გერდა როგორ უჩინარდებოდნენ.

ისინი მესრით შემოღობილი, გრძელი, ვიწრო ყვავილნარის გვერდით იდგნენ. ყვავილნარში ორიოდე რეზედა ხარობდა. ფრაუ გრიუნლიჰს დასიცხული თავი ჩაექინდრა და ყვავილნარის ფხვიერ შავ მიწას ქოლგის წვერით ბეჯითად ჩიჩქნიდა. ბატონ პერმანედერს არჩვისბალნიანი მწვანე ქუდი შუბლზე აეწია, ტონისთან სულ ახლოს იდგა და ხელჯოხით ყვავილნარის მიწის თხრაში ეხმარებოდა, თავი მასაც ჩაეკიდა, მხოლოდ პატარა, ღია ცისფერი, შეშუპებული თვალები გაბრწყინებოდა, ცოტა ჩასწითლებოდა კიდეც და ტონის ქვემოდან ერთგულად, ნაღვლიანად და მოლოდინით შეჰყურებდა. ტუჩებზე ფოჩისებურად ჩამოშვებული ულვაშებიც თითქოს ნაღვლიანად დაჰკიდებოდა.

- ახლა თქვენ, - თქვა მან, - ჯოჯოხეთივით გეშინიათ გათხოვების, არა? და არც გინდათ, ერთხელ კიდევ სცადოთ ბედი... არა, ფრაუ გრიუნლიჰ?

„რა უშნოდ გამოუვიდა! - გაიფიქრა ტონიმ, - მეტი რა გზა მაქვს, უნდა დავუდასტურო“.

- დიახ, ძვირფასო ბატონო პერმანედერ, - უპასუხა ტონიმ, - გულახდილად მოგახსენებთ, მართლა გამიჭირდებოდა, ვინმესთვის თანხმობა გამომეცხადებინა, ახლა კი ვიცი, ამ ამბის გადაწყვეტა, რა სერიოზული რამ არის. ასეთი ნაბიჯის გადადგმა შეიძლება, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ჩემი ხელის მთხოვნელი ნამდვილად კარგი, კეთილშობილი და გულმართალი კაცია.

ამ სიტყვების გაგონებაზე ბატონმა პერმანედერმა თავს ნება მისცა ტონისთვის ეკითხა, ასეთ კაცად თუ მიგაჩნივართო.

ტონიმ უპასუხა:

- დიახ, ბატონო პერმანედერ, მე თქვენ ასეთი მგონიხართ.

შემდეგ ორიოდე სიტყვით თავიანთი ნიშნობა განამტკიცეს და ბატონმა პერმანედერმა ნებართვა მიიღო შინ დაბრუნებისას კონსულის მეუღლესა და თომასს მოლაპარაკებოდა.

თაფლის კვერებით სავსე დიდი პარკებით დატვირთული მოსეირნენი დუქნიდან გამოვიდნენ. კონსულმა ბატონ პერმანედერსა და ტონის თვალი მოარიდა: ორივენი

დარცხვენილები ჩანდნენ. ბატონი პერმანედერი ამის დამალვას არც ცდილობდა, ტონი კი დარცხვენას დიდებული, ღირსეული იერით ნიღბავდა.

მალე ყველანი ეტლისკენ გაემართნენ: ცა მოიქუფრა და შარაგზაზე რამდენიმე წვეთი დაეცა კიდეც.

* * *

ტონიმ სწორად ივარაუდა: კონსულს ბატონ პერმანედერის ჩამოსვლისთანავე ზუსტი ცნობები შეეკრიბა სტუმარზე. „ქს. ნოპე და კომპანია“ საკმაოდ პატარა, მაგრამ მაინც სოლიდური ფირმა აღმოჩნდა. სახელმწიფო ლუდის სახარშიდან, სადაც
დირექტორად ნიდერპაური მსახურობდა, ისინი კარგ მოგებას იღებდნენ. ეს თანხა და ტონის 17000 ტალერი ცოლ-ქმარს ფუფუნებით არა, მაგრამ საკმაოდ შეძლებულად აცხოვრებდა. ქალბატონ ბუდენბროკს ეს გარემოება აუხსნეს და იმავე საღამოს ლანდშაფტებიან ოთახში კონსულის მეუღლემ, ბატონმა პერმანედერმა, ანტონიამ და თომასმა ყველა საკითხი დაუბრკოლებლად მოაგვარეს. ასევე გადაწყდა, ტონის სურვილით და მისი დანიშნულის გულმხურვალე თანხმობით პატარა ერიკაც მიუნხენში წაეყვანათ.

ორი დღის შემდეგ სვიის ვაჭარი მშობლიურ ქალაქს გაემგზავრა - ძალიან დავიგვიანე, ნოპე ლანძღვა-გინებით ამიკლებსო, ხოლო ივლისშივე გზად მიმავალმა ფრაუ გრიუნლიჰმა საქმრო მიუნხენში ინახულა. გერდა, თომასი და ტონი რამდენიმე კვირით კურორტ კროითში მიემგზავრებოდნენ. კონსულის მეუღლე ერიკასა და იდა იუნგმანთან ერთად ზაფხულს ზღვაზე ატარებდა. მიუნხენში ტონიმ, თომასმა და გერდამ კაუფინგერშტრასეზე, ნიდერპაურების ახლოს, პერმანედერის მიერ შესასყიდად შეგულებული სახლი დაათვალიერეს. სახლის უფრო დიდი ნაწილი ბატონ პერმანედერს გასაქირავებლად ჰქონდა გამიზნული. სახლი საკმაოდ უცნაური იყო, ძველი, ვიწრო კიბე კართანვე იწყებოდა და მიუხვევ-მოუხვევლად, ცაში ამავალი ბიბლიური კიბესავით, მეორე სართულზე ადიოდა, ოთახები ორივე მხარეს გამავალი გრძელი ტალანების ბოლოში იყო ჩარიგებული.

ტონი აგვისტოს შუა რიცხვებში შინ დაბრუნდა. დარჩენილი დღეები მზითვის მომზადებას უნდა მოხმარებოდა. ბევრი რამ პირველი ქორწინებიდან ჰქონდა შემორჩენილი, მაგრამ მზითევს შევსება მაინც სჭირდებოდა და ერთ დღეს ტონის ჰამბურგიდან სხვა რამეებთან ერთად პენუარიც ჩამოუვიდა. ოღონდ პენუარს ამჯერად ხავერდი კი არ ამშვენებდა, მაუდის ლენტებით იყო გაწყობილი.

შემოდგომაზე ბატონი პერმანედერი ისევ ჩამოვიდა მენგშტრასეზე, საქმის გაჭიანურება არ ღირდა.

საქორწინო ზეიმმა ისე ჩაიარა, როგორც ტონი ელოდა და სხვაგვარად არც სურდა ჩატარებულიყო. დიდი ზარ-ზეიმი არ მოუწყვიათ.

- დიდ ამბავს ნუ შევქმნით, - თქვა კონსულმა, - შენ ხელმეორედ თხოვდები და ამაში განსაკუთრებული არაფერია, თითქოს ქმარს არც გაშორებიხარ.

მხოლოდ რამდენიმე მოსაწვევი ბარათი დაგზავნეს. იულჰენ მოლენდორფს რომ ბარათი უეჭველად მიეღო, ამაზე მადამ გრიუნლიჰმა თვითონ იზრუნა. საქორწინო მოგზაურობაზე უარი თქვეს. რადგან ბატონი პერმანედერი „წოწიალს“ ვერ იტანდა. ტონიც დიდი ხანი არ იყო, რაც საზაფხულო მოგზაურობიდან დაბრუნდა და მიუნხენში გამგზავრებაც მისთვის საკმაოდ მომქანცველი იქნებოდა. ჯვრისწერა ამჯერად სვეტებიანი სადარბაზოს ნაცვლად მარიენკირხეში გაიმართა. ეკლესიაში მხოლოდ ახლობლებმა მოიყარეს თავი. ტონის მირტის მაგიერ ფორთოხლის ყვავილები ამშვენებდა, პასტორ კოლინგს ხმა ძველებურად აღარ ერჩოდა, მაგრამ ჯვარდაწერილებს ახლაც მაგარ-მაგარი სიტყვებით მოუწოდებდა ზომიერებისაკენ.

ქრისტიანი ჰამბურგიდან ჩამოვიდა. მეტისმეტად ელეგანტურად ეცვა, ოდნავ დაღლილი, მაგრამ მხიარული ჩანდა. განაცხადა, ჩემი საქმეები ბურმისტერთან ტიპ- ტოპით მიდისო და თან დაუმატა, მე და კლოტილდე, ალბათ, „იქ, ზევით“ თუ ვიქორწინებთ, თან, რა თქმა უნდა, თითოეული ცალ-ცალკეო და... ეკლესიაში მაინც დააგვიანა, - კლუბში შეევლო და იქ შეფერხებულიყო.

ბიძია იუსტუსი მღელვარებას ვერ მალავდა. მან ძველებური ხელგაშლილობა გამოიჩინა - ახალდაქორწინებულებს მშვენიერი ვერცხლის მძიმე ლარნაკი მიართვა.
ის და მისი ცოლი შინ თითქმის შიმშილობდნენ, სუსტი ნებისყოფის ქალი მემკვიდრეობაჩამორთმეულ და განდევნილ შვილს ვალებს კვლავ სახარჯო ფულით უსტუმრებდა. იაკობი ახლა პარიზში ცხოვრობდა. ბრაიტენშტრასელმა ბუდენბროკებმა შენიშნეს: ამჯერად ვიმედოვნებთ, ქორწინება მტკიცე იქნებაო. მათ გულწრფელობაში ყველას ეჭვი ეპარებოდა და ყველაზე არასასიამოვნოც ეგ იყო... ზეზემი ვაიჰბროტი თითის წვერებზე შედგა, თავის აღზრდილს, უკვე ფრაუ პერმანედერს, შუბლზე წკლაპუნით აკოცა და გულითადი ხმით უთხრა:

- ბედნიერი იყავი, ჩემო კარგო შვილიკო!

მეშვიდე თავი

დილის რვა საათზე, კონსული ბუდენბროკი საწოლიდან წამოდგებოდა თუ არა, ხვეული კიბით ნახევარსარდაფში ჩავიდოდა, აბაზანას მიიღებდა, დილის ხალათს ისევ შემოიცვამდა და იწყებდა საქმიანობას. შემდეგ სააბაზანოში წითელხელება, ინტელიგენტური სახის დალაქი, ქალაქის საბჭოს წევრი, ბატონი ვენცელი გამოჩნდებოდა. ბატონ ვენცელს ხელში სამზარეულოდან გამოტანილი ცხელი

წყლით სავსე თასი და სადალაქო ხელსაწყოები ეჭირა. კონსული დიდ სავარძელში ჩაეფლობოდა, თავს უკან გადასწევდა და სანამ ბატონი ვენცელი საპონს ააქაფებდა, თითქმის ყოველთვის საუბარს გააჩაღებდნენ ხოლმე: ჯერ ერთმანეთს მოიკითხავდნენ, როგორ ეძინათ ღამე, ერთ-ორ სიტყვას ამინდზეც იტყოდნენ, შემდეგ სწრაფად გადაინაცვლებდნენ მსოფლიო მოვლენებზე, ქალაქის საქმეებსაც გადასწვდებოდნენ და საუბარს საკუთარი საქმიანობისა და ოჯახის ამბების გამოკითხვით დაასრულებდნენ ხოლმე. ამის გამო გაპარსვის პროცედურა დიდხანს ჭიანურდებოდა, - როცა კონსული ლაპარაკობდა, ბატონი ვენცელი სამართებელს ახლოს არ აკარებდა.

- წუხელ ხომ კარგად გეძინათ, ბატონო კონსულო?

- გმადლობთ, ვენცელ, დღეს კარგი ამინდია.

- ყინავს და წვრილად თოვს, ბატონო კონსულო. წმინდა იაკობის ეკლესიის წინ ბიჭებს ათი მეტრი სიგრძის საცურაო მოუწყვიათ, კინაღამ გავიშხლართე, გუბერნატორისგან რომ მოვდიოდი, ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი...

- გაზეთები უკვე გადაათვალიერეთ?

- „უწყებანი“ და „ჰამბურგის მოამბე“, კი. ორსინის ბომბების მეტი შიგ არაფერია. საშინელებაა პირდაპირ, იმპერატორი ოპერაში მიდიოდა თურმე... კარგი ხალხი კი ჰყოლიათ, აი...

- აჰ, მე მგონი, ეგ არაფერს ნიშნავს. ხალხი რა შუაშია. ეგ ამბავი იმით დასრულდება, რომ პოლიციის რეჟიმის სიმკაცრესა და პრესის შეზღუდვას გააორკეცებენ. იმპერატორიც ფხიზლად არის. ერთი წუთით მოსვენება არა აქვს, ტახტის შესანარჩუნებლად სულ რაღაც ღონისძიებებს იგონებს. მაგრამ სულერთია, მაინც დიდ პატივს ვცემ. მაგათი ტრადიციების კაცი, როგორც მამზელ იუნგმანი იტყვის ხოლმე, მთლად ყეყეჩი არ იქნება. პურის სალაროები რომ შემოიღო და პურის ფასები გააიაფა, ამით ხომ ნამდვილად მოინადირა ჩემი გული. ხალხისთვის ის უეჭველად კარგ საქმეს აკეთებს.

- დიახ, ამ დილას ბატონმა კისტენმაკერმაც ეგ ბრძანა.

- შტეფანმა? სწორედ გუშინ ვლაპარაკობდით ამ ამბავზე.

- პრუსიელი ფრიდრიჰ ვილჰელმის საქმეც ხომ წასულია და ეგ არის, იმას აღარაფერი ეშველება, ამბობენ, საბოლოოდ პრინცი დაინიშნება რეგენტადო.

- ო, საინტერესოა. ვილჰელმი საკმაოდ ლიბერალობს, ძმასავით ზიზღით არ უყურებს კონსტიტუციას... ბოლოს და ბოლოს, იმ საცოდავსაც ეგ ზიზღი უღრღნის გულს. კოპენჰაგენიდან რა ისმის?

- არაფერი, ბატონო კონსულო, არ უნდათ და არა! გერმანულმა კავშირმა რაც უნდა უჩიჩინოს, ჰოლშტაინისა და ლაუენბურგისთვის ერთი კონსტიტუცია დაუშვებელიაო, ზემოურებს იმ კონსტიტუციის გაუქმებაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდათ.

- აბა, გაუგონარი ამბავია, ვენცელ! ბუნდესტაგს სამოქმედოდ იწვევენ და ისიც ცოტა მარდად რომ ირჯებოდეს... აჰ, ამ დანიელებმაც რომ გააჭირეს საქმე? კარგად მახსოვს, პატარაობისას ერთ სიმღერას მოთმინებიდან გამოვყავდი ხოლმე. სიმღერა ასე იწყებოდა:

„შენი წყალობის მომლოდინე ვართ,

ყველა მორწმუნე - დანი და ძმანი“.

„დანი“ სულ დანიელებად მეჩვენებოდა და ვერ გამეგო, უფალ ღმერთს დანიელებისთვის რაიმე რატომ უნდა ეწყალობებინა. ფრთხილად, კანი არ გამიჭრათ, ვენცელ, ნუ იცინით... ახლა ჰამბურგამდე პირდაპირი რკინიგზის გაყვანის ამბავს აღარ იკითხავთ? რა დიპლომატიური ბრძოლები არ არის უკვე გადახდილი და კიდევ რამდენი ბრძოლაა მოსალოდნელი, სანამ ეგ კოპენჰაგენელები კონცესიას გაიმეტებდნენ.

- დიახ, ბატონო კონსულო, სისულელე არ არის, რომ ყველაზე მეტ წინააღმდეგობას ალტონა-კილის სარკინიგზო საზოგადოება, უფრო ზუსტად, მთელი ჰოლშტაინი გვიწევს. ეგ არ ბრძანა ამ ცოტა ხნის წინ ბატონმა გუბერნატორმა დოქტორმა ოვერდიკმა? კილის გაძლიერებისა სიკვდილივით ეშინიათ.

- გასაგებიცაა, ვენცელ, ასეთი ახალი კავშირი აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ზღვებს შორის ხუმრობა საქმე არ არის. აი, თქვენ ნახავთ, ალტონა-კილი ინტრიგებს თუ მოიშლის. მათ შეუძლიათ საკონკურენციოდ აღმოსავლეთ პოლშტაინის ხაზი გაიყვანონ: ნოიმიუნსტერი-ნოიშტატი, დიახ, ეს შეიძლება მოხდეს, მაგრამ უკან არ უნდა დავიხიოთ, ჰამბურგთან პირდაპირი კავშირი აუცილებლად უნდა გვქონდეს.

- თქვენ თავგამოდებით იცავთ ამ საქმეს, ბატონო კონსულო.

- კი, რამდენადაც ძალა შემწევს და რამდენზეც ჩემი გავლენა გამიწვდება. სარკინიგზო პოლიტიკა ძალიან მაინტერესებს, ეს ჩვენს ოჯახში ტრადიციულად მოდის. მამაჩემი ორმოცდათერთმეტი წლიდან შედიოდა ბიუჰენის რკინიგზის მმართველობაში, ოცდათორმეტი წლის ასაკში მეც იმიტომ ამირჩიეს მმართველობის წევრად, თორემ ამ საქმეში ჩემი დამსახურება ჯერ ისე მცირეა, რომ...

- ო, ბატონო კონსულო, ქალაქის საბჭოში რაც თქვენ სიტყვა წარმოთქვით...

- ჰო, იმ სიტყვით კი მოვახდინე შთაბეჭდილება. ყოველ შემთხვევაში, მე რომ ამ საქმის მომხრე ვარ, ის მაინც დავამტკიცე. მადლობელი უნდა ვიყო, რომ მამაჩემმა,

ბაბუამ და პაპის პაპამ გზა გამიკაფეს. მათ მიერ მოპოვებული ნდობა და აღიარება ჩემზე დაუბრკოლებლად გადმოვიდა, უამისოდ ხომ ვერ გავშლიდი ფრთებს... ორმოცდარვა წლიდან მოყოლებული მამაჩემმა რა არ იღონა ჩვენი საფოსტო უწყების რეფორმაციისთვის! აბა, ერთი გაიხსენეთ, ვენცელ, როგორ დაარწმუნა ქალაქის საბჭო, რომ ჰამბურგის დილიჟანსების კომპანია ფოსტას შეერთებოდა! ორმოცდაათში კი, მაშინდელ საკმაოდ უპასუხისმგებლო და ზოზინა სენატში,
გერმანია-ავსტრიის საფოსტო გაერთიანებასთან ჩვენს დასაკავშირებლად რამდენჯერ შეიტანა წინადადება. ახლა თუ წერილებსა და ბანდეროლებზე დაბალ ბაჟს ვიხდით, მარკები და საფოსტო ყუთები თუ გვაქვს, ბერლინსა და ტრავემიუნდეს თუ ტელეგრაფით ვუკავშირდებით, ამას მამაჩემსაც უნდა ვუმადლოდეთ. განსვენებულსა და სხვა რამდენიმე კაცს სენატისთვის თავი რომ არ მოებეზრებინათ, მუდამ დანიის, თურნისა და ტაქსისის ფოსტის კუდში ვიჩანჩალებდით. ჰოდა, ახლა ასეთ საქმეებზე ჩემს აზრს რომ გამოვთქვამ, ყურად იღებენ ხოლმე.

- ღმერთმა ხომ იცის, რომ მართალი სიტყვის თქმა იცით. ჰამბურგის რკინიგზის თაობაზე ამ სამი დღის წინ გუბერნატორმა ოვერდიკმა მითხრა: იქამდე თუ მივედით, რომ ჰამბურგში სადგურის ასაგები მიწის ნაკვეთის შეძენა დაგვჭირდა, მაშინ იქ კონსულ ბუდენბროკს გავგზავნით, კონსულ ბუდენბროკს ასეთ საქმეებში ვერც ერთი იურისტი ვერ შეედრებაო. ეს მისი სიტყვები გახლავთ.

- ეგ ჩემთვის კარგი ქებაა, ვენცელ. აბა, ერთი ნიკაპზე კიდევ წამისვით ქაფი, აქ უფრო წმინდად უნდა გაპარსვა. დიახ, ხელი უნდა გავანძრიოთ! ოვერდიკის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უკვე ხანდაზმული კაცია, მაგრამ მის ადგილზე რომ მე ვიყო, საქმე,
ასე მგონია, ცოტა უფრო დაჩქარდებოდა. ვერ აგიწერთ, რა კმაყოფილება ვიგრძენი, გაზით განათების სამუშაოები რომ დაიწყეს და ჯაჭვებზე ჩამოკიდებული ზეთის ლამპების გადავარდნას რომ მოვესწარით. ამ საქმეში, გულახდილად რომ ვთქვა, მეც მიმიძღვის წვლილი. ეჰ, კიდევ რამდენი რამაა გასაკეთებელი, ვენცელ, დროება იცვლება, ახალი დრო მოდის და უამრავ მოვალეობას გვაკისრებს. ჩემი სიყმაწვილე რომ მაგონდება... თუმცა თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ჩვენი ქალაქი მაშინ რას ჰგავდა: ქუჩებს ტროტუარები არ ჰქონდა, ქვაფენილში კოჭებამდე ბალახი იყო ამოსული, მერე სახლებს აღარ იკითხავთ? წინ მერხები ედგა და ხუხულები ჰქონდა მიშენებული, შუა საუკუნეების ნაგებობებს დაუსრულებელი მიშენ-მოშენებით სახე ჰქონდა
დაკარგული და ყველა შენობა დანგრევის პირას იყო მისული. რამდენიმე კაცს კი ჰქონდა ფული და შიმშილითაც არავინ შიმშილობდა, მაგრამ სახელმწიფოს არაფერი გააჩნდა და საქმე ასე ალალბედზე იყო მიგდებული, როგორც ჩემი სიძე პერმანედერი ამბობს ხოლმე. შენობების შეკეთებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. მაშინდელი თაობა გალაღებული და უზრუნველი იყო. გახსოვთ, ბაბუაჩემის გულითადი მეგობარი, ჟან- ჟაკ ჰოფშტედე, აქეთ-იქით უდარდელად რომ დასეირნობდა და ფრანგულიდან უწმაწურ კუპლეტებს თარგმნიდა? ამგვარ ყოფას ხომ უნდა მოღებოდა ბოლო? მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ შეიცვალა და კიდევ მეტი უნდა შეიცვალოს. ჩვენ ახლა, როგორც მოგეხსენებათ, 37000 კი არა, 50000 მცხოვრები გვყავს, ქალაქსაც

შეეცვალა სახე, გაჩნდა ახალი შენობები, გაიზარდა ქალაქის გარეუბნები, ქუჩებსაც ვერაფერს დაუწუნებ და ძველი ძეგლების აღდგენის ძალაც შეგვწევს. მაგრამ ეს ყველაფერი ბოლოს და ბოლოს გარეგნული ამბავია. ყველაზე მნიშვნელოვანი ჯერ კიდევ წინ გვიდევს, ჩემო კარგო ვენცელ. მე კი განსვენებული მამაჩემის ceterum censeo-ს ვერ ვეშვები: საბაჟო გაერთიანებაში უნდა შევიდეთ, ვენცელ, ეს საკამათო აღარ უნდა იყოს, ამ საქმეში ყველამ უნდა დამიჭიროს მხარი. დამიჯერეთ, მე, როგორც კომერსანტს, ამ საქმისა ჩვენს დიპლომატებზე მეტი გამეგება. დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას დავკარგავთო, რომ ეშინიათ, ღმერთმანი, სასაცილოა და მეტი არაფერი. მაშინ მთელი მეკლენბურგისა და შლეზვიგ- ჰოლშტაინის მხარე შეგვიერთდებოდა. ახლა ჩრდილოეთთან უწინდებური სავაჭრო ურთიერთობა აღარა გვაქვს და ეს ამბავი მით უმეტეს სასურველია. კმარა... თუ შეიძლება, პირსაცოხი მომაწოდეთ, ვენცელ! - დაასრულა კონსულმა.

ასეთი საუბრის შემდეგ ჩვეულებრივ კიდევ ორიოდე სიტყვა ითქმებოდა ჭვავის ფასების ამჟამინდელ კურსზე - ჭვავის ფასი ორმოცდათხუთმეტ ტალერზე იდგა და კვლავ დაცემის პირი უჩანდა. ქალაქის ამბებსაც მოიხსენიებდნენ, მერე ბატონი ვენცელი მიდიოდა და კრიალა სასაპნეს ქუჩაში ცლიდა. კონსული ხვეული კიბით საწოლ ოთახში ბრუნდებოდა, გერდა ამ დროს უკვე გაღვიძებული იყო, კონსული ცოლს შუბლზე ეამბორებოდა და ჩაცმას შეუდგებოდა.

გონებაგახსნილ დალაქთან დილის საუბრები ერთგვარ შესავალს წარმოადგენდა ფიქრებით, ლაპარაკით, საქმიანობით, წერით, ანგარიშით, მისვლა-მოსვლითა და დაუცხრომელი ფაციფუცით აღსავსე დღეებისთვის. მოგზაურობის, ცოდნისა და თავისი ინტერესების წყალობით თომას ბუდენბროკს ნაკლებად ახასიათებდა ბიურგერული შეზღუდულობა და შეიძლება თამამად ითქვას, რომ მან პირველმა შეიგნო არსებული ურთიერთობების შებოჭილობა და წვრილმანობა. მაგრამ სხვაგანაც, მთელ მის ვრცელ სამშობლოში, რევოლუციის წლებით მოტანილი აღმავლობის შემდეგ, საზოგადოებრივი ცხოვრების მოდუნების, უმოქმედობისა და რეაქციის პერიოდი დამდგარიყო. ამ დამყაყებულ დროს არ შეეძლო გამჭრიახი გონებისთვის საზრდო მიეცა, თომასს ეყო ჭკუა და გონება, სანუკვარ ჭეშმარიტებად გაეხადა ცნობილი გამოთქმა, ადამიანის ყოველგვარ მოღვაწეობას მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვსო და ყველაფერი: ნებისყოფა, უნარი, ენთუზიაზმი და აქტიური მიზანსწრაფვა იმ პატარა საზოგადოების სამსახურში ჩაეყენებინა, სადაც მისი სახელი პირველ რიგში მოიხსენიებოდა, ემოღვაწა ამ სახელისა და მემკვიდრეობით მიღებული საფირმო გერბის საკეთილდღეოდ. თომასს ჰყოფნიდა ჭკუა-გონება ერთსა და იმავე დროს ირონიულად და სერიოზულად მოჰკიდებოდა თავის პატივმოყვარეობით აღსავსე სურვილს, რომ ამ პატარა სამყაროში დიდებისა და ძლიერებისთვის მიეღწია.

როგორც კი სასადილო ოთახში ანტონი საუზმეს მიართმევდა, კონსული გარეთ გასასვლელად მოიკაზმებოდა და მენგშტრასეზე თავისი კანტორისკენ გასწევდა.

კანტორაში ერთ საათზე მეტს არ დაყოვნდებოდა, დაწერდა ორიოდე სასწრაფო წერილსა და დეპეშას, გასცემდა განკარგულებებს, ფირმის გამწევ ბორბალს ბიძგს შეაშველებდა და დანარჩენ ამბებზე თვალყურის დევნებას ბატონ მარკუსის ფხიზელ თვალს მიანდობდა.

კონსული სხდომებსა და კრებებზე სიტყვით გამოდიოდა, ბაზრის მოედანზე, გოთურ თაღებქვეშ გამართულ ბირჟაზე კარგა ხანს დაჰყოფდა. ნავსადგურსა და ბეღლებს ჩამოუვლიდა, კაპიტნებს ეთათბირებოდა... საღამომდე ამას კიდევ მოჰყვებოდა უამრავი საქმე. საქმიანობას მხოლოდ მოხუც დედასთან სახელდახელო საუზმე და გერდასთან სადილი თუ შეწყვეტდა. სადილის შემდეგ ნახევარ საათს დივანზე მიწოლილი გაზეთს კითხულობდა, ერთ-ორ სიგარას მოსწევდა და კვლავ სამუშაოს მიუბრუნდებოდა: ხან საკუთარი ფირმის საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი, ხან ქალაქისა: მშენებლობის, საბაჟო გადასახადების, რკინიგზის, ფოსტისა თუ საქველმოქმედო. თომას ბუდენბროკი „სწავლულების“ სამოქმედო სფეროშიც კი ცდილობდა შეღწევას, განსაკუთრებით საფინანსო საქმეები იტაცებდა, სადაც ბრწყინვალე ნიჭსა და უნარს ამჟღავნებდა კიდეც.

თომასი ცდილობდა საზოგადოებასაც არ გამოჰკლებოდა, თუმცა ამ საქმეში სასურველ პუნქტუალურობას ვერ დაიჩემებდა. სტუმრად წასვლის გულისთვის საქმეს არ გადადებდა, შინ უკანასკნელ წამს ბრუნდებოდა, გერდა უკვე მორთული იყო და კარეტაც კარგა ხანია ქვემოთ იცდიდა. თომასი გერდას მოუბოდიშებდა, საქმეების ბრალიაო, და ფრაკს ნაჩქარევად შემოიცვამდა, მაგრამ სტუმრად - სადილზე, ბალებსა და რაუტებზე თომასი ყველაფრისადმი ცხოველ ინტერესს იჩენდა და სასიამოვნო მოსაუბრედაც ითვლებოდა. თომასი და მისი მეუღლე არც სტუმრების მიღებაში უდებდნენ ტოლს სხვა მდიდარ ოჯახებს. მათი სამზარეულო, მათი მარანი „ტიპ-ტოპად“ იყო აღიარებული. თომასი გულღია, ყურადღებიანი და ზედმიწევნით თავაზიანი მასპინძელი იყო, მისი სადღეგრძელოები კი გონებამახვილობით საშუალო დონეზე ყოველთვის მაღლა იდგა. თავისუფალ საღამოებს თომასი შინ ატარებდა, ხან პაპიროსს აბოლებდა და გერდას ვიოლინოს უსმენდა, ხან კი ცოლს სურვილისამებრ გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ რომანებს უკითხავდა.

ასე მუშაობდა თომასი და წარმატებასაც აღწევდა. ქალაქში მისი ავტორიტეტი დღითი დღე იზრდებოდა. ქრისტიანის გამოყოფისა და ტონის მეორედ გათხოვების გამო კაპიტალის შემცირებას მისთვის ხელი არ შეუშლია: ფირმას აღმავლობის წლები დაუდგა, მაგრამ უღრუბლო დღეებს ზოგჯერ ისეთი ჩრდილი ადგებოდა, რომ
თომასს ძალა ერთმეოდა, ისე მოქნილადაც ვეღარ აზროვნებდა და გუნება ეწამლებოდა.

ამის ერთ-ერთი მიზეზი ქრისტიანი იყო. მის კომპანიონს, ბატონ ბურმისტერს ორმოცდათვრამეტი წლის გაზაფხულზე მოულოდნელად გული გაუსკდა.

ბურმისტერის მემკვიდრეებმა ფირმიდან განსვენებულის კაპიტალი გაიტანეს და კონსულმა თავის ძმას ურჩია, საკუთარი სახსრებით საქმე აღარ გაეგრძელებინა. თომასმა კარგად იცოდა, ქრისტიანს გაუძნელდებოდა ერთბაშად შემცირებული კაპიტალით მოზრდილი ფირმის შენარჩუნება, მაგრამ ქრისტიანი თავის დამოუკიდებლობას არ თმობდა, „ჰ. გ. ბურმისტერისა და კომპანიის“ აქტივი და პასივი გადმოიბარა და ახლა ყოველდღე უსიამოვნებანი იყო მოსალოდნელი.

არც რიგიდან მოდიოდა კარგი ამბები. კლარას შვილი რომ არ უჩნდებოდა, ეს დიდი უბედურება არ იყო, რადგან კლარა ბუდენბროკს არასოდეს ჰქონია სურვილი
შვილები ჰყოლოდა, დედობრივი გრძნობა თითქმის არ გააჩნდა, მაგრამ როგორც მისი
და პასტორ ტიბურციუსის წერილებიდან ჩანდა, კლარას სერიოზულად შერყეოდა ჯანმრთელობა. თავის ტკივილი ჯერ კიდევ ქალიშვილობაში აწუხებდა, ახლა კი უფრო გასძლიერებოდა და პერიოდულად აუტანელი ტკივილი ტანჯავდა.

ეს ამბავი დამაფიქრებელი იყო. თომასს არც საკუთარ სახლში ჰქონდა კარგად საქმე. ბუდენბროკების გვარის გაგრძელებას საიმედო პირი არ უჩანდა. გერდა ამ ამბავს ქედმაღლური გულგრილობით ეკიდებოდა, რაც ზიზღს უფრო ჩამოჰგავდა. თომასი დარდს გულში იკლავდა.

ბოლოს საქმეში მოხუცი ქალბატონი ბუდენბროკი ჩაერია და გრაბოვი გაინაპირა:

- ექიმო, ჩვენ შორის დარჩეს და ამ ამბავს საშველი ხომ უნდა დაადგეს, არა? კროითის მთის ჰაერმა, გლიუკსბურგისა და ტრავემიუნდეს ზღვის ჰავამ, როგორც ჩანს, არ გაჭრა. თქვენ რას იტყვით?

გრაბოვს თავისი სანუკვარი რეცეპტი, „მკაცრი დიეტა: ცოტაოდენი მტრედის ხორცი, ცოტაოდენი ფრანგული ფუნთუშა“, ამ შემთხვევაში ვერ გამოადგებოდა და კონსულის ახალგაზრდა მეუღლეს პირმონტისა და შლაგენბადის აბაზანები დაუნიშნა.

ეს სამი რამ ადარდებდა თომასს.

ტონი როგორღა იყო? - საბრალო ტონი!

მერვე თავი

ტონი იწერებოდა: „მე რომ „ფრიკადელს“ ვიტყვი, მზარეულ ქალს ჩემი არ ესმის, რადგან აქ „ფრიკადელს“ „ატრიას“ ეძახიან. ის რომ „კარფიოლს“ ახსენებს, ქვეყანაზე, ალბათ, კაცი ქრისტიანი ვერ მიხვდება, რას ამბობს. თურმე „კარფიოლი“ ყვავილოვან კომბოსტოს ჰქვია. როცა ვეუბნები, კარტოფილი შეწვი-მეთქი, მანამდე ყვირის „რა�ო“, სანამ არ ვეტყვი, კარტოფილი შეაპიწკინე-მეთქი. რას იზამ, აქ ასე ლაპარაკობენ, „რაა“

კი ამათებურად „რას ინებებ“ გახლავთ. ამას უკვე მეორე მზარეულ ქალზე მოგახსენებთ. პირველი მზარეული, კატი, თავს ნება მივეცი და სახლიდან გავაგდე, იმიტომ, რომ სულ უკმეხად მელაპარაკებოდა. თუმცა ადვილი შესაძლებელია, ვცდებოდე. იქნებ მისი სიტყვა-პასუხი მე მეჩვენებოდა უკმეხი? აქ ხომ კაცი ვერ გაიგებს, როდის უკმეხად გელაპარაკებიან და როდის - თავაზიანად.

ჩემს ახალ მზარეულს ბაბეტა ჰქვია, აქ „ბაბეტს“ ამბობენ. საკმაოდ სანდომიანი ქალია, ნამდვილი სამხრეთული ტიპი, ასეთებს ზოგჯერ შეხვდები - შავი თმა აქვს და შავი თვალები. ახლა კბილებს აღარ იკითხავ? კაცი უკეთესს ვერ ინატრებს. დამყოლი ხასიათისაა და ჩემი ხელმძღვანელობით ზოგიერთ ჩვენებურ კერძს ამზადებს ხოლმე. გუშინ, მაგალითად, გვქონდა მჟაუნითა და ქიშმიშით შეზავებული კერძი, მაგრამ რად გინდა, ამაზე დიდი წყენა შემხვდა: პერმანედერმა სადილი დამიწუნა (თუმცა ქიშმიში სულ ჩანგლით ამოკრიფა) და საღამომდე ჩემთვის ხმა არ გაუცია, მხოლოდ ბუზღუნებდა. უნდა გითხრა, დედა, რომ ცხოვრება იოლი როდია“.

მაგრამ ტონის მარტო „ატრია“ და მჟაუნა არ უმწარებდა სიცოცხლეს. ფრაუ პერმანედერს თაფლობის თვეშივე დაეცა თავზარი, მოულოდნელი, გამაოგნებელი ამბავი დაატყდა თავს და ხალისი სულ დაეკარგა. ამ ამბის მონელება მართლაც შეუძლებელი იყო.

ცოლ-ქმარი პერმანედერები მიუნხენში რამდენიმე კვირის დასახლებული იყვნენ, როცა კონსულმა ბუდენბროკმა ანდერძით დამტკიცებული მზითევი, გულდენებად გადახურდავებული 51000 მარკა ბატონ პერმანედერს მთლიანად ჩაუთვალა ხელში. ბატონმა პერმანედერმა ფული საიმედოდ და სარფიანად დააბანდა, მაგრამ შემდეგ უყოყმანოდ და ურცხვად განუცხადა მეუღლეს:

- ტონერლ, - ის ცოლს ტონერლს ეძახდა, - ტონერლ, ჩემთვის ეს თანხა საკმარისია. მეტი ჩვენ არ დაგვჭირდება. მუშაობით სიქა მაქვს გამძვრალი, ახლა დასვენება მინდა! პირველ და მეორე სართულზე მდგმურები დავიყენოთ. ერთი კარგი ბინა კიდევ დაგვრჩება, ღორის ჩიჩია, ვიცი, არ მოგვაკლდება. დიდკაცურად ცხოვრებას სულაც
არ ვაპირებ. საღამოობით ლუდხანაში ვივლი. გამდიდრებაზე აღარ ვფიქრობ და არც ოქროების მოგროვების თავი მაქვს, არხეინ ცხოვრებას რა სჯობია! ხვალიდან ყველა საქმეს ხელს მოვუთავებ და რანტიე გავხდები!

- პერმანედერ! - დაუყვირა ტონიმ და ის განსაკუთრებული ხორხისმიერი ბგერები აღმოხდა, რომლითაც ბატონ გრიუნლიჰის სახელს წარმოთქვამდა ხოლმე.

ბატონმა პერმანედერმა მხოლოდ ეს უპასუხა:

- აბა, აბა, ნუ აუწიე!

ცოლ-ქმარს შორის სერიოზული აყალმაყალი ატყდა. ასეთი ჩხუბი ცოლქმრულ ბედნიერებას სამუდამოდ უთხრის ხოლმე ძირს. პერმანედერმა გაიმარჯვა, - ტონის

ცხარე წინააღმდეგობა მისმა „არხეინი“ ცხოვრებისკენ მისწრაფებამ დათრგუნა. ბატონმა პერმანედერმა სვიით მოვაჭრე კომპანიაში დაბანდებული კაპიტალი უკან გამოიტანა. ახლა ბატონ ნოპეს შეეძლო სადარბაზო ბარათზე „კომპ.“ ლურჯი მელნით წაეშალა... იმ დღიდან ტონის მეუღლემ ბევრი თავისი მეგობარივით „არხეინ“ ცხოვრებას მიჰყო ხელი. საღამოობით ლუდხანაში კარტს თამაშობდა და სამ ლიტრ ლუდს ყლურწავდა. თავისი მოღვაწეობა ერთი რამით შემოიფარგლა: მდგმურებს ქირას უდიდებდა და კუპონებს მშვიდად ჭრიდა.

კონსულის მეუღლეს ეს ამბავი სხვათა შორის გააგებინეს. ძმისთვის მიწერილ ბარათებში კი ფრაუ პერმანედერი გულისტკივილს არ მალავდა. საბრალო ტონი! ყველაზე საშინელი მოლოდინი ზედმიწევნით გაუმართლდა. ადრევე იცოდა, ბატონ პერმანედერს მისი პირველი მეუღლის წრეგადასული „დაუდეგრობის“ ნიშანწყალიც
არ ეცხო, მაგრამ ნიშნობის წინაღამეს მამზელ იუნგმანთან გამოთქმულ იმედს ქმარი
თუ ასე სამარცხვინოდ გაუცრუებდა, ამას კი ვერ იფიქრებდა. ანდა აზრად როგორ მოუვიდოდა, ბატონი პერმანედერი თუ ხელს აიღებდა ყველა იმ მოვალეობაზე, რასაც მას ბუდენბროკის ასულის შერთვა აკისრებდა.

ტონი ბედს შეეგუა, მაგრამ მისიანები წერილებზე ატყობდნენ, ცხოვრებაზე როგორ გასტეხოდა გული. ტონი საკმაოდ უფერულად ცხოვრობდა ქმარსა და ერიკასთან ერთად. ერიკა სკოლაში დადიოდა, ტონი ოჯახს უძღვებოდა. იგი მხოლოდ პირველ და მეორე სართულზე დაყენებულ მდგმურებსა და ნიდერპაურების ოჯახთან მეგობრობდა. ხანდახან მოიწერდა, სამეფო თეატრის წარმოდგენას დავესწარიო. თეატრში ტონი ევა ნიდერპაურთან ერთად დადიოდა, რადგან ბატონ პერმანედერს ამგვარი გართობა არ უყვარდა, უფრო მეტიც: კაცმა თავის „საყვარელ“ მიუნხენში ორმოცი წელი ისე გაატარა, რომ ჯერ პინაკოთეკის ზღურბლზე არ გადაუბიჯებია.

დღეები მიდიოდა... მაგრამ ტონის იმ დღიდან ჩაუკვდა გულში ახალი ცხოვრების დაწყებით მოგვრილი სიხარული, რაც ბატონმა პერმანედერმა უსაქმურ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ტონის არაფრის იმედი აღარ ჰქონდა. ვერასოდეს ვერც წარმატების, ვერც აღმავლობის ამბავს თავისიანებს ვერ მისწერდა. როგორც ახლა ცხოვრობდა უზრუნველად, მაგრამ ხელმოკლედ და ასე „არაკეთილშობილურად“, სიცოცხლესაც ასე დაასრულებდა. ეს გარემოება ტონის გულს უკლავდა. მისი წერილებიდან
აშკარად ჩანდა, რომ სწორედ ეს სიმძიმილი უშლიდა ხელს და სამხრეთგერმანული ცხოვრების ყაიდას ძნელად ეგუებოდა. ზოგიერთ წვრილმანს კი შეეჩვია: მოახლეებსა და მომმარაგებელთან ლაპარაკი ისწავლა, „ფრიკადელის“ მაგიერ „ატრიას“ ამბობდა, მას შემდეგ აღარც თავისი ქმრისთვის მიურთმევია ხილის სუპი. ამ კერძს ბატონმა პერმანედერმა „გულის ამრევი დომხალი“ შეარქვა.

ტონი ახალ სამშობლოში თავს უცხოდ გრძნობდა. იმის შეგრძნება, რომ ბუდენბროკების ოჯახის ნაშიერს აქ შესაფერი ადგილი არ ეჭირა, მისთვის განუწყვეტელი ტანჯვის საბაბი იყო. ერთ ბარათში ტონი იწერებოდა, ქუჩაში ვიღაც

კალატოზმა შემაჩერა, ცალ ხელში ტოლჩა ეჭირა, მეორით ბოლოკს მოაკონწიალებდა და მკითხა, ქალბატონო მეზობელო, ერთი მითხარი, რომელი საათიაო. ხუმრობის კილოთი დაწერილ ამ სტრიქონებში ტონის აღშფოთება აშკარად გამოსჭვიოდა. შეიძლებოდა დარწმუნებული ყოფილიყავით, იგი თავს უკან გადაიგდებდა და იმ კაცს არათუ პასუხის, შეხედვის ღირსადაც კი არ გახდიდა. ტონის მხოლოდ ამგვარი უსაქციელობა და მოურიდებლობა როდი უკლავდა გულს. იგი მიუნხენის ცხოვრებასა და საქმიანობაში ღრმად არ შეჭრილა, მაგრამ მიუნხენის ჰაერით ხომ სუნთქავდა! უსაქმური მხატვრებითა და ბიურგერებით გაჭედილი დიდი ქალაქის, ცოტა არ იყოს, დაბალი მორალით გაჟღენთილი ჰაერის იუმორის გრძნობით ჩასასუნთქად კი უგუნებობის გამო ძალა არ ჰყოფნიდა.

დღეები მიდიოდა... შემდეგ თითქოს ბედნიერების სხივი შეიჭრა ტონის ცხოვრებაში, იმ ბედნიერებისა, რომელსაც ბრაიტენშტრასესა და მენგშტრასეზე ამაოდ ნატრობდნენ. 1859 წლის დამდეგს აშკარა გახდა, რომ ტონის დედობის სიხარული მეორედ უნდა განეცადა.

ტონის ბარათები სიხარულით იყო გაჟღენთილი, დიდი ხანია მის წერილებში ასეთი ხალისიანი, ბავშვური და ამავე დროს დიდმნიშვნელოვანი ფრაზები აღარ წაუკითხავთ. კონსულის მეუღლე ზაფხულში თუ გაემგზავრებოდა სადმე, ისიც მხოლოდ აღმოსავლეთის ზღვის სანაპიროზე, თორემ მგზავრობას ვეღარ იტანდა. გული სწყდებოდა, ასეთ დროს ქალიშვილი რომ ახლოს არ ჰყავდა და მხოლოდ შორიდან უგზავნიდა ლოცვა-კურთხევას. ტომი და გერდა კი ტონის ნათლობაზე ჩასვლას ჰპირდებოდნენ. ტონის კეთილშობილურ მიღებაზე ოცნებისგან უკვე თავი უბრუოდა... საბრალო ტონი! ამ მიღებას მწუხარებად გადაქცევა ეწერა. ის ნათლობაც აღარ შედგებოდა, რომელიც ტონის ყვავილებით, კანფეტებითა და შოკოლადით დამშვენებულ მშვენიერ პატარა ზეიმად ჰქონდა წარმოსახული, ბავშვი, პატარა გოგონა, მხოლოდ იმიტომ მოევლინა ამ ქვეყანას, რომ თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ სული ისევ უფლისთვის მიებარებინა. ამაოდ დაშვრა ექიმი, უმწეო, პატარა სხეულისთვის სული შთაებერა.

მიუნხენში ჩასულ კონსულ ბუდენბროკსა და მის მეუღლეს თვითონ ტონიც სახიფათო მდგომარეობაში დაუხვდათ, ტონის ახლა გაცილებით მძიმე მშობიარობა ჰქონდა, ვიდრე პირველად. კუჭი ადრეც აწუხებდა ხანდახან, ახლა კი რამდენიმე დღის განმავლობაში საკვების მიღებაზე სავსებით ეურჩებოდა. საბოლოოდ ტონი მაინც გამოჯანსაღდა. ბუდენბროკებს ტონის დარდი აღარ წაჰყოლიათ, მაგრამ ახლა სხვა რამემ მოუკლათ გული. განსაკუთრებით კონსულის თვალს არ შეიძლებოდა გამოჰპარვოდა, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთთან საერთო მწუხარებასაც კი ვერ დაეახლოებინა.

ბატონ პერმანედერს გულქვაობას ვერ დასწამებდით, ბავშვის სიკვდილმა სულით ხორცამდე შეაძრწუნა. უსიცოცხლო სხეულის დანახვაზე შეშუპებული თვალებიდან

ცერის სიმსხო ცრემლები ჩამოუგორდა და აფუებულ ლოყებსა და ფოჩისებრ ულვაშებზე დაედინა, რამდენიმეჯერ მძიმედაც ამოიოხრა: ეს რა ღვთის რისხვაა, ვაი ჩემს თავს, ვაიო, მაგრამ, ტონის აზრით, მისი „გულარხეინი ცხოვრება“ ამ ამბავს დიდხანს არ შეუშფოთებია. ლუდხანაში სიარულმა დარდი მალე გაუქარვა და კვლავ მშვიდ, უწყინარ, ბუზღუნითა და გონებაჩლუნგი ფატალიზმით შეზავებულ არხეინ ცხოვრებას მისცა თავი.

ტონის ბარათებში ახლა უიმედობა და წუწუნი ჩვეულებრივი ამბავი გახდა. „აჰ, დედა, - წერდა იგი, - რა უბედურება არ დამატყდა თავს! ჯერ გრიუნლიჰი და მისი გაკოტრება, მერე პერმანედერის რანტიეობა და ახლა კიდევ მკვდარი ბავშვი. რით დავიმსახურე ამდენი უბედურება, რით?!“

კონსული ტონის ასეთ სიტყვებს რომ კითხულობდა, ღიმილს ვერ იკავებდა. ბარათში გამხელილი ტკივილის მიუხედავად, სტრიქონებს შუა ტონის თითქმის სასაცილო სიამაყეს გრძნობდა. კარგად იცოდა, ტონი ბუდენბროკი როგორც მადამ გრიუნლიჰის, ასევე მადამ პერმანედერის როლში კვლავ ბავშვად რჩებოდა, თავისი დიდი უბედურებისა თითქმის არ სჯეროდა, მაგრამ მას ბავშვური სერიოზულობით, ბავშვური რწმენითა და, რაც მთავარი იყო, ბავშვური სიჯიუტით უმკლავდებოდა.

ტონის ვერ გაეგო, ასეთი ტანჯვა რით დაემსახურებინა. თუმცა დედამისის დიდ ღვთისმოსაობას დამცინავად ეკიდებოდა, მაგრამ თვითონაც ისეთი ღვთისმოშიში იყო, რომ ღვთის სამართლიანობისა გულმხურვალედ სჯეროდა, საბრალო ტონი! მეორე ბავშვის სიკვდილი მისთვის არც უკანასკნელი და არც მისი წილხვედრი ყველაზე დიდი ელდა არ ყოფილა.

1859 წლის მიწურულს კიდევ ერთი საშინელი ამბავი მოხდა.

მეცხრე თავი

ნოემბრის ცივი, სუსხიანი დღე იდგა, მოქუშული ცა თითქოს სათოვრად ემზადებოდა, ბოლქვად დამდგარ ნისლში მზე ხანდახან თუ გამოაჭყიტებდა. სანავსადგურო ქალაქში ჩრდილო-აღმოსავლეთის სუსხიანი ქარი ქროდა, ეკლესიის მასიურ შპილებში მუხანათურად დაზუზუნებდა და ფილტვების ანთებისთვის პირდაპირ გამოწერილი იყო.

კონსული თომას ბუდენბროკი შუადღისას მცირე სასადილო ოთახში შევიდა. ქალბატონი ბუდენბროკი სუფრასთან იჯდა, ცხვირზე სათვალე ეკეთა და რაღაც ქაღალდს ჩასჩერებოდა.

- ტომ, - წარმოთქვა მან, შვილს შეხედა და ორივე ხელში ჩაბღუჯული ქაღალდი განზე გასწია, თითქოს ყოყმანობდა, შვილისთვის ეჩვენებინა თუ არა, - ნუ შეშინდები... რაღაც არასასიამოვნო ამბავია... არაფერი მესმის... ბერლინიდანაა... ეტყობა, რაღაც მოხდა...

- გისმენ! - მოკლედ მოჭრა თომასმა.

კონსული გაფითრდა, ერთ წამში კრიჭა ისე შეეკრა, რომ საფეთქლებზე ძარღვები დაებერა. ხელები გაშალა, თითქოს უნდოდა ეთქვა, მხოლოდ სწრაფად, თუ შეიძლება, შემზადება საჭირო არ არისო.

თომასმა ქაღალდი ფეხზე წაიკითხა, უფერული წარბები აზიდა და ულვაშის გაწკეპილი ბოლო თითებს შუა ნელ-ნელა გამოატარა.

ეს იყო დეპეშა: „ნუ შეშინდებით. გადაუდებლად მოვდივარ ერიკასთან ერთად. ყველაფერი გათავებულია. თქვენი უბედური ანტონია“.

- გადაუდებლად? - თქვა გაღიზიანებულმა თომასმა და დედას შეხედა.

მოხუცი ქალბატონი თავს სწრაფად აკანტურებდა.

- ეს რაღას ნიშნავს?

- გამოთქმაა ასეთი, ტომ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ის, ალბათ, გულისხმობს „დაუყოვნებლივ“ ან რაღაც ამდაგვარს.

- მერედა, ბერლინიდან? ბერლინში რა უნდა? საიდან გაჩნდა ბერლინში?

- არ ვიცი, ტომ, ვერც მე მივმხვდარვარ. დეპეშა ათი წუთის წინ მოვიდა. ეტყობა, რაღაც მოხდა. უნდა ველოდოთ, მეტი რა გზაა. ღვთის წყალობით ყველაფერი კარგად იქნება. დაჯექი, შვილო, და ჭამე.

თომასი დაჯდა და პორტერი მასიურ, მაღალ ჭიქაში ანგარიშმიუცემლად დაისხა.

- „ყველაფერი გათავებულია“, - გაიმეორა მან, - და ქვევით აწერს: „ანტონია“. რა ბავშვობანაა?!

თომასმა უსიტყვოდ ისაუზმა.

ცოტა ხნის შემდეგ კონსულის მეუღლემ გაბედა:

- ვითომ პერმანედერს შეემთხვეოდა რამე, ტომ? თომასს ზევით არ აუხედავს, ისე აიჩეჩა მხრები.

წასვლისას თომასი კართან შეჩერდა და თქვა:

- ჰო, დედა, ტონის უნდა დაველოდოთ. იმედი მაქვს, შუაღამეზე არ დაგვეცემა თავზე, ალბათ, ხვალ ჩამოვა, დღისით. მაშინვე მაცნობეთ, კარგი?..

* * *

კონსულის მეუღლე ტონის ჩამოსვლას ყოველ წუთს ელოდა. ღამით ვერ იქნა და ვერ მოისვენა, იდა იუნგმანი მოიხმო. იდას ახლა მის გვერდით ეძინა ანტრესოლის ბოლო ოთახში. კონსულის მეუღლემ იდას შაქრიანი წყალი მოამზადებინა და კარგა ხანს წელგამართული საწოლში იჯდა და ხელსაქმობდა. მომდევნო დილამაც დაძაბულ მოლოდინსა და გულის კანკალში გაიარა. მეორე საუზმეზე კონსულმა განაცხადა, თუ ტონი მართლა მოდის, ნაშუადღევის სამ საათსა და ოცდაცამეტ წუთზე ადრე მიუნხენიდან ვერ ჩამოვაო. ამ დროისთვის კონსულის მეუღლე ლანდშაფტებიან ოთახში ფანჯარასთან იჯდა. ხელში წიგნი ეჭირა და ამაოდ ცდილობდა რაიმე წაეკითხა. წიგნს შავი ტყავის ყდა ჰქონდა და ზედ ოქროთი პალმის რტო იყო ამოტვიფრული.

ამინდი გუშინდელივით ცუდი იდგა: სიცივე, ჯანღი და ქარი. რკინის ლაპლაპა, ნაჭედ გისოსებს იქით ღუმელი გუზგუზებდა. ბორბლების ყოველ ხმაურზე მოხუცი ქალბატონი წამოიწეოდა და ფანჯარაში იხედებოდა ხოლმე. ოთხ საათზე კონსულის მეუღლე ფანჯრისკენ აღარც იყურებოდა, თითქოს თავისი ქალიშვილი აღარც კი ახსოვდა. ამ დროს ქვევით, სახლში, ჩოჩქოლი ატყდა. კონსულის მეუღლე ფანჯრისკენ მკვირცხლად მიტრიალდა და არშიებიანი ხელსახოცით დაორთქლილი მინა გაწმინდა. მართლაც ქუჩაზე დროშკა იდგა, ჩამოსულნი კი უკვე კიბეზე ამოდიოდნენ!

კონსულის მეუღლემ ორივე ხელი სავარძლის სამკლავურებს ჩასჭიდა და წამოდგომა სცადა, მაგრამ ისევ ჩამოჯდომა არჩია და შეშინებული სახე ქალიშვილისკენ მიაბრუნა. ტონი სწრაფი ნაბიჯებით, თითქმის სირბილით მოდიოდა. ერიკა გრიუნლიჰი კი იდა იუნგმანს ჩაბღაუჭებოდა და მინის კართან იდგა.

ფრაუ პერმანედერს ბეწვშემოვლებული მოსასხამი ეცვა და მაღალი, პირბადიანი ფეტრის ქუდი ეხურა. გაფითრებული და დაღლილი ჩანდა, თვალები ჩასწითლებოდა, ზედა ტუჩი ისე უცახცახებდა, როგორც ბავშვობაში ტირილის დროს იცოდა ხოლმე. ტონიმ ხელები მაღლა ასწია, მაგრამ ისევ ჩამოუშვა და დედის წინ მუხლებზე ნელა დაეშვა, სახე დედის კაბის ნაოჭებში ჩამალა და მწარედ აქვითინდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ტონი მიუნხენიდან პირდაპირ ასე, ერთი ამოსუნთქვით მოსულიყო აქამდე, მიზნამდე მოეღწია და ახლა ქანცმილეული და გადარჩენილი დედის ფერხთით იყო მისვენებული.

კონსულის მეუღლე ერთ წუთს დუმდა.

- ტონი! - ალერსიანი საყვედურით წარმოთქვა მან, შემდეგ ფრაუ პერმანედერის ქუდიდან თავის თმაზე გამოდებული დიდი ქინძისთავი ფრთხილად გამოიღო,

ქუდი ფანჯრის რაფაზე ჩამოდო და ქალიშვილს ხშირ, ფერფლისფერ თმაზე ნაზად და ალერსიანად გადაუსვა ორივე ხელი.

- რა დაგემართა, შვილო, რა მოხდა?

მაგრამ კონსულის მეუღლე მოთმინებით უნდა აღჭურვილიყო, სანამ ამ კითხვაზე პასუხს ეღირსებოდა.

- დედა, - ამოიქვითინა ბოლოს ფრაუ პერმანედერმა, - დედა! - და სიტყვა გაუწყდა.

კონსულის მეუღლემ თვალი შუშის კარს მიაპყრო, ქალიშვილისთვის ხელი არ მოუშორებია, ისე გაიწვდინა თავისუფალი ხელი შვილიშვილისკენ, რომელსაც პირში თითი ჩაედო და კართან დარცხვენილი იდგა.

- მოდი, შვილიკო, მოდი და გამარჯობა მითხარი. გაზრდილხარ და დამშვენებულხარ. ღვთის მადლით, ფერი არ გაკლია და ხორცი. რამდენი წლისა ხარ ახლა, ერიკა?

- ცამეტის, ბებია.

- ო, დიდი ქალი ხარ უკვე.

ბებია გოგონას ტონის თავზემოთ გადასწვდა და აკოცა, მერე დასძინა:

- ახლა იდასთან ერთად ზემოთ ადი, ჩემო შვილიკო, სადილი მალე იქნება. მანამდე დედიკოს ჩემთან სალაპარაკო აქვს, კარგი?

დედა-შვილი მარტო დარჩა.

- აბა, ჩემო საყვარელო, აღარ მორჩები ტირილს? ღმერთი თუ განსაცდელს მოგვივლენს, უდრტვინველად უნდა გავუმკლავდეთ. ნათქვამია, აღიღე ჯვარი თვისი და შემომიდეგინ მეო. იქნებ გინდა, ჯერ ზევით ახვიდე, ცოტა მოისვენო, გამოცოცხლდე და მერე ჩამოხვიდე ჩემთან? ჩვენმა კარგმა იუნგმანმა შენი ოთახი მოგიმზადა... მადლობელი ვარ, დეპეშა რომ გამოგზავნე, თუმცა ძალიან კი შეგვეშინდა, მაგრამ... - კონსულის მეუღლემ სიტყვა გაწყვიტა, რადგან თავისი კაბის ნაოჭებიდან დაგუდული, ათრთოლებული ხმა მოესმა:

- ის გათახსირებული კაცია... გათახსირებული კაცია... გათახსირებული...

ამ მაგარ სიტყვას ტონი ვერ ელეოდა. თითქოს ამ სიტყვას თვითონვე სავსებით ჰყავდა დაპყრობილი. ტონიმ კონსულის მეუღლის კალთაში სახე უფრო ღრმად ჩამალა და სკამზე შემოხვეული ხელი მომუშტა კიდეც.

- მგონი, შენს ქმარს გულისხმობ, არა? - ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ჰკითხა მოხუცმა ქალბატონმა, - თავში ეს აზრი არ უნდა მომსვლოდა, მაგრამ სხვა რა ვიფიქრო, ტონი? პერმანედერმა გატკინა გული? მასზე საყვედურობ, ხომ?

- ბაბეტ! - ამოისლუკუნა ფრაუ პერმანედერმა, - ბაბეტ!

- ბაბეტა? - ჩაეკითხა კონსულის მეუღლე შვილს, შემდეგ სავარძელში გადაესვენა და ღია ცისფერი თვალები ფანჯარას მიაპყრო. ის უკვე მიხვდა, რა ამბავიც დატრიალებულა პერმანედერების ოჯახში.

სიჩუმე ჩამოვარდა. დროდადრო მხოლოდ ტონის სლუკუნი ისმოდა.

- ტონი, - ცოტა ხნის შემდეგ თქვა კონსულის მეუღლემ, - ახლა კი ვხედავ, რომ შენთვის დიდი წყენა მოუყენებიათ... საჩივლელი საბაბი გქონია... მაგრამ აუცილებელი იყო, ეს წყენა ასე შმაგად გამოგეხატა? განა აუცილებელი იყო, მიუნხენიდან ერიკასთან ერთად გამოქცეულიყავი? შენზე და ჩემზე ნაკლებად შეგნებულ ხალხს ხომ ეგონება, ქმართან უკან დაბრუნებას აღარ აპირებსო?

- აღარც ვაპირებ, დიახ, აღარ! - წამოიყვირა ფრაუ პერმანედერმა, თავი სწრაფად აიღო, ნამტირალევი თვალები დედას სახეში მრისხანედ შეანათა და სახე კვლავ კაბის ნაოჭებში ჩამალა. კონსულის მეუღლემ ამ წამოძახილს ყური აარიდა.

- აბა, ახლა, - ხმას აუმაღლა კონსულის მეუღლემ და თავი გადაუწია, - რაკი აქა ხარ, რა გაეწყობა, ყველაფერს მომიყვები, გულს მოიოხებ, მერე კი ვნახოთ, დავფიქრდეთ, გულმოწყალებას მოვუხმოთ და საქმის გამოსწორებას შევეცადოთ.

- არასოდეს! - გაიმეორა ტონიმ, - არასოდეს! - და მოყოლა დაიწყო.

ტონის თავი კვლავ კონსულის მეუღლის კალთაში ჰქონდა ჩარგული, სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა და ყველაფრის გარჩევა ძნელი იყო. ხანდახან მონათხრობში აღშფოთების წამოძახილებს ურევდა ხოლმე. აშკარად ჩანდა, თავს რა უბედურებაც დასტყდომოდა.

ამ თვის ოცდაოთხ რიცხვში კუჭის ტკივილისგან გაწამებულს შუაღამისას ძლივს მოუხუჭავს თვალი. მალე კიბეზე ატეხილ ხმაურს გამოუფხიზლებია. კიბეზე, თურმე, რაღაც საიდუმლო ხმები ისმოდა: საფეხურების ჭრაჭუნი, ხითხითი, მოსაგერიებელი შეძახილები, კრუტუნი და ხვნეშა. საეჭვო აღარ იყო, ეს ხმაური რასაც ნიშნავდა. ფრაუ პერმანედერი ჯერ კიდევ კარგად ვერ გამოფხიზლებულიყო, მაგრამ უკვე გრძნობდა, რაც ხდებოდა. სისხლი ლოყებიდან დაეწრიტა და გულზე შემოაწვა, გული ნაწყვეტ- ნაწყვეტად და მძიმედ უცემდა. უსაშველოდ გრძელი, საშინელი წუთის
განმავლობაში ენაწართმეული ტონი დამბლადაცემულივით იყო ბალიშს
მიჯაჭვული. მერე კი, როცა ეს უსირცხვილო ბღლარძუნი აღარ მიჩუმდა, აკანკალებული ხელებით სანთელი აანთო, სასოწარკვეთილი, გაბრაზებული და ზიზღისგან შეძრწუნებული ლოგინიდან წამოდგა, კარი გამოგლიჯა და ქოშებში ფეხწადგმული კიბის თავისკენ გაეშურა, იმ შვეული, „ზეციური კიბისკენ“, რომელიც ზედ შემოსასვლელ კართან იწყებოდა და მეორე სართულისკენ მიემართებოდა. და
იქ, კიბის ზემო საფეხურებზე ხორცშესხმულად წარმოუდგა თვალწინ ის სურათი,

რასაც თავის საძინებელ ოთახში არაორაზროვანი ხმაურისგან შეძრწუნებული, გაფართოებული თვალებით უკვე ხედავდა. კიბის თავში გაცხარებული ბრძოლა იყო, ბატონი პერმანედერი მზარეულ ქალს უსირცხვილოდ ებღლარძუნებოდა. ეტყობოდა, გოგო სახლში გვიანობამდე საქმიანობდა, ხელში გასაღებების აცმულა და სანთელი ეჭირა. იგი აქეთ-იქით აწყდებოდა და იბრძოდა, რომ როგორმე ბატონს ხელიდან დასხლტომოდა. ბატონ პერმანედერს ქუდი კეფაზე მოეგდო, ბაბეტასთვის ხელები შემოეხვია და ცდილობდა თავისი სელაპისებური ულვაშები მის სახემდე მიეტანა. ამას ხანდახან ახერხებდა კიდეც. ანტონიას დანახვაზე ბაბეტას რაღაც ამის მსგავსი სიტყვები აღმოხდა: „იესო, მარიამ, იოსებ!“ ბატონმა პერმანედერმაც გაიმეორა: „იესო, მარიამ, იოსებ!“ და ბაბეტას ხელი უშვა. გოგო იმწამსვე უკვალოდ გაქრა. ბატონი პერმანედერი კი მკლავებჩამოყრილი, თავჩაქინდრული და ულვაშებჩამოშვებული მეუღლის წინ იდგა და უაზროდ ბუტბუტებდა: აი, თუ გინდა, ჯანდაბა და
დოზანაო... როცა ბატონმა პერმანედერმა თვალის გახელა გაბედა, ტონი იქ აღარ იყო. ცოლი საწოლ ოთახში იპოვა: ლოგინზე მიწოლილიყო და სასოწარკვეთილი ქვითინებდა, ვაი, სირცხვილოო, იმეორებდა წამდაუწუმ. ბატონი პერმანედერი კარის წირთხლს უღონოდ მიეყრდნო. მერე მხრები ისე გაიქნია, თითქოს ტონის გასამხნევებლად მუჯლუგუნი უნდა გაჰკრას გვერდშიო და ცოლს შეესიტყვა:

- კარგი ერთი, გეყოფა, ტონერლ! ფრანცლ რამზაუერმა დღეობა გადაიხადა... ცოტა გადაკრულში ვარ...

ბატონმა პერმანედერმა ოთახში ალკოჰოლის ისეთი ოხშივარი დააყენა, რომ ტონი სულ გადაირია. ახლა აღარ სლუკუნებდა, სისუსტე და უღონობა დასძლია, ტემპერამენტმა თავისი გაიტანა, ზეწამოიმართა და სასოწარკვეთილებისგან გაცოფებულმა მთელი თავისი გულისწყრომა, მთელი ზიზღი და ღრმა სიძულვილი ქმარს პირში მიახალა. ბატონი პერმანედერიც არ დარჩენილა ვალში, თავი უხურდა, მეგობრის პატივსაცემად მხოლოდ ლუდი კი არა, „შუშხუნაც“ ჰქონდა გადაკრული და ცოლს უხეშად უპასუხა. გაიმართა ჩხუბი, იმაზე უფრო საშინელი, ვიდრე ბატონი პერმანედერის მყუდრო ცხოვრებაზე გადასვლამ გამოიწვია. ფრაუ ანტონიამ ტანსაცმელი მოკრიფა და სასტუმრო ოთახისკენ გაემართა. მიმავალს ბატონმა პერმანედერმა სიტყვა დაადევნა, ისეთი სიტყვა... არა, ტონი იმ სიტყვას ვერ გაიმეორებს, მის ბაგეს ის სიტყვა ვერ დასცდება, სიტყვა... ისეთი სიტყვა...

ეს იყო იმ აღსარების მთავარი შინაარსი, რომელიც მადამ პერმანედერმა დედის კალთაში წარმოთქვა. იმ სიტყვას კი, იმ სიტყვას, რომელმაც იმ საშინელ ღამეს სულით ხორცამდე შეძრა, ტონი არაფრისდიდებით არ ამბობდა, იმ სიტყვას ვერ გაიმეორებდა. არა, ღმერთმანი, ვერ მათქმევინებთო, ირწმუნებოდა ტონი, თუმცა კონსულის მეუღლე არც აძალებდა, ის მხოლოდ თავს ნელა, ფიქრიანად აქნევდა და ტონის მშვენიერ, ფერფლისფერ თმას დასცქეროდა.

- ჰოო, - თქვა კონსულის მეუღლემ, - სამწუხარო ამბები მითხარი, ტონი. ყველაფერი კარგად მესმის, ჩემო საბრალო პატარა გოგო, მე მარტო დედა კი არა ვარ შენი, ქალიც ვარ... ვხედავ, რა სამართლიანია შენი გულისტკივილი, შენს ქმარს სისუსტის წამს შენდამი მოვალეობა როგორ დავიწყებია.

- სისუსტის წამს?! - წამოიძახა ტონიმ, ფიცხლად წამოხტა, ორი ნაბიჯი წინ გადადგა და თვალები ნერვიულად ამოიმშრალა, - ერთ წამს, დედა?.. მან მაშინვე დაივიწყა ჩემ და ჩვენი სახელის წინაშე დაკისრებული ვალი. ეს ვალდებულება არც არასდროს შეუგნია! კაცი, რომელიც ცოლის მზითვის მიღებისთანავე გულზე ხელს დაიკრეფს! პატივმოყვარეობის ნიშანწყალიც რომ არ გააჩნია! უმიზნო, უინტერესო კაცი! კაცი, რომელსაც ძარღვებში სისხლის მაგიერ ალაოსა და სვიის სქელი ლაფი უდუღს... დიახ, ამაში დარწმუნებული ვარ! ყველა ამ სიკეთესთან ერთად, ისეთ სიმდაბლესაც სჩადის, როგორიც ბაბეტას ამბავი იყო, და როცა უღირს საქციელზე მიუთითებ, ისეთი სიტყვით ილანძღება... ისეთი სიტყვით...

ტონი ისევ იმ სიტყვას მიადგა, იმ სიტყვას, რომლის გამეორებასაც სიკვდილი ერჩია.
უცებ ტონიმ ნაბიჯი წინ წადგა და სავსებით მშვიდად და ინტერესით იკითხა:

- რა მშვენიერია. საიდან გაქვს, დედა?

ტონიმ დედას ლერწმისგან მოწნულ, ფეხებზე შემდგარ, ატლასის ლენტებით მორთულ ბუდის მსგავს კალათაზე მიუთითა. ამ კალათაში კონსულის მეუღლე ერთი ხანია ხელსაქნარს ინახავდა.

- ახლახან შევიძინე, - უპასუხა მოხუცმა ქალბატონმა, - მჭირდებოდა.

- რა კეთილშობილურია! - თქვა ტონიმ, თავი გვერდზე გადაიგდო და კალათას ჭვრეტა დაუწყო.

კონსულის მეუღლის თვალებიც იქით იყო მიქცეული, მაგრამ ღრმა ფიქრში ჩაფლული ქალი კალათას ვერ ხედავდა.

- ჩემო საყვარელო ტონი, - თქვა მან ბოლოს და ქალიშვილს ხელები გაუწოდა, - როგორც უნდა იყოს, შენ აქა ხარ და შენი აქ ყოფნა გულს მიხარებს, ჩემო გოგონა. ამ საქმეზე უფრო დამშვიდებულ გუნებაზე რომ ვიქნებით, მაშინ ვილაპარაკებთ, ახლა კი შენს ოთახში ადი, ტანსაცმელი გამოიცვალე, დაისვენე... იდა! - სასადილო დარბაზისკენ გასძახა კონსულის მეუღლემ, - უბრძანე, ჩემო კარგო, მადამ პერმანედერისა და ერიკასთვისაც გააწყონ ჭურჭელი.

მეათე თავი

ნასადილევს ტონიმ თავის საძინებელ ოთახს მიაშურა. სუფრაზე კონსულის მეუღლემ დაუდასტურა, თომასმა შენი ჩამოსვლის ამბავი იცისო. ტონის ძმასთან შეხვედრა მაინცდამაინც არ ეხალისებოდა.

ნაშუადღევის ექვს საათზე თომასი ზევით ავიდა. ჯერ კარგა ხანს ლანდშაფტებიან ოთახში ისაუბრა დედასთან.

- როგორაა მისი საქმე? - შეეკითხა თომასი ქალბატონ ბუდენბროკს, - თავი როგორ უჭირავს?

- აჰ, ტომ, ვშიშობ, ტონი უკან არ დაიხევს... ღმერთო ჩემო, ისეა გაღიზიანებული, ისე, რომ პირდაპირ არ ვიცი... მერე ის სიტყვა... ნეტავ ვიცოდე, რა უთხრა ისეთი?

- მე ავალ ტონისთან.

- კარგი, ტომ, მაგრამ წყნარად დაუკაკუნე, არ შეაშფოთო და შენც ნუ აღელდები, გესმის? ნერვები ისე აქვს მოშლილი, მეტი არ იქნება... თითქმის ლუკმა არ ჩაუდვია პირში... მისი კუჭის ამბავი ხომ იცი? მშვიდად ელაპარაკე.

ტომი, ჩვეულებისამებრ, თითო საფეხურს ახტებოდა და მესამე სართულზე ამავალი კიბე სწრაფად აიარა, თან ჩაფიქრებული ულვაშს აწვალებდა. კარზე დააკაკუნა თუ არა, სახეზე დარდი გადაიყარა. გადაწყვეტილი ჰქონდა, სანამ შესაძლებელი იყო, ამ საქმეს იუმორით მოჰკიდებოდა.

თომასმა გაიგონა ტანჯული ხმით ნათქვამი „შემოდით“ და კარი შეაღო. ფრაუ პერმანედერი ჩაცმული იწვა ფარდებაკრეფილ საწოლზე. ზურგს უკან ბალიში ედო, კუჭის წვეთებიანი შუშა ღამის მაგიდაზე ედგა. ტონი ოდნავ შემობრუნდა, თავით ხელზე დაეყრდნო და ძმას ნაღვლიანი ღიმილი შეაგება. თომასი წელში ორად მოიკეცა და ხელები დიდის ამბით გაშალა.

- მოწყალეო ქალბატონო! რას მივაწეროთ ესოდენ დიდი პატივი, რომ სატახტო ქალაქის ბინადარს აქ გხედავთ?

- მაკოცე, ტომ, - თქვა ტონიმ, წამოიწია, ძმას ლოყა საკოცნელად მიუშვირა და ისევ ლოგინზე დაეშვა, - გამარჯობა, ჩემო კარგო ძამიკო! მიუნხენში ჩვენი შეხვედრის შემდეგ, როგორც ვხედავ, სულ არ შეცვლილხარ.

- აჰ, ამ ჩამოშვებულ ფარდებში მაგას კი ვერ გაარჩევდი კარგად, ჩემო ძვირფასო, თანაც შენთვის სათქმელი კომპლიმენტიც არ უნდა აგეცლია ცხვირწინ ჩემთვის.

თომასს ტონის ხელი არ გაუშვია, ისე მოსწია სკამი და დის ახლოს ჩამოჯდა.

- როგორც არაერთხელ მითქვამს: შენ და კლოტილდე...

- ფუი, ტომ! ტილდა როგორ არის?

- კარგად, მაგას რა კითხვა უნდა! მადამ კრაუზემინცი საკმაოდ ზრუნავს მისი მუცლის ამოსაყორად, მაგრამ ეს ტილდას ხელს როდი უშლის, ხუთშაბათობით ჩვენთან საჭმელს მუსრი გაავლოს, თითქოს ერთი კვირის მარაგს ივსებდეს.

ტონის დიდი ხანია ასე გულიანად აღარ გაუცინია, მაგრამ სიცილი მალე შეწყვიტა, ამოიოხრა და ძმას ჰკითხა:

- საქმეები როგორ მიდის, ტომ?

- არა უშავს, მიდის ნელ-ნელა. ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილების საბაბი არა მაქვს.

- ოჰ, მადლობა, ღმერთს, აქ მაინც მიდის ისე ყველაფერი, როგორც უნდა იყოს! აჰ, მე რომ ვერა ვარ ლაყბობის გუნებაზე?

- სამწუხაროა, იუმორის გრძნობა კაცმა ყველანაირ შემთხვევაში უნდა შეინარჩუნო.

- არა, ჩემს საქმეს აღარაფერი ეშველება, ტომ. იცი ხომ ყველაფერი?

- „იცი ხომ ყველაფერი?“ - გაიმეორა თომასმა, ტონის ხელს ხელი უშვა და სკამი უკან გასწია, - ღმერთო დიდებულო, „ყველაფერი“! რა არ იგულისხმება ამ „ყველაფერში“!
„მე ჩემს სიყვარულს და ჩემს ნაღველს ჩავმალავ მასში“, არა? აბა, ყური მიგდე!

ტონი გაჩუმდა და ძმას გაოცებული და ნაწყენი მზერა მიაპყრო.

- ჰო, სწორედ ასეთ შემოხედვას ველოდი, - თქვა ტომმა, - სხვანაირად შენ აქ არ იქნებოდი. მაგრამ ნება მომეცი, ჩემო კარგო ტონი, ამ ამბავს შენსავით მეტისმეტად მძიმედ კი არა, სწორედ მეტისმეტად მსუბუქად მოვეკიდო და აი, ნახავ, რა ჩინებულად შევავსებთ ერთმანეთს.

- მეტისმეტად მძიმედ ვეკიდები, არა, თომას?

- დიახ. ღმერთო დიდებულო, ტრაგედიას ნუ გავითამაშებთ! ცოტა უფრო უბრალოდ ვილაპარაკოთ. „ყველაფერი დამთავრებულია“ და „თქვენი უბედური ანტონია“, - ასეთ ფრაზებს მოვეშვათ! სწორად გამიგე, ტონი, კარგად იცი, შენი ჩამოსვლა მე ყველაზე უფრო მიხარია. დიდი ხანია მინდოდა სტუმრად ჩამოსულიყავი, უქმროდ, რომ ერთხელ en famille[69] მოგვეყარა თავი. შენ კი ახლა რომ ჩამოხვედი, და ასე რომ ჩამოხვედი, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ სისულელეა, ჩემო კარგო, და მეტი არაფერი!.. დიახ... მაცალე, სიტყვა დამამთავრებინე! პერმანედერი ნამდვილად ძალიან ცუდად მოქცეულა და ამას კარგადაც გავაგებინებ, იცოდე...

- ის როგორც მოიქცა, თომას, - შეაწყვეტინა ტონიმ ძმას, მერე წამოიმართა და ხელი მკერდზე მიიდო, - მე უკვე გავაგებინე, და არა მარტო „გავაგებინე“. ამ კაცთან ლაპარაკის გაგრძელება უკვე სრულიად ზედმეტად მიმაჩნია! - ტონი ისევ წამოწვა და ჭერს მკაცრად გაუშტერა თვალი.

თომასი, თითქოს მისმა სიტყვებმა დათრგუნაო, წელში მოიხარა და თავის მუხლებს ღიმილით დახედა.

- ჰო, კარგი, მე მას უხეშ წერილს არ მივწერ, როგორც შენ მიბრძანებ, ისე მოვიქცევი, ბოლოს და ბოლოს, ეს შენი საქმეა. ისიც საკმარისი იქნება, შენ თუ შავ დღეს დააყენებ, ეგ შენი, როგორც მეუღლის, ვალია. საქმეს სხვა თვალით რომ შევხედოთ, იმასაც შეიძლება რაღაც გამართლება მოუნახო. მეგობარმა დღეობა გადაიხადა, შინ საზეიმო განწყობილება მოჰყვა, ზედმეტად მხიარულ გუნებაზე დაბრუნდა და ცოტა წაიშმაკა...

- თომას, - თქვა ტონიმ, - შენი არაფერი მესმის! შენი ლაპარაკის ტონიც ვერ გამიგია! შენ... შენი შეხედულებების კაცი ამას რომ ამბობ... მაგრამ შენ ხომ ის არ გინახავს, გალეშილი მთვრალი გოგოს როგორ ეხვეოდა, ან თვითონ რას ჰგავდა!..

- წარმომიდგენია, რა სასაცილო იქნებოდა. მეც მანდა ვარ, ტონი. შენ ამ ამბავს იუმორით რომ ვერ უყურებ, ეგ შენი კუჭის ბრალია. შენ ქმარს სისუსტეზე წაასწარი, სასაცილო მდგომარეობაში იხილე... ამ დროს ასე საშინლად კი არ უნდა აღელვებულიყავი. პირიქით, ეგ ამბავი სიცილად არ უნდა გყოფნოდა და ქმარს მეტად უნდა დაახლოებოდი... ერთ რამეს კიდევ გეტყვი: მის საქციელს, რასაკვირველია, სიცილსა და დუმილში ვერ ჩაატარებდი, არა, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ შენ გამოემგზავრე: ეს იყო დემონსტრაცია, ალბათ, ცოტა ნაჩქარევი, ალბათ, მეტისმეტად მკაცრი სასჯელი, მაგრამ სამართლიანი. წარმომიდგენია, რა გულმოკლული იქნება ამ წუთში. მე მხოლოდ იმას გთხოვ, ამ ამბავს ცოტა გულდამშვიდებით და ცოტა პოლიტიკური პოზიციიდან შეხედო, ჩვენ ხომ ამ წუთში მარტონი ვართ. ისიც მინდა გითხრა, რომ ცოლქმრობაში სულერთი როდია, ვის მხარეზეა მორალური უპირატესობა... გამიგე, ტონი! შენი ქმარი ცუდად მოიქცა, ეს ეჭვგარეშეა. თავი შეირცხვინა, გაიმასხარავა... სწორედ გაიმასხარავა, რადგან მისი მოქმედება იმდენად უწყინარია, რომ სერიოზულად სათვალავში ჩასაგდები არც არის... მოკლედ, მისი ღირსება შეულახავი არ დარჩენილა, ახლა ერთგვარი უპირატესობა შენს მხარეზეა და თუ ამ უპირატესობას მარჯვედ გამოიყენებ, ბედნიერი იქნები. შენ ახლა, ვთქვათ, ორი კვირა - დიახ, სულ ცოტა, ორი კვირა მაინც უნდა გამყოფო ჩვენთან! მიუნხენში რომ დაბრუნდები, აი, ნახავ...

- მე მიუნხენში არ დავბრუნდები, თომას!

- რა თქვი? - შეეკითხა დას თომასი.

კონსულს სახე შეეჭმუხნა, ხელი ყურთან მიიდო და წინ გადაიხარა.

ტონი გულაღმა იწვა, კეფა ბალიშზე მაგრად ჰქონდა მიჭერილი, ისე, რომ ნიკაპი წინ მკაცრად წამოსწეოდა.

- არასოდეს! - თქვა მან.

ტონიმ ღრმად ამოიფშვინა და მშრალად ჩაახველა, ნელა და მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა. ტონის ამ ბოლო დროს ასეთი ჩახველება ნერვიულ ჩვეულებად გადაქცეოდა. იქნებ ეს კუჭის ტკივილის ბრალიც იყო?

სიჩუმე ჩამოვარდა.

- ტონი, - თქვა თომასმა მოულოდნელად, წამოდგა და ხელი ამპირის სტილის სკამის საზურგეს დაადო, - შენ მე სკანდალს არ მომიწყობ, იცოდე!

ტონიმ ძმას ალმაცერად გახედა: თომასი გაფითრებულიყო და საფეთქლებზე ძარღვი უთამაშებდა. ტონის ასე წოლა აღარ შეეძლო. ისიც შეინძრა და ძმის წინაშე შიში რომ დაეფარა, ხმამაღლა და ფიცხლად ალაპარაკდა. მერე წამოჯდა, ფეხები საწოლიდან ჩამოიღო, წარბები შეიჭმუხნა და ლოყებზე ალმურადენილმა თავისა და ხელების ცხარე ქნევით დაიწყო:

- სკანდალს არ მოგიწყობ, თომას? შენ შეგიძლია მიბრძანო, სკანდალი არ მომიწყოო, მაშინ როცა მე ლაფში მსვრიან, უბრალოდ, სახეში მაფურთხებენ? ეს ეკადრება ძმას?.. დიახ, ამ კითხვის უფლება მერგება შენგან! თავის დაჭერა და ტაქტი კარგი რამ არის, ღმერთმანი! მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, ტომ, და მე ცხოვრება შენზე ნაკლებად არ ვიცი, სადაც სკანდალის წინაშე შიში გაჩნდება, ლაჩრობაც იქვეა, დიახ! ძალიან მიკვირს, რომ ამის თქმა შენთვის მე მიხდება, მე, ბატისტვინა, სულელ არსებას... დიახ, ასეთი ვარ და კარგად მესმის, რომ პერმანედერს არასოდეს ვყვარებივარ, ბებერი და უშნო ქალი ვარ და იმიტომ; დიახ, შეიძლება ასე იყოს, და ბაბეტა ნამდვილად ჩემზე ლამაზია, მაგრამ ეს ჩემს ქმარს ჩემი ჩამომავლობის, აღზრდისა და გრძნობების უგულებელყოფის უფლებას არ აძლევდა! შენ არ იცი, ტომ, როგორ დაივიწყა თავისი ვალდებულებანი ჩემ წინაშე და ვისაც ეს
არ უნახავს, ვერაფერს მიხვდება, მონაყოლით ვერ მიხვდება, რა გულის ამრევი იყო
იგი იმ წუთში... შენ არც ის სიტყვა გაგიგონია, რომელიც მან მე, მე, შენს დას, მომაძახა, როცა ჩემი ტანსაცმელი ავკრიფე და სოფაზე დასაძინებლად სასტუმრო ოთახისკენ გავეშურე. დიახ! ამ დროს ზურგს უკან მისი პირიდან ისეთი სიტყვა გავიგონე...
ისეთი სიტყვა... ისეთი!.. მოკლედ, თომას, თუ მართალი გინდა, იმ სიტყვამ მომცა
საბაბი... იმ სიტყვამ მაიძულა, მთელი ღამე ბარგის შეკვრაში გამეტარებინა, უთენია ერიკა გავაღვიძე და წამოვედი. იმ კაცთან დარჩენა აღარ შემეძლო, ვინც მე ასეთი სიტყვა მაკადრა, და მასთან, როგორც ვთქვი, აღარასოდეს დავბრუნდები... მაშინ მე ზნედაცემული ქალი უნდა ვიყო, საკუთარი თავის პატივისცემა უნდა დავკარგო და ცხოვრებაში დასაყრდენი ვეღარ ვიპოვო.

- იქნებ კეთილი ინებო და ეს ღვთისგან დაწყევლილი სიტყვა გამაგებინო. ბოლოს და ბოლოს, იტყვი თუ არა?

- არასოდეს, თომას! ჩემს ბაგეს ეგ სიტყვა არასოდეს დასცდება! მე ვიცი, ამ ჭერქვეშ რა ვალი მაკისრია საკუთარი თავისა და შენ წინაშე.

- მაშინ შენთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვს!

- შეიძლება. მეც ეგ მინდა, რომ ამაზე აღარ ვილაპარაკოთ.

- მაინც რას აპირებ? გინდა ქმარს გაეყარო?

- ჰო, მინდა, ტომ. ეს უკვე მტკიცედ გადავწყვიტე, ამას მიკარნახებს მოვალეობა საკუთარი თავისა, ჩემი შვილისა და ყველა თქვენგანის წინაშე.

- ეგ ხომ უგუნურებაა, - მშვიდად თქვა თომასმა, ქუსლებზე შემოტრიალდა და დას მოშორდა, თითქოს საქმე ამით დამთავრებულიყოს, - განქორწინება მარტო შენზე არ არის დამოკიდებული, ჩემო კარგო, თუ ფიქრობ, რომ პერმანედერი ასე იოლად დაგთანხმდება გაყრაზე, სასაცილოა და მეტი არაფერი...

- ო, ეგ მე მომანდე, - ნირი არ შესცვლია ტონის, - შენ გგონია, ჩემი 17000 ტალერის გულისთვის გაჯიუტდება? გრიუნლიჰსაც არ უნდოდა, მაგრამ აიძულეს, ამისთვის არსებობს საშუალება, მე დოქტორ გიზეკესთან წავალ; ის ქრისტიანის მეგობარია და მხარს დამიჭერს. რა თქმა უნდა, მაშინ სხვა იყო, ვიცი, რისი თქმაც გინდა. მაშინ მიზეზი იყო „ქმრის უუნარობა, ერჩინა ოჯახი“. დიახ! ხომ ხედავ, ასეთ საქმეებში რა გათვითცნობიერებული ვარ, შენ კი ისე მიყურებ, თითქოს ქმარს პირველად ვეყრებოდე!.. მაგრამ სულერთია, ტომ, შეიძლება არაფერი გამოვიდეს, შეიძლება მართალი იყო, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ეს ჩემს გადაწყვეტილებას ვერ შეარყევს. მაშინ ჰქონდეს ის გროშები - ცხოვრებაში ბევრი რამ არის ფულზე მაღალი. მე კი ვეღარ მიხილავს.

ტონიმ ისევ ჩაახველა, ლოგინიდან წამოდგა, სავარძელში ჩაჯდა, იდაყვით სავარძლის სახელურს დაეყრდნო და ნიკაპი ისე ჩამალა ხელში, რომ ოთხი მოკრუნჩხული თითი ქვედა ტუჩზე შემოიჭდო. იჯდა ასე ტონი, გვერდზე შეტრიალებული და არეული და ჩაწითლებული თვალებით ფანჯარაში უაზროდ იყურებოდა.

კონსული ოთახში ბოლთას სცემდა, ოხრავდა, თავს აქნევდა და მხრებს იჩეჩდა.
ბოლოს ხელები გულზე დაიკრიფა და დის წინ შეჩერდა.

- შენ ნამდვილი ბავშვი ხარ, - გაუბედავად და ვედრებით თქვა მან, - ყოველი შენი ნათქვამი სიტყვა ბავშვობაა და მეტი არაფერი! მე რომ გთხოვო, ვერ შეძლებ, თავს ძალა დაატანო და მოვლენებს მხოლოდ ერთი წუთით შეხედო მოზრდილის თვალით? ნუთუ ვერ ამჩნევ, რომ ისე იქცევი, თითქოს რაღაც სერიოზული და მძიმე გადაგეტანოს, თითქოს შენმა ქმარმა საშინლად მოგატყუა, თითქოს მთელი ქვეყნის სასაცილო გაგხადა?! აბა, დაფიქრდი და ნახავ, რომ ქვეყანა არ დაქცეულა. თქვენს
„ზეციურ კიბეზე“ მომხდარი სასაცილო ამბავი კაციშვილმა არ იცის! შენსა და ჩვენს ღირსებას არაფერი დააკლდება, თუ სავსებით დამშვიდებული, ან თუ მაინცდამაინც გინდა, ოდნავ გამომწვევი სახით პერმანედერთან დაბრუნდები... პირიქით! თუ შენ

ჩვენს ღირსებას იმით ზოგავ, რომ ქმარს არ უბრუნდები, ძალიან ცდები, სწორედ ასეთი უმნიშვნელო ამბის გაზვიადებით შეგიძლია ქვეყანა აალაპარაკო.

ტონიმ ნიკაპიდან ხელი მოიცილა და თომასს სახეში შეხედა.

- გაჩუმდი, თომას! ახლა ჩემი ჯერია! ახლა შენ მომისმინე! რაა? ცხოვრებაში მხოლოდ ის ითვლება სირცხვილად და უბედურებად, რაც გახმაურდება და ხალხის ყურამდე მიაღწევს? არა! დაფარული სკანდალი, კაცს რომ უჩუმრად უღრღნის სულსა და გულს და საკუთარი თავის პატივისცემას უკარგავს, გაცილებით უარესია! განა ჩვენ, ბუდენბროკები, იმის ხალხი ვართ, რომ გარეგნულად ყველაფერი ტიპ-ტოპზე გვქონდეს, როგორც აქაურები ამბობენ ხოლმე, და ოთხ კედელშუა კი აბუჩად ავაგდებინოთ ვინმეს თავი? ტომ, მე შენი მიკვირს! გაიხსენე მამაჩვენი, ამ შემთხვევაში ის როგორ მოიქცეოდა და მისი შეხედულებისამებრ განსაჯე! არა, ყველაზე მთავარია სიწმინდე და სიმართლე!.. შენ შეგიძლია მთელ ქვეყანას დაანახვო შენი დავთრები. ჩვენც, ყველანი, ასეთები უნდა ვიყოთ. მე ვიცი, ღმერთმა როგორიც გამაჩინა და არაფრის არ მეშინია! ჩამიაროს იულჰენ მოლენდორფმა და არ მომესალმოს! იქნიოს ბოროტი სიხარულით ანთებულმა ფიფი ბუდენბროკმა ხუთშაბათობით თავი და თქვას: ეს უკვე მეორეჯერ ხდება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ორივეჯერ ქმრები არიან დამნაშავენიო. მე ამისთანებზე მაღლა ვდგავარ, თომას! მე ვიცი, რომ ისე ვიქცევი, როგორც საჭიროდ მიმაჩნია, იულჰენ მოლენდორფისა და ფიფი ბუდენბროკის შიშით შეურაცხყოფას ვერ გადავყლაპავ და ხეპრე კაცისგან ლუდხანების ჟარგონზე გინებას ვერ მოვითმენ... იმათი შიშით ისეთ კაცთან და ისეთ ქალაქში ვიცხოვრო, ისეთ სიტყვებს, ისეთ ამბებს მივეჩვიო, როგორიც „ზეციურ კიბესთან“ მოხდა?! სადაც ჩემს ჩამომავლობას, აღზრდასა და ყველაფერს, რაც ჩემშია, ხაზი უნდა გადავუსვა, იმიტომ, რომ ბედნიერად და კმაყოფილად მოვაჩვენო ხალხს თავი? მე ამას ვეძახი ღირსების დაკარგვას, მე ამას ვეძახი სკანდალს, თუ გინდა, იცოდე!

ტონი გაჩუმდა, ნიკაპი ისევ ხელში მოიქცია და აღელვებული ისევ ფანჯრის მინას შეაჩერდა. თომასი მის წინ იდგა, ცალ ფეხზე დაყრდნობილს ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და დას მისჩერებოდა, მაგრამ ტონის ვერ ხედავდა, ფიქრებში იყო ჩაფლული და თავს წყნარად აქნევდა.

- ტონი, - თქვა მან, - თვალს ვერ ამიხვევ, მე ეს აქამდეც ვიცოდი, მაგრამ უკანასკნელი სიტყვებით შენი თავი შენვე გაეცი. ქმარი აქ არაფერ შუაშია, ქალაქის ბრალია ყველაფერი. „ზეციურ კიბესთან“ მომხდარი ამბავიც არ არის სათვალავში ჩასაგდები. მთავარია, რომ შენ იქაურობას ვერ შეეგუე. აღიარე გულახდილად.

- მაგაში კი მართალი ხარ, თომას! - წამოიძახა ტონიმ, სავარძლიდან წამოხტა და გაშლილი ხელი თომასს ზედ სახესთან მიუტანა.

წამოჭარხლებული ტონი საომრად შემართულივით იდგა, ერთი ხელით სკამს ჩასჭიდებოდა, მეორეს გაცხარებული იქნევდა და ბაგიდან ვნებათაღელვით აღსავსე სიტყვებს ისროდა. კონსული დას გაოცებული შეჰყურებდა. ტონი ძლივს ასწრებდა სულის მოთქმას, ახალ-ახალი სიტყვები ნიაღვარივით გადმოსდიოდა. დიახ, ის სიტყვებს პოულობდა, ახლა გადმოანთხია მთელი ზიზღი, რაც ამ წლების განმავლობაში ჰქონდა დაგროვილი. ცოტა არეულად და უთავბოლოდ კი ლაპარაკობდა, მაგრამ თავის სიმძიმილს მაინც გამოთქვამდა. ეს იყო აფეთქება, სასოწარკვეთილი პატიოსნების ჯანყი... გრძნობამ ნიაღვარივით გადმოხეთქა. მისი შეკავება უკვე აღარ შეიძლებოდა. ეს იყო რაღაც სტიქიური, რასთანაც კამათი უაზრო გახლდათ.

- ამაში კი მართალი ხარ, თომას! კიდევ გიმეორებ, მართალი ხარ! იმასაც გეტყვი, რომ ბრიყვი აღარა ვარ და ვიცი, ცხოვრებისგან რასაც უნდა მოველოდე. მე ახლა თავზარი
არ მეცემა, როცა ქვეყნის უპატიოსნო ამბებს ვიგებ. მე მტირალა ტრიშკესთანა ხალხიც მინახავს და გრიუნლიჰის ცოლიც ვყოფილვარ, აქაურ Siutier-ებსაც კარგად ვიცნობ. სოფლელ უცოდველ კრავად არ მომაქვს თავი და მარტო ბაბეტას ამბავი, მერწმუნე, ამას არ ჩამადენინებდა! ეს იყო, რომ ამ შემთხვევამ მოთმინების ფიალა ამივსო...
ერთი წვეთიც კმაროდა, ისედაც სავსე იყო... დიდი ხანია სავსე იყო... დიდი ხანია! ამ საშინელ ამბავს კი არა, სულ უბრალო რამეს შეეძლო პირთამდე აევსო. იმის შეგნებამ, რომ აქაც არ შემეძლო პერმანედერზე დანდობა, ყველაფერს ხელი მოუთავა! მოთმინება გამომელია! დიდი ხანია მიუნხენიდან გამოქცევა მინდოდა. ჩემი გადაწყვეტილება ამ ამბავმა ერთი დარტყმით მოამწიფა. ეს გადაწყვეტილება კი დიდი ხანია მწიფდებოდა, ტომ, რადგან, იქ, სამხრეთში, ცხოვრება არ შემიძლია, ღმერთმანი, არ შემიძლია! რა უბედური ვიყავი, შენ ხომ არ იცი, თომას! შენ რომ სტუმრად ჩამოხვედი, ჩემი დარდი არც შემიმჩნევინებია, მე ხომ ტაქტიანი ქალი ვარ, სხვას წუწუნით ვერ შევაწუხებ და გულს წამდაუწუმ ვერ გადავუშლი. მე ბუნებით გულჩახვეული ვარ, მაგრამ დავიტანჯე, ტომ, დავიტანჯე, მთელი ჩემი არსებით, ასე ვთქვათ, მთელმა ჩემმა პიროვნებამ დიდი ტანჯვა განიცადა, როგორც მცენარემ, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც უცხო ნიადაგზე გადარგულმა ყვავილმა... თუმცა ეს შედარება შეუფერებლად მოგეჩვენება, მე ხომ ერთი უშნო ქალი ვარ... მაგრამ უცხო ნიადაგზე ვერ გავიხარე, ფესვი ვერ მოვიკიდე. იქ ყოფნას თურქეთში წასვლა მერჩია! ჩვენ, ჩრდილოელები, არსადაც არ უნდა მივდიოდეთ! აქ, ამ ყურეში უნდა ვრჩებოდეთ და კეთილსინდისიერად უნდა ვირჩენდეთ თავს. თქვენ ხშირად დაგიცინიათ ჩემთვის, არისტოკრატობისკენ მიდრეკილება გაქვსო. დიახ, ამ წლებში ხშირად მიფიქრია იმ სიტყვებზე, დიდი ხნის წინ ერთმა ჭკვიანმა კაცმა რომ მითხრა: „თქვენ თვითონ არისტოკრატიას სიმპათიით უყურებთ, - მითხრა მან, - გნებავთ, გითხრათ რატომ? თქვენ თვითონ ბრძანდებით არისტოკრატი და იმიტომ. მამათქვენი დიდი კაცია, თქვენ კი ნამდვილი პრინცესა ხართ. ჩვენ ხომ თქვენს წრეს - გაბატონებულ ოჯახებს არ ვეკუთვნით. აი, რატომ არის ჩვენ შორის უფსკრული“. დიახ, ტომ, ჩვენ, ყველანი, თავს არისტოკრატებად ვთვლით, სხვებისგან

გამორჩეული გვგონია თავი და ისეთ ადგილას ცხოვრება არც უნდა მოვინდომოთ, სადაც არავინ გვიცნობს და არც არავინ გვაფასებს, ამან შეიძლება ცხოვრებაზე გული გაგვიტეხოს და მეტი არაფერი. ხალხი, პირიქით, ქედმაღლობისათვიის დაგვცინებს კიდეც. მე სწორედ ამიტომ დამცინოდნენ. ჩემთვის ეს არავის უთქვამს, მაგრამ ამას ყოველ წუთს ვგრძნობდი და სატანჯველს ესეც მიმატებდა. ღმერთო, იმ ქვეყანაში, სადაც ტორტს დანით ჭამენ, სადაც პრინცებიც კი ვერ ლაპარაკობენ წმინდა გერმანულს, სადაც კაცმა ქალს რომ ძირს დავარდნილი მარაო მიაწოდოს, უკვე შეყვარებულად ჩათვლიან, ასეთ ქვეყანაში ქედმაღალი რომ გამოჩნდე, ძნელი არ არის, ტომ! შენ მითხარი, შეეგუებიო! არა, იმ ხალხთან, რომელსაც არც ღირსება გააჩნია, არც მორალი, არც პატივმოყვარეობა, არც კეთილშობილება და არც თავდაჭერილობა, უცერემონიო, გაუზრდელ და თავმიცემულ ხალხთან, იმ ხალხთან, რომლებიც უგერგილონიც არიან და თავქარიანებიც, სქელკანიანიც და ზერელეც... ასეთ ხალხთან შეგუება ვერ შევძელი და ვერც შევძლებდი. ევა ევერსმა შეძლო... კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ევერსი ბუდენბროკი არ არის, მერე მისი ქმარი რაღაცას მაინც წარმოადგენს, ჩემი კი? აბა, გაიხსენე, თომას, სულ თავიდან გაიხსენე! მე აქედან, ამ სახლიდან წავედი, სახლიდან, რომელსაც რაღაც წონა აქვს, სადაც ხალხი საქმიანობს და დასახულ მიზნებს ემსახურება, წავედი იქ, პერმანედერთან. მან კი
ჩემი მზითვის მიღებისთანავე გულხელი დაიკრიფა... ამაზე უკეთესს აბა რას ინატრებდა?! სხვაგვარად არც შეიძლებოდა მოქცეულიყო. მერე? უნდა შემძენოდა ბავშვი! როგორ მიხაროდა! მისი გაჩენა ყველაფერს ამინაზღაურებდა! მერე, რა ხდება? ბავშვი მიკვდება. მკვდარი იბადება. ამაში პერმანედერს არ მიუძღვის ბრალი, არა, ღმერთმა დამიფაროს. რაც შეეძლო, ყველაფერი იღონა, რამდენიმე დღე ლუდხანაშიც კი არ წასულა, არა, ღმერთმა დამიფაროს! მაგრამ ყველაფერი ხომ ერთმანეთს ემატება, თომას. შენც კარგად მოგეხსენება, ამით უფრო ბედნიერი არ გავხდებოდი.
უბედურება უსიტყვოდ გადავიტანე. სულ მარტო დავბორიალებდი, ჩემი არავის ესმოდა, ქედმაღალ ადამიანად მნათლავდნენ. მე ჩემს თავს ვუთხარი: შენ ქმრისთვის სიკვდილამდე ერთგულების სიტყვა გაქვს მიცემული, ცოტა მოუქნელია და უგერგილო, იმედიც გაგიცრუა, მაგრამ კეთილია და გული სუფთა აქვს. მერე კიდევ ეს გულის ამრევი ამბავი დამატყდა თავს! მაშინ კი მივხვდი, როგორ მიგებდა გულისნადებს ჩემი ქმარი, რა პატივს მცემდა. იმ ღამეს ისეთი სიტყვა დამადევნა, ისეთი სიტყვა, შენი ბეღლის მუშები ძაღლსაც რომ არ აკადრებენ! მაშინ დავრწმუნდი, მიუნხენში ვეღარაფერი დამაკავებდა, ჩემთვის იქ დარჩენა თავის მოჭრა იქნებოდა. სადგურიდან მომავალმა ჰოლშტენშტრასე ამოვიარე, წინ მტვირთავი ნილსენი შემომეყარა და ცილინდრი მომიხადა, მეც მივესალმე; ქედმაღლურად კი არა, აი, ისე, მამა რომ ესალმებოდა ხალხს... ხელი დავუქნიე. ჰოდა, ახლა აქ ვარ. ცხრა ქურანა
ცხენი რომ ჩამაბა, ტომ, მიუნხენისკენ პირს ვერ მაქნევინებ. ხვალ გიზეკესთან მივდივარ!

სიტყვის დამთავრების შემდეგ ტონი ძალაგამოცლილი დაეშვა სკამზე, ნიკაპი ისევ ხელში მოიმწყვდია და ფანჯრის მინას მიაშტერდა.

შეშფოთებული, შემკრთალი, თითქმის შეძრწუნებული კონსული მის წინ იდგა და დუმდა. შემდეგ ამოისუნთქა, ხელები მაღლა ასწია, მაგრამ კვლავ უღონოდ ჩამოუცვივდა.

- ჰო, ამ საქმეს აღარაფერი ეშველება! - თქვა მან წყნარად, ქუსლებზე ნელა შემოტრიალდა და კარისკენ წავიდა.

ტონიმ ძმას ისევე გულმოკლულად და ნაღვლიანად შეხედა, როგორც პირველად, თომასმა რომ კარი შემოაღო.

- ტომ, - ჰკითხა მან ძმას, - მიბრაზდები?

თომასმა ცალი ხელი კარის ოვალურ სახელურს მოავლო, მერე კი უღონოდ ჩაიქნია.

- ეჰ, არა, სულაც არა.

ტონიმ ძმისკენ ხელი გაიწვდინა და ლოყით საკუთარ მხარს დაეყრდნო.

- მოდი, აქ, ტომ... შენს დას ცხოვრებაში არ გაუმართლა. ყველაფერი მას დაატყდა თავს... და ამ წუთშიც არავინა ჰყავს მხარში ამომდგომი.

თომასი მობრუნდა და ტონის ხელი დაუჭირა: შორიდან, ოდნავ გულგრილად და დუნედ, ისე, რომ დისთვის არც შეუხედავს.

ტონის უცებ ზედა ტუჩი აუკანკალდა.

- ახლა შენ მარტო მოგიწევს მუშაობა, - თქვა მან, - ქრისტიანისგან ხეირი არ იქნება, მეც წირვა მაქვს გამოყვანილი... ეჰ, მე უკვე მოვჭამე ჩემი ცხოვრება, აღარაფრად ვარგივარ... ჰო, თქვენ, უსარგებლო დედაკაცს, სამოწყალოდ პური უნდა მაჭამოთ. არ მეგონა, თუ ბედი ასე მიმტყუნებდა და გვერდში ვერ ამოგიდგებოდი, ტომ. ახლა შენ მარტო უნდა ეცადო, რომ ჩვენ, ბუდენბროკებმა, ძველი სახელი შევინარჩუნოთ... ღმერთი იყოს შენი შემწე.

ტონის ორი მსხვილი, ბავშვური, კრიალა ცრემლი ჩამოუგორდა უკვე ჭკნობაშეპარულ ლოყებზე.

მეთერთმეტე თავი

ტონის გულზე ხელები არ დაუკრეფია, თავის საქმეზე თვითონ დატრიალდა. კონსულს იმედი ჰქონდა, ტონი შეიძლება კიდევ მოვიდეს გონს, დამშვიდდეს და სიბრაზემ გაუაროსო. ამიტომ ჯერჯერობით დისგან მხოლოდ ერთს მოითხოვდა: სახლიდან ფეხი არ მოეცვალა, ერიკასთან ერთად შინ მჯდარიყო. ხომ შეიძლებოდა ყველაფერი სასიკეთოდ შემოტრიალებულიყო? ახლა მთავარი იყო, ტონის

უბედურება ქალაქში არავის გაეგო. იმ ხუთშაბათს ოჯახის ტრადიციული თავშეყრა გადაიდო, მაგრამ ფრაუ პერმანედერის ჩამოსვლის მეორე დღესვე ვექილი დოქტორი გიზეკე ბარათით მაინც მოიწვიეს მენგშტრასეზე. ტონიმ ვექილი მეორე სართულზე, ტალანში გამავალ ერთ-ერთ ოთახში მიიღო. ღუმელში ცეცხლი ენთო. ტონის, ღმერთმა უწყის, რისთვის, მასიურ მაგიდაზე სამელნე, საწერ-კალამი და კანტორიდან ამოტანილი მთელი დასტა თაბახის თეთრი ფურცლები დაეწყო. მასპინძელი და სტუმარი სავარძლებში ისხდნენ.

- ბატონო დოქტორო! - მიმართა ვექილს ტონიმ, ხელები გულზე დაიკრიფა, თავი უკან გადაიგდო და მზერა ჭერისკენ აღაპყრო, - თქვენ გამოცდილი კაცი ბრძანდებით და ცხოვრებას კარგად იცნობთ, როგორც ადამიანი და როგორც თქვენი ხელობის კაცი. თქვენთან უფლება მაქვს გულახდილად ვილაპარაკო! - და ტონიმ ვექილს გაანდო თავისი საიდუმლო - კიბის თავზე და საწოლ ოთახში მომხდარი ამბავი. დოქტორმა გიზეკემ მადამ პერმანედერს აუხსნა, სამწუხაროდ, არც კიბეზე მომხდარი სავალალო ამბავი და არც ტონის საგინებელი სიტყვა, რომლის განმეორება ქალბატონმა არ ინება, განქორწინებისთვის საფუძვლიან საბაბს არ წარმოადგენსო.

-კარგი, - თქვა ტონიმ, - მადლობელი ვარ.

შემდეგ ტონიმ ვექილს განქორწინებისთვის საკმარისი მიზეზ-საბაბი ჩამოათვლევინა. განსაკუთრებით ფხიზლად და ცხოველი ინტერესით მოისმინა გრძელი მოხსენება მზითევზე არსებული კანონების თაობაზე და დოქტორ გიზეკეს ჯერჯერობით სერიოზულად და მეგობრულად გამოეთხოვა.

ტონი პირველ სართულზე ჩავიდა და კონსული თავის კაბინეტში გაიყოლია.

- თომას, - მიმართა ძმას, - ძალიან გთხოვ, დაუყოვნებლივ მისწერო იმ კაცს... მისი სახელი არ მინდა ვახსენო. ჩემი ფულის თაობაზე ზედმიწევნით ვარ გათვითცნობიერებული. ახლა ახსნა-განმარტება მან უნდა ინებოს. ასეა თუ ისე, მე ვეღარ მიხილავს, კანონიერ გაყრაზე თუ დათანხმდება, ხომ კარგი, მაშინ ჩემი dos[70]-
ის ანგარიშიც უნდა მოვითხოვოთ და გადახდაც. თუ უარს იტყვის, მაინც არ უნდა დავიხიოთ უკან. შენ უნდა იცოდე, ტომ: იურიდიულად პერმანედერი ჩემი dos-ის მესაკუთრედ ითვლება, ეს უეჭველია! მაგრამ, მადლობა ღმერთს, საკუთრების შენარჩუნების უფლებები მეც მაქვს.

კონსულმა ხელები ზურგზე შემოიწყო და ოთახში გაიარ-გამოიარა. ტონი ამ ლათინურ სიტყვას ისეთი ენით აუწერელი სიამაყით წარმოთქვამდა, რომ თომასს მხრები ნერვიულად აუთამაშდა.

თომასს დრო არ ჰქონდა, ყელამდე საქმეებში იყო ჩაფლული. ისე კი ჯობდა, ტონი მოთმინებით აღჭურვილიყო და თავისი გადაწყვეტილება ერთი ასჯერ მაინც აეწონ- დაეწონა. თომასი მალე, უფრო სწორად, ხვალვე, ჰამბურგში იყო წასასვლელი: იქ ქრისტიანთან უსიამოვნო მოლაპარაკება ელოდა. ქრისტიანმა შინ ბარათი მოიწერა:

მომავალი მემკვიდრეობის ხარჯზე შემწეობას ითხოვდა. საქმეები აწეწილ-დაწეწილი ჰქონდა, განსაცდელი კარს იყო მომდგარი, მაგრამ ეტყობოდა, რესტორანში, ცირკსა და თეატრში მეფურ დროსტარებას არ იკლებდა. ბუდენბროკების სახელის ხათრით აღებული ვალების მიხედვით შეიძლებოდა განგესაჯათ, ქრისტიანი რა ხელგაშლილად ცხოვრობდა. მენგშტრასეზე, კლუბსა და მთელ ქალაქში იცოდნენ, ვინ იყო ამ ვალების უპირველესი მიზეზი. ეს გახლდათ ერთი მარტოხელა ქალი, ალინა პუფოგელი, ორი უმშვენიერესი ბავშვის დედა. ჰამბურგელი კომერსანტებისგან მარტო ქრისტიანს როდი ჰქონია მასთან ახლო და ძვირად ღირებული ურთიერთობა.

მოკლედ, ტონის ქმართან განქორწინების გარდა, კონსულს ბევრი სხვა სადარდებელიც უღრღნიდა გულს. ჰამბურგში გამგზავრება დახანებას ვერ მოითმენდა. ისიც შესაძლებელი იყო, პერმანედერს ბარათი თვითონ მოეწერა.

კონსული გაემგზავრა, მაგრამ უკან გაბრაზებული და გუნებაწამხდარი დაბრუნდა. მიუნხენიდანაც არაფერი ისმოდა და კონსული იძულებული გახდა, პირველი ნაბიჯი თვითონ გადაედგა. მან ბატონ პერმანედერს ცივი, საქმიანი და ოდნავ ქედმაღლური ბარათი მისწერა: ეჭვგარეშეა, თქვენთან ცხოვრების წლებში ანტონიას არაერთხელ ეტკინა გული. ცალკეულ შემთხვევას თავი რომ დავანებოთ, ამ ქორწინებისგან იგი ბედნიერებას მოელოდა, მაგრამ სასტიკად გაუცრუვდა იმედი. მისი სურვილია, დაირღვეს ეს კავშირი. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს ანტონიას გადაწყვეტილება სამართლიანად უნდა ეჩვენოს, იგი მიუნხენში აღარ დაბრუნდება. სამწუხაროდ, ეს გადაწყვეტილება მტკიცეა და შეურყეველიო... შემდეგ მოდიოდა შეკითხვა - ამ საქმეზე პერმანედერი რას ფიქრობსო.

დადგა დაძაბული მოლოდინის დღეები... შემდეგ მოვიდა პერმანედერის პასუხი.

ასეთ პასუხს არავინ მოელოდა - არც დოქტორი გიზეკე, არც კონსულის მეუღლე, არც თომასი და არც თვითონ ანტონია. ბატონი პერმანედერი უბრალოდ და სადად აცხადებდა, გაყრაზე თანახმა ვარო.

იგი იწერებოდა: სულითა და გულით განვიცდი ამ ამბავს, მაგრამ ანტონიას სურვილს წინ ვერ აღვუდგებიო. თვითონაც ვხვდები, მე და ანტონია „შესაფერისი ჯუფთი“ რომ არა ვართო. თუ ანტონიას ჩემთან გატარებული მძიმე დღეები უკლავს გულს, ეცადოს, დაივიწყოს და მაპატიოს. ერიკასა და ანტონიას, ალბათ, ვეღარასოდეს ვიხილავ, ყოველგვარ ბედნიერებას ვუსურვებ ორივესო. „ალოიზ პერმანედერი“.

მინაწერში ბატონი პერმანედერი გარკვევით ამბობდა, ყოველ წუთს მზად გახლავართ, მზითევი დავაბრუნოო. მე ჩემი სახსრებითაც უზრუნველად შემიძლია ცხოვრება, არავითარი ვადა არ მჭირდება, ფული ხელთა მაქვს, სახლს, როგორც თვითონ ვინებებ, ისე მოვუვლი, მზითვის თანხას კი დაუყოვნებლივ გადავიხდიო.

ტონი თითქმის დარცხვენილი ჩანდა და პირველად დააფასა ბატონი პერმანედერის გულგრილობა ფულისადმი.

დოქტორი გიზეკე კვლავ ამოქმედდა, მან ტონის მეუღლესთან საქმიანი მიწერ-მოწერა გააჩაღა. განქორწინების საბაბად „ორმხრივი სიძულვილი“ დადგინდა და პროცესიც დაიწყო - ტონის მეორე განქორწინების პროცესი. განქორწინების ყოველ ფაზას ტონი სერიოზულად, საქმის ცოდნითა და დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდა. სადაც კი მოახელთებდა, ამ საქმეზე ლაპარაკობდა. კონსული რამდენჯერმე გაუბრაზდა კიდეც. ტონი პირველად ვერც მიხვდა, ძმას რა აგულისებდა. იგი ძალზე მოხიბლა და აიტაცა სიტყვებმა: „რეზულტატი“, „შემოსავალი“, „აქცესიები“, „მზითვის საკითხი“, „კანონის მუხლი“. ტონი მხრებს აიწურავდა, თავს უკან გადაიგდებდა და ამ სიტყვებს დიდის ამბით წამდაუწუმ იმეორებდა. დოქტორ გიზეკეს ახსნა-განმარტებიდან ტონიზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ერთმა პარაგრაფმა მოახდინა, სადაც ნათქვამი იყო: მზითევში მოყოლილ მიწის ნაკვეთში აღმოჩენილი „საგანძური“ მზითვის ნაწილად ითვლება და ქორწინების დარღვევის შემთხვევაში მზითვის პატრონს უნდა დაუბრუნდესო. ამ არარსებულ საგანძურზე ტონი მთელ ქვეყანას უყვებოდა: იდა იუნგმანს, ბიძია იუსტუსს, საბრალო კლოტილდესა და ბრაიტენშტრასელ ბუდენბროკებს. ბრაიტენშტრასელმა ქალბატონებმა ტონის ამბავი რომ გაიგეს, ხელი ხელს შემოჰკრეს და სიხარულისგან გაოგნებულებმა ერთმანეთს გადახედეს, ღმერთმა ეს სიამოვნებაც რომ არ მოაკლოთ. ტონი ამ ამბავს ტერეზა ვაიჰბროტსაც უყვებოდა და გულჩვილ მადამ კეთელსენსაც, თუმცა მადამ კეთელსენი სიყრუესთან ერთად ბევრი სხვა მიზეზის გამო, ბაიბურშიც არ იყო, მის ირგვლივ რა ხდებოდა.

შემდეგ დადგა ის დღეც, როცა განქორწინება კანონიერად გაფორმდა და საბოლოოდ გამოცხადდა კიდეც. იმ დღეს ტონიმ უკანასკნელი აუცილებელი ფორმალობა შეასრულა, თომასს ოჯახის მატიანე მოსთხოვა და ახალი ფაქტი შიგ საკუთარი ხელით ჩაწერა. ახლა კი თავის მდგომარეობას უნდა შეჰგუებოდა.

ტონი სულით არ დაცემულა. ბრაიტენშტრასელი ქალბატონების მწარე წკიპურტებს შეურყეველი ღირსებით იცილებდა, ქუჩაში ენით აუწერელი გულგრილობით არიდებდა თვალს ჰაგენშტრომებსა და მოლენდორფებს, საზოგადოებაში სულ აღარ ჩნდებოდა, მით უმეტეს, რომ მის მშობლიურ სახლში სტუმრიანობა მაინც დიდი ხანია შეწყვეტილი იყო. ახლა სტუმრებს თომასი იღებდა.

ტონის ჰყავდა ახლობლები: დედა, თომასი, გერდა; მას ჰყავდა იდა იუნგმანი, უფროსი მეგობარი ზეზემი ვაიჰბროტი და ერიკა. ბავშვის კეთილშობილურად აღზრდაზე ტონი მეტისმეტად ზრუნავდა და, ალბათ, მის მომავალზე ამყარებდა უკანასკნელ, იდუმალ იმედს. ასე ცხოვრობდა ტონი და ასე თვალსა და ხელშუა ეპარებოდა დრო.

fb.com/groups/elib

მოგვიანებით, აუხსნელად დარჩენილი მიზეზების გამო, ოჯახის ზოგიერთი წევრისთვის ცნობილი გახდა ის „სიტყვა“, ის ავბედითი სიტყვა, რომელიც იმ ღამეს ბატონ პერმანედერს ამოსვლოდა პირიდან. რა უთქვამს მას? „ჯანდაბამდის გზა გქონია, შე ბინძურო ნეზვოო“.

ასე დამთავრდა ტონი ბუდენბროკის მეორე ქორწინება.

სქოლიო

[1] კითხვაც ეგ გახლავთ, ჩემო ძვირფასო მადმუაზელ (ფრანგ.). [2] ჩემმა ბერიკაცმა (ფრანგ.).

[3] ფისჰარმონია (გერმ.) - კლავიშებიანი და საბერვლიანი მომცრო საკრავი, რომელიც პიანინოს ჰგავს. გამოსცემს ორგანისებურ ხმებს.

[4] ერთი შეხეთ! (ფრანგ.).

[5] შპილი (გერმ.) - პირამიდის ან კონუსის ფორმის მაღალი სვეტი შენობის თავზე. [6] მაპატიე,

ძვირფასო, მაგრამ ეს ხომ სისულელეა (ფრანგ.).

[7] გამხნევდი (ფრანგ.).

[8] კადრილის პა (ფრანგ.).

[9] ნეგოციანტი (ლათ.) - დიდვაჭარი, რომელიც ბითუმად ვაჭრობს უპირატესად უცხო ქვეყნებში; სოვდაგარი.

[10] ორიგინალური (ფრანგ.). [11] სიმპათია (ფრანგ.).

[12] მომხიბლავია (ფრანგ.).

[13] სანიმუშო კავალერი (ფრანგ.).

[14] ქალბატონებო და ბატონებო (ფრანგ.). [15] შეგერგოთ (ფრანგ.).

[16] წელი (ლათ.).

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

https://www.facebook.com/groups/ELLIB/

[17] კმარა, შეწყვიტე (ფრანგ.).

[18] იდეები, აქ: გამონაგონი (ფრანგ.). [19] ვარცხნილობა (ფრანგ.).

[20] პატივმოყვარეობა (ფრანგ.).

[21] მართალს არ ვამბობ, რაპ, გერმანელებს პატარა ნაპოლეონებზე (ნაპოლეონდორებზე) მზე და მთვარე ამოსდით, ხომ? (ფრანგ.).

[22] დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, დიდს ურჩევნიათ! (ფრანგ.). [23] გაუმარჯოს (ლათ).

[24] მომიტევეთ (ფრანგ.).

[25] ლექსები თარგმნა ე. კვიტაიშვილმა. [26] მშვენიერია (ფრანგ.).

[27] ნახვამდის, ბატონებო (ფრანგ.).

[28] ძალიან კარგი (ინგლ.).

[29] ღმერთი წინასწარმეტყველია (ლათ.). [30] აი! აჰა! (ფრანგ.).

[31] ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ (ფრანგ.).

[32] წინ (ფრანგ.). [33] აბა (ფრანგ.).

[34] ფუჭი გასავალი (ფრანგ.).

[35] მეზალიანსი (ფრანგ.) - სოციალურად უთანასწორო პირთა ქორწინება. [36] ჩემო ძვირფასო შვილო (ფრანგ.).

[37] ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. წინ! (ფრანგ.). [38] ყოჩაღად (ფრანგ.).

[39] ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წელიწადი (ფრანგ.).

[40] ლათინური Pastor და გერმანული Hirt მწყემსს ნიშნავს (მთარგმნ.). [41] დარდიმანდი (ფრანგ.).

[42] ახ, რა საშინელებაა! (ფრანგ.). [43] ახალი ეკლესიის (ჰოლანდ.).

[44] გეყოფათ, ქალბატონებო! (ფრანგ.).

[45] გთხოვთ! (ფრანგ.)

[46] კარგ საზოგადოებაში მიღებული (ფრანგ.). [47] როდემდის (ლათ.).

[48] აღელვება (ფრანგ.).

[49] სხვათა შორის (ფრანგ.). [50] დარდიმანდი (ფრანგ.). [51] შვილო (ლათ.).

[52] სამგზავრო პალტო (ინგლ.).

[53] გერმანელები ბალტიის ზღვას აღმოსავლეთის ზღვას ეძახიან (მთარგმნ.). [54] (დამახინჯ. ფრანგ.) ძალიან სასიამოვნოა!

[55] მძიმე აბრეშუმი (ფრანგ.).

[56] (ჰორაციუსიდან) საქმეთაგან შორს (ლათ.). [57] იურისპრუდენციის ფაკ. სტუდენტი (ლათ.).

[58] ვისაც დარდი არ გამოუვლია, ის მუდამ ყმაწვილი დარჩება (იტალ.). [59] მართლა (ფრანგ.).

[60] ჯენტლმენურად (ინგლ.).

[61] „ეს გახლავთ მარია!“ (ინგლ.) [62] წესი და რიგი (ფრანგ.).

[63] სხვათა შორის (ფრანგ.).

[64] გასართობი კვარტალი ჰამბურგში (მთარგმნ.). [65] ლონდონის უღარიბესი უბანი (მთარგმნ.).

[66] პირველობა (ფრანგ.).

[67] ორაზროვანი (ფრანგ.).

[68] (დამახინჯ. პოლონ.) ღმერთო ჩემო! [69] ოჯახურ წრეში (ფრანგ.).

[70] მზითევი (ლათინ.).

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

https://www.facebook.com/groups/ELLIB/



წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

https://www.facebook.com/groups/ELLIB/

თომას მანი

„ბუდენბროკები“

ტომი II

მეშვიდე ნაწილი

პირველი თავი

ნათლობაა, ნათლობა ბრაიტენშტრასეზე!

ყველაფერი ცხადად აუხდა მადამ პერმანედერს, რაზედაც იმედით აღსავსე დღეებში ოცნებობდა. ყველაფერი! სასადილო ოთახში, მაგიდასთან მოახლე უხმაუროდ საქმიანობს, გვერდით დარბაზში ზეიმს რომ არ შეუშალოს ხელი, და ქაფქაფა შოკოლადით სავსე ფინჯნებში ფრთხილად დებს ათქვეფილ ნაღებს. ნიჟარასავით მომრგვალებულხელიანი ფინჯნები მჭიდროდ ალაგია უზარმაზარ, მრგვალ ლანგარზე. ფარეში ანტონი კოშკივით მაღალ ფხვიერ ტორტს ნაჭრებად ჭრის, მამზელ იუნგმანი კი ვერცხლის ლარნაკებში კანფეტებსა და ახალმოკრეფილ ყვავილებს აწყობს. ხანდახან თავს გვერდზე გადაიგდებს, ორივე ნეკს ფარჩხავს და ნახელავს ამოწმებს.

ცოტაც და, როცა ბატონები სასტუმრო ოთახსა და სალონში დაბრძანდებიან, ყველა ეს მშვენიერება იქით გადაინაცვლებს. იმედია, ტკბილეული ყველას გასწვდება, დღეს ხომ ყველა ახლობელი და ნათესავია აქ შეკრებილი. ოვერდიკების მხრივ ბუდენბროკები კისტენმაკერებსაც ენათესავებიან, ამ უკანასკნელთაგან კი მოლენდორფებს და ასე შემდეგ. ძნელია მათ ნათესაობას კაცმა საზღვარი დაუდოს. ოვერდიკები წვეულებაზე ოჯახის უფროსით არიან წარმოდგენილი. დიახ, აქ ბრძანდება ოთხმოც წელს გადაბიჯებული დოქტორი კასპარ ოვერდიკი, ქალაქის მმართველი გუბერნატორი.

გუბერნატორი კარეტით მობრძანდა, ერთი ხელით თავის მოკაუჭებულ ჯოხს დაეყრდნო, მეორით თომას ბუდენბროკის მკლავს და კიბე ასე ამოათავა. მისი სტუმრობა დღესასწაულს ღირსებასა და პატივს მატებს... ეს ზეიმი კი უეჭველად ღირსია ამ პატივისა.

იქ, დარბაზში, საკურთხევლის მსგავსად შებურვილ, ყვავილებით მორთულ პატარა მაგიდასთან თოვლივით ქათქათა, გახამებული ჟაბოთი ყელდამშვენებული, შავად შემოსილი ახალგაზრდა მღვდელი ღაღადებს. მის წინ წითელ-ყვითლებში მორთული წარმოსადეგი, ნაპატივები დედაკაცი დგას და მსუქანი ხელებით მაქმანებსა და ატლასის ლენტებში ჩაფლული რაღაც არსება უჭირავს.

მემკვიდრე დაიბადა! გვარის გამგრძელებელი, ბუდენბროკი დაიბადა! გესმით, რას ნიშნავს ეს?

fb.com/groups/elib

გაიგებს კაცი, როგორი რუდუნებით წაიღეს ბრაიტენშტრასედან მენგშტრასეზე პირველი, ფრთხილი, ჯერ კიდევ საეჭვო ცნობა? გაიგებს ვინმე ფრაუ პერმანედერის უსიტყვო ენთუზიაზმს? ანტონიამ ეს ამბავი შეიტყო თუ არა, ჯერ დედას მოეხვია, შემდეგ ძმას და უფრო სათუთად კი რძალი გადაკოცნა.

ახლა კი დადგა გაზაფხული, 61 წლის გაზაფხული, და იგი უკვე აქ არის, ნათლობის წმინდა საიდუმლოებას ეზიარება, ის, ვისზეც ამდენ იმედს ამყარებდნენ, ვისზეც ამდენ ხანს ლაპარაკობდნენ, ვისაც წლების განმავლობაში გულის ფანცქალით ელოდნენ, ვისთვისაც ლოცულობდნენ, ვის გაჩენასაც ღმერთს ევედრებოდნენ და ვისთვისაც ექიმ გრაბოვს ტანჯავდნენ. ის ახლა აქ არის და საკმაოდ უღიმღამოდ გამოიყურება. პაწაწა ხელებით ძიძის ქამარზე შებმულ ოქრომკედის ზონრებს ეთამაშება, არშიამოვლებული ცისფერი ჩაჩით შებურვილი თავი პასტორისკენ მიუბრუნებია. თავი ბალიშზე ოდნავ გვერდზე უდევს. მისი, თითქმის მოხუცივით ჭკვიანი თვალები დარბაზისა და ნათესავებისკენ იმზირებიან. ამ თვალებს ზედა ქუთუთოებზე უზომოდ გრძელი წამწამები აფენია, მამის თვალების ცისფერი და დედისეული მუქი თაფლისფერი გაურკვეველ, სანთლებზე ცვალებად მუქოქროსფრად ქცეულა. ცხვირის ორივე მხარეს ჩაცვენილი უპეები მოლურჯო ჩრდილებით აქვს ამოღამებული. ეს ამ პაწაწინა სახეს დამახასიათებელ გამომეტყველებას აძლევს და მის ოთხი კვირის ასაკს არაფრით არ შეეფერება; მაგრამ ღმერთია მოწყალე, რომ ეს ამბავი ცუდს არაფერს მოასწავებს; დედამისსაც არ აკლია ჯანი, თუმცა თვალებქვეშ მასაც ასეთივე ლურჯი ჩრდილები აფენია... ასეა თუ ისე, ის ცოცხალია და ბიჭის გაჩენამ ოთხი კვირის წინ სიხარული შემოიტანა ბუდენბროკების ოჯახში.

ის ცოცხალია, შეიძლებოდა კი საქმე სხვაგვარად ყოფილიყო. კონსულს არასოდეს დაავიწყდება, როგორ ჩამოართვა დოქტორმა გრაბოვმა ხელი, როცა საშიშროებამ გაიარა და ექიმს ამოსუნთქვის საშუალება მიეცა.

- ღმერთს უმადლოდეთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, თორემ ცოტაც და...

კონსულმა ვერ გაბედა ექიმის სიტყვები დაესრულებინა. ახლაც ძრწოლით იშორებს თავიდან საშინელ ფიქრს, რომ შეიძლებოდა ამქვეყნად ასე საოცრად, უხმოდ მოვლენილ და ამდენ ხანს გულში ნალოლიავებ პაწაწა არსებას ანტონიას მეორე ქალიშვილის ბედი რგებოდა. მაგრამ ვინ იცის, რომ დედამ და ბავშვმა ოთხი კვირის წინ სახიფათო წუთები გამოიარეს და კონსული ნაზი, ბედნიერი ღიმილით იხრება მეუღლისკენ. გერდას ლაქის ფეხსაცმელებით შემოსილი ფეხები ხავერდის ბალიშზე გადაჯვარედინებულად დაუწყვია და მოხუცი ქალბატონი ბუდენბროკის გვერდით
ზის სავარძელში.

რა ფერმკრთალია ჯერ კიდევ გერდა! რა უცხო მშვენებას მატებს ეს სიფითრე ხშირი, მუქი სპილენძისფერი თმითა და იდუმალებით აღსავსე თვალებით შემკულ სახეს.

გერდას ფარული დაცინვით აღსავსე მზერა პასტორისთვის მიუპყრია. ეს არის ბატონი ანდრეას პრინგსჰაიმი, pastor marianus.[1]

იგი მოხუცი კოლინგის უეცარი სიკვდილის წყალობით ჯერ კიდევ ახალგაზრდა აღზევებულა მღვდელმთავრის ტახტზე. შეტყუპებული ხელები ზეაწეულ ნიკაპთან მიუტანია. პასტორს ქერა, მოკლედ დაყენებული ხვეული თმა აქვს და გამხდარი, სუფთად გაპარსული სახე. სახეზე ხან ფანატიკური სიმკაცრე ესახება, ხან გაცისკროვნება და ეს ცოტა თეატრალურ იერს ანიჭებს. პასტორი ფრანკონიელია, იქ კათოლიკეებს შორის პატარა, ლუთერანი მრევლი ჰყოლია შემოკრებილი. უზადო და პათეტიკური მეტყველებისკენ სწრაფვას მის წარმოთქმაზე თავისებური დაღი დაუმჩნევია, ხმოვნებს გრძლად და ყრუდ ამბობს, ან მოულოდნელი აქცენტით ახმიანებს, „რ“-ს კი ნარნარად გამოთქვამს კბილებთან.

პასტორი ღვთის სადიდებლად ხან წყნარად დუდუნებს, ხან მედიდურად, მჭექარე ხმით ღაღადებს და ოჯახი სმენად არის გადაქცეული: ფრაუ პერმანედერს სახეზე ღირსეული, სერიოზული იერი ადევს, ამით თავის აღტაცებასა და სიამაყეს ფარავს; ერიკა გრიუნლიჰი უკვე თხუთმეტი წლის ჯან-ღონით სავსე ქალიშვილია, მამისეული ვარდისფერი სახე შვენის და ნაწნავი თავზე აქვს შემოგრაგნილი. ქრისტიანი ამ დილით ჰამბურგიდან ჩამოსულა და თავის ღრმად ჩამჯდარ თვალებს აქეთ-იქით აცეცებს. პასტორი ტიბურციუსი და მისი მეუღლე რიგიდან მგზავრობას
არ შეუშინდნენ და სხვებთან ერთად ზეიმს ესწრებიან. ზივერტ ტიბურციუსს თავისი გრძელი, შეთხელებული ბაკენბარდები მხრებზე გადაუწყვია, პატარა, რუხ თვალებს ხანდახან ისე გადმოქაჩავს, რომ ბუდეებიდან გადმოცვენას არა უკლია რა. სახემოქუშული კლარა სერიოზულად და მკაცრად იყურება, ტკივილი აწუხებს და ხანდახან ხელს თავზე წაივლებს ხოლმე... ბუდენბროკებს რიგიდან დიდებული საჩუქარი ჩამოუტანეს: უზარმაზარი, ორ ფეხზე წამომართული წაბლისფერი დათვის ხახადაფჩენილი ფიტული. დათვი პასტორის ერთ ნათესავს მოუკლავს სადღაც შუაგულ რუსეთში. ახლა იმ დათვის ფიტულს თათებში სავიზიტო ბარათების სინი უჭირავს და ქვევით, სადარბაზო კართან დგას.

კროგერებს თავისი იურგენი სწვევიათ სტუმრად, როსტოკელი ფოსტის მოხელე, სადად ჩაცმული, წყნარი კაცი. იაკობის ადგილსამყოფელი დედამისის მეტმა არავინ იცის, ოვერდიკების ასული სუსტი ნებისყოფის ქალია და ჩუმ-ჩუმად ვერცხლეულს ყიდის, რომ შერისხულ შვილს ფული გაუგზავნოს. ბრაიტენშტრასელი ბუდენბროკებიც აქ არიან, ოჯახის ბედნიერება გულით ახარებთ, თუმცა ფიფის ეს ხელს სულაც არ უშლის აღნიშნოს, ბავშვი ავადმყოფს ჰგავსო. განსვენებული გოტჰოლდ ბუდენბროკის მეუღლე - შტიუნვიგების ნაშიერი, ფრიდერიკე და ჰენრიეტეც, სამწუხაროდ, იძულებული არიან ფიფის დაემოწმონ. საბრალო კლოტილდე კი, მუდამ უფერული, გამხდარი, მომთმენი და მშიერი, პასტორ პრინგსჰაიმის სიტყვებს და შოკოლადისა და ნამცხვრის მოლოდინს აუღელვებია.

ოჯახის გარეშე პირთაგან აქ მხოლოდ ბატონი ფრიდრიჰ ვილჰელმ მარკუსი და ზეზემი ვაიჰბროტი არიან.

ახლა პასტორი ნათლიებს ელაპარაკება და თავიანთ მოვალეობას მოაგონებს. ერთი მათგანი იუსტუს კროგერია. კონსული ბუდენბროკი თავიდან უარზე იყო, მისი ნათლიად მოწვევა არ უნდოდა.

- ბერიკაცს სულ მთლად ნუ გადავრევთ, - ამბობდა თომასი, - ვაჟიშვილის გადამკიდეს ცოლთან ყოველდღე ერთი აყალმაყალი აქვს. ქონება თვალსა და ხელშუა ადნება და დარდისგან ჩაცმა-დახურვასაც შეუშვა ხელი. ჩვენ რომ შვილის მონათვლა ვთხოვოთ, როგორ გგონიათ, რას იზამს? ბავშვს ბაჯაღლო ოქროს სერვიზს აჩუქებს და
მადლობის თქმასაც არ დაგვანებებს!

ბიძია იუსტუსმა რომ გაიგო, ნათლიად კონსულის მეგობარი, შტეფან კისტენმაკერია შეგულებულიო, ძალზე განაწყენდა. მეტი გზა არ იყო, ნათლიობა ბიძია იუსტუსს არგუნეს. მისი ნაჩუქარი ოქროს ფიალა კი, თომასის გასახარად, არც ისე მძიმე აღმოჩნდა.

მეორე ნათლია ვინღაა? მეორე ნათლია თოვლივით გათეთრებული, პატივცემული მოხუცი ბატონია. მას მაღალსაყელოიანი რბილი შავი სერთუკი აცვია, ღრმა, მოხერხებულ სავარძელში ნებიერად ზის და თავის კაუჭა ხელჯოხს დაყრდნობია. სერთუკის უკანა ჯიბიდან წითელი ცხვირსახოცის ყური მოუჩანს. დიახ, მეორე ნათლია გუბერნატორი გახლავთ, დოქტორი ოვერდიკი. ეს უკვე მოვლენაა, ეს უკვე გამარჯვებაა! საიდან სადაო, უკვირს ზოგიერთს. ღმერთო დიდებულო, ბატონი გუბერნატორი ბუდენბროკებს შორეულ ნათესავადაც ხომ ძლივს მოხვდება! ბუდენბროკებმა მოხუცი ნათლობაზე ძლივს მოიყვანეს და მართლაც, ეს იყო პატარა ოინი, პატარა ინტრიგა, რომელიც კონსულმა მადამ პერმანედერთან ერთად მოაწყო. სიმართლე თუ გინდათ, პირველი სიხარულის ჟამს, როცა დედასა და ბავშვს საფრთხე აღარ მოელოდა, ეს ამბავი ხუმრობით ითქვა:

- ბიჭია, ტონი, ბიჭი! ნათლიად გუბერნატორი უნდა მოვგვარო! - წამოიძახა კონსულმა.

ტონიმ ძმის სიტყვები გულში ჩაიბეჭდა და ამ აზრს სერიოზულად მოეკიდა, მერე კონსულიც დაფიქრდა და გუბერნატორის ნათლიობა ჭკუაში დაუჯდა. ამ საქმის მოსაგვარებლად ტონი და თომასი ბიძია იუსტუსს მიადგნენ. ბიძია იუსტუსმა თავის მხრივ ცოლი გუბერნატორის რძალთან, ხეტყის ვაჭარ ოვერდიკის მეუღლესთან გაგზავნა, ქალბატონმა ოვერდიკმა მოხუცი მამამთილი შეამზადა, შემდეგ კი თომას ბუდენბროკის მორიდებულმა ვიზიტმა თავისი გაიტანა.

ახლა ძიძა ბავშვს ჩაჩს ხდის, პასტორი ოქროცურვილი ვერცხლის თასიდან აიაზმას იღებს, პატარა ბუდენბროკს თხელ თმაზე ორ-სამ წვეთს ფრთხილად აპკურებს და დასანათლავ სახელებს ნელა, დამარცვლით წარმოთქვამს: იუსტუს, იოჰან, კასპარ.

ამას მოჰყვება მოკლე ლოცვა და ნათესავები საკურთხეველს ჩამოუვლიან, რომ წყნარი, გულგრილი არსება დალოცონ და მის პაწია შუბლზე ამბორი აღბეჭდონ. ტერეზა ვაიჰბროტი ყველაზე ბოლოს მიდის ბავშვთან, ძიძა იძულებულია ბავშვი ძირს დასწიოს, სამაგიეროდ ზეზემი ო რ ჯ ე რ კოცნის ბავშვს და ამბობს: „ჩემო კარგო შვილიკო!“

სამი წუთის შემდეგ ყველანი სალონსა და სასტუმრო ოთახში იყრიან თავს. მსახურები ლანგრით ტკბილეულს დაატარებენ. პასტორ პრინგსჰაიმს გრძელი სამოსლიდან გაპრიალებული ფართო ფეხსაცმელი მოუჩანს, ჟაბო კისერზე შემოსდგომია, ცხელ შოკოლადს ცივ, გათქვეფილ ნაღებს ხდის და სახეგაცისკროვნებული ძალდაუტანებლად და მსუბუქად საუბრობს. ეს სიმსუბუქე წეღანდელი ღაღადისის შემდეგ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს. პასტორის ყოველ მოძრაობაში ერთი აზრია ჩაქსოვილი: ხომ ხედავთ, ხალისიან ერისკაცად მოგევლინეთო.

პასტორი დახვეწილი, მოქნილი კაცია. მოხუც ქალბატონ ბუდენბროკთან დათაფლული ენით ლაპარაკობს, თომასსა და გერდასთან - ერისკაცურად, მათთან საუბარში ხელსაც მარჯვედ ხმარობს, ფრაუ პერმანედერს კი გულითადი, მხიარული, ოდნავ ეშმაკური ტონით ესაუბრება. ხანდახან თავისი პასტორობა გაახსენდება, ხელებს მუხლებზე დაიწყობს, თავს უკან გადაიგდებს, წარბებს ჩამოქუფრავს და
სახეს ჩამოიგრძელებს. სიცილის დროს ჰაერს კბილებშუა სისინით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისრუტავს ხოლმე.

უცებ დერეფანში ჩოჩქოლი ატყდა. მსახურების სიცილი ისმის და კარში უცნაური მომლოცველი აისვეტება. ეს გრობლებენი გახლავთ. გრობლებენს გაძვალტყავებულ ცხვირზე წლის ყოველ დროს მოგრძო წვეთი ჰკიდია, ეს წვეთი არასდროს უვარდება. გრობლებენი კონსულის ბეღლის მუშაა, ბატონს მისთვის ფეხსაცმლის წმენდაც აქვს მინდობილი. იგი ბრაიტენშტრასეზე სისხამ დილით მოდის ხოლმე, კარის წინ დაწყობილ ფეხსაცმელებს ამოიიღლიავებს და ქვევით, თაღში წმენდს. ოჯახურ დღესასწაულებზე საზეიმოდ გამოწყობილი ცხადდება, ყვავილები მოაქვს, ჩვეულებისამებრ, ცხვირზე ჩამოსული წვეთი უთრთის და მტირალა, დათაფლული ხმით სიტყვას წარმოთქვამს ხოლმე. ჯილდოდ ფულს იღებს, მაგრამ გრობლებენი ამას ფულის გულისთვის რ ო დ ი აკეთებს.

დღეს კონსულის გამონაცვალი შავი ქურთუკი და გაპრიალებული, ყელიანი წაღები ჩაუცვამს, კისერზე ლურჯი შალის ყელსახვევი მოუხვევია. გაძვალტყავებულ, წითელ ხელში ფერგადასული გაშლილი ვარდების უშველებელი თაიგული უჭირავს. ვარდებს ნელ-ნელა სცვივა ფურცლები. მისი პატარა, ჩაწითლებული თვალები ირგვლივ ისე უაზროდ იყურებიან, ეტყობა, ვერაფერს არჩევენ. გრობლებენი კართან ჩერდება, თაიგულს იწვდის და მაშინვე ლაპარაკს იწყებს. მოხუცი ქალბატონი ბუდენბროკი ყოველ სიტყვაზე გამამხნევებლად უქნევს თავს და აქა-იქ სიტყვასაც აშველებს. კონსულს უფერული წარბი აუზიდავს და თავის მუშას ისე უყურებს.

ოჯახის ზოგიერთი წევრი, მაგალითად, ფრაუ პერმანედერი პირზე ცხვირსახოცს იფარებს.

- მე ერთი საწყალი კაცი გახლავართ, ჩემო ბატონებო, მაგრამ კეთილი გული მაქვს. ჩემი ბატონი კუნსელ ბუდენბროკის სახლში ბედნიერება და სიხარული რომ არის, ჩემი სიხარულიცაა. მე ჩემი ბატონისგან ჯერ საწყენი არა შემხვედრია რა. ბატონ კუნსელსა და მის ცოლს, მთელ ოჯახს გულით მინდა ბედნიერი დღე მივულოცო, ბალღი ღმერთმა გაგიზარდოთ. ეგეთ ბატონს, როგორიც კუნსელი ბუდენბროკია, სანთლით რომ ეძებო, ვერა ნახავთ. კეთილი რომ არის, უფალი ღმერთი სიკეთესაც უხვად დააბერტყავს თავზე.

- კარგია, გრობლებენ! კარგად ლაპარაკობ, ღმერთმანი. დიდი მადლობა მომიხსენებია! მანდ რაღას უდგახარ მაგ ვარდებით? - მისებურად მოუქცია კონსულმაც.

მაგრამ გრობლებენს სათქმელი ჯერ არ დაუმთავრებია, იგი თავის მტირალა ხმას ძალას ატანს და კონსულის ხმას ახშობს:

- მე თქვენთვის მითქვამს, ღმერთი სიკეთეს მისცემს ბატონ კუნსელსა და მის ოჯახს- მეთქი. ერთხელაც იქნება და ყველანი უფალს წარვუდგებით წინ. კარგად მოგეხსენებათ, საიქიოს ერთად წავალთ ფულიანიც და უფულოცა, ყველაფერი ღვთის ნებაა, მისი სახელის ჭირიმე. მაგრამ ერთს კარგა გაპრიალებულ, ძვირფასი ხისგან გაჭედილ კუბოში ჩააწვენენ, მეორეს კიდევ უბრალო ყუთში. სულერთია, ყველანი მტვრად ვიქცევით, მტვრად... მტვრად!..

- ე, გრობლებენ, ხომ არ აურიე! ჩვენ ნათლობა გვაქვს და რა მტვერზე ლაპარაკობ!

- ეს ყვავილებიც თქვენთვის მომირთმევია, - დაასრულა გრობლებენმა.

- დიდი მადლობა, გრობლებენ! ეს რა ამბავია! ეგრე რას იხარჯებოდი? ეგეთი სიტყვაც დიდი ხანია აღარ მომისმენია! აჰა, კარგი დრო გაატარე! - კონსულმა გრობლებენს ერთი ტალერი გაუწოდა და მხარზე ხელი მოუთათუნა.

- აჰა, ეს ჩემგან გქონდეს, კეთილო კაცო! - უთხრა მოხუცმა ქალბატონმა ბუდენბროკმა,
- გაქვთ გულში ჩვენი მაცხოვრის სიყვარული?

- მერედა როგორი, ფრაუ კუნსელო, მაგას წყალი არ გაუვა!

გრობლებენმა მეორე ტალერიც ჯიბისკენ გააქანა. მესამე ტალერი მადამ პერმანედერმა უწყალობა, გრობლებენმა ფეხი ფეხს შემოჰკრა და გავიდა. დაბნეულმა ხელში შერჩენილი დაუფურცლავი ვარდები თან გაიყოლა.

გუბერნატორი წამოდგა, კონსულმა იგი კარეტამდე ჩააცილა. ეს გამომშვიდობების ნიშანია დანარჩენი სტუმრებისთვისაც: გერდა ბუდენბროკს მოსვენება ესაჭიროება.

ოთახებში სიჩუმე ისადგურებს. კონსულის მეუღლე, ტონი, ერიკა და მამზელ იუნგმანი ყველაზე ბოლოს მიდიან.

- ჰო, იდა, - ამბობს კონსული, - მე კარგად ვიფიქრე და დედაც თანახმაა. ჩვენ, ყველანი, თქვენი გაზრდილები ვართ და როცა პატარა იოჰანი წამოიზრდება... ახლა მისთვის ძიძა გვყავს, ორ წელიწადში კი გადია დაგვჭირდება. ამ დროისთვის მოისურვებთ ჩვენთან გადმოსვლას?

- სიამოვნებით, ბატონო კონსულო, თუ თქვენი ქალბატონი მეუღლე თანახმა იქნება.

ამ გეგმას გერდაც კმაყოფილებით ხვდება და წინადადება გადაწყვეტილებად იქცევა.

წასვლისას უკვე კართან მისული ფრაუ პერმანედერი ერთხელ კიდევ ბრუნდება, ძმასთან მიდის, ორივე ლოყაზე კოცნის და ეუბნება:

- რა მშვენიერი დღეა, ტომ, რამდენი ხანია ასე ბედნიერი აღარ ვყოფილვარ! მადლობა ღმერთს, ბუდენბროკებს ცხოვრება ჯერ არ მოგვიჭამია, ვინც ასე ფიქრობს, მწარედ ცდება! ახლა, როცა პატარა იოჰანი გაჩნდა... რა კარგია, იოჰანი რომ დავარქვით, ასე მგონია, სრულიად ახალი ხანა უნდა დაგვიდგეს.

მეორე თავი

ქრისტიან ბუდენბროკი, ჰამბურგის ფირმა „ჰ.კ.ფ. ბურმისტერ და კომპანიის“ მფლობელი, თავისი ძმის სასტუმრო ოთახში შევიდა. თავზე ნაცრისფერი, მოდური ქუდი ეხურა, ხელში კი მონაზვნისბიუსტიანი ყვითელი ჯოხი ეჭირა. კონსული გერდასთან ერთად წიგნს კითხულობდა. ეს იყო ნათლობის საღამოს, ათის ნახევარზე.

- საღამო მშვიდობისა, - თქვა ქრისტიანმა, - აჰ, თომას, შენთან სასწრაფო საქმე მაქვს... მაპატიე, გერდა, ძალიან მეჩქარება.

ისინი ჩაბნელებულ სასადილო ოთახში გავიდნენ. კონსულმა კედელზე მიკრული გაზის ლამპა აანთო და ძმას ყურადღებით შეხედა. გული კარგს არაფერს ეუბნებოდა. დღეს ძმას სალაპარაკოდ არ შეხვედრია, მხოლოდ მიესალმა, მაგრამ ნათლობაზე გულდასმით აკვირდებოდა და ხედავდა, რომ ქრისტიანი უჩვეულოდ სერიოზული და შეშფოთებული ჩანდა. დიახ, პასტორ პრინგსჰაიმის ქადაგებისას ერთხელ, გაურკვეველი მიზეზების გამო, დარბაზიდანაც კი გავიდა და დიდხანს აღარ გამოჩენილა... თომასს იმ დღიდან მისთვის პწკარი არ მიუწერია, რაც ქრისტიანის მემკვიდრეობის წილიდან წინასწარ აღებული ვალების დასაფარავად 10000 მარკა ჰამბურგში თავისი ხელით ჩაუტანა.

- განაგრძე შენებურად! - უთხრა მაშინ კონსულმა ძმას, - შენს გროშებს მალე გამოუყვან წირვას. ჩემი მხრივ, იმედი მაქვს, რომ ამიერიდან გზაზე რაც შეიძლება იშვიათად გადამეღობები. ამ წლების განმავლობაში შენ ძალზე ბოროტად იყენებდი ჩემს ძმობასა და მეგობრობას.

ახლა რისთვის მოსულა ქრისტიანი? ეტყობა, რაღაც უჭირს.

- აბა? - შეეკითხა ძმას კონსული.

- მეტი აღარ შემიძლია, - უპასუხა ქრისტიანმა, სასადილო მაგიდის ირგვლივ შემორიგებული ერთ-ერთი მაღალზურგიანი სკამი გამოსწია, ზედ გვერდულად ჩამოჯდა და ქუდი და ჯოხი გამხდარ მუხლებშუა ჩაიდო.

- ნება მიბოძე, გკითხო, რა აღარ შეგიძლია და ჩემთან რამ მოგიყვანა? - უთხრა ძმას კონსულმა.

იგი არ დამჯდარა, კვლავ ფეხზე იდგა.

- მეტი აღარ შემიძლია, - გაიმეორა ქრისტიანმა, თავი შეშფოთებით გადაიქნია და პატარა, მრგვალ-მრგვალი, ღრმად ჩამჯდარი თვალები დააცეცა.

ქრისტიანი ახლა ოცდაცამეტი წლისა იყო, მაგრამ გაცილებით ხნიერი ჩანდა. წითური თმა ძალზე შესთხელებოდა, თითქმის მთელი თავის ქალა ჰქონდა გამელოტებული. ღრმად ჩაცვენილ ლოყებზე ღაწვის ძვლები კიდევ უფრო დამჩნეოდა, მათ შორის კი გაყვლეფილი, გაძვალტყავებული დიდი ცხვირი მთასავით მოუჩანდა.

- მარტო ეს რომ იყოს, - განაგრძო მან და თომასს მარცხენა გვერდი მიუშვირა, - ეს ტკივილი კი არა, ტანჯვაა, გესმის, გამუდმებული, კაცი სახელს რომ ვერ დაარქმევ, ისეთი ტანჯვა. ჰამბურგში დოქტორმა დროგემიულერმა მითხრა, ამ მხარეს ყველა ნერვი დამოკლებული გაქვსო. აბა, წარმოიდგინე, თურმე მარცხენა მხარეს ყველა ნერვი მოკლე მქონია. ისეთი უცნაური ამბავია... ხანდახან მგონია, თითქოს მკერდში მოურჩენელი ჭვალი გამიდგება, ან ეს მხარე სამუდამოდ დამიდამბლავდება. შენ ვერც წარმოიდგენ... არც ერთ ღამეს წესიერად არ მძინავს. მოულოდნელად გული მიჩერდება, წამოვვარდები და ტანში შიშის ჟრუანტელი დამივლის ხოლმე... ასე ერთხელ კი არა, ათჯერ მაინც მომდის, სანამ დავიძინებდე. არ ვიცი, გამოგიცდია თუ არა... თუ გინდა, ზუსტად აგიწერ... ეს არის...

- გეყოფა, - ცივად თქვა კონსულმა, - არა მგონია, ჩემთან მაგ ამბის მოსაყოლად მოსულიყავი.

- არა, თომას, მარტო ეს რომ იყოს, მაშინ ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. მაგრამ ვაი, რომ მარტო ეს არ არის. ჩემი საქმეები... უკან-უკან მიდის... მეტი აღარ შემიძლია.

კონსული არ შეტოკებულა, ხმისთვისაც არ აუწევია.

- შენ ისევ გიჭირს? - შეეკითხა ძმას და გვერდიდან ცივად და უნდილად შეხედა.

- არა, თომას. სიმართლე გითხრა, ახალი არაფერი მომხდარა. მე გაჭირვებიდან არც იმ ათი ათასით დამიხსნია თავი, ეგ შენც კარგად მოგეხსენება. იმ ფულმა ცოტა სული მომათქმევინა, ეგ იყო და ეგ, მას შემდეგ კიდევ ყავაში ვნახე ზარალი... ამას ანტვერპენის გაკოტრების ამბავიც ზედ დაემატა... ნამდვილად ასე იყო, მას მერე ხელი აღარ გამინძრევია, ჩემთვის ვიყავი წყნარად. მაგრამ კაცს ცხოვრება ხომ გინდა? ახლა თამასუქები და სხვა ვალები შემომესია... ხუთი ათასი ტალერი... აჰ, შენ არც კი იცი, რა დღეში ვარ! ყველაფერს კიდევ ეს ტანჯვა ემატება...

- მაშ, შენთვის წყნარად იყავი, არა? - დაიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა კონსულმა. თომასმა მაინც დაკარგა წონასწორობა, - ურემი ლაფში ჩატოვე და თვითონ გართობას მიეცი თავი, ხომ? შენ გგონია, ვერ მივხვდები, როგორ ცხოვრობდი? სახლი თავზე გენგრეოდა, შენ კი თეატრსა და ცირკში, კლუბებსა და იაფფასიან კახპებში დაეთრეოდი.

- ალბათ, ალინას გულისხმობ, არა? ამ საქმისა შენ ბევრი არაფერი იცი, თომას. იქნებ ჩემი უბედურებაც ეგ არის, რომ ასეთ ამბებში მე უკეთ ვერკვევი. მართალი ხარ, ეგ სიამოვნება მე ძვირი დამიჯდა და მომავალშიც კარგა გვარიანად დამიჯდება, მერედა იცი, რატომ? არ დაგიმალავ, ჩვენ ხომ ძმები ვართ... მესამე ბავშვი, პატარა გოგონა, ახლა ნახევარი წლის რომაა, ალინას ჩემგან ჰყავს.

- ვირო!

- მაგას ნუ იტყვი, თომას. გაბრაზებულ გულზეც სამართლიანი უნდა იყო იმ ქალის მიმართ... ვითომ არ შეიძლება ჩემგან ჰყავდეს ის ბავშვი? ალინა იაფფასიანი არ გახლავს, შენ არა გაქვს მაგის თქმის უფლება! მისთვის სულაც არ არის სულერთი, ვისთან იცხოვრებს. ჩემი გულისთვის მან კონსულ ჰოლმს გაანება თავი. ჰოლმს კი, მოგეხსენება, ჩემზე გაცილებით მეტი აქვს ფული, აი, როგორ მაფასებს ის ქალი მე. არა, შენ ვერც კი წარმოიდგენ, თომას, რა დიდებული ქმნილებაა ალინა! იცი, რა ჯანსაღია... რა ჯანსაღი! - გაიმეორა ქრისტიანმა, თითებმოკრუნჩხული ხელი სახესთან მიიტანა, ზუსტად ისე, როგორც „That’s Maria“ -სა და ლონდონურ ბიწიერებაზე ლაპარაკისას იცოდა ხოლმე, - ერთი მისი კბილები დაგანახა, როცა იცინის! ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს მსგავსი კბილები, არც ვალპარაისოში, არც ლონდონში... იმ საღამოს რა დამავიწყებს, ალინა რომ გავიცანი, ეს იყო ულიჰის სახამანწკეში. მაშინ იგი კონსულ ჰოლმთან ცხოვრობდა. მე რაღაც-რაღაცებს
ვყვებოდი და ალინას ცოტა ველაციცებოდი. მერე, როცა ის ჩემი გახდა... აჰ, თომას! ეს სულ სხვა გრძნობაა, საქმეში რომ გამარჯვებას მიაღწევ, ის კიდევ სულ სხვაა... მაგრამ შენ ასეთი ამბების მოსმენა არ გიყვარს, ახლაც გატყობ, დიდად არ გეპიტნავება.
მაგრამ ამ ამბავს უკვე მოეღო ბოლო. მე მას დავემშვიდობები, თუმცა ბავშვის გამო თავს სულ ვერ დავანებებ. მინდა ჰამბურგში ყველა ანგარიში გავასწორო, გესმის, და საქმე გავაუქმო. მეტი აღარ შემიძლია. დედას უკვე ველაპარაკე, ხუთი ათას ტალერს

წინასწარ მაძლევს, რომ საქმეები მოვაწესრიგო. მე მგონი, არც შენ იქნები ამის წინააღმდეგი. უკეთესი არ იქნება, ხალხი უბრალოდ რომ იტყვის, ქრისტიან ბუდენბროკი საქმეს აუქმებს და საზღვარგარეთ მიდისო, ვიდრე იტყოდნენ, გაკოტრდა და თავი შეირცხვინაო? მე მგონი, მართალს ვამბობ. ისევ ლონდონში მინდა წავიდე, თომას. იქ ვიმსახურებ. დამოუკიდებლობა ჩემი საქმე არ ყოფილა, ამაში ყოველ წუთს ვრწმუნდები. პასუხისმგებლობამ კიდევ ხომ... მომსახურე კაცი სახლში საღამოს უდარდელად ბრუნდები. ლონდონში თავს ყოველთვის კარგად ვგრძნობდი... შენ ხომ არაფერი გექნება საწინააღმდეგო?

კონსული მთელი ამ საუბრის განმავლობაში ძმისკენ ზურგშექცეული იდგა, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო და იატაკზე ფეხის წვერით რაღაც ფიგურებს ხატავდა.

- კარგი, წადი ლონდონში, - თქვა მან ბოლოს სრულიად უბრალოდ.

ქრისტიანისკენ არც მიბრუნებულა, ძმა მიატოვა და კვლავ სასტუმრო ოთახს მიაშურა, მაგრამ ქრისტიანი უკან გაჰყვა, წიგნის კითხვაში გართულ გერდასთან მივიდა და ხელი გაუწოდა:

- ღამე მშვიდობისა, გერდა. ჰო, გერდა, მე ისევ ლონდონს მივემგზავრები. რა საოცარია, კაცს ბედი სად არ გადაგისვრის. ისევ გაურკვევლობის გრძნობა მიპყრობს. იცი, ისეთ დიდ ქალაქში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება კაცი ხიფათს გადაეყარო, უცნაურია... იცნობ შენ ამ გრძნობას? აი, აქ მიღიტინებს, დაახლოებით კუჭთან, რა საოცარია, ღმერთო ჩემო...

მესამე თავი

ჯეიმს მოლენდორფი, სენატში ვაჭართა უხუცესი წარმომადგენელი, გროტესკული და თან შემაძრწუნებელი სიკვდილით გარდაიცვალა. დიაბეტიან მოხუცს თავშეკავების უნარი დაკნინებული ჰქონდა და სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ნამცხვრებისთვის ჭკუას კარგავდა. დოქტორი გრაბოვი მოლენდორფების ოჯახსაც ექიმობდა და მოხუცის ჟინის წინააღმდეგ ისე ენერგიულად გაილაშქრა, რომ დამფრთხალმა შინაურებმა თავიანთ მამამთავარს დიდი რიდით აღუკვეთეს ტკბილეულის ჭამა. მაშინ რა ქნა სენატორმა? სულიერად გატეხილმა მოხუცმა სადღაც ღარიბულ უბანში, პატარა გროპელგრუბეზე, ქალაქის გალავანთან თუ ენგელსვიშში ოთახი დაიქირავა, სენაკი, ნამდვილი სორო. იქ ჩუმად შეიპარებოდა ხოლმე და ტორტებს მუსრს ავლებდა. სწორედ იქვე იპოვეს უსულოდ, პირი ნახევრად
დაღეჭილი ნამცხვრით ჰქონდა გამოტენილი. ტკბილეულს მისი სერთუკი ერთიანად დაელაქავებინა, სხვა ნამუსრევი კი უბრალოდ გამოჩორკნილ მაგიდაზე ეყარა. უეცარმა სიკვდილმა სენატორი ნელ-ნელა გახრწნისგან იხსნა.

ოჯახი მოხუცი მოლენდორფის სიკვდილის გულისამრევ წვრილმანებს რაც შეეძლო საიდუმლოდ ინახავდა, მაგრამ ქალაქში ხმა მაინც სწრაფად გავრცელდა და ბირჟაზე, კლუბში, „ჰარმონიაში“, კანტორებში, ქალაქის საბჭოში და ბალებზე, სადილებსა და საღამოებზე მითქმა-მოთქმა დიდხანს არ დამცხრალა. 1862 წლის თებერვალი იდგა.
ამ თვეში კი საზოგადოებრივი ცხოვრება დუღს და გადმოდუღს. სენატორ მოლენდორფის სიკვდილის ამბავს „იერუსალიმურ საღამოებზეც“ კი ყვებოდნენ. როცა ლეა გერჰარტი კითხვისგან ცოტას შეისვენებდა, მოხუც ქალბატონ ბუდენბროკის მეგობარ ქალებს ამის მეტი საჭორაო არაფერი ჰქონდათ. ბუდენბროკების უზარმაზარ თაღში მოწიწებით შემოდიოდნენ საკვირაო სკოლის მოწაფე გოგონები და ისინიც ამაზე ჩურჩულებდნენ. გლოკენგისერშტრასელ ბატონ შტუტს თავის მაღალ წრეში გარეულ მეუღლესთან დიდი საუბარი ჰქონდა სენატორ მოლენდორფის სიკვდილის თაობაზე.

მაგრამ უკვე ჩავლილ ამბავზე მითქმა-მოთქმა დიდხანს აღარ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. მოხუცი სენატორის გარდაცვალების ხმა გავარდა თუ არა, მაშინვე ამოტივტივდა ერთი დიდად მნიშვნელოვანი კითხვა. სენატორის დაკრძალვისთანავე
ამ კითხვამ ყველას გონება დაიპყრო: ვინ იქნება მისი შემცვლელი?

რა მღელვარება და რა ფარული გაწამაწიაა ქალაქში! შუა საუკუნეების ძეგლების სანახავად ჩამოსული უცხო კაცი ვერაფერს შენიშნავს, მაგრამ რა შენიღბული ბრძოლაა გაჩაღებული, რა აგიტაცია; უმწიკვლო, საღი, ყოველგვარ სკეპტიკურობას მოკლებული შეხედულებანი ერთი ერთმანეთზე ილექებიან, დამარწმუნებელი არგუმენტების წინაშე უკან იხევენ, ერთმანეთს კბილს უსინჯავენ და ნელ-ნელა ერთმანეთს ურიგდებიან. ბობოქრობენ ვნებათაღელვანი. იღვიძებს პატივმოყვარეობა და მეშურნეობა. დასამარებული იმედები სულს იდგამენ, თავს წამოყოფენ და კვლავ იფუშებიან. ბეკერგრუბელი მოხუცი კომერსანტი, ყოველ არჩევნებზე სამ თუ ოთხ ხმას რომ იღებს ხოლმე, არჩევნების დღეს კვლავ გულის კანკალით დაელოდება სენატში მიწვევას, მაგრამ არც ამჯერად აირჩევენ სენატორად. ისიც, პატიოსანი და თვითკმაყოფილი, ტროტუარს ძველებურად ჩაუყვება ჯოხის კაკუნით და სენატორობის დარდს საფლავში ჩაიტანს.

როცა ჯეიმს მოლენდორფის სიკვდილის ამბავს ბუდენბროკებთან ტრადიციულ ოჯახურ სადილზე ყვებოდნენ, ფრაუ პერმანედერმა ორიოდე სიტყვით სინანულით მოიხსენია განსვენებული, შემდეგ ენის წვერი ზედა ტუჩზე აათამაშა და ძმას ისე ეშმაკურად გადახედა, რომ ბრაიტენშტრასელმა ქალბატონმა ბუდენბროკებმა ერთმანეთს ენით აუწერელი მომნუსხველი მზერა შეაგებეს, მერე თითქოს ვიღაცამ უბრძანაო, თვალები მოწკურეს და ბაგე მტკიცედ მოკუმეს. კონსულმა დის ცბიერ ღიმილს ღიმილითვე უპასუხა, მაგრამ საუბარი მაშინვე გადაიტანა სხვა თემაზე, კარგად იცოდა, ტონის გულში ნასათუთევ აზრებს ქალაქში უკვე ხმამაღლა გამოთქვამდნენ.

ყოველდღე ჩნდებოდა და ქრებოდა ახალ-ახალი სახელები. მათ სხვა სახელები ცვლიდა და ახალი ძალით იფეთქებდა სჯა-ბაასი. ბეკერგრუბელი ჰენინგ კურცი უკვე მიხრწნილი მოხუცი იყო. ქალაქს ბოლოს და ბოლოს ახალგაზრდა ძალა
სჭირდებოდა. ხეტყის ვაჭარი კონსული ჰუნეუსი თავისი მილიონების წყალობით
ფონს ადვილად გავიდოდა, მაგრამ კონსტიტუციის თანახმად მისი კანდიდატურა თავიდანვე იყო მოხსნილი - მისი ძმა სენატის წევრი გახლდათ. ღვინის ვაჭარი კონსული ედუარდ კისტენმაკერი და კონსული ჰერმან ჰაგენშტრომი სიაში მტკიცედ დამკვიდრდნენ, მაგრამ კანდიდატთა შორის თავიდანვე კიდევ ერთი სახელი იხსენიებოდა: თომას ბუდენბროკი. რაც უფრო ახლოვდებოდა არჩევნების დღე, მით უფრო აშკარა ხდებოდა, რომ სენატში მოხვედრის ყველაზე მეტი შანსი ჰერმან ჰაგენშტრომსა და თომას ბუდენბროკს ჰქონდათ.

ჰერმან ჰაგენშტრომს უეჭველად ბევრი ჰყავდა მომხრე და დამფასებელი. საზოგადოებრივ საქმეებში მის გულმოდგინებას, ფირმა „შტრუნკ და ჰაგენშტრომის“ სწრაფ აღმავლობასა და აყვავებას, კონსულის დიდკაცურ ცხოვრებას, მის სახლსა და ბატის გულ-ღვიძლის პაშტეტს, საუზმეზე რომ მიირთმევდა ხოლმე, არ შეიძლებოდა სათანადო შთაბეჭდილება არ მოეხდინა. ამ ზონზრეხა, წითურ წვერულვაშიანი ცხვირგატყაპნილი კაცის ბაბუას ქალაქში მისი შვილიშვილიც არ იცნობდა, თორემ სხვაზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი. მამამისიც, სარფიანი, მაგრამ საეჭვო ქორწინების გამო, თავის დროზე საზოგადოებაში სათანადოდ არ ყოფილა მიღებული. მაგრამ ჰაგენშტრომები ჰუნეუსებსა და მოლენდორფებთან დამოყვრების წყალობით ქალაქში გაბატონებულ ხუთიოდე ოჯახს მხარში ამოუდგნენ და გაუთანასწორდნენ კიდეც. ახლა ჰერმან ჰაგენშტრომი ქალაქში ყველას საკმაოდ უცნაურ, მაგრამ პატივსაცემ პიროვნებად მიაჩნდა. ერთი რამ იყო ახლებური და მომხიბლავი მის პიროვნებაში: ლიბერალობა და ტოლერანტობა. ამით იგი სხვებისგან გამოირჩეოდა და ბევრის თვალში პატივისცემას იმსახურებდა. ფულს იოლად და უხვად იხვეჭდა და ასევე ხელგაშლილად ხარჯავდა კიდეც, რაიც მისი თანამოქალაქეების გამოზომილ, მოთმინებით აღჭურვილ და მემკვიდრეობით მიღებულ შრომისმოყვარეობას არაფრით არ ჰგავდა. ამ კაცს ტრადიციებისა და უფროსების რიდის ბორკილები არ ზღუდავდა, ფეხზე მტკიცედ იდგა და ყველაფერი ძველმოდური მისთვის უცხო
ხილი იყო. ჰერმან ჰაგენშტრომი სხვებივით არც ძველ, უმიზნოდ აგებულ
უშველებელ პატრიციულ სახლში ცხოვრობდა. ასეთ სახლებში უზარმაზარ ქვის თაღებს თეთრად გალაქული გალერეები ჩაუყვებოდა, მისი სახლის სადა ფასადი კი ზანდშტრასეზე, ბრაიტენშტრასეს სამხრეთ გაგრძელებაზე, ზეთის საღებავით იყო შეღებილი. პრაქტიკულად განლაგებული ოთახები მდიდრულად, ელეგანტურად და მოხერხებულად ჰქონდა მოწყობილი. ახალაშენებულ სახლს ძველებური ზვიადი სტილისა არა ეცხო რა. სულ ცოტა ხნის წინ ამ სახლში გამართულ რაუტზე ჰერმან ჰაგენშტრომმა ქალაქის თეატრის მომღერალი ქალი მოიპატიჟა. სტუმრებს შორის მისი ხელოვნების დიდი მოყვარული და დამფასებელი იურისტი ძმაც იყო. მომღერალმა სადილის შემდეგ რამდენიმე სიმღერა შეასრულა და ბრწყინვალე

ჰონორარიც მიიღო. ჰერმან ჰაგენშტრომი ქალაქის საბჭოში შუა საუკუნეების ძეგლების რესტავრაციისთვის მოზრდილი თანხების შეწირვაზე თავს არ დებდა, მაგრამ გაზის სინათლე, მთელ ქალაქში რომ მან პირველმა გააყვანინა სახლსა და კანტორაში, უტყუარი ფაქტი გახლდათ. თუკი კონსულ ჰაგენშტრომს რაიმე
ტრადიცია გააჩნდა, ეს იყო მხოლოდ მამამისისგან - მოხუცი ჰინრიჰ ჰაგენშტრომისგან ნამემკვიდრეები, შეუზღუდავი, პროგრესული, შემგუებლური და ყოველგვარი ცრურწმენისგან შეუბოჭავი მსოფლმხედველობა. მისი ავტორიტეტიც სწორედ ამ გარემოებას ემყარებოდა.

თომას ბუდენბროკის პრესტიჟს სულ სხვა სათავე ჰქონდა. ეს პატივისცემა მარტო მას არ დაუმსახურებია. ქალაქში ჯერ კიდევ არ დავიწყებოდათ კონსულის მამის, ბაბუისა და დიდი პაპის სახელი და თავისი საქმიანობისა და საზოგადოებრივ სარბიელზე წარმატების გარეშეც თომას ბუდენბროკს ზურგს უმაგრებდა ბუდენბროკების გვარის მიერ საუკუნის განმავლობაში ნატარები ბიურგერული დიდება. რა თქმა უნდა, იმასაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ თომას ბუდენბროკმა თავისი ღირსეული გვარი ძალდაუტანებლად, მოხდენილად და თავაზიანად შეიშნო და გამოიყენა კიდეც. გარდა ამისა, თომას ბუდენბროკი თვით „სწავლული“ ბიურგერებისგანაც კი გამოირჩეოდა დიდი განათლებით. კონსულს ამიტომაც სცემდნენ პატივს, თუმცა ამის გამო მასთან დაახლოებას ერიდებოდნენ კიდეც.

ხუთშაბათობით ბუდენბროკებთან კონსულის თანდასწრებით არჩევნებზე მხოლოდ მოკლედ და გაკვრით თუ ჩამოაგდებდა ვინმე სიტყვას. მაშინაც მოხუცი ქალბატონი ბუდენბროკი ღია ცისფერ თვალებს ტაქტიანად დახრიდა ხოლმე. ხანდახან ფრაუ პერმანედერს გული არ მოუთმენდა, რომ სახელმწიფო კონსტიტუციის გასაოცარი ცოდნით თავი არ მოეწონებინა. ტონის სენატორების არჩევნებთან დაკავშირებული მუხლები ისევე ჰქონდა გაზეპირებული, როგორც რამდენიმე წლის წინ განქორწინების პარაგრაფებს იზუთხავდა. თავისუფლად ლაპარაკობდა საარჩევნო კურიებზე, ამომრჩევლებსა და ხმის მისაცემ ბიულეტენებზე, არც მოსალოდნელი შემთხვევითობა გამორჩებოდა, ამომრჩეველთა ფიცს სიტყვასიტყვით, ენის წაუბორძიკებლად იმეორებდა, ყვებოდა კანდიდატების „მიუკერძოებელ დახასიათებაზე“, რაც კონსტიტუციის მიხედვით კანდიდატთა სიაში მოხვედრილთათვის ცალკეულ კურიას უნდა ჩაეტარებინა და გულით ნატრობდა, ერთი ჰერმან ჰაგენშტრომის პიროვნების „მიუკერძოებელ დახასიათებაში“ მონაწილეობის უფლება მომცაო.

უცებ ტონი გადაიხარა და ძმის თეფშზე ქლიავის კურკების თვლა დაიწყო: კი - არა, კი - არა, კი! - დააბოლოვა ტონიმ და დაკლებული კურკა დანის წვერით თომასის თეფშზე გადააგდო. სადილის შემდეგ თავი მაინც ვერ შეიკავა, კონსულს მკლავში ჩაავლო ხელი და ფანჯარასთან გაინაპირა:

- ღმერთო, ტომ! შენ თუ სენატორი გახდები... შენ თუ ჩვენს გერბს რატჰაუსის საჭურვლის პალატაში მიუჩენ ადგილს, იცოდე, სიხარულისგან მოვკვდები! დავეცემი და მოვკვდები, აი, ნახავ, თუ არა!

- კარგი, ჩემო ტონი! თუ შეიძლება, ახლა თავი შეიკავე და ღირსება შეინარჩუნე. თავის დაჭერა, ვიცი, კარგად გეხერხება! განა მე ჰენინგ კურცივით დავბორიალებ აქეთ- იქით? ჩვენ უსენატოროდაც რაღაცად ვღირვართ, მგონია. იმედი მაქვს, არჩევნები როგორც უნდა დამთავრდეს, შენ მაინც ცოცხალი დარჩები.

აგიტაცია, დებატები, შეხლა-შემოხლა გრძელდებოდა. Suitier-ად ცნობილ კონსულ დოლმანს თავისი ფირმისთვის ძირი უკვე გამოეთხარა, ფირმა სახელითღა არსებობდა, თავისი ოცდაშვიდი წლის ქალიშვილის მემკვიდრეობაც დაემღერებინა და ახლა ამ გაწამაწიაში ბეჯითად მონაწილეობდა, თომას ბუდენბროკთან გამართულ სადილზე თომასს ეძახდა მჭექარე ხმით, „ბატონო სენატოროო“, ჰერმან ჰაგენშტრომთან სენატორად ჰერმანს ნათლავდა. სიგიზმუნდ გოში კი, მოხუცი მაკლერი გოში, ლომივით ბრდღვინავდა და იმუქრებოდა, მოუშთობელი არ გადამირჩება, ვინც ხმას კონსულ ბუდენბროკს არ მისცემსო.

- კონსული ბუდენბროკი, ბატონებო, დიახ! ო, რა კაცია, რომ იცოდეთ. მე მამამისის გვერდზე ვიდექი, მან რომ ორმოცდარვაში გამძვინვარებული პლებეების რისხვა დააცხრო... თუ ქვეყანაზე სადმე სამართლიანობაა, ჯერ კიდევ მამამისი და ბაბუამისი უნდა ყოფილიყვნენ სენატორები.

სიმართლე თუ გნებავთ, ბატონ გოშს კონსულ ბუდენბროკის პიროვნება როდი უნთებდა გულში ცეცხლს, მას კონსულის ახალგაზრდა მეუღლე, გერდა არნოლდსენი აღაფრთოვანებდა. მაკლერი გერდას არასოდეს დალაპარაკებია. იგი მდიდარ ვაჭართა წრეს არ ეკუთვნოდა, არც მათ სუფრაზე სადილობდა და მათთან არც მისვლა-მოსვლა ჰქონდა. მაგრამ, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, გერდა ბუდენბროკი ქალაქში გამოჩნდა თუ არა, პირქუში მაკლერის რაღაც არაჩვეულებრივს მოწყურებულმა ხარბმა თვალმა იგი მაშინვე დაზვერა. შეუმცდარმა ინსტინქტმა უკარნახა გოშს, მხოლოდ ამ ქმნილებას ძალუძს ჩემს უღიმღამო ცხოვრებას აზრი შთაბეროსო. მაკლერი გოში სულითა და ხორცით მისი ყურმოჭრილი მონა გახდა, თუმცა გერდა ბუდენბროკი მას სახელითაც ძლივს იცნობდა. მას შემდეგ გოში ამ ნერვიულ და უაღრესად თავშეკავებულ ქალს ფიქრებში ირგვლივ ისე უტრიალებდა, როგორც ვეფხვი უვლის ხოლმე გარს თავის მომთვინიერებელს. გერდა ბუდენბროკისთვის მაკლერი გოში არავის წარუდგენია, მაგრამ იგი ვეფხვისებური შემპარავი სახით, ისეთივე მუხანათური, მაგრამ უვნებელი ხერხებით ქალს ქუჩაში ხვდებოდა და მოულოდნელად, მისალმების ნიშნად იეზუიტურ ქუდს დიდის ამბით უხდიდა ხოლმე. ამ უგერგილო ქვეყანაზე არასოდეს მიეცემოდა შემთხვევა, ამ ქალის გულისთვის გაუგონარი ბოროტება ჩაედინა. ეს მოსასხამში გახვეული კუზიანი, პირქუში და გულზვიადი კაცი მზად იყო ეშმაკისეული გულგრილობით ეგო პასუხი

ამ ბოროტებაზე. დღევანდელ უღიმღამო ხანაში გოშს არ შეეძლო მკვლელობის, დანაშაულისა და სისხლიანი ინტრიგების ფასად ეს ქალი სამეფო ტახტზე აეყვანა. ახლა მეტი აღარაფერი დარჩენოდა, მისი პატივცემული მეუღლისთვის არჩევნებზე ხმა უნდა მიეცა, გერდა ბუდენბროკს კი ოდესმე, ალბათ, ლოპე დე ვეგას დრამების სრული კრებულის თარგმანს მიუძღვნიდა.

მეოთხე თავი

„სენატში გათავისუფლებული ადგილი ოთხი კვირის განმავლობაში ახალმა სენატორმა უნდა დაიკავოს“, - ასე ბრძანებს კონსტიტუცია. ჯეიმს მოლენდორფის გარდაცვალების შემდეგ სამმა კვირამ გაიარა და აი, თებერვლის დამლევს, დადგა არჩევნების დღე, - თებერვლის თოვლჭყაპიანი დღე.

ბრაიტენშტრასეზე, რატჰაუსის წინ, დღის პირველ საათზე ტევა არ არის. რატჰაუსის ფასადი მოჭიქული აგურითაა ნაგები, წინ გამოწეულ სვეტებს შორის გადახურული შესასვლელი იმალება, წვეტიანი თაღებიდან კი ბაზრის მოედანი და მისი ჭა მოჩანს. ხალხი გაუნძრევლად დგას ატალახებულ თოვლში, თოვლი დნება და მათ ფეხქვეშ წყლად მიედინება, ისინი ხან ერთმანეთს გადახედავენ, ხან ისევ პირდაპირ იყურებიან და კისრებს იგრძელებენ, რადგან იქ, იმ პორტალს იქით, სხდომათა დარბაზში, რკალად ჩამწკრივებულ თოთხმეტ სავარძელში სხედან სენატისა და ქალაქის საბჭოს წევრები და საარჩევნო კურიების წინადადებებს ელოდებიან.

საქმე გაჭიანურდა. როგორც ჩანს, კურიებში დებატები ჯერ არ დამცხრალა, მიდის სასტიკი ბრძოლა. ეტყობა, სხდომათა დარბაზში მიმდინარე კრებისთვის კურიებს ერთი და იგივე პიროვნება არ დაუსახელებიათ, თორემ გუბერნატორი მას მაშინვე სენატორად გამოაცხადებდა. უცნაურია! ვერავინ გაიგებს, საიდან მოდის, სად აღმოცენდება ხოლმე ხმები, მაგრამ პორტალიდან კი აღწევს გარეთ და ხალხში ვრცელდება. ვითომ რატუშის ორ მსახურთაგან ერთ-ერთი, უფრო ხანდაზმული ბატონი კასპერსენი, თავის თავს სახელმწიფო მოხელეს რომ უწოდებს, ის არის ამის ავანჩავანი? მაშ, ბატონი კასპერსენი, ერთმანეთზე მაგრად დაჭერილი კბილებით, დახრილი თვალებითა და ტუჩის კუთხეებით, გადასცემს გარეთ მომლოდინე ხალხს ყურმოკრულ ამბებს? ახლა ხმა გამოვიდა, სხდომათა დარბაზში წინადადებები უკვე მიღებულია და სამივე კურიამ სხვადასხვა კანდიდატი წამოაყენაო: ჰაგენშტრომი, ბუდენბროკი და კისტენმაკერი! ღმერთმა ქნას და სენატორის არჩევა ფარული კენჭისყრისას ხმის უმრავლესობით გადაწყდეს! ვისაც თბილი ფეხსაცმელი არ აცვია, ფეხებს აბაკუნებს - ტეხთ ყინვისგან დამზრალი ფეხისგულები.

რატჰაუსის წინ ყველა კლასის წარმომადგენლებს მოუყრიათ თავი. აგერ ყელმოშიშვლებული მეზღვაურები, ხელები ფართო შარვლის ჯიბეებში რომ

ჩაუწყვიათ და ყელზე სვირინგები მოუჩანთ. შავი სატინის შარვალ-ხალათიანი მტვირთავებიც აქ არიან - მათ საოცრად კეთილი და გულმართალი გამოხედვა აქვთ; მეფორნეები ხორბლის ტომრებით დაზვინული ფორნებიდან ჩამომხტარან; ხელში მათრახი შერჩენიათ. ისინი არჩევნების შედეგს უცდიან. იქვე დგანან ყელზე თავსაფარშემოხვეული მოახლეები. ყველას წინსაფრიანი სქელი, ზოლიანი ქვედაკაბები აცვია, კეფაზე თეთრი ჩაჩები ადევთ და შიშველ ხელებში უზარმაზარი კალათები უჭირავთ. მეთევზე და მემწვანილე ქალებს ფეხი ჩალის ქოშებში წაუდგამთ და ადგილიდან არ იძვრიან. ბრბოში ორიოდე ცუგრუმელა მეყვავილე გოგონაც ურევია. თავზე ჰოლანდიური კოხტა ჩაჩები ახურავთ, მოკლე ქვედაკაბები აცვიათ და ამოქარგული ლიფებიდან თეთრი კოფთების გრძელი, ნაოჭასხმული სახელოები მოუჩანთ. მათ შორის ბიურგერებიც ბლომად არიან. მახლობელი მაღაზიების მეპატრონეები ქუჩაში უქუდოდ გამოსულან და თავიანთ მოსაზრებებს ერთმანეთს უზიარებენ. ახალგაზრდა, კარგად ჩაცმული ვაჭრებიც აქ დგანან - ისინი მამების ან მამების მეგობრების კანტორებში სწავლობენ სამ თუ ოთხ წელიწადს. ზურგზე აბგამოკიდებული და ჩანთიანი მოსწავლეებიც დაძვრებიან ბრბოში.

თამბაქოს ღეჭვაში გართული ორი წვერმოშვებული მუშის უკან ერთი ქალი დგას, აღელვებული თავს აქეთ-იქით სწევს და ცდილობს მუშების ახოვან მხრებს შორის რატჰაუსი დაინახოს. წაბლისფერი ბეწვით გაწყობილი მოსასხამი ორივე ხელით უჭირავს შიგნიდან. სახე სქელი, მძიმე ყავისფერი პირბადით აქვს მთლიანად შებურვილი და თოვლ-ჭყაპში ბოტებს ატყაპუნებს შეუჩერებლივ.

- მე და ჩემმა ღმერთმა, მაგ შენს ბატონ კურცს კიდევ ჩაგიფლავებენ, - ეუბნება ერთი მუშა მეორეს.

- შენ ხომ არ გძინავს, კურცი ვიღას ახსოვს? ახლა მარტო ჰაგენშტრომს, კისტენმაკერსა და ბუდენბროკს უყრიან კენჭს.

- აბა, ახლა საქმე ეგ არი, რომელი რომელს აჯობებს!

- მაინც შენ ვიზე ფიქრობ?

- მე რომ მკითხო, ჰაგენშტრომს აირჩევენ.

- ეე, შე ჭკუის კოლოფო, შენა! ენამ არ გიყივლოს! - ეუბნება პირველი მუშა და თამბაქოს ფეხებქვეშ აპურჭყებს, რადგან ამ ჭყლეტაში შორს გადაფურთხება ვერ მოუხერხებია. მერე შარვალს ორივე ხელით იქაჩავს და განაგრძობს:

- ჰაგენშტრომი კი არა, ის არ გინდა! ჰაგენშტრომი მუცელღმერთობისგან ისეა გასივებული, ცხვირით ვეღარ სუნთქავს. ჩემი ბატონი კურცი თუ კიდევ ჩაფლავდება, მე მაშინ ბუდენბროკის მხარეზე ვარ. აი, კაცი თუ გინდა, ის არის!

- ალბათ, ეგრეა, მაგრამ ჰაგენშტრომი უფრო მდიდარია.

- სიმდიდრეს რა ჭკუა აქვს?

- ის შენი ბუდენბროკი სულ მანშეტებით და აბრეშუმის გალუსტიკით გამოპრანჭული დადის, ულვაშებიც რომ სულ წკიპზე აქვს დამდგარი? ისე დახტუნავს, ფრთამოტეხილი ჩიტი გეგონება.

- შე შტერო, არც ეგაა მთავარი.

- მაგისი და არ იყო, ორ ქმარს რომ გამოექცა და ძმას შინ ჩამოუჯდა?

წამოსასხამიანი ქალი შეკრთა.

- რა მოხდა მერე! ჩვენ არ ვიცით, რატომ გამოიქცა. მერედა ეგ რა კუნსელის ბრალია?

„მართლაც, რა იმის ბრალია, - ფიქრობს პირბადიანი ქალი და მოსასხამის ქვეშ ხელები ემუშტება, - მართლაც, რა იმის ბრალია, დიდება შენდა, ღმერთო!“ - მერე, - დასძენს ბუდენბროკის მომხრე, - იმას გუბერნატორი ნათლიად მოეკიდა, ნუთუ ეგ შენი ფიქრით აღარაფერს ნიშნავს?

„ხომ ნიშნავს? - ფიქრობს ქალი, - მადლობა ღმერთს, ამ ამბავს შთაბეჭდილება მოუხდენია“.

იგი ისევ იძაბება. რატჰაუსიდან ახალი ხმა გამოვიდა, წინა რიგებში გავრცელდა და მის ყურებამდეც მოაღწია: საყოველთაო არჩევნებს საბოლოო შედეგი არ მოჰყოლია. ედუარდ კისტენმაკერს ხმების უმცირესობა მიუღია და არჩევნებიდან გამოვარდნილა, ჰაგენშტრომსა და ბუდენბროკს შორის კი ბრძოლა ისევ გრძელდებაო. ამ დროს ერთმა ბიურგერმა დიდის ამბით განაცხადა, თუ ხმები თანაბრად გაიყოფა, იძულებული გახდებიან ხუთი „თავკაცი“ აირჩიონ და მათი ხმების უმრავლესობით გადაწყვიტონ საკითხიო.

უცებ პორტალის ახლოს ვიღაც გაიძახის:

- აირჩიეს ჰაინე ზეეჰაზე!

ზეეჰაზე ერთი ლოთი კაცია და ახალგამომცხვარ პურს ხელურმით დაატარებს ხოლმე. ხალხი იცინის და ოხუნჯის დასანახავად ფეხის წვერებზე დგება. პირბადიანი ქალიც იცინის ნერვიულად და ერთი წუთით მხრები უთახთახებს. შემდეგ გონს ეგება: ახლა განა ხუმრობის დროა?.. თავს თოკავს და ორ მუშას შორის ისევ რატჰაუსს გასცქერის. მაგრამ იმავე წუთში ხელები უმწეოდ უცვივდება, მოსასხამი ეხსნება და მხრებჩამოყრილი, ძალაწართმეული და განადგურებული დგას.

ჰ ა გ ე ნ შ ტ რ ო მ ი! - არავინ იცის, საიდან გაჩნდა ეს ცნობა, ქვესკნელიდან ამოვიდა თუ ზეციდან ჩამოვარდა. ყველამ ეს ცნობა აიტაცა. ეჭვი არავის ეპარება. გადაწყდა, ჰაგენშტრომი! - დიახ, ჰაგენშტრომი აირჩიეს. ახლა რაღას უნდა ელოდოს. პირბადიან ქალს ეს თავიდანვე უნდა სცოდნოდა. ცხოვრებაში ყოველთვის ასე ხდება. ახლა

შეუძლია მობრუნდეს და შინ წავიდეს. ქალი გრძნობს, ცრემლები როგორც ებჯინება ყელში... მაგრამ გადის ერთი წუთი და ხალხი უცებ უკან აწყდება. ატყდა ჩოჩქოლი, მიწევ-მოწევა წინა რიგებიდან იწყება და იმავე წუთში პორტალის სიღრმეში ხასხასა წითელი რაღაც გამოანათებს, ეს რატჰაუსის ორივე მსახურის, კასპერსენისა და ულეფელტის წითელი ლივრეებია. ისინი სააღლუმოდ არიან გამოწყობილნი. ორივეს თეთრი რეიტუზები აცვია. თავზე სამკუთხა ქუდები ახურავთ. ყვითელი
მანჟეტებითა და დაშნებით დამშვენებულნი მხარდამხარ მოაბიჯებენ. ბრბო უკან იხევს და ისინი გზას იკაფავენ.

ორივენი ბედისწერასავით მოემართებიან: დინჯად, უსიტყვოდ, პირქუშად თვალდახრილნი, გვერდზე არც იხედებიან, პირდაპირ იქით უჭირავთ გეზი, საითაც არჩევნების შედეგს მიუთითებია, მაგრამ, ღმერთო, ზანდშტრასესკენ როდი მიდიან, ბრაიტენშტრასეზე, მარჯვნივ გადაუხვიეს!

პირბადიანი ქალი თვალს არ უჯერებს. მაგრამ მის ირგვლივ ყველანი ამასვე ხედავენ. ბრბომ რატჰაუსის მსახურებისკენ იბრუნა პირი, მიაბიჯებენ და ერთმანეთს ეუბნებიან:

- რის ჰაგენშტრომი, ბუდენბროკი აურჩევიათ, ბუდენბროკი!

ვიღაც ბატონები პორტალიდან გამოდიან, გაცხარებული ლაპარაკობენ და ფეხაჩქარებულნი ბრაიტენშტრასესკენ მიემართებიან, რომ ახალ სენატორს პირველებმა მიულოცონ.

მაშინ ქალმა მოსასხამის კალთები აიკრიფა. იგი უკვე გარბის, მანდილოსნისთვის შეუფერებლად სწრაფად გარბის. პირბადე ეხდება და ალმურადენილი სახე მოუჩანს, მაგრამ ამას არაფრად აგდებს, ბეწვშემოვლებული ცალი ბოტი წამდაუწუმ ეფლობა ატალახებულ თოვლში და საშინლად ეშლება ხელი, მაგრამ მაინც ასწრებს ყველას. პირველი აღწევს ბეკერგრუბეს კუთხის სახლამდე, კარს სანამ გაუღებდნენ, ზარს ცეცხლს უკიდებს, მოახლეს შესძახებს, მოდიან, კატრინ, მოდიანო, კიბეზე სულმოუთქმელად არბის და სასტუმრო ოთახში იჭრება. იქ მოლოდინისგან ოდნავ ფერგამკრთალი მისი ძმა ზის. იგი გაზეთს გვერდზე დებს და დას დამამშვიდებელ ჟესტს აგებებს. ტონი ძმას გულში იკრავს და იმეორებს:

- მოდიან, ტომ, მოდიან! შენ გასული ხარ, ჰერმან ჰაგენშტრომი გააშავეს!

* * *

ეს იყო პარასკევს. მეორე დღესვე სენატორი ბუდენბროკი განსვენებული ჯეიმს მოლენდორფის სავარძელთან იდგა და ქალაქის მამათა და ბიურგერთა წარმომადგენლების წინაშე ფიცს დებდა:

- ვფიცავ, სინდისიერად შევასრულო ჩემი მოვალეობა, ძალა არ დავზოგო ჩემი ქალაქის საკეთილდღეოდ, ვიყო მისი კონსტიტუციის ერთგული, სინდისიერად

დავიცვა საზოგადოებრივი საკუთრება. ჩემი მოვალეობის აღსრულებისას, ისევე როგორც არჩევნებზეც, პირადი მიზნებით, ნათესაობით ან მეგობრობით არ ვიხელმძღვანელო. ვფიცავ, დავიცვა კანონიერება და სამართლიანობა ყველას მიმართ, ღარიბი იქნება თუ მდიდარი. ვფიცავ, არ გავახმაურო ის, რისი გახმაურებაც
არ შეიძლება, ზედმიწევნით საიდუმლოდ შევინახო ის, რაც საიდუმლოდ მექნება განდობილი. დაე, ღმერთი იყოს ჩემი შემწე!

მეხუთე თავი

ჩვენი სურვილები და მოქმედებანი ჩვენივე ნერვების გარკვეული მოთხოვნილებების ნაყოფია, ამ მოთხოვნილებების გამოთქმა კი ძნელია.

თომას ბუდენბროკი თავის გარეგნობაზე გადაჭარბებულად ზრუნავდა, ტანსაცმელი ყოველთვის აუცილებლად ძვირფასი უნდა სცმოდა. ხალხი ამ მიდრეკილებას კუდაბზიკობად უთვლიდა, მაგრამ სინამდვილეში ეს სულ სხვა რამ იყო. ეს
გახლდათ, ძირითადად, საქმიანი კაცის ლტოლვა, თავიდან ფეხებამდე კორექტულად და მოწესრიგებულად ეგრძნო თავი და ამით სიმტკიცე შეენარჩუნებინა. მოთხოვნილებები კი, რასაც კონსული საკუთარ თავს უყენებდა და რასაც სხვები მისი ნიჭისა და შინაგანი ძალისგან მოელოდნენ, თანდათან იზრდებოდა. თომასი პირად და საზოგადოებრივ მოვალეობებში იყო ჩაფლული. როცა საბჭოს სხდომაზე სენატის წევრთა შორის თანამდებობანი განაწილდა, მას გადასახადების საქმე ერგო, მაგრამ თომასს ამას გარდა რკინიგზის, საბაჟოსა და სხვა სახელმწიფოებრივი საქმეების გაძღოლაც უხდებოდა. სენატორად არჩევის დღიდან კი ათასგვარი მმართველი და საკონტროლო კომისიების სხდომებსაც თავმჯდომარეობდა. ასეთ სხდომებზე მთელი თავისი წინდახედულობის, თავაზიანობისა და მოქნილობის გამოჩენა სჭირდებოდა, რომ ხანდაზმული ხალხის თავმოყვარეობა არ გაეკენწლა, მოსაჩვენებლად მათი გამოცდილებისთვის ანგარიში გაეწია, სინამდვილეში კი ძალაუფლება მაინც თვითონ შეენარჩუნებინა. ყველას გასაოცრად, თომას ბუდენბროკი „კუდაბზიკობას“
არ იშლიდა: გარეგნულად ყოველთვის გამოცოცხლებისა და განახლებისკენ მიილტვოდა, ტანსაცმელს დღეში რამდენჯერმე იცვლიდა და ამით ცდილობდა მხნეობა და ენერგია აღედგინა, თუმცა ჯერ ოცდაჩვიდმეტი წლისაც არ იყო. ერთი სიტყვით, ასეთი საქციელი „კუდაბზიკობას“ კი არა, მის გამოფიტვასა და დასუსტებას მოწმობდა.

როცა კეთილი დოქტორი გრაბოვი დასვენებას ურჩევდა, თომასი პასუხობდა:

- არა, ჩემო ძვირფასო ექიმო! დასვენება ჩემთვის ჯერ ადრეა!

ამ სიტყვებში თომასი გულისხმობდა, ჯერ კიდევ დიდხანს და თავდაუზოგავად უნდა ვიშრომო, სანამ ჩემს მიზნებს საბოლოოდ მიღწეულად ჩავთვლი და სანამ უზრუნველი, მშვი-დი ცხოვრების უფლებას მოვიპოვებო. მაგრამ სინამდვილეში ასეთი დღის დადგომა თომასს დიდად აღარა სწამდა. რაღაც ძალა წინ უბიძგებდა და მოსვენებას არ აძლევდა. დასვენების დროსაც კი, ნასადილევს, როცა ხელში გაზეთს აიღებდა და ულვაშის ბოლოს თითქოს უდარდელად აწვალებდა, საფეთქლებზე ძარღვები ებერებოდა და თავში ათასგვარი გეგმა უტრიალებდა. იგი ერთნაირი სერიოზულობით და მონდომებით ეკიდებოდა ყოველგვარ საქმიან ნაბიჯს, საჯაროდ სათქმელი სიტყვის მომზადებასაც და უბრალო განზრახვის შესრულებასაც. მაგალითად, ძალიან უნდოდა, ბოლოს და ბოლოს, საცვლების მარაგი განეახლებინა, და ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ერთ საქმეში მაინც მიეღწია სრული წესრიგისთვის და ამ მხრივ მაინც ყოფილიყო გულდამშვიდებული!

ამგვარი განახლებანი და შენაძენები თომასს ხანმოკლე კმაყოფილებასა და სიმშვიდეს ანიჭებდა და ისიც ხარჯს არ ერიდებოდა, მით უმეტეს, რომ ფირმა იმ წლებში ისე ყვაოდა, როგორც ოდესღაც, ბაბუამისის დროს. ბუდენბროკების ფირმამ არა მარტო ქალაქში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც მოიხვეჭა სახელი და მისდამი პატივისცემა ვაჭართა საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ზოგი შურით, ზოგი კი სიხარულით აღიარებდა თომას ბუდენბროკის შრომისმოყვარეობასა და მარიფათს, თვითონ სენატორი კი ამაოდ ცდილობდა გულდამშვიდებით ემუშავა: იგი ყოველთვის გრძნობდა და ამ აზრს სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა, რომ თავის ფანტაზიაში დაწყობილ გეგმებს საქმით ვერასოდეს უსწორდებოდა.

ასე რომ, სენატორ ბუდენბროკს გულზვიადობით არ მოსვლია, როცა 63 წლის ზაფხულში ახალი, დიდი სახლის აშენების ფიქრი შეუჯდა. ბედნიერი კაცი ადგილიდან არ იძვრის. თომას ბუდენბროკს უკმარისობის გრძნობა არ ასვენებდა, მის თანამოქალაქეებს კი შეიძლებოდა ეს ახალი წამოწყებაც მისი „კუდაბზიკობისთვის“ მიეწერათ. ახალი სახლი, გარეგნული ცხოვრ-ების რადიკალური შეცვლა, აბარგება, გადასვლა, ახლად მოწყობა, ყველაფერი ძველისა და ზედმეტის თავიდან მოშორება, რაც წარსულ წლებს დაეგროვებინა... ამის წარმოდგენაც კი თომასს განწმენდის, სიახლის, გამოცოცხლების, ხელშეუხებლობისა და ძალის მომატების გრძნობას უნერგავდა... ეტყობოდა, ყველაფერი ეს თომასს ძალიან აკლდა, რადგან ახალ საქმეს უკვე ბეჯითად ეკიდებოდა და სახლისთვის ადგილიც ჰქონდა შეგულებული.

ეს იყო საკმაოდ მოზრდილი მამული ფიშერგრუბეს ბოლოს, იყიდებოდა ძველთაძველი, ხელმიშვებული სახლი. მისი პატრონი, მიხრწნილი შინაბერა, ყველასგან მივიწყებული, ოდესღაც დიდებული ოჯახის უკანასკნელი ნაშიერი, ამ სახლში მარტოდმარტო ცხოვრობდა და ამ ცოტა ხნის წინ გარდაცვლილიყო. აი, იმ ადგილზე სურდა სენატორს ახალი სახლი აღემართა და ნავსადგურისკენ მიმავალი შეგულებულ საკარმიდამოს ხშირად ინტერესით ზვერავდა ხოლმე. მეზობლებიც არ ეყოლებოდა ცუდი: ირგვლივ შემლებული ბიურგერების ფრონტ-ონებიანი სახლები

იყო ჩარიგებული. მათ შორის ყველაზე ღარიბულად გამოიყურებოდა ზედ მამულის პირდაპირ აშენებული ვიწრო სახლი, რომლის პირველ სართულზე საყვავილე იყო მოთავსებული.

თომას ბუდენბროკი წამოწყებულ საქმეს დიდი ხალისით მოეკიდა. დაახლოებით იანგარიშა, სახლი რა დაუჯდებოდა და თუმცა გვარიანი თანხა გამოუვიდა, მაინც ფიქრობდა, ამ ხარჯის გაწევა გაუჭირვებლად შემიძლიაო. თუმცა თომასს ერთი ფიქრი უყინავდა ძარღვებში სისხლს: იქნებ არ ღირდა ამ საქმის წამოწყება? თავის
თავსაც ვერ უმხელდა, რომ ახლანდელი სახლის ფართობი მისთვის, ცოლის, შვილისა და მოსამსახურე პერსონალისთვის თავზე საყრელად კმაროდა. მაგრამ ნახევრად შეუცნობელი მოთხოვნილებანი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. სენატორს უნდოდა, ვინმე მხარდამჭერი ჰყოლოდა და თავისი სურვილი გაემართლებინა, ამიტომ ჯერ დას გაენდო:

- მოკლედ რომ გითხრა, ტონი, შენი აზრი მაინტერესებს! ჩვენი სააბაზანოს ხვეული კიბე კარგი რამაა, მაგრამ, საერთოდ, ეს სახლი კი არა, კოლოფია, დიდებულების ნასახი არ გააჩნია. მერედა ახლა, შენი წყალობით სენატორი რომ გავხდი... ერთი სიტყვით: ხომ იცი, ახლა მე რა შემეფერება...

აჰ, ღმერთო ჩემო, მადამ პერმანედერის თვალში მის ძმას რა აღარ შეეფერებოდა! ტონის აღტაცებისგან სული შეუგუბდა, ხელები გულზე დაიკრიფა, მხრები აიწურა და თავაღერილმა ოთახში გაიარ-გამოიარა.

- მაგაში მართალი ხარ, ტომ! ღმერთო ჩემო, მართალი ხარ, აბა, რა! საეჭვო რაღა უნდა იყოს! მერე, კაცს რომ ყველა სიკეთესთან ერთად არნოლდსენების გვარის და ისიც ამოდენა მზითევიანი ქალი ეყოლება ცოლად... იცი, როგორ მეამაყება, პირველს მე რომ გამანდე? რა მადლობელი ვარ შენი, რომ იცოდე! ახლა კი ამოდენა საქმე გადაგიწყვეტია, ყველაფერი კეთილშობილური უნდა იყოს, ტომ, ამას კი გეტყვი!

- აბა, როგორ, მეც მაგას ვფიქრობ. თავს არ დავზოგავ. ეს საქმე ფოიჰტს უნდა გავაკეთებინოთ. წინასწარ მიხარია, მე და შენ ესკიზებს როგორ გავსინჯავთ!.. ფოიჰტი დიდი გემოვნებიანი კაცია.

თომასს ახლა გერდას თანხმობა უნდა მიეღო. გერდამაც მოუწონა მეუღლეს გეგმები. მართალია, გადასვლის დავიდარაბა სასიამოვნოს არაფერს უქადდა, მაგრამ კარგი აკუსტიკიანი ვრცელი მუსიკალური დარბაზი რომ ექნებოდა, ეს მის გულს ბედნიერებით აღავსებდა. რაც შეეხება მოხუც ქალბატონ ბუდენბროკს, მას ახალი სახლის მშენებლობა სხვა ბედნიერი ამბების ლოგიკურ შედეგად მიაჩნდა და კმაყოფილებით აღსავსე ღმერთს მადლობას სწირავდა. მემკვიდრის დაბადებისა და კონსულის სენატში არჩევის შემდეგ მოხუცი ქალბატონი დედობრივი სიამაყის დაფარვას სულაც არ ცდილობდა: ისე იტყოდა, „ჩემი სენატორი ვაჟიშვილიო“, რომ ბრაიტენშტრასელ ქალბატონ ბუდენბროკებს გულში შხამი ეწვეთებოდათ.

სიბერეში შესულ ქალიშვილებს თომასის გარეგნული ცხოვრ-ების აშკარა აყვავების შემყურეთ გულის მოსაოხებელი ცოტაღა რჩებოდათ. აბა, „ხუთშაბათობით“ საბრალო კლოტილდეს მასხრად აგდებას მათთვის რა სიამოვნება უნდა მიენიჭებინა. ქრისტიანი სალაპარაკოდ აღარ ღირდა - ის უკვე იაკობ კროგერის რანგში იყო გადასული. ქრისტიანს თავისი ყოფილი პრინციპალის, მისტერ რიჩარდსონის წყალობით ლონდონში ადგილი მიეღო და სულ ცოტა ხნის წინ იქიდან თავის უგუნურ სურვილს ტელეგრაფით იტყობინებოდა, ფროილაინ პუფოგელის შერთვა მწადიაო. ამ თხოვნაზე კონსულის მეუღლემ შვილს ცივი უარი შეუთვალა. ბრაიტენშტრასელ ქალბატონებს სხვა აღარაფერი დარჩენოდათ: კონსულის მეუღლისა და ფრაუ პერმანედერის პატარ-პატარა სუსტი მხარეების გაქილიკებით უნდა მოეოხებინათ გული. ისინი განგებ ჩამოაგდებდნენ ხოლმე სიტყვას ვარცხნილობაზე, კონსულის მეუღლე იოლად ეგებოდა ანკესზე და გულუბრყვილოდ აცხადებდა, „ჩემს“ თმას მუდამ სადად ვივარცხნიო. სამწუხაროდ, მოხუცი ქალბატონის ჩაჩქვეშ სადად დავარცხნილი ფერშეუცვლელი მოწითალო თმა დიდი ხანია „მისი“ აღარ იყო. ამას ღვთისგან ოდნავ მიხვედრილობით დაჯილდოებული ადამიანიც იოლად შეატყობდა, თორემ ბრაიტენშტრასელ ქალბატონებს აბა, რა გამოეპარებოდათ.

ამაზე უფრო კიდევ ერთი რამ უხარებდათ გულს: ცდილობდნენ, ტონისთვის რაიმე წამოეცდენინებინათ მის საძულველ პიროვნებებზე: - მტირალა ტრიშკე, გრიუნლიჰი, პერმანედერი, ჰაგენშტრომები, - ამბობდა გაალმასებული ტონი. იგი მხრებს აიწურავდა და ამ სახელებს ზიზღით, დაფდაფების ძახილივით ისროდა. ეს კი ბიძია გოტჰოლდის ქალიშვილების ყურს საამოდ ელამუნებოდა ხოლმე.

ქალბატონ ბუდენბროკებს არც ის გამოჰპარვიათ, რომ პატარა იოჰანი სიარულსა და ლაპარაკს ძალიან ნელა სწავლობდა და ამის ხმამაღლა თქმასაც არ ერიდებოდნენ. მართლაც, ჰანო - ქალბატონმა სენატორის მეუღლემ შვილს მოსაფერებლად ეს სახელი შეარქვა - ოჯახის წევრთა სახელებს მშვენი-ვრად გამოთქვამდა, ფრიდერიკეს, ჰენრიეტესა და ფიფის სწორად თქმას კი ვერაფრით ახერხებდა. რაც შეეხება
სიარულს, ბავშვი უკვე წლისა და სამი თვისა იყო, ფეხი კი ვერ იქნა და ვერ აიდგა. ქალბატონ ბუდენბროკებს მეტიც არ უნდოდათ, თავს უიმედოდ იქნევდნენ და აცხადებდნენ, ეს ბავშვი მთელი სიცოცხლე საპყარი და მუნჯი დარჩებაო.

შემდეგ იძულებულნი გახდნენ თავიანთი სამწუხარო წინასწარმეტყველება შეცდომად ეღიარებინათ, მაგრამ მაშინ ვერავინ უარყოფდა, რომ ჰანო განვითარებაში ძალზე ჩამორჩებოდა თავის ტოლებს. სულ პატარას მძიმე ავადმყოფობების გადატანა მოუხდა და ახლობლებს გული მუდამ შიშით უკანკალებდათ. ჰანო ამ ქვეყანას თავიდანვე უჩუმრად მოევლინა. მონათვლის შემდეგ რამდენიმე დღესაც არ გაევლო, რომ ქოლერინის სამდღიანმა შეტევამ ასეთი გაჭირვებით აძგერებული გული კინაღამ სამუდამოდ გაუჩერა, მაგრამ ჰანო გადარჩა. დოქტორმა გრაბოვმა ბავშვს განსაკუთრებული მოვლა და კვება დაუნიშნა, რომ კბილების ამოჭრის კრიზისი

თავიდან აეცილებინათ. მაგრამ როგორც კი ამოიწვერა პირველი თეთრი კბილი, ბავშვს ისეთი საშინელი კრუნჩხვა დაემართა, რომ მოხუცი ექიმი მშობლებს მხოლოდ უსიტყვოდ, ხელის მოჭერითღა ანუგეშებდა. ღონემიხდილი ბავშვი უძრავად იწვა, ამოლილავებული თვალების უაზრო მზერა ტვინის დაავადების უტყუარი ნიშანი იყო. აღსასრული თითქმის სასურველიც კი ჩანდა.

მაგრამ ჰანომ ძალა მოიკრიბა, უკვე საგნებსაც არჩევდა და თუმცა გადატანილი სნეულების გამო ენისა და ფეხის ადგმა დაუგვიანდა, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

ჰანოს გრძელი კიდურები ჰქონდა და ტანითაც თავისი ასაკისთვის საკმაოდ მაღალი იყო. ღია წაბლისფერი, ნაზი თმა სწრაფად ეზრდებოდა და მალე ოდნავ დატალღული თმის ჭავლი წინსაფარივით ნაოჭასხმული სამოსის მხრებამდე სწვდებოდა.
თანდათან ნაკვთებითაც ოჯახის წევრებს ემსგავსებოდა. ხელები ახლავე ბუდენბროკისეული ჰქონდა: ფართო, ოდნავ მოკლე, მაგრამ ნატიფად მოყვანილი. ცხვირი სულ მამასა და განსვენებულ ბაბუას მიუგავდა, თუმცა ეტყობოდა, ნესტოები გაცილებით სალუქი დაურჩებოდა. მოგრძო და ვიწრო ნიკაპი არც ბუდენბროკებს მიუგავდა და არც კროგერებს. ნიკაპი დედისა, არნოლდსენების გამოჰყოლოდა, პირის მოხაზულობაც მათებური ჰქონდა: ტუჩებს ახლავე კაეშნიანად და შიშით კუმავდა. რაც დრო გადიოდა, ეს ბაგე უცნაურ, მოოქროსფრო, მუქ თვალებსა და უპეებქვეშ ჩაწოლილ მოლურჯო ჩრდილებს მით უფრო ეხამებოდა.

პატარა ჰანოს მამა თავშეკავებული სინაზით შესცქეროდა, დედა მის ჩაცმასა და მოვლას დიდი მზრუნველობით ეკიდებოდა, მამიდა ანტონია ხომ აღმერთებდა და აღმერთებდა, კონსულის მეუღლე და ბიძია იუსტუსი კი ნაირ-ნაირი ციბრუტებითა და სათამაშო მხედრებით ასაჩუქრებდნენ. ასე დაიწყო ჰანომ ცხოვრება და როცა მისი პატარა, მშვენიერი ეტლი ქუჩაში გამოჩნდებოდა, გამვლელები ინტერესითა და ცნობისმოყვარეობით აყოლებდნენ ხოლმე თვალს. პატარა ჰანოს ჯერ კიდევ ღირსებით აღსავსე გადია მადამ დეხო უვლიდა, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ ახალ სახლში მის ადგილს იდა იუნგმანი დაიკავებდა, კონსულის მეუღლეს კი მომხმარედ სხვა ვინმე უნდა ეშოვა.

სენატორმა ბუდენბროკმა თავის გეგმას ხორცი შეასხა. ფიშერგრუბეზე ნაკვეთის შეძენა დიდად არ გასჭირვებია, ბრაიტენშტრასეზე მდებარე სახლის გაყიდვა მაკლერმა გოშმა იდო თავს. ამ სახლის შეძენა შტეფან კისტენმაკერს ჰქონდა განზრახული. შტეფან კისტენმაკერის ოჯახი მრავლდებოდა და ძმასთან ერთად წითელი ღვინის ვაჭრობის წყალობით ფულიც კარგად შემოსდიოდათ.

ბატონმა ფოიჰტმა მშენებლობის საქმე ითავა. დიდ დროს არ გაუვლია, რომ ხუთშაბათობის ოჯახურ წრეში მისი ხელით ფაქიზად შესრულებულ ესკიზებს შლიდნენ და სახლის ფასადს ათვალიერებდნენ. ეს იყო დიდებული ნაგებობა, რომელსაც ქვიშაქვის კარიატიდები და ბანი ამშვენებდა. კლოტილდემ ბანი რომ

დაინახა, თავისებურად გულკეთილად გააბა, ნაშუადღევს იქ ყავის დალევას არაფერი აჯობებსო. მენგშტრასეზე მდებარე სახლის პირველი სართულის საქმეც კარგად მოგვარდა - ახალი სახლის დამთავრების შემდეგ პირველი სართული ცარიელი რჩებოდა, რადგან სენატორი კანტორების გადატანასაც ფიშერგრუბეზე აპირებდა. მენგშტრასეზე ქვედა სართულს სახანძრო-სადაზღვევო საზოგადოება დაიქირავებდა თავისი ბიუროსთვის.

დადგა შემოდგომა. ძველი, რუხი კედლები მტვრად იქცა. ძალადაკარგული ზამთრის დამლევს კი უზარმაზარი ღვინის სარდაფების საძირკველზე თომას ბუდენბროკის ახალი სახლი წამოიჭიმა. ქალაქში ამაზე საინტერესო სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდათ. სახლი ნამდვილად „ტიპ-ტოპ“ იყო, მისი ბადალი აქ კი არა, მგონი, ჰამბურგშიც კი არ მოიძებნებოდა. სამაგიეროდ, ალბათ, კარგა ძვირიც დაჯდა. ასეთ დიდ ხარჯს მოხუცი კონსული ნამდვილად არ გასწევდაო, ამბობდნენ ქალაქში. მეზობლები, ფრონტონებიანი სახლების ბინადარი ბიურგერები ფანჯრებზე იყვნენ გადმოკიდებული, ხარაჩოებზე გასულ მშენებლებს შეჰყურებდნენ, მხრებწამომართული შენობის დანახვა უხაროდათ და ცდილობდნენ, გამოეცნოთ, როდის დადგებოდა შენობის კურთხევის დრო.

ეს დროც მალე დადგა და შესაფერისი ზეიმითაც აღინიშნა. ზევით, ბანზე შემდგარმა უხუცესმა კალატოზმა სიტყვა წარმოთქვა და შამპანურით სავსე ბოთლი ხელუკუღმა მოისროლა. იმავე წუთში დროშებს შორის მძიმედ დაირწა ვარდებისა და მწვანედ შეფოთლილი რტოების უზარმაზარი გვირგვინი. შემდეგ მახლობელ სამიკიტნოში მუშებისთვის გრძელი სუფრა გაიშალა. სუფრაზე ბლომად ელაგა ბუტერბროდები და სიგარები, უხვად იღვრებოდა ლუდი. სენატორმა ბუდენბროკმა თავის მეუღლესა და პატარა ვაჟიშვილთან ერთად, რომელიც მადამ დეხოს ეჭირა ხელში, დაბალჭერიან ოთახში გაწყობილ სუფრას ჩამოუარა, მუშები „ვაშას“ დასძახოდნენ და ისიც მადლობას იხდიდა.

ჰანო კვლავ თავის ეტლში ჩასვეს, თომასმა გერდასთან ერთად ქვაფენილი გადაჭრა, უნდოდა თეთრი კარიატიდებით შემკული წითელი აგურით ნაშენი ფასადისთვის ერთხელ კიდევ შეევლო თვალი. ქუჩის გადაღმა, ვიწროკარიანი პატარა საყვავილეს ღარიბულ ვიტრინაში, მწვანე მინაზე რამდენიმე ყვავილიანი ქოთანი გამოედგათ. დუქნის პატრონი ივერსენი, ქერა, გოლიათივით კაცი, ცოლთან ერთად საყვავილეს კარში იდგა. შავგვრემანი, სამხრეთული ტიპის ტანმორჩილი ქალი მის გვერდით მთლად სიფრიფანა ჩანდა, ცალი ხელი ოთხი თუ ხუთი წლის ბიჭუნასთვის ჩაეკიდებინა, მეორეთი კი ეტლში ჩაძინებულ პატარას არწევდა. აშკარად ეტყობოდა, ქალი კვლავ ფეხმძიმედ უნდა ყოფილიყო.

ივერსენი წელში ღრმად და უნიათოდ მოიხარა, მის ცოლს ბავშვის რწევა არ შეუწყვეტია, მხოლოდ თავისი შავი, ნუშისებური თვალებით მშვიდად და

ყურადღებით დააკვირდა გერდას. სენატორის მეუღლეს ქმრისთვის ხელი გაეყარა და მისკენ მოდიოდა.

თომასი შეჩერდა.

- რა მშვენივრად გაგიკეთებიათ, ივერსენ! - თქვა მან და ჯოხი სახლის თავზე დაკიდებული გვირგვინისკენ გაიშვირა.

- მე რა, ბატონო სენატორო, ეგ ჩემი ცოლის ნახელავი გახლავთ.

- აჰ! - მოკლედ თქვა სენატორმა, თავი სწრაფად ასწია და ერთ წუთს ფრაუ ივერსენის სახეზე ნათელი, მტკიცე და მეგობრული მზერა შეაჩერა. შემდეგ სიტყვა აღარ დაუძრავს, ცოლ-ქმარ ივერსენებს თავაზიანი ჟესტით გამოემშვიდობა და იქაურობას გაშორდა.

მეექვსე თავი

ივლისის პირველი რიცხვები იდგა. კვირადღე იყო. სენატორი ბუდენბროკი ერთი თვე იქნებოდა, ახალ სახლში ცხოვრობ-და. იმ დღეს ფრაუ პერმანედერი ძმას საღამოს ესტუმრა, ქვით მოპირკეთებული, გრილი სადარბაზო გაიარა და ხელმარცხნივ კართან ზარიც ჩამოჰკრა. სადარბაზოს კედლები თორვალდსენის მოტივებზე გამოკვეთილი ბარელიეფებით იყო შემკული. მარჯვნივ კანტორებისკენ გამავალი კარი მოჩანდა. სადარბაზო კარი სამზარეულოდან რეზინის ბუშტზე ხელის დაჭერით იღებოდა. ფართო მოედანზე, კიბის ძირში ტიბურციუსის დათვი იდგა. ტონიმ აქ ფარეშ ანტონისგან შეიტყო, რომ სენატორს მუშაობა ჯერ არ დაემთავრებინა.

- კარგი, - თქვა ტონიმ, - გმადლობთ, ანტონ. მე მასთან წავალ.

მაგრამ ტონიმ კანტორისკენ მიმავალ კარს გვერდი აუარა და მარჯვნივ გაუხვია, სადაც კიბეებს შორის უზარმაზარი თაღი წამომართულიყო. თაღს მეორე სართულზე თუჯის ჩამოსხმული რიკულები ერტყმოდა გარს, მესამე სართულზე კი თაღი ფართო, ოქროთი მოვარაყებული თეთრი სვეტებიანი გალერეით მთავრდებოდა. თავბრუდამხვევი სიმაღლიდან უზარმაზარი, ოქროსფრად მოლაპლაპე ჭაღი ეშვებოდა.

- კეთილშობილურია! - წყნარად ჩაილაპარაკა კმაყოფილმა ფრაუ პერმანედერმა და გაშლილ, სინათლით სავსე სივრცეს გახედა. ეს დიდებული სანახაობა მისთვის უბრალოდ ბუდენბროკების გვარის ბრწყინვალებას, ძალასა და ტრიუმფს ნიშნავდა. შემდეგ უცებ გაახსენდა, რომ აქ სამწუხარო საქმეზე იყო მოსული და პირი კანტორისკენ იბრუნა.

თომასი მარტო იყო კანტორაში. ჩვეულებისამებრ, ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდასთან იჯდა და რაღაც ბარათს წერდა. მან აიხედა, უფერული წარბი აზიდა და ტონის ხელი გაუწოდა.

- საღამო მშვიდობისა, ტონი. რას იტყვი კარგს?

- კარგს ბევრს არაფერს, ტომ!.. არა, შენი კიბის თაღი ნამდვილად დიდებულია! შენ კი აქ დამჯდარხარ, ამ ბინდბუნდში, და წერ, არა?

- ჰო... სასწრაფო წერილია. მაშ, კარგს არაფერს იტყვი? მოდი, ბაღში გავიაროთ და იქ ვილაპარაკოთ. ბაღში უფრო სასიამოვნოა ყოფნა.

თაღში გასულებს მეორე სართულიდან ვიოლინოს ადაჟიო ჩამოესმათ.

- ყური უგდე! - თქვა ფრაუ პერმანედერმა და ერთი წუთით შეჩერდა, - გერდა უკრავს. რა ღვთაებრივია! ღმერთო, ეს ქალი ნამდვილი ფერიაა! ჰანო როგორ არის, ტომ?

- ახლა, ალბათ, იუნგმანთან ერთად ვახშმობს. რა ცუდია, რომ მუხლი ჯერ კიდევ ვერ მოიმაგრა.

- არა უშავს, ტომ, მალე მოუმაგრდება! იდას კმაყოფილი თუ ხართ?

- განა შეიძლება მისით კმაყოფილი არ ვიყოთ?..

ქვით მოპირკეთებული ჰოლი გაიარეს, სამზარეულო მარჯვნივ ჩამოიტოვეს და მინის კარით მშვენიერ, საამო სურნელით სავსე აყვავებულ ბაღში გავიდნენ.

- აბა? - შეეკითხა დას სენატორი.

წყნარი და თბილი საღამო იყო. ჰაერში ფაქიზად მოვლილი ყვავილნარის სურნელება იდგა. ლილისფერ, მაღალყლორტიან ზამბახებში ჩაფლული შადრევანი სიბნელეშეპარული ცისკენ ჩქეფდა და წყალი საამოდ ჩუხჩუხებდა. ცაზე აქა-იქ უკვე ბჟუტავდნენ ვარსკვლავები. ბაღის სიღრმეში, ორი დაბალი ობელისკით
დამშვენებული კიბე ხრეშით მოფენილი ამაღლებული მოედნისკენ ადიოდა, სადაც ხის ღია, ჩარდახიანი პავილიონი მოჩანდა. პავილიონში რამდენიმე მერხი იდგა. მარცხნიდან თომასის კარ-მიდამო მეზობელი ბაღისგან გალავნით იყო გამოყოფილი, მარჯვნივ კი მეზობელი სახლის ყრუ კედელი სახურავამდე ჩაესვათ ხარაჩოებში. დროთა განმავლობაში ხარაჩოები ხვიარა მცენარეებს უნდა დაეფარა. კიბისა და პავილიონის მოედნის ახლომახლო ხურტკმლისა და მოცხრის რამდენიმე ბუჩქი იზრდებოდა. ბაღში ერთადერთი დიდი ხე მოჩანდა - ნუჟრებიანი კაკლის ხე. იგი გალავანთან იდგა.

- საქმე ის არის, რომ... - ყოყმანით დაიწყო ფრაუ პერმანედერმა, როცა პავილიონის ირგვლივ შემორტყმულ ხრეშიან ბილიკს გაუყვნენ, - ტიბურციუსი იწერება...

- კლარა? - ჩაეკითხა თომასი, - თუ გიყვარდე, მოკლედ მითხარი, მიუკიბ-მოუკიბავად!

- ჰო, ტომ, კლარა ლოგინადაა ჩავარდნილი, უკანასკნელ დღეშია თურმე, ექიმი შიშობს, ტუბერკულოზი უნდა სჭირდესო, ტვინის ტუბერკულოზი... ისე მიჭირს ამის თქმა. აი, ნახე, მისი ქმრის წერილია. შიგ დედასთვის გადასაცემი ბარათი დევს. ტიბურციუსი მწერს, იქაც იგივე წერიაო. დედა წინასწარ უნდა შევამზადოთ და ბარათი ისე უნდა გადავცეთ. აქ მეორე ბარათიცაა ჩადებული: კლარას დედასთვის მოუწერია, ძლივს დაუჯღაბნია ფანქრით. კლარას თვითონ უთქვამს, ეს ჩემი უკანასკნელი ბარათიაო. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ კლარა გამოკეთებას არც ცდილობს თურმე. ის ხომ მუდამ ზეცისკენ მიისწრაფოდა, - დაასრულა ფრაუ პერმანედერმა და ცრემლიანი თვალები ამოიმშრალა.

სენატორს ხელები ზურგს უკან შემოეწყო და დას თავჩაქინდრული მიჰყვებოდა.

- შენ ხმას არ იღებ, ტომ... მართალი ხარ, სათქმელი არაფერია. ეს გვინდოდა ახლა? ქრისტიანიც ჰამბურგშია ჩავარდნილი ლოგინად.

ეს მართლაც ასე იყო. ქრისტიანს მარცხენა გვერდის „დაბუჟება“ ლონდონში ბოლო დროს ისეთ მწვავე ტკივილად გადაექცა, რომ ყველაფერი გადაავიწყდა. თავის შველა აღარაფრით შეეძლო და დედას მოსწერა, შინ უნდა დავბრუნდე, იქნებ შენმა მოვლამ მიშველოსო, ლონდონში სამსახური მიატოვა და გამოემგზავრა, მაგრამ ჰამბურგში ჩავიდა თუ არა, ლოგინად ჩავარდა. ექიმმა სახსრების რევმატიზმის დიაგნოზი დაუსვა და სასტუმროდან პირდაპირ საავადმყოფოში გაგზავნა. ასე რომ, მგზავრობის გაგრძელება ჯერჯერობით შეუძლებელი იყო. ახლა ქრისტიანი საავადმყოფოში იწვა და მომვლელს ნაღვლიან წერილებს კარნახობდა.

- ჰო, - წყნარად მიუგო დას სენატორმა, - ერთ უბედურებას მეორე მოჰყვება ხოლმე.

ტონიმ ძმას წამით ხელი გადახვია.

- გულს ნუ გაიტეხ, ტომ! შენ ამის უფლება არა გაქვს, ვაჟკაცობა გმართებს.

- ჰო, ვაჟკაცობა კი მართლა მმართებს, ღმერთმანი.

- რა იყო, ტომ?.. გუშინწინ, ხუთშაბათს, სადილზე რატომ გქონდა კრიჭა შეკრული? თუ საიდუმლო არ არის, მითხარი, რა დაგემართა?

- საქმეების ბრალია, ჩემო კარგო. ჭვავის არცთუ პატარა პარტია, არცთუ ისე მომგებიანად... არა, მოკლედ რომ ვთქვათ, ჭვავის დიდ პარტიაზე დიდი ზარალი ვნახე.

- მერე რა, ხდება ხოლმე, ტომ! დღეს იზარალებ, ხვალ მოიგებ. ამისთვის განა ღირს გუნების გაფუჭება?

- ცდები, ტონი, - თქვა თომასმა და თავი გაიქნია, - იმ ზარალის გამო კი არა ვარ ცუდ გუნებაზე, პირიქით, სწორედ ცუდი გუნების გამო მემართება ყველაფერი.

- კი, მაგრამ გუნება რამ მოგიწამლა? - შიშითა და გაოცებით ჰკითხა ტონიმ ძმას, - ვითომ რატომ უნდა იყო ცუდ გუნებაზე, ტომ! კლარა ცოცხალია... ღვთის შეწევნით ყველაფერი კარგად იქნება! დანარჩენი? აგერ შენს ბაღში დავსეირნობთ, ირგვლივ ისეთი სურნელი დგას... აგერ შენი სახლი - სახლი კი არა, ოცნებაა. ჰერმან ჰაგენშტრომის სახლი ამასთან შედარებით სოროა! ეს ყველაფერი შენი შექმნილია.

- ჰო, ეს კარ-მიდამო თითქმის ზედმეტად ლამაზია, ტონი. უფრო სწორად, მინდოდა მეთქვა, ჯერ კიდევ მეტისმეტად ახალია-მეთქი. ეს სახლი ცოტა ხელსაც კი მიშლის, შეიძლება ამიტომაც ვარ ცუდ გუნებაზე, თითქოს მთრგუნავს და საქმეშიც ხელ-ფეხს მიბორკავს. ისე ვიყავი გახარებული, ამ სახლის მშენებლობა რომ წამოვიწყე, ვერ აგიწერ. ჰოდა, წინასწარი სიხარული, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, უფრო უკეთესი გამოდგა, რადგან კარგი ყოველთვის გვიან მოდის, ყოველთვის მაშინ ისხამს ხორცს, როცა კაცს ამ სიხარულის შეგრძნება გულით აღარ შეგიძლია.

- სიხარული აღარ შეგიძლია, ტომ! შენისთანა ახალგაზრდა კაცი მაგას როგორ ამბობ!

- კაცი იმდენი ხნისა ხარ, როგორც თავსა გრძნობ, ტონი. როცა კარგი და ნანატრი მძიმედ და დაგვიანებით მოდის, ყოველგვარი წვრილმანი, ხელის შემშლელი, გულის ამრევი დანაშრევი მოჰყვება თან, ცხოვრების ჭუჭყი და მტვერი ედება ზედ. ამ ჭუჭყს შენს ფანტაზიაში ვერ ითვალისწინებ და შემდეგ ეს გაღიზიანებს... ისე გაღიზიანებს, რომ...

- კარგი, კარგი... მაგრამ შენ არა თქვი, იმდენი ხნისა ხარ, როგორადაც თავსა გრძნობო, ტომ?

- ჰო, ტონი, ალბათ, გამივლის... გუნება მაქვს წამხდარი, რა თქმა უნდა. მაგრამ ამ ბოლო დროს თავს უფრო ხნიერად ვგრძნობ, ვიდრე ვარ. საქმეებიც მაწუხებს, ბიუჰენის სარკინიგზო კომისიის სხდომაზე გუშინ კონსულმა ჰაგენშტრომმა მიწასთან გამასწორა, კინაღამ ხალხის სამასხროდ გამხადა... ასე მგონია, ამგვარი რამ ადრე არ დამემართებოდა. ასე მგონია, რაღაც ხელიდან მისხლტება, ის, რასაც სახელს ვერ დაარქმევ. აი, სწორედ ის რაღაც ხელში ისე მტკიცედ აღარ მიჭირავს, როგორც ოდესღაც მეჭირა. რა არის წარმატება? იდუმალი, ენით აუწერელი ძალა, წინდახედულება, შემართება... იმის შეგნება, რომ შენ ირგვლივ მოქმედ ცხოვრებისეულ მოვლენებზე თვით შენი არსებობის ფაქტითაც კი ახდენ გავლენას... იმის რწმენა, რომ ცხოვრება შენს სასიკეთოდ აქეთ შეგეგუება... ბედნიერება და წარმატება ჩვენსავე არსებაშია. ჩვენ თვითონ უნდა გვეჭიროს ისინი: მტკიცედ, ურყევად. როგორც კი აქ, შიგნით დაიწყება მოდუნება, როგორც კი შეგვეპარება დაღლა, ყველა ძალა მყისვე აიშვებს თავს და გარეთ მიილტვის. მერე წინ აღგიდგება,
შენს გავლენას აღარ ემორჩილება... მაშინ უბედურება უბედურებას ემატება, დარტყმა დარტყმას მოსდევს და მორჩა, დგება აღსასრული! ამ ბოლო დროს ხშირად მიფიქრია სადღაც წაკითხულ ერთ თურქულ ანდაზაზე: „სახლი რომ აშენდება, სიკვდილი მოდისო“. რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი სიკვდილი მოვიდეს, მაგრამ უკან

დაქანება... დაქვეითება... აღსასრულის დასაწყისი კი მოდის. გახსოვს, ტონი, - სენატორმა დას ხელკავი გამოსდო და უფრო ხმადაბლა განაგრძო, - გახსოვს, ჰანო რომ მოვნათლეთ, რა მითხარი? ასე მგონია, ახლა სრულიად ახალი ხანა უნდა
დაგვიდგესო, ახლაც ყურში მიდგას შენი სიტყვები. მაშინ თითქოს გაგიმართლა.
დადგა სენატის არჩევნების დღე. მე ბედმა გამიღიმა. აქ კიდევ სახლი წამოვჭიმე, მაგრამ „სენატორობა“ და „სახლი“ გარეგნული ამბებია. მე კი ვიცი რაღაც, რაზეც შენ ჯერ არ გიფიქრია, ვიცი ცხოვრებიდან და ისტორიიდან. ვიცი, რომ ხშირად გარეგნული, ხილული და ხელშესახები ნიშნები და სიმბოლოები ბედნიერებისა და აღმავლობისა მხოლოდ მაშინ ჩნდებიან, როცა სინამდვილეში ყველაფერი თავქვე მიექანება. ამ გარეგნული ნიშნების გამოჩენას დრო სჭირდება მსგავსად ვარსკვლავის შუქისა, რომელიც არც კი ვიცით, ქრება თუ არა, იქნებ უკვე ჩამქრალიცაა, მაგრამ ამ წუთში კი ყველაზე ნათლად კაშკაშებს.

თომასი დადუმდა. ცოტა ხანს უბრად მიდიოდნენ. სიჩუმეს მხოლოდ შადრევნის ჩუხჩუხი არღვევდა, კაკლის ხის წვეროზე კი ფოთლები რაღაცას ჩურჩულებდნენ. ფრაუ პერმანედერმა სული გაჭირვებით მოითქვა და მკერდიდან თითქმის ქვითინისებური ხმა აღმოხდა:

- რა ნაღვლიანად ლაპარაკობ, ტომ! ასე ნაღვლიანად არასოდეს გილაპარაკია! მაგრამ მაინც კარგია, შენი გულისნადები რომ გამოთქვი, ახლა გულზე მოგეშვა და მაგ ფიქრებს თავიდან მოიშორებ.

- ჰო, ტონი, უნდა ვეცადო, რაც შემიძლია. ახლა კი ორივე ბარათი მომეცი, კლარასიც და პასტორისაც. ხომ გირჩევნია, ეს საქმე მე ვიდო თავს და ხვალ დილით დედას მე თვითონ ველაპარაკო? ჩვენი კეთილი დედა! კლარას თუ ტუბერკულოზი აქვს, რას იზამ, ბედს უნდა დავმორჩილდეთ.

მეშვიდე თავი

- მერე მე არც მეკითხები?! ჩემს ზურგს უკან მოქმედებ?!

- მე ისე მოვიქეცი, როგორც უნდა მოვქცეულიყავი!

- შენ დაუფიქრებლად და უგუნურად მოიქეცი!

- გონიერება ამ ქვეყანაზე ჯერ კიდევ არ არის ყველაზე უმაღლესი რამ.

- მაღალფარდოვანი ფრაზების გარეშე, თუ შეიძლება!.. საქმე ეხება უბრალოდ სამართლიანობას, რასაც შენ აღმაშფოთებლად აუარე გვერდი!

- შენც უნდა გითხრა, ჩემო შვილო, რომ დედას არ ეკადრება შვილისგან ასეთი ტონით ლაპარაკი.

- მე კი გიპასუხებ, დედაჩემო, რომ შენდამი პატივისცემა არასოდეს დამვიწყებია, მაგრამ შვილის მოვალეობანი იქ არაფერი მოსატანია, სადაც შენ წინაშე, როგორც ოჯახისა და ფირმის პატრონი, როგორც მამაჩემის მაგიერი, ისე წარვდექი!

- გთხოვ, გაჩუმდე, თომას!

- არა, არ გავჩუმდები, სანამ შენს უზომო უგუნურებასა და სისუსტეს არ აღიარებ!

- მე ჩემს ქონებას როგორც მომენებება, ისე მოვიხმარ!

- ამ ნება-სურვილს სამართლიანობა და გონიერება უდებს ზღვარს!

- ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ შეგეძლო ჩემთვის ასეთი გულისტკივილი მოგეყენებინა.

- ტომ, მოიცა, ტომ! - გაისმა ტონის შეშინებული ხმა.

ფრაუ პერმანედერი ლანდშაფტებიან ოთახში ფანჯარასთან იჯდა და სიმწრით ხელებს იმტვრევდა, სიბრაზისგან აკანკალებული მისი ძმა კი ოთახში ბოლთას სცემდა. გულნატკენი და გაჯავრებული კონსულის მეუღლე სოფაზე იჯდა, ცალი ხელი სოფაზევე დაეყრდნო, მეორეს კი ლაპარაკის დროს მაგიდაზე აკაკუნებდა. კლარა ამქვეყნად აღარ იყო. სამივეს ძაძები ეცვა, სამივენი სახეგაფითრებულნი და აღელვებულნი იყვნენ.

რა მოხდა? მოხდა, რაღაც საშინელი, შემაძრწუნებელი, რაც თვითონაც საოცრად და დაუჯერებლად ეჩვენებოდათ! ჩხუბი, მწვავე შეხლა-შემოხლა დედასა და შვილს შორის!

ეს მოხდა აგვისტოში, ერთ ჩახუთულ საღამოს. ათი დღე გასულიყო მას შემდეგ, რაც სენატორმა დიდი სიფრთხილით გადასცა დედას ზივერტ და კლარა ტიბურციუსების ბარათები, მერე კი წილად ხვდა, მოხუცი ქალბატონისთვის ქალიშვილის გარდაცვალების ამბავიც შეეტყობინებინა. შემდეგ კონსული დის დაკრძალვაზე გაემგზავრა რიგაში და უკან თავის სიძესთან ერთად დაბრუნდა. ტიბურციუსმა რამდენიმე დღე დაჰყო განსვენებული მეუღლის ოჯახში, ჰამბურგის საავადმყოფოში ქრისტიანიც მოინახულა და ორი დღის უკან სამშობლოში გაემგზავრა. კონსულის მეუღლემ დღეს ვაჟიშვილს ყოყმანით გაუმხილა ერთი ამბავი.

- 127500 მარკა! - იყვირა სენატორმა და ხელები გაასავსავა, - ეს რომ მზითევი ყოფილიყო, ჯანდაბას, დარჩენოდა ის ოთხმოცი ათასი, თუმცა ბავშვები არა ჰყავდათ! მაგრამ მემკვიდრეობა! კლარას მემკვიდრეობის მისთვის გადაცემა? და შენ არც კი მეკითხები, ჩემს ზურგს უკან აკეთებ ამას?!

- თომას, ღვთის გულისათვის, სამართლიანობაზე ხელს ნუ ამაღებინებ! სხვაგვარად არ შემეძლო! მითხარი, შემეძლო?! ჩემი იმ ქვეყნად წასული ქალიშვილი სასიკვდილო სარეცლიდან მწერდა... ფანქრით... აკანკალებული ხელით: „დედა, ჩვენ ამქვეყნად ვეღარ ვიხილავთ ერთმანეთს, ეს ჩემი უკანასკნელი პწკარებია... ჩემი უკანასკნელი ფიქრები ჩემს ქმარს დასტრიალებს... ღმერთმა შვილებით არ დაგვასაჩუქრა, მაგრამ თუ შენ შემდეგ სიკვდილი მეწერებოდა, რაც ჩემი უნდა ყოფილიყო, ჩემს ქმარს დაუტოვე... როცა შენც ჩემს გზას დაადგები... მოიხმაროს თავის სიცოცხლეში! დედა, ეს ჩემი უკანასკნელი თხოვნაა... მომაკვდავის ვედრება... შენ ამაზე უარს ვერ მეტყვი“. არა, თომას! არ შემეძლო მის თხოვნაზე უარი მეთქვა და არც მითქვამს, მე კლარას ვუდეპეშე და მანაც უდრტვინველად მიაბარა უფალს სული, - კონსულის მეუღლე აქვითინდა.

- მე კაციშვილი სიტყვას არ მეუბნება! ყველაფერს მიმალავენ! ჩემს ზურგს უკან მოქმედებენ! - გაიმეორა სენატორმა.

- ჰო, თომას, არაფერი გითხარი. ვგრძნობდი, ჩემი მომაკვდავი შვილის უკანასკნელი თხოვნა უნდა შემესრულებინა, შენ კი, ვიცოდი, ამას არ დამანებებდი.

- დიახ, ღმერთმა იცის, ასეც მოვიქცეოდი!

- მერე, რომ არ გექნებოდა ამის უფლება? ჩემი სამი შვილი ჩემს მხარეზე იყო.

- ო, მე მგონი, ჩემს აზრს ორი დედაკაცისა და ერთი დამთხვეულის აზრზე ცოტა მეტი წონა კი უნდა ჰქონდეს.

- ეჰ, თომას, თომას, შენს და-ძმას სიძულვილით იხსენიებ, მე კი მკვახედ მელაპარაკები!

- კლარა ღვთისმოსავი, მაგრამ ერთი უბირი ქალი იყო, დედა! ტონი კიდევ ბავშვია. ალბათ, ბოლო წუთებამდე არაფერი იცოდა, თორემ ენაზე დააკავდებოდა? ქრისტიანი? რა თქმა უნდა, მაგ ტიბურციუსს ქრისტიანის იმედი ექნებოდა და მისი თანხმობა მიიღო კიდეც. ტიბურციუსისგან განა კაცი ამას წარმოიდგენდა? ახლაც ვერ ხვდები, ვინ არის ეგ შენი ვირეშმაკა პასტორი? გაიძვერა! წამგლეჯი!

- სიძეები ყველანი თაღლითები არიან, - ყრუდ ჩაილაპარაკა ფრაუ პერმანედერმა.

- ნამდვილი წამგლეჯი! ხედავთ, რას შვრება? მიდის ჰამბურგში, ქრისტიანს საწოლზე უჯდება და უჩიჩინებს. „ჰო! - ეუბნება ქრისტიანი, - ჰო, ტიბურციუს. ღვთის ნება უნდა აღსრულდეს. იცით, როგორ მიბჟუის მარცხენა გვერდი?“ ოჰ, სისულელესა და ცუდკაცობას პირი შეუკრავთ ჩემს წინააღმდეგ! - წამოიძახა გაცოფებულა სენატორმა, ღუმლის ნიშის ნაჭედ გისოსებს მიეყრდნო და ორივე ხელი შუბლზე შემოიჭდო.

თომასის აფეთქება მარტო ამ ამბით როდი იყო გამოწვეული. არა, 127000 მარკას არ მიუყვანია თომასი ამ ზომამდე. ასეთი გაცოფებული იგი აქამდე არავის ენახა.

თომასის უკვე გაღიზიანებულ გრძნობა-გონებას ეს ამბავი ხელის მოცარვისა და გაწბილებების იმ ჯაჭვის გაგრძელებად ესახებოდა, რასაც ამ ბოლო თვეში კომერციულ და საზოგადოებრივ სარბიელზე განიცდიდა... ხელიდან აღარაფერი გამოსდიოდა! მის ნებას აღარაფერი ემორჩილებოდა! ახლა კი თავის მშობლიურ სახლშიც ასეთი მნიშვნელოვანი საქმე მის ზურგს უკან გაკეთდა. რიგელ პასტორს როგორ უნდა გაეცურებინა? თომასს შეეძლო ამ საქმისთვის ხელი შეეშალა, მაგრამ ახლოს არავინ გაიკარა. მოვლენები უმისოდ განვითარდა. თომასს ეჩვენებოდა, რომ წინათ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო, წინათ ამას ჩემი შიშით ვინ გაბედავდაო. დღეს ერთხელ კიდევ შეერყა საკუთარი იღბლისადმი, საკუთარი ძალებისა და მომავლისადმი რწმენა. ეს აფეთქება მისი შინაგანი სისუსტისა და სასოწარკვეთილების უტყუარი ნიშანი იყო. სასოწარკვეთილებამ დედასა და დასთან შეჯახებისას გადმოხეთქა.

ფრაუ პერმანედერი წამოდგა და ძმას მოეხვია.

- ტომ, - უთხრა მან, - დაწყნარდი! თავი შეიკავე! განა ეს ასეთი დიდი უბედურებაა? ასე ხომ შეიძლება თავი დაისნეულო! ტიბურციუსი ცას ხომ არ შეაბერდება? მისი სიკვდილის შემდეგ კლარას მემკვიდრეობა ისევ ჩვენ დაგვიბრუნდება! ამ გადაწყვეტილების შეცვლაც შეიძლება, თუ შენ მოისურვებ! ხომ შეიძლება, დედა?

კონსულის მეუღლემ მხოლოდ ქვითინით უპასუხა.

- არა, არა! - წამოიძახა სენატორმა.

იგი გონს მოეგო და უარის ნიშნად ხელი უღონოდ ჩაიქნია.

- რაც არის, არის. თქვენ გგონიათ, მე სასამართლოებში ვირბენ და საკუთარი დედის წინააღმდეგ პროცესს გავმართავ? შინაურ სკანდალს კიდევ საჯაროდ თავის მოჭრას დავუმატებ? რაც იქნება, იქნება, - დაასრულა მან და ფეხათრეული მინის კარისკენ გაემართა. იქ ერთხელ კიდევ შეჩერდა და ყრუ ხმით დასძინა, - მხოლოდ ნუ გგონიათ, თითქოს საქმე ბრწყინვალედ მიგვდიოდეს. ტონიმ 80000 მარკა დაკარგა... ქრისტიანმა თავისი წილი 50000 გაფლანგა, მემკვიდრეობის თანხიდან 30000-ს წინასწარ გამოუყვანა წირვა... კიდევ ბევრს წაუმატებს დანახარჯს. მოგეხსენებათ, შემოსავალი აღარა აქვს და ოაინჰაუზენში მკურნალობა სჭირდება... კლარას მზითევი ხომ სამუდამოდ გამოგვეცალა ხელიდან, მისი მთელი მემკვიდრეობა კი ოჯახიდან, ვინ იცის, რამდენი ხნით გადის. ჩვენი საქმეც ძალიან ცუდად მიდის, ძალიან ცუდად, ზუსტად იმ დროიდან წაგვივიდა უკან-უკან საქმე, რაც ჩემს ახალ სახლს ასი ათასზე მეტი დავახარჯე... ეჰ, იმ ოჯახს აბა რა ხეირი დაეყრება, სადაც ამნაირი სცენები იმართება. გეუბნებით, დამიჯერეთ, მამა რომ ცოცხალი ყოფილიყო, მამა რომ ამ
ამბავს მოსწრებოდა, ხელებს აღაპყრობდა და ყველა ჩვენგანს ღმერთს შეავედრებდა.

მერვე თავი

ომი,[2] ომის ხმაური, სახლებში ჯარის შესახლება და გაწამაწია! სენატორ ბუდენბროკის ახალი სასახლის გაკრიალებულ პარკეტზე პრუსიელი ოფიცრები ირევიან. დიასახლისს ხელზე კოცნიან, ოაინჰაუზენიდან დაბრუნებულ ქრისტიანს ისინი კლუბში დაჰყავს. მენგშტრასეზე კონსულის მეუღლის ახალი მამზელი, რიკჰენ ზევერინი მოახლეებთან ერთად ლეიბებს ძველ საზაფხულო სახლში,
„პორტალისკენ“ მიათრევს. იქ ჯარისკაცები ბუზებივით ირევიან.

ყველგან ალიაქოთი, ხმაური და მღელვარებაა გამეფებული. ჯარის ნაწილები ქალაქის კარიბჭეში გადიან, ახლები შემოდიან, ქალაქს ავსებენ, ჭამენ და სვამენ, იძინებენ, ბიურგერებს საყვირების ჭყვიტინით, დაფდაფების რახარუხითა და ბრძანებების ძახილით ყურებს უჭედავენ და ისევ მიდიან. ქალაქი სამეფო ოჯახის პრინცებს ესალმება; ჯარები მარშით მიაბიჯებენ. შემდეგ კვლავ ისადგურებს სიწყნარე და მოლოდინი.

გვიან შემოდგომაზე და დაზამთრებისას გამარჯვებული ჯარები უკან ბრუნდებიან, ისევ ქალაქში ბანაკდებიან და კარგა ხნის შემდეგ შინისკენ იღებენ გეზს. ბიურგერები შვებით ითქვამენ სულს და ჯარს ვაშას ძახილით აცილებენ. დადგა ხანმოკლე, მოვლენებით დამძიმებული მშვიდობიანი ხანა 1865 წლისა.

ორ ომს შორის მოქცეული მშვიდობიანი წლების განმავლობაში უშფოთველად და წყნარად თამაშობს პატარა იოჰანი. ბიჭუნას წინსაფარივით ნაოჭასხმული სამოსი აცვია. აბრეშუმივით რბილი თმა კულულებად აყრია შუბლზე. იგი ყოველთვის ბაღში თამაშობს შადრევანთან გამოყოფილ აივანზე. თამაშობს იოჰანი, თამაშობს ისე, ოთხ- ნახევარი წლის ბავშვს რომ შეეფერება. მისი თამაშის ღრმა აზრსა და
მომხიბვლელობას ვერც ერთი მოზრდილი ადამიანი ვეღარ მიხვდება, მისთვის ორი
კენჭი ან ერთი ჩხირიც კმარა, თანაც თუ იმ ჩხირს თავზე მუზარადის მაგიერ დევისპირას ყვავილი ახურავს. ამ თამაშს მხოლოდ იმ ბედნიერი ასაკის უმანკო, ძლიერი, მგზნებარე, უცოდველი, ხელშეუხებელი და აუმღვრეველი ფანტაზია სჭირდება, როცა ცხოვრება ჯერ კიდევ კრთის, ეშინია, ხელი შეგვახოს, როცა მოვალეობა და დანაშაული ვერ ბედავენ ჩვენს თავზე მსახვრალი ხელის აღმართვას, როცა ნება გვაქვს, თვალი გავახილოთ, ყურით ვისმინოთ, ვიცინოთ, გავიოცოთ და ვიოცნებოთ ისე, რომ ქვეყანამ ჩვენგან სამაგიერო სამსახური არ მოითხოვოს. როცა ისინი, ვისი სიყვარულიც გვმართებს, ჯერ კიდევ მოუთმენლად არ გვადევნებენ თვალყურს, თუ როგორ გავუძღვებით ჩვენი მოვალეობის აღსრულებას. ეჰ, დიდი დრო არ გაივლის, რომ ყველაფერი მთელი ძალით დაგვატყდება თავს, რათა დაგვთრგუნოს, გაგვწვრთნას, წელში გაგვტეხოს, შეგვავიწროოს, დაგვაძაბუნოს.

სანამ ჰანო უზრუნველად თამაშობდა, ქვეყანაზე დიდი ამბები ხდებოდა. ომი გაჩაღდა, გამარჯვების ბედი კარგა ხანს ბეწვზე ეკიდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვლინდა გამარჯვებულიც. ჰანო ბუდენბროკის მშობლიური ქალაქი თავის დროზე ჭკვიანურად მიემხრო პრუსიას და ახლა ნიშნის მოგებით შესცქეროდა მდიდარ ფრანკფურტს, რომელსაც ავსტრიაზე მიკედლება თავისუფლების დაკარგვად დასჯდომოდა.

მაგრამ ერთი ფრანკფურტული მსხვილი ფირმის გაკოტრების გამო, ივლისში, ზავის ჩამოვარდნის წინ, იოჰან ბუდენბროკის სავაჭრო ფირმამ ერთბაშად დაკარგა 20000 ტალერი.

მერვე ნაწილი

პირველი თავი

ბატონი ჰუგო ვაინშენკი, ქალაქის სახანძრო-სადაზღვევო საზოგადოების ახალდანიშნული დირექტორი, ყელამდე შებნეული სერთუკით დადიოდა, წვრილი, ტუჩის კუთხეებამდე ჩამოსული შავი ულვაშები და ჩამოშვებული ქვედა ტუჩი ვაჟკაცურ, დინჯ იერს აძლევდა. ბუდენბროკების თაღში ერთი კანტორიდან მეორისკენ, იდაყვებგაჩაჩხული და ხელებმომუშტული მძიმედ, დიდის ამბით რომ მიაბიჯებდა, საქმიანი, იღბლიანი და პატივსაცემი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ერიკა გრიუნლიჰი იმ დროს უკვე ოცი წლის, მაღალი, გაფურჩქნილი, ჯან-ღონით სავსე, ღაჟღაჟა ქალიშვილი იყო. კიბეზე ჩამომავალ ან ზედა გალერეაზე მდგარ ერიკას თუ შემთხვევით ბატონი ვაინშენკი გადაეყრებოდა, - ეს შემთხვევები კი საკმაოდ ხშირი ამბავი იყო, - დირექტორი მოკლედ შეკრეჭილი, საფეთქლებთან ჭაღარაშეპარული შავი თმით დაფარული თავიდან ცილინდრს მოიშვლეპდა, წელში ღრმად მოიხრებოდა, ქალიშვილს თამამ, მუქთაფლისფერ თვალებს გაოცებითა და აღტაცებით შეავლებდა და ისე მიესალმებოდა.

ერიკა მყისვე მოსწყდებოდა ადგილს, სადმე ფანჯრის რაფაზე მიიკუნჭებოდა და უმწეობისა და დაბნეულობისგან ცრემლად იღვრებოდა ხოლმე. ფროილაინ გრიუნლიჰი ტერეზა ვაიჰბროტის მკაცრი ზედამხედველობით იზრდებოდა და ამქვეყნიური ცხოვრებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა. ერიკას ბატონი ვაინშენკის ცილინდრის გახსენებაც კი აღვრევინებდა ცრემლს, იმაზეც ტიროდა, მასთან შეხვედრისას ბატონი დირექტორი წარბებს რომ აზიდავდა და ისევ ჩამოუშვებდა,

ტიროდა მისი მეფური მიხრა-მოხრისა და მომუშტული ხელების გამოც. დედამისი კი, ფრაუ პერმანედერი, უფრო შორს იხედებოდა. ქალიშვილის მომავალზე ფიქრი უკვე რამდენიმე წელი იყო მოსვენებას არ აძლევდა ფრაუ პერმანედერს, რადგან ერიკა სხვა გასათხოვარ ქალიშვილებთან შედარებით ცუდ დღეში იყო. დედამისი არათუ არ გადიოდა საზოგადოებაში, საზოგადოებას მტრულადაც ეკიდებოდა. აკვიატებული ჰქონდა, მაღალ საზოგადოებაში ორნაქმარევ ქალს ქედმაღლურად დამცქერიანო. თავისადმი უპატივცემულობასა და ზიზღს იქაც კი ხედავდა, სადაც, ალბათ, გულგრილობის მეტი არა იყო რა. მაგალითად, კონსულ ჰერმან ჰაგენშტრომს, ამ თავისუფალ, ლოიალურად მოაზროვნე, სიმდიდრისგან კიდევ უფრო გალაღებულ
და დაარხეინებულ კაცს ფრაუ პერმანედერის ქედმაღლური მზერა აჩერებდა, თორემ აუცილებლად მიესალმებოდა.

ფრაუ პერმანედერი ჰერმან ჰაგენშტრომის დანახვაზე თავს უკან გადაიგდებდა და, მისივე მაგარი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ამ ჭირივით საძულველ, „ბატის გულღვიძლმოყირჭებულ“ სახეს თვალს ცივად აარიდებდა ხოლმე.

რატომღაც ერიკა თავისი სენატორი ბიძის წრისგანაც შორს იდგა, ბალებზე არ დადიოდა და მამაკაცების გაცნობის შემთხვევა ნაკლებად ეძლეოდა.

ფრაუ ანტონიას, როგორც თვითონ ამბობდა, „ცხოვრება უკვე მოეჭამა“, მაგრამ ერთი მგზნებარე სურვილი ასულდგმულებდა: იქნებ მისი გაცრუებული იმედი ერიკას გაემართლებინა, იქნებ ერიკა მაინც გათხოვილიყო ისე, რომ ოჯახისთვის პატივი და ბედნიერება მოეტანა და დედის მუხთალი ბედი ყველასთვის დაევიწყებინა. უფროსი ძმის საწინააღმდეგოდ, რომელსაც ამ ბოლო დროს მომავლის იმედი თითქმის დაჰკარგოდა, ტონი ისწრაფოდა, დაემტკიცებინა, ოჯახს ბედი ჯერ კიდევ არ ღალატობსო, აღსასრული ჯერ კიდევ არ დამდგარაო. მისი მეორე მზითევი, 17000 ტალერი, რაც ბატონმა პერმანედერმა ესოდენ სულგრძელად ბუდენბროკებს უკანვე დაუბრუნა, ერიკასთვის იყო გადადებული. ფრაუ ანტონიას გამჭრიახმა მზერამ მყისვე შენიშნა თავის ქალიშვილსა და დირექტორს შორის გაბმული სუსტი ძაფები
და ღმერთს შეევედრა, ბატონ ვაინშენკს მათთვის ვიზიტი გაებედა. ბატონ ვაინშენკსაც არ დაუყოვნებია და ბუდენბროკებს მეორე სართულზე ესტუმრა. სამმა ქალმა - ბებიამ, ქალიშვილმა და შვილიშვილმა - დირექტორი გულითადად მიიღო. სტუმარმა ათ წუთს ისაუბრა მათთან და მასპინძლებს შეჰპირდა, ნაშუადღევს ყავაზე კვლავ გეახლებითო.

არც ეს დაპირება გამტყუნებულა. ასე დამყარდა ნაცნობობა ბუდენბროკებსა და ვაინშენკს შორის. დირექტორი წარმოშობით სილეზიელი იყო, მისი მოხუცი მამა ახლაც სილეზიაში ცხოვრობდა, ვაინშენკის ოჯახი, ეტყობოდა, მხედველობაში არც იყო მისაღები, იგი უფრო Selfmademan[3] ჩანდა. ამიტომაც ეჭირა თავი ზედმეტად ყინჩად, თუმცა თანდაყოლილი სიამაყე და თავდაჭერა აშკარად აკლდა. მისი დაუხვეწავი მანერები განსაკუთრებით საუბარში იჩენდა თავს. ცუდად შეკერილი

სერთუკი სიძველისგან ალაგ-ალაგ აპრიალებულიყო, სახელოებიდან აქატის მსხვილი ღილებით შებნეული საკმაოდ უსუფთაო მანჟეტები მოუჩანდა. მარცხენა ხელის შუათითზე რაღაც უბედური შემთხვევის გამო გადაქლეტილი ფრჩხილი ნახშირივით ჰქონდა გაშავებული. გარეგნულად ბატონი ვაინშენკი საამო შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა, მაგრამ მისი პიროვნება მაინც იმსახურებდა პატივისცემას. დირექტორი გულმოდგინე, ენერგიული კაცი იყო, წელიწადში 12000 მარკა შემოსდიოდა, ხოლო ერიკა გრიუნლიჰის თვალში იგი ლამაზი მამაკაციც კი ჩანდა.

ფრაუ პერმანედერმა სიტუაცია სწრაფად შეაფასა. თავის აზრს კონსულის მეუღლესა და სენატორთან გულახდილად გამოთქვამდა. აშკარად ჩანდა, დირექტორსა და ერიკა გრიუნლიჰს ერთმანეთი თვალში მოსდიოდათ და სწორედ ერთმანეთისთვის იყვნენ კიდეც გაჩენილი: არც ერთი მათგანი საზოგადოებაში არ იყო გასული. თუკი ორმოც წელს მიღწეულ, ნახევრად გამელოტებულ დირექტორს გულში ჰქონდა, საკუთარი კერა გაეჩინა, რაც მის მდგომარეობასა და ასაკს სავსებით შეეფერებოდა, ერიკა გრიუნლიჰთან შეერთება ქალაქის ერთ-ერთ პირველ ოჯახში გაუღებდა კარს და სამსახურში მის წინსვლასაც ხელს შეუწყობდა. რაც შეეხებოდა ერიკას კეთილდღეობას, ფრაუ პერმანედერს შეეძლო ეწინასწარმეტყველა, რომ მისი ქალიშვილი დედის ბედს მაინც არ გაიზიარებდა. ბატონ პერმანედერს ჰუგო ვაინშენკი იოტისოდენადაც არ ჰგავდა, ბენდიქს გრიუნლიჰისგან განსხვავებით კი იგი მტკიცეხელფასიან სამსახურში იდგა და არც ის იყო გამორიცხული, რომ წინ წაიწევდა.

ერთი სიტყვით, კეთილ სურვილებს ორივე მხარე უხვად ამჟღავნებდა. ნაშუადღევის ვიზიტები ძალზე გახშირდა და 1867 წლის იანვარში ბატონმა ვაინშენკმა თავს ნება მისცა, მოკლედ, ვაჟკაცურად და პირდაპირ ერიკა გრიუნლიჰის ხელი ეთხოვა.

ამის შემდეგ იგი უკვე ბუდენბროკების ოჯახს ეკუთვნოდა და „ბავშვების დღეზეც“ დაიწყო სიარული. ოჯახის ახლობლებმა ერიკას საქმრო გულთბილად მიიღეს. ბატონ ვაინშენკს უტყუარმა ალღომ მაშინვე უკარნახა, ჩემი აღზრდა-განათლებით ბუდენბროკების წრის შესაფერი არა ვარო და ამ გრძნობის დასათრგუნავად თავი უფრო თამამად ეჭირა. მთელი ოჯახი: კონსულის მეუღლე, ბიძია იუსტუსი, სენატორი ბუდენბროკი, თუ, რა თქმა უნდა, ბრაიტენშტრასელ ქალბატონებს არ ჩავაგდებთ სათვალავში, ამ გულმოდგინე კანტორის მოხელეს, საზოგადოებაში გამოუსვლელ მშრომელ კაცს, ტაქტიანი გულმოწყალებით ეკიდებოდა.

გულმოწყალება კი აუცილებელი იყო. ხშირად ხდებოდნენ იძულებული, მარჯვედ გამონახული სიტყვით სასადილო დარბაზში ჩამოვარდნილი სიჩუმე დაერღვიათ. ეს მაშინ, როცა ბატონი დირექტორი ერიკას ლოყებსა და მკლავებს ყველას დასანახად, მოურიდებლად ელაციცებოდა ხოლმე. ან როცა თამამად და მადიანად იკითხავდა, ფორთოხლის მარმელადი ფქვილისგან კეთდება თუ არაო. ან როცა სხვა დროს ასევე

ხმამაღლა განაცხადებდა, „რომეო და ჯულიეტა“ შილერის დაწერილიაო. დირექტორი სკამზე გვერდულად იჯდა, ხელებს არხეინად იფშვნეტდა და ყველაფერზე რიხით და მოურიდებლად ლაპარაკობდა.

ყველაზე უკეთ ბატონი დირექტორი სენატორს ეწყობოდა. თომასი მასთან ან პოლიტიკაზე საუბრობდა, ან საქმეზე. ამ თემაზე საუბრისას მარცხი ნაკლებად იყო მოსალოდნელი.

ბატონ დირექტორს გერდა ბუდენბროკთან ურთიერთობაში ხომ სულ არ სწყალობდა ბედი. ამ ქალის პიროვნება ძალზე აკრთობდა და ორ წუთსაც ვერ ახერხებდა მასთან საუბარს. ბატონმა ვაინშენკმა იცოდა, რომ გერდა ვიოლინოზე უკრავდა. ეს ამბავი დირექტორზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა და ყოველ ხუთშაბათს მხოლოდ
ერთ რამეს ახერხებდა, გერდას ხუმრობით ეკითხებოდა, თქვენი ვიოლინო როგორ ბრძანდებაო. მესამეჯერ სენატორის მეუღლემ ყოველგვარი პასუხისგან ცივად შეიკავა თავი.

ქრისტიანი, თავის მხრივ, ახალ ნათესავს ცხვირშეჭმუხნილი აკვირდებოდა და მეორე დღეს მის საქციელსა და ლაპარაკის მანერას ზედმიწევნით ბაძავდა. განსვენებული კონსულის, იოჰან ბუდენბროკის მეორე ვაჟი ოაინჰაუზენში რევმატიზმისგან განკურნებულიყო, მაგრამ კიდურების თავისებურ გახევებას მაინც გრძნობდა. მარცხენა გვერდში პერიოდული „დაბუჟება“ კი, იქ, სადაც „ყველა ნერვი მოკლე ჰქონდა“, ისევე როგორც სუნთქვისა და ყლაპვის შეჭირვებანი და გულის არითმია, ხელ-ფეხის გაშეშებისკენ მიდრეკილებანი თუ ამ მიდრეკილებების წინაშე შიში ვერ იქნა და ვერ მოიცილა. ქრისტიანი ორმოცი წლისაც არ იყო, მაგრამ გაცილებით ხნიერი ჩანდა. თავი სავსებით გამელოტებოდა, მხოლოდ კეფასა და საფეთქლებზე შერჩენოდა თხელი, წითური თმის ღერები. მრგვალ, პატარა თვალებს მუდამ მოუსვენრად აცეცებდა. თვალები ფოსოებში კიდევ უფრო ჩასცვენოდა. გაძვალტყავებულ, ჩავარდნილ ლოყებს შორის ტუჩებზე გადმოკიდებულ ხშირ წითურ ულვაშებს ზემოთ დიდი, კეხიანი ცხვირი კიდევ უფრო დიდი და გამხდარი მოუჩანდა. მტკიცე, ელეგანტური ინგლისური ქსოვილისგან შეკერილი შარვალი გამხმარ, მოღუნულ ფეხებზე ეფართხუნებოდა.

შინ დაბრუნების დღიდან ქრისტიანი უწინდებურად დედასთან ცხოვრობდა, მეორე სართულზე, მაგრამ კლუბში მეტ დროს ატარებდა, ვიდრე მენგშტრასეზე, რადგან შინ დიდად არ ანებივრებდნენ. ახლა შინამოსამსახურეებსა და ოჯახს იდა იუნგმანის მაგიერ რიკჰენ ზევერინი უძღვებოდა, ჩასკვნილი, ოცდაშვიდი წლის ღაჟღაჟა, ლოყებდაკვერილი, სქელტუჩა სოფლელი ქალი. გლეხური გამჭრიახობის წყალობით მან ქრისტიანს მალე აუღო ალღო: ამ უსაქმურ, ხან თავშესაქცევ, ხან კი საცოდავ ზღაპრების გუდას პატივსაცემი პიროვნება, სენატორი, წარბაზიდული არიდებდა თვალს. ამიტომ არც ზევერინს მართებდა მისთვის ანგარიში გაეწია და ისიც ქრისტიანის მოთხოვნებს ჩირადაც არ აგდებდა.

- ოჰ, ბატონო ბუდენბროკ! - ეუბნებოდა ქრისტიანს იგი, - თქვენთვის დრო არა მაქვს!

ქრისტიანი ამ სიტყვებზე რიკჰენ ზევერინს ცხვირშეჭმუხნილი შეხედავდა, თითქოს უნდოდა, ეთქვა, არა გრცხვენიაო, და წელგაშეშებული თავისი გზით გასწევდა ხოლმე.

- შენ თუ გგონია, ოთახში სანთელი ყოველთვის მაქვს? - ეუბნებოდა ქრისტიანი ტონის, - იშვიათად! საწოლამდე ვერ მივსულვარ, თუ ასანთი არ გავკარი.

ქრისტიანს არც დედის მიცემული ჯიბის ფული ჰყოფნიდა.

- აფსუს, რა ცუდი დრო დამიდგა?! დიახ, ადრე სულ სხვანაირად მქონდა საქმე! როგორ გგონია, ახლა რა დღეში ვარ? კბილის ფხვნილი ვერ მიყიდია, თუ ხუთი შილინგი არ ვისესხე, - ჩიოდა იგი.

- ქრისტიან! - წამოიძახებდა ფრაუ პერმანედერი, - ღირსება სად დაკარგე? ასანთს ანთებ! ხუთ შილინგს სესხულობ! ნუ ამბობ მაინც!

ტონის აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა, გული მოსდიოდა, მისი წმიდათაწმიდა გრძნობები იბღალებოდა, მაგრამ რა უნდა ექნა, თავზევით ძალა აღარ იყო.

კბილის ფხვნილისთვის ხუთ შილინგს ქრისტიანი ძველი მეგობრისგან, იურისპრუდენციის დოქტორ ანდრეას გიზეკესგან სესხულობდა. ქრისტიანს გიზეკესთან მეგობრობამ გაუმართლა და ამ გარემოებას დიდად აფასებდა. ვექილ გიზეკეს, ამ Suitier-ს, ღირსების შენარჩუნება ეხერხებოდა. წარსულ ზამთარში, როცა მოხუცმა კასპარ ოვერდიკმა წყნარად განუტევა სული, გუბერნატორად დოქტორი ლანგჰალსი აირჩიეს, სენატში გათავისუფლებული სავარძელი კი ანდრეას გიზეკეს ერგო. ამ გარემოებას Suitier-ის ცხოვრების ნირი არ შეუცვლია. ყველამ იცოდა, რომ მას ფროილაინ ჰუნეუსის შერთვის შემდეგ ქალაქის შუაგულში აშენებული დიდი სახლის გარდა, ქალაქგარეთ, სანქტ-გერტრუდშიც ჰქონდა პატარა, მწვანეში ჩაფლული კოხტა ვილა. იმ ვილაში ერთი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ფრიად მომხიბვლელი ქალბატონი ცხოვრობდა. სახლის კარზე ოქროთი მოვარაყებული ნატიფი ასოებით სიტყვა „ქვისისანა“[4] ეწერა და ეს მყუდრო სავანე მთელ ქალაქში ამ სახელით იყო ცნობილი. აქაურები ამ სიტყვას რაღაც უცნაურად რბილად გამოთქვამდნენ ხოლმე. ქრისტიან ბუდენბროკი, როგორც სენატორ გიზეკეს გულითადი მეგობარი, „ქვისისანაში“ თავისუფლად დადიოდა და იქაც იმავე ხერხით გაჰქონდა თავი, როგორც ჰამბურგში ალინა პუფოგელთან, როგორც ლონდონის, ვალპარაისოსა და დედამიწის სხვა ბევრი კუთხის მსგავს ადგილებში. ქრისტიანი აქაც „პატარ-პატარა ამბებს ყვებოდა“, დიასახლისს „ცოტა ელაციცებოდა“ და ახლა მწვანე ვილაში თვით სენატორ გიზეკეზე იშვიათად როდი დაბრძანდებოდა. ეს ამბავი სენატორ გიზეკესგან დაფარულად ხდებოდა თუ მისი თანხმობით, კაციშვილმა არ იცოდა, ერთი რამ კი ცხადი იყო, ქრისტიან ბუდენბროკი „ქვისისანაში“ უფასოდ

ტკბებოდა იმავე მეგობრული სითბოთი, რაც სენატორ გიზეკეს მეუღლის ქონების ხარჯზე მეტისმეტად ძვირი უჯდებოდა.

ჰუგო ვაინშენკისა და ერიკა გრიუნლიჰის ნიშნობიდან დიდხანს არ გაუვლია, რომ დირექტორმა თავის მოყვარეს სადაზღვევო კანტორაში ადგილი შესთავაზა. და მართლაც, ქრისტიანმა სახანძრო საზოგადოების სამსახურში თოთხმეტი დღე დაჰყო.

სამწუხაროდ, ქრისტიანს მარცხენა გვერდის დაბუჟებასთან ერთად მალე აეშალა სხვა ყველა ძნელად სახელდასარქმევი ტკივილიც. დირექტორი, ცოტა არ იყოს, ფიცხი უფროსი აღმოჩნდა, ქრისტიანს პატარა შეცდომაც კი არ აპატია და საცოლის ბიძას მოურიდებლად „სელაპი“ უწოდა... ასე და ამგვარად, ქრისტიანი იძულებული გახდა ეს პოსტიც დაეტოვებინა.

მადამ პერმანედერი კი ბედნიერი იყო. მის უღრუბლო გუნებას ხანდახან ასეთი წამოძახილები ამჟღავნებდა: ეს წუთისოფელი ხანდახან სიკეთესაც გამოიმეტებსო. იმ დღეებში ფრაუ პერმანედერი მართლაც გაიფურჩქნა. მოუსვენარი ფაციფუცი, მრავალფეროვანი გეგმები, ბინაზე ზრუნვა და ქალიშვილის გამზითვების ციებ- ცხელება თავისი პირველი ქორწინების სამზადისს აგონებდა. თავს გაახალგაზრდავებულად გრძნობდა და გული ხალისიანი იმედით ევსებოდა. ტონის მიხრა-მოხრასა და გარეგნობას თითქოს ქალიშვილობის დროინდელი გრაციოზული სიამაყე დაუბრუნდა. ერთხელ თავის უადგილო მხიარულებით „იერუსალიმურ საღამოზე“ გამეფებული განწყობილება ისე შებღალა, რომ ლეა გერჰარტმაც კი უშვა ხელი თავისი წინაპრის წიგნს და ყრუსთვის დამახასიათებელი, დაბნეული, უნდო, დიდი თვალებით დარბაზში მიმოიხედა.

ერიკა დედას არ უნდა დაშორებოდა. დირექტორის თანხმობითა და სურვილით გადაწყდა, რომ ფრაუ ანტონიას პირველ ხანებში მაინც ეცხოვრა ვაინშენკებთან და გამოუცდელ ერიკას დიასახლისობაში მიხმარებოდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ტონის ტკბილი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ამ ქვყანაზე არასოდეს არსებულიყვნენ არც ბენდიქს გრიუნლიჰი და არც ალოიზ პერმანედერი, თითქოს ყველა მარცხი, მისი ცხოვრების ყველა იმედის გაცრუება და მწუხარება გამქრალიყოს, თითქოს ახალი იმედით აღსავსეს შეეძლო ცხოვრება თავიდან დაეწყო. ფრაუ ანტონია ერიკას ჩააგონებდა, ღვთისთვის მადლობა შეეწირა, რომ უფალმა ქმრად საყვარელი ადამიანი არგუნა, მის დედას კი პირველი სიყვარული გონიერებამ და მოვალეობის გრძნობამ დაასამარებინა. თუმცა ახლა ოჯახის მატიანეში სიხარულისგან აკანკალებული ხელით დირექტორის სახელის გვერდით ერიკას სახელს წერდა, მაგრამ ნამდვილი საპატარძლო თვითონ ტონი ბუდენბროკი იყო. კვლავ იგი ირჩევდა გამოცდილი ხელით პორტიერებსა და ხალიჩებს, ისევ ტონი დარბოდა ავეჯისა და თეთრეულის მაღაზიებში, კვლავ მას უნდა გამოეძებნა და დაექირავებინა „კეთილშობილური“ ბინა, კვლავ უნდა დაეტოვებინა რელიგიური სულით გაჟღენთილი ვრცელი მშობლიური სახლი. ახლა ტონი მხოლოდ ქმარს გაცილებული ქალი აღარ იქნებოდა,

ახლა ერთხელ კიდევ მიეცემოდა შესაძლებლობა, თავი ამაყად აეწია და ახალი ცხოვრება დაეწყო, ყველას ყურადღება მიეპყრო და ოჯახის ღირსება აემაღლებინა. ღმერთო, ნუთუ ეს სიზმარია? ისევ გამოჩნდა პენუარები! ორი პენუარი მისთვის და ერიკასთვის, ფაფუკი, მოჩითული ქსოვილისგან შეკერილი, ყელიდან ქობამდე ხავერდის ლენტებით შემკული, ფართოკალთებიანი პენუარები.

გადიოდა კვირები და ახლოვდებოდა ერიკა გრიუნლიჰის ქორწილის დღეც. ახალგაზრდა წყვილი სტუმრად მაინცდამაინც არ დადიოდა. დირექტორი, სერიოზული და საზოგადოებაში გამოუსვლელი კაცი, თავისუფალი დროის გატარებას შინაურულ, ოჯახურ წრეში ამჯობინებდა ხოლმე. ფიშერგრუბეზე, თომასის დიდ დარბაზში გამართულ საზეიმო სადილს მხოლოდ თომასი, გერდა, დანიშნული წყვილი, ფრიდერიკე, ჰენრიეტე, ფიფი ბუდენბროკი და სენატორის უახლოესი მეგობრები ესწრებოდნენ. ყველას გასაოცრად, დირექტორი ერიკას მოშიშვლებულ კისერზე ხელის ტყაპუნს არ იშლიდა. ასე მოახლოვდა ქორწილის დღე.

ჯვრისწერა სვეტებიან სადარბაზოში შედგა, როგორც ოდესღაც ფრაუ გრიუნლიჰის გათხოვების დროს. მაღალ წრეში გარეული გლოკენგისერშტრასელი ფრაუ შტუტი საპატარძლოს თეთრი ატლასის კაბის ნაოჭებს უსწორებდა და ზედ ცოცხალ ყვავილებს აბნევდა. მეჯვარეები სენატორი ბუდენბროკი და ქრისტიანის მეგობარი სენატორი გიზეკე იყვნენ, დობილებად კი ერიკას თავისი პანსიონის ორი მეგობარი აერჩია.

დირექტორი ჰუგო ვაინშენკი წარმოსადეგი კაცი იყო, ვაჟკაცურად გამოიყურებოდა და იმპროვიზებული საკურთხევლისკენ მიმავალმა ერიკას გრძელ ფატას მხოლოდ ერთხელ დაადგა ფეხი. პასტორ პრინგსჰაიმს ხელები სალოცავად აღეპყრო და თავისებურად საზეიმოდ ღაღადებდა. ჯვრისწერა წესისა და ღირსების შესაფერისად მიდიოდა. როცა ნეფე-დედოფალმა ბეჭდები გაცვალეს, როცა ბოხი და ნაზი, თუმცა ოდნავ ჩახლეჩილი ხმებით წარმოთქმული „დიახ“ გაისმა, წარსულის, აწმყოსა და მომავლისგან გრძნობამორეულ ფრაუ პერმანედერს გული ამოუჯდა და ხმამაღლა აქვითინდა - თავისებურად, მიამიტად და ბავშვივით მოურიდებლად. ქალბატონმა ბუდენბროკებმა, სადღესასწაულოდ საგულდაგულოდ მორთულ-მოკაზმულმა ფიფიმ და მისმა დებმა, ჩვეულებისამებრ, გესლიანად ჩაიქირქილეს. მადმუაზელ ვაიჰბროტი - ამ ბოლო წლებში მთლად დალეული ტერეზა ვაიჰბროტი, რომელსაც დედის პორტრეტიანი ოვალური ბროში წვრილ კისერთან დაებნია, მღელვარებას საზეიმო ხმით წარმოთქმული სიტყვებით ფარავდა: „ბედნიერი იყავი, ჩემო შვილიკო!“

შემდეგ სასადილო დარბაზში უხვი საქორწილო სუფრა გაიშალა. ლურჯი შპალერებიდან ღმერთების თეთრი გამოსახულებანი კვლავ ძველებურად იცქირებოდნენ. სადილის შემდეგ ახალჯვარდაწერილები სამოგზაუროდ წავიდნენ.

აპრილის შუა რიცხვები იდგა. თვის ბოლომდე ფრაუ პერმანედერმა მეშპალერე იაკობსის დახმარებით ერთ-ერთი თავისი სასწაულთაგანი მოახდინა: ბეკერგრუბეზე დაქირავებული ვრცელი ბელეტაჟი კეთილშობილურად მოაწყო. ყვავილებით უხვად შემკული ოთახები შინისკენ მომავალ წყვილს ელოდებოდა.

და აი, დაიწყო ტონი ბუდენბროკის მესამე ქორწინება.

დიახ, ეს ნათქვამი ტონიზე ზედგამოჭრილი იყო. ვაინშენკები ჯერ კიდევ არ იყვნენ დაბრუნებული, როცა ერთ-ერთ ხუთშაბათს, თვით სენატორმა ბრძანა ასე და ფრაუ პერმანედერსაც ძმის სიტყვები საწყენად არ დარჩენია. მართლაც, ოჯახზე ზრუნვა ტონის დააწვა მხრებზე, მაგრამ სამაგიეროდ სიხარული და სიამაყეც მოემატა. ერთ დღეს ფრაუ პერმანედერი შემთხვევით კონსულის მეუღლეს, იულჰენ მოლენდორფს შეხვდა ქუჩაში და სახეში ისე მედიდურად და გამომწვევად შეხედა, რომ ფრაუ მოლენდორფი იძულებული გახდა, პირველი მისალმებოდა. ტონის მთელი არსება სიხარულითა და სიამაყით სუნთქავდა, როცა ახალი ბინის სანახავად მოსულ ნათესავებს ოთახებში დაატარებდა. მის გვერდით თვით ერიკა ვაინშენკიც კი აღტაცებულ სტუმარს ჰგავდა.

ფრაუ ანტონიას პენუარის შლეიფი უკან დასთრევდა, მკლავზე ატლასის ლენტებით შემკული გასაღებების კალათა ეკიდა - ფრაუ ანტონია ატლასის ლენტებისთვის სულს ლევდა - მხრები აეწურა, თავი უკან გადაეგდო და სტუმრებს ავეჯს, პორტიერებს, სიფრიფანა ფაიფურს, მოელვარე ვერცხლის ჭურჭელს და ზეთის საღებავით შესრულებულ დიდ სურათებს უჩვენებდა. სურათები დირექტორს თვითონ შეეძინა: ხორაგით სავსე ნატურმორტები და ტანშიშველი ქალები - ასეთი გახლდათ ჰუგო ვაინშენკის გემოვნება. ფრაუ ანტონიას ყველა მიხრა-მოხრა თითქოს მეტყველებდა: შეხედეთ, აი, ერთხელ კიდევ რა შევძელიო. აქაურობა თითქმის ისე კეთილშობილურად არის მოწყობილი, როგორც გრიუნლიჰთან. ყოველ შემთხვევაში, გაცილებით კეთილშობილურად, ვიდრე პერმანედერთან იყოო.

ვაინშენკებთან შავ ნაცრისფერზოლებიან კაბაში გამოწყობილი მოხუცი ქალბატონი ბუდენბროკიც ხშირად მიდიოდა. ირგვლივ თავისებურ ნაზ სურნელებას აფრქვევდა და ღია ფერის თვალებს ყველაფერს მშვიდად მოავლებდა ხოლმე, აღტაცებას ხმამაღლა არ გამოთქვამდა, მაგრამ არც მოწონებას მალავდა. სენატორი ცოლ-შვილით მოდიოდა და გერდასთან ერთად ბედნიერებით სახეგაბრწყინებულ ტონის გულკეთილად დასცინოდა. თან ტონის ძლივს აკავებდა, რომ თავისი სათაყვანო ძმისწული ქიშმიშიანი ფუნთუშითა და პორტვაინით არ დაეხრჩო. მოდიოდნენ ქალბატონი ბუდენბროკები და ერთხმად აღნიშნავდნენ, აქ ყველაფერი ისე მშვენიერია, ჩვენისთანა თავმდაბალი ქალიშვილები ასეთ ბინაში ვერც ვიცხოვრებდითო. მოდიოდა საბრალო კლოტილდე, უფერული, მომთმენი და გამხდარი. იგი იცინოდა, ოთხ ფინჯან ყავას სვამდა და ყველაფერს გულღიად ასხამდა ხოტბას. ხანდახან, როცა კლუბში არავინ დახვდებოდა, ქრისტიანიც

შემოივლიდა ხოლმე, ერთ ჭიქა ბენედიქტინს გადაკრავდა და იტყოდა, ახლა შამპანური ღვინოებისა და კონიაკის ფირმის აგენტად მინდა დავდგეო. მისი სიტყვით, ამ საქმეში კარგად ერკვეოდა, თან იოლი და სასიამოვნო სამუშაოც არისო. შენი თავის ბატონი ხარ, ხანდახან რამდენიმე პწკარს ჩაიწერ ბლოკნოტში, გაიხედავ
და ერთი ხელის მოსმით ოცდაათ ტალერს ჩაიდებ ჯიბეშიო, - ამბობდა ქრისტიანი და ფრაუ პერმანედერს ქალაქის თეატრის პრიმადონასთვის მისართმევი თაიგულის ფულს, ორმოც შილინგს, დაესესხებოდა. შემდეგ უფალმა უწყის რისთვის, „მარიასა“ და ლონდონურ „ბიწიერებაზე“ გადავიდოდა და ვალპარაისოდან სან-ფრანცისკოში ყუთით გადაგზავნილი ქეციანი ძაღლის ამბავსაც მოაყოლებდა. თუ გუნებაზე იყო, ისე გატაცებით, ისე მიმზიდველად და სასაცილოდ ლაპარაკობდა, რომ ხალხით გაჭედილ დარბაზსაც კი დაიპყრობდა.

თავისივე მონაყოლი თვითონვე აიტაცებდა ხოლმე და ლაპარაკს სხვადასხვა ენაზე იწყებდა. ლაპარაკობდა ინგლისურად, ესპანურად, შიგადაშიგ ქვემოგერმანულად და ჰამბურგულად უქცევდა. დანით შეიარაღებულ ჩილელ ავანტიურისტებს და უაიტჩეპელელ ბანდიტებს წარმოადგენდა, მერე თავის კუპლეტების მარაგში ჩაჰკრავდა თვალს და ნიჭიერად, ხელების ქნევითა და შეუდარებელი მიმიკით ჩააბულბულებდა ან წაიმღერებდა:

„არხეინად დავაბიჯებ ბაღში,

ჩემ წინ კოხტად მიკუნტრუშობს გოგო, თავზე - თეფში, ტანზე - ვიწრო კაბა, მიგოგმანებს, მაგრამ

იცით, როგორ? ვეუბნები: „ჩემო ცუგრუმელა,

მოდი, ერთად ვისეირნოთ ბაღში“.

კუდს იქნევს და მეუბნება ანცად:

„გზა მონახე, წადი, შვილო, სახლში!“

კუპლეტებს მორჩებოდა თუ არა, ცირკის რეპერტუარზე გადავიდოდა. ინგლისელი კლოუნის მთელ გამოსვლას ისე წარმოადგენდა, რომ კაცს თავი მანეჟზე ეგონებოდა. ჯერ ფარდებს უკან გაისმოდა ყვირილი: „კარი გამიღეთ!“, შემდეგ მეჯინიბესთან ჩხუბის ხმა გამოდიოდა. ფარდებიდან გამომძვრალი ქრისტიანი ბრტყელ-ბრტყელი ინგლისურ-გერმანულით ნაირ-ნაირი ამბის მოყოლას იწყებდა: ერთ კაცს თურმე ძილში თაგვი გადაეყლაპა და ბეითალთან მისულიყო, ბეითალს ერჩია, ახლა კატაც ზედ მიაყოლეო... მეორე ამბავს ერქვა: „ჩემი საღ-სალამათი ბებია, აი, ქალი ის იყო“. სადგურისკენ მიმავალ „საღ-სალამათ ბებიას“ ათასგვარი ფათერაკი გადახდენია თავს, ბოლოს კი მატარებელი ზედ ცხვირწინ გაჰპარვია.

დასასრულ, ქრისტიანი დასძახებდა: „აბა, მუსიკა, ბატონო კაპელმაისტერო!“ და ძილიდან ახალგამოფხიზლებულივით უკვირდა, მუსიკის ხმა რატომ არ ისმისო.

შემდეგ ქრისტიანი მოულოდნელად დამუნჯდებოდა, სახე შეეცვლებოდა, ხელ-ფეხი მოუდუნდებოდა. პატარა, მრგვალ-მრგვალ, ღრმად ჩამჯდარ თვალებს შეშფოთებული აცეცებდა. ხელს მარცხენა გვერდზე ისე მოისვამდა, თითქოს შიგნით რაღაც უცნაური ამბები ხდება და ყურს იმას უგდებსო. ერთ ჭიქა ლიქიორს კიდევ დალევდა, ოდნავ გამოცოცხლდებოდა, კიდევ რაღაც ამბავს წამოიწყებდა, მაგრამ სულ მალე გუნებაწამხდარი წასასვლელად წამოდგებოდა.

ფრაუ პერმანედერი მთელი ამ დროის განმავლობაში გულიანად ხარხარებდა და აცელქებული ძმას კიბემდე მიაცილებდა ხოლმე.

- Adieu, ბატონო აგენტო! - ეუბნებოდა ქრისტიანს ტონი, - მინეზინგერო! მუსუსო! ბებერო ცხვარო! მალე შემოგვიარე!

ტონი ძმას სიცილს დააყრიდა და ოთახში შებრუნდებოდა, მაგრამ ქრისტიან ბუდენბროკს გული არ მოსდიოდა. დის დაძახილი არც ესმოდა, ფიქრებში ისე იყო წასული. ახლა „ქვისისანა“ მომნათლავსო, ფიქრობდა იგი, ქუდს გვერდზე მოიგდებდა, თავის მონაზვნისბიუსტიან ჯოხს დაეყრდნობოდა და წელგაშეშებული კიბეს ნელა, ოდნავ კოჭლობით ჩაუყვებოდა.

მეორე თავი

1868 წლის გაზაფხული იდგა. ერთ საღამოს, დაახლოებით ათ საათზე, ფრაუ პერმანედერი ფიშერგრუბეზე, მეორე სართულზე ავიდა. სენატორი ბუდენბროკი წენგოსფერი რიფსგადაკრული ავეჯით მორთულ სასტუმრო ოთახში, პლაფონიდან ჩამოშვებული უზარმაზარი გაზის ჭაღის ქვეშ მრგვალ მაგიდას მარტო უჯდა. წინ „ბერლინის ბირჟის გაზეთი“ გაეშალა, მაგიდაზე ოდნავ გადახრილიყო და ისე კითხულობდა. საჩვენებელ და შუათითს შორის პაპიროსი ეჭირა, ცხვირზე ოქროს პენსნე ეკეთა - ბოლო ხანს მუშაობის დროს პენსნეს ხმარობდა. როცა სასადილო დარბაზში ნაბიჯების ხმა გაიგონა, პენსნე ჩამოიღო და სიბნელეს დაძაბული დააკვირდა, სანამ ტონი პორტიერებს გადასწევდა და სინათლეზე გამოვიდოდა.

- ო, შენა ხარ? საღამო მშვიდობისა. ჩამოხვედი პოპენრადედან? როგორ არიან შენი მეგობრები?

- საღამო მშვიდობისა, ტომ! გმადლობ, არმგარდი კარგადაა... მარტო ხარ?

- ჰო, კარგ დროს მოხვედი. დღეს პაპივით მარტოს უნდა მევახშმა. ფროილაინ იუნგმანი სათვალავში ჩასაგდები არ არის, ყოველ წუთს წამოხტება და ჰანოს

დასახედად გარბის ხოლმე. გერდა კაზინოშია. სავიოლინო კონცერტია, ტამაიო უკრავს. თან ქრისტიანი ახლავს.

- ფუი ეშმაკს! დედამ რომ იცის ხოლმე, ბოლო ხანებში ვატყობ, გერდა და ქრისტიანი ერთმანეთს კარგად ეწყობიან.

- მეც ვატყობ. ქრისტიანი ხანგრძლივად რომ არის აქ, გერდაც უფრო შეეჩვია. დიდი ყურადღებით უსმენს, როცა ქრისტიანი თავის სატკივარს აღწერს ხოლმე. ღმერთო ჩემო, ქრისტიანი მშვენივრად ართობს გერდას. იცი, რა მითხრა ამას წინათ გერდამ? ქრისტიანი ბიურგერი არ არის, თომას, ის შენზე ნაკლებად არის ბიურგერიო.

- ბიურგერიო, ტომ? ამ ღვთის გაჩენილ ქვეყანაზე შენზე უკეთესი ბიურგერი არც მეგულება.

- ჰო, კარგი. ამ აზრით კი არ უთქვამს! გაიხადე, ჩემო კარგო. მშვენივრად გამოიყურები. სოფლის ჰაერი მოგხდენია.

- კი, მომიხდა! - თქვა ტონიმ, მანტილია და ლილისფერი აბრეშუმის ბაფთებიანი კაპორი მოიხსნა და მაგიდასთან მდგარ სავარძელში მედიდურად ჩაბრძანდა, - ამ ბოლო დროს კუჭიც აღარ მაწუხებს და ღამითაც კარგად მძინავს. ახალმოწველილი რძე, ძეხვი და ლორი ჯანზე ვის არ მოიყვანს! მერე ახალი თაფლი? თაფლი ყოველთვის საუკეთესო საკვებად მიმაჩნდა, ტომ. ეს ხომ ნატურალური პროდუქტია! კაცმა ის მაინც იცი, რასა ჭამ! ჰო, ნამდვილად სასიამოვნო იყო, არმგარდმა ჩვენი, პანსიონის დროინდელი მეგობრობა რომ გაიხსენა და მიმიპატიჟა. ბატონი მაიბომიც უაღრესად თავაზიანად მექცეოდა... გულწრფელად მთხოვეს, ერთ-ორ კვირას კიდევ დავრჩენილიყავი, მაგრამ ხომ იცი, ერიკას უჩემოდ ძალიან უჭირს, მერედა ახლა, როცა პატარა ელიზაბეტი გაჩნდა.

- ჰო, მართლა, ბავშვი როგორ არის?

- გმადლობ, ტომ, არა უჭირს რა. ღვთის შეწევნით, ოთხი თვის ასაკისთვის კარგა დიდია, თუმცა ფრიდერიკე, ჰენრიეტე და ფიფი ამბობდნენ, ეს ბავშვი არ გაიზრდებაო.

- ვაინშენკი როგორ არის? მამობას როგორ იფერებს? მე ხომ მას მხოლოდ ხუთშაბათობით ვხვდები.

- ო, იმას რა გამოცვლის! იცი, ვაინშენკი ყოჩაღი, შრომისმოყვარე კაცია, თომას, თითქოს სანიმუშო ქმარიცაა, სამიკიტნოებში სიარული არ უყვარს, კანტორიდან პირდაპირ შინ მოდის და თავისუფალ დროს მუდამ ჩვენთან ატარებს, მაგრამ საქმე ის არის, ტომ, - შენთან შემიძლია გულახდილად ვილაპარაკო, - ერიკასგან მოითხოვს, მუდამ მხიარული იყავიო, მუდამ ილაპარაკე და იხუმრეო, სამსახურიდან ნამუშევარი და გუნებაწამხდარი რომ მოვდივარ, ცოლი მხიარულად უნდა შემხვდეს, გამამხიარულოს და გამართოს, ქალი ღმერთს ამისთვის გაუჩენიაო.

fb.com/groups/elib

- ბრიყვი! - ჩაიბუტბუტა სენატორმა.

- რა თქვი?.. ჰო, საუბედუროდ, ერიკა ცოტა მელანქოლიური ბუნებისაა, ტომ, ალბათ, მე მგავს. ხანდახან მოწყენილია, ჩაფიქრებული და ხმას არ იღებს, მაშინ მის ქმარს გული მოსდის და, ცოტა არ იყოს, უხეშად ილანძღება. კარგი ოჯახიშვილი რომ არ არის, ძალიან ხშირად ეტყობა, ტომ! კეთილშობილურ აღზრდას რომ ეძახიან, იმის ხომ არაფერი სცხია. ჰო, არ დაგიმალავ: პოპენრადეში ჩემს გამგზავრებამდე ერთი- ორი დღით ადრე საწვენეს სახურავი იატაკზე დაანარცხა, სუპი მლაშეაო.

- ოჰო, ეგ კი არ მომწონს!

- რა თქმა უნდა, მოსაწონი როდია, მაგრამ ამისთვის არ უნდა გავკიცხოთ. ღმერთო ჩემო, ჩვენ ყველას იმდენი ნაკლი გვაქვს, რომ ასეთ მონდომებულ, საქმიან და მშრომელ კაცს რას უნდა ვერჩოდეთ. არა, ღმერთმა დაგვიფაროს, ტომ! უხეშ გარსში მოქცეულ კეთილ მარცვალს კიდევ რა უშავს... ვიცი, ამქვეყნად უარესი ამბებიც ხდება. არმგარდი, მარტონი რომ დავრჩებოდით, მწარედ ტიროდა ხოლმე.

- რას ამბობ! ვითომ ბატონი ფონ მაიბომი...

- ჰო, ტომ. სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა. ჩვენ ვსხედვართ აქ და უბრალოდ ვსაუბრობთ, სინამდვილეში ამ საღამოს სერიოზულ საქმეზე ვარ მოსული.

- მართლა? ერთი მითხარი, რა სჭირს ბატონ ფონ მაიბომს!

- რალფ ფონ მაიბომი უაღრესად თავაზიანი და სასიამოვნო კაცია, თომას, მაგრამ თავქარიანი ყომარბაზიც გახლავს. თამაშობს როსტოკში, თამაშობს ვარნემიუნდეში და ყელამდე ვალებშია ჩაფლული. პოპენრადეში ერთ-ორ კვირას ნაცხოვრები კაცი ამას ვერ დაიჯერებს. დიდებული სასახლე აქვთ, ირგვლივ ყველაფერი ყვავის, რძე, ძეხვი და ლორი არ აკლიათ. ამ დოვლათის შემხედვარე კაცი ვერ მიხვდება, სინამდვილეში როგორაა საქმე... მოკლედ, საშინელ დღეში არიან ჩაცვენილი; ტომ, არმგარდი ცხარე ცრემლებით გამომიტყდა, ვიღუპებითო.

- ძალიან სამწუხაროა, ძალიან.

- აბა! მაგრამ იცი, რა არის მთავარი? როგორც გამოირკვა, იმ ხალხს არც ისე უანგაროდ მივუწვევივარ.

- როგორ?

- ეგ მინდა სწორედ გითხრა, ტომ. ბატონ მაიბომს ფული სჭირდება, სასწრაფოდ სჭირდება და თანაც საკმაოდ მოზრდილი თანხა. იცოდა, მე და მის ცოლს რომ ძველი მეგობრობა გვაკავშირებდა. ისიც იცოდა, მე რომ შენი და ვარ და გაჭირვებაში ჩავარდნილი თავის ცოლს ამოეფარა, იმან კი, თავის მხრივ, შენთან მომაგზავნა. მიხვდი?

სენატორმა მარჯვენა ხელი თმაზე გადაისვა და სახე შეეცვალა.

- მე მგონი, მიგიხვდი, - თქვა მან, - შენი სერიოზული და მნიშვნელოვანი საქმე პოპენრადეს მოსავლის ანგარიშზე ავანსის მიცემას ეხება, არა? მაგრამ შენ და შენს მეგობრებს, მე თუ მკითხავთ, გზა აგრევიათ. ჯერ ერთი, ბატონ ფონ მაიბომთან საქმე არასოდეს დამიჭერია და ურთიერთობის ამგვარი გარიგებით დაწყებაც საკმაოდ უცნაური მეჩვენება. მეორეც, ჩვენ - პაპას, ბაბუას, მამასა და მე - მემამულეებისთვის ავანსი კი მიგვიცია, მაგრამ იმ ხალხისგან მათი პიროვნებისა და სხვა გარემოებების გამო სრული გარანტია გვქონია. ამ ორი წუთის წინ რომ ბატონ მაიბომის ამბებს მომიყევი, ასეთ გარანტიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

- შენ ცდები, ტომ. ბოლომდე დაგაცადე თქმა და ვხედავ, რომ ცდები. ავანსზე როდია ლაპარაკი. მაიბომს 35000 მარკა სჭირდება.

- ეშმაკსაც წაუღია მისი თავი!

- 35000 მარკა ორ კვირაში ხელთ უნდა ჰქონდეს. ყელზე დანა აქვს მიბჯენილი. უფრო ნათლად რომ გითხრა, იძულებულია მთელი მოსავალი ახლავე გაყიდოს.

- აუღებელი მოსავალი? ო, საწყალი კაცი! - სენატორმა პენსნე მაგიდაზე აათამაშა და თავი გადაიქნია, - ჩვენში ასეთი რამ საკმაოდ იშვიათი ამბავი მგონია, - თქვა მან, - ასეთი ამბები ჰესენში რომ ხდება, გამიგია, იქ ხომ მემამულეების უმრავლესობა ურიების ხელშია ჩავარდნილი. ვინ იცის, საწყალი ბატონი მაიბომიც რომელ წურბელას ჩაუვარდება ხელში.

- ურიები და წურბლები რა შუაშია, - წამოიძახა გაოცებულმა ფრაუ პერმანედერმა, - ურიებზე კი არა, შ ე ნ ზ ე ა ლაპარაკი, ტომ!

თომას ბუდენბროკმა პენსნე მაგიდაზე ისე მიაგდო, რომ გაზეთზე გაასრიალა და დისკენ მთელი ტანით შებრუნდა.

- ჩემზე? - ხმის ამოუღებლად, მხოლოდ ტუჩების ცმაცუნით იკითხა მან. შემდეგ კი ხმამაღლა დასძინა, - წადი, დაიძინე, ტონი! გეტყობა, ძალიან დაღლილი ხარ.

- ჰო, ტომ, ასე გვეუბნებოდა ხოლმე იდა იუნგმანი, როცა სწორედ ძილის წინ მოგვინდებოდა ცელქობა. მაგრამ გარწმუნებ, ასე ფხიზლად და ყოჩაღად დიდი ხანია
არ ვყოფილვარ; ამ შუაღამისას შენთან იმიტომ მოვედი, რომ არმგარდის, უფრო
სწორად, რალფ ფონ მაიბომის წინადადება შემოგთავაზო.

- კარგი, ეგ შენი წინადადება შეიძლება შენი გულუბრყვილობითა და მაიბომების გაჭირვებით გავამართლოთ.

- გაჭირვება? გულუბრყვილობა? შენი არაფერი მესმის, თომას, სამწუხაროდ, რაღა დროს ჩემი გულუბრყვილობაა. შენ კი შემთხვევა გეძლევა, სიკეთეც ქნა და სარფიანი საქმეც დაატრიალო.

- გეყოფა, ჩემო კარგო, სისულელეს ნუ ამბობ! - წამოიყვირა სენატორმა და მოთმინებიდან გამოსული სავარძელში გადაწვა, - მაპატიე, მაგრამ შენი მიამიტობით კაცი შეიძლება სიგიჟემდე მიიყვანო! ნუთუ არ გესმის, რა უღირს და ბინძურ მანიპულაციებს მთავაზობ? ამღვრეულ წყალში თევზი დავიჭირო? კაცს ტყავი გავაძრო? მემამულის გაჭირვებით ვისარგებლო, უმწეო კაცი მშრალზე დავსვა? მთელი წლის მოსავალი ნახევარ ფასად დავტყუო და მევახშესავით მოგება ვნახო?

- აი, თურმე რა ყოფილა, - თავი გადააქნია შეცბუნებულმა ფრაუ პერმანედერმა და კვლავ ცოცხლად განაგრძო, - სულაც არ არის აუცილებელი, საქმეს ამ მხრიდან შეხედო, ტომ! რას ჰქვია, აიძულო? ის თვითონ გთავაზობს ამ საქმეს, ფული უჭირს და უნდა მეგობრული გზით დაიხსნას თავი, ჩუმად, გაუხმაურებლად. ჩვენ იმიტომ გამოგვძებნა და მეც იმიტომ მიმიწვია, ტომ!

- მოკლედ, იმ ვაჟბატონს ჩემზეც და ჩემს ფირმაზეც მცდარი წარმოდგენა ჰქონია. მე ჩემი ტრადიციები მაქვს. ასეთი საქმე ჩვენს ფირმას ასი წლის განმავლობაში არ გაუკეთებია და რაღა მე უნდა გავაკეთო?

- რა თქმა უნდა, შენ შენი ტრადიციები გაქვს და დიდად პატივსაცემიც, ტომ! მამა ნამდვილად არ იკადრებდა ამას. ღმერთმა დამიფაროს, ამას ვინ ამტკიცებს? მაგრამ ჩემი ჭკუითაც კარგად ვხვდები, შენ სულ სხვა კაცი ხარ და მამა სულ სხვა იყო. რაც შენ გაბარია ფირმა, საქმე ახლებურად მიგყავს, ისეთი საქმეებიც გაგიკეთებია, რასაც მამა თავის დღეში არ იზამდა. ახალგაზრდაც ამიტომა ხარ და ჭკუაც ამიტომ გიჭრის. მე კი ვშიშობ, რომ ამ ბოლო დროს რამდენჯერმე ხელის მოცარვამ შეგაკრთო და რწმენა შეგირყია... შენ თუ ახლა ბედი წინანდებურად აღარ გწყალობს, იცი, რისი ბრალია? მეტისმეტი სიფრთხილითა და სინდისის შიშნარევი კარნახით სარფიან შემთხვევებს ხელიდან უშვებ ხოლმე.

- თავი დამანებე, თუ გიყვარდე, ნერვებს ნუ მიშლი! - მკვახედ თქვა სენატორმა და სავარძელში მოუსვენრად აცმუტდა, - სხვა რამეზე ვილაპარაკოთ!

- ჰო, შენ გაღიზიანებული ხარ, თომას, ამას ძალიან კარგად ვხედავ. თავიდანვე აგეშალა ნერვები და სწორედ იმიტომ გიჩიჩინებ. მინდა დაგიმტკიცო, თავს შეურაცხყოფილად ტყუილად გრძნობ-მეთქი. მე რომ მკითხოს კაცმა, შენ ის გაღიზიანებს, რომ გუნებაში ამ საქმის წინააღმდეგი სულაც არა ხარ. ჩემისთანა სულელმა ქალმაც კი იცის, საკუთარი გამოცდილებით და სხვებისგანაც, რომ კაცს მაშინ ეშლება ნერვები და მაშინ მოსდის გული, როცა თავის წინააღმდეგობის ძალაში მთლად დარწმუნებული ვერ არის და გულში დათმობაზე წასვლის სურვილი უღიტინებს.

- ყოჩაღ, ეგ კარგად გამოგივიდა! - თქვა სენატორმა, პაპიროსს ბოლო მოაკვნიტა და გაჩუმდა.

- კარგად გამომივიდა? აჰ, სულაც არა, ეს უბრალოდ, ცხოვრებისეული გამოცდილებაა. მაგრამ ნუ ვიჩხუბებთ, ტომ. არ მინდა შენს სულში ხელი ვაფათურო. განა შემიძლია ასეთი საქმე დაგაძალო? არა, ამისთვის ცოდნაც არ მეყოფა. მე ხომ ერთი უჭკუო ქალი ვარ. გული მწყდება, მაგრამ რა ვუყო. ამ საქმემ ძალიან დამაინტერესა. ერთი მხრივ, მაიბომების გაჭირვებამ შემაძრწუნა, მეორე მხრივ კი გამიხარდა, ვიფიქრე: ტომი ამ ბოლო დროს უხალისოდაა, ადრე დაიჩივლებდა მაინც, ახლა კი კრინტსაც აღარ ძრავს-მეთქი. რამდენჯერმე ზარალი ნახა. რა ვუყოთ, ცუდი დროა. მერედა ახლა, როცა ჩემი მდგომარეობა, ღვთის შეწევნით, გამოსწორდა და თავს ბედნიერად ვგრძნობ, ვიფიქრე: ეს საქმე ტომისთვის მისწრება იქნება, სწორედ ბედი უღიმის-მეთქი. ამით შეძლებს ზარალი აინაზღაუროს და ხალხსაც დაანახოს, ფირმა „იოჰან ბუდენბროკს“ ბედი ისევ სწყალობსო. შენ რომ ეს წინადადება მიგეღო, იცი, რა სიამაყეს ვიგრძნობდი? ვიტყოდი, საქმე მე მოვაგვარე-მეთქი. შენ ხომ იცი,
ჩემი ოცნება და ლტოლვა მუდამ ის იყო, ჩვენს სახელს რაიმეთი გამოვდგომოდი.
კარგი, კმარა... მაშ, ეს საქმე არ გამოდის. იცი, ყველაზე უფრო რა მადარდებს? მაიბომი მოსავალს მაინც გაყიდის, ტომ, ამ ქალაქში რომ გაიკითხ-გამოიკითხოს, მყიდველს იშოვის. დიახ, იშოვის... და ეს ჰერმან ჰაგენშტრომი იქნება, აი, ნახავ, თუ არა! სწორედ
ის თაღლითი იყიდის.

- ო, მაგაში კი შეიძლება ეჭვი არ შეგეპაროს. ჰაგენშტრომი ასეთ საქმეს ხელიდან არ გაუშვებს, - მწარედ თქვა სენატორმა.

ფრაუ პერმანედერმა სეტყვასავით დააყარა:

- აი, ხომ ხედავ? ხომ ხედავ? ხომ ხედავ?

- რა სისულელეა... ჩვენ აქ სერიოზულად ვლაპარაკობთ - ყოველ შემთხვევაში, შენ მაინც - და რაღაც განუსაზღვრელზე, ჰაერში გამოკიდებულ საქმეზე კი ვმსჯელობთ. თუ არ ვცდები, არც მიკითხავს, ბატონ მაიბომს გასაყიდი რა აქვს-მეთქი, მე ხომ პოპენრადეს სულ არ ვიცნობ...

- ჰოდა, რომ არ იცნობ, უნდა გაიცნო! - ცხარედ თქვა ტონიმ, - როსტოკი აგერ ყურის ძირშია, იქიდან კი პოპენრადე ორი წუთის სავალზეა. გასაყიდი რა აქვსო? პოპენრადე დიდი მამულია. დანამდვილებით ვიცი, ათას კოდზე მეტ ხორბალს იწევენ. უფრო ზუსტად, რა თქმა უნდა, ვერ გეტყვი. ჭვავი, ქერი და შვრია რამდენი მოსდით, არ ვიცი! იქნებ ხუთას-ხუთასი კოდი? მეტი თუ ნაკლები? არა, ნამდვილად ვერ გეტყვი. მოსავალს რომ კარგი პირი უჩანს, ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ ციფრებს ვერ გეტყვი, ტომ, ამისი არაფერი გამეგება. შენ, რა თქმა უნდა, თვითონ უნდა წახვიდე.

სიჩუმე ჩამოვარდა.

- კარგი, ეს ამბავი სალაპარაკოდ არ ღირს, - მტკიცედ მოჭრა სენატორმა, პენსნეს ხელი დაავლო, ჟილეტის ჯიბეში ჩაიდო, სერთუკის ღილები შეიკრა, წამოდგა და ოთახში სწრაფად, მტკიცედ და ფართო ნაბიჯებით გაიარ-გამოიარა. მის მოძრაობაში ფიქრისა

და ყოყმანის ნიშანწყალი აღარ იგრძნობოდა. შემდეგ მაგიდასთან შეჩერდა, დისკენ გადაიხარა, მოღუნული საჩვენებელი თითი მაგიდაზე დააკაკუნა და თქვა:

- ერთი ამბავი მინდა მოგითხრო, ჩემო საყვარელო ტონი. მაშინ მიხვდები, ამ საქმეს ასე რატომ ვეკიდები. არისტოკრატიისადმი და, კერძოდ, მეკლენბურგელი აზნაურობისადმი შენი ტრფიალის ამბავი რომ ვიცი, ამიტომ გთხოვ, მოთმინებით მომისმინო, რადგან ჩემს მონათხრობში ერთი ამ წრიდან გამოსული ვაჟბატონი იქნება გარეული. კარგად მოგეხსენება, მათ შორის ბევრია ისეთი, ვინც კომერსანტებს დიდი პატივისცემით არ ეპყრობა, თუმცა ჩვენ უფრო ვჭირდებით მათ, ვიდრე ისინი - ჩვენ. ერთგვარად გასაგებიცაა მათი გრძნობა - მწარმოებლის უპირატესობა გამსაღებლის წინაშე, რაც საქმიან ურთიერთობაში განსაკუთრებით იჩენს ხოლმე თავს. მოკლედ, ზოგი კომერსანტს ისე უყურებს, როგორც მეძველმანე ურიას, რომელსაც გამონაცვალ ტანსაცმელს აძლევენ და ჰგონიათ, ანგარიშში მოტყუებულნი რჩებიან. დიდ პატივად
არ ჩამეთვლება, თუ იმ ვაჟბატონზე არასოდეს მომიხდენია იაფფასიანი ექსპლოატატორის შთაბეჭდილება. მათ შორისაც მინახავს ჩემზე გაცილებით უჯიათი ვაჭრები. ერთი მათგანისთვის კი პატარა ჭკუის სწავლება დამჭირდა, რომ ჩემთვის თავი გაეტოლებინა. ეს იყო გროსპოგენდორფელი მებატონე. მისი სახელი, ალბათ, გაგიგონია, მასთან არა ერთხელ დამიჭერია საქმე: გრაფი შტრელიცი, ნამდვილი ფეოდალი, ოთხწახნაგა მონოკლიანი კაცი... ახლაც ვერ გამიგია, იმ მონოკლით უპე როგორ არ ეჭრება... მუდამ ლაქის ბოტფორდები აცვია და ხელში ოქროსტარიანი მათრახი უჭირავს. მას ჩვეულებად ჰქონდა, ჩემთვის ნახევრად მოხუჭული თვალებით ზემოდან, ქედმაღლურად გადმოეხედა და ნახევრად მოკუმული ბაგით ელაპარაკა.

ჩემი პირველი ვიზიტი მასთან მნიშვნელოვანი გამოდგა. წინასწარი მიმოწერის შემდეგ გროსპოგენდორფში პირადად გავემგზავრე, ჩემი სავიზიტო ბარათი მემამულეს შევუგზავნე და მის კაბინეტში შევედი. გრაფი შტრელიცი საწერ მაგიდასთან იჯდა. ჩემს სალამზე სავარძლიდან ოდნავ წამოიწია, რაღაც წერილი მოათავა, შემდეგ მომიბრუნდა, სადღაც ჩემს თავს ზემოთ გაიხედა და ისე დაიწყო თავის საქონელზე ლაპარაკი. მე სოფის წინ მდგარ მაგიდას მივეყრდენი, ფეხი ფეხზე გადავიდე და მისი ყურებით ვტკბები. ხუთ წუთის შემდეგ მაგიდაზე ვჯდები და ფეხს ჰაერში ვაქანავებ. ჩვენი მოლაპარაკება გრძელდება. ერთი თხუთმეტი წუთის შემდეგ კი მართლა კეთილშობილური ჟესტით მითითებს სავარძელზე და მეუბნება: ხომ არ დაბრძანდებითო. როგორ გეკადრებათ, - ვეუბნები მე, - რა საჭიროა, დიდი ხანია ვზივარ-მეთქი.

- მართლა ასე უთხარი? მართლა? - წამოიძახა აღტაცებულმა ფრაუ პერმანედერმა. ტონის თითქმის ყველაფერი დაავიწყდა და ახლა იგი მხოლოდ ამ ანეკდოტით ცოცხლობდა, - დიდი ხანია ვზივარო! რა კარგად გითქვამს, ტომ!

- ჰო, აბა! მერწმუნე, ტონი, გრაფი იმ წუთიდან ისე შეიცვალა, როცა მივიდოდი, მაშინვე ხელს გამომიწვდიდა და სავარძელს შემომთავაზებდა ხოლმე. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ბოლოს თითქმის დავმეგობრდით კიდეც. რატომ გიყვები ახლა ამას? იმიტომ, რომ გკითხო: მეყოფოდა მე სიმამაცე, უფლება, შინაგანი რწმენა, ბატონ ფონ მაიბომისთვისაც ასე მესწავლებინა ჭკუა, თუ თავისი მოსავლის ფასზე მორიგებისას ჩემთვის სკამის შემოთავაზება დაავიწყდებოდა?

ფრაუ პერმანედერი დადუმდა.

- კარგი, - თქვა შემდეგ და ფეხზე წამოდგა, - შენ, ალბათ, მართალი ხარ, ტომ, და როგორც გითხარი, არ მინდა წაგაქეზო. შენ უკეთ იცი, რა უნდა ქნა და რისი უფლება გაქვს. მორჩა! თუ დამიჯერებ, მხოლოდ კეთილი სურვილი მამოძრავებდა. ამ საქმეზე კრინტს აღარ დავძრავ. ღამე მშვიდობისა, ტომ! თუმცა, არა, დაიცა, ჯერ ჰანოს
ვაკოცებ და ჩვენს კეთილ იდასაც ვინახულებ. წასვლისას კიდევ შემოვიჭყეტ შენთან.

ფრაუ პერმანედერს მეტი აღარაფერი უთქვამს, ოთახიდან გავიდა.

მესამე თავი

ტონი მესამე სართულისკენ გაემართა, ჰანოს აივანი მარჯვნივ ჩამოიტოვა, ოქროსფერრიკულებიან გალერეას გაუყვა და პატარა ოთახში შევიდა. აქედან ერთი კარი დერეფანში გადიოდა, დერეფნიდან კი კონსულის გარდერობში შეიძლებოდა შესვლა. ტონიმ ჰანოს ოთახს მიაშურა. კარის სახელურს ფრთხილად დააწვა და ოთახში შევიდა.

უზარმაზარი ოთახის ფანჯრებს ნაოჭასხმული, დიდი ყვავი-ლებით მოჩითული ფარდები ამშვენებდა. კედლები თითქმის შიშველი იყო, მხოლოდ იდა იუნგმანის საწოლის თავზე ეკიდა შავ ჩარჩოში ჩასმული დიდი გრავიურა. გრავიურაზე ჯაკომო მეიერბერი იყო გამოსახული. კომპოზიტორს ირგვლივ თავისი ოპერების პერსონაჟები ეხვივნენ. კედელზე ქინძისთავებით კიდევ რამდენიმე ინგლისური ლითოგრაფია მიემაგრებინათ. ლითოგრაფიებზე ოქროსფერთმიანი, წითელ კაბებში გამოწყობილი ბავშვები ეხატა. იდა იუნგმანი ოთახის შუაგულში, დიდ, გასაშლელ მაგიდასთან იჯდა და ჰანოს წინდებს კემსავდა. ორმოცდაათ წელს გადაცილებულ ერთგულ პრუსიელ ქალს ნაადრევად ჭაღარაშეპარული, მუდამ სადად გადავარცხნილი თმა სავსებით ჯერ კიდევ არ გასთეთრებოდა, მაგრამ ჭაღარა უკვე მორეოდა. მუდამ წელგამართუული იდა კვლავ ღონივრად და მხნედ გამოიყურებოდა, მისი მუქი თაფლისფერი თვალები ისევე ცოცხლად, ნათლად და ენერგიულად იმზირებოდნენ, როგორც ოცი წლის წინ.

- საღამო მშვიდობისა, იდა! - ყრუ ხმით, მაგრამ ხალისიანად თქვა ფრაუ პერმანედერმა. იგი ძმის მონაყოლ ამბავს კარგ გუნებაზე დაეყენებინა, - როგორა ხარ, ჩემო ბებრუხანა?

- აჰ, ტონიჰენ, ბებრუხანა ვარ, ხომ? ასე გვიანობამდე შემორჩი აქ?

- ჰო, ჩემს ძმასთან ვიყავი... გადაუდებელი საქმე მქონდა... სამწუხაროდ, ის საქმე ჩაიფუშა. სძინავს? - იკითხა ტონიმ და იდას ნიკაპით პატარა საწოლისკენ ანიშნა.

ბავშვის საწოლი მარცხენა კედელთან იდგა, მწვანე ფარდებით შებურვილი საწოლის თავი კი სენატორისა და მისი მეუღლის საძინებელ ოთახში გამავალ კარს ებჯინებოდა.

- სსს... - დაისისინა იდამ, - ჰო, სძინავს.

ფრაუ პერმანედერი საწოლს ფეხაკრეფით მიუახლოვდა, ფარდები ფრთხილად გადასწია და მძინარე ძმისწულის სახეს დააცქერდა.

პატარა იოჰან ბუდენბროკი გულაღმა იწვა. გრძელი, ღია წაბლისფერი თმის ჩარჩოში ჩასმული პაწაწინა სახე ოთახისკენ მოექცია და ძლივს გასაგონად ფშვინავდა. საღამური პერანგის მეტისმეტად გრძელი და ფართო სახელოებიდან თითები ძლივს მოუჩანდა, ცალი ხელი მკერდზე ედო, მეორე კი - დალიანდაგებულ საბანზე. მოკრუნჩხული თითები ხანდახან უტოკავდა. ნახევრად ღია ბაგეც ისე უთრთოდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო. დროგამოშვებით მთელ ამ პატარა სახეს რაღაც ტკივილი გადაურბენდა, ჯერ ნიკაპი შეუთრთოლდებოდა, მერე თრთოლა ტუჩ-პირს გადაედებოდა, ნაზი ნესტოები შეუთამაშდებოდა და შუბლის კუნთები ეჭმუხნებოდა. გრძელი წამწამები უპეების სილურჯეს ვერ უფარავდა.

- სიზმარშია, - თქვა გულაჩუყებულმა ფრაუ პერმანედერმა. შემდეგ დაიხარა, ბავშვს ძილისგან ატკეცილ ლოყაზე ფრთხილად აკოცა, ფარდები მზრუნველად გაასწორა და ისევ მაგიდასთან მივიდა. იდას საკემსავ ბურთულაზე ახალი წინდა ჩამოეცვა, ნახვრეტს ათვალიერებდა და ამოკემსვას იწყებდა.

- შენ ისევ კემსავ, იდა. რა საოცარია, სხვანაირად ვერც წარმომიდგენიხარ.

- ჰო, ტონიჰენ, რაც ბიჭუნა სკოლაში დადის, კემსვას ვეღარ ავუდივარ.

- კი მაგრამ, ჰანო ისეთი წყნარი და ნაზი ბავშვია...

- ჰო, ჰო... მაგრამ მაინც.

- სკოლაში წასვლა უხარია?

- არა, არა, ტონიჰენ! ისევ ჩემთან მეცადინეობა ურჩევნია. მეც ასე მერჩივნა, ჩემო შვილიკო, სკოლაში ჩემსავით დაბადების პირველი დღიდანვე ხომ არ იცნობენ და

არც იციან, როგორ მიუდგნენ. გაკვეთილებზე ყურის დაგდება ხშირად უჭირს და მალე იქანცება.

- საბრალო! ჯერ ხომ არ გაუწკეპლავთ?

- არა, მაი ბოჟე კოხანე... ასეთ გულქვაობას ვინ გამოიჩენს. ბიჭუნა რომ თვალებში შეაცქერდებათ...

- პირველად რომ წაიყვანეს, რა ქნა, იტირა?

- ჰო, იტირა. ცრემლები ისე იოლად მოსდის... მერე ხმამაღლა კი არ ტირის, ჩუმად სლუკუნებს... შენს ბატონ ძმას სერთუკზე ჩაეჭიდა და ნუ წამიყვანო, ევედრებოდა.

- ჩემმა ძმამ წაიყვანა? ჰო, ვიცი, რა ძნელია ეგ მომენტი, იდა, დამიჯერე, ძალიან ძნელია. მე თვითონ გუშინდელ დღესავით მახსოვს! ღმერთო, როგორ ვღრიალებდი... მერწმუნე, დაბმული ძაღლივით ვყმუოდი, ისე საშინლად მიმძიმდა. მერე იცი
რატომ? იმიტომ, რომ შინ ჰანოსავით ვიყავი განებივრებული. წარჩინებული ოჯახების შვილები ყველანი ტიროდნენ, ეს იმწამსვე მომხვდა თვალში, სხვები არხეინად იყვნენ, ჩვენ შემოგვჩერებოდნენ და იჯღანებოდნენ... ღმერთო! რა ემართება ბავშვს, იდა?

ტონის ხელი გაუჩერდა და შეშინებული საწოლისკენ მიბრუნდა. ბავშვის ყვირილმა სიტყვა გააწყვეტინა. ერთ წუთსაც არ გაუვლია, რომ კვლავ განმეორდა უფრო საბრალო, კიდევ უფრო შემაძრწუნებელი ამოძახილი. სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ აღმოხდა ბავშვს აღშფოთებული, სასოწარკვეთილი ხმა. „ოჰ, ოჰ, ოჰ!“ - კვნესოდა პატარა ჰანო. ეტყობოდა, სიზმარში რაღაც ამაზრზენ სურათს ხედავდა და სასოწარკვეთილებისა და აღშფოთებისგან ხმა უწყდებოდა. თითქმის იმავე წუთს პატარა იოჰანი საწოლში წამოიმართა. ბავშვი გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა და ფართოდ გახელილი, უცნაური, მოოქროსფრო, თაფლისფერი უჩინო თვალებით სადღაც არაამქვეყნიურ სამყაროში იყურებოდა.

- არაფერია, - თქვა იდამ, - ეს pavor-ია.[5] აჰ, ხანდახან ამაზე უარესიც მოსდის ხოლმე, - იდამ ხელსაქნარი მშვიდად გადადო გვერდზე, ფართო, მძიმე ნაბიჯებით ჰანოსთან მივიდა, ტკბილად გამოელაპარაკა და ბავშვი კვლავ ლოგინში ჩააწვინა.

- ჰო, pavor, არა? - გაიმეორა ფრაუ პერმანედერმა, - ახლა იღვიძებს?

ჰანოს არ გაუღვიძია, თუმცა თვალები ისევ ღია ჰქონდა და ტუჩები ისევ უთრთოდა.

- რა? ჰო, კარგი, ახლა გვეყოფა ტიტინი... რა თქვი? - მიუბრუნდა ტონის იდა.

ფრაუ პერმანედერი ახლოს მივიდა და ბავშვის მშფოთვარე ჩურჩულს ყური მიუგდო.

- „მსურს ბაღჩაში გასვლა, - ძლივს ამოთქვა ჰანომ, - ყვავილების მორწყვა“...

- ლექსს ამბობს, - აუხსნა იდამ ფრაუ პერმანედერს და თავი გადააქნია, - ჰო, კარგი, კარგი! გეყოფა, დაიძინე, ჩემო ბიჭიკო!

- „კუზიანი ქონდრისკაცი ჩემს ყვავილებს ყნოსავს“... - თქვა ჰანომ და ამოიოხრა.

უცებ სახის გამომეტყველება შეეცვალა, თვალები ნახევრად დაეხუჭა, თავი ბალიშზე აქეთ-იქით გადააქნია და წყნარი, საბრალო ხმით გაანგრძო:

„ცაზე ანათებს მთვარე,

სადღაც პატარა ტირის,

ზარი ჩამოჰკრავს თორმეტს,

ღმერთო, გვაშორე ჭირი“.

ამ სიტყვებზე ჰანომ ამოისლუკუნა, წამწამებზე ცრემლები დაეკიდა, მერე ორივე ლოყაზე ნელ-ნელა ჩამოუგორდა და გამოეღვიძა კიდეც. ბავშვი იდას შემოეხვია, ცრემლიანი თვალებით მიმოიხედა, მამიდა ტონიო, წაიბუტბუტა გახარებულმა, მხარი იცვალა და მშვიდად განაგრძო ძილი.

- უცნაურია! - თქვა ფრაუ პერმანედერმა, როცა იდა კვლავ მაგიდას მიუჯდა, - რა ლექსები იყო ეს, იდა?

- ერთი წიგნი აქვს, „ბიჭის ჯადოსნური საყვირი“, იქ წერია, - უპასუხა ფროილაინ იუნგმანმა, - შიგ სულ ასეთი უცნაური ლექსებია... ამას წინათ ჰქონდა მიცემული საზეპიროდ და სულ ამ ქონდრისკაცზე ლაპარაკობდა. იცი ეგ ლექსი? ამაზრზენია პირდაპირ. ეს კუზიანი ქონდრისკაცი ყველგან ეჩრება, ამსხვრევს ქოთანს, ნთქავს ფაფას, იპარავს შეშას, აჩერებს ჯარას, ყველას მასხრად იგდებს და ბოლოს იმასაც თხოულობს, ლოცვებში მომიხსენიეთო! ჰოდა, ბავშვზეც იმოქმედა ამ ლექსმა. დღე და ღამე ამაზე ფიქრობს. იცი, რას მეუბნება? ერთი სამჯერ მაინც მითხრა: იდა, არ გეგონოს სიბოროტით მოსდიოდეს იმ ქონდრისკაცს, ასე ცუდად რომ იქცევაო. არა, იდა, სიბოროტით ნამდვილად არ მოსდისო. ამას დარდისგან სჩადის, მერე კი აღარ იზამსო. ჰოდა, დღეს საღამოსაც, დედამისი კონცერტზე წასვლის წინ რომ გამოემშვიდობა, ჰანომ ჰკითხა, კუზიანი ქონდრისკაცისთვისაც უნდა ვილოცო თუ არაო.

- მერე ილოცა?

- ხმამაღლა არა, მაგრამ ჩუმად, ალბათ, ილოცებდა. იმ წიგნში ერთი ლექსია კიდევ, „გადიას საათი“ ჰქვია. ის რომ წაიკითხა, არაფერი უთქვამს, ისე ატირდა... იცი, რა იოლად იწყებს ხოლმე ტირილს? მერე კი დიდხანს ვეღარ ჩერდება...

- რა არის იმ ლექსში სატირალი?

- აბა, რა ვიცი... დაიწყებს ლექსის კითხვას, მივა იმ ადგილზე, ახლა ძილში რომ სლუკუნებდა და ნაბიჯს ვეღარ დგამს წინ. ახლა არ იკითხავ, ერთ მეეტლეზე რამდენი იტირა, თავისი ჩალის ლეიბიდან სამ საათზე რატომ დგებაო.

ფრაუ პერმანედერს ნაღვლიანად გაეცინა, მაგრამ მაშინვე სერიოზული სახე მიიღო.

- იცი რა, იდა, არ არის კარგი, ნამდვილად არ მომწონს, ბავშვს ყველაფერი ასე ახლოს რომ მიაქვს გულთან. რა მოხდა მერე, მეეტლე სამ საათზე თუ დგება? ღმერთო ჩემო, მეეტლეც სწორედ იმიტომ ჰქვია, რომ სამ საათზე უნდა ადგეს. ბავშვი - მადლობა ღმერთს, ამის შეტყობა არ გამიჭირდება - ზედმეტად უკირკიტებს ყველაფერს და ზედმეტადაც განიცდის. ამ ამბავმა არ შეიძლება მის ჯანმრთელობას არ ავნოს. გრაბოვს ერთხელ სერიოზულად უნდა მოელაპარაკოს კაცი... მაგრამ რად გინდა, - ფრაუ პერმანედერმა ხელები გულზე დაიკრიფა, თავი გვერდზე გადასწია და ფეხსაცმლის წვერი იატაკს უკმაყოფილოდ გაუსვა, - გრაბოვი დაბერდა, ესეც რომ არ იყოს... გრაბოვი გულკეთილი, თავმდაბალი, ნამდვილად შესანიშნავი ადამიანია, მაგრამ მისი ექიმობისა დიდი არაფერი მწამს, იდა, ღმერთმა მომიტევოს, თუ ვცდები.
აი, თუნდაც ჰანოს მოუსვენრობა, ღამე წამოხტომა, სიზმარში შიში... გრაბოვმა ყველაფერი კარგად იცის და ვერაფერ ღონეს კი ვერ ხმარობს. მხოლოდ ლათინურად გვიხსნის, ეს pavor nocturnus არისო. არა, ღმერთო, შენ დაგვიფარე და ეს ძალიან დამაფიქრებელი ამბავია. გრაბოვი ნამდვილად კარგი კაცია, ჩვენი ოჯახის ერთგული მეგობარიც არის, მაგრამ როგორც მკურნალი, დიდი ვერაფერი შვილია, მნიშვნელოვანი პიროვნება სხვაგვარად გამოიყურება, ახალგაზრდობაშივე ამჟღავნებს, მისგან რა კაცი დადგება. გრაბოვმა ორმოცდარვა წლის ამბები გამოიარა, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. იქნებ გგონია, ოდესმე რაიმე ააღელვებდა? ან თავისუფლება, ან სამართლიანობა, ან პრივილეგიების დამხობა, ან თვითნებობა? ის ნასწავლი კაცია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უნივერსიტეტსა და პრესაზე გავრცელებული უგუნური ფეოდალური კანონები ძარღვსაც არ შეუტოკებდა. გონს არასოდეს დაკარგავდა, წონასწორობიდან არ გამოვიდოდა. რაც თავი მახსოვს, ასეთივე გრძელი, კეთილი სახე აქვს, ავადმყოფს ყოველთვის ფრანგულ ფუნთუშასა და მტრედის ხორცს უნიშნავს, შედარებით სერიოზულ შემთხვევებში კი სუფრის კოვზით ალთეინის ვაჟინს დაუმატებს ხოლმე... ღამე მშვიდობისა, იდა. არა, არა, მე მგონია, არიან სულ სხვანაირი ექიმებიც... გული მწყდება, გერდას რომ ვეღარ ვნახავ... გმადლობ, დერეფანში ჯერ კიდევ ანთია შუქი. ღამე მშვიდობისა.

ფრაუ პერმანედერმა სასადილო ოთახის კარი შეაღო, უნდოდა, ძმისთვის ღამე მშვიდობისა აქედანვე მიეძახებინა, რომ უცებ თვალში მოხვდა გაჩახჩახებული სივრცე, ზურგზე ხელებდაწყობილი თომასი კი ოთახებში ბოლთას სცემდა.

მეოთხე თავი

მარტო დარჩენილმა სენატორმა ისევ მაგიდას მიაშურა, პენსნე გაიკეთა და გაზეთის კითხვა განაგრძო, მაგრამ ორი წუთის შემდეგ დაბეჭდილ გვერდებს თვალი ისევ მოსწყვიტა, დიდხანს გაუნძრევლად იჯდა და პორტიერებს შორის ჩაბნელებულ სალონს უმიზნოდ გასცქეროდა.

მაინც რა საოცრად ეცვლებოდა სახე სენატორს, მარტო რომ დარჩებოდა! მუდამ დაძაბულ ნებისყოფას დამორჩილებული და დაჭიმული სახის კუნთები და ბაგე მოეშვებოდნენ, მოდუნდებოდნენ. მხნეობით, სიმკვირცხლით, თავაზიანობითა და ენერგიით სავსე კაცს უკვე დიდი ხანია ხელოვნურად მიღებული იერი სახიდან თითქოს ნიღაბივით შორდებოდა და ადგილს გაწამებულ, დაქანცულ სახეს უთმობდა. უმიზნო, უღიმღამო, უჩინო მზერას რომელიმე საგანზე შეაჩერებდა, თვალები ჩაუწითლდებოდა, აუცრემლდებოდა, ძალა აღარ ჰყოფნიდა, საკუთარი თავიც მოეტყუებინა. თავში მორიალე მძიმე, მშფოთვარე ფიქრებიდან მხოლოდ ერთ სასოწარკვეთილ ფიქრს არჩევდა: თომას ბუდენბროკი ორმოცდაორი წლის ასაკში უკვე ხელმოთავებული კაცი იყო. მძიმედ ამოისუნთქავდა, შუბლსა და თვალებზე ხელს ნელა მოისვამდა, პაპიროსს მექანიკურად მოუკიდებდა, თუმცა იცოდა, ამდენი მოწევა ვნებდა და კვამლში გახვეული კვლავ სიბნელეს მიაჩერდებოდა. რამოდენა განსხვავება იყო მისი სახის ნაკვთების ტანჯულ იერსა და მის ელეგანტურ, თითქმის მხედრული ლაზათით მოვლილ თავს შორის: სურნელნაპკურები ულვაშები აეწკიპა,
ნიკაპი და ღაწვები მუდამ სუფთად ჰქონდა გაპარსული, მზრუნველად დავარცხნილი
თმა გამელოტებულ კეფას შეძლებისდაგვარად უფარავდა, უწინ გრძელ ხვეულებად დაყენებული, საფეთქლებთან ყურეებივით ამოსული თმა ახლა მოკლედ შეეკრიჭა, რომ საფეთქელზე შეპარული ჭაღარა არავის დაენახა. თომას ბუდენბროკი თვითონაც გრძნობდა ამ კონტრასტს. ისიც მშვენივრად იცოდა, რომ ქალაქში ყველა კარგად ხედავდა, მის მკვირცხლ, მოქნილ მიხრა-მოხრას ასეთი ავადმყოფური სახის ფერი როგორ არ შეეფერებოდა.

არა, იმიტომ კი არა, თითქოს თომას ბუდენბროკის პიროვნებას ქალაქში რაიმე ჩრდილი მისდგომოდა. მეგობრებიც ამბობდნენ და ვერც მოშურნეები უარყოფდნენ, რომ გუბერნატორი დოქტორი ლანგჰალსი თავისი წინამავალი ოვერდიკის სიტყვებს რიხიანად იმეორებდა, სენატორი ბუდენბროკი ჩემი მარჯვენა ხელიაო. მაგრამ ფირმა
„იოჰან ბუდენბროკი“ ის აღარ იყო, რაც წინათ. ეს კი ისეთი წყალგაუვალი ჭეშმარიტება გახლდათ, რომ გლოკენგისერშტრასელი ბატონი შტუტი თავის ცოლს ამ ამბავს სადილობისას უყვებოდა, როცა ღორის ქონის სუპს მიირთმევდა ხოლმე... და თომას ბუდენბროკს გული უკვნესოდა.

ამგვარი აზრის წარმოშობას თვითონ სენატორი უწყობდა ხელს. თომას ბუდენბროკი მდიდარი კაცი იყო და ვერავითარი შემთხვევითი ზარალი, თუნდაც 66 წლის მძიმე დანაკარგი, ფირმის არსებობას სერიოზულ საფრთხეს ვერ შეუქმნიდა. რა თქმა უნდა, თომას ბუდენბროკი თავისი სახელის შესაფერ ცხოვრებას განაგრძობდა, მის ოჯახში სუფრა ძველებურად უხვად იშლებოდა და სტუმრებს ერთხელაც არ გასცრუებიათ

მოლოდინი, მაგრამ თომასს ღრმად სწამდა, ბედმა მიმუხთლა და ზურგი შემაქციაო. ეს წარმოდგენა შინაგანი რწმენა უფრო იყო, ვიდრე გარეგან ფაქტებზე დაფუძნებული სიმართლე, მაგრამ თომასს ეჭვი ღრღნიდა და სულიერად ისე ანადგურებდა, რომ ფულს ხელს უჭერდა და პირად ცხოვრებაში თითქმის წვრილმან მომჭირნეობას იჩენდა. დღეში ათჯერ მაინც წყევლიდა თავის ძვირად ღირებულ ახალ სახლს. რატომღაც სჯეროდა, ამ სახლმა ფირმას მხოლოდ უბედურება მოუტანაო. სენატორმა საზაფხულო მოგზაურობებიც აღკვეთა და ახლა მის ოჯახს ზღვის სანაპიროსა და მთის მაგივრობას პატარა ბაღჩა უწევდა. მეუღლესა და პატარა ჰანოსთან ერთად თომას ბუდენბროკი, თავისივე მკაცრი ბრძანების წყალობით, ისეთ უბრალო სადილებს მიირთმევდა, რომ ამ ვრცელ, პარკეტმოგებულ, მაღალჭერიან და ძვირფასი მუხის ავეჯით მორთულ დიდებულ სასადილო დარბაზში ასეთი ტრაპეზი თითქმის სასაცილო ჩანდა. კარგა ხანია, დესერტი მხოლოდ კვირაობით იყო ნებადართული. სამაგიეროდ, თომასის ელეგანტურობას გარეგნულად არა დაჰკლებია რა, მაგრამ ძველი ფარეში ანტონი სამზარეულოშიც კი ყვებოდა, სენატორი თეთრ პერანგებს
ახლა მხოლოდ დღეგამოშვებით იცვლის, რადგან ნაზი ტილო ხშირ რეცხვას ვერ უძლებსო. ანტონმა ისიც იცოდა, რომ დათხოვნა ელოდა. გერდა პროტესტს აცხადებდა: სამი მსახური უზარმაზარი სახლის მოვლას ვერ აუთავდებაო, მაგრამ არაფერმა გაჭრა: თომას ბუდენბროკის სენატში გამგზავრების წინ, ამდენი ხნის ნამსახური ფარეში შესაფერად დააჯილდოეს და ფიშერგრუბედან დაითხოვეს.

ასეთ ღონისძიებებს ფირმის ტემპიც სავსებით შეეფერებოდა. იმ ახალი და გამომაცოცხლებელი სულისგან, ახალგაზრდა თომას ბუდენბროკმა რომ ოდესღაც ფირმაში შეიტანა, კვალიც აღარ დარჩენილა. მის კომპანიონს კი, ბატონ ფრიდრიჰ ვილჰემ მარკუსს, ფირმის კაპიტალში მცირე წილი ედო და იგი მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენას ვერც შეძლებდა, მით უმეტეს, რომ ბუნებით ისედაც არ იყო ინიციატივის უნარით დაჯილდოებული კაცი.

ბატონ მარკუსს წლების განმავლობაში პედანტური მიდრეკილებანი კიდევ უფრო გაეღვიძა: წვერ-ულვაშის ჩამოვარცხნას, ჩახველებას, აქეთ-იქით იჭვნეულ ყურებას, სიგარის მოკვეთასა და წანაკვეთის ქისაში შენახვას ნახევარ საათს უნდებოდა. საღამოობით გაზის სინათლით დღესავით გაჩახჩახებულ კანტორაში პულტზე მაინც იდგამდა ანთებულ სტეარინის სანთელს. ჩვეულებად ჰქონდა, ყოველ ნახევარ საათში წამომდგარიყო და ონკანისთვის თავი შეეშვირა. ერთ დილას, შემთხვევით, მისი პულტის ქვეშ ხორბლის ცარიელი ტომარა დარჩენილიყო, ბატონ მარკუსს ტომარა კატა ეგონა და მთელი კანტორის მოხელეების გულის გასახარად კატის გადაგდებას წყევლა-კრულვით ლამობდა. არა, ბატონო მარკუსი იმ ყაიდის კაცი არ გახლდათ, რომ თავისი კომპანიონის მოდუნების საპირისპიროდ საქმეში ენერგიულად ჩარეულიყო და ფირმა გამოეცოცხლებინა. ჰოდა, სენატორს ხშირად იპყრობდა სასოწარკვეთილების გრძნობა, ხშირად იჯდა დღევანდელივით მარტო, ჩაბნელებულ სალონს უღიმღამოდ გასცქეროდა და სირცხვილით იწვოდა: ფირმა „იოჰან

ბუდენბროკი“ ამ ბოლო დროს ისე დაკნინებულიყო, რომ ორგროშიან საქმეებს ატრიალებდა და თითქმის მეწვრილმანეობას მისდევდა.

იქნებ ასეც სჯობდა? უბედურებასაც ხომ დაუდგება ბოლოს და ბოლოს თავისი ზღვარი? განა ჭკვიანური არ იქნება, სანამ უბედურება გვთრგუნავს, წყნარად ვიყოთ, დავიცადოთ და მშვიდად მოვიკრიბოთ შინაგანი ძალა? ნუთუ აუცილებელი იყო მისთვის მაინცდამაინც ახლა შემოეთავაზებინათ ასეთი წინადადება? ვადაზე ადრე რად უნდა დაერღვიათ მისი გონიერი მორჩილება? განა აუცილებელი იყო, ეჭვითა და ფიქრით აევსოთ? იქნებ დაჰკრა ჟამმა, იქნებ ეს ღვთის მოცემული ნიშანია! იქნებ
დროა გამოცოცხლდეს, წამოიმართოს და ამოქმედდეს? თომასმა, რაც შეეძლო, მტკიცე ხმით უთხრა დას უარი, მაგრამ განა ტონის წასვლით გადაწყდა ეს ამბავი? მაშ, რატომღა იჯდა ახლა აქ და ფიქრით თავს რაღად იმტვრევდა? რაო, რა უთხრა ტონიმ? შემოთავაზებულ წინადადებაზე კაცს მაშინ ეშლება ნერვები, როცა თავის წინააღმდეგობის ძალაში დარწმუნებული ვერ არისო. დიდი ეშმაკის ფეხი კია ეს ტონი!

თვითონ რითი შეეპასუხა? როგორც ახსოვს, ძალიან კარგად და შთამაგონებლად უთხრა: „ბინძური მანიპულაცია... მღვრიე წყალში თევზის ჭერა... უხეში ექსპლოატაცია... უმწეო კაცის მშრალზე დასმა... მევახშმის მოგება“... ჩინებულია! მაგრამ საკითხავია, ღირდა კი ამ საქმისთვის ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვების გადმოფრქვევა? კონსული ჰერმან ჰაგენშტრომი არც შეეცდებოდა ასეთი სიტყვები გამოეძებნა. თუმცა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერც იპოვიდა. მაშ, თომას ბუდენბროკი ვინღაა? საქმის კაცია, უნარიანი და მოქმედი, თუ წვრილმანებზე ფიქრს გადაყოლილი პედანტი?

დიახ, ეს იყო საკითხავი. რა დღიდანაც ფიქრი ძალუძს, იქიდან აწვალებს ეს კითხვა. ცხოვრება მკაცრია, საქმის კაცის ცხოვრება კი უშეღავათო და ყოველგვარ სენტიმენტალობას მოკლებული რბოლით დიდი ცხოვრების ანარეკლია. ედგა კი თომას ბუდენბროკს მამა-პაპასავით ორივე ფეხი მყარად ამ მკაცრ და პრაქტიკულ ცხოვრებაში? ხშირად მისცემია საბაბი, რომ ამაში დაეჭვებულიყო! ძალიან ხშირად, სიყმაწვილეშიც იძულებული გამხდარა, თავისი გრძნობები ამ ცხოვრებისთვის შეეგუებინა, სიმკაცრეს შესჩვეოდა, გამოეცადა და თან მისთვის ნამდვილი სახელიც
არ დაერქმია. ცდილობდა ცხოვრებისეული სიმკაცრე რაღაც სავსებით ბუნებრივ ამბად განეცადა და გადაეტანა. ნუთუ ამ სიბრძნეს სრულყოფილად ვერასოდეს ვერ უნდა დაუფლებოდა?

თომას ბუდენბროკმა გაიხსენა, 66 წლის კატასტროფამ რა კვალი დააჩნია მის სულს და მაშინდელი დამთრგუნველი, ენით გამოუთქმელი მტკივნეული შეგრძნება ახლაც შემოაწვა. მან დიდი ფული დაკარგა... მაგრამ, არა, ეს არ ყოფილა ყველაზე აუტანელი! მან საკუთარ ტყავზე პირველად განიცადა სრულად საქმიანი ცხოვრების მთელი შემაძრწუნებელი უხეშობა, სადაც ყველა კეთილი, ნაზი და მოწყალე გრძნობა

თავდაცვის პირველყოფილი, გაშიშვლებული და მოძალადე ინსტინქტების წინაშე ნადგურდება და სადაც თავს დატეხილი უბედურება საუკეთესო მეგობრებშიც კი თანაგრძნობის ნაცვლად უნდობლობას, ცივ, ამაზრზენ უნდობლობას იწვევს. განა ეს აქამდე არ იცოდა? განა ეს უნდა გაჰკვირვებოდა? მას შემდეგ, ძალამოკრეფილს, რამდენჯერ ასდენია სირცხვილის ალმური, იმ პერიოდში ამქვეყნიური ცხოვრების უწმინდურობასა და საზიზღარ, უსირცხვილო სიმკაცრეზე აღშფოთებულს მრავალი ღამე რომ გაუთენებია თეთრად!

ღმერთო ჩემო, რა სისულელე იყო, რა სასაცილო იყო მისი გულისტკივილი! როგორ შეიძლებოდა ამგვარი გრძნობები მორეოდა?! ამ დროს კვლავ იგივე კითხვა წამოიჭრა მის წინაშე: ვინ არის თომას ბუდენბროკი, პრაქტიკული კაცი თუ გასათუთებული მეოცნებე?

აჰ, ეს კითხვა უკვე ათასჯერ დაუსვამს საკუთარი თავისთვის. იმედითა და ძალით აღსავსე დღეებში სხვაგვარად უპასუხია ამ კითხვაზე, მოდუნების წუთებში კი - სხვაგვარად, მაგრამ თომას ბუდენბროკი იმდენად ჭკუამახვილი და პატიოსანი კაცი იყო, არ გაუჭირდებოდა ბოლოს და ბოლოს სიმართლე ეღიარებინა: მის პიროვნებაში ორივე ეს თვისება იყო გაერთიანებული.

თომას ბუდენბროკი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცდილობდა, ხალხის თვალში მოღვაწე კაცად გამოჩენილიყო, მაგრამ თუკი ასეთად მიიჩნევდნენ, მისი მოღვაწეობა, გოეთედან აღებული მისი საყვარელი დევიზის - გონებრივი ენერგიის შეგნებული გამოყენების შედეგი ხომ არ იყო? თომას ბუდენბროკს შეეძლო ოდესღაც წარმატებით ეტრაბახა, მაგრამ იქნებ ის წარმატებანიც საკუთარი რეფლექსიდან მომდინარე ენთუზიაზმისა და ენერგიის წყალობა იყო? და თუ ახლა დაქვეითებული და,
ღმერთმა ნუ ქნას, სამუდამოდ ძალაგამოცლილი ჩანდა, ესეც მისი მერყეობისა და არაბუნებრივი, გამანადგურებელი შინაგანი წინააღმდეგობის ბრალი ხომ არ იყო? ვითომ იყიდდნენ მამამისი, ბაბუა ან პაპის პაპა პოპენრადეს მოუმკალ მოსავალს? სულერთია! სულერთია, იყიდდნენ თუ არა! ისინი რომ თომასზე გაცილებით პრაქტიკული, მასზე უფრო სისხლსავსე, მთლიანი, ძლიერი, უფრო უშუალო და ბუნებრივი პიროვნებები იყვნენ, უდავო ჭეშმარიტება გახლდათ!

თომასს მღელვარება შემოაწვა, მოძრაობის, სივრცისა და სინათლის წყურვილმა შეიპყრო. სკამი გასწია, სალონში გავიდა და მაგიდის თავზე დაკიდებულ ჭაღზე გაზი აანთო. თომასი ფეხზე იდგა, მოკრუნჩხული თითებით ულვაშის ბოლოებს ნელა იგრეხდა და უჩინო მზერა დიდებული დარბაზისთვის მიეპყრო. ამ დარბაზსა და სასტუმრო ოთახს სახლის მთელი წინა მხარე ეჭირა. იგი ღია ფერის, შეზნექილფეხებიანი ავეჯით იყო მორთული, შიგ დიდი საკონცერტო როიალი იდგა. როიალზე გერდას ვიოლინო იდო, გვერდით კი ნოტებით დატვირთული ეტაჟერი და მოხარატებული პულტი ჩანდა. ყველაფერ ამას კარის თავზე სალამურიანი ამურების

ბარელიეფები ამშვენებდა. კაცს თავი პატარა საკონცერტო დარბაზში ეგონებოდა. ერკერი[6] პალმებით იყო შებურული.

სენატორი ბუდენბროკი ერთხანს გარინდული იდგა. შემდეგ დაიძრა, სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, იქიდან სასადილო დარბაზს მიაშურა და გულის დასამშვიდებლად, უფრო კი იმისთვის, რომ რაიმე გაეკეთებინა, ერთი ჭიქა წყალი დალია, მერე ხელები ზურგზე შემოიწყო და ახლა უკანა ოთახებისკენ გაემართა. ხის პანელებით დამშვენებული „თამბაქოს მოსაწევი ოთახი“ მუქი ფერის ავეჯით იყო გაწყობილი. თომასმა სიგარების კარადა მექანიკურად გამოაღო, მაგრამ მაშინვე მიკეტა და სათამაშო მაგიდაზე მდგარ მუხის ზარდახშას სახურავი ახადა. ზარდახშაში ბანქო, ბლოკნოტები და სხვა ამგვარი ნივთები ელაგა. თომასმა ერთი ბღუჯა ძვლის კამათლები ამოიღო, თითებს შუა ჩააჩხრიალა, მერე სახურავი ისევ დახურა და სხვა ოთახებს მიაშურა.

თამბაქოს მოსაწევ ოთახს ჭრელმინებიანი პატარა კაბინეტი ემიჯნებოდა. იგი თითქმის ცარიელი იყო, შიგ მხოლოდ ერთმანეთთან მიდგმული რამდენიმე მსუბუქი მაგიდა იდგა. ერთ მაგიდაზე ლიქიორებიანი ყუთი იდო. აქედან კარი დარბაზში გადიოდა, უზარმაზარი, პარკეტმოგებული დარბაზიც სახლის მთელ სიგანეზე იყო გადაჭიმული. ბაღში გამავალ ოთხ მაღალ ფანჯარაზე ღვინისფერი ფარდები ეკიდა, დარბაზში რამდენიმე იმავე ფერის, მძიმე, დაბალი სოფა იდგა. ღვინისფერი, მაღალზურგიანი სკამები კედელთან მედიდურად იყო ჩარიგებული. დარბაზს ბუხარიც ამშვენებდა. რკინის გისოსებს მიღმა ხელოვნური ნაღვერდალი მოჩანდა, ზედ გადაფენილი მოწითალო ოქროსფერი ბრჭყვიალა ქაღალდი კი ცეცხლის ენების ილუზიას ქმნიდა. სარკის წინ, მარმარილოს თაროზე ორი უზარმაზარი ჩინური ლარნაკი აღმართულიყო.

ახლა მთელი სართული გაზის ნათურების სინათლეში იყო გახვეული, გეგონებოდათ, წვეულების შემდეგ ეს-ეს არის უკანასკნელი სტუმარი წავიდაო. სენატორმა დარბაზი სიგრძეზე გადაჭრა, შემდეგ კაბინეტის მოპირდაპირე ფანჯარასთან შეჩერდა და ბაღში გადაიხედა.

ქულა ღრუბლებიდან ახალი მთვარე იყურებოდა, კაკლის ხის ძირს დახრილ ტოტებში შადრევანი ისროდა შხეფებს და სიჩუმეში მხოლოდ წყლის საამური ჩუხჩუხი ისმოდა. თომასმა ბაღის ბოლოს აღმართულ პავილიონს გახედა, პატარა, თეთრად მოელვარე ობელისკებიანი ტერასა შეათვალიერა, ხრეშმოყრილ სიმეტრიულ ბილიკებს, ფაქიზად მოხაზულ ყვავილნარებსა და გაზონებსაც შეავლო თვალი, მაგრამ ამ ნატიფმა და უზადო სიმეტრიამ დამშვიდების მაგიერ უფრო გააღიზიანა, ნერვები უფრო აუშალა. თომასმა ფანჯრის ჩარჩოს ჩასჭიდა ხელი, შუბლი ზედ მიაყრდნო და კვლავ მძიმე ფიქრებში გაეხვია.

რა ემართება? გაახსენდა დასთან წამოცდენილი ერთი სიტყვა, რომელიც წარმოთქმისთანავე გაუხდა სანანებლად. თომასი მემამულე გრაფ შტრელიცზე

ლაპარაკობდა და აშკარად გამოთქვა აზრი, მწარმოებელსა და გამსაღებელს შორის სოციალური უპირატესობა არსებობსო. მერედა, სწორი იყო ეს? ოჰ, ღმერთო ჩემო, სულერთი არ არის, სწორი იყო თუ არა? მაგრამ განა მას მართებდა ასეთი აზრის გამოთქმა, ამის განსჯა ან, საერთოდ, ხსენებაც კი? განა წარმოიდგენდა, რომ მამამისს, ბაბუას ან თუნდაც რომელიმე ბიურგერს ასეთი აზრი მოუვიდოდა თავში, ან, მით უმეტეს, ამ აზრს ხმამაღლა წარმოთქვამდა ვინმე? ის, ვინც თავის ხელობას ეჭვის თვალით არ უყურებს, ის სხვა ხელობას არც ცნობს, მისთვის მხოლოდ ეს ხელობა არსებობს და მხოლოდ ამ ხელობას აფასებს.

თომასმა იგრძნო, ერთი ძველი ამბის გახსენებაზე სისხლი როგორ შემოაწვა და სახე როგორ აელეწა. თვალწინ წარმოუდგა, მშობლიური სახლის ბაღში ქრისტიანს როგორ წაეჩხუბა. დიახ, სენატორს ერთ-ერთი მძიმედ მოსაგონარი შეტაკება გაახსენდა. ქრისტიანს, ჩვეულებისამებრ, უტაქტოდ და მოურიდებლად, ყველას გასაგონად ვაჭრების შეურაცხმყოფელი სიტყვები წამოეყრანტალებინა. ამ სიტყვებით გაცოფებული და აღშფოთებული თომასი ძმას პასუხს სთხოვდა. ქრისტიანს წამოეროშა, თუ მართალი გინდათ, ყველა საქმის კაცი თაღლითიაო. როგორ? ეს უგუნური და უღირსი სიტყვები თავისი შინაარსით განა ასე შორის იდგა იმისგან, რაც ახლახან წამოსცდა თავის დასთან?

ახსოვს, მაშინ აღშფოთებისგან ცეცხლს აფრქვევდა. რაო, როგორ თქვა იმ ეშმაკის ფეხმა ტონიმ? ვინც ბრაზდებაო...

- არა! - თქვა უცებ ხმამაღლა სენატორმა, თავი მტკიცედ ასწია, ფანჯრის სახელურს ხელი ისე შეუშვა, რომ უკან მიაწყდა და ასევე ხმამაღლა დასძინა, - მორჩა, გათავდა!

შემდეგ ჩაახველა, უნდოდა, საკუთარი ხმისგან მოგვრილი უსიამოვნო გრძნობა თავიდან მოეცილებინა, მიტრიალდა, ხელები ზურგს უკან შემოიწყო და თავჩაქინდრული ოთახებში ბოლთის ცემას მოჰყვა.

- მორჩა, გათავდა! - გაიმეორა მან, - ამას ბოლო უნდა მოეღოს! თავგზა მებნევა, ჭაობში ვეფლობი, ქრისტიანზე უფრო სამასხრო ვხდები!

ო, იმაზეც მადლობა უნდა შესწიროს უფალს, რომ კარგად გრძნობს, რა დღეშიც არის. ჯერ კიდევ შეუძლია ყველაფერი გამოასწოროს, ძალით გამოასწოროს! მოიცა... რა შემოსთავაზეს? მოსავალი... პოპენრადეს მოუმკალი მოსავალი, არა?

- მე ამას გავაკეთებ! - ვნებიანად წაიჩურჩულა თომასმა და საჩვენებელი თითი ჰაერშიც კი გაიქნია, - გავაკეთებ!

ეს ხომ ციდან ჩამოვარდნილი წყალობაა. ახლა შეუძლია კაპიტალი, ვთქვათ, 40000 მარკა, სულ უბრალოდ - ცოტა გადაჭარბებით რომ ვთქვათ - გააორმაგოს. დიახ, ეს ღვთის მოცემული ნიშანი უნდა იყოს, დროა, წელში წამოიმართოო! ეს დასაწყისია, პირველი სვლა და მასთან დაკავშირებული რისკი მორალური ცრურწმენების

გადალახვით ამოიწურება. ეს საქმე თუ გაუმართლებს, მაშინ თომას ბუდენბროკი კვლავ აღზევდება, გაბედულება დაუბრუნდება, ბედ-იღბალსა და ძალას ისევ იმ შინაგან, მოქნილ კლანჭებში მოიქცევს.

არა, იმ ვაჟბატონებს, შტრუნკსა და ჰაგენშტრომს ეს ღლავი, სამწუხაროდ, ხელიდან გაუსხლტებათ. მათ გარდა კიდევ არსებობს ფირმა, რომელსაც ამ შემთხვევაში პირადი ურთიერთობის წყალობით აქვს უპირატესობა! მართლაც, პირადი ურთიერთობა აქ გადამწყვეტი გახლავთ. ეს ხომ ჩვეულებრივი საქმე არ არის, ცივად და ფორმალურად რომ გადაწყვიტო. აქ ხომ ტონიც არის გარეული. ეს უკვე პირადი საქმეა და იგი ტაქტითა და თავდაჭერით უნდა გადაიჭრას. აჰ, არა, ჰერმან
ჰაგენშტრომისთანა კაცი ამ საქმისთვის არ გამოდგება! თომასი, როგორც კომერსანტი, კონიუნქტურას დღესაც გამოიყენებს და ღვთის შეწევნით, მარცვლის გაყიდვის დროსაც, მეორე მხრივ კი, შავ დღეში ჩავარდნილ მემამულესაც გაუწევს სამსახურს. ტონისა და ფრაუ ფონ მაიბომის მეგობრობა ამ სამსახურს მხოლოდ მას ერთს აკისრებს. უნდა მისწეროს... ამ საღამოსვე უნდა მისწეროს ბატონ მაიბომს - ფირმის
გერბიან ქაღალდზე, რომელზედაც მხოლოდ „სენატორი ბუდენბროკია“ დაბეჭდილი, ფრთხილი წერილი უნდა მისწეროს. მხოლოდ ის უნდა ჰკითხოს, თუ შეიძლება უახლოეს დღეებში გესტუმროთო. საჩოთირო საქმე კია, მოლიპულ გზაზე მოუხდება სიარული, მოქნილად უნდა იაროს... მით უკეთესი მისთვის!

სენატორმა ნაბიჯს აუჩქარა, ახლა იგი მთელი მკერდით სუნთქავდა. ერთი წუთით ჩამოჯდა, ისევ წამოხტა და კვლავ ოთახებში მოჰყვა ბორიალს, ყველაფერი ერთხელ კიდევ აწონ-დაწონა, ფიქრებში ბატონ მარკუსს, ჰერმან ჰაგენშტრომს, ქრისტიანსა და ტონის ხედავდა. პოპენრადეს ოქროსფრად მოღაღანე ყანაც წარმოუდგა თვალწინ. ფირმის საერთო აღმავლობაზეც იოცნება, რაც ამ იღბლიან შემთხვევას მოჰყვებოდა, ბოლოს ყოველგვარი ჭოჭმანი ბრაზიანად მოიშორა და თქვა:

- მე ამას გავაკეთებ!

ფრაუ პერმანედერმა სასადილო ოთახის კარი შემოაღო და ძმას ღამე მშვიდობისა უსურვა. თომასმა მექანიკურად უპასუხა. დიდ ხანს არ გაუვლია, ოთახში გერდა შემოვიდა, ქრისტიანი რძალს კართან გამომშვიდობებოდა. გერდას ახლო-ახლო განლაგებულ მუქთაფლისფერ თვალებს იდუმალი ბინდი გადაჰკვროდა, მასზე მუსიკა ყოველთვის ასე მოქმედებდა. სენატორი მეუღლის წინ მექანიკურად შეჩერდა, ესპანელ ვირტუოზსა და მის კონცერტზეც ასევე მექანიკურად ჰკითხა რაღაც და ბოლოს დაუმატა, მეც ახლავე წამოვალ დასაძინებლადო.

მაგრამ თომასი დასაძინებლად არ წასულა, ოთახებში კიდევ დიდხანს დაბორიალებდა, ისევ ხორბლით, ჭვავით, შვრიითა და ქერით სავსე ტომრებზე ფიქრობდა. სწორედ ამ ტომრებს უნდა აევსო პირთამდე მისი ბეღლები: „ლომი“,
„ვეშაპი“, „მუხა“ და „ცაცხვი“. ფასიც მოიფიქრა, ო, არავითარ შემთხვევაში არ შესთავაზებს უკადრის ფასებს. თომას ბუდენბროკი შუაღამისას კანტორაში ჩაიპარა

და ბატონ მარკუსის სტეარინის სანთლის შუქზე ბატონ ფონ მაიბომს ერთი ამოსუნთქვით მისწერა წერილი. სენატორს თავი დამძიმებოდა და უხურდა. წერილი გადაიკითხა, თავის ცხოვრებაში რაც დაუწერია, ყველა იმ წერილზე უკეთესი და ტაქტიანი ეჩვენა.

ეს იყო 27 მაისის ღამეს. მეორე დღეს თომასმა ნახევრად ხუმრობით აუწყა ტონის, შენი შემოთავაზებული საქმე ყოველი მხრიდან ავწონ-დავწონე და პირდაპირ უარის თქმასაც არ ვაპირებ, თუმცა არც ის მინდა, ბატონი ფონ მაიბომი ვიღაც პირველ შემხვედრ მევახშეს ჩავუგდო ხელშიო. იმავე თვის ოცდაათში თომასი როსტოკს გაემგზავრა და იქიდან დაქირავებული კარეტით პოპენრადეში ჩავიდა.

შემდეგ დღეებში თომასი ჩინებულ ხასიათზე იყო, მის ნაბიჯებს მოქნილობა და სილაღე დაუბრუნდა, სახე გამოუცოცხლდა; კლოტილდეს აჯავრებდა, ქრისტიანის ოინბაზობაზე გულიანად იცინოდა, ტონის ეხუმრებოდა, მთელ კვირადღეს ჰანოს ეთამაშებოდა აივანზე, ბავშვს წითელ ბეღელში პაწაწინა ტომრების ჩაცლაზე ეხმარებოდა და მჭექარე, გაჭიანურებული შეძახილებით მუშებს ბაძავდა. სამ ივნისს კი ქალაქის საბჭოს სხდომაზე ერთ საშინლად მოსაწყენ ამბავზე, რაღაც გადასახადის საკითხზე, ისეთი ჩინებული და გონებამახვილური სიტყვა წარმოთქვა, რომ ყველა პუნქტში თავისი გაიტანა და მის წინააღმდეგ გამოსული კონსული ჰაგენშტრომი საჯაროდ გაამასხარავა.

მეხუთე თავი

უყურადღებობით იყო თუ განგებ, სენატორს კინაღამ გამოეპარა ერთი ფაქტი, რაც მხოლოდ ფრაუ პერმანედერის წყალობით გახდა საჯაროდ ცნობილი. ტონი ყველაზე ერთგულად და გულისყურით იქექებოდა საოჯახო დოკუმენტებში, იქ კი 1768 წლის
7 ივლისი ფირმის დაარსების დღედ იყო მოხსენიებული და მისი დაარსების მეასე წლისთავი სწორედ ახლა სრულდებოდა. სენატორს გულმა რეჩხი უყო, ტონიმ აკანკალებული ხმით ეს თარიღი რომ მოაგონა.

თომასს უეცარი აღტყინება დიდხანს არ გაჰყოლია, მალე ისევ მოეშვა, უხალისობამ წინანდელზე უფრო მეტად დარია ხელი. გახურებული მუშაობის დროს ერთბაშად აწრიალდებოდა, კანტორიდან გავიდოდა და მღელვარების დასაოკებლად ბაღში ეულად დაეხეტებოდა. ხანდახან მონუსხულივით ერთ ადგილზე გაშეშდებოდა, ღრმად ამოიოხრებდა და თვალებზე ხელს აიფარებდა. ტომასი აღარაფერს ამბობდა, გულს არავის უშლიდა. ანდა ვისთვის უნდა გადაეშალა გული? ბატონ მარკუსს ვეღარ ცნობდა: მისი აუღელვებელი კომპანიონი თავის სიცოცხლეში პირველად გაცხარდა, როცა თომასმა სახელდახელოდ გააცნო პოპენრადეს საქმე. ამ საქმისგან ხელი დამიბანიაო, მტკიცედ განუცხადა მან თომასს. თავის დას, ფრაუ პერმანედერს

თომასი თავისდა უნებურად გამოუტყდა. ეს მოხდა ხუთშაბათ საღამოს, როცა იგი ტონის ეთხოვებოდა. ტონიმ პოპენრადეს მოსავალზე გადაუკრა სიტყვა. თომასმა დას ხელზე ხელი მოუჭირა და ნაჩქარევად ჩაიჩურჩულა:

- აჰ, ტონი, რომ იცოდე, რა სიამოვნებით მოვიცილებდი იმ მოსავალს თავიდან?!

თომასი სწრაფად გატრიალდა და ფრაუ ანტონია გაოგნებული დატოვა. ამ უეცარ ხელის მოჭერაში გულიდან ამოხეთქილი სასოწარკვეთილების კვალი ჩანდა, ჩურჩულით ნათქვამ სიტყვებში კი დიდი ხნის შეკავებული შიში იგრძნობოდა. მერე კი, როცა ტონიმ მოახლოებული თარიღი ძმას პირველი შემთხვევისთანავე შეახსენა, თომასი დამუნჯდა, საკუთარი სისუსტისა და უნიათობის შეგრძნებისგან სირცხვილი წვავდა, სულს კი მწარე ნაღველი უმღვრევდა, რომ დაკისრებულ მოვალეობას ვერ უძღვებოდა.

შემდეგ დას პირქუშად და უღიმღამოდ უპასუხა:

- აჰ, ჩემო კარგო, მე რომ მკითხო, მერჩია ეს თარიღი უბრალოდ დაგვევიწყებინა.

- დაგვევიწყებინა, ტომ? შეუძლებელია! ეგ რამ გაფიქრებინა?! განა ასეთი თარიღის უგულებელყოფა შეიძლება? როგორ გგონია, მთელი ქალაქი დაივიწყებს ამ დღეს?

- მე არ მითქვამს, შეიძლება-მეთქი. მე ვამბობ, რომ მერჩია, ეს დღე დუმილით აღგვენიშნა. წარსულის საზეიმოდ აღნიშვნა მშვენიერია, როცა აწყმოსა და მომავალს სიხარულით შესცქერი, მამა-პაპის გახსენება მაშინ არის სასიამოვნო, როცა თავს მათგან განუყოფლად გრძნობ, როცა გჯერა, რომ მუდამ მათი გზით გივლია. კარგი ის იყო, იუბილე უფრო შესაფერ დროს დამთხვეოდა... მოკლედ, სულაც არა ვარ ზეიმის გუნებაზე.

- ასე ლაპარაკი არ გმართებს, ტომ, შენი სიტყვების შენ თვითონ არა გჯერა და კარგად იცი, ფირმა „იოჰან ბუდენბროკის“ ასი წლის იუბილემ ზარ-ზეიმის გარეშე რომ ჩაიაროს, თავი საქვეყნოდ მოგვეჭრება. შენ ახლა ცოტა განერვიულებული ხარ და ვიცი, რატომაც... თუმცა, კაცმა რომ თქვას, ნერვიულობის საბაბი არცა გაქვს. აი, დადგება იუბილეს დღე და შენც ჩვენსავით იმხიარულებ.

ტონი მართალი იყო, ამ დღის დუმილით ჩატარება არ შეიძლებოდა. დიდ ხანს არ გაუვლია და „უწყებაში“ წინასწარი შენიშვნა გამოქვეყნდა, სადაც ამ ძველი და პატივცემული სავაჭრო სახლის დაწვრილებითი ისტორია იყო მოთხრობილი. ვაჭართა საზოგადოება უამისოდაც არ დატოვებდა ამ ამბავს უყურადღებოდ. ოჯახში, ხუთშაბათს, მოახლოებული ზეიმი პირველმა იუსტუს კროგერმა ახსენა. ფრაუ პერმანედერმა კი, სადესერტო თეფშები აალაგეს თუ არა, საოჯახო დოკუმენტებით სავსე ტყავის პორტფელი გამოიტანა და ყველას გასაგონად ჰანოს პაპის პაპის, ფირმის დამაარსებლის, ცხონებული იოჰან ბუდენბროკის ცხოვრების თარიღების კითხვა დაიწყო: როდის ჰქონდა ბუდენბროკთა ამ წინაპარს ჩუტყვავილა და როდის

ნამდვილი ყვავილი, როდის ჩამოვარდა სხვენიდან და როდის შეეყარა ციებ-ცხელება, ყველაფერი ეს ტონიმ რელიგიური მოწიწებით წაიკითხა. ფრაუ პერმანედერი თავს ვეღარ თოკავდა. ახლა მეთექვსმეტე საუკუნეს გადასწვდა და გრაბაუს რატსჰერად ცნობილი ბუდენბროკი მოიხსენია, შემდეგ როსტოკელი თერძი, რომელსაც „შეძლებულად ეცხოვრა“, - ეს სიტყვები გახაზული იყო, - უამრავი შვილიც შესძენოდა, ოღონდ ზოგი შერჩენოდა და ზოგი არა.

- რა დიდებული კაცი ყოფილა! - წამოიძახა ტონიმ და ძველი, გაყვითლებული, დაფლეთილი წერილებისა და სადღესასწაულო ოდების კითხვას შეუდგა.

* * *

თავისთავად გასაგებია, რომ შვიდი ივლისი სენატორს პირველმა ბატონმა ვენცელმა მოულოცა.

- დიახ, ბატონო სენატორო, ასი წელი ხუმრობა არ არის, - თქვა მან და სამართებელი და სალესი ღვედი წითელ ხელებში აათამაშა, - აქედან დაახლოებით ნახევარი საუკუნე იქნება, რაც თქვენი პატივცემული ოჯახის წევრებს ვპარსავ და ძალაუნებურად თქვენი ჭირისა და ლხინის პირველი მოწმე ვხდები. რა გასაკვირია, შეფს პირველი მე ვიგდებ ხოლმე სალაპარაკოდ ხელში. ცხონებული ბატონი კონსული დილაობით ყოველთვის ლაპარაკის ხასიათზე ბრძანდებოდა და ხშირად მეკითხებოდა ხოლმე: ვენცელ, რას იტყვი, გავყიდო ჭვავი თუ კიდევ აიწევს ფასი და დაველოდოო.

- დიახ, ვენცელ, უთქვენოდ ყოფნა ვერც მე წარმომიდგენია. თქვენს ხელობას, როგორც არაერთხელ მითქვამს, მართლაც ბევრი რამ აქვს მომხიბლავი. როცა დილით ჩამოვლას მორჩებით, ყველაზე ჭკვიანი თქვენა ხართ ხოლმე, თითქმის ყველა დიდი სავაჭრო სახლის შეფი გაპარსული გყავთ და ყოველი მათგანის გუნება იცით. ეს ისე საინტერესოა, ნამდვილად შესაშურია.

- მართალი ბრძანდებით, ბატონო სენატორო, მაგრამ, რაც შეეხება ბატონ ბუდენბროკის გუნებას, თუ ნებას მომცემთ... ბატონი სენატორი ამ დილას ისევ ფერგამკრთალი ბრძანდება.

- ჰოო, თავი მტკივა, ვენცელ, და არა მგონია, მალე გამიაროს, მით უმეტეს, რომ დღეს დიდი ჯაფა დამადგება.

- მეც ასე მგონია, ბატონო სენატორო. ქალაქში დიდი გამოცოცხლებაა, დიდი გამოცოცხლება. იქნებ ბატონმა სენატორმა ფანჯარაში გახედვა ინებოს, დროშების ტყე დგას! ფიშერგრუბეს ბოლოს კი „ვულენვეევერსა“ და „ფრიდერიკე ოვერდიკს“ ყველა ალამი აღუმართავთ.

- ჰო, დაუჩქარეთ, ვენცელ, დასაკარგი დრო სადა მაქვს.

სენატორს დღეს სამუშაო სერთუკი არ ჩაუცვამს, ღია ფერის შარვალსა და შავ, გულამოღებულ ფრაკში გამოეწყო. ფრაკიდან ქათქათა პიკეს ჟილეტი მოუჩანდა. იცოდა, სტუმრები დილიდანვე დაიწყებდნენ დენას. თომასმა უკანასკნელად ჩაიხედა სარკეში, ვენცელს გრძელი ულვაშები ცხელი მაშით ერთხელ კიდევ გადააგრეხინა, მერე ამოიხვნეშა და კარისკენ გაემართა.

გაწამაწია დაიწყო... ნეტავ ეს დღე უკვე ჩავლილი ყოფილიყო! ერთი წუთით მაინც შესძლებოდა მარტო დარჩენა, რომ სახის კუნთები დაესვენებინა! სტუმრობა თითქმის მთელ დღეს გაგრძელდებოდა. ასობით ადამიანისგან ტაქტიანად და ღირსეულად უნდა მიეღო მილოცვა, ყოველ მხარეს ეფრქვია წინდახედული და სიტუაციის შესაფერი სიტყვები, მორიდებული, სერიოზული, მეგობრული, ირონიული, სახუმარო, თავაზიანი, გულითადი სიტყვები ეპოვა. მერე კი ნაშუადღევიდან შუაღამემდე რატჰაუსის სარდაფში მის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე უნდა მჯდარიყო.

სენატორმა იცრუა, თავი არ სტკიოდა, მხოლოდ დაღლილი იყო. დილიდან გამოყოლილი სიმშვიდე დიდხანს არ შერჩენია, ნერვები უკვე აშლილი ჰქონდა და გაურკვეველი სევდა გულზე ლოდივით აწვა. რატომ იცრუა? თავისი ცუდი
განწყობის გამო სინდისი ხომ არ ქენჯნიდა? მერე რატომ?.. მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არ იყო.

სასადილო ოთახში შესულ თომასს გერდა ხალისიანად შეეგება. გერდაც სადღესასწაულოდ იყო მორთული. შოტლანდიური, სრიალა ქვედა კაბა ეცვა. თეთრ კოფთაზე თხელი აბრეშუმის ზუავური მოსაცმელი მოესხა. ზუავური მოსაცმელი მისი მუქი სპილენძისფერი ხშირი თმის ფერისა იყო. გერდა იღიმებოდა და მშვენიერ თეთრ სახეზე კბილები კიდევ უფრო თეთრად უელავდა, დღეს ახლო-ახლო განლაგებული, იდუმალებით სავსე, მუქი თაფლისფერი, უპეებში მოლურჯო ჩრდილებჩაწოლილი თვალებიც კი უცინოდა.

- რა ხანია ფეხზე ვარ. ამით შეგიძლია დაასკვნა, როგორი ენთუზიაზმით გილოცავ.

- შეხე! მაშ, ასი წელი შენზედაც ახდენს შთაბეჭდილებას?

- მერედა როგორ! თუმცა, რა ვიცი, იქნებ სადღესასწაულო განწყობილების ბრალიცაა... რა დღეა! აი, თუნდაც ეს ნახე! - და გერდამ გაწყობილ სუფრაზე
მიუთითა. სუფრა მათი ბაღის ყვავილებისგან მოწნული გვირგვინებით იყო შემკული,
- ფროილაინ იუნგმანის ნახელავია... შენ თუ გგონია, ახლა ჩაის მიირთმევ, ცდები. სალონში უკვე ოჯახის მთავარი წევრები გელოდებიან, სადღესასწაულო საჩუქარიც უკვე თანა აქვთ. იმ საჩუქარში მეც მიმიძღვის პატარა წვლილი... ყური მიგდე, თომას, ეს, რა თქმა უნდა, ვიზიტების დასაწყისია მხოლოდ. ვიზიტებს ცოტა ხანს გავუძლებ, მაგრამ შუადღისთვის, იცოდე, მოსასვენებლად წავალ. ბარომეტრი კი დაეცა, მაგრამ ცა ისევ ხასხასა ლურჯია, ბაირაღებს ძალზე უხდება, მთელი ქალაქი დროშებითაა

მორთული, მაგრამ დღეს პაპანაქება სიცხე იქნებაო. წამო, შენი საუზმე მოიცდის.
დღეს ცოტა ადრე უნდა ამდგარიყავი. ახლა პირველი მღელვარება მშიერ კუჭზე უნდა განიცადო.

კონსულის მეუღლე, ქრისტიანი, კლოტილდე, იდა იუნგმანი, ფრაუ პერმანედერი და ჰანო სალონში იყვნენ, ჰანოსა და ფრაუ პერმანედერს გაჭირვებით ეკავათ ოჯახის სადღესასწაულო საჩუქარი - უზარმაზარი სამახსოვრო სურათი.

კონსულის მეუღლემ თავისი პირმშო გულში თბილად ჩაიკრა.

- ჩემო საყვარელო შვილო, რა მშვენიერი დღე გაგვითენდა. მშვენიერი დღე, - გაიმეორა მან, - ღმერთს მუდამ მადლს უნდა ვწირავდეთ ყველა წყალობისთვის, ყველა წყალობისთვის... - კონსულის მეუღლეს გული ამოუჯდა.

დედის მკერდში თავჩარგულ სენატორს სისუსტე მოერია. თითქოს შიგნით რაღაც გაულღვა და ჩასწყდა. ბაგე აუკანკალდა. დაუოკებელი სურვილი შემოაწვა, დედის მკლავებში, მის მკერდზე, მისი რბილი აბრეშუმის კაბის ნაზ სურნელებაში გახვეული, თვალდახუჭული გარინდულიყო, აღარაფერი დაენახა და არაფრის თქმა
არ დასჭირვებოდა. თომასმა დედას აკოცა და წელში გაიმართა, ძმას ხელი გაუწოდა. ქრისტიანმა, როგორც დღესასწაულებზე იცოდა ხოლმე, ძმას ხელი ნახევრად დაბნეულმა, ნახევრად დარცხვენილმა ჩამოართვა. კლოტილდემ რაღაც გაჭიანურებული და მეგობრული სიტყვა თქვა. ფროილაინ იუნგმანი ქედის მოხრით დაკმაყოფილდა და ფიცარივით გულმკერდზე დაკიდებული საათის ვერცხლის ძეწკვი აათამაშა.

- მოდი აქ, ტომ, - აკანკალებული ხმით მიმართა ფრაუ პერმანედერმა ძმას, - მე და ჰანო წელში გავწყდით.

სურათი თითქმის მარტო მას ეჭირა, რადგან ჰანოს მკლავებში დიდი ძალა არ ჰქონდა. დაძაბული და აღტაცებული ტონი თავგამოდებულ წამებულს ჰგავდა. თვალები ასწყლიანებოდა, ლოყებზე ალმური ასდიოდა, მაგრამ ნახევრად სასომიხდილი ენის წვერს ზედა ტუჩზე მაინც ცელქად ათამაშებდა.

- ჰო, ახლა თქვენი ჯერია! - თქვა სენატორმა, - ეს რა არის? მოდი, აქ მივაყუდოთ, - თომასმა სურათი როიალის გვერდით კედელთან მიდგა და თავისიანებით გარშემორტყმული მის წინ შეჩერდა.

მასიურ, მოხარატებულ კაკლის ხის ჩარჩოში ჩასმულ მუყაოზე ფირმა „იოჰან ბუდენბროკის“ ოთხი მფლობელის პორტრეტები იყო დახატული, ყოველი მათგანის ქვეშ დაბადების თარიღი და სახელი მიეწერათ. ფირმის დამაარსებელი იოჰან ბუდენბროკის სახე ზეთის საღებავით შესრულებული ძველი სურათიდან გადმოეღოთ. მაღალ, სერიოზული სახის მოხუცს ბაგე მკაცრად ჰქონდა მოკუმული და ჟაბოს ზემოდან მტკიცედ იყურებოდა; მის გვერდით იოჰან ბუდენბროკის, ჟან-ჟაკ

ჰოფშტედეს მეგობრის, ფართო და მხიარული სახე მოჩანდა. მესამე პორტრეტზე კონსული იოჰან ბუდენბროკი იყო გამოსახული: ნიკაპი მაღალ, გაშეშებულ საყელოში ეფლობოდა, კონსულს ფართო, დანაოჭებული პირი და დიდი, კეხიანი ცხვირი ჰქონდა; ღვთისმოსავი, რელიგიური ღრმა რწმენით ამეტყველებული თვალები სურათის წინ მდგომთათვის მიეპყრო. სულ ბოლოს თვითონ თომას ბუდენბროკის პორტრეტი მოეთავსებინათ. თომასის სახე მხატვარს შედარებით ახალგაზრდობის სურათიდან დაეხატა. პორტრეტებს შუა სტილიზებული ოქროს თავთავი იყო გამოსახული, მათ ქვეშ მკაფიოდ იკითხებოდა თარიღები: 1768 და 1868, უფრო
ქვემოთ მხატვარს ასევე ოქროთი მოვარაყებული, მათი წინაპრის ხელს მიმსგავსებული, გოთური ყელყელა ასოებით გამოეყვანა დევიზი: „შვილო ჩემო, ბეჯითად იშრომე დღისით, მაგრამ გახსოვდეს, მხოლოდ ისეთ საქმეს მოჰკიდე ხელი, რომელიც ღამე მშვიდ ძილს არ დაგიფრთხობს“.

ზურგზე ხელებდაწყობილი სენატორი დიდხანს იდგა სურათის წინ.

- დიახ, დიახ, - თითქმის დამცინავად წარმოთქვა უცებ მან, - ღამის ტკბილი ძილი კარგი რამაა, - შემდეგ სერიოზულად, თუმცა ოდნავ ნაჩქარევად მიმართა თავისიანებს, - გულითად მადლობას გიძღვნით, ჩემო კარგებო! მშვენიერი და ჭკვიანური საჩუქარია! თქვენი აზრით, სად უნდა დავკიდოთ ეს სურათი? ჩემს კაბინეტში?

- ჰო, ტომ, შენი საწერი მაგიდის თავზე! - უპასუხა ფრაუ პერმანედერმა და ძმას გადაეხვია. შემდეგ სენატორი ფანჯრისკენ გაიყოლია და გარეთ გადაახედა.

ზაფხულის მუქი ლურჯი ცის ქვეშ ორფერი დროშები ფრიალებდა, ფიშერგრუბეზე დროშები ყველა სახლს გამოეკიდა, ბრაიტენშტრასეც ნავსადგურამდე ბაირაღებით იყო მორთული, ნავსადგურში კი „ვულენვეევერსა“ და „ფრიდერიკე ოვერდიკს“ თავიანთი პატრონის პატივსაცემად ყველა ალამი აღემართათ.

- მთელი ქალაქი ასეა მორთული! - თქვა ფრაუ პერმანედერმა და ხმა აუკანკალდა, - მე უკვე გავისეირნე ქალაქში, ტომ. ჰაგენშტრომებსაც გამოუკიდიათ დროშა! მეტი რა
გზა ჰქონდათ... ფანჯრებს ჩავუმსხვრევდი, რომ არ გამოეკიდათ.

თომასს გაეღიმა, ტონიმ ძმა მაგიდასთან მიიყვანა.

- აი, აქ კი დეპეშებია, ტომ... ეს პირველად მოსული დეპეშები, რასაკვირველია, პირადი მოლოცვებია, ჩვენი ახლობლებისგან, მეგობრებისგან კანტორაში მოვა.

მათ რამდენიმე დეპეშა გახსნეს: ბუდენბროკებს ულოცავდნენ ჰამბურგელი და ფრანკფურტელი ნათესავები, ბატონი არნოლდსენი და მისი ახლობლები ამსტერდამიდან, ვისმარიდან იურგენ კროგერს გამოეგზავნა დეპეშა. უცებ ფრაუ პერმანედერი აილეწა.

- ის თავისებურად კარგი ადამიანია, - თქვა მან და ძმას ახალგახსნილი დეპეშა გაუწოდა.

დეპეშას ხელს აწერდა პერმანედერი.

- დრო აღარ ითმენს, - თქვა სენატორმა და ჯიბის საათს სახურავი ახადა, - მინდოდა ჩაი დამელია, ხომ არ დამეწვევით? მერე სახლში ისეთი რია-რია იქნება, რომ...

სენატორის მეუღლემ იდა იუნგმანს რაღაც ანიშნა და თომასი შეაჩერა.

- ერთი წუთით, თომას... ხომ იცი, ჰანო ახლა გაკვეთილზე მიდის, უნდოდა შენთვის ლექსი წაეკითხა. მოდი, ჰანო! წარმოიდგინე, რომ მარტონი ვართ. ნუ აღელდები!

პატარა იოჰანი იძულებული იყო ივლისში, არდადეგების დროსაც კი ემეცადინა არითმეტიკაში, რომ ამ საგანში თავის კლასს არ ჩამორჩენოდა. სადღაც, ქალაქის გარეუბანში, სანქტ-გერტრუდში, ჩახუთულ, ამყრალებულ ოთახში მას წითელწვერა, ფრჩხილებგაჭუჭყიანებული კაცი ელოდებოდა, რომ მისთვის დაწყევლილი გამრავლების ტაბულა დაეზეპირებინა. მაგრამ ჯერ მამისთვის ლექსი უნდა ეთქვა, აი,
ის ლექსი, მეორე სართულის „აივანზე“ იდასთან ერთად რომ გაიზუთხა ბეჯითად.

ჰანო როიალს მიეყრდნო. ბავშვს კოპენჰაგენური მეზღვაურის კოსტიუმი ეცვა, ტილოს ფართო საყელო მხრებზე ეფინა, საყელოდან თეთრი გულისპირი მოუჩანდა, თვითონ საყელო კი მსხვილი, ბაგირისებური კვანძით ეკვრებოდა, სუსტი ფეხები გადაეჯვარედინებინა, თავი და ზედა ტანი ოდნავ გადაეხარა და დამფრთხალი, გრაციოზული პოზა მიეღო. ორი თუ სამი კვირის წინ იძულებული გახდნენ მისთვის გრძელი კულულები შეეკრიჭათ - სკოლაში მარტო ამხანაგები კი არა, მასწავლებლებიც დასცინოდნენ - მაგრამ თავზე თმა კვლავ კულულებად ეყარა და საფეთქლებსა და ნატიფ შუბლზე ლამაზად ჰქონდა ჩამოშლილი. ჰანოს ქუთუთოები დაეხარა და გრძელი, წაბლისფერი წამწამები ამოლურჯებულ უპეებს უფარავდა, მოკუმული ტუჩები ოდნავ მოღრეცოდა.

ჰანომ კარგად იცოდა, რაც მოხდებოდა. ატირდებოდა და ლექსს ბოლომდე ვერ იტყოდა. ლექსის თქმაზეც ისევე ეკუმშებოდა გული, როგორც კვირაობით, მარიენკირხეში ბატონ პფიულის ორგანის გულის სიღრმემდე ჩამწვდომი, საზეიმო ხმების მოსმენისას. იგი ახლაც ისევე ატირდებოდა, როგორც ყოველთვის ტიროდა ხოლმე, როცა მისგან თავის გამოჩენას მოითხოვდნენ ან ცდიდნენ, როცა მამა მის უნარსა და სულიერ სიმტკიცეს ამოწმებდა. ნეტავ დედას არ გაეფრთხილებინა მაინც,
არ აღელდეო. დედას მისი გამხნევება უნდოდა, მაგრამ არ გამოუვიდა. ჰანო ამას გრძნობდა. აი, ახლა ყველანი იდგნენ და მას შეჰყურებდნენ. ყველანი გულის კანკალით ელოდნენ, რომ ჰანო ატირდებოდა... განა შეიძლებოდა, ამ დროს არ ატირებულიყო? ჰანომ წამწამები ასწია და იდას თვალები მოძებნა, იდა ვერცხლის ძეწკვს ათამაშებდა და გასამხნევებლად სევდიანი ღიმილით უქნევდა თავს. ჰანოს უზარმაზარი სურვილი შემოაწვა, იდას ჩაჰკვროდა, აქედან თავი გაეყვანინებინა და

მისი წყნარი, დამამშვიდებელი ხმის მეტი არაფერი გაეგონა, დაწყნარდი, ჰანოჰენ, ჩემო ბიჭიკო, ლექსის წაკითხვა არ გინდაო.

- აბა, შვილო, მოგვასმენინე, - მოკლედ თქვა სენატორმა.

იგი მაგიდასთან ჩამჯდარიყო სავარძელში და იცდიდა. თომასი არ იღიმებოდა, მას ასეთ დროს საერთოდ არ უყვარდა გაღიმება, მით უმეტეს - დღეს... ცალი წარბი მაღლა აეზიდა და პატარა იოჰანის ფიგურას გამომცდელ, თითქმის ცივ მზერას არ
აცილებდა.

ჰანო წელში გაიმართა. როიალის გაკრიალებულ ზედაპირს ხელი გადაუსვა, ირგვლივ დამფრთხალი მზერა მოავლო და ბებიისა და მამიდა ტონის გულთბილი მზერით ოდნავ გულმოცემულმა, წყნარი, ოდნავ ყრუ ხმით დაიწყო:

- ულანდი, „მეცხვარის საკვირაო სიმღერა“.

- ო, ჩემო კარგო, ეს რასა ჰგავს! - წამოიყვირა სენატორმა, - როიალზე გადაკიდებულხარ და ხელები მუცელზე დაგიკრეფია... თავისუფლად დადექი! თავისუფლად ილაპარაკე! ეს არის მთავარი! აი, იქ დადექი პორტიერებთან! თავი მაღლა ასწიე! ხელები დაუშვი!

ჰანო სასტუმრო ოთახის ზღურბლზე დადგა და ხელები ძირს დაუშვა. თავი მორჩილად ასწია, მაგრამ წამწამები ისე დახარა, რომ თვალები სულ აღარ უჩანდა. ალბათ, თვალები ნელ-ნელა უკვე ებერებოდა ცრემლით.

- „დღეს უფლის დღეა“... - ძლივს გასაგონად თქვა ჰანომ.

მამამ უფრო მკვახედ შეაწყვეტინა:

- ლექსის თქმას თავის დაკვრით იწყებენ, ჩემო შვილიკო, და თან უფრო ხმამაღლა. აბა, ერთხელ კიდევ! ჰო, აბა: „მეცხვარის საკვირაო სიმღერა“.

ეს უკვე სისასტიკე იყო და სენატორმა კარგად იცოდა, ბავშვს ამით უკანასკნელ ძალასა და სიმტკიცეს ართმევდა, მაგრამ ბიჭუნა არ უნდა დანებებოდა! თავი არ უნდა დაეჩაგვრინებინა! სიმტკიცე და ვაჟკაცობა უნდა გამოეჩინა.

- „მეცხვარის საკვირაო სიმღერა“, - გაუმეორა სენატორმა შვილს დაუნდობლად და გამამხნევებლად.

მაგრამ ჰანოს საქმე წასული იყო. თავი ჩაქინდრა და ფერმკრთალი, მოცისფრო ძარღვებით დაქსელილი მარჯვენა ხელით, რომელიც მუქლურჯი ხალათის ღუზაამოქარგული ვიწრო სახელოდან მოუჩანდა, პორტიერების ფარჩას ჩაებღაუჭა.

- „ეულად ვდგავარ ტრიალ მინდორში“, - თქვა მან და მეტი ვეღარ შეძლო, ლექსის განწყობამ დაიმორჩილა. საკუთარი თავი ისე შეებრალა, რომ ხმამ უღალატა და წამწამებზე ცრემლი გადმოეკიდა. უცებ იმ ღამეების დაბრუნების ნატვრა შემოაწვა,

როცა შეუძლოდ მყოფი ლოგინში იწვა, პატარა სიცხე ჰქონდა, ყელიც ოდნავ სტკიოდა. იდა მოვიდოდა, წყალს დაალევინებდა ხოლმე და შუბლზე ახალ-ახალ კომპრესებს ადებდა სიყვარულით. ჰანო გვერდზე გადაიხარა, თავი ფარდაზე ჩაჭიდებულ ხელზე ჩამოდო და აქვითინდა.

- არა, ეს მეტისმეტია! - მკვახედ თქვა გაბრაზებულმა სენატორმა და ფეხზე წამოდგა, - რა გატირებს? სატირალი ის არის, რომ ასეთ დღესაც კი არ შეგიძლია ძალა მოიკრიბო და მასიამოვნო. პატარა გოგო ხომ არა ხარ? ასე თუ გააგრძელე, რა გამოვა შენგან? ხალხის წინ რომ გამოხვალ, მაშინაც ცრემლებში იბანავებ?

„არასოდერს, არასოდეს არ გამოვალ ხალხის წინაშე!“ - ფიქრობდა სასოწარკვეთილი ჰანო.

- დღეს სადილობამდე იფიქრე ამაზე! - დაასკვნა სენატორმა და სასადილო ოთახისკენ გაემართა.

იდა იუნგმანმა თავისი გაზრდილის წინ მუხლებზე დაიჩოქა, თვალები ამოუმშრალა და საყვედურნარევი, ალერსიანი ხმით დაამშვიდა.

თომასი ნაჩქარევად საუზმობდა. კონსულის მეუღლე, ტონი, კლოტილდე და ქრისტიანი სენატორს გამოემშვიდობნენ, მათ დღეს კროგერებთან, ვაინშენკებსა და ბრაიტენშტრასელ ქალბატონ ბუდენბროკებთან ერთად აქ, გერდასთან უნდა ესადილათ. სენატორი კი ამ დროს რატჰაუსის სარდაფში გამართულ სადილზე იქნებოდა. თომასი იქ დარჩენას დიდხანს არ აპირებდა და იმედი ჰქონდა, რომ ოჯახის წევრებს საღამოს მაინც მოუსწრებდა შინ.

სენატორი ყვავილებით შემკულ სუფრას მიუჯდა, ცხელი ჩაი ლამბაქიდან დალია, კვერცხი ნაჩქარევად შეჭამა და კიბეზე ორიოდე ნაფაზის დარტყმა მოასწრო.

გრობლებენს შუაგულ ზაფხულში ყელზე შალის კაშნე მოეხვია, მარცხენა მკლავზე ფეხსაცმელები ეკიდა, ჯაგრისი მარცხენა ხელში ეჭირა, ცხვირზე კი გრძელი ბოტოტი ჩამოკონწიალებოდა. იგი ბაღში გამავალი ტალანიდან შემოვიდა, ზევით დააპირა ასვლა და თავის ბატონს იმ კიბის ძირში შეეჩეხა, სადაც ახლა წაბლისფერი დათვი იდგა და თათებში სადარბაზო ბარათების ჩასაყრელი თასი ეჭირა.

- დიახ, ბატონო სენატორო, ასი წელი გახლავთ... ჰოდა, ზოგი ღარიბია, ზოგი მდიდარი...

- კარგი, კარგი, გრობლებენ! - სენატორმა ჯაგრისიან ხელში ოქროს ფული ჩაუდო, თაღი გაიარა და მისაღები ოთახისკენ გაემართა.

მთავარ კანტორაში სენატორს მოლარე შეეგება, ახმახი კაცი, რომელსაც საოცრად ერთგული თვალები ჰქონდა და მთელი პერსონალის სახელით დღესასწაული, როგორც კი შეეძლო, მაღალფარდოვანი სიტყვებით მიულოცა. სენატორმა ორიოდე

სიტყვით გადაუხადა ყველას მადლობა და თავის სავარძელს მიაშურა, მაგრამ მაგიდაზე გამზადებული გაზეთების გადათვალიერება და ფოსტის გადარჩევა ვერც მოასწრო, რომ კარზე დააკაკუნეს და მომლოცველებიც გამოჩნდნენ.

ეს ბეღლის მუშების წარმომადგენლები იყვნენ. მუშები დათვებივით მძიმედ-მძიმედ და ფეხებგალაჯულნი მოაბიჯებდნენ. გულღიად იღიმებოდნენ და ხელში ქუდებს აწვალებდნენ. მათმა წინამდგომმა საღეჭი თამბაქო გამოაპურჭყა, შარვალი ამოიქაჩა და აღელვებული ხმით „ას წელიწადსა“ და „კიდევ მრავალ ას წელიწადზე“ ილაპარაკა. სენატორმა მუშებს ჯილდოდ ამ კვირაში ხელფასის მომატება აღუთქვა და ყველანი გაისტუმრა.

მალე გადასახადების დეპარტამენტის მოხელეებიც მოვიდნენ და შეფს საზეიმო დღე მიულოცეს. წასასვლელად გამზადებული მოხელეები კარში მეზღვაურების მთელ ჯგუფს შეეჩეხნენ. მეზღვაურებს წინ შტურმანები მოუძღოდათ, ისინი ფირმის ორი ხომალდის - „ვულენვეევერისა“ და „ფრიდერიკე ოვერდიკის“ წარმოგზავნილნი იყვნენ. ამჟამად ორივე ხომალდი ქალაქის ნავსადგურში იდგა. მოვიდა შავ შარვალ- ხალათში გამოწყობილი ცილინდრიანი მტვირთავების დელეგაცია. ამასობაში სენატორს რამდენიმე ბიურგერიც ეახლა. გლოკენგისერშტრასელ თერძ შტუტს ჩვეულებისამებრ შალის ნაქსოვ პერანგზე სერთუკი შემოეცვა. სენატორს დღესასწაული ზოგიერთმა მეზობელმაც, მათ შორის მეყვავილე ივერსენმაც მოულოცა. ყურის ბიბილოებში საყურეებგარჭობილმა, წირპლიანმა თეთრწვერა ფოსტალიონმა, რომელსაც კარგ გუნებაზე ამდგარი სენატორი „ბატონ ობერფოსტმაისტერს“ ეძახდა, კარიდანვე შემოსძახა:

- იმიტო არა, ბატონო სენატორო, იმიტო არ მოვსულვარ! ხალხი ამბობს, ბატონი სენატორი უსაჩუქროდ არავის უშვებსო, მე იმიტო არ მოვსულვარ!..

„ობერფოსტმაისტერს“ საჩუქარზე უარი მაინც არ უთქვამს, ფული ჩაიჯიბა, სენატორს მადლობა გადაუხადა და გაუჩინარდა. მომლოცველებს ბოლო არ უჩანდა... თერთმეტის ნახევარზე სენატორს მოახლემ მოახსენა, ქალბატონი სენატორის
მეუღლე სალონში პირველ სტუმრებს იღებსო.

თომას ბუდენბროკმა სადარბაზო კიბეს მიაშურა. სალონში შესვლამდე ერთი წუთით სარკის წინ გაჩერდა, ჰალსტუხი შეისწორა, ცხვირსახოცი ცხვირთან მიიტანა და ოდეკოლონის სურნელი ღრმად შეისუნთქა. თომასს სახეზე ფერი არ ედო. თუმცა ტანზე ოფლს ასხამდა, ხელები და ფეხები ყინულივით ცივი ჰქონდა. კანტორაში მომლოცველების მიღებამ კინაღამ ხელი მოუთავა. თომასმა ამოისუნთქა და მზის შუქით სავსე ოთახში შევიდა, სადაც ხეტყის დიდვაჭარს, ხუთგზის მილიონერ კონსულ ჰუნეუსს, მის მეუღლეს, ქალიშვილსა და სიძეს - სენატორ დოქტორ გიზეკეს უნდა მისალმებოდა. ეს ბატონები ივლისს ტრავემიუნდეში ატარებდნენ, ახლა ბუდენბროკების იუბილეს პატივსაცემად, მათაც, როგორც სხვა ბევრ წარჩინებულ ოჯახს, ზღვაზე დასვენება გაეწყვიტათ და ქალაქში ჩამოსულიყვნენ.

სამ წუთსაც არ მსხდარან სტუმარ-მასპინძლები ღია ფერის, შეზნექილფეხებიან რბილ სკამებზე, რომ განსვენებული გუბერნატორის, ოვერდიკის ვაჟი მობრძანდა მეუღლითურთ. როცა კონსული ჰუნეუსი სენატორს ემშვიდობებოდა, მისი ძმაც შემოვიდა, მას კონსულ ჰუნეუსზე ერთი მილიონით ნაკლები ქონება ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ სენატორი გახლდათ.

ახლა კი დაიწყო სტუმრების დენა. ამურებიანი ბარელიეფით შემკული დიდი, თეთრი კარი თითქმის ერთი წუთითაც არ იკეტებოდა, ღია კარში მზით გაჩახჩახებული სადარბაზო კიბე მოჩანდა. კიბეზე სტუმრები განუწყვეტლივ ადი-ჩამოდიოდნენ. სალონი საკმაოდ ვრცელი იყო, სტუმრები იქ ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და საუბრით იქცევდნენ თავს, მომსვლელნი უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე წამსვლელნი და ბუდენბროკებმა მოახლე კარის დაღება-დახურვისგან გაათავისუფლეს. ახლა სალონისა და პარკეტმოგებული დერეფნის კარიც ღია იყო. ქალებისა და მამაკაცების როხროხის, მისალმების, ხუმრობისა და ხმამაღალი, უდარდელი სიცილისგან კიბეზე და სადარბაზო შემოსასვლელის მინის ჭერქვეშ გუგუნი იდგა. სენატორი ბუდენბროკი სტუმრებს ან კიბის თავში ეგებებოდა, ან შიგნით, სალონის ზღურბლზე. იგი ხან სერიოზულ და ფორმალურ, ხან კი გულითად მოლოცვებს იღებდა. აი, შეკრებილნი დიდი პატივისცემით ხვდებიან გუბერნატორ დოქტორ ლანგჰალსს. გუბერნატორი ჩასკვნილი, კეთილშობილური გარეგნობის კაცია, თეთრ ყელსახვევში ძლივს მოუჩანს სუფთად გაპარსული ნიკაპი, მოკლე, ჭაღარა ბაკენბარდები და დიპლომატის დაღლილი გამოხედვა აქვს. ღვინის ვაჭარი, კონსული ედუარდ კისტენმაკერი მეუღლესთან, მოლენდორფების ასულთან ერთად მობრძანდა. მას თავისი ძმა და კომპანიონი შტეფანიც თან ახლავს, სენატორ ბუდენბროკის უერთგულესი თანამდგომი და მეგობარი. ისიც მეუღლესთან ერთად მოსულა. მისი მეუღლე, მემამულის ქალიშვილი, არაჩვეულებრივად ჯანსაღი ქალია. სენატორ მოლენდორფის ქვრივი სალონში დაბრძანებულა სოფაზე, მისი შვილები კი: ბატონი კონსული, აუგუსტ მოლენდორფი და მისი მეუღლე იულჰენი, ჰაგენშტრომის ასული, ეს-ესაა დარბაზში შემოვიდნენ, სენატორს იუბილეს ულოცავენ და შეკრებილთ ესალმებიან. კონსული ჰერმან ჰაგენშტრომი, ზორზოხა კაცი, კიბის რიკულებს მიჰყუდებია, გატყაპნილი ცხვირით წითურ წვერებში ქშუტუნით ისუნთქავს ჰაერს
და პოლიციის შეფთან, სენატორ დოქტორ კრემერთან ლაყბობს. პოლიციის შეფს წაბლისფერი, ჭაღარაშერთული ბაკენბარდებიდან ეშმაკურად მოღიმარი, უბოროტო სახე მოუჩანს. პროკურორს, დოქტორ მორიც ჰაგენშტრომს თავისი მშვენიერი მეუღლე, ჰამბურგელი პუტფარკენის ასულიც თან ახლავს. პროკურორი ხანდახან იღიმება და წვეტიან, მეჩხერ კბილებს აჩენს. შეიძლება იმასაც მოჰკრათ თვალი, მოხუცი დოქტორი გრაბოვი სენატორ ბუდენბროკს ორივე ხელით როგორ ართმევს ხელს, მაგრამ მას იმწამსვე ხუროთმოძღვარი ფოიჰტი ენაცვლება. პასტორი პრინგსჰაიმი საერო ტანსაცმელში გამოწყობილა, თავისი ღირსება მხოლოდ ფრაკის სიგრძით მიუნიშნებია. იგი კიბეზე ხელებგაშლილი და სახეგაბრწყინებული ამოდის. ფრიდრიჰ ვილჰელმ მარკუსიც აქ არის. სხვადასხვა საზოგადოების, სენატის, ქალაქის

საბჭოს, ვაჭართა პალატის წარმომადგენლებიც ფრაკებში გამოწყობილან. თორმეტის ნახევარია. სიცხემ დააჭირა. დიასახლისი მეოთხედი საათი იქნება, თავის ოთახშია წასული.

უცებ ძირს, ალაყაფის კართან ჩოჩქოლი ატყდა, თითქოს თაღში ხალხის ტალღა შემოიჭრაო. იმავე წუთს მთელ სახლს გუგუნი ავსებს. ყველა კიბის რიკულებს აწყდება, ყველა დერეფანში, სალონის კარწინ ან სასადილო და თამბაქოს მოსაწევი ოთახების წინ არის გამოფენილი და ძირს იყურება. იქ მუსიკალური ინსტრუმენტებით შეიარაღებული თხუთმეტი თუ ოცი კაცი ეწყობა რკალად. მათ წაბლისფერპარიკიანი, ჭაღარა, მეზღვაურივით წვერმოშვებული, კბილებჩასმული კაცი მოუძღვის წინ. ეს პეტერ დოლმანია. ქალაქის თეატრის კაპელის თანხლებით! ის უკვე ტრიუმფით ამოდის კიბეზე, ხელში პროგრამების შეკვრა უჭირავს და ჰაერში მოაქნევს.

და აი, ამ დიდ აკუსტიკიან შემოსასვლელში ტონები ერთმანეთში ირევა, აკორდები ერთმანეთში ითქვიფება და უაზრო ხმაურად იქცევა. ვიღაც სქელი კაცი სასოწარკვეთილი სახით უბერავს უზარმაზარ ფაგოტში. ფაგოტის გრუხუნი ახშობს ბუდენბროკების იუბილესადმი მიძღვნილ ყველა სხვა ხმას. მიძღვნა ქორალით
„ვმადლიდეთ უფალს“ იწყება, მას ოფენბახის „მშვენიერი ელენედან“ აღებული პარაფრაზი მოჰყვება და იმწამსვე ხალხური სიმღერების პოპური გაისმის... პროგრამა მართლაც საკმაოდ მრავალფეროვანია.

დოლმანს მშვენიერი აზრი მოსვლია თავში! ყველა კონსულს ასხამს ხოტბას. წასვლაზე არავინ ფიქრობს, სანამ კონცერტი არ დამთავრდება, ზოგი სალონში ზის, ზოგი დერეფანში დგას, ყველანი კაპელას უსმენენ და არხეინად საუბრობენ.

თომას ბუდენბროკი შტეფან კისტენმაკერთან, სენატორ დოქტორ გიზეკესა და ხუროთმოძღვარ ფოიჰტთან ერთად სადარბაზო კიბის მოპირდაპირე მხარეს იდგა, თამბაქოს მოსაწევი ოთახის კართან, მესამე სართულზე ამავალი კიბის ახლოს. თომასი კედელს მიჰყრდნობოდა, მოსაუბრეთ კანტიკუნტად თუ შეაწევდა სიტყვას, უფრო კი დუმდა და კიბის მოაჯირს მიღმა სივრცეში იყურებოდა. სიცხემ კიდევ უფრო მაგრად დააჭირა, ალბათ, საცაა წვიმა დაუშვებდა. სადარბაზო კიბის შუშის სახურავზე მორიალე ჩრდილებით შეიძლებოდა მიხვედრა, რომ ცა ღრუბლებით იყო დაფარული. ჩრდილები ისე გახშირდა და ისე სწრაფად მოჰყვებოდნენ ერთმანეთს, რომ სახურავიდან ჩამოსული ცვალებადი, მთრთოლავი შუქი კაცს თვალებს სტკენდა. სხივი ყოველ წუთში ქრებოდა, მერე ისევ აბრწყინდებოდა მოოქრულ კარნიზებზე, კრონშტეინებსა და ქვევით, მუსიკოსთა სპილენძის ინსტრუმენტებზე. ჩრდილი მხოლოდ ერთხელ ჩამოწვა ხანგრძლივად და მაშინვე შხუილიც გაისმა. ხუთჯერ, ექვსჯერ თუ შვიდჯერ სანათურის შუშაზე რაღაც მაგარი არაკუნდა: უეჭველია, ეს სეტყვა იყო. შემდეგ სახლი ისევ მზის უხვი სხივებით აივსო.

არსებობს დეპრესიული მდგომარეობა, როცა ყველაფერი, რაც ნორმალურ პირობებში გვაბრაზებს და ჩვენში წყრომის ჯანსაღ რეაქციას იწვევს, მოთენთილ, ყრუ და უსიტყვო ნაღვლად გვექცევა ხოლმე. ასე ნაღვლით ევსებოდა თომასს გული, ერთი მხრივ, პატარა იოჰანის საქციელის გახსენებაზე, მეორე მხრივ, ყველა იმ შეგრძნებაზე, რასაც ეს ზარ-ზეიმი იწვევდა მასში. უფრო მეტად კი ერთი რამ აღიზიანებდა: ბევრ გრძნობას, გულითაც რომ მოეწადინებინა, საკუთარ სულში ვეღარ აღძრავდა. რამდენჯერმე ეცადა გამოცოცხლებულიყო, მზერა გაეხალისებინა და საკუთარი თავისთვის ჩაეგონებინა, ეს დღე მშვენიერიაო, თავისი თავი დაერწმუნებინა, ამ დღეს სიხარულითა და აღფრთოვანებით უნდა შევეგებოო. თუმცა ინსტრუმენტებისა და მოსაუბრეთა გუგუნი, ამდენი ხალხის ყურება ნერვებს უღიზიანებდა, წარსული,
მამის მოგონებაც ხშირად შემოაწვებოდა და შეძრავდა ხოლმე, მის განწყობილებაში მაინც სასაცილოსა და უხერხულობის გრძნობა ჭარბობდა. ამ გრძნობას ეს უგემური, აკუსტიკით კიდევ უფრო დამახინჯებული მუსიკა, ეს ბანალური, ბირჟის კურსებსა და სადილებზე მოლაყბე საზოგადოებაც უძლიერებდა. სწორედ ამ მღელვარებისა და ზიზღის ერთდროულ შეგრძნებას მიჰყავდა თომასი სასოწარკვეთილებამდე და
სული ემღვრეოდა.

პირველის თხუთმეტ წუთზე, როცა ქალაქის თეატრის ორკესტრი პროგრამის დასასრულს მიუახლოვდა, მოხდა შემთხვევა, რასაც ზეიმისთვის ხელი არ შეუშლია, მაგრამ ოჯახისთავი კი რამდენიმე წუთით სტუმრებს მოაშორა. მუსიკა ერთი წუთით შეწყდა და სწორედ ამ დროს ამოვიდა სადარბაზო კიბეზე კანტორის ყველაზე უმცროსი შეგირდი. ამდენი ბატონის დანახვაზე დაბნეულ, პატარა, კუზიან შეგირდს სირცხვილისგან ალმურადენილი სახე მხრებში კიდევ უფრო ჩაერგო, ცალ, არაბუნებრივად გრძელ, გამხდარ ხელს ძალით მოიქნევდა, თითქოს ამით უნდოდა უხერხულობა დაეფარა, მეორით კი გადაკეცილი ქაღალდი, დეპეშა მოჰქონდა. შეგირდი დამფრთხალ თვალებს აცეცებდა და შეფს დაეძებდა. აი, დაინახა კიდეც და სტუმრების გროვაში ბოდიშების ბურტყუნით გაიკვლია მისკენ გზა.

შეგირდი ტყუილად მორცხვობდა, მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ზედაც არ უყურებდნენ, საუბარსაც არ წყვეტდნენ, ისე უთმობდნენ გზას. მხოლოდ თვალი თუ შეეძლოთ მოეკრათ, თომას ბუდენბროკს დეპეშა როგორ მიართვა და სენატორი დეპეშის წასაკითხად კისტენმაკერს, გიზეკესა და ფოიჰტს როგორ მოშორდა. დღესაც კი, როცა უმთავრესად მოსალოცი დეპეშები მოდიოდა, სამუშაო დღის განმავლობაში მოსული ყველა დეპეშა სენატორისთვის უნდა გადაეცათ დაუბრკოლებლად.

მესამე სართულზე ამავალ კიბესთან დერეფანი ოდნავ უხვევდა და მთელ დარბაზს საჯალაბო შესასვლელამდე გასდევდა. კიბის ახლოს ოწინარიანი შახტა ჩანდა, სამზარეულოდან კერძებს აქედან აწოდებდნენ. იქვე კედელთან მოზრდილი მაგიდა იდგა, რომელზეც მოახლე ჩვეულებრივ ვერცხლეულს წმენდდა ხოლმე. აქ შეჩერდა სენატორი, კუზიან შეგირდს ზურგი შეაქცია და დეპეშა გახსნა.

უცებ თვალები ისე გაუფართოვდა, რომ მისი დამნახველი შეძრწუნებისგან უკან მიაწყდებოდა. კრიჭა შეეკრა, ყელი გაუშრა და ხველა აუტყდა. სენატორმა ერთი კი ამოთქვა, კარგიო, მაგრამ გუგუნში მისი ხმა ჩაიკარგა.

- კარგი, - გაიმეორა მან, მაგრამ ამჯერად ხმა აღარ ამოსვლია, მხოლოდ ძლივს წაიჩურჩულა რაღაც.

სენატორი არ განძრეულა, არც მოუხედავს, არც ხელი აუქნევია და კუზიანი შეგირდი ერთ ადგილზე ცმუტავდა. ბოლოს შეფს თავი უგერგილოდ დაუკრა, კუზიანი ტანი მოხარა და საჯალაბო კიბით ქვევით დაეშვა.

სენატორი ბუდენბროკი ისევ მაგიდასთან იდგა. დეპეშიანი ხელი ძირს უღონოდ ჩამოვარდნოდა, პირი ნახევრად გაეღო, ისევ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, გაჭირვებით სუნთქავდა, მკერდი მძიმედ აუდ-ჩაუდიოდა და მეხდაცემულივით თავს უღონოდ აკანტურებდა.

- უმნიშვნელო სეტყვა... უმნიშვნელო სეტყვა, - უაზროდ იმეორებდა სენატორი, მაგრამ შემდეგ სუნთქვა დაუმშვიდდა, აკანკალებული სხეული დაუწყნარდა, ნახევრად მოხუჭულ თვალებზე დაღლილობის ლიბრი გადაეკრა, თავი მძიმედ გადააქნია და მაგიდას მოშორდა.

თომასმა კარი შეაღო და დარბაზში შევიდა. ნელა, თავჩაქინდრულმა გაიარა ვრცელი დარბაზის სარკესავით პრიალა იატაკი და ფანჯარასთან, კუთხეში მიდგმულ ღვინისფერ სოფაზე დაეშვა. აქ გრილოდა და სიჩუმე იყო. ბაღიდან შადრევნის ჩუხჩუხი ისმოდა, ფანჯრის მინას ბუზი ზუზუნით აწყდებოდა, კიბის თავიდან ყრუდ აღწევდა ჩოჩქოლის ხმა.

გასავათებულმა თომასმა თავი სოფაზე დადო და თვალები დახუჭა.

- ასე ჯობია, ასე ჯობია, - ბუტბუტებდა თომასი, შემდეგ ღრმად ამოისუნთქა და კმაყოფილმა შვებით გაიმეორა, - ნამდვილად ასე ჯობია!

თომასი სოფაზე გაშოტილიყო, სახე დამშვიდებოდა. ხუთ წუთს ასე იყო, შემდეგ წამოიწია, დეპეშა დაკეცა, გულის ჯიბეში ჩაიდო, ფეხზე წამოდგა და სტუმრებთან გასვლა დააპირა. იმავე წუთს მკერდიდან ზიზღით სავსე ოხვრა აღმოხდა და კვლავ სოფაზე ჩაიკეცა. მუსიკა... ისევ მუსიკის ამაზრზენი ხმაური შემოესმა, ეს თითქოს გალოპი უნდა ყოფილიყო. დაფდაფებისა და თეფშების რიტმს სხვა ინსტრუმენტები
ან ასწრებდნენ, ან დაგვიანებით ეხმიანებოდნენ. თავმომაბეზრებელი და თავისი გულუბრყვილო უშუალობის გამო აუტანელი, გამაღიზიანებელი გნიასი იდგა. ჟღარუნსა და ზრიალში პიკოლო-ფლეიტის ყურისწამღები წივილი გამოირჩეოდა.

თავი მეექვსე

- ო, ეს ხომ ბახია, სებასტიან ბახი, პატივცემულო ქალბატონო! - წამოიძახა მარიენკირხეს ორგანისტმა, ბატონმა ედმუნდ პფიულმა და აღელვებულმა სალონში გაიარ-გამოიარა. პირზე ღიმმორეულ გერდას თავი ხელზე დაეყრდნო და როიალთან იჯდა, ყურთასმენად ქცეული ჰანო კი სავარძელში მოკუნტულიყო და ორივე ხელი მუხლებისთვის შემოეჭდო.

- რა თქმა უნდა, როგორც თქვენ ბრძანებთ. მისი წყალობით გაიმარჯვა ჰარმონიამ კონტრაპუნქტზე. მან შექმნა თანამედროვე ჰარმონია, დიახ! მაგრამ რით? გნებავთ, მოგახსენოთ, რით? კონტრაპუნქტული სტილის პროგრესული განვითარებით - ეს თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ! მაშასადამე, რა ყოფილა ამ განვითარების სული და გული? ჰარმონია? არა, არავითარ შემთხვევაში! კონტრაპუნქტი, პატივცემულო ქალბატონო! კონტრაპუნქტი! მე თქვენ გეკითხებით, სანამდე მიგვიყვანდა ჰარმონიის აბსოლუტური ექსპერიმენტები? ყველას ვაფრთხილებ... სანამ პირში სული მიდგას, ყველას გავაფრთხილებ, ერიდონ მხოლოდ ჰარმონიაზე დაყრდნობილ ექსპერიმენტებს!

ასეთ საუბარში ბატონი პფიული დიდ აღმაფრენას იჩენდა და ჩვეულებრივ თამამად ლაპარაკობდა, რადგან ამ სალონში თავს შინაურულად გრძნობდა. ყოველ ოთხშაბათს, ნაშუადღევს, მისი დიდი, დაკუთხული და ოდნავ მხრებაწეული ფიგურა სალონის ზღურბლზე გამოჩნდებოდა. ყავისფერი სერთუკი მუხლისთავებზე ეფართხუნებოდა, თავისი პარტნიორის მოლოდინში ბეხშტაინის როიალს მოწიწებით ახდიდა თავს, მოხარატებულ პულტზე ვიოლინოს პარტიებს დააწყობდა და შემდეგ ცოტა ხანს მსუბუქად და დიდი ხელოვნებით უკრავდა, თან სიამისგან თავს აქეთ- იქით აქნევდა. ხშირი, წვრილ-წვრილი, წითური, ჭაღარაშერთული ხუჭუჭა თმის უზარმაზარი გროვა არაჩვეულებრივად მსხვილ და მძიმე თავს უჩენდა, თუმცა თავი გადაფენილი საყელოდან ამოჩრილ, მსხვილჩიჩახვიან გრძელ კისერზე თავისუფლად იყო დაყრდნობილი. თმის ფერისავე აბურძგნილი ულვაშები პაწია, მიჭყლეტილ ცხვირზე უფრო მაღლა ედგა, მუქთაფლისფერ, კრიალა თვალებქვეშ უპეები ტომსიკებივით ჰქონდა ჩამოკიდებული. დაკვრის დროს მისი თვალები საგნებს თითქოს ოცნების თვალით ჭვრეტდნენ და თითქოს მათ მიღმა არსებულ სამყაროში იყურებოდნენ. ეს სახე არაფრით არ იყო შესანიშნავი, ყოველ შემთხვევაში, ძლიერი
და ფხიზელი გონების ნიშანწყალი არ აჩნდა. ქუთუთოები მეტწილად ნახევრად დახრილი ჰქონდა, გაპარსული ნიკაპი უძლურად და დუნედ უვარდებოდა, მოკუმული ბაგე კი მის ტუჩ-პირს ისეთ რბილ, უაზრო და გარინდულ გამომეტყველებას ანიჭებდა, როგორიც ტკბილად მთვლემარე კაცს აქვს ხოლმე.

ბატონ პფიულის უღიმღამო გარეგნობა მის მტკიცე ხასიათსა და ღირსეულ თავდაჭერას სულ არ შეეფერებოდა. ედმუნდ პფიული აღიარებული ორგანისტი გახლდათ. მისი კონტრაპუნქტული თეორია კი მშობლიური ქალაქის კედლებს

გარეთაც კარგად იყო ცნობილი. ბატონ პფიულს წიგნიც ჰქონდა საეკლესიო საგალობლებზე გამოქვეყნებული და ის წიგნი ორ თუ სამ კონსერვატორიაში
საკითხავ მასალადაც იყო მიღებული. სადაც კი ღვთის სადიდებლად ორგანი ჟღერდა, მის ფუგებსა და მის მიერ დამუშავებულ ქორალებსაც ხშირად ასრულებდნენ. ეს უნაკლო, შეუდარებელი კომპოზიციები და ფანტაზიები, რომელთაც იგი კვირაობით მარიენკირხეში ჩინებულად ასრულებდა ხოლმე, მკაცრი ფრაზის ულმობელი, დიდებული მორალურ-ლოგიკური ღირსებით იყო გამსჭვალული. მათთვის უცხო იყო მიწიერი მშვენიერება, თავისი ხმიანობით ისინი უბრალო ადამიანურ გრძნობებს ვერ შეძრავდნენ. მის მუსიკაში რელიგიურ ასკეტიზმამდე ამაღლებული ტექნიკა ღაღადებდა და თვითმიზნამდე, აბსოლუტურ რელიგიურ სიწმინდემდე აღზევებული ხელოვნება ჟღერდა საზეიმოდ. ედმუნდ პფიული ტკბილხმოვანებას არაფრად აგდებდა და მშვენიერ მელოდიაზე ცივად ლაპარაკობდა. მაგრამ, რაც უნდა გასაოცრად მოგეჩვენოთ, იგი არც მშრალი კაცი იყო და არც სული ჰქონდა გახევებული.

- პალესტრინა! - კატეგორიულად, შემზარავი სახით იტყოდა ხოლმე ბატონი პფიული, მაგრამ მყისვე როიალზე რამდენიმე ძველებურ მელოდიას ააჟღერებდა თუ არა, სახეზე თავდავიწყება, სილბო და გატაცება გამოეხატებოდა. თითქოს ცხოვრების
არსზე ამ წუთში აეხილა თვალიო, მისი მზერა სადღაც წმინდა შორეთში
გადაიკარგებოდა ხოლმე. მუსიკოსის მზერა განურჩეველი და უაზრო ჩანს, რადგან ის უფრო წმინდა, უფრო აუმღვრეველი და განუპირობებელი ლოგიკის სამყაროში დაეხეტება, ვიდრე ჩვენი ენობრივი ცნებანი და აზრები.

ბატონ პფიულს თითქოს ძვალი არა აქვსო, ისეთი რბილი ხელები ჰქონდა, დიდი, დაჭორფლილი ხელები. მისი ხმაც რბილად და ყრუდ ჟღერდა, თითქოს საყლაპავ მილში ლუკმა გასჩხერიაო. ამ რბილი ხმით ესალმებოდა გერდა ბუდენბროკს, როდესაც ქალბატონი პორტიერებს გადასწევდა და დარბაზში შემოვიდოდა.

- გახლავართ თქვენი მონა-მორჩილი, მოწყალეო ქალბატონო!

ბატონი პფიული სავარძლიდან ოდნავ წამოიწეოდა, თავჩაქინდრული გერდას გამოწვდილ ხელს მარჯვენას მოწიწებით მიაგებებდა ხოლმე, მარცხენათი კი უკვე აკორდებს იღებდა. გერდაც იმწამსვე ვიოლინოს მოიმარჯვებდა და ჩინებული სმენის წყალობით სტრადივარიუსის ვიოლინოს სწრაფად აწყობდა ხოლმე.

- ბახის კონცერტი გე-მოლი დაუკარით, ბატონო პფიულ! მე მგონი ადაჟიო საკმაოდ ცუდად გამოგვდიოდა.

ორგანისტი დაკვრას იწყებდა. აჟღერდებოდა თუ არა პირველი აკორდი, დერეფანში გამავალი კარი წყნარად, ფრთხილად გაიღებოდა, პატარა ჰანო ხალიჩაზე უხმაუროდ გაივლიდა და სავარძელს მიაშურებდა. მერე სავარძელში მოიკუნტებოდა, ორივე

ხელს მუხლებზე შემოიჭდობდა და სმენად ქცეული მუსიკასა და საუბარს უგდებდა ყურს.

- რაო, ჰანო, მოსასმენად შემოხვედი? - შეეკითხებოდა შესვენებისას გერდა და შვილს ახლო-ახლო განლაგებულ, მუსიკის ზემოქმედებით გაბრწყინებულ ნამიან თვალებს შეავლებდა ხოლმე.

მაშინ ჰანო წამოდგებოდა, ბატონ პფიულს თავს უსიტყვოდ დაუკრავდა და ხელს გაუწვდიდა. ბატონი პფიული ჰანოს შუბლსა და საფეთქლებზე მიმზიდველად ჩამოღვრილ ღია წაბლისფერ თმაზე ხელს ალერსიანად, ფრთხილად გადაუსვამდა და რბილად ეტყოდა:

- უსმინე, უსმინე, ჩემო ბიჭიკო.

ბავშვი გაუბედავად შეჰყურებდა ორგანისტის ყელზე ლაპარაკის დროს ამოკუზულ ადამის ვაშლს, მერე წყნარად და სწრაფად ისევ სავარძელს მიაშურებდა, თითქოს დაკვრისა და მუსიკაზე საუბრის გაგრძელებამდე მოთმინება აღარ ჰყოფნიდა.

უკრავდნენ ჰაიდნს, რამდენიმე გვერდს მოცარტიდან, ბეთჰოვენის რომელიმე სონატას. შემდეგ, სანამ გერდა ახალ ნოტებს ამოირჩევდა, მოულოდნელი რამ ხდებოდა: ბატონი პფიული, ედმუნდ პფიული, მარიენკირხეს ორგანისტი, დაკვრას ისევ გააგრძელებდა ხოლმე, რაღაც უჩვეულო სტილზე გადადიოდა და დაბინდულ მზერაში სირცხვილნარევი ბედნიერების სხივი უკრთოდა. მისი თითებიდან კვირტების სკდომისა და აყვავების, სიცოცხლის აღმაფრენისა და სიმღერის ხმები იღვრებოდა. ამ ხმებიდან ჯერ წყნარი, შემდეგ კი ბობოქარი, კვლავ უფრო ცხადი და გამოკვეთილი, ვირტუოზული კონტრაპუნქტებით ახმიანებული მამაპაპეული, გრანდიოზული, საოცრად დიდებული მარშის მოტივები იკვეთებოდა. ზეასვლა, ტონების ერთმანეთში გადახლართვა, გადასვლა... გაიხმიანებდა თუ არა ბოლო fortissimo, ვიოლინო შეუერთდებოდა და იწყებოდა „მაისტერზინგერის“ უვერტიურა.

გერდა ბუდენბროკი ახალი მუსიკის ვნებიანი თაყვანისმცემელი იყო, ბატონ პფიულისგან კი ამ მხრივ ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, პირველ ხანებში იმედიც წარეკვეთა, რომ ორგანისტს ოდესმე თავის მხარეზე გადმოიბირებდა.

იმ დღეს, როდესაც გერდამ ბატონ პფიულს „ტრისტან და იზოლდას“ საფორტეპიანო პარტიები დაუდო პულტზე, ოცდახუთი ტაქტის დაკვრის შემდეგ ორგანისტი წამოხტა და როიალსა და ერკერს შორის დიდხანს გულამღვრეული დააბიჯებდა.

- მე ამას ვერ დავუკრავ, მოწყალეო ქალბატონო, მე თქვენი ყურმოჭრილი მონა ვარ, მაგრამ ამას ვერ დავუკრავ! ეს მუსიკა არ არის... დამიჯერეთ, ამას მუსიკისა არაფერი სცხია... მე მგონია, მუსიკაში ცოტა რამ გამეგება! ეს ქაოსია! დემაგოგია! მკრეხელობაა, უაზრობა! სურნელნაპკურები კვამლია, სადაც ხანდახან ელვა გაიბრწყინებს ხოლმე!

ეს არის ყოველგვარი მორალისა და ხელოვნების აღსასრული! არა, მე ამას არ დავუკრავ!

შემდეგ ბატონი პფიული კვლავ როიალს მიუჯდა. ყელზე ადამის ვაშლი აუდ- ჩაუდიოდა. ხველებ-ხველებით შემდეგი ოცდახუთი ტაქტი კიდევ დაუკრა, როიალი დახურა და წამოიძახა:

- თფუი! არა, ღმერთო, შენ შემიწყალე, ეს უკვე მეტისმეტია! მომიტევეთ, პატივცემულო ქალბატონო, გულახდილად გეტყვით... თქვენ მე ჰონორარს მიხდით, წლების განმავლობაში ჩემს სამსახურს მინაზღაურებთ. მე შეძლებული კაცი არა ვარ, მაგრამ სამსახურს მივატოვებ, ყველაფერზე უარს ვიტყვი, თუ ამ სისაძაგლეს დამაძალებთ! მერე ბავშვს რაღას უპირებთ?! ხომ ხედავთ, იქ, თავის სკამზე ბავშვი
ზის! ჩუმად შემოიპარა, რომ მუსიკას უსმინოს! გნებავთ სული და გული
მოუწამლოთ?

მაგრამ მისი სასტიკი წინააღმდეგობა ამაო გამოდგა - ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, შეგონებით გერდამ ბატონი პფიული თავის მხარეზე გადმოიბირა.

- პფიულ, - ეუბნებოდა იგი ორგანისტს, - სამართლიანობას მოუხმეთ და ნუ ფიცხობთ, თქვენ აქ ჰარმონიის გამოყენების უჩვეულო მანერა გეჩოთირებათ... თქვენი აზრით, ამასთან შედარებით ბეთჰოვენი ნათელი და ბუნებრივია, მაგრამ აბა, გაიხსენეთ, როგორ განარისხებდა იგი ძველ ყაიდაზე გამოზრდილ თანამედროვეებს? ღმერთო ჩემო, ბახსაც კი საყვედურობდნენ, ტკბილხმოვანება და სიცხადე გაკლიაო! თქვენ მორალზე ლაპარაკობთ... მაგრამ რას გულისხმობთ ხელოვნების მორალის ცნებაში? თუ არ ვცდები, მორალი ყოველგვარი ჰედონიზმის საწინააღმდეგო რამ არის, არა? ჰოდა, აი, მორალიც აქა გაქვთ. ისევე, როგორც ბახთან. მხოლოდ მასზე უფრო დიდებული, შეცნობილი და გაღრმავებული. მერწმუნეთ, პფიულ, ეს მუსიკა შინაგანად თქვენთან უფრო ახლო დგას, ვიდრე გგონიათ!

- მომიტევეთ, მაგრამ ეს ოინბაზობა და სოფიზმებია, - ბურდღუნებდა ბატონი პფიული.

მაგრამ გერდა მართალი აღმოჩნდა; ეს მუსიკა პფიულისთვის ნამდვილად არ იყო ისე უცხო, როგორც თავიდან ეგონა, მაგრამ „ტრისტანს“ მაინც ვერ შეეთვისა ბოლომდე. თუმცა გერდას თხოვნით „სიყვარულის სიკვდილი“ ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის დიდი ხელოვნებით დაამუშავა. „მაისტერზინგერის“ ზოგიერთი პარტიისთვისაც გაიმეტა მოწონების სიტყვები და მის სულში ახალმა ხელოვნებამ თანდათან მტკიცედ გაიდგა ფესვები, მაგრამ ბატონი პფიული არ ტყდებოდა, თითქოს ამ ახალი გრძნობების გამომჟღავნების ეშინოდა კიდეც და თავის გატაცებას ბუზღუნით ფარავდა. თუმცა ცხადი იყო, რომ გერდა ბუდენბროკს თავისი პარტნიორის შეგულიანება აღარ სჭირდებოდა. ბატონი პფიული ძველ დიდოსტატებს უწინდებურად აღმერთებდა, მაგრამ თავის პასაჟებს ახლებურად

ართულებდა. თვალებში მორცხვი, თითქმის სინანულით აღსავსე ბედნიერების სხივი ედგა და პასაჟების ხვეულებში ლაიტმოტივებს ისე აცოცხლებდა. თუმცა დაკვრის შემდეგ პარტნიორები მაინც ცხარედ კამათობდნენ „მკაცრი ფრაზისა“ და ახალი სტილის ურთიერთობაზე.

ერთ დღეს ბატონმა პფიულმა განაცხადა, თავს ვალდებულად ვთვლი, თუმცა ეს თემა პირადად მე არ მეხება, ჩემს საეკლესიო სტილზე დაწერილ წიგნს დამატება
დავურთო რიჰარდ ვაგნერის მიერ საეკლესიო და ხალხურ მუსიკაში ძველი
ხმოვანების გამოყენების თაობაზეო.

ჰანო გარინდული იჯდა, პატარა ხელები მუხლებზე შემოეჭდო. ენას, ჩვეულებისამებრ, ერთ-ერთ საძირე კბილს ულამუნებდა და ამიტომ ტუჩ-პირი ოდნავ ეღრიცებოდა. თვალებგაფართოებული ბავშვი დედასა და ბატონ პფიულს მზერას არ აცილებდა, მათ დაკვრასაც გულდასმით უგდებდა ყურს და მათ საუბარსაც. ისე მოხდა, რომ თავის ცხოვრებაში გადადგმული პირველი ნაბიჯებისთანავე ჰანომ მუსიკა ზედმიწევნით სერიოზულ, მნიშვნელოვან და ღრმააზროვან მოვლენად აღიქვა. დედისა და ბატონ პფიულის საუბრიდან აქა-იქ თუ გაიგებდა თითო სიტყვას, ვერც მათ დაკვრას სწვდებოდა მისი ბავშვური გონება, და თუ მაინც მოდიოდა და საათობით გაუნძრევლად ჯდომა არ ბეზრდებოდა, ეს უკვე რწმენის, სიყვარულისა
და მის გულში დასადგურებული მოწიწების ბრალი გახლდათ.

ჰანო ჯერ კიდევ შვიდი წლისა იყო, როცა პირველად შეეცადა როიალზე თვითონ აეკრიფა მოწონებული აკორდები. დედა შვილს ღიმილით ადევნებდა თვალს და დიდი წვითა და დაგვით გამოძებნილ პასაჟებს უსწორებდა. ასწავლიდა, რატომ მაინცდამაინც ეს ბგერა იყო აუცილებელი, რომ ამ აკორდს შემდეგი მოჰყოლოდა. ჰანოს დედის ნათქვამს საკუთარი მუსიკალური სმენა უდასტურებდა.

გერდა ბუდენბროკმა ცოტა ხანს ასე თავის ნებაზე მიუშვა შვილი, მერე გადაწყვიტა, დროა, ბავშვმა მუსიკაში მეცადინეობა დაიწყოსო.

- მე მგონი, ჰანო სოლისტად არ გამოდგება, - უთხრა ერთხელ გერდა ბუდენბროკმა ბატონ პფიულს, - მართალი გითხრათ, მიხარია კიდეც, რადგან სოლისტობას თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც აქვს. სოლისტი აკომპანემენტზე რომაა დამოკიდებული, იმას როდი მოგახსენებთ, თუმცა ეს ფაქტი ხანდახან საგრძნობლად იჩენს ხოლმე თავს. ყოველთვის საშიშია, სოლისტი ვირტუოზობანამ არ გაიტაცოს. ეს საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი. გულახდილად გეტყვით, ჩემი აზრით, მევიოლინესთვის მუსიკის შეგრძნება მხოლოდ მაღალი ტექნიკის მიღწევის შემდეგ იწყება. ყურადღების დაძაბვას მაღალ ხმაზე, მის ფრაზირებასა და ტონალობაზე, მაშინ როცა პოლიფონია ბუნდოვნად და ზოგად ფორმებში სწვდება გონებას, საშუალო ნიჭის ადამიანისთვის ადვილად შეიძლება ჰარმონიული აზროვნების დაქვეითება მოჰყვეს, რაც შემდეგ ძნელი გამოსასწორებელია ხოლმე. ვიოლინო ძალიან მიყვარს და დაკვრაში საკმაოდ დახელოვნებული ვარ კიდეც, მაგრამ ფორტეპიანოს უფრო მაღლა

ვაყენებ. მხოლოდ ამას ვიტყვი, როიალთან სიახლოვე მუსიკის აღქმის გაცილებით ინტიმურ, გაცილებით ნათელ გზად მიმაჩნია. ის ხომ მრავალფეროვან და უმდიდრეს ტონალობათა რეზიუმირებისა და მუსიკალური რეპროდუქციის შეუდარებელი საშუალება გახლავთ. ყური მიგდეთ, პფიულ, ახლავე მინდოდა ჰანო თქვენ
აგეყვანათ, უარს ნუ მეტყვით! ქალაქში ერთი-ორი მუსიკის მასწავლებელი ქალი კი მეგულება, მაგრამ ისინი მხოლოდ ფორტეპიანოს მასწავლებლები არიან... ხომ
გესმით ჩემი? ძნელია, მუსიკის წვდომა ისწავლო, არა? მე თქვენ სავსებით გენდობით. თქვენ მუსიკას უფრო სერიოზულად უყურებთ. აი, ნახავთ, ჰანოსთან მუშაობა არ გაგიჭირდებათ. მას ბუდენბროკისეული ხელები აქვს... ბუდენბროკები ყველა ნონას და დეციმას კი იღებენ, მაგრამ მუსიკისთვის დიდად არასოდეს შეუწუხებიათ თავი, - სიცილით დაასრულა მან და ბატონმა პფიულიმაც თანხმობა განაცხადა ჰანოსთან მეცადინეობაზე.

იმ დღიდან ბატონმა პფიულმა ორშაბათობითაც დაიწყო ბუდენბროკებთან სიარული. გერდა ამ დროს სასტუმრო ოთახში იჯდა, ბატონი პფიული კი ჰანოს ამეცადინებდა. მასწავლებელი გრძნობდა, ბავშვის ჩუმი და ვნებიანი გატაცება უფრო მეტს ავალდებულებდა, ვიდრე უბრალოდ როიალზე დაკვრის სწავლება იყო და ისიც
ჰანოს გაკვეთილებს სხვაგვარად წარმართავდა. მუსიკის ელემენტარული ანბანი შეასწავლა თუ არა, თავის მოწაფეს უკვე მარტივი და გასაგები ენით აუხსნა ჰარმონიის საფუძვლები.

ბავშვი ნამდვილად უგებდა. ჰანოს ხომ იმას უდასტურებდნენ თეორიულად, რაც დიდი ხანია საკუთარი ალღოთი უკვე იცოდა.

რამდენადაც შესაძლებელი იყო, ბატონი პფიული ანგარიშს უწევდა ბავშვის დაუოკებელ სწრაფვას. სიყვარულითა და მზრუნველობით ცდილობდა მისთვის ფანტაზიისა და ხალასი ტალანტის შემბორკავი მატერიის ტყვიისებური სიმძიმე შეემსუბუქებინა. გამებზე ვარჯიშისას თითების დიდ მოქნილობას მკაცრად როდი სთხოვდა, მით უმეტეს, რომ გამებს თითების გასავარჯიშებლად არც ასწავლიდა. დასახულ მიზანს კი ბატონი პფიული გაუჭირვებლად აღწევდა. მას სურდა მოწაფისთვის ყოველგვარ ტონალობათა ნათელი, ფართო და ღრმა ცოდნა მიეწოდებინა, ეჩვენებინა მათი ერთმანეთთან დაკავშირების გზები. ყოველივე ეს ჰანოს სულ მოკლე ხანში გაუღვიძებდა კომბინაციური ხედვის უნარსა და კლავიატურაზე ბატონობის ინტუიციურ გრძნობასაც ჩაუნერგავდა.

ბატონი პფიული მოწიწებით და ფაქიზად ეკიდებოდა მუსიკის მოსმენისგან განებივრებული პატარა მოწაფის სულიერ მისწრაფებებს. ბავშვი სერიოზული სტილისკენ აშკარა ლტოლვას ამჟღავნებდა. მასწავლებელი სულაც არ ცდილობდა ჰანოს განწყობის სიღრმე და ზეაწეულობა ბანალური პიესებით გამოეფხიზლებინა. პირიქით, ბავშვს ქორალებს აკვრევინებდა და არც ერთ მომდევნო აკორდს ისე არ ააღებინებდა, რომ ამ მოვლენის კანონზომიერება არ აეხსნა.

გერდას ამ დროს ან ხელსაქნარი ეჭირა ხელში, ან წიგნს კითხულობდა და მათ მეცადინეობას პორტიერებს იქიდან ადევნებდა თვალყურს.

- თქვენ ყველა ჩემს მოლოდინს გადააჭარბეთ, - უთხრა გერდამ ერთხელ ბატონ პფიულს, - მაგრამ ცოტას ხომ არ ჩქარობთ? თქვენი მეთოდი, ჩემი აზრით, ნამდვილად შემოქმედებითია... ზოგჯერ ბავშვი მართლა ცდილობს ფანტაზია აამოძრაოს, მაგრამ თუ ის თქვენი მეთოდის ღირსი არ არის, თუ ამისთვის ნიჭი არ ჰყოფნის, მაშინ სულ ვერაფერს ისწავლის.

- ის ნამდვილად ღირსია, - უპასუხა ბატონმა პფიულმა და თავი დაუკრა, - ხანდახან მის თვალებს რომ ვაკვირდები... იმდენი გრძნობა უდგას თვალებში... ბაგე კი მოკუმული აქვს. შემდეგ, როცა წუთისოფელი ბაგეს, ალბათ, უფრო მტკიცედ მოაკუმინებს, გრძნობების გამოთქმის საშუალება ხომ უნდა ჰქონდეს?

გერდამ შეხედა ამ მოუხეშავ კაცს, მის წითურ პარიკს, უპეების ქვეშ დაკიდებულ ტომსიკებს, მის აბურძგნილ ულვაშებს და ჩიჩახვიან კისერს - შემდეგ ხელი გაუწოდა და უთხრა:

- მადლობელი ვარ, პფიულ... თქვენ მართალი ხართ, ჩვენ, ალბათ, ვერც კი ვხვდებით, მისთვის რამდენს აკეთებთ.

ჰანოს გული მასწავლებლისადმი მადლიერებითა და ნდობით იყო აღვსილი. ბავშვი კერძო გაკვეთილების მიუხედავად, არითმეტიკაში მაინც სრულ უნიჭობას იჩენდა, როიალთან კი ბატონი პფიულის ყოველ სიტყვას იგებდა, ისე იგებდა და ითვისებდა, როგორც მხოლოდ შინაგანად თანდაყოლილი რამ შეიძლება შეითვისოს ადამიანმა. თვითონ ყავისფერსერთუკიანი ედმუნდ პფიული კი ჰანოს ესახებოდა დიდ ანგელოზად, რომელიც ყოველ ორშაბათობით გულში იკრავდა და ამქვეყნიური უფერული ცხოვრებიდან სათუთი, ტკბილი და ნუგეშით აღსავსე გრძნობებით ამეტყველებულ სამყაროში გადაჰყავდა.

ზოგჯერ მეცადინეობა ბატონი პფიულის სახლში ტარდებოდა, სადაც ორგანისტი მოხუც მნე ქალთან ერთად ცხოვრობდა მარტოდმარტო. ძველებურ, ვრცელ, ფრონტონებიან სახლში ბევრი გრილი ტალანი და კუნჭული იყო. ზოგჯერ კი, კვირაობით, პატარა ბუდენბროკს ნებას რთავდნენ მარიენკირხეში ღვთისმსახურებას ზევით, ორგანთან მჯდარი დასწრებოდა. ეს სულ სხვა იყო, ვიდრე ხალხთან ერთად ქვევით, ტაძრის ნავში ჯდომა... მრევლზე მაღლა, პასტორ პრინგსჰაიმზეც მაღლა იყვნენ ორივენი აბობოქრებული ხმების მორევში. ამ ხმებს ისინი ერთად ხსნიდნენ ბორკილებს და ამ ხმებზე ერთად მეუფობდნენ. სიამაყით აღვსილ ჰანოს ხანდახან უფლება ეძლეოდა, თავის მასწავლებელს რეგისტრების გადართვაში მიშველებოდა. როცა გუნდი სიმღერას დაასრულებდა და სიმღერის მომდევნო აკორდებიც ჩათავდებოდა, როცა ბატონი პფიული კლავიშებს ნელ-ნელა მოსწყვეტდა თითებს და ჰაერში მხოლოდ ბანის წყნარი და საზეიმო გუგუნი იდგა, ერთი წამით

შთამაგონებელი პაუზა ჩამოვარდებოდა და ჩარდახიანი კათედრიდან პასტორ პრინგსჰაიმის მოღაღადე ხმაც დაირხეოდა. და აი, სწორედ მაშინ ბატონი პფიული, სხვათა შორის, არცთუ იშვიათად, ქადაგებას ამასხარავებდა, პასტორ პრინგსჰაიმის სტილიზებულ ფრანგულს, მის გრძელ, ყრუდ ან მკვახედ აქცენტირებულ ხმოვნებს, მის ოხვრა-ვაებასა და სახის მოქუშვა-გაბრწყინებასაც დასცინოდა ხოლმე. მაშინ ჰანოც იცინოდა, ჩუმად და გულიანად, ერთმანეთს არც უყურებდნენ, სიტყვას არც ეუბნებოდნენ, მაგრამ ორივეს სწამდა, რომ ეს ქადაგება საკმაოდ სულელური
ლაყბობა იყო, ჭეშმარიტი მსახურება კი ის გახლდათ, რასაც პასტორი და მისი
მრევლი მხოლოდ რელიგიური განწყობის ასამაღლებელ საშუალებას თვლიდნენ:
სახელდობრ, მუსიკა.

დიახ, ბატონ პფიულს მუდამ დარდით უკვდებოდა გული, რომ ქვევით, ეკლესიის ნავში მსხდომი სენატორები, კონსულები, ბიურგერები და მათი ოჯახის წევრები მის ხელოვნებას ვერ აფასებდნენ და სწორედ ამიტომ ისვამდა გვერდით თავის პატარა მოწაფეს. მას მაინც უჩურჩულებდა წყნარად, ახლახან დაკრული იმპროვიზაცია მეტისმეტად რთული რამ იყოო. ბატონი პფიული ტექნიკურ ილეთებს არ იშურებდა.
„უკუსვლითი იმიტაციებით“ ისეთ მელოდიას თხზავდა, რომელიც თავიდანაც და ბოლოდანაც ერთნაირად იკითხებოდა და ამ საფუძველზე „კიბოსსვლიანი“ ფუგაც კი შექმნა. ეკლესიაში ამ ფუგის შესრულების შემდეგ გაწბილებულმა ბატონმა პფიულმა ხელები მუხლებზე დაიწყო:

- აფსუს, არავის შეუმჩნევია, - უიმედოდ გადაიქნია თავი მან.

შემდეგ კი, როცა პასტორი პრინგსჰაიმი ქადაგებას შეუდგა, ჩურჩულით განაგრძო:

- ეს იყო „კიბოსსვლიანი“ იმიტაცია, იოჰან. შენ ჯერ არ იცი, ეს რას ნიშნავს... ეს არის თემის გამეორება ბოლოდან თავისკენ, უკანასკნელი ნოტიდან პირველამდე... საკმაოდ ძნელი საქმეა. მერე იმასაც გაიგებ, „მკაცრ ფრაზაში“ იმიტაცია რას ნიშნავს.
„კიბოს სვლით“ შენ არასოდეს დაგტანჯავ, ამის შესწავლას არ დაგაძალებ... არც არის აუცილებელი, მაგრამ არასოდეს დაუჯერო მათ, ვინც თხზვის ამ სახეობას არამუსიკალურ გართობად ნათლავს. უკუსვლას ყველა დიდი კომპოზიტორის შემოქმედებაში შეხვდები. ასეთ სავარჯიშოებს მხოლოდ გულგრილნი და საშუალო ნიჭის მქონენი უკადრისობენ. გახსოვდეს, მუსიკოსს თვინიერება მართებს, იოჰან.

1869 წლის 15 აპრილს ჰანოს 8 წელი შეუსრულდა. ამ დღეს შეკრებილი ოჯახის წევრების წინაშე ჰანომ დედასთან ერთად პატარა, საკუთარი ფანტაზია შეასრულა, თავისივე შეთხზული მარტივი მელოდია, რომელიც თვითონვე დაემუშავებინა. რა თქმა უნდა, ბატონ პფიულს გაენდო და მანაც ნაწარმოები თავისებურად გააშალაშინა.

- ეს თეატრალური ფინალია, დანარჩენს სულ არ ეხამება, იოჰან! დასაწყისში ყველაფერი რიგზეა, მაგრამ, ერთი მიბრძანე, H-dur-იდან დადაბლებულტერციიანი მეოთხე საფეხურის კვარტ-სექსტაკორდში საიდან გადადიხარ? ეს სადაური ხრიკებია,

მერე კიდევ ტრემოლოებსაც რომ აკეთებ? ეგ საიდანღა გაქვს აწაპნილი? საიდან? ვიცი, ვიცი, შენი ქალბატონი დედისთვის რომ ვუკრავდი, კარგად მოგისმენია... ფინალი შეცვალე, ბიჭუნი, და მშვენიერი პატარა პიესა გამოგივა.

მაგრამ სწორედ ეს Moll-აკორდი და ფინალი იყო ჰანოსთვის მნიშვნელოვანი. ამ ამბავმა გერდაც ისე გაამხიარულა, რომ ყველაფერი უცვლელად დატოვეს. გერდამ ვიოლინოს მოჰკიდა ხელი, მაღალი ნოტი აიღო და შემდეგ, როცა ჰანო ფრაზას უბრალოდ იმეორებდა, ვარიაციები ერთი ოცდამეთორმეტედის რიტმში დისკანტით მიიყვანა ბოლომდე. ჩინებული გამოვიდა. ბედნიერებისგან აღტყინებულმა ჰანომ დედას აკოცა და პატარა პიესა 15 აპრილს მთელ ოჯახსაც ასევე წარუდგინეს.

კონსულის მეუღლემ, ფრაუ პერმანედერმა, ქრისტიანმა, კლოტილდემ, ბატონმა და ქალბატონმა კროგერებმა, ბატონმა და ქალბატონმა ვაინშენკებმა, ბრაიტენშტრასელმა ქალბატონმა ბუდენბროკებმა და ფროილაინ ვაიჰბროტმა ჰანოს დაბადების დღეს
ოთხ საათზე სენატორის ოჯახში ისადილეს. ახლა კი ყველანი სალონში ისხდნენ და დედა-შვილს უგდებდნენ ყურს.

მეზღვაურის კოსტიუმში გამოწყობილი ჰანო როიალთან იჯდა. გერდა, როგორც ყოველთვის, უცხოდ და ელეგანტურად გამოიყურებოდა, მან ჯერ g-სიმზე დიდებული კანტილენა შეასრულა, შემდეგ კი ნაპერწკლიანი, შუშხუნა კადენციები ჩაარაკრაკა ვირტუოზულად. ვიოლინოს ქამანჩის ვერცხლის ტარი გაზის სინათლეზე ბრწყინავდა.

მღელვარებისგან ფერწასულ ჰანოს სუფრაზე პირი არაფრისთვის დაუკარებია. ახლა კი მთელი არსებით მიეცა თავის ნაწარმოებს, რომელიც ვაი, რომ ორ წუთში უნდა დამთავრებულიყო და ტკბილ ბურანში გადასულს ყველაფერი დაავიწყდა. ეს პატარა მელოდიური სურათი უფრო ჰარმონიული იყო, ვიდრე რიტმული და პრიმიტიული, უშუალო, ბავშვურ მუსიკალურ საშუალებებსა და ამ საშუალებების გადმოცემის დამძიმებულ, ვნებიან და თითქმის რაფინირებულ მანერას შორის წარმომდგარი კონტრასტი მით უფრო უჩვეულო შთაბეჭდილებას ახდენდა. ყოველი გარდამავალი ტონის აღებისას გრძნობამორეული ჰანო თავსა და კისერს წინ სიამით იწვდიდა, ზედ სკამის ძგიდეზე იჯდა და ცდილობდა პედალზე დაწოლით ყოველი ახალი აკორდისთვის გრძნობა შთაებერა. მართლაც, თუკი პატარა ჰანო რაიმე ეფექტს აღწევდა და ისიც მხოლოდ თავისთვის, ეს ეფექტი მგრძნობიარე ბუნებისა უფრო იყო, ვიდრე გრძნობადისა. რომელიმე სრულიად უბრალო ჰარმონიული ილეთი დატვირთული და შეყოვნებული აქცენტირებით იდუმალებით აღსავსე, პრეციზულ მნიშვნელობამდე იყო ამაღლებული. რომელიმე აკორდს, რომელიმე ახალ ჰარმონიას, რომელიმე პასაჟს გამაღიზიანებელი, დაძაბული ზემოქმედების უნარი ენიჭებოდა, როცა ჰანო წარბებს აზიდავდა, მთელი სხეულით ზევით მიილტვოდა, თითქოს გაფრენას ლამობსო, და როიალს მოულოდნელად ნერვიულ და დაძაბულ ყრუ ექოს გამოაღებინებდა... და აი, მოახლოვდა ფინალი, ჰანოს საყვარელი ფინალი, რომელიც

თავისი პრიმიტიული ზეაწეულობით მთელ პიესას აგვირგვინებდა. ვიოლინოს წყნარი, ზანზალაკისებური წკარუნი აკორდებს ნაკადივით შეერია და შემოეხვია. ჰაერში ტრემოლოებად დაიღვარა E-moll აკორდის პიანისიმო... პიანისიმო იზრდება, მატულობს, ნელ-ნელა ივსება და forte-ში ჰანო ძირითადი ტონისკენ მიმავალ დისონანსურ cis-ს ურთავს, ჰანოს კი დისონანსი მთელი ძალით აჰყავს fortissimo-მდე. ჰანო აყოვნებდა დასასრულის დადგომას, თავისთვის და მსმენელთათვის იზოგავდა. რა უნდა ყოფილიყო ეს დასასრული, ეს ზეაღმტაცი და ნებიერი ჩაძირვა H-dur-ში? უბადლო ბედნიერება, უნაპირო სიტკბოებით აღსავსე კმაყოფილება, მშვიდობა! განცხრომა! ზეციური სავანე! არა, ჯერ არა... ჯერ არა! კიდევ ერთი წამი, ერთი გახანგრძლივებული, დაყოვნებული და დაძაბული წამი, რათა ტკბობა უფრო სანუკვარი გამხდარიყო... კიდევ ერთი უკანასკნელი, საბოლოო დათრობა ამ გულისწამღები, წარმტაცი ლტოლვით, ამ ვნებიანი სურვილით, ნებისყოფის ამ უკიდურესი დაძაბვით, რომელიც დასასრულს, ხსნას ჯერ მაინც გაურბოდა, რადგან ჰანომ იცოდა: ბედნიერება წამია მხოლოდ... ჰანო წამოიზიდა, თვალები გაუფართოვდა, მოკუმული ტუჩები აუთრთოლდა, ჰაერი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაისუნთქა... ნეტარების მოძალებას ვეღარ გაუძლო, მის უძირო მორევში ჩაეხვია და ჩაიკარგა. ჰანოს კუნთები მოუდუნდა, გასავათებულსა და გრძნობამორეულს თავი მხარზე ჩამოუვარდა, თვალები დაეხუჭა და ბაგეზე გამოუთქმელი ნეტარებისგან ნაღვლიანი, თითქმის ტკივილგარეული ღიმილი აუთამაშდა, როცა ვიოლინოს მოჩურჩულე, მოშრიალე, მონანავე ხმების მორევში ჩაძირული, პედალზე ფეხის დაჭერით მხოლოდ ბანის ხმებს აყოლებული თავისი ტრემოლო H-dur-ში გადაიყვანა, ფორტისიმომდე სწრაფად აამაღლა და შემდეგ მოკლედ, უექოო ბგერით მოსწყვიტა.

შეუძლებელი იყო ამ დაკვრას მსმენელებზეც ისეთივე გავლენა მოეხდინა, როგორსაც ჰანოზე ახდენდა. ფრაუ პერმანედერს, მაგალითად, აქ დახარჯული მუსიკალური საშუალებებიდან უმცირესიც არ შეუტყვია, მაგრამ მას არ გამოჰპარვია, რა ნაზი ღიმილი დასთამაშებდა ბავშვს სახეზე. არც მისი აღტყინება და პატარა, საყვარელი თავის ნეტარებით რხევა დარჩენია შეუმჩნეველი. ეს კი სავსებით საკმარისი იყო, რომ გული აჩუყებოდა.

- როგორ უკრავს ჩვენი ბიჭუნა! როგორ უკრავს ჩვენი ბავშვი! - წამოიძახა მან, თვალზე ცრემლმომდგარი ჰანოს მივარდა და გულში ჩაიკრა, - გერდა, ტომ, ის მეორე მოცარტი იქნება, მეორე მეიერბერი, მეორე... - ფრაუ პერმანედერს მათი ტოლი მესამე სახელი შემოაკლდა და იმას დასჯერდა, რომ თავიდან ფეხებამდე დაკოცნა მუხლებზე ხელებდაკრეფილი, ჯერ ისევ ღონემიხდილი და თვალგაშტერებული ძმისწული.

- კმარა, ტონი, გეყოფა! - წყნარად უთხრა დას სენატორმა, - აბა, რას შვრები, ბავშვს ეგ გინდა ჩააგონო?

მეშვიდე თავი

თომას ბუდენბროკს გულში პატარა იოჰანის არც ბუნება მოსწონდა და არც განვითარება.

ოდესღაც თომასმა არაფრად ჩააგდო ფილისტერების იჭვნეული თავის კანტური და ცოლად გერდა არნოლდსენი შეირთო. მაგრამ მაშინ საკუთარ ძალებში იმდენად იყო დარწმუნებული, რომ შეეძლო თავისი ბიურგერული გულმოდგინებისთვის ზიანი არ მიეყენებინა და სხვებისგან გამორჩეული, დახვეწილი გემოვნება ისე გამოემჟღავნებინა. მაგრამ ნუთუ ახლა მისი შვილი, ამდენი ხნის ნანატრი მემკვიდრე, რომელსაც გარეგნობაში მამისეული ოჯახის ბევრი ნიშანი გამოჰყოლოდა, სულით ხორცამდე დედის კუთვნილება უნდა გამხდარიყო? თომასი იმედოვნებდა, ოდესმე ჰანო უფრო სვებედნიერი, უფრო მტკიცე ხელით გააგრძელებს ჩემს გზასო, მაგრამ ნუთუ ეს ბავშვი ბუდენბროკების წრესა და მშობელ მამასაც კი თავისი შინაგანი ბუნების წყალობით უნდა განრიდებოდა და დაპირისპირებოდა?

აქამდე გერდას ვიოლინო თომასისთვის მის საყვარელ უცნაურ თვალებთან, მის ხშირ, სპილენძისფერ თმასა და მთელ მის უცხო გარეგნობასთან ერთად გერდას თავისებური არსების კიდევ ერთ მომხიბლავ თვისებას წარმოადგენდა. მუსიკით გატაცება თომასისთვის ყოველთვის უცხო ხილი იყო, მაგრამ როცა ხედავდა, მისი ვაჟი მუსიკას ახლავე მთელი არსებით როგორ მისცემოდა, მუსიკა მისთვის მამა- შვილს შორის ჩამდგარ მტრულ ძალად გადაიქცა. თომასს ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ჰანოსგან ნამდვილ ბუდენბროკს, პრაქტიკულად მოაზროვნე, ძალაუფლებისმოყვარე, ძლიერ პიროვნებას გამოიყვანდა. გაღიზიანებულსა და ეჭვით შეპყრობილს ისიც კი ეჩვენებოდა, რომ ეს მტრული ძალა საკუთარ ჭერქვეშ უცხოდ გადაქცევასაც უქადდა.

თომასს არ ძალუძდა მუსიკას გერდასებურად ან მისი მეგობრის, ბატონ პფიულისებურად მისცემოდა. გერდა კი ხელოვნებაზე საუბარში გულჩახვეულობასა და მოუთმენლობას იჩენდა და თავისი სისასტიკით თომასს მუსიკასთან დაახლოების გზებს კიდევ უფრო უხშობდა.

თომასი ვერასდროს დაიჯერებდა, რომ მუსიკა მისი ოჯახისთვის ასე უცხო რამ იყო, როგორც ახლა ეჩვენებოდა. ბაბუამისს ფლეიტაზე დაკვრა უყვარდა, თვითონაც ყოველთვის სიამოვნებით უსმენდა ხოლმე ტკბილ, გრაციოზულ, ნაღვლიან თუ ხალისიან მელოდიებს. საკმარისი იყო თომასს თავის გემოვნებაზე დაეძრა სიტყვა, რომ გერდა უთუოდ მხრებს აიჩეჩდა და თანაგრძნობით აღსავსე ღიმილით ეტყოდა: აბა, რას ამბობ, ჩემო კარგო, ამ ნაწარმოებს ხომ არავითარი მუსიკალური ღირებულება
არ გააჩნიაო.

თომასს სძულდა ეს „მუსიკალური ღირებულება“ - სიტყვა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ცივი ქედმაღლობის გამოვლინებად მიაჩნდა. თუ ასეთ საუბარს ჰანოც

ესწრებოდა, თომასი თავს ვეღარ თოკავდა ხოლმე. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა თომასი აფეთქებულა და უთქვამს:

- აჰ, ჩემო საყვარელო, ამ „მუსიკალური ღირებულებით“ თავის მოწონება საკმაოდ ქედმაღლური და უხეირო გემოვნების მაჩვენებლად მიმაჩნია!

გერდა ამაზე მიუგებდა:

- თომას, ერთხელ და სამუდამოდ შეეგუე იმ აზრს, რომ მუსიკას ვერასდროს ვერაფერს გაუგებ. შენი ინტელიგენტობის მიუხედავად, ვერასდროს მიხვდები, რომ მუსიკა უფრო დიდი რამაა, ვიდრე ნასადილევს გართობა და სმენის დატკბობა. მუსიკის გაგებაში შენ ბანალურობის შეგრძნება გღალატობს, სხვა რამეში რომ არ გაკლია ეს გრძნობა? ეს კი ხელოვნების გაგების კრიტერიუმი გახლავს. რაოდენ უცხოა შენთვის მუსიკა იქიდანაც შეგიძლია დაასკვნა, რომ შენი მუსიკალური გემოვნება
შენს სხვა მოთხოვნილებებსა და შეხედულებებს სრულიად არ შეესაბამება. რა მოგწონს შენ მუსიკაში? უხამსი ოპტიმიზმი. ასეთი რამ წიგნში რომ იყოს ჩაქსოვილი, ან აღგაშფოთებდა, ან ირონიულ ღიმილს მოგგვრიდა და წიგნს კუთხეში მიაგდებდი. ოდნავ გაღვიძებული გრძნობის სწრაფი შესრულება... ოდნავ აღძრული ნების დაუყოვნებლივ, უდრტვინველი დაკმაყოფილება... ცხოვრების დინება კი ოდნავ მაინც თუ ჰგავს ტკბილ მელოდიას?.. ეს ფუჭი იდეალიზმი გახლავს, ჩემო კარგო.

თომასს ესმოდა მისი, ესმოდა, რასაც გერდა ამბობდა, მაგრამ გულით არ შეეძლო მიჰყოლოდა, ძალა არ ჰყოფნიდა გაეგო, რატომ იყო მისი გამამხნევებელი ან ამაღელვებელი მელოდიები არარაობა, ხოლო მისთვის გაუგებარ და მძიმე ნაწარმოებებს რატომ ჰქონდა უმაღლესი მუსიკალური ღირებულება. თომასი ტაძრის წინ იდგა, გერდა კი შეუბრალებელი ჟესტით ზღურბლზე გადაბიჯებას არ ანებებდა და სევდით აღვსილი თომასი ხედავდა, იმ ტაძარში როგორ ინთქმებოდნენ გერდა და მისი შვილი.

თომასი არ იმჩნევდა, თორემ გული დარდისგან ეკუმშებოდა, როცა ხედავდა, მასა და შვილს შორის გაჩენილი უფსკრული თანდათან როგორ ღრმავდებოდა. იმის გაფიქრებაც კი ზარავდა, იქნება ბავშვის გული როგორმე მოვინადირო. საქმე თავზე საყარად ჰქონდა და შვილს იშვიათად ხედავდა. სადილობისას კი ჰანოს გულითადად და მეგობრულად ექცეოდა, თან გამამხნევებელ სიმკაცრესაც იჩენდა ხოლმე.

- აბა, ჩემო მეგობარო, - ეტყოდა თომასი შვილს, თან კეფაზე ხელს მოუტყაპუნებდა და სუფრას ცოლის პირისპირ, ბავშვის გვერდით მიუჯდებოდა, - როგორაა საქმეები? დღეს რას ვაკეთებდით? ვსწავლობდით?.. როიალზე ვუკრავდით? როიალი კარგია, მაგრამ მეტისმეტი არ მოგვივიდეს, თორემ დანარჩენისთვის ხალისი აღარ გვეყოფა
და აღდგომასაც წიგნებთან მოგვიწევს ჯდომა.

თომასს სახეზე არც ერთი კუნთი არ შეუტოკდებოდა, არ გაამხელდა, რომ დაძაბული ელოდა, ჰანო სალამზე როგორ მიპასუხებსო. არაფერზე ემჩნეოდა, როგორ

ეკუმშებოდა გული, როცა ბავშვი თავის ოქროსფერ-მოწაბლისფრო, შემოჩრდილულ დამფრთხალ თვალებს გაუბედავად შეავლებდა, სახეზე არც კი შეხედავდა და თავის თეფშზე უსიტყვოდ დაიხრებოდა ხოლმე.

ბავშვურ უმწეობაზე გულის მოსვლა სისასტიკე იქნებოდა. დროდადრო თომასი, როცა თეფშებს ცვლიდნენ, თავს მოვალედ რაცხდა ბავშვისთვის მიეხედა, გამოეცადა, მისი პრაქტიკული ცოდნა შეემოწმებინა. რამდენი მცხოვრები იყო ქალაქში? რომელი ქუჩები მიდიოდა ტრავედან ქალაქის ზემო უბნისკენ? რა ერქვა ფირმის ბეღლებს? ჰანოს ცოცხლად და დაუფიქრებლად უნდა ეპასუხა! - მაგრამ ბავშვი დუმდა. განა იმიტომ, რომ მამას ჯიბრში ედგა ან მისი წყენინება უნდოდა. ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა, ქუჩები და ბეღლებიც კი, ჩვეულებრივ, სულაც არ აინტერესებდა, მით უმეტეს, თუ ვინმე ამ ამბავზე გამოცდის მიზნით ესაუბრებოდა, მაშინ ხომ სასოწარკვეთილს ზიზღი მოერეოდა ხოლმე. ამ გამოცდამდე შეეძლო მშვენიერ გუნებაზე ყოფილიყო, მამასთან ეტიკეტიკა კიდეც, მაგრამ როგორც კი საუბარი ოდნავ მაინც შეტრიალდებოდა და გამოცდას დაემსგავსებოდა, ჰანოს გუნება ეწამლებოდა და წინააღმდეგობის ძალას სავსებით კარგავდა. თვალები ცრემლით ებურებოდა, ბაგეც სატირლად ებრიცებოდა და მამის წინდაუხედაობა გულს ნაღვლით უვსებდა. ხომ იცოდა მამამ, რომ ასეთი საუბარი არასდროს სასიკეთოდ არ მთავრდებოდა ხოლმე? მაშ, სადილს რატომ იმწარებდა ან სხვებს რაღად უფუჭებდა გუნებას? თვალებაცრემლებული ჰანო თავის თეფშს დაასობდა მზერას. იდა მუჯლუგუნს წაჰკრავდა და ბეღლებისა და ქუჩების სახელებს ჩურჩულით ჰკარნახობდა, მაგრამ ამაოდ! იდას მისი არ ესმოდა: ჰანომ ხომ მშვენივრად იცოდა ეს სახელები, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთის ჩამოთვლა მაინც არ გაუჭირდებოდა და შეეძლო მამისთვის ცოტა მაინც ესიამოვნებინა, მაგრამ რაღაც დაუძლეველი ნაღველი უშლიდა ხელს. მამის მკაცრი შეძახილი და ჩანგლის დაკაკუნება ჰანოს შეაკრთობდა, მერე დედასა და იდას შეხედავდა, ცდილობდა, ერთი სიტყვა მაინც ამოეღერღა, მაგრამ პირველივე მარცვალზე ქვითინი ახრჩობდა ხოლმე.

- კმარა! - დაიყვირებდა ბრაზმორეული სენატორი, - გაჩუმდი! არაფრის მოსმენა აღარ მინდა! ნუ შეწუხდები! შეგიძლია ეგრე მუნჯივით და გამოთაყვანებულივით იჯდე მთელი შენი სიცოცხლე!

შემდეგ სადილი ჩუმად, უგუნებოდ მთავრდებოდა.

სწორედ ეს მეოცნებე სისუსტე, ეს ტირილი, სიცოცხლისა და ენერგიის ეს ნაკლებობა ამხედრებდა თომასს შვილის მუსიკით გატაცების წინააღმდეგ.

ჰანო თავიდანვე ფიზიკურადაც სუსტი იყო. განსაკუთრებით დიდ ტანჯვასა და ტკივილს კბილები აყენებდა. სარძევე კბილების ამოჭრა პატარაობაში ჰანოს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა, შემდეგ კი ღრძილები ადვილად უსივდებოდა, უჩირქდებოდა და მამზელ იუნგმანი მომწიფებულ წყლულებს ქინძისთავით ურწყავდა ხოლმე. ახლა ჰანოს კბილების დაცვლის დრო დასდგომოდა და აუტანელი,

მის ძალ-ღონეს რომ აღემატებოდა, ისეთი ტკივილი ტანჯავდა. ტკივილის გამო სიცხეაწეული ბავშვი ღამეებს კრუსუნსა და ტირილში თეთრად ათენებდა. გარეგნულად დედასავით მშვენიერი და თეთრი კბილები ჰანოს ადვილად უფუჭდებოდა, თავიდანვე არასწორად ამოსდიოდა. ერთმანეთს ებჯინებოდა და მათთვის სწორი გზის მისაცემად პატარა იოჰანი იძულებული იყო ბავშვობიდანვე ერთი საშინელი კაცის მსხვერპლი გამხდარიყო: ეს იყო ბატონი ბრეჰტი, მიულენშტრასეზე მცხოვრები კბილის ექიმი ბრეჰტი.

ამ სახელის ხსენებაზე ჰანოს ყურში საკუთარი ყბის ღრჭიალი ჩაესმოდა, თითქოს ახლაც გლეჯდნენ, ატრიალებდნენ და სტეხდნენ კბილის ფესვებს. თავის ერთგულ იდასთან ერთად ბატონ ბრეჰტის მოსაცდელ ოთახში მჯდარ ჰანოს შიშისგან გული ეკუმშებოდა. ბავშვი ჰაერში დატრიალებულ წამლის სუნს ისუნთქავდა და ილუსტრირებულ ჟურნალებს ათვალიერებდა, სანამ კბილის ექიმი საოპერაციო ოთახის კარში არ გამოჩნდებოდა და თავაზიანად და ამავე დროს შემაძრწუნებლად
არ იტყოდა: „გთხოვთ“.

რაღაც მიმზიდველი ძალა, უცნაური მომხიბლაობაც ჰქონდა ამ მოსაცდელ ოთახს. ერთ კუთხეში, სპილენძის გალიაში ბოროტთვალება, მოზრდილი, ჭრელი თუთიყუში იჯდა. თუთიყუშს რატომღაც იოზეფუსს ეძახდნენ. მომსვლელებს თუთიყუში ბრაზიანი დედაბერივით დასჩხავლებდა: „დაბრძანდით... ამ წუთშიო“ და თუმცა ასეთ გარემოში ეს დაძახილი საძაგელ დაცინვად გაისმოდა, ჰანო ბუდენბროკი თუთიყუშს მაინც ძრწოლანარევი სიყვარულით შესჩერებოდა. თუთიყუში... დიდი, ჭრელი ფრინველი, რომელსაც იოზეფუსი ერქვა და ლაპარაკი იცოდა! განა იგი იდას მონაყოლი გრიმის ზღაპრებიდან, მოჯადოებული ტყიდან ჩამოფრენილს არ ჰგავდა! ბატონ ბრეჰტის თავაზიან „გთხოვთ“ -საც თუთიყუში ისეთი დაჟინებით იმეორებდა, რომ ჰანო საოპერაციო ოთახში თითქმის ყოველთვის გაცინებული შედიოდა ხოლმე და ფანჯარასთან, ბორმანქანის გვერდით მთასავით აღმართულ, მოუხერხებელ სავარძელში ჯდებოდა.

თვითონ ბატონი ბრეჰტიც თავის იოზეფუსს ჰგავდა, შავ, ჭაღარაშერეულ ულვაშებზე თუთიყუშის ნისკარტივით მაგარი და მოკაუჭებული ცხვირი ეკიდა. ყველაზე ცუდი და საშინელი ის იყო, რომ თვითონ ექიმი ნერვიული კაცი გახლდათ და სხვისთვის თავისი პროფესიის წყალობით მიყენებულ ტკივილს თვითონაც განიცდიდა.

- ჩვენ ახლა ექსტრაქციას შევუდგებით, ფროილაინ! - ეუბნებოდა იგი იდა იუნგმანს და თან ფერი მისდიოდა.

ცივ ოფლად დაღვრილ, შიშით თვალებგაფართოებულ ჰანოს არც პროტესტის ძალა შესწევდა და არც გაქცევის თავი ჰქონდა. სკამზე სიკვდილმისჯილივით იჯდა და მისკენ მომავალ ექიმს უყურებდა. ექიმს ჭანგი ხალათის სახელოში ჩაემალა, გამელოტებულ შუბლზე შიშისგან თვითონაც ოფლის წვეთები ასხდა და ტუჩ-პირი ერთიანად მოღრეცოდა. როცა საზიზღარი პროცედურა დამთავრდებოდა,

ფერწასული, აკანკალებული, თვალცრემლიანი და სახეშეშლილი ჰანო სისხლს ლურჯ თასში გადმოაფურთხებდა, ბატონი ბრეჰტი კი სადმე სავარძელში ჩაიკეცებოდა, რომ შუბლი შეემშრალებინა და გულის მოსაბრუნებლად წყალი დაელია.

პატარა იოჰანს არწმუნებდნენ, ეს კაცი სიკეთეს გიშვრება და უფრო მწარე ტკივილისგან გიფარავსო, მაგრამ როცა ჰანო ბატონ ბრეჰტისგან მოგვრილ ტანჯვას მისივე წყალობით მონიჭებულ შესამჩნევ შვებას ადარებდა, პირველი მეორეს ისე სჯაბნიდა, რომ მიულენშტრასეზე ვიზიტები ყველა ამაო ტანჯვათა შორის ამაზრზენ ტანჯვად მიაჩნდა. სიბრძნის კბილების მოლოდინში, რომლებიც, ვინ იცის, როდის ამოუვიდოდა, ოთხი საძირე კბილი, თეთრი, ლამაზი, ჯერ სრულიად ჯანსაღი კბილიც უნდა ამოეღოთ და ბავშვის ძალის დაზოგვის მიზნით ეს ამბავი ოთხ კვირას გააჭიანურეს. ღმერთო, როგორ გაგრძელდა ეს დრო! რა მძიმე იყო ეს გაჭიანურებული წამება! გადატანილი ტანჯვა-ვაება ჯერ არც მიყუჩებოდა, რომ ბავშვს უკვე მომავალი ტანჯვის შიში იპყრობდა. ჰანო ამ ამბავმა ძალზე გაასავათა და როცა უკანასკნელი კბილი ამოუღეს, ძალაგამოცლილი რვა დღის განმავლობაში ლოგინიდან აღარ წამომდგარა.

კბილების ტკივილი ჰანოს მარტო გუნებას კი არ უწამლავდა, მის ცალკეულ ორგანოზეც ახდენდა მავნე გავლენას. ღეჭვა რომ უჭირდა, საჭმელსაც კარგად ვერ ინელებდა, გასტრიტის შეტევები ეწყებოდა, რაც თავის მხრივ გულის ცემას უჩქარებდა ან უნელებდა და თავბრუსხვევასაც იწვევდა ხოლმე. ყველაფერ ამასთან ჰანოს არც დოქტორ გრაბოვის მიერ pavor nocturnus-ად მონათლული შეტევები უქრებოდა, პირიქით, თითქმის არც ერთი ღამე არ გათენდებოდა ისე, რომ პატარა იოჰანი ერთი-ორჯერ მაინც არ წამომხტარიყო ლოგინიდან. ხელებგაწვდილი, ძრწოლაატანილი ბავშვი შველასა და შეწყალებას ივედრებოდა, თითქოს ცეცხლში იწვოდა, თითქოს ვიღაც ახრჩობდა, თითქოს რაღაც ენით აუწერელი საშინელება ემართებოდა. დილას აღარაფერი ახსოვდა. დოქტორი გრაბოვი ცდილობდა ბავშვი მოცვის ნაყენით განეკურნა, მაგრამ ეს წამალი ჰანოს არაფერს შველოდა.

ამდენ სატკივარს არ შეიძლებოდა ჰანოს სულში ცხოვრებისეული სიბრძნე ნაადრევად არ გაეღვიძებინა და თუკი ეს გონიერება მისი თანდაყოლილი კარგი გემოვნების წყალობით ხშირად არ მჟღავნდებოდა, ხანდახან სხვებთან უპირატესობის შეგრძნების სახით მაინც იჩენდა ხოლმე თავს.

- როგორ ხარ, ჰანო? - შეეკითხებოდნენ ხოლმე ახლობლები, ბებია ან ბრაიტენშტრასელი ქალბატონი ბუდენბროკები.

პასუხად ჰანოს მხოლოდ ძლივს შესამჩნევი ღიმილი შეურხევდა ტუჩებს და მეზღვაურის ფართო საყელოდაფენილ მხრებს ოდნავ აიჩეჩავდა.

- გიყვარს სკოლაში სიარული?

- არა, - მშვიდად და გულახდილად პასუხობდა ჰანო. მისი აზრით, სხვა უფრო სერიოზულ მოვლენებთან შედარებით, ასეთ რამეზე ტყუილის თქმა თავის შეწუხებად არ ღირდა.

- არა? ოო! ხომ უნდა ისწავლო: წერა, არითმეტიკა, კითხვა...

- და ასე შემდეგ, - უმატებდა პატარა იოჰანი.

დიახ, ჰანოს ძველებურ, ყოფილ სამონასტრო სკოლაში სიარული არ უყვარდა. სკოლას ჯვრისებური დერეფნები და გოთურთაღებიანი საკლასო ოთახები ჰქონდა. ჰანო ავადმყოფობის გამო სკოლას ხშირად აცდენდა, გაკვეთილებს ისედაც უყურადღებოდ უსმენდა, რომელიმე ჰარმონიულ ბგერათშეთანხმებაზე ფიქრობდა,
ან მისი აზრი და გონება დედისა და ბატონი პფიულის შესრულებულ რომელიმე პიესის ამოუცნობ მშვენიერებას დასტრიალებდა. რა თქმა უნდა, ამ ფიქრებით მეცნიერებაში შორს ვერ წავიდოდა. ჰანოს დაბალ კლასებში უმცროსი მასწავლებლები და სემინარისტები ასწავლიდნენ. ბავშვი გრძნობდა, რომ ისინი საზოგადოების დაბალ ფენას ეკუთვნოდნენ. იგი მათ სულიერ და გონებრივ შეზღუდულობასაც კარგად ამჩნევდა და ფიზიკურ სიბინძურესაც. ამიტომაც მასწავლებელთა მიმართ სასჯელის შიშის გარდა იდუმალი უპატივცემლობის გრძნობა ეღვიძებოდა ხოლმე. ბატონი ტიტგე, მათემატიკის მასწავლებელი, გაქონილ შავ სერთუკში გამოწყობილი კაცი, ამ სკოლაში ჯერ კიდევ განსვენებული მარცელუს შტენგელის დროიდან მსახურობდა. იგი ელამ თვალებს გემის ილუმინატორებივით სქელი და დიდი სათვალის შუშებში მალავდა. ბატონი ტიტგე პატარა იოჰანს ყოველ გაკვეთილზე ახსენებდა, მამამისი არითმეტიკაში რა დიდ ნიჭს იჩენდა. ამ დროს ბატონ ტიტგეს ხველა აუტყდებოდა და ნახველს პირდაპირ კათედრის წინ, იატაკზე იღებდა ხოლმე.

ჰანო თავის პატარა თანაკლასელებთან არ ამხანაგობდა. პირველი დღეებიდანვე მხოლოდ ერთ ბიჭს დაუახლოვდა და მასთან გააჩაღა დიდი მეგობრობა. ეს იყო არისტოკრატიული ჩამომავლობის ბიჭი, სავსებით ხელმიშვებული, ვინმე გრაფი მოლნი, სახელად კაი.

გრაფი მოლნი ჰანოს ტანის ბიჭი იყო, მაგრამ ჰანოსავით დანიურ მეზღვაურის კოსტიუმში როდი იყო გამოწყობილი, ღარიბული, გაურკვეველი ფერის ტანსაცმელი ეცვა, ხალათზე ღილი ყოველთვის აკლდა, შარვალი კი საჯდომზე დაკერებული ჰქონდა. დამოკლებული სახელოებიდან მიწისა და მტვრისგან მუდამ გათითხნილი, ნაცრისფრად ქცეული, მაგრამ არაჩვეულებრივად ნატიფი, გრძელთითებიანი, წაწვეტებულფრჩხილებიანი წვრილი ხელები მოუჩანდა. ჩამოქნილ ხელებს ასეთივე კოხტა თავი ეხამებოდა. მოუვლელი, მუდამ დაუვარცხნელი თავის მოყვანილობაში ბუნებისგან მომადლებული წმინდა და კეთილშობილური ჯიშის ხაზები მაინც მჟღავნდებოდა. შუაზე დაუდევრად გაყოფილი, მოწითალო ქერა თმა ალებასტრივით თეთრ შუბლზე გადაევარცხნა. შუბლის ქვემოთ კი ჭკვიანური და გამსჭვალავი ღია

ცისფერი თვალები უბრწყინავდა. გრაფ მოლნს ოდნავ ღაწვმაღალი სახე ჰქონდა, ნაზნესტოებიან, ოდნავ კეხიან ცხვირს და ბაგეაბზეკილ ტუჩ-პირს კი ახლავე ემჩნეოდა დამახასიათებელი შტრიხები.

ჰანო ბუდენბროკს პატარა გრაფისთვის ჯერ კიდევ სკოლაში შემოსვლამდე ერთი- ორჯერ მოეკრა თვალი, როცა იდასთან ერთად ქალაქის ჩრდილოეთ კარიბჭეს გადაღმა დასეირნობდა ხოლმე. სწორედ იქ, პირველი სოფლის შორიახლო, ერთი კარ- მიდამო იყო შემორაგვული, პაწაწინა, თითქმის უფასური ადგილი, რომელსაც
სახელიც კი არ ერქვა. ეზოში ნეხვის გროვას, ქათმებს, საძაღლესა და ღარიბულ, ქოხის მსგავს სახლს დაინახავდით. სახლს მეტისმეტად დაქანებული წითელი სახურავი ჰქონდა. ეს გახლდათ ბატონების სახლი, აქ ცხოვრობდა კაის მამა, გრაფი ებერჰარდ მოლნი.

გრაფი უკარება კაცი იყო, ხალხს იშვიათად ენახვებოდა, ქათმებისა და ძაღლების მოშენებითა და მებოსტნეობით გართული თავისი პატარა კარ-მიდამოდან ფეხს არ იცვლიდა. ამ წარმოსადეგ კაცს ფეხებზე მუდამ ბოტფორდები ეცვა, მწვანე ჯუბა ემოსა, თავი გამელოტებული ჰქონდა, ზღაპრული გოლიათივით წვერმოშვებული დადიოდა და მათრახს ხელიდან არ იშორებდა, თუმცა არც ერთი ცხენი არ ჰყავდა. გადმოფანჩულ წარბს ქვემოთ მონოკლი ჰქონდა მიწებებული. მამა-შვილს გარდა ამ ქვეყანაზე არც ერთი გრაფი მოლნი აღარ მოიძებნებოდა. ოდესღაც მდიდარი, ძლიერი და მედიდური ოჯახის ნაშიერნი თანდათან დაკნინებულიყვნენ და გადაშენებულიყვნენ. ამქვეყნად მხოლოდ პატარა კაის ერთადერთი მამიდაღა დაბოგინებდა და გრაფ მოლნს მისგანაც შორს ეჭირა თავი, დას წერილებსაც კი არ სწერდა. გრაფინია რაღაც უცნაური ფსევდონიმით საოჯახო ჟურნალებში რომანებს აქვეყნებდა. გრაფ ებერჰარდზე ამბობდნენ, ქალაქის კარიბჭესთან დასახლებულს ჭიშკარზე დიდხანს აბრა ჰქონდა გამოკიდებული, არამკითხე მოამბეებისთვის, მოიჯარადრეებისა და მათხოვრებისთვის თავი რომ აერიდებინაო. აბრაზე ეწერა: „აქ ცხოვრობს მარტოხელა გრაფი მოლნი, არაფერი სჭირდება, არაფერს ყიდულობს და გასასაჩუქრებელიც არაფერი გააჩნია“. ბოლოს, როცა ამ წარწერას თავისი საქმე გაუკეთებია და გრაფს აღარავინ აწუხებდა, აბრაც მოუხსნია.

გრაფინია მშობიარობას გადაჰყოლია, ოჯახს ახლა ვიღაც ხანში შესული დედაკაცი უძღვებოდა და ქათმებსა და ძაღლებში გარეული პატარა კაი ობოლი ცხოველივით ველურად იზრდებოდა. ჰანო ბუდენბროკმა სწორედ აქ, შორიდან, დიდი რიდით შეავლო პირველად თვალი პატარა გრაფს, პატარა კაი კომბოსტოს კვლებში ბაჭიასავით დახტოდა, ლეკვებს ეძიძგილავებოდა და მალაყებით ქათმებს აფრთხობდა.

სკოლაში ჰანო კვლავ გადაეყარა თავის ნაცნობს. თავიდან პატარა გრაფის გატყიურებული გარეგნობა კიდეც აკრთობდა, მაგრამ დიდხანს არ გაუვლია, რომ ჰანო შეუმცდარი ინსტინქტით პატარა გრაფის ულაზათო სამოსელს ყურადღებას

აღარ აქცევდა და მისი ქათქათა შუბლის, პატარა პირისა და გრძლად გაჭრილი ცისფერი თვალების ჭვრეტით ტკბებოდა. ეს თვალები თითქოს გაბრაზებით უყურებდნენ ამ წუთისოფელს. ჰანოს პატარა გრაფისადმი დიდი სიმპათია გაეღვიძა, თუმცა მაინც არასოდეს ეყოფოდა გამბედაობა, ბიჭს პირველი დამეგობრებოდა. კაის რომ მოურიდებელი ინიციატივა არ გამოეჩინა, ისინი ერთმანეთისთვის, ალბათ, სამუდამოდ უცხონი დარჩებოდნენ. დიახ, კაი ისეთი გატაცებით მიილტვოდა მისკენ, რომ პატარა იოჰანი თავიდან შეშინდა კიდეც. ეს პატარა, ხელმიშვებული ბიჭი ელეგანტურად ჩაცმული ჰანოს გულის მონადირებას ისეთი მგზნებარებით, ისეთი მამაკაცური ჟინით ცდილობდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო! კაი ჰანოს სწავლაში ვერაფერს დაეხმარებოდა, რადგან მის მოუთვინიერებელ და თავისუფალ გონებას გამრავლების ტაბულა ისევე ეუცხოებოდა, როგორც პატარა ბუდენბროკის მეოცნებე ბუნებას. სამაგიეროდ კაის, რაც კი გააჩნდა, ჰანოსთვის არ ენანებოდა: მეგობარს შუშის ბურთულები, ჩიკორი და ტარმოღუნული პატარა თუნუქის რევოლვერიც კი აჩუქა, თუმცა ამ რევოლვერზე უკეთესი არაფერი გააჩნდა. შესვენებაზე კაი ჰანოსთან ხელიხელჩაკიდებული დადიოდა, თავისი სახლის, ლეკვებისა და ქათმების ამბებს უყვებოდა. შუადღეზე ჰანოს ბუტერბროდებიანი პარკით ხელში იდა იუნგმანი ელოდებოდა და სკოლიდან პირდაპირ სასეირნოდ მიჰყავდა, მაგრამ კაი ამხანაგს მაინც არ შორდებოდა - სანამდეც შეეძლო, მიაცილებდა ხოლმე. ასეთი გასეირნების დროს გაიგო კაიმ, რომ პატარა ბუდენბროკს შინ ჰანოს ეძახდნენ და მას შემდეგ ისიც თავის ამხანაგს ამ საალერსო სახელით მიმართავდა.

ერთ დღეს კაიმ დაიჟინა, ჰანო სასეირნოდ წისქვილის მიწაყრილის მაგიერ მამაჩემის მამულში წამოვიდესო. უნდოდა მეგობრისთვის ახალშობილი ზღვის გოჭები ენახვებინა. ფროილაინ იუნგმანი როგორც იყო დაჰყვა ბიჭების სურვილს და ჰანო გრაფის კარ-მიდამოსკენ წაიყვანა. ჰანომ და იდა იუნგმანმა ნეხვის გროვა, ბოსტანი, ძაღლები, ქათმები და გოჭები მოინახულეს და ბოლოს ზედ მიწის პირას გაშენებულ სახლშიც შევიდნენ. წაგრძელებულ ოთახში გრაფი ებერჰარდი, ჯიუტი განდეგილის ნამდვილი განსახიერება, მასიურ, გაურანდავ მაგიდას მისჯდომოდა და წიგნს კითხულობდა. მან სტუმრებს საკმაოდ უხეშად ჰკითხა მოსვლის მიზეზი.

იდა იუნგმანს ამიერიდან იქით პირს ვეღარავინ აქნევინებდა. იდა ჯიუტად ადგა თავისას, თუ ამხანაგებს ერთად ყოფნა უნდოდათ, ისევ სჯობდა, კაი ჰანოსთან მოსულიყო. ასე შემოდგა ფეხი პატარა გრაფმა თავისი მეგობრის დიდებულ სახლში. პატარა გრაფი გაოცებული ჩანდა, მაგრამ რიდის ნიშანწყალიც არ ემჩნეოდა. იმ დღიდან კაი ჰანოსთან სულ უფრო და უფრო ხშირად დადიოდა, მხოლოდ ზამთარში დიდი თოვლი თუ შეუშლიდა ხელს ნასადილევს გრძელი გზა ხელმეორედ გაევლო და ორიოდე საათი ჰანო ბუდენბროკთან გაეტარებინა.

ბიჭები მესამე სართულზე, ვრცელ საბავშვო ოთახში ისხდნენ და საშინაო დავალებებს ასრულებდნენ. დავალებად გრძელი ამოცანები ჰქონდათ მიცემული. ასპიდის დაფას ორივე მხარეზე შეკრება-გამოკლებით, გაყოფა-გამრავლებით რომ

ააჭრელებდნენ, საბოლოო შედეგი ნული უნდა გამოსულიყო. თუ ნულს ვერ მიიღებდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ სადღაც შეცდომა გაეპარათ. ახლა ის შეცდომა უნდა ეძებნათ, თავი უნდა ემტვრიათ, სანამ იმ პატარა ონავარ მხეცს არ იპოვიდნენ და არ მოათვინიერებდნენ. კიდევ კარგი, თუ შეცდომა ზევით არ იყო გაპარული, თორემ მთელი ნამუშევარი თავიდან უნდა გადაეწერათ. შემდეგ კარგა ხანს გერმანული ენის გრამატიკას ჩაჰკირკიტებდნენ. ზედსართავების შედარებით ხარისხებში აყვანის ხელოვნებას ეუფლებოდნენ. სუფთად, სწორხაზოვნად უნდა ჩაეწიკწიკებინათ ამდაგვარი მაგალითები: „რქა გამჭვირვალეა, შუშა უფრო გამჭვირვალეა, ჰაერი ყველაზე უფრო გამჭვირვალეა“. შემდეგ კარნახის რვეულს ჰკიდებდნენ ხელს და ამდაგვარი წინადადებების შესწავლას იწყებდნენ: „ჩვენი ჰედვიგი თუმცა დამჯერე გოგონაა, მაგრამ სოხანეზე ნაგავს როგორც წესი და რიგია, არასდროს ისე არ მოაგროვებს ხოლმე“. ამ წინადადებაში ვითომ მახე ისე იყო დაგებული, რომ მოსწავლეებს ზოგან „გ“-ს მაგიერ შეიძლებოდა „კ“ გაეგონათ და სიტყვა შეცდომით დაეწერათ. ჰანო და კაი ამ მახეში ებმებოდნენ კიდეც და შემდეგ ხელახლა უხდებოდათ წინადადების დაწერა. როცა ყველაფერს მორჩებოდნენ, წიგნებსა და რვეულებს ჩანთებში ჩაალაგებდნენ და ფანჯრის რაფაზე ჩამოსხდებოდნენ, რომ იდასთვის მოესმინათ.

კეთილი იდა ბავშვებს კატერლიზჰენის ამბავს უკითხავდა, რომელსაც ვერაფრით ესწავლა, რა იყო შიში, უკითხავდა ქონდრისკაცების, ჭარხალ-ბოლოკასა და ბაყაყ-ხელმწიფის ამბებს. ნახევრად თვალმოხუჭული იდა ხმადაბლა, დინჯად კითხულობდა. ეს ზღაპრები თავისი ცხოვრების მანძილზე იმდენჯერ ჰქონდა წაკითხული, რომ თითქმის ზეპირად იცოდა და გვერდებსაც დასველებული საჩვენებელი თითით მექანიკურად ფურცლავდა.

სწორედ ასეთი დროსტარებისას ხდებოდა ხოლმე სასწაული: პატარა კაის სურვილი ეღვიძებოდა, წიგნისთვის მიებაძა და თვითონაც მოეყოლა რაიმე. ეს ამბავი მით უფრო სასურველი იყო, რომ დაბეჭდილი ზღაპრები თანდათან შემოელიათ, ესეც რომ არა, ხანდახან იდასაც ხომ უნდა დაესვენა. კაის ზღაპრები პირველად მოკლე და მარტივი იყო, მერე უფრო გაბედული და რთული გახდა, ბავშვის მონაყოლი იმითაც აღძრავდა ინტერესს, რომ ჰაერში კი არ იყო გამოკიდებული, სინამდვილიდან გამომდინარეობდა და ამ სინამდვილეს პატარა გრაფი საოცარ, იდუმალებით აღსავსე შუქში ახვევდა... ჰანოს განსაკუთრებით ერთი ბოროტი, ძლიერი ჯადოქრის ამბავი უყვარდა. ჯადოქარს მშვენიერი, ნიჭით დაჯილდოებული პრინცი, სახელად იოზეფუსი, თუთიყუშად ექცია, ახლა ტყვედ ჰყავდა და, საერთოდ, ყველა კაცთაგანს თავისი მზაკვრობით ტანჯვას აყენებდა. მაგრამ სადღაც შორს, ცხრა მთას იქით, უკვე იზრდებოდა რჩეული გმირი, რომელიც ოდესმე ძაღლების, ქათმებისა და ზღვის გოჭების უძლეველ არმიას წამოუძღვებოდა, ჯადოქარს უშიშრად ეკვეთებოდა და მისი ბრჭყალებიდან პრინცსაც დაიხსნიდა და მთელ ქვეყანასაც, პირველ რიგში კი თავისი მახვილით ჰანო ბუდენბროკს გაათავისუფლებდა. კაცად ქცეული და

fb.com/groups/elib

გათავისუფლებული იოზეფუსი თავის სამფლობელოში დაბრუნდებოდა, ტახტზე ავიდოდა და კაისა და ჰანოს უმაღლეს წყალობას მიუბოძებდა.

სენატორი ბუდენბროკი საბავშვო ოთახთან ჩავლისას ხშირად ხედავდა მეგობრებს ერთად, მაგრამ საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, ადვილი შესამჩნევი იყო, რომ ბავშვები ერთმანეთზე დადებით გავლენას ახდენდნენ. ჰანო კაის მეტ სინაზეს, თვინიერებასა და კეთილშობილურ ჩვევებს მატებდა. კაის თავისი მეგობარი ნაზად უყვარდა, ჰანოს ქათქათა ხელებს შეხაროდა და მისი ხათრით ფროილაინ იუნგმანს ანებებდა, ჯაგრისითა და საპნით მისთვისაც გაეხეხა ხელები. თუკი ჰანოს პატარა გრაფის ხალისი და სილაღე გადაედებოდა, ამას რაღა სჯობდა. სენატორი ბუდენბროკი თავის თავს არ უმალავდა, რომ მუდამ ქალის მზრუნველობით გასათუთებულ ჰანოს მამაკაცური ძალა და ნება ვერ გაეღვიძებოდა.

კეთილი იდა იუნგმანი ოცდაათ წელზე მეტი იყო ბუდენბროკებს ემსახურებოდა და მის ერთგულებასა და თავდადებას ოქროთიც ვერ აწონიდა კაცი. იდამ ჯერ ბუდენბროკების ერთ თაობას გადააგო თავი, ჰანოს კი მართლა ხელისგულზე დააატარებდა, სინაზესა და ზრუნვას არ აკლებდა, თავს დაჰკანკალებდა, აღმერთებდა, ისე გულუბრყვილოდ და შეურყევლად სწამდა, ამ ქვეყანაზე ჰანოს სრულიად გამორჩეული და უპირატესი ადგილი ეკუთვნისო, რომ ხშირად ამ აზრს აბსურდამდე მიჰყავდა. ჰანოს გულისთვის საოცარ, ხანდახან უხერხულ მოურიდებლობასაც კი იჩენდა, ხშირად საშაქარლამოში ტკბილეულის საყიდლად რომ შევიდოდა, ხელს სავსებით დაუმორცხვებლად ჩაყოფდა დახლზე გამოდგმულ თასებში, ჰანოს რაიმე პირის ჩასატკბარუნებელს მიაჩეჩებდა და ფულსაც არ გადაიხდიდა: მისი აზრით, მედუქნეს მადლობა აქეთ უნდა ეთქვა. ხალხით შემოჯარულ ვიტრინასთან იდა თავის პრუსიულ დიალექტზე თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ მოითხოვდა, ყველას მისი გაზრდილისთვის დაეთმო გზა. დიახ, იდას თვალში ჰანო რაღაც განსაკუთრებული არსება იყო, იდა არც ერთ ბავშვს ჰანოს მიკარების ღირსადაც კი არ თვლიდა. რაც შეეხება პატარა კაის, აქ ბავშვების სიყვარული იდას შთაგონებაზე ძლიერი აღმოჩნდა, თანაც მამზელს კაის გვარიშვილობაც ხიბლავდა, მაგრამ თუკი წისქვილის მიწაყრილზე მერხზე ჩამომჯდარ იდასა და ჰანოს სხვა ბავშვები და მათი გადიები მიუახლოვდებოდნენ, ფროილაინ იუნგმანი თითქმის მაშინვე წამოდგებოდა, ხან საქმეს, ხან ორპირ ქარს მოიმიზეზებდა და იქაურობას გაეცლებოდა ხოლმე. ჰანოს კი ჩააგონებდა, შენ გარდა ყველა შენი ტოლი სურავანდითა და ათასგვარი უბედურებით არის დაჭირიანებულიო. ასეთი შეგონებანი ჰანოს ისედაც უნდო და უკარება ბუნებას ზიანს თუ მიაყენებდა, თორემ სასარგებლოს ვერაფერს შემატებდა.

სენატორ ბუდენბროკის ყურამდე ამგვარი წვრილმანები არ აღწევდა, მაგრამ ერთ რამეს კი ხედავდა: მისი ვაჟიშვილი თავისი ბუნებითა და გარეგანი გავლენის წყალობით სასურველი გზით არ ვითარდებოდა. ნეტავ შესძლებოდა, ბავშვი თვითონ აღეზარდა, დღედაღამ მის სულში ეფათურებინა ხელი! მაგრამ სენატორს ამისთვის

არ ეცალა. იგი გულისტკივილით ამჩნევდა, როგორ ეყრებოდა წყალში ბავშვის აღზრდის შემთხვევითი ცდები. ამით მამასა და შვილს შორის უფსკრული მხოლოდ ღრმავდებოდა. თომასს თვალწინ უტრიალებდა ბავშვობიდან გონებაში ჩაბეჭდილი ბაბუამისის ხატება. სწორედ ისეთი უნდოდა გაეხადა თავისი ვაჟიშვილი - გონებამახვილი, მხიარული, სადა, იუმორის გრძნობით აღსავსე და ძლიერი... ნუთუ
არ შეიძლებოდა ჰანო ასეთი ყოფილიყო? არა? მერედა, რატომ? ნეტავ მუსიკის დაძლევა და განდევნა მაინც შესძლებოდა საკუთარი ოჯახიდან! მუსიკა უხშობდა ყმაწვილს პრაქტიკული ცხოვრების გზას, იგი არც ჰანოს ჯანმრთელობისთვის იყო სასიკეთო და უკანასკნელ სულიერ ძალასაც ართმევდა! მისი მეოცნებე ბუნება ზოგჯერ შეურაცხადობას ხომ არ ესაზღვრებოდა?

ერთ ნაშუადღევს, სადილობის წინ, ჰანო მარტო ჩამოვიდა მეორე სართულზე. ბუდენბროკები სადილს ოთხზე მიირთმევდნენ. ჰანო ცოტა ხანს როიალს უჯდა, მერე კი სასტუმრო ოთახში მოიკალათა უსაქმოდ, მხარ-თეძოზე წამოწოლილი
ყელსახვევის ნასკვს აწვალებდა და ოთახს უმიზნოდ ათვალიერებდა. ჰანომ მზერა დედამისის კაკლის ხის კოპწია საწერ მაგიდაზე შეაჩერა. მაგიდაზე გადახსნილი ტყავის პორტფელი იდო და საოჯახო დოკუმენტები მოჩანდა. ჰანო იდაყვზე წამოიწია და ცოტა ხანს ქაღალდებს შორიდან აკვირდებოდა. ეჭვი არ იყო, მამას
მეორე საუზმის შემდეგ შიგ რაღაც ჩაეწერა, ოჯახის მატიანე სენატორს, ალბათ, კიდევ სჭირდებოდა და იმიტომ აღარ შეენახა. ზოგი დოკუმენტი პორტფელში იდო, დანარჩენი ფურცლები მამას გვერდზე გადაეწყო და ზედ მძიმე ფოლადის სახაზავი დაედო, ოქროთი მოვარაყებული ნაირ-ნაირფურცლებიანი დიდი დავთარი კი გადაშლილი დაეტოვებინა.

ჰანო შეზლონგიდან ზლაზვნით ჩამოცოცდა და საწერ მაგიდას მიაშურა. დავთარი იმ ადგილზე იყო გადაშლილი, სადაც ჰანოს წინაპრებისა და მამამისის ხელით, ბუდენბროკების მთელი საგვარეულო სქემა ფრჩხილებში ჩასმული მნიშვნელოვანი თარიღებით იყო მოცემული. ჰანომ სავარძელზე ჩაიმუხლა, დატალღული ღია წაბლისფერი თმით შემოსილი თავი ხელზე დააყრდნო და ხელნაწერს გვერდიდან შეაცქერდა. ჰანო დოკუმენტებს ოდნავ კრიტიკულად, ოდნავ ზიზღნარევი, სერიოზული გულგრილობით უყურებდა და ცალ ხელში დედის აბანოზის ხის მოოქრულ კალმისტარს ათამაშებდა. თვალები მამაკაცებისა და ქალების სახელებზე გადარბოდნენ. ეს სახელები ერთმანეთის ქვეშ ან ერთმანეთის გვერდით ეწერა. ზოგი ძველებური ღვლარჭნილი ხელით იყო დაწერილი, ასოები ზოგან უფერული ჩანდა, ზოგან კი შავი მელნით მაგრად დაედღაბნათ. ოქროს ქვიშის ნამცეცები ნაწერს კიდევ შერჩენოდა. ჰანომ ბოლოს მამის გაკრული ხელი იცნო, მშობლების სახელების ქვეშ მისი საკუთარი სახელები ეწერა: „იუსტუს, იოჰან, კასპარ, დაბად. 1861 წლის 15 აპრილს“. ამან კი გაართო ჰანო, ოდნავ წამოიმართა, სახაზავსა და კალმისტარს ხელი განურჩევლად წაატანა, სახაზავი თავისი სახელის ქვეშ დადო, მთელ გენეალოგიურ შტოს ერთხელ კიდევ მოავლო თვალი და დინჯად, დაუფიქრებლად, მექანიკურად, ნახევრად ოცნებაში წასულმა მთელ ფურცელზე ლამაზი, ორმაგი, სუფთა ხაზი

გაავლო, ზედა ხაზი ქვედაზე ოდნავ მსხვილი გააკეთა, ზუსტად ისე, როგორც არითმეტიკის რვეულში იყო დახაზული... შემდეგ თავი გვერდზე გადაიგდო, თავისი ნახელავი გამომცდელად შეათვალიერა და მაგიდას მოშორდა.

ნასადილევს სენატორმა ჰანოს მოუხმო და წარბშეჭმუხნილი შეეკითხა:

- ეს რა არის? ეს საიდან გაჩნდა? შენ გახაზე?

ჰანო ერთ წუთს დაფიქრდა კიდეც, მართლა ჩემი გახაზულია თუ არაო და შემდეგ საცოდავად, შეშინებულმა ამოთქვა:

- დიახ.

- ეს რას ნიშნავს? რამ მოგიარა? მიპასუხე, ეს სისულელე რამ ჩაგადენინა?! - დაუყვირა შვილს სენატორმა და დაგრაგნილი რვეული ლოყაზე მსუბუქად გაუტყლაშუნა.

პატარა იოჰანმა ხელი ლოყაზე მოისვა, უკან დაიხია და ენის ბორძიკით თქვა:

- მე მეგონა... მე მეგონა... შემდეგ აღარაფერი იქნებოდა...

მერვე თავი

ხუთშაბათობით შპალერებიდან მშვიდად მოღიმარი ღმერთებით გარშემორტყმულ ოჯახს სუფრაზე დიდი ხანი არ იყო ერთი ახალი სერიოზული სალაპარაკო გასჩენოდა. ამ საგანზე საუბრისას ბრაიტენშტრასელი ქალბატონი ბუდენბროკები გულგრილ სახეს იღებდნენ, ფრაუ პერმანედერს კი გამოხედვასა და ხელის მოძრაობაში ეტყობოდა დიდი შეშფოთება - ბრაზით ანთებული, აღელვებული თავს
უკან გადაიგდებდა, ორივე ხელს წინ გაიწვდიდა ან ცისკენ აღაპყრობდა და ამ ამბავზე გულწრფელი აღშფოთებით ლაპარაკობდა. ცალკეული შემთხვევიდან, საერთოდ, ცუდ ადამიანებს გადასწვდებოდა და სიბრაზეში მისთვის დამახასიათებელი ხორხისმიერი ხმით დაფდაფების ძახილივით, ნახევრად გაურკვევლად, მოკლე- მოკლედ ისროდა: „მტირალა ტრიშკე! გრიუნლიჰი! პერმანედერი!“ ფრაუ პერმანედერს სიტყვას ხანდახან ნერვიული, კუჭის სნეულებით გამოწვეული მშრალი ხველება აწყვეტინებდა. საქმე ის იყო, რომ ამ სახელებს ახალი სახელი შემატებოდა და ფრაუ პერმანედერი აუწერელი ზიზღითა და სიძულვილით სიტყვა „პროკურორს“ წამოიძახებდა ხოლმე.

როცა დარბაზში მუშტებმოკუმშული, ვიწრო ულვაშებს ქვემოთ ტუჩამრეზილი, ფრაკში გამოწყობილი დირექტორი ჰუგო ვაინშენკი რწევა-რწევით, ჩვეულებისამებრ დაგვიანებით შემოვიდოდა, ლაპარაკი წყდებოდა და სუფრაზე უხერხული, სულის შემხუთველი სიჩუმე ისადგურებდა, სანამ სენატორი ყველას არ დაიხსნიდა და

ძალდაუტანებლად, თითქოს საქმე ჩვეულებრივ ოპერაციას ეხებაო, დირექტორს რაიმეს არ შეეკითხებოდა. ჰუგო ვაინშენკი პასუხობდა, საქმე კარგად მიდის, ჩინებულად, სხვანაირად აბა, როგორ შეიძლებაო და საუბარს უდარდელად სხვა საგანზე გადაიტანდა. ჰუგო ვაინშენკი ახლა უფრო ატაცებულ გუნებაზე იყო, ვიდრე ოდესმე, თვალებს მოურიდებლად აცეცებდა და თუმცა პასუხს არავინ აძლევდა,
მაინც კითხულობდა, გერდა ბუდენბროკის ვიოლინო როგორ ბრძანდებაო. საერთოდ, გაუთავებლად და მხიარულად ლაყბობდა, არასასიამოვნო მხოლოდ ის იყო, რომ ამჩატებული დირექტორი სიტყვას ვერ ზომავდა და საკმაოდ უწმაწურ ამბებს ყვებოდა. ერთხელ ასეთ ანეკდოტსაც მოჰყვა: მუცლის ქარებით დაავადებული გადია ბავშვსაც აჭირიანებდაო. დირექტორი, თავის ჭკუით, ვითომ სასაცილოდ ბაძავდა შინაურ ექიმს და იძახდა: ეს ვინ ააყროლა აქაურობაო. ბატონი დირექტორი გვიან თუ მოეგებოდა გონს, ან სულაც ვერ შენიშნავდა, როგორ წითლდებოდა მისი ცოლი. კონსულის მეუღლე, თომასი და გერდა გაუნძრევლად ისხდნენ, ქალბატონი ბუდენბროკები ერთმანეთისკენ სუსხიან მზერას გააპარებდნენ და ასე განსაჯეთ, სუფრის ბოლოში მჯდარი რიკჰენ ზევერინიც კი შეურაცხყოფილ სახეს იღებდა. მხოლოდ მოხუცი კონსული კროგერი თუ წაიფრუტუნებდა ხოლმე.

რა დამართნოდა დირექტორ ვაინშენკს? ეს სერიოზული, საქმიანი, კერკეტი და გაუთლელი, მაგრამ თავის სამუშაოზე გადაგებული კაცი თურმე ყალბ საქმეებსაც ატრიალებდა და არცთუ იშვიათად. დიახ, მას ბრალად ედებოდა ისეთი მანევრების ჩატარება, რაც საეჭვო კი არა, უფრო მეტიც, ბინძურ და დანაშაულებრივ საქმედ ითვლებოდა. დირექტორ ვაინშენკის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი იყო აღძრული და არც არავინ იცოდა, სასამართლო როგორ განაჩენს გამოიტანდა. რა ბრალდებას უყენებდნენ მას? - სხვადასხვა ადგილას ხანძრის შემთხვევები ყოფილა, რაც სადაზღვევო ხელშეკრულებით ვაინშენკის საზოგადოებას გვარიანი თანხა უნდა დასჯდომოდა. დირექტორ ვაინშენკს თავისი აგენტების წყალობით უბედური შემთხვევები სწრაფად შეუტყვია და შეგნებულად, მოტყუების მიზნით სადაზღვევო ხელშეკრულებანი და მასთან მთელი ზარალიც სხვა საზოგადოებისთვის შეუჩეჩებია. ახლა კი საქმე პროკურორის ხელში იყო მოხვედრილი, პროკურორ დოქტორ მორიც ჰაგენშტრომის ხელში.

- თომას, - უთხრა ერთხელ თომასს შვილთან მარტო დარჩენილმა კონსულის მეუღლემ, - არაფერი მესმის... არ ვიცი, ამ საქმეს როგორ მოვეკიდო!

თომასმა უპასუხა:

- დიახ, ჩემო საყვარელო დედიკო... აბა, მე რა უნდა გითხრა? ყველაფერი რიგზეა- მეთქი რომ ვთქვა, არ შემიძლია, მაგრამ ვაინშენკი რომ ისეთი დამნაშავე იყოს, როგორც ზოგიერთს სურს, ესეც მეეჭვება. თანამედროვე სტილის საქმიან ცხოვრებაში არსებობს ისეთი რამ, რასაც usance-ს უწოდებენ. Usance არის ერთგვარი მანევრი, არცთუ სრულიად უმწიკვლო, დაწერილ კანონებს სავსებით არც ემორჩილება და

ერთი შეხედვით უსინდისობადაც კი შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ საქმიან სამყაროში რაღაც უსიტყვო შეთანხმების წყალობით usance სავსებით მიღებული რამ არის. მიჯნის გავლება usance-სა და დანაშაულს შორის ძალიან ძნელია... თუმცა სულერთია... თუკი ვაინშენკმა ასეთი რამ ჩაიდინა, მაინც არა მგონია, თავის კოლეგებზე მეტი დაეშავებინოს, რომლებმაც ამ საქმიდან სრულიად დაუსჯელად დაიძვრინეს თავი. მაგრამ პროცესიდან კარგს მაინც არაფერს მოველი. სადმე დიდ ქალაქში შეიძლებოდა ვაინშენკი გაემართლებინათ, მაგრამ აქ, სადაც ყველაფერი ჯგუფური და პირადი მოტივებიდან გამომდინარეობს, გამართლებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. სჯობდა, ვაინშენკი კარგად დაფიქრებულიყო, სანამ დამცველს აირჩევდა. ჩვენს ქალაქში ერთი ხეირიანი ვექილი არ მეგულება, ერთი გონიერი, საზრიანი და ორატორული ნიჭით დაჯილდოებული კაცი არ გვყავს, რომელიც ბეწვის ხიდზე გაივლიდა და ამ დახლართულ საქმეში მაინც თავისას გაიტანდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენი ბატონი იურისტები ერთმანეთს მტკიცედ უდგანან მხარში, ერთმანეთთან საერთო ინტერესებით, სადილებით, ნათესაობითაც კი არიან
დაკავშირებული და ერთმანეთს ანგარიშს უწევენ. ჩემი აზრით, ჭკვიანური იქნებოდა, ვაინშენკს აქაური ვექილი აეყვანა. იმან კი რა ქნა? საჭიროდ ცნო - დიახ, ვიმეორებ, საჭიროდ ცნო - და ბოლოს და ბოლოს ეს მისი სინდისის სასარგებლოდ ლაპარაკობს - დამცველი ბერლინიდან გამოეწერა, დოქტორი ბრესლაუერი, ნამდვილი ეშმაკის ფეხი, გამოქექილი ოქროპირი და სასამართლო კოდექსების დიდი მცოდნე. მასზე ამბობენ, ციხიდან ბევრი ყალთაბანდი ბანკროტი დაუხსნიაო. დიდი ჰონორარის ხათრით იგი საქმეს ეშმაკურად წარმართავს, მაგრამ რა? აქედანვე ვიცი, ჩვენი პატივცემული იურისტები თავებს დაიხოცავენ და უცხო ვექილს თავისას არ გაატანინებენ. სასამართლოც დოქტორ ჰაგენშტრომის სიტყვას უფრო იღებს ყურად. მოწმეები რაღას იზამენ? რაც შეეხება ჩვენი დირექტორის თანამშრომლებს, არა მგონია, თავისი უფროსის გულისთვის თავი დასდონ. ის, რასაც ჩვენ, კეთილმოსურნეები და მე მგონია, თვითონაც, გარეგნულ უხეშობას ვეძახით, მას ბევრ მეგობარს ვერ შესძენდა. მოკლედ რომ ვთქვა, დედა, ამ საქმისგან კარგს არაფერს მოველი. უბედურებაში ჩავარდნილი ერიკა ხომ ცოდვა იქნება და ცოდვა, მაგრამ მე ტონი უფრო მებრალება. იცოდე, ტონი მართალია, რომ ამბობს, ჰაგენშტრომმა ამ საქმეს სიხარულით მოჰკიდა ხელიო. ეს საქმე ჩვენ ყველას გვეხება, მისი ცუდი დასასრულიც ყველას გაგვსვრის, რადგან ვაინშენკი ჩვენი ოჯახის წევრია და ჩვენს სუფრას უზის. მე, ჩემი მხრივ, განზე ვდგები. ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე. საზოგადოების თვალში ამ საქმეს ჩემთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, სასამართლო პროცესსაც არ დავესწრები, თუმცა ბრესლაუერის მოსმენა კი მაინტერესებდა. ცილი რომ არ დამწამონ, საქმეზე ზეგავლენას ახდენდაო, საერთოდ, არაფერში არ ჩავერევი. მაგრამ ტონი რას იზამს? ვერც კი წარმომიდგენია, რა თავზარდამცემი იქნება მისთვის განაჩენი. ხმამაღლა კი აცხადებს პროტესტს ცილისწამებისა და შურიანი ინტრიგების წინააღმდეგ, მაგრამ ხმაში შიში უკრთის, შიში, ყველა იმ უბედურებათა შიში, რაც კი ოდესმე თავზე დასტყდომია, იმის შიში, რომ შეიძლება ეს უკანასკნელი იმედიც გამოეცალოს ხელიდან: ჩემმა ქალიშვილმა

შეიძლება ღირსეული ოჯახური მდგომარეობა დაკარგოსო. აი, ნახავ, რაც უფრო მეტად შეიპყრობს ეჭვი, მით უფრო დაიჟინებს, ვაინშენკი უდანაშაულოაო. ვინ იცის, იქნებ მართლა უდანაშაულოა ეს კაცი! რატომ არ შეიძლება უდანაშაულო იყოს? ლოდინის მეტი არაფერი დაგვრჩენია, დედა. ვაინშენკს, ტონისა და ერიკას ტაქტიანად უნდა მოვეპყრათ, მაგრამ ვაი, რომ გული კარგს არაფერს მიგრძნობს!..

ასე მოახლოვდა შობის დღესასწაული. პატარა იოჰანს იდას ხელით დამზადებული მოსახევი კალენდრის წყალობით, რომლის ბოლო ფურცელზე ნაძვის ხე იყო დახატული, ამ დღის მოახლოება არ გამოჰპარვია და ახლა დიდებული წამის დადგომას გულის ფანცქალით ელოდა.

შობის მახარობლები დღითი დღე მრავლდებოდნენ. ბებიასთან, სასადილო დარბაზში, ქრისტეშობის მარხვის პირველივე დღეებში დაკიდეს ბაბუა რუპრეჰტის ფერადი, კაცის სიმაღლე სურათი. ერთ დილას ჰანოს თავისი ლოგინის საფარი, პატარა ხალიჩა და მთელი ტანსაცმელი ხრაჭუნა, ფორტალი ოქროთი დახვდა მოფენილი, რამდენიმე დღის შემდეგ კი, ნაშუადღევს, სასტუმრო ოთახში, როცა მამა გაზეთით ხელში შეზლონგზე იყო წამოწოლილი და ჰანო სწორედ გეროკის „პალმის რტოებში“ ენდორელ კუდიან დედაბერზე დაწერილ ლექსს კითხულობდა, მოახლემ ბატონებს მოახსენა, „ვიღაც მოხუცი“ „პატარა ბიჭს“ კითხულობსო. ის „მოხუცი“ ყოველ წელს მოდიოდა, მაგრამ ჰანოსთვის მისი მოსვლა მაინც მოულოდნელი იყო ხოლმე. მოხუცი შინ შემოიპატიჟეს და ისიც ოთახში შემოფლატუნდა. მოსულს ფორტალი ოქროთი აციმციმებული, თოვლით დაფიფქული ქურქი უკუღმა ეცვა, ისეთივე ქუდი ეხურა, სახე შავად გაემურა, უზარმაზარ თეთრ წვერებში და არაბუნებრივად სქელ წარბებში სირმები უბრჭყვიალებდა. მან, შარშანდელივით, ბოხი ხმით განაცხადა, აი, ეს ტომარა, მარცხენა მხარზე რომ მკიდია, ვაშლებითა და ოქროს კაკლებითაა სავსე და კარგი, ღვთისმოსავი ბავშვებისთვის მომიტანია, ხოლო მარჯვენა მხარეს რომ როზგები მოჩანს, ცუდი ბავშვებისთვის არის განკუთვნილიო.

ეს გახლდათ ბაბუა რუპრეჰტი. რა თქმა უნდა, ნამდვილი ბაბუა კი არა, ალბათ, სულაც მამას გადმობრუნებულ ქურქში გახვეული დალაქი ვენცელი იყო, მაგრამ თუკი ბაბუა რუპრეჰტი საერთოდ არსებობდა, ნამდვილად ეს უნდა ყოფილიყო. გულაჩუყებულმა ჰანომ წელსაც წარმოთქვა „მამაო ჩვენო“, მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ ამოისლუკუნა ნერვიულად, თითქმის შეუგნებლად. ლოცვის წარმოთქმის შემდეგ ნება დართეს, კეთილი ბავშვებისთვის განკუთვნილ ხურჯინში ჩაეყო ხელი. მერე მოხუცი წავიდა, იმ ხურჯინის წაღება კი სულ დაავიწყდა.

დაიწყო არდადეგები. მშვიდობით ჩაიარა იმ წამმაც, როცა მამამ ჰანოს ნიშნები წაიკითხა. მოწაფეებს ნიშნებს საშობაოდ აუცილებლად უწერდნენ ხოლმე. დიდი დარბაზი უკვე საიდუმლოდ იყო ჩაგმანული, სუფრაზე მარციპანი და მიხაკისფერი ნამცხვრები შემოჰქონდათ, ქალაქი შობას ზეიმობდა, თოვდა და ყინავდა. სუსხიან, კრიალა ჰაერში იტალიელი მეარღნეების მოსალხენი ან ნაღვლიანი მელოდიები

იღვრებოდა. ხავერდის ჯუბებში გამოწყობილი შავწვერულვაშიანი იტალიელი მეარღნეები ამ მხარეში სადღესასწაულოდ ჩამოსულიყვნენ. ვიტრინები საშობაო ხორაგითა და საქონლით იყო გაჭედილი. ბაზრის მოედანზე, მაღალ გოთურ ჭასთან საშობაო ბაზრის ჭრელაჭრულა ბალაგანები გაემართათ. საითაც უნდა წასულიყავი, ყველგან გასაყიდად გამოტანილი ნაძვის ხეების სურნელთან ერთად დღესასწაულის სუნთქვას იგრძნობდი.

როგორც იქნა, დადგა ოცდასამი დეკემბრის საღამო და მასთან ერთად დადგა საჩუქრების მიღების წამიც: შინ, ფიშერგრუბეზე, საჩუქრებს მხოლოდ ოჯახის წევრები იღებდნენ. ეს მხოლოდ დასაწყისი, შესავალი იყო, რადგან შობის წინადღე კონსულის მეუღლეს ეკუთვნოდა. ასე რომ, ოცდაოთხი დეკემბრის გვიან ნაშუადღევს ლანდშაფტებიან ოთახში ფართო ოჯახურ წრეს კიდევ იურგენ კროგერი, ტერეზა ვაიჰბროტი და მადამ კეთელსენი შემომატებოდნენ.

მძიმე, შავზოლებიან ნაცრისფერ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილ კონსულის მეუღლეს ღაწვები ასწითლებოდა, თვალები სიცხიანივით უბრწყინავდა, ირგვლივ თავის განუყრელ ნაზ სურნელს აფრქვევდა, შემოსულ სტუმრებს უსიტყვოდ იკრავდა გულში და მაჯაზე ოქროს სამაჯურები უწკრიალებდა. ამ საღამოს იგი არაჩვეულებრივად აღტყინებული და მდუმარე იყო.

- ღმერთო ჩემო, დედა, მგონი, სიცხე გაქვს? - უთხრა დედას გერდასა და ჰანოსთან ერთად შემოსულმა სენატორმა და დასძინა, - რატომ ღელავ, საღამო ხომ ისედაც კარგად ჩაივლის?

კონსულის მეუღლემ სამივე გადაკოცნა და წაიჩურჩულა:

- იესო ქრისტეს სადიდებლად... ჩემი საყვარელი, ცხონებული ჟანი ხომ...

მართლაც, განსვენებულ კონსულს დღევანდელი დღისთვის განსაკუთრებული, ამაღლებული წესი და რიგი ჰქონდა შემოღებული. ამ საღამოს მთელ სახლში ზეაწეული, ნამდვილად საზეიმო განწყობილება უნდა ყოფილიყო გამეფებული და პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე კონსულის მეუღლე ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. სვეტებიანი სადარბაზოდან, სადაც უკვე შეკრებილიყო მარიენკირხეს ვაჟთა გუნდი, სასადილო დარბაზში გამორბოდა, აქ რიკჰენ ზევერინი ნაძვის ხის მორთვასა და საჩუქრების ტაბლის გაწყობას ამთავრებდა. აქედან კონსულის მეუღლე დერეფნისკენ მიიჩქაროდა, სადაც საჩუქრების მოლოდინში ამ სახლს შემოჩვეული ღარიბ-ღატაკნი და მათხოვრები იდგნენ აწურულნი. კონსულის მეუღლე კვლავ ლანდშაფტებიან ოთახში ბრუნდებოდა და ვინმეს თუ ზედმეტი სიტყვა წამოსცდებოდა ან ხმაურს ატეხდა, თვალით ტუქსავდა. ისეთი სიჩუმე იდგა, რომელიღაც შორეული დათოვლილი ქუჩიდან, არღნის კურანტებივით წკრიალა და ნაზი ხმა აქამდე გარკვევით აღწევდა. თუმცა დარბაზში ოცამდე კაცს მოეყარა თავი, ეკლესიაში რომ იცის, იმაზე ღრმა სიჩუმე იყო ჩამოწოლილი; განწყობილება, როგორც

სენატორმა თავის ბიძას, იუსტუს კროგერს ფრთხილად ჩასჩურჩულა, თითქმის სამგლოვიარო გახლდათ.

არც არავის უნდა შეშინებოდა, ეს განწყობილება რაიმე ყმაწვილური ცელქობით არ დაირღვესო. თვალის ერთი გადავლებაც კმაროდა, შეგენიშნათ: აქ შეკრებილი ოჯახის წევრები ისეთ ასაკში იყვნენ, როცა ხალისიანობის გამომჟღავნებას კარგა ხანია დადგენილი ფორმები აქვს მიღებული. სენატორ თომას ბუდენბროკის ფხიზელ, ენერგიულ და ოდნავ დამცინავ გამომეტყველებას სახის სიფითრე თითქოს უყიჟინებდა - ცრუობო. გერდა, მისი მეუღლე, სავარძელში გაუნძრევლად იჯდა, მშვენიერი თეთრი სახე ჭერისკენ მიექცია და ახლო-ახლო განლაგებული, მოლურჯო ჩრდილებით შემობურული, უცნაურად მოციმციმე თვალები ჭაღზე აელვარებულ ბროლის პრიზმებზე მიეპყრო. აქ იყვნენ: სენატორის და, ფრაუ პერმანედერი, იურგენ კროგერი - მისი ბიძაშვილი, სადად ჩაცმული მოხელე, ბრაიტენშტრასელი ბიძაშვილები ფრიდერიკე, ჰენრიეტე და ფიფი. ფრიდერიკე და ჰენრიეტე კიდევ
უფრო გაძვალტყავებულიყვნენ და აწოწილიყვნენ, ფიფი კი უფრო დადაბლებულიყო
და ჩასქელებულიყო. სამივე დას სახეზე ერთნაირი გამომეტყველება ედო, ბაგეზე გესლიანი, ავის მნდომელი ღიმილი დასთამაშებდათ, ყველა პიროვნებას, ყველა საგანს ეჭვის თვალით შესცქეროდნენ, თითქოს უნდოდათ ეთქვათ, მართლა? ასე უცებ მაინც ვერ დავიჯერებთო. საბრალო, განაცრისფრებული კლოტილდეს აზრები მხოლოდ ვახშამს დასტრიალებდა.

ყველანი ორმოცს გადაბიჯებულნი იყვნენ, ოჯახის დიასახლისი, მისი ძმა იუსტუსი, რძალი და ჯუჯა ტერეზა ვაიჰბროტი კი საცაა სამოცდაათს მიაღწევდნენ. ბრაიტენშტრასელ კონსულის მეუღლე ბუდენბროკსა და მთლად დაყრუებულ მადამ კეთელსენს ოთხმოცს ბევრი აღარა უკლდათ რა.

ახალგაზრდობით მხოლოდ ერიკა ვაინშენკი ყვაოდა, მაგრამ როცა ღია ცისფერ, გრიუნლიჰისეულ თვალებს ქმარს, დირექტორ ვაინშენკს მიაპყრობდა, ადვილი შესამჩნევი იყო, სავსე მკერდი ოხვრით როგორ აუდ-ჩაუდიოდა. დირექტორს ტუჩის კიდეებამდე ჩასდევდა ვიწრო ულვაშები, მისი საფეთქლებთან გაჭაღარავებული, მოკლედ შეკრეჭილი თმით დაფარული თავი კი გამოკვეთილივით ჩანდა შპალერების იდილიური ლანდშაფტების ფონზე. მას, ალბათ, არ ასვენებდა usance- ებზე, საბუღალტრო დავთრებზე, მოწმეებზე, პროკურორზე, ვექილსა და მოსამართლეზე შიშნარევი, არეული ფიქრები. დიახ, ამ ოთახში, ალბათ, არავინ იყო ისეთი, შობისთვის შეუფერებელი ფიქრი თავში რომ არ უტრიალებდა. იმის შეგნება, რომ ოჯახურ წრეში სამართალში მიცემული, კანონის, ბიურგერული წესრიგისა და საქმიანი კაცის ღირსების შემლახავი იჯდა და, ალბათ, შერცხვენისა და ციხისთვის იყო განწირული, ოჯახურ შეკრებას სავსებით უცხო, ნაღვლიან განწყობილებას ანიჭებდა. შობის ღამეს ბუდენბროკების ოჯახში ბრალდებული ზის! ფრაუ პერმანედერი სავარძელში უფრო მედიდურად გამოიჭიმა, ბრაიტენშტრასელი ქალბატონ ბუდენბროკების ღიმილს კი გესლი მოემატა.

ბავშვები? ესოდენ მცირერიცხოვანი უმცროსი თაობა? ვითომ ისინიც განიცდიდნენ მათ ოჯახში შემოპარულ ამაზრზენ, არნახულ ამბავს? პატარა ელიზაბეტის სულიერ მდგომარეობაზე მსჯელობა ჯერ შეუძლებელი იყო. ატლასის ლენტებით უხვად მორთულ კაბაში გამოწყობილი ბავშვი ძიძას უჯდა კალთაში. ატლასის ლენტების სიუხვეში ტონის გემოვნება იგრძნობოდა. ბავშვს ცერები პაწაწინა მუშტებში მოექცია, ენას აწკლაპუნებდა და ოდნავ გადმოკარკლული თვალებით წინ უაზროდ იყურებოდა. ხანდახან წამოიკრუსუნებდა და ამ დროს ძიძა ანანავებდა. ჰანო კი წყნარად იჯდა დედამისის ფერხთით და მასავით ჭაღის ბროლის პრიზმებს შესცქეროდა.

ქრისტიანი არსად ჩანდა! სად იყო ქრისტიანი? მხოლოდ ახლა შეამჩნიეს, რომ ის ჯერ კიდევ არ მოსულიყო. კონსულის მეუღლე აღელდა, ჩვეული ჟესტით ტუჩის კუთხიდან ვარცხნილობამდე ხელს წამდაუწუმ იცურებდა, თითქოს აბეზარ კულულს ისწორებსო. მან მამზელ იუნგმანს მოუხმო და ქრისტიანის დასაძახებლად გაგზავნა. მამზელმა სვეტებიან სადარბაზოში გუნდის ბიჭებს ჩაუარა, დერეფანს გაუყვა და ბატონ ბუდენბროკის კარზე დააკაკუნა.

ქრისტიანიც სწორედ ამ დროს გამოჩნდა კარში, გამხდარ, მოგრეხილ ფეხებს რევმატიზმის წყალობით გაშეშებულივით დაათრევდა. იგი ლანდშაფტებიან ოთახში არხეინად შემოვიდა და ხელით მოტიტვლებული შუბლი მოისრისა.

- ვაი ჩემს თავს, ბავშვებო, - თქვა ქრისტიანმა, - დღევანდელი საღამო კინაღამ არ დამავიწყდა?

- კინაღამ დაგავიწყდა... - გაიმეორა გაოგნებულმა კონსულის მეუღლემ.

- ჰო, კინაღამ დამავიწყდა, რომ დღეს შობაა... ვიჯექი და რაღაც წიგნს ვკითხულობდი სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობაზე... ღმერთო დიდებულო, მე რომ შობის დღეები მიტარებია... - დასძინა ქრისტიანმა და ის იყო დააპირა ლონდონის ერთ იაფფასიან კაბარეში გატარებული შობის წინაღამის ამბის მოყოლა, რომ ნელ-ნელა მასაც გადაედო ოთახში გამეფებული სამარისებური სიჩუმე და ცხვირშეჭმუხნილი თავისი ადგილისკენ ფეხაკრეფით გაემართა.

- ასულო სიონისათა, გიხაროდენ! - გალობდა გუნდი. სულ ცოტა ხნის წინ ამ ბიჭებს სადარბაზოში ერთი ალიაქოთი ჰქონდათ და სენატორი იძულებული გახდა, კართან დამდგარიყო, რომ ბავშვებს მისი მორიდებოდათ. გუნდი წარმტაცად გალობდა. წკრიალა, სუფთა, აღტაცებული ხმები ღვთის სადიდებლად რეკავდნენ, უფრო დაბალი ხმები კი ბანს აძლევდნენ. ეს გალობა შინაბერებს სახეზე ღიმილს გაუსათუთებდა, მოხუცებს თავიანთ გულში ჩაახედებდა და განვლილ ცხოვრებაზე დააფიქრებდა, შუახნის ადამიანებს კი ზრუნვასა და დარდს ერთი წუთით მაინც დაავიწყებდა.

ჰანოს მუხლებზე ხელები აღარ ჰქონდა შემოჭდობილი, სახე გაფითრებოდა, თავისი სკამის ფოჩებს ათამაშებდა, ენას კბილზე ისვამდა, პირი ნახევრად გაეღო და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ტანში აჟრიალებსო. ხანდახან სურვილი შემოაწვებოდა, ღრმად ამოესუნთქა, რადგან კაპელის გალობა, ჰაერში გამდგარი ეს ზარივით წკრიალა ხმები, გულს თითქმის მტკივნეული ბედნიერებით უკუმშავდა. შობა... მაღალი, თეთრად გალაქული, ჯერ კიდევ დაგმანული კარის ჭუჭრუტანებიდან ნაძვის სურნელი იპარებოდა და თავისი მოტკბო სუნით დარბაზში დაბუდებული საკვირველების წარმოდგენას აღვივებდა. ამ საოცრებას ყოველ წელიწადს ხელახლა ელოდები აფანცქალებული გულით, როგორც ხელშეუხებელ, არამიწიერ დიდებულებას... რა დახვდება ჰანოს იქ? უეჭველად ის, რაც თვითონ ისურვა წინასწარ. ყველა ხომ თავის ნანატრ საჩუქარს იღებდა, რა თქმა უნდა, თუ რაღაც შეუძლებელს არ მოისურვებდი. შეუძლებელზე მაშინვე გეტყოდნენ უარს. დარბაზში შესულ ჰანოს თეატრი მოხვდება თვალში, დიდი ხნის ნაოცნებარი თოჯინების თეატრი. ჰანო ამით მიხვდება, საჩუქრების მაგიდასთან სად უნდა შეჩერდეს, სად იქნება მისი ადგილი. ბებიასთვის ჩამოწერილ სურვილების სიაში თეატრი ხომ სულ თავში ეწერა და მსხვილადაც იყო გახაზული. „ფიდელიოს“ მოსმენის შემდეგ თეატრი ჰანოსთვის თითქმის ერთადერთი საფიქრალი იყო.

დიახ, ბატონ ბრეჰტთან ერთ-ერთი ვიზიტის შემდეგ ჰანო დაშოშმინებისა და დაჯილდოების მიზნით თეატრში პირველად წაიყვანეს, ქალაქის თეატრში, სადაც ჰანო პირველ რიგში იჯდა დედის გვერდით და სუნთქვაშეკრული „ფიდელიოს“ მუსიკას უსმენდა, მოქმედებას კი თვალებით ნთქავდა. მას შემდეგ სიზმარშიც საოპერო სცენებს ხედავდა. სცენის სიყვარული ბავშვს ისე მოეძალა, რომ ღამე თვალს თითქმის ვეღარ ხუჭავდა. იმ ხალხს ენით გამოუთქმელი შურით შეჰყურებდა, ვინც ბიძამის ქრისტიანივით თეატრალად ითვლებოდა. ასეთები იყვნენ კონსული დოლმანი და მაკლერი გოში. გაუძლებდა კი გული ამოდენა ბედნიერებას, მათსავით თითქმის ყოველ საღამოს თეატრში ყოფნის ნება რომ ჰქონოდა? ნეტავ კვირაში ერთხელ მაინც შესძლებოდა სპექტაკლის დაწყების წინ დარბაზში ცალი თვალით შეეჭვრიტა, ინსტრუმენტების აწყობის ხმები გაეგონა და ჩამოშვებული ფარდა დაენახა! ყველაფერი უყვარდა ჰანოს თეატრში: გაზის ლამპების სუნი, სავარძლები, მუსიკოსები, ფარდა...

როგორი იქნება მისი თოჯინების თეატრი? დიდი და ფართო? ფარდა როგორი ექნება? როგორც კი დროს იხელთებს, ფარდაში პატარა სათვალთვალო უნდა გამოჭრას. ქალაქის თეატრის ფარდასაც ხომ ჰქონდა გამოსაჭვრეტი... ნეტავ ბებიამ ან მამზელ ზევერინმა - ბებიას ყველაფერზე ზრუნვა გაუჭირდებოდა - „ფიდელიოს“ დეკორაციები თუ იშოვეს? ხვალ დილასვე ჩაიკეტება სადმე და მარტოდმარტო გამართავს წარმოდგენას... ჰანო ოცნებაში უკვე ამღერებდა თავის თოჯინებს - მუსიკა მისთვის უკვე გამხდარიყო თეატრის განუყრელი ნაწილი.

გუნდმა გალობა დაასრულა და ფუგისებურად განტოტვილი ხმები ბოლოს მშვიდად და ხალისიანად შეერწყა ერთმანეთს. გაიწკრიალა ბოლო აკორდმა და სვეტებიან სადარბაზოსა და ლანდშაფტებიან ოთახში ღრმა სიჩუმემ დაისადგურა. ოჯახის წევრები ჩამოვარდნილი დუმილის გავლენით თვალდახრილნი იატაკს დაჰყურებდნენ, მხოლოდ დირექტორი ვაინშენკი აცეცებდა მოურიდებლად თვალებს. ფრაუ პერმანედერმაც ვერ შეიკავა თავი და მშრალად ჩაახველა. კონსულის მეუღლე მაგიდისკენ ნელა გაემართა და თავის ახლობლებს ჩაუჯდა შუაში. სოფა ძველებურად აღარ იდგა მაგიდის მოშორებით. კონსულის მეუღლემ ლამპა მარჯვედ გაასწორა და ჟამთა სვლისგან გაუფერულებული, ოქროს ვარაყით დამშვენებული დიდი ბიბლია თავისკენ მოსწია. ცხვირზე სათვალე გაიკეთა, უზარმაზარი წიგნის შესაკვრელი ტყავის ბალთები გახსნა, ბიბლია დანიშნულ ადგილას გადაშალა, შაქრიანი წყალი მოსვა და საშობაო თავის კითხვას შეუდგა. სქელ, უხეშ, გაყვითლებულ ფურცლებზე ტექსტი უზარმაზარი ასოებით იყო დაბეჭდილი.

კონსულის მეუღლე კარგად ნაცნობ სიტყვებს ნელა, გულში ჩამწვდომად კითხულობდა, მისი სუფთა, მღელვარე ხმა მოწიწებით აღსავსე სიჩუმეში ხალისიანად გაისმოდა.

- წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ! - თქვა კონსულის მეუღლემ და დადუმდა.

მყისვე სვეტებიან სადარბაზოში სამ ხმაში აჟღერდა: „წყნარი ღამე, წმინდა ღამე“. გუნდს ოჯახის წევრებიც აჰყვნენ. ფრთხილად მღეროდნენ, რადგან აქ მყოფთა უმრავლესობას სმენა ღალატობდა და ანსამბლს აქა-იქ როყიო ტონი კვეთდა, მაგრამ ეს საგალობლის გავლენას ვერ ამცირებდა. ფრაუ პერმანედერი ათრთოლებული ბაგით მღეროდა, რადგან ეს საგალობელი ყველაზე ტკბილად და თან მტკივნეულად იმის გულს ხვდება, ვისაც მღელვარე ცხოვრება გაუვლია და საზეიმო ჟამს თავის ცხოვრებას გადახედავს ხოლმე... მადამ კეთელსენი უხმოდ და მწარედ ტიროდა, თუმცა ამ ქვეყნისა არაფერი გაეგებოდა.

შემდეგ კონსულის მეუღლე წამოდგა, თავის შვილიშვილს ჰანოს და შვილთაშვილს ელიზაბეტს ხელი ჩაჰკიდა და სასადილო დარბაზისკენ გაემართა. მათ მოხუცები მიჰყვნენ, შემდეგ უფრო ახალგაზრდები, სვეტებიან სადარბაზოში მათ მოსამსახურეები და ამ სახლს შემოჩვეული ღატაკნი შეუერთდნენ და ყველამ ერთხმად დასძახა: „ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო!“ ბიძია ქრისტიანი ბავშვებს აცინებდა, ფეხებს ხის ჯამბაზივით იქნევდა, ყეყეჩივით იყურებოდა და „ნაძვის ხეო, ნაძვის ხეოს“ მღეროდა. პირზე ღიმილმოფენილნი და შუქისგან თვალებდაბრმავებულები ფართოდ გაღებული მაღალი, ორფრთიანი კარით თითქოს პირდაპირ ზეციურ სამყაროში მოხვდნენ.

შეტრუსული ნაძვის რტოების სურნელით სავსე დარბაზში უამრავი სანთელი ციმციმებდა, ღმერთების თეთრი ქანდაკებებით შემკული შპალერების ცისფერი კი

ისედაც დიდ დარბაზს კიდევ უფრო ასხივოსნებდა. შინდისფერ ფარდებჩამოფარებულ დარბაზში გოლიათ, ჭერამდე აზიდულ ნაძვის ხეზე ანთებული სანთლები უხვი სინათლის მორევში შორეულ ციმციმა ვარსკვლავებს ჰგავდნენ. ნაძვის ხე ფორტალი ვერცხლითა და დიდრონი თეთრი შროშანებით იყო მორთული, წვეროზე ანგელოზის გამოსახულება ციალებდა, ნაძვის ხის ძირში კი კოპწია ბაგა იყო მოწყობილი. ფანჯრიდან თითქმის კარამდე გაჭიმულ მაგიდაზე თეთრი სუფრა ეფარა, ზედ საჩუქრები ელაგა და მთელ სიგრძეზე კანფეტებით დახუნძლული პატარ-პატარა ნაძვის ხეები იყო ჩარიგებული. ნაძვის ხეებზე ცვილის სანთლები ციმციმებდა, დარბაზის ოთხივე კუთხეში მოოქრულ კანდელაბრებშიც მაჯის სიმსხო კელაპტრები ენთო. დიდი საჩუქრები მაგიდაზე ვერ დატეულიყო და ერთმანეთის გვერდით, იატაკზე ელაგა. კარის ორივე მხარეს უფრო მომცრო, ისეთივე ქათქათა სუფრაგადაფარებული, საჩუქრებით სავსე, აციმციმებული ნაძვის ხეებით შემკული მაგიდები იდგა: ეს მოსამსახურეებისა და ღარიბების საჩუქრები გახლდათ.

სინათლისგან თვალებაჭრელებულებს კარგად ნაცნობი დარბაზი თითქოს უცხოდ ეჩვენათ. დარბაზს ირგვლივ სიმღერით შემოუარეს, ბაგის წინ, სადაც ცვილის ყრმა იესო თითქოს პირჯვარს ისახავდა, ნაბიჯი შეანელეს, შემდეგ საგნებს თვალი ნელ- ნელა შეაჩვიეს და თავ-თავიანთ ადგილებზე მდუმარედ შეჩერდნენ.

ჰანო გაოგნებული იყო. მისმა გაცეცებულმა თვალებმა დარბაზში შესვლისთანავე შენიშნეს თეატრი. იგი მაგიდაზე აღმართულიყო. ჰანო ოცნებაშიც ვერ გაბედავდა წარმოედგინა, რომ მისი თოჯინების თეატრი ამოდენა იქნებოდა, მაგრამ მისთვის ადგილი შეეცვალათ. შარშან იგი მაგიდის მეორე მხარეს იჯდა, ზუსტად იმ ადგილის პირდაპირ, სადაც ახლა თეატრი იდგა. ჰანო სერიოზულად დაეჭვდა, ეს ზღაპრული თეატრი მართლა ჩემთვის არის განკუთვნილი თუ არაო. ეჭვს ისიც უძლიერებდა, რომ სცენის ძირში, იატაკზე, რაღაც დიდი, კომოდის მსგავსი უცხო საგანი იდგა. ჰანოს ასეთი რამ თავისი სურვილების სიაში არ ჩაუწერია. ვითომ ისიც ჰანოს ეკუთვნოდა?

- მოდი, შვილიკო, შეხედე, - თქვა კონსულის მეუღლემ და იატაკზე მდგარ საგანს სახურავი ახადა, - ვიცი, ქორალების დაკვრა გიყვარს... ბატონი პფიული გასწავლის, რაც საჭიროა... აი, აქ ფეხის დაჭერა უნდა, ხან სუსტად, ხან ძლიერად... ხელები კლავიშებს არ უნდა მოაცილო, მხოლოდ peu a peu[7] უნდა ცვალო თითები...

ეს იყო ფისჰარმონია, პატარა, კოხტა, ყავისფრად გალაქული, ჭრელ-ჭრელ პედალებიანი და მეტალის სახელურებიანი ფისჰარმონია. მის წინ კოპწია, მბრუნავი სავარძელი იდგა. ჰანომ აკორდი აიღო... გაისმა ორგანის ნაზი ხმა, ამ ხმამ წუთით ყველას გადაავიწყა თავისი საჩუქრები. ჰანო ბებიას მოეხვია, მოხუცმა ქალბატონმა შვილიშვილი თბილად ჩაიკრა გულში, მერე კი ხელი უშვა, რომ მადლობა ახლა სხვებისგან მოესმინა.

ჰანო თეატრს მიუბრუნდა. ფისჰარმონია ახდენილ ოცნებას ჰგავდა, მაგრამ ახლა ჰანოს მისთვის არ ეცალა. ეს უკვე ჭარბი ბედნიერების ბრალი იყო: როცა ადამიანს ცალკეული საგანი აღარ იტაცებს, იგი ცდილობს ყოველ მათგანს შეავლოს ხელი, რომ მერე ყველაფერი ერთად შეიგრძნოს. ღმერთო, თეატრს სუფლიორის ჯიხურიც არ აკლდა, ნიჟარისებური ჯიხური, მის უკან კი ფართო, წითელი ოქროთი მოსირმული დიდებული ფარდა ზევით ადიოდა. სცენაზე „ფიდელიოს“ უკანასკნელი აქტის დეკორაციები იდგა. საბრალო ტყვეები ვედრებით იწვდიდნენ ხელებს. დონ პიზაროს ფუშფუშა სახელოებიანი კოსტიუმი ეცვა და სადღაც კუნჭულში შიშის მომგვრელ პოზაში გაშეშებულიყო. სცენის სიღრმიდან თავიდან ფეხებამდე შავ ხავერდში გამოწყობილი მინისტრი მოიჩქაროდა, რომ საქმე სასიკეთოდ შეეტრიალებინა. ყველაფერი ისე იყო, როგორც ქალაქის თეატრში, მგონი, უკეთესადაც კი. ჰანოს ყურში გუნდის საზეიმო ფინალი ჩაესმა, ფისჰარმონიას მიუჯდა, რომ ფინალიდან დამახსოვრებული ნაწყვეტი დაეკრა, მაგრამ იმწამსვე ფეხზე წამოიჭრა: მაგიდაზე
მისი ნანატრი წიგნი იდო - ბერძნული მითები. წითელ ყდაში ჩასმულ წიგნს ოქროთი ნატვიფრი ათენა პალადა ამშვენებდა. ჰანომ თავისი თეფშიდან კანფეტი აიღო და შეჭამა, მარციპანი და თაფლის კვერები მოციცქნა, წვრილმანი ნივთებიც დაათვალიერა, საწერი მოწყობილობა, სასკოლო რვეულები და ერთი წამით ყველაფერი დაავიწყდა, როცა კალმისტარს წაავლო ხელი. კალმისტარზე პაწაწინა შუშის ბურთულა ეკიდა, ბურთულა მხოლოდ თვალთან უნდა მიგეტანა და თითქოს ჯადოქრის ხელით თვალწინ შვეიცარიის ლანდშაფტი გადაგეშლებოდა.

მამზელ ზევერინმა და მოახლე გოგომ სუფრაზე ჩაი და ბისკვიტი ჩამოატარეს, ჰანომ ბისკვიტი ჩაიში ჩააწო და ერთი წუთით მოიცალა, რომ ირგვლივ მიმოეხედა. ზოგი მაგიდასთან იდგა, ზოგი აქეთ-იქით დადიოდა, ყველანი საუბრობდნენ და იცინოდნენ, ერთმანეთს საჩუქრებს უჩვენებდნენ და ერთმანეთის საჩუქრებს აქებდნენ. რა მასალისგან დამზადებული ნივთები არ იყო აქ: ფაიფურისა თუ ნიკელისა, ვერცხლისა თუ ოქროსი, ხისა, აბრეშუმისა თუ მაუდისა. სუფრაზე გრძელ მწკრივად ელაგა ნუშითა და ცუკატით სიმეტრიულად მორთული თაფლის კვერები და სიახლისგან ნოტიოგულიანი მარციპანის სქელ-სქელი კვერები... ფრაუ პერმანედერის ხელით დამზადებულ ან მისი ხელით მორთულ საჩუქრებს, ხელსაქმის ქისას, ქოთნის ყვავილის საფენს თუ ყურთბალიშს უხვად ამშვენებდა ატლასის ფართო ლენტები.

ხანდახან უფროსები პატარა იოჰანთან მივიდოდნენ, ხელს მეზღვაურის საყელოზე გადახვევდნენ და მის საჩუქრებს ირონიულად, გადაჭარბებული აღტაცებით ათვალიერებდნენ. უფროსებს ბავშვებთან ასეთი ტონით სჩვევიათ აღტაცების გამომჟღავნება. მხოლოდ ბიძია ქრისტიანს არა სწამდა ასეთი დიდური ქედმაღლობა, მას დედისგან საჩუქრად მიღებული ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი თითზე წამოეცვა, ჰანოსთან იდგა და თოჯინების თეატრის დანახვა ძმისწულზე ნაკლებად როდი უხაროდა.

- ეს ოხერი, რა კარგი რამაა! - ამბობდა ქრისტიანი, ფარდას ზევით-ქვევით სწევდა და ერთი ნაბიჯით უკან იხევდა, რომ სცენაზე დადგმული დეკორაციები უკეთ დაეთვალიერებინა, - ეს შენ ინატრე? მაშ, შენ ინატრე, ხომ? - ქრისტიანი ცოტა ხანს უჩვეულოდ დასერიოზულდა, თვალები შფოთიანად დააცეცა და უცებ ხმამაღლა წამოიძახა, - რატომ? როგორ მოგივიდა თავში ეს აზრი? ყოფილხარ თეატრში
„ფიდელიოზე“? ჰო, კარგი დადგმაა... ახლა კი გინდა შენ თვითონ დადგა, არა?
მიბაძო, ოპერა თვითონ წარმოადგინო? მაშ, თეატრმა შენზე ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა? ყური მიგდე, შვილიკო, იცი, რას გირჩევ? ასეთ რამეებს მეტისმეტად ნუ გადაყვები. აი, თეატრსა და ამისთანებზე გეუბნები. არაფერში გამოგადგება, დაუჯერე შენს ბიძას! მეც გადამეტებულ ინტერესს ვიჩენდი ასეთი რამეებისადმი და ჩემგან დიდი ვერაფერი შვილი გამოვიდა. გამოგიტყდები, დიდი შეცდომები მაქვს ჩადენილი.

ქრისტიანი ძმისწულს სერიოზულად და შთამაგონებლად ელაპარაკებოდა. ჰანო ბიძას ცნობისმოყვარე თვალს არ აცილებდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ქრისტიანს ლოყებჩაცვენილი სახე გაუბრწყინდა. ერთ-ერთ ფიგურას ხელი წაავლო, სცენაზე წამოსწია და ჩახლეჩილი ხმით წამოიწყო: „ოჰ, რა სასტიკი ბოროტებაა!“, ფისჰარმონიის სავარძელი თეატრისკენ მიაჩოჩა, ჩამოჯდა და ოპერის წარმოდგენა დაიწყო. ქრისტიანი მღეროდა, ჟესტებით ხან კაპელმაისტერს, ხან კი ოპერის მოქმედ პირებს ბაძავდა. მის ზურგს უკან თითქმის მთელმა ოჯახმა მოიყარა თავი, ყველანი იცინოდნენ, თავებს იქნევდნენ და გულიანად ილხენდნენ. ჰანო ქრისტიანს ჭეშმარიტი სიამოვნებით შეჰყურებდა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, ქრისტიანმა წარმოდგენა შეწყვიტა, ენა ჩაუვარდა, სახეზე შეშფოთებამ გადაურბინა, ხელი კეფაზე გადაისვა, მერე მარცხენა თეძოსკენ ჩამოაცურა და ცხვირშეჭმუხნილი, შეწუხებული სახით საზოგადოებას მიუბრუნდა:

- აი, ხედავთ, ისევ დამეწყო, - თქვა მან, - მოვიდა ჩემი განკითხვის ჟამი. ყოველთვის მაშინ წამოყოფს ხოლმე თავს, როცა ხუმრობის გუნებაზე დავდგები. ეს ტკივილი კი არა, ტანჯვაა... განუსაზღვრელი ტანჯვა, იმიტომ, რომ აქ ყველა ნერვი მოკლე მაქვს. უბრალოდ, ყველა მოკლეა, მორჩა და გათავდა.

ნათესავები მის ჩივილს ისევე აგდებულად ეკიდებოდნენ, როგორც მის ოხუნჯობას და ქრისტიანს პასუხის ღირსადაც არ ხდიდნენ. ისინი გულგრილად დაიშალნენ, ქრისტიანი ცოტა ხანს კიდევ მდუმარედ იჯდა თეატრის წინ, თვალებს სწრაფად, ფიქრიანად ახამხამებდა და სცენას ერთხანს ასე შესცქეროდა, მერე კი წამოდგა.

- აჰა, შვილიკო, გაერთე, - უთხრა მან ჰანოს და თმაზე ხელი გადაუსვა, - გაერთე, მაგრამ მეტისმეტი არ მოგივიდეს... უფრო სერიოზული საქმეები არ დაივიწყო, გესმის? მე ბევრი შეცდომა ჩამიდენია... ახლა კი კლუბში უნდა წავიდე... ცოტა ხნით კლუბში მივდივარ! - გასძახა მან უფროსებს, - დღეს იქაც შობას დღესასწაულობენ. ნახვამდის.

ქრისტიანი გაშეშებული, მოგრეხილი ფეხებით სვეტებიანი სადარბაზოსკენ წალასლასდა.

დღეს ყველას ჩვეულებრივზე ადრე ესადილა, ამიტომ ჩაისა და ბისკვიტებს მიეძალნენ, მაგრამ ჩაი დალიეს თუ არა, სუფრაზე დიდი ბროლის თასებით მოყვითალო, ხოროში, ფაფისებური საჭმელი შემოიტანეს. ეს იყო ნუშის კრემი, კვერცხის, გახეხილი ნუშისა და ვარდის წყლის ნარევი, საოცრად გემრიელი ტკბილეული, მაგრამ ერთი კოვზით ზომაზე მეტი რომ მიერთმია ვინმეს, კუჭს საშინლად დაუმძიმებდა. თუმცა კონსულის მეუღლემ სუფრის წევრები გააფრთხილა, ვახშმისთვის კუჭში „პატარა ადგილი მაინც დაეტოვებინათ“, ნუშის კრემზე უარი მაინც არავის უთქვამს. კლოტილდე ჭამაში სასწაულს ახდენდა. მადლიერების გრძნობით აღვსილი ნუშის კრემს ბურღულის ფაფასავით იტენიდა პირში. გულის გასაგრილებლად ჭიქებით ღვინის ჟელე მოიტანეს, ჟელეს ინგლისურ ქიშმიშიან კექსს ატანდნენ... სუფრა ნელ-ნელა აიშალა, ყველანი თეფშებით ხელში ლანდშაფტებიან ოთახში გამოეფინენ და იქ მაგიდის ირგვლივ მოიყარეს თავი.

ჰანო მარტო დარჩა სასადილო დარბაზში. პატარა ელიზაბეტ ვაინშენკი უკვე შინ წაეყვანათ, ჰანოს კი წელს პირველად მისცეს ნება ვახშმად მენგშტრასეზე დარჩენილიყო. მოსამსახურეებს და ღარიბებს თავიანთი საჩუქრები მიეღოთ და ისინიც წასულიყვნენ. იდა იუნგმანი სვეტებიან სადარბაზოში რიკჰენ ზევერინთან საუბრით იქცევდა თავს, თუმცა ის, როგორც აღმზრდელი, მნე ქალს ჩვეულებრივ
თავს არ უყადრებდა და მათ შორის არსებულ მანძილს მკაცრად იცავდა. დიდი ნაძვის ხის სანთლები ჩაიწვა და ჩაქრა, ქრისტეს ბაგაც სიბნელეში იყო გახვეული, მაგიდაზე ჩარიგებულ ნაძვის ხეებზე კი აქა-იქ კიდევ ბჟუტავდა სანთლები. ხანდახან სანთლის ალი რომელიმე ტოტს მოედებოდა, ტოტი ტკაცუნით აეგზნებოდა და დარბაზში დამდგარ ნაძვის სურნელს კიდევ უფრო აძლიერებდა. ნაძვის ხეზე დაკიდებულ სირმებს ჰაერის უმცირესი მოძრაობაც კი არხევდა. სირმები ნაზ წკრიალს გამოსცემდნენ. შემდეგ ისევ სიჩუმე ისადგურებდა და შორეული ქუჩებიდან გაყინულ ჰაერში დარხეული არღნის მიყრუებული ხმა აქამდე აღწევდა.

ჰანო საშობაო სურნელითა და ხმებით ტკბებოდა, თავი ხელზე დაეყრდნო და ბერძნულ მითებს კითხულობდა, თან მექანიკურად ჭამდა. კანფეტებს, მარციპანს, ნუშის კრემსა და ქიშმიშიან კექსს უფრო იმიტომ მიირთმევდა, რომ ეს ყველაფერი საშობაო იყო. შიშნარევი ნაღველი, რასაც ზედმეტად გამაძღარი კუჭი იწვევს ხოლმე,
ამ საღამოსგან მოგვრილ ტკბილ მღელვარებას ერთვოდა და ჰანოს ნაღვლიანი ბედნიერების ბურანში ახვევდა. ჰანო ზევსის მიერ ძალაუფლებისთვის გადატანილი ბრძოლების ამბებს კითხულობდა, ხანდახან კი სასტუმრო ოთახში მამიდა კლოტილდეს მომავალზე გამართულ საუბარს უგდებდა ყურს.

კლოტილდე ამ საღამოს უბედნიერესი ქალი იყო, მოლოცვებს და გამოჯავრებას ღიმილით ეპასუხებოდა. ღიმილი ნაცრისფერ სახეს უნათებდა, ხმა სიხარულისგან

უწყდებოდა - იგი წმინდა იოანეს მონასტერში მიეღოთ. სენატორმა კლოტილდეს ეს საქმე ორდენის აღმასრულებელი საბჭოს მეშვეობით მოუგვარა უხმაუროდ, თუმცა ზოგიერთი ვაჟბატონი კი ბურდღუნებდა, ეს ნეპოტიზმიაო. შეკრებილნი ახლა ამ საქველმოქმედო დაწესებულებაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც მეკლენბურგის, დობერტინისა და რიბნიცის კეთილშობილ დედათა მონასტრების მსგავსად ძველი, პატივსაცემი ოჯახების უსახსროდ დარჩენილ ქალიშვილებს სიბერეში ინახავდა. საბრალო კლოტილდესთვის პატარა, მაგრამ საიმედო რენტა გამოეყოთ. ეს რენტა წლიდან წლამდე კიდევ უფრო გაიზრდებოდა, სიბერის დღეებს კი კლოტილდე მონასტერშივე, მყუდრო და სუფთა ბინაში გაატარებდა.

პატარა იოჰანმა უფროსებთან ცოტა ხანს დაჰყო და მალე უკანვე დაბრუნდა. დარბაზი ახლა წინანდებურად აღარ იყო გაჩახჩახებული და თავისი დიდებულებით ჰანოს აღარ აკრთობდა, მაგრამ მას ახლა სხვა მომხიბვლელობა შეეძინა: საოცრად სასიამოვნო იყო დარბაზში ბორიალი, თითქოს წარმოდგენის შემდეგ ნახევრად ჩაბნელებულ სცენაზე გაგევლოს და კულისებში შეგეჭყიტოს. სასიამოვნო იყო დიდ ნაძვის ხეზე ოქროს მტვრიანებიანი შროშანების ახლოდან დათვალიერება, ბაგის ირგვლივ განლაგებული ცხოველებისა და ადამიანების ფიგურების ხელში აღება, იმ სანთლის მონახვა, ბეთლემის თავლაზე დაკიდებულ ვარსკვლავს რომ აკაშკაშებდა. სასიამოვნო იყო იატაკამდე ჩამოშვებული სუფრის კალთების აწევა და მაგიდის ქვეშ შეყრილი კოლოფებისა და გასახვევი ქაღალდების დათვალიერება.

ლანდშაფტებიან ოთახში საუბარი თანდათან მინელდა და ბოლოს, ძალაუნებურად, ერთ საჩოთირო საგანზე გადაინაცვლა, რომელიც აქამდე ყველას თავში უტრიალებდა, მაგრამ საშობაო საღამოს რიდით ხმას არავინ იღებდა. ეს იყო დირექტორ ვაინშენკის პროცესი. ჰუგო ვაინშენკმა თვითონვე ჩამოაგდო თავის პროცესზე სიტყვა, სახეზე და მიხრა-მოხრაში რაღაც გამომწვევი ხალისი ეტყობოდა.
მოწმეების დაკითხვის ამბებს დაწვრილებით ყვებოდა. სასამართლო სხდომები შობის გამო შეეწყვიტათ. ჰუგო ვაინშენკი თავმჯდომარეს, დოქტორ ფილანდერს მოურიდებლად ლანძღავდა, წინასწარ აქვს აკვიატებული ჩემი დასჯაო. დოქტორ ჰაგენშტრომის ტონსაც აკრიტიკებდა, ბატონი პროკურორი თურმე მას და მის მომხრე მოწმეებს უცნაური, დამცინავი ტონით მიმართავდა. ბრესლაუერს სხვადასხვა საბრალმდებლო ჩვენება ძალზე გონებამახვილურად გაუბათილებია და ჰუგო ვაინშენკი დაუიმედებია, ჯერჯერობით განაჩენის შიში ნუ გექნებაო. სენატორმა ზრდილობის გულისთვის დირექტორს რამდენიმე შეკითხვა მისცა, ფრაუ პერმანედერი კი სოფაზე მხრებაწეული იჯდა და მორიც ჰაგენშტრომს ჟამიდან ჟამზე წყევლა-კრულვას უგზავნიდა. დანარჩენები დუმდნენ, ისე მრავალმნიშვნელოვნად დუმდნენ, რომ თანდათან დირექტორმაც გაკმინდა ხმა. დარბაზში დარჩენილი პატარა ჰანოსთვის ისე სწრაფად გარბოდა დრო, თითქოს ზეციურ სამოთხეშიაო. ლანდშაფტებიან ოთახში კი ამ დროს მძიმე, შემბოჭავი, შიშნარევი სიჩუმე გამეფდა. ასე გაგრძელდა ცხრის ნახევრამდე, სანამ ქრისტიანი კლუბიდან დაბრუნდებოდა, სადაც უცოლოებისა და Suitier-ების საშობაო დღესასწაული იყო გამართული.

ქრისტიანს ბაგეზე ჩამქრალი სიგარის ნამწვი შერჩენოდა, ჩაცვენილი ლოყები შესწითლებოდა. ლანდშაფტებიან ოთახში იგი დარბაზიდან შემოვიდა და წამოიძახა:

- ბავშვებო, რა მშვენიერია ჩვენი დარბაზი! ვაინშენკ, კაცმა რომ თქვას, ბრესლაუერი კი უნდა მოგვეწვია დღეს აქ! ასეთი მშვენიერება, ალბათ, თავის დღეში არ უხილავს.

კონსულის მეუღლემ ქრისტიანს უსიტყვოდ დაუბრიალა თვალები. პასუხად ქრისტიანმა დედას გულუბრყვილო, კითხვით აღსავსე თვალებით შეხედა.

ცხრა საათზე ყველანი სუფრას შემოუსხდნენ. ჩვეულებრივ, შობის საღამოს სუფრას სვეტებიან სადარბაზოში შლიდნენ. კონსულის მეუღლემ გულითადი ხმით წაიკითხა სატრაპეზო ლოცვა:

„ქრისტე ღმერთო, წმინდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაი შენი, იყავნ ნებაი შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისაი მოგვეც ჩუენ დღეს“...

ლოცვას კონსულის მეუღლემ, როგორც შობის საღამოს იცოდნენ, პატარა, გამაფრთხილებელი მოწოდება მოაყოლა, იმ ხალხზეც იფიქრეთ, ვისაც ამ ბედნიერ დღეს ბუდენბროკების ოჯახივით არ ულხინსო. ამის შემდეგ ყველანი დამშვიდებული სინდისით მიუსხდნენ უხვ სუფრას. ვახშამი ერბოში ჩაშუშული ჭანარითა და ძველი რაინული ღვინით დაიწყო.

სენატორმა რამდენიმე ფხა საფულეში ჩაიდო, რომ ფულიანობა დაჰკვებებოდა და ქისაში მთელი წლის განმავლობაში ფული არ გამოლეულიყო. ქრისტიანმა ნაღვლიანად შენიშნა, ჩემს გაჭირვებულ ცხოვრებას ეგ რას უშველისო. ამ წესის შესრულებით არც კონსულ კროგერს შეუწუხებია თავი. მანაც განაცხადა, კურსის მერყეობის აღარ მეშინია, ჩემი გროშებით დიდი ხანია მყუდრო ნავსაყუდელში მაქვს ღუზა ჩაშვებულიო. მოხუცი ბატონი შეეცადა ცოლისგან რაც შეიძლებოდა, შორს დამჯდარიყო. ცოლს იგი თითქმის წლობით არ სცემდა ხმას, რადგან საბრალო ქალი მემკვიდრეობაჩამორთმეული იაკობისთვის ლონდონში, პარიზში თუ ამერიკაში ჩუმად ფულის გაგზავნას არ იშლიდა. ზუსტად მხოლოდ დედამ იცოდა, სად ეწეოდა იაკობი უთვისტომო ავანტიურისტის ცხოვრებას. კონსულმა კროგერმა შუბლი უსიამოვნოდ შეიჭმუხნა, თვალი რომ შეასწრო, მეორე კერძის შემოტანის შემდეგ ნათესავების მოხსენიებისას გულჩვილმა დედამ ცრემლები როგორ შეიმშრალა.
ახსენეს ფრანკფურტელი და ჰამბურგელი ნათესავები, უბოროტოდ მოიგონეს
პასტორი ტიბურციუსიც. სენატორმა უჩუმრად თავის დას გრიუნლიჰისა და პერმანედერის სახელზეც კი მიუჭახუნა ჭიქა - ისინიც, ასე თუ ისე, ამ ოჯახს ეკუთვნოდნენ.

ყველას მოეწონა წაბლით, ქიშმიშითა და ვაშლით მუცელგამოტენილი ინდაური. საერთო აზრით გადაწყდა, ამოდენა ინდაური ამ ბოლო წლებში ნამდვილად არა გვქონიაო. ინდაურს გარნირად შემწვარი კარტოფილი, ორნაირი ბოსტნეული და

ჩამუჟუჟებული ხილი ახლდა თან. თეფშებზე იმდენი გარნირი ჩამორიგდა, თითქოს ეს გარნირი კი არა, მთავარი კერძი ყოფილიყოს და მხოლოდ ამით უნდა დანაყრებულიყვნენ. ინდაურთან მოლენდორფის ფირმისეული ძველი წითელი ღვინო მიირთვეს.

პატარა იოჰანი მშობლებს შორის იჯდა და ინდაურის მკერდს გაჭირვებით ლოღნიდა... ჰანოს მამიდა ტილდასავით ჭამა არ შეეძლო, დაღლილობა მორეოდა და თავსაც შეუძლოდ გრძნობდა. მხოლოდ ის ეამაყებოდა, უფროსებთან ვახშმობის უფლება რომ ჰქონდა, თავის კოხტად გაშლილ ხელსახოცზე ხაშხაშმოყრილი გემრიელი ფუნთუშა ედო, მის წინ სამი სასმისი იდგა, აქამდე ღვინოს ბიძია
იუსტუსის სანათლიო საჩუქრით - პატარა ოქროს ფიალით სვამდა ხოლმე. როცა ბიძია იუსტუსმა პაწაწინა სასმისებში ქარვისფერი ბერძნული ღვინო ჩამოასხა და სუფრაზე ვაფლის ჭიქებით სამფერი - წითელი, თეთრი და ყავისფერი ნაყინი შემოიტანეს, ჰანოს პირი ისევ აუწყლიანდა. ნაყინი უკვე კბილებს სტკენდა, მაგრამ წითელი სულ
მოათავა, თეთრიდან ნახევარი ვაფლი შეჭამა და ბოლოს ყავისფერ, შოკოლადიან ნაყინსაც გაუსინჯა გემო, ვაფლიც შეახრამუნა, ტკბილი ღვინო მოწრუპა და ლაპარაკის საღერღელაშლილ ბიძია ქრისტიანს მიუგდო ყური.

ქრისტიანი კლუბში მოწყობილი საშობაო დღესასწაულის ამბავს ყვებოდა. კლუბში თურმე დიდი მხიარულება ყოფილა.

- ღმერთო დიდებულო! - ისეთი ტონით თქვა ქრისტიანმა, როგორც ჯონი თანდერსტრომის ამბის მოყოლის დროს იცოდა ხოლმე, - ბიჭები შვედურ პუნშს წყალივით სვამდნენ!

- თფუი! - მოკლედ შენიშნა კონსულის მეუღლემ და თვალები დახარა.

ქრისტიანს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. თვალები აუთამაშდა, ფიქრები ისე ცოცხლად მოსდიოდა თავში, რომ ჩათეთქვილ სახეზე მათი ანარეკლი ჩრდილებივით დარიალებდა.

- რომელიმე თქვენგანმა თუ იცის, - იკითხა ქრისტიანმა, - კაცს რა მოსდის, შვედურ პუნშს ბლომად რომ დალევს? სიმთვრალეზე არ მოგახსენებთ, აი, მეორე დღეს რომ შავი დღე დაადგება... უცნაური და საზიზღარი... დიახ, უცნაური და თანაც საზიზღარი.

- საკმაო საფუძველი არსებობს, ის დღე დაწვრილებით აგვიწერო, - შენიშნა სენატორმა.

- Assez, ქრისტიან, ეს ჩვენ სულ არ გვაინტერესებს, - შეაწყვეტინა შვილს კონსულის მეუღლემ.

მაგრამ ქრისტიანს დედის ნათქვამისთვის ყური არ უთხოვებია. ასეთ წუთებში ქრისტიანი არავის სიტყვას არ შეუშვებდა ყურში. ცოტა ხანს დადუმდებოდა, მერე

ერთბაშად ალაპარაკდებოდა, ერთი სული ჰქონდა, სანამ გონებაში მომწიფებულ ამაღელვებელ ამბავს სხვასაც უამბობდა.

- კაცი აქეთ-იქით დაწრიალებ და ისე ცუდად ხარ, რომ... - დაიწყო მან და ცხვირშეჭმუხნილი ძმას მიუბრუნდა, - თავი გტკივა, მუცელი გიბუყბუყებს... არა, ასეთი რამ სხვა მიზეზითაც შეიძლება დაგემართოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ დროს თავს ბინძურად გრძნობ, - ქრისტიანმა სახე დაღმიჭა და ხელები მოიფშვნიტა, - ასე გგონია, მთელი სხეული გაბინძურებული და დაუბანელი გაქვს. ხელებს იბან, მაგრამ ნურას უკაცრავად, არაფერს გშველის, ხელები ისევ ნოტიო და ჭუჭყიანი გრჩება, ფრჩხილებიდან თითქოს ზეთი გამოგტირის... ტანს იბან, მაინც არაფერს გშველის, ტანი თითქოს წებოვანი და ბინძური გაქვს. მთელი სხეული გაღიზიანებს, გაბრაზებს, თავი გეზიზღება... გამოგიცდია, თომას, ასეთი რამ, ჰა, მითხარი, გამოგიცდია?

- ჰო, ჰო, - ხელი აუქნია სენატორმა. მაგრამ ქრისტიანი ასე იოლად ვერ შეჩერდებოდა. მას წლითიწლობით აკლდებოდა ტაქტის გრძნობა, ქრისტიანს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ამგვარი ახსნა-განმარტებანი სუფრის წევრებს არაფრად ეპიტნავებოდათ, ვერ გრძნობდა, ამგვარ გარემოში და ისიც ასეთ საღამოს მისი საუბარი რა უადგილო იყო. შვედური პუნშის უზომო გადაკვრის შედეგებს მანამდე ასურათხატებდა, სანამ არ დარწმუნდა, რომ ყველაფერი ამოწურული იყო და ნელ- ნელა დადუმდა.

სანამ ყველსა და კარაქს მიირთმევდნენ, კონსულის მეუღლემ თავისიანებს კვლავ პატარა სიტყვით მიმართა:

- თუ განვლილ წლებში, - ამბობდა მოხუცი ქალბატონი, - ყველა საქმე ისე არ აწყობილა, როგორც ვინმეს სულმოკლეობისა და უგუნურების გამო უსურვებია, ღმერთს წყალობის კალთა მაინც უხვად დაუბერტყავს ჩვენს თავზე და გულები მის მიმართ მადლიერების გრძნობით უნდა გვქონდეს აღვსილი. სწორედ ბედნიერებისა და მკაცრი გამოცდის მონაცვლეობა გვაუწყებს, რომ უფალს არასდროს ხელი არ აუღია ჩვენს ოჯახზე, ბრძნული განზრახვით წარუმართავს ბედი ჩვენი და კვლავაც გვატარებს თავისი გზით, მოუთმენლობით მისი განრისხება არ გვარგებს. ახლა კი იმედით სავსე გულით ყველამ ერთხმად შევსვათ ჩვენი ოჯახის კეთილდღეობის სადღეგრძელო, მისი მომავლის სადღეგრძელო, იმ მომავლისა, რომლებიც მაშინ გაჩნდებიან, როცა მოხუცები და მათი მომდევნო თაობები უკვე ცივ მიწაში პოვებენ განსასვენებელს. ბავშვების სადღეგრძელო მინდა შევსვა, რომელთაც ეს დღესასწაული ეკუთვნით.

დირექტორ ვაინშენკის ქალიშვილი აქ აღარ იყო და პატარა იოჰანს მარტო მოუხდა მთელი სუფრის შემოვლა. ბებიით დაწყებული და მამზელ ზევერინით დამთავრებული, ჰანოს ყველასთვის ჭიქა უნდა მიეჭახუნებინა. უფროსებიც თავის მხრივ უჭახუნებდნენ ერთმანეთს ჭიქებს. როცა ბავშვი მამასთან მივიდა, სენატორმა თავისი სასმისი ჰანოს სასმისს მიუახლოვა და ბავშვს ნიკაპი ნაზად აუწია, უნდოდა

შვილისთვის თვალებში ჩაეხედა, მაგრამ ამაოდ, ჰანომ გრძელი, ოქროსფერი წამწამები ცისფრად მოჩრდილულ უპეებამდე მძიმედ დახარა.

ტერეზა ვაიჰბროტმა ჰანოს თავზე მოავლო ორივე ხელი, ლოყაზე წკლაპუნით აკოცა და გულითადი ხმით ისე ბეჯითად უთხრა, ბედნიერი იყავი, ჩემო კარგო შვილიკოო, რომ არ შეიძლებოდა, ღმერთს მისი ვედრება არ შეესმინა.

ერთი საათის შემდეგ ჰანო უკვე საწოლში იწვა. მისი საწოლი ოთახი მესამე სართულზე, სენატორის გარდერობის ხელმარცხნივ მდებარეობდა. ჰანო გულაღმა იწვა, რომ კუჭს არ დასწოლოდა. საღამოს მირთმეული იმდენი საჭმლისგან კუჭი ჰქონდა დამძიმებული. ჰანო მისკენ მომავალ იდას შეშფოთებულ მზერას არ აცილებდა. იდას უკვე ღამის პერანგი ეცვა, თავისი ოთახიდან მოდიოდა და ხელში ჭიქას აჯანჯღარებდა. ჰანომ სოდიანი წყალი დალია, სახე დაჭყანა და ისევ ლოგინზე დაეშვა.

- ახლა კი მაღებინებს, იდა.

- აჰ, არა, ჰანოჰენ! ეგრე გულაღმა იწექი და არ გაინძრე. აი, ხომ ხედავ? ვინ იყო, თითს რომ გიქნევდა? ის ბიჭი ვინღა იყო, ყურადღებას რომ არ მაქცევდა?

- ჰო, ჰო, მგონი უკეთ ვარ... ჩემს საჩუქრებს როდის მომიტანენ, იდა?

- ალიონზე, ჩემო ბიჭიკო.

- აქ შემოიტანონ. თვალს გავახელ თუ არა, მინდა იმავე წუთში დავინახო.

- კარგი, ჰანოჰენ, მაგრამ ჯერ კარგად გამოიძინე.

იდამ ბავშვს აკოცა, შუქი ჩააქრო და ოთახიდან გავიდა.

ჰანო მარტო დარჩა. წყნარად იწვა, სოდის კეთილმყოფელ გავლენას უკვე გრძნობდა და მის დახუჭულ თვალებს საჩუქრებიანი დარბაზის მთელი ბრწყინვალება ხელახლა წარმოუდგა. ჰანო ხედავდა თავის თეატრს, ფისჰარმონიას, ბერძნული მითების წიგნს, ყურში კი საიდანღაც გუნდის გალობა ჩაესმოდა. ირგვლივ ყველაფერი ციმციმებდა. ჰანოს თავი უბრუოდა. აჯანყებული კუჭისგან გული უკრთოდა, ნელა, უწესრიგოდ უცემდა. შეუძლოდ ყოფნისგან, მღელვარებისგან, მსუბუქი კაეშნისგან, დაღლილობისა და ბედნიერებისგან მის თვალებს ძილი დიდხანს არ მიჰკარებია.

ხვალ რიგში იდგა მესამე საშობაო საღამო: საღამოს ყველანი ტერეზა ვაიჰბროტთან გაატარებდნენ. ჰანოს ამ დღის გახსენება და საჩუქრის მოლოდინი პატარა ინტერმედიასავით უხარებდა გულს. ტერეზა ვაიჰბროტმა შარშან თავისი პანსიონი დახურა და ახლა მისი სახლი მიულენბრინკის ქუჩაზე თითქმის ცარიელი იყო. მეორე სართულზე მხოლოდ მადამ კეთელსენი ცხოვრობდა, პირველზე კი თვითონ ტერეზა ვაიჰბროტი ბინადრობდა. ტერეზა ვაიჰბროტის საცოდავ და მოტეხილ პატარა
სხეულს ბოლო წლებში სისუსტე ისე მორეოდა, რომ იგი ჭეშმარიტი ქრისტიანული

მოთმინებითა და მორჩილებით დღე-დღეზე ელოდა აღსასრულს. უკვე რამდენიმე წელი იყო, ყოველ შობას უკანასკნელად თვლიდა და ცდილობდა, თავის პატარა, საშინლად გახურებულ ოთახებში შობის დღესასწაულისთვის რაც შეეძლო მეტი ბრწყინვალება მიენიჭებინა. ტერეზა ვაიჰბროტს ბევრი საჩუქრის ყიდვის თავი არ ჰქონდა და ყოველ წელს თავის უბრალო ნივთებს ასაჩუქრებდა ხოლმე. რაც კი გააჩნდა, ნაძვის ხის ქვეშ ალაგებდა. ეს იყო სამშვენისები და პრესპაპიე, ნემსების ბალიშები და შუშის ლარნაკები, თავისი ბიბლიოთეკის წიგნები, უცნაური ფორმატის შალითაგადაკრული წიგნები: „თავის თავზე დამკვირვებლის საიდუმლო დღიური“, ჰებელის „ალემანური ლექსები“, კრუმახერის პარაბოლები. ჰანოს უკვე ჰქონდა ტერეზას ნაჩუქარი „Pensèes de Blaise Pascal“[8], ისეთი პაწაწინა წიგნი, რომ გამადიდებელი შუშის გარეშე კაციშვილი ვერ წაიკითხავდა.

ტერეზასთან უხვად იღვრებოდა ბიშოფი, ზეზემის ხელით დამზადებული სურნელოვანი ნამცხვრები კი არაჩვეულებრივად გემრიელი იყო. მაგრამ საშობაო დღესასწაული ფროილაინ ვაიჰბროტის ფაციფუცის წყალობით რაიმე მოულოდნელობის, მარცხის ან პატარა კატასტროფის გარეშე არასოდეს ჩაივლიდა. სტუმრებს ასეთი მარცხი სიცილს ჰგვრიდა, დიასახლისის უსიტყვო მხიარულებას კი ხალისს მატებდა. ან ბიშოფით სავსე ხელადა წამოპირქვავდებოდა და სუფრას წითელი, ტკბილი, შუშხუნა სითხე წალეკავდა, ან მორთულ-მოკაზმული ნაძვის ხე თავისი ხის საძირკვლიდან სწორედ იმ წუთში გადმოეშვებოდა, როცა სტუმრები საჩუქრების ოთახში დიდის ამბით შეაბიჯებდნენ ხოლმე.

უკვე თვლემამორეულ ჰანოს შარშანდელი მარცხი გაახსენდა. დადგა სწორედ დასაჩუქრების წამი. ტერეზა ვაიჰბროტი ბიბლიიდან თავს ისეთი გამოთქმით კითხულობდა, რომ ხმოვნებს ერთმანეთში ურევდა, მერე კარისკენ დაიხია, უნდოდა პატარა სიტყვა წარმოეთქვა. იგი ზღურბლზე იდგა. კუზიან, ერთი ციდა ტერეზას ბებრული ხელები ბავშვურ მკერდზე დაეკრიფა, ჩაჩის მწვანე აბრეშუმის ლენტები დალეულ მხრებზე სცემდა, თავს ზემოთ ნაძვის რტოში შემორკალული ტრანსპარანტი ეკიდა, ტრანსპარანტზე სიტყვები ციმციმებდა: „დიდება უფალს!“ ზეზემი ღვთის სიკეთეზე ლაპარაკობდა, ისიც მოიხსენია, რომ ეს მისი უკანასკნელი შობა იყო და ბოლოს მოციქულის სიტყვებით ყველას მხიარულებისკენ მოუწოდა. თავისივე სიტყვებმა ისე გაიტაცა, რომ თავიდან ფეხებამდე ათრთოლდა.

- გიხაროდენ! - თქვა მან, თავი გვერდზე გადახარა და ააკანტურა, - ერთხელ კიდევ გეტყვით: გიხაროდენ!

ამ დროს აალებული ტრანსპარანტი ტკაცუნით, ქშუილითა და სისინით ზეზემის ზედ თავზე დაენარცხა. მადმუაზელ ვაიჰბროტმა შიშისგან წამოიკივლა და სასაცილო, უცნაური მალაყით შეეცადა ნაპერწკლების წვიმისგან თავი დაეღწია. ჰანოს შინაბერას ნახტომი თვალწინ წარმოუდგა, უცნაურმა ნერვიულმა

მხიარულებამ შეიპყრო და ბალიშში თავჩარგული რამდენიმე წუთს წყნარად იცინოდა.

მეცხრე თავი

ფრაუ პერმანედერი ბრაიტენშტრასეზე მიიჩქაროდა. თითქოს მთელ ტანში მოწყვეტილიყო, მხოლოდ მხრების მოხაზულობასა და ყელის მოღერებაში თუ შერჩენოდა ის ღირსება, რასაც ტონი ქუჩაში ყოველთვის ინარჩუნებდა ხოლმე. დათრგუნვილ, თავზარდაცემულ ფრაუ პერმანედერს სიჩქარეში მაინც მოეხერხებინა ღირსების ნამცეცების შეგროვება, როგორც დამარცხებული მეფე შემოიკრებს ხოლმე თავისი ჯარების ნაშთებს, რომ მათთან ხელიხელგადაჭდობილმა გაქცევით უშველოს თავს.

ეჰ, ფრაუ პერმანედერი ძალზე ცუდი სანახავი იყო, ზედა ტუჩი, ოდნავ აბზეკილი და ამობურცული ზედა ტუჩი, ოდესღაც სახეს კიდევ უფრო რომ უმშვენებდა, ახლა საცოდავად უკანკალებდა, თვალები შიშისგან გაფართოებოდა, წამწამებს თითქმის არ ახამხამებდა, წინ უძრავად იყურებოდა. კაპორიდან გამოვარდნილი თმის ბღუჯა მოწმობდა, რომ თმა აწეწილი უნდა ჰქონოდა, სახეზე კი ისეთი მიწისფერი ედო, როგორც კუჭის შეტევის დროს იცოდა ხოლმე.

დიახ, კუჭი ამ ბოლო დროს ძალიან აწუხებდა. ხუთშაბათობით მთელი ოჯახი ამჩნევდა, რომ მისი მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. როგორც უნდა ცდილიყვნენ, მეჩეჩისთვის გვერდი აევლოთ, საუბარი მაინც ვაინშენკის პროცესზე გადავიდოდა, მით უმეტეს, რომ ფრაუ პერმანედერი თვითონვე ჯიუტად ცდილობდა
ამ საჩოთირო თემას დაჰბრუნებოდა. შემდეგ კი ღმერთსა და მთელ ქვეყანას შეღაღადებდა, პასუხს თხოულობდა: როგორ შეიძლება, პროკურორ მორიც ჰაგენშტრომს ღამე მშვიდად ეძინოსო. ფრაუ პერმანედერი ამას ვერასდროს ჩასწვდებოდა და ვერც ვერასოდეს გაიგებდა... მღელვარება კი ყოველ სიტყვაზე ემატებოდა.

- გმადლობთ, არაფერი მინდა, - იტყოდა ფრაუ პერმანედერი და საჭმელს განზე გასწევდა, თან მხრებს აიწურავდა, თავს უკან გადაიგდებდა და თითქოს მწუხარების მწვერვალზე ასული დარდს მარტოდმარტო მიეცემოდა. ლუდის მეტს პირში არაფერს იკარებდა. სვამდა ცივ ბავარიულ ლუდს, რომელსაც მიუნხენში ცხოვრების ჟამს მისჩვეოდა. ლუდს ცარიელ კუჭში ისხამდა, კუჭი უღიზიანდებოდა და თავბედს აწყევლინებდა ხოლმე. სადილის დამთავრებამდე ფრაუ პერმანედერი იძულებული ხდებოდა წამომდგარიყო, ბაღში ან ეზოში ჩასულიყო და იქ იდა იუნგმანის ან რიკჰენ ზევერინის ხელზე დაყრდნობილს საშინელი ტანჯვა განეცადა. ფრაუ პერმანედერს გულზე არაფერი ადგებოდა, დაცარიელებული კუჭი კი მაინც მტკივნეულად

ეკუმშებოდა და ენით აუწერელ ტანჯვას აყენებდა. ამოსანთხევი არაფერი რჩებოდა და გაწამებული ქალი ტკივილისგან დიდხანს იგრიხებოდა.

ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა. იანვრის ქარიანი, წვიმიანი დღე იდგა. ფრაუ პერმანედერმა ფიშერგრუბეს კუთხეს მიაღწია, შეუხვია და ქუჩას ძმის სახლისკენ, დაღმა ჩაუყვა. კარზე მაგრად დააკაკუნა და პირდაპირ კანტორას მიაშურა, ფანჯარასთან მჯდარ სენატორს მზერა მიაპყრო და ისეთი ვედრებით დაუქნია თავი, რომ თომას ბუდენბროკმა კალამი მაშინვე გვერდზე გადადო და დას შეეგება.

- რა მოხდა? - შეეკითხა იგი ტონის და ცალი წარბი მაღლა აზიდა.

- ერთი წუთით, თომას... სასწრაფო საქმე მაქვს... გადაუდებელი საქმეა...

თომასმა დას თავისი კაბინეტის ტყავგადაკრული კარი გაუღო. კაბინეტში შევიდნენ თუ არა, თომასმა კარი შეიკეტა და დას სახეში კითხვით შეხედა.

- ტომ, - აკანკალებული ხმით წარმოთქვა ტონიმ და მუფთაში ხელების მტვრევა დაიწყო, - შენ უნდა მოგვცე... დროებით უნდა მასესხო... გევედრები, ვალად უნდა მომცე... ჩვენ არა გვაქვს... საიდან უნდა ვიშოვოთ 25000 მარკა... შენ სრულად მიიღებ
ამ თანხას უკანვე... ალბათ, ძალიან მალე... ხომ გესმის, რასაც ვამბობ... დიდი ხანი
აღარ დარჩა და... მოკლედ, პროცესი იმ დონეზეა მისული, რომ ჰაგენშტრომი ან დაუყოვნებლივ დაპატიმრებას მოითხოვს, ან 25000 საწინდრის გადახდას. ვაინშენკი პატიოსან სიტყვას გაძლევს, ქალაქიდან ფეხს არ მოვიცვლიო...

- აი, თურმე სანამდე მისულა საქმე, - თავი გადააქნია სენატორმა.

- დიახ, აქამდე მიიყვანეს იმ გაიძვერებმა, იმ საცოდავებმა! - უილაჯო ბრაზისგან ცრემლმორეულმა ფრაუ პერმანედერმა ერთი ამოისლუკუნა და იქვე, მუშამბაგადაკრულ სავარძელში ჩაეშვა, - ისინი მეტსაც იზამენ, ტომ, საქმეს ბოლომდე მიიყვანენ...

- ტონი, - თქვა თომასმა, წითელი ხის საწერ მაგიდას გვერდულად მიუჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და თავი ხელზე დაიყრდნო, - გულახდილად მითხარი, გჯერა, რომ ვაინშენკი უდანაშაულოა?

ტონიმ ერთი-ორჯერ კიდევ ამოისლუკუნა და შემდეგ წყნარად, სასოწარკვეთილი ხმით უპასუხა:

- აჰ, არა, ტომ... განა შემეძლო, ეგ დამეჯერებინა? მერე მე, ვისაც ამდენი უბედურება მხვდა წილად? თავიდანაც არ მჯეროდა, მაგრამ თავს ძალას ვატანდი. ცხოვრება ისეთი მწარეა, რომ არავის უდანაშაულობას არ გაწამებინებს... აჰ, არა, დიდი ხანია
მის კეთილსინდისიერებაში ეჭვი მეპარება, ერიკასაც კი აღარ სჯერა მისი... ამას წინათ ტირილით გამომიტყდა... ერიკას მისმა საქციელმა გაუტეხა გული. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ ეჭვის გამხელა არც გვიცდია... მის უხეშობას კი თანდათან საზღვარი აღარ

ჰქონდა. თან სულ უფრო და უფრო სასტიკად მოითხოვდა, ერიკა მხიარულად ყოფილიყო და მისთვის ნაღველი გაექარვებინა. იმ წუთში ჭურჭელს ამსხვრევდა, როგორც კი ერიკას შუბლშეჭმუხნილს დაინახავდა. შენ არც კი იცი, რა დღეში ვიყავით, საღამოობით თავის ქაღალდებიანად საათობით რომ ჩაიკეტებოდა ხოლმე... თუ ვინმე კარზე დაკაკუნებას გაუბედავდა, წამოხტებოდა და ყვიროდა: ვინ არის, რა ამბავიაო.

დუმილი ჩამოვარდა.

- მაგრამ დაე, დამნაშავე იყოს! ჩაიდინა ხომ დანაშაული, - ხელახლა დაიწყო ფრაუ პერმანედერმა და ხმა გაუმაგრდა, - თავისი ჯიბისთვის ხომ არ დამშვრალა, თავისი საზოგადოებისთვის იკლავდა თავს. მერე... ღმერთო დიდებულო, ამ ცხოვრებაში რაღაცას ხომ უნდა გაეწიოს ანგარიში, ტომ?! ის ხომ ჩვენი ოჯახის სიძეა... ჩვენი ოჯახის წევრი... ღმერთო, შენ დამიფარე, განა შეიძლება რომელიმე ჩვენგანი ციხეში ჩასვან?

თომასმა მხრები აიჩეჩა.

- შენ მხრებს იჩეჩავ, ტომ... მაშ, შენ აპირებ, ეს უმსგავსობა მოითმინო, არა? მაშ, ის ოხრები ისე უნდა გათავხედდნენ, რომ მაინც თავისი გაიტანონ? რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ! მას განაჩენი არ უნდა გამოუტანონ! შენ ხომ გუბერნატორის მარჯვენა ხელი ხარ... ღმერთო, განა სენატს არ შეუძლია ის უბრალოდ შეიწყალოს? იცი, სანამ შენთან მოვიდოდი, მინდოდა კრემერთან წავსულიყავი და შევვედრებოდი, ამ საქმეში ჩარეულიყო, რაიმე ეღონა... ის ხომ პოლიციის შეფია...

- ბავშვი ხომ არა ხარ, ეგ რა სისულელეა!

- სისულელეა, ტომ? მერე ერიკა? ბავშვი? - თქვა ტონიმ და ძმისკენ მუფთიანი ხელები ვედრებით გაიწვდინა, შემდეგ ერთ წუთს დადუმდა და ხელები დაუშვა, პირი მოეღრიცა, ნიკაპი აუცახცახდა, დახრილ ქუთუთოებზე ორი მსხვილი ცრემლი დაეკიდა და ძლივს გასაგონად დაუმატა, - მერე მე?

- ტონი, courage! - თქვა დის უმწეობით შეძრულმა სენატორმა, ტონისთან ახლოს მიიწია და თმაზე ალერსიანად გადაუსვა ხელი, - ჯერ ხომ ყველაფერი არ დამთავრებულა. ჯერ ხომ არ მიუსჯიათ. ხომ შეიძლება, ყველაფერი კარგად დამთავრდეს. ჯერჯერობით საწინდარს გავიღებ, რა თქმა უნდა, უარს არ გეტყვი. ბრესლაუერიც ეშმაკი კაცია და...

ტონიმ ტირილით გააქნია თავი.

- არა, ტომ, საქმე კარგად არ დამთავრდება, არა მჯერა. ისინი მას გაასამართლებენ და ჩასვამენ, შემდეგ კი ერიკას, ბავშვსა და მე შავი დღე დაგვადგება. ერიკას მზითევი აღარ არის, იგი სახლს, ავეჯს და სურათებს მოუნდა. გაყიდვისას მეოთხედ ფასსაც ვერ ამოიგებ. ჩვენ ხელფასს ვხარჯავდით. ვაინშენკს არაფერი გადაუნახავს. ჩვენ ისევ

დედასთან გადავალთ, თუ დედა ნებას დაგვრთავს, სანამ ვაინშენკი ციხიდან გამოვა. მერე უარესი დღე დაგვადგება, სადღა უნდა შევაფაროთ თავი? ალბათ, ქვებზე მოგვიწევს ჯდომა! - ტირილით დაასრულა ტონიმ.

- ქვებზე?

- ჰო, ეს გამოთქმაა ასეთი... ხატოვანი... აჰ, არა, კარგი არაფერი გველის. ეს ქვეყანა მაინც ჩემზე ჩამოიქცა და ისაა... არ ვიცი, ამდენი უბედურება რით დავიმსახურე...
სასო საბოლოოდ წარმეკვეთა. ახლა ერიკასაც ის დღე მოელის, რაც მე გრიუნლიჰსა და პერმანედერთან დამადგა... ხედავ, ხომ ხედავ, როგორაა ეს ქვეყანა მოწყობილი: ყველა უბედურება ერთს დაატყდება ხოლმე თავს! რა გვეშველება, მითხარი, ტომ, რა გვეშველება? - გაიმეორა მან და ძმას უნუგეშო კითხვით სავსე, დიდი, ცრემლიანი თვალებით შეაჩერდა, - რაც კი წამოვიწყე, ყველაფერი გამიცრუვდა და უკუღმა შემიტრიალდა. ღმერთმა კი იცის, რომ ყოველთვის კეთილი განზრახვა
მამოძრავებდა! სულითა და გულით მინდოდა ცხოვრებაში რაიმესთვის მიმეღწია, ჩვენი გვარისთვისაც პატივი შემემატებინა... აი, ახლაც ყველაფერი მეღუპება. ეს უკანასკნელი იმედიც ასე უნდა დამმსხვრეოდა...

ტონი ძმას მკლავზე მიეყრდნო. თომასმა და ნაზად ჩაიკრა გულში. ფრაუ პერმანედერი თავის სვეგამწარებულ ცხოვრებაზე ცხარე ცრემლით ატირდა, ცხოვრებაზე, სადაც უკანასკნელი იმედის სხივიც კი ჩასვენებული იყო.

* * *

ერთი კვირის შემდეგ დირექტორ ჰუგო ვაინშენკს სამწელიწად-ნახევარი ციხე მიუსაჯეს და მაშინვე დააპატიმრეს კიდეც.

განაჩენის გამოცხადების დღეს სასამართლო დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა. ბერლინელმა ვექილმა, დოქტორმა ბრესლაუერმა ისე ილაპარაკა, მსმენელი ლაპარაკის უნახავი გახადა. მაკლერი სიგიზმუნდ გოში აღტაცებისგან დიდხანს სისინებდა და ვექილის ირონიით, პათოსითა და შთაგონებით აღსავსე სიტყვას ხოტბას ასხამდა. ქრისტიან ბუდენბროკიც ესწრებოდა სხდომას. ის კლუბში ოქმების მაგიერ გაზეთების შეკვრას დაიდებდა ხოლმე მაგიდაზე და ვექილის სრულყოფილ ასლს წარმოსახავდა. შინ კი აცხადებდა, იურისპრუდენცია უმშვენიერესი პროფესიაა და სწორედ ჩემთვის იქნებოდა ზედგამოჭრილიო. თვითონ პროკურორი დოქტორი ჰაგენშტრომიც, მშვენიერების ჭეშმარიტი შემფასებელი, კერძო საუბარში არ მალავდა, ბრესლაუერის სიტყვამ მეც უდიდესი სიამოვნება მომანიჭაო. მაგრამ სახელგანთქმული ვექილის ტალანტმა საქმეს ვერაფერი უშველა. მას აქაურმა იურისტებმა მხარზე ხელი მოუტყაპუნეს და ტკბილად გამოუცხადეს, თავს არ გაგაცურებინებთო.

დირექტორის დაპატიმრების შემდეგ ვაინშენკების ქონება გაიყიდა და ქალაქში ჰუგო ვაინშენკის სახელი თანდათან დავიწყებას მიეცა. მხოლოდ ბრაიტენშტრასელი

ქალბატონი ბუდენბროკები იტყოდნენ ხოლმე ხუთშაბათობით, ოჯახურ სადილზე: შევხედეთ თუ არა იმ კაცს, მაშინვე შევატყვეთ, რა შვილიც ბრძანდებოდა, თვალებზე ეტყობოდა, რომ წმინდა წყლისა არ იყო და თავის ცხოვრებას კარგად არ დაამთავრებდა; მაშინ სხვადასხვა გარემოების გამო ვარჩიეთ თავი შეგვეკავებინა, ახლა კი ვნანობთ, ამ სამწუხარო აღმოჩენაზე მაშინვე რომ არაფერი ვთქვითო.

მეცხრე ნაწილი

პირველი თავი

სენატორი ბუდენბროკი კონსულის მეუღლის საძინებელი ოთახიდან ორ ექიმს, მოხუც გრაბოვსა და ლანგჰალსების ოჯახის ნაშიერს, ახალგაზრდა დოქტორ ლანგჰალსს ფეხდაფეხ გამოჰყვა და მცირე სასადილოში შეიკეტა კარი.

დოქტორი ლანგჰალსი ერთი წელი ძლივს იქნებოდა, რაც ქალაქში მოღვაწეობდა.

- ნება მომეცით, ერთი წუთით შეგაჩეროთ, ბატონებო, - წარმოთქვა სენატორმა და ექიმები ზევით, დერეფნისა და სვეტებიანი სადარბაზოს გავლით ლანდშაფტებიან ოთახში აიყვანა, სადაც ნოტიო და ცივი შემოდგომის გამო უკვე ღუმელი ენთო.

- ჩემი მღელვარება არ გაგიკვირდებათ... დაბრძანდით! დამამშვიდეთ, თუკი ეს შესაძლებელია, - განაგრძო სენატორმა შეწყვეტილი სიტყვა.

- შეგიძლიათ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ბატონო სენატორო! - უპასუხა დოქტორმა გრაბოვმა.

მოხუც ექიმს ნიკაპი ყელსახვევში ჩაეფლო, სავარძელში უკვე მოხერხებულად მოკალათებულიყო და შლაპა ორივე ხელით მუცელზე მიეხუტებინა. დოქტორ ლანგჰალსს კი ცილინდრი ხალიჩაზე დაედო და თავის უჩვეულოდ პატარა, შავბალნიან ხელებს დასცქეროდა. დოქტორი ლანგჰალსი ჩასკვნილი, შავგვრემანი კაცი იყო, წვერისთვის წვეტიანი ფორმა მიეცა, თავზე თმა ჯაგარივით ედგა, ლამაზი თვალები ჰქონდა და სახეზე მედიდური იერი ედო.

- ჯერჯერობით, სერიოზულად შესაშფოთებელი, რა თქმა უნდა, არაფერი გვაქვს, - განაგრძო დოქტორმა გრაბოვმა, - მოგეხსენებათ, ჩვენი ძვირფასი ქალბატონის გამძლეობის მქონე პაციენტი... ამდენი ხანია თქვენს ოჯახს ვემსახურები და მშვენივრად ვიცი მისი გამძლეობის ამბავი. ავადმყოფობაზე ასეთი გაძალიანება მისი

ხნის ქალისთვის პირდაპირ გასაოცარია, მე თქვენ მოგახსენებთ, პირდაპირ გასაოცარია!

- დიახ, სწორედ მისი ასაკი მაფიქრებს, - შეშფოთებით დაუდასტურა ექიმს სენატორმა და გრძელი ულვაშის ბოლო გადაიკვარკნა.

- მე, რა თქმა უნდა, იმას არ მოგახსენებთ, რომ თქვენი ძვირფასი ქალბატონი დედიკო ხვალვე გამოვა სასეირნოდ, - ალერსიანად განაგრძო დოქტორმა გრაბოვმა, - ასეთ შთაბეჭდილებას პაციენტი არც თქვენზე მოახდენდა, ძვირფასო სენატორო. ვერ უარვყოფთ, რომ კატარი ამ ოცდაოთხი საათის განმავლობაში გაგვიმწვავდა. გუშინდელი შემცივნება ძალიან არ მომეწონა, დღეს კი საერთო მდგომარეობას გვერდებში ჩხვლეტა და სუნთქვის შეჭირვებაც დაემატა. პატარა სიცხეც გვაქვს, უმნიშვნელო, მაგრამ მაინც სიცხეა. მოკლედ, ძვირფასო სენატორო, არსებული სიმპტომების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცალი ფილტვი ცოტათი გაღიზიანებულია.

- მაშ, ფილტვების ანთებაა? - იკითხა სენატორმა და ორივე ექიმს რიგრიგობით გადახედა.

- დიახ, pneumonia[9] გახლავთ, - სერიოზულად და კორექტულად დაუკრა სენატორს თავი დოქტორმა ლანგჰალსმა.

- ეჰ, რას ვიზამთ, მარჯვენა ფილტვის პატარა ანთება გვაქვს, - უპასუხა შინაურმა ექიმმა, - და ჩვენც მისი ლოკალიზება უნდა ვცადოთ...

- მაშ, სერიოზული შეშფოთების მიზეზი მაინც გვქონია? - სენატორი წყნარად იჯდა და ექიმს დაჟინებით შესცქეროდა სახეში.

- შეშფოთების მიზეზი? ო, როგორც ვთქვით, უნდა ვიზრუნოთ, რომ ავადმყოფობა შევზღუდოთ, ხველება შევასუსტოთ და სიცხე დავწიოთ... მოკლედ, ქინაქინა თავისას იზამს... ერთიც უნდა მოგახსენოთ, ძვირფასო სენატორო, ცალკეული სიმპტომის გამოჩენა ნუ შეგვაშინებს, კარგი? ავადმყოფს ან სუნთქვა შეეკვრება, ღამით შეიძლება ბოდვაც დაიწყოს, დილით იქნებ ნახველი ამოიღოს... იცით, აი, ასეთი, მოწითალო- მოყავისფრო ფერისა, სისხლიც თან ახლავს ხოლმე... ეს ყველაფერი სავსებით ლოგიკურია და სავსებით ნორმალური ასეთი ავადმყოფობისთვის. პატივცემული მადამ პერმანედერიც შეამზადეთ. როგორ თავდაუზოგავად უვლის ქალბატონს?! a propos, როგორ არის მადამ პერმანედერი? ამ ბოლო დღეებში სულ გადამავიწყდა, მისი კუჭის ამბავი მეკითხა.

- ეჰ, ყველაფერი ძველებურადაა, ახალი არაფერი ვიცი. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ახლა ვიღას ახსოვს.

- დიახ, დიახ, რასაკვირველია. მაინც... ერთ რამეს ვფიქრობ. თქვენს ქალბატონ დას მოსვენება სჭირდება, განსაკუთრებით ღამით, მამზელ ზევერინი კი მარტოკა

ავადმყოფის მოვლას ვერ გასწვდება... იქნებ მომვლელი აგეყვანათ, ძვირფასო სენატორო, ა? რას იტყვით? აქ ჩვენ გვყავს კეთილი კათოლიკე დები, იმათზე თქვენ პირადად დიდი ამაგი გაქვთ... მონასტრის წინამძღვარს გაუხარდება კიდეც, თუ რაიმეში გამოგადგებათ.

- მაშ, თქვენ ეს საჭიროდ მიგაჩნიათ?

- მე უბრალოდ გირჩევთ. ეს საქმეს მოუხდება, თორემ არ ავნებს. მოწყალების დები ამ დროს დაუფასებელნი არიან. თავისი გამოცდილებითა და სიმშვიდით ავადმყოფზე ისე დამაწყნარებლად მოქმედებენ... განსაკუთრებით ისეთი სნეულების ჟამს, რომელსაც, როგორც მოგახსენეთ, არასასიამოვნო სიმპტომები ახლავს თან... მაშ, ერთხელ კიდევ გიმეორებთ: სიმშვიდე შეინარჩუნეთ, ჩემო ძვირფასო სენატორო... ჯერ ვნახოთ... ამ საღამოს ხომ კიდევ შემოვივლით...

- უეჭველად, - დაუდასტურა დოქტორმა ლანგჰალსმა. ცილინდრი ხელში აიღო და თითქმის თავის უფროს კოლეგასთან ერთად წამოდგა ფეხზე. მაგრამ სენატორი ჯერ წამოდგომას არ აპირებდა, მას საუბარი ჯერ არ დაემთავრებინა, თავში კიდევ ერთი კითხვა უტრიალებდა, ერთხელ კიდევ უნდოდა ესინჯა და ექიმებისთვის სიმართლე დაეცდენინებინა.

- ბატონებო, - თქვა მან, - ერთი სიტყვა კიდევ... ჩემი ძმა, ქრისტიანი, ნერვიული კაცია, მოკლედ, ბევრის ატანა არ შეუძლია... როგორ მირჩევთ, შევატყობინო დედის ავადმყოფობის ამბავი? იქნებ მისი ჩამოსვლა დაგვეჩქარებინა?

- თქვენი ძმა ქალაქში არ არის?

- არა, ჰამბურგშია. რამდენადაც ვიცი, ცოტა ხნით საქმეებზეა წასული.

დოქტორმა გრაბოვმა კოლეგას გადახედა, შემდეგ სენატორს სიცილით ჩამოართვა ხელი და უთხრა:

- ნუ შევუშლით ხელს! ტყუილუბრალოდ რატომ უნდა შევაშინოთ? თუ ავადმყოფობა ისე შეტრიალდება, რომ მისი აქ ყოფნა სასურველი გახდება, ვთქვათ, პაციენტის დასამშვიდებლად, გუნების გამოსაკეთებლად... მაშინ, მაშინ... მისი ჩამოსვლა ყოველთვის მოესწრება... ყოველთვის მოესწრება...

ბატონებმა სვეტებიანი სადარბაზო და დერეფანი გაიარეს, კიბის თავში შეჩერდნენ და საუბარი სულ სხვა თემაზე გადაიტანეს. პოლიტიკას გადასწვდნენ, ახლახან დამთავრებული ომით გამოწვეული მღელვარება და გადატრიალებები გაიხსენეს.

- ახლა კი დაგვიდგება კარგი დრო, არა, ბატონო სენატორო? ქვეყანაში ფულიც არის და განწყობილებაც ყველგან საუკეთესო გახლავთ.

სენატორი ექიმს ნაძალადევად დაეთანხმა. დაუდასტურა, ომის დაწყებამ რუსეთთან მარცვლეულით ვაჭრობა გააცხოველაო, ისიც მოიხსენია, არმიის მომარაგებასთან

დაკავშირებული საქონელბრუნვა საზღვაო იმპორტშიც გაიზარდაო, მაგრამ ისიც აღნიშნა, მოგება ძალიან არათანაბრად ნაწილდებოდაო.

ექიმები წავიდნენ, სენატორი ბუდენბროკი კი უკან გამობრუნდა, უნდოდა, ავადმყოფის ოთახში ერთხელ კიდევ შეეხედა. თან გრაბოვის სიტყვებზე ფიქრობდა... ექიმის სიტყვებში ბევრი რამ იყო თქმული, აშკარად იგრძნობოდა, გრაბოვი გადამწყვეტი აზრის თქმას თავს არიდებდა. ერთადერთი გარკვეული სიტყვა
„ფილტვების ანთება“ იყო, დოქტორმა ლანგჰალსმა მეცნიერულ ენაზე რომ გადათარგმნა. ამ სიტყვას ნუგეში არ მომატებია. ფილტვების ანთება ასეთ ასაკში... შესაშფოთებლად ისიც კმაროდა, სახლში რომ ორი ექიმი დადიოდა, თუმცა გრაბოვმა მეორე ექიმი თითქოს სავსებით ძალდაუტანებლად და შეუმჩნევლად შემოიყვანა ბუდენბროკებთან. მისი სიტყვით, ადრე თუ გვიან, თვითონ პრაქტიკისთვის თავი უნდა დაენებებინა, მისი საქმე ახალგაზრდა ლანგჰალსს უნდა განეგრძო და ამიტომ გრაბოვს სიამოვნებას ჰგვრიდა, იგი ზოგიერთ ოჯახში ახლავე შეეყვანა.

ნახევრად ჩაბნელებულ საძინებელ ოთახში შესულ სენატორს სახეზე შეშფოთებისა და ზრუნვის კვალიც არ ემჩნეოდა. იგი ისე იყო მიჩვეული, დარდი და დაღლილობა მოჩვენებითი სიმშვიდით დაეფარა, რომ ეს ნიღაბი კარის გაღებისთანავე, ნებისყოფის მცირე დაძაბვითაც კი ეფარებოდა სახეზე.

ფრაუ პერმანედერი ფარდებაკეცილ ჩარდახიან საწოლთან იჯდა და დედის ხელი ეჭირა. ბალიშებზე მიყრდნობილმა კონსულის მეუღლემ თავი შემოსულისკენ მოაბრუნა და ღია ცისფერი თვალები სახეში გამომცდელად შეანათა. ავადმყოფს მზერა მშვიდი ჰქონდა, მაგრამ თვალებში მაინც ემჩნეოდა დაძაბული მოლოდინი და იქნებ იმიტომ, რომ მოხუცი ქალბატონი ალმაცერად იყურებოდა, თვალებში თითქოს უნდო სხივიც კი ედგა. კონსულის მეუღლეს სახე გაფითრებული ჰქონდა, ღაწვებიც სიცხისგან ოდნავ აფორეჯებოდა, მაგრამ სახეზე უღონობისა და სისუსტის კვალი მაინც არ ემჩნეოდა. მოხუცი ქალბატონი ავადმყოფობას ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, უფრო ფხიზლად, ვიდრე მის გარშემო მყოფნი, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ეს ამბავი ყველაზე მეტად მისი სადარდებელი იყო. ავადმყოფობას უნდო თვალით უყურებდა და სულაც არ აპირებდა, გულზე ხელი დაეკრიფა და სნეულება თავის ნებაზე მიეშვა.

- რა თქვეს, თომას? - ისე მტკიცედ და ცოცხლად შეეკითხა იგი შვილს, რომ მაშინვე ხველება აუტყდა. შეეცადა ტუჩები მოეკუმა და ხველება ჩაეხშო, მაგრამ ვერაფერს გახდა, ხველება უფრო მოეძალა და ავადმყოფი იძულებული გახდა, მარჯვენა გვერდზე ხელი მაგრად მოეჭირა.

- ასე მითხრეს, ჩვენი კარგი დედიკო ორ დღეში ფეხზე დადგებაო, - უპასუხა სენატორმა, როცა ხველის შეტევამ გაიარა და დედას ხელი ხელზე გადაუსვა, - ფეხზე წამოდგომა ჯერ კიდევ რომ არ შეგიძლია, ეს სულ ხველების ბრალია. ამ საძაგელ ხველებას, ბუნებრივია, ფილტვი გაუღიზიანებია... არ გეგონოს, ფილტვების ანთება

გქონდეს, არა, - თქვა მან, რადგან შენიშნა, რომ ავადმყოფი უფრო დაჟინებით მიაჩერდა, - თუმცა ფილტვების ანთებაც არ არის საშიში, ამაზე უარესი ავადმყოფობაც არსებობს! მოკლედ, ფილტვია ოდნავ გაღიზიანებულიო. ასე თქვა ორივემ და როგორც ჩანს, მართალნიც არიან... ზევერინი სადღაა?

- აფთიაქშია, - უპასუხა ფრაუ პერმანედერმა.

- ხედავთ, იგი ისევ აფთიაქშია, შენ კი, ტონი, ისეთი სახე გაქვს, თითქოს საცაა ჩამოგეძინებაო. არა, ასე აღარ შეიძლება. თუნდაც რამდენიმე დღე დაგვჭირდეს, მაინც მომვლელი ქალი უნდა ავიყვანოთ. თქვენ როგორ ფიქრობთ? მოიცათ, მე ჩემს ნაცრისფერთავსაბურიანი დების წინამდგომს ვკითხავ, ვინმე შესაფერი ხომ არა ჰყავს...

- თომას, - ახლა უფრო ფრთხილად დაილაპარაკა კონსულის მეუღლემ, რომ ისევ ხველა არ ასტეხოდა, - დამიჯერე, მაგ შენი კათოლიკე ნაცრისფერთავსაბურავებიანების მუდმივი მფარველობით ბევრი გაანაწყენე.
„ნაცრისფერებს“ ამდენ სიკეთეს უკეთებ, „შავებს“ კი არავითარ ყურადღებას არ აქცევ. მერწმუნე, პასტორმა პრინგსჰაიმმა ამას წინათ აშკარად შემომჩივლა.

- ჩივილი არ უშველის. დარწმუნებული ვარ, ნაცრისფერი დები უფრო ერთგულები, თავგანწირულნი და ღვთისმოსავები არიან, ვიდრე შავები. არა მწამს მაგ „შავი“ პროტესტანტების ჭეშმარიტი მონაზვნობა, ყველას გათხოვებაზე უჭირავს თვალი. მოკლედ, ისინი მიწიერნი, ეგოისტები, სავსებით ჩვეულებრივები მგონია.
„ნაცრისფერები“ უფრო ამაღლებულნი, დიახ, უეჭველად, უფრო ციურნი არიან. გარდა ამისა, იმათზე ამაგიცა მაქვს, სწორედ ამიტომ სჯობია, იმათგან მოვიყვანოთ ვინმე. მონაზონმა ლეანდრამ რამდენი სიკეთე გვიქნა, როცა ჰანო კბილებმა შავ დღეში ჩააყენა. ნეტავ იმას ეცლებოდეს...

მონაზონი ლეანდრა ბუდენბროკებს ეახლა. თავისი ქისა, წამოსასხამი და ნაცრისფერი თავსაბურავი წყნარად მოიშორა და თეთრი თავსაფრის ამარა დარჩა, ქამარზე წყნარად ურაკუნებდა კრიალოსანი. მომვლელი ქალი ნაზად და ალერსიანი სიტყვებით შეუდგა თავისი მოვალეობის აღსრულებას. განებივრებულ და საკმაოდ ჭირვეულ ავადმყოფს დღე და ღამე უვლიდა, თითქოს რცხვენოდა კიდეც ადამიანური სისუსტე გამოემჟღავნებინა. როცა მეორე და შეენაცვლებოდა, თვალის მოსატყუებლად ცოტა ხნით თუ წავიდოდა შინ და მალე უკანვე ბრუნდებოდა, რადგან კონსულის მეუღლე მომვლელს ერთი წუთით არ იშორებდა, რაც უფრო ელეოდა ძალ-ღონე, გონება და გულისყური მით უფრო ემსჭვალებოდა ავადმყოფობაზე ფიქრით. თავის სნეულებას მოხუცი ქალბატონი შიშით და დაუფარავი, გულუბრყვილო სიძულვილით აკვირდებოდა. კონსულის მეუღლე, ოდესღაც საზოგადოების წარჩინებული ქალბატონი, მდიდრული ცხოვრებისა და, საერთოდ, სიცოცხლის მოტრფიალე ქალი, უკანასკნელ წლებში ღვთისმოსაურ და ქველმოქმედ ცხოვრებას ეწეოდა. რატომ? ამას, ალბათ, მხოლოდ განსვენებული

მეუღლის ხსოვნის პატივსაცემად არ აკეთებდა. მოხუცი ქალბატონი შეუცნობლად მიილტვოდა, ზეცის წინაშე სიცოცხლისადმი ძლიერი სიყვარული მოენანიებინა, რომ ოდესმე მამაზეციერს მისთვის უდრტვინველი სიკვდილი მოევლინა, თუმცა კონსულის მეუღლეს სულაც არ უნდოდა უდრტვინველად მიებარებინა სული და სიცოცხლეს ყოველთვის ჯიუტად ეჭიდებოდა. ცხოვრების მანძილზე ქალბატონ ბუდენბროკს ბევრი უბედურება დაატყდა თავს, მაგრამ გამოვლილ ჭირ-ვარამს მისი სხეული არ მოუდრეკია, მისი მზერა არ დაუნისლავს. კონსულის მეუღლეს უხვი სადილების გამართვა უყვარდა, მდიდრულად და დიდკაცურად იცვამდა, უსიამოვნო ამბებს თვალსა და ყურს არიდებდა, ცდილობდა, ისინი მიეჩქმალა. სამაგიეროდ უფროსი ვაჟის წარჩინებით დიდად მოჰქონდა თავი. ეს სენი, ფილტვების ანთება, კონსულის მეუღლის მოუდრეკელ სხეულში ისე შეჭრილიყო,
რომ მის სულს არ შეხებოდა და აღსასრულის დადგომა სულიერად არ გაეიოლებინა... ტანჯვის მსახვრალი ხელი, რომელიც ტკივილის მეშვეობით სიცოცხლეს ან ამ ტკივილის გამომწვევ პირობებს მაინც გვაძულებს და ჩვენს სულში აღსასრულისკენ, სხვა სამყაროსკენ, სიმშვიდისკენ სწრაფვას აღვიძებს, მის სულს არ შეხებია. დიახ, მოხუცი ქალბატონი კარგად გრძნობდა, რომ უკანასკნელ წლებში ღვთისმოშიში ცხოვრების მიუხედავად, სიკვდილისთვის ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული. ბუნდოვანი ფიქრი არ ასვენებდა: შეიძლებოდა ეს ავადმყოფობა მისთვის უკანასკნელი გამომდგარიყო, უკანასკნელ წამს იგი სწრაფად დარევდა ხელს, საშინელი ტკივილით გატეხდა მის წინააღმდეგობას და თავისას მაინც გაიტანდა. ეს აზრი კონსულის მეუღლეს გულს შიშით უვსებდა.

კონსულის მეუღლე ბევრს ლოცულობდა, მაგრამ უფრო საკუთარ თავს სდარაჯობდა. გონზე თუ იყო, პულსს თვითონ ისინჯავდა, ტემპერატურას იზომავდა, ცდილობდა ხველებას გამკლავებოდა. პულსი კი უარესდებოდა და უარესდებოდა, სიცხე ოდნავ თუ დაუკლებდა, მერე უფრო მაღლა იწევდა, ხან შეამცივნებდა, ხან მაღალი სიცხისგან ბოდავდა. მტკივნეულად ახველებდა და ნახველს უკვე მეტ სისხლს აყოლებდა, სულის ხუთვა შიშის ზარს სცემდა. ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ
ანთება ახლა მთელ ფილტვს მოედო და თუ სიმპტომები არ იტყუებოდნენ, ანთებითი პროცესის კვალი მარცხენა მხარესაც ემჩნეოდა. დოქტორი ლანგჰალსი თავის ფრჩხილებს დაჰყურებდა და ამ მოვლენას „ჰეპატიზაციას“ უწოდებდა, დოქტორი გრაბოვი ახსნა-განმარტებისგან საერთოდ იკავებდა თავს. სიცხე ორგანიზმს ღრღნიდა. კუჭი აღარ მოქმედებდა. ავადმყოფს ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ ეცლებოდა ძალ-ღონე.

მოხუცი ქალბატონი თავის ავადმყოფობას თვალყურს ადევნებდა, თუკი შეეძლო, მისთვის მომზადებულ ნოყიერ წვნიანსაც ხალისით ეწაფებოდა. წამლების მიღების საათებს თავის მომვლელებზე უფრო მკაცრად იცავდა და ისე იყო ამ ამბებით შთანთქმული, რომ თითქმის მხოლოდ ექიმებს ელაპარაკებოდა, ყოველ შემთხვევაში ცხოველ ინტერესს მხოლოდ მათთან საუბარში იჩენდა ხოლმე. სანახავად მისულ მეგობარ ქალებს, „იერუსალიმური საღამოების“ მონაწილეთ, წარჩინებული ოჯახების

მოხუც ქალბატონებს და პასტორების მეუღლეებს ავადმყოფი აპათიურად ან ვითომ გულითადად, მაგრამ დაბნეული ხვდებოდა და მალე ისტუმრებდა. ახლობლებს მისი გულგრილობა გულს სტკენდა, ავადმყოფი მათ თითქმის აგდებულად ეკიდებოდა, თითქოს ამბობდა: თქვენ ხომ ვერაფრით მშველითო. პატარა ჰანოსაც კი, რომელიც ოდნავ უკეთ მყოფს მოუყვანეს, მხოლოდ ლოყაზე მოუთათუნა ხელი და მაშინვე იბრუნა პირი. ავადმყოფს თითქოს უნდოდა ეთქვა: ბავშვებო, ყველანი კარგები ხართ, მაგრამ მე, მე, ალბათ, ვკვდებიო. სამაგიეროდ ორივე ექიმს გულთბილად და ხალისიანად ხვდებოდა, მათ რჩევა-დარიგებას გულისყურით ისმენდა.

ერთ დღეს მენგშტრასეზე ქალბატონი გერჰარტები, პაულ გერჰარტის ნაშიერები გამოჩნდნენ. მანტილიან დედაბრებს თავზე ფრიალო თეფშისებური შლაპები ეხურათ, ხელში კი სანოვაგის ჩანთები ეჭირათ, აქ პირდაპირ ღარიბების ჩამოვლის შემდეგ მოსულიყვნენ. ვერავინ შეძლო მათთვის ავადმყოფი მეგობრის ნახვა აეკრძალა. გერჰარტები მოხუც ქალბატონთან მარტო დატოვეს და უფალმა უწყის, სარეცელთან მსხდომნი ავადმყოფს რას ელაპარაკებოდნენ. ავადმყოფის ოთახიდან გამოსულებს თვალები და სახე თითქოს უფრო გაცისკროვნებოდათ, უფრო სათნო და შთაგონებული გახდომოდათ, ოთახში კი კონსულის მეუღლეც ისეთივე თვალებით იმზირებოდა და სახეზე ისეთივე გამომეტყველება ედო. იგი წყნარად იწვა, მშვიდად, უფრო მშვიდად, ვიდრე ოდესმე, ძლივს გასაგონად და იშვიათად სუნთქავდა და ძალა თვალსა და ხელშუა ეცლებოდა. ფრაუ პერმანედერმა ქალბატონ გერჰარტებს წყევლა-კრულვა დაადევნა და ორივე ექიმის დასაძახებლად აფრინა კაცი. ექიმები კარში გამოჩნდნენ თუ არა, კონსულის მეუღლე გასაოცრად შეიცვალა, გამოფხიზლდა, ამოძრავდა, თითქმის წამოიმართა კიდეც. მედიცინაში განსწავლული ადამიანების დანახვამ ერთი დარტყმით კვლავ მიწაზე დააბრუნა, ხელები ექიმებისკენ გაიწვდინა და წარმოთქვა:

- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონებო! დღეს, მთელი დღის განმავლობაში...

მაგრამ დიდი ხანია ფილტვების ორმხრივი ანთება საეჭვო აღარ იყო.

- დიახ, ჩემო ძვირფასო ბატონო, სენატორო, - უთხრა დოქტორმა გრაბოვმა თომას ბუნდერბროკს და ხელი ჩასჭიდა, - ჩვენ ვერაფერს გავხდით, ანთება ორივე ფილტვს მოედო, ეს კი ყოველთვის დამაფიქრებელია, დიახ, ეს თქვენც ჩემსავით კარგად მოგეხსენებათ... არ მინდა თვალი აგიხვიოთ. ასეთი მდგომარეობა ოცი წლის და სამოცდაათი წლის პაციენტისთვისაც ერთნაირად სახიფათო გახლავთ. აი, დღეს თუ შემეკითხებით, ჩემს ძმას ვუდეპეშო თუ არაო, ამ აზრს აღარ გადაგათქმევინებდით... მართლა, თქვენი ძმა როგორაა? დიდი უცნაური კაცია, დიდი. მე იგი ყოველთვის მიყვარდა... ღვთის გულისათვის, ჩემი სიტყვებიდან გაზვიადებულ დასკვნას ნუ გამოიტანთ, ძვირფასო სენატორო! ეს იმიტომ კი არ მითქვამს, თითქოს უშუალო ხიფათს ვხედავდე. აჰ, არა! ეს სიტყვაც დაუკვირვებლად წამომცდა! მაგრამ ამგვარ სიტუაციაში, ხომ იცით, ყოველ გაუთვალისწინებელ შემთხვევითობასაც უნდა

გაეწიოს ანგარიში... თქვენი პატივცემული ქალბატონი დედით, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი კმაყოფილი ვართ. მთელი ძალ-ღონით გვეხმარება, არ გვღალატობს... არა, ქათინაურში არ ჩამომართვათ, მართლა შეუდარებელი პაციენტია! ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, ჩემო ძვირფასო სენატორო, იმედი!

მაგრამ დგება წუთი, როცა ახლობლების იმედი რაღაც ხელოვნური და ყალბი ხდება ხოლმე. ავადმყოფი იცვლება და მისი პიროვნებისთვის უცხო თვისებები უჩნდება. პირიდან უცნაური სიტყვები ამოსდის, იმ სიტყვებზე პასუხის გაცემა ჩვენ არ ძალგვიძს, ეს სიტყვები მასაც უჭრიან უკან მოსაბრუნებელ გზას და სიკვდილს ავალდებულებენ. მომაკვდავი ჩვენთვის უძვირფასესი ადამიანიც რომ იყოს, აღარ შეგვიძლია ვისურვოთ, კვლავ წამოდგეს და ამ ქვეყანაზე იბოგინოს. მართლა რომ წამოდგეს, ისეთივე ძრწოლას მოგვგვრიდა, თითქოს მიცვალებული წამომდგარიყოს კუბოდან.

მომაკვდავს უკვე გახრწნის პირველი ნიშნები დაეტყო, თუმცა ცალკეული ორგანო ჯიუტად განაგრძობდა მუშაობას. მას შემდეგ კვირები გავიდა, რაც კონსულის მეუღლე კატარმა ლოგინს მიაჯაჭვა და დიდხანს წოლისგან სხეულზე იარები გაუჩნდა. იარები აღარ უშუშდებოდა და პირს აღარ იკრავდა. ავადმყოფი უძილობამ შეიპყრო. ტკივილი, ხველება და სულის ხუთვა ძილს არ ანებებდა, მაგრამ ძილს თვითონაც ებრძოდა და სიფხიზლეს ებღაუჭებოდა. მხოლოდ რამდენიმე წუთს სიცხის გამო თუ გამოეთიშებოდა გონება, მაგრამ გონს მყოფიც ხმამაღლა ესაუბრებოდა დიდი ხნის გარდაცვლილებს. ერთხელ, საღამო ჟამს, კონსულის მეუღლემ ხმამაღლა, შიშნარევი, მაგრამ გულიდან ამოხეთქილი ხმით ისე ბუნებრივად წარმოთქვა, ჰო, ჩემო საყვარელო ჟან, მოვდივარო, რომ ყველას სჯეროდა, განსვენებული კონსულის ძახილი ჩვენც გავიგონეთო.

ქრისტიანი ჰამბურგიდან ჩამოვიდა, სადაც მისი სიტყვით საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი. ავადმყოფის ოთახში დიდხანს არ გაჩერებულა, მალე გამოვიდა, შუბლი მოისრისა, თვალები აახამხამა და თქვა:

- რა საშინელებაა... რა საშინელებაა... მეტი აღარ შემიძლია!

მოვიდა პასტორი პრინგსჰაიმი, მონაზონ ლეანდრას ცივი მზერა ესროლა და კონსულის მეუღლის სარეცელთან ღაღანა ხმით ილოცა.

შემდეგ ავადმყოფმა თითქოს მოიხედა, გამომჯობინება დაეტყო, სიცხე დაუვარდა, ძალა თითქოს დაუბრუნდა, ტკივილი დაუცხრა, მის ბაგეთაგან მოსმენილმა რამდენიმე ნათელმა და იმედისმომცემმა სიტყვამ სარეცელთან მყოფთ სიხარულის ცრემლები მოჰგვარა.

- ბავშვებო, დედა გადაგვირჩება, აი, ნახავთ, თუ არ გადაგვირჩება! - წამოიძახა თომას ბუდენბროკმა, - შობას ჩვენთან ერთად დაესწრება და ჩვენც არ დავანებებთ იმ დღეებში ჩვეულებრივ იფუსფუსოს.

მაგრამ იმავე ღამეს, გერდა და მისი მეუღლე დასაძინებლად დაწვნენ თუ არა, ფრაუ პერმანედერისგან გამოგზავნილმა კაცმა მოაკითხათ. კონსულის მეუღლე სიკვდილს ებრძოდა. ქარი წვიმის ცივ წვეთებს ერეკებოდა და ფანჯარაზე უტყლაშუნებდა.

როცა სენატორი და მისი ცოლი ოთახში შევიდნენ, მაგიდაზე უკვე ანთებული შანდლები იდგა და ორივე ექიმი აქ იყო. ქრისტიანიც გამოეხმოთ თავისი ოთახიდან და ახლა იგი ჩარდახიანი საწოლისგან ზურგშექცეული სადღაც ოთახის კუთხეში იჯდა. წელში საცოდავად მოკაკულიყო და შუბლი ხელებზე დაეყრდნო. ელოდნენ მომაკვდავის ძმას, კონსულ იუსტუს კროგერს, მასთანაც კაცი იყო გაგზავნილი. ფრაუ პერმანედერი და ერიკა ვაინშენკი ავადმყოფს ფერხთით ედგნენ და ჩუმად სლუკუნებდნენ. მონაზონ ლეანდრასა და მამზელ ზევერინს საქმე აღარაფერი ჰქონდათ და მომაკვდავს სახეში ნაღვლიანად შეჰყურებდნენ.

კონსულის მეუღლეს თავქვეშ რამდენიმე ბალიში ედო, გულაღმა იწვა და ხელებს, ამ ოდესღაც მშვენიერ, ცისფერი ძარღვებით დაქსელილ, ახლა კი გაძვალტყავებულ ხელებს საბანზე დაჟინებით, შეუსვენებლივ და ნაჩქარევად აფათურებდა. საღამური თეთრი ჩაჩით შებურვილ თავს ბალიშებზე აქეთ-იქით შემაძრწუნებლად, რიტმულად და მოწყვეტით იქნევდა, თითქოს გვერდზე მოღრეცილი ბაგით ჰაერს გაჭირვებით ხაპავდა, დაშრეტილი თვალებით შველას ითხოვდა, ხან ერთს, ხან მეორეს შურით შესჩერებოდა, ისინი ჩაცმულნი იდგნენ, სუნთქვა შეეძლოთ, ისინი ცოცხლები იყვნენ და მხოლოდ იმის ძალა შესწევდათ, მომაკვდავისთვის სიყვარულის უკანასკნელი მსხვერპლი შეეწირათ: იდგნენ და სულთმობრძავს თვალს არ აცილებდნენ. ღამე ილეოდა, ავადმყოფის მდგომარეობა არ იცვლებოდა.

- რამდენ ხანს შეიძლება კიდევ ასე გაგრძელდეს? - წყნარად იკითხა თომას ბუდენბროკმა და მოხუცი დოქტორი გრაბოვი ოთახის სიღრმეში გაინაპირა, ამ დროს დოქტორი ლანგჰალსი ავადმყოფს რაღაც წამალს უშხაპუნებდა. ფრაუ პერმანედერმა ცხვირსახოცი პირთან მიიტანა და ისიც მათთან მივიდა.

- აბა, რა უნდა გითხრათ, ძვირფასო სენატორო, - უპასუხა თომასს დოქტორმა გრაბოვმა, - ქალბატონი დედათქვენი შეიძლება ხუთ წუთში გათავისუფლდეს, შეიძლება რამდენიმე საათს კიდევ იცოცხლოს... ვერაფერს გეტყვით. ამ მოვლენას მედიცინაში ხუთვის დაწყებას... ფილტვების შეშუპებას ვუწოდებთ...

- მე ვიცი, - თქვა ფრაუ პერმანედერმა და ცხვირსახოცში ჩაახველა. ლოყაზე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, - ვიცი, ფილტვების ანთების დროს ხშირად იცის ასე... ფილტვების ბუშტულები წყლიანი სითხით ივსება და ავადმყოფს სუნთქვა აღარ შეუძლია... დიახ, მე ვიცი ეს...

სენატორმა ხელები წინ გაიწვდინა და ჩარდახიან საწოლს შეხედა.

- ალბათ, როგორ იტანჯება! - წაიჩურჩულა მან.

- არა! - ასევე ჩუმად, მაგრამ ავტორიტეტულად უპასუხა დოქტორმა გრაბოვმა და გრძელი, კეთილი სახე ნაოჭებმა დაუფარა, - თვალი გატყუებთ, მერწმუნეთ, ძვირფასო მეგობარო, თვალი გატყუებთ! გონება ისე აქვს დანისლული... რასაც თქვენ ხედავთ, მეტწილად რეფლექსური მოძრაობები გახლავთ... დამიჯერეთ...

- ღმერთმა ქნას! - აღარ შედავებია თომასი, მაგრამ კონსულის მეუღლის თვალების დანახვაზე ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ მომაკვდავი გონზე იყო და ყველაფერს გრძნობდა.

ყველანი ისევ თავიანთ ადგილებზე დასხდნენ. კონსული კროგერიც მოსულიყო. ხელჯოხს დაყრდნობილი, თვალებჩაწითლებული მოხუცი საწოლთან ახლოს იჯდა.

ავადმყოფმა ბორგვას უმატა. ალბათ, ამ სასიკვდილოდ განწირულ სხეულს თავიდან ფეხებამდე ძრწოლა, ენით გამოუთქმელი შიში და გაჭირვება, თავდაუღწეველი მარტოობისა და უმწეობის შეგრძნება მსჭვალავდა. თვალები, ეს საცოდავი, მავედრებელი, სამდურავით აღსავსე, ხსნის მაძიებელი თვალები თავის აქეთ-იქით წყვეტებისგან ხან საცოდავად ეხუჭებოდა, ხან კი ისე უფართოვდებოდა, რომ გუგებზე ძარღვები სისხლით ებერებოდა. გონს კი არ კარგავდა და არა!

სამი რომ შესრულდა, ქრისტიანი წამოდგა.

- მეტი აღარ შემიძლია, - თქვა მან და წავიდა. გზაში ავეჯს აწყდებოდა, ფეხებს ძლივს მიათრევდა.

ერიკა ვაინშენკსა და მამზელ ზევერინს ავადმყოფის მონოტონურმა კვნესამ, ალბათ, ძილი მოჰგვარა, სკამებზე ჩამოძინებულებს სახეები უღაჟღაჟებდათ.

ოთხი საათისთვის მდგომარეობა გაუარესდა, ავადმყოფი ბალიშებზე წამოსწიეს და შუბლზე ოფლი შეუშრეს. მომაკვდავს სუნთქვა უწყდებოდა, შფოთავდა. ახლობლები შიშმა შეიპყრო.

- დასაძინებელი!... - აღმოხდა კონსულის მეუღლეს, - ძილის წამალი მომეცით!.. - მაგრამ არავინ ფიქრობდა, მისთვის ძილის წამალი მიეცა.

უცებ ავადმყოფი ისევ ალაპარაკდა, რაღაცის თუ ვიღაცის ძახილს პასუხობდა, სხვებს ის ძახილი არ ესმოდათ.

- ჰო, ჟან, ახლა ცოტა დარჩა! - და მალე ისევ დააყოლა, - ჰო, ჩემო საყვარელო კლარა, მოვდივარ!..

შემდეგ ბრძოლა განახლდა. ვითომ ეს ისევ სიკვდილთან ჭიდილი იყო? არა, ის ახლა სიცოცხლეს სიკვდილის გამოსაძალავად ერკინებოდა.

- მეტი აღარ შემიძლია... დასაძინებელი! ბატონებო, მოწყალება მოიღეთ! დასაძინებელი, გევედრებით!..

„მოწყალების“ ხსენებამ ფრაუ პერმანედერი ხმამაღლა ააქვითინა, თომასმა კი წყნარად დაიკვნესა და ხელები თავზე წაივლო, მაგრამ ექიმებმა თავისი მოვალეობა კარგად იცოდნენ, მათ ეს გაწამებული სიცოცხლე ახლობლებისთვის რაც შეიძლებოდა დიდხანს უნდა შეენარჩუნებინათ, გამაბრუებელი საშუალებანი კი აღსასრულს დააჩქარებდა. ექიმები იმისთვის როდი იყვნენ ქვეყნად გაჩენილნი, რომ სიკვდილს შემოსძღოლოდნენ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, ადამიანებისთვის სიცოცხლე უნდა შეენარჩუნებინათ. ასე მოუწოდებდა მათ რელიგიური და მორალური პრინციპები, რომელთაც უნივერსიტეტში სიამოვნებით უგდებდნენ ყურს, თუმცა შესაძლოა ამ წუთში ეს შეგონებანი აღარც კი ახსოვდათ... ორივენი აღსასრულის დაჩქარების ნაცვლად, სხვადასხვა საშუალებით მომაკვდავს გულს უმაგრებდნენ და პირღებინებით ბევრჯერ ხანმოკლედ უმსუბუქებდნენ კიდეც მდგომარეობას.

ხუთი საათისთვის სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. კონსულის მეუღლე კრუნჩხვებმა წამოაგდო, ფართოდ თვალგახელილი მკლავებს ასავსავებდა, თითქოს რაიმე ხელჩასაჭიდს ეძებსო. ან იქნებ მისკენ გამოწვდილ ხელებს ეგებებოდა. ჰაერში ყოველ მხარეს განუწყვეტლივ ეპასუხებოდა მხოლოდ მისთვის გასაგონ ძახილს და თითქოს ძახილიც სულ უფრო დაჟინებით და ხშირად ჩაესმოდა. თითქოს მხოლოდ განსვენებული მეუღლე და ქალიშვილი კი არა, მშობლებიც, დედამთილ-მამამთილი და სხვა იმ ქვეყნად მასზე ადრე წასული ახლობლებიც გარს შემოსჯაროდნენ და ისიც მათ სახელებს გაიძახოდა. ოთახში მყოფთაგან ვერც ერთი ვერ გაიხსენებდა უცებ, ამ სახელს სიცოცხლეში ვის ეძახდნენ.

- ჰო, - იძახდა მომაკვდავი და აქეთ-იქით აწყდებოდა, - ახლავე მოვდივარ... ახლავე.. ერთი წუთი კიდევ... ჰო... მეტი აღარ შემიძლია... დასაძინებელი, ბატონებო...

ექვსის ნახევარზე მომაკვდავი ერთი წუთით დაწყნარდა. მერე კი, მოულოდნელად, მობერებული და ტანჯვისგან მოღრეცილი სახის ნაკვთები უცაბედმა, ძრწოლანარევმა სიხარულმა, ღრმა, შიშის მომგვრელმა სინაზემ შეურხია, მკლავები ელვისებურად გაშალა და ისე სწრაფად და უშუალოდ, ისეთი თვინიერი, უსაზღვრო შიშით და სიყვარულით აღსავსე მორჩილებითა და ლტოლვით წამოიძახა, აჰა, მოვედიო, რომ ყველამ იგრძნო, მის ყურს მიწვდენილ ძახილსა და მის პასუხს შორის წამსაც არ გაევლო და ამ ძახილთან ერთად სულიც განუტევა.

ყველას ჟრუანტელმა დაუარა ტანში. რა იყო ეს? ვინ დაუძახა მომაკვდავს, რომ ასე დაუხანებლად გაჰყვა უკან?

ვიღაცამ ფარდა გადასწია და შუქი ჩააქრო, სახეშეცვლილმა დოქტორმა გრაბოვმა მიცვალებულს თვალები დაუხუჭა.

ოთახში შემოდგომის რიჟრაჟი შემოიჭრა და ყველა ააძაგძაგა. მონაზონმა ლეანდრამ ტუალეტის სარკეს ზეწარი ჩამოაფარა.

მეორე თავი

მიცვალებულის ოთახში გამოღებული კარიდან ფრაუ პერმანედერი მოჩანდა. იგი მარტო იყო და ლოცულობდა. სარეცლის ახლოს სკამთან დაჩოქილს სამგლოვიარო სამოსლის კალთები იატაკზე ფართოდ გაეშალა, გადაჯვარედინებული ხელები სკამზე დაეყრდნო და თავდახრილი ბუტბუტებდა. მან მშვენივრად გაიგონა, როგორ შემოვიდნენ მისი ძმა და რძალი მცირე სასადილო ოთახში. ისინი ძალაუნებურად შეჩერდნენ, რომ მისთვის ლოცვის დასრულება დაეცლიათ. მიუხედავად ამისა, ფრაუ პერმანედერი არ აჩქარებულა, ლოცვა დინჯად დაასრულა, მშრალად ჩაახველა, კაბის კალთები მძიმედ აიკრიფა, წამოდგა და თავისი ახლობლებისკენ მედიდურად გაემართა. სახეზე და მიხრა-მოხრაში დაბნეულობის კვალიც კი არ ეტყობოდა.

- თომას, - საკმაოდ მკვახედ მიმართა მან ძმას, - რაც შეეხება ზევერინს, მე მგონია, განსვენებულ დედაჩემს თავის მკერდზე ასპიტი გამოუზრდია.

- როგორ?

- ამ დილით გულზე გამხეთქა. შეიძლება ადამიანი მოთმინებიდან გამოხვიდე... ვინ მისცა ამ დედაკაცს უფლება, გლოვის დღეები ასე უხეშად შეგვიბილწოს?

- კი მაგრამ, რა მოხდა?

- ჯერ ერთი, მაგის სიხარბის შემხედვარეს გული აგერევა. დაფათურობს კარადებში, დედას აბრეშუმის კაბები გამოაქვს, მკლავზე იგროვებს და მიბრძანდება. რიკჰენ, სად მიგაქვთ ეგ კაბები-მეთქი, ვეუბნები. ამ კაბებს ქალბატონი კონსული მე შემპირდაო. ძვირფასო ზევერინ! - ვეუბნები და ხმის აუმაღლებლად ვცდილობ, დავარწმუნო, ასეთი აჩქარება არ გმართებს-მეთქი. როგორ გგონია, გავხდი რაიმეს? მარტო აბრეშუმის კაბები კი არა, მთელი შეკვრა თეთრეული მიაქვს და მიდის. ხელში ხომ არ ვეცემი? მარტო ის კი არა... მოახლეებიც ასე იქცევიან... კაბებსა და თეთრეულს კალათებით ეზიდებიან. მსახურები ჩემ თვალწინ იტაცებენ მთელ ქონებას, გასაღებები ხომ ზევერინსა აქვს. „ფროილაინ ზევერინ! - ვეუბნები მე, - მომეცით გასაღებები!“ და იცით რას მპასუხობს? აშკარად და მიუკიბ-მოუკიბავად მიცხადებს,
თქვენ ჩემთან რა ხელი გაქვთ, თქვენ კი არ აგიყვანივართ, გასაღებები მე მექნება, სანამ აქედან წავალო.

- ვერცხლეულის სკივრის გასაღები ხომ შენა გაქვს? კარგი, დანარჩენს თავი დაანებე. ასეთი რამეები მოსავალია, როცა საოჯახო მეურნეობა ირღვევა. ბოლო დროს ისედაც მიშვებული იყო აქაურობა. ხმაურის ატეხა არა ღირს. თეთრეული ძველია და გაცრეცილი... მაინც ვნახოთ, რა დარჩა. გაქვს სია? მაგიდაზეა? კარგი. ახლავე ვნახოთ.

ისინი საძინებელ ოთახში შევიდნენ და ცოტა ხანს სარეცელთან შეჩერდნენ. ფრაუ ანტონიამ მიცვალებულს სახეზე გადახადა. კონსულის მეუღლეს უკვე აბრეშუმის სამოსი ეცვა. დღეს, ნაშუადღევს, ზევით, დარბაზში ასე უნდა დაესვენებინათ. მისი უკანასკნელი ამოსუნთქვის შემდეგ უკვე ორმოცდარვა საათი იყო გასული. მიცვალებულს ხელოვნური კბილები არ ედგა და პირი და ლოყები ჩაცვენილი ჰქონდა, ნიკაპი კი მკვეთრად წამოსწეოდა წინ. სამივენი ამ მტკიცედ დახუჭულ ქუთუთოებს დაჰყურებდნენ და გულნატკენნი ამაოდ ცდილობდნენ ამ სახეში თავიანთი დედის სახე ამოეცნოთ. სამაგიეროდ მოხუცი ქალბატონის საკვირაო თავსაბურავიდან ძველებურად მოჩანდა სპილენძისფერი, სადად გადავარცხნილი თმა, რომელზეც ბრაიტენშტრასელი ქალბატონი ბუდენბროკები ისე ხშირად ქილიკობდნენ ხოლმე... დალიანდაგებულ საბანზე ყვავილები იყო მიმობნეული.

- უკვე მოიტანეს დიდებული გვირგვინები, - წყნარად თქვა ფრაუ პერმანედერმა, - ყველა ოჯახიდან არის... უბრალოდ, არავინ დარჩენილა! ყველა გვირგვინი დერეფანში დავალაგებინე. მერე თქვენ უნდა დაათვალიეროთ, გერდა და ტომ! რა მშვენიერია და თან რა სევდის მომგვრელი... ისეთი ფართო ატლასის ლენტები ჰკიდია ზედ, რომ...

- დარბაზის მორთვის საქმე როგორ არის? - ჰკითხა დას სენატორმა.

- მალე იქნება მზად, ტომ. თითქმის მზად არის, მეშპალერე იაკობსს თავი არ დაუზოგავს. ისიც... - ფრაუ პერმანედერმა ამოისლუკუნა, - კუბოც მოიტანეს. ჯერ გაიხადეთ, ჩემო კარგებო, - განაგრძო ფრაუ ანტონიამ და თეთრი ზეწარი მიცვალებულს ფრთხილად დააფარა, - აქ ცივა, მცირე სასადილო ოთახი კი ოდნავ გამთბარია... მოიცა, მოგეხმარო, გერდა. ასეთ ძვირფას მოსასხამს მოფრთხილება უნდა. შეიძლება გაკოცო? ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, თუმცა შენ ყოველთვის გეჯავრებოდი... არა, ვარცხნილობას არ გაგიფუჭებ, ქუდს ისე ფრთხილად მოგხდი... რა მშვენიერი თმა გაქვს! ასეთი თმა ჰქონდა დედასაც ახალგაზრდობაში. დედა შენისთანა მშვენიერი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ერთ დროს, მაშინ მე უკვე დაბადებული ვიყავი, დედა ნამდვილად ლამაზი ქალი იყო. ახლა კი... მართალს ამბობს თქვენი გრობლებენი, თუმცა ერთი უბირი კაცი კია, ყველა მტვრად ვიქცევითო... აი, ტომ, ეს არის მნიშვნელოვანი ნივთების სია.

ისინი მცირე სასადილო ოთახში შებრუნდნენ და მრგვალ მაგიდას მიუსხდნენ. სენატორმა ქაღალდები ხელში აიღო. სიაში ჩამოთვლილი საგნები უახლოეს მემკვიდრეებს შორის უნდა განაწილებულიყო. ფრაუ პერმანედერი ძმას აღელვებულ და დაძაბულ მზერას არ აცილებდა. მისი გონება ერთ მძიმე, გვერდაუვლელ კითხვაზე იყო შიშით მიჯაჭვული, ეს კითხვა სულ მალე უნდა წამოჭრილიყო მათ წინაშე.

- მე მგონი, - დაიწყო სენატორმა, - ჩვენ წესს მტკიცედ დავიცავთ და საჩუქრებს მათსავე პატრონებს ვარგუნებთ. მაშასადამე...

ცოლმა თომასს სიტყვა შეაწყვეტინა:

- უკაცრავად, თომას, მე მგონია... ქრისტიანი... ქრისტიანი სად არის?

- მართლა, ღმერთო ჩემო, ქრისტიანი! - წამოიძახა ფრაუ პერმანედერმა, - სულ არ დაგვავიწყდა!

- მართალი ხართ, - თქვა სენატორმა და ქაღალდები მაგიდაზე დააწყო, - მისთვის არ დაგიძახიათ?

ფრაუ პერმანედერი ზარისკენ გაემართა, მაგრამ იმავე წუთს კარი თვითონ ქრისტიანმა შემოაღო, ოთახში ფეხაჩქარებული შემოვიდა, კარი თითქმის მიაჯახუნა და წარბებშეჭმუხნილი შეჩერდა. პატარა, მრგვალ-მრგვალ, ღრმად ჩამჯდარ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, არავის უყურებდა, ხშირი წითური ულვაშების ქვეშ პირს მოუსვენრად აფჩენდა. ქრისტიანი გაღიზიანებული და აღრენილი ჩანდა.

- გავიგე, ყველანი აქ ყოფილხართ, - მოკლედ თქვა მან, - თუ ნივთების განაწილებაზე მიდგა საქმე, ჩემთვისაც ხომ უნდა შეგეტყობინებინათ?

- სწორედ ახლა ვაპირებდით, - გულგრილად უპასუხა თომასმა, - დაჯექი.

სენატორმა ქრისტიანის პერანგის თეთრ ღილებზე შეაჩერა მზერა. თვითონ უზადო სამგლოვიარო ტანსაცმელი ეცვა. შავი მაუდის ფონზე თვალისმომჭრელად ელავდა თეთრი პერანგი, ყელზე შავი ჰალსტუხი ეკეთა, გულისპირზე კი ოქროს ღილები შავი ღილებით შეეცვალა. ქრისტიანს ძმის შემოხედვა არ გამოჰპარვია, სკამი მაგიდასთან მისწია, დაჯდა, ხელი მკერდზე მიიდო და თქვა:

- მეც ვიცი, რომ თეთრი ღილები მიკეთია. ჯერ ვერ მოვიცალე, შავები მეყიდა, უფრო სწორად, ღილებს თავი დავანებე. ამ უკანასკნელ წლებში ხშირად მისესხებია ხუთი შილინგი, რომ კბილის ფხვნილი მეყიდა, ლოგინში ასანთის შუქზე ჩავწოლილვარ...
არ ვიცი, ეს მარტო ჩემი ბრალი იყო თუ არა, საერთოდ კი, შავი ღილები ამ ქვეყანაზე ყველაზე მთავარი არაა. მე გარეგნული ეფექტები არ მიყვარს. ასეთი რამეებისთვის არასოდეს მიმიქცევია ყურადღება.

გერდა ქრისტიანს თვალს არ აცილებდა და წყნარად იღიმებოდა. სენატორმა შენიშნა:

- მაგ უკანასკნელ აზრს დიდხანს ვერ დაიჟინებ, ჩემო ძვირფასო.

- ჰო? შენ უკეთ გეცოდინება, თომას. მე მხოლოდ იმას ვამბობ, ასეთ რამეებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ-მეთქი. ამ ქვეყანაზე ბევრი რამ მინახავს, ათასგვარ ხალხში მიცხოვრია, ათასგვარ ადათ-წესებს ვიცნობ და ამიტომაც... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე ზრდადასრულებული ადამიანი ვარ, - უცებ ხმას აუწია ქრისტიანმა, - ორმოცდასამი წელი შემისრულდა, ჩემი თავის ბატონ-პატრონი მე თვითონა ვარ და ჩემს საქმეებში ცხვირს არავის ჩავაყოფინებ.

- მე მგონი, შენ რაღაც სხვა გიდევს გულში, ჩემო მეგობარო, - უთხრა ძმას გაკვირვებულმა სენატორმა, - რაც შეეხება ღილებს, თუ არ ვცდები, ღილებზე სიტყვა
არ დამცდენია. სამგლოვიარო ტანსაცმელი შეგიძლია შენი გემოვნებით გაიწყო, მხოლოდ ნუ გგონია, რომ ადათ-წესების აგდებულად მოხსენიებით ჩემზე შთაბეჭდილებას მოახდენ.

- არც მინდა შენზე შთაბეჭდილება მოვახდინო...

- ტომ... ქრისტიან... - შესძახა ფრაუ პერმანედერმა, - განა შეიძლება დღეს ასეთი ტონით ლაპარაკი... აქ... როცა გვერდით... კარგი, განაგრძე, თომას, მაშ საჩუქრებს პატრონებს ვარგუნებთ, არა? ნამდვილად სამართლიანი გადაწყვეტილებაა.

თომასმა განაგრძო. მან მოზრდილი საგნებით დაიწყო. თავისთვის ისეთი ნივთები ჩაიწერა, სახლისთვის რომ გამოადგებოდა: სასადილო დარბაზის კანდელაბრები, დიდი, მოხარატებული სკივრი, რომელიც თაღში იდგა. ფრაუ პერმანედერი ფხიზლად იყო და თუ ვინმე რომელიმე ნივთის აღებაზე შეყოყმანდებოდა, ისეთი სახით იტყოდა: თუ არ გინდა, მაშინ მე ავიღებო, თითქოს დიდ მსხვერპლს იღებდა და ყველა მისი მადლიერი უნდა ყოფილიყო. ფრაუ პერმანედერმა თავისთვის, ქალიშვილისა და შვილიშვილისთვის საოჯახო ნივთების უმეტესი წილი მიიღო.

ქრისტიანს რამდენიმე თავი ავეჯი, ამპირის სტილის დიდი საათი და ფისჰარმონია ერგო. ეტყობოდა, კმაყოფილი იყო. მაგრამ როცა ჯერი ვერცხლეულის, თეთრეულისა და სხვადასხვანაირი სერვიზის განაწილებაზე მიდგა, ყველას გასაოცრად, ისეთი გულმოდგინება გამოიჩინა, რომ ამას უკვე სიხარბის სუნი უდიოდა.

- მერე მე? მე? - იკითხა მან, - ძალიან გთხოვთ, სულ ნუ დამივიწყებთ.

- მერედა ვინ გივიწყებს? მე ხომ შენ... აი, ნახე, მთელი ჩაის სერვიზი თავის ვერცხლის ლანგრიანად შენ ჩაგიწერე. ოქროს ვარაყიანი საკვირაო სერვიზი მხოლოდ ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ.

- მე არც ყოველდღიურ სახმარ ხახვისსახიან სერვიზს დავიწუნებ, - თქვა ფრაუ პერმანედერმა.

- მერე მე? - წამოიძახა გაწიწმატებულმა ქრისტიანმა. მან ხანდახან იცოდა ხოლმე ასე გაწიწმატება, ლოყები მაშინ უფრო ჩაუცვივდებოდა და სახე შეეშლებოდა, - მეც მინდა სასადილო სერვიზი! რამდენ კოვზსა და ჩანგალს მაძლევთ? როგორც ვხედავ, მე თითქმის არაფერი არ გინდათ მარგუნოთ!..

- კი მაგრამ, რად გინდა ასეთი ნივთები? შენ ხომ არაფერში გამოგადგება! პირდაპირ
არ მესმის... უკეთესი არაა, ასეთი რამეები დაოჯახებულებს დაანებო?..

- თუნდაც დედისგან სამახსოვროდ მინდა მქონდეს, - ჯიუტობდა ქრისტიანი.

- ჩემო კარგო, - ეუბნებოდა ძმას თითქმის მოთმინებიდან გამოსული სენატორი, - სულაც არა ვარ ხუმრობის გუნებაზე... შენი სიტყვებით გამოდის, რომ დედის ხსოვნის პატივსაცემად კომოდზე საწვნესაც შემოდგამ? ძალიან გთხოვ, არ იფიქრო, თითქოს შენი დაჩაგვრა გვინდოდეს. რაც ახლა დაგაკლდება, რა თქმა უნდა, სხვა ფორმით აგინაზღაურდება. თეთრეულზეც ასევე მოვიქცევით...

- ფული არ მინდა, მე თეთრეული და ჭურჭელი მინდა!

- კი მაგრამ ერთი გვიბრძანე, რაში გჭირდება?

ქრისტიანმა უპასუხა, თანაც ისე უპასუხა, რომ გერდა ბუდენბროკი სწრაფად შემობრუნდა და მაზლს ინტერესჩამდგარი თვალები მიაპყრო. სენატორმა პენსნე სწრაფად მოიხსნა და ძმას დაჟინებით ჩახედა სახეში, ფრაუ პერმანედერმა ხელი ხელსაც კი შემოჭკრა. ქრისტიანმა თქვა:

- დიახ, ერთი სიტყვით, მე ადრე თუ გვიან ცოლის შერთვას ვაპირებ.

ქრისტიანმა ეს სიტყვები საკმაოდ ხმადაბლა და სწრაფად წარმოთქვა, თან ხელი ისე მოკლედ აიქნია, თითქოს ძმას ცხვირწინ რაღაც დაუგდოო და შემდეგ სკამის საზურგეს მიეყრდნო. იგი პირქუშად, თან შეურაცხყოფილი, უცნაურად დაბნეული იყურებოდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ხანგრძლივი პაუზა ჩამოწვა. ბოლოს სენატორმა თქვა:

- უნდა ვაღიაროთ, ქრისტიან, ეგ განზრახვა ცოტა ნაგვიანევია... თუ, რა თქმა უნდა, ვიგულისხმებთ, რომ იგი რეალურია და შესაძლებელი და არა ისეთი, როგორც ერთხელ, შენი დაუფიქრებლობის წყალობით ამცნე აწ განსვენებულ დედაჩემს...

- მე განზრახვა არ შემიცვლია, - თქვა ქრისტიანმა ისე, რომ არც არავისთვის შეუხედავს და არც სახის გამომეტყველება შეუცვლია.

- ეგ ხომ შეუძლებელია. შენ, ალბათ, დედის სიკვდილს ელოდი, რომ...

- დიახ, დედას ანგარიშს ვუწევდი. შენ ისე მოგაქვს თავი, თომას, თითქოს ამ ქვეყანაზე მარტო შენა გაქვს უფლება, ტაქტი და წინდახედულება გამოიჩინო...

- არ ვიცი, რა გაძლევს უფლებას, ასე მელაპარაკო, მაგრამ ისე, აღტაცებული ვარ დედისადმი შენი რიდით. მისი სიკვდილის მეორე დღესვე ურჩობას იჩენ და ამას თავმომწონედ აცხადებ კიდეც.

- სიტყვამ მოიტანა და ამიტომ. მთავარი ის გახლავს, რომ დედას ჩემი ნაბიჯი აწი ვეღარ გაანაწყენებს, სულერთია, გინდა დღეს მითქვამს ეს ამბავი და გინდა ერთი წლის შემდეგ. ღმერთო დიდებულო, თომას, დედა საერთოდ კი არა, მხოლოდ თავისი თვალსაზრისით იყო მართალი და მის სიცოცხლეში მეც ამ თვალსაზრისს ვუწევდი ანგარიშს. დედა მოხუცი ქალი იყო, სხვა ეპოქისა და სხვა შეხედულებისა...

- უნდა მოგახსენო, ამ საკითხში ჩემი შეხედულებაც ზუსტად იგივე გახლავს.

- ეგ ჩემი სადარდებელი არ არის!

- გახდება შენი სადარდებელი, ჩემო მეგობარო!

ქრისტიანმა ძმას შეხედა.

- არა, არავითარ შემთხვევაში! - დაიყვირა მან, - მე თუ გეტყვი, სხვანაირად ვერ მოვიქცევი-მეთქი, მაშინ? მე თვითონ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე. ბოლოს და ბოლოს, ზრდადასრულებული კაცი ვარ.

- ეგ მხოლოდ გარეგნულად. ისე კი, შენ მაინც არ იცი, როგორ უნდა მოიქცე...

- უკაცრავად! ჯერ ერთი, მე პატიოსანი კაცივით ვიქცევი... შენ ხომ ყველაფერი არ იცი, თომას! აქ ტონი და გერდა სხედან.. დაწვრილებით ვერ ვილაპარაკებთ! მაგრამ მე ხომ გითხარი, მოვალეობა მაკისრია-მეთქი... უკანასკნელი ბავშვი, პატარა გიზელა...

- არავითარი პატარა გიზელა მე არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე! დარწმუნებული ვარ, გატყუებენ. ყოველ შემთხვევაში, შენ რომ გულისხმობ, იმ დედაკაცის მიმართ კანონიერი მოვალეობის გარდა არავითარი მოვალეობა არ გაკისრია და შეგიძლია ეს ვალი ისევე მოიხადო, როგორც აქამდე იხდიდი...

- დედაკაცის, თომას? დედაკაცის? შენ მას არ იცნობ. ალინა...

- ხმა, კრინტი! - დაიქუხა სენატორმა ბუდენბროკმა.

ძმებმა ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს, ბრაზისგან გაფითრებული თომასი ერთთავად აკანკალდა, ქრისტიანს პატარა, მრგვალ-მრგვალი, ღრმად ჩამჯდარი თვალის ქუთუთოები ჩაუწითლდა, თვალები გადმოკარკლა, პირი აღშფოთებისგან ისე დააღო, რომ გამხდარი ლოყები კიდევ უფრო ჩაუცვივდა. უპეებიც კი აუფორეჯდა.

გერდა თითქმის დამცინავად შეჰყურებდა ხან ერთს და ხან მეორეს, ტონი კი ხელებს იმტვრევდა და ძმებს ევედრებოდა:

- ტომ... ქრისტიან... დედა ჩვენ გვერდით წევს!

- შე უსირცხვილო, - განაგრძო სენატორმა, - თავს ნებას აძლევ... თუმცა არა, სინდისი არც კი გაწუხებს, ასეთ ადგილას და ასეთ დროს ამ სახელს რომ ახსენებ! შენს უტაქტობას საზღვარი არა აქვს, ეს უტაქტობა კი არა, ავადმყოფობაა...

- არ მესმის, ალინას სახელი რატომ არ უნდა ვახსენო! - ქრისტიანი კიდევ უფრო გაალმასდა და გერდა უფრო მეტი ინტერესით აკვირდებოდა მაზლს, - მისი სახელის ხსენებას არ ვერიდები, დიახ, თომას, მის ცოლად შერთვას ვაპირებ, იმიტომ, რომ ოჯახი, სიმშვიდე და სითბო მწყურია. მე შენ დღეიდან გიკრძალავ, გესმის, დიახ, ამ

სიტყვას გეუბნები, დღეიდან ჩემს საქმეებში ჩარევას გიკრძალავ! მე თავისუფალი კაცი ვარ, მე თვითონვე გახლავარ ჩემი თავის ბატონ-პატრონი!

- შენ სულელი ხარ! ანდერძის გახსნის დღეს ნახავ, შენი თავის ბატონი ბრძანდები თუ არა! უკვე იზრუნეს, გესმის, რომ დედის მემკვიდრეობაც იმ ოცდაათი ათასი მარკასავით არ გაანიავო. შენი ქონების ნაშთი ჩემს განკარგულებაში იქნება, ჩემგან მხოლოდ ყოველთვიურ ხარჯს მიიღებ, გეფიცები, ასე იქნება...

- კარგი, შენ უკეთ გეცოდინება, ვინ აიძულებდა დედას, ასეთი ზომები მიეღო. მხოლოდ ის მიკვირს, დედამ ჩემი მეურვეობა შენზე ახლობელ ადამიანს რომ არ მიანდო, ვისაც ჩემდამი შენზე მეტი ძმური სიყვარული ექნებოდა...

ქრისტიანი თავს ვეღარ თოკავდა. ძმას ისეთი სიტყვები მიახალა, რაც აქამდე არასოდეს ხმამაღლა არ წამოსცდენია, ქრისტიანი მაგიდაზე იყო გადახრილი, მოხრილ საჩვენებელ თითს ზედ შეუსვენებლივ აკაკუნებდა და ულვაშებაჩეჩილი, თვალებჩაწითლებული ძმას ჯიუტად შეჰყურებდა ქვემოდან. თომასს სახე გაფითრებოდა, წელგამართული იჯდა და დახრილი ქუთუთოებიდან ძმას ზემოდან დასცქეროდა.

- გული ჩემდამი სიცივით, ზიზღითა და სიბოროტით გაქვს სავსე, - განაგრძო ყრუ და თან მჩხავანა ხმით ქრისტიანმა, - რაც თავი მახსოვს, შენგან მობერილი სიცივე ძვალ- რბილს მიყინავს... დიახ, შეიძლება უცნაურად გამოვთქვამ, მაგრამ თუკი ასეთი გრძნობა მაქვს? შენ მე ხელსა მკრავ... ხელს მკრავ, შენი ერთი შემოხედვითაც კი.
თუმცა შემოხედვის ღირსად იშვიათად მხდი. ვინ მოგცა ამის უფლება? შენც ადამიანი ხარ და შენი სუსტი მხარეები გაქვს! მშობლებს ყოველთვის გამორჩეული ჰყავდი, მაგრამ თუ მართლა ასე ჩემზე ახლობელი იყავი მათთვის, მათი ქრისტიანული შეხედულებანი მაინც უნდა შეგეთვისებინა და თუ შენთვის ყოველგვარი დაძმური სიყვარული უცხოა, მოყვასისადმი ქრისტიანული სიყვარულის ნიშანწყალი მაინც უნდა გაგაჩნდეს. მაგრამ შენ სიყვარული სად შეგიძლია, ერთხელ არ მოსულხარ, ერთხელაც კი არ მოსულხარ ჩემს სანახავად ჰამბურგში, სახსრების რევმატიზმით დავრდომილი რომ ვიწექი...

- მე შენს ავადმყოფობაზე გაცილებით სერიოზული საქმეები მაქვს. თვითონ ჩემი საკუთარი ჯანმრთელობაც...

- არა, თომას, შენ ჩინებული ჯანმრთელობა გაქვს! ახლა აქ ასე არ იჯდებოდი, ჩემთან შედარებით კაჟივით ჯანმრთელი რომ არ იყო.

- მე შეიძლება შენზე უფრო ავადაც ვარ.

- ჩემზე უფრო... არა, ეს მეტისმეტია! ტონი! გერდა! დახეთ, რას ამბობს, შენზე ავადმყოფი ვარო! რა?! იქნებ შენ იწექი ჰამბურგში სახსრების რევმატიზმისგან სასიკვდილოდ გადადებული?! იქნებ შენ გეჯდა სხეულში ენით აუწერელი ტანჯვა?!

იქნებ შენ გაქვს მარცხენა მხარეს ყველა ნერვი მოკლე?! ავტორიტეტულმა პირებმა დამიდგინეს, რომ ეს მე მჭირს, თომას! იქნებ შენ მოგდის ასეთი რამეები: შედიხარ ბნელში შენს ოთახში და გარკვევით ხედავ, სოფაზე კაცი ზის და თავს გიქნევს, სინამდვილეში კი ოთახში არავინაა?!

- ქრისტიან! - წამოიძახა შეძრწუნებულმა ფრაუ პერმანედერმა, - რას მიედ-მოედები! ღმერთო ჩემო, მაინც რა გაჩხუბებთ? ისე ირჯებით, თითქოს ავადმყოფობა დიდი პატივი იყოს! ამაზე თუ მიდგება საქმე, სამწუხაროდ, გერდასაც და მეც გვექნება რაიმე სათქმელი!.. ნუ გავიწყდებათ, დედა ასვენია გვერდით!..

- შენ ვერც კი ხვდები, - შესძახა გაცხარებულმა თომას ბუდენბროკმა, - ეგ ყველაფერი შენი ცოდვების, შენი უსაქმურობის, საკუთარ თავში ქექვის წყალობა რომ არის! იმუშავე! თავის ლოლიავს და შენს მდგომარეობაზე ლაპარაკს მოეშვი! თუ ჭკუაზე შეცდები, - პირში გეტყვი, ეგ სულ ადვილი შესაძლებელია, - თვალიდან ცრემლი არ გადმომვარდება. მიზეზსაც მოგახსენებ: ყველაფერი შენი ბრალი იქნება, მხოლოდ შენი - და იმიტომ...

- ეგ მართალია, მე რომ მოვკვდე, მაშინაც არ გადმოაგდებ ცრემლს.

- მერე, რომ არ კვდები? - ზიზღით მიუგო ძმას სენატორმა.

- არ ვკვდები? მაშ არ ვკვდები, ხომ? ვნახოთ, ჩვენ ორში რომელი ადრე მოკვდება! იმუშავე! თუკი არ შემიძლია? ღმერთო ჩემო, თუ დიდხანს მუშაობა არ შემიძლია?! არ შემიძლია, ძალა არ მყოფნის, დიდხანს ერთი და იგივე ვაკეთო! შენ თუ მუშაობის უნარი ყოველთვის გქონდა და ახლაც გაქვს, გიხაროდეს, მაგრამ სხვებს ნუ განსჯი, ეგ შენი დამსახურება არ გეგონოს... ღმერთი ერთს მიანიჭებს ძალას, მეორეს კი არა... მაგრამ შენ, თომას, - ქრისტიანს სახე მთლად შეეშალა, მაგიდაზე გადაიხარა და თითი კიდევ უფრო მაგრად დააკაკუნა, - შენ შენი თავი ყოველთვის მართალი გგონია... არა, დამაცადე, ეს კი არ მინდოდა მეთქვა, აბა, ეს რა არის, მაგრამ არ ვიცი, რითი დავიწყო. რასაც ვიტყვი, ის მეათასედია, მემილიონედია იმისა, რაც შენ მიმართ გულში მაქვს დაგუბებული. შენ ცხოვრებაში ადგილი გაინაღდე, წარჩინებული ადგილი, ახლა დამდგარხარ და ცივად, შეგნებულად ყველაფერს ხელსა ჰკრავ, რასაც ერთი წუთით შეუძლია შეგაცბუნოს და წონასწორობა დაგაკარგვინოს, იმიტომ, რომ შენთვის წონასწორობის შენარჩუნებაა ყველაზე მთავარი! მაგრამ, ღმერთმანი, ეს კიდევ ცოტაა. შენ ეგოისტი ხარ, დიახ, ეგოისტი! მაშინ კიდევ მიყვარხარ, როცა ილანძღები, ბრაზდები და კაცს მიწასთან ასწორებ. მაგრამ შენი დუმილი ყველაფერზე უფრო საზიზღარია, ყველაზე უფრო საზიზღარია, როცა ვინმეს ნათქვამ სიტყვაზე უცებ დადუმდები, გაიყინები და ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოიხსნი, მედიდურად აიცილებ ყოველგვარ ბიწს და სხვას თავისი სირცხვილის ანაბარა მიაგდებ უმწეოდ... თანაგრძნობის, სიყვარულისა და გულთბილობის ნატამალიც არ გაგაჩნია... აჰ! - წამოიყვირა ქრისტიანმა, ორივე ხელი თავისკენ წაიღო, მერე უცებ გაასავსავა, თითქოს მთელ ქვეყანას თავიდან იცილებსო, - როგორ მომყირჭდა ეგ შენი თავდაჭერა

და ღირსება... ოჰ, როგორ მომყირჭდა, რომ იცოდე! - ეს უკანასკნელი წამოძახილი ისეთი წრფელი იყო და გულიდან ამოხეთქილი, ისე მტკიცედ, ზიზღით და თავმოძულებით იყო ნათქვამი, რომ მართლაც დამამცირებლად იმოქმედა. თომასი ოდნავ მოტყდა და მოთენთილმა ცოტა ხანს უსიტყვოდ დახარა თვალები.

- მე ის გავხდი, რაცა ვარ, - თქვა მან ბოლოს და ხმა გაებზარა, - რადგან არ მინდოდა შენნაირი გავმხდარიყავი. თუ შინაგანად ახლოს არ გიკარებდი, მხოლოდ იმიტომ, რომ მინდოდა შენგან დამეფარა თავი, შენი არსება ჩემთვის საფრთხეს წარმოადგენდა... მე სიმართლეს ვამბობ, - თომას ბუდენბროკი ერთ წუთს დადუმდა და შემდეგ უფრო მტკიცედ განაგრძო, - მაგრამ ჩვენ უკვე დავცილდით საუბრის თემას. შენ ჩემს ხასიათზე წარმოთქვი სიტყვა... ცოტა არეულ-დარეული სიტყვა, თუმცა შიგ სიმართლის მარცვალი მაინც ერია. მაგრამ ახლა ჩემზე არ არის ლაპარაკი, საქმე შენზეა. შენ ცოლის შერთვა გქონია გადაწყვეტილი, მე კი შევეცდები საფუძვლიანად დაგარწმუნო, რომ შენი მიზნის შესრულება იმგვარად, როგორც შენ დაგიგეგმავს, შეუძლებელია. ჯერ ერთი, ჩემგან მიღებული პროცენტებით მაინცდამაინც დიდად ნუ გათამამდები.

- ალინას აქვს დანაზოგი.

სენატორს სუნთქვა შეეკრა, მაგრამ თავს ძალა დაატანა.

- ჰმ... დანაზოგი... მაშ, შენ ფიქრობ, დედის მემკვიდრეობა იმ ქალბატონის დანაზოგს შეუერთო, არა?

- დიახ. მე ოჯახური სითბო მწყურია და ისეთი ადამიანი მჭირდება, ვისაც ჩემზე გული შესტკივა, როცა ავადა ვარ. ჩვენ ნამდვილად შევეფერებით ერთმანეთს. ცოტ- ცოტა ორივეს გადაგვიხვევია სწორი გზიდან...

- ალბათ, ფიქრობ, მისი ბავშვებიც იშვილო და აქედან გამომდინარე... კანონიერი გახადო, არა?

- დიახ...

- ასე რომ, შენი ქონება შენი სიკვდილის შემდეგ იმათ უნდა დარჩეს?

ფრაუ პერმანედერმა ძმას ამ სიტყვებზე ხელი მკლავზე დაადო და ვედრებით წასჩურჩულა:

- თომას! დედა წევს ჩვენ გვერდით!

- დიახ, - უპასუხა თომასს ქრისტიანმა, - ეგ ხომ თავისთავად ასე იქნება.

- არა, შენ მაგას არ ჩაიდენ! - წამოიყვირა სენატორმა და ფეხზე წამოიჭრა. ქრისტიანიც წამოდგა, თავის სკამს ცალი ხელი ჩასჭიდა, ნიკაპი მკერდზე დაიბჯინა და ნახევრად დამფრთხალმა, ნახევრად აღშფოთებულმა ძმას თვალი გაუსწორა.

- შენ ამას არ ჩაიდენ! - გაიმეორა ბრაზისგან თითქმის გონდაკარგულმა თომას ბუდენბროკმა. სენატორს სახეზე ფერი წაუვიდა და მთელი სხეულით აკანკალდა, - სანამ მე ცოცხალი ვარ, მაგას ვერ მოესწრები... გეფიცები, ვერ მოესწრები! მიფრთხილდი, იცოდე! ცოტა ფული გაგვეფანტა უბედურების, სისულელის და გულმოწყალების გამო, შენ კიდევ დედის მემკვიდრეობის მეოთხედი იმ დედაკაცსა და მის ნაბიჭვრებს რომ არ შეაჭამო?! მას შემდეგ, რაც ერთი მეოთხედი უკვე ტიბურციუსმა დაგვცინცლა! შენ ოჯახისთვის ბევრჯერ დაგისხამს ლაფი, ახლა ესღა გვაკლია, ვიღაც კახპასთან დაგვამოყვრო და მის ბავშვებს ჩვენი გვარი მისცე. მე შენ გიკრძალავ ამას, გესმის თუ არა, გიკრძალავ-მეთქი! - ისე დაიყვირა სენატორმა, რომ ოთახი შეზანზარდა და ატირებული ფრაუ პერმანედერი დივნის კუთხეში მიიკუჭა, -
არ გაბედო, ჩემს უნებურად ნაბიჯის გადადგმა, გირჩევ, არ გაბედო! აქამდე მხოლოდ მძულდი, არაფრად გაგდებდი, მაგრამ თუ გამომიწვევ, თუ მოთმინებიდან გამომიყვან, ვნახავთ, ვინ ვის აჯობებს! მე შენ გეუბნები, მიფრთხილდი-მეთქი! არაფერს არ მოვერიდები! გონებასუსტად გამოგაცხადებ, შენს თავს გისოსებში ჩავასმევინებ, არარაობად გაქცევ! არარაობად! გესმის თუ არა?!

- მე კი გეტყვი, რომ... - დაიწყო ქრისტიანმა და ძმებს შორის სიტყვიერი კენწლაობა გაჩაღდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, უაზრო ლანძღვა-გინება, რასაც მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა: ერთმანეთისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ, ერთმანეთისთვის სიტყვით დაეკოდათ გული. ქრისტიანი კვლავ ძმის ხასიათს მისწვდა და წარსულიდან ისეთი ამბები, ისეთი შემთხვევები ამოქექა, რაც ვითომ თომასის ეგოიზმს ადასტურებდა. ეს შემთხვევები ქრისტიანს აქამდე ვერ დაევიწყებინა, გულში ეტარებინა და ყოველთვის სიმწრით იგონებდა თურმე. სენატორმა მას გადაჭარბებული ზიზღისა და მუქარის სიტყვებით უპასუხა, რასაც ათი წუთის შემდეგ ნანობდა კიდეც.

გერდას თავი ხელზე მსუბუქად ჩამოეყრდნო და ორივეს თვალებდაბინდული, სახის გაურკვეველი გამომეტყველებით აკვირდებოდა. ფრაუ პერმანედერი კი სასოწარკვეთილი იმეორებდა:

- დედა ჩვენ გვერდით წევს... დედა ჩვენ გვერდით წევს...

ქრისტიანი ოთახში ბოლთას სცემდა და რეპლიკებს ისე ისროდა. ბოლოს ბრძოლის ველი მაინც პირველმა დატოვა.

- კარგი! ვნახოთ! - დაიყვირა მან.

ქრისტიანს ულვაშები აბურძგნოდა, თვალები ჩასისხლიანებოდა და სერთუკი გაღეღოდა. ცხვირსახოცი ხელში ბრაზიანად მოჭმუჭნა, კარი გაიარა და ზურგს უკან მაგრად მიიჯახუნა.

უეცრად ჩამოვარდნილი სიჩუმე არავის დაურღვევია. სენატორი ერთ წუთს კიდევ იდგა ფეხზე და იქით იყურებოდა, სადაც მისი ძმა გაუჩინარდა. შემდეგ უსიტყვოდ დაჯდა, ხელი ქაღალდებს მოავლო და მშრალად, ზედმეტი სიტყვების გარეშე

გაანაწილა დარჩენილი ნივთები. შემდეგ სავარძელში გადაწვა და ფიქრებში ჩაფლულმა ულვაშის ბოლოს დაუწყო წვალება.

ფრაუ პერმანედერს შიშისგან გული ყელში ებჯინებოდა! იმ კითხვის, იმ დიდი კითხვის კიდევ გადადება აღარ შეიძლებოდა. ეს კითხვა უნდა წამოჭრილიყო, თომასს მასზე პასუხი უნდა გაეცა. მაგრამ ასე გუნებაწამხდარს ახლა საეჭვო იყო გულკეთილობა და ლმობიერება გამოეჩინა.

- ტომ, - დაიწყო ფრაუ პერმანედერმა, ჯერ საკუთარ მუხლებს დააჩერდა და შემდეგ ძმას გაუბედავად ახედა, უნდოდა მის სახეზე რაიმე წაეკითხა, - ავეჯი... შენ, რა თქმა უნდა, ყველაფერი აწონ-დაწონე... ის ნივთები, რაც ჩვენ გვეკუთვნის, ერიკას, ბავშვსა და მე... ის ნივთები აქ დარჩება... ჩვენთან... მოკლედ... სახლი... სახლს რა უნდა ვუყოთ? - ჰკითხა მან ძმას და ხელები ჩუმად გადაიმტვრია.

სენატორს მაშინვე არ გაუცია პასუხი, ულვაშისთვის კარგა ხანს ხელი არ მოუცილებია და სახედაღვრემილი იატაკს დასცქეროდა. შემდეგ მძიმედ ამოისუნთქა და წელში გაიმართა.

- სახლი? - თქვა მან, - სახლი, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას გვეკუთვნის, შენ, ქრისტიანს და მე... და სასაცილოა, რომ კლარას მემკვიდრეობის წილით პასტორ ტიბურციუსსაც. მე მარტო, თქვენი თანხმობის გარეშე, ვერაფერს გადავწყვეტ, მაგრამ ერთი რამ ეჭვგარეშეა - სახლი რაც შეიძლება მალე უნდა გავყიდოთ! - მხრები აიჩეჩა და ისე დაასრულა სენატორმა. ამის წარმოთქმისას სახეზე ისეთმა ჩრდილმა გადაურბინა, თითქოს საკუთარმა სიტყვებმა შეაშინაო.

ფრაუ პერმანედერმა თავი მძიმედ დახარა. ხელები ჩამოუცვივდა, მთელი სხეული მოეშალა.

- ჩვენი თანხმობა! - ცოტა ხნის შემდეგ ნაღვლიანად და მწარედ გაიმეორა მან, - ღმერთო ჩემო, შენ კარგად იცი, ტომ, იმას გააკეთებ, რასაც საჭიროდ მიიჩნევ და ჩვენც ჩვენს თანხმობაზე დიდხანს არ გალოდინებთ! მაგრამ რომ გავბედოთ და გთხოვოთ, - განაგრძო ხმაწართმეულმა ფრაუ პერმანედერმა და ზედა ტუჩი აუკანკალდა, - ჩვენი სახლი! მშობლიური სახლი! დედაჩვენის სახლი! სადაც ასე ბედნიერები ვყოფილვართ! და ეს სახლი უნდა გავყიდოთ!

სენატორმა კვლავ მხრები აიჩეჩა.

- ალბათ, დამიჯერებ, ძვირფასო, ყველაფერი, რაც შენ შეგიძლია მითხრა, მეც შენსავით ძლიერ მაღელვებს... მაგრამ რასაც შენ ამბობ, ეგ ხომ დასაბუთება არ არის, მხოლოდ სენტიმენტებია, რაც გასაკეთებელია, უნდა გაკეთდეს. აქ უზარმაზარი კარ- მიდამო გვაქვს... რა უნდა მოვუხერხოთ? რამდენი ხანია, რაც მამა გარდაიცვალა, მას შემდეგ მთელი ფლიგელი დანგრევის პირას მივიდა, საბილიარდო კატების სათარეშოდ არის ქცეული, შიშით შიგ ვერ შესულხარ კაცი, შეიძლება იატაკიც

ჩაგექცეს ფეხქვეშ... მე რომ ჩემი სახლი არ მქონდეს ფიშერგრუბეზე, კიდევ ჰო. მაგრამ იმას რაღა ვუყო? იქნებ ის გავყიდო? აბა, შენ თვითონ განსაჯე... ვის მივყიდო? ალბათ, იმის ნახევარსაც ვერ ამოვიგებ, რაც ამ სახლზე მაქვს დახარჯული. აჰ, ტონი, უძრავი ქონება საკმაოდ ბევრი გვაქვს, იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა! ბეღლები და ორი დიდი სახლი! უძრავი ქონების ღირებულება ჩვენს საბრუნავ კაპიტალს ხომ სულ არ შეესაბამება! არა, უნდა გაიყიდოს, უეჭველად უნდა გაიყიდოს!

მაგრამ ფრაუ პერმანედერს არაფერი ესმოდა, წელმოწყვეტილი იჯდა და ფიქრში ჩაფლული, აცრემლებული თვალებით სივრცეში იყურებოდა.

- ჩვენი სახლი! - ჩურჩულებდა ფრაუ პერმანედერი, - მახსოვს კიდეც, როგორ დავლოცეთ ეს სახლი... მაშინ სულ პატარები ვიყავით. მთელი ოჯახი აქ იყო და ძია ჰოფშტედემ ოდა წაგვიკითხა... ის ოდა საოჯახო არქივში დევს... მე ის ზეპირად ვიცი... „ვენერას სათნო, ღვთიური სახე“... ლანდშაფტებიანი ოთახი... სასადილო დარბაზი... ნუთუ აქ უცხო ხალხმა უნდა იტრიალოს?!

- ჰო, ტონი, ალბათ, ისინიც ასევე ფიქრობდნენ, ამ დარბაზებს ვინც ტოვებდა, როცა ბაბუამ ეს სახლი იყიდა. ისინი გაკოტრდნენ და იმიტომ გახდნენ იძულებულნი აქედან გადასულიყვნენ, მერე დედაბუდიანად ამოწყდნენ და გადაშენდნენ. ყველაფერს თავისი დრო აქვს. უნდა გვიხაროდეს და ღმერთს მადლობას ვწირავდეთ, რომ რატენკამპების დღე ჯერ არ დაგვდგომია, ჩვენ ხომ აქაურობას მათზე უფრო კარგ დღეში მყოფნი ვემშვიდობებით.

თომას ბუდენბროკს სიტყვა ტკივილით აღსავსე, წყნარმა სლუკუნმა შეაწყვეტინა. ფრაუ პერმანედერი მწარე დარდს მისცემოდა. ლოყებზე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და მათ შეშრობას არც კი ცდილობდა. წელში წახრილი, მოკრუნჩხული იჯდა, კალთაში უღონოდ ჩაწყობილ ხელებზე თბილი წვეთი დაეცა, მაგრამ არც ეს შეუმჩნევია.

- ტომ, - წარმოთქვა მან და ცრემლებით შეხუთული ხმა ოდნავ, გულის ამაჩუყებლად მოიმაგრა, - შენ არ იცი, ამ წუთში გული როგორ მიკვნესის, ნამდვილად არ იცი. შენს დას ცხოვრებაში არ გაუმართლა, ცუდის მეტი არაფერი უნახავს. ყველაფერი მე დამატყდა თავს, რაც კი შეიძლება კაცმა მოიფიქროს... არ ვიცი, ასეთი ხვედრი რით დავიმსახურე. მაგრამ ყველაფერს შევეგუე, სულით არ დავცემულვარ, ყველაფერი მოვინელე: გრიუნლიჰის ამბავიც, პერმანედერისაც და ვაინშენკისაც... იმიტომ, რომ ყოველთვის, როცა ღმერთი განსაცდელს მომივლენდა, განწირული მაინც არ ვიყავი. ადგილი მეგულებოდა, საიმედო ნავსაყუდელი, სადაც თავის შეფარება შემეძლო, აქ შემეძლო ცხოვრებისგან დატეხილ უბედურებას გამოვქცეოდი... ახლაც, როცა ყველაფერი დამთავრდა, როცა ვაინშენკი ციხეში ჩასვეს, დედასთან მოვედი. „დედა, - ვუთხარი მე, - შეიძლება შენთან გადმოვიდეთ?“ „ჰო, შვილებო, მოდით“, - მიპასუხა მან. პატარებს, ომობანას რომ ვთამაშობდით, ტომ, ყოველთვის გვქონდა თავშესაფარი, პატარა კუნჭული, გასაჭირში ჩავარდნილები იქ ვაფარებდით ხოლმე

თავს. იმ თავშესაფარზე თავდასხმის უფლება არავის ჰქონდა, იქ შეგეძლო სული მოგებრუნებინა. დედისეული სახლი, ეს სახლი იყო ცხოვრებაში ჩემი თავშესაფარი, ტომ... ახლა კი... ახლა კი... ეს სახლი უნდა გავყიდოთ...

ფრაუ პერმანედერი სავარძელს მიეყრდნო, სახე ცხვირსახოცში ჩამალა და მწარედ აქვითინდა.

სენატორმა დას ცალი ხელი ჩამოაღებინა და ხელზე მოეფერა.

- მე ხომ ვიცი, საყვარელო ტონი, მე ხომ ყველაფერი ვიცი! მაგრამ ცოტა გონსაც ხომ უნდა მოვუხმოთ? ჩვენი კეთილი დედა აღარ არის... უკან ვეღარ დავიბრუნებთ. მერე? სისულელე არ იქნება, ეს სახლი მკვდარი კაპიტალივით შევინარჩუნოთ?.. მე ხომ ეს საქმე კარგად ვიცი, არა? აბა, ის ჯობია, აქაურობა ყაზარმად ვაქციოთ? შენ იმაზე ფიქრი გიმძიმს, აქ უცხო ხალხმა როგორ უნდა იცხოვროსო, მაგრამ საკუთარი თვალით რომ უყურო მათ, ის უარესი არ იქნება? შენ სადმე ქალაქის ჭიშკართან შენთვის და შენიანებისთვის ერთ კოპწია სახლს ან ერთ სართულს დაიქირავებ...
იქნებ ის გირჩევნია, აქ მდგმურებთან ერთად იცხოვრო?.. ნათესავები და ახლობლები ხომ მაინც გეყოლება, გერდა და მე, ბრაიტენშტრასელი ბუდენბროკები, კროგერები
და მადმუაზელ ვაიჰბროტი... კლოტილდეს აღარ ვთვლი, აღარ ვიცი, ის კიდევ გვიკადრებს თუ არა, რაც მონასტერში გადავიდა, ცოტა გაგვიმედიდურდა.

ფრაუ პერმანედერს სიცილნარევი ოხვრა აღმოხდა, პირი მიიბრუნა და ბავშვივით გაბუტულმა, სატკივარს ხუმრობით რომ ავიწყებენ ხოლმე, ცხვირსახოცი თვალებზე აიფარა. მაგრამ შემდეგ მტკიცე გამომეტყველება მიიღო, წელში გაიმართა და როგორც ხასიათის სიმტკიცისა და ღირსების გამოჩენის დროს იცოდა ხოლმე, თავი უკან გადაიგდო და მაინც შეეცადა, ნიკაპი მკერდზე დაებჯინა.

- ჰო, ტომ, - თქვა მან და სერიოზული, მტკიცე გამომეტყველებით აღსავსე ნამტირალევი თვალები ფანჯრისკენ გაექცა, - მეც მინდა, გონიერება გამოვიჩინო... უკვე მოვეგე კიდეც გონს. უნდა მაპატიო... შენც, გერდა... შენც მაპატიე ჩემი ცრემლები. ეს ხომ ყველას შეიძლება დაემართოს.. სისუსტე მომერია. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, მერწმუნეთ. თქვენ კარგად იცით, მე, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრებისგან გამოწრთობილი ქალი ვარ... ჰო, ტომ, მკვდარი კაპიტალის არსი მესმის, ამდენი შეგნება კი მაქვს, მხოლოდ მინდა გაგიმეორო: შენ ისე უნდა მოიქცე, როგორც საჭიროდ მიიჩნევ. შენ ჩვენ მაგივრად უნდა იფიქრო და იმოქმედო, რადგან მე და გერდა ქალები ვართ, ქრისტიანი კი... ღმერთი იყოს მისი შემწე! ჩვენ წინააღმდეგობას არ გაგიწევთ, ჩვენი წამოყენებული მიზეზები მხოლოდ სენტიმენტებია და მეტი არაფერი, ეს აშკარაა. ვის გინდა სახლი მიჰყიდო, ტომ? როგორ გგონია, მალე მოგვარდება ეს საქმე?

- ეგ რომ ვიცოდე... მაგრამ მაინც... ამ დილით ორიოდე სიტყვით მოხუც მაკლერ გოშს ჩემი განზრახვა გავანდე. მგონი, ამ საქმეზე უარი არ უნდა თქვას.

- მაგას რა სჯობია. სიგიზმუნდ გოშს თავისი სისუსტეები აქვს, რა თქმა უნდა, აი, ესპანურიდან თარგმნისო, რომ ამბობენ - იმ პოეტის სახელი ვეღარ მომიგონებია - ამაში უნდა დამეთანხმო, ტომ, მაგრამ გოში მამას მეგობარი იყო და ისედაც ნამდვილად პატიოსანი და თან გულიანი კაცია. ის მიხვდება, აქ რომელიღაც უბრალო სახლის გაყიდვაზე რომ არ არის საქმე... როგორ ფიქრობ, ტომ, რამდენი უნდა მოითხოვო? სულ ცოტა, ასი ათასი მარკა, არა?

- სულ ცოტა, ასი ათასი მარკა, ტომ! - ერთხელ კიდევ გადასძახა მან უკვე კიბეზე ჩამავალ ძმასა და რძალს. შემდეგ მარტოდ დარჩენილი ენაწართმეულივით შეჩერდა ოთახის შუაგულში, მკლავები უღონოდ ჩამოუცვივდა და ფართოდ გაღებული, უმწეო თვალები ირგვლივ მოავლო. შავმაქმანებიანი თავსაბურით შემკული თავი რამდენჯერმე წყნარად გადააქნია და ფიქრებისგან დამძიმებული ნელ-ნელა მხარზე დაუვარდა.

მესამე თავი

პატარა იოჰანი ბებიის ნეშტს უნდა გამოთხოვებოდა. მამამ უბრძანა ასე და იოჰანსაც ხმა არ ამოუღია, თუმცა შიშისგან გული ეწურებოდა. კონსულის მეუღლის მძიმე აღსასრულის მეორე დღეს სენატორმა, როგორც ჩანს, განგებ, ჰანოს თანდასწრებით ჩამოაგდო სიტყვა ბიძია ქრისტიანზე და მისი საქციელი მკვახე სიტყვებით გაკიცხა, ბიძია ქრისტიანს სულთმობრძავი დედა მიეტოვებინა და დასაძინებლად წასულიყო.

- ეგ ნერვების ბრალია, თომას, - უპასუხა გერდამ.

სენატორმა ჰანოს გადაჰკრა თვალი და მეუღლეს საკმაოდ მკაცრად შეესიტყვა, მის საქციელს ვერაფერი გაამართლებსო, განსვენებული ისე იტანჯებოდა, ყველა იქ მყოფი სირცხვილს უნდა შეეწუხებინა, რომ თვითონ არაფერი სტკიოდა და ლაჩრულად იმ პატარა ტანჯვასაც არ უნდა გაქცეოდა, რასაც ავადმყოფის სიკვდილთან ბრძოლის ყურება იწვევდაო.

მამის სიტყვებიდან ჰანომ დაასკვნა, რომ კუბოსთან მისვლაზე უარის თქმა, ჯობდა, არ გაებედა.

სვეტებიანი სადარბაზოდან დიდ სასადილოში მშობლებთან ერთად შესულ ჰანოს, როგორც შობის დღეს, ისე ეუცხოვა დიდი დარბაზი. პირდაპირ, უზარმაზარი ქოთნის მცენარეების მუქმწვანე ფონზე, რომლებიც მაღალ ვერცხლის კანდელაბრებთან ერთად ნახევარ წრეს ქმნიდნენ, შავ კვარცხლბეკზე თეთრად კიაფობდა თორვალდსენის ლოცვა-კურთხევისთვის ხელაპყრობილი ქრისტეს ქანდაკების ასლი. ეს ქანდაკება სხვა დროს ტალანში იდგა ხოლმე.

ნიავის ყოველ მობერვაზე ძაძები ირხეოდა და ცისფერ შპალერსა და ღმერთების თეთრი ქანდაკებების ღიმილს ფარავდა. ეს ღმერთები ამ დარბაზში ბევრი მხიარული ნადიმის მომსწრენი იყვნენ. ჰანო ძაძებით შემოსილი ნათესავების წრეში იდგა. მეზღვაურული კოსტიუმის სახელოზე თვითონაც ფართო სამგლოვიარო არშია ჰქონდა შემოვლებული. თაიგულებისა და გვირგვინების სურნელებისგან თავბრუ ეხვეოდა. ყვავილების სურნელს დროგამოშვებით უცხო და თან საოცრად ნაცნობი სუნი ერთვოდა და პატარა იოჰანს ყნოსვას უღიზიანებდა. პატარა იოჰანი კუბოს გვერდით იდგა და თავის წინ, თეთრ ატლასზე მკაცრად და მედიდურად გაჭიმულ უძრავ სხეულს შეჰყურებდა.

ეს ბებია არ იყო. საგარეო, თეთრი ბაფთებით მორთული თავსაბურავიდან სადად გადავარცხნილი სპილენძისფერი თმა მოუჩანდა, მაგრამ ეს წაწვეტებული ცხვირი, ჩაცვენილი ბაგე, წინწამოწეული ნიკაპი, ეს ყვითელი, გამჭვირვალე, გულზე დაკრეფილი ხელები, ცივი და გაშეშებული ხელები, მისი არ იყო. ეს გახლდათ უცხო, მდიდრულ სარეცელზე დასვენებული ცვილის თოჯინა და მისთვის გამართული ზარი ჰანოს მხოლოდ ძრწოლას ჰგვრიდა. ჰანომ ლანდშაფტებიანი ოთახისკენ გააპარა თვალი, იქნებ კარში ამ წუთში ნამდვილი ბებია გამოჩნდესო... მაგრამ ბებია არ მოდიოდა. ბებია მკვდარი იყო. სიკვდილს იგი სამუდამოდ ამ ცვილის ფიგურად
ექცია და მისთვის ქუთუთოები და ბაგე ასე ულმობლად, ასე მტკიცედ დაეკეტა.

ჰანო მარცხენა ფეხს ეყრდნობოდა, მარჯვენა მუხლი მოეღუნა, ისე, რომ ფეხი მხოლოდ ცერზე ედგა მსუბუქად, ცალი ხელი თავისი ხალათის საყელოს კვანძისთვის ჩაევლო, მეორე კი ძირს უღონოდ ჰქონდა ჩამოშვებული. საფეთქლებზე კულულებდაყრილი თავი გვერდზე გადაეხარა, მოლურჯო ჩრდილებით
შემორკალულ, მოოქროსფრო წაბლისფერ თვალებს ახამხამებდა და ჩაფიქრებული და გულჩათხრობილი ცხედარს მოჭმუხნილ წარბებს ქვემოდან შესცქეროდა. ჰანო წყნარად და ფრთხილად სუნთქავდა, ეშინოდა, მის ყნოსვას ის უცხო, თან საოცრად ნაცნობი სურნელი არ მისწვდენოდა, რომელსაც ყვავილების სუნი ყოველთვის ვერ სჯაბნიდა. და მაშინ, როცა ის სურნელი მაინც მისწვდებოდა, წარბები უფრო ეჭმუხნებოდა და ბაგე წამით აუთრთოლდებოდა... ბოლოს ჰანომ ამოიოხრა, მაგრამ ოხვრა ისე უცრემლო ქვითინივით გაისმა, რომ ფრაუ პერმანედერი მისკენ დაიხარა, აკოცა და დარბაზიდან გაიყვანა.

სენატორი და მისი მეუღლე ფრაუ პერმანედერსა და ერიკა ვაინშენკთან ერთად ლანდშაფტებიან ოთახში თანამოქალაქეებისგან დიდხანს იღებდნენ სამძიმარს. შემდეგ ელიზაბეტ ბუდენბროკი, ჩამომავლობით კროგერი, მიწას მიაბარეს. დაკრძალვაზე ფრანკფურტიდან და ჰამბურგიდან ჩამოსულ ნათესავებს უკანასკნელად უმასპინძლა ბუდენბროკების დიდმა სახლმა. დარბაზი, ლანდშაფტებიანი ოთახი, სვეტებიანი სადარბაზო და დერეფანი მთლიანად გაავსეს მოსამძიმრეებმა. მარიენკირხეს პასტორი პრინგსჰაიმი კუბოს თავში ანთებულ სანთლებთან მედიდურად იდგა, სუფთად გაპარსულ სახეზე ხან პირქუში

ფანატიზმის ჩრდილი გადაურბენდა, ხან კი ლმობიერება ეხატებოდა. ფართო, დანაოჭებულ ჟაბოში ჩაფლული თავ-კისერი ზეცისკენ მიექცია, ხელები ნიკაპქვეშ შეეტყუპებინა და მოღაღანე ხმით განსვენებულის თვისებებს, მის დიდებულებასა და თავმოდრეკილობას, მის ხალისიანობასა და ღვთისმოსაობას, მის ქველმოქმედებასა და ლმობიერებას ასხამდა ხოტბას. პასტორმა „იერუსალიმური საღამოები“ და
„საკვირაო სკოლა“ მოიხსენია, სამუდამო განსასვენებელში წასული ქალბატონის მთელი ხანგრძლივი, მდიდრული და სვებედნიერი მიწიერი ცხოვრება თავისებურად ერთხელ კიდევ გაასხივოსნა და რადგან სიტყვა „აღსასრულს“ უეჭველად სჭირდებოდა ეპითეტი, ბოლოს მის უდრტვინველ აღსასრულზეც ილაპარაკა.

ფრაუ პერმანედერმა მშვენივრად იცოდა, ამ წუთში საკუთარი თავისა და მთელი საზოგადოების წინაშე რა ღირსეული თავდაჭერა მართებდა. მას ქალიშვილსა და შვილიშვილთან ერთად პასტორის ახლოს, გვირგვინებით შემკულ კუბოს თავთან ყველაზე გამოსაჩენი და საპატიო ადგილი დაესაკუთრებინა. თომასი, გერდა, ქრისტიანი, კლოტილდე და პატარა იოჰანი კი, ისევე როგორც მოხუცი კონსული კროგერი, უფრო შორეული ნათესავების დარად, გაცილებით მოკრძალებული ადგილებით დაკმაყოფილებულიყვნენ. წელში გამართული, ოდნავ მხრებაწეული ფრაუ პერმანედერი მედიდურად იდგა. გულზე დაკრეფილ ხელებში შავ არშიამოვლებული ბატისტის ცხვირსახოცი მოუჩანდა. ფრაუ პერმანედერს განუზომლად აამაყებდა ამ სამგლოვიარო ცერემონიალში უპირველესი ადგილი და ეს გრძნობა ისეთი ძლიერი იყო, რომ ზოგჯერ დარდს სავსებით უთრგუნავდა და მწუხარება დროებით ავიწყდებოდა. ფრაუ პერმანედერი ფიქრობდა, ახლა მთელი ქალაქის მზერა ჩემკენაა მოპყრობილიო და ამიტომ უფრო თვალდახრილი იდგა, მაგრამ გული მაინც არ უთმენდა, ხალხისკენ თვალს აპარებდა და ბრბოში სხვებს შორის ჰაგენშტრომების ჩამომავალ იულჰენ მოლენდორფს და მის მეუღლეს ხედავდა. დიახ, ისინი ვალდებულნი იყვნენ მოსულიყვნენ: მოლენდორფები, კისტენმაკერები, ლანგჰალსები და ოვერდიკები! დიახ, სანამ ტონი ბუდენბროკი მშობლიურ სახლში ცხოვრობდა, ისინი ვალდებულნი იყვნენ, ერთხელ კიდევ მოეყარათ აქ თავი და გრიუნლიჰის მიუხედავად, პერმანედერისა და ჰუგო ვაინშენკის მიუხედავად, მოსამძიმრებით პატივი ეცათ მისთვის!

პასტორი პრინგსჰაიმი თავისი სამგლოვიარო ღაღადისით სიკვდილით მიყენებულ ჭრილობას თითქოს უფრო აღრმავებდა და ყველას სათითაოდ აგონებდა გარდაცვლილ ახლობელთა სახელებს; პასტორ პრინგსჰაიმს ეხერხებოდა, ცრემლები იქაც კი გამოეწურა თვალთაგან, სადაც თავისით არასდროს გადმოვარდებოდა. გულაჩუყებული ჭირისუფლები ამიტომაც იყვნენ მისი მადლიერნი. როცა მან
„იერუსალიმური საღამოები“ ახსენა, განსვენებულის ყველა მეგობარი დედაბერი აქვითინდა, მარტო მადამ კეთელსენს არ გადმოვარდნია ცრემლი, მას არაფერი ესმოდა და როგორც ყრუ ადამიანებს სჩვევიათ, ისე უაზროდ, პირდაპირ იყურებოდა. ხელიხელჩაკიდებული დები გერჰარტებიც, პაულ გერჰარტის შთამომავალნი, კუთხეში თვალებმოკრიალებულნი იდგნენ. მათ თავიანთი მეგობრის სიკვდილი

ახარებდათ. თუ მისი არ შურდათ, მხოლოდ იმიტომ, რომ შური და სიავე მათ გულს არ ეკარებოდა.

რაც შეეხება მადმუაზელ ვაიჰბროტს, იგი ცხვირს წამდაუწუმ ხმაურით იხოცავდა. სამაგიეროდ ბრაიტენშტრასელი ქალბატონი ბუდენბროკები არ ტიროდნენ. ცრემლი მათ არ სჩვეოდათ. მხოლოდ დღეს სახეზე ჩვეულებრივზე ნაკლები გესლი ეტყობოდათ. მათ სახეებს კმაყოფილების სხივს სიკვდილის მიუკერძოებელი სამართლიანობის შეგრძნება ჰფენდა.

შემდეგ, როცა პასტორ პრინგსჰაიმის უკანასკნელი „ამინ!“ გაისმა, დარბაზში შავი მოსასხამების ფრიალით უჩუმრად, მაგრამ სწრაფად შემოვიდნენ შავ სამკუთხაქუდებიანი მესაფლავეები და კუბოს ხელი დაავლეს. ეს ყველასთვის ნაცნობი, ქირაზე დამავალი ლაქიები იყვნენ. ისინი „მაღალ საზოგადოებაში“ გამართულ ყველა სადილზე მძიმე ლანგრებს დაატარებდნენ და დერეფნებში მოლენდორფისეულ წითელ ღვინოს პირდაპირ გრაფინიდან სვამდნენ. მაღალ და საშუალო საზოგადოებაში უიმათოდ არც მიცვალებული დაიკრძალებოდა, - ამ საქმეშიც დიდად დახელოვნებულნი გახლდნენ. მათ მშვენივრად იცოდნენ: ის წამი ტაქტიანად და მარჯვედ უნდა გადალახულიყო, როცა ჭირისუფლების თვალწინ უცხო ხალხი კუბოს აიტაცებდა და იქაურობას სამუდამოდ განარიდებდა. მესაფლავეებმა ღონიერი ხელები ორჯერ თუ სამჯერ ელვისებურად, უხმაუროდ, სხარტად მოიქნიეს, კუბო მხრებზე მოიგდეს და დაუხანებლად, ისე, რომ ჭირისუფლებს საშინელ წამში გარკვევაც არ დასცალდათ, ყვავილებით დაფარული სასახლე უკვე ჰაერში მიირხეოდა. სულ მალე კი სწრაფი, მაგრამ მაინც მოზომილი ტემპით კუბო სვეტებიან სადარბაზოში გაუჩინარდა კიდეც.

ქალები ფრაუ პერმანედერსა და მის ქალიშვილს თანაგრძნობით უჭერდნენ ხელს და თვალდახრილნი ისეთ სიტყვებს ებუტბუტებოდნენ, რასაც ჩვეულებრივ ასეთ დროს ამბობენ ხოლმე, მამაკაცები კი თავიანთი კარეტებისკენ იკაფავდნენ გზას.

და დაიძრა შავი პროცესია. ნაცრისფერ, სველ ქუჩებში ხალხი გრძლად გაიჭიმა. პროცესია ქალაქის ჭიშკარში ნელა გავიდა და ფოთლებგაძარცული, ცივი, წვრილი წვიმით აცახცახებული ხეივნით სასაფლაოსკენ გაემართა. სასაფლაოს ნახევრად გაშიშვლებული ბუჩქნარიდან სამგლოვიარო მარშის ხმა ისმოდა. აქ უკვე კუბოს ყველანი ფეხით გაჰყვნენ. მოლიპული გზით ჭალის პირამდე მიაღწიეს, სადაც ბუდენბროკების საგვარეულო აკლდამა იყო აღმართული. აკლდამის გოთურ ფრონტონს ქვიშაქვის დიდი ჯვარი ამშვენებდა. სველი ბალახის ჩარჩოში ჩასმული საგვარეულო გერბამოკვეთილი საფლავის ქვა შავად პირდაღებული სამარის გვერდით იდო.

ქვევით ახალმოსულისთვის ადგილი უკვე გაემზადებინათ. სენატორის ზედამხედველობით უკანასკნელ დღეებში აქაურობა მიელაგებინათ და ძველი ბუდენბროკების ნეშტები გვერდზე მიეწყოთ. სამგლოვიარო მუსიკის ხმა მიწყდა,

მესაფლავეებმა კუბო სამარეში ჩაუშვეს და სამარის ფსკერზე შეხების ყრუ ხმაური გაისმა თუ არა, სამკლაურებჩამოცმულმა პასტორმა პრინგსჰაიმმა ღაღადისი ხელახლა წამოიწყო. მისი გაწაფული ხმა ხან ღია სამარის თავზე გუგუნებდა, ხან კი გლოვით თავდახრილ დამსწრეთაკენ იკაფავდა გზას და შემოდგომის ცივ ჰაერში მკაფიოდ, მღელვარედ და მოწიწებით იფანტებოდა. ბოლოს პასტორი სამარისკენ დაიხარა, მიცვალებულს ნათლობის ყველა სახელი ჩასძახა და სამარეს ჯვარი გადასახა. პასტორი დადუმდა. მამაკაცებმა შავი ხელთათმანებით შემოსილი ხელებით ცილინდრები მოიხადეს და თავისთვის ლოცვა წარმოთქვეს. ამ დროს მზემ ოდნავ გამოაჭყიტა. აღარ წვიმდა და ხეებისა და ბუჩქების ტოტებიდან წვიმის წვეთები მიწაზე წკაპუნით ეცემოდა. ხანდახან, რომელიღაც ჩიტუნა, თითქოს რაღაცას კითხულობსო, მოკლედ და ნაზად ჩაიჭიკჭიკებდა.

შემდეგ ყველანი დაიძრნენ, რათა განსვენებულის ვაჟებისა და ძმისთვის ერთხელ კიდევ ჩამოერთმიათ ხელი.

თომას ბუდენბროკს შავი მაუდის სქელ მოსასხამზე წვიმის წვრილი წვეთები ვერცხლივით უციმციმებდა. იგი ქრისტიანსა და ბიძია იუსტუსს შორის იდგა. თომასს ამ ბოლო დროს სიმსუქნე შეჰპაროდა. მხოლოდ ეს ერთადერთი ნიშანი თუ ამხელდა, რომ სენატორის დიდი მზრუნველობით მოვლილი სხეული სიბერეში იყო შესული. ბოლოებაპრეხილი ულვაშებით დამშვენებული ლოყები უკვე შემრგვალებოდა, მაგრამ თითქოს სისხლისგან დაშრეტილ, უსიცოცხლო სახეზე მკვდრისფერი ედო. სამძიმრის სათქმელად მოსულს ხელს ჩამოართმევდა თუ არა, ოდნავ ჩაწითლებული თვალებით სახეში უხალისოდ, მაგრამ თავაზიანად შეხედავდა ხოლმე.

მეოთხე თავი

რვა დღის შემდეგ სენატორ ბუდენბროკის კაბინეტში, საწერ მაგიდასთან მიდგმულ ტყავის სავარძელში, ერთ ჩია, სუფთად გაპარსული მოხუცი იჯდა. მოხუცს თოვლივით გათეთრებული თმა შუბლსა და საფეთქლებზე გრძლად ჩამოევარცხნა, წელში მოკუზულს ორივე ხელი თავისი ხელჯოხის თეთრ კაუჭზე დაეყრდნო, წვეტიანი, წინწამოწეული ნიკაპი ხელებში ჩაეფლო, ბაგე ბოროტად მოეკუმა, ტუჩები მოეღრიცა და სენატორს ქვემოდან ისეთი ამაზრზენი, გამსჭვალავი და მუხანათური თვალით შესცქეროდა, გაგიკვირდებოდათ, სენატორი ასეთ ადამიანთან ჯდომას თავს როგორ არ არიდებსო. მაგრამ თომას ბუდენბროკს მღელვარების ნიშანწყალიც არ ეტყობოდა, სავარძელში მშვიდად გადაწოლილ ამ გულბოროტ და დემონურ არსებას, როგორც უწყინარ ბიურგერს, ისე ელაპარაკებოდა. ფირმა „იოჰან ბუდენბროკის“ შეფი და მაკლერი სიგიზმუნდ გოში ბუდენბროკების ძველი სახლის გასაყიდ ფასზე თათბირობდნენ.

მოლაპარაკება გაჭიანურდა. ბატონი გოშის შემოთავაზებული 28000 ტალერი სენატორს ეცოტავებოდა. მაკლერს კი ჯოჯოხეთიდან ეშმაკი ამოჰყავდა მოწმედ, ჭკუათამყოფელი კაცი ამ თანხას ერთ გროშსაც არ დაუმატებსო. თომას ბუდენბროკი მაკლერს შეახსენებდა, სახლი ქალაქის შუაგულში მდებარეობს და უზარმაზარი ეზო აკრავსო, მაგრამ ბაგემოღრეცილი ბატონი გოში ხელებს შიშის მომგვრელად იქნევდა და სისინა, დაგუდული და გაბოროტებული ხმით ისე მაღალფარდოვნად და აღტყინებით ლაპარაკობდა, ამ საქმის ხელში აღებით უდიდეს რისკზე მივდივარო, რომ მისი ექსპლიკაცია თითქმის ლექსად გაისმოდა. აჰ! როდის? ვისთან? რამდენად შეძლებდა ეს სახლი გაესაღებინა? საუკუნეში რამდენჯერ შეიძლებოდა ასეთი უზარმაზარი კარ-მიდამოს მყიდველი გამოჩენილიყო? იქნებ მისი პატივცემული მეგობარი და კეთილისმყოფელი ჰპირდება, ხვალ ბიუჰენის მატარებლით ინდოელი ნაბობი ჩამობრძანდება, რომ ბუდენბროკების სახლში დაიდოს ბინაო? მას - სიგიზმუნდ გოშს, ეს საქმე ჩაუფლავდება... ჩაუფლავდება და მერე დაღუპული, სამუდამოდ განადგურებული დარჩება, დროც აღარ ეყოფა, რომ კვლავ წამოიწიოს, მისი დღეები უკვე დათვლილია, მისი სამარე უკვე გათხრილია, დიახ, გათხრილი... გოშს თავისივე ნათქვამი ისე მოეწონა, რომ ზედ კიდევ მორიალე ლემურები და კუბოს სახურავზე ყრუდ არახუნებული ბელტებიც დაუმატა, მაგრამ ამაოდ დაშვრა, სენატორი მაინც ვერ დაიყოლია. მან მაკლერს აუხსნა, ჩემს კარ-მიდამოს მშვენივრად უხერხდება დაყოფაო. გარდა ამისა, ისიც აღნიშნა ხაზგასმით, დისა და ძმის წინაშე დიდი პასუხისმგებლობა მაკისრიაო და დაიფიცა, 30000 ტალერს გროში არ დააკლდებაო.

სენატორს ნერვები აეშალა, მაგრამ ხელმეორედ მაინც სიამოვნებით მოისმინა ბატონი გოშის გონებამახვილური შეგონებანი. მოლაპარაკება კარგა ორ საათს გაგრძელდა და მაკლერს შემთხვევა მიეცა თავისი ყველა ფანდი გამოემზეურებინა. იგი ერთდროულად ორმაგ თამაშს ეწეოდა - პირმოთნე ბოროტებას ასახიერებდა.

- დათანხმდით, ბატონო სენატორო, ჩემო ახალგაზრდა კეთილისმყოფელო... 84000 მარკა ცოტა არ გახლავთ... ამ თანხას მოხუცი, პატიოსანი კაცი გთავაზობთ! - დაშაქრული ხმით ეუბნებოდა იგი სენატორს, თან კისერს იგრეხდა, დამანჭულ სახეზე გულმართალი კაცის ღიმილი ეფინებოდა და გრძელ, თითებაკანკალებულ, დიდ, თეთრ ხელს იქნევდა. მაგრამ ეს სიცრუე და ღალატი იყო! ბავშვიც კი განჭვრეტდა ამ პირფერულ ნიღაბს, რომლის უკან მაკლერის ღრმად მიმალული გაიძვერობა ამაზრზენად კრეჭდა კბილებს. ბოლოს თომას ბუდენბროკმა განაცხადა, მოსაფიქრებლად დრო მჭირდება, და-ძმასაც ხომ უნდა მოვეთათბირო, სანამ 28000 ტალერზე დავთანხმდებიო. თუმცა, არა მგონია, ეს თუ ოდესმე მოხდებაო. შემდეგ სენატორმა საუბარი უმტკივნეულო თემაზე გადაიტანა - ბატონი გოში მოიკითხა.

ბატონი გოში ვერ გახლდათ კარგად. მან ლამაზი და ფართო ჟესტით ანიშნა სენატორს, ნურავინ იფიქრებს, მილხინდესო. სიბერე კარს მოსდგომოდა ბატონ გოშს, კარს მოსდგომოდა კი არა, უკვე მორეოდა. აკი მოახსენა კიდეც, ჩემთვის სამარე უკვე

გათხრილიაო. თურმე საღამოობით გროგით სავსე ჭიქა ძლივს მიჰქონდა პირთან, ნახევარი ძირს ეღვრებოდა, ისე ჯოჯოხეთურად უკანკალებდა ხელი. წყევლა- კრულვა რაღას უშველიდა, ძალა რომ აღარ ერჩოდა. მერე რა! ცხოვრება საცოდავად
არ გაუთრევია. ამ წუთისოფელს ფხიზელი თვალით შეჰყურებდა. რევოლუციებისა
და ომების ქარტეხილი არ დაჰკლებია და მათგან წამოქოჩრილ ტალღებს, ასე ვთქვათ, მისი
გულიც აუტოკებია. აფსუს, რა დრო იყო! ქალაქის საბჭოს იმ ისტორიულ სხდომაზე სენატორის
მამას, კონსულ იოჰან ბუდენბროკს რომ ამოუდგა მხარში და ამხედრებული პლებეები
დააშოშმინა. ამხედრებულ ბრბოზე საშიში ხომ არრა არის რა! არა, გოშს საცოდავად არ
გაუთრევია სიცოცხლის დღენი, არც შინაგანად გამოფიტულა. ეშმაკმა დასწყევლოს, ძალას
გრძნობდა. და როგორიც ძალაა, იდეალიც ისეთივეაო, ამბობს ფოიერბახი. სულით არც ახლა
გაღატაკებულა, გული არ დაჰბერებია. არასოდეს არ დაჰკარგვია და არც დაეკარგება
გრანდიოზული მოვლენების განცდის უნარი. მუდამ თავისი იდეალების ერთგული და
მოყვარული დარჩება... თავის იდეალებს სამარეში თან ჩაიტანს, დიახ! განა იდეალები იმისთვის
არსებობს, რომ მათ მიაღწიო და ხორცი შეასხა? არა და არა! ვარსკვლავებს ციდან ვერ მოსწყვეტ,
მაგრამ იმედს... ო, იმედი და არა მისი აღსრულება, აი რა არის ცხოვრებაში ყველაზე სანუკვარი!
L’espèrance toute trompeuse qu’elle est, sert au moins a nous mener a la fin de la vie par un chemin
agrèable[10]. ეს ლაროშფუკოს სიტყვები გახლავთ, მშვენიერია, არა? ჰო, თუმცა მის პატივცემულ
მეგობარსა და კეთილისმყოფელს ამგვარი რამის ცოდნა არ სჭირდება! ვინც ცხოვრების
ტალღებს მაღლა აუსვრია, ვისაც შუბლი ბედნიერებითა აქვს გაცისკროვნებული, მას არ
სჭირდება გულში ამგვარი აზრები ატაროს. მაგრამ ცხოვრების ფსკერზე ჩაძირული კაცისთვის,
ვისაც
წყვდიადში ეულად უოცნებია, ასეთი სიტყვები ჰაერივით აუცილებელია!

- თქვენ ბედნიერი ხართ, - მოულოდნელად თქვა მაკლერმა გოშმა, სენატორს მუხლზე ხელი
დაადო და მიბნედილი თვალებით ახედა, - დიახ, ბედნიერი ხართ! ღმერთს არ შესცოდოთ და
უარი არა თქვათ. თქვენ ბედნიერი ხართ! ბედნიერება ხელში გიჭირავთ! თქვენ ძალა გერჩით და
ბედნიერება ძლიერი ხელით მოიპოვეთ... ძლიერი მარჯვენით მოიპოვეთ! - გაასწორა მან,
რადგან არ შეეძლო სიტყვა „ხელის“ ზედიზედ გამეორება აეტანა. შემდეგ დადუმდა, სენატორის
თავის დასაცავი და უარმყოფელი პასუხიდან ერთი სიტყვაც არ მოუსმენია, სახეში კვლავ
ოცნებით დაბინდული მზერით შეჰყურებდა. უცებ ბატონი გოში წელში გაიმართა.

- ლაპარაკს შევყევით, - თქვა მან, - ჩვენ კი დღეს საქმეზე შევხვდით ერთმანეთს. დრო ძვირფასია
- ბევრი ფიქრისთვის დროს ნუ დავკარგავთ! ყური მიგდეთ... რადგან ეს საქმე თქვენ გეხებათ...
გესმით ჩემი? რადგან... - ეტყობოდა, ბატონი გოში მშვენიერი სიტყვების ხელახლა ამზეურებას
აპირებდა, მაგრამ უეცრად ფეხზე წამოიჭრა, ჰაერში ენთუზიაზმით აღსავსე ფართო ჟესტი
შემოხაზა და შესძახა:

- 29000 ტალერს... 87000 მარკას ვიძლევი დედათქვენის სახლში! მოდის?

და სენატორი ბუდენბროკი დათანხმდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფრაუ პერმანედერს სახლის ფასი სიცილად არ ეყო, ისე ეცოტავა. ფრაუ პერმანედერისთვის ამ სახლთან დაკავშირებული მოგონებების ფასად ვინმეს მილიონი რომ ჩაეთვალა, ამას მხოლოდ წესიერ საქციელად თუ ჩაუთვლიდა და მეტი არაფერი. მიუხედავად ამისა, ფრაუ პერმანედერი დასახელებულ ციფრს მაინც სწრაფად შეეგუა. მას ფიქრები და აზრები მომავლის გეგმებით ჰქონდა დაკავებული. ფრაუ პერმანედერი სულითა და გულით ხარობდა, რომ მშვენიერი ავეჯი ერგო და თუმცა ჯერჯერობით მშობლიური სახლიდან არავინ ერეკებოდა,
უკვე ახალი ბინის მოსაძებნად და დასაქირავებლად დარბოდა. რა თქმა უნდა, მძიმე იქნებოდა მშობლიურ სახლთან გამომშვიდობების წუთები - ამის გაფიქრებაზეც კი ცრემლით ევსებოდა თვალები, მაგრამ მეორე მხრივ, სიახლესა და ცვლილებებსაც ხომ თავისი მომხიბლაობა ჰქონდა. განა ეს თითქმის მეოთხედ დასახლებას არ უდრიდა? ფრაუ პერმანედერი კვლავ ბინებს ათვალიერებდა, მეშპალერე იაკობსს ისევ ეთათბირებოდა, მაღაზიებში პორტიერებსა და ფიანდაზებს ძველებურად დაეძებდა. გული ძალუმად უცემდა. დიახ, ამ ხანში შესული, ცხოვრებისგან გამობრძმედილი ქალის გული მართლა სიხარულით ძგერდა!

ასე გადიოდა კვირები. ოთხი, ხუთი თუ ექვსი კვირა გაილია. მოვიდა პირველი თოვლი. დადგა ზამთარი, ღუმლებში ცეცხლი აგუზგუზდა და ბუდენბროკები ნაღვლიანად ფიქრობდნენ, წელს შობას როგორ უნდა ჩაევლო... ამ დროს მოულოდნელად ერთი ამბავი მოხდა, რაღაც დრამატული, რაღაც სრულიად მოულოდნელი. მოვლენათა მსვლელობა ისე წარიმართა, რომ ამ მეხივით ჩამოვარდნილ ამბავს საყოველთაო ყურადღება უნდა მიეპყრო და მიიპყრო კიდეც. ფრაუ პერმანედერი კი ამ ამბავმა გააქვავა და გააოგნა.

- თომას, - უთხრა მან ძმას, - ჭკუაზე ხომ არ ვიშლები? ალბათ, ეს გოშის ფანტაზიის ნაყოფია? ეგ არ შეიძლება მოხდეს! ეს აბსურდია, წარმოუდგენელია, ეს... - ფრაუ პერმანედერს ენა წაერთვა და საფეთქლებზე ხელები მიიჭირა.

სენატორმა მხრები აიჩეჩა.

- ჩემო საყვარელო, ჯერ ხომ არაფერი გადაწყვეტილა, მაგრამ ასეთი აზრი, ასეთი შესაძლებლობა წამოტივტივდა, შენც უფრო მშვიდად თუ დაუფიქრდები, მიხვდები, რომ წარმოუდგენელი აქ არაფერია. რა თქმა უნდა, ცოტა გამაოგნებელი ამბავი კია, მეც უკან მივაწყდი, გოშმა რომ ეს ამბავი მაუწყა, მაგრამ წარმოუდგენელი რა არის? ვითომ რა უდგას ამ საქმეს წინ?

- მე ამ ამბავს ვერ გადავიტან, - თქვა ფრაუ პერმანედერმა, სკამზე ჩამოჯდა და გაირინდა.

მაინც რა მოხდა? გამოჩნდა სახლის მყიდველი თუ მისი შეძენით დაინტერესებული პიროვნება და სურვილი გამოთქვა გასაყიდი კარ-მიდამო საბოლოო გარიგებამდე

ძირფესვიანად დაეთვალიერებინა. და ეს პიროვნება გახლდათ ბატონი ჰერმან ჰაგენშტრომი, დიდვაჭარი და პორტუგალიის სამეფოს კონსული ჰერმან ჰაგენშტრომი.

როცა ამ ხმებმა ფრაუ პერმანედერის ყურამდე მიაღწია, ქალი სახსრებში მოიშალა, თავზარდაცემულს არც სჯეროდა, არც ძალა შესწევდა, ამ აზრს ღრმად ჩასწვდომოდა. ეს ხმები კი თანდათან ხორცს ისხამდა და საცაა კონსული ჰაგენშტრომი ბუდენბროკების სახლის კარს შემოაღებდა კიდეც. ფრაუ პერმანედერმაც ძალა მოიკრიბა, გამოცოცხლდა. ის პროტესტს კი არ აცხადებდა, ყალყზე იყო შემდგარი. სიტყვების გამოძებნა არ უჭირდა, მგზნებარე, ბასრ სიტყვებს ჩირაღდნებივით, სამარი ნაჯახივით იქნევდა.

- ეგ არ მოხდება, თომას! სანამ პირში სული მიდგას, ეგ არ მოხდება! კაცი ძაღლს რომ ყიდის, მაშინაც კი ამოწმებს, ამ ძაღლის პატრონი ვინ იქნება. დედას სახლი! ჩვენი სახლი! ლანდშაფტებიანი ოთახი! ვის უნდა ჩავუგდოთ ხელში, ვის?!

- კარგი, მაგრამ, მე შენ გეკითხები, რა ეღობება ამ ამბავს წინ?

- რა ეღობება? დიდება შენდა, ღმერთო! რა ეღობება? მთები უნდა გადაეღობოს წინ იმ გაბერილს იმას, მთები! მაგრამ ის ხომ მთებსაც ვერ შეამჩნევს. მაგისთვის თავს არ შეიწუხებს! იმას რა ენაღვლება, პირუტყვი არ არის? ოდითგანვე ჰაგენშტრომები ჩვენი მოსისხლე მტრები იყვნენ. მოხუცი ჰინრიჰი ბაბუასა და მამას ძირს უთხრიდა,
თუ ჰერმანს შენთვის ჯერ სერიოზული არაფერი დაუშავებია, თუ შენთვის ჯერ სარმა არ გამოუდვია, მხოლოდ იმიტომ, რომ ხელსაყრელი შემთხვევა არ მისცემია. ბავშვობაში ქუჩაში სილა გავაწანი, მქონდა ამის მიზეზი, მისმა მშვენიერმა დაიკომ კი ამისთვის ლოყები დამაკაწრა. ეს, რასაკვირველია, ბავშვობანა იყო, კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ისინი ხომ ჩვენს უბედურებებს სიხარულით და დამცინავად ადევნებდნენ თვალყურს? მეტწილად მე ვაძლევდი მათ სიხარულის საბაბს... ღმერთმა ასე ინება... მაგრამ კონსულს შენთვის რამდენჯერ მოუყენებია ზიანი, რამდენჯერ უსირცხვილოდ გადაგხტომია თავზე, ეგ შენც კარგად მოგეხსენება, ტომ! მერე, როცა ღვთის შეწევნით, ერიკა კარგად გათხოვდა, იმდენი იწრიალეს, სანამ დირექტორი არ გაანადგურეს და ციხეში არ ჩასვეს. თავიანთი ძმის მეოხებით, იმ ხვადი კატის, იმ პროკურორის ქურქში გახვეული სატანას ხელით, სანამ საბოლოოდ არ გაანადგურეს, არ მოისვენეს. ახლა კი სულ თავს გავიდნენ... სულ დაკარგეს სინდის-ნამუსი...

- ყური მიგდე, ტონი, ჯერ ერთი, ჩვენ ამ საქმისა აღარაფერი გვეკითხება. ჩვენ გოშთან გვაქვს ხელშეკრულება დადებული და მისი საქმეა, სახლს ვის მიჰყიდის. იმაში კი გეთანხმები, რომ ნამდვილად ბედის დაცინვა გამოვიდა.

- ბედის დაცინვა? ჰო, ტომ, ეგ შენებური გამოთქმაა! მე კი ამას თავის მოჭრას ვეძახი, სახეში სილის გარტყმას და ასეც არის! ნუთუ არ გესმის, ეს რას ნიშნავს? აბა, იფიქრე,

თომას: ეს ნიშნავს, რომ ბუდენბროკებს ბოლო მოეღოთ, მათი საქმე სამუდამოდ წასულია ხელიდან, ისინი მიდიან, ჰაგენშტრომები კი ერთი ზარ-ზეიმით მათ ადგილს იკავებენ... არა, თომას, არასოდეს არ ჩავებმები ამ ტაკიმასხარაობაში! არასოდეს ხელს არ გავურევ ამ სიმდაბლეში! ერთი გაბედოს და მოვიდეს სახლის დასათვალიერებლად, ერთი ჩვენს ზღურბლს გადმოაბიჯოს და მერე მე ვიცი! მერწმუნე, არ მივიღებ! ჩემს ქალიშვილსა და შვილიშვილთან ერთად ერთ ოთახში ჩავიკეტები და არ შემოვუშვებ, აი, ნახავ, თუ ასე არ ვიზამ!

- შენ ისე მოიქცევი, როგორ გონება გიკარნახებს, ჩემო კარგო, ჯერ კარგად დაფიქრდები, ხომ არ აჯობებს, წესი და რიგი დაიცვა. იქნებ გგონია, კონსულ ჰაგენშტრომს შენი საქციელი გაანაწყენებს? არა, ცდები, ჩემო კარგო. მას ასეთი მიღება არც გააბრაზებს და არც გაახარებს, მხოლოდ გაუკვირდება. ერთი ნერვიც არ შეუტოკდება, უბრალოდ გაკვირვებული დარჩება. საქმე ის არის, რომ შენ გგონია, მასაც ისე ვძულვართ, როგორც შენ გძულს იგი. ცდები, ტონი! მას ხომ შენ სულაც არ სძულხარ. რატომ უნდა სძულდე? მას არც არავინ სძულს. ბედი სწყალობს და გული ხალისითა აქვს სავსე, დამიჯერე, მართალს გეუბნები. ერთხელ და ორჯერ არ მითქვამს შენთვის, ქუჩაში ყოველთვის თავაზიანად და მოწიწებით მოგესალმებოდა, შენ რომ თავს ძალას დაატანდე და მის დანახვაზე საომრად ამხედრებულივით ზვიადად არ აარიდებდე თვალს. მას შენი საქციელი მხოლოდ უკვირს. ერთ-ორ წუთს სავსებით მშვიდი და დამცინავი გაოცება ეუფლება, როგორც ადამიანს, რომელსაც არავისთვის არაფერი დაუშავებია და მოთმინებიდანაც კი არ გამოდის... შენ რა გაქვს მისთვის სასაყვედურო? თუ საქმეში ჩემზე წინ წავიდა და აქა-იქ საზოგადოებრივ საქმეშიც მაჯობა - კეთილი და პატიოსანი, ის ჩემზე მარჯვე კომერსანტი ყოფილა და ჩემზე უკეთესი პოლიტიკოსი. ჰო, ასე გაბოროტებული ნუ იცინი, ამის საბაბი ნამდვილად არა გაქვს! სახლზე თუ ვილაპარაკებთ, დიდი ხანია მას ოჯახისთვის ფაქტობრივად მნიშვნელობა აღარა აქვს, ჩვენი ოჯახის სახელი თანდათან ჩემს სახლს დაუკავშირდა. ამას იმიტომ გეუბნები, რომ მინდა ცოტათი მაინც განუგეშო. მეორე მხრივ, ისიც აშკარაა, კონსულ ჰაგენშტრომს ამ სახლის ყიდვა რამ აფიქრებინა. ჰაგენშტრომები ამაღლდნენ, ოჯახი გაიზარდა, მოლენდორფებს დაუმოყვრდნენ და შეძლებითა და ავტორიტეტით პირველ ოჯახებს გაუტოლდნენ. მაგრამ მათ მაინც აკლიათ რაღაც, რაღაც გარეგნული, რასაც ეს პრაქტიკული და ცრურწმენის მოძულე ხალხი აქამდე აინუნშიაც არ აგდებდა. ეს არის ისტორიული წარსული, ასე ვთქვათ, ლეგიტიმი... ეტყობა, ამის მადა ახლა გაეხსნათ და ფიქრობენ, თუნდაც ასეთი სახლის შეძენით ცოტა კეთილშობილებას მაინც ვეზიარებითო... აი, ნახავ, კონსული თუ არ შეეცდება, აქ შეძლებისდაგვარად ყველაფერი ხელუხლებლად დატოვოს, არაფერს გადააკეთებს, სადარბაზო კარის თავზე Dominus providebit-საც არ მოშლის, თუმცა სიმართლე თუ გინდა, მათ აყვავებაში ღვთის ხელი არ ურევია, ფირმა „შტრუნკი და ჰაგენშტრომის“ ამაღლება მხოლოდ და მხოლოდ ჰერმანის დამსახურება გახლავს.

- ყოჩაღ, ტომ! აჰ, როგორ მიფონავს გულს, მათი მისამართით შენი პირიდან რომ გავიგონებ გესლიან შენიშვნას, მე სხვა კი არაფერი მინდა. ღმერთო, შენი ტვინი მომცა, მე ვიცი, როგორ გავუსწორდებოდი იმ ვაჟბატონებს! შენ კი დგახარ და...

- ხომ ხედავ, რომ ჩემი ტვინი დიდად არაფერში გამომდგომია.

- სწორედ იმას გეუბნები, დგახარ და ამ საქმეზე ისე აუღელვებლად მელაპარაკები- მეთქი. თან ჰაგენშტრომების საქციელს მიხსნი... თქვი, რაც გინდა, შენც ჩემნაირი გული გიძევს მკერდში, უბრალოდ არა მჯერა, მართლა ისე დამშვიდებული იყო, როგორც თავს მაჩვენებ! შენ მე მამშვიდებ და, ალბათ, საკუთარი თავიც გინდა ინუგეშო.

- შენ ახლა აჭარბებ, ტონი. მე როგორ ვიქცევი, ისაა მთავარი, დანარჩენი არავის ეკითხება.

- მხოლოდ ეს მითხარი, ტომ, გევედრები, იქნებ სიზმარში ვართ?

- რა თქმა უნდა.

- იქნებ კოშმარია?

- რატომაც არა.

- იქნებ რაღაც მაიმუნობაა?

- კარგი, გეყოფა, გეყოფა!

კონსული ჰაგენშტრომი მენგშტრასეზე ბატონ გოშთან ერთად მოვიდა; წელში მოკუზულ ბატონ გოშს თავისი იეზუიტური ქუდი ეჭირა ხელში და თვალებს ირგვლივ მუხანათურად აცეცებდა. მოახლეს სადარბაზო ბარათები უკვე მასპინძლებისთვის მიერთმია და ახლა სტუმრებს ლანდშაფტებიანი ოთახის შუშის კართან ელოდა. მაკლერმა გოშმა კარი კონსულის შემდეგ გაიარა.

ჰერმან ჰაგენშტრომს კოჭებამდე დასთრევდა სქელი, მძიმე ბეწვის ქურქი. მოღეღილი ქურქიდან მომწვანო-მოყვითალო, ხაოიანი, გამძლე ინგლისური შალის კოსტიუმი მოუჩანდა. ჰერმან ჰაგენშტრომი ბირჟაზე გამოქექილი ქალაქელი საქმოსნის ნამდვილი ტიპი იყო. ქონი ისე მორეოდა, რომ მარტო ღაბაბი კი არა, სახის მთელი ქვედა ნაწილიც ორად ეკეცებოდა. მოკლედ დაყენებული ქერა წვერი სახის სიმსუქნეს ვერ უფარავდა, შეკრეჭილი თმით შემოსილ თავის კანზეც შუბლის შეჭმუხვნისას ან წარბების აზიდვისას სქელი ნაოჭები ასხდებოდა. ცხვირი ზედა ტუჩზე უფრო მაგრად დატყაპნოდა და ულვაშებში სულს გაჭირვებით ითქვამდა. ხანდახან იძულებული
იყო ცხვირისთვის პირიც მიეშველებინა და ჰაერი ღრმად ჩაესუნთქა. ქშინვას ენის წკლაპუნიც თან ერთვოდა, რადგან ხანგამოშვებით ენას სასას და ზედა ყბას აცილებდა ხოლმე.

ფრაუ პერმანედერს სახე შეეფაკლა, როცა ეს ნაცნობი წკლაპუნი გაიგონა. ძეხვის ნაჭრითა და სტრასბურგული ბატის გულ-ღვიძლით გამოტენილი ფუნთუშა თვალწინ დაუდგა და ერთი წუთით გაქვავებული, ღირსეული სახის იერი კინაღამ შეეცვალა. ფრაუ პერმანედერს სადად გადავარცხნილ თმაზე სამგლოვიარო თავსაბური ეხურა, ტანთ კარგად მოყვანილი, წელიდან ქობამდე ვოლანებით
გაწყობილი შავი კაბა ეცვა. იგი სოფაზე გულხელდაკრეფილი და მხრებაწეული იჯდა. სტუმრები ოთახში შემოვიდნენ თუ არა, ძმას სავსებით მშვიდად და გულგრილად გადაულაპარაკა რაღაც. სენატორი აქ იყო, მას ვერ გაებედა თავისი და ამ წუთებში ბედის ანაბარა მიეტოვებინა. ფრაუ პერმანედერი არ წამომდგარა. სენატორი სტუმრებს შუა ოთახში შეეგება, მაკლერ გოშს გულთბილად მიესალმა, კონსულს კი თავაზიანად ჩამოართვა ხელი. მხოლოდ ამის შემდეგ ინება ფრაუ პერმანედერმა წამოდგომა, ორივე სტუმარს ერთად დაუკრა თავი და საკმაოდ ცივად სთხოვა, დაბრძანდითო. ამ სიტყვის წარმოთქმისას, გულგრილობის ნიშნად, ლამის დახუჭული ჰქონდა თვალები.

სანამ ყველანი დასხდებოდნენ და მერეც, პირველ წუთებში, ერთმანეთს მხოლოდ კონსული და მაკლერი ესიტყვებოდნენ. ბატონი გოში ყალბი მორჩილებით ცუდად ფარავდა ცბიერებას. მან მასპინძლებს შეწუხებისთვის ბოდიში მოუხადა და აუწყა, ბატონ კონსულ ჰაგენშტრომს, როგორც თქვენი მამულის საეგებიო მყიდველს, სახლის დათვალიერება სურსო. შემდეგ კონსულმაც იგივე გაიმეორა, ოღონდ სხვა სიტყვებით. ფრაუ პერმანედერს მისმა ხმამ კვლავ მოაგონა ძეხვიანი ფუნთუშა. დიახ, მას მართლა მოსვლოდა თავში ამ სახლის ყიდვის აზრი და ნაფიქრალი მალე
სურვილად გადაქცეოდა კიდეც. სურვილის აღსრულების იმედს არ კარგავდა, თუ, რა თქმა უნდა, ბატონი გოში ამ საქმეზე ხელის მოთბობას არ აპირებდა, ჰა, ჰა, ჰა!.. არა, მას ეჭვი არ ეპარება, რომ ეს საქმე ყველასთვის სასიამოვნოდ მოგვარდება. კონსულ ჰაგენშტრომს თავისუფლად, უზრუნველად, შინაურულად და ამავე დროს უაღრესად თავაზიანად ეჭირა თავი. ამ გარემოებას არ შეიძლებოდა ფრაუ პერმანედერზე შთაბეჭდილება არ მოეხდინა, მით უმეტეს, რომ კონსული თითქმის ყოველთვის მას მიმართავდა. ის თითქოს ბოდიშობდა და ცდილობდა თავისი სურვილი გაემართლებინა.

- სივრცე, მეტი სივრცე მჭირდება, - თქვა მან, - ჩემი სახლი ზანდშტრასეზე, ნამდვილად არ დამიჯერებთ, მოწყალეო ქალბატონო, არც თქვენ, ბატონო სენატორო... ჩვენთვის ნამდვილად ვიწროა, ხანდახან გასანძრევი ადგილიც აღარ გვაქვს ხოლმე. სტუმრიანობაზე არ მოგახსენებთ... არა, რას ბრძანებთ, ჩვენი ოჯახისთვისაც ვიწროა უკვე. ჰუნეუსები, მოლენდორფები, ჩემი ძმის ნათესავებიც
რომ მოიყრიან თავს, პირდაპირ თევზებივით ვართ ერთმანეთზე მიწყობილი. მერედა რა გაჭირვებაა, არა?

კონსული ოდნავ გაგულისებული ლაპარაკობდა, ისეთი სახე ჰქონდა და ხელსაც ისე იშველიებდა, თითქოს ამბობდა: თქვენც დამეთანხმებით, თავს რატომ უნდა გავუჭირვოთ, რა სისულელეა, მადლობა ღმერთს, სამაგისო არაფერი გვიჭირსო.

- აქამდე ვფიქრობდი, დამეცადა, - განაგრძო მან, - სანამ ცერლინესა და ბობის სახლი დასჭირდებოდათ, მაშინ მათ ჩემსას დავუთმობდი და ჩემთვის უფრო დიდ რასმეს გამოვძებნიდი, მაგრამ... ალბათ, გეცოდინებათ, - უცებ ჩაურთო მან, - რომ ჩემი ქალიშვილი ცერლინე და ბობი, ჩემი ძმის უფროსი ვაჟი, პროკურორის შვილი, დიდი ხანია დანიშნულები არიან. ქორწილს ახლა დიდხანს აღარ გადავდებთ. დიდი-დიდი ორი წელი დავიცადოთ... ისინი ახალგაზრდები არიან - მით უკეთესი! მაგრამ ერთი მიბრძანეთ, მათ რატომ უნდა ველოდო და ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან რატომ უნდა გავუშვა? ეს ჭეშმარიტად უგუნურება იქნებოდა.

მოსაუბრეთა შორის სრული თანხმობა სუფევდა და საუბარი ცოტა ხანს ამ ოჯახურ ამბავზე, ჰაგენშტრომების ქორწილზე შეჩერდა. ხელსაყრელი ქორწინებანი ბიძაშვილებს შორის ქალაქში უჩვეულო ამბავი არ იყო და არც არავის ეჩოთირებოდა. შემდეგ სიტყვა ახალგაზრდების მომავალ გეგმებზე ჩამოვარდა, ისინი უკვე საქორწინო მოგზაურობის გეგმებს აწყობდნენ თურმე. რივიერაზე წასვლა ჰქონდათ გადაწყვეტილი, ნიცაში და სხვაგან. წასვლა უნდათ და სიამოვნება რატომ უნდა მოიკლონ, არა? უმცროსებიც მოიკითხეს, კონსულმა ისინი გულთბილად, თუმცა ოდნავ სხვათა შორის მოიხსენია და მხრები აიჩეჩა. მას თვითონ ხუთი შვილი ჰყავდა, მის ძმას მორიცს კი - ოთხი: ვაჟები და ქალიშვილები. დიახ, გმადლობთ, ყველანი ჯანმრთელად არიან, რატომაც არ იქნებიან კარგად, არა? მოკლედ, ბავშვები კარგად იყვნენ. შემდეგ კონსულმა ისევ თავის დიდ ოჯახსა და ბინის სივიწროვეზე ჩამოაგდო სიტყვა.

- დიახ, აქაურობა სულ სხვანაირია! - თქვა მან, - კიბეზე რომ ამოვედი, ეს მაშინვე შევნიშნე, სახლი კი არა, მარგალიტია, ნამდვილი მარგალიტი, რა თქმა უნდა, ასეთი სიდიდის მარგალიტი თუ შეიძლება არსებობდეს, ჰა, ჰა, ჰა! ჯერ მარტო ეს შპალერები რად ღირს... გამოგიტყდებით, მოწყალეო ქალბატონო, ამ შპალერებს თვალს ვერ ვაცილებ. ჭეშმარიტად მომხიბლავი ოთახია! როცა მომაგონდება, რომ აქამდე თქვენ გიცხოვრიათ აქ...

- დიახ, ხანმოკლე შესვენებებით, - ხორხისმიერი ხმით წარმოთქვა ფრაუ პერმანედერმა, როგორც ხანდახან იცოდა ხოლმე.

- შესვენებებით, დიახ, - ღიმილით გაიმეორა კონსულმა. შემდეგ სენატორ ბუდენბროკისა და ბატონ გოშისკენ გააპარა თვალი. ისინი საუბარში იყვნენ გართული. კონსულმა ფრაუ პერმანედერისკენ მიაჩოჩა სავარძელი, მერე მისკენ დაიხარა და ისე ახლოს მიუტანა ცხვირი, რომ მისი ქსუტუნი ფრაუ პერმანედერს ზედ ყურთან ესმოდა. ფრაუ პერმანედერს ზრდილობა ნებას არ აძლევდა, შეტრიალებულიყო და მისი სუნთქვისთვის თავი აერიდებინა, წელგაშეშებული, რაც

კი შეეძლო, სავარძელზე წამოწეული იჯდა და დახრილი ქუთუთოებიდან სტუმარს ზევიდან დასცქეროდა. მაგრამ კონსული მის უხერხულ პოზას სრულიად ვერ ამჩნევდა.

- ხედავთ, მოწყალეო ქალბატონო, - თქვა მან, - მე მგონი, ჩვენ ადრეც დაგვიდვია ერთმანეთთან საქმიანი გარიგება. მაშინ რაზე ვრიგდებოდით?.. რაღაც სასუსნავი, ტკბილეული იყო თუ რაღაც ამისმაგვარი, არა? ახლა კი აი, მთელ სახლზე ვაპირებთ მორიგებას.

- არ მაგონდება, - უპასუხა ფრაუ პერმანედერმა და კისერი კიდევ უფრო წაიგრძელა, რადგან კონსულმა სახე უკვე ურიგოდ ახლოს მიუტანა სახესთან.

- არ გაგონდებათ?

- არა, მართალი გითხრათ, არავითარი ტკბილეული არ მაგონდება. მხოლოდ რაღაც ქონიანი ძეხვის ნაჭერი და ფუნთუშა კი მახსოვს ბუნდოვნად... ნამდვილად გულის ამრევი იყო... ჩემი იყო ის თუ თქვენი, ეგ კი აღარ ვიცი... მაშინ ჩვენ ბავშვები
ვიყავით... რაც შეეხება, სახლზე მორიგებას, ეგ მხოლოდ ბატონ გოშის საქმე გახლავთ.

ფრაუ პერმანედერმა ძმას მადლობით სავსე მზერა შეაგება. სენატორს დის გაჭირვება შეენიშნა და მოსაშველებლად მოდიოდა. სენატორმა კონსულს თავაზიანად ჰკითხა, სახლის დათვალიერებას ხომ არ ინებებთო. კონსულს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, ფრაუ პერმანედერს მხოლოდ დროებით დაემშვიდობა, ალბათ, ერთხელ კიდევ გიხილავთო.

სენატორმა ორივე სტუმარი სანადიმო დარბაზის გავლით დერეფანში გაიყვანა და კიბეზე აღმა-დაღმა დაუწყო ტარება. მესამე სართულის ოთახები აჩვენა, მეორე სართულზე ტალანში ჩარიგებული ოთახებიც დაათვალიერებინა, არც სამზარეულო და სარდაფი დავიწყებია, ორივე პირველ სართულზეც ჩაიყვანა. მხოლოდ კანტორებში შესვლა არ შეიძლებოდა, - სადაზღვევო საზოგადოების სამუშაო საათები ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ორიოდე სიტყვით ახალი დირექტორიც მოიხსენიეს. კონსულმა ჰაგენშტრომმა ზედიზედ გაიმეორა, ახალი დირექტორი უაღრესად პატიოსანი კაციაო; სენატორს ხმა არ ამოუღია.

შემდეგ ყველანი წყლიანი თოვლით დაფარულ, გაძარცულ ბაღში ჩავიდნენ, „პორტალშიც“ შეიხედეს და წინა ეზოში დაბრუნდნენ, იქ, სადაც სამრეცხაო იყო მოთავსებული. აქედან კედლებს შორის ვიწრო, მოკირწყლული ბილიკით უკანა ეზოში უნდა გასულიყვნენ, რომ ბებერი მუხისთვის გვერდი აევლოთ და ფლიგელს მისდგომოდნენ. უკანა ეზო ხელმიშვებული იყო. ქვაფენილში ბალახსა და ხავსს ამოეყო თავი, ფლიგელს კიბე მთლად მორყეოდა. საბილიარდოში მხოლოდ კარი შეაღეს და ცინდლებიანი კატა დააფრთხეს. იქ შესვლა არ შეიძლებოდა, იატაკს ჩანგრევას არაფერი აკლდა.

კონსული ჰაგენშტრომი ხმას არ იღებდა, ეტყობოდა, რაღაც ანგარიშში იყო გართული.

- მაშ, ასე, - წამდაუწუმ იმეორებდა კონსული, თითქოს გულგრილად, მაგრამ ამ წამოძახილში აშკარად იგულისხმებოდა: მე თუ გავხდი აქაურობის ბატონ-პატრონი, რა თქმა უნდა, ეს კარ-მიდამო ასე არ დარჩებაო. სახეზე გამომეტყველება არც მაშინ შესცვლია, როცა ბეღლის გაქვავებულ თიხის იატაკს დაადგა ფეხი და ცარიელ სხვენს ახედა.

- მაშ, ასე! - გაიმეორა მან. მერე ჭერზე, ჩაჟანგულ რკინის კაუჭზე უქმად ჩამოკიდებული სქელი, დაჩრჩილული ბაგირი გააქან-გამოაქანა და ქუსლზე შემოტრიალდა, - დიდ მადლობას მოგახსენებთ, ბატონო სენატორო. დათვალიერებას, ალბათ, მოვრჩით, - მიმართა მან თომას ბუდენბროკს.

შემდეგ თითქმის კრინტი აღარ დაუძრავს. მთავარ შენობაში სწრაფად დაბრუნდნენ, ლანდშაფტებიან ოთახში აღარ დამსხდარან, ფრაუ პერმანედერს ისე გამოეთხოვნენ. თომას ბუდენბროკმა ორივენი სადარბაზო კარამდე მიაცილა, მაგრამ როგორც კი სტუმრები სენატორს დაემშვიდობნენ და ქუჩაში გავიდნენ, კონსული მაშინვე ბატონ გოშს მიუბრუნდა და ეტყობოდა, ორივენი გაცხარებულ საუბარში ჩაებნენ.

სენატორი ლანდშაფტებიან ოთახში დაბრუნდა. ფრაუ პერმანედერს სახე მკაცრად მოეღუშა, წელში გამართული იჯდა ფანჯარასთან, ნაჩვევ ადგილზე, გრძელი ხის ჩხირებით თავის პატარა შვილიშვილს, ელიზაბეტს, შავ ქვედაკაბას უქსოვდა და ხანგამოშვებით „სათვალთვალოსკენ“ იხედებოდა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი თომასი ცოტა ხანს ოთახში ბოლთას სცემდა.

- მაკლერთან დავტოვე, - თქვა მან შემდეგ, - ვნახოთ, რა გამოვა. მე ვფიქრობ, ის მთელ კარ-მიდამოს იყიდის, აქ იცხოვრებს, უკანა ნაკვეთს კი სხვაგვარად გამოიყენებს.

ფრაუ პერმანედერს ძმისთვის არ შეუხედავს, არც მობრუნებულა, ქსოვაც არ შეუწყვეტია, პირიქით, ჩხირები თითებში უფრო სწრაფად აამოძრავა.

- ჰო, რა თქმა უნდა, იყიდის, მთელ კარ-მიდამოს იყიდის, - თავისებური ხორხისმიერი ხმით თქვა მან, - რატომაც არ უნდა იყიდოს? ჭეშმარიტად უგუნურება იქნება, რომ არ იყიდოს!

ფრაუ პერმანედერმა წარბები აზიდა და პენსნეს შუშებიდან ჩხირებს დაჟინებით დააჩერდა. ის ხელსაქმეზე უკვე პენსნეს ხმარობდა, მაგრამ ცხვირზე სწორად ვერ იკეთებდა. საქსოვი ჩხირები ელვის სისწრაფით მოძრაობდა და წყნარი რაკუნით ერთმანეთს ეხლართებოდა.

* * *

დადგა შობა, პირველი შობა კონსულის მეუღლის სიკვდილის შემდეგ. ოცდაოთხი დეკემბრის საღამო სენატორთან იდღესასწაულეს, ისე, რომ არც ბრაიტენშტრასელი

ქალბატონი ბუდენბროკები მოუწვევიათ და არც მოხუცი კროგერები. ხუთშაბათობით „ბავშვების დღეზე“ თავშეყრასაც ბოლო მოეღო, თომას ბუდენბროკი სულაც არ აპირებდა, კონსულის მეუღლის დროინდელი საშობაო საღამოს ყველა მონაწილე თავის სახლშიც შეეკრიბა და დაესაჩუქრებინა. მოწვეულნი იყვნენ მხოლოდ ფრაუ პერმანედერი, ერიკა ვაინშენკი, პატარა ელიზაბეტი, ქრისტიანი, კლოტილდე - მონასტრის ქალბატონი და მადმუაზელ ვაიჰბროტი. მადმუაზელ ვაიჰბროტი ოცდახუთ დეკემბერს თავის გახურებულ ოთახებში მუდამ მარცხიანი საშობაო ზეიმის მოწყობასა და საჩუქრების დარიგებას წელსაც არ დაიშლიდა.

არსად ჩანდნენ მენგშტრასეზე შემოჩვეული ღარიბ-ღატაკნი. მათ კონსულის მეუღლე ყოველ შობას წუღებითა და თბილი ტანსაცმლით ასაჩუქრებდა ხოლმე. არც ბიჭების გუნდის გალობა ისმოდა. სალონში შეკრებილებმა უბრალოდ წამოიწყეს „წყნარი ღამე, წმინდა ღამე“, შემდეგ ტერეზა ვაიჰბროტმა სენატორის მეუღლის მაგიერ დიდი
მონდომებით წაიკითხა ბიბლიის საშობაო თავი. გერდას ხმამაღლა კითხვა დიდად არ ეპიტნავებოდა. ასევე ნახევარ ხმაზე იმღერეს „ნაძვის ხეო, ნაძვის ხეოს“ პირველი სტროფი და ოთახების გავლით დარბაზისკენ დაიძრნენ.

უფრო მხიარული ზეიმის საბაბი მაინც არ ჰქონდათ. ბედნიერებისგან სახე არავის უბრწყინავდა და საუბარიც ვერ ეწყობოდა, ანდა რა ჰქონდათ სალაპარაკო? გასახარელი ამ ქვეყანაზე ბევრი არაფერი იყო. იგონებდნენ განსვენებულ დედას, ლაპარაკობდნენ სახლის გაყიდვასა და ნათელ ბელეტაჟზე, რომელიც ფრაუ პერმანედერს ჰოლშტენის ჭიშკართან, ლინდენპლაცის მახლობლად ერთ კოხტა სახლში დაექირავებინა. ორიოდე სიტყვით აღნიშნეს, რა უნდა ექნათ, როცა ჰუგო ვაინშენკი ციხიდან გამოვიდოდა.

პატარა იოჰანმა როიალზე ბატონ პფიულთან ნავარჯიშევი რამდენიმე პიესა დაუკრა, მერე დედასთან ერთად პატარ-პატარა შეცდომებით, მაგრამ მაინც საამოდ შეასრულა მოცარტის სონატა. ჰანო შეაქეს და დაკოცნეს. იდა იუნგმანმა თავისი გაზრდილი მოსასვენებლად მალე წაიყვანა; ახლახან გადატანილი მუცლის სისუსტისგან ბავშვს
ამ საღამოს სახეზე ცუდი ფერი ედო და თავსაც შეუძლოდ გრძნობდა.

ქრისტიანიც კი არ იყო ხუმრობის ხასიათზე, მასაც პირში წყალი ჩაეგუბებინა. მცირე სასადილო ოთახში ძმასთან შეტაკების შემდეგ თავის ქორწინებაზე სიტყვა აღარ დაუძრავს. ძმასთან ახლაც ძველებური, მისთვის დამამცირებელი დამოკიდებულება ჰქონდა. ქრისტიანი თვალებს ჩვეულებისამებრ აცეცებდა. ერთს კი შეეცადა, ახლობლებისთვის თავის მარცხენა გვერდში აძრული „ტანჯვა“ აეხსნა, მაგრამ ამაზე ლაპარაკსაც მალე მიანება თავი და კლუბისკენ ადრიანად გაეშურა. ქრისტიანი მხოლოდ ვახშამზე დაბრუნდა. ჩვეულების თანახმად, ამ საღამოს ერთად ვახშმობდნენ ხოლმე. დამთავრდა საშობაო საღამო და ბუდენბროკებმა ლამის შვებით ამოისუნთქეს.

72 წლის დამდეგს განსვენებული კონსულის მეუღლის საოჯახო მეურნეობა საბოლოოდ დაიშალა. მოახლეები დაითხოვეს და ფრაუ პერმანედერი ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ოჯახის გამგებლობაში მისი ავტორიტეტის შემლახავი მამზელ ზევერინი, როგორც იქნა, თავიდან მოიშორა. მამზელ ზევერინმა მითვისებული აბრეშუმის კაბები და თეთრეული თან წაიღო და მენგშტრასედან აიბარგა.

შემდეგ მენგშტრასეზე ავეჯის ფურგონები ჩამოდგა და ძველი სახლის განტვირთვა დაიწყო. დიდი, მოხარატებული სკივრი, მოოქრული კანდელაბრები და სხვა ნივთები, რაც სენატორსა და მის მეუღლეს რგებოდა, ფიშერგრუბეზე გადაიტანეს, ქრისტიანი თავის ქონებიანად კლუბის ახლოს, უცოლო კაცის შესაფერ სამოთახიან ბინაში გადავიდა, პერმანედერ-ვაინშენკების პატარა ოჯახი კი ლინდენპლაცზე საკმაოდ „კეთილშობილურად“ მოწყობილ ნათელ ბელეტაჟში დაბინავდა. ეს იყო
პატარა, მოხდენილი ბინა. კარზე მიკრულ სპილენძის პრიალა აბრას ლამაზი ასოებით გამოყვანილი წარწერა ამშვენებდა: „ა. პერმანე დერ ბუდენბროკი, ქვრივი“.

მენგშტრასეზე სახლი დაცარიელდა თუ არა, ფლიგელს თითქმის მაშინვე შეესია მუშების გროვა და ჰაერში ძველი კირის ბუღი დატრიალდა. კარ-მიდამო უკვე საბოლოოდ გახდა კონსულ ჰაგენშტრომის საკუთრება. ეტყობოდა, აქაურობის შეძენა მას თავმოყვარეობის საქმედ მიაჩნდა, რადგან ბატონ სიგიზმუნდ გოშს ბრემენიდან შემოთავაზებულ წინადადებაზე სასწრაფოდ ათქმევინა უარი და ბუდენბროკების მამული თვითონ შეიძინა, პირველი დღიდანვე თავისებურად დატრიალდა და კარ- მიდამო დიდხანს აღარ გაუჩერებია უქმად. მის პრაქტიკულ ნიჭს ტყუილად როდი მოჰყავდა ხალხი აღტაცებაში. იმავე წლის გაზაფხულზე ჰაგენშტრომების ოჯახი ბუდენბროკისეულ სახლში ჩასახლდა. იქ, შეძლებისდაგვარად, ყველაფერი ძველებურად დატოვეს, მხოლოდ ზოგიერთი რამ განაახლეს ახალი დროების შესაფერისად. მაგალითად, ძველი, ფოჩიანი ზარები მოშალეს და ყველგან ელექტროზარი გაიყვანეს. ფლიგელი უკვე აღგვილი იყო პირისგან მიწისა, მის ნაცვლად ახალი, მოხდენილი და მსუბუქი შენობა ააგეს. ფართოოთახებიანი შენობის ფასადი ბეკერგრუბეზე გადიოდა. იგი მაღაზიებისა და დუქნებისთვის იყო გამიზნული.

ფრაუ პერმანედერმა რამდენჯერმე შეჰფიცა თომასს, ამიერიდან ვერავითარი ძალა მშობლიური სახლისკენ ვერ მიმახედებსო, მაგრამ ამ ფიცის შესრულება შეუძლებელი იყო. ხანგამოშვებით ფრაუ პერმანედერი იძულებული ხდებოდა ან ბეკერგრუბეზე, სწრაფად და სარფიანად გაქირავებული მაღაზიებისა და დუქნების წინ, ან ფრონტონებიანი ფასადის გვერდით ჩაევლო, სადაც ახლა ფრონტონზე ამოკვეთილი Dominus providebit-ის ქვეშ კონსულ ჰერმან ჰაგენშტრომის სახელი მოჩანდა. მაშინ ფრაუ პერმანედერ-ბუდენბროკი შუა ქუჩაში, დღისით-მზისით, გამვლელების თვალწინ აქვითინდებოდა, სტვენამოწყურებული ჩიტივით თავს უკან გადაიგდებდა, თვალებზე ცხვირსახოცს მიიფარებდა და ვაი ჩემს თავსო, იმეორებდა. მის ოხვრა-

ვაებაში ნაღველი და აღშფოთება ერთვოდა ერთმანეთს. ფრაუ პერმანედერი არც გამვლელებს ერიდებოდა და არც ქალიშვილის გამაფრთხილებელ სიტყვებს აქცევდა ყურადღებას, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე.

ეს იყო მისი უშუალო, გულის მოსაოხებელი, ბავშვური ტირილი, რაც ცხოვრებაში თავსდატეხილი ქარიშხლებისა და უბედურების მიუხედავად, ფრაუ პერმანედერის არსებას მაინც უცვლელად შერჩენოდა.

მეათე ნაწილი

პირველი თავი

ხშირად, როცა ნაღველი მოეძალებოდა, თომას ბუდენბროკი თავის თავს ეკითხებოდა, რაღას წარმოვადგენ, რაღა მაძლევს უფლებას უპრეტენზიო, დაუხვეწავ, წვრილბურჟუაზიულად გონებაშეზღუდულ თანამოქალაქეებზე იოტისოდენადაც კი მაღლა დავაყენო ჩემი თავიო? ფანტაზიით სავსე აღმაფრენა, მხნე იდეალიზმი ახალგაზრდობას გაჰყვა თან. თამაშ-თამაშით მუშაობას, ნახევრად სერიოზულ, ნახევრად ხუმრობანარევი პატივმოყვარეობით აღვსილ სწრაფვას მიზნისკენ, რომელსაც მხოლოდ სიმბოლურ მნიშვნელობას თუ ანიჭებ, ცოცხალ, სკეპტიკურ კომპრომისებსა და გონებამახვილურ მონახევრეობას მხნეობა, იუმორი და ხალისი სჭირდება, თომას ბუდენბროკი კი ენით გამოუთქმელ დაღლილობასა და
გამოფიტვას გრძნობდა.

რისი მიღწევაც შეეძლო, უკვე მიაღწია და მშვენივრად იცოდა, რომ თავისი ცხოვრების მწვერვალი, თუკი საერთოდ შეიძლებოდა ასეთ მდორე და უმნიშვნელო ცხოვრებაში მწვერვალზე ლაპარაკი, როგორც თავისთვის დასძენდა ხოლმე, დიდი ხანია დაპყრობილი ჰქონდა.

რაც შეეხება წმინდა საქმიან ცხოვრებას, არც აქ ჰქონდა ყველაფერი რიგზე. მისი ქისა საკმაოდ იყო შეთხელებული და ფირმაც უკან-უკან მიდიოდა. მიუხედავად ამისა, დედის მემკვიდრეობის, სახლის წილისა და უძრავი ქონების წყალობით მისი სიმდიდრე ექვსჯერ 100000 მარკას მაინც აღემატებოდა, მაგრამ საბრუნავი კაპიტალი უკვე დიდი ხანია უქმად იდო, სენატორი ჯერ კიდევ პოპენრადეს მოსავალზე გარიგებისას ჩიოდა, ორგროშიან საქმეებს ვატრიალებო. იმ საქმის ჩაფლავების შემდეგ კი ფირმა კიდევ უფრო დაკნინდა, თორემ წინ არ წასულა. ახლა გამარჯვებებით გათამამებულ ქვეყანაში გაცხოველებული აღებმიცემობა იყო

გაჩაღებული. საბაჟო გაერთიანებაში შესვლის შემდეგ სულ რამდენიმე წელიწადში ქალაქის წვრილფეხა ფირმებიც კი მსხვილ სავაჭრო სახლებად იქცნენ. ფირმა „იოჰან ბუდენბროკს“ კი ახალი დროის მონაპოვრით სარგებელი არ უნახავს. როცა ფირმის შეფს ჰკითხავდნენ, რასა იქმ, საქმეები როგორ მიგდისო, იგი ხელს ჩაიქნევდა და იტყოდა, გასახარელი არაფერიაო. ერთმა მისმა ყველაზე თავგამოდებულმა კონკურენტმა, ჰაგენშტრომის მეგობარმა, აზრი გამოთქვა, თომას ბუდენბროკი ბირჟაზე მხოლოდ დეკორაციის როლს თუღა ასრულებსო. ეს ხუმრობა სენატორის კოპწია გარეგნობასაც კენწლავდა, დიდ გონებამახვილობადაც აღიარეს და ბიურგერებში დიდი გასავალიც ჰქონდა.

თუკი სენატორს ფირმის აყვავებაში, რომელსაც ოდესღაც ისეთი ენთუზიაზმით ემსახურებოდა, რამდენჯერმე ხელის მოცარვა და შინაგანი დაღლილობა უშლიდა ხელს, საზოგადოებრივ საქმეებში მის მაღლა სწრაფვას გარეგანი, გადაულახავი ზღუდეები ეღობებოდა. დიდი ხნით ადრე სენატორად არჩევით თომას ბუდენბროკმა საზოგადოებრივ სარბიელზეც მიაღწია იმას, რისი მიღწევაც შეეძლო. ახლა ისღა დარჩენოდა, თანამდებობანი და პოსტები არ დაეკარგა, მისაღწევი აღარაფერი
ჰქონდა. ჯერ კიდევ ბოგინობდა აწმყო და წვრილმანი სინამდვილე, მომავალი და პატივმოყვარული გეგმები კი მისთვის აღარ არსებობდა. მართალია, სენატორ ბუდენბროკს თავისი უფრო მეტად გაჰქონდა, ვიდრე ვინმე სხვას და მისი მტრებიც კი ვერ უარყოფდნენ, რომ თომას ბუდენბროკი „გუბერნატორის მარჯვენა ხელი იყო“, მაგრამ იგი გუბერნატორი ვერ გახდებოდა, თომას ბუდენბროკი კომერსანტი გახლდათ და არა სწავლული, გიმნაზია არ დაუმთავრებია, იურისტი არ გამხდარა
და, საერთოდ, არავითარი აკადემიური განათლება არ ჰქონდა მიღებული. ახალგაზრდობიდანვე თავისუფალ დროს ისტორიული და მხატვრული ლიტერატურის კითხვას ანდომებდა და კარგად გრძნობდა, რომ გონებრივი დონით, ჭკუითა და განათლებით სხვებზე მაღლა იდგა. ამიტომაც უფრო კლავდა დარდი: სისტემატური განათლების უქონლობა თავის მშობლიურ პატარა სამყაროში პირველი ადგილის დაუფლებისკენ უჭრიდა გზას.

- სულელები არ ვიყავით, ისე ადრე რომ შევრგეთ თავი კანტორაში? არ გვერჩია, სკოლა დაგვემთავრებინა? - ეუბნებოდა იგი თავის მეგობარსა და პატივისმცემელ შტეფან კისტენმაკერს, მაგრამ „ჩვენში“ მხოლოდ საკუთარ თავს გულისხმობდა ხოლმე.

შტეფან კისტენმაკერი პასუხობდა:

- ჰო, ჰო, ნამდვილად მართალი ხარ! თუმცა რისთვის?

სენატორი ახლა მეტწილად თავის კაბინეტში წითელი ხის საწერ მაგიდასთან მუშაობდა ხოლმე. ჯერ ერთი, იქ არავის შეეძლო დაენახა, როგორ ჩარგავდა თავს ხელებში და მძიმე ფიქრებს როგორ მიეცემოდა. თუმცა ძველი სამუშაო ადგილი უფრო იმიტომ მიატოვა, რომ თავისი კომპანიონის, ბატონ ფრიდრიჰ ვილჰელმ

მარკუსის ნერვების ამშლელი პედანტობის ყურება აღარ შეეძლო - ბატონი ფრიდრიჰ ვილჰელმ მარკუსი თავის საწერ მოწყობილობას დღეში რამდენჯერმე გადააწყობ- გადმოაწყობდა და თან წვერს გულმოდგინედ იფარცხავდა ხოლმე.

მოხუც ბატონ მარკუსს წინდახედულება და წვრილმანობა წლების განმავლობაში დასრულებულ მანიად და ახირებად გადაექცა. ბოლო ხანებში მისი ახირებული ხასიათი თომას ბუდენბროკს აუტანელი და შეურაცხმყოფელიც კი ეჩვენებოდა. უფრო იმიტომ, რომ მსგავს თვისებებს ამ ბოლო დროს თავის თავსაც ამჩნევდა. დიახ, მისთვის ყოველგვარი წვრილმანობა ოდესღაც სრულიად უცხო იყო, ახლა კი სულ სხვა ყაიდის, სულ სხვა გრძნობებით განპირობებული, მაგრამ მაინც პედანტობის ჭია ეპარებოდა.

სენატორის სულსა და გულში სიცარიელეს ჩაებუდებინა, თვალწინ არ ესახებოდა არავითარი ამაღელვებელი გეგმა, არავითარი წარმტაცი სამუშაო, რომელსაც სიხარულითა და სიამოვნებით მისცემდა თავს. თომასი მთელი სიცოცხლე მუშაობისკენ ისწრაფოდა, იმის უნარი არ გააჩნდა, რომ გონება დაესვენებინა. მის აქტიურობას არაფერი ჰქონდა საერთო წინაპრების მტკიცე, ბუნებრივ შრომისმოყვარეობასთან. თომას ბუდენბროკის შრომისმოყვარეობა ხელოვნურად გამომუშავებული თვისება უფრო იყო, მისი ნერვების მოთხოვნილება, იმ პატარა, რუსული პაპიროსების მსგავსი გამაბრუებელი საშუალება, რომელთაც გამუდმებით ეწეოდა. მას არ დაუკარგავს ეს თვისებები, მაგრამ მათზე ძველებურად ვეღარ ბატონობდა. ისინი წინ აღუდგნენ, უზომოდ დაწვრილმანდნენ და საწამებლად მოევლინენ. ათასგვარი უმნიშვნელო წვრილმანი სულს ხდიდა, მთელი მისი ზრუნვა საშინაო მეურნეობისა და საკუთარი ტუალეტისკენ იყო მიმართული, თავმობეზრებული ვერც ამ საქმეს ართმევდა ხოლმე თავს, რადგან ასეთ უბრალო საქმეებს უზომოდ ბევრ ფიქრსა და დროს სწირავდა.

ქალაქში „კუდაბზიკობად“ მონათლული თვისება თომას ბუდენბროკს ისე მოემატა, რომ უკვე თვითონაც რცხვენოდა, მაგრამ ძალა აღარ ჰყოფნიდა, შესისხლხორცებული ჩვეულება მოეშალა. იმ წუთიდან, რაც უშფოთველი, მაგრამ ძილ-ღვიძილში გატარებული მომთენთავი ღამის შემდეგ დილის ხალათშემოცმული გარდერობში მოხუც ბატონ ვენცელთან გამოვიდოდა, დილის ტუალეტსა და ჩაცმა-დახურვას საათ- ნახევარს უნდებოდა ხოლმე. როცა დარწმუნდებოდა, სამუშაო დღის დასაწყებად მზად ვარო, ჩაის დასალევად მეორე სართულს მიაშურებდა. დილის ტუალეტი ზედმიწევნით საფუძვლიანად ტარდებოდა. ცივი შხაპით დაწყებული ტუალეტი მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა დასრულებულად, როცა სენატორს სერთუკზე მტვრის უკანასკნელ ნაწილაკსაც მოაცილებდნენ და დალაქი მის აპრეხილ ულვაშებზე ცხელ მაშას უკანასკნელად გაატარებდა. ყოველი პროცედურა ისე მტკიცედ და უცვლელად მისდევდა ერთმანეთს, რომ ამ წვრილმან ფუსფუსს სენატორი სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ბედავდა კაბინეტიდან ისე გამოსულიყო, რომ თუნდაც ერთი პროცედურა გამოეტოვებინა, ან რომელიმე ნაჩქარევად

შეესრულებინა. ეშინოდა, დილით მოპოვებული მხნეობა, სიმშვიდე და ენერგია არ დაეკარგა. თუმცა ყველა ამ გრძნობას ერთი საათის შემდეგ მაინც განახლება სჭირდებოდა ხოლმე.

თომას ბუდენბროკი ყველაფერზე მომჭირნეობდა, თუმცა იმდენად, რომ საზოგადოებისთვის საკბილო არ მიეცა. ჰამბურგის საუკეთესო მკერავთან გარდერობის გასაახლებლად და შესავსებად არავითარ სახსრებს არ ზოგავდა. სპეციალურ ოთახში, კედელში ღრმად ამოღებულ ნიშის კარს იქით, რომელიც კაცს ერთი შეხედვით მეორე ოთახში გასასვლელი ეგონებოდა, ხის გაზნექილ საკიდებზე გრძელ რიგად იყო ჩამწკრივებული პიჯაკები, სმოკინგები, სერთუკები, ფრაკები - წლის ყოველი სეზონისა და ყოველგვარი რანგის საზოგადოებრივ თავყრილობაზე გამოსასვლელი ზედა სამოსელი, სკამების საზურგეებზე კი ნაკეცებზე ფაქიზად გასწორებული შარვლები ეკიდა. სარკიანი კომოდის თავზე სხვადასხვანაირი სავარცხლების, ჯაგრისების, თმისა და წვერ-ულვაშის მოსავლელი ნელსაცხებლების ხორა იდგა, უჯრებში ათასნაირი საცვლები იყო ჩაწყობილი. თეთრეული ყოველდღე იცვლებოდა, ირეცხებოდა, ცვდებოდა და ახლები ემატებოდა.

ამ კაბინეტში თომას ბუდენბროკი მარტო დილით როდი ყოვნდებოდა. ყოველი სადილის, სენატის ყოველი სხდომის თუ ყოველი საჯარო კრების წინ, ერთი სიტყვით, ყოველთვის, როცა კი ხალხში გამოჩენა უხდებოდა, ასე გასინჯეთ, შინ, სადილზე გამოსვლის წინაც კი, როცა სუფრას მხოლოდ თვითონ, მისი ცოლი, პატარა იოჰანი და იდა იუნგმანი უსხდნენ ხოლმე, დიდხანს კოხტაობდა ამ ოთახში. სასადილო დარბაზში შემოსულს ახალგამოცვლილი ქათქათა პერანგი, უნაკლო, ელეგანტური კოსტიუმი, გულდასმით დაბანილი სახე, ულვაშებზე გადასმული ბრილიანტის სურნელი და პირში გამოსავლები სითხის მომწარო არომატი კმაყოფილებისა და მზადყოფნის გრძნობას ჰგვრიდა, როგორც მსახიობს, რომელმაც ეს-ესაა სრულყოფილი ნიღაბი გაიკეთა და ახლა სცენისკენ მიემართება. და მართლაც! თომას ბუდენბროკის არსებობა სხვა არა იყო რა, თუ არა მსახიობის სიცოცხლე, მხოლოდ ისეთი მსახიობისა, რომლის მთელი ცხოვრება უმცირეს და ყოველდღიურ წვრილმანებამდე, ერთადერთი როლის შესრულებამდეა დასული, და ეს როლი მხოლოდ მცირე, ხანმოკლე განმარტოების წუთებში თუ აძლევს ადამიანს მოსვენების საშუალებას, სხვა დროს კი მთელი ძალის დაძაბვას მოითხოვს და ძალ-ღონეს აცლის. ჭეშმარიტად აზრისა და გონების მომცველი მგზნებარე ინტერესის უქონლობა, სულს დაუფლებული სიცარიელე და სიღატაკე, რაც გულზე მაჯლაჯუნასავით აწვა და სულს უხუთავდა, შინაგანი მოვალეობის გრძნობასა და სიჯიუტეს ერთვოდა. რადაც უნდა დასჯდომოდა, თავი ღირსეულად უნდა დაეჭირა, თავისი სიძაბუნე ყოველგვარი ხერხებით დაეფარა და „dehors“ დაეცვა. ყოველივე ამან თომას ბუდენბროკის არსებობა ისეთი ხელოვნური, ისეთი ნაძალადევი გახადა, რომ სხვების თანდასწრებით მისი ყოველი სიტყვა, ყოველი მოძრაობა, ყოველი უმნიშვნელო მოქმედებაც კი ნერვების დასაწყვეტ, გამასავათებელ თვალთმაქცობად იყო ქცეული. ამავე დროს უცნაური წვრილმანებიც მჟღავნდებოდა, უცნაური, თავისებური

სურვილები, რაშიც ზიზღითა და გაოცებით იჭერდა ხოლმე თავის თავს. ზოგი საზოგადოებაში არავითარ როლს არ თამაშობს, მაგრამ არც ყურადღებას იქცევს და ამჯობინებს, უსიტყვოდ შესცქეროდეს სხვების საქმიანობას. თომას ბუდენბროკს კი თავის გამოჩენის სურვილი კლავდა, სინათლისკენ ზურგშექცევით დგომა არ უყვარდა, არ შეეძლო, თვითონ ჩრდილში ყოფილიყო და ჩახჩახა შუქში მდგარი ხალხისთვის ეცქირა, არა, ამის ატანა არ შეეძლო. ერჩია, სინათლეს მისთვის მოეჭრა თვალი, ხოლო ხალხი, მისი მსმენელები, ვისზედაც სენატორს შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა, როგორც თავაზიან თანამეინახეს, როგორც ენერგიულ საქმის კაცსა და ღირსეული ფირმის შეფს, ან როგორც მჭევრმეტყველს, ჩრდილში ყოფილიყვნენ და თომას ბუდენბროკის მზერას ისინი ერთი მთლიანი მასასავით აღექვა. მხოლოდ ეს ანიჭებდა სითამამისა და განკერძოების შეგრძნებას, საკუთარი მეს აღზევებით თვრებოდა და წარმატებას ამის წყალობით აღწევდა. დიახ, სწორედ ასეთი სიმთვრალე გამხდარიყო ახლა მისთვის ყველაზე ასატანი. როცა სასმისით ხელში სუფრასთან იდგა და თავაზიანი სახით, მოხდენილი ჟესტებით, საყოველთაო მხიარულების გამომწვევი გონებამახვილური ფრაზებით შეზავებულ სადღეგრძელოს წარმოთქვამდა, მაშინ, სახის სიფითრის მიუხედავად, წინანდელ თომას ბუდენბროკს ემსგავსებოდა ხოლმე. ჩუმად ყოფნა გაცილებით უმძიმდა. თავს ვეღარ იმორჩილებდა, დაღლილობა და ნაღველი მოეძალებოდა, თვალებს დაუნისლავდა, სახის კუნთების დამორჩილებისა და სხეულის სწორად დაჭერის ძალას აცლიდა. მაშინ მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა: მინებებოდა ამ უილაჯო სასოწარკვეთილებას. ყველას განრიდებოდა, შინ გაპარულიყო და თავი გრილ ბალიშში ჩაერგო.

* * *

ფრაუ პერმანედერმა იმ დღეს ფიშერგრუბეზე ივახშმა. ერიკა არ ახლდა თან. ვახშამზე ერიკაც იყო მოპატიჟებული, მაგრამ ნაშუადღევს ციხეში მეუღლე მოენახულებინა, ასეთი ვიზიტის შემდეგ კი, ჩვეულებრივ, თავს უგუნებოდ და უქეიფოდ გრძნობდა ხოლმე.

ფრაუ ანტონია სუფრასთან ჰუგო ვაინშენკზე ლაპარაკობდა, ბატონი დირექტორი თურმე მეტისმეტად დადარდიანებული იყო. ოჯახის წევრებმა მოითათბირეს, როდის აჯობებდა სენატისთვის შეწყალება ეთხოვათ. ნავახშმევს ნათესავები სასტუმრო ოთახში, დიდი გაზის ლამპის ქვეშ მოთავსებულ მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ. გერდა ბუდენბროკსა და ფრაუ პერმანედერს ხელსაქნარი ეჭირათ ხელში. რძალ-მული ერთმანეთის პირდაპირ იჯდა.
სენატორის მეუღლეს მშვენიერი
თეთრი სახე საქარგავზე დაეხარა, ხშირი თმა გაზის სინათლეზე მუქად უელვარებდა. ფრაუ პერმანედერს პენსნე ცხვირზე ოკრობოკროდ დაეკოსებინა და პაწაწინა ყვითელ კალათაზე უზარმაზარ, ხასხასა წითელ ატლასის ბაფთას გულმოდგინედ ამაგრებდა. ეს რომელიღაც ნაცნობის სადღეობო საჩუქარი გახლდათ. სენატორი მაგიდის ახლოს, გადაზნექილზურგიან ფართო სავარძელში იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო და გაზეთს

კითხულობდა, ხანგამოშვებით ბოლს ღრმად შეისუნთქავდა და მერე ღია ნაცრისფერ კვამლს ულვაშებში ბოლქვებად უშვებდა.

ზაფხულის თბილი საღამო იდგა. მაღალი ფანჯარა ღია იყო და ოთახში გრილი, ოდნავ ნესტიანი ჰაერი შემოდიოდა. ფანჯრიდან მეზობელი სახლების რუხი ფრონტონები ილანდებოდა. მათ თავზე ნელა მიცურავდნენ ღრუბლები. ღრუბლებს შორის ვარსკვლავები მოჩანდა. ქუჩის გადაღმა, ივერსენის პატარა საყვავილეში ჯერ კიდევ ენთო შუქი. ზევით, წყნარ ქუჩაზე ვიღაც გარმონს აწვალებდა უღმერთოდ. ალბათ, მეეტლე დანკვარტის რომელიმე მეჯინიბე თუ იყო. ხანდახან ოთახში ხმაური შემოიჭრებოდა. ხელიხელგადახვეული მეზღვაურების ჯგუფი სიმღერ-სიმღერით მოდიოდა ნავსადგურის რომელიღაც საეჭვო ტავერნიდან და მხიარული ყაყანით პირველზე უფრო საეჭვო ტავერნისკენ მიემართებოდა. მათი როხროხი და მძიმე ნაბიჯების ხმა სადღაც შუკაში იკარგებოდა.

სენატორმა გაზეთი მაგიდაზე დადო, პენსნე ჟილეტის ჯიბეში ჩაიდო და თვალები და შუბლი მოისრისა.

- სუსტია, მეტისმეტად სუსტი გაზეთია ეს „უწყებანი“! - თქვა მან, - ამის წაკითხვაზე ბაბუას სიტყვები მაგონდება, უგემურ კერძზე რომ იტყოდა ხოლმე: ისეთი გემო აქვს, გეგონება, ჩალა გიდევს პირშიო. სამ წუთში მთელ გაზეთს გადაიკითხავ და შიგ ხეირიანს ვერაფერს ნახავ.

- ჰო, ღმერთმანი, მართალს ამბობ, ტომ! - თქვა ფრაუ პერმანედერმა, ხელსაქნარი კალათაში ჩადო და ძმას პენსნეს ზემოდან გახედა, - ან რა უნდა ეწეროს შიგ? სულ ახალგაზრდა ვიყავი, ამას რომ გავიძახოდი: ეს „ქალაქური უწყებანი“ დიდი საცოდავი გაზეთია-მეთქი, თუმცა მეც ვკითხულობ ხოლმე, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ სხვა არაფერია წასაკითხი. ისე, მავანი და მავანი დიდვაჭარი ვერცხლის ქორწილის გადახდას აპირებსო, დიდი ვერაფერი საინტერესო ამბავი გახლავთ. სხვა გაზეთები უნდა ვიკითხოთ, „კიონიგსბერგის ჰარტუნგული მაცნე“ ან „რაინის გაზეთი“. იქ კაცი...

ფრაუ პერმანედერმა სიტყვა გაწყვიტა, გაზეთი ხელში აიღო, ხელახლა გაშალა და სვეტებს აგდებულად გადაავლო თვალი. უცებ მზერა ოთხ თუ ხუთპწკარიან შენიშვნაზე შეაჩერა. ენა ჩაუვარდა, ცალი ხელი პენსნეს წაავლო, შენიშვნა ბოლომდე ჩაიკითხა, პირი დააღო, ორივე ხელი ლოყაზე შემოიკრა და შეშინებულმა წამოიყვირა:

- შეუძლებელია! შეუძლებელია! არა, გერდა... ტომ... ეს როგორ გამოგრჩა?! რა საშინელებაა, საცოდავი არმგარდი რა დღეში ჩავარდებოდა!

გერდამ თავი ასწია, შეშფოთებული თომასი კი დისკენ მიტრიალდა. შეძრწუნებულმა ფრაუ პერმანედერმა აკანკალებული ხმით წაიკითხა როსტოკიდან გამოგზავნილი ცნობა. ყოველ სიტყვას მძიმედ გამოთქვამდა: გუშინ ღამით მემამულე რალფ ფონ მაიბომს თავის კაბინეტში, პოპენრადეს მამულში რევოლვერით მოეკლა თავი.

„თვითმკვლელობის მიზეზი, როგორც ჩანს, ფინანსური გაჭირვება უნდა იყოს. ბატონ მაიბომს დარჩა ცოლი და სამი შვილი“, - კითხვა დაასრულა ფრაუ პერმანედერმა, გაზეთი კალთაში ჩაიდო, სკამის ზურგს მიეყრდნო და ძმასა და რძალს უსიტყვოდ, საცოდავად მიაჩერდა.

თომას ბუდენბროკმა მანამდე შეაქცია დას გვერდი, სანამ იგი კითხვას დაასრულებდა, მისკენ არც ახლა იხედებოდა, სალონში ჩამოწოლილ სიბნელეს პორტიერებს შორის გაჰყურებდა. ერთ-ორ წუთს სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა.

- რევოლვერით? - იკითხა მერე თომასმა, - კვლავ გაჩუმდა და ბოლოს, წყნარად, ნელა და დამცინავად წარმოთქვა, - აბა, რა, ისეთი რაინდი კაცი სხვაგვარად როგორ იკადრებდა!..

თომას ბუდენბროკი კვლავ ფიქრებში ჩაეფლო. ცალი ულვაშის ბოლოს თითებშუა დაუწყო წვალება, მხოლოდ ეს იყო, რომ ხელის სწრაფ მოძრაობას დანისლული, უმიზნოდ გაშტერებული თვალების მზერა სულ არ შეეფერებოდა. თომასი დის წუწუნს ყურს არ უგდებდა, არც მის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი გაუგონია - არმგარდმა აწი როგორ უნდა იცხოვროსო, არც ის შეუმჩნევია, რომ გერდა მისკენ არ შემობრუნებულა, მაგრამ ახლო-ახლო განლაგებული მუქი თაფლისფერი, მოლურჯო ჩრდილებით შემორკალული თვალებით ეჭვიანად ზვერავდა მეუღლეს.

მეორე თავი

თომას ბუდენბროკი ვერასოდეს გაბედავდა პატარა იოჰანის მომავლისთვის ისეთივე უილაჯო და უიმედო თვალით შეეხედა, როგორც თავისი საკუთარი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს შეჰყურებდა. ამაში გვარის გაგრძელების, წინაპართაგან ნამემკვიდრევი, წარსულისა და მომავლისკენ მიმართული, სისხლში გამჯდარი ინტერესები უშლიდა ხელს. სენატორის ფიქრებზე ის სიყვარულითა და ცნობისმოყვარეობით აღსავსე მოლოდინიც ახდენდა გავლენას, რითაც პატარა იოჰანს მისი მეგობრები და ნაცნობები, ანტონია და ბრაიტენშტრასელი ქალბატონი ბუდენბროკებიც კი შესცქეროდნენ. თომას ბუდენბროკი თავის თავს ერთ რამეში უტყდებოდა კმაყოფილებით: თვითონ უკვე გამოფიტული იყო და საკუთარი მომავლისა აღარაფერი სწამდა, მაგრამ ოცნებაში თავისი პატარა მემკვიდრის მომავალი დაუზარელი, პრაქტიკული და ძალდაუტანებელი შრომით, წარმატებით, ძალით, სიმდიდრითა და პატივით აღსავსედ ესახებოდა... მხოლოდ ეს ერთადერთი ფიქრი თუ უთბობდა გაყინულ გულს, მხოლოდ ამ ფიქრს შეეძლო მთელი მისი ცხოვრება ზრუნვით, შიშითა და იმედით აღევსო.

იქნებ სიბერეში მაინც მოსწრებოდა საქმისგან დასვენებული თომას ბუდენბროკი ძველი დროის, ჰანოს პაპის პაპის დროის შემობრუნებას? ვითომ ასე განუხორციელებელია ეს იმედი? თომას ბუდენბროკს მუსიკა მოსისხლე მტრად მიაჩნდა, მაგრამ ნუთუ მუსიკაში მართლა იმალებოდა ასეთი საფრთხე? მართალია, ბიჭუნას უნოტებოდ დაკვრა ძალიან იტაცებდა, მაგრამ სამაგიეროდ ბატონ პფიულთან მეცადინეობაში დიდი წინსვლა არ დასტყობია. ეჭვი არაა, მუსიკით გატაცება დედის გავლენის ბრალი იყო, არც ისაა გასაოცარი, პატარაობაში ამ
გავლენას სხვა მისწრაფებანი რომ დაეჩაგრა. ახლა კი ჰანო ისეთ ასაკშია, როცა მამასაც ეძლევა საშუალება, ვაჟიშვილზე გავლენა მოახდინოს, თავის მხარეზე ოდნავ მაინც გადმოიბიროს და მამაკაცური თვისებების ჩანერგვით ქალური გავლენა გააბათილოს. და სენატორმა მტკიცედ გადაწყვიტა, არც ერთი ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა.

თერთმეტი წლის ჰანოს სააღდგომოდ, ისევე როგორც მის მეგობარ პატარა გრაფ მოლნს, ორი საშემოდგომო გამოცდა გამოჰყვა - არითმეტიკასა და გეოგრაფიაში, და მეოთხე კლასში დიდი გაჭირვებით გადავიდა. გადაწყდა, გაისად ჰანო რეალურ სასწავლებელში გადაეყვანათ. ჰანოს რომ კომერსანტობა ეწერა და ოდესმე ფირმის შეფობა უნდა ეკისრა, ეს ხომ თავისთავადაც გასაგები იყო. ერთხელ მამამ ჰკითხა, შენი მომავალი პროფესია თუ გიტაცებსო და ჰანომ უბრალოდ უპასუხა, დიახო. დამფრთხალს ერთი ზედმეტი სიტყვა არ დაუმატებია, სენატორიც ამაოდ დაშვრა, შვილი კითხვებით მაინც გაეხალისებინა და რაიმე დაეცდენინებინა.

სენატორ ბუდენბროკს რომ ორი ვაჟი ჰყოლოდა, უმცროსს უეჭველად გიმნაზიას დაამთავრებინებდა და სწავლას გააგრძელებინებდა, მაგრამ ფირმას მემკვიდრე სჭირდებოდა. ამასთან, თომას ბუდენბროკს სჯეროდა, პატარას სიკეთეს ვუზამ, ბერძნულის ფუჭ ზუთხვას თუ ავაცილებო. სენატორის აზრით, რეალური სასწავლებლის პროგრამა გაცილებით იოლი დასაძლევი იყო. ჰანოს ხშირად უჭირდა გაკვეთილების შეთვისება, ოცნებას აყოლილს ყურადღება ეფანტებოდა, სუსტი ორგანიზმის წყალობით სკოლასაც ხშირად აცდენდა, რეალურ სასწავლებელში კი
ძალ-ღონის დაძაბვა არ დასჭირდებოდა. წინ უფრო სწრაფად და წარჩინებით წაიწევდა. თუკი პატარა იოჰან ბუდენბროკს ეწერა, ოდესმე იმ საქმეს გასძღოლოდა, რისთვისაც იყო მოწოდებული და რასაც მისგან მოელოდნენ ახლობლები, აუცილებელი იყო, ერთი მხრივ, მისი სუსტი ორგანიზმი დაეზოგათ, მეორე მხრივ კი გონიერი მოვლით გაეკაჟებინათ.

პატარა იოჰანს გვერდზე გადაყოფილი წაბლისფერი თმა ქათქათა შუბლზე ჰქონდა გადავარცხნილი, მაგრამ თმა მაინც ეურჩებოდა და საფეთქლებზე ეტალღებოდა, ფერმკრთალ სახეს წაბლისფერი წამწამებით შემოჯარული მოოქროსფრო წაბლისფერივე თვალები უმშვენებდა და თუმცა სხვებივით კოპენჰაგენური მეზღვაურის კოსტიუმი ეცვა, გარეგნობით ქუჩაში შეგროვილი ქერა, ლურჯთვალა, სკანდინავიური ტიპის ამხანაგებისგან მაინც თვალში საცემად გამოირჩეოდა. ბოლო

ხანებში ჰანომ ტანი აიყარა, მაგრამ შავ წინდებში გამოკვართული ფეხები და მუქლურჯ, გაფუყულ, დაგვირისტებულ სახელოებში დამალული მკლავები გოგონასავით წვრილი და უსუსური ჰქონდა, თვალის კილოებთან კი დედასავით მოლურჯო ჩრდილები ეფინა. თვალები, განსაკუთრებით გვერდზე გამოხედვისას, მფრთხალად და მიუკარებლად იმზირებოდნენ, ბაგეს საცოდავად და ნაღვლიანად კუმავდა, თან ენასაც თუ რომელიმე საეჭვო კბილს ულამუნებდა, მაშინ ტუჩები ისე ებრიცებოდა და სახეზე ისეთი გამომეტყველება ედო, იფიქრებდით, ამცივნებსო.

როგორც ბუდენბროკების ახლანდელი შინაური ექიმის, გრაბოვის შემცვლელ დოქტორ ლანგჰალსისგან შეიტყვეს, ჰანოს საერთო სისუსტე და სიფერმკრთალე ორგანიზმში სისხლის წითელი ბურთულების ნაკლებობის ბრალი იყო. სისხლნაკლულობის საწინააღმდეგოდ დოქტორი ლანგჰალსი ბავშვს დიდი დოზებით უნიშნავდა ჩინებულ საშუალებას: თევზის ქონს, მშვენიერ, ყვითელ,
ზეთისებურ ბლანტ თევზის ქონს, რომელიც ჰანოს დღეში ორჯერ ფაიფურის კოვზით უნდა დაელია. იდა იუნგმანი სენატორის მტკიცე ბრძანებას ასრულებდა და ბავშვს წამალს ყოველთვის თავის დროზე ასმევდა. პირველად ჰანო თევზის ქონს უკან ანთხევდა. როგორც ჩანდა, ჰანოს კუჭი ამ სასარგებლო წამალს ვერ იტანდა, მერე თანდათან მიეჩვია. წამალს სვამდა, ზედ ჭვავის პურის ნატეხს აყოლებდა და გულს აღარ აზიდებდა ხოლმე.

ყველა სხვა შეჭირვება სისხლის წითელი ბურთულების ნაკლებობის შედეგი, მისი „მეორეული მოვლენები“ იყო. ასე ბრძანებდა დოქტორი ლანგჰალსი და თან ფრჩხილებს ითვალიერებდა ხოლმე, მაგრამ ამ „მეორეული მოვლენებისთვისაც“ უნდა მოეღოთ ბოლო. კბილების სამკურნალოდ, დასაბჟენად და ამოსაღებად მიულენშტრასელი ექიმი ბატონი ბრეჰტი იყო გაჩენილი, საჭმლის მონელების მოსაწესრიგებლად კი ქვეყნად აბუსალათინის ზეთი არსებობდა, ჩინებული, სქელი, ვერცხლისფრად მოლაპლაპე აბუსალათინის ზეთი, სავსე სუფრის კოვზი ყელში ხვლიკივით გადასრიალდებოდა, მის სუნსა და გემოს კი სამი დღის განმავლობაში ვერ მოიცილებდი. ოჰ, რატომ იყო ყველა წამალი ასე საზიზღარი? მხოლოდ ერთადერთხელ, - მაშინ ჰანო ლოგინად იყო ჩავარდნილი და გული უწესრიგოდ უცემდა, - დოქტორი ლანგჰალსი იძულებული გახდა რაღაც წამალი გამოეწერა. იმ წამალმა პატარა იოჰანს სიხარული მოჰგვარა და არგო კიდეც: ეს იყო დარიშხანიანი აბები. ჰანო შემდეგ ხშირად კითხულობდა, თითქმის ნაზად იხსენებდა იმ პაწაწინა, ტკბილ, შვების მომგვრელ აბებს, მაგრამ ის დღე იყო და ის, დარიშხანიანი აბები მისთვის აღარ მიუციათ. თევზის ქონი და აბუსალათინის ზეთი კარგი რამ იყო, მაგრამ დოქტორი ლანგჰალსი სენატორს სავსებით ეთანხმებოდა, რომ მარტო ისინი ვერ აქცევდნენ პატარა იოჰანს მკლავმაგარ და შრომისმოყვარე კაცად, ხელს თუ თვითონაც არ გაანძრევდა. მაგალითად, გიმნაზიაში ფიზკულტურის მასწავლებლის ბატონ ფრიჩეს ხელმძღვანელობით ხშირად ტარდებოდა სპორტული თამაშობანი. ზაფხულობით თამაშები ყოველ კვირას ეწყობოდა „ბურგფელდზე“ და ქალაქის ბიჭებს საშუალება ეძლეოდათ სიმამაცე, ძალა, მოქნილობა და სულიერი სიმტკიცე

გამოეწრთოთ და მაყურებლისთვისაც ეჩვენებინათ, მაგრამ მამამისის სავალალოდ ჰანო ასეთი გამაკაჟებელი ღონისძიებებისადმი ზიზღის, უსიტყვო, თავშეკავებული, თითქმის ქედმაღლური ზიზღის მეტს არაფერს ამჟღავნებდა. რატომ იდგა ჰანო ასე განზე თავისი კლასის ამხანაგებისგან, თანატოლებისგან, ვისთანაც შემდეგ უნდა ეცხოვრა და ემოღვაწა? რატომ იყო მუდამ ამ პატარა, ნახევრად პირდაუბანელ კაისთან დაყუნტული? კაი კარგი ბავშვი იყო, მაგრამ თავისი საეჭვო მდგომარეობის
გამო მომავალში ჰანოს მეგობრად არ გამოადგებოდა. ბავშვმა თავის წრეში როგორღაც თავიდანვე უნდა მოიპოვოს ნდობა და პატივისცემა, რადგან ტოლ-ამხანაგების შეფასება მთელი სიცოცხლის მანძილზე გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში. და აი, ჰაგენშტრომების ორივე ვაჟი: ერთი თოთხმეტის, მეორე კი თორმეტი წლისა, ორი ჩინებული ყმაწვილი, ჩასხმული, ღონიერი, ანცი ბიჭები, სკოლაში საუკეთესო ტანმოვარჯიშეებად ითვლებოდნენ. მდინარეში სელაპებივით ცურავდნენ, პაპიროსს ეწეოდნენ და არავითარი სასირცხო საქმის წინაშე უკან არ დაიხევდნენ. ქალაქის ახლომახლო ჭალებში ყოველდღე მუშტი-კრივი ჰქონდათ გამართული. ისინი უყვარდათ, მათი ეშინოდათ და პატივსაც სცემდნენ. მათი ბიძაშვილები, პროკურორ დოქტორ მორიც ჰაგენშტრომის ვაჟები უფრო სუსტი აგებულებისა და რბილი ხასიათისანი იყვნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, სწავლაში იჩენდნენ თავს - სკოლაში სანიმუშო მოწაფეებად ითვლებოდნენ. პატივმოყვარე, პირმოთნე, ჩუმჩუმელა, ფუტკარივით შრომისმოყვარე ძმები გაკვეთილებზე სმენად იყვნენ ქცეულნი და თავს იკლავდნენ, რომ პირველობა არავისთვის დაეთმოთ და საუკეთესო ნიშნები მიეღოთ. ასეც იყო, მაღალ ნიშნებს იღებდნენ კიდეც და მათზე უჭკუო და ზარმაცი თანაკლასელების ყურადღებით იყვნენ განებივრებულნი. მასწავლებლებზე რომ არაფერი ვთქვათ, თანაკლასელებსაც რა ხათრი უნდა ჰქონოდათ ჰანოსი, როცა იგი თითქმის სუსტ მოწაფედ ითვლებოდა და თან მკლავიც არ ერჩოდა. იქ, სადაც სიმამაცე, ძალა, მოქნილობა და სილაღე იყო საჭირო, ჰანო ლაჩრულად ეძებდა გასაქცევ გზას. თავისი გარდერობისკენ მიმავალ სენატორს ჰანოს ოთახიდან ფისჰარმონიის ხმა ან კაის ყრუ, იდუმალებით აღსავსე დუდუნი ესმოდა. ჰანოს უკვე აღარ ეძინა იდა იუნგმანთან ერთად. პატარა ბუდენბროკს ახლა აივანზე გამომავალი შუა ოთახი მიუჩინეს.

რაც შეეხება კაის, მას სპორტული თამაშობანი იმიტომ ეჯავრებოდა, რომ დისციპლინასა და წესრიგს ვერ ეგუებოდა.

- არა, ჰანო, - ეუბნებოდა იგი ჰანოს, - მე, ჩემდათავად, იქ წამსვლელი არა ვარ. არც შენ, არა? ჭირსაც წაუღია მაგათი თამაშები. რაც შენ გეხალისება, იმას არ განებებენ და...

ასეთი გამოთქმები კაის მამისგან მოსდევდა.

ჰანო კი მიუგებდა ხოლმე:

- ბატონ ფრიჩეს ერთ დღეს მაინც რომ არ უდიოდეს ოფლისა და ლუდის სუნი, მაშინ კიდევ ღირდა იქ წასვლა... მაგრამ ახლა ამას თავი დავანებოთ, კაი, განაგრძე შენი ზღაპარი! აი, ჭაობიდან ბეჭედი რომ ამოიღე, ჯერ ის არ დაგიმთავრებია.

- კარგი, - ეუბნებოდა კაი, - შენ კი, როცა განიშნებ, დაუკრავ! - და კაი განაგრძობდა ზღაპარს.

მას თუ დაუჯერებდით, ცოტა ხნის წინ, ერთ დახუთულ ღამეს, უცხო უდაბურ მხარეში, ერთ ციცაბო, ღრმა უფსკრულში ჩაცოცებულა, მის ძირში ციცინათელების ლიცლიცა, მკრთალ შუქზე შავი წუმპე უპოვია, საიდანაც თურმე ბუყბუყით ამოდიოდა ვერცხლივით მოციმციმე ბუშტულები. ერთ მათგანს, ნაპირთან ახლოს რომ ქრებოდა და ისევ ამოდიოდა, ბეჭდის ფორმა მიუღია და კაის დიდი ვაი- ვაგლახით წაუტანებია ხელი. ბუშტულა აღარ გახეთქილა, მაგარ, პრიალა რგოლად გადაქცეულა და კაის თითზე წამოუცვამს. კაის სწამდა ამ ბეჭდის არაჩვეულებრივი ძალა და მართლაც მისი შემწეობით ციცაბო და მოლიპული უფსკრულიდან ამოცოცებულა კიდეც. შორიახლოს, მოწითალო ბურუსში შავი, ჩადუმებული, დარაჯებით გარშემორტყმული ციხესიმაგრე უნახავს, შიგ შეჭრილა, იმავე ბეჭდის წყალობით მოჯადოებული ხალხი დაუხსნია და მათი მადლობა დაუმსახურებია... ყველაზე საოცარ ამბებს ჰანო საამურ აკორდებს შეუწყობდა ხოლმე ფისჰარმონიაზე. თუ კაის მონაყოლი ზღაპრები მეტისმეტად ძნელი წარმოსადგენი არ იყო, მათ თოჯინების თეატრის სცენაზე დგამდნენ და მუსიკასაც თან აყოლებდნენ. სპორტულ თამაშებზე ჰანო მხოლოდ მამის მკაცრი ბრძანებით დადიოდა და მაშინ პატარა კაიც თან ახლდა ხოლმე.

ზამთარშიც ასე იყო და ზაფხულშიც. ჰანოს არც ციგურებით სრიალი უყვარდა და არც ბატონ ასმუსენის ხისჯებირიანი საცურაოსკენ მიუწევდა გული.

- ბანაობა და ცურვა აუცილებელია! ბიჭმა ბევრი უნდა იბანაოს და იცურაოს! - ამბობდა დოქტორი ლანგჰალსი და სენატორიც სავსებით ეთანხმებოდა. ჰანოს ბანაობისგან, ციგურებით სრიალისა და სპორტული ვარჯიშებისგან შორს უფრო იმიტომ ეჭირა თავი, რომ კონსულ ჰაგენშტრომის ორივე ვაჟს იგი ათვალწუნებული ჰყავდა. თუმცა ისინი ჰანოს ბებიის სახლში ცხოვრობდნენ, შემთხვევას არ გაუშვებდნენ ხელიდან, რომ ბუდენბროკების მემკვიდრე ჯანით არ დაეჩაგრათ და არ გაეწამებინათ. ვარჯიშის დროს ხან მუჯლუგუნს წაჰკრავდნენ, ხან უჩქმეტდნენ; ხან მასხრად იგდებდნენ, სასრიალო მოედანზე თოვლის გროვაში წააქცევდნენ, საცურაო აუზში როგორც კი დაინახავდნენ, ერთს მუქარით შემოუძახებდნენ და მისკენ დასაძგერებლად გაექანებოდნენ ხოლმე. ჰანო არც ცდილობდა მათ გაქცეოდა, გაქცევით თავს ხომ მაინც ვერ უშველიდა. საკმაოდ მღვრიე, მწვანე წყალმცენარეებით დაქსელილ წყალში წელამდე იდგა, წვრილი მკლავები უღონოდ ეკიდა და წარბებშეჭმუხნილი, ბაგემოღრეცილი მოღუშულ მზერას მისკენ მომქროლავ ჰაგენშტრომებს არ აცილებდა. მსხვერპლის უძლურებაში დარწმუნებული ძმები

შხაპუნით მოხტოდნენ ჰანოსკენ. ორივეს დაკუნთული მკლავები ჰქონდა, ამ მკლავებს ჰანოს შემოაჭდობდნენ და წყალში დიდხანს აყურყუმალავებდნენ. ჰანო ბინძურ წყალს ბლომად ყლაპავდა და გასავათებული სულს დიდხანს ვეღარ ითქვამდა. მხოლოდ ერთადერთხელ მიეზღოთ ჰაგენშტრომებს სამაგიერო. ერთ ნაშუადღევს, როცა ჰაგენშტრომებს ჰანო სწორედ წყალში ჰყავდათ ჩაყურყუმალავებული, ერთ-ერთმა მათგანმა გულის შემზარავად შეჰყვირა და კუნთმაგარი ფეხი წყლიდან სწრაფად ამოიღო. ფეხიდან სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა. მის გვერდით გრაფი კაი მოლნი იყო ასვეტილი, რომელსაც როგორღაც ეშოვა შემოსასვლელი ფული, წყალქვეშ შეუმჩნევლად გამოეცურა და ახალგაზრდა ჰაგენშტრომისთვის ფეხზე ეკბინა - კბილები პატარა, გაავებული ძაღლივით ჩაესო მისთვის ფეხში. კაის შუბლზე ჩამოყრილი, სველი, წითური თმის ქვემოდან ლურჯი თვალები უელავდა... პატარა გრაფს ასეთი საქციელისთვის ცუდი დღე დაადგა, აუზიდან გვერდებდათეთქვილი ამოვიდა, მაგრამ კონსულ ჰაგენშტრომის ზონზროხა ვაჟიც კოჭლობით წავიდა შინ.

ჰანოს მომაგრება და ფიზიკური ვარჯიშით მისი სხეულის გაკაჟება - აი, სენატორ ბუდენბროკის ზრუნვის მთავარი საგანი, მაგრამ შვილის სულზე გავლენის მოხდენასა და იმ სამყაროსთან დაახლოებას, სადაც ჰანოს უნდა ემოღვაწა, თომას ბუდენბროკი არანაკლები ყურადღებით ეკიდებოდა.

თომას ბუდენბროკს ნელ-ნელა შეჰყავდა ჰანო თავის მომავალ სამყაროში, ფირმის საქმეების გარიგებაზე ისწრებდა, ნავსადგურშიც დაატარებდა და ასმენინებდა, მტვირთავებს დანიურისა და ქვემოგერმანულის ნარევ კილოკავზე როგორ ელაპარაკებოდა, პატარა, ჩაბნელებულ კანტორებში ზედამხედველებთან როგორ თათბირობდა, ან გარეთ მარცვლეულის მზიდავ მუშებს განკარგულებებს როგორ აძლევდა ხოლმე... თომას ბუდენბროკისთვის პატარაობისას ნავსადგურის ეს კუთხე, ხომალდების, ფარდულებისა და ბეღლების სამყარო, სადაც კარაქის, თევზის, წყლის, კუპრისა და გაპოხილი რკინის სუნი იდგა, საყვარელი და ყველაზე საინტერესო ადგილი იყო. მისი ვაჟი კი ამ სამყაროსადმი არავითარ ინტერესს არ იჩენდა. თომას ბუდენბროკს თვითონ უნდა ეზრუნა, რომ ბავშვს ეს ინტერესი როგორმე გაღვიძებოდა. რა ერქვა კოპენჰაგენის სანაოსნო ხაზზე მოსიარულე ხომალდებს?
„ნაიადები“, „ჰალმშტატი“, „ფრიდერიკე ოვერდიკი“...

- ეს მაინც თუ იცი, ისიც კარგია, ჩემო ბიჭიკო. დანარჩენებსაც დაიმახსოვრებ... აი, მუშებს ხომ ხედავ, ტომრებს ზევით რომ ეზიდებიან, ზოგიერთს შენი სახელი ჰქვია, ჩემო საყვარელო, ბაბუაშენის სახელობაზე არიან მონათლულნი. იმათ შვილებში კი ბევრს ჩემი და დედაშენის სახელი ჰქვია. ჩვენს სეხნიებს ყოველ წელს რაღაცით ვასაჩუქრებთ ხოლმე... ჰო, ამ ბეღელს გვერდს ავუვლით, აქაურ მუშებთან არაფერი გვაქვს სალაპარაკო, ეს ჩვენი კონკურენტის სამფლობელი გახლავს.

- წამომყვები, ჰანო? - ეტყოდა თომას ბუდენბროკი შვილს სხვა დროს, - ჩვენი სანაოსნო კომპანიის ახალ გემს ვუშვებთ წყალში. უნდა დავლოცო... გინდა, წამოხვიდე?

ჰანოც ამბობდა, მინდაო, მამას მიჰყვებოდა, მის წარმოთქმულ სიტყვას უსმენდა, მერე მამამისი შამპანურით სავსე ბოთლს გემის ქიმს მიამსხვრევდა, ხომალდი მწვანე საპნით გაგლესილ ბოგირზე გასრიალდებოდა და აქაფებულ წყალში შეცურდებოდა, მაგრამ ჰანო ყველაფერ ამას მაინც გულგრილად უყურებდა ხოლმე.

წელიწადის მნიშვნელოვან დღეებში, ბზობის კვირას, როცა კონფირმაციების დრო დგებოდა, ან ახალი წლის დამდეგს, სენატორი ბუდენბროკი კარეტით ჩამოუვლიდა მასთან საქმით დაკავშირებულ ზოგიერთ ოჯახს. როგორც წესი, გერდა ნერვიულ აშლილობას ან თავის ტკივილს მოიმიზეზებდა და შინ დარჩენას ამჯობინებდა. მაშინ სენატორი თან ჰანოს გაიყოლებდა ხოლმე. ჰანო არც ამაზე ამბობდა უარს. სენატორს კარეტაში ჩაუჯდებოდა, შემდეგ მისაღებ ოთახებში მის გვერდით მიყუჩდებოდა და მამის ძალდაუტანებელ, ტაქტიან და სხვადასხვა ხალხის მიმართ სხვადასხვა იერით შეფერილ საქციელს აკვირდებოდა. ხედავდა, როგორ თავაზიანად და თითქოს შეშინებულმა შეახო მამამ მკლავზე ობერლეიტენანტ ბატონ ფონ რინლინგენს, ოლქის კომენდანტს ხელი, რომელმაც გამომშვიდობებისას აღნიშნა, ამ ვიზიტს დიდ
პატივად ვთვლიო, მეორეგან ასეთივე შენიშვნა მშვიდად და სერიოზულად მოისმინა, მესამეგან მასპინძელს ირონიულად, გადაჭარბებული სამაგიერო ქათინაური შეაგება. ყველა ამ ფორმალურად დახვეწილი სიტყვითა და საქციელით თომას ბუდენბროკი, ეტყობოდა, მემკვიდრის განცვიფრებას ლამობდა და თან თავის დაჭერის გაკვეთილებსაც აძლევდა.

მაგრამ პატარა იოჰანი იმაზე მეტს ხედავდა, რაც არ უნდა დაენახა. მის თვალებს, ამ მფრთხალ, მოოქროსფრო-წაბლისფერ, მოლურჯო ჩრდილებით შემორკალულ თვალებს, ჩინებული დაკვირვების უნარი ჰქონდა. იგი მამის მარტო გულის მომნადირებელ თავაზიან ქცევას როდი ხედავდა, მამას ალმაცერ მზერას არ აშორებდა და გულისტკივილით ამჩნევდა, ეს თავაზიანობა სენატორს რა ძვირად უჯდებოდა. თომას ბუდენბროკს ყოველი ვიზიტის შემდეგ ეკარგებოდა ლაპარაკის ხალისი, სახეზე ფერი აღარ ედო, თვალდახუჭული, ქუთუთოებდაწითლებული მიესვენებოდა ხოლმე კარეტის კუთხეში. შემდეგი მასპინძლის ზღურბლთან კი შეძრწუნებული ჰანო ხედავდა, სწორედ ამ სახეს როგორ აეფარებოდა თავაზიანობის ნიღაბი, ამ არაქათგამოცლილ სხეულს როგორ დაუბრუნდებოდა მოქნილობა, და სახლში შესვლა, საუბარი, თავის დაჭერა, თავაზიანი მოქცევა, პატარა იოჰანს სხვების
თანაზიარი პრაქტიკული ინტერესების უბრალო, ბუნებრივ და ნახევრად შეუცნობელ გამომჟღავნებად კი აღარ ესახებოდა, არამედ თვითმიზნად, შეგნებულ და ხელოვნურ დაძაბულობად, სადაც გულწრფელი და უბრალო გულითადობის მაგიერ, თავის დაჭერისა და მტკიცე ხასიათის საჩვენებლად საშინლად მძიმე და დამქანცველი ვირტუოზობის მოშველიება იყო საჭირო. მერე, როცა ისიც მოაგონდებოდა, რომ

ოდესმე მისგანაც მოითხოვდნენ ხალხში გამოსვლას, ჰანოს ტანში აჟრჟოლებდა და შიშით თვალებს ხუჭავდა ხოლმე.

ეჰ, ასეთი გავლენა როდი უნდოდა თომას ბუდენბროკს ჰანოზე მოეხდინა. სენატორს სურდა მემკვიდრის არსებაში გაეღვიძებინა უშუალობის, მოურიდებლობის გრძნობა, გაეღვიძებინა პრაქტიკული ცხოვრების უნარი. აი, ეს გახლდათ თომას ბუდენბროკის ერთადერთი საფიქრალი.

- შენ, გეტყობა, გიყვარს ნებიერი ცხოვრება, ჩემო კარგო, - ეუბნებოდა იგი შვილს, როცა ჰანო დესერტს მეორედ მოითხოვდა, ან სადილზე ნახევარი ფინჯანი ყავის დაყოლებას მოისურვებდა, - ამიტომ კარგი კომერსანტი უნდა დადგე და ბევრი ფული უნდა იშოვო. გინდა, ხომ?

და პატარა იოჰანი პასუხობდა:

- ჰო.

ხანდახან, როცა სენატორი სადილად მთელ ოჯახს მოიწვევდა, მამიდა ანტონია ან ბიძია ქრისტიანი ძველი ჩვეულებისამებრ საბრალო კლოტილდეს ეხუმრებოდნენ და სიტყვებს მასავით მორჩილად და გულკეთილად აჭიანურებდნენ, ზოგჯერ წითელი, მაგარი ღვინით გაბრუებული ჰანოც მათ აჰყვებოდა და ლაპარაკში ისიც მამიდა კლოტილდეს ჰბაძავდა. მაშინ თომას ბუდენბროკი იცინოდა, ხმამაღლა, მადლიერი კაცივით გულიანად ხარხარებდა, თითქოს დიდი სიამოვნება ხვდომოდეს წილად, შვილს თვითონაც აუბამდა მხარს და ისიც საბრალო კლოტილდეს გამოაჯავრებდა ხოლმე, თუმცა თავის ღარიბ ნათესავთან ლაპარაკში ასეთ ტონს დიდი ხანია გადაჩვეული იყო. გონებაშეზღუდულ, თვინიერ, გაფშიკულ, მუდამ დამშეულ კლოტილდესთან საკუთარი უპირატესობის გამომჟღავნება, ოხუნჯობის უწყინარი ტონის მიუხედავად, ისეთი იაფფასიანი და უხიფათო იყო, რომ თომას ბუდენბროკს ასეთი საქციელი მაინც სულმდაბლობად მიაჩნდა. ამ აზრს საკუთარი, სასოწარკვეთილებამდე მისული გულისხმა უკარნახებდა, პრაქტიკულ ცხოვრებაში თითქმის ყოველდღე უხდებოდა მსგავს მოვლენებთან შეჯახება და მისი სკრუპულოზური ბუნება ყოველთვის ხმას იმაღლებდა ასეთი სიმდაბლის წინააღმდეგ. სენატორს ვერ გაეგო, ვერაფრით გაეგო, როგორ შეიძლებოდა სიტუაციისთვის ალღო აგეღო, ძირფესვიანად განგეჭვრიტა და შენს სასარგებლოდ მაინც ურცხვად გამოგეყენებინა. თუმცა თავის თავს უტყდებოდა, რომ სწორედ ხელსაყრელი შემთხვევის ურცხვად გამოყენებას ერქვა ცხოვრების შნო და მარიფათი.

აჰ, როგორ ახალისებდა, ბედნიერებით როგორ აღავსებდა, რა იმედს უნერგავდა თომას ბუდენბროკს ჰანოსგან ამგვარი შნოსა და მარიფათის თუნდაც ნიშანწყლის გამომჟღავნება!

მესამე თავი

უკანასკნელ წლებში ბუდენბროკები ოდესღაც სავალდებულო შორეულ საზაფხულო მოგზაურობებს გადაეჩვივნენ. შარშან გაზაფხულზე სენატორის მეუღლემ ამსტერდამს მოისურვა გამგზავრება, უნდოდა მოხუცი მამა მოენახულებინა და ამდენი ხნის განშორების შემდეგ მასთან ვიოლინოზე რამდენიმე დუეტი შეესრულებინა. თომასმა ამაზეც საკმაოდ ძუნწად გაიმეტა თანხმობა. სამაგიეროდ, ჰანოს ჯანმრთელობის სასარგებლოდ გერდა, პატარა იოჰანი და ფროილაინ იუნგმანი ზაფხულის არდადეგებს ყოველ წელს ტრავემიუნდეში ატარებდნენ.

ზაფხულის არდადეგები ზღვაზე! მიხვდება კი ვინმე, რა ბედნიერებაა ეს? სკოლაში გატარებული, ზლაზვნით მიმავალი, ვაი-ვაგლახით სავსე უთვალავი დღის შემდეგ ოთხი კვირა მშვიდი, უღრუბლო ცხოვრება წყალმცენარეების სურნელითა და ტალღების ნაზი დგაფუნით აღსავსე სავანეში. ოთხი კვირა, დრო, რომელიც დასაწყისში თვალგადაუწვდენელი, განუსაზღვრელი გეჩვენება, არ გჯერა, ოდესმე თუ დადგება მისი დასასრული, ამ ბედნიერი დღეების დასასრულზე ლაპარაკი მკრეხელობადაც კი მიგაჩნია. პატარა იოჰანს ვერ გაეგო, როგორ შეეძლო ამა თუ იმ მასწავლებელს სასწავლო წლის დამთავრებისას დასცდენოდა ასეთი სიტყვები: არდადეგების შემდეგ აი, აქედან განვაგრძობთ სწავლას, მერე კი ამაზე და ამაზე გადავალთო... არდადეგების შემდეგო?! ამ შეუგნებელ, ქამლოთის პრიალა სერთუკში გამოწყობილ კაცს მგონი უხაროდა კიდეც არდადეგების დამთავრება. არდადეგების შემდეგ! განა შეიძლებოდა ამის ფიქრად გავლებაც კი? სადღაც დაბურულ შორეთში გადაკარგული ჩანდა ყველაფერი ის, რაც ამ ოთხი კვირის იქით იყო მოქცეული.

ზღვის ნაპირთან ახლოს, საშაქარლამოსა და კურჰაუსის გაყოლებაზე ერთმანეთთან ვიწრო ფლიგელით შეერთებული ორი შვეიცარიული სახლი იდგა. რა სჯობდა იმ სახლში გამოღვიძებას, როცა წინადღით წარჩინების მოწმობების დარიგების ჟამი კარგად თუ ავად უკვე გადატანილი იყო და ბარგი-ბარხანით დატვირთული კარეტით მგზავრობაც უკან ჰქონდათ მოტოვებული! ყელში მობჯენილი, გაურკვეველი ბედნიერების შეგრძნება ჰანოს გულს ტკბილად უკუმშავდა და აკრთობდა.

ჰანომ თვალები გაახილა და მონატრებული მზერა ძველფრანკული ავეჯით მორთულ პატარა, სუფთა ოთახს ხარბად მოავლო. ნამძინარევი ერთ წამს გონს ვერ მოეგო, შემდეგ კი მიხვდა, რომ ტრავემიუნდეში იმყოფებოდა, ოთხი განუზომელი კვირით ტრავემიუნდეში იყო ჩამოსული! გარინდული, გაყუჩებული ჰანო გულაღმა იწვა ყვითელი ხის ვიწრო საწოლში. ლოგინზე სიძველისგან დარბილებული, გაცრეცილი ზეწარი ეფინა და ტანს სასიამოვნოდ ელამუნებოდა. დროდადრო თვალებს ხუჭავდა, ღრმად სუნთქავდა და გრძნობდა, მოზღვავებული ბედნიერებისა და
მღელვარებისგან მკერდი როგორ უღელავდა.

ოთახი უკვე ზოლიანი ფარდებიდან შემოპარულ მოყვითალო შუქში იყო ჩაფლული, მაგრამ ირგვლივ სიწყნარე სუფევდა. იდა იუნგმანსა და დედას ჯერ კიდევ ეძინათ. გარეთაც სიჩუმეს დაესადგურებინა, მხოლოდ მეეზოვის ფოცხის თანაბარი ფხაკუნი ისმოდა, სადღაც ახლოს კი ბუზი ზუზუნებდა. ფარდასა და ფანჯარას შორის მომწყვდეული ბუზი მინას ჯიუტად აწყდებოდა და მისი ლანდი ზოლიან ჩითის ფარდებზე ოკრობოკროდ დახტოდა. სიწყნარე, ფოცხის ფხაკუნი და მონოტონური ზუზუნი! და ეს ნაზი ჩქამით გამოცოცხლებული სანუკვარი სიმშვიდე, წყნარი, ფაქიზად მოვლილი, მყუდრო სავანე ჰანოს ყველაფერს ერჩია. არა, მადლობა ღმერთს,
აქ ვერც ერთი პრიალა სერთუკიანი კაცი, სამთა წესისა და გრამატიკის ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ დაადგამდა ფეხს, იმიტომ, რომ აქ ცხოვრება საკმაოდ ძვირი ღირდა.

სიხარულით ათრთოლებულმა იოჰანმა საწოლიდან ისკუპა და ფეხშიშველი ფანჯარასთან მიიჭრა, ფარდა ასწია, თეთრად გალაქული რაზა გადასწია, ცალი დარაბა გამოაღო და ხრეშიანი გზებისა და ვარდებიანი გაზონებისკენ გაფრენილ ბუზს თვალი გააყოლა. წიფლის ხეების რკალში ჩადგმული საკონცერტო ნიჟარა ჯერ კიდევ ცარიელი იყო და სასტუმროს შენობებისკენ პირი მდუმარედ მიექცია. მოშორებით „შუქურის ველი“ მოჩანდა. ეს სახელი ველისთვის იმიტომ შეერქვათ, რომ იქ შუქურა იყო აღმართული. ფართოდ გადაჭიმულ ველს ღრუბლის ქულებით
მოფენილი ცა დაჰყურებდა. ზედ ამოსული მეჩხერი, დაბალი ბალახი ზღვის ნაპირზე აქოჩრილ ბუჩქებში იკარგებოდა. მის შემდეგ ქვიშიანი ნაპირი იწყებოდა, სადაც ხის პატარა, კერძო პავილიონებისა და ზღვისკენ პირშექცეული მოწნული ჩარდახების რიგის გარჩევა შეიძლებოდა. მის იქით დილის ბინდბუნდში ზღვა მშვიდად ტორტმანებდა. ზღვას ზოგან მუქი მწვანე, ზოგან ლურჯი ფერი გადაუდიოდა, კრიალა ზოლებს აქა-იქ აქოჩრილი ტალღები სერავდა. წითლად შეღებილ გზის მაჩვენებელ კასრებს შორის კოპენჰაგენიდან მომავალი ხომალდი მოცურავდა. აქ არც იმას შეგეკითხებოდა ვინმე, იმ ხომალდს „ნაიადები“ ერქვა თუ „ფრიდერიკე ოვერდიკი“. ჰანო ბუდენბროკმა კვლავ ღრმად და ნებიერად შეისუნთქა ზღვიდან მობერილი სურნელოვანი ჰაერი და ზღვას მადლიერებითა და სიყვარულით აღსავსე უსიტყვო სალამი უძღვნა.

შემდეგ დაიწყო ამ საცოდავი ოცდარვა დღის პირველი დღე. ეს ოცდარვა დღე თავიდან დაუსრულებელ განცხრომად გეჩვენება, მაგრამ რამდენიმე დღე გაივლის თუ არა, დანარჩენიც გულის მოსაკლავად სწრაფად შემოგადნება ხელში.

დამსვენებლები საუზმეს აივანზე ან დიდი წაბლის ხის ქვეშ მიირთმევდნენ. წაბლის ხე საბავშვო მოედნის ახლოს იდგა, იქ, სადაც დიდი საქანელა იყო ჩამოკიდებული. ჰანოს აქ ყველაფერი აღტაცებას ჰგვრიდა: ნაჩქარევად გარეცხილი სუფრის სუნიც, რომელიც ცხვირში გეცემოდათ, ოფიციანტი მაგიდას რომ გადააფარებდა, აბრეშუმის ქაღალდის ხელსახოცებიც, სხვანაირი პურიც და ისიც, რომ აქ კვერცხს ძვლის

კოვზებით კი არ ჭამდნენ, როგორც შინ, არამედ მეტალის ფიალებიდან ჩვეულებრივი ჩაის კოვზებით მიირთმევდნენ ხოლმე.

და შემდეგ ერთმანეთს მიჰყვა თავისუფალი, მსუბუქ რეჟიმში მოქცეული, უსაქმური, ნებიერი განცხრომის დღეები. დილას პლაჟზე ატარებდნენ. ამ დროს კურორტის ორკესტრი თავის დილის პროგრამას ასრულებდა. მარტო ჩასაჯდომი კალათის ფერხთით წმინდა ქვიშაში ნებიერად კოტრიალი და თამაში რად ღირდა, ან ცის დასალიერამდე გადაშლილ სიმწვანესა და სილურჯეს რომ უჭვრეტდი და თვალს ასვენებდი. იქიდან თავისუფლად, ლაღად, ზუზუნით მოქროდა ძლიერი, გრილი, ლაღი, საამო სურნელით გაჟღენთილი ნიავი, ყურებს გიგუბებდა და თავბრუს სასიამოვნოდ გახვევდა, თითქოს რული მოგერიაო, გონება დროისა და სივრცის და, საერთოდ, ყოველგვარი ზღვარის აღქმის უნარს კარგავდა. აქ ბანაობაც გაცილებით სახალისო იყო, ვიდრე ბატონ ასმუსენის აუზში, ფეხებში წყალმცენარეები არ გეხლართებოდა, ფირუზისფერ, ბროლივით გამჭვირვალე წყალს თუ ააშხაპუნებდი, აქაფდებოდა, წებოვანი ხის ფსკერის მაგიერ კი ტერფებს რბილად დატალღული ქვიშნარი ელამუნებოდა. კონსულ ჰაგენშტრომის ვაჟებიც შორს იყვნენ, ძალიან შორს, ნორვეგიაში თუ ტიროლში. კონსულს უყვარდა ზაფხულში დასასვენებლად შორს გამგზავრება - რატომ არ უნდა წასულიყო, არა?.. ბანაობის შემდეგ გასათბობად პლაჟზე სეირნობდნენ, „თოლიების ლოდებამდე“ ან „ზღვის ტაძრამდე“ მივიდოდნენ, მერე იქვე, ნაპირზე წაისაუზმებდნენ და ამასობაში შინ დაბრუნების დროც დადგებოდა. ტაბლდოტთან გასასვლელად მოკაზმვის წინ, ცოტა ხანს ისვენებდნენ ხოლმე. ტაბლდოტთან ყოველთვის მხიარულება სუფევდა. კურორტი იმჟამად აყვავების ხანაში იყო. აქ ისვენებდნენ ბუდენბროკების მეგობარი ოჯახები, ჰამბურგიდან, ინგლისიდან, რუსეთიდანაც კი ჩამოდიოდნენ დიდკაცები და ზაფხულს აქ ატარებდნენ. კურჰაუსის უზარმაზარი დარბაზი ხალხით იყო სავსე. ერთ კოპწია მაგიდასთან შავ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი იდგა და ლაპლაპა დიდი საწვენედან სუპს ჩამჩით იღებდა. სადილი ოთხი თავისგან შედგებოდა. კერძები აქ უფრო გემრიელად იყო შეკაზმული, ყოველ შემთხვევაში, უფრო საზეიმო იერი ჰქონდა, ვიდრე შინ. გრძელ მაგიდებზე ბევრგან შუშხუნებდა შამპანური. ქალაქიდან ხშირად ჩამოდიოდნენ ხოლმე კომერსანტები. ისინი მუშაობით მთელ კვირას როდი იკლავდნენ თავს. აქ გართობა და ნასადილევს რულეტის დატრიალება ქვეყანას ერჩიათ. პეტერ დოლმანს თავისი ქალიშვილი შინ დაეტოვებინა და ახლა როხრეხა ხმით ქვემოგერმანულად ისეთ უწმაწურ ანეკდოტებს ყვებოდა, რომ ჰამბურგელი ქალბატონები სიცილით იჭაჭებოდნენ და თან დოლმანს ევედრებოდნენ, ერთი წამით სულის მოთქმა გვაცალეთო. ჩამოდიოდნენ სენატორი დოქტორი კრემერი, მოხუცი პოლიციის შეფი, ბიძია ქრისტიანი და მისი სკოლის მეგობარი, სენატორი გიზეკე. სენატორ გიზეკესაც არ ჩამოჰყავდა ცოლ-შვილი თან. იგი და ქრისტიანი ერთად ატარებდნენ დროს და ქრისტიანის დანახარჯსაც სენატორი იხდიდა. ნასადილევს უფროსები საშაქარლამოს ჩარდახქვეშ ყავას მიირთმევდნენ და თან მუსიკას უსმენდნენ, სმენად ქცეული ჰანო კი ამ დროს „ზღვის ტაძრის“ საფეხურებთან იჯდა

ხოლმე. კურორტის ბაღში ტირი იყო გამართული, ნაშუადღევს ყოველთვის შეგეძლოთ იქ გაგეტარებინათ დრო. შვეიცარიული სახლების ხელმარჯვნივ თავლები ჩაემწკრივებინათ, სადაც ცხენები, სახედრები და ძროხები ება. ქაფქაფა, თბილ, ახალმოწველილ რძეს დამსვენებლები სამხარზე შეექცეოდნენ. მსურველებს
შეეძლოთ ქალაქში გაესეირნათ „სანაპირო ქუჩას“ გაჰყოლოდნენ, იქიდან კი ნავით ნახევარკუნძულზე გადასულიყვნენ, სადაც ქარვა მოიძებნებოდა. გასართობი სხვაც ბევრი იყო: ჰანო ხან საბავშვო მოედანზე კროკეტის პარტიას წაითამაშებდა, ხან კი ის და იდა იუნგმანი სასტუმროს უკან ტყიან ბორცვს მიაშურებდნენ, საიდანაც უზარმაზარი ზარი დამსვენებლებს ტაბლდოტთან უხმობდა. იქ ორივენი მერხზე ჩამოსხდებოდნენ, იდა წიგნს გადაშლიდა და ჰანოს რაიმეს წაუკითხავდა ხოლმე... ყველაზე ჭკვიანური მაინც ზღვის ნაპირას გასვლა იყო. იქ, გაშლილი ჰორიზონტისკენ პირშექცეული, ბასტიონის კიდეზე ჩამოჯდებოდი. დღისა და ღამის სინათლე ჯერ კიდევ ებრძოდა ერთმანეთს. შეგეძლო ახლოს მიმავალი უზარმაზარი ხომალდებისთვის ცხვირსახოცი დაგექნია, თან ყური დაგეგდო, როგორ წყნარად, ბუტბუტით ელამუნებოდნენ პაწია ტალღები ლოდებს. ირგვლივ მთელი მიდამო ამ საამო რუდუნებით იყო სავსე. პატარა იოჰანს ტალღების დუდუნი ყურში ნანასავით ჩაესმოდა და ნეტარებით გარინდულს თვალები თავისთავად ელულებოდა. მაშინ
იდა იუნგმანი ეტყოდა:

- წამო, ჰანოჰენ, ვახშმობის დროა, აქ რომ დაიძინო, სული აღარ აგყვება თან.

როგორ დამშვიდებული, კმაყოფილი, მწყობრად აძგერებული გულით ბრუნდებოდა ჰანო ზღვიდან! თავის ოთახში მორთმეულ ვახშამს რძეს ან დაალოებულ ყავისფერ ლუდს დააყოლებდა, სიძველისგან გაცრეცილ ზეწრებში გაეხვეოდა, კმაყოფილებით აღსავსე გული კვლავ რიტმულად, ღონივრად უცემდა და საღამოს კონცერტის ჰანგებში უშფოთველად, ნებიერად ჩაეძინებოდა ხოლმე. დედამისი კურჰაუსის შუშის ვერანდაზე უფრო ფართო წრეში გვიან ვახშმობდა.

კვირას, საქმეებით დატვირთული სხვა ბატონების მსგავსად, სენატორიც ჩამოდიოდა და თავისიანებთან ორშაბათ დილამდე რჩებოდა. იმ დღეებში ტაბლდოტზე ნაყინსა და შამპანურს მიირთმევდნენ, სახედრებითაც სეირნობდნენ და იალქნიანი ნავით გაშლილ ზღვაშიც გადიოდნენ, მაგრამ პატარა იოჰანს კვირადღეები მაინც ნაკლებად უყვარდა. ირღვეოდა კურორტის სიმშვიდე, ქალაქიდან იქაურობას მთელი ბრბო მოაწყდებოდა, „საშუალო წრის ერთდღიანი პეპლები“, როგორც მათ იდა იუნგმანი გულკეთილი დაცინვით უწოდებდა ხოლმე. ჩამოსულები ნასადილევს კურორტის ბაღსა და პლაჟს ავსებდნენ, ყავას სვამდნენ, მუსიკას უსმენდნენ და ბანაობდნენ.
ჰანოს ამ დროს ერჩია, ოთახში ჩაკეტილიყო და საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული მყუდროების დამრღვევი ხალხის წაბარგებას დალოდებოდა. არა, ჰანოს ნამდვილად უხაროდა, როცა ორშაბათს ყველაფერი ძველებურ კალაპოტში ჩადგებოდა, ისიც ახარებდა, მამის თვალებს რომ ვეღარ ხედავდა, ექვსი დღის განმავლობაში შორს იყო

ამ თვალებისგან. იმ ორ დღეს კი მამის თვალები კვლავ კრიტიკულად და გამომცდელად უჭვრეტდნენ ხოლმე.

გავიდა თოთხმეტი დღე და ჰანო თავის თავს და ყველას, ვინც კი ყურს ათხოვებდა, არწმუნებდა, ახლა უსასრულო, საშობაო არდადეგების ტოლი დღეები დადგებაო, მაგრამ ჰანო თავს ტყუილად ინუგეშებდა. რახან არდადეგების ნახევარი უკვე გავლილი იყო, ახლა დღეები დაღმა მიექანებოდნენ, საშინელი სისწრაფით მიექანებოდნენ დასასრულისკენ, ისე, რომ ჰანო მზად იყო ყოველ საათს ჩასჭიდებოდა და წასვლა არ დაენებებინა, ზღვის ჰაერის ყოველი ჩასუნთქვა გაეჭიანურებინა, რომ ბედნიერება ფუჭად არ გაეფლანგა.

მაგრამ დრო შეუჩერებლივ მიქროდა, ხან წვიმდა, ხან მზიანი დარი იდგა, ხან ზღვაური უბერავდა, ხან ქარი ხმელეთიდან ქროდა, თაკარა სიცხეს ისეთი ჭექა- ქუხილი ცვლიდა, გეგონებოდათ, დასასრული არ ექნებაო. ხანდახან გამოერეოდა დღეებიც, როცა ნორდ-ოსტი მოშავო-მომწვანო წყალს შემორეკავდა ყურეში, ნაპირს წყალმცენარეებით, ნიჟარებითა და მედუზებით მოფენდა და პავილიონებს წალეკვით ემუქრებოდა. ამ დროს მოქუშული, აბობოქრებული ზღვა თვალსაწიერზე ქაფით იფარებოდა ხოლმე. დიდი, ძლიერი ტალღები ნაპირისკენ ზვიადად, შიშის მომგვრელი სიმშვიდით მოგორავდნენ, მედიდურად იზნიქებოდნენ, მუქმწვანე ფოლადივით ალაპლაპებულ რკალს ხაზავდნენ და ქვიშაზე გრუხუნით, ღრიალითა და შიშინით ენარცხებოდნენ... იყო ისეთი დღეებიც, როცა დასავლეთის ქარი ზღვას შუაგულისკენ წარეკავდა. მაშინ ნატიფად დატალღული ფსკერი და შიშველი ქვიშის ბორცვები მოჩანდა, წვიმა კოკისპირულად ასხამდა, ცა, მიწა და წყალი ერთმანეთს ერთვოდა, ქარი წვიმაში დათარეშობდა და წვიმის წვეთებს ფანჯრის მინებს ისე უტყლაშუნებდა, რომ მინებზე წვეთები კი არა, ნაკადულები ჩამოდიოდა. მინები ისე შეიბურებოდა, რომ გარეთ აღარაფერი ჩანდა. მაშინ ჰანო მეტწილად კურზალში იჯდა პიანინოსთან. პიანინო ვალსებისა და ეკოსეზების ბარტყუნისგან ცოტა დანჯღრეული იყო და მასზე ისეთი ტკბილხმოვანი ფანტაზიები არ გამოდიოდა, როგორიც შინ, როიალზე, მაგრამ მისი ყრუ და ხრინწიანი ტონებიდანაც საკმაოდ
თავშესაქცევი ხმიანობის მიღწევა შეიძლებოდა. შემდეგ ისევ ბრუნდებოდა საოცნებო, ლურჯი, უქარო, თაკარა დღეები, შუქურის ირგვლივ, მზეში, ზუზუნით ირეოდა ცისფერი ქინქლი. კრიალა, მდუმარე ზღვა ჩქამსაც არ გამოსცემდა, ისე მშვიდად და უდრტვინველად იყო გაწოლილი. კიდევ სამი დღე დარჩა არდადეგების დასასრულამდე, ჰანო კი თავის თავსაც და სხვებსაც უხსნიდა, ეს სამი დღე სამების არდადეგებივით გაგრძელდებაო. რაც უნდა სწორი ყოფილიყო ეს ანგარიში, ჰანოს თვითონაც არ სჯეროდა მისი და თავის თავს გულში დიდი ხანია გამოუტყდა, რომ პრიალა ქამლოთისსერთუკიანი კაცი მართალი იყო: ოთხი კვირა ბოლოს და ბოლოს გავიდოდა და სწავლას იქიდან განაგრძობდნენ, სადაც ამ ოთხი კვირის წინ შეჩერდნენ.

კურჰაუსის წინ უკვე ბარგით დატვირთული დროშკა იდგა, გათენდა წასვლის დღე. ჰანო უთენია გამოეთხოვა ზღვასა და პლაჟს, ახლა კი ოფიციანტებს ემშვიდობებოდა. ისინი მიმავალთაგან არყის ფულს იღებდნენ ჯილდოდ. ჰანო საკონცერტო ნიჟარას, ყვავილნარებსა და ზაფხულის სანეტარო ხანასაც გამოემშვიდობა, სასტუმროს მოსამსახურეებმა მიმავალთ უკანასკნელად დაუკრეს თავი და დროშკაც დაიძრა.

ქალაქისკენ მიმავალი ხეივანი გაიარეს და სანაპირო ქუჩას გაუყვნენ. ჰანო ეკიპაჟის კუნჭულში მიყუჟულიყო და იდა იუნგმანის მხარს ზემოთ გზას გასცქეროდა. თმაგათეთრებული, მკვირცხლთვალებიანი, ძვალმსხვილი იდა ჰანოს პირისპირ, უკანა მერხზე იჯდა. ცა თეთრი ღრუბლების ფთილებით იყო დაფარული. ტრავეზე ქარი პატარ-პატარა ზვირთებს მოაგორებდა. დროდადრო ფანჯრის მინას წკაპუნით ეცემოდა წვიმის წვეთები, „სანაპირო ქუჩის“ ბოლოს თავიანთი სახლების წინ მეთევზეები ისხდნენ და ბადეებს კემსავდნენ. ფეხშიშველა ბავშვები გამორბოდნენ და ეკიპაჟს ცნობისმოყვარეობით აღსავსე მზერას აყოლებდნენ, ისინი ხომ აქ რჩებოდნენ.

როცა ეკიპაჟმა უკანასკნელი სახლი ჩამოიტოვა, ჰანო წინ გადაიხარა. უნდოდა შუქურისთვის ერთხელ კიდევ შეევლო თვალი, შემდეგ სკამის საზურგეს მიესვენა და თვალები დახუჭა.

- გაისად ისევ ჩამოვალთ, ჰანოჰენ, - გულითადი, ნუგეშისმომცემი ხმით უთხრა ჰანოს იდამ.

ჰანოს მეტიც აღარ უნდოდა, ნიკაპი აუკანკალდა და გრძელ წამწამებზე ცრემლი დაეკიდა.

ჰანოს სახე და ხელები მზით ჰქონდა გარუჯული, მაგრამ ზღვაზე დასვენების მიზანი აუხდენელი დარჩა, ბავშვი არც მომაგრებულა და არც ენერგია, ხალისი და ძალ-ღონე მომატებია. ეს სავალალო ჭეშმარიტება ჰანოსაც მშვენივრად ესმოდა. გული ამ ოთხი კვირის განმავლობაში ზღვის რუდუნებითა და მისგან მოგვრილი სიმშვიდით აღევსო, უფრო გაუნაზდა, გაუსათუთდა, სულიერადაც უფრო მგრძნობიარე და
მეოცნებე გახდა. ჰანოს ახლა წინანდელზე ნაკლებად ძალუძდა ბატონი ტიტგეს სამთა წესის ახსნისთვის გაეძლო, ისტორიული თარიღებისა და გრამატიკული წესების ზუთხვაზე, სასოწარკვეთილების ჟამს ვითომ დაუდევრად მიგდებულ წიგნებზე ფიქრს თავიდან ვეღარ იცილებდა, გათენებისა და გაკვეთილების მოლოდინი, კატასტროფების, მასზე გადამტერებული ჰაგენშტრომებისა და მამის მოთხოვნების გახსენება ხომ სულიერად სცემდა და ანადგურებდა.

დილის მოგზაურობამ ჰანო ნელ-ნელა გამოაცოცხლა. ირგვლივ ჩიტების ჟღურტული ისმოდა. კარეტა წყლით ავსებულ თხრილებს შორის მიდიოდა. ჰანო კაისა და მასთან შეხვედრაზე ფიქრობდა, ბატონი პფიული, მუსიკის გაკვეთილები, როიალი და ფისჰარმონიაც გაიხსენა. მერე ხვალ ხომ კვირა იყო! სკოლაში წასვლა მხოლოდ ზეგ

უწევდა და ისე საშიშრად აღარ ესახებოდა. ღმერთო, მაღალყელიან ფეხსაცმელებში ჯერ კიდევ ხრაშუნებდა ქვიშა! მოხუც გრობლებენს უნდა შეეხვეწოს, ფეხსაცმელებიდან არასდროს არ გამოუყაროს ქვიშა. დაე, ისევ დაიწყოს პრიალა სერთუკიანებისა და ჰაგენშტრომების ხანა, ჰანოს თავის მოგონებებს მაინც ვერავინ წაართმევს. საღამოს დასადგურებულ სიჩუმეში პატარა ტალღები იდუმალად გარინდული შორეთიდან მოისწრაფოდნენ და ბასტიონს დგაფუნით ენარცხებოდნენ. როცა ყველა უბედურება ძველებურად ერთად დაატყდება თავს, ჰანო მაშინ ზღვასა და სანაპირო პარკს გაიხსენებს, ტალღების ხმაურის წამიერი მოგონებაც კი შვებას მოჰგვრის, ნუგეშსა სცემს და თავს დატეხილი ტანჯვა სულს ვეღარ აუმღვრევს ხოლმე.

შემდეგ ბორანი გამოჩნდა, იზრაელსდორფის ხეივანი, იერუსალიმის მთა, ბურგფელდი და კარეტამ ქალაქის კარიბჭეს მიაღწია. მათგან ხელმარჯვნივ იმ ციხის გალავანი დალანდა, სადაც ბიძია ვაინშენკი იჯდა. კარეტა ბურგშტრასეზე გავიდა, კობერგი გაიარა, ბრაიტენშტრასე უკან ჩამოიტოვა და ფიშერგრუბეს ციცაბო დაღმართს ნელ-ნელა ჩაუყვა. მალე ფარნიანი, თეთრი კარიატიდებით შემკული სახლის წითელი ფასადიც გამოჩნდა. შუადღის მზით გამთბარი ქუჩიდან ქვით მოპირკეთებულ გრილ სადარბაზო შესასვლელში შევიდნენ თუ არა, კანტორიდან სენატორიც გამოვიდა და ცოლ-შვილს შეეგება.

ჰანომ ბევრი ცრემლი დაღვარა ჩუმად, მაგრამ ნელ-ნელა მაინც შეეგუა იმ აზრს, რომ ზღვა უკან დარჩა. გული კვლავ შიშით უფანცქალებდა, ნაღველი კვლავ ერეოდა, მუდამ ჰაგენშტრომების თავდასხმის მოლოდინში იყო და ნუგეშად მხოლოდ კაი, ბატონი პფიული და მუსიკა დარჩენოდა.

ბრაიტენშტრასელმა ქალბატონმა ბუდენბროკებმა და მამიდა კლოტილდემ ჰანოს ნახვისთანავე გამოჰკითხეს, არდადეგების შემდეგ სკოლა რა გემოსიაო. ისინი თვალებს ეშმაკურად ახამხამებდნენ, აქაოდა, ვიცით, რა ხასიათზეც იქნებიო და ბავშვებს უფროსებისთვის დამახასიათებელი უცნაური ქედმაღალი ტონით ელაპარაკებოდნენ, რადგან მათ ყველაფერი, რაც ბავშვებს ეხება, სახუმარო და ზერელე ჰგონიათ. ჰანოც იძულებული იყო მათი კითხვებისთვის გაეძლო.

ქალაქში დაბრუნებიდან სამი თუ ოთხი დღის შემდეგ ფიშერგრუბეზე ბუდენბროკების მკურნალი ექიმი, დოქტორი ლანგჰალსი გამოცხადდა. უნდა შეემოწმებინა, ბავშვს კურორტი მოუხდა თუ არა. ექიმი ჯერ სენატორის მეუღლეს ეთათბირა, შემდეგ ჰანოს მოუხმეს და წელზევით გააშიშვლეს. დოქტორმა ლანგჰალსმა ბრძანა, ჰანოს status praesens[11] უნდა დავადგინოო და ჩვეულებისამებრ ხელის ფრჩხილებზე დაიხედა, შემდეგ ჰანოს უსუსური მუსკულატურა გაუსინჯა, მკერდის გარშემოწერილობა გაუზომა, გულს მოუსმინა, ორგანიზმის საერთო მდგომარეობა გამოიკითხა, ბოლოს გალეული მკლავიდან შპრიცით სისხლი აუღო და

საანალიზოდ შინ წასაღებად გაიმზადა. ექიმი ჰანოს ჯანმრთელობით კვლავ უკმაყოფილო ჩანდა.

- მზეზე კარგად გავრუჯულვართ, - დოქტორმა ლანგჰალსმა ჰანოს პატარა, შავად გაბანჯგვლული ხელი გადახვია, თან სენატორის მეუღლესა და იდა იუნგმანს ახედა, - მაგრამ სახე მაინც ჩამოგვტირის.

- ზღვაზე დარდობს, - შენიშნა გერდა ბუდენბროკმა.

- ჰოო... ასე გიყვარს ზღვა? - შეეკითხა ჰანოს დოქტორი ლანგჰალსი და მიბნედილი თვალები სახეში შეანათა.

ჰანო აილეწა. რას ნიშნავდა ეს კითხვა, რომელზეც დოქტორი ლანგჰალსი, ალბათ, პასუხს მოელოდა? უგუნური, ფანტასტიკური იმედი ჩაესახა ჰანოს გულში, რომ ყველა სერთუკიანების ჯიბრზე ღვთისთვის შეუძლებელი არაფერი იყო.

- დიახ, - აღმოხდა ჰანოს და გაფართოებული თვალები ექიმს მიაპყრო, მაგრამ დოქტორ ლანგჰალსს თავის შეკითხვაში განსაკუთრებული არაფერი უგულისხმია.

- ზღვის აბაზანებისა და ჯანსაღი ჰაერის ზემოქმედება მერე უფრო იჩენს თავს... დიახ, მერე უფრო იჩენს თავს! - თქვა დოქტორმა ლანგჰალსმა, პატარა იოჰანს ხელი მხრებზე მოუთათუნა და ბავშვი განზე გასწია. მერე სენატორის მეუღლესა და იუნგმანს ისე მრავალმნიშვნელოვნად, კეთილად და გამამხნევებლად დაუქნია თავი, როგორც ეს გამოცდილ ექიმებს სჩვევიათ, რომელთა თვალებსა და ბაგეს ჭირისუფალნი მოწიწებით შესჩერებიან და თვალს არ აცილებენ ხოლმე. ამის შემდეგ დოქტორი ლანგჰალსი ფეხზე წამოდგა და კონსულტაციაც ამით დამთავრდა.

ჰანომ ზღვასთან განშორებით მოგვრილი გულისტკივილის, ზღვაზე დარდით გაჩენილი ჭრილობის გამაყუჩებელი მალამო მამიდა ანტონიასთან პოვა. ჭრილობა ნელ-ნელა ხორცდებოდა, მაგრამ ყოველდღიურობასთან ოდნავი შეჯახების დროსაც კი პირს ისევ იხსნიდა და სისხლი სდიოდა. მამიდა ანტონია ტრავემიუნდეში გატარებული დღეების ამბავს აშკარა სიამოვნებით ისმენდა და ჰანოს სიყვარულითა და ნაღვლით აღსავსე მოგონებებს გულმხურვალედ ეკიდებოდა.

- ჰო, ჰანო, - ეუბნებოდა მამიდა, - რაც მართალია, მართალია, ტრავემიუნდე ნამდვილად მშვენიერი ადგილია. სანამ სული მიდგას, იქ გატარებული ზაფხული ყოველთვის სიხარულით მომაგონდება. სულ ახალგაზრდა, თავქარიანი გოგო ვიყავი,
იქ ერთ კეთილ ოჯახში რომ ვცხოვრობდი. ყველა ძალიან მიყვარდა და, ეტყობოდა, მათაც ასევე ვუყვარდი, იმიტომ, რომ მშვენიერი ანცი გოგო ვიყავი - ახლა დავბერდი და შემიძლია ჩემს თავზე ასე ვილაპარაკო - და თითქმის ყოველთვის მხიარულ გუნებაზე გახლდით. კარგი ხალხი იყო, გულმართალი, გულკეთილი და პირდაპირი, გარდა ამისა, ჭკვიანი, განათლებული და ხალისიანი, ასეთ ხალხს მერე აღარც შევხვედრივარ. ჰო, მათთან ურთიერთობა ჩემთვის განსაკუთრებით სასარგებლო

იყო. იცი, რამდენი რამ ვისწავლე? იქ შეძენილი ცოდნა მთელი სიცოცხლის მანძილზე გამომადგა, მაშინ რომ რაღაც ამბები არ მომხდარიყო... მოკლედ, ხომ იცი, როგორც ხდება ხოლმე ცხოვრებაში... მე სულელი კიდევ ბევრ რამეს ვისწავლიდი. იცი, რა ბრიყვი ვიყავი მაშინ? მედუზებიდან მინდოდა ჭრელ-ჭრელი ვარსკვლავები ამომეკრიფა. ცხვირსახოცში მთელ გროვას გამოვხვევდი, შინ მივიტანდი და აივანზე, მზის გულზე დავაწყობდი ფაქიზად, მეგონა, მედუზები დადნებიან და ვარსკვლავები დამრჩება-მეთქი. მერე რომ დავხედავდი, აივანზე დიდი სველი ლაქის მეტი არაფერი მხვდებოდა. ირგვლივ მხოლოდ წყალმცენარეების სუნი იდგა...

მეოთხე თავი

1873 წლის დამდეგს სენატმა შეიწყნარა ჰუგო ვაინშენკი და ყოფილი დირექტორი ვადაზე ნახევარი წლით ადრე გაათავისუფლეს ციხიდან.

ფრაუ პერმანედერს გულზე ხელი რომ დაედო, ეს ამბავი დიდად არ გახარებია. ერჩია, ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო. ფრაუ პერმანედერი მყუდროდ ცხოვრობდა ლინდენპლაცზე ქალიშვილსა და შვილიშვილთან ერთად, ფიშერგრუბეზე ხშირად დადიოდა სტუმრად და თავის პანსიონის მეგობართან, არმგარდ ფონ მაიბომთან, ფონ შილინგის ასულთანაც მეგობრობდა. არმგარდ ფონ მაიბომი ქმრის სიკვდილის შემდეგ ქალაქში ცხოვრობდა. ფრაუ პერმანედერმა კარგად იცოდა, თვითონ მშობლიური ქალაქის ჭიშკარს გადაღმა ერთ დღესაც რომ ვერ გაძლებდა. მწარედ აგონდებოდა მიუნხენი, კუჭიც რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო აწუხებდა. მშვიდად ყოფნა ახლა გაცილებით ძვირად უღირდა. ამიტომ იყო, რომ იოტისოდენა სურვილიც არ გააჩნდა, სიბერის დღეს გაერთიანებული სამშობლოს რომელიმე დიდ ქალაქში გადასახლებულიყო, მით უმეტეს, საზღვარგარეთ გადახვეწაზე ხომ ფიქრიც კი უმძიმდა.

- ჩემო საყვარელო შვილო, - უთხრა მან ერთხელ ქალიშვილს, - მეტისმეტად სერიოზული კითხვა უნდა დაგისვა. შენი ქმარი კვლავ მთელი სულით და გულით გიყვარს თუ არა? გიყვარს თუ არა ისე, რომ საითაც უნდა გადაიხვეწოს, შენი შვილიანად თან გაჰყვები? ხომ იცი, რომ, სამწუხაროდ, აქ არ ეცხოვრება?

მაშინ ფრაუ ერიკა ვაინშენკი, გრიუნლიჰის ასული, ცხარე ცრემლით ატირდა. ვინ იცის, რას ნიშნავდა ეს ცრემლი. ქალიშვილმა ზუსტად ისევე მოიმიზეზა, ვალდებული ვარ ჩემს ქმარს თან გავყვეო, როგორც ოდესღაც მსგავს გარემოებაში ჩავარდნილმა ტონიმ უპასუხა მამამისს ჰამბურგის მახლობელ ვილაში. ასე რომ, შეიძლებოდა კაცს ცოლ-ქმრის მოსალოდნელ დაშორებაზე ეფიქრა.

გათენდა დირექტორ ვაინშენკის შინ დაბრუნების დღე, ისეთივე პირქუში და ნაღვლიანი, როგორიც მისი დაპატიმრების დღე იყო. ფრაუ პერმანედერმა სიძე ციხიდან ლინდენპლაცზე დახურული კარეტით მოიყვანა. ჰუგო ვაინშენკი ბავშვსა და ცოლს დაბნეულად და უმწეოდ მიესალმა, შემდეგ მისთვის გამოყოფილ ოთახში შეიკეტა. გაჭაღარავებული, სულიერად განადგურებული კაცი დილიდან საღამომდე სიგარას ეწეოდა, ქუჩაში გამოსვლას ვერ ბედავდა და თავისიანებთან სადილობასაც კი ერიდებოდა.

ციხეში გატარებულ წლებს მისი ჯანმრთელობა არ შეურყევია, ჰუგო ვაინშენკი რკინასავით მაგარი კაცი იყო, მაგრამ ციხეს მასზე სულიერად ღრმა კვალი დაეჩნია. კაცს შეაძრწუნებდა ჰუგო ვაინშენკის დანახვა. ვაინშენკს არაფერი დაუშავებია ისეთი, რასაც მისი კოლეგები დამშვიდებული სინდისით ყოველდღე არ სჩადიოდნენ, და ისიც, რომ არ ჩავარდნილიყო, თავაწეული, სახენათელი გაჰყვებოდა ცხოვრების გზას. ახლა კი მოქალაქეობრივ დაცემას, გამოტანილ განაჩენს და ციხეში გატარებულ სამ წელიწადს იგი მორალურად სავსებით გაენადგურებინა. სასამართლოს წინაშე დირექტორი გულწრფელად იფიცებოდა, დამნაშავე არა ვარო, საქმეში ჩახედული ხალხიც ეთანხმებოდა, რომ სადაზღვევო საზოგადოებისა და საკუთარი ჯიბის სასარგებლოდ გაკეთებული თამამი მანევრი საქმიან სამყაროში მხოლოდ და მხოლოდ usance-დ ითვლებოდა, იმ ვაჟბატონ იურისტებს კი, მისი აზრით, ასეთი საქმეებისა არაფერი გაეგებოდათ, ისინი სულ სხვა ცნებებითა და შეხედულებებით აზროვნებდნენ და ამიტომ დასდეს მას ყალთაბანდობაში ბრალი. მაგრამ, როცა მათ მიერ წამოყენებულ ბრალდებას სახელმწიფო ძალაუფლებაც ამოუდგა მხარში, ჰუგო ვაინშენკს ისე შეერყა საკუთარი თავისადმი რწმენა, რომ ადამიანებს თვალს ვეღარ უსწორებდა. მისი ტაატით სიარული, მიხრა-მოხრა, დამუშტული ხელების ქნევა და თვალების ბრიალი, მისი სითამამე, მდაბიურობითა და გაუნათლებლობით გამოწვეული შეკითხვებითა და ანეკდოტებით თავმომწონეობა სადღაც უკვალოდ გამქრალიყო. ყველა ეს თვისება ჰუგო ვაინშენკს ისე დაჰკარგოდა, რომ ოჯახის წევრებს მისი სიძაბუნე, სიმხდალე და დაგლახაკება ძრწოლას ჰგვრიდა.

ჰუგო ვაინშენკს რვა თუ ათი დღის განმავლობაში სიგარის მოწევის მეტი არაფერი გაუკეთებია, შემდეგ გაზეთების კითხვა და წერილების წერა დაიწყო. რამდენიმე ხანი ასეთ საქმიანობაში გაატარა, შემდეგ ოჯახის წევრებს მიკიბულ-მოკიბულად უთხრა, ლონდონში რაღაც ადგილი გამომიჩნდა, ჯერჯერობით მარტო გავემგზავრები, ყველაფერს მოვაწესრიგებ და ცოლ-შვილს მერე გამოვიწვევო.

ჰუგო ვაინშენკი სადგურზე დახურული კარეტით წავიდა ერიკასთან ერთად და ისე გაემგზავრა, სხვა ნათესავებს ერთხელაც არ დანახვებია.

რამდენიმე დღის შემდეგ ჰუგო ვაინშენკისგან ჯერ კიდევ ჰამბურგიდან მოვიდა მეუღლის სახელზე გამოგზავნილი წერილი. წერილში ჰუგო ვაინშენკი თავის გადაწყვეტილებას იტყობინებოდა: არავითარ შემთხვევაში არ დაგიბრუნდებით და

არც ჩემს ამბავს შეგატყობინებთ, სანამ წელგამართულ ცხოვრებას ვერ შემოგთავაზებთო. ეს იყო ჰუგო ვაინშენკის უკანასკნელი ბარათი. მას შემდეგ დირექტორის ასავალ-დასავალი კაციშვილს აღარ გაუგია, თუმცა მოგვიანებით ამგვარ საქმეებში გამოცდილი ფრაუ პერმანედერი ჩვეული ენერგიით შეუდგა სიძის ძებნას. როგორც თვითონ დიდის ამბით აცხადებდა, ამას მხოლოდ ერთი მიზნით აკეთებდა: უნდოდა ცოლ-შვილის ასე ვერაგულად მიტოვებისთვის განქორწინების საქმე აღეძრა ვაინშენკის წინააღმდეგ, მაგრამ ამაოდ, ჰუგო ვაინშენკის კვალს ვეღარ მიაგნეს და ერიკა ვაინშენკი პატარა ელიზაბეტთან ერთად დედასთან, ლინდენპლაცზე მდებარე ნათელ ბინაში დარჩა საცხოვრებლად.

მეხუთე თავი

ის ქორწინება, საიდანაც პატარა იოჰანი წარმოიშვა, ქალაქში აქამდე ჰქონდათ სალაპარაკოდ და ამ ამბავს მომხიბლაობა არასოდეს დაუკარგავს. ნამდვილად ახასიათებდა ორივე ცოლ-ქმარს რაღაც ექსტრავაგანტური და იდუმალი და ეს ქორწინებაც, ბუნებრივია, რაღაც უჩვეულოს, რაღაც დამაფიქრებელს შეიცავდა. ცოლ- ქმრის გარეგნულ ურთიერთობას ყველა ხედავდა, მათ ცხოვრებაში უფრო ღრმად ჩახედვა კი ძნელი, მაგრამ, სამაგიეროდ, საინტერესო ამოცანა იყო. სასტუმრო და საძინებელ ოთახებში, კლუბებსა და კაზინოებში, ბირჟაზეც კი ხალხი გერდასა და თომას ბუდენბროკზე მით უფრო ბევრს ლაპარაკობდა, რაც უფრო ნაკლები იცოდნენ მათზე.

როგორ იპოვა ამ ორმა ადამიანმა ერთმანეთი და როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან? ქალაქში კარგად ახსოვდათ, ამ თვრამეტი წლის წინ, ოცდაათი წლის თომას ბუდენბროკმა როგორი სიმტკიცე გამოიჩინა. „ეს და სხვა არავინო“, - ეს მისი სიტყვები გახლდათ, ალბათ, გერდასაც ასევე დაემართა, თორემ ოცდაშვიდ წლამდე ისე მიაღწია, რომ ამსტერდამში ყველას ცივი უარით ისტუმრებდა, თომას ბუდენბროკს კი უყოყმანოდ გამოჰყვა ცოლად. მაშ, სიყვარულით დაქორწინებულანო, გულში ფიქრობდა ხალხი. ძალიან უჭირდათ, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდათ, უნდა ეღიარებინათ, რომ გერდას სამასი ათასი მარკა ამ ქორწინებაში
მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა. თუმცა ის გრძნობა, რასაც სიყვარულს ეძახიან, ამ ორ შორის პირველ ხანებშიც კი ნაკლებად შეიმჩნეოდა - მათ ურთიერთობაში თავიდანვე მხოლოდ თავაზიანობა და მეუღლეთა შორის ესოდენ იშვიათი, კორექტული ურთიერთპატივისცემა იგრძნობოდა. ეს თავაზიანობა და პატივისცემა ყველას გასაოცრად შინაგანი გათიშვისა და უცხოობის ბრალი კი არ იყო, ერთმანეთისადმი მეტისმეტად თავისებური, უსიტყვო, ღრმა ნდობისა, ერთმანეთის ბუნების ცოდნის, ხათრისა და ყურადღების ნაყოფი ჩანდა. ამ ურთიერთობაზე წლებს

იოტისოდენადაც არ უმოქმედია. მხოლოდ ეს იყო, მათ შორის უმნიშვნელო ასაკობრივმა სხვაობამ ამ ბოლო დროს ერთბაშად იჩინა თავი.

ცოლ-ქმრის მნახველს მაშინვე ერთი რამ ეცემოდა თვალში: ქმარი უკვე მობერებული, სიმსუქნეშეპარული კაცი იყო, გვერდში კი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ცოლი ედგა. ყველა ფიქრობდა, რომ თომას ბუდენბროკი ამ მოკლე ხანში საგრძნობლად მოტყდა. დიახ, ეს სიტყვა მისთვის ზედგამოჭრილი გახლდათ, თუმცა სენატორი მუდამ ცდილობდა, ასაკი, ცოტა არ იყოს, სასაცილო მედიდურობით დაეფარა. გერდა კი ამ თვრამეტ წელიწადში თითქმის არ შეცვლილა, თითქოს საკუთარი არსებიდან მობერილი ნერვიული სიცივე ამ ქალს უცვლელად ინახავდა. მის სპილენძისფერ თმას ფერი არ გახუნებია, მშვენიერ, თეთრ სახეს ნაკვთების პროპორციულობა არ დაუკარგავს, კენარ ტანს ძველებური მედიდურობა არ დაჰკლებია. ოდნავ პატარ- პატარა, ახლო-ახლოს განლაგებული მუქი წაბლისფერი თვალების კილოებთან მოლურჯო ჩრდილებიც ძველებურად აჩნდა. ძნელი სანდო იყო ეს თვალები. ისინი უცნაურად იყურებოდნენ, კაცი ვერ გაიგებდა, ამ თვალებში რა იმალებოდა. ეს ცივი, თავშეკავებული, გულჩათხრობილი და მიუკარებელი ქალი, რომელიც სითბოს ნიშანწყალს მხოლოდ მუსიკისთვის ინახავდა, გაურკვეველ ეჭვს იწვევდა. ხალხი თავის ოდნავ მოძველებულ სიბრძნეს იშველიებდა და ცდილობდა ეს სიბრძნე სენატორ ბუდენბროკის მეუღლის წინააღმდეგ მიემართა. იმ მდინარის გეშინოდეს, რომელიც არ ხმაურობსო, - ირწმუნებოდნენ ისინი. ბევრს კლავდა სურვილი, მათი ამბავი როგორმე გაეგო და მეტი სცოდნოდა. მათი გულუბრყვილო ფანტაზია ერთ ვარაუდამდე მივიდა: არ შეიძლება მშვენიერი გერდა თავის სიბერეში შესულ ქმარს
არ ღალატობდესო.

ისინი გაფაციცებულნი იყვნენ და დიდხანს არ გაუვლია, რომ ერთხმად დაასკვნეს: გერდა ბუდენბროკი ბატონ ლეიტენანტ ფონ თროტასთან ურთიერთობაში, რბილად რომ ვთქვათ, თავს ცოტა ზედმეტ თავისუფლებას აძლევსო.

რენე მარია ფონ თროტა, წარმოშობით რაინელი, ქალაქში დაბანაკებულ ერთ-ერთ ფეხოსან ბატალიონში მსახურობდა. თეთრ შუბლზე გადავარცხნილ, გვერდზე გაყოფილ ხშირ, ხვეულ შავ თმას მუნდირის წითელი საყელო ძალიან შვენოდა. თუმცა წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო, მთელ მის გარეგნობას, მიხრა-მოხრას, ლაპარაკისა და დუმილის მანერას მხედრული იერის ნიშანწყალიც კი არ ეცხო. ლეიტენანტს
უყვარდა ნახევრად გახსნილი მუნდირის ღილებს შორის ხელის შეცურება, ხოლო თუ იჯდა, ლოყა ხშირად ხელისგულზე ჰქონდა დაყრდნობილი. მისალმების დროსაც არ იჯგიმებოდა მხედრულ ყაიდაზე, ქუსლებს ერთმანეთზე არასოდეს მიარტყამდა და სამხედრო მუნდირიც დაკუნთულ სხეულზე სამოქალაქო კოსტიუმივით უდიერად და გუნებიერად ჰქონდა მორგებული. ბიჭურად შეკრეჭილი, ტუჩის კუთხეებამდე მისული ვიწრო ულვაშებიც ისე ეყენა, რომ მისი ბოლოების აპრეხა შეუძლებელი იყო. ეს ულვაშები, თავის მხრივ, კიდევ უფრო ნაკლებად ამსგავსებდა მეომარს. ყველაზე საოცარი ლეიტენანტს თვალები ჰქონდა: ფართო, არაჩვეულებრივად მბრწყინავი,

შავი თვალები სიშავისგან უძირო, ანთებულ ორმოებს მიუგავდა. ფონ თროტა საგნებსა და ადამიანებს მეოცნებე, სერიოზული და მოციმციმე თვალებით შეჰყურებდა.

ეჭვი არ იყო, ლეიტენანტს სამხედრო საქმის სიყვარული ნაკლებად ამოძრავებდა. არმიაში, ალბათ, თავისდა უნებურად შესულიყო. ამით თუ აიხსნებოდა, რომ ჯან- ღონით აღსავსე კაცი სამსახურში თავს ვერაფრით იჩენდა და ამხანაგებშიც სიყვარულით ვერ სარგებლობდა. მისი ამხანაგების ინტერესები და მისწრაფებანი - ძლევამოსილი ლაშქრობიდან ახლახან დაბრუნებული ახალგაზრდა ოფიცრების ინტერესები და მისწრაფებანი - ლეიტენანტისთვის უცხო ხილი იყო. ამხანაგებში უხასიათო, ექსტრავაგანტური და თავკერძა კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მუდამ მარტოდმარტო დასეირნობდა, არც ცხენები უყვარდა და არც ნადირობა, არც ბანქოს თამაშობდა და არც ქალებს ეტანებოდა, მთელი გულისყური მუსიკისკენ ჰქონდა მიმართული. თვითონ რამდენიმე ინსტრუმენტზე უკრავდა, მის ანთებულ თვალებს და არამხედრულ, ერთსა და იმავე დროს უდიერად და არტისტულად მოსხლეტილ ფიგურას ყველა ოპერასა და კონცერტზე დაინახავდით, კლუბსა და კაზინოს კი ლეიტენანტი სათოფეზე არ ეკარებოდა.

ავად თუ კარგად, ფონ თროტამ ვიზიტებით მოიარა წარჩინებული ოჯახები, მაგრამ შემდეგ ყველა მიპატიჟებაზე უარს ამბობდა და ძირითადად მხოლოდ ბუდენბროკებთან დადიოდა. ხშირად, ხალხის და თვით სენატორის აზრითაც, მეტისმეტად ხშირად დადიოდა.

არავინ იცოდა, თომას ბუდენბროკის გულში რა ხდებოდა და ეს არც არავის უნდა სცოდნოდა. სწორედ მთელი ქვეყნისგან თავისი ურვისა და სიმძიმილის დაფარვა იყო ასე საშინლად ძნელი. ხალხის თვალში თომას ბუდენბროკი თანდათან სასაცილო ხდებოდა, მაგრამ მათ ოდნავ მაინც რომ ეგრძნოთ, როგორ ძრწოდა შიშით სენატორი, სასაცილო არ გავხდეო, ალბათ, გული მოულბებოდათ და მის მასხრად აგდებაზე ფიქრსაც კი უკუაგდებდნენ. ხალხმა არც ის იცოდა, რომ მოახლოებული საშიშროება თომას ბუდენბროკმა გაცილებით ადრე იგრძნო, მანამდე, ვიდრე ვინმეს ეს აზრი თავში მოუვიდოდა. მისი კუდაბზიკობაც, მრავალგზის მასხრად აგდებული მისი
„კუდაბზიკობაც“, უფრო ამ სიმძიმილის ნაყოფი იყო. თომას ბუდენბროკმა პირველმა შენიშნა ეჭვით გაფაციცებული თვალით, რომ მასა და გერდას შორის გარეგნული სხვაობა თანდათან ხელშესახები ხდებოდა. გერდასთვის წლებს თითქოს ვერაფერი დაეკლო, თვითონ კი მოხუცივით გამოიყურებოდა. ახლა, როცა მის სახლში ბატონი ფონ თროტა გამოჩნდა, თომას ბუდენბროკი იძულებული გახდა, თავისი დარდი შემორჩენილი სულიერი ძალით დაეთრგუნა და დაეფარა, რომ მარტო ნაღვლის გამომჟღავნებითაც კი თავისი სახელი საყოველთაო დაცინვის საგნად არ გაეხადა.

თავისთავად გასაგებია, გერდა ბუდენბროკი და ახალგაზრდა ახირებული ოფიცერი ერთმანეთს მუსიკის მეშვეობით დაუახლოვდნენ. ბატონი ფონ თროტა ჩინებულად

უკრავდა ფორტეპიანოზე, ვიოლინოზე, ალტზე, ვიოლონჩელსა და ფლეიტაზე. სენატორი ფონ თროტას მოსალოდნელ ვიზიტს წინასწარ იგებდა, როცა ზურგზე ვიოლონჩელის ბუდემოკიდებულ დენშჩიკს დაინახავდა ხოლმე; დენშჩიკი მარდად ჩაუვლიდა მისი კაბინეტის მწვანე თეჯირებს და სადარბაზო შესასვლელში გაუჩინარდებოდა. თომას ბუდენბროკი გაუნძრევლად იჯდა საწერ მაგიდასთან და მანამდე იცდიდა, სანამ სახლში გერდას მეგობარიც არ შემოვიდოდა და მის თავს ზემოთ, სალონში, ჰანგები არ დაირხეოდა. ჰანგები მღეროდნენ, მოთქვამდნენ და ზეადამიანური აღტყინებით, დაკრუნჩხული, ხან სალოცავად აპყრობილი ხელებით მიილტვოდნენ ზეცისკენ, გიჟური, ზეაწეული ექსტაზის მიღწევის შემდეგ კი სუსტდებოდნენ და უკუნეთსა და სიჩუმეში ქვითინით იკარგებოდნენ. დაე, ედინათ ამ ჰანგებს, ეხმაურათ, ეტირათ და ეკისკისათ, აქაფებულები ერთმანეთს შემოჭდობოდნენ და ზებუნებრივი ხმები გამოეცათ, როგორც ნებავდათ, ისე მოქცეულიყვნენ, მხოლოდ ნუ მიყუჩდებოდნენ! ყველაზე საშინელი, ყველაზე მტანჯველი მაინც სიჩუმე იყო, მათ შემდეგ ჩამოვარდნილი სიჩუმე, რომელიც იქ, ზევით, სალონში ხანგრძლივად ისადგურებდა. ეს სიჩუმე მეტისმეტად ღრმა და უსიცოცხლო იყო და ძრწოლას იწვევდა. იატაკს ერთი ნაბიჯის ხმა არ არყევდა, სკამსაც კი არავინ გაახმაურებდა, ბიწიერი, მუხანათური, უტყვი, მეტისმეტად უტყვი სიჩუმე იყო ჩამოვარდნილი. მაშინ თომას ბუდენბროკი იჯდა და ტანში ისეთი შიშის ჟრუანტელი უვლიდა, რომ ხანდახან წყნარი კვნესა აღმოხდებოდა ხოლმე.

რა აშინებდა თომას ბუდენბროკს? ისევ დაინახა ხალხმა მის სახლში შესული ბატონი ფონ თროტა და თომას ბუდენბროკს შეეძლო ეს სურათი გარეშეს თვალით წარმოედგინა. თვითონ, სიბერეში შესული, გამოუსადეგარი, უჟმური კაცი, ქვევით, კანტორაში ზის ფანჯარასთან, ამ დროს კი მისი ლამაზი ცოლი თავის თაყვანისმცემელთან მუსიკით ერთობა და არა მარტო მუსიკით... დიახ, ასე წარმოუდგენია ხალხს და თომას ბუდენბროკმა ეს იცოდა. ისიც იცოდა, რომ ბატონ ფონ თროტას თაყვანისმცემლის სახელი ნაკლებად შეეფერებოდა. აჰ, თითქმის ბედნიერი იქნებოდა, მისი ამ სახელით მონათვლა რომ შესძლებოდა, მაშინ ფონ თროტას თავქარიან, რეგვენ, უბრალოდ ბიჭბუჭად ჩათვლიდა და ზიზღით მოეკიდებოდა, ისეთ ყმაწვილად ჩათვლიდა, რომელიც მუსიკით ყოყლოჩინობს და ქალების გულსაც ამით იპყრობს. თომას ბუდენბროკი არაფერს დაიშურებდა, რომ ფონ თროტა სწორედ ასეთ კაცად მოენათლა. მხოლოდ და მხოლოდ ამისთვის უხმობდა თავის მამა-პაპის ინსტინქტს! ცდილობდა, დარდიმანდულ, ზერელე და საქმეში გულარძნილ სამხედრო კასტის წარმომადგენელს შრომისმოყვარე და ხელმომჭირნე ვაჭრის უნდობლობით მოჰკიდებოდა. ამიტომ იხსენიებდა ირონიით თავის გულშიაც და ხმამაღლაც ბატონ ფონ თროტას ლეიტენანტად. თუმცა ზედმიწევნით კარგად გრძნობდა, რომ ეს სახელი ამ ახალგაზრდა კაცის ბუნების გამოსახატავად ყველაზე შეუფერებელი გახლდათ.

რა აშინებდა თომას ბუდენბროკს? არაფერი... არაფერი ხელშესახები. აჰ, ნეტავ რაიმე ხელშესახების, მარტივისა და უხეშის წინააღმდეგ სჭირდებოდეს ამხედრება! ამიტომ

შურდა იმათი, ვისაც თავისი უბედურება ნათლადა აქვს წარმოდგენილი. თვითონ უძრავად იჯდა, თავი ხელებზე დაეყრდნო, ტანჯვით გულგათანგული სმენად იყო გადაქცეული და მშვენივრად გრძნობდა, რომ სიტყვები: „ღალატი“ და „ოჯახის დანგრევა“ მეტისმეტად უძლური იყო იმ ხმიერი და სამარისებურად ჩუმი ამბის გამოსახატავად, რაც იქ, ზევით ხდებოდა.

ზოგჯერ, როცა გარეთ რუხ ფრონტონებს ან გამვლელებს შეავლებდა თვალს, ან მზერას საიუბილეო საჩუქარზე, მამა-პაპის პორტრეტებზე შეაჩერებდა და თავისი ოჯახის ისტორიას მოიგონებდა, თომას ბუდენბროკი თავის თავს ეუბნებოდა, აღსასრული დამდგარია და ჩემს ოჯახს ეს თავის მოჭრაღა აკლდაო. დიახ, ესღა აკლდა, თვითონაც მასხრად ასაგდები გამხდარიყო და მისი სახელი, მისი ოჯახი ხალხის სალაპარაკოდ გაეხადა. მის თავზე დატეხილი უბედურებანი სწორედ ასე უნდა დაგვირგვინებულიყო. საოცარია, მაგრამ ეს ფიქრი თითქმის შვებასაც კი ჰგვრიდა. მის თავზემოთ გამართულ მისტერიულ სკანდალზე, იმ სამარცხვინო გამოცანაზე თავის ტეხასთან შედარებით ეს აზრი მარტივი, გასაგები და ჯანსაღი ეჩვენებოდა. ამ აზრს, ყოველ შემთხვევაში, ფიქრითა და ენით გამოთქვამდი მაინც.

თომასს მეტის გაძლება აღარ შეეძლო, სავარძელს უკან გასწევდა, კანტორიდან გამოვიდოდა და ზევით ადიოდა ხოლმე, მაგრამ საით უნდა წასულიყო? ვითომ სალონში შესვლა ჯობდა? ჯობდა ფონ თროტას ძალდაუტანებლად, მაგრამ ოდნავ ქედმაღლურად მისალმებოდა, ვახშამზე მოეპატიჟებინა და უკვე მერამდენედ, მისი უარი მოესმინა? არც ის იყო ადვილი ასატანი, რომ ლეიტენანტი მას აშკარად გაურბოდა და ოფიციალურ მოპატიჟებაზე თითქმის ყოველთვის უარს ეუბნებოდა. ფონ თროტას ერჩია, სენატორის მეუღლესთან თავისუფალი, პირადი ურთიერთობა გაეგრძელებინა.

იქნებ დაეცადა თომას ბუდენბროკს? ლეიტენანტის წასვლამდე თამბაქოს მოსაწევ ოთახში, ან სადმე დაეცადა, მერე გერდასთან შესულიყო და მოლაპარაკებოდა? მაგრამ გერდას რომ კაცი სიტყვას ვერ დააცდენინებს, სალაპარაკოდ რომ ვერ გამოიწვევს? ანდა რა ჰქონდა სალაპარაკო? მათი კავშირი ხომ ურთიერთგაგებაზე, ხათრსა და დუმილზე იყო დაფუძნებული. განა ღირს, მის თვალშიაც სასაცილო გახდეს? ეჭვიანი ქმრის როლის თამაში ხალხისთვის სალაპარაკო საბაბის მიცემას, თავის მოჭრას, სკანდალის გახმაურებას ნიშნავდა... ეჭვიანობდა კი თომას ბუდენბროკი? ვისზე? რაზე? აჰ, იოტისოდენადაც არა! ეჭვიანობა ისეთი ძლიერი გრძნობაა, ისე იცის კაცის შეპყრობა და გაშმაგება, რომ მცდარ, იქნებ გიჟურ, მაგრამ შვების მომგვრელ საქციელს ჩაადენინებს. არა, თომას ბუდენბროკს მხოლოდ ცოტა ეშინოდა, მთელი თავისი უბედურების წინაშე მხოლოდ უილაჯო შიშს გრძნობდა.

ავიდოდა თავის გარდერობში, შუბლს ოდეკოლონით გაიგრილებდა და კვლავ მეორე სართულს მიაშურებდა: გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, დაერღვია სალონში ჩამოვარდნილი სიჩუმე. მაგრამ თეთრი კარის მოოქრულ შავ

სახელურს ხელს ჩაავლებდა თუ არა, მუსიკა კვლავ ქარიშხალივით აიწყვეტდა და ისიც უკან იხევდა, საჯალაბო კიბით ძირს ჩამოვიდოდა, ქვით მოპირკეთებული ტალანით ბაღამდე მივიდოდა და კვლავ უკან ბრუნდებოდა. დათვის ფიტულთან და სადარბაზო კიბის მოსახვევში დადგმულ ოქროს თევზებიან აკვარიუმთან აფუსფუსდებოდა, წრიალებდა, ადგილს ვერ პოულობდა, სმენად გადაქცეულს სირცხვილი და ნაღველი სწვავდა, გაუმჟღავნებელი და საჯაროდ ქცეული სკანდალის შიში ერთნაირად თრგუნავდა და ბოლოს უღებდა.

ერთხელ, ასეთ წუთებში, როცა თომას ბუდენბროკი მესამე სართულის გალერეაზე მიყრდნობილი იდგა და კიბეს მდუმარედ ჩასცქეროდა, პატარა იოჰანი თავისი ოთახიდან გამოვიდა, „აივნის“ საფეხურები ჩამოიარა და გეზი იდა იუნგმანის ოთახისკენ აიღო. ჰანო რაღაც წიგნს კედელზე მოახახუნებდა და ის იყო თვალდახრილს მამისთვის წყნარი სალმით უნდა აევლო გვერდი, რომ სენატორი გამოელაპარაკა:

- რას აკეთებ, ჰანო?

- ვმეცადინეობ, მამა. იდასთან მივდივარ, გაკვეთილი უნდა წავუკითხო.

- როგორაა საქმეები? რა გაქვს მოცემული?

ჰანომ ჩვეულებისამებრ დახარა წამწამები, ნერწყვი გადაყლაპა, აშკარად დაიძაბა, უნდოდა პასუხი სწორი, ნათელი და თამამი გამოსვლოდა და სხაპასხუპით მიუგო:

- მოცემული მაქვს ნაწყვეტი ნეპოს მატიანედან, სუფთად უნდა გადავწეროთ სააღრიცხვო ფორმულარი, ფრანგული გრამატიკა, ჩრდილოეთ ამერიკის მდინარეები... გერმანული თხზულების გასწორება...

ჰანო გაჩუმდა. თავბედს იწყევლიდა, რომ ბოლოს „და“ არ ჩაურთო და ხმასაც არ დაუწია. ჩამოსათვლელი აღარაფერი ჰქონდა, პასუხი კი მაინც არეულ-დარეული და დაუმთავრებელი გამოუვიდა.

- მეტი არაფერი, - რაც შეეძლო მტკიცედ დასძინა მან, ისე, რომ თავი არ აუწევია.

მაგრამ მამას თითქოს არც შეუმჩნევია ეს. სენატორს ჰანოს თავისუფალი ხელი ხელებში მოემწყვდია და ბავშვის სუსტ მაჯაზე თითებს ანგარიშმიუცემლად ათამაშებდა. აშკარად ეტყობოდა, შვილის პასუხი არც გაუგონია.

უცებ ჰანოს ისეთი სიტყვები მოესმა, რასაც წეღანდელ საუბართან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, მამის ჩუმი, შიშნარევი, თითქმის მავედრებელი ხმა გაიგონა. ასეთი ხმა ჰანოს მამისგან ჯერ არ მოესმინა.

- აი, ლეიტენანტი უკვე ორი საათია დედასთანაა... ჰანო... - თქვა სენატორმა.

ამ ხმის გაგონებაზე პატარა იოჰანმა ფართოდ გაახილა მოოქროსფრო წაბლისფერი თვალები და მამას სახეში ნათელი და სიყვარულით აღსავსე მზერა შეაგება, მამის ჩაწითლებულ ქუთუთოებს, მის უფერულ წარბებს, გადატეტკილ, ოდნავ შეშუპებულ ლოყებს, რომლებსაც უფრო მკაფიოდ აჩნდა გრძელი, ბოლოებაპრეხილი ულვაშები, სიყვარულით შეავლო თვალი. უფალმა უწყის, ბავშვი რას მიხვდა, მაგრამ ერთი რამ
კი უეჭველი იყო და ეს ორივემ იგრძნო: იმ წუთებში, როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, მამასა და შვილს შორის უკვალოდ გაქრა უცხოობა, სიცივე, ყოველგვარი ძალდატანება და გაუგებრობა. ამიერიდან თომას ბუდენბროკს შეეძლო ყველგან, სადაც კი ენერგია, შრომისმოყვარეობა და მხნეობა კი არა, არამედ შიში და ტანჯვა იყო გასაზიარებელი, შვილის ერთგულებისა და სიყვარულის იმედი ჰქონოდა.

თომას ბუდენბროკი ცდილობდა გულისხმას არ აჰყოლოდა და ეს გრძნობა არ შეემჩნია. ჰანოს იმ ხანებში უფრო მკაცრად ამზადებდა მომავალი საქმიანი ცხოვრებისთვის, ვიდრე ოდესმე, ამოწმებდა მის სულიერ ძალას, აიძულებდა თავისი მომავალი სპეციალობისადმი ხალისი გამოემჟღავნებინა და სიბრაზისგან გონი ეკარგებოდა, როცა შვილს წინააღმდეგობას ან გულგრილობას შეამჩნევდა. საქმე ის იყო, რომ თომას ბუდენბროკს, ორმოცდარვა წლის კაცს, თავისი დღეები დათვლილად მიაჩნდა და მოახლოებული სიკვდილის წინ თადარიგს იჭერდა.

სენატორს ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა. უმადობა, უძილობა, თავბრუსხვევა და ჩვეული შემცივნება ხშირად აიძულებდა დოქტორ ლანგჰალსისთვის მიემართა, მაგრამ ექიმის დანიშნულ რეჟიმსაც ვერ ასრულებდა. ამისთვის წლების განმავლობაში მომქანცველი უმოქმედობისგან დადამბლავებული ნებისყოფა აღარ ჰყოფნიდა. ახლა დილაობით გვიანობამდე ეძინა ხოლმე, თუმცა ყოველ საღამოს საკუთარ თავზე გაბრაზებული იფიცებოდა, დილას ადრე ავდგები და ექიმის რჩევისამებრ ჩაის დალევამდე ფეხით ვისეირნებო. სინამდვილეში ეს რჩევა ერთი- ორჯერ თუ შეასრულა. ნებისყოფის მუდმივი, უშედეგო დაძაბვა, მუდმივი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა საკუთარი თავისადმი პატივისცემას უკარგავდა და ამ გრძნობას სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა. სიყმაწვილიდანვე მიჩვეულ მაგარ რუსულ პაპიროსებს ვერაფრით ელეოდა და ახლაც უამრავს ეწეოდა. ამპარტავნულად ცხვირაბზუებულ დოქტორ ლანგჰალსს კი მოურიდებლად ეუბნებოდა:

- ხომ ხედავთ, ექიმო, ჩემთვის პაპიროსის აკრძალვა თქვენი მოვალეობაა და უნდა მოგახსენოთ, ძალიან იოლი და სასიამოვნო მოვალეობაც გახლავთ, მაგრამ თქვენს ბრძანებას დავემორჩილები თუ არა, ეს ჩემი საქმეა! თქვენ თვალყურის დევნებაღა დაგრჩენიათ... არა, ჩემს ჯანმრთელობაზე ორივემ ერთად კი უნდა ვიზრუნოთ, მაგრამ როლები უსამართლოდ რომ არის განაწილებული?! მე გაცილებით დიდი ჯაფა მადგება. ნუ გეცინებათ!.. მე არ ვხუმრობ... იცით, რა ძნელია მარტოობა? მე უნდა მოვწიო. თქვენც ხომ არ ინებებთ? - ეუბნებოდა იგი დოქტორ ლანგჰალსს და ტულაში გამოჭედილ სათუთუნეს აწვდიდა.

თომას ბუდენბროკს დღითი დღე ელეოდა ძალ-ღონე. მხოლოდ ერთი აზრი იდგამდა მის სულში მძლავრ ფესვებს, რომ მისი წამება დიდხანს აღარ გაგრძელდებოდა - აღსასრული მოახლოებული იყო. ბოლო დროს უცნაური წინათგრძნობები შემოესია. სადილობისას ხშირად ეჩვენებოდა, თითქოს თავისიანებში კი არ იჯდა, მათ საიდანღაც, უსასრულო სიშორიდან შესცქეროდა. „მე მოვკვდები“, - ეუბნებოდა თავის თავს იგი, მერე კვლავ ჰანოს უხმობდა და ჩასჩიჩინებდა:

- მე შეიძლება უფრო ადრე მოვკვდე, ვიდრე ჩვენ ყველას გვგონია, შვილო. ჩემი ადგილი შენ უნდა დაიკავო! მეც ადრე ჩავები საქმეში... მიმიხვდი, ბოლოს და ბოლოს, რომ შენი გულგრილობა სიცოცხლეს მისწრაფებს! გადაწყვიტე თუ არა? ჰო, ჰო, - ეს პასუხი არ არის, არა! გეკითხები, მთელი სულით და გულით მზადა ხარ თუ არა, ჩემი ადგილი დაიკავო? იქნებ გგონია, იმდენი ფული გაქვს, რომ მუშაობა არ დაგჭირდება? არაფერი გაგაჩნია, ძალიან ცოტა გაქვს, სავსებით შენს თავზე ხარ დამოკიდებული!
თუ ცხოვრება გინდა და კარგი ცხოვრება, უნდა იშრომო, მძიმე დაძაბული შრომა მოგიწევს, ჩემზე უფრო მძიმე.

მაგრამ თომას ბუდენბროკს მარტო შვილისა და თავისი ფირმის მომავალზე ფიქრი არ ტანჯავდა. რაღაც ახალი, სხვა გრძნობა შემოიჭრა მის სულიერ ცხოვრებაში და მისი მოდუნებული აზრები დაიპყრო. როგორც კი იგრძნო აღსასრულის მოახლოება, სიკვდილი მისთვის ხელშესახებ, მოახლოებულ აუცილებლობად გადაიქცა. აქამდე სიკვდილი გონებაში მხოლოდ თეორიულად არსებულ მოვლენად ესახებოდა, იგი ჯერ თითქოს სათვალავშიც არ იყო ჩასაგდები, ახლა კი იგრძნო, რომ
სიკვდილისთვის სულიერად სჭირდებოდა შემზადება. ამიტომ ათენებდა ფიქრში ღამეებს, საკუთარ სულიერ სამყაროში იქექებოდა, უნდოდა სიკვდილსა და იმქვეყნიურ ცხოვრებასთან თავისი დამოკიდებულება შეემოწმებინა, მაგრამ
პირველი ცდისთანავე მიხვდა, რომ სიკვდილისთვის სულიერად მოუმზადებელი და მოუმწიფებელი იყო.

ღრმა რწმენა, ფანატიკური ქრისტიანობა, რასაც მამამისი პრაქტიკულ ჭკუას ჩინებულად უფარდებდა და შემდეგ დედამისსაც შეეთვისებინა, მისთვის
ყოველთვის უცხო იყო. საგანთა საწყისსა და დასასრულს თომას ბუდენბროკი მთელი სიცოცხლე ბაბუასეული, ერისკაცური სკეპტიციზმით ეკიდებოდა. მაგრამ მის გაცილებით ღრმა და სულიერად მდიდარ, მეტაფიზიკისკენ გადახრილ ბუნებას მოხუცი იოჰან ბუდენბროკის ზედაპირულობა ვერ დააკმაყოფილებდა, მარადიულობისა და უკვდავების კითხვებს იგი ისტორიული თვალსაზრისით უპასუხებდა და თავის თავს შთააგონებდა, რომ იგი ცხოვრობდა წინაპრებში და იცხოვრებდა თავის შთამომავლობაში. ეს აზრი მარტო გვარის გაგრძელების ინსტინქტს, მის პატრიოტულ თვითშეგნებასა და ოჯახის ისტორიისადმი პატივისცემას კი არ ეთანხმებოდა, სენატორს მოღვაწეობაშიც შველოდა, მის პატივმოყვარეობასა და მთელ ცხოვრებას ბიძგს აძლევდა და ძალას მატებდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სიკვდილის მოახლოებულ, ყოველისმხედველ თვალთა წინაშე ეს

აზრი გაცამტვერდა, არარად იქცა და იმის უნარიც კი აღარ შესწევდა, მისთვის ერთი საათით მაინც მიენიჭებინა სიმშვიდისა და სიკვდილისთვის მზადყოფნის გრძნობა.

თომას ბუდენბროკი სიცოცხლეში ხშირად კეკლუცობდა კათოლიციზმისადმი სიმპათიით, მაგრამ მაინც ჭეშმარიტი, ვნებიანი პროტესტანტის სერიოზული, ღრმა, თითქმის თვითგვემამდე მისული, მკაცრი და ულმობელი პასუხისმგებლობის გრძნობით იყო განმსჭვალული. არა, ღვთის სამსჯავროს წინაშე წარმდგარს ვერავითარი გარეგანი მხარდაჭერა, ვერც ცოდვებისგან განწმენდა, ვერც თავდავიწყება და ვერც ნუგეში ვერას უშველიდა. მარტოდმარტოს, სანამ გვიან არ იყო, თვითონ, თავისი ძალით, წვითა და დაგვით უნდა ამოეხსნა წუთისოფლის გამოცანა, სიკვდილს ან მომზადებული უნდა შეჰგებებოდა, ან სული უფლისთვის სასოწარკვეთილებაში მყოფს უნდა მიებარებინა. და გულგატეხილმა, იმედგაცრუებულმა თომას ბუდენბროკმა პირი იბრუნა თავისი ერთადერთი ძისგან, ვის არსებაშიც იმედი ჰქონდა, რომ ღონივრად, გაახალგაზრდავებული გააგრძელებდა სიცოცხლეს და გაფაციცებული, დამფრთხალი შეუდგა ჭეშმარიტების ძიებას, რომელიც მისთვის სადღაც უნდა არსებულიყო.

1874 წლის შუა ზაფხული იდგა. ფიშერგრუბეზე, სიმეტრიულად დაკვალული ბაღის თავზე გადმომხობილ მუქლურჯ ცარგვალზე ვერცხლისფერი ქულა ღრუბლები მიიზლაზნებოდნენ. კაკლის ხის ტოტებში ჩიტები ისე ჟღურტულებდნენ, თითქოს ერთმანეთს რაღაცას ეკითხებიანო. ტანწერწეტა, ლილისფერი ზამბახებით შემოჯარული შადრევანი ჩქაფუნობდა და იასამნების სურნელი მახლობელი შაქრის ქარხნიდან მომავალ ვაჟინის სუნს ერთვოდა. მოხელეების გასაოცრად, ახლა სენატორი გახურებული მუშაობის დროსაც ხშირად ტოვებდა კანტორას, ხელებს ზურგზე შემოიწყობდა, ბაღში გავიდოდა, ხრეშს შეასწორებდა, შადრევანს შლამისგან გაასუფთავებდა ან ვარდის ტოტს ბიჯგს შეუყენებდა. ამ დროს ქერა წარბაზიდული სახე ისე ჰქონდა დაძაბული, თითქოს მთელი ყურადღება ამ საქმიანობაზე აქვს გადატანილიო, სინამდვილეში კი მისი ფიქრები წყვდიადით მოცული, საკუთარი, მძიმე გზით დაქროდნენ.

ხანდახან სენატორი ტერასაზე დაჯდებოდა ვაზით შებურულ თალარში და უჩინო მზერას ბაღის სიღრმეში წითლად მოკიაფე სახლის უკანა კედელს არ აცილებდა. ჰაერი თბილი და ტკბილი იყო, ირგვლივ მოჩქაფუნე მშვიდობიანი ხმები კი თითქოს ნუგეშს სცემდნენ და ანანავებდნენ თომას ბუდენბროკს. სიცარიელეში მზერით, სიმარტოვითა და დუმილით დაღლილს თვალები ელულებოდა, მაგრამ მყისვე გაახელდა ხოლმე და ნებიერი თვლემისგან გამოერკვეოდა.

- უნდა ვიფიქრო, - თითქმის ხმამაღლა ამბობდა იგი, - ყველაფერი უნდა მოვაწესრიგო, სანამ გვიან არ არის...

ერთ დღეს, სწორედ ამ პავილიონში, ყვითელი ლერწმის საქანელაში გადაწოლილ თომას ბუდენბროკს ოთხ საათს არ აუღია თავი ერთი წიგნიდან. ეს წიგნი ნახევრად

შეგნებულად, ნახევრად შემთხვევით მოხვდა მის ხელში. მეორე საუზმის შემდეგ, პირში პაპიროსგაჩრილმა თომას ბუდენბროკმა წიგნი თამბაქოს მოსაწევ ოთახში, წიგნების კარადის ღრმა კუნჭულში აღმოაჩინა სქელტანიანი ტომების უკან მიმალული და გაახსენდა, რომ ოდესღაც ბუკინისტისგან საკმაოდ იაფად ჰქონდა შეძენილი. ეს იყო კარგა სქელტანიანი, თხელ, მოყვითალო ქაღალდზე უხარისხოდ დაბეჭდილი და ცუდად აკინძული წიგნი, ცნობილი მეტაფიზიკური სისტემის მხოლოდ მეორე ნაწილი. თომას ბუდენბროკმა წიგნი ბაღში თან გაიყოლა და ახლა გვერდს გვერდზე გატაცებით ფურცლავდა.

აქამდე უცხო, უზარმაზარი, მადლიერი კმაყოფილებით აღივსო თომას ბუდენბროკი, შეუდარებელი სისავსის გრძნობა დაეუფლა; ხედავდა, ეს ძლიერი ტვინი ცხოვრებას როგორ ეუფლებოდა, ამ ღონიერ, საშინელ, დამცინავ ცხოვრებას, რათა იგი დაეძლია და განესაჯა. თომას ბუდენბროკმა იმ ტანჯული კაცის კმაყოფილება იგრძნო, რომელსაც წუთისოფლის სიცივისა და სიმკაცრის წინაშე სირცხვილისა და სინდისის ქენჯნის გამო ვერ გაემხილა თავისი ვნებანი, ახლა კი უცებ დიდი ბრძენკაცის ხელიდან ჭეშმარიტად დასაბუთებული უფლება შეიძინა, იტანჯოს ამ ქვეყანაზე, ამ ყველა შესაძლებელ სამყაროთა შორის უკეთეს, ანუ ყველა შესაძლებელ სამყაროთა შორის უარეს სამყაროში, როგორც ეს ულმობლად და გესლიანად იყო იმ წიგნში დამტკიცებული.

თომას ბუდენბროკს ყველაფერი არ ესმოდა. პრინციპები და წანამძღვრები მისთვის გაუგებარი რჩებოდა და ასეთ წიგნებზე მიუჩვეველი გონება ხანდახან აზრს თავს ვერ უყრიდა. მაგრამ სწორედ ეს მონაცვლეობა სინათლისა და წყვდიადისა, დაჩლუნგება, მერე კი უცაბედი მიხვედრა და გონების სწრაფი განათება უკრავდა სუნთქვას. ამიტომ იყო, საათები ისე გადიოდა, წიგნს თვალს ვერ სწყვეტდა და სკამზე გვერდსაც არ შეინაცვლებდა.

თავიდან მთელ გვერდებს ტოვებდა და წინ მიისწრაფოდა, შეუგნებლად და სულმოუთქმელად მთავრისკენ, მნიშვნელოვანისკენ მიისწრაფოდა, გზადაგზა მხოლოდ რომელიმე მისთვის საინტერესო მონაკვეთზე თუ შეაჩერებდა თვალს. შემდეგ ერთ მოზრდილ თავს წააწყდა და უკანასკნელ პწკარამდე ჩაიკითხა კიდეც. ბაგე მაგრად ჰქონდა მოკუმული, წარბებშეჭმუხნილ სახეზე ერთი ძარღვი არ უტოკავდა, მის გონებამდე სიცოცხლის ჩქამიც არ აღწევდა. ამ თავის სათაური იყო:
„სიკვდილისა და ჩვენი არსების ურღვეობისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ“.[12]

რამდენიმე სტრიქონიღა ჰქონდა დარჩენილი, როცა ოთხ საათზე მოახლემ მოაკითხა და სადილად მობრძანება სთხოვა. მოახლეს თავი დაუქნია, ბოლო ფრაზები ჩაიკითხა, წიგნი დახურა და ირგვლივ მიმოიხედა. თავს ისე გრძნობდა, თითქოს სული უჩვეულოდ გაფართოებოდეს და მთელი მისი არსებისთვის მძიმე თრობას დაერიოს ხელი, გონება რაღაც საოცრად ახალმა, წარმტაცმა და მრავლისმეტყველმა

გრძნობამ დაუნისლა და გაუბრუა. ეს გრძნობა იმედით აღსავსე პირველი სიყვარულის სახმილს ჰგავდა. მაგრამ როცა გაყინული, აკანკალებული ხელები წიგნს მოავლო და თალარის მაგიდის უჯრაში შეინახა, მისი გახურებული ტვინი აზრს ვეღარ იკრებდა, ტვინს თითქოს რაღაც მაჯლაჯუნა აწვებოდა და საცაა გახეთქას უქადდა.

„რა იყო ეს?“ - უკვე სახლში შესული ეკითხებოდა თავის თავს იგი.

ამ კითხვით გათანგულმა აიარა სადარბაზო კიბე და სასადილო ოთახში თავისიანებთან ერთად სუფრას მიუჯდა.

„რა დამემართა? რა მისწვდა ჩემს სმენას? რა ჩამაგონეს მე, თომას ბუდენბროკს, ამ ქალაქის სენატორს, მარცვლეულის ფირმა „იოჰან ბუდენბროკის“ შეფს? ნუთუ ეს ჩემთვის იყო განკუთვნილი? ძალმიძს კი ამის ატანა? არ ვიცი, რა იყო ეს... მხოლოდ ერთი რამ ვიცი, ჩემი ბიურგერული ტვინისთვის ეს მეტისმეტია“.

ასე დათრგუნვილმა, გაოგნებულმა, მძიმედ, მთვრალივით გაატარა მთელი დღე. შემდეგ დადგა საღამო, თავს ვეღარ იმაგრებდა და დასაძინებლად ადრე დაწვა. სამი საათი ღრმად, მისთვის უჩვეულო ღრმა ძილით ეძინა. ასე თავის სიცოცხლეში არ უძინია. შემდეგ უცაბედად გამოეღვიძა, ისეთი ტკბილი შეკრთომისგან გამოიღვიძა, როგორც გულში ტრფობაჩასახულ მარტოსულს ეღვიძება ხოლმე.

იცოდა, დიდ საძინებელ ოთახში მარტო იყო, გერდას ახლა იდა იუნგმანის ოთახში ეძინა. იდა პატარა იოჰანთან ახლოს უნდა ყოფილიყო და „აივანზე“ გამავალ ერთ- ერთ ოთახშიც იმიტომ დაბინავდა. თომასის ირგვლივ წყვდიადი იდგა - ორივე მაღალი ფანჯრის ფარდები მჭიდროდ იყო დახურული. თომას ბუდენბროკი გულაღმა იწვა სამარისებური სიჩუმით სავსე, დახუთულ ოთახში და წყვდიადში იყურებოდა.

და უცებ, თითქოს მის თვალწინ წყვდიადი გადაიხსნა, თითქოს ღამის ხავერდის ფარდა ტკაცუნით გაიყო შუაზე და უძირო, მარადიული, შორეული ნათელი გამოაჩინა.

- მე ვიცოცხლებ! - ლამის ხმამაღლა წარმოთქვა თომას ბუდენბროკმა და იგრძნო, მკერდი შინაგანი ქვითინით როგორ აუთრთოლდა, - ეს არის ჩემი სიცოცხლის მომასწავებელი ნიშანი. ეს იცოცხლებს. და რომ „ეს“ მე არა ვარ, ეგ მხოლოდ მოჩვენებითია, ეგ მხოლოდ ცდომა იყო, რომელსაც სიკვდილი გამოასწორებს. ასეა, დიახ, ასე! მერედა, რატომ?.. - და ამ კითხვაზე კვლავ წყვდიადი ჩამოწვა სენატორის თვალთა წინაშე, კვლავ დაეხშო მზერა, არც რა იცოდა და არც რა ესმოდა. ახლახან წილხვდომილი პაწაწკინტელა სიმართლისგან თვალდავსილი და ძალაგამოცლილი ისევ ბალიშზე დაეშვა.

თომას ბუდენბროკი გაუნძრევლად იწვა და დაჟინებით რაღაცას ელოდა. მზად იყო ლოცვად დამდგარიყო, ოღონდ ის ნათელი კვლავ დაჰბრუნებოდა და დაუბრუნდა კიდეც. გულხელდაკრეფილი განძრევას ვერ ბედავდა, იწვა და ამ ნათელს უჭვრეტდა.

რა იყო სიკვდილი? პასუხი საცოდავი, ფუყე სიტყვებით არ მოვლენია: ის პასუხს გრძნობდა, შინაგანად ფლობდა. სიკვდილი ბედნიერება იყო, ისეთი უძირო ბედნიერება, რომ მისი გაზომვა მხოლოდ ასეთ კურთხეულ წამს შეიძლებოდა. ეს იყო ენით გამოუთქმელი, ცდომილი ტანჯვის გზიდან უკან დაბრუნება, მძიმე შეცდომის გამოსწორება, ამაზრზენი ბორკილებისა და ხუნდებისგან ხსნა - სიკვდილი
სავალალო უბედურებას ასწორებდა.

აღსასრული და ხრწნა? სამგზის შესაბრალისია ყოველი კაცი, რომელიც ამ საცოდავ ცნებებს შეუშინდება! რას დაედება აღსასრული და რა გაიხრწნება? მხოლოდ მისი სხეული, მისი პიროვნება და ინდივიდუალობა, ეს დაუძლეველი, ხელის შემშლელი, ცდომილი და სიძულვილის ღირსი დაბრკოლება, რომელიც ხელს გიშლის სხვანაირი და უკეთესი გახდე!

განა ყოველი კაცი ხელის მოცარვა და შეცდომა არ არის? განა ის დაბადებისთანავე სულთამხდელ ტყვეობაში არ ვარდება? საპყრობილე! საპყრობილე! ყველგან ბორკილები, მარწუხები! საკუთარი ინდივიდუალობის ცხაურიანი სარკმლიდან იმედწარხოცილი შესცქერის კაცი გარეგან გარემოებათა წრედ შეკრულ კედლებს, სანამ სიკვდილი არ მოვა და მას შინისკენ, თავისუფლებისკენ არ მოუხმობს.

ინდივიდუალობა!.. აჰ, რაც ხარ, რისი ძალაც შეგწევს და რაც გაგაჩნია, ღარიბად, უფერულად, ხანმოკლედ და მოსაწყენად გეჩვენება, ხოლო ის, რაც არა ხარ, რისი ძალაც არ შეგწევს და რაც არ გაგაჩნია, სწორედ იმას შეჰყურებ ნაღველგარეული შურით, შურით, რომელიც სიყვარულად იქცევა, იმის შიშით, რომ სიძულვილად არ იქცეს.

მე ჩემში ვატარებ ჩანასახს, საწყისს, ყველა ამქვეყნიური უნარისა და მოქმედების შესაძლებლობას, სად შემეძლო ვყოფილიყავი, თუ აქ არ ვიქნებოდი?! ვინ, რა, როგორი შემეძლო ვყოფილიყავი, მე რომ „მე“ არ ვიყო, რომ ეს ჩემი პიროვნება და ჩემი თვითშეგნება ყველა იმათგან არ მაცალკევებდეს, ვინც მე არა ვარ?! ორგანიზმი! ბრმა, გაუთვითცნობიერებელი, საცოდავი ამონანთხევი მოწოლილი ნებისა! ხომ ჯობია, ამ ნებამ თავისუფლად ინავარდოს დროითა და სივრცით შემოუფარგლავ ღამეში, ვიდრე ინტელექტის მოლიცლიცე და მბჟუტავი ალით საცოდავად განათებულ საკანში ხდებოდეს სული!

სიცოცხლის გაგრძელებას ჩემს ვაჟში ვიმედოვნებდი? ჩემზე ლაჩარ, ჩემზე სუსტ, ჩემზე მერყევ პიროვნებაში? ბავშვური მონაჩმახია, სიგიჟე! რად მინდა შვილი? მე შვილი არ მჭირდება! სად ვიქნები სიკვდილის შემდეგ? მაგრამ ეს ხომ დღესავით ნათელია, საოცრად მარტივია და გასაგები. ყველა იმათში ვიარსებებ, ვისაც ოდესღაც

უთქვამს „მე“, ვინც ამბობს და ვინც ოდესმე იტყვის; განსაკუთრებით კი იმათში, ვინც ამ სიტყვას უფრო მედგრად, უფრო სისხლსავსედ, უფრო მეტი ხალისით იტყვის.

სადმე, დედამიწის ზურგზე იზრდება ბიჭი, მკლავღონიერი და ყველა სიკეთით დაჯილდოებული, რომელსაც შესწევს უნარი, თავის ნიჭს გზა გაუკაფოს, წელში გამართული და პირმოცინარი, ბიჭი წმინდა, პირქუში და ხალისიანიც, ერთი იმათგანი, ვისი შეხედვაც ბედნიერს ბედნიერებას მატებს, უბედურს კი სასოს წარუკვეთს: ის არის ჩემი პირმშო. ისა ვარ მე... მალე... მალე... როგორც კი მიხსნის სიკვდილი საცოდავი ილუზიისგან, თითქოს მე ის ბიჭიც ვიქნები და მეც. განა მე ცხოვრება მძულდა, ეს წმინდა, მკაცრი და ღონიერი ცხოვრება? სისულელეა, გაუგებრობა! ჩემი თავი მძულდა მხოლოდ, ამ ცხოვრებას რომ ვერ გავუძელი. მაგრამ მე თქვენ მიყვარხართ... ყველანი მიყვარხართ, ბედნიერებო, და მალე თქვენგან ვეღარ გამთიშავს საპყრობილის ვიწრო კედლები. მალე ის, რაც ჩემშია, რასაც თქვენ უყვარხართ, ჩემი სიყვარული თქვენდამი გათავისუფლდება და თქვენთან და თქვენში იქნება... თქვენთან და ყველა თქვენგანში!

იგი ატირდა, სახე ბალიშში ჩამალა და ატირდა, შეუდარებელი, ტკივილნარევი სიტკბოებით აღსავსე ბედნიერებით ატაცებული და გაბრუებული. ეს იყო, ეს იყო ყველაფერი, რაც გუშინდელს აქეთ ათრობდა და აბრუებდა, რამაც შუაღამეზე გული აუფორიაქა და ახალჩასახული სიყვარულის დარად ძილი გაუკრთო, როცა წილად ხვდა ეს გაეგო და შეეცნო - სიტყვებში გამოკვეთილ და ერთმანეთისგან გამომდინარე აზრების მეშვეობით კი არა, საკუთარი შინაგანი სამყაროს უეცარი, კურთხეული გაცისკროვნების წყალობით, ის უკვე გათავისუფლებული იყო, ხსნილი იყო, არც ბუნებრივი და არც ხელოვნური ზღუდეები და ბორკილები აღარ ბორკავდა. მისი მშობლიური ქალაქის კედლები, სადაც იგი ნებითა და შეგნებით იკეტებოდა, განიხვნენ მის თვალთა წინაშე და მთელი სამყარო გადაუშალეს თვალწინ. ახალგაზრდობაში მას ამ სამყაროს ნაკუწები ჰქონდა ნანახი, სიკვდილი კი მთელი სამყაროს ჩუქებას ჰპირდებოდა. სივრცის, დროისა და, მაშასადამე, ისტორიის მოჩვენებითი შემეცნების ფორმები, თავისი ნაშიერის პიროვნებაში სიცოცხლის დიდებით გაგრძელებისთვის ზრუნვა, საბოლოო, ისტორიული გადაშენებისა და გადაგვარების შიში ჩამოეხსნა მის სულს და ხელს აღარ უშლიდა, უწყვეტი მარადიულობა შეეცნო. არაფერს არ გააჩნდა დასაწყისი და არც ბოლო. არსებობდა მხოლოდ უსასრულო აწმყო და რაღაც ძალა მის არსებაში, რომელსაც ასე მტკივნეული სიტკბოებით, მხურვალე და ჟინიანი სიყვარულით უყვარდა სიცოცხლე, მისი პიროვნება კი ამ ძალის მხოლოდ დამახინჯებული გამოხატულება იყო - ამიერიდან ამ აწმყოსკენ იგი გზას ყოველთვის გაიკვალავდა.

- მე ვიცოცხლებ! - ჩაიჩურჩულა ბალიშში თავჩარგულმა, ატირდა და მეორე წუთს გონს ვეღარ მოეგო, რაზე ტიროდა. ტვინი გაუქვავდა, ცოდნა ჩაუქრა და მის არსებაში კვლავ მდუმარე წყვდიადმა დაისადგურა, „ის ნათელი უკანვე დამიბრუნდება, - თავი დაირწმუნა მან, - განა იმ ნათელს დაუფლებული არ ვიყავი?“ - ამასობაში იგრძნო,

როგორ თრობასავით ერეოდა ძილი და გულმხურვალე ფიცი დადო, ეს უზარმაზარი ბედნიერება ხელიდან არასოდეს გაეშვა, მთელი ძალა მოეკრიბა და ესწავლა, ეკითხა და ემეცადინა, სანამ მტკიცედ და სამუდამოდ არ შეითვისებდა იმ მსოფლმხედველობას, საიდანაც ეს ყველაფერი იღებდა სათავეს. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. მეორე დილასვე გუშინდელი ექსტრავაგანტური სულიერი აღმაფრენისგან ოდნავ დარცხვენილმა გამოიღვიძა და სულში ეჭვი ჩაეღვარა, რომ იმ მშვენიერ განზრახვას აღსრულება არ ეწერა.

თომას ბუდენბროკი გვიან ადგა და მაშინვე დებატებში მონაწილეობის მისაღებად ქალაქის საბჭოს სხდომაზე გაეშურა, მისი სულიერი სამყარო და ძალა კვლავ ამ ფრონტონებიანი და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებიანი მომცრო სავაჭრო ქალაქის საზოგადოებრივმა, საქმიანმა და ბიურგერულმა ცხოვრებამ შთანთქა. თუმცა იმ საოცარი წიგნის წაკითხვაზე ხელი არ აუღია, მაგრამ თავის თავს ეკითხებოდა, მისთვის იმ ღამის განცდები მართლა თუ ნიშნავდა რაიმეს, ხანს თუ გაუძლებდა ან თავს წამომდგარ სიკვდილს მართლა თუ გაუმკლავდებოდა. მისი ბიურგერული ინსტინქტები უმხედრდებოდნენ ამ აზრს. მისი პატივმოყვარეობა თავისას არ იშლიდა: ეშინოდა, უცნაურ და სასაცილო მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო. შეშვენის კი იმღამინდელი აზრები, მას, სენატორ თომას ბუდენბროკს, ფირმა „იოჰან ბუდენბროკის“ შეფს?..

მას შემდეგ შემთხვევა აღარ მისცემია იმ საოცარ, ბევრი საუნჯის შემცველ წიგნში ერთხელ მაინც ჩაეკრა თვალი, ამ უდიდესი ნაშრომის დანარჩენი ტომების შოვნაზე ხომ არ უზრუნია და არა. თანდათან მოძალებული ნერვიული პედანტიზმი იწირავდა მის დღეებს, თავი ათას უმნიშვნელო, ყოველდღიურ წვრილმანზე ფიქრით ჰქონდა გამოტენილი და ნებისყოფა აღარ ჰყოფნიდა, დრო გონიერად, მარჯვედ გაენაწილებინა. იმ ღირსსახსოვარი ნაშუადღევის შემდეგ ორ კვირასაც არ გაევლო, რომ ახალ აზრებზე სულ აიყარა გული, მოახლეს უბრძანა, თალარის მაგიდის
უჯრაში მიგდებული წიგნი ამოეტანა და წიგნების კარადაში დაებინავებინა.

და აი, თომას ბუდენბროკმა მაღალი და უკანასკნელი ჭეშმარიტებისკენ ღაღადით გაწვდილი ხელები ჩამოუშვა და იმ ცნებებსა და სახეებს დაუბრუნდა, რომლებიც ბავშვობიდანვე ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. ფიქრობდა განუყოფელ, ერთპიროვნულ ღმერთზე, ადამიანთა მოდგმის მამაზე, რომელსაც სისხლი და ხორცი თავისი არსებისა დედამიწაზე წარმოეგზავნა ჩვენთვის სატანჯველად და
სისხლთაგან დასაწრეტად, ის ღმერთი განკითხვის დღეს სამსჯავროს გამართავდა და განკითხულნი მიწიერი ტანჯვის საფასურად მარადიულ სასუფეველს დაიმკვიდრებდნენ. იგონებდა მთელ ამ ოდნავ ბუნდოვან და ოდნავ აბსურდულ ამბავს, რომელიც შეგნებით კი არა, მორჩილი რწმენით უნდა შეგეთვისებინა. ოდითგანვე დადგენილ და მიამიტურ სიტყვებში ჩამოყალიბებული ეს რწმენა უკანასკნელი წამის დადგომისას ხელთ გექნებოდა... ნუთუ მართლა?

ვაი, რომ ვერც აქ პოვებდა სიმშვიდეს თომას ბუდენბროკი, თავისი ფირმის განსადიდებლად დამაშვრალი, თავის ცოლზე, თავის ვაჟზე, თავის სახელზე, თავის ოჯახზე გადაგებული ეს უკვე ხელმოთავებული კაცი, რომელსაც დიდი გაჭირვებითა და დიდი ხელოვნებით ჯერ კიდევ ელეგანტურად, კორექტულად და წელგამართულად ეჭირა თავისი სხეული. მას ერთი კითხვა არ აძლევდა მოსვენებას: ნუთუ სული სიკვდილისთანავე სახლდება ზეცაში? თუ სასუფეველი მხოლოდ ხორცის მკვდრეთით აღდგომის შემდეგ დაუმკვიდრდება? მანამდე სადღა უნდა ყოფილიყო სული? გაუნათლებია იგი ამ მხრივ ვინმეს ოდესმე, სკოლაში ან ეკლესიაში? განა შეიძლება ადამიანი ასე უმეცარი დატოვო? ის იყო დააპირა კიდეც პასტორი პრინგსჰაიმი მოენახულებინა და მისგან რჩევა და ნუგეში მიეღო, მაგრამ ბოლო წამს გადაიფიქრა, შეეშინდა, სასაცილო არ გავხდეო.

ბოლოს ხელი ჩაიქნია და ყველაფერი ღვთის ნებას მიანდო. რაკი სასუფეველზე ზრუნვით ვერაფერი გააწყო, გადაწყვიტა, ამქვეყნიური საქმეები მაინც მოეწესრიგებინა და დიდი ხნის ჩაფიქრებული განზრახვა აღესრულებინა.

ერთ დღეს, ნასადილევს, პატარა იოჰანმა სასტუმრო ოთახში, სადაც მისი მშობლები ყავას მიირთმევდნენ, მამის სიტყვებს მოჰკრა ყური, დღეს ამა და ამ ვექილს მოველი, მასთან ერთად ანდერძი უნდა შევადგინო, ამ საქმის გადადების უფლება აღარა მაქვსო. შემდეგ ჰანო ერთ საათს როიალზე ვარჯიშობდა სალონში, დერეფანში გასულს წინ მამა და შავმოსასხამიანი კაცი შეეჩეხნენ. ისინი სადარბაზო კიბეზე ამოდიოდნენ ერთად.

- ჰანო! - მოკლედ დაუძახა სენატორმა შვილს.

პატარა იოჰანი შეჩერდა, ნერწყვი გადაყლაპა და მამას წყნარად და ნაჩქარევად გამოეხმაურა:

- დიახ, მამა...

- მე ამ ბატონთან მნიშვნელოვანი სამუშაო მაქვს, - განაგრძო მამამ, - თუ შეიძლება, დადექი ამ კართან, - მან შვილს თამბაქოს მოსაწევი ოთახის კარისკენ მიუთითა, - და ყური უგდე, რომ არავინ, გესმის, არავინ, ხელი არ შეგვიშალოს.

- დიახ, მამა, - უპასუხა პატარა იოჰანმა, მამა და სტუმარი გაატარა და შემდეგ მოხურული კარის წინ დადგა.

პატარა იოჰანი იდგა, ცალი ხელით მკერდზე მეზღვაურული საყელოს კვანძს აწვალებდა, მტკივან კბილს ენას ულამუნებდა და ოთახიდან ყრუდ გამომავალ სერიოზულ ხმებს გულდასმით უგდებდა ყურს. საფეთქლებზე ჩამოშლილი ღია წაბლისფერი თმით შემოსილი თავი გვერდზე გადაეგდო და შეჭმუხნილ წარბებს ქვემოთ მოლურჯო ჩრდილებით შემორკალულ მუქ, მოოქროსფრო-წაბლისფერ თვალებს ახამხამებდა. ნაღვლიან თვალებში ისეთივე ღრმა ფიქრი ჩასწოლოდა,

როგორც მაშინ, ბებიის კუბოსთან რომ იდგა და ყვავილების სუნთან ერთად უცხო და თან საოცრად ნაცნობ სურნელს იყნოსავდა.

ამ დროს იდა იუნგმანმა გამოიარა და ბავშვს ჰკითხა:

- ჰანოჰენ, ჩემო ბიჭიკო, სად დამეკარგე, აქ რას უდგახარ?

კანტორიდან კუზიანი შეგირდი ამოვიდა და სენატორი იკითხა. ხელში დეპეშა ეჭირა.

პატარა იოჰანმა კარი მასაც ღუზაამოქარგული ლურჯი სახელოთი შემოსილი მკლავით გადაუღობა, თავი გააქნია, ერთ წამს ჩუმად იყო, შემდეგ წყნარად, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა:

- შესვლა არ შეიძლება. მამა ანდერძს წერს.

მეექვსე თავი

შემოდგომაზე დოქტორმა ლანგჰალსმა ლამაზი თვალები ქალივით დააფახულა და სენატორს უთხრა:

- ნერვების ბრალია, ბატონო სენატორო, მხოლოდ ნერვების ბრალია ყველაფერი. გარდა ამისა, სისხლის მიმოქცევაც ხანდახან ვერა გაქვთ რიგზე. თუ ნებას მომცემთ, ერთ რამეს გირჩევთ: თქვენ წელს ცოტა კიდევ რომ დაგესვენათ, ურიგო არ იქნებოდა!
ამ ზაფხულს ზღვაზე გატარებული რამდენიმე კვირადღე, ბუნებრივია, დიდად ვერ გარგებდათ. ახლა სექტემბრის ბოლოა, ტრავემიუნდეში სეზონი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, დამსვენებლები კიდევ არიან. გაემგზავრეთ, ბატონო სენატორო, ორი-სამი კვირა ზღვის პირას რომ გაატაროთ, ბევრს გარგებთ... და თომას ბუდენბროკმა დასტური თქვა. როცა მისიანებმა ამ გადაწყვეტილების ამბავი შეიტყვეს, ქრისტიანმა ძმას შესთავაზა, მეც წამოგყვებიო.

- მეც წამოვალ, თომას, - უბრალოდ უთხრა მან ძმას, - შენ, ალბათ, არაფერი გექნება საწინააღმდეგო.

და თუმცა სენატორს საწინააღმდეგო ბევრი ჰქონდა, კვლავ დასტური თქვა.

საქმე ის იყო, რომ ქრისტიანი ახლა უფრო თავისუფლად განაგებდა თავის დროს, ვიდრე ოდესმე. შერყეული ჯანმრთელობის გამო საჭიროდ ცნო თავისი უკანასკნელი კომერციული საქმიანობა - შამპანურითა და კონიაკით ვაჭრობის სააგენტოც მიეტოვებინა. ქრისტიანს სოფაზე მჯდარი კაცის აჩრდილი, საბედნიეროდ, აღარ მოლანდებია, მაგრამ მარცხენა გვერდში „ტანჯვა“ დროდადრო უარესად უვლიდა ხოლმე. იმ სატკივარს სხვაც ბევრი დაემატა, ქრისტიანი ამ ახალ მოვლენებსაც მზრუნველობით აკვირდებოდა და სადაც უნდა მოხვედრილიყო, ცხვირშეჭმუხნილი

აღწერდა ხოლმე. ხშირად ჭამის დროს ძველებურად ღალატობდა საყლაპავი კუნთები, მაშინ ყელში ლუკმაგაჩხერილი უძრავად იჯდა და პატარა, მრგვალ- მრგვალ, ღრმად ჩამჯდარ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ხშირად, როგორც უწინაც იცოდა ხოლმე, შიში შეუჯდებოდა - უეცრად ენაზე, საყლაპავ მილზე, კიდურებზე, ასე განსაჯეთ, ტვინზედაც კი დამბლა არ დამეცესო. დამბლა არ ეცემოდა, მაგრამ განა დამბლის შიში თითქმის უარესი არ იყო? ქრისტიანი დაწვრილებით ყვებოდა ერთ დღეს რაც დამართოდა: ჩაის რომ იმზადებდა, ანთებული ასანთი სპირტნათურის მაგიერ სპირტით სავსე ბოთლის თავზე ეჭირა თურმე, ცოტაც და, მარტო მე კი არა, მეზობლები და მეზობელი სახლების ბინადარნიც საშინელი სიკვდილით დაიღუპებოდნენო, აზვიადებდა ქრისტიანი. ზედმიწევნით წვრილ-წვრილად, ჟინითა და გატაცებით უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი საზარელი ანომალიის ამბავს ყვებოდა: იყო დღეები, ესე იგი, ისეთი ამინდი გამოერეოდა და თვითონაც ისეთ გუნებაზე დგებოდა, რომ ფანჯრის დანახვაც კი არ შეეძლო, იმწამსვე შეუჩნდებოდა უმიზეზო, საშინელი სურვილი, ღია ფანჯარაში გადამხტარიყო, ველური, თითქმის დაუოკებელი, უგუნური, სასოწარკვეთილი ჟინი მოუვლიდა ხოლმე. ერთ კვირადღეს, როცა ოჯახი ფიშერგრუბეზე სადილობდა, ქრისტიანმა აღწერა, როგორ მოიკრიბა ერთხელ მთელი სულიერი ძალა და ღია ფანჯრის დასაკეტად ფანჯრამდე დაოთხილი როგორ მიფორთხდა... ამის გაგონებაზე ახლობლები ერთხმად აყვირდნენ და ქრისტიანს ყური აღარავინ ათხოვა.

ამას და სხვა მისთანებს ქრისტიანი რაღაც ამაზრზენი კმაყოფილებით ყვებოდა, იმას კი ვერ ამჩნევდა, ვერც გრძნობდა და ვერც ხვდებოდა, რა საოცრად აკლდა ტაქტის გრძნობა. რაც ხანი გადიოდა, ეს გრძნობა მით უფრო უჩლუნგდებოდა. ოჯახურ წრეში ისეთ უწმაწურ ანეკდოტებს ყვებოდა, როგორიც, დიდი-დიდი, კლუბში თუ შეიძლებოდა მოეყოლა. გარდა ამისა, ქრისტიანს თანდათან მორცხვობის გრძნობაც აკლდებოდა. თავისი მეგობარი რძლისთვის რომ ეჩვენებინა, რა გამძლე იყო მისი ინგლისური წინდები და თვითონ როგორ მორეოდა სიგამხდრე, ქრისტიანი თავს ნებას აძლევდა, გერდას თვალწინ ფართო, უჯრედებიანი შარვალი მუხლებამდე წამოეწია.

- აი, შეხედე, როგორ ვხდები... განა საოცარი არ არის? - ამბობდა შეწუხებული, ცხვირს იჭმუხნიდა და გერდას თეთრი თივთიკის პერანგის ამხანაგში გამოხვეულ გაძვალტყავებულ და მოგრეხილ ფეხს უჩვენებდა.

როგორც მოვიხსენიეთ, ქრისტიანმა ყოველგვარ კომერციულ საქმიანობას დაანება თავი, სამაგიეროდ ცდილობდა კლუბის გარეთ გატარებული საათები როგორღაც შეევსო; დიდის ამბით აცხადებდა, დაბრკოლებების მიუხედავად მუშაობა სავსებით მაინც არასდროს შემიწყვეტიაო. ქრისტიანი ცოდნას იფართოებდა. ამ ცოტა ხნის წინ ყოველგვარი პრაქტიკული მიზნის გარეშე, მეცნიერების გულისთვის, ჩინურის შესწავლა დაიწყო და თოთხმეტი დღე ზედ თავი მიაკლა. ახლა კი ინგლისურ- გერმანული ლექსიკონის „შევსებით“ გახლდათ გატაცებული, ლექსიკონს, მისი

აზრით, დამატება სჭირდებოდა. მაგრამ, რადგან მისთვის ჰაერის გამოცვლა აუცილებელი იყო და სენატორსაც არ აწყენდა თან ვინმე ხლებოდა, ლექსიკონი კი არა, ქრისტიანს ქალაქში ველარაფერი დააკავებდა.

ძმები ზღვაზე გაემგზავრნენ. შარაგზაზე გუბეები იდგა, წვიმა კარეტის სახურავზე შხაპუნებდა, მთელი გზა თითქმის უბრად გალიეს, ქრისტიანი თვალებს აცეცებდა, თითქოს რაღაც საეჭვოს უთვალთვალებსო. თომასი სიცივეს აეტანა და პალტოში იფუთნებოდა, ჩაწითლებულ თვალებში დაღლილობის კვალი ეტყობოდა, გაფითრებულ ლოყებზე ულვაშები გადაპრეხოდა. ნაშუადღევს კარეტა პარკში შესრიალდა, წალეკილ ხრეშზე კარეტის ბორბლებს ღრჭიალი გაუდიოდა. მთავარი შენობის შემინულ ვერანდაზე მოხუცი მაკლერი სიგიზმუნდ გოში იჯდა და რომიან გროგს სვამდა. მაკლერი წამოდგა და მისალმების ნიშნად კბილებში რაღაც გამოცრა. მოსულნი მის მაგიდასთან ჩამოსხდნენ, სანამ მსახურები ჩემოდნებს დააბინავებდნენ, ცხელი სასმლის დალევა არც მათ აწყენდათ.

ტრავემიუნდეში ბატონი გოშის გარდა მცირე საზოგადოება იყო შემორჩენილი. კურორტზე ერთი ინგლისური ოჯახი, ერთი გაუთხოვარი ჰოლანდიელი ქალი და ერთი უცოლშვილო ჰამბურგელიღა ისვენებდნენ. ახლა მათ, ალბათ, ეძინათ, რადგან ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული, მხოლოდ წვიმის შხაპუნი ისმოდა. ეძინოს, ვისაც უნდა. ბატონი გოში დღისით არ იძინებს ხოლმე, იმაზეც მადლობელია, ღამით ერთ-ორ საათს თუ მაინც მოატყუებს თვალს. ბატონი გოში კარგად ვერ არის, ამ გვიან შემოდგომაზე ჰაერის აბაზანებით კიდურების კანკალს მკურნალობს. ღმერთმა დასწყევლოს, გროგის ჭიქის დაჭერაც კი უჭირს, ეს კიდევ რაღა ეშმაკებია, წერა თითქმის აღარ შეუძლია და ლოპე დე ვეგას დრამების თარგმნის საქმე ძლივს მიღოღავს წინ. ერთი სიტყვით, ბატონი გოში ცუდ გუნებაზე გახლდათ და ეს ღვთის საგმობი სიტყვები სულაც არ იყო მისი ხალისიანობის მაჩვენებელი.

- ეჰ, ჯანდაბას ყველაფერი! - ამბობდა ბატონი გოში. ეტყობოდა, ეს გამოთქმა აჩემებული ჰქონდა, რადგან წამდაუწუმ და ხშირად უადგილოდაც იმეორებდა ხოლმე.

სენატორი? სენატორს რაღა დაემართა? რამდენ ხანს აპირებენ ბატონები დარჩენას?

აჰ, სენატორი დოქტორმა ლანგჰალსმა გამოგზავნა აქ ნერვების დასაწყნარებლად, - ამბობდა თომას ბუდენბროკი. ძაღლი არ გაიგდება კარში, ისეთი ამინდებია, მაგრამ ექიმს უარის თქმა მაინც ვერ გაუბედა. ექიმის შიშით რას არ იზამს კაცი. სენატორი მართლა უქეიფოდ კი გრძნობს თავს. დარჩებიან, სანამ ცოტა არ მომჯობინდება.

წვიმა გადაღებას არ აპირებდა, მიწას ალბობდა, ზღვის ზედაპირზე კი წვეთებს თითქოს ცეკვა-თამაში ჰქონდათ გამართული. სამხრეთ-დასავლეთის ქარს ზღვა ნაპირიდან შორს წაერეკა. მიდამო ბურუსში იყო გახვეული. ხომალდები

ლანდებივით დაბორიალებდნენ და ზღვასთან შერწყმულ ჰორიზონტზე უჩინარდებოდნენ.

უცხო სტუმრებს კაცი სადილობისას თუ შეხვდებოდა. ლაბადასა და კალოშებში გამოწყობილი სენატორი მაკლერ გოშთან ერთად დასეირნობდა, ქრისტიანი კი ამ დროს საშაქარლამოში მებუფეტე ქალთან ერთად შვედურ პუნშს ყლურწავდა.

ორჯერ თუ სამჯერ, ნაშუადღევს, მზე თითქოს გამოჭვრეტას რომ დააპირებდა, ტაბლდოტთან თითო-ოროლა ქალაქელი ნაცნობი გამოჩნდებოდა. ესენი ოჯახის გარეთ გართობის მოყვარული ხალხი გახლდათ: ქრისტიანის თანაკლასელი, სენატორი დოქტორი გიზეკე და კონსული პეტერ დოლმანი. ეს უკანასკნელი საკმაოდ მოტეხილი ჩანდა, რადგან „ჰუნიადი-იანოშის“ უზომო ყლურწვით ჯანმრთელობა უკვე საფუძვლიანად ჰქონდა შერყეული.

პალტოებში შეფუთნილი ბატონები საშაქარლამოს ჩარდახქვეშ, დაყრუებული საკონცერტო ნიჟარის პირდაპირ ისხდნენ ხოლმე, ყავას მიირთმევდნენ და ხუთი თავისგან შემდგარ სადილს ინელებდნენ, თან შემოდგომის ფერებით აჭრელებულ პარკს გაჰყურებდნენ და თავს საუბრით იქცევდნენ.

ყვებოდნენ ქალაქის ამბებს, ლაპარაკობდნენ უკანასკნელ წყალდიდობაზე. წყალი ბევრგან სარდაფებში შეჭრილიყო, სანაპირო ქუჩებში კი ხალხი ნავებით დადიოდა თურმე; ყვებოდნენ ნავსადგურში გაჩენილი ხანძრის ამბავს, კამათობდნენ სენატის არჩევნებზე... წინა კვირაში სენატორად ალფრედ ლაურიტცენი აერჩიათ, ფირმა „შტურმანი და ლაურიტცენის“, კოლონიური საქონლით ბითუმი და საცალო ვაჭრობის ფირმის შეფი. სენატორი ბუდენბროკი ამ არჩევნებით უკმაყოფილო იყო, საყელოიან პალტოში გახვეული პაპიროსს უსიტყვოდ ეწეოდა და როცა ლაპარაკი ახალ სენატორზე ჩამოვარდა, მხოლოდ მაშინ ჩაურთო საუბარში ორიოდე სიტყვა. მას ბატონ ლაურიტცენისთვის ხმა არ მიუცია, ამაში შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. ლაურიტცენი უეჭველად პატიოსანი კაცია, ჩინებული კომერსანტიც გახლავთ, მაგრამ ის ხომ საშუალო ფენის წარმომადგენელია, არც მეტი და არც ნაკლები, მამამისი მოახლეებს დღესაც თავისი ხელით უღებს კასრიდან ჩამუჟუჟებულ ქაშაყს და თავისივე ხელით უხვევს ხოლმე. ახლა კი ადგნენ და ეს მედუქნე სენატში დაგვისვეს. თომას ბუდენბროკის ბაბუამ კი უფროს შვილზე მხოლოდ იმიტომ აიღო ხელი, მედუქნის ქალი როგორ შეირთეო. დიახ, ასე იყო უწინ საქმე.

- სენატის საზოგადოებრივი დონე ეცემა, დიახ, სენატი დემოკრატიული ხდება, ძვირფასო გიზეკე, და ამაში კარგი არაფერია. კომერსანტული ნიჭი და უნარი ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, ჩემი აზრით, უფრო მკაცრი პირობების წაყენებაა საჭირო. ეს ვეებერთელა ფეხებიანი, ბოცმანივით ტლანქი ალფრედ ლაურიტცენი სენატის სავარძელში დაბრძანებული რომ წარმომიდგება თვალწინ, არ ვიცი, ჩემში რომელ

გრძნობას შეურაცხყოფს. ეს ყოველგვარი სტილის დარღვევაა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს დიდი უგემოვნობა გახლავთ.

სენატორი გიზეკე, ცოტა არ იყოს, ნაწყენი დარჩა. ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ ერთი უბრალო ბრანდდირექტორის შვილია. არა, დამსახურებას თავისი უნდა მიეზღოს. განა ტყუილად ვართ რესპუბლიკელები?

- ისე, თქვენ ამდენს არ უნდა ეწეოდეთ, ბუდენბროკ, ზღვის ჰაერი როგორღა მოგიხდებათ, - დასძინა სენატორმა გიზეკემ.

- მართალი ხართ, მეტს აღარ მოვწევ, - თქვა თომას ბუდენბროკმა, მუნდშტუკი გადააგდო და თვალები მილულა.

გადაუღებლად წვიმდა. საუბარი მდორედ მიდიოდა. მოიგონეს ქალაქში მომხდარი უკანასკნელი სკანდალი. დიდვაჭარ კასბაუმს, ფირმა „პ. ფილიპ კასბაუმ და კომპანიის“ მფლობელს, ყალბი თამასუქი შეედგინა. დიდვაჭარი ახლა ცხრაკლიტულში იყო გამოკეტილი. მოსაუბრენი ყალბისმქნელს არ ლანძღავდნენ, მის საქციელს სულელურს უწოდებდნენ, იცინოდნენ და მხრებს იჩეჩდნენ. სენატორი გიზეკე ყვებოდა, თურმე დიდვაჭარს ოხუნჯობის ხალისი მაინც არ დაუკარგავსო. საკანში ფეხი შეუდგამს თუ არა, სარკე მოუთხოვია და უთქვამს: მე აქ წლები კი არა, მთელი ეპოქა უნდა გავატარო და უსარკოდ რა გამაძლებინებსო. დიდვაჭარი კასბაუმი ქრისტიან ბუდენბროკისა და გიზეკეს მსგავსად, განსვენებულ მარცელუს შტენგელის ნამოწაფარი ყოფილა.

ყველამ ნაძალადევად გაიცინა. სიგიზმუნდ გოშმა რომიანი გროგი ისეთი ტონით შეუკვეთა, თითქოს უნდოდა, ეთქვა, ამისთანა გაძაღლებულ სიცოცხლეს რა ვუთხარიო. კონსულმა დოლმანმა ერთი ბოთლი ტკბილი არაყი მოითხოვა, ქრისტიანმა ისევ შვედური პუნში არჩია და სენატორმა გიზეკემ თავისთვისაც პუნში მოატანინა. დიდხანს არ გაუვლია, რომ სენატორმა ბუდენბროკმა პაპიროსი ისევ გააბოლა.

საუბარი კვლავ მდორედ, უხალისოდ მიდიოდა, სადილისგან, სმისა და წვიმისგან მოთენთილები საქმეებზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ეს თემაც არავის უხსნიდა შუბლს.

- ეჰ, გასახარელი აქაც არაფერია, - თქვა გულდამძიმებულმა თომას ბუდენბროკმა, წარბი შეიკრა და თავი უკან გადაიგდო.

- თქვენ რას იტყვით, დოლმან? - შეეკითხა პეტერ დოლმანს სენატორი გიზეკე და დაამთქნარა, - თქვენ, მგონი, პილატეს ცრემლს მიეცით თავი, არა?

- მეტი რა ჩარაა; რაც არ არი, არ არიო, ხომ გაგიგონიათ, - თქვა კონსულმა, - ორ დღეში ერთხელ შევიხედავ ხოლმე კანტორაში და მორჩა, მოკლე თმას რომ დიდი ვარცხნა არ სჭირდება, თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

- თუ სადმე რამე გამოჩნდა, - „შტრუნკსა და ჰაგენშტრომს“ უჭირავს ხელში, - უგემურად შენიშნა მაკლერმა გოშმა. იდაყვები შუაგულ მაგიდაზე დააყრდნო და გაბოროტებული ბებრული სახე ხელებში ჩარგო.

- ნეხვის გროვასთან შენი მუცლის ქარი რა გამოჩნდება, - ისე ურცხვად თქვა კონსულმა დოლმანმა, რომ მისი უიმედო ცინიზმისგან ყველას ტანში გააჟრჟოლა, - თქვენ, ბუდენბროკ, თქვენ რასა იქმთ, კიდევ მოღვაწეობთ?

- არა, - უპასუხა ქრისტიანმა, - არაფრის თავი აღარა მაქვს.

ქრისტიანს აღარ დაუხანებია, ჩამოვარდნილი განწყობის გაღრმავების სურვილმა მოუარა, ქუდი კეფაზე მოიგდო და მოულოდნელად ვალპარაისოს კანტორასა და ჯონი თანდერსტრომზე დაიწყო ლაპარაკი.

- აჰ, ამ პაპანაქება სიცხეში მუშაობა? ღმერთო დიდებულო, ვერა, სერ, როგორც ხედავთ, სერ! - ეუბნებოდნენ შეფს მოხელეები და სიგარეტის კვამლს პირდაპირ სახეში აბოლებდნენ.

ქრისტიანმა გრიმასებითა და ჟესტებით სწორუპოვრად წარმოადგინა მოხელეების თავხედური, გამომწვევი და ამავე დროს გულკეთილი სიზარმაცე. მისი ძმა არ შერხეულა.

ბატონი გოში შეეცადა გროგი პირთან მიეტანა, მაგრამ ვერ შეძლო და ჭიქა სისინით დადგა მაგიდაზე, მერე მარჯვენას მეორე ხელი შეაშველა და ჭიქა თხელ ტუჩებთან ხელახლა მიიტანა, ნახევარზე მეტი დაექცა, დარჩენილ სასმელს კი გულმოსულმა ერთად გადაუძახა პირში.

- თქვენ კიდევ ამ თქვენი ხელების კანკალით გააჭირეთ საქმე, გოშ! - ხელი ჩაიქნია დოლმანმა, - აბა, ჩემს დღეში იყოთ? ეს დაწყევლილი „ჰუნიადი-იანოში“... იმ ზომამდე ვარ მისული, პირდაპირ არ ვიცი, თუ ყოველდღე ერთი ჩემი კუთვნილი ლიტრა არ დავლიე, ვიხრჩობი, დავლევ და დახრჩობა მაშინ უნდა ნახოთ, იცით, რა ძნელია, როცა ერთი დღეც კი არ გამოგერევა, რომ კაცმა სადილი მოინელო... აი, კუჭში რომ ჩაგიწვება... - და დოლმანმა ისეთი გულის ამრევი წვრილმანებით აღწერა თავისი მდგომარეობა, რომ ცხვირშეჭმუხნილი ქრისტიან ბუდენბროკიც კი ყურებდაცქვეტილი უსმენდა, მერე ისიც არ ჩამორჩა და თავისი „ტანჯვა“ თავისებურად დაასურათხატა.

წვიმამ ისევ იმატა. შვეულად ასხამდა და პარკის სიჩუმეს მხოლოდ წვიმის მონოტონური, ნაღვლიანი და უსასოო შხაპუნი ავსებდა.

- დიახ, მართლაც საზიზღარია ეს ცხოვრება, - თქვა სენატორმა გიზეკემ. მას ბევრი ჰქონდა დალეული.

- მომბეზრდა ამ ქვეყანაზე ღოღიალი! - თქვა ქრისტიანმა.

- ჯანდაბას ყველაფერი! - დასძინა ბატონმა გოშმა.

- აი, ფიკენ დალბეკი მოდის, - თქვა სენატორმა გიზეკემ.

ფიკენ დალბეკი ბოსლების მეპატრონე იყო. ორმოც წელს მიღწეულ, ფაშფაშა, უტიფარ დედაკაცს რძის ვედრო მოჰქონდა და ბატონებს უღიმოდა.

სენატორმა გიზეკემ ქალს უტიფარი მზერა გააყოლა.

- ო, რა მკერდი აქვს! - წამოიძახა სენატორმა.

კონსულმა დოლმანმა მის სიტყვებს უწმაწური ხუმრობა დაატანა, მაგრამ მამაკაცებმა კვლავ ცალყბად გაიცინეს.

შემდეგ იქვე დაყუდებული ოფიციანტი მოიხმეს.

- ბოთლი დავცალე, შროდერ, - უთხრა მას დოლმანმა, - ახლა გადახდაც უნდა. ერთხელ გადახდის დროც ხომ უნდა დადგეს? თქვენ, ქრისტიან? აჰ, თუმცა თქვენ მაგიერ ხომ გიზეკე იხდის.

ამ სიტყვების გაგონებაზე სენატორი ბუდენბროკი გამოცოცხლდა. იგი აქამდე თავისთვის იჯდა. საყელოიან პალტოში გახვეულს ხელები მუხლებზე ეწყო, ტუჩის კუთხეში პაპიროსი ეკიდა. იგი უცებ წამოიმართა და ძმას მკვირცხლად უთხრა:

- ფული არა გაქვს თან, ქრისტიან? იქნებ ნება მომცე, ეგ წვრილმანი დანახარჯი მე გადავიხადო?

ბატონებმა ქოლგები გაშალეს და მუხლის გასამართავად ჩარდახიდან გამოვიდნენ.

ხანგამოშვებით ძმას ფრაუ პერმანედერი ნახულობდა ხოლმე. მაშინ ორივენი „თოლიების ლოდისკენ“ ან „ზღვის ტაძრისკენ“ გაისეირნებდნენ. ამ დროს ტონი ბუდენბროკი უცნობი მიზეზების გამო აღეგზნებოდა და ამბოხის გუნებაზე დგებოდა. კვლავ და კვლავ აცხადებდა, ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორიაო, საზოგადოების ფენებად დაყოფის პრინციპს ხელაღებით უგულებელყოფდა, პრივილეგიებისა და თვითნებობის წინააღმდეგ მკვახედ ილაშქრებდა და მჭევრმეტყველურად მოითხოვდა, ადამიანისთვის დამსახურებისამებრ მიეზღოთ. შემდეგ თავის ცხოვრებაზე იწყებდა ლაპარაკს. ფრაუ პერმანედერს ლაპარაკი ემარჯვებოდა და ძმას ჩინებულად ართობდა. ამ ბედნიერ ქმნილებას, რაც გაჩენილიყო, არაფერი, იოტისოდენა წყენაც კი არ ჩაუტოვებია გულში. ცხოვრებისგან მოვლენილი არც ერთი უკუღმართობა, არც ერთი შეურაცხყოფა არ დარჩენია გამოუთქმელი. ყველაფერს, ყველა ბედნიერებასა და მწუხარებას, ბანალური, ბავშვურად გაფუყული სიტყვების ნიაღვრით გამოთქვამდა და გულს იოხებდა. კუჭი აწუხებდა, მაგრამ სამაგიეროდ გული ჰქონდა უდარდელი, თვითონ ვერც კი გრძნობდა, რა უზრუნველი ჰქონდა გული. არავითარი გამოუთქმელი დარდი არ უღრღნიდა სულს და არ აწვა გულზე ლოდივით. ამიტომ

იყო, რომ არც თავისი წარსული აგონდებოდა მწარედ. კარგად ახსოვდა, რა ბევრჯერ გამწარებია სვე, მაგრამ თავს დატეხილ უბედურებას მისთვის დაღი არ დაუსვამს, თითქოს არც სჯეროდა, რომ ამდენი უბედურება ხვდომოდა წილად. მაგრამ მისი უბედურება აშკარა ფაქტი იყო და ისიც სარგებლობდა ამით. ტრაბახობდა და თავის სვეგამწარებულ ცხოვრებაზე დიდის ამბით ლაპარაკობდა. ამ დროს ლანძღვა- გინებასაც არ ერიდებოდა და გულწრფელი აღშფოთებით იხსენიებდა იმ ადამიანთა სახელებს, რომლებსაც მის ცხოვრებაზე და, აქედან გამომდინარე, ბუდენბროკების ოჯახზე, დაესვათ დაღი. დროთა განმავლობაში ასეთი პიროვნებების რიცხვი საკმაოდ გაზრდილიყო.

- მტირალა ტრიშკე! - გაიძახოდა ტონი ბუდენბროკი, - გრიუნლიჰი! პერმანედერი! ტიბურციუსი! ვაინშენკი! ჰაგენშტრომები! პროკურორი! ზევერინი! რა ნაძირალები არიან, თომას, ოდესმე მათ ღმერთი ყველაფერს აზღვევინებს, ეს რწმენა მაცოცხლებს, იცოდე!

როცა „ზღვის ტაძრამდე“ მიაღწევდნენ, ბინდიც წვებოდა. უკვე გვიანი შემოდგომის პირი იყო. მერე ყურისკენ პირშექცეულ რომელიმე ჯიხურში შევიდოდნენ ხოლმე. ჯიხურებში, პლაჟის ჯიხურების მსგავსად, ხის სუნი ტრიალებდა, გაურანდავი კედლები წარწერებით, ინიციალებით, ისარგაყრილი გულებითა და ლექსებით იყო აჭრელებული. გვერდიგვერდ მდგარი და-ძმა ნოტიო, მწვანე ქარაფიდან ვიწრო, ქვიან ნაპირებთან ატორტმანებულ ზღვას გაჰყურებდა.

- ფართო ტალღები, - ამბობდა თომას ბუდენბროკი, - როგორ მოგორავენ ტალღები ნაპირთან, როგორ იმსხვრევიან, მოგორავენ და ერთიერთმანეთზე იმსხვრევიან, უსასრულოდ, უმიზნოდ, ყრუდ, უაზროდ, მაგრამ მაინც დამამშვიდებლად და მანუგეშებლად მოქმედებენ, როგორც მარტივი და საჭირო რამ. რაც ხანი გადის, მით უფრო მიყვარდება ზღვა. ოდესღაც შეიძლება ზღვას მთები მერჩია, იმიტომ, რომ ისინი უფრო შორს იყვნენ ჩემგან. ახლა გული იქით აღარ მიმიწევს. ასე მგონია, იქ შიშით და სირცხვილით მოვიბუზები-მეთქი. მთები ქედუხრელნი, ქაოსურნი, მეტისმეტად მრავალფეროვანნი არიან. მათ წინაშე მდგარი უეჭველად დათრგუნვილად ვიგრძნობდი თავს. როგორ ადამიანებს ურჩევნიათ მთების სიზვიადეს ზღვის მონოტონურობა? მე მგონია, იმათ, ვინც დიდხანს და ღრმად იხედება თავისი შინაგანი სამყაროს ხვეულებში, რათა უპირველეს ყოვლისა, გარეგანი სამყაროსგან მაინც მოითხოვოს ერთი რამ: უბრალოება. ეგ ბევრს არაფერს ნიშნავს, რომ მთებში გულადად მიფორთხავ ზევით, ზღვაზე კი წყნარად წევხარ სილაში. მე ხომ ვიცი, რა თვალით უყურებ ერთს და რა თვალით - მეორეს. მთებში თამამ, ჯიუტ, ბედნიერ, გამბედაობით, სიმტკიცითა და მოქმედების წყურვილით აღსავსე მზერას მწვერვალიდან მწვერვალზე გადაატარებ, ზღვა კი მისტიკურად, დამადამბლავებლად, ფატალურად მოაგორებს ტალღებს და მის უკიდეგანო სივრცეზე ის დანისლული, უსასოო, ყოვლისმცოდნე მზერა ოცნებობს, რომელსაც სადღაც, ოდესღაც ღრმად ჩაუხედავს სულის ნაღვლიან ხლართებში. ჯანმრთელობა

და ავადმყოფობა, ამაშია განსხვავება. ზოგი თამამად იკვალავს გზას დაკბილული, პიტალო, დახრამული მთების საოცარ მრავალფეროვნებაში, რომ თავისი ჯერ დაუხარჯავი სიცოცხლისუნარიანობა გამოცადოს, ის კი, ვინც სულის შინაგან ხლართებში ბორიალითაა დაქანცული, გარე სამყაროს უკიდეგანო უბრალოების ჭვრეტით ისვენებს.

ფრაუ პერმანედერს კრინტი აღარ დაუძრავს, ისე უსიამოვნოდ შეაკრთო და შეძრა ძმის სიტყვებმა. ასე გულუბრყვილო ადამიანებმა იციან, როცა საზოგადოებაში უცაბედად რაღაც კარგი და სერიოზული ითქმება ხოლმე.

„განა შეიძლება ასეთ რამეზე ლაპარაკი?“ - გაიფიქრა მან და სივრცეს გახედა, არ უნდოდა ძმის თვალებს შეხვედროდა. მერე კი უსიტყვო მონანიების ნიშნად, რომ მის მაგივრად შერცხვა, ძმას ხელი გაუყარა.

მეშვიდე თავი

დადგა ზამთარი, შობა გასული იყო. 1875 წლის იანვარი იდგა. ტროტუარებზე, ქვაფენილის ორივე მხარეს ქვიშითა და ნაცრით გაჭუჭყიანებული, ნახევრად დამდნარი თოვლის გორები მიეხვეტათ. თოვლის გროვა თანდათან ნაცრისფრდებოდა და ზედ ნასვრეტები აჩნდებოდა. ჰაერში სითბო ტრიალებდა. ქვაფენილი სველი და ატალახებული იყო, რუხი ფრონტონებიდან გამდნარი თოვლი წვეთავდა. მოწმენდილ, ლაჟვარდ ცაზე სინათლის მილიარდი ატომი ბროლივით ბრჭყვიალებდა და ციმციმებდა.

ქალაქის ცენტრში ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. შაბათი იყო, ბაზრობის დღე. რატჰაუსის წვეტიან თაღებქვეშ ყასბებს დახლები გამოედგათ და გასისხლიანებული ხელებით ხორცს წონიდნენ. ბაზრის მოედანზე კი, ჭის ირგვლივ, თევზის ბაზარი იყო გამართული. თევზით მოვაჭრე ფაშფაშა დედაკაცებს ხელები ნახევრად ბეწვგაცვენილ მუფთებში ჩაეყოთ, ფეხქვეშ მაყალი შემოედგათ, თავის სლიპინა ტყვეებს თავს დასტრიალებდნენ და ბაზრის მოედანზე გამოჩენილ დიასახლისებსა და მზარეულ ქალებს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ეპატიჟებოდნენ. აქ არავის ეშინოდა, ძველი თევზი არ შემომატყუონო. ხორციანი, მსუქანი თევზები ვედროებში არხეინად დაცურავდნენ, ვიწროდ იყვნენ, მაგრამ ბოლოებს მაინც ხალისიანად იქნევდნენ. დახლზე დაყრილ თევზებს გამოციებული თვალები საშინლად დაეჭყიტათ, ფარფლებს იქნევდნენ, ლაყუჩებით ჰაერს ხაპავდნენ და ფიცარზე კუდებს გამეტებით უფათქუნებდნენ, სანამ პატრონი გასისხლიანებული ბასრი დანით ყელს ხრჭიალით არ გამოსჭრიდა. გრძელი და სქელი გველთევზები უცნაურად იკლაკნებოდნენ. ღრმა გოვზებში ფუთფუთებდნენ ზღვის შავი კიბორჩხალები, ხანდახან რომელიმე შიშისგან გაგიჟებული ღონიერი ქამბალა

კამარას შეჰკრავდა და დახლიდან მოლიპულ, ატალახებულ ქვაფენილზე მოადენდა ზღართანს, მაგრამ პატრონი იმავე წუთს თავზე დააცხრებოდა, მოვალეობის უგულებელყოფისთვის მაგარ-მაგარი სიტყვებით შეამკობდა და კვლავ დახლზე დააგდებდა.

ბრაიტენშტრასეზე შუადღისთვის უამრავი ხალხი ირეოდა. ზურგზე ჩანთამოკიდებული მოწაფეები ქუჩაზე სიცილით მოლაშლაშებდნენ, მოყიჟინებდნენ და ერთმანეთს ნახევრად გამდნარ თოვლის გუნდებს ესროდნენ. კარგ ოჯახიშვილ ახალგაზრდა შეგირდებს თავზე დანიური მეზღვაურის ქუდები ეხურათ ან ინგლისურ ყაიდაზე იყვნენ ჩაცმულნი, ხელში პორტფელები ეჭირათ და ქუჩაში მედიდურად დააბიჯებდნენ. რეალური სასწავლებლიდან თავი რომ დაეღწიათ, იმიტომ იჯგიმებოდნენ. დარბაისელ, წვერულვაშგაჭაღარავებულ, დიდად პატივცემულ ბიურგერებს სახეზე ნაციონალურ-ლიბერალური პრინციპების შეურყეველი რწმენა აჩნდათ, ხელჯოხებს მოიქნევდნენ და რატჰაუსის მოჭიქული ფასადისკენ ყურადღებით იცქირებოდნენ. იქ სენატის სხდომა მიმდინარეობდა და პორტალთან გაორმაგებული დაცვა იდგა. ფარაჯებში გამოწყობილი, მხარზე თოფგადაკიდებული ორი ჯარისკაცი მოზომილ მონაკვეთზე დააბიჯებდა. ორთავენი გულგრილად დაჭყაპუნებდნენ ატალახებულ, ნახევრად წყლადქცეულ თოვლში, ერთმანეთს შესასვლელთან ხვდებოდნენ, ერთ-ორ სიტყვას ეტყოდნენ, მერე ისევ შებრუნდებოდნენ და სხვადასხვა მხარეს წავიდოდნენ.

ხანდახან მოედანზე საყელოაწეული, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ოფიცერი გამოჩნდებოდა. ოფიცერი რომელიმე მამზელს მისდევდა კუდში და თან დიდი სახლების ფანჯრებში გადმომდგარ ბანოვანებს აწონებდა თავს. ყარაულები თავის პოსტს მიაშურებდნენ, აღჭურვილობასა და ჩაცმულობას ჩაითვალიერებდნენ და სმენაზე გაიჭიმებოდნენ. კარგა ხანი გავიდოდა, ვიდრე ჯარისკაცები რატჰაუსიდან გამოსულ სენატორებს მიესალმებოდნენ. სხდომის დაწყებიდან ჯერ ერთი საათიც არ იყო გასული, ყარაული მანამდე, ალბათ, გამოიცვლებოდა კიდეც.

მაგრამ უეცრად ერთ-ერთი ჯარისკაცის ყურს შენობიდან მოკლე, გამაფრთხილებელი სისინი მისწვდა და იმავე წუთს პორტალში რატჰაუსის მსახურის ულეფელტის წითელი ფრაკიც აკიაფდა. ულეფელტს სამკუთხა ქუდი ეხურა და ხელში ხმალი ეჭირა, იგი ჯარისკაცებს საქმიანი გამომეტყველებით მიუახლოვდა, წყნარი ხმით უბრძანა, სმენაო და საჩქაროდ უკანვე გაბრუნდა. ამ დროს ვესტიბიულში ნაბიჯების ხმაც გაისმა.

ჯარისკაცები სმენაზე დადგნენ, ქუსლები ერთმანეთს მიატყუპეს, თავი მაღლა აიღეს, მკერდი გამოზნიქეს, შაშხანები ფეხებთან ჩაიდგეს და ხელის ზუსტი და სწრაფი აქნევით მომავალს სალამი მისცეს. მათ შორის ფეხაჩქარებით გაიარა საშუალოზე ოდნავ დაბალი ტანის კაცმა და სალამზე პასუხი გასცა - ცილინდრი ასწია. ამ კაცს ცალი უფერული წარბი მაღლა აეზიდა, გადატეტკილ ლოყებზე კი გრძელი ულვაშები

გადაპრეხოდა. სენატორი თომას ბუდენბროკი დღეს სხდომის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე ტოვებდა რატჰაუსს.

მან მარჯვნივ გაუხვია და თავისი სახლის საწინააღმდეგო მხრისკენ აიღო გეზი. კორექტულად, ელეგანტურად და უნაკლოდ სუფთად ჩაცმული სენატორი ბრაიტენშტრასეზე, ჩვეულებისამებრ, თითქოს ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდა და გამვლელ-გამომვლელთ წამდაუწუმ სალამს აძლევდა. სენატორს ლაქის თეთრი ხელთათმანები ეცვა, ვერცხლისკაუჭიანი ჯოხი კი მარცხენა იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი. ქურქის სქელი საყელოდან თეთრი ჰალსტუხი მოუჩანდა. მზრუნველად მოვლილ სახეზე უძილობის დაღი ემჩნეოდა. გამვლელები ამჩნევდნენ, რომ სენატორს ჩაწითლებულ თვალებზე ცრემლი ადგებოდა ხოლმე, ბაგე კი სიმწრით ჰქონდა მოკუმული. ხანდახან ნერწყვს გადაიტანდა, თითქოს პირი რაღაც სითხით ევსებაო, მაშინ სახის კუნთების მოძრაობასა და საფეთქლებზე ეტყობოდა, რომ კბილს კბილზე მაგრად აჭერდა.

- ოჰო, ბუდენბროკ. სხდომიდან გამოიპარე? აი, ახალი ამბავი, თუ გინდა! - მიაძახა სენატორს მიულენშტრასეს დასაწყისში ვიღაცამ.

სენატორს არაფერი გაუგია და არც ამ სიტყვების წარმომთქმელი შეუნიშნავს. ეს იყო შტეფან კისტენმაკერი, მისი მეგობარი და თაყვანისმცემელი, რომელიც საზოგადოებრივ საკითხებზე გამოთქმულ მის აზრებს მუდამ თავისად ასაღებდა ხოლმე. შტეფან კისტენმაკერი ჭაღარაშეპარულ წვერს მრგვალად იყენებდა, დაფანჩული წარბები და გრძელი, ფორებიანი ცხვირი ჰქონდა. რამდენიმე წლის წინ ღვინით ვაჭრობას თავი გაანება და ფირმა მთლიანად თავის ძმას, ედუარდს გადაულოცა. ბოლო წლებში კარგა ძალი ფული მოიხვეჭა და მას შემდეგ რანტიეობას ეწეოდა. ეს სახელი ცოტა ეთაკილებოდა და ამიტომ თავი ისე მოჰქონდა, თითქოს მუდამ საქმეებში იყო ყელამდე ჩაფლული.

- ტყავი მძვრება პირდაპირ! - იტყოდა შტეფან კისტენმაკერი და დახუჭუჭებულ ჭაღარა თმაზე ხელს გადაისვამდა, - მაგრამ ადამიანი ამ ქვეყანაზე რისი მაქნისია, მუშაობით ტყავი თუ არ გასძვრა?

შტეფან კისტენმაკერი მედიდური სახით საათობით იდგა ხოლმე ბირჟაზე, თუმცა იქ იოტისოდენა საქმეც კი არ ჰქონდა. ეჭირა უამრავი, არაფრისმაქნისი თანამდებობა, ცოტა ხნის წინ კი ქალაქის აბანოების დირექტორადაც დაენიშნინებია თავი. ის ხან ნაფიც მსაჯულთა სარბიელზე იღვწოდა, ხან მაკლერად, ხან ანდერძის აღმასრულებლად მუშაობდა და შუბლიდან ოფლს იწურავდა.

- ახლა ხომ სხდომა მიმდინარეობს, ბუდენბროკ, - გაიმეორა მან, - შენ კი სასეირნოდ გამოსულხარ?

- აჰ, შენა ხარ, - წყნარად თქვა სენატორმა და ტუჩები ძლივს შეარხია, - თვალები მიბნელდება, ისე საშინლად მაწუხებს ტკივილი.

- ტკივილი გაწუხებს? რა გტკივა?

- კბილი მტკივა. გუშინდელს აქეთ თვალი არ მომიხუჭავს. ჯერ ექიმთან არ ვყოფილვარ, დილას კანტორაში საქმე მქონდა, მერე სხდომის გაცდენაც აღარ მინდოდა, მაგრამ ტკივილს ვეღარ გავუძელი და ბრეჰტისკენ გამოვეშურე.

- რომელი კბილი გტკივა?

- ქვედა კბილი, მარცხნივ... საძირე კბილი. ალბათ, გამოხრული მაქვს... აუტანლად მტკივა... Adieu, კისტენმაკერ! მიმიხვდები, რომ მეჩქარება...

- კარგი, როგორ გგონია, მე არ მეჩქარება? საქმეს ვეღარ ავუდივარ. Adieu! აბა, შენ იცი! კბილი ამოაღებინე, ყველაფერს ეგა სჯობია.

თომას ბუდენბროკმა გზა განაგრძო, კბილს კბილზე აჭერდა, თუმცა ამით ტკივილი უფრო უძლიერდებოდა. ეს იყო არაადამიანური, დამშანთავი, ტვინის გამბურღავი ტკივილი, ბოროტი წამება, რომელიც მტკივანი კბილიდან მთელ მარცხენა ყბას ედებოდა და უბჟუებდა. თითქოს გავარვარებულ ჩაქუჩს ურტყამენო, მთელი ყბა ისე უფეთქავდა, სახეზე ცხელი ტალღა უვლიდა და თვალზე ცრემლი ადგებოდა. უძილო ღამეს მისთვის ნერვები მთლად მოეშალა. ლაპარაკისას არაადამიანური ძალის მოკრება უხდებოდა, რომ ხმას არ ეღალატა.

მიულენშტრასეზე თომას ბუდენბროკი ზეთის საღებავით მოყვითალო-ყავისფრად შეღებილ სახლში შევიდა და მეორე სართულზე ალასლასდა, სადაც კარზე მიკრულ სპილენძის დაფაზე ეწერა: „კბილის ექიმი ბრეჰტი“. კარი მოახლემ გაუღო, მაგრამ სენატორს ის არც დაუნახავს. დერეფანში ბიფშტექსისა და ყვავილოვანი კომბოსტოს თბილი ოხშივარი იდგა, მოსაცდელი ოთახი კი მწვავე სპეციფიკური სუნით იყო გაჟღენთილი.

- დაბრძანდით... ამ წუთში! - მოესმა თომას ბუდენბროკს დედაბრის ხრინწიანი ხმა.

ეს იოზეფუსი გახლდათ. თუთიყუში ოთახის სიღრმეში, ლაპლაპა გალიაში იჯდა და წვრილ-წვრილი, ბოროტი თვალებით ალმაცერად და მუხანათურად იყურებოდა.

სენატორი მრგვალ მაგიდას მიუჯდა და შეეცადა თავი „მფრინავ ფურცლებში“ დაბეჭდილი ხუმრობებით გაერთო, მაგრამ ვერ შეძლო, ჟურნალი ზიზღით მოიშორა, ხელჯოხის გრილი ვერცხლის კაუჭი ლოყაზე მიიდო, სიცხისგან გათანგული თვალები დახუჭა და აკვნესდა. ირგვლივ სიჩუმე იდგა, მხოლოდ იოზეფუსი აწყდებოდა კრიახით გალიის კედლებს. ბატონ ბრეჰტს ჩვეულებად ჰქონდა, ეცალა თუ არ ეცალა, პაციენტისთვის მაინც უნდა ეცდევინებინა.

თომას ბუდენბროკი ფეხზე წამოვარდა და პატარა მაგიდაზე დადგმული გრაფინიდან წყალი დალია. წყალს ქლოროფორმის სუნი და გემო ჰქონდა. შემდეგ სენატორმა

დერეფნის კარი გამოაღო და გაბრაზებულმა გასძახა, თუ რაიმე საშური საქმე არა აქვს, ბატონმა ბრეჰტმა კეთილი ინებოს და აჩქარდეს, ტკივილი ვეღარ ამიტანიაო.

კბილის ექიმის ჭაღარაშერთული ულვაშები, მოკაუჭებული ცხვირი და მოტვლეპილი შუბლი მაშინვე გამოჩნდა საოპერაციო ოთახის კარში.

- გთხოვთ! - თქვა მან.

- გთხოვთ! - დაიყვირა იოზეფუსმაც.

სენატორი ოთახში ისე შევიდა, არ გასცინებია.

„მძიმე შემთხვევაა!“ - გაიფიქრა ბატონმა ბრეჰტმა და ფერი წაუვიდა.

ნათელი ოთახი სწრაფად გაიარეს და ერთ-ერთი ფანჯრის წინ დადგმულ დიდ, თავის მისაყრდენ სავარძელთან მივიდნენ. თომას ბუდენბროკი სავარძელში ჩაეშვა, სატკივარი ექიმს მოკლედ მოახსენა, თავი უკან გადაიგდო და თვალები დახუჭა.

ბატონმა ბრეჰტმა სავარძელი ოდნავ აამაღლა, პატარა სარკე და ლითონის ჩხირი აიღო და მტკივანი კბილი დაათვალიერა. ექიმს ხელზე ნუშის საპნის სურნელი ასდიოდა, პირიდან კი ბიფშტექსისა და ყვავილოვანი კომბოსტოს სუნი ამოსდიოდა.

- იძულებული ვართ ექსტრაქციას მივმართოთ, - ცოტა ხნის შემდეგ თქვა მან და სახეზე ფერი მთლად წაუვიდა.

- შეუდექით მერე, - მიუგო სენატორმა და თვალები უფრო მაგრად დახუჭა.

პაუზა ჩამოვარდა. ბატონი ბრეჰტი თავის კარადასთან ფათურობდა და ინსტრუმენტებს არჩევდა, შემდეგ პაციენტს ხელახლა მიუახლოვდა.

- ჯერ ცოტას წაგიცხებთ, - თქვა ექიმმა და თავისი განზრახვის აღსრულებას მაშინვე შეუდგა. პაციენტს ღრძილზე ბლომად წაუსვა მწვანე, სუნიანი სითხე, შემდეგ ალერსიანად სთხოვა, წყნარად მჯდარიყო და პირი გაეღო. ექიმი საქმეს შეუდგა.

თომას ბუდენბროკმა ორივე ხელი მაგრად ჩასჭიდა ხავერდგადაკრულ სახელურებს. კბილზე ჭანგის მოდება თითქმის არ გაუგია, მაგრამ ხრჭიალსა და თანდათან გაძლიერებულ, მტკივნეულ, საშინელ დაწოლაზე, რომელიც თითქოს მთელ თავს ედებოდა, მიხვდა, რომ საქმე კარგად მიდიოდა.

„მადლობა ღმერთს, - ფიქრობდა იგი, - ახლა დაიწყება, მოიმატებს და მოიმატებს ეს ტკივილი, კულმინაციურ წერტილს მიაღწევს, კატასტროფული, ჭკუიდან შემშლელი, გამგმირავი, არაადამიანური გახდება, ტვინს გაგიბურღავს და... მერე ყველაფერი დამთავრდება. მხოლოდ უნდა გავუძლო“.

ოპერაცია სამ თუ ოთხ წამს გაგრძელდა, ბატონი ბრეჰტის კანკალი და დაძაბულობა თომას ბუდენბროკის მთელ სხეულს გადაედო, სავარძლიდან წამოიწია და მის ყურს

კბილის ექიმის ყელიდან ამოსული სტვენისებური ხმა შემოესმა. უცებ თომას ბუდენბროკმა საშინელი ბიძგი იგრძნო, შერყევა, თითქოს კეფა გაებზარაო და მოკლე ტკაცანი და ხრჭიალი გაიგონა. თვალები სწრაფად გაახილა. კბილზე დაწოლას აღარ გრძნობდა, მაგრამ თავი უგუგუნებდა, ნაწვალები ყბა უხურდა და ტეხდა. თომას ბუდენბროკი მიხვდა, ოპერაცია ჯერ არ დამთავრებულიყო. ეს მხოლოდ ნაადრევი კატასტროფა იყო და შავი დღე ახლა დაადგებოდა.

ბატონი ბრეჰტი პაციენტს მოშორდა, ინსტრუმენტების კარადას მიეყრდნო და მკვდარივით გაფითრებულმა ძლივს ამოთქვა:

- გვირგვინი... ასეც ვფიქრობდი.

თომას ბუდენბროკმა დაშავებული ღრძილიდან გადმოღვრილი სისხლი ლურჯ თასში გადააფურთხა და თითქმის უგონოდ იკითხა:

- რას ფიქრობდით? რა დაემართა გვირგვინს?

- გვირგვინი გატყდა, ბატონო სენატორო... სწორედ ამის მეშინოდა... კბილი სავსებით გაფუჭებულია... მაგრამ ჩემი მოვალეობა იყო, ექსპერიმენტი გამებედა...

- მერე?

- დამენდეთ, ბატონო სენატორო...

- რას აპირებთ?

- ფესვები სატეხით უნდა ამოვიღოთ, ოთხივე ფესვი ღრძილშია ჩარჩენილი.

- ოთხი? მაშ ოთხჯერ უნდა მოსდოთ ჭანგი და ოთხჯერ ამოიღოთ?

- სამწუხაროდ, ასე გახლავთ.

- დღეისთვის კმარა! - თქვა სენატორმა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ წელი ვერ წამოსწია და თავი უკან გადაიგდო, - მოწყალეო ბატონო, თქვენ უფლება არა გაქვთ, ჩემგან ზეადამიანური გამძლეობა მოითხოვოთ, - თქვა მან, - ფეხზე ძლივს ვდგავარ... ამჯერად მაინც მეტი ძალა აღარა მაქვს... იქნებ პატივი დამდოთ და ერთი წუთით ფანჯარა გამოაღოთ...

ბატონმა ბრეჰტმა ფანჯარა გამოაღო და შემდეგ სენატორს მიმართა:

- ძალიან კარგი იქნება, ბატონო სენატორო, თუ ხვალ ან ზეგ, რა დროსაც მოგესურვებათ, ჩემთან მობრძანდებით, ოპერაციას მანამდე გადავდებთ... ახლა კი მხოლოდ პირის ღრუში გამოსავლებ წამალს მოგცემთ და მალამოს წაგიცხებთ, რომ ტკივილი დროებით გაგიყუჩოთ.

ექიმმა სენატორს პირში წამალი გამოავლებინა, მალამოც წაუცხო და კარამდე მიაცილა. ქაღალდივით გაფითრებულ ბატონ ბრეჰტს იმის ძალა შერჩენოდა, რომ თანაგრძნობის ნიშნად მხრები აეჩეჩა.

- ერთი წუთით!.. გთხოვთ! - დაიყვირა იოზეფუსმა, როცა ექიმმა და პაციენტმა მოსაცდელ ოთახში გაიარეს. თუთიყუშის ძახილი თომას ბუდენბროკს კიბეზეც მისწვდა.

„სატეხით... ჰო, ჰო, ეს ხვალ იყოს. ახლა კი? ახლა შინისკენ! დაისვენოს, დაძინება სცადოს. მტკივანი ნერვი თითქოს გაყუჩდა კიდეც. პირი მხოლოდ უბჟუოდა და უხურდა, მაშ, შინისკენ!“ - და სენატორი ნელა გაუყვა ქუჩას, სალამზე მექანიკურად პასუხობდა, წინ ჩაფიქრებული და გაოგნებული იყურებოდა, თითქოს თავის შინაგან მდგომარეობას აკვირდებაო.

თომას ბუდენბროკმა ფიშერგრუბეს მიაღწია და ქუჩას მარცხენა მხარეს დაღმა ჩაუყვა. ოცი ნაბიჯის შემდეგ ცუდად გახდა.

„დუქანში უნდა შევიდე, ცოტა კონიაკს დავლევ“, - გაიფიქრა მან და ქვაფენილზე გადავიდა, მაგრამ შუაგულ ქუჩამდე ვერ მიაღწია, თითქოს ტვინში კეტი შემოჰკრესო, ირგვლივ ყველაფერი საშინელი სისწრაფით დატრიალდა, შეკრული წრეები თანდათან დაპატარავდა და ბოლოს უზარმაზარმა, უხეშმა, სასტიკმა ძალამ იგი ამ წრეების ქვასავით მაგარ ცენტრში დაანარცხა... თომას ბუდენბროკი ნახევრად შემოტრიალდა და ხელებგაშლილი ქვაფენილზე პირქვე დაემხო.

ქუჩა ცერად ეშვებოდა და ამიტომ სენატორი თავდაყირა იყო დამხობილი. პირქვე დავარდნილს ცხვირ-პირიდან სისხლი თქრიალით მოსდიოდა, ქუდი ქვაფენილზე გაგორდა, ქურქი თოვლ-ჭყაპსა და ტალახში ამოესვარა. თეთრი ლაქის ხელთათმანებიანი ხელები კი გუბეში უღონოდ ჰქონდა გაშხლართული.

ასე იწვა დიდხანს, სანამ ვიღაცები არ მივიდნენ და გულაღმა არ გადმოაბრუნეს.

მერვე თავი

ფრაუ პერმანედერი სადარბაზო კიბეზე ადიოდა, ცალი ხელით კაბის კალთა აეკრიფა, მეორით კი დიდ, წაბლისფერ მუფთას ლოყაზე იხუტებდა. კი არ მიდიოდა, თითქმის მიფორთხავდა, კაპოტი გვერდზე მოქცეოდა, ლოყები უხურდა, ოდნავ აბზეკილ ზედა ტუჩზე ოფლის წვეთები ასხდა ცვარ-ცვარად. თუმცა კიბეზე არავინ შეხვედრია, განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, შიშისგან გაოგნებულს ხანდახან ხმამაღლა წამოსცდებოდა სიტყვა.

- არაფერია, - ამბობდა იგი, - ეს არაფერს ნიშნავს... ღმერთი ამას არ ინებებს... ღმერთმა იცის, რას სჩადის. ამის რწმენა მაცოცხლებს... ნამდვილად არაფერია... ღმერთო, დღედაღამ შენთვის ვილოცებ...

ფრაუ პერმანედერი შიშისგან უაზროდ ლაპარაკობდა, როგორც იქნა, ააღწია მესამე სართულზე და დერეფანში გაიჭრა. ოთახებისკენ გამავალი კარი ღია იყო და იქიდან მის შესახვედრად რძალი მოდიოდა.

გერდა ბუდენბროკს მშვენიერი თეთრი სახე შიშისა და ზიზღისგან მოქცეოდა, ახლო- ახლოს განლაგებულ მუქთაფლისფერ, მოლურჯო ჩრდილებით შემორკალულ თვალებში ბრაზის, დაბნეულობისა და ზიზღის სხივი უელავდა. გერდამ ფრაუ პერმანედერი იცნო, მის შესახვედრად ხელები გაშალა, მოეხვია და თავი მულის მკერდში ჩამალა.

- გერდა, გერდა, რა ამბავია! - აღმოხდა ფრაუ პერმანედერს, - რა მოხდა! ეს რას ნიშნავს! დაეცაო, თქვეს? გონზე არ არის? როგორაა? ღმერთი არ გაგვწირავს... ღვთის გულისათვის, მითხარი...

მაგრამ ფრაუ პერმანედერს პასუხი მაშინვე არ მიუღია, მხოლოდ იგრძნო, გერდას როგორ გააჟრჟოლა, შემდეგ მხართან მისი ჩურჩული გაიგონა:

- როგორი შესახედავი იყო, რომ მოიყვანეს! მთელი სიცოცხლის მანძილზე მის ტანზე მტვრის ნამცეციც კი არავის უნახავს... ბედის დაცინვა და სიმდაბლე არ არის, რომ ასეთი ბოლო დაუდგა?..

მათ სმენას ყრუ ფაჩუნი მისწვდა. სენატორის გარდერობის კარი გაიღო და კარის ჩარჩოში თეთრწინსაფრიანი იდა იუნგმანი გამოჩნდა. იდას ხელში თასი ეჭირა, თვალები ჩასწითლებოდა და ნიკაპი უკანკალებდა. ფრაუ პერმანედერი რომ დაინახა, თვალები დახარა და უკან დაიხია, ქალბატონს გზა უტია.

იატაკამდე დაშვებული, მოჩითული ფარდები ჰაერის შემობერვაზე აფრიალდა, როცა ტონი და მისი რძალი საძინებელ ოთახში შევიდნენ. ცხვირში კარბოლის, ეთერისა და სხვა მედიკამენტების სუნი ეცათ. წითელი ხის განიერ საწოლზე, წითელი, დალიანდაგებული საბნის ქვეშ თომას ბუდენბროკი პირაღმა იწვა. მას უკვე ამოქარგული საღამური პერანგი ეცვა. ნახევრად ღია თვალები გადატრიალებული ჰქონდა, გაწეწილ ულვაშებს ქვემოთ ტუჩებს აცმაცუნებდა და დროდადრო ყელიდან ხროტინის ხმა ამოსდიოდა. ახალგაზრდა დოქტორი ლანგჰალსი მისკენ დაიხარა, სახიდან გასისხლიანებული საფენი ააცალა, იქვე პატარა მაგიდაზე მდგარ თასში მეორე საფენი დაასველა, შემდეგ ავადმყოფს გულისცემა და პულსი გაუსინჯა. საწოლის ფეხებთან, დაბალ სკამზე პატარა იოჰანი იჯდა, მეზღვაურული ხალათის საყელოს კვანძს აწვალებდა და ღრმად ჩაფიქრებული მამის ყელიდან ამომავალ ხმებს უსმენდა. ტალახში ამოსვრილი ტანსაცმელი სადღაც სკამზე ელაგა.

ფრაუ პერმანედერმა საწოლთან ჩაიჩოქა, ძმის დამძიმებული, ცივი ხელი აიტაცა და მომაკვდავს სახეში ჩააჩერდა... ფრაუ პერმანედერი ხვდებოდა, რომ ღმერთი, სულერთია, უწყოდა თუ არა, რას სჩადიოდა, მაინც „ყველაზე უარესის“ ქმნას აპირებდა.

- ტომ! - მოთქვამდა ტონი, - ვერა მცნობ, ტომ? რა გემართება! გინდა მიგვატოვო? არა, შენ არ მიგვატოვებ! არა, ეს არ მოხდება, არა, ეს არ მოხდება, ტომ!

ფრაუ პერმანედერს პასუხის მსგავსი არაფერი გაუგონია და თვალი დოქტორ ლანგჰალსს მუდარით მიაპყრო. დოქტორი ლანჰალსი ფეხზე იდგა, მშვენიერი თვალები დაეხარა და თვითკმაყოფილ სახეზე თითქოს ღვთის ნება-სურვილი ეწერა.

იდა იუნგმანი ისევ შემოვიდა, იქნებ ექიმს ჩემი მიშველება დასჭირდესო. მობრძანდა თვით მოხუცი დოქტორი გრაბოვი. მოგრძო სახეზე ძველებურად კეთილი გამომეტყველება ეფინა. ყველას ხელი ჩამოართვა, თავის კანტურით გასინჯა ავადმყოფი და ზუსტად იგივე გაიმეორა, რაც დოქტორ ლანგჰალსს უკვე გაეკეთებინა.

უბედური შემთხვევის ამბავი ქალაქს ელვის სისწრაფით მოედო. სადარბაზო კარზე განუწყვეტლივ წკრიალებდა ზარი და საძინებელ ოთახში მყოფთ ესმოდათ, სენატორის ამბავს როგორ კითხულობდნენ. სენატორი ისევ ისე იყო, ისევ ისე... ერთსა და იმავე პასუხს იღებდა ყველა.

ორივე ექიმმა საჭიროდ ცნო, ყოველი შემთხვევისთვის, ღამე მოწყალების და მოეყვანათ. მონაზონ ლეანდრასთან კაცი აფრინეს და ისიც მოვიდა. სახეზე შიშისა და შეშფოთების კვალიც არ ემჩნეოდა, ამჯერადაც მშვიდად დადო თავისი ტყავის ჩანთა, თავსაბურავი მოიხადა, მოსასხამი მოიძრო და თავისი მოვალეობის აღსრულებას წყნარად და ალერსიანად შეუდგა.

პატარა იოჰანი რამდენიმე საათს იჯდა სკამზე, ყველაფერს თვალყურს ადევნებდა და თან მამის ხროტინს უგდებდა ყურს. კარგა ხანია არითმეტიკის კერძო გაკვეთილზე უნდა წასულიყო, მაგრამ ესმოდა, რომ ამ ამბის შემხედვარე ვერც ერთი პრიალასერთუკიანი ხმის ამოღებას ვერ გაბედავდა. ჰანოს საშინაო დავალებების გახსენებაზე დამცინავად გაეღიმა. ზოგჯერ მასთან ფრაუ პერმანედერი მივიდოდა და გულში ჩაიკრავდა. მაშინ ჰანო ცრემლებს ღვრიდა, მეტწილად კი თვალგამშრალი იჯდა, გაოგნებული, ღრმად ჩაფიქრებული იყურებოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ფრთხილად სუნთქავდა, თითქოს მოელოდა, რომ მის ყნოსვას საცაა ის უცხო, მაგრამ მაინც საოცრად ნაცნობი და ახლობელი სურნელი მისწვდებოდა.

დაახლოებით ოთხ საათზე ფრაუ პერმანედერმა რაღაც გადაწყვიტა, დოქტორი ლანგჰალსი მეზობელ ოთახში გაიხმო, გულხელი დაიკრიფა, თავი უკან გადაიგდო და თან შეეცადა ნიკაპი მკერდზე დაებჯინა.

- ბატონო დოქტორო, - დაიწყო მან, - ერთი რამ მაინც არის თქვენს ხელში და ამიტომ გთხოვთ! სიმართლე მითხარით, მიყავით სიკეთე! მე ცხოვრებისგან გამოწრთობილი ქალი ვარ... სიმართლის ატანას დიდი ხანია მივეჩვიე, მერწმუნეთ! გაატანს ჩემი ძმა ხვალამდე? გულახდილად თქვით!

დოქტორმა ლანგჰალსმა მშვენიერი თვალები განზე გააპარა, ფრჩხილებზე დაიხედა და ადამიანის უძლურებაზე გააბა ლაპარაკი, ისიც აღნიშნა, რომ ამ კითხვის გადაჭრა შეუძლებელი გახლდათ; ფრაუ პერმანედერის ბატონი ძმა გაათენებდა თუ რამდენიმე წუთში განუტევებდა სულს, ძნელი სათქმელი იყო.

- მაშინ მე ვიცი, რაც უნდა ვქნა, - თქვა ფრაუ პერმანედერმა, გარეთ გამოვიდა და პასტორ პრინგსჰაიმთან აფრინა კაცი.

პასტორი პრინგსჰაიმი ნახევრად შემოსილი მობრძანდა. ჟაბო არ ეკეთა, მაგრამ გრძელი ანაფორა კი ეცვა. მონაზონ ლეანდრას გამგმირავი მზერა ესროლა და მომაკვდავის სარეცელთან მისთვის დადგმულ სკამზე დაეშვა. ავადმყოფს შეცნობა და ყურთასმენა სთხოვა, მაგრამ ამაოდ. მაშინ პასტორმა პირდაპირ ღმერთს შეჰღაღადა. პასტორი პრინგსჰაიმი სტილიზებულ ფრანკულ კილოზე ლაპარაკობდა, მის სახეზე კი პირქუში ფანატიზმის ჩრდილს გულმოწყალე ნათელი ცვლიდა. „რ“-ს ყელში მსუყედ და ნარნარად არაკრაკებდა და პატარა იოჰანმა წარმოიდგინა, აქ მოსვლამდე პასტორს უთუოდ ყავა და ფუნთუშა ექნება მირთმეულიო.

პასტორი ამბობდა, არც მე და არც აქ მყოფი ჭირისუფალნი აღარ ვლოცულობთ საყვარელი და ძვირფასი ადამიანის სიცოცხლისთვის, რამეთუ ვუწყით, ვერ გადავალთ უზენაესის ნებას. უფალს მხოლოდ იმას ვევედრებით, მომაკვდავს უდრტვინველი აღსასრული მოუვლინოსო. შემდეგ პასტორმა ამ შემთხვევის შესაფერი ორი ლოცვა წარმოთქვა. ფეხზე წამოდგა, გერდა ბუდენბროკსა და ფრაუ პერმანედერს ხელი ჩამოართვა, პატარა იოჰანს თავზე ორივე ხელი მოავლო და ერთი წამით მზერა დარდით გულმოკლული ბავშვის დახრილ წამწამებზე შეაჩერა. შემდეგ პასტორმა ფროილაინ იუნგმანს დაუკრა თავი, მონაზონი ლეანდრა კვლავ მომნუსხველი მზერით გაზომა და იქაურობას განშორდა.

შინიდან მალე მობრუნებულ დოქტორ ლანგჰალსს ავადმყოფი ძველებურად დაუხვდა. ექიმმა მომვლელ ქალს რამდენიმე სიტყვა უთხრა და წავიდა. დოქტორი გრაბოვიც მობრძანდა მეორეჯერ, ავადმყოფს დახედა და ისიც მაშინვე გაეცალა იქაურობას. თომას ბუდენბროკს თვალები კვლავინდებურად ჰქონდა გადატრიალებული და ხროტინებდა. ბინდი ჩამოწვა. ზამთრის ცა ოდნავ შევარდისფრებულიყო და დაისის ნაზი შუქი სადღაც სკამზე გადაკიდებულ, ტალახში გასვრილ ტანსაცმელს ხვდებოდა.

ხუთ საათზე ფრაუ პერმანედერმა, თითქოს რაღაცამ მოუარაო, გულზე ხელები დაიკრიფა და უეცრად თავისი ხორხისმიერი ხმით საგალობელი წამოიწყო:

- მოუვლინე აღსასრული, უფალო, - ამბობდა იგი და ყველანი სულგანაბულნი უსმენდნენ, - იხსენი ტანჯვისგან, მიანიჭე ძალა, უდრტვინველად განუტევოს სული, უფალო...

ფრაუ პერმანედერი გულმხურვალედ ლოცულობდა, მთელი გულისყური, იმ წუთში რასაც წარმოთქვამდა, იქით ჰქონდა მიქცეული, იმას კი აღარ უფიქრდებოდა, რომ საგალობლის სტროფი ბოლომდე არ იცოდა და მესამე პწკარზევე ელოდა წაფორხილება. ასეც დაემართა, საგალობელი მაღალ ტონზე შეწყვიტა და ბოლო პწკარის შევსებას მედიდური იერითღა შეეცადა. ოთახში მყოფნი უხერხულად შეიშმუშნენ. პატარა იოჰანმა ისე მაგრად ჩაახველა, რომ მისი ხმა ქვითინივით გაისმა. შემდეგ ჩამოვარდნილ სამარისებურ სიჩუმეში მხოლოდ თომას ბუდენბროკის ხროტინი ისმოდა.

ყველას გულზე მოეშვა, როცა მოახლემ სახელდახელო სუფრაზე მიბრძანება სთხოვათ. ყველანი გერდას ოთახში გავიდნენ, მაგრამ სუპის ხვრეპას შეუდგნენ თუ არა, კარში მონაზონი ლეანდრა გამოჩნდა და თავი უსიტყვოდ დახარა.

სენატორი გარდაიცვალა. ერთი-ორჯერ ამოიხვნეშა, დადუმდა და ტუჩების ცმაცუნი შეწყვიტა. ეს იყო ერთადერთი ცვლილება, თვალები აქამდეც მკვდარი ჰქონდა.

დოქტორი ლანგჰალსი რამდენიმე წუთის შემდეგ გამოცხადდა, შავი სტეტოსკოპი მიცვალებულს მკერდზე დაადო, დიდხანს გულდასმით უსმინა და კეთილსინდისიერი გასინჯვის შემდეგ განაცხადა, ყველაფერი დამთავრდაო.

მონაზონმა ლეანდრამ თავისი უფერული, ნაზი ხელით მიცვალებულს ქუთუთოები ფრთხილად დაუხუჭა. ფრაუ პერმანედერი საწოლის ფერხთით მუხლებზე დაემხო, სახე დალიანდაგებულ საბანში ჩარგო და ხმამაღლა აქვითინდა. იგი თავშეუკავებლად ტიროდა, გულში ბოღმას არ იტოვებდა. გულის მოოხება მისი დალოცვილი ბუნების თვისება იყო. სახედალორთხილი, მაგრამ უკვე ძალამოკრეფილი და გულმოოხებული წამოდგა და იმწამსვე დეპეშების დაგზავნაზე ფიქრს შეუდგა. დეპეშები დაუყოვნებლივ უნდა დაგზავნილიყო, უამრავი კეთილშობილურად დაბეჭდილი სამგლოვიარო დეპეშა იყო საჭირო.

არენაზე ქრისტიანიც გამოჩნდა. სენატორის დაშავების ამბავი კლუბში გაეგო და მაშინვე წამოსულიყო, მაგრამ იმის შიშით, რაიმე საშინელ სურათს არ წავესწროო, ქალაქგარეთ გასულიყო და მის კვალს ვეღარავინ მიაგნო. ქრისტიანმა, როგორც იქნა, მოაღწია აქამდე და ძმის გარდაცვალების ამბავი სადარბაზო შემოსასვლელშივე შეიტყო.

- ეს ხომ შეუძლებელია! - თქვა მან და ფეხათრეული, თვალების ცეცებით აუყვა კიბეს.

ქრისტიანი მიცვალებულის სარეცელთან დასა და რძალს შორის იდგა. იდგა გამელოტებული, ლოყებჩაცვენილი, ულვაშები ჩამოშვებოდა, კეხიანი ცხვირი

უზარმაზარი მოუჩანდა, მოგრეხილ ფეხებზე მდგარი, ოდნავ წელში მოხრილი ქრისტიანი კითხვის ნიშანს წააგავდა, პატარ-პატარა, ღრმად ჩამჯდარ თვალებს ძმის სახეს არ აცილებდა და მიცვალებულის მდუმარე, უმეტყველო სახეს უხმოდ შესცქეროდა. ამ სახეს ამიერიდან ვერავითარი ადამიანური გაკიცხვა ვეღარ შეეხებოდა. მიცვალებულს ტუჩის კუთხეები თითქმის ზიზღით ჰქონდა ჩამოშვებული. ის, ვისაც ქრისტიანი საყვედურობდა, ჩემს კუბოსთან ცრემლს არ გადმოაგდებო, ახლა მკვდარი იყო, სიტყვა არ დასცდენია, ისე მიაბარა უფალს სული, ტაქტიანად, ღირსეულად დადუმდა და სხვები თავიანთი სირცხვილის ანაბარა მიაგდო ულმობლად, როგორც სიცოცხლეში იცოდა ხოლმე! ცუდად იქცეოდა თუ კარგად სენატორი, ძმის „ტანჯვას“, კაცის აჩრდილზე, სპირტიან ბოთლსა და ღია ფანჯარაზე ჩივილს გულცივობით რომ პასუხობდა? ეს კითხვა აღარ არსებობდა, უაზრო გამხდარიყო, რადგან სიკვდილს ჯიუტობა და მიკერძოება გამოეჩინა, თომასი გამოერჩია და გაემართლებინა, ის გაეხმო და გაეყოლიებინა, პატივი და დიდება მიეზღო, საყოველთაო, ცხოველი ინტერესის საგნად გაეხადა, ქრისტიანი კი უგულებელეყო და, ალბათ, მის გაბიაბრუებასა და ათასგვარი ხრიკებით გატანჯვას არ მოიშლიდა, რაც ქრისტიანს არავის თვალში პატივისცემას არ მოუპოვებდა. თომას ბუდენბროკს ძმის თვალში ასეთი პატივისცემა არასოდეს მოუხვეჭია. წარმატებას დიდი ძალა აქვს. მხოლოდ სიკვდილს ძალუძს სხვებში ჩვენი ტანჯვისადმი რიდი და პატივისცემა გამოიწვიოს, სულ უმცირესი, უმნიშვნელო ტანჯვაც კი მისი მეშვეობით პატივისცემის ღირსი ხდება.

„შენ მართალი გამოდექი, ქუდს ვიხრი შენ წინაშე“, - გაიფიქრა ქრისტიანმა, მუხლმოკვეთილმა სარეცელთან სწრაფად ჩაიჩოქა და საბანზე დასვენებულ გაყინულ ხელს ემთხვია. შემდეგ უკან დაიხია და თვალების ცეცებით ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

მოვიდნენ სხვებიც: მოხუცი კროგერები, ბრაიტენშტრასელი ქალბატონი ბუდენბროკები, მოხუცი ბატონი მარკუსი. მოვიდა საბრალო კლოტილდეც, გაძვალტყავებული და განაცრისფრებული, სარეცელთან შეუშფოთებლად დადგა და ნაქსოვ ხელთათმანებში გახვეული ხელები გულზე დაიკრიფა.

- არ გეგონოთ, ტონი და გერდა, გულცივი ვიყო და იმიტომ არ ვტიროდე, ცრემლი მაქვს გამშრალი, - გაჭიანურებულად დაიწუწუნა კლოტილდემ. მის სიტყვებში ეჭვი არავის შეჰპარვია, ისე იყო საბრალო გამომშრალი და გამოფიტული.

ბოლოს ასპარეზი ყველამ ერთ უსიმპათიო, უკბილო, ჩიფჩიფა დედაბერს დაუთმო, რომელსაც ლეანდრასთან ერთად მიცვალებული უნდა განებანა და გამოეწყო.

* * *

სასტუმრო ოთახში, გაზის დიდი ჭაღის ქვეშ, მრგვალ მაგიდასთან გვიანობამდე ისხდნენ გერდა ბუდენბროკი, ფრაუ პერმანედერი, ქრისტიანი და პატარა იოჰანი.

ყველანი თავაუღებლივ საქმიანობდნენ. შესადგენი იყო იმ ხალხის სია, ვისთვისაც სამგლოვიარო დეპეშები უნდა დაეგზავნათ, კონვერტებზე მისამართები იყო დასაწერი. ყველა კალამი წრიპინებდა. ხანგამოშვებით ვინმეს ახალი სახელი მოაგონდებოდა და სიაში ჩაწერდა. დრო აღარ ითმენდა. ჰანოც უნდა მიხმარებოდათ, იგი სუფთად წერდა.

სახლსა და ქუჩაში სიწყნარე იყო. იშვიათად თუ გაისმოდა ნაბიჯების ხმა და მერე ისევ მიყრუვდებოდა. გაზის ლამპა წყნარად შიშინებდა, ვინმე კონვერტზე დასაწერ გვარს დაიჩურჩულებდა, ან ქაღალდი თუ გატკაცუნდებოდა. ხანდახან ერთმანეთს გადახედავდნენ და თავს დატეხილ უბედურებას მოიგონებდნენ.

ფრაუ პერმანედერს დიდის ამბით გამოჰყავდა ოკრობოკრო ასოები, მაგრამ, თითქოს გამოთვლილი აქვსო, ყოველ ხუთ წუთში კალამს გვერდზე გადადებდა, შეტყუპებულ ხელებს პირთან მიიტანდა და მოთქვამდა.

- გონს ვერ მოვსულვარ! - იძახდა იგი და ამით ამჟღავნებდა, რომ თანდათან ხვდებოდა, თავს რა უბედურება დაატყდათ, - ყველაფერი გათავდა! - მოულოდნელად წამოიძახებდა იგი და სასოწარკვეთილი, ხმამაღლა აქვითინებული რძალს ყელზე ეხვეოდა, შემდეგ ძალას მოიკრებდა და კვლავ საქმეს უბრუნდებოდა.

ქრისტიანი საბრალო კლოტილდეს დღეში იყო. ერთი ცრემლიც არ გადმოუგდია და ცოტათი რცხვენოდა. უხერხულობის გრძნობა ყველა სხვა შეგრძნებაზე იმარჯვებდა. საკუთარი მდგომარეობითა და უცნაურობებით მუდმივ გატაცებას მისთვის არაქათი გამოეცლია და დაეჩლუნგებინა. ხანგამოშვებით წამოიწევდა, მელოტ შუბლზე ხელს გადაისვამდა და დაგუდული ხმით წამოიძახებდა:

- ღმერთო, რა საშინელებაა!

ამ სიტყვებს იგი საკუთარ თავს ეუბნებოდა და თავს ძალას ატანდა, რომ თვალთაგან ცრემლი გამოეწურა.

უცებ ყველას ტანში გააჟრჟოლა. პატარა იოჰანს სიცილი აუტყდა. წერაში გართული რომელიღაც კურიოზულ სახელს გადაჰყროდა. ჰანომ ის სახელი გაიმეორა, წაიფრუტუნა, წინ გადაიხარა, აკანკალდა, წაისლუკუნა, მაგრამ სიცილისგან თავი ვეღარ შეიკავა. პირველად შეიძლებოდა ვინმეს ეფიქრა, პატარა იოჰანი ტირისო, მაგრამ არა! უფროსები ბავშვს ეჭვით გაოგნებულნი მიაჩერდნენ, შემდეგ კი დედამ დასაძინებლად გაგზავნა.

მეცხრე თავი

კბილის ტკივილით... სენატორი ბუდენბროკი კბილის ტკივილით მოკვდაო, ამბობდნენ ქალაქში, მაგრამ, ღმერთმა დასწყევლოს, კბილით ვინ მომკვდარა! სენატორს კბილი სტკიოდა, ბატონმა ბრეჰტმა გვირგვინი გადაუტეხა და იქიდან გამოსული ქუჩაში წაიქცაო. ასეთი რამ გაგონილა?..

თუმცა ახლა ამას რა აზრი ჰქონდა, ეს მიცვალებულმა იკითხოს, სხვებმა მხოლოდ გვირგვინებზე უნდა იზრუნონ, უზარმაზარი, ძვირფასი გვირგვინებით უნდა სცენ პატივი მიცვალებულს. ამ გვირგვინებს გაზეთებშიც მოიხსენიებდნენ, მათ ზედვე ეტყობოდა, სოლიდური და მდიდარი ხალხისგან რომ იყო გამოგზავნილი. გვირგვინები ყოველი მხრიდან მოდიოდა, კომპანიებისგან, ოჯახებისა და კერძო პირებისგან. მოდიოდა სურნელოვანი ყვავილების, დაფნისა და ვერცხლის გვირგვინები, შავი თუ ქალაქის დროშასავით სამფერი ლენტებით შემკული, ტუშითა და მოოქრული ასოებით დამშვენებული გვირგვინები. მოდიოდა პალმის რტოები, უზარმაზარი პალმის რტოები...

ყვავილების მაღაზიებში გახურებული ვაჭრობა იყო, სხვებს არც ბუდენბროკების სახლის წინ მდებარე ივერსენის მაღაზია ჩამორჩებოდა. ფრაუ ივერსენი დღეში რამდენჯერმე რეკავდა სადარბაზო კარზე და სხვადასხვა ფორმის გვირგვინები და თაიგულები მოჰქონდა, მოჰქონდა სენატორებისგან, კონსულებისგან, სხვადასხვა ფირმის შეფებისგან შეკვეთილი გვირგვინები.

ერთხელ ფრაუ ივერსენმა იკითხა, ცოტა ხნით ზევით ასვლა და სენატორის ნახვა თუ შეიძლებაო. თანხმობა შემოუთვალეს და ისიც ფროილაინ იუნგმანს აჰყვა სადარბაზო კიბეზე. ფრაუ ივერსენს გაჩახჩახებული კიბის დანახვაზე თვალი გაუცეცდა. იგი მძიმედ მიდიოდა, ჩვეულებისამებრ, ორსულად იყო. წლებს ფრაუ ივერსენზე დაღი დაეჩნია, მაგრამ ვიწროდ გაჭრილ შავ თვალებსა და მალაიურ ღაწვებს მაინც შერჩენოდა ძველებური ეშხი. კაცი ადვილად შეატყობდა, რომ ოდესღაც ეს ქალი არაჩვეულებრივად ლამაზი უნდა ყოფილიყო.

ფრაუ ივერსენი სალონში შეუშვეს. თომას ბუდენბროკი იქ იყო დასვენებული.

სენატორი ვრცელი და ნათელი, დაცარიელებული დარბაზის შუაგულში თეთრ აბრეშუმგამოკრულ კუბოში ესვენა. მიცვალებულისთვის თეთრი ტანსაცმელი ჩაეცმიათ და სხეულზეც თეთრი აბრეშუმის სუდარა ჰქონდა გადაფარებული. ირგვლივ ტუბეროზების, იებისა და სხვა ათასგვარი ყვავილის მძაფრი, გამაბრუებელი სურნელი ტრიალებდა. მიცვალებულის თავთან ნახევარწრეს ქმნიდნენ ვერცხლის კანდელაბრები, შავად შესუდრულ კვარცხლბეკზე კი თორვალდსენის ხელაპყრობილი ქრისტე იდგა. ყვავილწნულები, გვირგვინები, კალათები და თაიგულები კედლის გასწვრივ ელაგა, ნაწილი იატაკსა და სუდარაზე
იყო მიმობნეული. პალმის რტოებს თავი ცხედრის ფეხებთან დაეხარა. მიცვალებულს სახეზე ალაგ-ალაგ აჩნდა იარები, ცხვირი ჩათეთქვოდა, მაგრამ თმა როგორც სიცოცხლეში, ისე ჰქონდა დავარცხნილი, ულვაშები კი, რომელზედაც მოხუც ბატონ

ვენცელს უკანასკნელად გაეტარებინა მაშა, ცარცივით გათეთრებულ ლოყებზე გადაგრეხოდა. მიცვალებულს თავი ოდნავ გვერდზე ჰქონდა მოქცეული, გულზე დაკრეფილ ხელებში კი სპილოს ძვლის ჯვარი ეჭირა.

ფრაუ ივერსენი კარის ზღურბლთან შეჩერდა და მოწკურული თვალებით კუბოს შორიდან დაუწყო ჭვრეტა. მხოლოდ მაშინ გაბედა გაკრიალებულ პარკეტზე რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, როცა სასტუმრო ოთახიდან ძაძებში შემოსილი და ტირილისგან თვალებდაწითლებული ფრაუ პერმანედერი გამოვიდა და ფრაუ ივერსენს ალერსიანად უთხრა, ახლოს მობრძანდითო. ფრაუ ივერსენი იდგა, ხელები გამობზეკილ მუცელზე დაეკრიფა და ვიწრო, შავი თვალებით ყვავილებს, კანდელაბრებს, გვირგვინის ლენტებს, თეთრი აბრეშუმის ზღვასა და თომას ბუდენბროკის სახეს შესცქეროდა. ძნელი იყო თვეში ჩამდგარი ქალის გაფითრებული და მოშვებული სახის გამომეტყველებისთვის შესაფერი სახელი დაგერქმიათ. ბოლოს ქალმა წარმოთქვა: „ჰოო“, ერთხელ, მხოლოდ ერთადერთხელ ამოისლუკუნა, მოკლედ და ყრუდ ამოიკვნესა და პირი კარისკენ იბრუნა.

ფრაუ პერმანედერს ასეთი მოსამძიმრებები უყვარდა, სახლიდან ფეხს არ იცვლიდა და ძმის ნეშტთან გამოსათხოვრად მოსულ ხალხს დიდი გულმოდგინებით აკვირდებოდა. ხან თავისი ხორხისმიერი ხმით საგაზეთო სტატიებს კითხულობდა გაუთავებლად. გაზეთი, ისევე როგორც ფირმის იუბილეს დროს, თომას ბუდენბროკს ქება-დიდებით იხსენიებდა და აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო მწუხარებას გამოთქვამდა.

ფრაუ პერმანედერი სამძიმარს სასტუმრო ოთახში იღებდა, გერდა ბუდენბროკი კი - სალონში. მოსამძიმრეებს ბოლო არ უჩანდა, ხალხი ლეგიონივით მოდიოდა. ფრაუ პერმანედერი სხვადასხვა პირს დაკრძალვის ცერემონიალზე ეთათბირებოდა, უნდოდა, დაკრძალვის ცერემონიალი რაც შეიძლება კეთილშობილური ყოფილიყო. აწყობდა გამოთხოვების სცენებს: კანტორის მთელი პერსონალი ზევით ამოიყვანა, რომ მათ თავიანთი შეფისთვის უკანასკნელი მშვიდობა ეთქვათ. შემდეგ ჯერი ბეღლის მუშებზე მიდგა. ისინი პარკეტზე უზარმაზარი ფეხებით მოაბოტებდნენ. უხერხულობისგან ბაგემოღრეცილმა მუშებმა დარბაზში არყის, საღეჭი თამბაქოსა და ოფლის სუნი დააყენეს. მდიდრულად მორთულ კუბოს ათვალიერებდნენ, ქუდებს ხელში უგერგილოდ ატრიალებდნენ, სახეზე ჯერ განცვიფრება გამოეხატათ, მერე კი აშკარად მოიწყინეს. ბოლოს, როგორც იქნა, ერთმა გაბედა, კარისკენ გაიწია და მუშების მთელი გუნდიც მაშინვე ფეხდაფეხ მიჰყვა. ფრაუ პერმანედერი აღტაცებული იყო, ამტკიცებდა, ბევრს ჯაგარა წვერზე ცრემლი ჩამოსდიოდაო. ეს, უბრალოდ, ტყუილი იყო, ასეთი არაფერი მომხდარა, მაგრამ თუკი ფრაუ პერმანედერმა მუშებს ცრემლი დაუნახა და ეს ამბავი ბედნიერებას ჰგვრიდა?

დადგა დაკრძალვის დღეც. თუთიის კუბო ჰერმეტულად იყო დახურული და ზედ ყვავილები ეყარა, კანდელაბრებში სანთლები ენთო, სახლი ხალხით გაივსო.

ჩამოსული თუ დამხვდური ჭირისუფლებით გარშემორტყმული პასტორი პრინგსჰაიმი კუბოს თავთან მედიდურად იდგა და ფართო ჟაბოდან თავი ისე მოუჩანდა, გეგონებოდათ, ლანგარზეა დასვენებულიო.

დაკრძალვის ცერემონიალს ერთი დაქირავებული, ასეთ ამბებში გამოქექილი კაცი უძღვებოდა. ცილინდრი ხელში ეჭირა, რბილლანჩიანი ფეხსაცმელებით სადარბაზო კიბისკენ გარბოდა და ქვევით, სადაც ფორმიანი მოხელეების, ცილინდროსნებისა და სატინის შარვალ-ხალათიანი ბეღლის მუშების ბრბო ზიმზიმებდა, ჩასძახოდა, ოთახები სავსეა, მაგრამ დერეფნებში კიდევ არის ცოტა ადგილიო.

შემდეგ მთელ სახლში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. პასტორმა პრინგსჰაიმმა ღაღადისი დაიწყო და მისმა გაწაფულმა ხმამ მთელი სახლი გუგუნით აავსო.
პასტორი პრინგსჰაიმი ქრისტეს ქანდაკის გვერდით იდგა, ხელები სალოცავად აღეპყრო და ღაღადებდა, ამ დროს სახლის წინ, ზამთრის რძისფერ ცისქვეშ ოთხცხენშებმული ბალდახინი ჩამოდგა, ქუჩაზე კი მდინარემდე კარეტების გრძელი რიგი გაიჭიმა. სადარბაზო კარის პირდაპირ ორ მწკრივად დაწყობილი ჯარისკაცების რაზმი მოჩანდა. მათ სათავეში ლეიტენანტი ფონ თროტა ედგა. ლეიტენანტს ხელში გაშიშვლებული ხმალი ეჭირა და ანთებულ თვალებს სახლის ფანჯრებს არ აცილებდა. მახლობელი ფანჯრებიდან უამრავ ხალხს გადმოეყო თავი, ქუჩაზე მდგომთ კი კისრები წაეგრძელებინათ.

ბოლოს ვესტიბიულში ჩოჩქოლი ატყდა, ლეიტენანტმა წყნარად გასცა ბრძანება, ჯარისკაცები სმენაზე დადგნენ, ბატონმა ფონ თროტამ ხმალი დახარა და კუბოც გამოჩნდა. კუბო შავმოსასხამიან ოთხ კაცს მოჰქონდა. იგი სადარბაზო კარიდან ტაატით გამოცურდა, ქარმა ცნობისმოყვარეებისკენ ყვავილების სურნელი მიაფრქვია, ბალდახინის სახურავზე შავი ჯიღები შეარხია, მდინარემდე ჩარიგებულ ცხენებს ფაფარი შეუთამაშა და მებალდახინესა და მის მხლებლებს შავი ლენტები აუფრიალა. ციდან ფარფატით ეშვებოდა თოვლის ფიფქები. ბალდახინის ცხენები ოთხმა დათალხულმა მხლებელმა დაძრა. ცხენები ძაძებში ისე იყვნენ შესუდრული, რომ დაფეთებული თვალებიღა მოუჩანდათ. ცხენები ნელა მიდიოდნენ, მათ ჯარისკაცების რაზმი მიჰყვებოდა, უკან კი ერთმანეთზე მიყოლებით კარეტები დაიძრნენ. ქრისტიან ბუდენბროკი პასტორთან ერთად პირველ კარეტაში ჩაჯდა. მეორე კარეტაში პატარა იოჰანი და მისი ერთი ნაპატივები ჰამბურგელი ნათესავი მოთავსდნენ და ნელა, ნელა, მძიმედ და საზეიმოდ დაიძრა სასაფლაოსკენ გრძელ მწკრივად გაჭიმული პროცესია. ქარი სახლებზე გამოკიდებულ დახრილ დროშებს ატყლაშუნებდა. კანტორის მოხელეები და ბეღლის მუშები პროცესიას ფეხით მიჰყვებოდნენ.

როცა სასაფლაოზე გამცილებლებით გარშემორტყმულმა კუბომ საფლავებზე აღმართული ჯვრების, ქანდაკებებისა და ეკვდერების ტყე გაიარა და ბუდენბროკების საგვარეულო აკლდამას მიუახლოვდა, იქ უკვე საპატიო ყარაული იდგა გაჭიმული და

თომას ბუდენბროკის ნეშტს ესალმებოდა. ბუჩქნარს უკან კი სამგლოვიარო მარშის ყრუ და მძიმე ხმები გაისმა.

ისევ გადასწიეს საგვარეულო გერბამოტვიფრული დიდი ფილა, კვლავ დადგნენ მამაკაცები გაძარცულ ჭალაში ქვით ამოყვანილი საფლავის კიდეზე, სადაც ამიერიდან თომას ბუდენბროკს უნდა განესვენა. ისინი საფლავთან იდგნენ: პატივცემული, შეძლებული ბატონები, ზოგს გლოვის ნიშნად თავი ჩაექინდრა, ზოგს
კი გვერდზე გადაეგდო. ბატონებს შორის თეთრი ლაქის ხელთათმანებითა და თეთრი ყელსახვევებით რატსჰერები გამოირჩეოდნენ. მათ უკან მოსამსახურეების, მოხელეების, ბეღლის მუშებისა და მტვირთავების ბრბო ზიმზიმებდა.

მუსიკა მიწყდა და პასტორმა პრინგსჰაიმმაც დაიწყო ღაღადისი. როცა გაყინულ ჰაერში მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა გაიხმიანა, ყველანი დაიძრნენ, რომ განსვენებულის ძმისა და ვაჟისთვის თანაგრძნობის ნიშნად კიდევ ერთხელ ჩამოერთმიათ ხელი.

ცერემონიალი გაჭიანურდა, ქრისტიან ბუდენბროკი სამძიმარს ნახევრად დაბნეული, ნახევრად დარცხვენილი სახით იღებდა. საზეიმო ცერემონიალის დროს მუდამ ასე ემართებოდა ხოლმე. მეზღვაურულ, ოქროსღილებიან სქელ ქურთუკში გამოწყობილი პატარა იოჰანი ბიძის გვერდით იდგა, მოლურჯო ჩრდილებით შემორკალული თვალები დაეხარა, არავის უყურებდა და შუბლშეჭმუხნილი აბეზარ ქარს თავს არიდებდა.

მეთერთმეტე ნაწილი

პირველი თავი

ხანდახან კაცს ვინმე მოგაგონდება, გაიფიქრებ, ნეტავ როგორ არისო, და უცებ გაგახსენდება, რომ იგი უკვე ქუჩაში აღარ დაიარება. მისი ხმაც აღარ უერთდება საყოველთაო ხმაურს, ცხოვრების არენიდანაც სამუდამოდ გამქრალა და სადღაც, ქალაქის ჭიშკარს გადაღმა, მიწაში განისვენებს.

კონსულის მეუღლე ქალბატონი ბუდენბროკი, ქალიშვილობაში შტიუვინგი, ბიძია გოტჰოლდის ქვრივი, მკვდარი იყო. ეს ქალი ოდესღაც ოჯახური განხეთქილების მიზეზი გახდა, დღეს კი სიკვდილს მისთვისაც სამუდამო ნათელი დაეყენებინა. ახლა მის სამ ქალიშვილს, ფრიდერიკეს, ჰენრიეტესა და ფიფის უფლება ჰქონდათ თავიანთი ნათესავების სამძიმარი შეურაცხყოფილი იერით მიეღოთ, თითქოს

უნდოდათ, ეთქვათ: ხომ ხედავთ, თქვენმა დევნამ მოუღო ბოლოო, თუმცა კონსულის მეუღლის ხნის ქვა აღარ დაგორავდა დედამიწაზე.

მადამ კეთელსენსაც დაემკვიდრებინა სამუდამო სასუფეველი. მადამ კეთელსენი უკანასკნელ წლებში ნიკრისის ქარით იტანჯებოდა, მაგრამ უდრტვინველად, ბავშვური რწმენით აღსავსემ მიაბარა უფალს სული. მის განსწავლულ დას შურდა კიდეც მადამ კეთელსენისა, რადგან თვითონ პატარ-პატარა რაციონალურ ცდუნებებთან ჭიდილი ვერა და ვერ მოეთავებინა. თუმცა კუზი სულ ეზრდებოდა და თვითონ დღითი დღე ილეოდა, კერკეტი ორგანიზმი ამ ცოდვილი დედამიწიდან წასვლას ჯერ არ აპირებდა.

კონსული დოლმანიც გარდაცვლილიყო. მან თავის ქონებას წირვა გამოუყვანა, ბოლოს „ჰუნიადი-იანოშს“ გადაჰყვა და თავის ქალიშვილს ორასმარკიანი წლიური რენტა დაუტოვა, თუმცა საფლავში იმედი ჩაიტანა, რომ საზოგადოება დოლმანების სახელს ჯეროვან პატივს სცემდა და მისი ქალიშვილი თავს წმინდა იოანეს მონასტერში შეაფარებდა.

იუსტუს კროგერიც წასულიყო იმ ქვეყნად. ახლა მის სუსტნებისყოფიან მეუღლეს ხელს არავინ უშლიდა, უკანასკნელი ვერცხლეული გაეყიდა და გადაგვარებული იაკობისთვის ფული ეგზავნა. იაკობი სადღაც, უცხოეთში, გზააბნეულ ცხოვრებას ეწეოდა.

რაც შეეხება ქრისტიან ბუდენბროკს, მას ქალაქში ამაოდ მოიკითხავდით. ქრისტიანმა ქალაქიდან ფეხი ამოიკვეთა. ძმის სიკვდილის შემდეგ ერთ წელსაც არ გაუვლია, რომ ჰამბურგს გადაბარგდა და ერთ ქალბატონთან, თავის დიდი ხნის საყვარელთან, ფროილაინ ალინა პუფოგელთან კაცისა და ღვთის წინაშე პირნათლად დაქორწინდა. ქრისტიანს ხელის შემშლელი ახლა აღარავინ ჰყავდა. დედისეული
მემკვიდრეობიდან პროცენტების ნახევარი უწინდებურად ჰამბურგში იგზავნებოდა, გაუფლანგავ ნაწილს კი შტეფან კისტენმაკერი განაგებდა. ასეთი იყო განსვენებული სენატორის ნება. სხვა მხრივ, ქრისტიანი თავის ბატონ-პატრონი გახლდათ. როგორც კი მისი ქორწინების ამბავი გახმაურდა, ფრაუ პერმანედერმა ფრაუ ალინა ბუდენბროკს ჰამბურგში გრძელი და მტრული წერილი მისწერა. იგი ალინა ბუდენბროკს „მადამს“ უწოდებდა და დაგესლილი სიტყვებით ატყობინებდა, რომ ფრაუ პერმანედერი არც ადრესატს და არც მის შვილებს არასდროს ნათესავებად არ მიიღებდა.

ბატონი კისტენმაკერი ანდერძის აღმასრულებლად იყო დანიშნული, ბუდენბროკების ქონებას განაგებდა და პატარა იოჰანს მეურვეობდა. ყველა მოვალეობას იგი ღირსეულად ასრულებდა. ეს მოვალეობანი უაღრესად საპატიო მოღვაწეობისკენ უხსნიდნენ გზას. მას ახლა უფლება ჰქონდა, ბირჟაზე მდგარიყო, მუშაობით გადაქანცვის ნიშნად თავზე ხელი გადაესვა და აღენიშნა, შრომაში ტყავი მძვრებაო, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისი შრომის საფასურად შემოსავლის ორ

პროცენტს ზედმიწევნით გულმოდგინედ მიითვლიდა ხოლმე. შტეფან კისტენმაკერს საქმეში ბედი მაინცდამაინც არ სწყალობდა და მალე გერდა ბუდენბროკის უკმაყოფილებაც დაიმსახურა.

საჭირო იყო ფირმის ლიკვიდაცია. ფირმა ერთი წლის განმავლობაში უნდა გაეუქმებინათ. ასეთი იყო სენატორის უკანასკნელი ნება. ფრაუ პერმანედერი სიმწრისგან ხელებს იმტვრევდა:

- მერე იოჰანი, პატარა იოჰანი? ჰანოს რაღა ეშველება? - კითხულობდა იგი.

ის ფაქტი, რომ სენატორს თავისი ვაჟიშვილისთვის, ერთადერთი მემკვიდრისთვის, გვერდი აევლო და მისთვის ფირმის შენარჩუნება არ მოესურვებინა, ფრაუ პერმანედერს გულს უკლავდა და გუნებას უწამლავდა. ხშირად მოთქვამდა, საპატიო საგვარეულო გერბს, ამ ოთხ თაობაში გამოვლილ საუნჯეს, ახლა როგორ უნდა შეველიოთო. ბუდენბროკების ისტორია უნდა დასრულებულიყო, მაშინ როცა კანონიერი მემკვიდრე არსებობდა... მაგრამ შემდეგ თავი ინუგეშა, ფირმის გაუქმება ჩვენი გვარის აღსასრულს არ ნიშნავსო. მისი ძმისწული ახალ საქმეს წამოიწყებდა და თავის მაღალ მოწოდებას გაამართლებდა - მამა-პაპის სახელს ბრწყინვალებას შეუნარჩუნებდა და ბუდენბროკების გვარს ხელახლა ააყვავებდა. ტყუილად კი არ ჰგავდა ჰანო თავის პაპის პაპას.

საქმის გაუქმება ბატონი კისტენმაკერისა და მოხუცი მარკუსის ხელმძღვანელობით დაიწყო და ცუდად წარიმართა. მოცემული ვადა მცირე იყო, ვადაში ზუსტად უნდა ჩატეულიყვნენ, დრო არ ითმენდა. მოსამთავრებელი საქმეები ნაჩქარევად და უნიათოდ მოათავეს. ქონება ნაჩქარევად და ზარალით იყიდებოდა. საწყობი და ბეღლები ჩალის ფასად გაიყიდა, რაც ბატონი კისტენმაკერის მეტისმეტი გულმოდგინებით არ ფუჭდებოდა, იმას ბატონი მარკუსის ზოზინი უთავებდა ხელს. მოხუც მარკუსზე ქალაქში ჭორაობდნენ, ზამთარში, ქუჩაში გამოსვლამდე ღუმელთან მარტო პალტოსა და ქუდს კი არა, ხელჯოხსაც მზრუნველად ათბობსო. იგი, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან უშვებდა. მოკლედ, დანაკარგი დანაკარგზე დაზვავდა. თომას ბუდენბროკმა დოკუმენტების მიხედვით ექვსას ორმოცდაათი ათასი მარკის ქონება დატოვა, ანდერძის გახსნიდან ერთი წლის თავზე კი გამოირკვა, რომ ბუდენბროკების ქონება ამ თანხას ახლოსაც არ უდგებოდა.

ქალაქში საქმის ზარალით ლიკვიდაციაზე უცნაური, გაზვიადებული ჭორები დადიოდა. ჭორებს საზრდოს ისიც აძლევდა, რომ ხმა დაირხა, გერდა ბუდენბროკი დიდი სახლის გაყიდვას აპირებსო. გერდა ბუდენბროკის განზრახვას უცნაური ამბებით ხსნიდნენ, ბუდენბროკების ქონების საეჭვო შემცირებაზეც იფხანდნენ ენას და საკვირველი აღარ იყო, რომ თანდათან ქალაქში გერდა ბუდენბროკს ალმაცერად დაუწყეს ყურება. დაქვრივებულმა სენატორის მეუღლემ ეს ცვლილება პირველად გაოცებითა და გულის ტკივილით შეამჩნია, შემდეგ კი გაბრაზდა, როცა ერთ დღეს

თავის მულს შესჩივლა, რამდენიმე ხელოსანმა და მომმარაგებელმა ანგარიშის გასწორება საკმაოდ უხეშად მომთხოვაო, ფრაუ პერმანედერი დიდხანს მეხდაცემულივით იჯდა, მერე კი საზარელი ხარხარი აუტყდა... გერდა ბუდენბროკი ისე იყო აღრენილი, თითქმის გადაჭრით გამოთქვა აზრი, პატარა იოჰანთან ერთად ამსტერდამში გადავსახლდები და მამასთან ერთად ძველებურად დუეტებს დავუკრავ ვიოლინოზეო, მაგრამ რძლის განცხადებამ ფრაუ პერმანედერი ისე აღაშფოთა, რომ გერდა იძულებული გახდა ამ გეგმის განხორციელებისგან ჯერჯერობით თავი შეეკავებინა.

როგორც მოსალონელი იყო, ფრაუ პერმანედერი თავისი ძმის აშენებული სახლის გაყიდვაზეც აცხადებდა პროტესტს. ხმამაღლა წუწუნებდა, ეს ამბავი საზოგადოებაზე ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს და ოჯახის პრესტიჟს კიდევ უფრო დააკნინებსო, მაგრამ ფრაუ პერმანედერი იძულებული გახდა, დანებებულიყო. ეს სახლი ოდესღაც თომას ბუდენბროკის ძვირად ღირებული კაპრიზი გახლდათ, მით უმეტეს აწი ასეთ უზარმაზარ და დიდებულ სახლში ცხოვრებას პრაქტიკული აზრი არა ჰქონდა. ფრაუ პერმანედერმა ისიც აღიარა, რომ გერდას სურვილი, ქალაქის ჭიშკართან პატარა, კეთილმოწყობილი ვილა შეეძინა, გამართლებული იყო.

ბატონ გოშს, მაკლერ სიგიზმუნდ გოშს, ბედნიერი დღე გაუთენდა. სიბერის დღეს ისეთ ამბავს მოესწრო, რომ რამდენიმე საათს ხელ-ფეხის კანკალიც კი შეუჩერდა. მას უფლება მიეცა ბუდენბროკების სალონში შეედგა ფეხი, გერდას პირისპირ სავარძელში ჩამჯდარიყო და მასთან სახლის ფასზე ეთათბირა. სიგიზმუნდ გოშს თოვლივით გათეთრებული თმა სახეზე ჩამოევარცხნა, ნიკაპი წინ საშიშრად წამოეწია, მართლა კუზიანივით მოკუნტულიყო და გერდა ბუდენბროკს ქვემოდან შესციცინებდა, სისინა ხმით, მაგრამ ცივად და საქმიანად ლაპარაკობდა და სულიერ მღელვარებას არაფრით ამჟღავნებდა. მან სახლის გაყიდვა თავს იდო და გერდა ბუდენბროკს ცბიერი ღიმილით 85000 მარკა შესთავაზა. ფასს არა უჭირდა რა, რადგან სახლის გაყიდვისას ზარალს ვერ ასცდებოდნენ, მაგრამ გერდა ბუდენბროკი იძულებული იყო, ბატონ კისტენმაკერის აზრისთვის გაეწია ანგარიში, ამიტომ ბატონი გოში ისე გაისტუმრა, ხელშეკრულება არ დაუდვია. ბატონი კისტენმაკერი თურმე არც ფიქრობდა, თავის საქმეებში ვინმე ჩაერია. ბატონ გოშის
შემოთავაზებული თანხა სასაცილოდ არ ეყო და დაიფიცა, სახლს გაცილებით ძვირად გავყიდიო. ასე იფიცებოდა ბატონი კისტენმაკერი, სანამ იძულებული არ გახდა,
სახლი 75000 მარკად მიეყიდა ვიღაც ხანში შესული მარტოხელა კაცისთვის, რათა ამ საქმისთვის, ბოლოს და ბოლოს, წერტილი დაესვა. ეს კაცი შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებულიყო და ახლა ქალაქში აპირებდა დასახლებას.

ახალი სახლის შეძენაზე ბატონმა კისტენმაკერმა იზრუნა, მშვენიერი პატარა ვილა გამოძებნა. ვილა საკმაოდ ძვირი დაუჯდა, მაგრამ სამაგიეროდ ქალაქგარეთ, წაბლების ხეივნის ახლოს მდებარეობდა, კოპწია ბაღ-ბოსტანი ერტყა და გერდა ბუდენბროკის სურვილს სავსებით აკმაყოფილებდა.

1876 წლის შემოდგომაზე სენატორის მეუღლე ვაჟიშვილითა და მსახურებით იმ ვილაში გადავიდა. ავეჯის ნაწილიც იქ გადაიტანა. ფრაუ პერმანედერის გულის მოსაკლავად სახლის მორთულობის დიდი ნაწილი იქვე დარჩა და ამიერიდან ვიღაც ბერბიჭას საკუთრება უნდა გამხდარიყო.

ცვლილებანი ამით არ დასრულებულა! მამზელ იუნგმანი, იდა იუნგმანი, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ბუდენბროკებს, ახლა სამშობლოში, დასავლეთ პრუსიაში მიემგზავრებოდა, რათა სიცოცხლის უკანასკნელი წლები თავისი ნათესავების კარზე გაეტარებინა. სინამდვილეში იდა იუნგმანი სენატორის მეუღლემ დაითხოვა. კეთილმა იდამ ადრინდელი თაობა გამოზარდა, შემდეგ პატარა იოჰანს დასტრიალებდა თავს, ხელისგულზე ისვამდა, გრიმის ზღაპრებს უკითხავდა და თან სლოკინისგან გარდაცვლილი ბიძის ამბავს უყვებოდა. ახლა კი იოჰანი პატარა აღარ იყო, თხუთმეტი წლის ყმაწვილს, სუსტი ორგანიზმის მიუხედავად, იდას
მოვლა-პატრონობა აღარ სჭირდებოდა, დედამისთან კი კარგა ხანია, იდა ვერ რიგდებოდა. იდა იუნგმანს ოჯახში მასზე გაცილებით გვიან შემოსული ეს ქალი ოჯახის სრულუფლებიან წევრად არასოდეს ჩაუთვლია. სიბერეში კი ძველი მსახურებისთვის დამახასიათებელი ყოყოჩობაც მოერია და თავს გადაჭარბებულ უფლებებს ანიჭებდა. იდას თავი მედიდურად ეჭირა და საოჯახო საქმეებში თვითნებობას იჩენდა. გერდას მოხუც მამზელზე გული მოსდიოდა, მათი ურთიერთობა დღითი დღე მწვავდებოდა, ქალბატონი და მსახური ხშირად ჩხუბობდნენ კიდეც და თუმცა ფრაუ პერმანედერი იდა იუნგმანსაც ისე თავგამოდებით ესარჩლებოდა, როგორც სახლისა და ავეჯის დატოვებას ევედრებოდა გერდას, მისმა თავდებობამ არ გაჭრა და მოხუცი იდა იუნგმანი დაითხოვეს.

პატარა იოჰანთან გამომშვიდობებისას იდა იუნგმანი მწარედ ტიროდა. იოჰანი იდას გადაეხვია, შემდეგ ხელები ზურგზე შემოიწყო, ცალ ფეხს დაეყრდნო, მეორე ფეხი ცერზე დააბჯინა და იდას ასე დაემშვიდობა. იოჰანი ისევე ჩაფიქრებული და გულჩათხრობილი ჩანდა, როგორც მაშინ, თავისი მოოქროსფრო-წაბლისფერი, ლურჯი ჩრდილებით შემორკალული თვალებით ბებიის ცხედარს რომ დასცქეროდა, როგორც მამამისის სიკვდილის დღეს, დიდი სახლის დატოვებისა და მსგავსი ამბების დროს იყურებოდა ხოლმე. მის თვალში მოხუც იდასთან გამოთხოვება ოჯახის დაქსაქსვის, აღსასრულის, ნგრევისა და დაღუპვის დამაგვირგვინებელი ამბავი იყო. ასეთი ამბები იოჰანს აღარ აკვირვებდა. უცნაური ის იყო, რომ განცვიფრება არც არასდროს გამოუხატავს. ზოგჯერ, როცა ღია წაბლისფერი კულულებით დახუნძლულ თავს ასწევდა და ცხვირის ნატიფი ნესტოები აუთრთოლდებოდა, გეგონებოდათ, თითქოს ჰაერს ფრთხილად ისუნთქავდა, თითქოს ეშინოდა, მის ყნოსვას ის საოცრად ნაცნობი სუნი არ მისწვდომოდა, რომელსაც ბებიის კუბოსთან ყვავილების სურნელიც კი ვერ ერეოდა და ვერ ანელებდა.

ყოველთვის, როცა ფრაუ პერმანედერი რძალთან მივიდოდა, ძმისწულს მოიხმობდა და წარსულის ამბებს უყვებოდა ხოლმე, თან იმ მომავალს უსურათებდა, რომელსაც

ბუდენბროკები, ღვთის შეწევნით, პატარა იოჰანს დაუმადლიდნენ. ბეჩავი აწმყოს შემხედვარე ფრაუ პერმანედერი წარსულის მოგონებით გულს ვერ იჯერებდა: ყვებოდა, რა დიდებულად ცხოვრობდნენ მისი მშობლები, მისი ბებია და ბაბუა, ჰანოს პაპის პაპა კი ქვეყნით ქვეყნამდე თურმე ოთხცხენშებმული დროშკით მოგზაურობდა.

ერთ დღეს ფრაუ პერმანედერს კუჭის შეტევა მოუვიდა, როცა ფრიდერიკე, ჰენრიეტე და ფიფი ბუდენბროკები ერთხმად უმტკიცებდნენ, ჰაგენშტრომები რჩეულთა შორის რჩეულნი არიანო.

ქრისტიანისგან ცუდი ამბები მოდიოდა, როგორც ჩანდა, დაოჯახებას მისთვის სიკეთე არ მოუტანია. საზარელი აზრები და მოჩვენებანი უფრო მოსძალებოდა და მეუღლისა და რომელიღაც ექიმის დაჟინებით ერთ დაწესებულებაში გადასულიყო. ქრისტიანს იქ არ ულხინდა, თავისიანებს საცოდავ წერილებს სწერდა და გულმხურვალედ იხვეწებოდა, ამ დაწესებულებაში ძალიან მკაცრად მექცევიან და როგორმე დამიხსენითო. მაგრამ იქიდან გამოსვლას არავინ ანებებდა. შეიძლება იქ ყოფნა მისთვის ჯობდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ეს გარემოება მის მეუღლეს საშუალებას აძლევდა, ქორწინების ყველა პრაქტიკული და მორალური სიკეთე გამოეყენებინა და ძველებურად უდარდელად და თავისუფლად ეცხოვრა.

მეორე თავი

მაღვიძარას ზამბარამ დაიჩხაკუნა და ერთგული, ყურისწამღები რეკვა ატეხა. სიძველისგან დანჯღრეული მაღვიძარა ხრინწიანად, ტკაცატკუცით რეკავდა და უფრო ზრიალს გამოსცემდა, ვიდრე ზარის ხმას. ზარის ჟღრიალი დიდხანს გულის გამაწვრილებლად გრძელდებოდა, რადგან ზამბარა კეთილსინდისიერად იყო მომართული.

ჰანო ბუდენბროკი შეკრთა. ყოველ დილას ამ ბოროტი და თან ერთგული ხმაურის გაგონებაზე ბრაზისა და სასოწარკვეთილებისგან გული ეკუმშებოდა ხოლმე. მაღვიძარა ზედ მის ყურთან, საღამურ მაგიდაზე იდგა. გარეგნულად ჰანოს მღელვარება არ ეტყობოდა, ლოგინში გვერდიც კი არ შეუცვლია, მხოლოდ დილის ბურანიდან გამოერკვა და თვალები გაახილა.

გამოყინულ ოთახში უკუნეთი იდგა, ჰანო საგნებს ვერ არჩევდა, ვერც საათის ისრებს ხედავდა, მაგრამ იცოდა, რომ ექვსი საათი იყო - გუშინ საღამოს მაღვიძარა თავისი ხელით დააყენა ექვს საათზე. გუშინ, გუშინ... ნერვებდაჭიმული ჰანო თავს ებრძოდა, რომ სინათლე აენთო და ლოგინიდან წამომდგარიყო, მაგრამ გაუნძრევლად იწვა პირაღმა და გუშინდელი განცდები თანდათან უბრუნდებოდა.

გუშინ კვირა იყო, მანამდე ჰანო რამდენიმე დღე ზედიზედ დადიოდა ბატონ ბრეჰტთან. სამაგიერო ჯილდოდ ნებართვა მიიღო, დედას ქალაქის თეატრში ხლებოდა და „ლოენგრინი“ მოესმინა. იმ საღამოს მოლოდინში ერთი კვირა სიხარულით უთრთოდა გული. საუბედუროდ, ასეთ საზეიმო საღამოს ყოველთვის იმდენი უსიამოვნება უსწრებდა ხოლმე წინ, რომ უკანასკნელ წუთამდე მშვენიერ მოლოდინს უშხამავდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, შაბათს მეცადინეობა მთავრდებოდა. ბორმანქანაც უკანასკნელად გაიზუზუნებდა მის კბილებში და უკანასკნელ ტკივილს მიაყენებდა. ახლა ყველა დაბრკოლება დაძლეული და გადალახული იყო, რადგან საშინაო დავალებების შესრულებაც ორშაბათისთვის გადადო. რას ნიშნავდა ორშაბათი? ვითომ დადგებოდა ეს დღე? არავინ ფიქრობს ორშაბათის გათენებაზე, როცა შაბათ საღამოს „ლოენგრინს“ უნდა მოუსმინოს... ჰანოს უნდოდა ორშაბათ დილას ადრე ამდგარიყო და ის სულელური საქმეები მაშინ მოეშორებინა! ჯერ კი ჩიტივით თავისუფალი იყო, გულში გაჩენილ სიხარულს ელოლიავებოდა, ცოტა ხანს როიალთან იოცნება და ყველა უსიამო გრძნობა გულიდან გადაიყარა.

შემდეგ ბედნიერება სინამდვილედ იქცა. იგი მოევლინა თავისი სიწმინდითა და აღმაფრენით, იდუმალი თრთოლვითა და კრთომით, უეცარი შინაგანი ქვითინით და წამლეკავ და ამოუხაპავ თრობის მორევში ჩაითრია. მართალია, ორკესტრის იაფფასიანმა ვიოლინოებმა უვერტიურაში ყალბი ნოტები გაურიეს და სქელი, წითურწვერიანი, გაფუყული კაცი სცენაზე ნავით ოდნავ ულაზათოდ გამოცურდა, თანაც მეზობელ ლოჟაში ჰანოს მეურვე, ბატონი შტეფან კისტენმაკერი ბრძანდებოდა და ბუზღუნებდა, თეატრში სიარულით ამ ბიჭს თავგზას უბნევენ და თავის მოვალეობებზე გულს უცრუებენო, მაგრამ ჰანოს ამ მიწიერ სინამდვილეს ის ტკბილი, სხივმფინარე და დიდებული ჰანგები ავიწყებდა.

დასასრული მაინც დადგა. აჟღერებული, მოციმციმე ბედნიერება დადუმდა და ჩაქრა. გაბრუებული ჰანო თავის ოთახში მოეგო გონს და მაშინვე გაახსენდა, რომ უფერულ სინამდვილეს მხოლოდ რამდენიმე საათის ძილი აშორებდა. ჰანოს კარგად ნაცნობი სასოწარკვეთილების გრძნობა მოერია. კვლავ შეიცნო, როგორ უკოდავს გულს ადამიანს მშვენიერება, როგორ ძირავს სირცხვილისა და სანუკვარი სასოწარკვეთილების მორევში, როგორ უკარგავს გამბედაობასა და ყოველდღიურ ცხოვრებასთან გამკლავების უნარს. ამ გრძნობამ ისე წარუკვეთა სასო, ისე მძიმედ მოახრევინა ქედი, რომ ერთხელ კიდევ გამოუტყდა საკუთარ თავს: ეს დამთრგუნავი ძალა მხოლოდ ჩემი პირადი დარდი და ნაღველი კი არ არის, ეს არის მძიმე ტვირთი, რომელიც დაბადებიდანვე მიმძიმებს სულს და ოდესმე ბოლოსაც მომიღებსო.

ჰანომ მაღვიძარა საათი მომართა და დაიძინა, მკვდარივით -ღრმად ჩაეძინა, როგორც ადამიანს, რომელსაც აღარც უნდა, რომ გაიღვიძოს, და აი, გათენდა ორშაბათი. ექვსი საათი შესრულდა, მას კი ერთი გაკვეთილიც არ მოუმზადებია!

ჰანო წამოიწია და სასთუმალთან მდგარ მაგიდაზე სანთელი აანთო. გაყინულმა ჰაერმა მკლავები და მხრები ისე გაუთოშა, რომ კვლავ სწრაფად ჩაწვა და საბანში გაეხვია.

ისრები შვიდის ათ წუთს უჩვენებდა. აჰ, ახლა ადგომა და მუშაობა სისულელე იყო, დავალებები ბლომად ჰქონდა, თითქმის ყველა გაკვეთილი უნდა დაესწავლა, მეცადინეობის დაწყება აღარ ღირდა, დანიშნული დრო მაინც გადასული იყო. გუშინ კი ფიქრობდა, მაგრამ განა აუცილებელია, დღეს ლათინურშიც და ქიმიაშიც გამოიძახონ? გამოძახება მოსალოდნელი იყო, დიახ, სავსებით შესაძლებელიც. წინა გაკვეთილზე ოვიდიუსის გამოკითხვა მასწავლებელმა სიის ბოლოდან დაიწყო, დღეს სიას, ალბათ, ანიდან და ბანიდან ჩაჰყვებოდა. მაგრამ სავალდებულო ხომ არ იყო, ასე ექნა, სულაც არა! წესიდან გადახვევა ხომ ხდება ხოლმე?! ღმერთო ჩემო, შემთხვევით რა არ შეიძლება მოხდეს. ჰანო ამ მაცდური და ნაძალადევი ნუგეშით იტყუებდა თავს, ამასობაში კი ფიქრები ერთმანეთში აერია და ხელახლა ჩაეძინა.

პატარა, ცივი და მიუსაფარი ოთახი სანთლის ლიცლიცა შუქში იყო ჩაფლული. სანთელი საწოლის თავთან მიკრულ სიქსტეს მადონას გრავიურას, შუაში დადგმულ გასაშლელ მაგიდას, წიგნებით უწესრიგოდ გამოტენილ კარადას, წითელი ხის მსხვილფეხებიან პულტს, ფისჰარმონიასა და ვიწრო პირსაბანს მკრთალად ანათებდა. ფანჯრებზე ყინვას ყვავილები მოექარგა. ფარდები ჩამოშვებული არ იყო, რათა დღის სინათლეს ადრე შემოენათებინა ოთახში. ჰანო ბუდენბროკს ეძინა, ლოყა ბალიშზე მიეკრა, ბაგე ოდნავ გაეხსნა, წამწამები მაგრად დაეხუჭა, ძილს ღრმა სასოებით მისცემოდა, რბილი, ღია წაბლისფერი თმა საფეთქლებზე ხვეულებად ეყარა.
სანთლის მოწითალო შუქი თანდათან გაუფერულდა და ფანჯრის შეჭირხლული მინებიდან ოთახში გაცრეცილმა დილამ შემოიხედა.

შვიდ საათზე ჰანოს კვლავ შიშით გაეღვიძა. ამ ვადამაც სწრაფად გაირბინა. ახლა ვეღარაფრით დაიძვრენდა თავს, უნდა ამდგარიყო და საქმეს შესდგომოდა. გაკვეთილების დაწყებამდე საათიღა დარჩა. დრო აღარ ითმენდა, გაკვეთილების მომზადებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ჰანო მაინც იწვა. გული სიმწრითა და ნაღვლით ევსებოდა, რომ ბედს ასეთი უხეში ძალადობის მსხვერპლი გაეხადა: ამ ყინვაში თბილი ლოგინი უნდა მიეტოვებინა, თავი საფრთხისთვის გაემეტებინა და ულმობელ და ავისმოსურნე ადამიანებში გარეულიყო.

- აჰ, კიდევ ორი წუთი, კარგი? - ნაზად და ალერსიანად ჩაეკითხა ბალიშს, შემდეგ გაჯიუტებულმა ხუთი წუთი კიდევ მოიპარა და თვალები დახუჭა, ხანგამოშვებით ცალ თვალს გაახელდა და ისრებს სასოწარკვეთილი შეჰყურებდა. ისრები ჩლუნგად, უმეცრად და კორექტულად მიდიოდნენ წინ, თავისი გზით.

რვის ათ წუთზე ჰანო წამოხტა და აფუსფუსდა. სანთელი ისევ ენთო, დღის სინათლე ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი. ჰანომ ფანჯარაზე ჭირხლი ცოტა მოასუფთავა და გაიჭვრიტა. გარეთ სქელი ნისლი იყო ჩამოწოლილი.

ჰანო ითოშებოდა, ყინვა ხანდახან მთელ სხეულში მტკივნეულად დაუვლიდა და შეაჟრჟოლებდა. თითის წვერები ეწვოდა და ებერებოდა, ზედ ფრჩხილის საწმენდ ჯაგრისს ვერ იკარებდა. მკერდის დასაბანად პირსაბანს მიადგა, მაგრამ თითქმის გაშეშებული ხელიდან ღრუბელი გაუვარდა. ერთ წუთს გაქვავებული, უმწეოდ იდგა და გაქაფული ცხენივით პირიდან ჰაერის ბოლქვებს უშვებდა.

ბოლოს და ბოლოს აქოშინებული და თვალდანისლული ჰანო გაშლილ მაგიდასთან ჩაცმული იდგა. ტყავის ჩანთას ხელი მოჰკიდა და შერჩენილი სულიერი ძალა მოიკრიბა, რომ დღევანდელი გაკვეთილებისთვის საჭირო წიგნები ჩაელაგებინა. წინ დაძაბული იყურებოდა და შეშინებული ბუტბუტებდა: - საღვთო სჯული... ლათინური... ქიმია... - და მელნით დათხუპნილ, დახეულ, მუყაოსყდიან წიგნებს ჩანთაში ტენიდა.

პატარა იოჰანს ტანი აეყარა. ის ახლა მეთექვსმეტე წელიწადში იდგა, მეზღვაურულ კოსტიუმს აღარ ატარებდა, ღია ყავისფერი პიჯაკი ეცვა და ყელზე თეთრწინწკლებიანი ლურჯი ჰალსტუხი ეკეთა. ჟილეტზე გრძელი, წვრილი ძეწკვი მოუჩანდა. ეს ძეწკვი ჰანოს მემკვიდრეობით რგებოდა, ოდნავ ფართო, მაგრამ ნატიფად ჩამოქნილ მარჯვნა ხელის არათითზე ასევე ნამემკვიდრევი, ზურმუხტისთვლიანი საგვარეულო ბეჭედი ეკეთა. ჰანომ შალის თბილი ქურთუკი ჩაიცვა, ქუდი დაიხურა, ჩანთა მხარზე მოიგდო, სანთელი ჩააქრო, კიბეზე დაეშვა, დათვის ფიტულს ჩაუქროლა და მარჯვნივ, სასადილო ოთახისკენ გაიჭრა.

ფროილაინ კლემენტინა, დედამისის ახალი დიასახლისი, შუბლზე კულულებჩამოყრილი, გამხდარი, ცხვირწაწვეტებული, ბეცი ქალი უკვე იქ იყო და ჰანოს საუზმეს უწყობდა.

- რომელი საათია? - კბილებშორის გამოცრა ჰანომ, თუმცა მშვენივრად იცოდა, რა დროც იყო.

- რვას აკლია თხუთმეტი, - უპასუხა კლემენტინამ და გამხდარი, დაკორძებული წითელი ხელი კედლის საათისკენ გაიშვირა, - თქვენი წასვლის დროა, ჰანო, - დაუმატა მან, წინ ოხშივარავარდნილი ფინჯანი დაუდგა და პურის კალათა, კარაქი, მარილი და კვერცხის ფიალა მიუჩოჩა.

ჰანოს კრინტი აღარ დაუძრავს, ერთი ფუნთუშა აიღო, ქუდი არ მოუხდია, ჩანთაც იღლიის ქვეშ ეჭირა, და კაკაოს ხვრეპას ზეზეურად შეუდგა. ცხელმა სასმელმა ბრეჰტის დამუშავებულ კბილში ელვასავით დაუარა. ჰანომ ნახევარი ფინჯანი კაკაო დატოვა, კვერცხზეც უარი თქვა, ბაგემოღრეცილმა რაღაც დამშვიდობებისმაგვარი წაილუღლუღა და სახლიდან გამოვარდა.

რვას უკვე ათი წუთი აკლდა, როცა პაწია ბაღჩა გაირბინა, ვილა უკან მოიტოვა და დათოვლილ ხეივანს სირბილით მიაშურა. ათი, ცხრა, რვა წუთი დარჩა. ჯერ კიდევ გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი. ჩამოწოლილ ნისლში გზის გარჩევაც ჭირდა. ჰანომ

სქელი, ყინულივით ცივი ნისლი ვიწრო მკერდით ღრმად ჩაისუნთქა, კაკაოსგან ჯერ ისევ გაბუჟებულ კბილს ენა მოუსვა და ფეხის კუნთებს არაადამიანური ძალა დაატანა. ერთთავად ოფლში ცურავდა, მაგრამ ტანზე მაინც სციოდა. გვერდში ჭვალი გაუდგა. სირბილისგან ის ერთი ყლუპი კაკაოც კუჭში უბუყბუყებდა, თავბრუ ეხვეოდა, გული ჩიტივით უფართქალებდა და სულის მოთქმა უჭირდა.

გამოჩნდა ქალაქის ჭიშკარი. ჯერ ქალაქის ჭიშკართან იყო, რვას კი ოთხი წუთი აკლდა! ჰანოს ცივმა ოფლმა დაასხა. გვერდებში ჭვალგამდგარი, აქოშინებული ყმაწვილი ფეხებს ძლივს მიათრევდა და თან აქეთ-იქით ქუჩას ზვერავდა, იქნებ ვინმე მოწაფე დავლანდოო. არა, ქუჩაში არც ერთი მოწაფე აღარ ჭაჭანებდა. ყველანი ადგილზე იყვნენ, საათი უკვე რვას რეკავდა! ყველა კოშკზე ერთხმად აგუგუნდა ზარები. წმინდა მარიამის ეკლესიიდან რეკვასთან ერთად „ჰმადლიდე უფალსა“ გაისმა. სამრეკლოდან დაგუგუნებული საგალობელი ყალბად ჟღერდა, სასოწარკვეთილმა ჰანომ ეს მაინც შეამჩნია, მომღერლებს რიტმისა და სმენის ნიშანწყალი არ გააჩნდათ, ერთმანეთს ხმებს ვერ უწყობდნენ... მაგრამ ახლა ამისთვის
არ ეცალა! ჰანოს დააგვიანდა, ეს უკვე საეჭვო აღარ იყო. სკოლის საათი ცოტათი უკან რჩებოდა, მაგრამ ჰანოს მაინც დააგვიანდებოდა, უეჭველად დააგვიანდებოდა. გზადაგზა გამვლელებს აშტერდებოდა სახეში, ისინი საკუთარ კანტორებში მიდიოდნენ თავიანთ საქმეზე, მეტისმეტად ასაჩქარებელი არაფერი ჰქონდათ, არავითარი საფრთხე მათ არ ემუქრებოდა. ზოგი ჰანოს მოშურნე და შესაბრალის მზერას ღიმილით პასუხობდა და თან მის გვერდზე მოქცეულ ტანსაცმელს შეათვალიერებდა. ჰანო ამ ღიმილს მოთმინებიდან გამოჰყავდა, ნეტავ რა ჰგონიათ ამ გამვლელებს ან რას ფიქრობენ მასზე ეს გულარხეინი ვაჟბატონები? ეგ ღიმილი თქვენი გულქვაობის მანიშნებელია, ბატონებოო, სიამოვნებით მიაძახებდა მათ ჰანო. ისინი ვერც მიხვდებოდნენ, რომ ჰანოს ყველაფერს ერჩია, ჩაკეტილ ალაყაფის კართან უსულოდ დაცემულიყო.

ჰანოს ყურს დილის ლოცვის მაუწყებელი ზარის ჟღრიალი მისწვდა. ამ დროს აგურის გალავანში ჩატანებულ რკინის ჭიშკარს ოცი ნაბიჯიღა აშორებდა. ჰანოს არაქათი აღარ ჰქონდა, მკერდი წინ გამოეზნიქა, ვითომ ფეხზე ასე უფრო კარგად დავმაგრდებიო, გასავათებული ფეხებს ძლივს მიათრევდა და ჭიშკარს მაშინღა მიაღწია, როცა ზარი დადუმდა კიდეც.

ზედამხედველი ბატონი შლემილი, მდაბიური სახის, ჯაგარწვერიანი ჩასკვნილი კაცი, ის-ის იყო ჭიშკრის ჩარაზვას აპირებდა.

- ჰოო, - თქვა მან და მოწაფე ბუდენბროკი გაატარა.

„ვინ იცის, იქნებ გადარჩა კიდეც“. ახლა ისღა დარჩენოდა, კლასში უჩინრად შეპარულიყო, ტანვარჯიშის დარბაზში ლოცვის დასრულებამდე ჩუმად მოეცადა და თავი ისე მოეჩვენებინა, ვითომც აქ არაფერიაო. აქოშინებულმა, ქანცგამოლეულმა,

ცივ ოფლში გაღვრილმა ჰანომ წითელი ფილებით მოკირწყლული ეზო ლასლასით გადაიარა და ფერად-ფერადი მინებით შემკული კოხტა კარი შეაღო.

შენობაში ყველაფერი ახალი, კრიალა და მოხდენილი იყო. სკოლის მესვეურებს დროებისთვის ანგარიში გაეწიათ, ყოფილი სამონასტრო სკოლის სიძველისგან დახავსებული რუხი შენობა, სადაც ახლანდელი თაობის მამა-პაპანი ეუფლებოდნენ მეცნიერებას, მიწასთან გაესწორებინათ და მის ადგილზე ახალი, ნათელი, დიდებული ნაგებობა აღემართათ, თუმცა ძველებური სტილი მაინც შეენარჩუნებინათ: დერეფნებსა და გზაჯვარედინებს კვლავ მედიდურად დაჰყურებდა გოთური თაღები. მაგრამ განათება და გათბობა, ასევე ნათელი და ვრცელი კლასები, მყუდრო სამასწავლებლო ოთახები, ქიმიის, ფიზიკისა და ხაზვის კაბინეტები პრაქტიკულად და ახალი დროების შესაფერისად იყო გამართული.

ღონემიხდილი ჰანო ბუდენბროკი კედელს აეკრა და ირგვლივ მიმოიხედა... არა, დიდება შენდა, ღმერთო, არავის დაუნახავს. შორეული დერეფნებიდან მის ყურამდე მოსწავლეებისა და მასწავლებლების რუზრუზი აღწევდა. ყველანი ტანვარჯიშის დარბაზში იყვნენ შეკრებილნი და მთელი კვირისთვის რელიგიურ საზრდოს იღებდნენ. აქ კი სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ლინოლეუმით მოგებულ ფართო კიბეზეც კაციშვილი არ ჭაჭანებდა. სუნთქვაშეკრული, სულგანაბული ჰანო ფრთხილად, თითის წვერებზე აიპარა ზევით. მისი საკლასო ოთახი, რეალური სასწავლებლის მეხუთე კლასი, კიბის პირდაპირ, მეორე სართულზე მდებარეობდა. ოთახის კარი ღია იყო. კიბის თავში მისული ჰანო წაიკუზა და დერეფანი დაზვერა. დერეფნის ორივე მხარეს კლასები იყო ჩარიგებული, ყველა კარს კლასის ნომრის მაჩვენებელი ფაიფურის აბრა ამშვენებდა. ჰანომ სამი ნაბიჯი სწრაფად, უხმაუროდ გადადგა და ოთახში შევარდა.

კლასი ცარიელი დახვდა. ფართო ფანჯრებზე ფარდები იყო ჩამოშვებული. ჭერზე დაკიდებულ გაზის ლამპებს სიჩუმეში შიშინი გაჰქონდათ. მწვანე აბაჟურები საამო შუქს ჰფენდნენ სამ მწკრივად ჩარიგებულ, ორადგილიან ღია ფერის ხისგან გაკეთებულ მერხებს, მერხების წინ კათედრა პირქუშად აღმართულიყო. კათედრის თავთან, კედელზე შავი დაფა ეკიდა. კედლები ძირს ყვითელი ხის პანელით იყო მოპირკეთებული, კირით შეთეთრებულ შიშველ კედლებზე რამდენიმე რუკა ეკიდა. მეორე დაფა კათედრის გვერდით, კედელზე აეყუდებინათ.

ჰანომ თავის მერხს მიაშურა. მერხი თითქმის ოთახის შუაგულში იდგა, ჩანთა უჯრაში შეაგდო, მაგარ სკამზე დაეშვა, ხელები დახრილ ზედაპირზე დააწყო და თავი ზედ ჩამოდო. ენით აუწერელი სიამე დაეუფლა. ეს შიშველი და მიუსაფარი ოთახი სძულდა და ეზიზღებოდა, საფრთხით აღსავსე რამდენიმე საათი წინ ედო და გულს უმძიმებდა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ხომ გრძნობდა თავს უშიშრად, თავშესაფარი იპოვა და მოსალოდნელი ხიფათის შიში აგრერიგად აღარ აწუხებდა. პირველი საღვთო სჯული ჰქონდათ, ბატონი ბალერშტეტის თითქმის არ ეშინოდა... ქაღალდის

საფრის რხევაზე ეტყობოდა, კედელში დატანებული მრგვალი ხვრელიდან როგორ შემოდიოდა თბილი ჰაერი. ოთახს გაზის ლამპებიც ათბობდა. აი, ახლა კი გაიზმორებდა და დანოტივებული, გაშეშებული კიდურები მოულბებოდა. თავში ავარდნილი სასიამოვნო, ავადმყოფური სიცხე ყურებს უბჟუებდა და თვალზე ლიბრს აკრავდა.

უცებ ზურგს უკან ფაჩუნი მოესმა. ჰანო შეკრთა და სწრაფად შემოტრიალდა... ერთი შეხეთ! სულ ბოლო მერხიდან გრაფ მოლნის ზედატანი ამოყურყუმელავდა. კაი ზევით ამოცოცდა, ფეხზე დადგა, ხელებიდან მტვერი ჩამოიბერტყა და სახეგაბრწყინებული ჰანო ბუდენბროკისკენ გაეშურა.

- აჰ, ეს შენა ხარ, ჰანო! - თქვა მან, - მე კი უკანა მერხში ჩავიმალე, ვიფიქრე, რომელიმე პედაგოგი ხომ არ მოდის-მეთქი.

კაის გარდატეხის პერიოდი დასდგომოდა და ხმა ეხრინწებოდა. მის მეგობარს ჯერ არ ეტყობოდა ასეთი ცვლილება, ტანი კაისაც აეყარა, მაგრამ გარეგნულად სულ არ გამოცვლილიყო. ისევ ისეთივე გაურკვეველი ფერის კოსტიუმი ეცვა, პიჯაკზე ალაგ- ალაგ ღილები აკლდა, შარვალზე საკერებლები ედო. ვიწრო და საოცრად კეთილშობილურად მოყვანილი, გრძელთითებიანი, ოვალური ფრჩხილებით დამშვენებული ლამაზი ხელები ძველებურად უსუფთაო ჰქონდა, შუაზე დაუდევრად გაყოფილი, მოწითალო თმა კვლავ ალებასტრივით ქათქათა, უზადო შუბლზე ეყარა, შუბლს ქვემოთ კი ღრმა და გამსჭვალავი ცისფერი თვალები უბრწყინავდა. ჩამოქნილ სახეს ოდნავ კეხიანი ცხვირი და ოდნავ წინ წამოწეული ქვედა ტუჩი უმშვენებდა. მის ხელმიშვებულ ჩაცმულობასა და ჯიშიან გარეგნობას შორის არსებული კონტრასტი ახლა უწინდელზე გაცილებით თვალში საცემი გამხდარიყო.

- შენ რა გითხრა, კაი, - ჰანოს ბაგე მოეღრიცა და გულზე ხელი დაიდო, - ასე როგორ შემაშინე? აქ რა გინდა? რატომ დაიმალე? შენც დაგაგვიანდა?

- ღმერთმა დამიფაროს, - უპასუხა კაიმ, - რახანია აქა ვარ... ორშაბათ დილას ხომ ერთი სული გაქვს, სანამ აქ მოხვიდოდე. ეგ შენც კარგად მოგეხსენება, ჩემო კარგო... არა, განგებ ჩამოვრჩი, დღეს „ჭკუის კოლოფი“ მორიგეობდა და ხომ იცი მისი ამბავი, ვითომც აქ არაფერიაო, ხალხს სალოცავად ძალით მიერეკებოდა. მეც ავდექი და კუდში ავედევნე, ეგ დამთხვეული რომ შემოტრიალდებოდა და აქეთ-იქით მიმოიხედავდა, მე ზურგს უკან მოვექცეოდი ხოლმე. მერე, როგორც იქნა, წავიდა და მეც ზევით დავრჩი... შენ მაგრად ირბინე, არა? - თანაგრძნობით უთხრა კაიმ
მეგობარს, მოეფერა და გვერდით მიუჯდა, - შე საწყალო! ქანცი გაგწყვეტია... თმა საფეთქლებზე გაქვს მიწებებული, - კაიმ მაგიდიდან სახაზავი აიღო და იოჰანს თმა დინჯად და მზრუნველად აუწეწა, - დაგეძინა, არა? ო, ადოლფ ტოტენჰაუპტის ადგილზე არ ვზივარ? - წამოიძახა კაიმ და მიმოიხედა, - პირველი მოწაფის სკამზე დავბრძანებულვარ! არა უშავს, ამჯერად არაფერი მომივა... მაშ, დაგეძინა?

ჰანომ სახე ისევ ხელებში ჩამალა.

- გუშინ საღამოს თეატრში ვიყავი, - მძიმედ ამოიოხრა მან.

- ო, მართლა, ეგ სულ არ დამავიწყდა? კარგი იყო?

კაის პასუხი არ მიუღია.

- რა ბედნიერი ხარ, იცი, ჰანო, - ენაწყლიანად განაგრძო მან, - ხომ ხედავ, მე თეატრში ჩემს დღეში არ ვყოფილვარ და, ალბათ, დიდი ხანი გავა, სანამ იქ წასვლას მოვახერხებდე.

- მერე რომ ნამთვრალევს არ ვგავდე, კი, - ნაღვლიანად თქვა ჰანომ.

- ეგ უმაგისოდაც მემართება, სხვა თქვი თორემ, - კაი დაიხარა, მერხის გვერდით, იატაკზე დაყრილი ჰანოს ქუდი და ქურთუკი აიღო და ფეხაკრეფით დერეფანში გაიტანა.

- შენ, როგორც გატყობ, „მეტამორფოზები“ არ გექნება ნასწავლი? - ჰკითხა უკან დაბრუნებულმა კაიმ ჰანოს.

- არა, - მიუგო ჰანომ.

- გეოგრაფიის საკონტროლოსთვის მაინც თუ ხარ მომზადებული?

- არაფრისთვის არ მოვმზადებულვარ, არაფერი არ ვიცი, - უპასუხა ჰანომ.

- არც ქიმია და არც ინგლისური! All right, ერთ ბედში ვყოფილვართ! - კაის აშკარად მოეშვა გულზე, - მეც შენს დღეში ვარ, - ხალისიანად განაცხადა მან, - შაბათს არ ვიმეცადინე, იმიტომ, რომ მეორე დღეს კვირა იყო, კვირას უქმე დღის პატივისცემით ვერაფერს მოვკიდე ხელი... არა, მართლა კი არა, უკეთესი საქმე მქონდა და იმიტომ! - უეცრად სერიოზულად დასძინა მან და სახე შეეფაკლა, - ჰო, დღეს მე და შენ კარგ დროს გავატარებთ, ჰანო.

- კიდევ ერთი საყვედური რომ მომარტყან, კლასში დავრჩები, - თქვა პატარა იოჰანმა, - საყვედურს უეჭველად მივიღებ კიდეც, ლათინურში თუ გამომიძახეს, ახლა რიგი „ბანზეა“ მომდგარი, კაი, სად გინდა დაიმალო.

- ჯერ შევიცადოთ! აჰა, გამოდის კეისარი: „უნდა წავიდე, როცა მელის საშიში რამე, ზურგით მოვლას თუ გამიბედავს; მაგრამ მაშინვე გაჰქრება იგი, რა განიცდის კეისრის სახეს“.[13]

კაიმ დეკლამაცია შეწყვიტა. მასაც გაუფუჭდა გუნება, კათედრაზე ავიდა და სახემოღუშული სავარძელში მოჰყვა ქანაობას. ჰანო ბუდენბროკს თავი ისევ მერხზე დაწყობილ ხელებზე ჰქონდა ჩამოდებული. ერთხანს ასე მდუმარედ ისხდნენ.

უცებ სადღაც შორიდან ზუზუნი მოისმა, რომელიც თანდათან გაძლიერდა და ნახევარ წუთში მუქარით მოადგათ კარს.

- ხალხი მობრძანდება, - გესლიანად თქვა კაიმ, - ღმერთო დიდებულო, რა მალე დაამთავრეს, გაკვეთილი ათი წუთითაც არ შემოკლდება.

კაი კათედრიდან ჩამოვიდა და კარისკენ გაემართა, რომ თანაკლასელებში გარეულიყო. ჰანომ მხოლოდ თავი წამოსწია, ტუჩ-პირი მოღრიცა და ადგილიდან არ დაძრულა.

ბიჭები ფეხების ფრატუნით, ბრაგაბრუგითა და ყიჟინით მოდიოდნენ, კიბეზე კისრისტეხით ამორბოდნენ. დისკანტი, მამაკაცური ბოხი ხმა და ყვინჩილასავით ხრინწიანი ხმები ერთმანეთში ირეოდა, ყიჟინა კიბიდან ჯერ დერეფანში შემოიჭრა, მერე საკლასო ოთახში შემოვარდა და იქაურობა სიცოცხლით, მოძრაობითა და ხმაურით აავსო. კლასში მეხუთეკლასელები, ჰანოს და კაის ამხანაგები შემოცვივდნენ. ოცდახუთი ბიჭი მაინც იქნებოდა. ზოგს ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, ზოგი მკლავებს იქნევდა. როგორც იქნა, ყველანი თავ-თავიანთ ადგილებზე დალაგდნენ და ბიბლია გადაშალეს. მოწაფეებში ზოგს სასიამოვნო, ზოგს უსანდომო სახეები ჰქონდა, ზოგი ჯან-ღონით იყო სავსე, სხვები საცოდავად გამოიყურებოდნენ, მათში ახმახი, ღონიერი მუტრუკებიც ერია. ისინი კომერსანტობას აპირებდნენ ან საზღვაოსნო სამსახურში ჩადგებოდნენ და სხვაზე არაფერზე იწუხებდნენ თავს. იყვნენ პატარა, მათი ასაკისთვის შეუფერებლად განვითარებული კარიერისტები, ისინი თავს ისეთ საგნებში იჩენდნენ, სადაც ზუთხვა იყო საჭირო. ადოლფ ტოტენჰაუპტმა კი, პირველმა მოწაფემ, ყველაფერი იცოდა. მას თავის სიცოცხლეში არც ერთი კითხვა არ დაუტოვებია უპასუხოდ. ეს ნაწილობრივ მისი წყნარი, თავაუღებელი შრომის წყალობა იყო, ნაწილობრივ იმის ბრალი გახლდათ, რომ მასწავლებლები ფრთხილად იყვნენ, მისთვის ისეთი რამ არ ეკითხათ, რაც შეიძლებოდა, არ სცოდნოდა. ფარხმალდაყრილი ადოლფ ტოტენჰაუპტის დანახვა მათთვის სიკვდილს უდრიდა, სირცხვილით დაიწვებოდნენ და ადამიანის სრულყოფილების რწმენა შეერყეოდათ. ადოლფ ტოტენჰაუპტს უცნაურად გამობურცულ თავის ქალაზე ქერა თმა ისე გადაეგლისა, კაცს მიწებებული
ეგონებოდა. ნაცრისფერი, ამოლილავებული თვალები ჰქონდა, სუფთად გაწმენდილი პიჯაკის მოკლე სახელოდან გრძელი, მიხაკისფერი ხელები მოუჩანდა. ადოლფ ტოტენჰაუპტი ჰანო ბუდენბროკის გვერდით დაჯდა, ამხანაგს ნაზად, შემპარავად გაუღიმა და თავისებურ ჟარგონზე დილა მშვიდობისა უსურვა. სალამს მოსწავლეები რაღაც უცნაურად ამახინჯებდნენ. ირგვლივ ყველა ხმადაბალი საუბრით იქცევდა თავს, ამთქნარებდა ან იცინოდა, ადოლფ ტოტენჰაუპტი კი დაჯდა თუ არა, რვეული გადაშალა და წერას შეუდგა. კალამი წვრილ, მოქნილ თითებში ზედმიწევნით წესიერად ეჭირა.

ორი წუთის შემდეგ დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა, წინა მერხებზე მსხდომნი ზლაზვნით წამოდგნენ, უკანა რიგებში მათ მაგალითს რამდენიმემ მიბაძა, დანარჩენებს თავიანთი საქმიანობა არ შეუწყვეტიათ, აინუნშიაც არ ჩაუგდიათ, რომ ბატონი უფროსი მასწავლებელი ბალერშტეტი ოთახში შემოვიდა, ქუდი კარზე მიაკიდა და კათედრისკენ გაემართა.

ეს იყო ორმოცი წლის, სანდომიანად ჩამრგვალებული, თავმოტვლეპილი კაცი. წითური წვერი მოკლედ ჰქონდა დაყენებული, სახე ვარდისფრად უღაჟღაჟებდა, მუდამ სველ ბაგეზე კი დათაფლული და ამავე დროს მგრძნობიარე ღიმილი დასთამაშებდა. მან უბის წიგნაკი ამოიღო და უსიტყვოდ გადაფურცლა, მაგრამ კლასში სასურველი სიწყნარე არ იყო. მასწავლებელმა თავი ასწია, მკლავი გამართა, სახე ისე გაებუშტა და წამოუწითლდა, რომ წვერი ბაცად დააჩნდა, სუსტი მუშტი კათედრაზე რამდენჯერმე დააკაკუნა, ტუჩები ნახევარი წუთის განმავლობაში ამაოდ აცმაცუნა და ბოლოს, როგორც იქნა, მოკლედ, ოხვრასავით აღმოხდა: „აბა!“ მოსწავლეთა გასაკიცხად კიდევ დიდხანს იცოდვილა, კვლავ თავის უბის წიგნაკს მიუბრუნდა, თანდათან ბუნებრივი ფერი მიიღო და ლოყებიც დაეჩუტა. ასე იცოდა უფროსმა მასწავლებელმა ბალერშტეტმა.

ბალერშტეტი ერთ დროს მოძღვრობას აპირებდა, მაგრამ რაკი ენა ებმებოდა და საერო ცხოვრებაც იტაცებდა, საბოლოოდ პედაგოგობა აირჩია. ბალერშტეტი უცოლო იყო, ცოტა ქონებაც ჰქონდა, თითზე პატარა ბრილიანტისთვლიან ბეჭედს ატარებდა და სმა-ჭამაზე სული მისდიოდა. იგი ერთი იმათგანი იყო, ვინც სკოლის გარეთ თავის კოლეგებს გაურბის ხოლმე. უფრო ქალაქის უცოლო ვაჭართა და გარნიზონის ოფიცრების წრეში ტრიალებდა. საჭმელს პირველი კლასის რესტორანში დღეში ორჯერ მიირთმევდა. კლუბის წევრიც გახლდათ. თუ სადმე ქალაქში უფროსი კლასის მოსწავლეებს ღამის ორ ან სამ საათზე გადაეყრებოდა, ლოყებს გაბუშტავდა, დილა მშვიდობისას ეტყოდა და საქმეც ამით მთავრდებოდა ხოლმე. ჰანო ბუდენბროკს ამ მასწავლებლისგან არავითარი საფრთხე არ ელოდა. იგი ჰანოს თითქმის არასოდეს იძახებდა. უფროსი მასწავლებელი ბიძამისს, ქრისტიანს, კაცის სულის სალხენ ადგილებში მეტისმეტად ხშირად ხვდებოდა და მის ძმისწულთან კონფლიქტი სულაც არ ეპიტნავებოდა.

- აბა, - ერთხელ კიდევ გაიმეორა მასწავლებელმა, კლასს თვალი მოავლო, სუსტად მომუშტული, ბრილიანტის ბეჭდით დამშვენებული ხელი ისევ აამოძრავა და უბის წიგნაკში ჩაიხედა.

- პერლემან, მიმოხილვა!

კლასის რომელიღაც კუნჭულში პერლემანი წამოდგა. იგი ისეთი პატარა იყო, მერხზე ძლივს მოჩანდა, წარჩინებული მოწაფე კი გახლდათ.

- მიმოხილვა, - წყნარად და წესიერად თქვა მან. სახეზე შიშნარევი ღიმილი გამოესახა და თავი წინ წამოსწია, - „იოანეს სახარება“ შედგება სამი ნაწილისგან. პირველ ნაწილში მოთხრობილია იოანეს ამბები უფლისგან მისთვის განსაცდელის მოვლინებამდე. თავი 1, პირველი მუხლიდან მეექვსემდე. მეორე თავი ეხება თვით განსაცდელს და მასთან დაკავშირებულ ამბებს, თავი...

- სწორია, პერლემან, - შეაწყვეტინა მონდომებული პასუხით გულაჩუყებულმა ბატონმა ბალერშტეტმა და უბის წიგნაკში პერლემანს ფრიადი ჩაუწერა, - ჰაინრიცი, განაგრძეთ.

ჰაინრიცი იმ ონავართა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებსაც არაფერი ენაღვლებოდათ. გამოძახებამდე ჰაინრიცი დანასობიით ერთობოდა, თავისი გვარის გაგონებაზე ტარიანი დანა ჯიბეში ჩაიდო, ხმაურით წამოდგა, ქვედა ტუჩი ჩამოუშვა და მამაკაცური, უხეში, ბოხი ხმით ჩაახველა. ყველას უსიამოვნო გრძნობამ დაუარა, აზიზი პერლემანის მაგიერ ამ ახმახის ჯერი რომ დადგა. ნახევრად ბურანში წასული მოწაფეები თბილ ოთახში ნებიერად მოკალათებულიყვნენ და ტკბილად ოცნებობდნენ. ყველანი დაღლილები იყვნენ კვირადღისგან, ამ ნისლიან ცივ დილას კბილების კაწკაწით და ვაი-ვაგლახით გამომძვრალიყვნენ თბილი ლოგინებიდან და ახლა ყველას ერჩია, მთელი გაკვეთილი პატარა პერლემანს ედუდუნა. იცოდნენ, ჰაინრიცი უეჭველად აყალმაყალს ატეხდა.

- მე მაშინ არ ვიყავი, ეს გაკვეთილი რომ მოგვეცით, - უხეშად თქვა მან.

ბატონი ბალერშტეტი გაიბუშტა, სუსტი მუშტი აამოძრავა, ტუჩები ააცმაცუნა და ახალგაზრდა ჰაინრიცს სახეში წარბებაზიდული მიაჩერდა. მასწავლებელმა ჭარხალივით გაწითლებული თავი კარგა ხანს აქიცინა, სანამ პირველ „აბას“ ამოთქვამდა, პირველი სიტყვის თქმა უჭირდა, თორემ მერე გზა გაკვალული ჰქონდა.

- აბა, - როგორც იქნა, თქვა მან და მსუბუქად, ენის მოუკიდებლად განაგრძო, - თქვენთან კაცი ვერაფერს გახდება, თავის გასამართლებელს ყოველთვის გამოძებნით ხოლმე, ჰაინრიცი, თუ წინა გაკვეთილზე ავად იყავით, ამ დღეებში მშვენივრად შეგეძლოთ გავლილი მასალა დაგესწავლათ. თუკი პირველი ნაწილი ეხებოდა იოანეს ცხოვრებას, განსაცდელის მოვლენამდე, ხოლო მეორე კი თვით განსაცდელს, თითებზე შეგეძლოთ გამოგეთვალათ, რომ მესამე ნაწილში განსაცდელის შემდგომ ხანაზე იქნებოდა ლაპარაკი, მაგრამ თქვენ სწავლისთვის არა ხართ მოწოდებული, თქვენ მარტო სუსტი ადამიანი კი არ ბრძანდებით, ყოველთვის მზადა ხართ, თქვენი სისუსტე გაამართლოთ და დაიცვათ, მაგრამ დაიმახსოვრეთ, სანამ მაგ სიზარმაცეს არ მოიშლით, ნიშნების გამოსწორებაზე ფიქრიც ზედმეტი იქნება, დაბრძანდით. ვასერფოგელ, განაგრძეთ!

სქელკანიანი და ჯიუტი ჰაინრიცი ბრახაბრუხით დაჯდა, მეზობელს რაღაც უწმაწური გადაულაპარაკა და ჯიბიდან ისევ ტარიანი დანა ამოაძვრინა.

ვასერფოგელი წამოდგა. ეს იყო თვალებჩაწითლებული, ცხვირაპრეხილი ყმაწვილი. მას განზე გამდგარი ყურები და ჩაჭმული ფრჩხილები ჰქონდა. ვასერფოგელმა დუნე, გაჟეჟილი ხმით „მიმოხილვა“ დაასრულა და უცისქვეყნელი იოანეს ცხოვრების მოყოლას შეუდგა. მას ძველი აღთქმა თავის წინ მჯდომი ამხანაგის ზურგს უკან ჰქონდა გადაშლილი. უცოდველი სახით, ვითომ დაფიქრებული, პირდაპირ წიგნიდან კითხულობდა, შემდეგ კედელზე რომელიმე წერტილს მიაჩერდებოდა და წიგნში ამოკითხულს ენის ბორძიკითა და ხველებ-ხველებით ახალ გერმანულზე საცოდავი, ღატაკი ფრაზებით თარგმნიდა. იყო ამ ყმაწვილში რაღაც გულის ამრევი და საზიზღარი, მაგრამ ბატონი ბალერშტეტი მის მონდომებას ყოველთვის ქებას ასხამდა. მოწაფე ვასერფოგელს ბედის სამდურავი არ ეთქმოდა, მასწავლებლების უმეტეს ნაწილს მისი ქება-დიდება სიამოვნებას ჰგვრიდა, იმიტომ, რომ პირადად მისთვის, საკუთარი თავისთვისა და სხვებისთვისაც ეჩვენებინათ, საზიზღარი გარეგნობის გულისთვის ჩვენს ხელში კაცი არ დაიჩაგრებაო.

საღვთო სჯულის გაკვეთილი გრძელდებოდა, მასწავლებელმა კიდევ რამდენიმე ყმაწვილი გამოიძახა, რომ მათაც უცის მიწაზე იოანეს მარტვილობის ცოდნა გამოეჩინათ. გოტლიბ კასბაუმს, გაუბედურებული დიდვაჭრის, კასბაუმის ვაჟს, ოჯახი აწეწილი ჰქონდა, მაგრამ მაინც კარგი ნიშანი მიიღო, მან ზუსტად დაადგინა, რომ იოანეს შვიდი ათასი სული ცხვარი, სამი ათასი აქლემი, ხუთასი უღელი ხარ- კამეჩი, ხუთასი ვირი და უამრავი შინაყმა ჰყავდა.

შემდეგ მასწავლებელმა კლასს ნება დართო ბიბლია გადაეშალათ, თუმცა უმრავლესობას უკვე გადაშლილი ჰქონდა, და კითხვა განაგრძეს. როცა ასახსნელ მუხლს წააწყდებოდნენ, ბატონი ბალერშტეტი ისევ გაიბუშტებოდა, „აბაო“ იტყოდა და დიდი მზადების შემდეგ განსამარტავი პუნქტის გარშემო საყოველთაო მორალური პრინციპებით შეზავებულ პატარა მოხსენებას წაიკითხავდა.
მასწავლებელს არავინ უსმენდა. ოთახში განცხრომასა და თვლემას დაესადგურებინა, გათბობის სისტემა შეუსვენებლივ მუშაობდა, ამას თან გაზის ლამპების სითბოც ერთვოდა და ოთახში აუტანელი სიცხე იდგა, ჰაერიც ოცდახუთი კაცის სუნთქვისგან დაიხუთა. სითბო, გაზის ლამპების წყნარი შიშინი და მასწავლებლის მონოტონური ხმა მოწყენილ ტვინებს ელამუნებოდა და თვლემას ჰგვრიდა. კაი გრაფ მოლნს საკმაოდ უსუფთაო, არისტოკრატულ ხელზე თავი დაეყრდნო, ბიბლიის გვერდით ედგარ ალან პოს „დაუჯერებელი ამბები და საიდუმლო ქმედებანი“ გადაეშალა და იმას კითხულობდა, ჰანო ბუდენბროკი მერხის საზურგეს სახსრებმოდუნებული მისწოლოდა და ოდნავ პირგაღებული, დანისლული თვალებით იოანეს სახარებას ჩასჩერებოდა. პწკარები და ასოები მის თვალში ერთ მთლიან შავ მასად ჩანდა... ზოგჯერ, როცა „ლოენგრინიდან“ გრაალის ან ტაძრისკენ სვლის მოტივები გაახსენდებოდა, წამწამებს მძიმედ დახრიდა და გული ყელში ებჯინებოდა, მაშინ ჰანო გულმხურვალედ ლოცულობდა, ეს უხიფათო, სიმშვიდით სავსე გაკვეთილი არასდროს დამთავრებულიყო.

მაგრამ ამ ქვეყანაზე ყველაფერს აქვს ბოლო და დასასრული მაინც დადგა. დერეფნებში ზედამხედველის ზარის ხმამ დაიჟღრიალა და ოცდახუთი ტვინი თვლემისგან გამოაფხიზლა.

- აქამდე ისწავლით, - თქვა ბატონმა ბალერშტეტმა და საკლასო ჟურნალი მოითხოვა. იქ ხელის მოწერით უნდა დაედასტურებინა, რომ გაკვეთილი ჩაატარა.

ჰანო ბუდენბროკმა ბიბლია დახურა. ნერვიულად დაამთქნარა, გააზმორა და გააძაგძაგა, ხელები ჩამოუშვა და კუნთები მოადუნა თუ არა, იძულებული გახდა, სწრაფად ამოესუნთქა, რომ ერთი წამით თითქოს შეჩერებული გული აეძგერებინა. ახლა ლათინური ჰქონდათ. ჰანომ კაისკენ მუდარით გააპარა თვალი, მაგრამ კაის, ეტყობოდა, გაკვეთილის დამთავრება არც გაუგია, ისე იყო კითხვაში გართული. ჰანომ მარმარილოსსახეებიან ყდაში ჩასმული „ოვიდიუსი“ ამოიღო და დღეისთვის საზეპიროდ მოცემული ლექსი გადაშალა. არა, ყველა იმედი გადაწურული იყო, რომ ფანქრით მონიშნულ, სტროფებად დაყოფილ, დანომრილ შავ პწკარებს რამეს გაუგებდა. ჰანომ ამ სტროფების შინაარსიც არ იცოდა ხეირიანად, არათუ რომელიმეს ზეპირად დამახსოვრებას შეძლებდა. დღეისთვის მოცემული სტროფებიდან ხომ ერთი სიტყვაც არ ესმოდა.

- რას ნიშნავს: „deciderant patula Jovis arbore glandes?“[14] - სასოწარკვეთილი ხმით მიმართა მან ადოლფ ტოტენჰაუპტს, - ეს ყველაფერი ხომ უაზრობაა! კაცის გონების დასაბნევად არის მოგონილი.

ადოლფ ტოტენჰაუპტი თავის რვეულში რაღაცას წერდა.

- რაო? - თქვა მან და წერა განაგრძო, - იუპიტერის ხის რკოები... ეს არის მუხა... არა, კარგად მე თვითონაც არ ვიცი...

- მიკარნახე, რა, ტოტენჰაუპტ, თუ გამომიძახებენ! - შეეხვეწა ჰანო ამხანაგს და წიგნი გასწია. შემდეგ, როცა დაინახა, პირველმა მოწაფემ როგორ უყურადღებოდ და სხვათა შორის დაუქნია თავი, ჰანოს სახე მოეღუშა, წამოდგა და მერხიდან გამოძვრა.

სიტუაცია შეიცვალა. ბატონი ბალერშტეტი გავიდა, ახლა მის მაგიერ კათედრაზე წელში გამართული და გაჭიმული იდგა ერთი პატარა, სუსტი და მოფამფალებული კაცუნა. მას მეჩხერი, თეთრი წვერი ჰქონდა, წითელი, წვრილი კისერი ვიწრო საყელოდან საცოდავად მოუჩანდა, თეთრი ბალნით დაფარულ პატარა ხელში კი გადმოპირქვავებული ცილინდრი ეჭირა. მოწაფეები მას მეტსახელად „ობობას“ ეძახდნენ, სინამდვილეში პროფესორი ჰიუკოპი ერქვა. პროფესორს შესვენებაზე დერეფანში წესრიგის დაცვაც ევალებოდა და დერეფნის მარჯვნივ ჩარიგებულ ოთახებშიც უნდა შეეხედა.

- ლამპები ჩააქრეთ! ფარდები ასწიეთ! ფანჯრები დააღეთ! - ამბობდა იგი და ცდილობდა მიკნავებული ხმისთვის რაც შეიძლება მეტი რიხი მიენიჭებინა, ვითომ

ენერგიული ჟესტით ხელს ისე იქნევდა, თითქოს ჩარხს ატრიალებსო, - აბა, ყველანი ქვევით, ეზოში, სუფთა ჰაერზე, ეშმაკის კერძებო, აბა, მარდად!

ლამპები ჩააქრეს, ფარდები ზევით ასწიეს, ოთახს დღის სუსტი სინათლე მოეფინა, ფართოდ გაღებული ფანჯრებიდან კი ცივი, ნისლიანი ჰაერი შემოიჭრა. მეხუთეკლასელებმა პროფესორ ჰიუკოპს გვერდი აუარეს და გასასვლელს მიაწყდნენ. ზევით დარჩენის უფლება მხოლოდ პირველ მოწაფეს ჰქონდა.

ჰანო და კაი ერთმანეთს კარში შეეჩეხნენ, ფართო კიბე ერთად ჩაირბინეს და ახლებურ ყაიდაზე მოწყობილ ვესტიბიულში ერთად გავიდნენ. ორივენი დუმდნენ. ჰანო მობუზული ჩანდა, კაი ფიქრებში იყო გართული. ბიჭები უზარმაზარ ეზოში
ჩავიდნენ, სხვადასხვა ასაკის ამხანაგებში გაერივნენ და აქეთ-იქით სიარულს მოჰყვნენ. სხვები ჟრიამულით დარბოდნენ სისველისგან წითლად ალაპლაპებულ ფილებზე.

ეზოში საკმაოდ ახალგაზრდა, ქერაწვერიანი კაცი მორიგეობდა. ეს გახლდათ ერთი თავმომწონე უფროსი მასწავლებელი, დოქტორი გოლდენერი. მას ჰოლშტაინელი და მეკლენბურგელი მდიდარი მემამულეების შვილებისთვის ვაჟთა პანსიონატი ჰქონდა გახსნილი. თავისი აღსაზრდელი ყმაწვილი ფეოდალების გავლენით თვითონაც კოლეგებისგან გამორჩეულად იცვამდა: აბრეშუმის ჭრელ ჰალსტუხებს იკეთებდა, ფრანტივით მოკლე სერთუკი ეცვა, ღია ფერის შარვლებს ატარებდა, შარვლის
ტოტები ლანჩებზე პაჭანაკებით ჰქონდა ამოდებული და სუნამოდაპკურებულ, ფერადარშიიან ცხვირსახოცებს ხმარობდა. მდაბიო ოჯახში გაზრდილ კაცს ასეთი კოპწია მორთულობა სულაც არ უხდებოდა, უზარმაზარი ფეხები წვეტიან ფეხსაცმელებში საკმაოდ სასაცილოდ მოუჩანდა. რატომღაც თავისი უჯიშო, წითელი ხელებით თავი ძალიან მოსწონდა, ხელებს მუდამ იფშვნეტდა, ერთმანეთს გადააჭდობდა და სიყვარულით აჩერდებოდა ხოლმე. თავი მუდამ გვერდზე ჰქონდა გადაგდებული, თვალებს აპარპალებდა, ცხვირს იჭმუხნიდა, ნახევრად პირგაღებულს სახეზე ისეთი გამომეტყველება ედო, თითქოს უნდოდა ეთქვა, ეს კიდევ რა ამბავიაო? დოქტორი გოლდენერი მაინც იმდენად ზრდილი იყო, რომ ეზოში მომხდარ ყველა წვრილმან უწესრიგობას და განაწესის დარღვევას ღირსეულად არიდებდა ხოლმე თვალს. თითქოს ვერც ამჩნევდა, რომელიმე მოწაფეს ხელში წიგნი თუ ეჭირა და უკანასკნელ წუთებში ცდილობდა გაკვეთილის დაზუთხვას; ვითომ ვერც ხედავდა, მისი პანსიონის ბიჭები სკოლის ზედამხედველს, ბატონ შლემილს ფულს როგორ უდებდნენ ხელში და ნამცხვრების საყიდლად როგორ გზავნიდნენ. დოქტორი გოლდენერი მაშინაც თვალს ხუჭავდა, მესამეკლასელთა შორის ვითომდა ძალის მოსინჯვა ცემა-ტყეპაში რომ გადავიდოდა და მათ ირგვლივ იმ წუთშივე ამ საქმეში გამოწრთობილთა წრე შეიკვრებოდა ხოლმე. იქით ვინმეს არაამხანაგურ, ლაჩრულ ან უპატიოსნო საქციელში ამხელდნენ თანაკლასელები, ონკანისკენ ძალით მიათრევდნენ და შერცხვენის ნიშნად წყლით წუწავდნენ.

ჰანო და კაი წინ და უკან დააბიჯებდნენ ლაღი, ოდნავ გაუჩორკნავი ბიჭების არუზრუზებულ ბრბოში. ეს ბიჭები ძლევამოსილი და გაახალგაზრდავებული სამშობლოს ჰაერით იყვნენ გამოზრდილი და ყველაფერზე მაღლა ვაჟკაცობასა და უხეშობას აყენებდნენ. ისინი ონავრული, სმენის მომჭრელი, ტექნიკური ტერმინებით შეზავებული, მხოლოდ მათთვის გასაგები ჟარგონით ლაპარაკობდნენ. მათ თვალში დიდი ფასი ჰქონდა სმასა და თამბაქოს მოწევაში დახელოვნებას, ღონესა და მოქნილობას, მიუტევებელ ცოდვად კი კოკობზიკობასა და სისუსტეს თვლიდნენ. ვინც გაბედავდა და პალტოს საყელოს წამოიწევდა, იმას გაწუწვა არ ასცდებოდა, ვისაც ქუჩაში ხელჯოხით დაინახავდნენ, იმას ტანვარჯიშის დარბაზში საჯაროდ შეარცხვენდნენ და ააკვნესებდნენ.

ჰანოს და კაის საუბარი ცივ და ნესტიან ჰაერში გამდგარ ღრიანცელში უცხოდ და უცნაურად გაისმოდა. მათი მეგობრობის ამბავი დიდი ხანია მთელ სკოლაში იყო ცნობილი. მასწავლებლები ამ ამბავს ძალაუნებურად ითმენდნენ, ეჭვიანობდნენ, მეგობრობის ფარდის უკან უწესრიგობა და ოპოზიცია ხომ არ იმალებაო. ამხანაგებს მათი მეგობრობისა არაფერი ესმოდათ, დიდი ხანია ამრეზილი უყურებდნენ ორივეს, ახირებულ, ამხანაგებისგან გარიყულ ყმაწვილებად თვლიდნენ და მათ საქმეში არ ერეოდნენ. გრაფ კაი მოლნს თავისი სიველურისა და თავისუფლებისმოყვარე სულის გამო სცემდნენ პატივს. რაც შეეხება ჰანო ბუდენბროკს, მას თვით ახმახი ჰაინრიციც კი, რომელიც ყველას მუშტებს უბაგუნებდა, ვერ უბედავდა ფრანტობისა და სილაჩრისთვის ხელი დაეკარებინა, ჰაინრიცს მისი თმის სილბოსგან, მისი ნაზი სხეულისგან, მისი დანისლული, მფრთხალი და ცივი მზერისგან მოგვრილი გაურკვეველი შიში აკავებდა.

- მეშინია, - ეუბნებოდა გალავანს მიყრდნობილი ჰანო კაის და სიცივისგან აძაგძაგებული პიჯაკს მაგრად იფუთნიდა, - ისე მეშინია, კაი, რომ მთელი სხეული მტკივა. განა შეიძლება ბატონი მანტელზაკის ასე გეშინოდეს ადამიანს? შენ თვითონ თქვი! ეს საზიზღარი ლათინურის გაკვეთილი ჩავლილი რომ იყოს, რა კარგი იქნებოდა! ჩემი ცუდი ნიშანი ნეტავ უკვე ეწეროს საკლასო ჟურნალში, მეც კლასში დარჩენილი ვიყო, არაფერს დავეძებ! განა მაგის მეშინია, იმ ხმაურის შიში მიკლავს გულს, რაც ამ ამბავს მოჰყვება თან.

კაი ფიქრებში გაერთო.

- ეს როდერიკ ეშერი დიდებული ვინმე კი არის, ხომ იცი! - უადგილოდ წამოიძახა უცებ მან, - მთელი გაკვეთილის განმავლობაში ვკითხულობდი... ნეტავ ოდესმე ასეთი მშვენიერი ამბის დაწერა შემაძლებინა!

საქმე ის იყო, რომ კაი წერდა. ამას გულისხმობდა, ამ დილით რომ თქვა, გაკვეთილების მომზადებაზე უკეთესი საქმე მქონდაო, და ჰანოც მშვენივრად მიუხვდა. ბავშვობაში გამომჟღავნებულ თხრობის ნიჭს კაი ახლა მწერლობაში ცდიდა. ცოტა ხნის წინ ერთი ზღაპარი შეთხზა, ფანტაზიით აღსავსე, წარმტაცი ამბავი.

ზღაპარში ყველაფერს პირქუში შუქი დასთამაშებდა, მოქმედება მეტალებს შორის, დედამიწის უძირო, უწმინდეს წიაღში დატრიალებულ იდუმალ ბუღსა და ადამიანის სულის ღრმა ხვეულებში ვითარდებოდა. მასში უცნაურად ერწყმოდნენ ერთმანეთს ბუნებისა და ადამიანის სულის პირველყოფილი ძალები, შეხმატკბილებულნი, ერთმანეთში გადახლართულნი, განწმენდილნი და გაკეთილშობილებულნი: მთელი პოემა გულთბილი, მნიშვნელოვანი, ოდნავ ზეაწეული, შთაგონებული, მგზნებარე სიტყვებით იყო დაწერილი.

ჰანო კაის თხზულებას მშვენივრად იცნობდა და ძალიან უყვარდა კიდეც, მაგრამ ახლა კაის შემოქმედებასა და ედგარ პოზე ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. ჰანომ ისევ დაამთქნარა და გულიდან ოხვრა ამოაყოლა, თან ამას წინათ გამოგონილი მოტივი ჩაიღიღინა. ჰანოს ასეთი ჩვეულება ჰქონდა. ხშირად ოხრავდა, ჰაერს ღრმად ჩაისუნთქავდა, რომ მიძინებული გული აემოძრავებინა, ამოსუნთქვას კი რომელიმე საკუთარ ან სხვის მელოდიას ამოაყოლებდა ხოლმე.

- შეხედე, უფალი ღმერთი მობრძანდება! - თქვა კაიმ, - ნახე, როგორ მორონინებს თავის ედემის ბაღში!

- ედემის ბაღს ბევრი უკლია, - უპასუხა ჰანომ და სიცილი აუტყდა. ჰანო ნერვიულად იცინოდა, ცხვირსახოცი პირზე აეფარებინა, მაგრამ სიცილს მაინც ვერ იკავებდა და კაისგან „ღმერთად“ მონათლულ არსებას გაჰყურებდა.

ეზოში გამოჩნდა დირექტორი დოქტორი ვულიკე. აწოწილ კაცს თავზე შავი შლაპა ეხურა, წვერი მოკლედ ჰქონდა დაყენებული, მუცელი გამობზეკოდა, მეტისმეტად მოკლე შარვალი ეცვა და სახელოებიდან მუდამ ჭუჭყიანი, ძაბრისებური მანჟეტები მოუჩანდა. დირექტორს ბრაზისგან სახე დამანჭოდა, ქვის ფილებზე სწრაფად მოაბიჯებდა და ხელს ონკანისკენ იშვერდა. ონკანიდან წყალი მოდიოდა! რამდენიმე მოწაფე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა დირექტორის წინ. მათ საქმე იმით გამოასწორეს, რომ ონკანი დაკეტეს, მერე დიდხანს იდგნენ და დაბნეულები ხან დირექტორს, ხან კი ონკანს შეჰყურებდნენ. დირექტორი უკვე სახეალეწილ დოქტორ გოლდენერს მიჰბრუნებოდა და ბოხი, ყრუ ხმით უჯავრდებოდა. პირიდან ბურდღუნა და გაურკვეველი ბგერები ამოსდიოდა.

დირექტორი ვულიკე საშინელი კაცი იყო. ჰანოს მამისა და ბიძის მოწაფეობის დროინდელი ხალისიანი და კაცთმოყვარე მოხუცი დირექტორი 1871 წელს გარდაიცვალა. დოქტორ ვულიკეს იმ დროს პრუსიულ გიმნაზიაში პროფესორის თანამდებობა ეჭირა, მოხუცი დირექტორის გარდაცვალების შემდეგ ამ სასწავლებელში მოიწვიეს და მისი მოსვლისთანავე ძველ სკოლაში სულ სხვა სულისკვეთება დამკვიდრდა. იქ, სადაც ოდესღაც კლასიკურ განათლებას მოწაფეები ხალისით, ძალდაუტანებლად და მშვიდად იძენდნენ, ახლა პატივისცემის ღირსად ავტორიტეტის, მოვალეობის, ძალაუფლების, სამსახურისა და კარიერის ცნებები იქცა, „ჩვენი ფილოსოფოსის კანტის კატეგორიული იმპერატივი“ კი დირექტორს

ბაირაღად გაეხადა და ყოველ საზეიმო გამოსვლაში მუქარით აფრიალებდა. სკოლა სახელმწიფოში სახელმწიფოდ გადაიქცა, სადაც პრუსიული ყაიდის დისციპლინას ისე მაგრად მოეკიდებინა ფეხი, რომ მარტო მასწავლებლები კი არა, მოსწავლეებიც ჩინოვნიკებად გრძნობდნენ თავს და მხოლოდ წინ წაწევისა და უფროსებთან კარგი დამოკიდებულებისთვის იღვწოდნენ. ახალი დირექტორის დანიშვნიდან დიდხანს
არ გაუვლია, რომ ახლებური ჰიგიენური და ესთეტიკური მოთხოვნილებების
შესაბამისად სასწავლებლის გადაკეთება და აშენება დაიწყო და ბედნიერად დამთავრდა კიდეც, მაგრამ საკითხავია, ადრე, როცა ახალი დროების შესაფერი კომფორტი სკოლაში ნაკლებად იგრძნობოდა, მაგრამ სამაგიეროდ, ცოტა მეტი გულკეთილობა, სითბო, ხალისი, კეთილმოსურნეობა და სიმყუდროვე სუფევდა, სასწავლებელი უფრო მიმზიდველი და ღვთივკურთხეული ხომ არ იყო?

რაც შეეხება დირექტორ ვულიკეს პიროვნებას, მასში მართლაც იმალებოდა ბიბლიური ღმერთისმაგვარი ამოუცნობი, ორაზროვანი, ჯიუტი და ეჭვიანი ურჩხული, იგი ერთნაირად საშიში იყო გაღიმებულიც და გაბრაზებულიც. თავის ხელში მოქცეული უზარმაზარი ძალაუფლების წყალობით, შემაძრწუნებელ ახირებულობას იჩენდა და ანგარიშს არავის უწევდა. მას შეეძლო ეოხუნჯა და თუ ვინმე გაიცინებდა, მისთვის თავბედი ეწყევლინებინა. არც ერთმა მისმა დაბეჩავებულმა ხელქვეითმა არ იცოდა, მასთან თავი როგორ დაეჭირა, მეტი არაფერი დარჩენოდათ, მის წინაშე მუხლებზე უნდა ეხოხათ და თავის უზომო დამცირებით კეთილდღეობა შეენარჩუნებინათ, თორემ ვაი იმას, ვინც მის კლანჭებში
მოხვდებოდა, - დირექტორი თავის მსხვერპლს მიწასთან გაასწორებდა.

დირექტორისთვის კაისგან შერქმეული მეტსახელი კაისა და ჰანოს მეტმა არავინ იცოდა, ისინიც ფრთხილობდნენ, სხვებთან ეს სახელი არ წამოსცდენოდათ. სულერთია, ამხანაგები მაინც ვერ გაუგებდნენ და მათთვის კარგად ნაცნობ ამრეზილ და ცივ მზერას შეავლებდნენ. არა, ეს ორნი ამხანაგებს ვერც ერთ საკითხში ვერ უთავსდებოდნენ, ოპოზიციაში ჩადგომისა და შურისგების მათებური ყაიდაც უცხო იყო ჰანოსა და კაისთვის, მათი უკბილო დაცინვაც ეზიზღებოდათ, არც მათი ხუმრობა ჰგვრიდათ ღიმილს, მაინც რა იაფფასიანი, უგემური და უკბილო ხუმრობა იყო, გამხდარ პროფესორ ჰიუკოპს ობობას რომ ეძახდნენ, ან უფროს მასწავლებელ ბალერშტეტს „კაკადუ“ რომ შეარქვეს! ყველაფერი ეს იძულებითი ჩინოვნიკური
სამსახურის წინააღმდეგ უილაჯო გაბრძოლება იყო და მეტი არაფერი. არა, გრაფი კაი
მოლნი ცოტა უფრო ენამწარე ყმაწვილი გახლდათ! თავისი თავიც და ჰანოც ერთ რამეს მიაჩვია: მასწავლებლებს ორივენი ყოველთვის ბატონობით იხსენიებდნენ ხოლმე: „ბატონი ბალერშტეტი“, „ბატონი მანტელზაკი“, „ბატონი ჰიუკოპი“, იტყოდნენ და ამაში დიდი ზიზღი, მწარე ირონია და აბუჩად აგდება იყო ჩაქსოვილი. დანარჩენები მასწავლებლებს „პედაგოგიურ სხეულად“ ნათლავდნენ. ამ სახელის უკან რაღაც რეალური არსება, უცნაური მოყვანილობის საზიზღარი ურჩხული წარმოედგინათ და შესვენებაზეც თავს ამით ირთობდნენ. სკოლას კი

„დაწესებულებას“ ისეთი ტონით ეძახდნენ, თითქო მათი სკოლა, ჰანოს ბიძა ქრისტიანი რომ იყო ჩაკეტილი, ისეთი დაწესებულება ყოფილიყო.

გაავებული უფალი ღმერთის ყურებამ კაი ჩინებულ ხასიათზე დააყენა. დირექტორი ყველას შიშის ზარს სცემდა და საშინელი ბურდღუნით ფილებზე მიმობნეულ საუზმის ქაღალდებისკენ იშვერდა ხელს. კაიმ ჰანო გაიყოლა და მასწავლებლებისთვის განკუთვნილ ჭიშკარს მიაშურა. იქიდან ახლა მეორე გაკვეთილზე მომავალი მასწავლებლები შემოდიოდნენ. კაი ყველა თვალებჩაწითლებულ, ფერმკრთალ და ბეჩავ სემინარიელს თავს მდაბლად უკრავდა. სემინარიელები პირველი და მეორე კლასებისკენ მიეშურებოდნენ. კაი წელში ზედმეტად იხრებოდა, მკლავებს ჩამოყრიდა და ამ საცოდავ არსებებს ქვემოდან შესცქეროდა. კარში მათემატიკის მასწავლებელი, ბებერი ბატონი ტიტგე გამოჩნდა. ბატონ ტიტგეს აკანკალებული ხელები ზურგზე შემოეწყო და წიგნები ისე ეჭირა. მოკრუნჩხული, გაყვითლებული ბებერი წამდაუწუმ იფურთხებოდა. კაიმ წკრიალა ხმით შესძახა, გამარჯობა, ლეშოო, და ნათელი, გამსჭვალავი თვალებით სულ სხვა მხარეს გაიხედა.

ამ დროს ზარმა გამაყრუებელი ზრიალი ატეხა და მოწაფეები შესასვლელებს მიაწყდნენ. ჰანო კვლავ იცინოდა, კიბეზეც ისე ხმამაღლა და გულიანად იცინოდა, რომ მისი უსაქციელობით გაოცებული და აღშფოთებული ამხანაგები სახეში ცივად აჩერდებოდნენ.

კლასში სიჩუმე ჩამოვარდა და ყველანი, როგორც ერთი კაცი, ისე წამოდგნენ ფეხზე - ოთახში უფროსი მასწავლებელი დოქტორი მანტელზაკი შემოვიდა. იგი კლასის დამრიგებელი გახლდათ, სასწავლებელში კი წესად იყო ქცეული, კლასის დამრიგებელს პატივისცემით მოჰკიდებოდნენ.

მასწავლებელმა კარი შემოიკეტა, კისერი წაიწვდინა, უნდოდა, კარგად დაენახა, ყველანი წამოდგნენ თუ არა, ქუდი კაუჭზე მიაკიდა და თავის ქიცინით კათედრისკენ სწრაფად გაემართა. კათედრაზე დადგა თუ არა, ფანჯარაში გაიხედა, თან მსხვილი ბეჭდით დამშვენებული საჩვენებელი თითი საყელოსა და კისერს შორის გაატარ- გამოატარა. ეს იყო საშუალო ტანის, თმაშეთხელებული, ჭაღარა კაცი, იუპიტერივით ხუჭუჭა წვერი ჰქონდა, სათვალის შუშებქვეშ კი საფირონისფერი, გადმოკარკლული, ბეცი თვალები უბრწყინავდა. ტანთ ნაცრისფერი, რბილი ქსოვილისგან შეკერილი ღია სერთუკი ეცვა, სერთუკს დანაოჭებულ, კოტიტა თითებს მალიმალ ნაზად უსვამდა ხოლმე. შარვალი ყველა მასწავლებელს, თვით ელეგანტურ დოქტორ გოლდენერსაც
კი მოკლე ეცვა და უფროს მასწავლებელ დოქტორ მანტელზაკსაც მოკლე შარვლიდან უსაშველოდ ფართო, სარკესავით გაპრიალებული შტიბლეტების ყელი მოუჩანდა.

მასწავლებელმა ფანჯარას თვალი უცებ მოსწყვიტა, მოკლედ და ნებიერად ამოიოხრა, განაბულ კლასს გადახედა, დიახ, დიახო, წარმოთქვა და რამდენიმე მოსწავლეს გულთბილად გაუცინა. ბატონი მასწავლებელი აშკარად კარგ გუნებაზე

ბრძანდებოდა. კლასი შეიშმუშნა, ყველას გულზე მოეშვა. უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა, უფრო სწორად, ყველაფერს ნიშნავდა, დოქტორი მანტელზაკი კარგ გუნებაზე იქნებოდა თუ ცუდზე. მოწაფეებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ კლასის დამრიგებელი მისდა უნებურად თავისი განწყობის გავლენას განიცდიდა და თავს კონტროლს ვეღარ უწევდა. დოქტორი მანტელზაკი უცნაურად და გულუბრყვილოდ უსამართლო კაცი იყო. მისი კეთილგანწყობაც, ბედნიერებასავით, ყოველ წუთში შეიძლებოდა ხელიდან გაგსხლტომოდათ. მასწავლებელს ყოველთვის ჰყავდა რამდენიმე გამორჩეული მოწაფე, ორი ან სამი, რომელთაც შენობით და სახელით მიმართავდა. ასეთები თავს სამოთხეში გრძნობდნენ. რაც უნდა წამოეყრანტალებინათ, შეცდომად არ ჩაეთვლებოდათ, გაკვეთილის შემდეგ კი დოქტორი მანტელზაკი მათ გულთბილად ესაუბრებოდა ხოლმე, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, უფრო არდადეგების შემდეგ, უფალმა უწყოდა რისთვის, თავისსავე გამორჩეულს დაამხობდა, გაანადგურებდა, მთლად გასწირავდა და ახლა სახელით სხვას მიმართავდა. ამ ბედნიერებს საკონტროლოებში შეცდომებს ისე ფაქიზად
უხაზავდა, რომ შეცდომებით გატენილი ნამუშევარი მაინც სუფთად გამოიყურებოდა, სხვის რვეულებში კი კალამს ისე ფართოდ და მსხვილად უსვამდა, ფურცელს წითელი ხაზებით ისე ააჭრელებდა, რომ ადამიანზე ნამუშევარი საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდა. ბატონი მანტელზაკი შეცდომებს კი არ ითვლიდა, ნიშნებს წითელი მელნის სიუხვის თუ სიმცირის მიხედვით სვამდა და ამიტომ მისი რჩეულები მოგებულნი რჩებოდნენ. დოქტორი მანტელზაკი ასე სავსებით დაუფიქრებლად იქცეოდა, ეს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა და თავის მიუკერძოებლობაში ეჭვიც არ ეპარებოდა. ვინმეს რომ გაებედა და დოქტორ მანტელზაკს ამისთვის ამხედრებოდა, იმას სამუდამოდ უნდა წარკვეთოდა იმედი, რომ მასწავლებელი სახელს დაუძახებდა, ამ იმედის დაკარგვას კი არავინ აპირებდა.

დოქტორმა მანტელზაკმა ფეხი ფეხზე გადაიდო და თავისი უბის წიგნაკის ფურცვლას შეუდგა. ჰანო ბუდენბროკი წინ გადახრილი იჯდა და მერხის ქვეშ ხელებს სიმწრით იმტვრევდა. „ბანი“, ასო „ბანი“ იდგა ახლა რიგში! აი, ახლა იტყოდნენ მის გვარს, ისიც ადგებოდა, ერთი პწკარი რა არის, ისიც არ ეცოდინებოდა და ატყდებოდა ერთი ვაი- უშველებელი. საშინელი კატასტროფა არ ასცდებოდა ჰანო ბუდენბროკს. მერე რა,
რომ მასწავლებელი კარგ გუნებაზე იყო! წუთები ტანჯვით მიიზლაზნებოდა, აი,
ახლა გამოიძახებდა მასწავლებელი ბუდენბროკს, აი, ახლა...

- ედგარ! - თქვა დოქტორმა მანტელზაკმა, უბის წიგნაკი დახურა, შიგ საჩვენებელი თითი დაატანა და კათედრაზე ისე ჩამოჯდა, თითქოს უკვე ყველაფერი მოგვარებული იყო.

რაო? ეს რა თქვეს? ედგარიო... ლიუდერსის სახელი წარმოთქვა მასწავლებელმა; აი, ფანჯარასთან სქელი ლიუდერსი რომ ზის, იმისი, მისი გვარი „ლასზე“ იწყება, წესით ის არ უნდა გამოეძახათ! არა, ნუთუ ეს შესაძლებელია? დოქტორი მანტელზაკი ისეთ

კარგ გუნებაზე გახლდათ, რიგის დაცვით თავს არ იწუხებდა და რჩეულ მოწაფეს იძახებდა.

სქელი ლიუდერსი ფეხზე ზანტად წამოდგა. სახე უჯიშო ძაღლს მიუგავდა და ყავისფერი, უხალისო თვალები ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავ ადგილზე იჯდა და არხეინად შეეძლო თვალი წიგნისკენ სჭეროდა, ესეც შეეზარა, ეტყობოდა, სამოთხეში დამკვიდრებულად გრძნობდა თავს და ამიტომ მასწავლებელს არხეინად უპასუხა:

- გუშინ თავი მტკიოდა და გაკვეთილი ვერ ვისწავლე.

- ო, მღალატობ, ედგარ? - გული დასწყდა დოქტორ მანტელზაკს, - მაშ, შენ „ოქროს ხანას“ ზეპირად არ მეტყვი? რა სამწუხაროა, ჩემო მეგობარო! თავი გტკიოდა? მაგრამ მე მგონი, ეგ გაკვეთილის დაწყებამდე უნდა გეთქვა, სანამ გამოგიძახებდი. მგონი, ამას წინათაც გტკიოდა თავი, არა? უნდა იმკურნალო, ედგარ, თორემ ჩამორჩენის საშიშროება მოგელის. ტიმ, აბა, მის მაგიერ თქვენ მიპასუხეთ.

ლიუდერსი დაჯდა. ამ წუთში იგი მთელ კლასს ჭირივით ეზიზღებოდა. დამრიგებელს აშკარად წაუხდა გუნება. ეტყობოდა, შემდეგ გაკვეთილზე ლიუდერსს უკვე გვარით გამოიძახებდა. ერთ-ერთი ბოლო მერხიდან ტიმი წამოდგა. ეს იყო ღია ყავისფერ პიჯაკში გამოწყობილი, სოფლური გარეგნობის ქერა ყმაწვილი. კოტიტა თითები ჰქონდა, ძაბრივით დაფჩენილ პირზე კი სიბეჯითე და სიბრიყვე ეხატა. მან გადაშლილი წიგნი მოხერხებულად დაიდო წინ და სივრცეს დაჟინებით მიაჩერდა. შემდეგ თავი დახარა და გაჭიანურებულად, ენის ბორძიკითა და მონოტონურად დაიწყო კითხვა, როგორც ბავშვი მარცვლავს ხოლმე ანბანს.

„Aurea prima sata est aetas[15]“…

ცხადია, დოქტორი მანტელზაკი დღეს მოსწავლეებს სიით არ იძახებდა, არც იმას დაგიდევდათ, მოწაფე დიდი ხნის წინ ჰყავდა გამოკითხული თუ არა. ახლა ჰანო შემთხვევით თუ მოხვდებოდა თვალში, თორემ გამოძახების საშიშროება აღარ იგრძნობოდა. ჰანომ კაის ბედნიერი ღიმილით გადახედა და დაძაბული სხეული თანდათან მოუდუნდა.

უცებ ტიმმა კითხვა შეწყვიტა. დოქტორ მანტელზაკს მისი დეკლამაცია კარგად არ ესმოდა თუ გავლა-გამოვლა მოესურვა, კათედრიდან ჩამოვიდა, კლასში არხეინად გაიარ-გამოიარა და თავისი ოვიდიუსით ტიმს გვერდში ამოუდგა. ტიმმა სწრაფად და უჩინრად მოასწრო წიგნის მიმალვა, მაგრამ განიარაღებულივით კი დარჩა. ლურჯი, წრფელი, დაბნეული თვალებით დამრიგებელს პირდაღებული მიაჩერდა და ერთი სიტყვაც ვეღარ ამოღერღა.

- რაო, ტიმ, - უთხრა ტიმს დოქტორმა მანტელზაკმა, - ვეღარ აგრძელებ?

ტიმმა თავი მოიფხანა, თვალები გადაატრიალა, ღრმად ამოისუნთქა და მერე ცბიერი ღიმილით თქვა:

- ძალიან ვიბნევი, თქვენ რომ ჩემ გვერდით დგახართ, ბატონო დოქტორო!

მოწაფის პირფერობით ნასიამოვნებ დოქტორ მანტელზაკს გაეღიმა და თქვა:

- აბა, დამშვიდდით და განაგრძეთ, - ამ სიტყვებზე იგი მოტრიალდა და კათედრას დაუბრუნდა.

ტიმი დამშვიდდა, წიგნი ისევ გამოაცოცა, გადაშალა, ვითომ წონასწორობის აღსადგენად ოთახში გაიხედ-გამოიხედა, თავი ჩაღუნა და გაკვეთილის მოყოლა განაგრძო.

- კმაყოფილი ვარ, - თქვა დამრიგებელმა, როცა ტიმმა დაასრულა, - ნამდვილად კარგად გისწავლიათ. მხოლოდ ესაა, რომ რიტმის გრძნობა გღალატობთ, ტიმ, ხმოვნებს ცუდად არ გამოთქვამთ, მაგრამ ჰეგზამეტრს მაინც არღვევთ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მთელი ლექსი პროზასავით დაგეზეპირებინოთ. მაგრამ, როგორც გითხარით, გიბეჯითიათ, რაც შეგეძლოთ, გაგიკეთებიათ: ხომ იცით,
„ის, ვინც მუდამჟამ ილტვის და იღვწის“[16]... შეგიძლიათ დაბრძანდეთ.

სახეგაბრწყინებული ტიმი ამაყად დაჯდა და დოქტორმა მანტელზაკმა მისი გვარის გასწვრივ დამაკმაყოფილებელი ნიშანი დაწერა. საოცარია, იმ წუთში მარტო მასწავლებელს კი არა, თვითონ ტიმსაც და მთელ კლასსაც ნამდვილად სჯეროდა, რომ ტიმი მართლაც კარგი და ბეჯითი მოსწავლე იყო და კარგი ნიშანიც ნამდვილად ეკუთვნოდა. ჰანო ბუდენბროკიც ვერ უმკლავდებოდა ამ აზრს, თუმცა გრძნობდა, როგორ ევსებოდა ზიზღით გული. ჰანო კვლავ გულის ფანცქალით დაელოდა შემდეგი გვარის გამოძახებას.

- მუმე! - თქვა დოქტორმა მანტელზაკმა, - აბა, კიდევ ერთხელ! „Aurea prima“...

მაშ, მუმე გამოიძახეს! მადლობა ღმერთს, ახლა ჰანო თითქმის სამშვიდობოს იყო! მესამეჯერ ბატონი მანტელზაკი ლექსს აღარავის ათქმევინებდა, ახალი გაკვეთილის წაკითხვაზე კი „ბანი“ ჯერ კიდევ წინა გაკვეთილზე ჰქონდა ჩათავებული.

მუმე წამოდგა. ეს იყო აწოწილი, ფერმკრთალი ყმაწვილი, ხელები მუდამ უცახცახებდა და უზარმაზარი, მრგვალი სათვალე ეკეთა. მუმეს თვალები სტკიოდა და ისეთი ბეცი იყო, რომ ფეხზე წამომდგარი მერხზე დადებულ წიგნში სიტყვასაც ვერ გაარჩევდა; სწავლის მეტი არაფერი დარჩენოდა და ისიც სწავლობდა. უნიჭო ყმაწვილი დღეს გამოძახებას არ ელოდა, ლექსის ნახევარიც არ ჰქონდა ნასწავლი და პირველივე სტროფზე დადუმდა. დოქტორი მანტელზაკი ერთხელ შეეშველა, მეორეჯერ მკვახე ხმით მიაშველა სიტყვა, მესამეჯერ უკვე გაბრაზებულმა უკარნახა, მაგრამ მუმე ადგილიდან ვეღარ დაიძრა და კლასის დამრიგებელს ცოფი მოერია.

- ერთი სტროფით ნიშანს ვერ ეღირსებით, მუმე! დაჯექით! თქვენ საცოდავი ქმნილება ხართ. ამაში შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საცოდავო კრეტინო! გამოტვინებული და თან ზარმაცი - ეს უკვე მეტისმეტია...

მუმე მერხზე დაეშვა. მართლა უბედური შესახედავი იყო და იმ წუთში ოთახში კაცი არ მოიძებნებოდა, მუმე რომ არ შეზიზღებოდა. კვლავ კინაღამ აერია ჰანო ბუდენბროკს გული და ყელში რაღაც მოაწვა. ჰანო მასწავლებლის ხელს თვალს არ აცილებდა. დოქტორმა მანტელზაკმა მუმეს გვარის გასწვრივ ცუდი ნიშანი დაწერა და წარბებშეჭმუხნილი კვლავ თავის წიგნაკს ჩააცქერდა. გულმოსულმა გაკვეთილი თავისი გეგმით განაგრძო და ახლა ნამდვილად რიგით აპირებდა მოსწავლეების გამოძახებას, ჰანო ამ აღმოჩენამ სულით ხორცამდე შეძრა და თითქმის იმწამსვე თავისი გვარი თითქოს კოშმარულ სიზმარში მყოფმა გაიგონა.

- ბუდენბროკ! - დოქტორმა მანტელზაკმა „ბუდენბროკი“ წარმოთქვა. ხმა ჯერ კიდევ ჰაერში იდგა, მაგრამ ჰანო ყურებს მაინც არ უჯერებდა, ყურები უბჟუოდა. ადგილიდან არც განძრეულა.

- ბატონო ბუდენბროკ! - გაიმეორა დოქტორმა მანტელზაკმა და სათვალის შუშებს ქვემოდან აელვარებული საფირონისფერი, გადმოკარკლული თვალები ჰანოს დააშტერა, - იქნებ მოწყალება მოიღოთ და აბრძანდეთ?

მორჩა, ასეც უნდა მომხდარიყო. ეს წამი უნდა დამდგარიყო, ჰანოს აქამდე გულში იმედი უჭიატებდა, მაგრამ ახლა აღარაფერი ეშველებოდა. საინტერესო იყო, მასწავლებელი მაგრად დაუღრიალებდა თუ არა. ჰანო წამოდგა და უკვე აპირებდა უაზრო და სასაცილო გასამართლებელი საბუთი მოეძებნა, ეთქვა, ლექსის დაზეპირება „დამავიწყდაო“, რომ თვალი მოჰკრა, მის წინ მჯდომმა ამხანაგმა მერხზე წიგნი როგორ გადაუშალა.

ჰანოს წინ ჰანს ჰერმან კილიანი იჯდა, ტანდაბალი, მხარბეჭგანიერი, გაპოხილთმიანი ყმაწვილი. კილიანი ოფიცრობაზე ოცნებობდა და მეგობრობის გრძნობა ისე ჰქონდა ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ გასაჭირში მისთვის არცთუ სიმპათიურ ბუდენბროკსაც კი არ მიატოვებდა. იგი საჩვენებელი თითით დასაწყისსაც კი უჩვენებდა, ჰანოც იმ ადგილს დააშტერდა და კითხვა დაიწყო. აკანკალებული ხმით, წარბებშეჭმუხნილი, ბაგემოღრეცილი კითხულობდა ლექსს ხანაზე, პირველად დამდგარ ხანაზე, სადაც არ არსებობდა შურისგება, ხალხი თავისი ნებით, კანონის კარნახის გარეშე იცავდა ერთგულებასა და უფლებას. „არ არსებობდა სასჯელი და შიში, - ამბობდა იგი ლათინურად, - ბრინჯაოს დაფებზე არ ეწერა მუქარით აღსავსე სიტყვები და არც თავიანთი მსაჯულის დანახვა აკრთობდა მავედრებელ ბრბოს“.
ჰანო დატანჯული და ამრეზილი სახით განგებ ცუდად და არეულ-დარეულად კითხულობდა, ცეზურებსაც განზრახ არ იცავდა, კილიანის წიგნში ფანქრით რომ იყო მონიშნული, ლექსს ამახინჯებდა, ენა ებმებოდა და მოსაჩვენებლად წინ დიდი ვაი- ვაგლახით მიღოღავდა, ყოველ წუთს ელოდა, მასწავლებელი ან ახლა მიმიხვდება

ტყუილს, ან ახლა და მის რისხვას რა გადაურჩებაო. გადაშლილ წიგნს რომ ხედავდა, ქურდული აზარტი იპყრობდა და ტანზე ეკლები ასხამდა, მაგრამ გული ზიზღით ჰქონდა სავსე და განზრახ, რაც შეეძლო, ცუდად იტყუებოდა, უნდოდა ტყუილი ამით ოდნავ მაინც შეერბილებინა. შემდეგ დადუმდა. კლასში ისეთი სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, რომ ჰანო თავის აღებას ვერ ბედავდა, ამაზრზენი სიჩუმე იყო. ჰანოს ეჭვი არ ეპარებოდა, დოქტორმა მანტელზაკმა ყველაფერი შეამჩნიაო და ტუჩები მთლად გაუფითრდა, მაგრამ მასწავლებელმა ამოიხვნეშა და თქვა:

- ო, ბუდენბროკ, si tacuisses![17] მომიტევეთ კლასიკური „შენ“ რომ გაკადრეთ! იცით, რა ჩაიდინეთ? მშვენიერება მტვერში ამოსვარეთ, თქვენ ვანდალივით მოიქეცით, ბარბაროსივით, ბუდენბროკ, ზედ ცხვირზე გეტყობათ, სმენის ნიშანწყალი რომ არ გაგაჩნიათ. მე რომ მკითხოთ, ვერ გეტყვით, ამ ხნის განმავლობაში ახველებდით თუ დიდებულ ლექსს კითხულობდით, მე პირველი უფრო მგონია. ტიმს რიტმის გრძნობა არა აქვს განვითარებული, მაგრამ თქვენთან შედარებით გენიოსია, ნამდვილი რაფსოდი... დაჯექით, უბედურო! გაკვეთილი გისწავლიათ, რა თქმა უნდა, გისწავლიათ. ცუდ ნიშანს ვერ დაგიწერთ, თავი არ დაგიზოგავთ, ხომ არ იგონებენ თქვენზე, მუსიკალურია, როიალზე უკრავსო? ნამდვილად ვერ წარმომიდგენია! კეთილი, კმარა, დაბრძანდით, ისიც კარგია, რომ გიბეჯითიათ.

მასწავლებელმა თავის უბის წიგნაკში დამაკმაყოფილებელი ნიშანი ჩაწერა და ჰანო ბუდენბროკი დაჯდა. ჰანოს ისევე დაემართა, როგორც „რაფსოდ“ ტიმს, მანაც შეიფერა დოქტორ მანტელზაკის სიტყვებში გარეული ქება. ამ წუთში სერიოზულად სჯეროდა, საკმაოდ უნიჭო, მაგრამ ბეჯითი მოსწავლე ვარო. განსაცდელისგანაც ხომ
ღირსეულად დაიძვრინა თავი! აშკარად გრძნობდა, რომ ყველა, ჰანს ჰერმან კილიანის ჩათვლით, ამასვე განიცდიდა. უცებ ჰანომ კვლავ იგრძნო გულის რევა, მაგრამ ისე იყო გასავათებული, ამაზე ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა. გაფითრებულმა და აკანკალებულმა თვალები დახუჭა და ლეთარგია დაეუფლა.

დოქტორმა მანტელზაკმა გაკვეთილი გააგრძელა, დღეისთვის სათარგმნელად მოცემულ მასალაზე გადავიდა და პეტერსენი გამოიძახა. პეტერსენი ცოცხლად წამოდგა, იმედიანად და მამაცურად გამოიყურებოდა, თითქოს ჩახმახზე იყო შემდგარი და შეტაკებას არ უფრთხოდა, მაგრამ დღეს დამარცხება ეწერა! დიახ, გაკვეთილი ისე არ დამთავრდებოდა, რაიმე კატასტროფა არ მომხდარიყო, იმაზე გაცილებით უარესი, ვიდრე საცოდავ ბეც მუმეს დაატყდა თავს.

პეტერსენი თარგმნიდა და დროდადრო თვალს წიგნის მეორე გვერდსაც გადაჰკრავდა ხოლმე, თუმცა იქ არაფერი ესაქმებოდა. ამას პეტერსენი მარჯვედ აკეთებდა, თითქოს წიგნის იმ გვერდზე რაღაც ხელს უშლიდა, ფურცელს ხელს უსვამდა, სულს ისე უბერავდა, თითქოს მტვრის მოშორება უნდაო, მაგრამ მისმა ოინბაზობამ არ გაჭრა. საშინელება მაინც მოხდა.

დოქტორმა მანტელზაკმა თითქოს უცებ შეკრა კამარა და პეტერსენმაც ეს მოძრაობა ინსტინქტურად გაიმეორა. იმავე წამს კლასის დამრიგებელი კათედრიდან დაეშვა, მერხებს ლამის თავზე გადაევლო და გრძელი ნაბიჯებით პეტერსენს მიაშურა.

- თქვენ წიგნში „გასაღები“ გაქვთ, თარგმანი გიდევთ, - თავზე დაადგა პეტერსენს კლასის დამრიგებელი.

- გასაღები... მე... არა... - ენა დაება პეტერსენს.

პეტერსენი ეშხიანი ყმაწვილი იყო, ქერა ქოჩორი შუბლზე ეყარა, და არაჩვეულებრივად მშვენიერი, ლურჯი თვალები ჰქონდა. ახლა ამ თვალებს შეშინებული აპარპალებდა.

- მაშ, თარგმანი არ გიდევთ წიგნში, არა?

- არა... ბატონო უფროსო მასწავლებელო... ბატონო დოქტორო... თარგმანი?.. თარგმანი ნამდვილად არა მაქვს... თქვენ მოგეჩვენათ.. ეჭვი ტყუილად შეგეპარათ...

პეტერსენი უცნაურად მეტყველებდა, შიშისგან რეტდასხმული მაღალფარდოვან სიტყვებს ეძებდა, იქნებ დამრიგებელზე შთაბეჭდილება მოვახდინოო.

- მე არ ვცრუობ, - თქვა სიმწრის ოფლში გაწურულმა პეტერსენმა, - მე ყოველთვის პატიოსნად ვიქცევი... მთელი ჩემი სიცოცხლე!

მაგრამ დოქტორი მანტელზაკი თავის სავალალო აღმოჩენაში ღრმად იყო დარწმუნებული.

- მომეცით თქვენი წიგნი, - ცივად მიმართა მოწაფეს მან.

პეტერსენმა წიგნი ჩაბღუჯა, ფიცის ნიშნად ორივე ხელით მაღლა ასწია და ბლუკუნით განაგრძო დეკლამაცია.

- დამიჯერეთ... ბატონო უფროსო მასწავლებელო... ბატონო დოქტორო... წიგნში არაფერი არ დევს... თარგმანი არა მაქვს... მე ტყუილი არ მითქვამს... მე საერთოდ პატიოსანი კაცი ვარ...

- მომეცით წიგნი, - გაუმეორა კლასის დამრიგებელმა და ფეხები დააბაკუნა.

აქ კი მოტყდა პეტერსენი და სახეზე მკვდრისფერი დაედო.

- კარგი, - თქვა და მასწავლებელს წიგნი მიაწოდა, - ინებეთ, დიახ, შიგ თარგმანი დევს! აი, თქვენ თვითონ ნახეთ, აი, სადა დევს! მაგრამ მე ის არ გამომიყენებია! - უცებ დაიყვირა პეტერსენმა.

დოქტორმა მანტელზაკმა ამ უაზრო, სასოწარკვეთილებისგან წამოცდენილ მტკნარ სიცრუეს ყური აარიდა, წიგნიდან თარგმანი ამოიღო და ისეთი სახით დააცქერდა,

თითქოს ხელში ამყრალებული მძორი უჭირავსო, „გასაღები“ ჯიბეში ჩაიდო, პეტერსენს „ოვიდიუსი“ ზიზღით მიუგდო და ყრუ ხმით საკლასო ჟურნალი მოითხოვა.

ადოლფ ტოტენჰაუპტმა მასწავლებელს ჟურნალი მიურბენინა. პეტერსენს მასწავლებლის მოტყუების ცდისთვის ისეთი გამანადგურებელი, გრძელვადიანი საყვედური ჩაუწერეს, რომ სააღდგომოდ შემდეგ კლასში გადასვლას ვერ ეღირსებოდა.

- თქვენ კლასის სამარცხვინო ლაქა ხართ, - დასძინა დოქტორმა მანტელზაკმა და კათედრას დაუბრუნდა.

პეტერსენი სიკვდილმისჯილივით დაჯდა. მეზობელი ყველას დასანახავად განერიდა და მერხის ბოლოსკენ გადაჩოჩდა. პეტერსენს მთელი კლასი ზიზღნარევი თანაგრძნობითა და შიშით მისჩერებოდა. პეტერსენი დაიღუპა, მისგან ყველამ პირი იბრუნა, მას ხომ დანაშაულზე წაასწრეს. ახლა პეტერსენზე ერთადერთი აზრი არსებობდა: იგი „კლასის სამარცხვინო ლაქა“ იყო. ყველამ ისე შეაფასა, ისე მიიღო მისი დაცემა, როგორც აქამდე ტიმისა და ბუდენბროკის წარმატებასა და საბრალო მუმეს უბედურებას შეხვდნენ. თვითონ პეტერსენიც ამასვე განიცდიდა.

ვინც ამ ოცდახუთ ყმაწვილს შორის პირდაპირობით, ღონითა და ცხოვრების შნოთი გამოირჩეოდა, იმათ ეს ამბავი აინუნშიც არ ჩაუგდიათ, თავი შეურაცხყოფილად არ უგრძნიათ, ჩათვალეს, რომ ყველაფერი ასეც უნდა მომხდარიყო და ამ ამბავში საოცარი არც არაფერი დაუნახავთ. მაგრამ იყო კლასში ყმაწვილი, რომელსაც ღრმად ჩაფიქრებული თვალები ერთი წერტილისთვის გაეშტერებინა.

პატარა იოჰანი ჰანს ჰერმან კილიანის ფართო ზურგს თვალს არ აცილებდა და მოოქროსფრო-წაბლისფერი, მოლურჯო ჩრდილებით შემორკალული თვალები ზიზღით, პროტესტითა და შიშით ჰქონდა სავსე. დოქტორმა მანტელზაკმა მეცადინეობა განაგრძო და რიგგარეშე ადოლფ ტოტენჰაუპტი გამოიძახა. მასწავლებელს უკვე აღარ ჰქონდა საეჭვო მოწაფეების გამოკითხვის თავი. ტოტენჰაუპტის შემდეგ ჯერი სხვაზე მიდგა, რომელსაც გაკვეთილი სუსტად მოემზადებინა და ისიც კი არ იცოდა, „patula Jovis arbore glandes“ რას ნიშნავდა, მის მაგიერ ბუდენბროკს მოუხდა ამ ფრაზის გადათარგმნა... ჰანომ წყნარად უპასუხა, ისე, რომ ზევით არ აუხედავს. მასწავლებელმა მოწონების ნიშნად თავი დაუქნია.

მოსწავლეების გამოკითხვა დამთავრებული იყო და გაკვეთილმაც ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. დოქტორმა მანტელზაკმა ახალი ტექსტი დიდად ნიჭიერ მოწაფეს წააკითხა, მაგრამ თვითონაც ისევე უყურადღებოდ უსმენდა, როგორც დანარჩენი ოცდაოთხი მოწაფე; ისინი უკვე შემდეგი გაკვეთილისთვის ემზადებოდნენ, ახლა თავის გამოდებას აზრი აღარ ჰქონდა, ახალი მასალის წაკითხვაში ნიშანს არავის უწერდნენ და კარგი პასუხი არც სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებაში

ჩაეთვლებოდათ. გაკვეთილის დამთავრებასაც ბევრი აღარაფერი აკლდა. დრო ამოიწურა და ზარიც დაირეკა. ჰანოს ამჯერად ბედმა გაუღიმა, მასწავლებელმა მოწონების ნიშნად თავიც კი დაუქნია.

- აბა, ახლა რაღას იტყვი, ჰანო, - უთხრა მეგობარს კაიმ, როცა ამხანაგებთან ერთად ქიმიის კაბინეტისკენ მიდიოდნენ, - „გაჰქრება იგი, რა განიცდის კეისრის სახეს“. ხომ ხედავ, როგორ გაგიღიმა ბედმა!

- გული მერევა, კაი, - მიუგო პატარა იოჰანმა, - ასეთი ბედნიერება რად მინდა, გახსენებაზეც კი გული მერევა.

და კაიმ იცოდა, რომ ჰანოს ადგილზე მასაც ასეთივე გრძნობა დაეუფლებოდა.

ქიმიის კაბინეტი თაღებიან ოთახში იყო მოთავსებული. მერხები ამფითეატრივით ელაგა, წინ ექსპერიმენტებისთვის განკუთვნილი გრძელი მაგიდა იდგა, კედელთან კი კოლბებით სავსე ორი მინის კარადა მოჩანდა. კლასში დახუთული, ცხელი ჰაერი იდგა. იქაურობა ყარდა. ჰაერი ახლახან დაყენებული ცდის გამო გოგირდწყალბადის მძაფრი სუნით იყო გაჟღენთილი. კაიმ ფანჯარა გამოაღო, შემდეგ ადოლფ ტოტენჰაუპტს სუფთა წერის რვეული მოჰპარა და სასწრაფოდ დღეისთვის
მოცემული დავალების გადაწერას შეუდგა. ჰანო და ბევრი სხვაც გადაწერით იყვნენ გართულნი. გადაწერას მთელი შესვენება მოუნდნენ, ზარიც დაირეკა და დოქტორი მაროცკეც გამოჩნდა.

ეს გახლდათ „ჭკუის კოლოფი“, როგორც მას ჰანო და კაი ეძახდნენ. საშუალო ტანის შავგვრემან კაცს საოცრად ყვითელი კანი ჰქონდა, შუბლზე ორი დიდი ხორცმეტი აჯდა, ხეშეში წვერი და თმა გაზინტლულივით უჩანდა, თვითონაც მუდამ დაუბანელსა და ღამენათევს ჰგავდა, თუმცა არც ღამეებს ტეხდა და თავსაც კარგად უვლიდა. სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნებს ასწავლიდა, მაგრამ მისი მოღვაწეობის მთავარ სფეროს მათემატიკა შეადგენდა და ამ დარგში თვალსაჩინო ფიგურად ითვლებოდა კიდეც. დოქტორ მაროცკეს ბიბლიის ფილოსოფიურ ადგილებზე ლაპარაკი უყვარდა. ხანდახან, როცა კარგ გუნებაზე იყო, პირველ და მეორეკლასელებს თავს გაუყადრებდა და საიდუმლოებით მოცულ ადგილებს განუმარტავდა ხოლმე. გარდა ამისა, იგი თადარიგის ოფიცერიც იყო და საკმაოდ თავგამოდებულიც. დირექტორი ვულიკე ამ სამხედრო ყაიდაზე გამოწვრთნილ ხელქვეითს კარგი თვალით უყურებდა. დოქტორი მაროცკე დისციპლინას სხვა მასწავლებლებზე უფრო მკაცრად იცავდა. სმენაზე გაჭიმული მოსწავლეების ფრონტს კრიტიკულად აათვალ-ჩაათვალიერებდა და მათგან ყოველთვის მოკლე და სხარტ პასუხებს მოითხოვდა ხოლმე. მის პიროვნებაში შერწყმული „მისტიციზმი“ და მხედრული შემართება საკმაოდ არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა.

გაკვეთილი სუფთა წერის რვეულების გასინჯვით დაიწყო. დოქტორი მაროცკე მერხებს შორის დადიოდა, რვეულებს ათვალიერებდა და ერთს არ გაუშვებდა ისე,

რომ შიგ თითი არ ჩაეკრა. ზოგს დავალება სულაც არ ჰქონდა შესრულებული და მასწავლებელს სულ სხვა რვეულს უჩვენებდა, მაგრამ დოქტორი მაროცკე ვერაფერს ხვდებოდა.

შემდეგ მასწავლებელი გამოკითხვაზე გადავიდა. ახლა ოცდახუთ მოსწავლეს სამსახურებრივი მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა ოვიდიუსის მაგიერ ბორის, ქლორის ან სტრონციუმის თვისებების ცოდნით უნდა გამოემჟღავნებინა. ჰანს ჰერმან კილიანმა ქება დაიმსახურა, მან მშვენივრად იცოდა, BaSO4, ანუ მძიმე შპატი, ყველაზე უფრო გავრცელებული სუროგატი რომ იყო. მასწავლებელს უამისოდაც ყველას ერჩია ჰანს ჰერმან კილიანი, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ოფიცრობას აპირებდა. ჰანომ და კაიმ არაფერი იცოდნენ და დოქტორ მაროცკეს უბის წიგნაკში საქმე შავად წაუვიდათ.

როცა გამოკითხვა და ნიშნების დასმა დასრულდა, ქიმიის გაკვეთილისადმი ინტერესი მაშინვე ჩაკვდა. დოქტორმა მაროცკემ მხოლოდ დარჩენილი დროის შევსების მიზნით დაიწყო ცდების ჩატარება, რაღაც ტკაცუნობდა, ფერადი კვამლის ბოლქვები ჩნდებოდა, მაგრამ მოსწავლეები ამას აინუნშიაც არ აგდებდნენ. ბოლოს მასწავლებელმა კლასს დავალება მისცა, ზარიც დაირეკა და მესამე გაკვეთილიც დამთავრდა.

მკაცრად დასჯილი პეტერსენის გარდა ყველა ჩინებულ გუნებაზე იყო, რადგან ახლა მხიარული გაკვეთილი ელოდათ. მეოთხე გაკვეთილის არავის ეშინოდა, ინგლისურზე ოინბაზობის მეტს არაფერს აკეთებდნენ. ამ საგანს სკოლაში გამოსაცდელი ვადით დანიშნული კანდიდატი, ახალგაზრდა ფილოლოგი მოდერზონი ასწავლიდა, ან, როგორც გრაფი კაი მოლნი ამბობდა, ანგაჟემენტის მოლოდინში გასტროლებს ატარებდა, მაგრამ ნაკლებმოსალოდნელი იყო, მოდერზონს ანგაჟემენტი მიეღო. მის გაკვეთილებზე მეტისმეტი მხიარულება სუფევდა.

ზოგი ქიმიის კაბინეტში დარჩა, სხვები საკლასო ოთახში ავიდნენ. ეზოში ახლა გასათოშად თავის გაწირვა არავის სჭირდებოდა, დერეფანში ამ შესვენებაზე ბატონი მოდერზონი მორიგეობდა და ის ვერც გაბედავდა, ბიჭები ეზოში ჩაერეკა, გარდა ამისა, მასწავლებლის შესახვედრად მომზადება იყო საჭირო.

კლასში ხმაური ოდნავადაც არ მიწყნარებულა, როცა მეოთხე გაკვეთილის ზარი დაირეკა, ყველანი ლაყბობდნენ, იცინოდნენ, მოსალოდნელი მხიარულება წინასწარ ჰგვრიდათ სიხარულს. გრაფ მოლნს თავი ორივე ხელზე დაეყრდნო და როდერიკ ეშერის თავგადასავალს ჩაჰკირკიტებდა, ჰანო წყნარად იჯდა და მის წინ გათამაშებულ სპექტაკლს უყურებდა. ზოგი ცხოველებს ჰბაძავდა, ზოგი მამალივით ყიოდა, ბოლო რიგში ვასერფოგელი ღორივით ღრუტუნებდა, თუმცა კაცი ვერ მიხვდებოდა, რომ ეს ხმა მისი პირიდან ამოდიოდა. კედელზე ჩამოკიდებულ დაფაზე
„რაფსოდ“ ტიმს ცარცით უშველებელი, ყბამოქცეული სიფათი დაეჯღაბნა. ოთახში

შემოსული ბატონი მოდერზონი კარის დაკეტვას ვერ ახერხებდა, კარის ღრიჭოში ვიღაცას მსხვილი გირჩა ჩაედო. გირჩა შემდეგ ადოლფ ტოტენჰაუპტმა გამოიღო და კარიც დაიკეტა.

კანდიდატი მოდერზონი ჩია, შეუხედავი კაცი იყო, სიარულის დროს მხრებს წინ ირიბად მოიქნევდა, სახე ჩამოსტიროდა და მეტისმეტად მეჩხერი, შავი წვერი ჰქონდა. ბატონი მოდერზონი მუდამ საშინლად იყო დარცხვენილი, კრიალა თვალებს ერთთავად ახამხამებდა, ღრმად სუნთქავდა და პირს ისე აბჩენდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებსო, მაგრამ საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა. კარიდან სამი ნაბიჯიც არ ექნებოდა გავლილი, რომ უზარმაზარ ტკაცუნას დაადგა ფეხი, ტკაცუნა ისეთი ხმაურით გასკდა, გეგონებოდათ, ფეხი დინამიტს დაადგაო. მასწავლებელი შიშისგან შეხტა, უილაჯოდ გაიღიმა, აქაოდა არაფერი მომხდარაო, შუა რიგთან შეჩერდა, ჩვეულებისამებრ წელში წაიკუზა და ხელისგულებით პირველ მერხს დაეყრდნო. მოწაფეებმა მისი ამოჩემებული ადგილი კარგად იცოდნენ და ამიტომ პირველი მერხი მელნით მოეთხუპნათ. ბატონ მოდერზონს პატარა, საცოდავი ხელი გაესვარა, მაგრამ არც ეს შეიმჩნია, სველი, ამოსვრილი ხელი ზურგს უკან დამალა, თვალები აახამხამა და მიკნავებული ხმით წარმოთქვა:

- სასურველია, კლასში უკეთესი წესრიგი იყოს!

ჰანო ბუდენბროკს ამ წუთში უყვარდა კიდეც ეს კაცი და უილაჯოდ დამანჭულ სახეში თანაგრძნობით შეჰყურებდა. ვასერფოგელის ღრუტუნი სულ უფრო ხმამაღლა და ბუნებრივად მოისმოდა, ფანჯრის მინებზე კი უცებ მუხუდოს მარცვლები აწკაპუნდა. მარცვლები მინიდან ასხლტა და ოთახში მიმოიბნა.

- სეტყვა მოდის, - ხმამაღლა, გარკვევით თქვა ვიღაცამ.

ბატონმა მოდერზონმა თითქოს დაიჯერა მისი ნათქვამი, კრინტი არ დაუძრავს, კათედრაზე ისე ავიდა და საკლასო ჟურნალი მოითხოვა. საკლასო ჟურნალი იმისთვის არ მოუთხოვია, რომ ვინმესთვის საყვედური ჩაეწერა. ამ კლასში ხუთჯერ თუ ექვსჯერ ჩაეტარებინა გაკვეთილი, თითქმის არავის გვარი არ ახსოვდა და იძულებული იყო მოწაფეები სიით გამოეძახებინა.

- ფედერმან, - თქვა მასწავლებელმა, - გთხოვთ ლექსი წამიკითხოთ.

- არ არის! - ერთხმად დაიყვირა სხვადასხვა ხმამ. ფედერმანი კი თავის ადგილზე იჯდა გადაბრინჯული და მუხუდოს მარცვლებს საკლასო ოთახში მარჯვედ ისროდა.

ბატონმა მოდერზონმა თვალები აახამხამა და ახალი გვარი ამოიკითხა:

- ვასერფოგელ, - თქვა მან.

- გარდაიცვალა! - დაიყვირა უხეში ხუმრობის გუნებაზე დამდგარმა პეტერსონმა და მთელმა კლასმა ფეხების ბარტყუნით, ღრუტუნით, ყვირილითა და ღრიანცელით დაადასტურა, რომ ვასერფოგელი მკვდარი იყო.

ბატონმა მოდერზონმა თვალები ისევ აახამხამა, გაიხედ-გამოიხედა, ტუჩები დაჭყანა, ისევ ჟურნალში ჩაიხედა და პატარა, საცოდავი ხელი ვიღაცის გვარს დაადო.

- პერლემან, - ყოყმანით თქვა მან.

- სამწუხაროდ, ჭკუაზე შეიშალა, - გარკვევით და მტკიცედ განაცხადა გრაფმა კაი მოლნმა და საყოველთაო ღრიანცელმა ესეც დაადასტურა.

მაშინ ბატონი მოდერზონი ფეხზე წამოდგა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა:

- ბუდენბროკ, თქვენ საჯარიმო დავალებას შემისრულებთ. კიდევ თუ გაგიცინიათ, საყვედურს ჩაგიწერთ!

ბატონი მოდერზონი ისევ თავის ადგილზე დაჯდა. ბუდენბროკმა მართლა გაიცინა, კაის ხუმრობამ სიცილი მოჰგვარა და თავი ვეღარ შეიკავა. ჰანოს ხუმრობა მოეწონა: განსაკუთრებით კომიკურად სიტყვა „სამწუხაროდ“ ეჩვენა. ბატონი მოდერზონის შემოწყრომაზე ჰანომ ხმა გაკმინდა და კანდიდატს მოღუშული მიაჩერდა. ამ წუთში იგი მის წვერში ყოველ საცოდავ ღერ თმას არჩევდა, მეჩხერი წვერი მასწავლებელს ნიკაპზე კანს ვერ უფარავდა. ჰანო ხედავდა მის ყავისფერ, პრიალა, სასოწარკვეთილ თვალებს, ხედავდა, მასწავლებელს პატარა, საცოდავ ხელებზე ორი წყვილი მანჟეტი როგორ მოუჩანდა. პერანგის სახელოები ისე გრძელი და ფართო იყო, რომ ნამდვილი მანჟეტებიდან პერანგის მანჟეტები ჰქონდა გამოჩრილი. შეჰყურებდა ჰანო მასწავლებლის საცოდავ, სასოწარკვეთილებისგან მოკუნტულ ფიგურას და მის გულშიც იხედებოდა. ბატონი მოდერზონი სახელით და გვარით თითქმის მარტო ჰანო ბუდენბროკს იცნობდა და ამ გარემოებას იმისთვის იყენებდა, რომ გასწყრომოდა, საჯარიმო დავალება მიეცა და ყოველმხრივ გაეწამებინა. ბუდენბროკი მხოლოდ იმიტომ დაამახსოვრდა, რომ იგი სხვებისგან წყნარი ქცევით გამოირჩეოდა. ჰანოს მშვიდ ხასიათს მასწავლებელი ბოროტად იყენებდა, თავის ავტორიტეტის ძალას მასზე სინჯავდა, რადგან თავხედებსა და უწესოებთან არაფერი გაუდიოდა.

„დედამიწაზე გამეფებული სიმდაბლის გამო კაცს ვინმესადმი თანაგრძნობის გამოჩენაც კი არ შეგიძლია, - ფიქრობდა ჰანო, - მე თქვენს ტანჯვასა და მასხრად აგდებაში არ ვმონაწილეობ, კანდიდატო მოდერზონ, იმიტომ, რომ ასეთი საქციელი უხეშობად, სისაძაგლედ მიმაჩნია, თქვენ კი რითი მიხდით სამაგიეროს? ეს მუდამ და ყველგან ასე ყოფილა, და ასეც იქნება, - ფიქრობდა ჰანო და ძრწოლა და ზიზღი ერეოდა, - ამას ერთი რამეც დაამატეთ, მთელ თქვენს არსებას, გული მერევა, ისე ნათლად ვჭვრეტ“.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა მოწაფე, რომელიც არც მკვდარი იყო, არც ჭკუაზე შეშლილი და ინგლისური ლექსის თქმა ისურვა. ეს იყო გულუბრყვილო, მდარე ლექსი: „The monkey“.[18] ზღვაზე, კომერსანტობაზე, სერიოზულ მოღვაწეობაზე მეოცნებე ყმაწვილებს ეს ლექსი ჰქონდათ დასაზეპირებლად მიცემული.

„Monkey, little merry fellow,

Thou art nature’s punchinello“.[19]

ლექსი საკმაოდ გრძელი იყო და მოსწავლე კასბაუმმა იგი წიგნიდან ჩააბულბულა. ბატონ მოდერზონთან თავის შეწუხება არ ღირდა. ხმაურმა იმატა. ყველანი მტვრიან იატაკზე უბრაგუნებდნენ ფეხებს, მამალი ყიოდა, ღორი ღრუტუნებდა, მუხუდოს მარცვლებს წკაპაწკუპი გაჰქონდა. ოცდახუთმა ბიჭმა აიწყვიტა. თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ყმაწვილებს ყველა თავაშვებული ინსტინქტი ერთბაშად გაეღვიძათ. ჰაერში ფანქრით ნახატი უხამსი სურათები ფრიალებდა. ამ სურათებს ერთმანეთს უგზავნიდნენ და სიცილით იჭაჭებოდნენ.

უცებ ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. კასბაუმმა ლექსის კითხვა შეწყვიტა. თვით ბატონი მოდერზონიც წამოიმართა და სმენად იქცა. ოთახში საამური ხმა გაისმა. უეცრად დამყარებულ სიჩუმეში ტკბილი, ნაზი მელოდია დაიღვარა. ეს იყო საათის ხმა. საათი, ალბათ, ვიღაცას შინიდან მოეტანა და ახლა ინგლისურის გაკვეთილზე გაისმოდა:
„როგორ მიყვარხარ“... ნაზი მელოდია დასრულდა თუ არა, იმავე წუთში რაღაც საშინელი ამბავი მოხდა. ყველას ენა ჩაუვარდა, მეხდაცემულებივით გაშეშდნენ და ადგილზე გაიყინნენ.

სრულიად მოულოდნელად კარი დაუკაკუნებლად ფართოდ გაიღო და ზღურბლზე ახმახი ურჩხული აისვეტა, მან რაღაც წაიბურდღუნა და ერთი ნაბიჯით მერხების წინ გაჩნდა. ეს იყო „უფალი ღმერთი“.

ბატონ მოდერზონს ნაცრისფერი დაედო, კათედრიდან სკამი ჩამოათრია და თავისი ცხვირსახოცით გადაწმინდა, მოწაფეები, როგორც ერთი კაცი, ისე წამოიჭრნენ ფეხზე, ხელები გაჭიმეს, ფეხის წვერებზე დადგნენ და თავჩაქინდრულები, მონური მორჩილების ნიშნად, ტუჩებს იკვნეტდნენ. ოთახში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. ვიღაცამ დაძაბულობისგან ამოიხვნეშა და კვლავ ღრმა სიჩუმე გამეფდა.

დირექტორი ვულიკე ერთ წუთს თვალით ზომავდა მის მისასალმებლად სმენაზე დამდგარ მწკრივებს, შემდეგ ჭუჭყიანმანჟეტებიანი ხელები ასწია და გაფარჩხული თითები ისე დაუშვა დაბლა, თითქოს კლავიშებს უნდა დაჰკრასო.

- დასხედით! - დაიგრგვინა დირექტორმა. იგი ყველას შენობით მიმართავდა.

მოწაფეები დასხდნენ. ბატონმა მოდერზონმა აკანკალებული ხელებით გამოაჩოჩა სავარძელი და დირექტორი კათედრის გვერდით დაბრძანდა.

- გთხოვთ, განაგრძოთ გაკვეთილი, - თქვა მან და ეს სიტყვები ისევე საშიშრად გაისმა, თითქოს ეთქვას, აბა, ვნახოთ, რა ბიჭებიც ხართ და ვაი თქვენი ბრალიო.

დირექტორის მოსვლის მიზანი ცხადი იყო. ბატონ მოდერზონს მისთვის პედაგოგიურ ხელოვნებაში გამოცდა უნდა ჩაებარებინა და ეჩვენებინა, ამ ექვსი თუ შვიდი გაკვეთილის მანძილზე რეალური სასწავლებლის მეხუთე კლასმა მის ხელში რა შეითვისა. ამ წუთში ბატონ მოდერზონის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. კანდიდატი საცოდავი შესახედავი იყო, როცა კათედრაზე ავიდა და ვიღაც „The monkey“ -ს სათქმელად გამოიძახა. აქამდე მოსწავლეებს ეკითხებოდნენ და აფასებდნენ, ახლა კი მასწავლებელიც მათ დღეში იყო ჩავარდნილი. ახლა ორივე მხარეს გასაჭირი დასდგომოდა! დირექტორ ვულიკეს გამოჩენა მეხის დაცემასავით მოულოდნელი გახლდათ და ორი თუ სამი მოსწავლის გარდა გაკვეთილი არავის არ ჰქონდა მომზადებული. შეუძლებელი იყო ბატონ მოდერზონს მთელი გაკვეთილის მანძილზე მხოლოდ ყოვლისმცოდნე ადოლფ ტოტენჰაუპტი გამოეკითხა. დირექტორის თანდასწრებით „The monkey“-ს წიგნში წაკითხვას ვერავინ გაბედავდა და საქმე უკუღმა დატრიალდა. როცა ჯერი „აივენჰოს“ წაკითხვაზე მიდგა, მხოლოდ ახალგაზრდა გრაფმა მოლნმა შეძლო რამდენიმე პწკარის გადათარგმნა, ისიც იმიტომ, რომ ეს რომანი თვითონ აინტერესებდა. სხვები ხველებ-ხველებით ძლივს მარცვლავდნენ სტრიქონებს და ტექსტს თავსა და ბოლოს ვერ უგებდნენ. ჰანო ბუდენბროკიც გამოიძახეს და პწკარი ვერ გადათარგმნა. დირექტორმა ვულიკემ ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს კონტრაბასის ბოლო სიმს ხემი გაუსვესო. ბატონი მოდერზონი პატარა, მელნით მოთხუპნილ საცოდავ ხელებს იმტვრევდა და წუწუნებდა:

- სხვა დროს რა კარგად მიდიოდა საქმე! ნამდვილად კარგად მიდიოდა საქმე!

ზარი დაირეკა. ბატონი მოდერზონი კი ერთსა და იმავეს იმეორებდა და სასოწარკვეთილი ხან მოწაფეებს, ხან დირექტორს შესწუწუნებდა. „უფალი ღმერთი“ მთასავით საშიშრად წამომართულიყო, ხელები გულზე დაეკრიფა და თავაწეული კლასს ზემოდან დაჰყურებდა. შემდეგ დირექტორმა საკლასო ჟურნალი მოითხოვა და ექვს თუ შვიდ მოწაფეს სუსტი ცოდნისა თუ სრული უცოდინარობისთვის ერთად ჩაუწერა საყვედური. ბატონ მოდერზონს ჟურნალში ვერაფერს ჩაუწერდნენ, მაგრამ მისი საქმე დამთავრებული იყო. იგი განადგურებული, მოკუნტული იდგა.

დასჯილთა სიაში ჰანო ბუდენბროკიც მოხვდა.

- აბა, ერთი მიყურეთ, როგორ გაგიფუჭოთ კარიერა! - მუქარით დასძინა ბოლოს დირექტორმა და კარი გაიჯახუნა.

ზარი დაირეკა. გაკვეთილი დამთავრდა. დღევანდელი დღე ასეც უნდა დამთავრებულიყო. ასეა ყოველთვის: რისიც კაცს ყველაზე მეტად გეშინია, ის ამბავი თითქოს ბედის დაცინვით, იოლად ჩაივლის ხოლმე, ხოლო როცა ცუდს არაფერს

მოელი, უბედურებაც მაშინ დაგატყდება თავს, იოჰან ბუდენბროკი სააღდგომოდ შემდეგ კლასში გადასვლას ვერ ეღირსებოდა.

ჰანო წამოდგა და ოთახიდან გავიდა. თვალებში დაღლილობა ეტყობოდა და მტკივან კბილს ენას ულამუნებდა. კაი მეგობართან მივიდა, ხელი გადახვია და ამ არაჩვეულებრივ თავდასხმაზე მოკამათე ამხანაგებთან ერთად ორივენი ეზოში ჩავიდნენ. კაიმ შიშნარევი სიყვარულით ჩახედა ჰანოს სახეში და უთხრა:

- მაპატიე ჰანო, მე რომ ვუპასუხე და საყვედური არ ჩავაწერინე! სულმდაბლურად მოვიქეცი.

- განა მეც არ ვთარგმნე წინა გაკვეთილზე „patula Jovis arbore glandes“ რას ნიშნავდა? - უპასუხა ჰანომ, - ჩემს საქმეს აღარაფერი ეშველება, კაი! ჯობია ამაზე ნურც ვილაპარაკებთ.

- მაგაში კი მართალი ხარ. მაშ, „უფალი ღმერთი“ კარიერის გაფუჭებას გიპირებს? თავზევით ძალა არაა, უნდა დამორჩილდე რახან „უფალ ღმერთს“ ასე ნებავს. კარიერა! რა მშვენიერი სიტყვაა! ბატონ მოდერზონის კარიერის საქმეც დაღუპულია, უფროს მასწავლებლობას თავის დღეში ვერ ეღირსება ეგ უბედური! დიახ, არსებობენ უმცროსი და უფროსი მასწავლებლები, მასწავლებელი კი არ არსებობს, ამაში ასე
ადვილად ვერ გაერკვევი. ეს უფროსებისთვის და თან მხოლოდ იმათთვისაა გასაგები, ვისაც ამ ცხოვრებისა რაიმე გაეგება. შეიძლება ვთქვათ, რომ ზოგი მასწავლებელია, ზოგი კი არა. როგორ შეიძლება კაცი უფროსი მასწავლებელი იყოს, ვერ გამიგია. აბა, ერთი სინჯე და ეს „უფალ ღმერთს“ ან ბატონ მაროცკეს განუმარტე! მაშინ ნახავ, რაც მოხდება, ამ აზრს ისინი შეურაცხყოფად მიიღებენ, თავხედობისთვის გაგანადგურებენ. თუმცა ჩვენ ხომ მათ სპეციალობაზე უფრო მაღალი აზრი გამოვთქვით, ვიდრე ისინი თვითონ ფიქრობენ... ოჰ, ჯანდაბას მაგათი თავი, მაგ უტვინო მარტორქებზე ლაპარაკიც არა ღირს!

ბიჭები ეზოში დასეირნობდნენ, კაი ცდილობდა ჰანოსთვის მიღებული სასჯელი გადაევიწყებინა და ჰანოც მეგობრის ენაწყლიან საუბარს სიამოვნებით უგდებდა ყურს.

- შეხედე, აგერ ჭიშკარი, ეზოს კარი ღიაა, იმის იქით ქუჩაა. რა იქნებოდა, გარეთ რომ გავსულიყავით და ერთ-ორ წუთს ტროტუარზე გაგვევლო? ახლა შესვენებაა, ექვსი წუთია კიდევ დარჩენილი, უკან დროზე დავბრუნდებოდით. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს შეუძლებელია. გესმის? აქ არის კარი, კარი ღიაა, არც გისოსებითაა აჭედილი და არც რაიმე ზღუდეა აღმართული, მხოლოდ ზღურბლს უნდა გადააბიჯო, ეს არის და ეს! გასვლა კი მაინც შეუძლებელია, არამცთუ გასვლა, გასვლაზე ფიქრიც კი შეუძლებელია. კარგი, ამას მოვეშვათ! სხვა მაგალითი ავიღოთ. დიდი შეცოდება
იქნებოდა, ახლა კაცმა რომ თქვას, თორმეტის ნახევარი სრულდებაო? არა, უნდა თქვა, რომ ახლა გეოგრაფიის გაკვეთილი იწყება, ასეა დადგენილი. ახლა კი ნება მიბოძეთ,

ვიკითხო: ესაა ცხოვრება? ყველაფერი დამახინჯებულია... ოჰ, ღმერთო დიდებულო! ეს დაწესებულება როდის გაგვათავისუფლებს თავისი მოსიყვარულე მკლავებიდან!

- კი მაგრამ, მერე რაღა დაგვრჩენია? არა, კაი, ისევ ასე ჯობია, მერე რაღას უნდა მოჰკიდოს კაცმა ხელი? აქ მიკედლებული მაინცა ხარ. რაც მამა გარდაიცვალა, ბატონი შტეფან კისტენმაკერი და პასტორი პრინგსჰაიმი ყოველდღე მეკითხებიან, რა გინდა გამოხვიდეო. ეს მე თვითონაც არ ვიცი და ვერც ვერაფერს ვპასუხობ. მე არც შემიძლია რამე გამოვიდე, ყველაფრის მეშინია.

- არა, როგორ შეიძლება ასე უიმედოდ ლაპარაკი! შენი მუსიკა დაგავიწყდა?

- რა მუსიკა, კაი? არც აქედან გამოვა რამე. აქეთ-იქით ვიმოგზაურო და დავუკრა? ჯერ ერთი, წანწალს არავინ დამანებებს და არც მე შემწევს მაგის ძალა. მე თითქმის არაფრის თავი არა მაქვს, ცოტა რაიმეს შეთხზვა შემიძლია, როცა მარტო ვარ ხოლმე, ეს არის და ეს. მერე აქეთ-იქით ხეტიალი რომ წარმომიდგება, ტანში მაჟრჟოლებს, შენ სულ სხვა ხარ. მეტი სიმამაცე გაქვს. დადიხარ შენთვის, ყველაფერს დასცინი და ამის შნოცა გაქვს. წერის სურვილიც გაქვს, გინდა ადამიანებს მშვენიერი და საოცარი ამბები მოუთხრო, ეს ხომ უკვე რაღაცას ნიშნავს. შენი ნიჭის პატრონი უეჭველად გაითქვამ სახელს. მერედა, იცი, რატომ? შენ ჩემზე უფრო ხალისიანი ხარ, ეს არის თავიდათავი. ხანდახან მე და შენ გაკვეთილზე ერთმანეთს გადავხედავთ ხოლმე, როგორც ამას წინათ ბატონ მანტელზაკთან პეტერსენის გარდა ყველას რომ გაუვიდა ოინი. მე და შენ ერთსა და იმავეს ვფიქრობთ, მაგრამ შენ ერთს დამანჭავ სახეს და მორჩა. მე კი ეს არ შემიძლია, ამგვარი ამბავი მღლის, მინდა სულ ვიძინო და არაფერი ვიგრძნო. სიკვდილი მინდა, კაი! არა, ჩემგან არაფერი გამოვა. არაფრის სურვილი არ
გამაჩნია, სახელიც კი არ მინდა მოვიხვეჭო, თითქოს აქაც უსამართლობას ვხედავ, ისე მეშინია. არა, ჩემგან არაფერი გამოვა, იცოდე. ახლახან, კონფირმაციის შემდეგ, პასტორმა პრინგსჰაიმმა ვიღაცას უთხრა, მაგას თავი დაანებეთ, გადაშენებული ოჯახის ნაშიერიაო.

- მართლა ასე თქვა? - დაძაბული ინტერესით ჩაეკითხა კაი.

- ჰო, ის ჩემს ბიძას ქრისტიანს გულისხმობდა. ბიძაჩემი ხომ ჰამბურგის ერთ დაწესებულებაში ზის. პასტორი პრინგსჰაიმი ნამდვილად მართალია. მე თავი უნდა დამანებონ. რა მადლიერი ვიქნებოდი, თავს რომ დამანებებდნენ!.. იმდენი საზრუნავი მაქვს და ყველაფერი ისე მძიმე ტვირთად მაწვება, რომ ვერ აგიწერ. ვთქვათ, თითი გავიჭერი ან რაიმე ვიტკინე... სხვას ასეთი ჭრილობა რვა დღეში მოუშუშდებოდა, მე კი ოთხ კვირას გამყვება ხოლმე. მოშუშებას არა და არ დაადგება საშველი, ჭრილობა მიღიზიანდება და უზომო ტკივილი მკლავს. ახლახან ბატონმა ბრეჰტმა მითხრა, კბილები საშინელ დღეში გაქვს, თითქმის ყველა გამოხრული და გაფუჭებულიაო. იმას აღარ ვთვლი, რაც ამოღებულია. აი, ასეა ახლა ჩემი საქმე. ოცდაათის, ორმოცის რომ გავხდები, რითღა უნდა ვღეჭო? არაფრის იმედი აღარა მაქვს.

- ჰოო, - თქვა კაიმ და ფეხს აუჩქარა, - ახლა შენს მუსიკაზე მიამბე რამე. სწორედ ახლა ვაპირებ რაღაც საოცარი მოთხრობის დაწერას, რაღაც საოცარის... ალბათ, ხატვის გაკვეთილზე დავიწყებ კიდეც. დაუკრავ დღეს ნაშუადღევს?

ჰანო ერთ წამს დუმდა. თვალებში რაღაც ნაღვლიანი, შიშნარევი, მხურვალე გრძნობა აღებეჭდა.

- ჰო, ალბათ, დავუკრავ, - თქვა მან, - თუმცა წესით, არ უნდა ვუკრავდე! მე ჩემს ეტიუდებსა და სონატებზე უნდა ვვარჯიშობდე და სხვას თავს ვანებებდე, მაგრამ, ალბათ, მაინც დავუკრავ, არ შემიძლია არ დავუკრა, თუმცა ეს სიცოცხლეს უფრო მიმძიმებს.

- გიმძიმებს?

ჰანო დუმდა.

- მე ვიცი, რაზეც დაუკრავ! - უთხრა კაიმ და ისიც დადუმდა.

ორივენი უცნაურ ასაკში იყვნენ. კაის სახეზე ალისფერი მოედო, თავაღერილი მიაბიჯებდა და მაინც მიწას დაჰყურებდა. ჰანოს კი გაფითრებული სახე მოეღუშა და მოჩრდილული თვალებით განზე იყურებოდა.

ამ დროს ბატონმა შლემილმა დარეკა და ორივენი ზევით ავიდნენ.

იწყებოდა გეოგრაფიის გაკვეთილი და მასთან საკონტროლო წერაც, მეტად მნიშვნელოვანი საკონტროლო სამუშაო: ჰესენ-ნასაუს მხარე უნდა აღეწერათ. კლასში ყავისფერ სერთუკში გამოწყობილი ჟღალწვერა კაცი შემოვიდა, სახე ფერმკრთალი ჰქონდა, ფორებიან ხელებზე კი ერთი ღერი ბალანი არ ეზრდებოდა. ეს გახლდათ დიდად გონებამახვილი უფროსი მასწავლებელი, ბატონი დოქტორი მიუეზამი. იგი ხანგამოშვებით ფილტვებიდან სისხლს ანთხევდა, თავი დიდ გონებამახვილ კაცად და ასევე მძიმე ავადმყოფად მოჰქონდა და ყოველთვის ირონიული ტონით ლაპარაკობდა. სახლში ჰაინეს არქივისმაგვარ კოლექციას ინახავდა, ეს იყო შეუპოვარ სნეულ პოეტთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და საგნების კოლექცია. ბატონმა მიუეზამმა დაფაზე ჰესენ-ნასაუს საზღვრები შემოხაზა და მელანქოლიური და თან დამცინავი ღიმილით „ბატონ მოსწავლეებს“ სთხოვა, რვეულებში ამ მხარის ღირსშესანიშნაობანი აღენუსხათ. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად თითქოს ჰესენ-ნასაუს მხარესაც მასხრად იგდებდა, მაგრამ ეს საკონტროლო მაინც მეტად საპასუხისმგებლო გახლდათ და შიშისგან ყველას ტანში აჟრიალებდა.

ჰანო ბუდენბროკმა ჰესენ-ნასაუს მხარეზე არაფერი იცოდა, უფრო სწორად, ბევრი არაფერი იცოდა. უნდოდა ადოლფ ტოტენჰაუპტის რვეულში ჩაეჭყიტა, მაგრამ „ჰაინრიჰ ჰაინეს“ თავისი გონებამახვილური და ნაღვლიანი ირონიის მიუხედავად, მოწაფის არც ერთი მოძრაობა არ გამოეპარებოდა, ჰანოს განზრახვას მყისვე მიუხვდა და უთხრა:

- ბატონო ბუდენბროკ, ღირსი ხართ, რვეული დაგახურინოთ, მაგრამ ძალიან ვშიშობ, რომ ამით შვებას მოგანიჭებთ, ამიტომ ჯობია, განაგრძოთ.

ეს შენიშვნა ორ გონებამახვილობას შეიცავდა: პირველი ის იყო, რომ დოქტორი მიუეზამი ჰანოს „ბატონობით“ მიმართავდა, მეორეც ის, შვებას მოგანიჭებთო, რომ უთხრა, ჰანო ბუდენბროკი რვეულს დიდხანს ჩასჩერებოდა, ბოლოს მასწავლებელს თითქმის ცარიელი ფურცელი ჩააბარა და კაისთან ერთად გარეთ გამოვიდა.

დღევანდელი დღე უკვე გადატანილი იყო. იმას რა უჭირდა, ვინც მშვიდობით გადარჩა და გონებაში მიღებული საყვედური არ უტრიალებდა, მას ახლა შეეძლო ბატონ დრეგემიულერის გაკვეთილზე არხეინად მჯდარიყო და ეხატა. ხატვის დარბაზი ვრცელი და ჩახჩახა იყო. კედლის თაროებზე ანტიკური ქანდაკებების თაბაშირის ასლები იდგა, უშველებელ კარადაში კი მოდელად გამოსაყენებელი ათასგვარი ხის ფიგურა და სათამაშო ავეჯი ელაგა. ბატონი დრეგემიულერი ჩასკვნილი კაცი იყო, წვერს მრგვალად იყენებდა, თავზე წაბლისფერი, იაფფასიანი, გადაგლესილი პარიკი ეხურა, პარიკი თავის თავს მუხანათურად ამხელდა. ბატონ დრეგემიულერს პარიკი ორი ჰქონდა: ერთი - მოგრძოთმიანი, მეორე კი - მოკლედ შეკრეჭილი. წვერს როცა შეისწორებდა, მაშინ მოკლეთმიან პარიკს იხურავდა ხოლმე. ახირებულ ხასიათს სხვა მხრივაც ამჟღავნებდა, სიტყვა „ფანქარს“ აუცილებლად შეამოკლებდა და ისე იტყოდა. ბატონ დრეგემიულერს მუდამ ზეთისა და სპირტის სუნი ასდიოდა, ზოგიერთები იმასაც ამბობდნენ, ბატონი დრეგემიულერი ნავთსა სვამსო. ხატვის მასწავლებელი ბედნიერად მხოლოდ მაშინ გრძნობდა თავს, როცა ხანდახან რომელიმე სხვა საგნის მასწავლებელს შეცვლიდა ხოლმე. მაშინ ბისმარკის პოლიტიკაზე ლექციის კითხვას შეუდგებოდა, ხელს ცხვირიდან მხრებამდე უცნაურად ჩამოიტარებდა და სოციალ-დემოკრატიაზე სიძულვილითა და შიშით ალაპარაკდებოდა.

- ჩვენ ერთმანეთს მხარში უნდა ვედგეთ! - ეტყოდა ვინმე ჩამორჩენილ მოწაფეს და მკლავში ხელს ჩაავლებდა ხოლმე, - სოციალ-დემოკრატია კარზეა მომდგარი!

ბატონი დრეგემიულერი მუდამ მოუსვენრად ცმუტავდა, რომელიმე მოწაფეს გვერდით მიუჯდებოდა, სპირტის სუნს მიაფრქვევდა, თავის ტვიფრიან ბეჭედს შუბლზე მიუკაკუნებდა და ერთმანეთთან დაუკავშირებელ სიტყვებს ისროდა:

- პერსპექტივები! შუქჩრდილი! ფანქარი! სოციალ-დემოკრატია! გაერთიანება! - და მოწაფეს სასწრაფოდ გაეცლებოდა.

კაი ამ გაკვეთილზე ახალ ლიტერატურულ შრომას წერდა, ჰანო კი გულში რომელიღაც უვერტიურას ღიღინებდა. ამასობაში გაკვეთილი დამთავრდა, მოწაფეებმა თავიანთ ნივთებს ხელი დაავლეს, ახლა ალაყაფის კარი ღია იყო და ყველანი შინისკენ მიეშურებოდნენ.

ჰანოს და კაის წიგნები იღლიაში ჰქონდათ ამოჩრილი. ისინი ქალაქგარეთ, პატარა წითელ ვილამდე ერთად მიდიოდნენ, მერე ყმაწვილ გრაფს მამის სახლამდე კიდევ კარგა მანძილი უნდა გაევლო მარტო, ტანთ კი პალტო არ ეცვა.

დილით ჩამოწოლილი ნისლი ახლა თოვლად ქცეულიყო. ფართო, თეთრი ფანტელები მიწაზე ეშვებოდა და წყლად მიდიოდა. მეგობრები ერთმანეთს ბუდენბროკების ბაღის ჭიშკართან დაშორდნენ, მაგრამ ჰანო ბაღის შუა გზამდეც არ იქნებოდა მისული, რომ კაი დაეწია და კისერზე ხელი გადახვია.

- გულს ნუ გაიტეხ... ჯობია, დღეს სულაც არ დაუკრა! - წყნარად უთხრა და მალე მისი წერწეტა, ხელმიშვებული ფიგურა ქარბუქში გაუჩინარდა.

ჰანომ წიგნები დერეფანში, დათვის ფიტულის გამოწვდილ ლანგარზე დაყარა და დედის სანახავად სასტუმრო ოთახისკენ გაემართა. გერდა შეზლონგზე იჯდა და რაღაც ყვითელყდიან წიგნს კითხულობდა. შვილის ნაბიჯების ხმა რომ გაიგონა, მუქი თაფლისფერი, ახლო-ახლო განლაგებული, ლურჯჩრდილებჩაწოლილი თვალები ასწია და ჰანოს დააცქერდა. ჰანო დედას წინ დაუდგა, დედამ ორივე ხელი თავზე მოავლო და შუბლზე აკოცა.

ჰანო თავის ოთახში ავიდა. ფროილაინ კლემენტინას მისთვის მცირე საუზმე მოემზადებინა. ხელ-პირი დაიბანა და ისაუზმა, შემდეგ პულტიდან მისთვის უკვე ნაცნობი რუსული სიგარეტების კოლოფი აიღო და გააბოლა. ცოტა ხნის მერე ფისჰარმონიას მიუჯდა და ბახის რომელიღაც ძნელი, მკაცრი ფუგა დაუკრა. ბოლოს ხელები კეფაზე შემოიწყო და ფანჯარაში გაიხედა, თოვლის ფანტელები უხმოდ ეშვებოდნენ დაბლა. ბურუსი იდგა. ფანჯრიდან აღარ მოჩანდა მობუტბუტე შადრევნიანი კოხტა ბაღი, ხედს მეზობელი ვილის რუხი კედელი ფარავდა.

ოთხ საათზე ისადილეს. გერდა ბუდენბროკი, პატარა იოჰანი და ფროილაინ კლემენტინა მარტონი იყვნენ. ნასადილევს ჰანომ სალონში ნოტები მიალაგ-მოალაგა და დედის მოლოდინში როიალთან ჩამოჯდა. დედა-შვილმა ბეთჰოვენის სონატა
Opus 24 დაუკრა. ადაჟიოში ვიოლინო ანგელოზურ ხმებს გამოსცემდა, მაგრამ გერდამ მაინც უკმაყოფილოდ მოიშორა ნიკაპიდან ინსტრუმენტი, ამრეზით დახედა და თქვა, აწყობილი არ არისო. გერდას მეტი აღარ დაუკრავს, მოსასვენებლად ზევით ავიდა.

ჰანო სალონში დარჩა, ვიწრო ვერანდაზე გამავალ მინის კართან მივიდა და რამდენიმე წუთს დათოვლილ ბაღს გასცქეროდა. უეცრად უკან დაიხია, კარზე კრემისფერი ფარდა ნაჩქარევად ჩამოსწია და როიალს მიაწყდა. ოთახი მოყვითალო ბინდში ჩაეფლო. ჰანო ერთხანს გაუნძრევლად იდგა როიალთან. ერთ წერტილზე უაზროდ შეჩერებული თვალები ნელ-ნელა მიებნიდა, დაენისლა, აუწყლიანდა... როიალს მიუჯდა და თავისი ერთ-ერთი ფანტაზია წამოიწყო.

ეს იყო სულ მარტივი, უბრალო მოტივი, არარაობა, არარსებული მელოდიის ნაწყვეტი, ერთნახევარტაქტიანი ფრაზა და როცა ჰანომ მისი სუსტი ხელებისთვის

შეუფერებელი ძალით იგი ბანებში ცალფად ისე აახმიანა, თითქოს ფრაზა ტრომბონებს უნდა აეტაცათ და ყველა მომდევნო ხმის საწყისად და საფუძვლად გამოეცხადებინათ, კაცი ვერ მიხვდებოდა, ამ ნაწყვეტით რას გულისხმობდა, მაგრამ როცა იგივე ფრაზა ვერცხლისებურად შეფერილი დისკანტით წკრიალით გაიმეორა, აღმოჩნდა, რომ იგი მხოლოდ ერთი ტონალობიდან მეორეში ნაღვლიანი და ტკივილნარევი გადასვლა იყო. ეს გახლდათ ერთი ამოსუნთქვით გაკეთებული საცოდავი აღმოჩენა, რომელიც დახვეწილი და საზეიმო შესრულების წყალობით თავისებური, იდუმალი, მრავალმნიშვნელოვანი აზრით შეფერილიყო. შემდეგ დაიწყო მღელვარე სვლა. დაუდეგარი რბოლა სინკოპებისა, სინკოპები რაღაცას დაეძებდნენ, გზა ებნეოდათ, მათ ყივილი კვეთდა, თითქოს ვიღაცის სული გაგონილით აღვსილიყო და აბობოქრებულიყო. იმ გაგონილს კი გაჩუმება არ სწადდა, სხვადასხვა ჰარმონიაში გაისმოდა კითხვით, მოთქმით, სულს ღაფავდა, რაღაცას ივედრებოდა, რაღაცას ჰპირდებოდა. და აღტყინება უფრო ემატებოდა აბეზარი ტრიოლების წრეში უმწეოდ გამომწყვდეულ სინკოპებს. ბგერებში ამოტივტივებულმა შიშის ყივილმა ფორმა მაინც მიიღო, ბგერები ერთმანეთს შეერწყნენ, მელოდიად იქცნენ და დადგა წამი, როცა საყვირების გუნდის ფიცხმა და მავედრებელმა ხმამ
ძალა მოიკრიბა და სხვა ხმებზე გაბატონდა. დაუდეგარმა, ბობოქარმა, გზააბნეულმა ხმებმა ჩაიჩოქეს! დადუმდნენ და მარტივ რიტმში ნაღვლიანი და ბავშვურად მავედრებელი ქორალი გამოიკვეთა. ქორალი საეკლესიო საგალობლების ყაიდაზე დასრულდა კიდეც. ფერმატას შემდეგ სიჩუმემ დაისადგურა. შეხეთ, უეცრად ვერცხლისებური წკრიალით კვლავ პირველმა მოტივმა ამოყო თავი - ამ საცოდავმა აღმოჩენამ, ამ სულელურმა თუ იდუმალმა ფრაზამ, ამ ტკბილმა, მტკივნეულმა გადასვლამ ერთი ტონალობიდან მეორეში. აქ კი თითქოს ქარიშხალი ამოვარდაო, აბობოქრებულ ხმებს მხოლოდ დაფდაფისებური აქცენტები, ველური თავგანწირვის ხმები თოკავდა. რა მოხდა? რას გვიქადდა ეს ქარიშხალი? თითქოს ბუკი და ნაღარა ამბოხს ყიჟინებდა. შემდეგ ბგერები თითქოს შეიკრიბა, შეერთდა, უფრო მტკიცე რიტმები გამოიკვეთა და ახალი ფრაზა დაიწყო, თამამი იმპროვიზაცია, მონადირის სიმღერასავით ლაღი და ბობოქარი, მაგრამ მელოდიას სიხარულის ნიშანწყალი არ აჩნდა, სასოწარკვეთილი ნაღვლით იყო გაჟღენთილი, მასში გახმიანებული სიგნალები შიშის ყივილს უფრო ჰგავდა და ამ ბგერების ჟღერაში, უცნაურ და ახირებულ ჰარმონიებში ისევ და ისევ გაისმოდა ტანჯვით, ცდომით და სიტკბოთი აღსავსე ის პირველი იდუმალი მოტივი... და შემდეგ ერთმანეთს გამუდმებით, სწრაფად ენაცვლებოდნენ ამოუცნობი, გაუგებარი ბგერები, რიტმები და ჰარმონიები. ჰანო მათზე ვეღარ მეუფეობდა, ისინი მისი თითების ქვეშ იბადებოდნენ, ფორმას იღებდნენ და იგიც ისე განიცდიდა მათ, რომ წინასწარ არც ჰქონდა შეცნობილი, რას სჩადიოდა. ოდნავ წინ გადახრილი იჯდა, პირი ოდნავ გაეღო, თვალდანისლული სადღაც შორს იყურებოდა, წაბლისფერი კულულები საფეთქლებზე ეყარა. რა მოხდა? რას განიცდიდა ჰანო?! იქნებ საშინელ დაბრკოლებებს სძლევდა, დრაკონებს ხოცავდა, კლდეებზე მიცოცავდა, ტალღებს უმკლავდებოდა ან ცეცხლში იკაფავდა გზას! და კვლავ გამყივანი ხარხარივით თუ საოცრად წმინდა აღთქმასავით

გამოიკვლია გზა პირველმა მოტივმა, ამ უბრალო ხატმა, ამ ერთი ტონალობიდან მეორეში ჩაკარგვამ, დიახ, თითქოს ის კვლავ ახალ და ახალ ძლიერ აღმაფრენას უხმობდა. მას ოქტავებში გადავლილი ყიჟინა მოსდევდა, შემდეგ ბობოქარი ტალღები აიზიდნენ, ნელი, შეუჩერებელი ზეასვლა დაიწყო, დაუოკებელი, შმაგი ნაღვლითა და დარდით აღსავსე ქრომატიული სწრაფვა. ბგერების ქარიშხალს უეცარი, შემაკრთობელი და გულში ჩამწვდომი პიანისიმო კვეთდა, თითქოს ფეხქვეშ მიწა გეცლებოდა და ვნებათა ღელვაში ინთქმებოდი. თითქოს ერთხელ კი მოინდომა მგზნებარე, ნაღვლიანმა, მავედრებელმა აკორდმა შორს, ნაზად გამოეცა ხმა, მაგრამ ეს ხმები ამხედრებული კაკოფონიის ნიაღვარმა წალეკა. ტალღები ბობოქრობდნენ, წინ მიისწრაფოდნენ, უკან იხევდნენ, ყალყზე დგებოდნენ, ძირს ეშვებოდნენ და ისევ გამოუთქმელი მიზნისკენ მიილტვოდნენ. დასასრული უნდა დამდგარიყო, აი, ახლა უნდა მოსულიყო, ამ წუთში, ამაზრზენ კულმინაციურ წერტილზე, სადაც მოთქმა- ვაება უკვე აუტანელი ხდებოდა... და ისიც მოვიდა, მისი დაოკება აღარ შეიძლებოდა, ნაღველთან ჭიდილი მეტს ვეღარ გაგრძელდებოდა, დასასრული დადგა, თითქოს ფარდა გადაიხსნა, ჭიშკარი განიხვნა, ეკალბარდებიც გაიკაფა, ცეცხლი დაიშრიტა... ხსნის, შვების, სისავსის, სრულყოფილი კმაყოფილების წამი დადგა, აღტყინებული
ამოძახილით ყველაფერი ტკბილხმოვან აკორდში გაიშალა და ეს აკორდი მყისვე ჩაიძირა ტკბილ და ნაღვლიან რიტარდანდოში ახმიანებულ სხვა აკორდში. ეს იყო პირველი მოტივი! მას რაც მოჰყვა, ეს იყო ზეიმი, ტრიუმფი, იმავე ფრაზის აღვირახსნილი ორგია, რომელიც ყველა ნიუანსში იწონებდა თავს, ყველა ოქტავაში გაისმოდა, მოთქვამდა, ტრემოლანდოში ცახცახებდა, მღეროდა, ხარობდა, ქვითინებდა, ორკესტრული ხმოვანებით, ჟღერადობით, ციმციმა და შუშხუნა დიდებულებით იბადებოდა. იყო რაღაც პირველყოფილი და ტლანქი და ამავე დროს რაღაც ასკეტურად რელიგიური, რაღაც რწმენისა და თავგანწირვის ნიშანწყალი ამ უბრალო, მოკლე, ბავშვური, ერთნახევარტაქტიანი მელოდიის ფანატიკურ კულტში. რაღაც მკრეხელურიც იგრძნობოდა ამ მელოდიით უნაპირო, დაუოკებელ, უსასრულო ტკბობაში და რაღაც ცინიკური სასოწარკვეთილებაც, სიხარბე და განცხრომის წყურვილი, რომ ამ მოტივიდან სიტკბოს უკანასკნელი წვეთიც გამოესრუტა, ღონის მიხდამდე, მოყირჭებამდე, გულის რევამდე შეესვა ეს ტკბილი სამსალა, სანამ ბოლოს Moll-ში გრძელი, წყნარი არპეჯო არ გაისმა, ერთი ტონით მაღლა აიწია, Dur-ში გადავიდა და ნაღვლიანად და ნარნარად ჩაკვდა კიდეც.

ჰანო ერთ წუთს ისევ წყნარად იჯდა. ნიკაპი მკერდზე ჩამოვარდნოდა, ხელები მუხლებზე დაეწყო, შემდეგ ფეხზე წამოდგა და როიალი დახურა. სახეზე ფერი აღარ ედო, მუხლები ეკვეთებოდა, თვალები ეწვოდა, მეზობელ ოთახში გავიდა, შეზლონგზე გაიშოტა და ასე დიდხანს, დიდხანს იწვა გაუნძრევლად.

ნავახშმევს ჰანომ დედასთან ჭადრაკი ითამაშა, არც ერთს არ მოუგია. ნაშუაღამევს კი თავის ოთახში სანთლის შუქზე კვლავ ფისჰარმონიას მიუჯდა და რახან დაკვრა აღარ შეიძლებოდა, ფიქრებში უკრავდა, თუმცა აპირებდა, დილით ექვსის ნახევარზე ამდგარიყო და ყველაზე მნიშვნელოვანი დავალებანი მაინც მოემზადებინა.

ასეთი იყო პატარა იოჰანის ცხოვრების ერთი დღე.

მესამე თავი

ტიფმა ასე იცის: ადამიანი თავს უქეიფოდ გრძნობს, გუნება სწრაფად უფუჭდება და სასოწარკვეთილებამდე მიდის, ამავე დროს ფიზიკურ სისუსტესაც გრძნობს. სისუსტე მხოლოდ კუნთებსა და სახსრებზე კი არ ვრცელდება, ყველა შინაგანი ორგანოს ფუნქციებს ადამბლავებს, პირველ რიგში კი კუჭს მისწვდება და კუჭი საკვების მიღებაზე უარს ამბობს ხოლმე. ადამიანი ძილს თავს ვერ ართმევს, მაგრამ საშინელი დაღლილობის მიუხედავად, შფოთიანად, ზერელედ სძინავს, ძილში კრთება და ბურანს მაინც ვერ აღწევს თავს. ტვინი სტკივა, თავიც უმძიმდება, ტვინი თითქოს ბურუსში აქვს გახვეული, თავბრუ ეხვევა, სხეულის ყველა ასო უბჟუის, ხანდახან, სრულიად უმიზეზოდ, ცხვირიდან სისხლიც წასკდება.

ეს ინტროდუქცია გახლავთ.

შემდეგ ავადმყოფს შეამცივნებს, მთელ სხეულს აუძაგძაგებს, კბილს კბილზე არტყმევინებს. ეს უკვე სიცხის მაუწყებელია, სიცხე მყისვე მაღლა ავარდება. ავადმყოფს მკერდსა და მუცელზე ოსპის მარცვლისოდენა წითელ ლაქებს გამოაყრის, ლაქები თითის დაჭერით უფერულდება, მაგრამ კანს იმწამსვე ხელახლა აჩნდება. პულსი აჩქარებულია, წუთში ასამდე ადის. თერმომეტრი ორმოცს უჩვენებს. ასე გადის პირველი კვირა.

მეორე კვირაში ადამიანს თავის და სხეულის ტკივილი უქრება. სამაგიეროდ თავბრუსხვევა უძლიერდება, ყურები ისე უბჟუის და უგუგუნებს, რომ სმენა აკლდება, სახის გამომეტყველებაც სულელური აქვს, პირი ღია, თვალები დანისლული და უაზრო, გონება დაბინდულია, ავადმყოფი ძილად არის მიგდებული, თუმცა ხშირად კი არ სძინავს, მძიმე ბურანშია. ამ დროს ოთახში მისი ბოდვა გაისმის, მისი მოდუნება და უმწეობა ბინძური და გულის ამრევი ხდება. ღრძილები, კბილები და ენა მოშავო ლორწოთი ეფარება, რაც სუნთქვას წამლავს. სხეული უსივდება და გულაღმა უძრავად წევს. თვითონ ლოგინშია ჩაძირული, მუხლები კი გაფარჩხული აქვს. მთელი ორგანიზმი შფოთიანად, აჩქარებულად და ზერელედ მუშაობს, სუნთქვა გახშირებულია, პულსი წუთში ასოცჯერ ურტყამს უწესრიგოდ. ავადმყოფს ქუთუთოები ნახევრად აქვს დახუჭული, ლოყები უღვივის, ისე წითლად აღარ, როგორც პირველი მაღალი სიცხეების დროს, ახლა ლოყებზე მოლურჯო ფერი აქვს გადაკრული, მკერდსა და მუცელზე ოსპის მარცვლისოდენა, წითელი ლაქებიც მრავლდება. სიცხე ორმოცდაერთ გრადუსამდე ადის.

მესამე კვირას სისუსტე მწვერვალს აღწევს. ხმამაღალი ბოდვა აღარ ისმის და ვერავინ იტყვის, ავადმყოფის სული წყვდიადშია ჩაკარგული თუ თავის სხეულს განრიდებული, ღრმა, უსიტყვო ოცნებაში დარიალებს, საიდანაც არც ხმას გვაწვდენს და არც სიცოცხლის ნიშანწყალს გვაგრძნობინებს. ავადმყოფი უგრძნობლად წევს. იწყება კრიზისი.

ზოგიერთი ავადმყოფისთვის დიაგნოზის დასმა ძნელდება. მაგალითად, თუ ავადმყოფობის საწყისი სიმპტომები: უგუნებობა, დაღლილობა, უმადობა, შფოთიანი ძილი, თავის ტკივილი მაშინაც შეინიშნებოდა, როცა პაციენტი, თავისიანების სასოება და იმედი, სრულიად ჯანსაღი იყო? და თუ ამ სიმპტომების გაძლიერებაც შეიძლებოდა უჩვეულოდ არ მიგვეჩნია? მცოდნე, გამოცდილი ექიმი, როგორიც, მაგალითად, დოქტორი ლანგჰალსი გახლავთ, - სანდომიანი დოქტორი ლანგჰალსი, შავბალნიანი, პატარა ხელები რომა აქვს, სიტუაციას მაშინვე აუღებს ალღოს, ავადმყოფობას თავის სახელს დაარქმევს, ავბედითი წითელი ლაქების გამოყრა მკერდსა და მუცელზე კი მის ვარაუდს სავსებით დაადასტურებს. ის არც რეჟიმის დანიშვნასა და წამლების შერჩევაში შეყოყმანდება. უპირველეს ყოვლისა, ავადმყოფს რაც შეიძლება ვრცელ, ჰაერიან ოთახში დააწვენს, ოთახის ტემპერატურა ჩვიდმეტ გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. განსაკუთრებით იზრუნებს სისუფთავეზე, ლოგინის ხშირად გამოცვლას მოითხოვს, რომ სანამდეც შეიძლება ავადმყოფი გაუნძრევლად წოლით გაჩენილი იარებისგან დაიფაროს. სველი ტილოს ნაჭრით პირის ღრუს ხშირად გამოასუფთავებინებს, წამლებიდან ავადმყოფს იოდისა და იოდკალიუმის ნაერთს მისცემს, ქინაქინასა და ანტიპირინს გამოუწერს, პირველ რიგში კი, რადგან კუჭ-ნაწლავია დაავადებული, ზედმიწევნით მსუბუქსა და ზედმიწევნით მომაღონიერებელ დიეტას დაუნიშნავს. გამასავათებელ სიცხესთან ექიმი აბაზანებით იბრძოლებს, ავადმყოფი სავსე აბაზანაში დღე-ღამის
განმავლობაში, ყოველ სამ საათში ერთხელ უნდა ჩასვან, აბაზანაში წყალი ფეხებიდან თავისკენ თანდათან უნდა ცივდებოდეს. ყოველი აბაზანის შემდეგ რაიმე აღმგზნებ და მოსამაგრებელ საშუალებას მიაწვდის, კონიაკს ან შამპანურს.

მხოლოდ ესაა, რომ ექიმი ამ საშუალებებს ალალბედზე ხმარობს, ყოველი შემთხვევისთვის, ავადმყოფს ისინი არგებს თუ არა, არ იცის. არც ის იცის, ყველაფერ ამას რაიმე აზრი და მიზანი თუ აქვს, რადგან მან ერთი რამ არ იცის, ერთი კითხვაა მისთვის წყვდიადით მოცული, მესამე კვირის დადგომამდე, კრიზისამდე ვერ გაუცია ავადმყოფის ყოფნა-არყოფნის კითხვაზე პასუხი. არ იცის, ეს ავადმყოფობა,
რომელსაც იგი „ტიფს“ უწოდებს, ამ შემთხვევაში უმნიშვნელო უბედურებად გვევლინება, ინფექციის სავალალო შედეგია და შეიძლება მეცნიერების გამოგონილ საშუალებებს დაემორჩილოს და განიკურნოს, თუ ის გარდაუვალი სიკვდილის ერთ- ერთი ფორმაა, რომელიც შეიძლებოდა სულ სხვა ნიღბით გამოჩენილიყო. მაშინ მისი დამთრგუნველი წამალი ამქვეყნად არ არსებობს.

ტიფმა ასე იცის: მძიმე, სიცხიან ბურანში ჩაკარგულ ავადმყოფს სიცოცხლის გამამხნევებელი ყიჟინა მისძახის, წყვდიადის, სიცივის, სიმშვიდისკენ მიმავალ გზაზე დამდგარი ადამიანის სულს ეს ხმა მჭექარედ წამოეწევა. ადამიანი ამ მხნე ძახილს, უკან დასაბრუნებელ მაცდურ მოწოდებას ყურად იღებს. ეს ხმა მას იმ გარემოდან უყივის, რომელიც უკვე მიტოვებული აქვს და მივიწყებული. და თუ ეს ძახილი კაცის სულში მოვალეობისა და სირცხვილის გრძნობას გააღვიძებს, განახლებულ ენერგიას, სიხარულს, მხნეობას შთაბერავს და უკან მოტოვებული წუთისოფლისკენ სიყვარულით მოახედებს, მაშინ რაც უნდა შორს იყოს გასული უცხო და გავარვარებულ ბილიკზე, მობრუნდება და იცოცხლებს. მაგრამ, თუ სიცოცხლის ხმის გაგონებაზე ავადმყოფი შიშისა და ზიზღისგან უსიამოდ შეკრთება, სიცოცხლის გახსენებაზე, ამ მხიარულ, გამომწვევ ხმაზე თავს გადააქნევს, სიცოცხლის ლანდს ხელს ჰკრავს და მის წინ გადაშლილი უსასრულობისკენ მიმავალ გზაზე გაიჭრება... არა, მაშინ, ცხადია, ის აღარ იცოცხლებს.

მეოთხე თავი

- არა ხარ მართალი, გერდა, არა ხარ მართალი, - ალბათ, მეასეჯერ მაინც ეუბნებოდა საყვედურით გერდას დადარდიანებული ფროილაინ ვაიჰბროტი. ტერეზა ვაიჰბროტი თავისი ყოფილი მოწაფის სასტუმრო ოთახში შეკრებილ შინაურთა წრეში იჯდა, მრგვალ მაგიდას მის გარდა გერდა ბუდენბროკი, ფრაუ პერმანედერი, ერიკა ვაინშენკი, საბრალო კლოტილდე და ბრაიტენშტრასელი ქალბატონი ბუდენბროკები უსხდნენ. ტერეზა ვაიჰბროტს ჩაჩის მწვანე ლენტები ბავშვურ მხრებამდე სცემდა. ერთი ლენტი ზევით აეწია, რომ მაგიდაზე ხელი თავისუფლად ემოძრავებინა. სამოცდათხუთმეტი წლის მოხუცი მთლად დალეულიყო.

- არა ხარ მართალი, უნდა გითხრა, რომ სწორად არ იქცევი, გერდა! - აკანკალებული ხმით ბეჯითად გაიმეორა მან, - მე ცალი ფეხი სამარეში მიდგას, ორი დღე დამრჩენია და შენ გინდა მე... შენ გინდა ყველანი მიგვატოვო, გინდა სამუდამოდ დაგვშორდე... აქედან წახვიდე. ცოტა ხნით რომ მიემგზავრებოდე, სხვაა... მაგრამ სამუდამოდ! - ტერეზა ვაიჰბროტმა ჩიტივით პატარა თავი გააქნია. თაფლისფერ, ჭკვიან თვალებში ნაღველი ჩასდგომოდა, - მართალია, ბევრი უბედურება განიცადე...

- არა, უბედურება კი არა, გერდას აღარაფერი დარჩენია, - თქვა ფრაუ პერმანედერმა, - ჩვენ ეგოისტობის გამოჩენის უფლება არა გვაქვს, ტერეზა! გერდას წასვლა უნდა და წავა კიდეც, ვერაფერს გავაწყობთ. გერდა თომასთან ერთად ოცდაერთი წლის წინ ჩამოვიდა აქ. ჩვენ იგი შევიყვარეთ, თუმცა თვითონ ყოველთვის ვეჯავრებოდით... ჰო, გერდა, ასე იყო, ნუ შემეკამათები! მაგრამ თომასი აღარ არის, აღარავინ აღარ არის ცოცხალი. ჩვენ რას წარმოვადგენთ მისთვის? შენი წასვლა გულს გვტკენს, გერდა,

მაგრამ გაემგზავრე, ღმერთი იყოს შენი შემწე. იმაზეც მადლობელი ვართ, რომ თომასის სიკვდილისთანავე არ მიგვატოვე.

შემოდგომის საღამო იდგა. პასტორ პრინგსჰაიმის მიერ კურთხეული პატარა იოჰანი (იუსტუს, იოჰან, კასპარ) ექვსი თვე იქნებოდა, ქალაქის ჭიშკარგადაღმა, ჭალის პირას ქვიშაქვის ჯვრის ძირში, საგვარეულო გერბამოკვეთილი ფილის ქვეშ იწვა. წვიმა ბაღის ნახევრად გაძარცულ ხეივანში დატყლაშუნებდა. ხანდახან ქარი დაუბერავდა და წვიმის წვეთებს ფანჯრის მინებს მოარეკავდა. რვავე ქალი ძაძებში იყო გახვეული.

ოჯახს გერდა ბუდენბროკთან გამოსამშვიდობებლად მოეყარა თავი. გერდას განზრახული ჰქონდა, ამსტერდამში დაბრუნებულიყო და თავის მოხუც მამასთან ძველებურად დაეკრა დუეტები. აქ მას არავითარი ვალდებულება აღარ აკავებდა. ფრაუ პერმანედერს აღარაფერი ჰქონდა მოსამიზეზებელი, იძულებული იყო, გერდას გადაწყვეტილებას უსიტყვოდ შერიგებოდა, მაგრამ თავს უბედურად გრძნობდა. სენატორის ქვრივი ქალაქში რომ დარჩენილიყო, საზოგადოებაში ძველი ადგილი და რანგი შეენარჩუნებინა და ქონებაც აქვე დაეტოვებინა, მაშინ კიდევ შეიძლებოდა ოჯახის პრესტიჟზე ლაპარაკი. ასე იყო თუ ისე, ფრაუ ანტონია, სანამ პირში სული ედგა და ხალხი უყურებდა, თავაწეული ივლიდა, ბაბუამისს მთელი ქვეყანა ოთხცხენშებმული დროშკით ჰქონდა მოვლილი.

ფრაუ ანტონიამ უკუღმართი ცხოვრება განვლო, კუჭიც მუდამ აწუხებდა, მაგრამ ორმოცდაათ წელს მაინც არ მისცემდა კაცი. თუმცა სახეზე ბუსუსები გასჩენოდა, კანიც გამოხუნებოდა და ზედა ტუჩზეც - ტონი ბუდენბროკის მოხდენილ ზედა ტუჩზეც - ულვაშები უფრო დამჩნეოდა, სამგლოვიარო თავსაბურის ქვეშ სადად გადავარცხნილ თმაში არც ერთი ღერი თეთრი თმა არ ერია.

მისი ბიძაშვილი, საბრალო კლოტილდე, გერდას გამგზავრებას ისე ეკიდებოდა, როგორც ამგვარ ამბავს საერთოდ უნდა მოეკიდოს კაცი - გულგრილად და თვინიერად. ვახშამზე კარგად დანაყრდა, ახლა კი ძველებურად უფერული და გამხდარი კლოტილდე სასტუმრო ოთახში იჯდა და გაჭიანურებულად და ალერსიანად ლაპარაკობდა.

ოცდათერთმეტ წლამდე მიღწეული ერიკა ვაინშენკიც არ იყო იმის ქალი, რომ ბიცოლასთან გამოთხოვებას შეეშფოთებინა. ერიკას უფრო მძიმე დარდი ჰქონდა გადატანილი და ნაადრევი უხალისობა და სიდინჯე ეტყობოდა. მის მოღლილ, წყლისფერ თვალებში, ბატონ გრიუნლიჰისეულ თვალებში, კაცი სვეგამწარებული ცხოვრების მორჩილებას წაიკითხავდა და მის წუწუნა ხმაშიც ბედისადმი მორჩილებას იგრძნობდა.

რაც შეეხება ქალბატონ ბუდენბროკებს, ბიძია გოტჰოლდის ქალიშვილებს, მათ სახეზე ჩვეული ამრეზილი გამომეტყველება ედოთ. ფრიდერიკე და ჰენრიეტე

წლების განმავლობაში კიდევ უფრო გაძვალტყავებულიყვნენ, ყველაზე უმცროსი, ორმოცდაცამეტი წლის ფიფი კი მთლად ბურთივით დამრგვალებულიყო.

ამ საღამოს მოხუცი ქალბატონი კროგერი - ბიძია იუსტუსის ქვრივიც მოეპატიჟებინათ, მაგრამ თურმე უქეიფოდ ბრძანდებოდა, ან იქნებ ხეირიანი კაბაც არ გააჩნდა, ვინ იცის!

საუბარი გერდას გამგზავრების გარშემო ტრიალებდა. ლაპარაკობდნენ მატარებელზე, რომლითაც უნდა წასულიყო, ვილისა და ავეჯის გაყიდვაზეც. ეს უკანასკნელი საქმე მაკლერ გოშს მიანდვეს. გერდას თან არაფერი მიჰქონდა, როგორც ჩამოვიდა, ისე მიდიოდა.

შემდეგ ფრაუ პერმანედერმა ლაპარაკი ცხოვრებაზე ჩამოაგდო, უმნიშვნელოვანესი ამბები გაიხსენა და წარსულსა და მომავალზე დაიწყო მსჯელობა, თუმცა მომავალზე სალაპარაკო აღარ დარჩენოდათ რა.

- ჰო, მე რომ მოვკვდები, ერიკაც, სადაც უნდა, იქ წავიდეს, - თქვა მან, - მე კი, ჩემდათავად, სხვაგან ცხოვრება არ შემიძლია. სანამ პირში სული მიდგას, ეს დარჩენილი რამდენიმე კაცი ერთმანეთს ნუ დავცილდებით. კვირაში ერთხელ ჩემთან მოდით სადილად... ნასადილევს ოჯახის მატიანეს წავიკითხავთ, - ფრაუ
პერმანედერმა საოჯახო დოკუმენტებით სავსე პორტფელს ხელი დაადო, - ჰო, გერდა, დიდი მადლობელი ვარ, ამას რომ მიტოვებ... ჰო, გადაწყვეტილია... გესმის, ტილდა? თუმცა, შენც თავისუფლად შეგეძლო მიგეპატიჟებინეთ. კაცმა რომ თქვას, შენ ჩემზე უარეს დღეში არა ხარ. ჰო, ასე ხდება ხოლმე, კაცი წელებზე ფეხს იდგამს, იბრძვის, არ ისვენებს... შენ კი იჯექი შენთვის და მომავალს მოთმინებით ელოდი. მაგრამ სწორედ იმიტომაც ხარ ნამდვილი აქლემი, ტილდა, კი ნუ გეწყინება, ამას რომ გეუბნები...

- ოი, რას ამბობ, ტონი? - ღიმილით მიუგო ტილდამ.

- ძალიან მწყინს, რომ ქრისტიანს ვერ ვემშვიდობები, - თქვა გერდამ და ლაპარაკი ქრისტიანზე ჩამოვარდა. ნაკლებად მოსალოდნელი იყო ქრისტიანს ოდესმე ღირსებოდა იმ დაწესებულებიდან გამოსვლა, თუმცა არც ისე ჰქონდა საქმე, რომ მისი თავისუფლად გაშვება არ შეიძლებოდა. მაგრამ ფრაუ ალინას ქმრის იქ ყოფნა სავსებით აძლევდა ხელს. როგორც ფრაუ პერმანედერი ირწმუნებოდა, ალინა ბუდენბროკი ექიმთან იყო შეთქმული და ქრისტიანი თავის დღეებს, ალბათ, იქ დაასრულებდა.

შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. საუბარი ნელ-ნელა და ფრთხილად გადავიდა ახლახან მომხდარ ამბებზე, პატარა იოჰანის სახელის ხსენებაზე ოთახში კვლავ სიჩუმე ჩამოწვა და წვიმის შხაპუნი უფრო ძლიერად გაისმა.

ჰანოს უკანასკნელი ავადმყოფობა რაღაც საიდუმლო ბურუსში იყო გახვეული და, ეტყობა, შემზარავად ვითარდებოდა. არც ერთი არ უყურებდა ერთმანეთს სახეში,

როცა ამ საიდუმლოებაზე თითქმის ჩურჩულით, გადაკვრითა და მინიშნებით ლაპარაკობდნენ. შემდეგ ჰანოს სიცოცხლის ერთ-ერთი უკანასკნელი დღე გაიხსენეს; პატარა, ძონძებში გახვეული გრაფის სტუმრობა, რომელსაც ავადმყოფის ოთახისკენ გზა თითქმის ძალით გაეკაფა. ჰანომ მისი ხმის გაგონებაზე გაიღიმა, თუმცა უკვე ვერავის ვეღარ ცნობდა, კაი კი მომაკვდავს ხელებს უკოცნიდა თურმე.

- ხელებს უკოცნიდა? - იკითხეს ქალბატონმა ბუდენბროკებმა.

- ჰო, დიდხანს უკოცნიდა.

ამ ამბავმა ცოტა ხანს ყველანი დააფიქრა.

უცებ ფრაუ პერმანედერს ცრემლები წასკდა.

- როგორ მიყვარდა, - აქვითინდა იგი, - თქვენ არ იცით, როგორ მიყვარდა ჩემი ბიჭიკო... ყველა თქვენგანზე მეტად... ჰო, მაპატიე, გერდა, შენ დედა ხარ მისი... აჰ, ჰანო ანგელოზი იყო...

- ის ამიერიდან არის ანგელოზი, - გაუსწორა ზეზემიმ.

- ჰანო, პატარა ჰანო, - ქვითინებდა ფრაუ პერმანედერი და ბუსუსებიან, ჭკნობაშეპარულ ლოყებზე ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა, - ტომ, მამაჩემო, ბაბუა და ყველა დანარჩენებო, სადა ხართ, სად? ვეღარასოდეს ვეღარ გიხილავთ. ღმერთო, რა საშინელებაა, რა სიმწარეა!

- მათ ჩვენ კვლავ შევხვდებით, - თქვა ფრიდერიკე ბუდენბროკმა, ხელები გულზე დაიკრიფა, თვალები დახარა და ცხვირი წინ გაიწვდინა.

- ჰო, ასე ამბობენ... ეჰ, ფრიდერიკე, ადამიანს დაგიდგება ისეთი წუთები, როცა ნუგეში აღარსად არის. ღმერთო, შეგცოდე, ხანდახან სამართლიანობისა და სიკეთის რწმენაც მეკარგება. ცხოვრება ჩვენში ისე ანადგურებს რაღაც გრძნობებს, რომ რწმენასაც კი გვირყევს... შევხვდებით კი მათ? ნეტავ ასე იყოს...

მაშინ ზეზემი ვაიჰბროტი, რამდენზეც შეეძლო, წამოიმართა, თითის წვერებზე დადგა, კისერი წინ წაიწვდინა და მაგიდაზე ისე დააკაკუნა, რომ თავსაბური აუფამფალდა.

- დიახ, ასეა! - რაც შეეძლო მედგრად წარმოთქვა მან და ყველას გამომწვევად შეავლო თვალი.

და იდგა იგი, მთელი სიცოცხლის მანძილზე თავის განსწავლულ გონებასთან ჭიდილში გამარჯვებული, კუზიანი, დალეული, რწმენისგან ათრთოლებული, შთაგონებით აღტყინებული წინასწარმეტყველი.

დასასრული

fb.com/groups/ellib

სქოლიო

[1] მარიენკირხეს პასტორი (ლათინ.).

[2] იგულისხმება გერმანია-დანიის ომი (1864 წ.).

[3] ადამიანი, რომელიც სხვის დაუხმარებლად იკაფავს გზას (ინგლ.).

[4] ქვისისანა (იტალ. აქ იკურნებიან) – ერთ-ერთი ციხე-დარბაზის სახელი კასტელმარეში (იტალიაში). ასე ჰქვია უამრავ სასტუმროსა და ვილას ევროპის სხვადასხვა კურორტზე.

[5] სიზმრისგან მოგვრილი ელდა (ლათ.).

[6] (არქიტ). კედლიდან გამოწეული ნახევრად მრგვალი ან მრავალწახნაგოვანი შემინული ნაწილი, რომელიც ასდევს შენობის რამდენიმე სართულს.

[7] ნელ-ნელა (ფრანგ.).

[8] ბლეზ პასკალის „ფიქრები“ (ფრანგ.). [9] ფილტვების ანთება (ლათ.).

[10] იმედი, რაც უნდა ამაო იყოს იგი, იმდენს მაინც აკეთებს, რომ ჩვენი დღეების დასასრულამდე სიამით მივყავართ (ფრანგ.).

[11] ამჟამინდელი მდგომარეობა (ლათ.).

[12] არტურ შოპენჰაუერის შრომის, „სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა“, ერთ-ერთი თავის სახელწოდება.

[13] ციტატა უილიამ შექსპირის „იულიუს კეისრიდან“ (თარგმ. ი. მაჩაბლისა). [14] ციტატა

ოვიდიუსის „მეტამორფოზებიდან“.

[15] პირველი ხანა ოქროსი იყო (ლათ.). [16] ციტატა გოეთეს „ფაუსტიდან“.

[17] ხმა რომ არ ამოგეღო (ფილოსოფოსი დარჩებოდი). (ლათ.).

[18] „მაიმუნი“ (ინგლ.).

[19] „მაიმუნო, პაწაწინა ცხოველო, შენ ბუნების ნაოხუნჯევი ხარ...“ (ინგლ.).

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

https://www.facebook.com/groups/ELLIB/